ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება



მასალები XIX საუკუნის
ქართული საზოგადოებრივი აზრის
ისტორიისათვის



„ზეკარი“
თბილისი 2007

უაკ (UDC) 316(479.22) (092 ყიფიანი, დ.)
ს - 35

დიმიტრი ყიფიანის ბიოგრაფიაში, მის ნააზრევსა და ნამოღვაწარში ზედმიწევნითი სიზუსტითაა აღბეჭდილი XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და აზრის ჩამოყალიბება-განვითარებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი მომენტი. ამდენად, წინამდებარე ტომში თავმოყრილი მემუარული ხასიათის ტექსტები საინტერესო მასალაა როგორც საკუთრივ დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება-მოღვაწეობის, ისე საერთოდ XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების მეცნიერული შესწავლისთვის. აგრეთვე, იმ პოლიტიკური, კულტურული თუ ფსიქოლოგიური ატმოსფეროს წარმოსადგენად, რომელშიც ცხოვრობდა და ნაციონალური თვითთარსებობის შენარჩუნება-განვითარებისთვის იბრძოდა ქართველი საზოგადოებრიობა მოცემულ ეპოქაში.

მესამე ტომში დაიბეჭდება XIX-XX სს. (20-იან წლებამდე) ქართულ და რუსულ პრესაში გამოქვეყნებული ნარკვევები, ესეები, ლექსები, აგრეთვე, დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული ზოგიერთი წიგნაკი — ეიძღვნილი დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი.

შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვა, ბიბლიოგრაფიული შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო

თამაზ ჯოლოგუამ

რედაქტორი **როსტომ ჩხეიძე**

მხატვარი **კარლო ფაჩულია**

© ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება

SBN 978-99940-904-2-5

შემდგენლისაგან

დიმიტრი ყიფიანის მრავალმხრივ საინტერესო, ისტორიული მნიშვნელობის ფაქტებით მდიდარი, ამასთანავე, რთული და ტრაგიკული ბიოგრაფიის არა ერთი და ორი ფურცელი მჭიდროდაა გადაჯაჭვული XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის, ქართველი ხალხის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების უაღრესად მნიშვნელოვან ფაქტებსა და პროცესებთან. 1830-იანი წლებიდან მოკიდებული, დიმ. ყიფიანი თითქმის 60 წელიწადი ეწეოდა ქართველი საზოგადო მოღვაწის მძიმე ტვირთს და ამ პერიოდის საქართველოში ძნელია დასახელება ეროვნული მნიშვნელობის ისეთი მოვლენისა, რომელშიც მას არსებითი, — ზოგჯერ, განმსაზღვრელი, — ხასიათის მონაწილეობა არ მიეღო. ამდენად, წინამდებარე ტომში შესული მემუარული ხასიათის ტექსტები, ვფიქრობთ, მკითხველს წარმოდგენას შეუქმნის არა მარტო დიმ. ყიფიანის ბიოგრაფიაზე, მსოფლმხედველობაზე, ცხოვრებისა და აზროვნების წესზე, საზოგადოებრივ თუ კერძო ინტერესებზე, არამედ ისინი დიდად საყურადღებო მასალაცაა XIX საუკუნის ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებასა და აზრთან დაკავშირებული არაერთი კარდინალური საკითხის გამორკვევისა და შემდგომი მეცნიერული შესწავლისათვის.

ტომში ერთმანეთის გვერდითაა წარმოდგენილი როგორც დიმ. ყიფიანზე სპეციალურად დაწერილი მოგონებები, ისე მემუარული ხასიათის ისეთი ტექსტებიც, რომელთა ავტორებსაც არ ჰქონიათ ამგვარი მიზანი, თუმცა თავიანთ ნაწერებში დიმ. ყიფიანსაც დაუთმეს გარკვეული ადგილი. ამ ტიპის თხზულებებიდან ჩვენ, რასაკვირველია, ის ნაწყვეტები გვაქვს აღებული, რომლებიც უშუალოდ დიმ. ყიფიანს ეხება (კ. ბოროზდინის, ა. ფურცელაძის, ი. გოგებაშვილისა და ზოგიერთი სხვა მოგონება).

ტექსტები დალაგებული გვაქვს ქრონოლოგიური პრინციპის დაცვით — დაწერის ზუსტი თუ სავარაუდო თარიღის მიხედვით. გამონაკლისს ვუშვებთ იმ შემთხვევაში, როცა ერთსა და იმავე ავტორს დიმ. ყიფიანზე სხვადასხვა დროს რამდენიმე მოგონება აქვს დაწერილი. ასეთ დროს ისინი (ეს ტექსტები) ერთიმეორის მიყოლებითაა დალაგებული და ქრონოლოგიურ რიგს მოცემული ავტორის პირველი მოგონების თარიღი განსაზღვრავს. ამ წესს არღვევს კოტე ყიფიანის „დიმიტრი ყიფიანის მკვლელობა", რომლის სრულ ტექსტს ჩვენ ვერ მივაკვლიეთ, თუმცა, რაც ხელთა გვაქვს, ისიც იძლევა რამდენიმე აქამდე უცნობ საინტერესო ცნობას საკითხის გარშემო. ამიტომაც იგი იგნორირებისათვის ვერ გავიმეტეთ და წინამდებარე ტომს დანართად დავუმატეთ. დანართად ვბეჭდავთ აგ-

რეთვე რუსეთის იმპერიის უმაღლესი ხელისუფლებისადმი კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს უფროსის, ბარონ ალ. ნიკოლაის კონფიდენციალურ მოხსენებას, რომელშიც საუბარია თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის მიერ საკუთარ წინამძღოლად („მარშლად") დიმ. ყიფიანის არჩევასა და ამასთან დაკავშირებულ ფაქტებსა და გარემოებებზე. ალ. ნიკოლაის ტექსტი საფუძვლიანი და სანდო წყაროა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის გამოსარკვევად, როგორიცაა ხელისუფლების აზრი დიმ. ყიფიანის პიროვნებაზე, მის ხილულსა თუ დაფარულ სულისკვეთებაზე, მისი მოღვაწეობის ხასიათსა და მიმართულებაზე (კერძოდ, ირკვევა, რომ ხელისუფლება 1860-იან წლებშიც კი არაა მაინცდამაინც დარწმუნებული არსებული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური სისტემისადმი დიმ. ყიფიანის ერთგულებაში და საზოგადოებისა თუ მმართველი ფენის ერთი ნაწილი მას „ავტონომიურ საქართველოზე მეოცნებეთა" რიცხვს მიაკუთვნებს). ამასთანავე, ალ. ნიკოლაის მოხსენებაში გულწრფელად და დაუფარავადაა საუბარი ზოგიერთ ისეთ ხერხსა თუ მეთოდზე, რომელსაც რუსეთის მმართველი წრეები იყენებდნენ ქართველ თავადაზნაურობასთან ურთიერთობაში; იმ თავადაზნაურობასთან, რომელსაც რუსეთის საიმპერატორო კარი თავისი „კავკასიური პოლიტიკის" დასაყრდენად მიიჩნევდა.

ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებსა და კომენტარებში ზოგიერთი მონაცემი (საარქივო საბუთი, ფონდი თუ ტერმინი, წიგნი, პერიოდული გამოცემა, დაწესებულებათა თუ ორგანიზაციათა სახელწოდება...) შემოკლებით გვაქვს მითითებული და ტომს ბოლოში ამ შემოკლებათა განმარტებაც ახლავს.

ბუნებრივია, ვერ გამოვრიცხავთ, გამორჩენილი გვქონდეს რომელიმე ნაბეჭდი ან აქამდე გამოუქვეყნებელი ხელნაწერი მოგონება დიმ. ყიფიანზე. თუკი მკითხველი ასეთ ტექსტზე მიგვითითებს, ჩვენ ამ მითითებას მადლიერებით მივიღებთ და გავითვალისწინებთ კიდევაც შემდგომ მუშაობაში; ისევე, როგორც, სხვათა შორის, მადლიერებით მივიღებთ წინამდებარე ტომთან დაკავშირებულ ნებისმიერ სათანადოდ დასაბუთებულ სურვილსა თუ შენიშვნას.

P.S. წიგნის სათაურში გამოყენებული გვაქვს აკაკი წერეთლის სიტყვები — წარმოთქმული დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვაზე (იხ. საშვილიშვილო მოკავშირე — დიმიტრი ყიფიანი, I, თბ., 1997, გვ. 124).

2003 წ.

ნიკოლოზ ყიფიანი[1]

დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება

ქვემო ქართლში, ქ. გორის მახლობლად, სოფ. არბოსა[2] და ტყვიავის[3] გვერდით, მდებარეობს პატარა სოფელი მერეთი,[4] სადაც მოსახლეობს ფურცელაძეების გვარეულობა. ამ ოთხმოცი წლის წინად ერთს ფურცელაძის ოჯახში იყო ერთი ჩასიძებული საababაშიოდან[5] გადმოსული აზნაურიშვილი ქოჩო ყიფიანი. [6] ცოლად ჰყავდა ბარბარე — ფურცელაძის ქალი.[7] ქოჩოს და ბარბარეს ჰყავდათ სამი ვაჟი და ორი ქალი. [8] 14 აპრილს 1814 წელსა დაებადათ უმცროსი შვილი,[9] დიმიტრი ყიფიანი.*

უფროსი ოთხ ძმათა შორის, ქაიხოსრო, [10] ოცის წლით უფროსი იყო დიმიტრიზედ, მაგრამ დიდი მეგობრები და ნამდვილი ძმები იყვნენ ყოველთვის, ერთმანეთის მხარის მიმცემნი, ოჯახში განუყრელნი, ერთმანეთის ხათრის დამჭერნი და ხათრის შემნახველნი და ერთმანეთის პატივისმცემელნი. გარდაიცვალა ქაიხოსრო სოფ. ქვიშხეთში,[11] 1867 წელს, როდესაც თითქმის 80 წლისა იყო. [12]

მეორე ძმა დიმიტრისა, გიორგი,[13] რომელსაც ჰყავდა ერთი ვაჟი — ანტონ[14] (გარუსებული და რუსეთში დარჩენილი) და ერთი ქალი[15] — სიკვდილამდინ ცხოვრობდა დიმიტრისთან სოფ. ქვიშხეთში. გარდაიცვალა, მგონია, 1872 წელს, აგრეთვე ოთხმოციოდე წლისა, ქაიხოსროს მომდევნო იყო.

მესამე, იოსებ,[16] გარდაიცვალა ყმაწვილი კაცი, ოცდაათი წლისა იქნებოდა და დასტოვა ორი შვილი[17]: ვასილ[18] და იოსებ.[19]

მეოთხე ძმა იყო უმცროსი შვილი ბარბარე და ქოჩო ყიფიანებისა, დიმიტრი, იოსების მომდევნო, მოგვაკლდა 1887 წ. 26 ოქტომბერს,[20] ქ. სტავროპოლში, როდესაც იყო 73 წლისა.[21]

დები დიმიტრისა ერთი ჰყავდა მუსხელიშვილს,[23] მეორე — კვალიაშვილს.[24]

მამა მოუკვდა ადრე, როდესაც დიმიტრი იყო ორი ან სამი წლისა. ქაიხოსრო და გიორგი მაშინ კაი ვაჟკაცები იყვნენ და კარგად ახსოვდათ მამა. როგორც იმათგან გამიგონია, ქოჩო ყიფიანი იყო

---

* მამიჩემის მოსვენების და დასაფლავების დროს ერთი პატარა ნიგნი დაიბეჭდა ტფილისში: „ცხოვრება დიმიტრი ყიფიანისა". [22] სხვათა შორის, ამ პატარა ნიგნში ენერა, რომ დიმ. ყიფიანი დაიბადა სოფ. ქვიშხეთშიო. ეს შეცდომაა. დიმ. ყიფიანი დაიბადა სოფ. მერეთში, ფურცელაძის ოჯახში.

ნ.ყ.

კარგი აზნაურიშვილი, წყნარი და მშვიდობიანი ხასიათისა, უსიამოვნებას, ჩხუბს და დავიდარაბას ყოველთვის ერიდებოდა[25] და ამიტომ დაანება თავი სააბაშიოს, სადაც აბაშიძეებისაგან შევიწროებული იყო[26] და ჩაესიძა მშვიდობიანს ფურცელაძის ოჯახში, მშვიდობიანსა და წყნარს მერეთში.

დედა დიმიტრისა გარდაიცვალა, როდესაც დიმიტრი შვიდი ან რვა წლისა იქნებოდა.[27]

მამაჩემს კარგად ახსოვდა დედა — ბარბარე ფურცელაძის ქალი: წყნარი, მშვიდობიანი, დამჯდარი ხასიათის პატრონი, ჭკვიანი, კარგი სიტყვა-პასუხის მიმცემი და ყოველგან დიდად პატივცემული. მამაჩემს ახსოვდა, რომ ორი ძმა, — გიორგი და იოსებ, — ვერ იყვნენ კარგად ერთმანეთთან, ხშირად დაობდნენ და ეჩხუბებოდნენ ერთმანეთსა და თითქო სძულდათ ერთმანეთი. გარედ რომ იყვნენ, წამდაუწუმ უყვიროდნენ ერთმანეთსა, მაგრამ რაკი ფეხს გადაადგამდნენ კარსა და შევიდოდნენ სახლში, დედის თვალწინ ისე წყნარად და ისე ძმურად ეპყრობოდნენ ერთმანეთსა, დედის ხათრით და პატივისცემით ისე ცდილობდნენ, არ ეწყენინებინათ დედისათვის, რომ დედამ არც კი იცოდა, რომ რაიმე უთანხმოება სუფევდა იმის ორ შვილს შორის.

კარგი განწყობილნი ვერ იყვნენ ერთმანეთთან გიორგი და იოსებ იმიტომ, რომ გიორგი იყო მძიმე ხასიათის პატრონი და იოსებ კი მეტად ცოცხალი და ჩქარი ხასიათისა.

დედას უყვარდა ყველა შვილები, მაგრამ უფრო გულმხურვალედ უყვარდა პატარა დიმიტრი და როდესაც ეალერსებოდა და ჰკოცნიდა პატარა ბავშვსა, ალერსსა და კოცნას ხშირად ზედ დაატანდა ხოლმე: შენ გენაცვალოს ბარბარე, ფურცელაძის ქალიო!

თუ გიორგისა და იოსებს შორის უთანხმოება იყო, ქაიხოსროსა და დიმიტრის შორის ნამდვილი ძმური სიყვარული სუფევდა ყოველთვის.

ქაიხოსრომ გაუწია თავის პატარა ძმას, ობლად დარჩენილს შვიდი წლის დიმიტრის, მამობაც და დედობაც და უკანასკნელ დღემდინ მათ შორის ერთგული ძმობა და ნამდვილი მეგობრობა არ დარღვეულა.

ყმანვილობაშივე შეეტყო პატარა დიმიტრის დიდი ნიჭიერება: წერა-კითხვა ქართული, ლოცვები, ანგარიში, „ვეფხვის ტყაოსანი" და საღმრთო წერილიც კი პატარა დიმიტრიმ ისწავლა დედის კალთაში, თვითონ, თავისთავად.

ქაიხოსრო, როდესაც მამა მოუკვდა, მსახურობდა დ. სურამში,[28] დამოუნის ნაწილში და დროს რომ ჩაიგდებდა ხოლმე, მივიდოდა ხშირად მერეთში დედისა და პატარა ძმის სანახავად. როდესაც დედა მოუკვდა და დამარხა,[29] პატარა დიმიტრის მოჰკიდა ხელი და თან წაიყვანა სურამში. ერთხელ სურამში მოუხდა ქალაქიდან მოს-

ვლა სამსახურის საქმის გამო ერთს ჩინოვნიკს, რუსს, გვარად ფედოროვს.[30] ჩამოხდა ქაიხოსროსთან. პატარა დიმიტრის ქაიხოსროს მეტი პატრონი არა ჰყავდა და ქაიხოსროც სამსახურში იყო გართული, დრო ბევრი არა ჰქონდა პატარა ძმისათვის. ასე რომ, ბავშვი ხშირად მარტოდმარტო რჩებოდა. ფედოროვი დარჩა ქაიხოსროსთან ერთი კვირა. ქართული ლაპარაკი იცოდა ცოტათი და ხშირად, როცა თავისუფალი დრო ჰქონდა, ელაპარაკებოდა ბავშვსა და ეხუმრებოდა. დიმიტრის ნიჭიერება შეატყო და ერთხელ, როდესაც ის გულდასმით კითხულობდა ერთს რაღაცა ქართულს საღმრთო წერილის წიგნსა, აიღო ერთი რუსული წიგნი, რომელიც თანა ჰქონდა და მისცა ხელში: აბა, წაიკითხეო. დიმიტრის არამცთუ რუსული წიგნი და წერილი, რუსული სიტყვაც კი არ გაეგონა თავის დღეში მანამდისინა. მოახსენა ჩინოვნიკს გულამოოხვრით: არ ვიცი რუსული კითხვაო. ჩინოვნიკმა ხუმრობით უჩვენა — ესა და ეს ამა და ამ ასოს ნიშნავსო, ესა და ესა — ამას და ამასაო, და რა გაუკვირდა, რომ, რასაც ერთხელ ეტყოდა, განმეორება აღარ იყო საჭირო — ერთხელ თქმული და ნაჩვენები პატარა დიმიტრის ეყოფოდა. ბავშვი აღარ მოშორდა ფედოროვსა: ეს ასო რას ნიშნავსო, ეს რასაო, ეს როგორ წაიკითხება და ამნაირად მთელი კვირა, თავისუფალ დროს რომ დაინახავდა, მიადგებოდა ხოლმე ჩინოვნიკს: კიდევ ესა და ეს ამიხსენი, კიდევ ესაო. ასე რომ, ხანდახან ჩინოვნიკი უჯავრდებოდა კიდევაც: თავი დამანებეო! უკანასკნელ დღეს წარმოიდგინეთ ფედოროვის განცვიფრება, როდესაც პატარა დიმიტრი გვერდით მოუჯდა და დაუწყო — „კარგად თუ ავად, ამისი რა მოგახსენოო, — ამბობდა ქაიხოსრო, რომლისგანაც მაქვს გაგონილი ეს ამბავი, — დაუწყო რუსული წიგნის კითხვა." ფედოროვიცა და ქაიხოსროც გაშტერდნენ... — ეს პატარა ბავშვი იმისთანა ნიჭიერია, რომ უეჭველად უნდა მოიყვანო ტფილისში და უნდა მიაბარო სასწავლებელშიო, — უთხრა ფედოროვმა ქაიხოსროსა.

ქაიხოსრო აღტაცებული შეიქნა და, — თუმცა არც ჯამაგირი ჰქონდა იმოდენა, არც შეძლება, რომ ადვილად გამგზავრებულიყო ტფილისისკენა, — ერთ თვეს უკან შეჯდა ცხენზედა, შემოისვა თავისი პატარა ძმა დიმიტრი და გასწია ქალაქისაკენ.

— ჩემო სინათლე დიმიტრი, ვინძლო კაცი გამოხვიდე, ვინძლო გაუხარო გული შენს ქაიხოსროსა!..

ბევრი დავიდარაბა გასწია, სანამ მოახერხა და მიაბარა ძმა სასულიერო სემინარიაში.[31] დაბრუნდა სურამში.

სურამიდან თვალ-ყურს ადევნებდა პატარა ძმასა, რომელიც სწავლობდა მშვენივრად: სუყველა საგნებში პირველი იყო.[32]

ერთ წელინადს უკან შეიტყო ქაიხოსრომ, რომ გაიხსნა ტფილისში „კეთილშობილთა სასწავლებელი" (Благородное училище)[33].

დაჰკრა ფეხი, მოვიდა ქალაქში და, თუმცა ძნელი მოსახერხებელი იყო, მოახერხა და გადაიყვანა ახლადგახსნილ სასწავლებელში.

II

„კეთილშობილთა სასწავლებელში" დაჰყო დიმიტრიმ, თუ არა ვცდები, შვიდი ან რვა წელიწადი.[34] ყოველისფრითა, — სწავლით, გულისყურით, ყოფაქცევითა, — ყოველთვის პირველი იყო. უყვარდა გულით სწავლა და მასწავლებელთა შორის მეტადრე ორი: მანასეინი[35] და ნ.ტ.დემენტიევი.[36] სწავლა რომ გაათავა, დემენტიევის რჩევით სასწავლებლის მმართველობამ დანიშნა მასწავლებლად.[37] იქნებოდა მაშინ 17 წლისა.

როდესაც სასწავლებელში შაგირდად იყო, კვირაობით ფედოროვთან დადიოდა. ფედოროვს ჰყავდა ცოლად ქართველი ქალი, მარია ივანოვნა, გვარად, მგონია, ჩაგნაძის ქალი.[38] სწავლა რომ დაასრულა დიმიტრი ყიფიანმა, ფედოროვი აღარ იყო,[39] ფედოროვის ქვრივი დედად აიჩინა და ეკლესიაში დაიფიცეს სახარებაზედ და ცხოველმყოფელ ჯვარზედ დედა-შვილობა, როგორც იყო ჩვენში უწინ ჩვეულება. დადგა ფედოროვის სახლში. ასწავლიდა იმავე „კეთილშობილთა სასწავლებელში" არითმეტიკას და გეოგრაფიას.[40] ორიოდე წელიწადი ამნაირად გავიდა.

1832 წელს, რაც კი უკეთესი ყმაწვილკაცები იყვნენ ტფილისში ქართველნი (გრიგოლ[41] და ვახტანგ ორბელიანები[42], გიორგი[43] და ელიზბარ ერისთავნი,[44] იოსებ მამაცაშვილი[45], ზაქარია ავთანდილაშვილი,[46] დიმიტრი ყიფიანი, სოლომონ დოდაშვილი[47] და მრავალი სხვანი), ერთ დღეს დაიჭირეს და ჩასვეს ციხეში — შეთქმულობას აბრალებდნენ მთავრობის წინააღმდეგ. რომელიც უფრო დამნაშავედ იცნეს, მეტეხის ციხეში ცალ-ცალკე დაამწყვდიეს.[48] ამათ შორის დიმიტრი ყიფიანიც.[49*] სანამ გამოძიება გათავდა, გავიდა თითქმის ერთი წელიწადი. როცა მეტეხის ციხეში დაამწყვდიეს, მოითხოვა ფრანგული წიგნები და შეუდგა გულმხურვალედ ფრანგული ენის სწავლასა. მანამ მეტეხის ციხეში იჯდა, ისწავლა ფრანგული საფუძვლიანად, ასე რომ, თავისუფლად კითხულობდა ფრანგულ წიგნებსა.

სუყველა, ვინც დაჭერილი იყო, ადგილობრივ მთავრობას უნდოდა სამართალში მიეცა, მაგრამ იმპერატორმა ნიკოლოზმა[52] აპატივა და ინება, რომ რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში ყოფილიყვნენ გაგზავნილნი საცხოვრებლად ცალ-ცალკე,[53] დანაშაულებისდაგვარად. გრიგოლ ორბელიანი წაიყვანეს ნოვგოროდში,[54] იოსებ მა-

---

* ეს საქმე დანვრილებით არის ნაამბობი არხეოლოგიური კომისიის შრომებში (В трудах археологич. комиссий)[50], მგონია, მეათე ტომში, რომელიც ბ-ნმა ბურჟემ[51] გამოსცა. ნ.ყ.

მაცაშვილი ვიატკაში[55] (სადაც მაშინ ჰერცენი[56] იყო დამწყვდეული) და დიმიტრი ყიფიანი, როგორც ერთი უაღრესთაგანი დამნაშავე, უფრო შორს, ქ. ვოლოგდაში[57]. მხოლოდ ერთი იყო დიმიტრი ყიფიანზედ კიდევ უფრო შორს წაყვანილი, ელიზბარ ერისთავი ქ. არხანგელსკში[58] (მერმე თ. ელიზბარ ერისთავი გორის მაზრის ნაჩალნიკი იყო).

ვოლოგდაში დიმიტრი ყიფიანს ნება მისცეს სამსახურში შესვლისა და გაამწესეს მწერლად ვოლოგდის გუბერნატორის კანცელარიაში. 19 წლისა იყო. ნახევარ წელიწადს უკან, რაკი ნახეს, რა ნიჭიერი, ბეჯითი და შრომისმოყვარე იყო და რა კარგად ასრულებდა ყოველისფერს საქმეს, რასაც ანდობდნენ, მისცეს უკეთესი ადგილი. მეორე წელიწადს უკან შეიქნა უფროსი კანცელარიისა — „პრავიტელი"[59]. ხშირად ანდობდნენ ძნელსა და მძიმე საქმეებს საწერად.

ერთხელ გუბერნატორი[60] ისეთი კმაყოფილი დარჩა ერთი იმისგან მინდობილი საქმის შესრულებითა, რომ დაუძახა და უთხრა:

— ძვირფასო დიმიტრი ივანიჩ,* იმ ზომამდინ კმაყოფილი ვარ, რომ არ ვიცი, რითი დაგიმტკიცო ჩემი მადლობა! რომ დაგპირდე წინ წაწევას, უკეთესს ადგილს, უფროსს ჯამაგირს, ჩინს ან ჯვარსა, შენის ნიჭითა, ჭკუით და შრომით, შენის მეცადინეობით უჩემოდაც იშოვნი. მითხარი — რა გიყო იმისთანა, რომ ძალიან გესიამოვნებოდეს და რასაც უჩემოდ ვერ იშოვნი?**

— თუ ჩემი სიკეთე გინდა, თუ გინდა მართლა გამაბედნიერო, მიშუამდგომლე მთავრობასთან — ნება მომცეს სამშობლოში დაბრუნებისა.

— როგორ თუ სამშობლოში! როგორ თუ გაგიშვა აქედან! მერმე უშენოდ ჩვენ რას ვიზამთ, ვინ გაგვიწევს შენს მაგიერობასა!

— თუ გსურთ ჩემი ბედნიერება, საქართველოში დაბრუნების ნება მიშოვნეთ, სხვა არა გამხდის-რა ბედნიერად.

---

* როდესაც ქაიხოსრომ „კეთილშობილთა სასწავლებელში" მიაბარა, ჰკითხეს სახელი ბავშვისა, მამის სახელი და გვარი; უთხრა: დიმიტრი, მამის სახელი ქოჩო, გვარი — ყიფიანიო. იკითხეს, ქოჩო რას ნიშნავსო და რუსულად როგორ დავწეროთო. ქაიხოსრომ უთხრა: როგორც გინდათ, ისე დაწერეთო, ოღონდ მიიღეთ ეს ჩემი ძმაო. დასწერეს ამნაირად: **Димитрий Иванович сын Кипъянов.** როდესაც სასწავლებელი გაათავა ყმაწვილმა, ითხოვა — მამის სახელი და გვარი დაეწერათ იმისს ქაღალდებში რიგიანადა. ჩასწერეს ამნაირად: **Димитрий Иванович Кипиани**[61]. ნ.ყ.

** ამ გუბერნატორს ჰყავდა გასათხოვარი ქალი, რომელსაც დიმიტრი ყიფიანი ძალიან მოსწონდა და გუბერნატორი მოელოდა, რომ დიმიტრი ყიფიანი იმ ქალის ხელსა სთხოვდა და გულითაც სურდა, მიეცა. ნ.ყ.

მეტი გზა არ იყო, უნდა აესრულებინა გუბერნატორს დიმიტრი ყიფიანის თხოვნა. პეტერბურგში მოუხდა თუ არა მისვლა, აუღო დიმიტრი ყიფიანს საქართველოში დაბრუნების ნება.

ვოლოგდაში სუყველას სულით და გულით უყვარდა ჭკვიანი, ნიჭიერი, მხნე და ბეჯითი კაცი, მშვენიერი სახის, მშვენიერი მოუბარი, განათლებული და ნასწავლი იმ ზომამდინ, რომ ვოლოგდის საზოგადოებაში პირველი იყო ყმაწვილკაცთა შორის; დიმიტრი ყიფიანი სუყველგან იყო მიღებული ვოლოგდაში, როგორც ძვირფასი და სანატრელი სტუმარი. მანდილოსნებმა დაარქვეს — მომაჯადოებელი ქართველი (Очаровательный грузин).

რა სახელი დასტოვა ვოლოგდაში, აქედან დაინახავთ:

ოცდასამსა თუ ოცდახუთს წელიწადს უკან ერთს ვოლოგდელ ყმაწვილკაცს, რუსეთიდან ტფილისში სამსახურად დანიშნულს და ტფილისისაკენ მომავალს, დედ-მამამ დააბარა: საქართველოში უნდა იყოს სადმე დიმიტრი ყიფიანიო, ეცადე მოსძებნო, გაიცანი და დაუახლოვდი, იმასთან დაახლოვება დიდს სიკეთეს შეგძენს, იმისთანა ჭკუისა და ხასიათის პატრონიაო...

იმ ვოლოგდელ ყმაწვილკაცს დიმიტრი ყიფიანი საძებნელი არ გაუხდა ტფილისში, რადგანაც იმ დროს, როდესაც ის ყმაწვილი კაცი — შტაბის აფიცერი — მოვიდა ტფილისში, დიმიტრი ყიფიანი იყო ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი ანუ მარშალი.[62] ის ყმაწვილი კაცი იყო ა.მ. სმეკალოვი,[63] შემდგომ ქუთაისის გუბერნატორი. ვიდრე ბატონი სმეკალოვი ტფილისში ცხოვრობდა, ესე იგი, ორი თუ სამი წლის განმავლობაში, მახსოვს, თითქმის ყოველ ცისმარე დღეს დაიარებოდა მამაჩემთან და ორ-ორსა და სამ-სამ საათს ატარებდა იმასთან მუსაიფში.

გავიდა კიდევ ოცდახუთი წელიწადი და ერთხელ მე, ამ ამბის მთხრობელს, ბატონმა სმეკალოვმა, — მაშინ ქუთაისის გუბერნატორმა, — მითხრა:

— ბევრი დავალებული ვარ მამიშენისაგანაო (Многим я обязан Вашему отцу), ბევრი შემეძინა იმასთან მუსაიფითაო (Много я вынес из бесед с ним).

ვოლოგდიდან საქართველოში დაბრუნების ნება მიიღო დიმიტრი ყიფიანმა იმ პირობით, რომ, სადაც უნდოდა, შეეძლო ეცხოვრნა, ტფილისს გარდა.[64] იმ დროს „იმერეთისა და გურიის გუბერნატორად" იყო გენერალი ესპეხო[65](ჩამომავლობით ისპანიელი). დიმიტრი ყიფიანს ჰქონდა ვოლოგდის გუბერნატორისაგან წერილი ესპეხოსთან, რომელშიაც აღტაცებით აქებდა დიმიტრი ყიფიანს და იმის ჭკუას, გონებას და შრომისმოყვარეობას. ესპეხომ გაამწესა დიმიტრი თავის კანცელარიაში ჩინოვნიკად[66] და დაუნიშნა თანაშემწედ თ. მიხეილ ერისთავი[67], ლევან ქორქაშვილი,[68] სპირიდონ მაჭავარიანი[69] და თ. ბეჟან ჩხეიძე.[70]

III

ქუთაისიდან სამი თუ ოთხი წლის შემდეგ გადავიდა სამსახურად ტფილისში.[71]

ამ დროს ტფილისში იყო პოლიცმეისტრად პოლკოვნიკი ბაბანა ჭილაშვილი ანუ ბორის გავრილოვიჩ ჭილაევი.[72] დიმიტრი ყიფიანმა გაიცნო იგი და აგრეთვე იმისი ძმა, დუშეთის მებატონე, გენერალი გიორგი ჭილაშვილი ანუ იაგორ გავრილოვიჩ ჭილაევი,[73] რომელიც ხშირად მიდიოდა დუშეთიდან ტფილისში. ორივე იყვნენ განათლებულნი და ნასწავლნი. გიორგი ჭილაშვილს ჰყავდა ის იყო პეტერბურგიდან ახლადმოყვანილი ორი ქალი: ელისაბედ (ანუ ლიზა)[74] და ნინო[75].

ჭილაშვილებთან დაიარებოდა ხშირად ერთი განათლებული და ნასწავლი ყმაწვილი რუსი, ტფილისის გუბერნატორის ჩინოვნიკი ივან ივანიჩ ნაზოროვი.[76]

დიმიტრი ყიფიანი გულით შეუყვარდა ორივე ჭილაშილთ და ნაზოროვს. როდესაც ყიფიანს არა ხედავდნენ, მარტო იმის ქებაში იყვნენ. ნაზოროვი და ყიფიანი შეიქმნენ დიდი მეგობრები.* ხშირად ერთად მიდიოდნენ დუშეთში, სადაც მშვენიერს დუშეთის კოშკში[77] ცხოვრობდა ორი ყმაწვილი ქალი: ლიზა და ნინო, პეტერბურგის ეკატერინეს ინსტიტუტში ახლად კურსდამთავრებულნი, ორივე ლამაზნი, განათლებულნი, ნასწავლნი, ფორტეპიანოს დამკვრელნი, ფრანგულად მშვენივრად მოლაპარაკენი, ამასთანავე, ცოცხალნი, მხიარულნი. ნაზოროვს შეუყვარდა უფროსი ქალი ლიზა, დიმიტრი ყიფიანს — უმცროსი ნინო.

1845 წელსა, 22 იანვარს, მოხდა ჯვარის წერა ორივე ქალისა, ერთ დღეს და ერთ დროს, ერთად, ერთ ეკლესიაში.[78]

ნინო, ანუ რუსულად ნინა იაგოროვნა, მას აქეთ ორმოცდაორი წლის განმავლობაში იყო ნამდვილი მეგობარი და ამხანაგი დიმიტრი ყიფიანისა, ბედში და უბედობაში უღლის გამწევი, ნუგეშმცემელი და გულმომტკივარი თავისი „ღვთიური დიმიტრისა“, რომელსაც ყოველთვის ახსენებდა ამნაირად: „Мой божественный Димитрий“.

ვორონცოვის[79] დროს დიმიტრი ყიფიანი და მეუღლე იმისი ნინო იყვნენ გამამშვენებელნი ტფილისის მაღალი საზოგადოებისა.

ვორონცოვს გულით უყვარდა დიმიტრი ყიფიანი.

ვორონცოვთან ძალიან დაახლოვებული იყო იმ დროს ერთი კაცი, რომელიც არა სწყალობდა ქართველობას, ქართულს ენას და ყოველისფერს ქართულს, თუმცა ცოლად ჰყავდა ქართველი თავადიშვილის ქალი (თუმანიშვილისა). ეს იყო ვორონცოვის ექიმი ერასტ სტეფანიჩ ანდრეევსკი.[80] თუკი ვორონცოვმა რაიმე ღვანლი

---

* ივ. ივ. ნაზოროვი მერე იყო ერევნის გუბერნატორად. ნ.ყ.

დასდო საქართველოს და თვით ქართულს მწიგნობრობას და ენას, ეს, სხვათა შორის, დიმიტრი ყიფიანის მიზეზით. პირველი ქართული ჟურნალი „ცისკარი"[81] დაარსდა 1852 წ. ვორონცოვის სურვილით და რედაქტორობა „ცისკრისა" ვორონცოვმა დიმიტრი ყიფიანის რჩევით მიანდო თ. გიორგი ერისთავს (გლუხარიჩს)[82] — ის იყო ვარშავიდან ახლადჩამოსულს. ქართული თეატრის დაარსება დიმიტრი ყიფიანისავე მეცადინეობით მოხდა და ერთხელ კიდევაც თითონ დიმიტრი ყიფიანმა ითამაშა „გაყრაში" ივანეს როლი,[82] ანდუყაფარის როლი, მგონი, კონა ერისთავმა;[83] პავლესი, როგორც მახსოვს, დიმ. ყიფიანის ცოლისძმამ, მიხეილ იაგორიჩ ჭილაშვილმა;[84] პავლეს ცოლისა — კნეინა მანანა ორბელიანისამ[85] და ივანეს საცოლოსი — დიმიტრი ყიფიანის მეუღლემ, ნინომ;[86] გაბრიელის როლი — ერთმა ყმაწვილმა კაცმა, შანშიევმა;[87] სომხის როლი, — მიკირტუმ გასპარიჩისა, — აღასრულა მშვენივრად თვითონ ავტორმა, თ. გიორგი ერისთავმა (გლუხარიჩმა).

ხშირად გვიამბობდა ხოლმე მამაჩემი ვორონცოვის დროის სხვადასხვა ამბავსა. სხვათა შორის, ერთი ამბავი, — მამიჩემისაგან გაგონილი, — უნდა მოგითხროთ.

ვორონცოვს ჰყავდა ერთი გენერალი, გვარად, თუ არა ვცდები, კნიაზ ობოლენსკი.[88] ამ ობოლენსკის ორი ქალიშვილი ჰყავდა მიბარებული პეტერბურგის სმოლნის ინსტიტუტში. რადგანაც ვორონცოვის კნეინამ[89] გახსნა ტფილისში საქალებო ინსტიტუტი და ეს ინსტიტუტი ძალიანაც კარგად მიჰყავდათ, ასე რომ, პირველ დროებში იქ სწავლა და აღზრდა არაფრით არ დაუვარდებოდა სმოლნის ინსტიტუტის სწავლასა და აღზრდას. ობოლენსკიმ ითხოვა ნება თავისი ქალიშვილების გადმოყვანისა სმოლნიდან ტფილისის ინსტიტუტში. ნება მისცეს და გადმოიყვანა.

ერთხელ დიმიტრი ყიფიანი იჯდა ვორონცოვთან, როდესაც ობოლენსკი შევიდა ვორონცოვის კაბინეტში.

— კნიაზო მიხეილ სიმონიჩ! გთხოვთ ერთი უსიამოვნებიდან გადაგვარჩინოთ მე და ჩემი შვილები. ქართული ენა უნდა ისწავლოთო, ეუბნებიან ინსტიტუტში და თუ არ ისწავლეთ, შემდგომ კლასში ვერ გადახვალთო, რადგანაც ქართული ენა სავალდებულო საგანიაო. ჩემი შვილებისათვის რა საჭიროა, ნეტავი ვიცოდე, ქართული ენა ან რაში გამოადგებათ როდისმე! მესმის, რომ აქაურებისათვის სავალდებულო საგანი უნდა იყოს ქართული ენა, მაგრამ ჩემს შვილებს არაფრად ესაჭიროებათ, რადგანაც დღეს თუ აქ არიან, ხვალ, ვინ იცის, სად იქნებიან!..

— რას იტყვი, ჩემო დიმიტრი ივანიჩ? — მოუბრუნდა ვორონცოვი დიმიტრი ყიფიანს (Ну, что скажете, дорогой Димитрий Иванович?).

დიმიტრი ყიფიანმა პირდაპირ მოახსენა, როგორც ყოველთვის უმცროსსა და უფროსსა პირდაპირ ეუბნებოდა თავის აზრსა, როდესაც ჰკითხავდნენ:

— საქართველოს ინსტიტუტში ქართული ენა სავალდებულო უნდა იყოს ყველასათვის, კანონი ერთი უნდა იყოს ყველასათვის და ყველა კანონის წინაშე თანასწორი უნდა იყოს. ერთი რომ გაანთავისუფლოთ კანონის ერთი მოთხოვნილებისაგან ამა და ამ მიზეზის გამო, წარმოსდგება ახლა მეორე და მოგახსენებს, მეც განმათავისუფლეთ კანონის ამა და ამ მოთხოვნილებისაგან ამა და ამ მიზეზითაო, მესამეც თავის მიზეზს იპოვის, მეოთხეცა და ამნაირად შორს წავალთ. თუ კნიაზ ობოლენსკის არა ჰსურს, რომ იმის შვილებმა ისწავლონ ერთი იმისთანა საგანი, რომელსაც აქაურ ინსტიტუტში ასწავლიან და სმოლნის ინსტიტუტში კი არა, ვინ დაუშლის, თავისი შვილები ხელახლად სმოლნის ინსტიტუტში წაიყვანოს?..

— ბრავო, ბრავო, ჩემო დიმიტრი ივანიჩ, ოლონდაც რომ ასეა! — დაიძახა ვორონცოვმა, — დიაღ, ძვირფასო კნიაზო, თუ საქართველოში სწავლობენ თქვენი შვილები, ქართული ენა უნდა ისწავლონ. გამოიყენებენ მერმე ქართულ ენასა თუ არა, ეს ჩვენი საქმე არ არის, როგორც ჩვენი საქმე არ არის — გამოადგებათ როდისმე თუ არა, რასაც სწავლობენ, მაგალითად, გეოგრაფიაში... თქვენა მდიდარი ოჯახი გაქვთ და იქნება სთქვათ, გეოგრაფიაც რად უნდა ჩემ შვილებსა, უგეოგრაფიოდაც სადაც უნდა ნავლენ: კუჩერი ყაზანამდინაც მიიყვანს და პარიჟამდინაცაო (Кучер и до Казани и до Парижа довезет и без географии).[90]

IV

ვორონცოვის კნეინამ დაგვიფუძნა ტფილისში წმ. ნინოს სასწავლებელი (Заведение Святой Нины) და, რადგანაც იცნობდა კარგად დიმიტრი ყიფიანს და იცოდა, რა განვითარებული იყო საქართველოს ისტორიაში, სთხოვა დაენერა წმინდა ნინოს მოთხრობა. დიმიტრი ყიფიანმა დაწერა რუსულად და ქართულად.[91] სასწავლებლის გახსნის დროს წიგნი დაბეჭდილი იყო და თვითონ კნეინა ურიგებდა სუყველას წიგნსა: — წაიკითხეთ დიმიტრი ივანიჩის დაწერილი მოთხრობა წმინდა ნინოსიო.

რა და რანაირი ხალხი ცხოვრობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, კარგად თითქმის არავინ იცოდა იმ წრეში, რომელშიაც დიდად საჭირო იყო ხალხისა და იმისი სხვადასხვა ჩვეულებისა, ხასიათისა და ზნეობის გაცნობა. დიმიტრი ყიფიანს ჰქონდა შემთხვევა, დაახლოვებით გაეცნო ყმანვილობაში, როდესაც ესპეხოსთან[65] მსახურობდა, მშვენიერი მხარენი საქართველოისა: გურია, სამეგრელო, რაჭა, ლეჩხუმი, იმერეთი, რადგანაც ესპეხო განსაკუთრე-

ბით ხშირად დაივლიდა ხოლმე ამ მხარეებს. სუყველგან ჰყავდა დიდი მეგობრები: გურიაში თ. მიხეილ ერისთავი[67], რომელსაც შვილს უნათლავდა და რომელიც, ტფილისში რომ მოუხდებოდა მოსვლა, ყოველთვის დიმიტრი ყიფიანთან ჩამოხდებოდა ხოლმე.* აგრეთვე, დიდი მეგობრები ჰყავდა გურიაში: მალაქია[92] და დიმიტრი გურიელები;[93] სამეგრელოში — მთავარი დავით[94] და აგრეთვე „დიდი ნიკო დადიანი"[95] (მამა გიორგისა,[96] პეტრესი[97] და ბესარიონისა[98]); რაჭაში — თავადიშვილები ყიფიანები;[99] იმერეთში — სპირიდონ მაჭავარიანი,[69] ნესტორ წერეთელი[100] (ნესტორის კნეინამ, პელაგიამ[101] და დიმიტრი ყიფიანმა ეკლესიაში შეჰფიცეს ერთმანეთს და-ძმობა). პატივისცემას და სიყვარულს სუყველგან უმტკიცებდნენ, სხვათა შორის, იმითი, რომ შვილს ანათვლინებდნენ. ამნაირად, იმერეთში (გურია და სამეგრელოიანად და რაჭა-ლეჩხუმიანად) ორასამდინ ჰყავდა ნათლული.[102]

რადგანაც ხალხსაც კარგად იცნობდა და საქართველოს ისტორიაშიც განვითარებული იყო, ვორონცოვის თხოვნით დაწერა და დააბეჭდინა ორი წიგნი (რუსულად), ერთი მსუბუქი მუსაიფის ფორმით: „О том, о сем и между прочим о сословиях Закавказских" („სხვადასხვა ამბავი და სხვათა შორის საქართველოს სხვადასხვა წოდებანი")[103]; მეორე, სწორედ სამეცნიერო საფუძვლიანი გამოკვლევა და კრიტიკული მიმოხილვა საქართველოს ისტორიის მასალებისა: „О материалах для истории Грузии"[104]. ეს წიგნი, ჩემის აზრით, ფრიად შესანიშნავია მეცნიერების მხრით.

ვორონცოვის დროს დაარსდა ტფილისში გიმნაზია. თავადაზნაურობამ ამოირჩია დიმიტრი ყიფიანი საპატიო მზრუნველად (Почетный попечитель). ამ თანამდებობაში დაჰყო, ვგონებ, თორმეტი წელიწადი.[105]

აგრეთვე დაარსდა ვორონცოვის დროს სამეურნეო საზოგადოება(Общество сельского хозяйства).[107] დიმიტრი ყიფიანი იყო ერთ დროს ამორჩეული ამ საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტად. პრეზიდენტად იყო თვითონ ვორონცოვი. ამ საზოგადოებას ძალიან გულმხურვალედ ეკიდებოდა დიმიტრი ყიფიანი. საზოგადოება ორ პარტიად იყო გაყოფილი: ერთი პარტიის თავი იყო თვითონ დიმიტრი ყიფიანი, მეორე პარტიას შეადგენდნენ ბარონ ნიკოლაი[108] და სხვ. ერთი პარტია მოწადინებული იყო ადგილობრივ, ესე იგი, საქართველოს მებატონეთ და გლეხებს დაჰხმარებოდა, მეორე პარტიას უნდოდა ახალი მემამულენი და კოლონისტები მოერეკა სხვადასხვა ქვეყნიდან.

---

* ამის დამწერის ოთახში. ასე რომ, თ. მიხეილ ერისთავი იყო ხოლმე სტუმარი დიმიტრი ყიფიანისაც და ამისი შვილისაც,[106] რომელიც შემდგომ შეიქმნა იმისი სიძე. ნ.ყ.

დიმიტრი ყიფიანმა ჯვარი რომ დაიწერა, ფედოროვის[30] ქვრივის სახლშივე დადგა. სწორედ ოცდაათი წლისა იყო. შემდგომ მალე ის სახლი იყიდა ფედოროვის ქვრივისაგან, მაგრამ, რადგანაც ფედოროვმა და იმისმა ცოლმა მარია ივანოვნამ[109] დიდი ამაგი გაუწიეს დიმ. ყიფიანს და, როგორც ზემოთა ვთქვი, დიმ. ყიფიანმა და იმ მოხუცებულმა ქალმა ეკლესიაში შეჰფიცეს ერთმანეთს დედა-შვილობა, ამისათვის მარია ივანოვნა, ვითარცა დედა, დარჩა დიმიტრი ყიფიანის ოჯახში და კიდევაც თვალ-ყური ეჭირა ოჯახობაზედ. ჩვენ, დიმიტრი ყიფიანის შვილები, „ბაბაშას" ვუძახდით. „ბაბაშა" (რომელიც რუსული ბაბუშკიდან გადავაკეთეთ) დარჩა სახელად ამ ჩინებულს მოხუცებულს ქალსა და სუყველა, დიდი და პატარა, „ბაბაშას" უძახდა.

სახლი ნმინდა სამების ეკლესიის [110] გვერდით იყო. ათიოდე წლის შემდეგ დიმიტრი ყიფიანმა მიჰყიდა ის სახლი ერთ ჩინოვნიკს, ბ. ლობანოვ-რეჩიცკის.[111]

დიმიტრი ყიფიანს, ვორონცოვს გარდა, დიდად აფასებდა ყოველი კაცი, ვინც კი იცნობდა.

V

ყირიმის ომი რომ დაიწყო, ომარ-ფაშასთან[112] საბრძოლველად მთავრობამ დანიშნა სახელოვანი ვასილ ბებუთოვი.[113] ბებუთოვმა მოითხოვა, რომ დიმ. ყიფიანი დაეთმო იმისთვის მთავრობას და დანიშნა თავისის სამხედრო კანცელარიის დირექტორად (Дирсктором военно-походной канцелярии).[114] სხვას არავის ენდობოდა და არც არავისი იმედი ჰქონდა ისე, როგორც დიმიტრი ყიფიანისა. დაიარეს ბებუთოვმა და ყიფიანმა იმერეთი, სამეგრელო, გურია.

მთავარმართებლათ შეიქნა ნ.ნ.მურავიოვი.[115] სამოქალაქო ნაწილის მმართველად (Начальником гражданского управления) უნდა დაენიშნა პეტერბურგის მოწერილობის ძალით ან ბარონ ნიკოლაი ან კრუზენშტერნი.[116] დიმიტრი ყიფიანი იმ დროს მსახურობდა ბებუთოვთან.

ერთხელ ბებუთოვის მინდობილობით დიმიტრი ყიფიანს ჰქონდა „დოკლადი" მურავიოვთან. ეს სასტიკი მეომარი და, — როგორც თვითონ ამბობდა თავის თავზედ, — „რუსი-სალდათი" („Я, сударь, русский солдат") ისეთი კმაყოფილი დარჩა დიმ. ყიფიანისა, რომ დაანება თავი ბარონ ნიკოლაისაც და კრუზენშტერნსაც, დაიბარა ბებუთოვი და გადაჭრით გამოუცხადა, — შენი დიმიტრი ყიფიანი უნდა წაგართვაო, — და დანიშნა ყიფიანი დირექტორად სამოქალაქო მმართველობისა (Директором гражданского управления).

მახსოვს კარგად, თუმცა ცხრა წლისა ვიყავი, რანაირად შრომობდა მაშინ დაუვინყარი მამაჩემი: დილის ხუთ საათზედ აღვიძებ-

და ჩვენი „დვორეცკი“ სვიმონიკა ბლუაშვილი,[117] ექვსის ნახევარზედ თავის კანცელარიაში იყო, მუშაობდა იქა ნაშუადღევის სამსა ან ოთხ საათამდინ, მოვიდოდა სადილად და ხუთ საათზედ ისევ თავის თანამდებობის აღსასრულებლად მიდიოდა და რჩებოდა თავის კანცელარიაში საღამოს ცხრასა ან ათ საათამდინ...

ერთ კვირა დღეს მე ვახტანგ ორბელიანის[42] სახლში ვიყავი, სადაც ხშირად დავყვანდით ვახტანგის შვილებთან[118] და, მახსოვს, მურავიოვი შემოვიდა ვიზიტად ვახტანგის კნეინასთან.[119] ჩამოვარდა ლაპარაკი მამაჩემზედ და მურავიოვმა თავისი ბოხი ხმით და თავისი ჩვეულებრივის მოკლე და გადაჭრილი სიტყვით დაიძახა:

„Золотой работник!“ (ოქროს მშრომელიაო), „Молодчинище“ (ძალიან ყოჩაღიაო).

მე, ცხრა წლის ბავშვმა, კიდევაც ვერ გავიგე კარგად, რას ნიშნავდა ეს სიტყვები: „Работник“ და „Молодчинище“ და მურავიოვთანვე დავუწყე ვახტანგის კნეინას კითხვა: „Тетя, скажи, зачем он моего папу называет работником и чинищем?“ (ძალუა, მითხარი, მამაჩემს რატომ უძახის მუშაკს და სხვ.). კნეინამ მითხრა, მერმე აგიხსნიო. მურავიოვმა ჯერ დამიბღვირა და მერმე სიცილი დაიწყო.

გავიდა სამი თუ ოთხი თვე და მოუვიდა მურავიოვს პეტერბურგიდან უარი დიმიტრი ყიფიანის ამ თანამდებობაზე დანიშვნისა...[120] ბრძანება ჰქონდა, დაენიშნა კრუზენშტერნი. მალე თითონაც დაანება თავი მთავარმართებლობას და დაუთმო ადგილი კნ[იაზ] ბარიატინსკის.[121] დიმიტრი ყიფიანი დანიშნეს წევრად ნამესტნიკის რჩევისა (Членом Совета Наместника Кавказского).[122]

ამ თანამდებობაში მეტი დრო ჰქონდა თავისუფალი და მიჰყო ხელი ქართული მწიგნობრობისათვის მუშაობას.

VI

პირველი იმისი შრომა იმ ხანებში იყო ერთი ლამაზი მოთხრობა „ზვიმა“[123], გადმოთარგმნილი ფრანგულიდან და დაბეჭდილი ჟურნალ „ცისკარში“,[81] ივ. კერესელიძის[124] რედაქტორობის დროს. შემდგომ ამისა გადმოთარგმნა შექსპირის დრამა „რომეო და ჯულიეტა“,[125] რომელიც დაიბეჭდა იმავე „ცისკარში“. აქ უნდა ვთქვა, რომ ქართული ენა, ზოგიერთ მწერალთაგან დამახინჯებული, დიმიტრი ყიფიანის წყალობით მშვენიერი და მდიდარი გამოდიოდა.

შემდეგ ამისა გადასთარგმნა ოქტავ ფულიეს „ღარიბი ყმაწვილი კაცის რომანი“[126], მოლიერის „ცოლის შერთვევინება“,[127] შექსპირისვე „ორი ვერონელი.“[128] ეს ნათარგმნები დაიბეჭდა „ცისკარში“. ერთი მოთხრობა — „თურქმენული ცხენი“[129] — და მითჩელის ასტრონომიის[130] რამოდენიმე თავი დაბეჭდილი იყო „საქართვე-

ლოს მოამბე"-ში,[131] რომლის რედაქტორად იყო თ. ილია ჭავჭავაძე.[132] დიმ. ყიფიანი თავის ნაწერებს და ნათარგმნებს აწერდა ფსევდონიმს „ბაქარ ქართლელი".[133]

მახსოვს, რა გულმხურვალედ ეკიდებოდა საქმეს, რა გულმხურვალედ მუშაობდა. როდესაც „რომეო და ჯულიეტას" თარგმნიდა, ადრე დილიდან მოკიდებული ნაშუადღევის სამ საათამდინ არ ეშვებოდა საქმესა: ზედ სტოლზედ წინ ედვა ნამდვილი, ესე იგი, ინგლისური დრამა, მასთან ფრანგული თარგმანი ვიქტორ ჰიუგოს შვილის (Francois Hugo),[134] აგრეთვე, მეორე, ფრანგულივე თარგმანი ბენჟამენ ლაროშისა[135] (მგონია), კიდევ — რუსული თარგმანი კეთჩერისა[136] და ქართულად რომ თარგმნიდა, ადარებდა თარგმანებს და ნამდვილს. სანამ არ დავეხვეოდით ცოლ-შვილი, სანამ ხელს არ მოვკიდებდით კალთაზედ, არ ადგებოდა სადილის საჭმელად, ისრე იყო გართული ამ მშვენიერი თხზულების თარგმნით. ხშირად დედაჩემს და მეგობრებს უკითხავდა ხოლმე თავის ნათარგმნის ხან ერთსა და ხან მეორე ადგილსა.

მახსოვს, იმ დროებში ხშირად მოვიდოდა ხოლმე თ. გრიგოლ დადიანი,[137] რომელიც სთხზავდა მშვენიერს ლექსებს და აბეჭდინებდა „ცისკარში". თავის თხზულებებს აწერდა — „კოლხიდელი". სანამ დააბეჭდვინებდა ახალ შეთხზულ ლექსსა, უეჭველად უნდა ნაეკითხა დიმიტრი ყიფიანისათვის. ხშირად დავსწრებივარ (ბავშვი რომ ვიყავი), რომ „კოლხიდელი" უკითხავდა თავის ლექსებს „ბაქარ ქართლელსა" და მახსოვს, ხშირად რჩევა და სჯა ჰქონდათ ამ ორს მეგობარს — როგორ სჯობია ამა და ამ აზრის ან სურათის გამოხატვაო.

დიდი მეგობრები ჰყავდათ დიმიტრი და ნინო ყიფიანთა ღირსსახსენებელ პირთა შორის:

თ. ალექსანდრე ჭავჭავაძე,[138] ერთი ჩვენი უკეთესთაგანი პოეტი, ნაციონალური პოეტი, ავტორი „ლოთებო, ნეტავ ჩვენისა" და ლამარტინის[139] მშვენიერი თხზულების მიბაძვით შექმნილი „მოქრის ტბისა", დიდი მეგობარი იყო დიმიტრი ყიფიანისა, რომელიც იმის სახლში იყო მიღებული, როგორც ძმა. თ. ალექსანდრე ჭავჭავაძეს ჰყავდა სამი შვილი: დავით[140] (შემდგომ გენერალ-ადიუტანტი და სიმამრი ერეკლე ბატონიშვილისა[141]), ეკატირინე[142] (შემდგომ სამეგრელოს მთავრინა) და ნინო[143] (შემდგომ გამოჩენილი რუსეთის მწერლის, გრიბოედოვის[144], მეუღლე). ესენი იყვნენ დიმიტრი და ნინო ყიფიანთან, როგორც და-ძმანი.

აგრეთვე მეგობრობა და ხშირი მისვლა-მოსვლა ჰქონდათ დიმიტრის და ნინოს თ. ვახტანგ ორბელიანის[42] ოჯახთან. ვახტანგ ორბელიანი, ღვიძლი შვილის-შვილი ჩვენის დაუვიწყარის მეფე ერეკლესი,[145] პოეტი მაღალის ხარისხისა, ავტორი მშვენიერი მაღალაზროვანი და პოეზიით აღსავსე თხზულებათა („იმედი", „გელა-

თი", „შოთა რუსთაველი" და სხვ.), მაშინ იყო გულადი მეომარი. ცოლად პყავდა ფილიპოვის ქალი,[146] იმისთანა მშვენიერება, რომ მერმე აღარ მინახავს არსად იმისთანა მშვენიერებით შემკული ქალი, თუმცა თითქმის მთელი ქვეყანა მომივლია.

ძმა ვახტანგ ორბელიანისა, ალექსანდრე[147] (რომელსაც დაარქვეს პუპლია და ეს სახელი დარჩა) ხშირად მოდიოდა დიმ. ყიფიანთან. უკითხავდა თავის ნაწერებს, ორ-ორი, სამ-სამი საათი რჩებოდა იმის კაბინეტში, მუსაიფობდნენ, სჯიდნენ. აგრეთვე პლატონ იოსელიანი,[148] რომელსაც, როგორც თ. ალექსანდრე ორბელიანს, დიმიტრი ყიფიანი ხშირად ეხუმრებოდა ხოლმე, რადგანაც ეს ორნი არ იყვნენ იმოდენა ნიჭიერების პატრონნი, რამოდენადაც თავი მოჰქონდათ.

დიმიტრი ყიფიანი მზად იყო, ყური დაეგდო ყოველი კაცისათვის, დიდ და პატარასათვის, და რჩევა მიეცა, გზაზედ დაეყენებინა.

VII

მოძმეთა გარდა, მახსოვს, ხშირად დაიარებოდნენ დიმ. ყიფიანთან სხვადასხვა სამსახურის კაცები, ჩინოვნიკები, მოსალაპარაკებლად, რჩევის საკითხავად, გულის სატკივრების გასაზიარებლად... სუყველა აფასებდა დიმ. ყიფიანის ნათელ ჭკუას, პატიოსანს ხასიათს და გამოცდილებას.

მახსოვს, გუბერნატორი ორლოვსკი,[149] რაკი რამე ძნელი საგანი შეხვდებოდა თავის გუბერნატორობაში, მოადგებოდა ხოლმე მამაჩემს. თვითონ ძალიან ჭკუიანი და ძალიან გამჭრიახი, ყოვლისფერში გამოცდილი კაცი იყო ორლოვსკი (რუსულად რომ იტყვიან — Человек тонкого ума), მაგრამ მაინც უყვარდა თავისი აზრები, თავის საწადელები და პროექტები გაეზიარებია დიმ. ყიფიანისათვის. აგრეთვე დაიარებოდნენ ყიფიანთან გორის მაზრის უფროსი თ. ელიზბარ ერისთავი[44], ეგზარხოსი ისიდორე,[150] მღვდელი იოაკიმე რომანოვი,[151] გიმნაზიის დირექტორი ნ.ტ. დემენტიევი,[36] ინჟინერი ფონ-დერ-ნონნე,[152] ა.მ. სმეკალოვი,[63] პოლკოვნიკი (შემდეგ გენერალი) ვ.ი. მარკოზოვი,[153] რუსეთის მწერალი, გრაფი სოლლოგუბი,[154] ვერდერევსკი,[155] ექიმი ამიროვი,[156] არხეოლოგოსი ბურჟე,[61] ინგლისელი მოგზაური კამერონი,[157] ფრანცუზი — სამეგრელოში ჩასიძებული გრაფი დე-როზმორდუკი[158] და მრავალნი სხვანი.

მახსოვს ერთი ამბავი: დოქტორი ამიროვი აღტაცებული იყო ერთი რუსული ჟურნალის („Русский вестник")[159] კითხვითა... იმ დროს ის ჟურნალი (1857-1858 და 1859 წლებში) იყო მოწინავე რუსულს ჟურნალისტიკაში. ამიროვი აპირებდა ექიმობისათვის თავის დანებებას და მწერლობა უნდა დაეწყო. დაწერა კიდევაც რალაც ვრცელი მოთხრობა თუ რომანი, — აღარ მახსოვს კარგადა, — და მოუტანა დიმიტრი ყიფიანს წასაკითხავად. დიმიტრი ყიფიანმა წაი-

კითხა თავიდან ბოლომდინ და შემდგომ, მახსოვს, ორ-ორ და სამ-სამ საათს ატარებდნენ ორი მეგობარი მუსაიფში და სჯაში იმ მოთხრობის თაობაზედ. რა ურჩია მამაჩემმა ამიროვსა, არ ვიცი, მაგრამ მახსოვს, ერთხელ, კარგა ხანი რომ გავიდა, ამიროვმა უთხრა: დიმიტრი ივანიჩ, ნეტავი იცოდე, რა მადლობელი ვარ, რომ ხელი ამაღებინე მწერლობაზედა. დღეს, მგონია, ვარ ექიმი არა უკანასკნელი და მწერალი კი უხეირო (Бестолковый) გამოვიდოდი. რა სირცხვილს გადავრჩი, რომ არ დავაბეჭდინე ის ჩემი ბავშვური მოთხრობა... მთელი რუსეთის მასხარა შევიქნებოდიო.

სხვა ქალაქებიდან რომ მოვიდოდა ვინმე ტფილისში დიმიტრი ყიფიანის მცნობი, უთუოდ უნდა მოსულიყო დიმ. ყიფიანთან და ერთი ორიოდე საათი მაინც დამტკბარიყო იმასთან მუსაიფითა. ხშირად მინახავს მამიჩემის კაბინეტში ქუთაისის გუბერნატორად მყოფი ნიკოლ. პეტროვიჩ კოლუბაკინი,[160] ერევნის გუბერნატორი მიხ. პეტრ. კოლუბაკინი,[161] ძმანი ყაითმაზოვნი[162] (ერთი ცენზორი, მეორე — ქუთ[აისის] ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე), ნესტორ წერეთელი[100] და მრავალნი სხვანი.

თავ. მიხეილ ერისთავი,[67] როგორც ვთქვი ზემოთა, ყოველთვის დიმ. ყიფიანთან ჩამოხდებოდა ხოლმე, ჩემს ოთახში, როდესაც მოდიოდა ტფილისში. აგრეთვე ივ.ივ. განგესოვი,[163] ქუთაისის გიმნაზიის ინსპექტორი, რომელსაც ჰყავდა ცოლად მამიჩემის ბიძაშვილი — აღათი,[164] დავით ყიფიანის[165] ქალი.

ბარიატინსკის[121] დროს სამეგრელოს მთავრინამ, ეკატერინემ,[142] ამოირჩია დიმიტრი ყიფიანი აპეკუნად მცირეწლოვანის სამეგრელოს მთავრისა[166] და დიმიტრი ყიფიანმა ბარიატინსკის თხოვნით იკისრა ეს თანამდებობა, რომლის მიზეზით შემდგომ დაჰკარგა ხელმწიფის სამსახური.[167]

აპეკუნობის დროს მოუხდა სამეგრელოს მთავრის საქმისათვის წასვლა პეტერბურგში.[168] მოგზაურობის დროს, რაც თავისუფალი დრო ჰქონდა, ინგლისურ ენას სწავლობდა.[169] ძალიან მხურვალედ შეუდგა ამ ენის სწავლასა და ისწავლა იმ ზომამდინ, რომ თავისუფლად კითხულობდა ერთს უძნელეს ინგლისელს ავტორს — თავისს საყვარელ შექსპირს.

შემდგომ ამისა, მარშლობის დროს, როდესაც სამოცი წლის მეტისა იყო, დააპირა ქართული გრამატიკის შედგენა[170] და ამისათვის საჭიროდ სცნო ლათინური ენაც ესწავლა. შეუდგა ლათინურის სწავლასა და ისე საფუძვლიანად ისწავლა, რომ ოვიდის[171] და ვირგილის[172] თხზულებებს თავისუფლად კითხულობდა.

ბედში და უბედობაში, ყმაწვილობაში და სიბერეში, ყოველთვის განუწყვეტლივ სწავლობდა რასმე და რაც იცოდა, თვითონ, თავისი საკუთარი შრომით და ჯაფით ისწავლა. ხშირად ამბობდა: „კაცი, სანამ ცოცხალია, ყოველთვის უნდა ცდილობდეს, ყოველ

დღე შეჰმატოს რაიმე თავის ჭკუასა, გონებას და ცოდნასა და არასოდეს არ უნდა იფიქროს, რომ მეყოფა რაც ვიცი და რაც ვისნავლეო". როდესაც ყმანვილობაში დაჭერილი იყო მეტეხის ციხეში,[173] იფიქრა: ვიცი, ასრე დამწყვდეული კარგა ხანს დამტოვებენ აქაო და მოდი, ამ ჩემმა დამწყვდევამ რომ ტყუილა-უბრალოდ არ ჩამიაროს, ვისნავლი რასმეო. იმის მაგიერ, რომ წუხილს ან სასოწარკვეთილებას მისცემოდა, როგორც ბევრნი იმისი ამხანაგნი მიეცნენ, შეუდგა, როგორც ზემოდა ვთქვი, ფრანგული ენის სწავლასა. ფრანგული ენის სწავლაში ისე ვიყავ გართული დილიდან მოყოლებული საღამომდინ, რომ დღე როგორ გადიოდა, ვერ ვატყობდიო.

VIII

ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლად ანუ მარშლად ამორჩეულნ იქმნა სწორედ მაშინ, როდესაც გლეხების განთავისუფლება მზადდებოდა საქართველოში.

იმისი მარშლად ამორჩევა[62] და შემდგომ იმისა სათავადაზნაურო ბანკის დაარსება ღირსია, დანვრილებით გიამბოთ:

როგორცა ვთქვი, გლეხების განთავისუფლება მზადდებოდა. მთავრობის წინადადებით, თავადაზნაურობას თავისი პროექტი უნდა შეედგინა და ამისათვის კომისია ანუ კომიტეტი დაენიშნა. მაზრის ქალაქებში მოახდინეს სამაზრო კრებანი, სადაც თავადაზნაურებს სჯა და მოლაპარაკება ჰქონდათ გლეხების განთავისუფლებაზედ — როგორ, რა სჯობია და რა როგორ უნდა იყოსო. დ. ყიფიანი ამ კრებებს თითო-თითოს დაესწრო (ტფილისში, გორში, თელავში და სიღნაღში) და კიდევაც ყველგან ილაპარაკა: მხურვალე მოსარჩლე იყო გლეხების განთავისუფლებისა და მხურვალე დამცველი თავადაზნაურობის სიკეთისა. ამოირჩიეს კომიტეტი,[174] რომელსაც შეადგენდნენ ოცამდინ თავად-აზნაურნი. ამათ შორის, მახსოვს, დ. ყიფიანს გარდა, იყვნენ იოსებ ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილი,[48] თ-დი იასე ჭავჭავაძე,[175] თ-დი ნიკო ჭავჭავაძე,[176] თავადი მიხეილ თუმანიშვილი (ბირთველიჩი)[177], ვახტანგ თულაშვილი.[178]

შემდგომ ამისა მოხდა გუბერნიის თავადაზნაურობის კრება, ტფილისში, თ-დ ივ. მუხრანბატონის[179] სახლში (სადაც შემდგომ კლუბი[180] გაიმართა).

რასაც ახლა გიამბობთ, ჩემი საკუთარი თვალით მაქვს ნახული და ჩემი საკუთარი ყურით გაგონილი.

დრო იყო იმისთანა, რომ დიდძალმა საზოგადოებამ მოიყარა თავი: ვისაც კი ჰქონდა კენჭი (ანუ ხმა), ვალად რაცხდა დასწრებოდა და მიეღო მონაწილეობა იმისთანა საქმეების მოლაპარაკებაში, რომელთაგანაც წარმოსდგებოდა ბედი და უბედობა ქართლ-კახეთისა, და აგრეთვე მიეღო მონაწილეობა არჩევანში. ყველას, დიდს

და პატარას, ესმოდა, რომ დიდი ბრძოლა შეიქნებოდა წინამძღოლის, გუბერნიის მარშლის ამორჩევის დროსა.

ზოგიერთ დიდი თავადიშვილების გვართა უნდოდა გუბერნიის მარშლად ამორჩევა თ-დ რევაზ ანდრონიკაშვილისა (გენერალ-ლეიტენანტი),[181] რომელიც იყო ნამდვილი ჯარისკაცი, მეომარი, მთელი სიცოცხლე ლაშქრობაში ჰქონდა გატარებული, მაგრამ ახლა წინამძღოლს დიდი მოვალეობა აწვებოდა: ახალი დროის და ახალი მოთხოვნილების შესაფერი უნდა ყოფილიყო.

ტფილისის მაზრის მარშლად იყო იმ დროს თავადი ზაალ ბარათაშვილი,[182] კაცი გონიერი და დიდი ერთგული ქვეყნისა და თავადაზნაურობისა. ამან პირველმა წარმოსთქვა აზრი, რომ თავადაზნაურობას სჭიროდა წინამძღოლად იმისთანა კაცი, როგორიც დიმიტრი ყიფიანი იყო.

დიმიტრი ყიფიანს მთელი საქართველო იცნობდა და უკანასკნელ დროს ქართლ-კახეთმა უფრო დაახლოვებით გაიცნო, როდესაც სამაზრო კრებებში ისმენდა იმისს მჭევრმეტყველურს სიტყვას და ლაპარაკსა.

ზაალ ბარათაშვილის აზრი აღტაცებით მიიღო თავადაზნაურობამ, გარდა ზოგიერთი დიდი თავადიშვილების გვარებისა, რომელნიც შეიქმნენ დიდი წინააღმდეგნი დიმიტრი ყიფიანის მარშლად ამორჩევისა; თუ მთელს საქართველოს სწამდა დიმიტრი ყიფიანის ნათელი ჭკუა, შრომისმოყვარეობა, მაღალი პატიოსნება და თავგადადებული ერთგულება ქართლ-კახეთისა და საქართველოსი, ამის პასუხად მოწინააღმდეგენი მოთმინებიდან გამოდიოდნენ: როგორ შეიძლება, რომ აზნაურიშვილი, აბაშიძეების ნააზნაურევის შვილი, ჩვენ, — მეფეთა და სახელოვან თავადთა შთამომავლობამ, — თავზედ დავისვათ! მერმე ისიც სამსახურიდან დათხოვნილი!.. მთავრობასაც არ იამება ყიფიანის მარშლად ამორჩევაო!.. ასე იძახდნენ დიდი გვარის შვილნი, ძლიერნი წევრნი თავადაზნაურობისა. სამაგიეროდ დანარჩენნი, ესე იგი, მთელი თავადაზნაურობა, თავგადადებული იყო დიმიტრი ყიფიანის ამორჩევისათვის.

როდესაც მოვიდა დღე მარშლის ამორჩევისა,* ზალა გაჭედილი იყო ხალხითა. პირველ რიგში დამწკრივებულნი იყვნენ კრესლოებში ძლიერნი — გენერლობა: თ-დი გრ. ორბელიანი,[41] თ-დი ივანე მუხრანბატონი, თ-დი გიორგი რომანის ძე ერისთავი (ატამანი),[183] თ-დი სოსიკო ორბელიანი,[184] თავადნი ამილახვარნი, ანდრონიკაშვილნი, თარხნიშვილნი, ერისთავნი, ჩოლაყაშვილნი და სხვანი.

ამათ უკან — დანარჩენი თავადაზნაურობა. ზევით ლოჟებში — მანდილოსნები და სტუმრები. მანდილოსანთა შორის: კნეინა მა-

---

* ვიმეორებ, რომ რასაც ახლა მოგითხრობთ, ჩემი თვალით ნახული და ჩემი ყურით გაგონილი მაქვს. ნ.ყ.

ნანა ორბელიანისა,[185] კ-ნა ქეთო სუმბათაშვილისა,[186] კ-ნა ელენე ბატონიშვილისა,[187] კ-ნა ქეთევან ორბელიანისა[188] (თავ. მამუკას[189] მეუღლე), კ-ნა თამარ აბაშიძისა[190] და სხვანი. სტუმართა შორის — ორი ადიუტანტი დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძისა...[191]

თავ. რევაზ ანდრონიკაშვილმა, რაკი შეატყო თავადაზნაურობას გულის წადილი, ადგა და გამოუცხადა საზოგადოებას, რომ არა მსურს ვიყარო კენჭი და გთხოვთ განმათავისუფლოთ მარშლობისაგანაო.[192]

— მადლობელი ვართ, მადლობელი ვართ! — დასძახა ერთხმად საზოგადოებამ, პირველი წყობის უკან შეჯგუფულმა.

— აგაშენოს ღმერთმა! თავისუფალი ბრძანდებოდე! — დაატანა კიდევ საზოგადოებამ. ადგა თავადი გრიგოლ ორბელიანი და მიმართა საზოგადოებას:

— კნიაზი რევაზ ანდრონიკაშვილი, გენერალ-ლეიტენანტი, ომებში და „პახოდობაში" მრავალჯერ გამარჯვებული, მთავრობისაგან დაჯილდოებული, უკეთესთაგანი გვარისშვილი, ნუ ჰყოფს თხოვნას უარსა: ვთხოვოთ ერთი ხმით, იყაროს კენჭი!..

— არა ჰსურს, თავისუფალია, მადლობას ვწირავთ!.. — შესძახა საზოგადოებამ.

— მაშ ვინ გინდათ მარშლადა?..

წამოდგა თ-დი ზაალ ბარათაშვილი:

— მარშლად გვინდა დიმიტრი ყიფიანი!

— გაუმარჯოს, გაუმარჯოს დიმიტრი ყიფიანსა! — დასძახა საზოგადოებამ.

— დიმიტრი ყიფიანი მარშლად, დიმიტრი ყიფიანი!..

ადგა თავის კრესლოდან თ. რევაზ ანდრონიკაშვილი, გავიდა გარეთ, ჩაჯდა ფაიტონში და გასწია შინისაკენ.

— დიმიტრი ყიფიანს ვუყაროთ კენჭი!..

წამოდგა მეორედ თ-დი გრ. ორბელიანი.

ჩვენი პოეტი, ჩვენი გრძნობით აღსავსე პოეტი-პატრიოტი, შემთხზველი უკვდავის ლექსებისა, მოუბრუნდა საზოგადოებას და მხურვალე გრძნობით აღსავსემ, თითქო ცეცხლმოკიდებულმა, დაიძახა:

— მოგმართავთ თქვენ, საქართველოს კეთილშობილს თავადაზნაურობასა! სად არიან დღესა სახელოვანნი გვარნი სოლაღიშვილებისა, ბასტაშვილებისა და სხვა? (აქ ჩამოთვალა რამდენიმე გვარი, რომელიც აღარ მახსოვს), განიფანტნენ, განჰქრნენ, როგორც გაჰქრა ჩვენი დიდება! აღარ გვიბრწყინვენ დღეს იგინი, ვინც უწინ ბრწყინავდნენ ქართლ-კახეთში!.. დავეცენით, დავმცირდით, წარვხდით, ვაი ჩვენს თავსა! მაგრამ, ახლა ვინცა დავრჩით წარჩინებულთა, უკეთესთა გვართა შვილნი, მოგმართავთ საქართველოს კეთილშობილსა თავადაზნაურობას, მოგმართავთ ჩვენ, თქვენი

უფროსნი ძმანი, თქვენ, ჩვენს უმცროსს ძმათა — ნუ გვაჭმევთ სირცხვილსა, ნუ დაგვასვამთ თავზედ ჩვენ, ქართლ-კახეთის გამაბრწყინვებელ გვართა, აზნაურიშვილსა, აბაშიძის ნააზნაურევის შვილსა!..

— გაუმარჯოს დიმიტრი ყიფიანს! ყიფიანი მარშლად, დიმიტრი ყიფიანი!.. — დასძახა პასუხად თ. გრ. ორბელიანს საზოგადოებამ.

— თითონ მთავარობასაც არ იამება დიმიტრი ყიფიანის მარშლად ამორჩევა! — დაიძახა თ-დმა გრ. ორბელიანმა, — ხომ იცით, რომ მთავრობამ სამსახურიდან დაითხოვა, მთავრობის წინააღმდეგი იქნება იმის მარშლად ამორჩევა!

შეიქმნა სიჩუმე...

წამოდგა დიმიტრი ყიფიანი... წყნარად, ჩვეულებისამებრ მშვიდობიანად, გულდასმით და ამასთანავე თავისი მაგარი ბოხი ხმით წარმოსთქვა შემდეგი:

— ნება მიბოძეთ, ბატონებო, მარტო ერთ საგანზედ მოვახსენო მოკლე პასუხი დიდად პატივცემულს თ. გრ. დიმიტრის ძე ორბელიანს... მარტო ერთ საგანზედ...

ამ დროს იმისთანა სიჩუმე იყო, რომ ფოთოლი არ გაინძრეოდა:

— მთავრობის წინააღმდეგი არცა ვყოფილვარ არასოდეს ჩემს სიცოცხლეში და არცა ვარ... და თითონ მთავრობაც არა მთვლის წინააღმდეგად. ეს იქიდან სჩანს, რომ პენცია ორმოცი თუმნის მაგივრად, რომელიც კანონით მერგებოდა, ეს არის აგერ, ამ დღეებში, ასორმოცი თუმანი დამინიშნა. სხვას არას მოგახსენებთ თ. გრ. ორბელიანის პასუხად იმის მეტსა, რომ თავადაზნაურობას თუ ჰსურს ჩემი სამსახური, მზადა ვარ ვემსახურო და მსურს მიყაროთ კენჭი!..

— კენჭი, კენჭი! — დასძახა საზოგადოებამ.

დაიწყო კენჭი. სხდომის სეკრეტარი ასლამაზოვი[193] შეუდგა ხმამაღლად მოკენჭეთა სახელების ამოკითხვასა:

— გენერალ-ადიუტანტი, გენერალ ოტ ინფანტერიი, თავადი გრიგოლ დიმიტრის ძე ორბელიანი!

თავ. გრიგოლ ორბელიანი არ გაინძრა, დარჩა თავის კრესლოში. პირველ რიგზედ დამწკრივებულ გენერლებს თანხმობა ჰქონდათ, აღარ მიეღოთ მონაწილეობა კენჭისყრაში.

— გენერალ-ლეიტენანტი, თავ. ივანე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი.[179]

არ გაინძრა არც ესა.

— გენერალ-ლეიტენანტი თავადი გიორგი რომანის ძე ერისთავი.[183]

არც ეს გაინძრა.

ასე ამრიგად თვრამეტი თუ ცხრამეტი.

— თ-დი ზაალ ბარათაშვილი![182]

ადგა, აიღო კენჭი, მივიდა კენჭის ყუთთან, გამოსწია მარჯვენა (თეთრი) უჯრა და მთელი საზოგადოების თვალწინ ცხადად ჩააგდო თეთრში. ეს იყო პირველი კენჭი.

— გაუმარჯოს ზაალ ბარათაშვილსა!.. — დასძახა საზოგადოებამ.

— დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი იოსებ ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილი![45]

ამანაც ჩააგდო თეთრში და სუყველამ დანარჩენმა, ოთხს თუ ხუთს გარდა; ამათ შორის თ. ამილბარ მაღალაშვილმა[194] დაანახვა საზოგადოებას, რომ შავში ჩაუგდო დიმიტრი ყიფიანს კენჭი.

რომ დასთვალეს შავი კენჭი, გამოვიდა ოთხი თუ ხუთი (კარგად არ მახსოვს), დანარჩენი — თეთრი (ორასი თუ სამასი, არ მახსოვს).

ასე გათავდა ბრძოლა ჩვენს ბრწყინვალეთა და საზოგადოებას შორის დიმიტრი ყიფიანის ამორჩევის თაობაზედ.

დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ იმავ დღეს მიულოცა დიმიტრი ყიფიანს ამნაირად: „მომილოცავს თავადაზნაურობისათვის თქვენისთანა ღირსეული წინამძღოლის ამორჩევაო“ (Поздравляю дворянство с выбором в лице Вас достойного предводителя), და მიიწვია თავისი მეუღლით მეორე დღისათვის სასახლეში.

IX

გლეხების განთავისუფლება გულით უხაროდა დიმიტრი ყიფიანს, რადგანაც ყოველთვის იყო ადამიანთა თავისუფლების, თანასწორობის და ძმობის მომხრე. ბატონყმობა, როგორც ადამიანის დამამცირებელი და დამაზიანებელი, ეჯავრებოდა. მაგრამ ბატონყმობის მოსპობის შემდეგ რა მდგომარეობაში ჩავარდებოდა თავადაზნაურობა, მეტადრე წვრილი ნაბატონრები, ძალიან საფიქრებელი იყო. ამიტომ ჯერ კომისიებში და შემდგომ თავად-აზნაურთა კრებებზედ, პირველმა დიმიტრი ყიფიანმა დაჰბადა აზრი, რომ თავადაზნაურობას ეთხოვნა მთავრობისათვის შეწევნა ფულით, თითო კომლ გლეხზედ ოცდახუთ-ხუთი მანათი მიეცა. ამ ანგარიშით ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობას ხვდებოდა თითქმის ერთ მილიონამდინ.

ამ აზრს დიდი მოწინააღმდეგე გაუხდა თვითონ ადგილობრივი მართებლობა და დიდად ძნელი შეიქმნა ამ აზრის გატანა. ბოლოს და ბოლოს, შემდგომ მრავალი უსიამოვნებისა და დაბრკოლებისა, დ. ყიფიანმა გაიმარჯვა: გაიტანა ეს აზრი და მთავრობამ უბოძა ტფილისის გუბერნიის მებატონეთა და მერმე იმის მიხედვით ქუთაისის გუბერნიის მებატონეთაც — გლეხის თითო კომლზედ 25 მანათი.

რაკი ასე გადაწყდა საქმე, ერთი აზრი კიდევ მოუვიდა დიმიტრი ყიფიანს: რომ 25 მანათიდან ხუთ-ხუთი მანათი გადაედვათ მებატონეებს სათავადაზნაურო ბანკის დასაარსებლად. ამ საადგილმამულო ბანკს უნდა მისცემოდა სრულებით სხვა დანიშნულება და სხვა ხასიათი, არა ისეთი, რაც მერმე, წინაალმდეგ დიმიტრი ყიფიანის განზრახვისა, მიეცა ჩვენს ორს საადგილმამულო ბანკსა.

რანაირად უნდა დანესებულიყო ბანკი, ამაზედ მოიწადინა, შეეგროვებინა ერთად აზრი ყველა გონიერისა, ჭკვიანისა ან განათლებულის თავად-აზნაურისა. ამიტომ შეადგინა წერილები თითოთითოსთან. ეს წერილები იწყებოდა ფრანგული ანდაზით: „აზრი რომ აზრსა ხვდებაო, სიმართლე გამოჩნდებაო" (Du choc des opinions jaillit la verite) და ამ ანდაზის ძალით სთხოვდა თავად-აზნაურთა თავ-თავისი აზრი შეეტყობინებინათ იმისათვის.

ამნაირი წერილი ბევრი იყო და მახსოვს, რა მხიარულად და გულმხურვალედ შეეუდექით ამ წერილების წერასა ქვიშხეთში: თვითონ დიმიტრი ყიფიანი სწერდა თვითო-თვითოსა და დათიკოს (ქაიხოსროს უფროს შვილს)[195] და მე თვითო-თვითო უნდა გადაგვეწერა. დათიკო უნივერსიტეტიდან ახლად იყო ჩამოსული, მე ვიყავი 16 წლისა. მახსოვს, ბიძაჩემი ქაიხოსრო რა სიხარულით გვიყურებდა, დილიდან საღამომდინ რომ ვწერდით ამხანაგურად და მხიარულად ამ წერილებსა. მახსოვს კიდევ, რა უხაროდა ქაიხოსროსა, რომ ჩემი ხელი, — ქართულიც და რუსულიცა, — მამიჩემის ხელსა ჰგავდა (მაშინ), ასე რომ: „კაცი ვერ გაარჩევს, დიმიტრის დაწერილი რომელია, და შენი რომელიო" — მეუბნებოდა ხოლმე ბიძაჩემი ქაიხოსრო.

ხუთ-ხუთი მანათი რომ გადაედვათ 25 მანათიდან, უნდა შემდგარიყო ორასი ათასი მანათი. არ შესდგა, მგონია, არც ამის ნახევარი სხვადასხვა მიზეზების გამო.

ბანკის წესდების შესადგენად გაემგზავრა დიმიტრი ყიფიანი პეტერბურგში და მიჰმართა გამოჩენილს რუსეთის ფინანსისტს და პუბლიცისტს იური ჟუკოვსკის[196] (რომელიც მანამდინ ჟურნალ „სოვრემენნიკის"[197] თანამშრომელი იყო და ახლა სახელმწიფო ბანკის გამგებელია). მოიტანა ჟუკოვსკის დაწერილი პროექტი ბანკის წესდებისა. დაიბარა აგრეთვე პეტერბურგიდან ერთი ფინანსისტი და ბანკების საქმეებში გამოცდილი კაცი, ვოდოვი.[198] შეადგინეს წესდება, რომელმაც სხვადასხვა მიზეზების გამო იარა, იარა და სრულებით გადასხვაფერებული და გამოცვლილი მობრუნდა ტფილისში. ასე თუ ისე, ბანკი დაარსდა ტფილისში და, შემდგომ ამისა, ქუთაისშიაც.[199]

ამნაირად ამ ბანკების მშობელი იყო დიმიტრი ყიფიანი.

მაგრამ გული სტკივოდა, რომ იმისი ნაშობი ბანკები სრულებით ისეთი არ გამოვიდა, როგორიც იმასსა სწადდა და, პირიქით, იქნება კიდევაც წინააღმდეგი იმისი აზრისა და განზრახვისა.

იმისი განზრახვით, სხვათა შორის, უნდა ყოფილიყო ბანკის საფუძვლად გაუყიდველობა ანუ, უკეთ ვთქვათ, პატრონთათვის წაურთმევლობა დაგირავებული მამულებისა. გარდა ამისა, წმინდა შემოსავალი ბანკისა უნდა ყოფილიყო მთელად და სულ ერთიანად გადადებული ახალგაზრდობის აღსაზრდელად...

დიმიტრი ყიფიანის მარშლობის დროს დაიბადა აზრი ერთი საზოგადოების შედგენისა[200] — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა.[201] დიმ. ყიფიანს გარდა, ამ საზოგადოების დამაარსებელნი, როგორც მახსოვს, იყვნენ: კონსტანტინე მამაცაშვილი,[202] ილია ჭავჭავაძე,[132] ბესარიონ ღოღობერიძე[203], ვახტანგ თულაშვილი,[178] მიხეილ ყიფიანი.[204] ამათ შეადგინეს წესდება და წარუდგინეს მთავრობას.[205] წესდება დამტკიცდა, საზოგადოება შესდგა. დიმიტრი ყიფიანი ამორჩეულ იქმნა თავმჯდომარედ. კომიტეტის წევრთა შორის მახსოვს: რაფ. ერისთავი[206], იაკობ გოგებაშვილი,[207] ნ. ცხვედაძე.[208]

X

როდესაც ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლად იქმნა ამორჩეული,[62] ინოდებოდა და იწერებოდა ამნაირად: Губернский Предводитель Грузинского Дворянства (ქართველი თავადაზნაურობის გუბერნიის წინამძღოლი).

მოსკოვში გამოდიოდა და, მგონია, ახლაც გამოდის ერთი გაზეთი „Московские Ведомости"[209] („მოსკოვის უწყებანი"), რომლის გამომცემლად და რედაქტორად იყო მაშინ ცნობილი მ.ნ.კატკოვი,[210] პუბლიცისტი-კონსერვატორი. ამ კატკოვმა ისახელა თავი პოლშის პოვსტანიელების დათრგუნვის დროს,[211] როდესაც თავის გაზეთში ცეცხლსა და მეხს ისროდა პოლონელებზედ და იცავდა თავისი წერილებით უიმისოდაც გამარჯვებულს რუსეთის სამყაროს. დაარქვეს კიდევაც ხუმრობით: „რუსეთის სამყაროს ერთგული მცველიო".

აღელვებული პოლშა რომ დამარცხდა, კატკოვმა დაიწყო ყოველგან ძებნა „სეპარატიზმისა".

კატკოვს ტფილისში ჰყავდა ერთი კორესპონდენტი, ბ-ნი რიჟოვი,[212] რომელიც ყოველ კვირას უგზავნიდა ტფილისიდან წერილებს, კორესპონდენციებს გაზეთში დასაბეჭდად. ამ წერილებში ბ-ნი რიჟოვი წაღმა-უკუღმა მოუთხრობდა „მოსკოვის უწყებების" მკითხველებს კავკასიის საქმეებს. რასაკვირველია, ამ წერილებში ყოველთვის ბანს აძლევდა გაზეთის მიმართულებას და ყოველთვის ყოველნაირი ინსინუაციებით ავსებდა თავის აჭია-ბაჭია წე-

რილებსა. ერთხელ ერთ წერილში მოსდგა „საქართველოს“ და „ქართველებს“: აგერ, ერთი პარტია გაჩნდაო, „ყრმა საქართველო“ („Молодая Грузия“)[213]. ამ პარტიას ანუ ამ საიდუმლო საზოგადოებას, როგორადაც მეორე საზოგადოებას, „ყრმა სომხეთს“[214] („Молодая Армения“), სურვილი აქვს, საქართველო და სომხეთი გაანთავისუფლოსო და ამისთანა ზღაპრები... რასაკვირველია, ამ წერილს არავინ არ მიაქცია ყურადღება, რადგანაც ყველა იცნობდა, ამისი დამწერი რა შვილიც იყო... მაგრამ თვითონ კატკოვმა ბატონი რიჟოვის აჭია-ბაჭია სიმართლედ მიიღო და ვნახოთ, რომ ერთხელ კიდევაც მოსდგა „საქართველოს“ და „ქართველებსა“ ერთს თავის გაგრძელებულს „მოწინავე წერილში“:[215] ცეცხლი და მეხი ჩვენ დაგვიშინა. აგერ, კავკასიაში „ქართული სეპარატიზმი“ გაჩნდაო, აგერ, ქართველები პოლონელების კვალს მისდევენო. ამის დასამტკიცებლად, ვინ იცის, რა და რა ზღაპარი არ მოჰყავდა. სხვათა შორის, დაჰკრა ბუკი: ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი ჰბედავს და „ქართველი“ თავადაზნაურობის წინამძღოლად იწერება და იწოდებაო! „ქართველი“ რას ნიშნავსო, „საქართველო“ რას მიქვიაო!.. ვიცით, რომ არის კავკასიაში „ტფილისის გუბერნია“, არის კიდევ „ქუთაისის გუბერნია“, როგორც ერევნისა ან ბაქოს გუბერნიები, და „საქართველო“ რომელია ან სად არის, არ ვიცით და არცა სუფევს არსადაო. „ქართველი“ რას ნიშნავსო? ვიცით, რომ არიან კავკასიაში „ტფილისის გუბერნიის მცხოვრებნი“, „ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებნი“ და „ქართველნი“ ვინ არიან, არც ვიცით და არც არიან არსადა ჩვენს იმპერიაშიო... როგორ აძლევს მთავრობა ბ-ნ ყიფიანს ნებას, „საქართველოს თავადაზნაურობის მარშლად“ იწოდებოდეს? ჩემი მოვალეობა არისო, ავუხილო თვალი მთავრობას და მოვთხოვო, რომ ახლავე შიგ ძირში მოსპოს „ქართული სეპარატიზმიო“ („Уничтожить в корне“).

ამ ახირებულის კატკოვის ცეცხლსა და მეხს დიმიტრი ყიფიანმა უპასუხა დაწვრილებითის და დალაგებითის წერილით,[216] რომელიც, როგორც მახსოვს, იყო დაბეჭდილი გაზეთ „С.-Петербургские Ведомости“-ში.[217] ქართული „სეპარატიზმი“ ბ-ნ კატკოვს სიზმარში მოსჩვენებია და ნამდვილად კი ქართველნი ყოველთვის ყოფილან და დღესაც არიან უერთგულესნი ყმანი რუსეთის ტახტისა. ქართველებს არათუ არასოდეს ამისთანა არა დაგვიშავებია-რა, რომ ქართველის სახელი გასაქრობი იყოს და საქართველოს სახელი გასაწყვეტი, არამედ ყოველთვის რუსეთის ხელმწიფისათვის სისხლი დაგვიღვრია და მტერთან ბრძოლაში ყოველთვის პირველ რაზმში გვიბრძვია... „საქართველო“ სუფევს და არც გაჰქრება,

როგორც არ გაჰქრა ოცდაორი საუკუნის განმავლობაში მრავალ მტერთან მუდმივსა და განუწყვეტელ ბრძოლაშიო...

ამ პოლემიკაში რომ გამარჯვებული დიმიტრი ყიფიანი დარჩა, იქიდან სჩანს, რომ შემდგომ ამისა მალე მოუხდა პეტერბურგში მისვლა. პეტერბურგში წარსდგა ხელმწიფე-იმპერატორის, ალექსანდრე II-ის[218] წინაშე, ვითარცა „საქართველოს თავადაზნაურობის გუბერნიის მარშალი". იმპერატორმა კარგადაც მიიღო, ხელიც ჩამოართვა და უბრძანა: „საქართველო გულით მიყვარსო" („Люблю Грузию сердечно"), „ქართველი თავადაზნაურობის ერთგულობა ჩემი და ჩემი ტახტისა ყოველთვის მრწამდა და მრწამსო" და „მოხარული ვარ შენი ნახვისა, როგორც სახელოვანი ქართველი თავადაზნაურობის წინამძღოლისაო" („Доблестного грузинского дворянства").

იმის ნიშნად, რომ საქართველოსაც სწყალობდა და საქართველოს თავადაზნაურობის წინამძღოლისაც კმაყოფილი დარჩა, უბოძა დიმიტრი ყიფიანს შემდგომ ამისა ორდენი წმ. ვლადიმირის მეორე ხარისხისა,[219] რომელიც „დეისტვიტელნი სატატსკი სოვეტნიკისათვის"[220] დიდი დაჯილდოება იყო...

XI

მარშლობის დროს ორი უსიამოვნება მოუვიდა.

იყო ერთი კახელი მებატონე, თავადი დ.ა[ბხაზ]ი[221], დიდი ხნიდან კარგი მეგობარი დ. ყიფიანისა. შვილმა იმისმა[222] შეირთო მოსკოვში ერთი მდიდარი ვაჭრის ქალი[223] და მზითვად აიღო სამოც ათას თუმნამდინ ნაღდი ფული (600 000 მან.). დ.ა[ბხაზ]ი კარგი ადგილ-მამულის პატრონი იყო და მისი კარდანახის[224] ვენახები და ზვრები პირველთაგანი იყვნენ კახეთში. მაგრამ ვალები დაედო, სხვათა შორის, სახელმწიფო ვალი და აგრეთვე ერთი მოსკოველი ვაჭრისა, გიორგი ფორაქოვისა.[225] ემართა სამი ათას თუმნამდინ (30 000 მან.). როდესაც ხელმოკლედ იყვნენ ა[ბხაზ]ნი, მოადგა მოსკოველი ვაჭარი ფორაქოვი, უპირებდა საჩივარს, ემუქრებოდა ტორგით ადგილ-მამულის და ზვრების გაყიდვას. მომართა დ.ა[ბხაზ]მა დიმიტრი ყიფიანს, ვითარცა მეგობარს და, აგრეთვე, ვითარცა თავადაზნაურობის წინამძღოლსა: მიშველე, ვიღუპებიო.

დაიბარა დიმიტრი ყიფიანმა ილარიონ ფორაქოვი[226] (რომლის ხელში იყო გადმოსული ა[ბხაზ]ის ვექსილები და რომელსაც იცნობდა), რადგანაც, — თუმცა შორეულად, — დამოყვრებული იყო დიმ. ყიფიანთან — იმისი ქალი ჰყავდა ცოლად ერთს დიმ. ყიფიანის ნათესავს.

ფორაქოვმა თავდაპირველად გადაჭრილი უარი სთქვა, ედროვებინა ა[ბხაზ]ისათვის. დ. ყიფიანმა იცოდა, რომ ადგილ-მამული

და ვენახები ა[ბხაზ]ებისა ბევრად მეტი ღირდა იმაზედა, რაც ფორაქოვისა ემართათ, და უთხრა:

— გაძლევ ჩემ სიტყვას, რომ ერთი წელიწადი რომ ადროვო, შესძლებენ შენი ვალის გადახდასაო...

— რაკი შენ სიტყვას მაძლევ, დიაღ ვადროვებ ორ წელიწადსაც, მხოლოდ იმ პირობითა, თუ თავდებად დაუდგებიო.

დაუდგა თავდებად. ა[ბხაზებ]სა ორი წლის განმავლობაში დანარჩენიც, რაც ებადათ, ხელიდან გამოეცალათ (კარდანახის პატრონად გახდა კნ[იაზ] ნაპოლეონ ამატუნი[227]) და ფორაქოვის ვალი, რომელიც ავიდა ოთხი ათას თუმნამდინ (40 000 მან.), მთლად დიმ. ყიფიანს დაედო. უნდა გაესტუმრებინა ეს ფული. ამისათვის, რაც კი ადგილ-მამული ჰქონდა, იძულებული შეიქნა, საადგილმამულო ბანკებში დაეგირავებინა და ფორაქოვი ამნაირად დაეკმაყოფილებინა.

თავის მხრივ, ა[ბხაზ]ს თუმცა უჩივლა,[228] მაგრამ რაღას გადაახდევინებდა...

„თავდებად დავუდექი ა[ბხაზ]სა იმიტომ, რომ მომმართეს, ვითარცა თავადაზნაურობის წინამძღოლსა. წინამძღოლი უნდა იყოს თავადაზნაურობისა და თვითო ყოველი თავად-აზნაურის მოსარჩლე და დამცველიო, — ამბობდა ხშირად დიმიტრი ყიფიანი, — რომ არ დავმდგარიყავ იმათ თავდებად, ფორაქოვი ყოველისფერს ტორგით გაუყიდდა, სამი ათასი თუმნისათვის ათი ან იქნება ოცი ათასი თუმნის საღირალი ადგილ-მამული ტორგით გაეყიდებოდათ ა[ბხაზებ]სა და იტყოდნენ: რის მარშალია დიმ. ყიფიანიო, რომ არ უშველა ა[ბხაზებ]სა და ყელი გამოაჭრევინა ფორაქოვს იმათთვისო. თუ თვითონ თავისივე ხელით გამოიჭრეს ყელი და მეც ამნაირად დამწვეს, რა გაეწყობა! მე ჩემი მოვალეობა ავასრულე და მხოლოდ იმასა ვწუხ, რომ მოვტყუვდიო“.

კიდევ ერთი დიდი უსიამოვნება დაადგა. სამეგრელოს მთავრინასთან[142] (ზოგიერთი დარბაისლების მიზეზით) უთანხმოება მოუვიდა და აეშალნენ ერთმანეთსა. შემდგომ ამისა, დიმ. ყიფიანმა შეიტანა ქუთაისის ოლქის სასამართლოში საჩივრები სამეგრელოს მთავარზედა, ანუ კნიაზ მინგრელსკიზედ,[166] მაგრამ სუყველა საჩივრები წააგო. კნ. მინგრელსკიმ, თავის მხრით, უჩივლა დიმიტრი ყიფიანს ტფილისის ოლქის სასამართლოში 114 ათასი მანეთი (თერთმეტი ათას ოთხასი თუმანი). დიმიტრი ყიფიანმა თვითონ ილაპარაკა პირველ ინსტანციაში და მოიგო საქმე (იჯდნენ სასამართლოში: თ-დი ნ. ჭავჭავაძე[229] და განსვენებულნი: ტერ-ლუკასოვი[230] და სტეფანოვი[231]); მაგრამ კნ. მინგრელსკის ვექილებმა ი.ი. პოლტარაცკიმ[232] და კ.ნ. რეიტერმა[233] გადაიტანეს საქმე პალატაში. პალატაში დიმ. ყიფიანმა დააყენა თავის ვექილად უკეთესი იმ დროს ტფილისელი ადვოკატთაგანი — მ. ა. ბენკენდორფი.[234] პალა-

ტამ დაადო დიმიტრი ყიფიანს 100 ათას მანეთამდინ (ათი ათას თუმნამდინ) კნ. მინგრელსკის სასარგებლოდ.

შემდგომ ოციოდე წლისა, კნ. მინგრელსკი შეურიგდა დიმ. ყიფიანს და „ისპოლნიტელნი ლისტი" უთავაზა დიმიტრი ყიფიანის მეუღლეს და დაჰპირდა, ის ფულიც, რომელიც ოცი წლის განმავლობაში ლისტით გადაჰხდა დიმ. ყიფიანს, დაებრუნებინა...

შერიგება კნ. მინგრელსკისა და დიმ. ყიფიანისა ამნაირად მოხდა: სამეგრელოში მოუხდა მოსვლა კნ. მინგრელსკის საქმეებისათვის დეისტ. სტ. სოვეტნიკს სმირნოვს,[235] რომელმაც, როდესაც გაიცნო ყოველისფერი საქმეები ოპეკისა და კნ. მინგრელსკისა, ცხადად დაინახა, რომ დიმ. ყიფიანი იყო ყოველისფრით მართალი კნ. მინგრელსკის წინაშე და, არათუ არაფერში არ იყო გასამტყუნარი, არამედ ყოველისფერი საქმე კნ. მინგრელსკისა დღესაც იმ გზით უნდა ნაყვანილიყო, რა გზითაც დიმ. ყიფიანს მიჰყავდა. განგებ დიმ. ყიფიანის გასაცნობად და პატივსაცემად მოვიდა დიმ. ყიფიანთან პირდაპირ ქვიშხეთში.[11] როდესაც დაბრუნდა პეტერბურგში, გადაჭრილად გამოუცხადა თვითონ კნ. მინგრელსკის და ვისაც იმისათვის გული სტკიოდა, რომ დიმ. ყიფიანისთანა ერთგული და პატიოსანი მზრუნველი და მოღვაწე არცა ჰყოლია არავინ კნ. მინგრელსკისა და არც შეიძლება იშოვოსო. დაიბარეს დიმ. ყიფიანი პეტერბურგში. გრაფმა მიხ. ტარ. ლორის-მელიქოვმა,[236] რომელიც დიდი მეგობარი იყო დიმ. ყიფიანისა, შეარიგა კნ. მინგრელსკისთან. გრაფი ადლერბერგი და იმისი მეუღლე (სიმამრი და სიდედრი კნ. მინგრელსკისა)[237], მინისტრი ლიეენი[238] (იმათი მეგობარი) და სხვ. აღტაცებულნი იყვნენ დიმ. ყიფიანის ჭკუითა, გონიერებით, პატიოსნებით და გონიერი რჩევით, როდესაც რჩევას ჰკითხავდნენ...[239]

თავადაზნაურობის წინამძღოლად დაჰყო ექვსი წელიწადი. შემდგომ აღარ ისურვა მარშლობა და ამორჩეულ იქმნა თავ. რევაზ ანდრონიკაშვილი (გენერალ-ლეიტენანტი).[181]

დიმიტრი ყიფიანი დაბინავდა ისევ თავის საყვარელ ქვიშხეთში. შეუდგა შექსპირის „შეიდლოქის"[240] თარგმნასა, დაიწყო ქართული გრამატიკის შედგენა,[170] მოჰკიდა ხელი ლათინური ენის სწავლას. აგრეთვე დაიწყო რუსულად წერა თავისი მონაგონებისა (Записки и воспоминания), რომელიც დაიბეჭდა რუსულ ჟურნალში „Руссская Старина".[241] ამას გარდა, უვლიდა თავის ადგილ-მამულსა, ვენახებსა და ზვარსა. ღვინო მშვენიერი მოჰყავდა.

XII

შემოიღეს ტფილისში სამოქალაქო თვითმმართველობა; პირველად იყო ამორჩევა ახალი წესის რიგით ქალაქის თავისა. დიმიტრი ყიფიანი მშვიდობიანად მუშაობდა ქვიშხეთში, როდესაც მოუვი-

და ამბავი ნიკო ნიკოლაძისაგან[242] და კონსტანტინე ბებუთოვისაგან,[243] რომ ჰსურთ ქალაქის თავად ამოირჩიონ. ტფილისში იყო უწინ ერთი ქალაქის თავად ნამყოფი გენერალი იერემია არწრუნი,[244] რომელსაც ჰყავდა თავისი პარტია. აქ უნდა ვთქვა, რომ ქალაქის თავად მანამდინ არასოდეს არ ყოფილა ქართველი. სამოცდათორმეტ ხმოსანთა შორის სამოცამდინ იყო სომეხი და ათიოდთორმეტიოდე — ქართველი, რუსი და სხვ. უყარეს კენჭი იმ დროს იქ დამსწრეს არწრუნს და დიმიტრი ყიფიანს — იმ დროს თავის კაბინეტში მშვიდობიანად მყოფსა. დიმიტრი ყიფიანმა არც კი იცოდა, რომ იმისმა მომხრეებმა ცენზიც კი მოუხერხეს.

ამორჩეული შეიქმნა დიმიტრი ყიფიანი.

შემდგომ ორი თუ სამი თვისა, როცა ნახეს ხმოსნებმა, თუ რა შეეძინა ქალაქს დიმიტრი ყიფიანის ამორჩევით, გადაწყვიტეს ნიკ. იაგ. ზუბალოვის,[245] ნიკ. ნიკოლაძის, კონსტ. ბებუთოვის და სხვათა წინადადებით, ერთხმად სამასი თუმნის მაგივრად შვიდასი თუმანი დაენიშნათ ჯამაგირად.

დაჰყო ქალაქის თავად (კარგად აღარ მახსოვს) ორი თუ სამი წელიწადი.[246] უკანასკნელ დროს, სამი თუ ოთხი თვე რომ დარჩა ახალ არჩევნებამდინ, ერთი პატარა ამბავი მოხდა ქალაქის საბჭოში, რომელიც იყო მიზეზი, რომ უმეტესი ნაწილი ხმოსნებისა ერთბაშად დიდი წინააღმდეგი შეიქმნა დიმ. ყიფიანისა და მეორედ აღარ ამოირჩიეს ქალაქის თავად.

მანამ ამ ამბავს ვიტყოდე, უნდა ორიოდე სიტყვა ვთქვა, თუ რანაირად უყურებდა დიმიტრი ყიფიანი ზოგიერთს ნაციონალურს საგანს (Национальные вопросы).

ვინც იცნობდა დიმიტრი ყიფიანს, დამემოწმება, რომ ყოველთვის დიდი მომხრე იყო ერთა ძმობისა, თანხმობისა და ერთობისა და რაც შეეხება სომეხთა, ყოველთვის იმ აზრისა იყო, რომ ქართველნი და სომეხნი ღვიძლი ძმანი ვართ და ძმურად უნდა ვეპყრობოდეთ ერთმანეთსაო. გულით უხაროდა, მაგალითად, როდესაც ერთს სოფლის საზოგადოებაში, რომელიც სულ ქართველებიდან იყო შემდგარი და სომეხი ორი თუ სამი კომლი მეტი არ იყო, მამასახლისად სომეხი ამოირჩიეს. ამ ამბავს სიამოვნებით და კმაყოფილებით უამბობდა ხოლმე სუყველას, როდესაც ჩამოვარდებოდა ლაპარაკი საქართველოს სხვადასხვა ტომის ხალხზედ. დიმ. ყიფიანი ამტკიცებდა, რომ ქართველი ხალხი ყოველთვის ძმურად უყურებდა სომეხთა. ამის დასამტკიცებლად მოჰყავდა მაგალითები ანმყოდანაც და ნარსულიდანაცა. იმის პიროვნული კერძო ცხოვრებიდანაც კი ცხადად სჩანდა, რომ გარჩევა არ ჰქონია ქართველთა და სომეხთა შორის: პირველი და უკეთესი იმისი მეგობარი ყრმობიდან უკანასკნელ დღემდინ, უმახლობელესი ამხანაგი და მეგობარი, ზაქარია სტეფანეს ძე ავთანდილაშვილი,[46] იყო სომეხი. ერთი კი-

დევ ძალიან კარგი მეგობარი დიმ. ყიფიანისა, დოქტორი ამირო-ვი,[156] იყო სომეხი. ერთი კაცი, რომელიც სულით და გულით უყვარ-და დიმ. ყიფიანს და რომელსაც დიმ. ყიფიანიც სულით და გულით უყვარდა, კნ[იაზ] ვასილ ოსეფიჩ ბებუთოვი,[113] იყო სომეხი... გარდა ამისა, ერთი შვილი მოანათვლინა სომეხს, იმავე ვას. ბებუთოვს; კიდევ ერთი შვილი (ჩემი და — ელენე[247]) მოანათვლინა აგრეთვე სომეხს, მარია პავლოვნა ბაშინჯაღელის ქალს[248] (რომელიც შემ-დგომ შეირთო ინჟინერმა ფონ-დერ-ნონნემ[152]); ჩვენი, ესე იგი, დიმ. ყიფიანის შვილების გამდელი იყო ერთი დუშელი დედაკაცი — ანი-კა,[249] რომელიც, სანამ ცოცხალი იყო, არ მოშორებია ჩვენს ოჯახს, სომეხი იყო.

ერთი სიტყვით, ვინც იცნობდა დიმ. ყიფიანს, დამემოწმება, რომ თავის დღეში აზრადაც არა ჰქონია გარჩევა ქართველისა და სომხისა.

არ იცოდა გარჩევა ქართველისა და სომხისა იმიტომ, რომ სის-ხლით და ხორცით, სულით და გულით იყო ნამდვილი ქართველი, საქართველოს ნამდვილი შვილი, ერთგული შვილი მამულისა და სამშობლოსი.

და რომ ნამდვილსა და კარგს ქართველს გარჩევა არ სცოდნია ქართველისა და სომხისა, ამის დასამტკიცებლად გავიხსენოთ თა-მარ მეფის[250] დიდებული დრო, როცა მოღვაწეობდნენ უწარჩინებუ-ლესნი სარდლები ზაქარია და იოანე მხარგრძელნი,[251] ორივე სომე-ხი.

ამ ორი სომეხისთანა საქართველოს ბევრი არა ჰყოლია ერ-თგული შვილი და ჩვენს წარსულში ბევრი არ მოიპოვება ამ ორი სომეხისთანა დამამშვენებელი ჩვენის მამულისა, ჩვენის ისტორიი-სა... რომელია ჩვენს მეფეთა და ჩვენს სპასალართა შორის ამ ორ მხარგრძელზედ უკეთესი საქართველოს შვილი?!

დიმ. ყიფიანი ამბობდა ხშირად, რომ ქართველი იმას კი არა ჰქვიან, ვინც ქართულს ლაპარაკობს და მართლმადიდებელი სარ-წმუნოებისა არისო: რამდენია იმისთანა, რომ ქართულსაც ლაპა-რაკობს, მართლმადიდებელი სარწმუნოებისაც არის, მაგრამ ქარ-თველად არ ჩაითვლება, ქართველის სახელის ღირსი არ არის, რადგანაც, მაგალითად, ამ ორი მხარგრძელის სახელიც თავის დღეში არ გაუგონია... განა ქართველის სახელის ღირსია იმისთანა კაცი, რომელმაც არ იცის, თამარი ვინ იყო და რა იყო, შოთას[252] თხზულებისა ერთი სტრიქონიც კი არ წაუკითხავს?

დიმ. ყიფიანი ამბობდა, რომ ქართველი ჰქვიან საქართველოს შვილსა. ამიტომ სარგის[253] და ზაქარია მხარგრძელნი, სჯულით თუმცა სომეხნი, ყოვლისფრით ნამდვილი ქართველნი იყვნენ.

დღეს საქართველოს შვილად მიმაჩნია ვას. ოს. ბებუთოვი,[113*] მიხ. ტარ. ლორის-მელიქოვი,[114] ზაქ. სტ. აკთანდილაშვილიო;[115] ქართველებად მიმაჩნია სუყველა ქობულეთისა, აჭარის და ბაღდადის მცხოვრებნიო, თუმცა სჯულით მაჰმადიანნი არიანო. ქართველნი ზოგნი (უმეტესი ნაწილი) მართლმადიდებელნი არიანო, ზოგნი ფრანგის სარწმუნოებისა, ზოგნი სომეხთა სარწმუნოებისა, ზოგნი მაჰმადიანნი. სწორედ ამ აზრით საესე იყო, დიმ. ყიფიანს გარდა, კიდევ ერთი შესანიშნავი და დიდად პატიესაცემი ქართველი, ერთი უკეთესთაგანი საქართველოს შვილი, თ. გრიგოლ გურიელი.[254]

ახლა მოგითხრობთ იმ ეპიზოდსა, რომელიც მოხდა ქალაქის საბჭოს სხდომაში, სამი თუ ოთხი თვით წინ ახალ კენჭისყრამდინ, რომელიც, როგორც ზემოთა ვთქვი, იყო მიზეზი, რომ უმეტესი ნაწილი ხმოსნებისა, ე.ი. სომეხნი, დიდი წინააღმდეგნი შეიქნენ დიმ. ყიფიანისა და მეორე ამორჩევაში აღარ ამოირჩიეს

ერთი ახალი ხმოსანი უნდა დაეფიცებინათ. სამოქალაქო წესდების ძალით, ფიცი უნდა მომხდარიყო ქალაქის საბჭოს სხდომაში ქალაქის თავის თანადასწრებით. დასაფიცებელი ხმოსანი იყო სომეხი, სომეხთა მღვდელს უნდა დაეფიცებინა. დაიწყო ხმოსანმა ფიცის თქმა სომხურად. დიმიტრი ყიფიანმა, რომლისგანაც მაქვს გაგონილი ეს ამბავი, გააჩერა და უთხრა: — რადგანაც კანონის ძალით მე უნდა დავესწრო თქვენს ფიცის თქმასა და რადგანაც მე სომხური არ მესმისო, ამიტომ გთხოვთ ან რუსულად თქვათ ფიცი, რადგანაც ქალაქის საბჭოში ყველა რუსულ ენას ვხმარობთო, ან ქართულად, რადგანაც ეს ქალაქი საქართველოს დედაქალაქიაო. „ფიქრშიაც არა მქონია, მეწყენინებინა რამე სომეხთათვის, ან იმათი ნაციონალური გრძნობისათვის და კიდევაც მეგონა, რომ სომეხი ყმაწვილი კაცი აასრულებდა ჩემს თხოვნას, რადგანაც მრავალი სომეხი (მაგალითად, გორელები, დუშელები), რიმელთაც სომხური არ იციან, ლოცვას და აღსარებას ქართულად ამბობენო. რომ მცოდნოდა, ამ ჩემი მშვიდობიანი თხოვნიდან რა გამოვიდოდა, ჩემს დღეში არ ვიფიქრებდი და არ მოვთხოვდი ყმაწვილკაცს, ფიცი რუსულად ან ქართულად ეთქვაო" — ამბობდა შემდეგში დიმიტრი ყიფიანი.

---

* განსვენებული ვას. იოსების ძე ბებუთოვი მშვენივრად ლაპარაკობდა ქართულს და მშვენივრად ნერდა ქართულად. იქნება ბევრმა არ იცოდეს, რომ, სხვათა შორის, პოეტი იყო. მე მქონდა ხელში პრინცესა სალომე მიურატისაგან[255] ჩემდა მოცემული ვას. ბებუთოვის შენახული ქართულად მშვენიერი ლექსები: მისალმება სამეგრელოს მთავრის დავითისადმი, ვას. ბებუთოვის საკუთარი ხელით დანერილი. ნ.ყ.

სომეხმა მღვდელმა ძალიან გაცხარებით და ამაღლებული ხმით უპასუხა დიმ. ყიფიანს, რომ ნებას არ მივცემ ამ ყმანვილს, რუსულად ან „თქვენს ქართულს ენაზედ" (На русском или на вашем грузинском языке...) დაიფიცოს და არ დაკანებებ საამთხვეველად არც სახარებას, არც ჯვარსაო. დიმ. ყიფიანმა, -- რომელსაც ამის შემდეგ სულით და ვულით სანანებლად გაუხდა, მაგრამ მაინ მღვდლის გაცხარებულმა პასუხმა აარქარა ესეცა, — უოხრა: „მეც არ მივცემ ნებასა, ფიცი იმ ენაზედ სთქვას, რომელიც მე არ მესმისო (На непонятном мне языке)".

სომეხი მღვდელი ადგა და გავიდა კარში. დასაფიცებელი ყმანვილი კაცი ოან გაჰყვა. წამოდგნენ ხმოსანი სომეხნი, ვინც იყვნენ (ესე იგი, უმეტესი ნაწილი) და ყაყანით გავიდნენ კარში...

ეს დიმ. ყიფიანს საშინლად ეწყინა... მერმე ყოველთვის ამბობდა: „როგორ იფიქრესო, რომ მე იმათი ნაციონალური გრძნობის საწყენი რაიმე მინდოდა მექნა ან მეთქვაო. მე, ქართველსა, ქალაქის თავად თვით სომხების ამორჩეულსა..." მოიხსნა ქალაქის თავის ძენკვი, დასდგა სტოლზედ და გავიდა თითონაც ქალაქის საბჭოდან; იმავე დღეს მოსწერა სამოქალაქო გამგეობას: — სხვადასხვა მიზეზების გამო აღარ შემიძლიან ჩემი თანამდებობის აღსრულებაო. მას აქეთ ქალაქის გამგეობაში აღარ მოსულა და ახალი კენჭისყრა რომ მოხდა, კენჭი ისე უყარეს, რომ არც კი იცოდა. რა თქმა უნდა, რაღას გაათეთრებდნენ შემდგომ იმისა, რაც მოხდა.

თუმცა მარტო იმას უყარეს კენჭი, თუმცა სხვა კანდიდატი ჯერ არავინა ჰყავდათ მხედველობაში, მაგრამ მაინც გააშავეს...[256]

მერე ძალიან გაძნელდა ქალაქის თავის ამორჩევა. მგონია, ორი თუ სამი თვე მოუნდნენ კანდიდატის ძებნასა და ბოლოს, როგორც იყო, ამოირჩიეს ქალაქის თავად მატინოვი.[257]

დიმ. ყიფიანი აპირებდა ამ საგანზედ დაეწერა და საქვეყნოდ გამოეთქვა თავისი აზრები და ხშირად ამბობდა, ისე არაფერი არ მაწუხებს, როგორც ერთი ფიქრი: იქნება მართლა დღესაც ჰგონიათ სომხებსა, რომ მე იმათი ნაციონალური გრძნობის საწყენი რაიმე მინდოდა მეთქვა; იქნება მართლა ფიქრობენ, რომ წინააღმდეგი ვიყო იმ ერისა, რომელმაც, — სხვა არა იყოს რა, — შესძინა საქართველოს სარგის და ზაქარია მხარგრძელნი, ვასილ ბებუთოვი, მოსე არღუთაშვილი,[258] მიხ. ტარ. ლორის-მელიქოვი, იმ ერისა, რომელიც ყოველთვის ქართველთა ღვიძლი ძმა ყოფილაო...

რადგანაც მოულოდნელად მტერმა მოუსპო სიცოცხლე, ამ საგანზედ ვერ მოასწრო დაეწერა, რაც უნდოდა. მე ჩემს მოვალეობად ჩავთვალე, დღეს საქვეყნოდ გამომეთქვა, რაც მამიჩემის პირიდან გაგონილი მქონდა...

ბედნიერი ვიქნები, თუ შვილის მოვალეობა ამით, როგორც შევიძელი, აღვასრულე.

XIII

როდესაც დაეთხოვა ქალაქის თავის თანამდებობას, დაბრუნდა ქვიშხეთში... შეუდგა ისევა, ნამდვილად როგორც ციხეცინატი,[259] მინის მუშაობას, ვენახების გაშენებას და სალიტერატურო შრომას.

მახსოვს, თავისუფალ დროს რა სიამოვნებით კითხულობდა მაშინ ბ-ნ გ.დ. ქართველიშვილისაგან[260] მშვენივრად გამოცემული „ვეფხის ტყაოსანს“...

გავიდა ერთი თუ ორი წელიწადი... გარდაიცვალა ქუთაისში თ-დი ნესტორ წერეთელი.[100] სამი წლის წინად იმერეთის ახალგაზრდობას („ინტელიგენციას“) თავი გადადებული ჰქონდა, ნესტორ წერეთლის მაგივრად ამოერჩიათ მარშლად ნასწავლი და განათლებული კაცი. მარშლად გვინდოდა თ-დი სიმონ წერეთელი,[261] მაგრამ ნესტორ წერეთლის პარტიამ გვაჯობა.

ნესტორ წერეთლის გარდაცვალების შემდგომ დაიბადა იმერეთის თავადაზნაურობაში აზრი დიმიტრი ყიფიანის ამორჩევისა...

ამოირჩიეს ერთხმად...[262]

იმისი მარშლად ამორჩევის რამდენსამე დღის უკან მოხდა დიდი მთავრის, მიხეილ ნიკოლოზის ძის,[191] მობრძანება საქართველოში. დიმიტრი ყიფიანი, ვითარცა ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი, დახვდა დიდ მთავარს ბათუმში და გააცილა ტფილისის გუბერნიის საზღვრამდინ.[263] მერე რა მოხდა და რანაირად, ამის დანვრილებით მოთხრობა ამჟამად შეუძლებელია.

ნიკოლოზ ყიფიანი

დიმიტრი ყიფიანის უკანასკნელი დღენი*

I

მეფის მოადგილედ ნამყოფის მოსვლა ბორჯომში ზაფხულის გასატარებლად. — დიმ. ყიფიანის მიგებება. — როგორ შეხვდნენ ერთმანეთს. — ხაშურამდინ გაცილება. — გზაში. — ქუთაისში მიწვევა. — წარმოთქმული სიტყვანი.

როდესაც იმერეთის თავადაზნაურობამ დიმიტრი ყიფიანი წინამძღოლად ამოირჩია,[262] რამდენიმე დღის უკან ცნობა მოუვიდა, რომ ამა და ამ დღესა მეფის მოადგილედ ნამყოფი დიდი მთავარი

---

* ეს წერილი ჩვენ მივიღეთ ბელგიიდან, დიდებული მოღვაწის შვილიშვილის ბარბარესაგან.[266] იგი ეკუთვნის გამომგზავნელის მამის, განსვენებულ ნიკოლოზ ყიფიანის კალამს. რედ. [გრ. დიასამიძე].[267]

მიხეილ ნიკოლოზის ძე[191] უნდა მოვიდეს ბათუმში და იქიდან ბორჯომისკენ გაემგზავროსო. ახალი მარშალი თავადაზნაურობისა უნდა დახვედროდა დიდს მთავარს, რომელიც 18 წელიწადი ვანაგებდა კავკასიის მბრარეს და დიმ. ყიფიანსაც პირადად იცნობდა[263].

შეიძლება მთავრისა კავკასიის მთავარმართებლად იყო დანიშნული თავ. დონდუკოვ-კორსაკოვი.[264]

დიმ. ყიფიანი, ვითარცა იმერეთის თავადაზნაურობის წინამძღოლი, დიდს მთავარს ბათუმში დახვდა. დიდძალ ხალხს ჰქონდა თავი მოყრილი ბათუმის ნავთსადგურზე. თხუთმეტიოდე სხვადასხვა თანამდებობის პირნი და მათ შორის დიმ. ყიფიანი იყვნენ დამნკრიებულნი გემის ბანზე.

დიდი მთავარი მეგობრულად მიეგება დიმ. ყიფიანსა. ხელი ჩამოართვა და უთხრა: „დიდად მიხარია თქვენი ნახვა, ძვირფასო დიმიტრი ივანეს ძე; მომილოცავს თქვენი წინამძღოლად ამორჩევაო" — მოჰკიდა მხარში ხელი და მიიყვანა თავის მეუღლესთან, დიდს მთავრინა ოლგა თეოდორეს ასულთან,[265] რომელიც ცოტა მოშორებით იჯდა სკამზედ: „აგერ, ჩვენი დიმიტრი ივანეს ძე... ხედავ რა მხნედ და ყოჩაღად არის კიდევა!" დიდმა მთავრინამ ხელი ჩამოართვა და უთხრა: „დიდად მიხარია, რომ ჯანმრთელად გხედავთ ამ ჩვენს საყვარელს ქვეყანაში" და ცოლ-შვილის ამბავი ჰკითხა.

დიმიტრი ყიფიანმა გააცილა დიდი მთავარი ხაშურამდინ. გზაში სუყველა სტანციებში დიდძალი ხალხი იყო თავმოყრილი. სუფსაში[268] გურიის თავადაზნაურობა დახვდა თავისი მაზრის მარშლიანა (თ. პეტრე ნაკაშიძე[269]); რიონის სტანციაში — ქუთაისის მაზრის თავადაზნაურობა და მისი მარშალი (თ. ალმასხან ნიუარაძე[270]); ყვირილას ანუ ზესტაფონს — შორაპნის მაზრის თავადაზნაურობა და მისი მარშალი (თ. ალ. ბაგრატიონი[271]); დიმიტრი ყიფიანმა წარუდგინა დიდს მთავარს თითო-თითო მაზრის თავადაზნაურობა და დიდმა მთავარმა ყოველ მარშალს რამდენიმე სიტყვით მიჰმართა.

ხაშურის ანუ „მიხაილოვოს" სტანციაში დიმიტრი ყიფიანი გამოეთხოვა დიდს მთავარს. ამან ჩამოართვა ხელი, მოუჭირა მაგრად მეგობრულად და უთხრა: „ნახვამდინ, დიმიტრი ივანეს ძე! იმედი მაქვს, ბორჯომში გვნახავთო".

სუყველგან, ესე იგი, იმერეთში, ქართლში და თვით თბილისში დიდი ოვაციებით ეგებებოდა ხალხი და საზოგადოება კავკასიაში მეფის მოადგილედ ნამყოფს. ცხადად სჩანდა, რომ ეს უწინდელი მთავარმართებელი ახლანდელზედ* უკეთესად მიაჩნდა სუყველას და იმის მართებლობა, რაც უნდა იყოს, ანინდელთან შედარებით მჯობი ეჩვენებოდა დიდსა და პატარას.

---

* ეს წერილი დანერილია დონდუკოვ-კორსაკოვის მთავარმართებლობის დროს. რედ.[267]

ეს ოვაციები უწინდელი მოვაკარმართებლისადმი და მეტადრე დიმიტრი ყიფიანის ბათუმში მისვლა და ბათუმიდან ხაშურამდინ დიდი მთავრის გამოცილება, რასაკვირველია, არ მოეწონა „ზოგიერთს" თბილისში.

გავიდა ორიოლე კვირა. დიდი მთავარი ბორჯომში იმყოფებოდა. ქუთაისში დაიბადა აზრი იმისი მიხვევისა. იმერეთის თავადაზნაურობას და ქალაქს ქუთაისს უნდა გაემართა დიდი მთავრისათვის სადილი. გაგზავნილ იქნა ბორჯომში დეპუტაცია დიდი მთავრის მოსანვევად. დიდმა მთავარმა მიიღო წვეულება და რაოდენიმე დღის უკან ნავიდა ქუთაისში.

სადილს დაესწრნენ თავად-აზნაურნი, მოქალაქენი და ამათგან მოწვეულნი სტუმრები (სახელმწიფო სამსახურის პირნი, „ჩინოვნიკობა"). მასპინძლობა გასწია სამეგრელოს მთავრის შვილმა, პრინცესა სალომე მიურატისამ.[271] დიდი მთავარი ძალიან კმაყოფილი და მხიარული იყო. სადილის დროს და სადილს უკან სუყველას თავდაბლად და მეგობრულად ელაპარაკებოდა.

სადილზედ წარმოითქვა ორი სიტყვა ანუ „სპიჩი". ერთი წარმოსთქვა ქუთაისის ქალაქის თავმა, ლუკა ასათიანმა,[272] მეორე — იმერეთის თავადაზნაურობის წინამძღოლმა დიმიტრი ყიფიანმა.

ორივე სიტყვის დედა-აზრი ის იყო, რომ ის დრო, როდესაც დიდი მთავარი ჰმართავდა საქართველოს, დღეს სანატრელად მიგვაჩნიაო და დავნატრით იმ დროსაო...

რა თქმა უნდა, ეს ორი „სპიჩიც" არ ეჭაშნიკა „ზოგიერთს" თბილისში...

2

ქართული ენა სასწავლებლებში. — მცირედი ნაწილი ქართველი ყმაწვილებისა სასწავლებლებში. — ქართველნი სამსახურში. — რუსული ენა ქართულ სასწავლებლებში. — სამეგრელოს სასწავლებლები. — მეგრული ენა. — ერთი „უჩიტელი".

საქართველოს სასწავლებლებში (თბილისის და ქუთაისის გიმნაზიებში, საქალებო სასწავლებლებში, თბილისის სამხედრო სასწავლებელში და სხვ.) ქართულ ენას ან სულ არ ასწავლიან ქართველ ყმაწვილებსაც კი, ან თუ ასწავლიან, ქართული ენა არის „არა სავალდებულო საგანი". ესე იგი, იმისთანა საგნად ითვლება, რომ მოსწავლემ სრულებითაც არ ისწავლოს, უყურადღებოთ დასტოვოს და არაფრად ჩააგდოს, ეს არ დაუშლის კლასიდამ კლასში გადასვლასა.

მეტადრე იმ ხანებში და მას აქეთ ქართული ენა ქართველს ყმაწვილს, გინდა ესწავლა, გინდა არა — სულ ერთი იყო.

ვარდა ამისა, თბილისის გიმნაზიებში, ესე იგი, საქართველოს დედაქალაქის სასწავლებლებში, ასს მოსწავლეთაგანში ათიც არ იყო ქართველი (არ იყო-მეთქი, ვამბობ, რადგანაც ახლა რანაირად არის, არ ვიცი, რადგანაც მრავალი წელიწადია, რაც მოშორებული ვარ საქართველოს[273]): რა იყო ამ ქართველ მოსწავლეთა მცირედი რიცხვის მიზეზი? ის იყო, რომ ქართველს ბავშვს შვიდი-რვა წლისას და რუსს ბავშვსა იმავე ხნისას გიმნაზიაში შესასვლელი ეგზამენის დროს რუსული წერა-კითხვის და გამოთქმის ცოდნა ერთნაირად მოეოსოვებოდათ. რასაკვირველია, შვიდი და რვა წლის ბავშვებში რუსულს წერა-კითხვაში და გამოთქმაში რუსი ბავშვი ყოველთვის აჯობებდა ქართველ ბავშვსა. რა თქმა უნდა, ათს ქართველში ცხრა ჩაიჭრებოდა „უაღრესი საგნის", ესე იგი, რუსული ენის ეგზამენის დროს და შინ უნდა დაბრუნებულიყო; ათს რუსში ცხრა გაიმარჯვებდა რუსული ენის ეგზამენში... ამიტომ საქართველოს დედაქალაქის სასწავლებლებში რუსი ყმაწვილი მეტი შედიოდა, ვიდრე ქართველი და ასს მოსწავლეში სამოცზედ მეტი რუსი იყო, ათიოდე ქართველი და ოცდაათამდინ სომეხი და სხვა ტომი...

ეს ყოველისფერი დიდად აწუხებდა დიმიტრი ყიფიანსა. გული სტკიოდა, რომ ესმოდა, რამდენი ასი და ათასი ყმაწვილი, სწავლის მწყურვალე, ბრუნდებოდა შინა ყოველს წელიწადს, ნამარიობევს, სასწავლებელში მიღების ნაუარევი.

სახელმწიფო სამსახურში ქართველებს წარმატება აღარ მიეცემაო — ამისთანა ხმა გამოვიდა იმ ხანებში და, სხვათა შორის, ერთს ახირებულს და სასაცილო ანეგდოტს უამბობდნენ იმ ხანებში ერთმანეთს: ერთი „ჩინოვნიკისათვის", რომლის გვარი იტალიური იყო და ამიტომ იტალიელი ეგონათ, გურული კი იყო (ღლონტი[274]), წარმატება მიეცათ მხოლოდ იმიტომ, რომ არ სცოდნოდათ, რომ „ტუზემეცია" და მერმე რომ შეეტყოთ, რომ ქართველია, პირდაპირ ეთქვათ იმისათვის: რომ გვცოდნოდა ქართველი ხარ, არ წაგწევდით წინაო. იქნება ეს ამბავი არ იყოს მართალი, არ ვიცი. მაგრამ ის კი ვიცი, რომ ხმა — ქართველებს წარმატება აღარ მიეცემათ სამსახურშიო — ნამდვილად დადიოდა საქართველოში და მაგალითებიც მოჰყავდათ...

ეს ხმა ესმოდა დიმიტრი ყიფიანს და დიდად სანყენად მიაჩნდა. ჩვენი „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა" და ჩვენი ბანკების დაარსებულ სასწავლებლებშიაც კი დაიწყო იმ დროს სასწავლებლების დირექციამ მოთხოვნა, რომ სუყველა საგნები ბავშვებს რუსულად ესწავლათ და ამაზედ დიდი მიწერ-მოწერა იყო.

სასწავლებლებში პირველ-დაწყებითს კლასში სუყველგან სამშობლო ენა უნდა ესწავლებინათ ბავშვებისათვის, ეს მაინც, — მადლობა ღმერთს, — ესმოდა სასწავლებლის დირექციასა, რადგანაც პედაგოგიის მოთხოვნილება იყო. ამიტომ სამეგრელოში უნდა

ესწავლებინათ პირველ-დაწყებითს კლასში ბავშვებისათვის სამშობლო ენა, მაგრამ რომელი ენა უნდა ჩავთვალოთ მეგრელთათვის სამშობლო ენათად, იფიქრეს დირექციის „ჩინოვნიკებმა": ქართული თუ მეგრულიო? თუმცა თითონ მეგრელთა აზრით, მეგრული იგივე ქართული ენაა, მხოლოდ გადასხვაფერებული და დამახინჯებული,* „ჩინოვნიკებმა" გადასწყვიტეს, რომ ქართული ენის სწავლება არ იყო საჭირო მეგრელთა ბავშვებისათვის და პირველ-დაწყებითს კლასში უნდა ესწავლებინათ იმათთვის მეგრული ენა. მაგრამ მეგრული ენა ქართული ასოების საშუალებით რომ ვასწავლოთ ბავშვებსაო, — იფიქრეს „ჩინოვნიკებმა". — გაშოვა, რომ ქართულს წერა-კითხვას ვასწავლითო, რადგანაც მეგრელ ბავშვს თუ ეცოდინება, რანაირად უნდა დასწეროს, მაგალითად, მეგრული სიტყვა: „ჩქიმი", „სკანი", „მუმა", „სკუა", „ჯგირი", „გომორძგობა",** — ამითი ქართული სიტყვების დაწერასაც ისწავლისო. აქეტომ უნდა ან მოენახათ, თუკი სუფევდა საღმე, ან გამოეგონათ მეგრული ასოები, მეგრული ალფაბეტი და ისიც იმისთანა, რომ ქართულს ანბანს არაფც და არაფც არ გვანებოდა. სად ჯანდაბაში იპოვნიდნენ ამისთანა ანბანსა? გამოსძებნეს ვილაცა „უჩიტელი"[275] მეგრელი და შეადგენინეს იმ შერცხვენილსა მეგრული ასოები, მეგრული ალფაბეტი. იხეირა თუ არა მერმე ამ ახალი ფარნავაზის,[276] ამ ახალი მესროფის[277] და კირილე-მეთოდეს[278] გამოგონილმა ასოებმა, არ ვიცი... ის კი ვიცი, რომ თვით მეგრელთა მეტად საწყენად დაურჩათ ეს საქმე და იმ ალფაბეტის შემდგენს იხსენიებდნენ, როგორც ეკადრებოდა: შეარცხვინა ღმერთმაო!..

ეს ამბავი რომ ესმოდა დიმიტრი ყიფიანსა, დიდად სწუხდა სულითა და გულით.

3

ტფილისის სემინარიის რექტორის მკვლელობა. — ეგ ზარხოს პავლეს სიტყვა ჩუდეცკის დამარხვაზედ. — წერილი დიმიტრი ყიფიანისა ეგ ზარხოსისადმი. — მცხეთის სობოროს ეპი ზოდი. — დიმიტრი ყიფიანის ბორჯომში მისვლა. — მუსაიფი იმისი მიხეილ ნიკოლოზის ძესთან. — „შეატყობინეთ ყველასო".

1886 წელსა, — როგორც მახსოვს, ზაფხულში, — ერთი ამბავი მოხდა: თბილისის სასულიერო სემინარიაში ერთმა თექვსმეტი თუ

---

* ეს აზრი გამიგონია მრავალ მეგრელისაგან და, სხვათა შორის, იმისთანა ნასწავლი და განათლებული პირისაგან, როგორიც თ. ნიკო დადიანი (მგონია, ნიკო ტარიელის ძე)[279]. ნ.ყ.

** ჩქიმი — ჩემი, სკანი — შენი, მუმა — მამა, სკუა — შვილი, ჯგირი — კარგი, გომორძგობა — გამარჯობა. შემდგ.

ჩვიდმეტი წლის მოწაფემ, სამართლიანად თუ უსამართლოდ სასწავლებლიდამ გამორიცხულმა, ჯავრის ამოსაყრელად სემინარიის რექტორი, გვარად ჩუდეცკი,[280] მოჰკლა ხანჯლითა. ეს ყმაწვილი სამართალში მისცეს და სამართალმა, მგონია, ორი თუ სამი წელიწადი ციხეში დატუსაღება გადაუწყვიტა.[281]

ამ საქმეს არაფერი განსაკუთრებული მნიშვნელობა არა ჰქონდა. რაიმე პოლიტიკური ან ნაციონალური, ან სოციალური მნიშვნელობა რომ ჰქონოდა, უბედურს ყმაწვილს სამხედრო სამართალში („პოლევოი სუდში") მისცემდნენ და სამხედრო სამართალი დახვრეტას ან ჩამოხრჩობას გადაუწყვეტდა.[282] ამ საქმეს სრულებით ჩვეულებრივი მნიშვნელობა ჰქონდა, ფრანგულად რომ იტყვიან — ორდინარული საქმე იყო.* ჩუდეცკის დამარხვაზედ იმ დროს ეგზარხოსად მყოფს პავლეს[283] წარმოეთქვა სიტყვა. რა ეთქვა და რანაირად ელაპარაკნა, ნამდვილად არ ვიცი, რადგანაც არ დავსწრებივარ და არც დიმიტრი ყიფიანმა იცოდა, რადგანაც არც იგი დასწრებოდა.

ეგზარხოსის სიტყვა დაბეჭდილი იყო გაზეთს „კავკაზში"[284]. მაგრამ ხმა გამოვიდა, რომ ერთი ალაგი იმისი სიტყვისა დაბეჭდილში გამოეტოვებინათ. ხმა გავარდა, რომ მსმენელნი განცვიფრებულნი იყვნენ ეგზარხოსის ლაპარაკითა. ამბობდნენ, ვითომც ეთქვას: „დაიწყეველოს სამუდამოთ შენი მკვლელიცა და ის ოჯახიცა, რომელმაც შობა იგიო, დაიწყეველოს ის ნრე და ის ერიო, რომელმაც დაბადა და ის ქვეყანა, რომელმაც გამოზარდა შენი მკვლელიო..."

დასაჯერებელი არ იყო, მაგრამ ამტკიცებდნენ, რომ ნამდვილად ეს სიტყვები გამოსთქვაო და კიდევაც ასახელებდნენ იმ პირთა, რომელთაც ვითომც თავისი საკუთარი ყურით გაეგონათ ეს სიტყვები...

დიმიტრი ყიფიანი განცვიფრებული იყო; არ სჯეროდა და არა სწამდა, რომ მართლა ეს სიტყვები წარმოეთქვას ეგზარხოსსა...

მისწერა წერილი, მისწერა სწორედ ამნაირად: ასე და ასე ამბობენ, არა მჯერაო, რადგანაც დასაჯერებელი არ არისო და ვითხოვ მოწინებით, დამიმშვიდო გული და მიბრძანო, რომ ტყუილია, რასაც ამბობენო.[285]

---

* სამართალმა ორი თუ სამი ნელიწადი ციხეში დაჭერა გადაუწყვიტა ამ ყმაწვილსა, ლაღიამვილს — ეს ნამდვილად მახსოვს. მხოლოთ, როდესაც გაათავა ვადა ციხეში დატყვევებისა, მგონია, რომ „ადმინისტრატიული წესით" ციმბირში გაგზავნეს და ციმბირიდამ რამდენსამე ნელიწადს უკან სადღაც ამერიკაში გაქცევა მოახერხა. ნ.ყ.

ეს შეცდომაა. რამდენადაც გვახსოვს, მას გადაუწყვიტეს 20 წლის კატორგა. რედ.[287]

ეგზარხოსმა ამის პასუხად მოსწერა დიმიტრი ყიფიანსა სწორედ აქსაირად: ჩუდეეკის დასაფლავებაზედ ჩემი ნარმოთქმული სიტყვა, როგორც მითხრეს, გაზეთს „კავკაზში" არის დაბეჭდილიო.[286]

შემდეგომ ამისა, მცხეთის წმინდა სობოროში[287] მოხდა ერთი ამბავი. ერთს დიდი ოჯახის (მგონია, ორბელიანთა გვარის) ქალს მიასვენებდნენ.* დიდძალი ხალხი იყო სობოროში. როდესაც ეგზარხოსი პავლე გამოვიდა სიტყვისა ანუ ქადაგების ნარმოსათქმელად, ქართველობა რაც იყო სობოროში, თურმე ერთბაშად სულ ერთიანად გავიდა კარში: დარჩა თურმე ეგზარხოსი მარტოოთმარტო სამიოდე მბლებელთ ამარა...

მოუხდა დიმიტრი ყიფიანს შემდგომ ამისა ბორჯომში მისვლა დიდი მთავრის სანახავად.[288] დიდმა მთავარმა და იმისმა მეუღლემ მიიღეს მეგობრულად, მიიწვიეს სუფრაზედ. ჩამოვარდა ლაპარაკი ახლანდელს კავკასიის მდგომარეობაზედ. დიმიტრი ყიფიანს ყოველთვის პირდაპირ სიმართლის ლაპარაკი უყვარდა.

— აწინდელ მდგომარეობასთან შედარებით ის დრო, როდესაც თქვენი მეუღლე მართავდა საქართველოსა, სანატრელად მიგვაჩნიაო, — მოახსენა დიმიტრი ყიფიანმა დიდს მთავრინას.

— როგორ? რა განსხვავებასა ხედავთო? — ჰკითხა დიდმა მთავარმა.

— დღეს ჩვენს სამშობლო ენას არაფრად აგდებენ სასწავლებლებში, ჩვენს შვილებს აღარ ასწავლიან ქართულ ენასა, ყველგან სთესენ რაღაც განსხვავებას რუსთა და ქართველთა შორისო...

— შეატყობინეთ ჩემ მაგივრად თქვენს თავადაზნაურობას და ყველასო, რომ ხელმწიფე იმპერატორს არავითარი განსხვავება არ სურს, რომ სუფევდეს რუსთა და ქართველთა შორის და ქართველებს იმავე თვალით გიყურებსთ, რა თვალითაც რუსებსაო. შეატყობინეთ ეს ჩემი სიტყვა ყველასაო...

როდესაც დაბრუნდა ქუთაისში, დიდი მთავრის ბრძანების აღსასრულებლად („შეატყობინეთ ყველასაო"), დიმიტრი ყიფიანმა დასწერა თავისი და დიდი მთავრის ნალაპარაკევი, გადაანერინა ერთი ორასიოდე ეგზემპლიარი და დაურიგა თავად-აზნაურებს, ვითარცა თავადაზნაურობის წინამძღოლმა (გუბერნიის მარშალმა).[289]

4

ერთი კაცის სურათი. — ჯავრის ამოყრა. — დიმ. ყიფიანის ქ. სტავროპოლში გამგზავრება. — ჩვენი იმედები. — დიმ. ყიფიანის

* ესეც შეცდომაა. ასაფლავებდნენ თავ. ივანე მუხრან-ბატონის მეუღლეს ნინოს.[290] რედ.[267]

მეუღლისა და ქალიშვილის ბორჯომში მისვლა. სალომე, პრინცესა მიურატისა. — პეტერბურგიდამ ნაკითხი და თბილისიდან ნაპასუხევი. — 25 ოქტომბერი 1887 წ.

იყო: მაშინ ჩვენში ერთი კაცი განსაკუთრებით შესანიშნავი.[291] ჩვენში დიდი „ბობოლა" იყო ეს კაცი.

სანამ ჩვენში ცხოვრობდანდებოდა, სხვაგან, ერთს პატარა ქვეყანაში იყო აგრეთვე დიდ „ბობოლად" და, წარმოიდგინეთ, კონსტიტუცია უნდა შეედგინა იმ პატარა ქვეყნისათვის.[292] შაგრამ იქაურებმა მალე იცნეს, სასაცილოდ აიგდეს. მთელი ევროპის მასხარად ეფიქმნა. ასე რომ, რუსეთშიაც კი დასცინოდნენ. უკვდავმა რუსეთის სატირიკოსმა შჩედრინმა-სალტიკოვმა[293] დასწერა კიდეკაც იმაზედ ერთი სასაცილო და სამასხრო (იუმორისტული) ამბავი: თუ როგორ მართავდა დათვებთან ერთი „ჩინოვნიკი" კონსტიტუციასა. სიცილით მოკვდება კაცი იმ ამბის კითხვითა.

თავისი თავი დიდად მიაჩნდა ამ ცუღლუტსა და ტრიბახა კაცსა.

რომ დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს ოვაციით დაუხვდა თავადაზნაურობა და ხალხი ბათუმში და გზაში რომ დიმიტრი ყიფიანი, — „ქუთაისის გუბერნიის მარშალი", ქუთაისის გუბერნიის „გარეთ", ესე იგი ბათუმში, „რომელიც მის სამარშლოს არ ეკუთვნოდა",[294] — მიეგება დიდს მთავარს, რომ იმერეთის თავადაზნაურობამ და ქუთაისის ქალაქმა მოიწვიეს დიდი მთავარი ქუთაისში და რომ დიმ. ყიფიანმა სადილზედ წარმოთქვა სიტყვა დიდი მთავრისადმი პატივისცემის გამოსათქმელად — ეს ყოველისფერი არ მოეწონა იმ დიდ-ბობოლას...

რიდესაც შეიტყო, რომ დიმიტრი ყიფიანი ბორჯომში ეწვია დიდს მთავარს და, რაც გულის სატკივარი ჰქონდა, პირდაპირ გამოსთქვა დიდ მთავართან მუსაიფში, იმ დიდმა ბობოლამ ჯავრის ამოყრა მოიწადინა.

ეს დიდ მთავართან საუბარი, ამ საუბრის დაწერა და გავრცელება, ეგზარხოსთან მიწერილი წიგნი, გამოიყვანა როგორც „აგიტაცია" თავადაზნაურობის წინამძღოლისა მთავრობის წინააღმდეგ...

პეტერბურგიდამ ბრძანება მოვიდა. დიმიტრი ყიფიანი გადაყენებულ იქნა წინამძღოლობიდან და ქ. სტავროპოლი დაენიშნა საცხოვრებლად — ჩვენში მყოფი დიდ-ბობოლას თხოვნით.[295]

ნავიდა სამოცდათორმეტი წლის მოხუცი სტავროპოლში[296] (1886 წ. ოქტომბერში), მოშორდა თავისს ცოლ-შვილს, თავისს ოჯახს, თავის ძვირფასს ქვიშხეთს და დადგა სტავროპოლში. ჩვენ იმედი გვქონდა, სტავროპოლში დარჩებოდა ბევრი-ბევრი ერთი ორიოდ-სამიოდე თვე, რომ შინ დაბრუნების ნება მალე მიეცემოდა.

იმედს გვაძლევდნენ, რომ არ გაგრძელდებოდა იმისი სტავროპოლში დარჩენა, როგორც არ გაგრძელდა სტავროპოლშივე ყოფნა, მაგალითად ნიკო ნიკოლაძისა...[297]

თავიდანვე რომ ეს იმედი არ მოეცათ ჩვენთვის, დარწმუნებულნი რომ არ ვყოფილიყავით, რომ აგერ მიეცემა ნება შინ დაბრუნებისა, როგორც დიდი მთავარი უთელიდა ქვიშხეთში დიმ. ყიფიანის მეუღლეს,* რომ გვცოდნოდა, რომ მთელი ორმეტი თვე გაგრძელდებოდა იმისი სტავროპოლში დარჩენა, გაბა დავტოვებდით მარტოკა, გაბა ერთ-ერთი ჩვენთაგანი ვინმე არ წავიდოდით სტავროპოლში და არ დავრჩებოდით იმასთან, სანამ იმასთან ერთადვე მოგვიხდებოდა შინ დაბრუნება. ზაფხულში განსვენებულმა ჩემმა დამ, ელენემ,[247] კიდეკაც გადასწყვიტა სტავროპოლში წასვლა და მამასთან დარჩენა, მაგრამ თითონ მამაჩემმა მოსწერა: არაო, ნუ მოხვალ, მალე მე თვითონ მოვალ თქვენთანაო. შემდგომ ამისა, კიდევ ორი თვე რომ გავიდა, მარიამობისთვეში მე მივსწერე — მოვდივარ შენთანაო. — მე ვთქვი: არა! მარწმუნებენ (გუბერნატორი[298] და სხვ.), რომ მე თვითონ მომიხდება მალე თქვენთან დაბრუნება, შენს საქმეებს ნუ მოსცდები, მოთმინება იქონიეთ კიდევ ცოტაო...

ვინ იფიქრებდა, რომ დაემართებოდა რამე, როდესაც თვითონ იწერებოდა, რომ კარგი მეგობრები ჰყავდა სტავროპოლში (სალმინის[299] ოჯახი, ალ.[300] და ნიკ. ტარსაიძენი,[301] ზისსერმანის[302] ოჯახი და სხვ.), ვინ იფიქრებდა რასმე, როდესაც თვითონ ყოველთვის მხნედ და მხიარულად გვწერდა — კარგად ვარ და ნურას სწუხხართო.

რაიმე საფიქრებელი რომ გვქონოდა, რაიმე ეჭვი რომ გვქონოდა, რომ მოსისხლე მტერი ისრე გამოიმეტებდა ჩვენს სამოცდაცამეტი წლის მოხუცს,[21] განა დავტოვებდით? ან ერთ-ერთი მივიდოდით და დავრჩებოდით იმასთანა, ან ჯერ ერთი, მერე მეორე, მერე მესამე ვიქნებოდით მოუშორებლად იმასთანა.

მე მყვანდა ერთი მოსამსახურე, ჩემიცა და ჩემიანებისაც ძალიან ერთგული, ჩემს ხელში გაზრდილი: უტუ აფშილავა.[303] ათი თუ თერთმეტი წლისა იყო, რომ დადგა ჩემთან მსახურად და, სანამ მე საზღვარს გარეთ წასვლა მომიხდა, სულ ჩემთან იყო მოუცილებლად. მაშინ ოცდახუთი წლისა იქნებოდა. ასრე რომ, თითქმის თხუთმეტი წელიწადი იყო ჩემთან ეს ჩემი უტუია.

როდესაც მამაჩემი სტავროპოლში მიდიოდა, ვსთხოვე, ეს ჩემი უტუა თან წაეყვანა. უტუ მზად იყო, გაჰყოლოდა მამაჩემს, როგორც მერმე მე გამყვა სტავროპოლში. მამაჩემმა არ ინება, თუმცა

* და როგორც სტავროპოლის გუბერნატორი ეუბნებოდა თვითონ დიმიტრი ყიფიანს. ნ.ყ.

მეცა და ჩემი დაც ელენე — ბევრი ვეხვეწეთ, თან წაეყვანა ჩემი უტუ.

ეს ჩვენი ერთგული უტუ აფშილავა მაინც რომ გაჰყოლოდა მამაჩემს სტავროპოლში, არ დაგვემართებოდა უბედურება და დღესაც ცოცხალი გვეყოლებოდა ჩვენი ძვირფასი და თაყვანსაცემი მოხუცი, რადგანაც შვიდმა ექიმმა, როდესაც გასინჯეს, ერთხმად გამოაცხადეს — იმისთანა აგებულებისა არისო, რომ კიდევ შეეძლო ეცოცხლა დიდხანსაო.

რადგანაც გვარწმუნებდნენ, რომ დღე-დღეზედ უნდა მოსულიყო პეტერბურღიდამ ნებართვა იმისი შინ დაბრუნებისა, არც ჩვენ მივედით სტავროპოლში და არც ვინმე ერთგული მსახური ვაახელით...

რა რომ მეტისმეტად გავრძელდა მამიჩემის სტავროპოლში ყოფნა, ზაფხულში (1887 წელსა, ნამარიობევს) დედაჩემმა და ჩემმა დამ ელენემ მიჰმართეს კიდევ დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს და მისს მეუღლესა. ამათ კარგადაც მიიღეს ბორჯომში დედა და შვილი. დიდმა მთავრინამ კიდევაც იტირა, რომ უყურა ამ ორი უბედური ქალის (დედაჩემის და ჩემი დის) ტირილსა და დიდმა მთავარმა ასე უთხრა: „გპირდებით, რომ მალე დაგიბრუნდებათ თქვენი ძვირფასი მოხუციო (votre cher vieillard)".

შემდგომ ამისა, სამეგრელოს მთავრის შვილსა, პრინცესა სალომეს, მოუხდა მისვლა ბორჯომში და ესეც ეეედრა დიდს მთავარს, დიმიტრი ყიფიანის დაბრუნებისათვის ემეცადინა. დიდი მთავარი დაჰპირდა პრინცესა სალომესაც: „On soignera cette affaire" (მაგ საქმეს ვეცდებითო) და კიდევაც ეცადა თურმე:[304] შემოდგომა რომ დადგა (ენკენისთვეში), მოვიდა თბილისში კითხვა პეტერბურღიდამ, თუ შესაძლოთ ჰპოვებდა ადგილობრივი მთავრობა დიმიტრი ყიფიანის შინ დაბრუნებასა.

თბილისიდამ მიეწარა იმ დიდ ბობოლას, რომ „ვინაიდგანაც ახლა კავკასიის მხარეში კაცების ჯარში გაყვანა მზადდებაო, ვპოვებ, რომ დიმიტრი ყიფიანის შინ დაბრუნება დაბრკოლებას მოგვცემსო და სანამ კაცების ჯარში გაყვანა არ გათავდება, სჯობს, სტავროპოლში დარჩესო..."[305]

ეს ახირებული პასუხი პეტერბურღში, რასაკვირველია, უსაფუძვლოდ უნდა ჩაეთვალათ სუყველას, ვინც კი ცოტათი მაინც იცნობდა დიმიტრი ყიფიანსა, ესე იგი, თვითონ დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს და სახელმწიფო დიდი რჩევის წევრთა: სტარიცკის,[306] ბეზაკს,[307] ბარონ ნიკოლაის[108] და სხვ.

გადაწყდა პეტერბურღში ნების მიცემა დიმიტრი ყიფიანისათვის შინ დაბრუნებისა.

როდესაც მოვიდა ეს ამბავი თბილისში, დიმიტრი ყიფიანი აღარ იყო: წინა დღით უცნობის უღმერთო ხელმა მოუსპო სიცოც-

ხლე ამ უკეთესთაგანს ქართველსა და უკეთესთაგანს მოხუცსა ოცდახუთ ოქტომბერს, შაბათს ღამე, კვირა რომ თენდებოდა...

ვახტანგ ოულაშვილი[172]

შენიშვნა

(ბ-ნ ნ.დ. ყიფიანის წერილის გამო — „დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება")

„მოამბის"[300] მეოთხე ნომერში დაბეჭდილია ბ-ნ ნ.ყიფიანის წერილი „დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება". რადგანაც ამ წერილის ავტორი არის დიმიტრი ყიფიანის შვილი, ამიტომ ბევრი საინტერესო რამ არის ხსენებულს წერილში ამ გამოჩენილ და განთქმულ კაცის ცხოვრების შესახებ იმ დროს, როცა ეს მოღვაწე ჯერ საზოგადო ასპარეზზედ არ გამოსულიყო და რის ცოდნაც, რასაკვირველია, გარეშე კაცისთვის ძნელი იყო. გარნა ამ წერილში ზოგიერთი შეცდომილებაც არის, რის გასწორება, ჩემის აზრით, საჭიროდ მიმაჩნია. ეს შეცდომილება მოსვლია ავტორს დ. ყიფიანის იმდროინდელ მოღვაწეობის შესახებ, როდესაც ცოტაოდენად წინ ნაწევის ნიშნები, სნავლა-განათლებისათვის ზრუნვა და სხვა ამისთანა კეთილი სურვილი აღიძრა ჩვენს საზოგადოებაში. ამიტომ, ვგონებ, საჭიროა ვიცოდეთ, როგორ იყო ნამდვილად საქმე: ვინ იცის, იქნება ჩვენის ქვეყნის ისტორიკოსმა როდისმე გამოიყენოს ეს მაშინდელ გარემოებათა დანამდვილებული ცოდნა.

ცხადია, რომ შეცდომილება ავტორს განზრახვით არ მოუვიდოდა. მიზეზი ის უნდა იყოს, რომ, როგორც მახსოვს, იმ ხანად იგი ტფილისში არა ცხოვრობდა.[309] იქ, საცა ავტორი მოგვითხრობს გაკვრით გლეხთა განთავისუფლების ამბავს საქართველოში, იხსენიებს, სხვათა შორის, რომ კომიტეტი[310] იქმნა ამორჩეული თავადაზნაურთაგან გლეხთა განთავისუფლების პროექტის შესადგენად და რომ იმ კომიტეტში, სხვათა შორის, ვითომც მეც ვიყავი წევრად. საჭიროდ მიმაჩნია, გავასწორო ეს შეცდომილება და მოვახსენო ავტორს, რომ მე, არამც თუ ამ კომიტეტის წევრად არა ვყოფილვარ, არამედ საქართველოს გლეხების განთავისუფლების საქმეში არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია.

მეორე ალაგას ავტორი იხსენიებს, რომ ბანკის წესდების შესადგენად გაემგზავრა დიმიტრი ყიფიანი პეტერბურგს და მიჰმართა გამოჩენილს რუსეთის ფინანსისტს იური ჟუკოვსკის,[196] რომელმაც შეადგინა პროექტი წესდებისა და ის პროექტი მოიტანა იქიდან დიმიტრიმაო. აქ ცოტა რამ უნდა დავუმატოთ.

როდესაც დიმ. ყიფიანმა დააპირა, ეუწყებინა ჩვენის საზოგადოებისათვის ჟუკოვსკის პროექტი, მოინვია კრება ტფილისის კლუბის[311] დარბაზში. დიდძალი ხალხი დაესწრო ამ კრებას. მთა-

ვარსამმართველოს უფროსი (Начальник главного управления) ბარონი ა.ბ. ნიკოლაიც[198] კი იყო ამ კრებაზედ და დიდის ყურადღებით ისმენდა, როდესაც დ. ყიფიანი კითხულობდა განმარტების წერილს ბანკის დაარსების თაობაზედ.

განმარტების წერილის წაკითხვის შემდეგ საზოგადოებამ, დ. ყიფიანის წინადადებით, კომიტეტი აირჩია;[312] კომიტეტში მოჰყვნენ წევრებად, როგორც მახსოვს, ხუთ-ხუთი კაცი თვითეულ მაზრიდან. ამ კომიტეტს უნდა გაესინჯა ჟუკოვსკის შედგენილი პროექტი ბანკისა და ისე შეეცვალა, როგორც უფრო საჭირო იქნებოდა ჩვენის ქვეყნისათვის. ამ კომიტეტში ამორჩეულთა შორის მეც მოვყევი, როგორც ერთ-ერთი წარმომადგენელი ტფილისის მაზრის თავადაზნაურობისა. ალბათ, ბ-ნ ნ. ყიფიანს ან ეს გარემოება დაავიწყდა, ანდა ეს კომიტეტი მიიჩნია იმ კომიტეტად, რომელიც იქმნა არჩეული გლეხთა ვანთავისუფლების პროექტის შესადგენად.

დიმ. ყიფიანი ბანკის კომიტეტის თავმჯდომარეც იყო, მდივანიც, მომხსენებელიც (Докладчик).[199] ამ კომიტეტის წევრები იკრიბებოდნენ დ. ყიფიანის სახლში.

ავტორი თავის წერილში ამბობს: „სხვათა შორის, უნდა ყოფილიყო ბანკის საფუძვლად გაუყიდველობა, ანუ უკეთ ვსთქვათ, პატრონთათვის წაურთმევლობა დაგირავებულ მამულებისა და სხვ.“.

ამასაც უნდა დავუმატოთ ის მთავარი აზრი, რომელიც ზემოთ გაკვრით მოვიხსენიეთ. პროექტში ის წესიც იყო, რომ ჩვენს ბანკს უნდა მიეღო თვისთა წევრთაგან გასაყიდად მათი ნაწარმოები, ესე იგი: პური, ქერი, სიმინდი, ხილი, ღვინო, ხე-ტყე, შეშა და სხვ. როგორც მახსოვს, ბანკს თავის წევრთათვის, ვინც კი თავიანთ ნაწარმოებს გამოჰგზავნიდა ბანკში გასაყიდად, უნდა წინდაწინ მიეცა რამდენიმე ნაწილი ფასისა, რომ მებატონეს ხელი მოენაცვლა, თავისი საჭიროება დაეკმაყოფილებინა და, ცოტაოდნადაც არის, ორფეხა წურბელებს გადაჰრჩენოდა...

კომიტეტის წევრთა უმეტესობამ ეს ჟუკოვსკის აზრი ძალიან მოიწონა და დიდის კმაყოფილებით დასთანხმდა, რომ ბანკის წესდების პროექტს ჩაჰრთვოდა. ზოგიერთს კი ამ აზრის აღსრულება შეუძლებელ საქმედ მიაჩნდა. იმათი აზრი ის იყო, რომ ეგ ბანკის საქმე არ არისო, ბანკს არ შეუძლიან გაუძღვეს მაგისთანა საქმესაო: პური, ქერი, სიმინდი და სხვა ამისთანა ხორაგს თაგვი შესჭამსო, ხილი დალპებაო, ღვინო დაჭანგდებაო და დაძმარდებაო, ბოლოს ის გამოვა, რომ ბანკი იზარალებსო და თვითონ მამულის პატრონები დაილუპებიანო.

დიმიტრი ყიფიანი ძალიან მტკიცედ იდგა იმ აზრზე, რომ ჩვენის ბანკის წესდებაში უნდა ყოფილიყო ჩართული ზემოხსენებული

დედაეშრი. კომიტეტის კრებაზედ ძალიან გულმბურვალედ ესარ-ჩლებოდა დიმიტრი ამ აზრსა.

კომიტეტმაც პროექტი შეადგინა ამ მთავარის აზრითა. დიმ. ყიფიანი ამ პროექტით გაემგზავრა პეტერბურგს, მაგრამ იქ ეს პროექტი არ დაამტკიცეს იმ საბუთით, რომ წესდებაში შეკავშირებულია ორგვარი საქმე: ხანგრძლივისა და ხანმოკლე სესხის გაცემა საბანკირო ოპერაციებთან არის დაკავშირებულიო (Соединение долгосрочного и краткосрочного кредита с банкирскими операциями); მაგრამ დღეს ვხედავთ, რომ თითონ მთავრობამ გვიჩვენა იმისი მაგალითი, თუ რაოდენ შესაძლებელი და შესაკავშირებელი ყოფილა თითქმის ყოველივე ის, რაც ამ პროექტში იყო მოხსენებული.

იმ ხანებში, ესე იგი 1870 წ., — განსვენებულმა იმპერატორმა ალექსანდრე II[218] დააპირა საქართველოში მობრძანება. თუმცა დიმ. ყიფიანი ექვსი წელიწადი გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშლად იყო[62] და თავადაზნაურობამ კარგად დაინახა, რაოდენი სიკეთე დასთესა იმან ჩვენს საზოგადოებაში, რა წესი და რიგი დაამყარა, მაგრამ მაინც იმის ადრინდელნი ნინააღმდეგნი ვერ შეურიგდნენ იმ აზრსა, რომ ჩვენის თავადაზნაურობის წინამძღოლი ყოფილიყო დ. ყიფიანი, აბაშიძეების ნაზნაურშვილევიო. ამათ ავიწყდებოდათ ის, რომ ადრეც და ბოლოს დროსაც, ჩვენ წინამძღვრებად იყვნენ თითქმის საქართველოს პირველის გვარის-შვილები,[313] მაგრამ გაკეთებითა და გარიგებით კი არა გაგვიკეთ-გაგვირიგეს-რა...

ხშირად ასმენდნენ დ. ყიფიანს, რომ, რადგანაც ხელმწიფე-იმპერატორი უნდა მობრძანდეს საქართველოში, ამიტომ საჭირო არის თავადაზნაურობის წინამძღოლი საქართველოს განთქმულ გვარისა იყოსო, იქნება ხელმწიფემ მოწყალება რამ მოიღოს ჩვენთვისაო. ამიტომაც, როდესაც 1870 წ. მაისში დაიწყო თავად-აზნაურთა კრება მარშლების ამოსარჩევად, დ. ყიფიანს, თუმცა უმეტესი ნაწილი კრებისა სთხოვდა, კიდევ დარჩით მარშლადაო, მაგრამ მან უარი სთქვა და ვერაფრით ვეღარ შევარყიეთ იმისი გადაწყვეტილება.

დიმიტრი ყიფიანი ამ საქმეში თავს ასე იმართლებდა: ყველანი დარწმუნებულნი არიან, რომ ხელმწიფე-იმპერატორი მოწყალებას რასმე უბოძებს საქართველოსაო, და თუ ვინიცობაა, ეს იმედი არ გამართლდა, საზოგადოება მე დამაბრალებს, შენ რომ არა ყოფილიყავი მარშლად, იქნება ასე არ დაგვმართნოდაო. ან ვინ იცის, იქნება მართლა ჩემი მარშლობა შეიქმნას მიზეზი იმისა, თუ ვინიცობაა, ხელმწიფემ არავითარის მოწყალების მოცემა არ ისურვა და გამოვალ დამნაშავე საზოგადოების წინაშეო.

თუმცა დიმ. ყიფიანის შემდეგ თავადაზნაურობამ გენერალ-ადიუტანტი რევაზ ივანეს ძე ანდრონიკაშვილი[181] ამოირჩია და 1871

ნ. განსვენებული ალექსანდრე II საქართველოში მობრძანდა, მაგრამ ყველამა ვნახეთ, რაც უნარი გამოიჩინა ახალმა წინამძღვარმა და რა მოწყალებაც მიიღო საქართველოს თავადაზნაურობამ...

შემდეგ ნ. ყიფიანი თავის წერილში ამბობს: „დიმიტრი ყიფიანის მარშლობის დროს დაიბადა აზრი ერთის საზოგადოების შედგენისა: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა.[201] დიმიტრი ყიფიანს გარდა, ამ საზოგადოების დამაარსებელნი, როგორც მახსოვს, იყვნენ: კონსტანტინე მამაცაშვილი,[202] ილია ჭავჭავაძე,[132] ბესარიონ ღოღობერიძე,[203] ვახტანგ თულაშვილი,[178] მიხეილ ყიფიანი[204]*".

ეს დიდი შეცდომა გახლავთ. აი, ეს საზოგადოება როგორ დაარსდა: ჯერ ისევ ადრე, — ესე იგი 1870-იან წლებში, — შევიყარენით რამდენიმე ახალგაზრდა კაცი (ზოგი ქალებიც ერევნენ), რომლებსაც ყოველ თვეს შემოჰქონდათ კასსაში თითო მანეთი (ზოგს მეტიც). ამნაირად შოგროვილი ფულით დავაარსეთ სკოლა ს. ხოვლეს,[315] გორის მაზრაში, სადაც თ.-დნი ჯავახიშვილნი სცხოვრობენ. სკოლა იყო კნ. მარიამის,[316] თ-დ გიორგი ჯავახიშვილის[317] მეუღლის სახელობაზე დაარსებული, ხოლო საჭირო ფულს ჩვენის კასსიდან ვიხდიდით. შემდეგ ამ სკოლას თ-დ ჯავახიშვილებმა სახლის ალაგიც შესწირეს, სადაც შემდეგ სახლი აშენდა და სადაც ამჟამად სკოლა არსებობს. რადგანაც ამ ჩვენს პატარა კრებულს სურვილი დიდი ჰქონდა და ღონისძიება იმდენი არა, რომ თვისი სურვილი განეხორციელებინა, ამიტომ დაიბადა აზრი, დაგვეარსებინა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. სხვადასხვა აზრი გამოითქვა ამ საგნის შესახებ ჩვენ შორის. ბევრი იმასაც ამბობდა, რომ მთავრობა ნებას არ მოგვცემს ამ საზოგადოების დაარსებისაო. შემდეგ ეს პატარა კრებული დაიფანტა, თუმცა ხოვლევის სკოლა კიდევ არსებობდა ჩვენ მიერ ადრევე მოგროვებულის ფულით.

დადგა 1877 წელიწადი და, — როგორც მკითხველსაც ეხსომება, — დაიწყო რუსთ-ოსმალთა ომი. ამ წლის აპრილის პირველ რიცხვებში გამოვიდა რუსეთის მთავრობისაგან მოწოდება (Воззвание) ქართველი ერის მიმართ. მთავრობა ამ მოწოდებაში იხსენიებდა, რომ საქართველო მუდამ რუსეთის მთავრობის ერთგული ყოფილა და ქართველთ ტომი (აქ პირველად იყო ნახმარი რუსულად სიტყვა Картвельское племя) განთქმულია თვისის ვაჟკაცობითა და სხვადასხვა ამისთანა ქება ჩვენის სამშობლოსი და მი-

* მიხეილ ყიფიანს, ძალიან სურვილიც რომ ჰქონოდა საზოგადოების დაარსების საქმეში მონაწილეობა მიეღო რამ, არ შეეძლო, რადგანაც 1870 წ. გადასახლდა კავკავს, [314] ძალიან იშვიათად ჩამოდიოდა ტფილისს და 1891 წ. გარდაიცვალა იქვე. ავტ.

სის ერისა. ვიფიქრე, რომ ეს დრო სწორედ კარგი დროა ჩვენის აზრის განსახორციელებლად-მეთქი...

გაზეთებში მქონდა ნაკითხული, რომ პეტერბურგში ჰმოეწყობოდა წერა-კითხვის გამავრცელებელი კომიტეტი (Комитет грамотности при Импер. вольно-экономическом обществе). მივწერე ამ კომიტეტს, რომ თავისი წესდება გამოეგზავნა ჩემთვის. მივიღე პასუხი, რომ ჩვენი წესდება თქვენ არ გამოგადგებათ და გირჩევთ ხარკოვს მიჰმართოთ, სადაც დაწესებულია იმისთანა საზოგადოება, როგორიც თქვენა გსურთ და გამოგადგებათო. მე ხარკოვის საზოგადოებასაც მივმართე. იქიდან მოიწერეს, რომ ჩვენს საზოგადოებას დაბეჭდილი წესდება არა აქვს და გადაწერაც ეგრე ადვილი არ არისო. იმასაც უმატებდნენ, რომ ერთი ეგზემპლიარი ჩვენის საზოგადოების წესდებისა ამ რამდენისამე წლის წინათ ტფილისს თ-დ ზაქარია გიორგის ძე ერისთავს[318] გავუგზავნეთო.

მაშინვე მივმართე ამ დიდად პატივცემულ პირს, რომელმაც დიდის სიხარულით გადმომცა ხარკოვის საზოგადოების წესდება.

ამ დროს დიმ. ყიფიანი, როგორც ზევით მოვახსენე მკითხველებს, მარშლად კი აღარ იყო, არამედ ტფილისის მოურავად იყო (როგორც მახსოვს, მოურავად ამორჩეულ იქმნა 1876 წ.)[246]. ნ. ცხვედაძე,[208] ი.გოგებაშვილი[207] და მე შევიყარენით და ვთხოვეთ დ. ყიფიანს, მონაწილეობა მიეღო ამ სასარგებლო საქმეში, დაგვემუშავებინა ხარკოვის საზოგადოების წესდება და შეგვედგინა საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წესდების პროექტი.

დ.ყიფიანმა წინაპირველად არ ისურვა მონაწილეობა მიეღო ამ საქმეში, მაგრამ შემდეგ ჩვენი აზრი მოეწონა. დაგვეთანხმა და კვირაში ერთხელ, ხანდისხან ორჯელაც, ვიკრიბებოდით ხოლმე იმის სახლში წესდების შესადგენად.

თუმცა, — როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, — ხარკოვის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წესდება გვქონდა, მაგრამ იმაში ბევრი იმისთანა რამ იყო, რაც ჩვენ არ გამოგვადგებოდა, ჩვენს ცხოვრებასა და ზნეს ეწინააღმდეგებოდა; ამიტომ წესდების შედგენას თითქმის მთელი 1877 წლის ზამთარი და 1878 წლის იანვარი მოუნდა. ვიდრე გავათავებდით მის შედგენას, ზევით მოხსენებულთა გარდა არავის მონაწილეობა არ მიუღია, ხოლო მახსოვს, ერთხელ თუ ორჯელ, ბ-ნი ანტონ ფურცელაძე[319] დაესწრო ჩვენს კრებას; ისიც, ვგონებ, როგორც დიმიტრი ყიფიანის სახლობის ნათესავი, სტუმრად მოსულიყო.

როდესაც წესდება მზად იყო, 30 იანვარს, 1878 წ., თ. გრ. დიმ. ორბელიანის სახლში შევიყარენით, სადაც მოწვეულნი იყვნენ მის მიერ ყველანი, რომელთაც მონაწილეობა უნდა მიეღოთ ამ საზოგადოებაში, როგორც წევრთ. დ. ყიფიანმა წაიკითხა წესდება, რო-

მელიც ყველამ მოიწონა. კრებაზეც ერთი ეპიზოდი მოჰხდა, რომ-ლის მოხსენება არ იქნება მეტი, რადგანაც მით ცხადადა სჩანს დიმიტრი ყიფიანის აზრი სომეხთა შესახებ.

წესდების პროექტის წაკითხვის შემდეგ დიდს ხანს იყო ბაასი იმის გამო, თუ რა სახელი გვეწოდებინა საზოგადოებისათვის. თ-დი ვრიგოლ ორბელიანი იმ აზრისა იყო, რომ ის სახელი გვეწოდებინა, რომელსაც ამჟამად ვეწოდებთ. ამაზე დიმ. ყიფიანმა უპასუხა, რომ ეგ სახელი ვერ ვამოვა რიგიანიო, რადგანაც სომეხთ, — ამ ჩვენთა მოძმეთა და მეზობელთა, — ნილი აღარ დაედებათ იმათში, რომელთა შორისაც უნდა ვრცელდებოდეს წერა-კითხვა და ეს, ჩემის აზრით, არ არის სასურველიო. თ. გრ. ორბელიანმა სთქვა, რომ ეგ დასამალავი არ არის, ყველამ გავიგეთ, შევიტყეთ და დავრნმუნდით, რომ სომეხნი, თუმცა ჩვენი მეზობელნი არიან, მაინც იმათგან მტრობის შეტს არას უნდა მოველოდეთო, რადგანაც ამ ბოლოს დროს აშკარად გამოიჩინეს და დაამტკიცეს ასეთი თვისი განზრახვაო. თ-დ გიორგი რომანოზის ძე ერისთავმა (ატამანმა)[183] დიმ. ყიფიანის მხარე დაიჭირა და თ-დ გრ. ორბელიანს უპასუხა, რომ ჩვენ მაგას არ უნდა გამოვუდგეთო; ჩვენ, როგორც აქამდე ვყოფილვართ სომეხთათვის ერთგულნი მეზობელნი და ამხანაგნი ლხინსა და ჭირში, ისევ ისე უნდა დავრჩეთ, ხოლო სომხებს, როგორცა სურდეთ, ისე მოიქცენონ.

შემდგომ ამისა, კრებამ ისურვა, რომ სომხებსაც შეეძლოთ მონაწილეობის მიღება საზოგადოებაშიო. ამის გამო საზოგადოების დამფუძნებელ წევრთა შორის ირიცხებიან: გრ[აფი] მ.ტ. ლორის-მელიქოვი,[236] თ-დნი: ის.შიოშის ძე თუმანიშვილი,[320] იასონ თუმანიშვილი,[321] ალ.სტ. ანანოვი,[322] ს. შაჰ-პარონიანცი[323*] და სხვ.

იმ დღესვე კრებამ დაადგინა: მიენდოს დიმ. ყიფიანს, თ-დ ილია ჭავჭავაძეს და ბესარ. ღოლობერიძეს, წარუდგინონ ეს წესდება მთავრობას დასამტკიცებლად.

ზემოხსენებული წერილის ავტორს უნდა მოვახსენო აქ, რომ თუმცა ამბობს, რომ ბეს. ღოლობერიძეც იყო ამ საზოგადოების დამაარსებელიო, მაგრამ 1878 წ. 30 იანვრამდე იმას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ამ საქმეში.

თითქმის ოთხი თვე ვატარებდი ამ წესდებას ხელის მოსაწერად იმათთან, ვინც კი ტფილისში ცხოვრობდა. შემდეგ წესდება გადავეცი დიმ. ყიფიანს და 24 ივნისს 1878 წ. წარდგენილ იქმნა იგი მთავრობის წინაშე დასამტკიცებლად. ახლა ის გვაწუხებდა, რომ მთავრობას მალე დაემტკიცებინა; თუმცა ბევრსა ვცდილობდით, მაინც დამტკიცებამ ძალიან დაიგვიანა — ცხრა თვეზე მეტმა გაიარა (დამტკიცდა 31 მარტს 1879 წ.). მიზეზი ის იყო, რომ ძალიან დი-

* უნდა იყოს: მიხ. შაჰ-პარონიანცი. შემდგ.

ღი ბაასი გამოინვია ამ წესდების მესამე მუხლმა, რომელშიაც მოხსენებულია: „საზოგადოება თავისს მიზანს იქითი მიაღწევს, რომ სახალხო სკოლებში დასაწყისს სწავლებას დაადგენს სამშობლო ენაზედ, რომელიც ესმის მოსწავლეებს" და სხვ.

ჩვენი წესდება მთავრობამ გადასცა კავკასიაში სწავლა-განათლების მზრუნველს თავისის აზრის გამოსათქმელად. იმუამად ძველი მზრუნველი ნეველროვი[324] გამოსცვალეს და ნავიდა აქედგან, ახალი კი ჯერ არ იყო დანიშნული. მისს თანამდებობას ასრულებდა ნ.დ. მოძალევსკი,[325]* რომელსაც მე კარგად ვიცნობდი და არ ვასვენებდი -- ძალას ვატანდი, მალე წარედგინა მთავრობისათვის თავისი აზრი. მოძალევსკიმ მოიოხოვა ზემოხსენებულ მუხლის შეცვლა, აქიტომ ჩვენ, წესდების შემდგენლები, იძულებულნი ვიყავით, ზოგიერთი რამ დაგვეთმო მესამე მუხლში მოხსენებულიდან და ამ მიზეზით წესდების ზოგიერთი ფურცლის გადაწერა დაგვჭირდა. შემდეგ მოძალევსკიმ ორჯელ კიდევ მოითხოვა ამავე მუხლის გადაკეთება, მაგრამ ჩვენ აღარ დავთანხმდით და პირდაპირ ვუთხარით, რომ შეგიძლიანთ თქვენი აზრი წარუდგინოთ მთავრობას და, თუ ის არ დაამტკიცებს, დაე, ნუ დაამტკიცებს, ჩვენ კი მაგ მუხლს ვეღარ შევცვლით, რადგანაც მაგ მუხლის შეცვლით საზოგადოებას წაერთმევა ღონისძიება, თვისი დანიშნულება აღასრულოსო და სხვ. და სხვ.

ცოტა ხანს შემდეგ კავკასიის ნამესტნიკის მთავარსამმართველომ თავის მხრივაც მოითხოვა ამ მესამე მუხლის შეცვლა. ამაზე დიმიტრი ყიფიანმა 25 მარტს 1879 წ. წარადგინა ჩვენ მიერ ერთად შედგენილი განმარტების ქაღალდი და არ გავიდა ერთი კვირა (31 მარტს), რომ წესდება დამტკიცდა.[326]

აქ კიდევ მინდოდა რამდენიმე სიტყვა მეთქვა დიმ. ყიფიანზე, როგორც რეფისორზე, რომელიც ხშირად იღებდა მონაწილეობას ქართულ წარმოდგენების მართვის საქმეში, ვიდრე ჯერ სამუდამო ქართული დასი არ იყო, და ოსტატურად და ხელოვნურად სწვრთნიდა სცენის მოყვარულ არტისტებს, მაგრამ ეს ჩემი შენიშვნა უამისოდაც ძალიან დიდი გამოვიდა, რისთვისაც მკითხველთან ბოდიშს ვითხოვ. რა გაეწყობა, უნდა ჩვენც შევეჩვიოთ სიმართლის სიყვარულსა და ჭეშმარიტების თქმას. შვიდი წელიწადი არ იყო გასული მას შემდეგ, რაც დიმიტრი ყიფიანი გარდაიცვალა და იმისმა შვილმა დიდის შეცდომილებით დასწერა იმის ცხოვრების აღწერა. მაშასადამე, რამდენად ძნელია, ვენდოთ რამდენისამე ასისა და ათასის წლის ამბების მომთხრობელთა!..

ამას გარდა, იმდენად ცოტანი გვყავს დღეს ისეთნი კაცნი, რომელთაც საზოგადოებისათვის უღვანნიათ და რამ სიკეთე დაუთე-

* უნდა იყოს: ლ.ნ. მოძალევსკი. შემდგ.

სიათ ჩვენის ქვეყნისათვის, რომ, რაც უნდა სკეპტიკობით შევხედოთ დიმ. ყიფიანის საზოგადო მოღვაწეობას, მაინც პირნათლად გამოვა იგი და გამოჩენილ მამულისშვილად ჩაითვლება ჩვენს ახალ ისტორიაში.

6. ყიფიანის წერილით შევიტყვეთ, რომ დიმ. ყიფიანმა არ დაინდო თავისი თავი, შეეწია ერთს ჩვენს საზოგადოების ნევრსა[327] და ყველამ ვიცით, რომ ამით თითქმის თავისი თავი დაჰლუპა. ისიც ვიცით, რომ იმისთანა დროც დადგა მას შემდეგ ღიმიტრისთვის, როცა თითქმის დღიური ცხოვრება უჭირდა. ვგონებ, კაცს ამაზედ მეტი აღარა მოეთხოვება-რა...

ღმერთმა ნუ მოაკლოს საქართველოს ამისთანა ერთგული და სახელოვანი მამულისშვილი და ღმერთმა აშოროს იმისთანანი, რომელნიც სიტყვით სტიროდნენ და სტირიან საქართველოს წარსულისა და მომავლის ბედისათვის, გარნა საქმით იმაყე უბედურ საქართველოს სასიკეთოდ ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამთ, თუმცა შეეძლოთ, დიდი ამაგი დაედოთ ჩვენის საწყალის სამშობლოსათვის...

მაგრამ იმედი გვაქვს, ოდესმე იმისთანა დრო დადგება, როდესაც საზოგადოება დააფასებს ნამდვილსა და ერთგულ მამულისშვილს და გაარჩევს, ვინ ემსახურებოდა თავის ქვეყანას სულითა და გულითა, ვინ იღვწოდა მისთვის საქმითა და ვინ მხოლოდ ლიტონის სიტყვითა.

კორნელი ბოროზდინი[328]

სამეგრელო და სვანეთი. 1854-1861. მოგონებანი
(ნაწყვეტები)

...ნადედოფლარს[329] მოუვიდა უმაღლესი რესკრიპტი, რომელიც, რა თქმა უნდა, გამოგზავნილი იყო თავად ბარიატინსკის[121] წარდგენილობით. ხელმწიფე[218] მონყალე სიტყვებით იწვევდა ეკატერინეს თავის ბავშვებითურთ პეტერბურგში! გაწვევის მიზეზად ასახელებდა თავისს სურვილს, ახლოს ჰყოლოდა მცირეწლოვანი მთავარი[166] და თვალყური ედევნებინა მის აღზრდისათვის.

აბა, რა თქმა უნდა, დედოფლის ყოველ ყოყმანს და გადაწყვეტილებას ხელათ მოუღო ბოლო ამ რესკრიპტმა, და იმანაც გაგარინს[330] გამოუცხადა, ოქტომბრის 25-ს გავალო და სთხოვდა, მისთვის ხომალდი დაეხვედრებინა ფოთში, რადგან გადაეწყვიტნა ოდესაზე ნასულიყო. იმავე დროსვე გადაწყვიტა ეკატერინემ, თუ ვინ უნდა მოენვია თავის მცირეწლოვან ბავშვების ქონების მზრუნველად. ჯერ თავისს ძმასა სთხოვა, თავად დავით ჭავჭავაძეს,[140] და

სიძეს, ბარონ ა.პ. ნიკოლაის,[183] ეს მოვალეობა ეკისრნათ. მაგრამ როცა ამაზე უარი ხოქვეს,[331] ეკატერინემ მთავარ გამგეობის საბჭოს წევრი დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი აირჩია. დიმიტრი ყიფიანმა თავად ბარიატინსკის თანხმობით იკისრა მზრუნველობა და მაშინათვე ჩამოვიდა გორდში[332] ეკატერინეს სახახავად. მათი თათბირი დიდხანს არ გაგრძელებულა. ეკატერინემ მიანდო სახლთუხუცესს,[333] მზრუნველისათვის აღწერილობით ჩაებარებინა ყველა მამულები, ხოლო თვითონ ყიფიანსა სთხოვა, ბარიატინსკისათვის ეცნობებინა, რომ სამეგრელო ჩემის შვილების საკუთრებას შეადგენს და აქაურ მიწების პატრონი, თეინიერ მთავრისა, სხვა არავინ არის-თქო. თავადები და აზნაურებიც მასვე, მთავარსავსე, ეკუთვნიან, როგორც მიწებიც. ე.ი. ეკატერინემ თავის უფლებათა შესახებ იგივე აზრი განიმეორა, რა აზრისაც მისი განსვენებული ქმარი[94] იყო; მაგრამ ძნელი იყო, მეგრელებს ეს თეორია ერწმუნებინათ: 60 წლის განმავლობაში უთავოდ მფლობელობის შემდეგ კნეინას მიერ წამოყენებული თეორია მეგრელთ საშინელ ძალადობად მიაჩნდათ.

ყიფიანი რომ წავიდა, შეუდგნენ მზადებას ეკატერინეს გასასტუმრებლად. წასვლამდე სულ რაღაც კვირა თუ-ღა რჩებოდა...

დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი რაჭველი აზნაური იყო. ჯერ ისევ პატარა დაობლდა, ერთმა მისმა ნათესავმა ქალმა[334] ტფილისში წაიყვანა და გიმნაზიაში შეიყვანა. ყიფიანი კარგად სწავლობდა და, გიმნაზია რომ გაათავა, თვითონ მასწავლებლობა დაიწყო.[37] ამ ხანებში შესდგა ტფილისში რუსეთის მთავრობის საწინააღმდეგო წრე ქართველ ყმაწვილკაცებისა და გ. ერისთავთან[183] ერთად დ. ყიფიანმაც მიიღო მონაწილეობა ამ მოძრაობაში.[335] სულ ახალგაზრდა იყო დ. ყიფიანი, როცა მთავრობამ დასასჯელად ვოლოგდაში გაგზავნა. აქ სამსახურში შევიდა.[59] ვოლოგდაში გაგზავნა მეტისმეტად გამოადგა. აქ წრე იყო განათლებულ პირთა. ამ წრეში მოექცა დ. ყიფიანი და ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი სწავლა-ცოდნა შეეძინა. თვითონაც გრძნობდა, რომ ტფილისის გიმნაზიიდან ცოტა რამ გამოიმყაო. ისწავლა ფრანგული და გერმანული ენები,[336] ბევრს წიგნებს კითხულობდა და რუსული ენა ისე გაიკვეთა, რომ სამსახურში მის დაწინაურებას არა უშლიდა-რა. მაგრამ სამშობლოს უნახავობა საშინლად ადარდებდა და, — ვოლოგდაში ცხოვრების ვადა გაუვიდა თუ არა, — ტფილისში დაბრუნდა. აქ ძალიან მალე დაწინაურდა, იმიტომ, რომ კავკასიელ მოხელეთა შორის ყველაზე უკეთესი ის იყო. თავადი ვ.ო. ბებუთოვი[113] და ვორონცოვი[79] ძალიან სწყალობდნენ, რაც რამ მძიმე საქმე იქნებოდა, იმას მიანდობდნენ ხოლმე და 1855 წელს, როცა ვორონცოვის ალაგი ნ.ნ.მურავიოვმა[115] დაიჭირა, მოისურვა თავის კანცელარიის დირექტორად დ. ყიფიანი დაენიშნა. მაგრამ პეტერბურგში არ თანაუგრძნეს

მურავიოვის წარდგენილებას, მოაგონდათ ყიფიანის ადრინდელი შეცოდებანი, დირექტორად არ დაამტკიცეს და დ. ყიფიანი კავკასიის მთავარმართებლის საბჭოს წევრად დარჩა.[120]

მაშინდელს დროში მთავარმართებლის კანცელარიის დირექტორის თანამდებობა ყველაზე დიდი იყო კავკასიაში. ამიტომ გასაკვირველიც არ არის, რომ დიმ. ყიფიანს, რომელმაც თავისის ნიჭით და გამუდმებულის შრომის წყალობით დიდად დაინინაურა თავი, ეს უარი საშინლად სწყენოდა და თავისი პატივმოყვარეობა შეურაცხყოფილად ჩაეთვალა. ადვილად შეიძლება, რომ მურავიოვი მეტად გაზვიადებულის აზრისა ყოფილიყო მის მიერ წარდგენილის კაცის ნიჭის შესახებ, მაგრამ ამის განხილვაში არ უნდა შესულიყვნენ პეტერბურგში; მურავიოვს უფლება ჰქონდა, თავის მახლობელი თანამშრომელი აერჩია; ვინც უნდა ყოფილიყო ეს თანამშრომელი, ეს მისი საქმე იყო; ყიფიანის დანუნება არ შეეძლოთ, იმიტომ, რომ მაშინ ისიც უნდა ეთქვათ მურავიოვისათვის — შენ არ გენდობითო. მაგრამ პეტერბურგში სულ სხვა რამე მოიმიზეზეს; სთქვეს, ყიფიანი ახალგაზრდობაში ორგულთა ნრეში ერიაო და, ეს მიზეზი თუმცა სრულიად უადგილო იყო, მაინც ხელზე დაიხვიეს. დიმ. ყიფიანმა ახალგაზრდობის შემცთარ აზრებზე, დიდი ხანი იყო, ხელი აიღო, ახლა უკვე მომწიფებული ჭკუის კაცი იყო, ოც წელინადზე მეტი მშვენივრად მსახურობდა და თავისი ერთგულება და საიმედოობა ყველას დაუმტკიცა. თუ მთავრობა უნდოდ უყურებდა ყიფიანს და ასე ულმობლად მოექცა, რატომ ამნაირადვე სასტიკად არ მოეპყრა სხვა მის ამხანაგებს, ერთ დროს მოღალატეთა ნრეში გარეულებს, რომელთაც, მიუხედავად წარსულის შეცდომებისა, სამსახურში ანინაურებდნენ და უფრო დიდ თანამდებობას აძლევდნენ, ვიდრე მთავარმართებლის კანცელარიის დირექტორობა იყო? მაგალითად, თავად გრიგოლ დიმიტრის ძე ორბელიანი (პოეტი)[41], ერთ დროს იმავე ამბისათვის ვიბორგში[337] იყო გაგზავნილი და იქ მსახურობდა. შემდეგში ეს კაცი მთავარმართებლის თანამდებობის აღმასრულებელი და სახელმწიფო საბჭოს წევრიც იყო.[338] მაშასადამე, ეს მიზეზი ყიფიანის შესახებ არამცთუ სულ უბრალო, უსამართლოც იყო. აშკარად ეტყობოდა, რომ მურავიოვს არ ენდვნენ. მაგრამ, როგორც უნდა ყოფილიყო, ყიფიანი დიდად განაწყენებულად სთვლიდა თავსა. დიდი მოთმენა იყო საჭირო, რომ ამ სასჯელს კაცი არ გაებოროტებინა, დიდი ჭკუა და გამჭრიახობა იყო საჭირო ყიფიანის მხრივ, რომ გული არ გასტეხოდა, თავტანი არ დაჰკარგვობა და კარგად გაეთვალისწინებინა მომავლის ცხოვრების გეგმა.

მთავარმართებლად ბარიატინსკი[121] რომ დანიშნეს, თავი წამოჰყო მთელმა რიგმა მოსამსახურე პირთა, რომელნიც კავკასიაში, მართალია, მანამდეც იყვნენ ცნობილნი, მაგრამ მეორეხარისხოვა-

ნი ადგილი ეჭირათ. დ. ყიფიანი დაიჩრდილა, კუთხეში მიჩრჩა, სასახლეში არ იხმობდნენ და ჩარიცხულ იქმნა იმ მაღალის ხარისხის მოხელეთა გუნდში, რომელთა ბევრია ხოლმე, თუ სამუდამოდ ძილი არა, თვლემა მაინც თავიანთ საკარძელში. სამეგრელოს ამბოხებამ[339] დ. ყიფიანი ამ საღათას ძილისაგან გამოაფხიზლა.

ჩვენ უკვე დავიხახეთ, რომ დედოფალმა ეკატერინემ, რაკი მისმა ძმამ, თავადმა დავით ჭავჭავაძემ, და სიფემ, ა.პ. ნიკოლაიმ, [უარი] უთხრეს, დ. ყიფიანს მიმართა და ამახაც არამცთუ გულმხურვალედ ძოისმინა მისი თხოვნა და იკისრა მზრუნველობა მთავრის მცირეწლოვან შვილების ქონებისა, არამედ სამუდამოდ რაინდად და ვეჭილად ცაუხდა ქალს. რომელიც, მისის აზრით, შეურაცხყოფილი და დაჩაგრული იყო.[340] როცა სამეგრელოში მივიდა, ვითარცა სიბჭის წევრი და მზრუნველი, ყიფიანს აზრადა ჰქონდა, დაჩაგრული და შეურაცხყოფილი მხარე დაეფარნა.

დიმიტრი ყიფიანი მანამდე ორის წლის ნინად გავიცანი დედოფლისაგე სასახლეში. მერე ქუთაისსა და ტფილისში შევხვედრივარ. მე მეტად ალერსიანად მექცეოდა. მეც, როგორც დიდის ხარისხის კაცს და ჩემს მოკეთეს, ახლა ვცდილობდი, ვითარცა ოლქის უფროსი, რაც კი ჩემზე იყო დამოკიდებული, ყველაფერში დავხმარებოდი.

[1858 წლის] თებერვალში დ.ი.ყიფიანი და ჭილაშვილი[84] მორჩნენ სამეგრელოს შემოვლას, აღნუსხეს მთავრის მამულები და ოლქის უფროსებს მოგვმართეს, გვეცნობებინა საბაზრო ფასები სამეგრელოს სოფლის ყოველგვარ ნაწარმოებისა, როგორც, მაგალითად, ხორბლისა, სიმინდისა, ღვინისა, საქონლისა და სხვ. და სხვ. ამან, ცოტა არ იყოს, გამაკვირვა და პასუხის მიცემაც გამიჭირდა. იმ გაჩანაგებულ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიაც მაშინ სამეგრელო იმყოფებოდა, ძნელი იყო, კაცს ნამდვილი ფასები შეეტყო, რისაც უნდა ყოფილიყო: პური თვითონ უჭირდა ხალხსა, მაშასადამე, არ შეეძლო მოჭარბებული პური ბაზარზში გამოეტანა და გაეყიდნა; იმერეთიდან მოტანილი პური კი, რა თქმა უნდა, ნორმალურ ფასზე მეტი ღირდა, ხოლო უპურობის წყალობით სხვა ნაწარმოებს ფასი აკლდებოდა, ამიტომ, რომ ამ ნაწარმოებს ღირებულებაზე ნაკლებ ფასად ასაღებდნენ, როცა იმერეთიდან მოტანილ პურში სცვლიდნენ. ეს კიდევ არაფერი — მზრუნველი არამცთუ უკანასკნელის წლის ფასებსა გვთხოვდა, არამედ უკანასკნელ ათის წლის საშუალო ფასებსაც. ამას, რა თქმა უნდა, დანამდვილებით სულ ვერ შეატყობინებდა რუსის ადმინისტრაცია. მაგრამ მაინც უნდა დაგვეკმაყოფილებინა როგორმე დ. ყიფიანი და ეს საქმე მივანდე სენაკის საპოლიციო ბოქაულს და ნამდვილანბეგარს, ხანში შესულს და მეტად მიხვედრილს კაცს, თავადს მაქსიმე

ბიროს ძე ქოჩაქიძეს.[341]* რაც ციფრები მ. ქოჩაქიძემ შეჰკრიბა, მაშინათვე დ. ყიფიანს გავუგზავნე. თან, ძალიან გულით მიხდოდა შეშეტყო, თუ რისთვის სჭირდებოდა ყიფიანს ეს ცნობები და, ორის კვირის უკან რომ შევხვდი, ეკითხე. მითხრა, ამ ციფრებით უნდა ვიხელმძღვანელო და ისე უნდა გავანაწილო გადასახადი ფულად სადადიანო გლეხებსაო. მერე სულადისა და სამსახურის მაგიერ ფულად უსდა გამოვართვაო. მე სასტად დავრჩი. ამ გამოანგარიშების წყალობით მთავრის ყოველწლიურ შემოსავლის ჯამი 120 000 მანეთამდე ავიდა. მაგრამ ოსმალეთის ომმა[342] და შინაურმა ამბოხებამ ხალხი ძალიან დასცა ქონებრივად და მესამედს ვაპატივებო, მითხრა დ. ყიფიანმა, — დარჩება 80 000 მანეთი და ეს კი უეჭველად უნდა გადავახდევინოვო.

დ. ყიფიანს, როგორც კავკასიის მთავარმართებლის საბჭოს წევრს,[122] მაშასადამე, როგორც დიდის ხარისხის კაცს, აგრეთვე, კაცს, რომელსაც, როგორც ლაპარაკში შევატყვე, არ უყვარდა პატარა მოხელისაგან რაიმე ჭკუის სნავლება, ვერაფერი ვუთხარი მისის მოქმედების შესახებ და ისევ სიჩუმე ვარჩიე, მაგრამ ნ. კოლუბიაკინი[160] შემხვდა თუ არა, მაშინათვე მოვახსენე, რაც დ. ყიფიანისაგან გავიგონე. სამი ათას კომლ გლეხებისაგან 80 000 მანეთის მოგროვება არამცთუ უსამართლოდ, არამედ ფიზიკურად შეუძლებლად მიმაჩნდა. აქაური გლეხები ვალდებულნი იყვნენ, მთავრისათვის ჭირნახულის ერთი ნანილი მიეცათ, როგორც ამას სხვა ყველა მებატონეთა გლეხები შვრებოდნენ. <u>რასაც მინა მისცემდა, იმასვე აძლევდნენ მებატონეს</u> — აი, მათი მოვალეობა, დებულების ქვაკუთხედი. ბატონს არ შეეძლო, ეთქვა გლეხებისათვის: „ქათმის მაგივრად ორი შაური მომიტანე და ბათმან სიმინიდის ნილ — ორი აბაზიო". ბუნებრივის გადასახადის მაგიერ ფულის მოთხოვნა ძალმომრეობად ითვლებოდა. ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, ზედმეტი უნდა ყოფილიყო ლაპარაკი ფულით გადასახადის აღების შესახებ. თუმცა ასეთი აზრი, — ვუთხარი კოლუბიაკინს, — ყოველ საბუთს მოკლებულია, მაგრამ მაინცა, ვთქვათ, გლეხები ყაზახ-რუსების მათრახებით შევაშინეთ და ფულით გადასახადი დავადეთ — საიდან უნდა იშოვნოს სამმა ათასმა კომლმა გლეხმა 80 000 მანეთი, როცა ამდენი ფული მთელს სამეგრელოს, ესე იგი, 28 000 კომლს, არა აქვთ-მეთქი! ამკარა იყო, რომ ყიფიანი სცდებოდა. ნ. კოლუბიაკინიც მაშინათვე მიხვდა ყველაფერს და მითხრა: როგორც კი ვნახავ ყიფიანს, ამის შესახებ მოველაპარაკებიო.

რამდენისამე დღის უკან საიდუმლოდ შემდეგის შინაარსის წერილი მომწერა კოლუბიაკინმა: ყიფიანმა თვითონაც კარგად იცის, რომ 80 000 მანეთის აკრეფა ყოვლად შეუძლებელია, მაგრამ ამდე-

---

* პოეტის, გიორგი ქოჩაქიძის (ჭალადიდელის),[343] მამა. ავტ.

ნად იმიტომ დააფასა სადადიანო გლეხების გადასახადი, რომ, თუ ვინიცობაა, სამეგრელოს საშინაურო გაუქმდა, რუსეთის მთავრობამ იცოდეს, რამდენით უნდა დააკილდოს მთავარი და ამით საქმე გაუადვილდესო. ამდენი მემისავალი მხოლოდ სიტყვითაა, თუმცა, მართალია, დაახლოებით მაინც აღნიშნავს ფასს იმ ყირნახულისას, რომელიც გლეხებმა მთავარს უნდა აძღიონ. მთავრისათვის, რა თქმა უნდა, ხელსაყრელი იქნება საერთავროზედ ხელის აღებისათვის ამდენის ყოველწლიურის სასყიდლის მიღებაო.

კოლუბიაკინის აზნაური აზრი იმდენად არ მომწონებია, მაგრამ ბოლოს დასძენდა: ყიფიანს დიდი ხანია ვიცნობ და, ვფიქრობ, რომ, მართალია, მთავრის ერთგულებასა სცდილობს. მაგრამ კეთილგონიერებასა და სამართლიანობის გრძნობას მაინც არ ულალატებსო. „ყოველსავე შემთხვევაში, მწერდა ბოლოს გენერალი, ჩვენ ყველაფერს გავიგებთ და. რა თქმა უნდა, ვეცდებით, მთავრის მზრუნველის ზომასგადასულს ერთგულებას ფრთა შევაკვეცოთო“...

დ. ყიფიანმა [მთავრის] მამულების მოურავად დანიშნა დედოფლის ყოფილი მდივანი, თავადი ერეკლე ლორთქიფანიძე[344] და იმანაც, როგორც ნამდვილმა კანცელარიის მწერალმა, ჩვენთან გამართა სრულებით უსაფუძვლო მიწერ-მოწერა და გვთხოვდა დახმარებას. ჩვენის აზრით, მთავარი თავის მამულებში იმნაირივე მემამულე იყო, როგორც ყველა სხვა მემამულენი და როგორც ამ მემამულეთ, ამასაც იმდენათვე ჰქონდა უფლება ჩვენის დახმარებისა; მაგრამ ჩვენ მაშინ-ღა უნდა დავხმარებოდით, თუ გლეხი თავისს მოვალეობას არ ასრულებდა მემამულეთა მიმართ და ანდა, როცა მემამულე გლეხს იმაზე მეტს მოსთხოვდა, რაც გლეხს ემართა; ყოველსავე შემთხვევაში, დახმარების აღმოჩენამდე უნდა საქმე გამოგვეძიებინა და გაგვერჩია. ლორთქიფანიძე რაღაც მოთხოვნილებებს გვიგზავნიდა, რომელთაც, მისის აზრით, შემოწმება არა სჭიროდა და, რა თქმა უნდა, რაკი ჩვენგან პასუხი არ მისდიოდა, ძალიან გული მოსდიოდა. არ უნდოდა, თავი გაეყადრებინა უბრალო მთხოვნელებისათვის და ისე ეთხოვნა ჩვენთვის რამე. სახლთუხუცესი[333] და მისი თანაშემწეებიც არა გვთვლიდნენ ღირსად, ჩვენთან მოსულიყვნენ. ტფილისში მზრუნველთან გვიჩიოდნენ და მზრუნველს კიდევ გენერალ კოლუბიაკინთან გაამართვინეს მიწერ-მოწერა. კოლუბიაკინმა გამოიძია ჩვენი მოქმედება და რაკი დაინახა, სამართლიანად ვიქცეოდით, ამნაირადვე უპასუხა ყიფიანს. მერე სახლთუხუცესის მნახველნი ამბობდნენ: — ტფილისიდან თვით მამულების მზრუნველს, ყიფიანს, ჩამოელის ზუგდიდში სახლთუხუცესიო...

თებერვალსა თუ მარტში დ. ყიფიანი სამეგრელოში მოვიდა. რამდენჯერმე იყო გენერალ მ. კოლუბიაკინთან; ბევრი ილაპარა-

კეს იმის შესახებ, რომ ერთი პროგრამა შეედგინათ მოქმედებისა და ისე ეწარმოებინათ სამთავრო მამულის საქმენი, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ მორიგდნენ. გენერალი იმას ამბობდა, რომ კანონის წინაშე მთავრის მამულები კერძო მესაკუთრის მამულებად უნდა ჩაითვალოს და, მაშასადამე, ეს მამულებიც იმავე კანონს უნდა ექვემდებარებოდეს, რა კანონსაც კერძო მესაკუთრეთა მამულები ექვემდებარებაო. დ. ყიფიანი კი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ მთავრობამ ისე უნდა მოუაროს მთავრის მამულს, როგორც სახაზინო მამულსაო. ამ შინაურ მოლაპარაკების დროს გენერალი ხშირად ცხარობდა და არჩია, დ. ყიფიანთან ამ საქმის შესახებ მხოლოდ მიწერ-მოწერა ჰქონოდა და ისიც ოფიციალურის ხასიათისა...

დადგა ზაფხული. მოახლოვდა იკლისი. ამ თვეში საშინელი ცივება იცოლა სენაკში. წინა წლებსავით ავად არ ვავხდე-მეთქი და გადავწყვიტე, ენკენისთვემდე მთელის ჩემის სამმართველოთი სადმე მთებში ვადავბარგებულიყავი. მთავრის საზაფხულო საცხოვრებელ ადგილს გორდს ამ მხარეში არც ერთი ადგილი არა სჯობდა; თან ვიცოდი, რომ იქ დარჩენილი ცარიელი სახლები მოუვლელობით ლპებოდა. ამიტომ დ. ყიფიანს მივწერე, ნება მოგვეცით, ამ სახლებში დავდგეთ და რაც ეღირება, მოგართმევთ-მეთქი. ამის პასუხად აი, რა მომწერა ყიფიანმა:

„მოწყალეო ხელმწიფეე, კორნილი ალექსანდრეს ძევ!

ისე არ უნდა გიცნობდეთ, როგორც მე თქვენ გიცნობთ და ისე არ უნდა გცემდეთ პატივსა, როგორც მე თქვენ პატივსა გცემთ, რომ, გარდა სამსახურის გამო მოუცლელობისა, სხვას რასმე მივაწეროთ ისა, რომ ჩვენ ჯერ ერთმანეთს არ შევხვედრივართ, და ან არ აგისრულოთ ის მცირე თხოვნა, რომლითაც თქვენ მომმართეთ. მართლა ერთი ბეწოც არ უნდა მქონდეს სხვისის პატივისცემის გრძნობა, რომ ამ შემთხვევაში გაგაცუდოთ. მაგრამ რადგან ცოტა რამე გამეგება და მგონია, რომ სხვისი პატივისცემა ვიცი, დიდის სიამოვნებით დაგითმობდით გორდში სასახლეს, მაგრამ მე თვითონ ვდგევარ შიგა და, რომ შეგეძლოთ, თქვენ თვითონ არ იზამთ და არ დადგებით; იმას გარდა, ხუთი თუ ექვსი სახლია — რომელიც გნებავთ, აირჩიეთ; თუ გნებავთ, ყველაში დადექით, მხოლოდ შემდეგის პირობით: 1) რაც ძველი უსიამოვნება გქონდათ ჩემთან, როგორც მთავრის ქონების მმართველთან, დაივიწყოთ და თანხმობით იცხოვროთ ჩემთან; 2) ჩემთან თანხმობით იცხოვროთ და ძველი უსიამოვნება დაივიწყოთ; 3) პირველი მუხლი პირობისა აასრულოთ; 4) მეორე მუხლი არ დაარღვიოთ და, ბოლოს, 5) შეაკეთებინეთ სახლი, რომელსაც დასადგომად ამოირჩევთ. ამ მეხუთე მუხლის ასრულება, ჩემის აზრით, მხოლოდ ახლა მოგინდებათ, ამიტომ, რომ სამზრუნველოს არავითარი საშუალება არა აქვს, ის შეა-

კეთილს: თქვენ, ბატონო ადგილობრივო პოლიცია, საკმაოდ გააოხ-
რეთ იგი. მაგრამ შოგახსენეთ: რაც იყო, დავივიწყოთ-მეთქი.

ასე, ჩემო ბატონო, კორნილი ალექსანდრეს ქვე, მოუთმენლად ველოდ ამ პირობით.

ჩემს თავს ნებას ვაძლევ, თქვენს მეუღლეს,[346] რომელსაც სულ დიდი ხანია, -1855 წელს, პედნიერება მქონდა გავცნობოდი, თქვენის თანდასწრებით ხელს ვეარბორი.

თქვენი ერთგული და უმორჩილესი მოსამსახურე

დ. ყიფიანი

26 ივნისს 1859 წ.

გორდი."

ამ ტკბილის კილოთი დაწერილმა წერილმა სრულებით დამამშვიდა. ეტყობა, ისევ ძველებურად კარგს განწყობილებაშია ჩემთან დ. ყიფიანი-მეთქი. არც მე მინდოდა, მისთვის მეწყენინებინა რამე. მართალია, საყვედურის კილოთი მეუბნებოდა: „თქვენ, ბატონო ადგილობრივო პოლიცია, საკმაოდ გააოხრეთ მთავრის სასახლე"-ო, მაგრამ ეს კი ლორთქიფანიძისა[332] და სახლთუხუცესის[333] ამბავია და როცა პირადად ვნახავ ყიფიანს, ავუხსნი — ვინ მტყუანია და ვინ მართალი-მეთქი. მთავრის ქონების მზრუნველთა მოქმედებისათვის წინააღმდეგობის გაწევა ჩვენთვის საჭირო არ იყო, მაგრამ არც ის შეგვეძლო, მზრუნველთა მოთხოვნილებანი ყველაფერი შეუმოწმებლად შეგვესრულებინა. ჩვენ ამ მოურავებს ისე ვუყურებდით, როგორც სხვა მებატონეთა მოურავებს, ხოლო ამბოხებისა და უწესობების ასაცილებლად ჩვენ ნესადა გვქონდა დადებული — დაწვრილებით გამოგვეძია ხოლმე მებატონეთა და გლეხებს შორის ატეხილნი უთანხმოებანი და გაგვეგო, ვინ იყო მტყუანი და ვინ — მართალი. ამნაირადვე ვიქცეოდით მთავრის მამულების შესახებაც. მაგრამ ამ მამულების მზრუნველთ ეს არა ჰნებავდათ და თხოულობდნენ, მათი ნება და სურვილი უეჭველად ასრულებულიყო. აზრადა მქონდა, ყოველივე ეს ამეხსნა დ. ყიფიანისათვის, ჩემი ნათქვამი და აზრი ყოველივე დამესაბუთებინა და იმედიც მქონდა, ყიფიანს დავაჯერებ-მეთქი. გორდში ჩემი სამმართველოთი და ოჯახობითა მკათათვის დამდეგს გადავედი.

ყიფიანი ჩემთან ერთად ერთს ეზოში სცხოვრობდა და მეტად ალერსიანად მეპყრობოდა. როცა საქმეებისაგან მოვიცლიდი, ხშირად ვნახულობდით ხოლმე ერთმანეთსა. ამ ხანებში ჩემი სიდედრი[346] მენვია და თან ჩემი ცოლის დაი[347] მოიყვანა. ჩემი სიდედრი იმერლის ქალი იყო და დიმ. ყიფიანს ნათესავადა ხვდებოდა: დიდის ხნიდანვე იცნობდა ყიფიანს და დიდი მეგობრებიც იყვნენ ერთმანეთისა. მოვიდა ჩემთან აგრეთვე კამერონი,[157] მას თან მოჰყვა ოსტენ-საკენი,[348] რომელმაც კერძო კომპანიასთან სამსახურს თავი დაანება და ჩემს თანაშემწედ დადგა. საინტერესო საზოგადოებამ

მოიყარა თავი და იმედი მქონდა, არამცთუ უციებოდ გადავრჩები ამ ზაფხულს, დროსაც მხიარულად გავატარებ-მეთქი. მთავრის მამულების მოვლის შესახებ მ'ხრუნველთან რამდენჯერმე მქონდა ლაპარაკი და იმან მითხრა, ამ მამულის მართვა-გამგეობისათვის ცალკე წესდება უნდა შეეიმუშავო და როცა გავათავებ, თქვენც მოგიწევთ და ერთად წავიკითხოთო.

ასე გავიღა თითქმის ერთი თვე. ყიფიანი მუშაობდა. მასთან მოდიოდნენ მთავრის მოურავები სხვადასხვა საქმეებისათვის. საღამოობით კი ერთად ვიკრიბებოდით და მხიარულად ვმუსაიფობდით. ერთ საღამოს დიმიტრი ყიფიანმა მითხრა: წესლების წერას მოვრჩი და ხვალ, დილას ცხრა საათზე, გთხოვთ, მოხვიდეთო. მე, რა თქმა უნდა, დანიშნულ დროისთვის ერთი წუთიც არ გადამიცილებია და კითხვა დავიწყეთ.

მზრუნველმა ნაიკითხა მის მიერ შემუშავებული დებულება სასოფლო-სამეურნეო მართვა-გამგეობისა. შინაარსი ამ დებულებისა ის იყო, რომ მთავრის მამულში არსდებოდა ცალკე ადმინისტრაცია და ეს ადმინისტრაცია განაგებდა თავის საქმეებსა. არსდებოდა აგრეთვე მთელი რიგი თანამდებობებისა. მამასახლისი რომ რასმე დააშავებდა, გლეხს მოურავთან უნდა ეჩივლნა, მოურავზე — სახლთუხუცესთან უნდა ეჩივლნა, სახლთუხუცესზე — მთავარ მოურავთან, ხოლო ამ უკანასკნელზე — მზრუნველთან. ამ დებულების მიხედვით არსდებოდა მთელი ხროვა სოფლის მოხელეთა და მათ უნდა მიჰნიჭებოდათ აღმასრულებელი უფლება. მოვისმინე ყოველივე. ვხედავდი, რომ დ. ყიფიანის შემუშავებული დებულება პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა ჩვენ მიერ შემოღებულ წესს სამეგრელოს გლეხების საქმეების მართვის შესახებ. ყიფიანს ვუთხარი: ამ ახალი წესების შემოღება, ჩემის აზრით, იმას ემგვანება, რომ ახალი მმართველობა დავაარსოთ სამეგრელოში-მეთქი. ვუთხარი, რომ მთავრის მამულების საქმე ისევ ძველებურად დარჩება, ჩიქოვანები ძველებურად ისევ თარეშობას დაიწყებენ და ეს სრულიად საკმაო იქნება, რომ ამ ორი წლის წინად მომხდარი უწესოება[339] ისევ განმეორდეს-მეთქი. ყიფიანმა ბოლომდე მოისმინა ჩემი ნათქვამი. ლაპარაკი რომ გავათავე, წამოდგა, ერთბაშად ლაპარაკის კილო გამოიცვალა, ხელში მომცა წაკითხული ხელთნაწერი და მითხრა:

„გმადლობთ თქვენის შენიშვნებისათვის, რომლებიც გამოსთქვით ჩემ მიერ შედგენილ დებულების შესახებ, მაგრამ ამ თქვენ შენიშვნას ახლა არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მე გადაწყვეტილი მაქვს, ამ დებულების თანახმად იქნას საქმე წარმოებული მთავრის მამულში და თქვენ გავალებთ მის ასრულებას. აქ ხვალვე მოვლენ სოფელთა დეპუტაციები, აარჩევთ სოფლის მამასახლისებს, მათი და მოურავების სია თქვენ ჩაგბარდებათ, ხოლო თქვენ

სოფლელთ გამოუცხადებთ, ვინ და ვინ იქმნა არჩეული და რა უფლება აქვთ ამ არჩეულთ პირთა. თქვენს წინაშე ახლა სდგას არა შარტო მზრუნველი მთავრის მამულებისა, არამედ კავკასიის მოადგილე-მართველის საბჭოს ნევრიც და ეს ნევრია, თქვენ რომ გიბრძანებთ"

ყიფიანის ნათქვამი და მისი ლაპარაკის კილო ძალიან შენყინა. ბატონს საბჭოს ნევრს, ისიც გულმოსულს, რომ სიტყვა შეეუბრუნო, შეტი იქნება-მეთქი, — ვიფიქრე, გამოვართვი ხელთნაწერი და მოვახსენე:

„მე ჩემი პირდაპირი უფროსიცა მყავს. უიმისდასტუროდ ნება არა მაქვს, რაშე გავაკეთო. ამიტომ დაუყოვნებლივ ყველაფერს მოვახსენებ ბ-ნს სამეგრელოს მმართველს[348] და რასაც ის მიბრძანებს, ისე მოვიქცევი-მეთქი".

ეს რომ ვუთხარი, თავი დავუკარი და გამოვედი.

ერთს საათს უკან კაცი ვაფრინე ზუგდიდში და თან ჩემი ნერილი გავატანე.

მეორე დღეს ყიფიანის სადგომის პირდაპირ, დიდს მინდორზე, შეიყარა ხალხი და მამასახლისების არჩევა დაიწყეს. ეს ისტორია მთელი დღე გრძელდებოდა და საღამოზე ჩემმა ცოლმა მითხრა, რომ ჩვენი მზარეული, სადადიანო გლეხი, მამასახლისად აირჩიეს და სახლთუხუცესმა უბრძანა, შენს საქმეს თავი დაანებე და ახლავე ჩემთან გამოცხადდიო. მზარეული თვითონვე სტიროდა და არ უნდოდა ეს არასასურველი და მოულოდნელი ხარისხი, ამიტომ, რომ კარგი ჯამაგირი ეკარგებოდა. აშკარად ვხედავდი, ეს ყველაფერი თავად ჩიქოვანის[333] საქმე იყო, რომელიც გულით მონდომებული იყო, რამე ევნო ჩემთვის და რომელიც, საბჭოს ნევრისაგან ზურგმომაგრებული, ძველებურად ფრთის გაშლას აპირობს-მეთქი. მაგრამ მაინც რა უნდა მექნა. ცოლსა ვთხოვე, ახლავე გაუსნორე ანგარიში მზარეულს და გაუშვი-მეთქი.

მეორე დილას, საათის ათზე, საბჭოს ნევრისა და მზრუნველისაგან მონერილობა მივიღე. მონერილობასთან ერთად გამოეგზავნა სია არჩეულ პირთა, რომელთაც უნდა ემსახურნათ მთავრის მამულში. ეს სია მე სოფლებში უნდა გამომეცხადებინა და ამ სახით ყველა ახალს თანამდებობაზე დამემტკიცებინა, მაგრამ 11 საათზე გენერლის[349] გამოგზავნილი კაცი მივიდა ჩემთან და გაჭირვებულ მდგომარეობისაგან მიხსნა.

გენერალი ნათლად და მკაფიოდ მნერდა: „მზრუნველის ბრძანებით მოხდენილი არჩევნები გააუქმე, ხოლო არჩეულებს ხელნერილი ჩამოართვი და ისე გამოუცხადე, რომ თუ გაბედეს იმ თანამდებობის ასრულება, რომელიც მათ მზრუნველმა მიაკუთვნა, კანონის ამა და ამ მუხლის ძალით დასჯილ იქმნებიან იმ ნოდების დაჩემებისათვის, რომელიც მათთვის მთავრობას არ მიუკუთვნებია".

კანონის მუხლი სწორედ არ მახსოვს, მაგრამ შინაარსი ასეთი იყო.

იმავე დროს გენერალმა მიბრძანა, მეორე პაკეტი, — ლეჩხუმის ოლქის უფროსის, თავად მიქელაძის[350] სახელობაზე გამოგზავნილი, — დანიშნულებისამებრ გამეგზავნა დაუყოვნებლივ. იმ პაკეტებშიაც ის ეწერა, რასაც მე მწერდა გენერალი. მისი ბრძანება მაშინათვე ავასრულე.

არჩეული მამასახლისები ჯერ კიდევ არ წასულიყვნენ და მინდორზე ყაყანებდნენ. მოვიხმე, ხელწერილის ჩამორთმევით გამოვუცხადე გენერლის ბრძანება და თავიანთს სახლებში გავუშვი, ხოლო ყოველივე ეს ყიფიანს ვაცნობე ოფიციალურად, თან გენერლის მოწერილობის კოპიოც გავუგზავნე.

აღვილი ნარმოსადგენია, რარიგ ეწყინებოდა ასეთი პასუხი იმ მისს ბრძანებითს თხოვნაზე, სამის დღის წინად, როგორც საბჭოს წევრმა, მე რომ გამომიცხადა. ცოტა ხანს შემდეგ დავინახე, რომ მის სახლის აივანთან ერთი ფაეტონი შეუდგათ, მოიყვანეს შეკაზმული და საბარგო ცხენები და ერთს საათს უკან დიმიტრი ყიფიანი გამოვიდა გარედ. წამოსხმული ჰქონდა წითელსარჩულიანი პალტო (ეს შემოილო ინსარსკიმ[351] სამოქალაქო ღენერლებისათვის[352]). იახლნენ სახლთუხუცესები და ლეჩხუმში წავიდა. აბა, რას მოიფიქრებდა, რომ მიქელაძეც გაფრთხილებული დაუხვდებოდა!..

დ. ყიფიანი მივიდა მუხურში,[353] ლეჩხუმის ოლქის უფროსის საცხოვრებელ ადგილში. გაიგო, რომ არც იქ ამისრულდება ჩემი ბრძანებაო და გულმოსული მეორე დღესვე რაჭის გზით ქუთაისში წავიდა, რომ კოლუბიაკინისთვის ეჩივლნა ერისთავთან.[183]

რაკი ასეთი განხეთქილება ჩამოვარდა ჩემს და მზრუნველს შორის, ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, გორდში არ მეცხოვრებოდა და ვადაზე ადრე დავბრუნდი სენაკში...

ნოემბერში გავიგეთ, ყიფიანი ბარიატინსკისთან იყო და ერცელი მოხსენების ქაღალდი მიართვა სამეგრელოს მთავრის მამულის შესახებაო. ამ ქაღალდში ყიფიანი საშინლად თურმე უჩიოდა როგორც მთელს ადმინისტრაციას სამეგრელოსას, ისე განსაკუთრებით მ.პ. კოლუბიაკინს. ბარიატინსკიმ ყიფიანის ქაღალდი მასთან მყოფ სენატორს, მუხრან-ბატონს,[354] გადასცა და მიანდო, მ.პ. კოლუბიაკინს დაჰკითხებოდა. კოლუბიაკინმა წერილით პასუხის გაცემას არჩია, თვითონ წასულიყო და პირადად აეხსნა ყველაფერი. კოლუბიაკინმა მოახსენა: ყიფიანი უსაფუძვლო რასმე გვთხოვს. მისი თხოვნა რომ ავასრულოთ, მთავრის მამულში ძველი ნეს-წყობილება წამოჰყოფს თავსაო. გარდა ამისა, იმან ისეთი ხერხი მოიგონა, რომ გლეხკაცობა წინანდელზე უარეს სატანჯველში ჩავარდებაო. კოლუბიაკინმა ისიც მოახსენა, რომ თავი და თავი უსაფუძვლობა დ. ყიფიანის თხოვნისა — თვითნებითი გაწერა იყო ხარკისა

და გადასახადისა გლეხთა შორის. მერე ყიფიანმა ეს გადასახადი ფულად მოითხოვა. რაკი რუსის ადმინისტრაციამ მხარი არ დაუჭირა და აზრი არ გახახორციელებინა, მზრუნველმა განიზრახა ახალი, თავისებური სასოფლო მმართველობა რემეოლო მთავრის ბამულში, ხოლო ეს მმართველობა იგივე იყო, რაც საბღოთესუცესის ლრის არსებული წესები, რომლებმაც, როგორც ვუწყით, ხალხი აა-ჯანყა კიდეცა; ყოველივე ამას დ. ყიფიანი იმასაც დასძენდა, რომ ექვსმა ათასმა სააზნაურო გლეხებმაც ვადასახადი უნდა იხადონ, ამიტომ, რომ ამათ მთავარი ახდევინებდა, როგორც საჭირო ხარჯს სამეგრელოს მართვა-გამგეობისათვისო. ეს სარჩელიც უსაფუძვლო იყო ყიფიანის მხრივ, ამიტომ, რომ სამეგრელოს მართვა-გამგეობა რუსის მთავრობასა ჰქონდა ჩაბარებული, მაშასადამე, ხალხისაგან აკრებილი ვადასახადიც რუსის მთავრობას უნდა ჩაპბარებოდა და არა მთავრის მამულების საშზრუნველოს; ხოლო რუსის ადმინისტრაცია არამცთუ არა სთხოვდა ხალხს ამ გადასახადს, არამედ საჭიროდ სთვლიდა, რამდენისამე წლით ყოველგვარ გადასახადისაგან განეთავისუფლებინა სამეგრელოს მკვიდრნი, როგორც გაჭირვებულს მდგომარეობაში მყოფნი. აქაური რუსის ადმინისტრაცია თავისს ჯამაგირს მთავარმართებლის განკარგულებით იმ თანხიდან იღებდა, რომელიც იკრიბებოდა ფოთისა და ყულევის[355] საბაჟოებიდან. ხოლო რაც რუსის ადმინისტრაცია შემოვიდა, სამეგრელოში დაუბაჟავი საქონლის შემოტანა ისე შემცირდა, რომ ყოველწლიურმა შემოსავალმა ამ საბაჟოებისამ სამოც ათას მანეთით იმატა.

კოლუბიაკინმა პირდაპირ განუცხადა ბარიატინსკის: თუ ყიფიანის მოთხოვნილებანი შეწყალებულ იქმნენ და ჩემდამი რწმუნებულ მხარეში მშვიდობიანობა დაირღვა, ჩემი ბრალი არ იყოსო.

რა თქმა უნდა, ბარიატინსკიმ, როცა ასეთი საბუთიანი აზრი მოისმინა, კოლუბიაკინის მხარე დაიჭირა. მაშინ ყიფიანმა სთხოვა: ნება გვიბოძეთ, პეტერბურგს წავიდე და ყოველივე ეკატერინე დედოფალს[142] მოვახსენოვო. ბარიატინსკიმაც ნება დართო და ყიფიანი პეტერბურგს წავიდა. ამ სახით, მთავრის მამულების საქმე კავკასიიდან უმაღლეს მთავრობას ჩაუვარდა განსახილველად და, როგორც დავინახავთ, დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

ქრისტეშობისთვის გასულს მ.პ.კოლუბიაკინი ტფილისიდან დაბრუნდა და ძალიან გახარებული იყო: — საქმე როგორც ბე მინდოდა, ისე გავათავეო...

სამეგრელოს თავი დავანებე, მაგრამ შორიდანაც თვალყურს ვადევნებდი ამ მხარის ამბებს. პეტერბურგში ყიფიანი და სამეგრელოს დედოფალი ცდილობდნენ, მთავრის სამზრუნველო საქმე, როგორც თვითონ სნადდათ, ისე დაებრუნებინათ და იქიდან ხმა მოგვდიოდა — ორსავე იმედი აქვთ გამარჯვებისაო.

ამ დროს ერთ-ერთ რუსულ გაზეთში,[356] რომელიც საზღვარგარეთ იბეჭდებოდა და რომელსაც კავკასიაში ხშირად შეხვდებოდა კაცი, 1861 წ. 1 ოქტომბრის ნომერში, შემდეგი წერილი დაიბეჭდა:

„...დედოფალი და ყიფიანი ვალდებულნი იყვნენ, სამეგრელოს მართვა-გამგეობის საქმეში არ გარეულიყვნენ, მაგრამ მაინც ხელს უშლიდნენ კოლუბიაკინის განკარგულებებს და მათს წინააღმდეგ მიდიოდნენ. ყიფიანი, როგორც მზრუნველი მთავრის მამულებისა და კავკასიის მთავარმართებლის საბჭოს ნევრი, როცა სოფლებს ივლიდა, სცვლიდა და სჯიდა სოფლის მამასახლისებს, მოსამართლეებსა და ხარჯთამკრებებს და თავისით სხვას ნიშნავდა ამ თანაშეწყობაზე. იმ გლეხებს, ვისაც წინედ ხარკის ერთბაშად შეტანით ან რაზე სამსახურით მეშამულეთაგან თავი ჰქონდათ დახსნილი ყოველწლიურ გადასახადისაგან და საკუთრებად მამული შეეძინათ, დ. ყიფიანი იძულებულს ჰყოფდა, სადადიანო გლეხებად ჩაწერილიყვნენ თავის ნაყიდ მამულითურთ, იმიტომ, რომ ვახტანგის კანონის[357] ძალით, რაც ეკლესიასა და თავადაზნაურობას არ ეკუთვნოდა, მთავრის საკუთრებად ითვლებოდა. დედოფალი თხოულობდა აგრეთვე, რომ გლეხებს სხვადასხვა სამსახურის მაგიერ თითო კომლს ერთ თუმნიდან სამ თუმნამდე ეხადნა მთავრის ოჯახისათვის. რათა საკვებით გაითვალისწინოს ადამიანმა მთელი უსაფუძვლობა ასეთის ბრძანებისა, საკმაოა იცოდეს: 1) რომ ბუნებრივი ხარკი — ხარკი კი არ იყო, არამედ აღმნიშვნელი იყო გლეხის მორჩილებისა თავისი ბატონის მიმართ და ეს სამსახური გლეხს მაშინ ემართა, როცა მის სოფელში მთავარი მობრძანდებოდა. მაგალითად, ერთი კომლი ვალდებული იყო, მთავრის ცხენის კისრის მარჯვენა მხარე გაეწმინდა, მარცხენა მხარის გაწმენდა მეორე კომლს ემართა, მესამეს ცხენის კუდი უნდა გაეშალა, მეოთხეს — უზანგი ჩამოეწია და სხვ.; 2) რომ გლეხების უმრავლესობას ამ მხარეში, სადაც არც გზაა, არც რაიმე მრეწველობაა, თვალითაც არ უნახავს ამდენი ფული და რომ ნახოს კიდეცა, შეიძლება ვერც კი მოახერხოს მისი დათვლა; 3) კანონმა რომ შეიწყნაროს ეს მოთხოვნილება სამზრუნველოსი, რუსის ჯარი იძულებული გახდება, ძალით აასრულებინოს ხალხს და მაშინ ამ ხალხს ჭირივით უნდა შესძულდეს რუსის მთავრობა.

კოლუბიაკინისა და დედოფლის ბრძოლის ბედი სანამ ტფილისში სწყდებოდა, საქმე კარგად მიდიოდა, მიუხედავად ბარიატინსკის არისტოკრატიზმისა და დიუკრუასის[358] ლეგიტიმიზმისა. ამათ ესმოდათ, რომ, თუ დედოფალი არ ავლაგმეთ, სამეგრელოს მკვიდრნი ურჩ ერთა მხარეს გადავლენ და ეს საშიში იქნება, რადგან მეზობლად სამურზაყანოელნი და სვანები ჰყავთო. ამიტომ, რაკი ყველა მოთხოვნილებანი დედოფლისა უსაფუძვლოდ იცნეს, ხოლო კოლუბიაკინის მოქმედებანი — კანონიერად, მთავარმარ-

თელბლის საბჭომ ეს საქმე კავკასიის კომიტეტს გადასცა, რომ აქ ბუტკოვს[257] განეხილა. ვლადიმერ პეტრეს ძე ბუტკოვი ყველა ღამაზ ქალების მფარველად ითვლებოდა და დედოფალსაც არ დააკლო თავისი მფარველი ყურადღება. სანამ არავინ იცოდა, ბარიატინსკი მორჩებოდა თუ არა, ბუტკოვს ეშინოდა მის წინააღმდეგ ნასელისა, პირდაპირ არაფერს სწყვეტდა და საქმე მოელი ორი წელინადი აჭიანურა; მაგრამ როცა ექიმებმა გადაწყვიტეს, ბარიატინსკი მძიმე აკადმყოფიაო, ეს უკანასკნელი საზღვარგარეთ წაიყვანეს. ამასობაში ბუტკოვმა გაიგო დედოფალი სასახლეში გავლენიან პირებთან დაახლოებული შეიქმნაო -- მაშინათვე მის სასარგებლოდ გადაწყვიტა საქმე. ყველა მოთხოვნილებანი დედოფლისა საფუძვლიანად იქნენ ცნობილნი. საკენი[258] და ბოროზდინი სამეგრელოდან სხვაგან გადაიყვანეს, ხოლო კოლუბიაკინის ალაგზე დანიშნეს კავკასიაში თავისის უპატიოსნობით ცნობილი ჭილაშვილი,[84] რომელიც ყიფიანს ნათესავადაცა ხედება.

ძნელი წარმოსადგენია, — ათავებს წერილის ავტორი, -- რარიგ აღაშფოთა ბუტკოვის საქციელმა კავკასიაში მოსამსახურე რიგიანი პირები. არავისა სჯეროდა, თუ დედოფლის უსაფუძვლო მოთხოვნილებანი კავკასიის კომიტეტის მიერ საფუძვლიანად და კანონიერად იქმნებოდნენ ცნობილნი და თუ სამეგრელო ისევ დედოფლისა და მისის მზრუნველის, ყიფიანის, მსხვერპლი გახდებოდა, და თუ რუსის სახელის შესარცხვენად ამ მხარეში უფროსობას ჭილაშვილს მიანდობდნენ. ახლა ბევრნი ჰნანობენ თავად ბარიატინკის წასვლას. მართალია, ნაკლულევანება ჰქონდა, სწავლა-განათლება აკლდა, არისტოკრატიულის ჩამომავლობით თავი მოჰქონდა, მაგრამ ბუტკოვს მაინც ასეთის სამარცხვინო საქმის ჩადენის ნებას არ მისცემდა და შეიძლება უბედურ სამეგრელოს ხალხისათვის ტანჯვა აეცდინა, ხოლო რუსის სახელი სირცხვილისაგან დაეფარნა".

მე და კოლუბიაკინმა ამ წერილის ავტორის ვინაობა ვერ გავიგეთ; ეტყობოდა კი, რომ თუმცა ზოგიერთ წვრილმანების აღწერაში სცდებოდა ავტორი, მაგრამ საზოგადო ვითარება ამ საქმისა კარგადა ჰქონდა გაცნობილი. ისიც სცოდნია, უმაღლეს დაწესებულებებში რა აზრისანი იყვნენ ამ საქმის შესახებ. აგრეთვე, ისიც ეტყობოდა, რომ ავტორი პეტერბურგის მცხოვრები უნდა ყოფილიყო. ჩვენ კავკასიაში ჯერ კიდევ არ ვიცოდით, რომ საქმე ასე უკულმა იყო დატრიალებული. ეს ამბავი მხოლოდ კარგა ხანს შემდეგ გავიგეთ, როცა ტფილისში გახარებული ყიფიანი დაბრუნდა და მასთან ერთად მოვიდა სახელმწიფო საბჭოს უმაღლესად დამტკიცებული მოწერილობა მთავრის მამულის სამზრუნველო საქმის შესახებ, რომლითაც ყიფიანის მოთხოვნილება საფუძვლიანად იქნა ცნობილი.

ამ დროს მთავარმართებლის თანამდებობას ასრულებდა გენერალ-ადიუტანტი, თავადი გრიგოლ დიმიტრის ძე ორბელიანი, ხოლო სამოქალაქო სამმართველოს უფროსად იყო სტატს-სეკრეტარი ალექსი თეოდორეს ძე კურუზენშტერნი.[116] უმაღლესად დამტკიცებული ქაღალდი რომ წაიკითხეს, ამათ უხერხულად სცხეს ძისი ასრულება, სანამ თავადს ბარიატინსკის არ აჩვენებდნენ, ამიტომ ეს ქაღალდი საგანგებო იფრინდას ხელით დრეზდენში გაგზავნეს ფელდმარშალთან. სანამ იფრინდა წავიდოდა, კრუზენშტერნმა მ.ა.კოლუბიაკინს შემოუთვალა: ამ დოკუმენტთან ერთად თქვენი მოსაზრებაც გაუგზავნეთ ბარიატინსკისაო. მე სსორედ ამ დროს ტფილისში ვიყავი, კოლუბიაკინთან ვცხოვრობდი და იმან მომინვია, ამ ქაღალდის შედგენაში დავხმარებოდი. ასე რომ, ამ საქმეში მის გათავების დროსაც მივიღე მონაწილეობა. როცა ყველაფერი გამოვაწყეთ, იფრინდამ ბარიატინსკისაკენ გასწია. ტფილისში ეს ამბავი არავინ იცოდა, ამიტომ ყიფიანი გამარჯვებულის კაცის სახით დადიოდა და თან მოუთმენლობასაც იჩენდა: სახელმწიფო საბჭოს დადგენილების ასრულებას ასე რატომ აგვიანებენო?

ბარიატინსკიმ ეს ქაღალდი რომ მიიღო, ცეცხლი მოიკიდა. დარწმუნებული იყო, ხელმწიფე[218] შეუცდენიათ და ისე დაუმტკიცებინებიათ ეს ქაღალდიო და მის უდიდებულესობას წერილი მისწერა. შემდეგში ეს წერილი საქმეებში იყო ჩაკერებული და მეც მქონდა შემთხვევა, ნამეკითხნა. ძალიან ვსწუხვარ, რომ მისი პირი არ გადმოვიღე. მშვენიერის რედაქციითა და ლოგიკით იყო დაწერილი, მთლად ფელდმარშლის კალამს ეკუთვნოდა. ეს ამბავი იმათ მითხრეს, ვინც მაშინ მასთან დრეზდენში დაახლოებულნი იყვნენ. მისი შინაარსი, რამდენადაც მახსოვს, შემდეგი იყო:

„სახელმწიფო საბჭოს, როცა სამეგრელოს მთავრის სამზრუნველოს საქმეს სწყვეტდა, ხელმწიფეო, სახეში არა ჰქონდა ის მოსაზრებანი, რომელნიც გვქონდა მე და თქვენ, — ასე სწერდა ფელდმარშალი ხელმწიფე-იმპერატორს, — სახელმწიფო საბჭომ არ იცოდა, რომ სამთა, შავი ზღვის ნაპირას მდებარე დამოუკიდებელ სამთავროთა,[360] გაუქმება თქვენმა უდიდებულესობამ პრინციპიალურად გადასწყვიტა კიდეც, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მათმა შინაურულმა ნეს-წყობილებამ თავისი კალო გალეწა, თავისი დრო მოსჭამა; მეორეც იმიტომ, რომ ამ უკანასკნელის ომის[361] დროს ზოგი მათგანი მეტად ორპირულად იქცეოდა. ეს გადაწყვეტილება სახელმწიფო საბჭომ არ იცოდა. ამის შემდეგ მცხოვრებთა ინტერესები არ უნდა შევნიროთ მთავრის ქონებრივ ინტერესებს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მთავრის ინტერესების ერთგულად დაცვამ ამ ორის წლის წინად სამეგრელოში ხალხი ააჯანყა. მზრუნველის, — ყიფიანის, — მოთხოვნილებანი ყველანი განვიხილე და მათი შესრულება შესაძლებლად ვერა ვცანი, მაგრამ სახელ-

მნიფო საბჭომ მაინც ყველანი შეიწყნარა. ჩემს მოვალეობად ვთვლი, თქვენო უდიდებულესობავ, გაგაფრთხილოთ, რომ თუ საქმე ამით გათავდა, ხალხი აყაყანდება და ადმინისტრაციაც მეტად უხერხულ და სასირცხვილო მდგომარეობაში ჩავარდება".

ხელმწიფემ ეს ქაღალდი რომ მიიღო, მაშინათვე მოიხმო ბუტკოვი და დიდი საყვედური უთხრა მთავარმართებლის აზრის წინააღმდეგ საქმის გადაწყვეტისათვის. ბუტკოვმა თითზე იკბინა, რა იცა რა არ მოახსენა ხელმწიფეს თავის მოქმედების გასამართლებლად. მაგრამ ხელმწიფემ მაინც ის უთხრა: თუ გინდათ, გაფუჭებული საქმე გამოაკეთოთ, წადით ახლავე დრეზდენში. პირადად მოელაპარაკეთ ბარიატინსკის სახელმწიფო საბჭოს დადგენილების გამოცვლის შესახებ.

ბუტკოვმა დრეზდენში გასწია საჩქაროდ და ბარიატინსკიმ სამი დღე აცდევინა: ავად ვარ და არ შემიძლიან მიგიღოვო. ის კი არა, ფელდმარშალს უნდოდა კარგად ეგრძნობინებინა ბუტკოვისათვის თავისი შეცთომა და უტაქტობა. ბუტკოვი ბარიატინსკის „შენობით" ელაპარაკებოდა. ბოლოს, როგორც იყო, შეუშვეს მის ოთახში. თავადი ლოგინში მწოლარე დაუხვდა და ამბობენ, ამ სიტყვებით დაუწყო ლაპარაკი:

„ნუთუ ჰფიქრობთ, თავადო, რომ მე თქვენის სურვილისა და განზრახულების წინააღმდეგ შემიძლიან წავიდე?! ამ შემთხვევაში მხოლოდ თქვენისავე საბჭოს ნევრი ყიფიანია დამნაშავე. აბა რას მოვიფიქრებდი, თუ ის საქმეს თქვენის შეხედულების წინააღმდეგ ნაიყვანდაო?.."

ლაპარაკი ამ კილოზე გააბეს და ვაცად განტევებისად ყიფიანი შეიქმნა — მთელი საქმე ბარიატინსკის სურვილისამებრ იქმნა გადაკეთებული, აგრეთვე იმ გეგმით, რა გეგმაც პირველში მ.პ. კოლუბიაკინმა წარმოადგინა. როცა ხელმწიფემ ბუტკოვისგან შეიტყო, თუ ვინ იყო დამნაშავე, ბრძანა — [ყიფიანი] სამსახურიდან დათხოვნილ იქმნასო.

ორმა თუ სამმა კვირამ რომ განვლო გახარებულის ყიფიანის ჩამოსვლის შემდეგ, ტფილისში მეორე დებულება მიიღეს სახელმწიფო საბჭოსი, უმაღლესად დამტკიცებული, და გრიგოლ ორბელიანს მოწერილობა მოუვიდა: დიმ. ყიფიანი მოიხმე და გამოუცხადე, ან თხოვნა შემოიტანოს სამსახურიდან გასვლის შესახებ, ან, თუ ეს არ აღასრულოს, სამსახურიდან დაითხოვეო. ყიფიანს ეს რომ გამოუცხადეს, თავისი ნებით სამსახურიდან გასვლა არ ინდომა და დათხოვნილ იქმნა.[352]

და ამით, როგორც იქნა, საბოლოოდ გადასწყდა სამეგრელოს მთავრის მამულების საქმე. ეს მამულები იმნაირადვე კერძო საკუთრებად იქმნა აღიარებული, როგორც სხვა მემამულეთა მამულები და, გარდა ამისა, 6 000 აზნაურების გლეხები განთავისუფ-

ლებულ იქმნენ მთავარის ბეგარისაგან. რათა დედოფალს ძალიან არა სნყენოდა საქმის აქეე გადანყვეტა, გულკეთილმა ხელმწიფემ სააზნაურო გლეხების ჩამორთმევის ბადლად ნლიურად 10 000 მანეთი ოჯარა დაუნიშნა.

თავადი ბარიატინსკი მერე იტყოდა ხოლმე: ხელმწიფესთან რომ მივედი და, სხვათა შორის, სამეგრელოს საქმეც გავიხსენეთ, ხელმწიფემ ღიმილით მითხრაო:

„იცი, დედოფალი ჩვენ ორსავეზედვე ჭკუიანი გამოდგა, იმჯენი რაზე მიჰკიბ-მოჰკიბა, რომ პოლოს იძულებული შევიქმენ, ტყუილუბრალოდ ათასი თუმანი ოჯარა მიმეცა. ნაგებული არ არის"...

ანტონ ფურცელაძე[319]

სკოლა და ბანკი

(ნაწყვეტები)

დაუვიწყარი დიმიტრი ყიფიანის შორს გამჭვრეტმა ამ შემთხვევაში გონებამ მოისაზრა და ასნონა მაშინვე, რომ უმთავრესი ფაკტორი ცივილიზაციის წარმატებისა არის სნავლა, მეცნიერება, განათლება.

ჩვენს ბედზედ ეს მხნე, დიდი გონისა და ნიჭის კაცი, კაცი მოქალაქობრივი გაბედულებისა, იყო იმ დროს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის მარშლად,[62] როდესაც გამოსდიოდათ მებატონეთა ყმების ფული. ამან ისარგებლა ამითი და შეუდგა ჩვენი სნავლა-განათლების სამკვიდრო საქმეს. ამაზედ მარჯვე დროს ამისთვის ის ვეღარა ჰნახავდა. იმან განიზრახა გადაედებინა თავადაზნაურთათვის ბანკის შესადგენათ ნაწილი იმ ფულისა, რომელიც გამოსდიოდათ იმათ ხაზინიდამ ყმებში. ის შეუდგა ამ საქმეს გასაოცარი სიმხნევითა და ცოდნით. იმან შესძრა ამაზე მთავრობა, გუბერნატორი ორლოვსკი,[149] რომელიც ამისი პირადი მეგობარი იყო, შესძრა უეზდის მარშლები, უპირველესი საქართველოს პირები, მთელი ქართლ-კახეთის თავადაზნაურობა წერილებით, პირად მოლაპარაკებით; შესძახოდა, აგონებდა მომავლის ნინ მოვალეობას და შეეედრიდა, დაჰხმარებოდნენ ამას ამ დიდს საქმეში. ჩამოუარა მთელს ქართლ-კახეთს, დაუარა ოჯახებს; აიღო ნება საგანგებო უეზდის თავად-აზნაურთა კრებებისა; ესნრებოდა ამ კრებებზედ; მხურვალე გულით, ცხარე, რიხიანი, შენყობილი, დასაბუთებული სიტყვებით, რომლებისაც უკეთესი იქნება თვით უმაღლესად გა-

ნათლებულს ევროპის ერებშიაც ძვირად გაისმოდეს;* შეასმენდა თავად-აზნაურთა ამ დიდი საშვილიშვილო საქმის კეთრებას.

აი, სხვათა შორის, ზოგიერთი მისი ნერილებისა ამ საქმეზედ.

9 ნოემბერს 1864 წ. ისა სწერს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობას:

„ჩვენმა ყმებმა თავისუფლება მიიღეს; იმათის სამსახურის მაგიერად ჩვენ გვეძლევა ხელმწიფის სიუხვიდგან ფული.

სიმართლით და წინამხედველობის ვალდებულებით რიგი იქნებოდა, რომ ეს ფული ერთიანად ან უმეტესი ნაწილი მაინც შესანახავად გადავეცეს ჩვენის შვილებისა და მემკვირდრეებისათვის.

მაგრამ მეტყვიან რომელნიმე: ამჟამად თვითონ ჩვენ გვიჭირს საქმეო... და ჩვენს შთამომავლობას რომ არა დაუგდოთ-რა, ვის რა დავა აქვსო.

დიაღ მართალი და დიაღ საფუძვლიანი იქნება ეს სიტყვა, მაგრამ ჩვენში მე ისეთი შვილების პატრონი მამა არ მეგულება, რომ ამ სიტყვას დაადგეს და შვილებისათვის აღარ იზრუნოს; — არც არავინ ისეთი უშვილო მეგულება, რომ იტყოდეს, ძე კარგად ვიყო და ქვეყანა წყალმაც წაიღოსო.

ამის გამო არა იმათ, არამედ ყოველთავე თავად-აზნაურთა მოგმართავთ, რომელთაც შეგიძლიანთ ნათელი გონიერებითაც ცხადათ დაინახოთ და განნმენდილის გულითაც კარგად ასნონოთ, ვის რა ვალდებულება გაძევთ წინაშე ღვთისა, ან რა პასუხის გამცემნი უნდა იყვნეთ თქვენის შვილებისა, თქვენის საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე — თუ დღეევანდელი ნიჭი უნაყოფოთ მოიხმარეთ...

მე მხოლოდ ამას გირჩევთ, გთხოვთ და გევედრებით, რომ ერთი მეხუთედი მაინც გადასდვათ თქვენთვისვე სახვალიოდ და თქვენის შვილებისა, შვილისშვილებისა და უშორესის შთამომავლობისათვის...

ნუ აჩქარდებით უარის თქმით; აჩქარება მხოლოდ კეთილის საქმისათვის არის კარგი, — და აქ თუ უარი წარმოსთქვით, გამოტეხილი უნდა ვსთქვა, რომ ასეთი ცუდი საქმე დაგვემართება ყოველთავე, რომ გამოკეთება აღარას დროს შეიძლებოდეს...“[363]

31 აგვისტოს 1864 წ. ისა სწერს უეზდის მარშლებს სხვათა შორის შემდეგს:

„ჩვენი ბატონყმობის საქმე ამ მომავალს ნოემბერში უნდა დაბოლოვდეს. კეთილგონიერება გვაწევს, რომ ახლა განსაკუთრებითი ყურადღება ჩვენის შვილების აღზრდას მივაქციოთ, რადგან

* სამწუხაროდ, ყიფიანი ამ ხანებში და ყიფიანი მისი სიცოცხლის ბოლოს ხანებში სულ სხვა და სხვა იყო, თითქმის საცნობიც აღარ იყო. ავტ.

ჩვენს ნარსაგებელს ისე ვერა აღადგენს-რა და ვერა შეავსებს-რა, როგორც სწავლა-განათლება ჩვენი შთამომავლობისა...

სხვა მრავალს მსხვერპლთან გავბედოთ ერთი ისრეთი მსხვერპლიცა, რომ ჩვენს ძველის დროიდგან განთქმულს ქველის მოქმედებას და კეთილშობილებას შეეფერებოდეს, და ერთი-ერთმანეთს ხელი მივანვდინოთ ჩვენი შვილებისა და შთამომავლობის სწავლა-განათლებაზედ...

მინათიდამ აბაზი გადავდოთ იმ ფულიდამ, რაც ყმების სამსახურის მაგიერად ვვებოძება.

ამას მე ვითხოვდი საზოგადოებისაგან დიდის ვედრებით, მაგრამ ვიცი, რომ ჩვენს საზოგადოებას თხოვნა კი არ უსდა, მხოლოდ მოგონება არის საჭირო. წინააღმდეგობას თუ ვინმე ინებებს, ამას მე ვერასდროს ვერ ვიფიქრებ და ქართველთა კეთილშობილებას ამას ვერ შევკადრებ"...[364]

იმ წიგნთა და მიწერ-მოწერათა შორის, რომლებითაც ყიფიანმა შესძრა ყველა, ვისი დახმარებაც საჭირო იყო ამ თქმაში, არის საყურადღებო წიგნი გრიგოლ ორბელიანთან.[41] ჩვენ ეს წიგნი და ამბავი, რაც ამ წიგნამდის ყიფიანსა და გრიგოლს შუა მოხდა, გვაჩვენებს, სადამდის იყო ყიფიანი გატაცებული ამ საქმით, რომ ის თავისს თავმოყვარეობასაც არა ჰზოგავდა, ოღონდ შესრულებულიყო ის, რაზედაც ეკიდა ჩვენი სწავლა-განათლების საქმე, ჩვენი საბოლოვო. გრიგოლი იყო წინააღმდეგი ყიფიანის მარშლად არჩევისა და ბევრიც კიდევ სხვა უსიამოვნება მოუხდათ.

აი, სწორედ ამ ამბების უკან, რასა სწერს, სხვათა შორის, ყიფიანი გრიგოლს. წერილი არის დანიშნული 31 აგვისტოთი 1864 წ:

„კერძოობითად მე იქნება დანაშაული მიმიძღოდეს რამე ისეთი თქვენს წინაშე, რომ ღირსი ვიყვე წყრომისა, თუმცა კი დიდის სიამოვნებით შევინანებდი, რომ ვიცოდე, რა არის ჩემი დანაშაული. მაგრამ რაც მოხდა — მოხდა. მარშალი ვარ ახლა და საკუთრად ამ წოდების ვალდებულებით მივმართავ თქვენს ბრწყინვალებას: დიდ შემწეობას გევედრებით, არა ჩემთვის, არამედ საზოგადო საქმისათვის, რომელსაც, უეჭველია, ყურადღებასაც მიაპყრობთ და არც თქვენი კეთილი გულისაგან შეუწყნარებლად განაგდებთ..."[365]

ასე იმდაბლებდა ყიფიანი თავს საზოგადო საქმისათვის. მაგრამ ბევრად არც ამან გაჭრა. მეტმა წილმა დიდკაცობისა, დიდი მამულების პატრონებმა, არ მისცეს მხარი ყიფიანსა.

უკეთესი მომხრე ამ საქმეში ყიფიანისა, როგორა გგონია მკითხველო, ვინ გახდა? — ბარონი ნიკოლაი,[108] გუბერნატორი ორლოვსკი,[149] მთავრობა... მოხერხებული საქმის დაჭერით, სამაგალითო თავის გამოდებით, ყიფიანმა მოახერხა, რომ გარდა თავად-აზნაურთაგან შეწირული რვა ათასი თუმნისა ბანკის შესადგენათ,

მთავრობამ სწორედ ერთი-ორად მეტი ფული მისცა თავადაზნაურობას ამავე საქმისათვის...

ყიფიანი თავის წერილებში მთავრობის პირებთანაც ერთისა და იმავეს შესძახოდა, რომ ესლა ჩვენი ხსნა სწავლა-განათლებაშია და მთავრობა უნდა ყოველი თავისი ღონით ეს გავლენით დაგვეხმაროსო.

ამ დაძახილზედ, ამ ვედრებაზედ, ამ შეგონებაზედ ქვეყნის საბოლოოს დასაცველად, თავადაზნაურობა შეიკრა. მთელი სილნაღის მაზრა, უკლებლივ დიდიდამ პატარამდის, სახელოვანი ივანე მალხაზიჩ ანდრონიკაშვილიდამ[366] დაწყობილი, უკანასკნელს აზხაურამდის მოემხრნენ ყიფიანს.

ყველა, გარდა მეტი წილი დიდკაცობისა, ჰხედავდა და ჰგრძნობდა, რომ ამას იქით ერთადერთი სახსარი თავის პატრონობისა, თავის რჩენისა იყო სწავლა-განათლება, რომ ამაზედ უკეთესი სახსარი არც ძოუგონია და ვერც მოიგონებს კაცობრიობა კაცთა სარჩენად, კაცთა წარმატებისათვის. ყველა კრებაზედ გარდასწყვიტეს, გაილონ ყმებში მოცემული ფულიდამ მანეთზედ აბაზი ბანკის შესადგენად, რომ ბანკის მოგებიდამ აღზრდილიყვნენ მათი შვილები, ვინც ამ საქმეს სწირავდა ფულსა...

ანტონ ფურცელაძე[319]

ჩვენი საზოგადოებრივი საქმეები და მათში ვახტანგ თულაშვილის მონაწილეობა

(ნაწყვეტები)

ქართული თეატრი, როგორც ცნობილია, დაარსდა ისეთი დიდი სახელმწიფო მოღვაწის ხელში, რომლის ბადალი რუსეთს სხვა არცა ჰყოლია. ესაა კავკასიის მეფისნაცვალი, უგანათლებულესი თავადი (Светлейший князь) მ.ს. ვორონცოვი.[79] თავიდან თეატრი, — კარგად აღარ მახსოვს — სახელმწიფო თუ ქალაქის სუბსიდიებით არსებობდა, მაგრამ შემდგომში, — მეფისნაცვალ მურავიოვის[115] დროს, — იგი დაიხურა.[367] ჩვენ, ახალგაზრდებს, ჯერ საზოგადოებაში გამოუსვლელებს, ნახევრად მშივრებს, ნახევრად მინურებში მცხოვრებთ, გაგვიჩნდა ქართული თეატრის მკვდრეთით აღდგენის იდეა. სუბსიდიებს, რასაკვირველია, არავინ მოგვცემდა — ჩვენი სამოყვარულო ძალების იმედილა შეიძლებოდა გვქონოდა.

მალე ლაპარაკიდან საქმეზე გადავედით, პიესაც შევარჩიეთ...

ქალთა როლების შემსრულებლები არ გვყავდა, რადგან ნესიერი მანდილოსნის სცენაზე გამოჩენა ჩვენს ოჯახებში მაშინ ჯერ კი-

დევ დიდ სირცხვილად ითვლებოდა. იძულებულნი გავხდით, ამ როლებზე ჩვენი მეგობარი მამაკაცები მოგვეწვია.

დაიწყო რეპეტიციები. მართალია, საქმის ინიციატორებიდან თეატრალური გამოცდილება არც ერთს არ გვქონდა, მაგრამ ეს სრულებითაც არ გვაღელვებდა და განეაგრძობდით მუშაობას.

და აი, ერთ მშვენიერ საღამოს რეპეტიციაზე შეძოდის უცნობი პირი და ყოველგვარი წინასწარი შეთანხმების გარეშე გვაძლევს შენიშვნებს.

შენიშვნები მოგვეწონა! უცნობი ჩვენზე ვამოცდილიც აღმოჩნდა და რამდენიმე წლით უფროსიც. მხოლოდ რამდენიმე რეპეტიციის შემდეგ გავიგეთ პეტრე უმიკაშვილისაგან,[368] რომ ეს იყო მინისმზომელი ვასტანგ დიმიტრის ძე თულაშვილი.[173] ამის შემდეგ თულაშვილი აკურატულად დადიოდა ჩვენს რეპეტიციებზე.

რეპეტიციები დიდხანს გაგვიგრძელდა. თანდათანობით ჩვენების ნიჭიერებაც გამომჟღავნდა, ოღონდ ეგაა, ვაჭართა როლები არავის გამოსდიოდა. მაშინ თულაშვილმა მოიყვანა ვინმე მამულოვი,[369] — სახელი, სამწუხაროდ, არ მახსოვს, — რომელსაც წინასწარ შერჩეულ ორ პიესაში ვაჭართა თამაში მივანდეთ. მამულოვმა კომიკურ როლებში ისეთი ნიჭიერება გამოავლინა, რომლის მსგავსი შემდეგ ქართულ სცენაზე სხვა არც გვინახავს.

მალე, ჩვენდა გასაკვირად, ამ გასაცოდავებულ ხუხულაში სიარული დაიწყო დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანმა, რომელსაც მეფისნაცვალ მურავიოვის დროს ჩვენს მხარეში ერთი უპირველესი თანამდებობათაგანი ეჭირა სამოქალაქო ნაწილში.[370] თულაშვილის მსუავსად, ისიც ჩვენს „არტისტებს" მითითებებს აძლევდა — თანაც საქმის ისეთი ცოდნით, რომ ამ კაცს დიდი თეატრების ბევრი რეჟისორი მონაფედაც კი დაუდგებოდა.

დიმიტრი ყიფიანს სცენა ძლიერ უყვარდა და თვალს ადევნებდა თეატრალურ ცხოვრებას არა მარტო თბილისში, არამედ იმპერიის დედაქალაქში და თვით პარიზშიც კი.[371] უფრო მეტიც — იგი იკვლევდა კიდევაც სახელგანთქმული მსახიობების, — ტამბერლიკის,[372] ადელინა პატის[373] და სხვათა, — შემოქმედებას. ჩვენი გამოუცდელი ბიჭუნებისგან დიმიტრი ყიფიანმა ნამდვილი მსახიობები შექმნა. ამასთანავე, მათ სულის სიმხნევე და გაბედულებაც ჩაუნერგა. მსახიობთა ძველი სიმორცხვისა კვალიც აღარ დარჩა; ტექსტის სრულფასოვნად გაგება და ათვისებაც ისნავლეს.

დიმიტრი ივანეს ძის გამოჩენამ სხვა დაბრკოლებაც მოგვიხსნა — აღარ დაგვჭირდა ისეთი კაცის გამოძებნა, ვინც ნამდვილ სცენას გვიშოვიდა. მოამზადა რა სათანადოდ მსახიობები, მან ჩვენი თხოვნის გარეშეც მოგვიხერხა სცენაზე თამაშის ნებართვა.

სპექტაკლმა ბრწყინვალედ ჩაიარა.[374] თეატრი გადაჭედილი იყო. თბილისის მთელმა მაღალმა საზოგადოებამ აქ მოიყარა თავი.

ოჯახებით იყვნენ მოსულნი მეფისნაცვლის მთელი ამალა, გუბერნატორი ირლოვსკი,[129] წარჩინებული ვაჭრები და მოქალაქენი (Мокалаки).* ბევრმა საერთოდ ვერ იშოვა ბილეთი და გარეთ დარჩა...

სპექტაკლი საერთო აღფრთოვანებით დამთავრდა.

პუბლიკის ნახევარს, თუ მეტს არა, — სომხები, რუსები და სხვა ეროვნების წარმომადგენლები შეადგენდნენ. ეს ის დრო იყო, როცა „მოსკოვსკიე ვედომოსტისა"[209] და „რუსსკი ვესტნიკს"[159] ჯერ კიდევ არ ჰქონდათ დანყებული არარუსთა დევნა-შევიწროება ნაციონალურ ნიადაგზე...

ჩვენი დასის წარმატება აშკარაზე აშკარა იყო. სპექტაკლზე დახარჯული თანხის გასტუმრების შემდეგ 800 მან. სუფთა მოგება დაგვრჩა. ეს ფული დ.ი. ყიფიანის სურვილით მასვე გადაეცა გიმნაზიაში[375] სატანავარჯიშო მონყობილობების გასამართავად (დიმიტრი ყიფიანი იმჟამად ამ სასნავლებლის მზრუნველად იყო არჩეული[376] თავადაზნაურობის მიერ).[377]

წარმატებამ ნაგვახალისა. უფრო გაბედულად შევებით საქმეს და გადავწყვიტეთ, რადაც არ უნდა დაგვჯდომოდა, ხორცი შეგვესხა ჩვენი მიზნისთვის — ქართული თეატრის აღორძინებისთვის...

დაახლოებით ჩვენი თეატრალური ნრის მოღვაწეობის დასაწყისისთვის დიმიტრი ყიფიანმა (იგი ამ დროს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი იყო[62]) აღძრა ბანკის დაარსების საკითხი. ამ საქმეში მას აქტიურად ეხმარებოდნენ ერთი კეთილშობილი გვარის წევრები: ძმები კონსტანტინე,[202] იოსებ,[45] ილია[378] ქრისტეფორეს ძენი და ახალგაზრდა მიხეილ გაბრიელის ძე მამაცაშვილები.[379] ეს ჭკვიანი, შორსმჭვრეტელი ხალხი და მათი თანამოაზრენი კარგად ხედავდნენ, რომ ქართველთა უმრავლესობა სოფლად ცხოვრობდა, ხოლო ქალაქელი ქართველობა სიდუხჭირეში იყო ჩავარდნილი. მათ იმის საშუალებაც კი არ ჰქონდათ, რომ განათლება მიეცათ შვილებისთვის და დიდი ხანია ცდილობდნენ, გამოენახათ სახსრები ამ საქმის მოსაგვარებლად. და აი, ყიფიანმა შეძლო ერთი ასეთი გზის გამონახვა. მისი ჩანაფიქრით, იმ ფულის ანგარიშზე, რომელსაც თავადაზნაურობა ხაზინისგან მიიღებდა გლეხთა გათავისუფლების საზღაურად, უნდა დაარსებულიყო იპოთეკური ბანკი, შემოსავალი კი ხელმოკლეთა შვილების აღზრდას მოხმარებოდა.

---

* „მოქალაქე" — თბილისის მკვიდრთა საშუალო ფენის წარმომადგენელი — ნერილი მოვაჭრე, ხელოსანი და მისთ. (ქეგლ, ტ.V, თბ., 1958, გვ. 995). შემდგ.

ამ მნიშვნელოვან საქმეს უდიდესი თანაგრძნობით შეხვდა ჩვენი დასის ყველა წევრი, მათ შორის თულაშვილიც. მაგრამ ნამოსყენებას მოწინააღმდეგეც ბევრი გამოუჩნდა, განსაკუთრებით მსხვილ მეამამულეთა და ავტორიტეტულ თავადთა შორის. სხვაზე მეტი წინააღმდეგობა იყო ყველაზე ღონიერ და გავლენიან გორის მაზრაში. ყიფიანის განზრახვას ნამდვილი ომი გამოუცხადეს. მემამულეთა დაყოლიებას ფულის გადადების თაობაზე დიდი შრომა და ენერგია სჭირდებოდა. ყიფიანმა სამაზრო კრებების მოწვევა დაიწყო. მას სურდა, ამ კრებებისათვის მიეღებინებინა სათანადო გადაწყვეტილებები და შემდეგ მათზე დაყრდნობითა და კანონის (IXტ., 162-ე სტ.) გათვალისწინებით საგუბერნიო ყრილობაზე ბანკის დაარსების ნებართვისთვის მიეღწია.

გარდა ყრილობის მომზადებისა, საქმე ისედაც უამრავი იყო. საჭირო გახდა თავადაზნაურობის თითოეული წევრის ცალ-ცალკე დაყოლიება, რომ ყოველ მათგანს ბანკისთვის განკუთვნილი წილი ხაზინაში ფულის მიღებისთანავე დაეტოვებინა. ამიტომ სწრაფად უნდა გვემოქმედა. საქმე ისაა, რომ ვინც თანხის მთლიანად აღებას მოასწრებდა, იმისი ფული ბანკს სამუდამოდ დაეკარგებოდა. ეს განსაკუთრებით ეხებოდა გორის მაზრას, სადაც თავადაზნაურობის ყველაზე გავლენიანი წევრები წინააღმდეგნი იყვნენ ბანკის დაარსებისა და სხვებზეც ახდენდნენ ზეგავლენას. ამიტომაც ზოგიერთმა ჩვენგანმა იკისრა მაზრის ფეხდაფეხ შემოვლა, ფულის მიღებამდე მემამულეთა ნახვა და მათი დარწმუნება დაწყებული საქმის სარგებლიანობაში.

თულაშვილი მაშინ თავმჯდომარეობდა სამიჯნო კომისიას, რომელიც გორის მაზრაში მუშაობდა, მე კი, როგორც თავადაზნაურობის წარმომადგენელი, ნევრი ვიყავი ამ კომისიისა. მემამულეები დაინტერესებულნი იყვნენ აღნიშნულ კომისიასთან კარგი ურთიერთობით და, ამდენად, თულაშვილს მათზე დიდი გავლენა ჰქონდა. მე, ჩემდათავად, მაზრაში მრავალრიცხოვანი ნათესავი თუ ნაცნობი მყავდა — განსაკუთრებით ღარიბ აზნაურთა წრეში. მსხვილი მემამულეებისგან დიდ წინააღმდეგობას წავაწყდით, რადგან მათ ბანკის გარეშეც შეეძლოთ შვილებისთვის აღზრდა-განათლების მიცემა. მაშინ მთელი ჩვენი ძალისხმევა ღარიბი აზნაურობისკენ მივმართეთ — ვარწმუნებდით, რომ მათ გლეხთა გათავისუფლების შემდეგ საბოლოო დაღუპვისგან მხოლოდ და მხოლოდ შვილებისთვის განათლების მიცემა თუ იხსნიდა. მე კი, ამას გარდა, მომინია ჩემი ნაცნობებისა და ნათესავების შემოვლა, რათა შემეპირებინა ისინი, ყმათა გათავისუფლებისთვის მიღებული ფულის ნაწილი ბანკის სასარგებლოდ გადაედოთ.

გარდა მსხვილი მემამულეების ვავლენისა, რომელთა შორის მაღალი რანგის ადგილობრივი ადმინისტრატორებიც ერივნენ, თა-

ვადაზნაურობას „პრიკაზის"[380] არსებობაც ჰქონდა გაგონილი და გაფრთხილებულნი იყვნენ, წისაალმოეგოთ გაენიათ ყოველგვარი ბანკებისთვის. მათი წარმოდგენით, „პრიკაზი" თავადაზნაურობის გასაჩანაგებლად იყო დაარსებული. საჭირო იყო მათი დარწმუნება, რომ „პრიკაზი" თავადაზნაურობის გასაჩანაგებლად კი არ დაარსდა, არამედ, პირიქით, მათივე გათავისუფლებისათვის კულაკობისგან და რომ „პრიკაზი" აქ საერთოდ არაფერ შუაშია. თავადაზნაურობამ, იმის ნაცვლად, რომ მევახშეები გაესტუმრებინა და „პრიკაზის" ფული სასარგებლო საქმეებისთვის გამოეყენებინა, ეს ფული ქეიფებსა და ყოვლად უსარგებლო ფუფუნებას შიაფშვნიტა. ჩვენს მიერ შეთავაზებული ბანკი კი მხოლოდ და მხოლოდ ბავშვების აღსაზრდელად და მათთვის განათლების მისაცემად არსდებოდა.

გორის მაზრაში ამავე მიმართულებით მოქმედებდა საგუბერნიო საკრებულოს საგლეხო საქმეთა კომიტეტის წევრი იოსებ ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილი. მას სამსახურებრივ საქმეებზე უხდებოდა მაზრაში მიმოსვლა და ღარიბ აზნაურობასთან შეხვედრა. ჩვენი საქმის სასარგებლოდ მუშაობდა მისი შვილიც — ზაქარია იოსების ძე მამაცაშვილი,[381] რომელსაც მაშინ რაღაც თანამდებობა ეჭირა მაზრის ადმინისტრაციაში და თავადაზნაურობასთან ხშირი შეხვედრების შესაძლებლობა ჰქონდა. გვეხმარებოდნენ, აგრეთვე, მსხვილი გორელი მემამულე ივ.დავ.სულხანიშვილი[382] და სხვები. მიზანდასახულმა პროპაგანდამ, განსაკუთრებით კი სახელმა დიმიტრი ყიფიანისა, რომელსაც საზოგადოებაში უზარმაზარი ავტორიტეტი ჰქონდა, აგრეთვე ახსნა-განმარტებებმა ი.ქ. მამაცაშვილისა,[383] რომელსაც ხელმოკლე აზნაურთა შორის დიდი ნდობა ჰქონდა მოპოვებული, საბოლოო წარმატება მოგვიტანა. გაღარიბებულმა აზნაურობამ წარმოადგინა განცხადება — კუთვნილი ფულის ნაწილზე უარს ვამბობთ იმ ბანკის სასარგებლოდ, რომლის შემოსავალიც ჩვენი შვილების აღზრდა-განათლებას უნდა მოხმარდესო. გარდა არაერთ აქაურ პატივსაცემ თავადთან კარგი კერძო ურთიერთობისა, გარდა სამსახურებრივი მდგომარეობის გამო გორის მაზრის თავადაზნაურობაზე ზეგავლენისა, თულაშვილს თბილისის მაზრაშიც ჰქონდა საკმაო გავლენა (იგი ამ დროს თბილისის მაზრის სათავადაზნაურო საკრებულოს წევრი იყო). ერთი სიტყვით, ამ ჭეშმარიტად უდიდესი მნიშვნელობის საქმეს თულაშვილმა დიდი ენერგია შეალია და დიდადაც შეეწია მის პრაქტიკულ განხორციელებას.

მართალია, თავადაზნაურობიდან ზოგი არ დათანხმდა ბანკისთვის ფულის გადადებას, მაგრამ დ.ი.ყიფიანის არაჩვეულებრივი ენერგიის, აგრეთვე მეფისნაცვლისა და გუბერნატორ ორლოვსკის უდიდესი მხარდაჭერის, წყალობით მაინც გადანყდა ბანკის დაარ-

ხეება. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ, სამწუხაროდ, საქმეს თვით კავკასიის მეფისნაცვლის, იმპერატორის ძმის, დიდი თავადის მიხეილ ნიკოლოზის ძის[15] თანაგრძნობამა და მხარდაჭერამაც კი ვერ უშველია. ძირითადი მიზეზი, სხვათა შორის, იმავე მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს ტვინიჭყლეტიობა იყო. ასეა თუ ისე, თავადაზნაურობის წინამძღოლობის პერიოდში ყიფიანმა ვერასგზით ვერ მიაღწია ბანკის ნესდების დამტკიცებას...[17]

გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლობიდან გადადგომის შემდეგ ყიფიანს ზედიზედ არაერთი უბედურება დაატყდა თავს: დაკარგა უსაყვარლესი შვილი — არაჩვეულებრივად ლამაზი არჩილი,[383] ნაადგო სასამართლო პროცესი უგანათლებულეს თავადთან (Светлейший князь), ნიკოლოზ მინგრელსკისთან,[166] რომლისგანაც ვალად დაედო 100-130 ათასი მანეთი,[384] აგრეთვე, ვაჭარ

---

* მართალია, შემდგომში მინგრელსკიმ უკანვე წაიღო თავისი მოთხოვნა, მაგრამ მაშინ ყიფიანისთვის მაინცდამაინც ეს სარჩელი იყო განსაკუთრებით მტკივნეული და გულდასაწყვეტი. საქმე ისაა, რომ სწორედ მინგრელსკის გამო დაკარგა მან სამსახურიცა და ის ბრნყინვალე კარიერაც, რასაც უქადდა ნიჭი, შრომისმოყვარეობა, დიდი ენერგია, დიდი ჭკუა, დიდი დაფასება სამთავრობო წრეებში — სხვათა შორის, მაშინდელი მეფისნაცვლის, თავად ბარიატინსკის,[121] კეთილგანწყობაც.

ყიფიანმა მინგრელსკის გამო სამსახური ასეთ ვითარებაში დაკარგა:

სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის, დავით დადიანის,[94] გარდაცვალების შემდეგ გადაწყდა სამთავროს გაუქმება. დაისვა საკითხი, რა ჯილდო უნდა მიეცათ მთავრის მემკვიდრეებისთვის წართმეული უფლებების სანაცვლოდ, აგრეთვე, რა ტიპის უძრავი ქონება და რომელი კატეგორიის გლეხობა დაემტკიცებინათ მათ პირად საკუთრებად. გარდაცვლილის ქონებისა და მემკვიდრეთა მეურვედ ყიფიანი დაინიშნა.[385] აღნიშნულ საკითხებზე კავკასიის მეფისნაცვალმა, თავადმა ბარიატინსკიმ, სათანადო მოხსენება გაგზავნა პეტერბურგში. რა მოსაზრებები გამოთქვა თავადმა ბარიატინსკიმ იმ მოხსენებაში, მე არ ვიცი. უნდა ვიფიქროთ, იქ საუბარი იქნებოდა სამეურვეოს შემოსავალზე და მთავრის ქვრივის[142] გაზრდილი მადის შეზღუდვაზე, რაც, თავის მხრივ, სულაც არ იქნებოდა საზარალო ადგილობრივი მოსახლეობისათვის. არ ვიცი, სილამაზით განთქმული კოლხეთის დედოფლისადმი (ასე უწოდებდნენ მთავრის ქვრივს) სიმპათიის გამო, არ ვიცი ყიფიანს მართლაც სჯეროდა, რომ სახასო მამულები ნამდვილად მთავრის კუთვნილება იყო, ყოველ შემთხვევაში, იგი ჩვეული ენერგიითა და უნარიანობით შეუდგა მტკიცებას — სახასო მამულებისა და გლეხობის მთავრის მფლობელობაში დატოვება კანონიერიაო.

თავად ბარიატინსკის მოხსენების შემდეგ ყიფიანი, როგორც მეურვე მთავრის ობლებისა, გაემგზავრა პეტერბურგს,[168] სადაც იმ დროს მთავრის მეუღლეც იმყოფებოდა შვილებითურთ.[386] ყიფიანმა მისთვის ჩვეული ტალანტით, მთავრის მეუღლემ — მეფური ღირსებითა და სილამაზით გაბათილეს თავად ბარიატინსკის მოსაზრებები. მინგრელსკიმ მთავრის უფლებებზე ხელის აღების სანაცვლოდ მიიღო ერთი მილიონი მანეთი;

ფორაქოვანთან[226] დაახლოებით 30 ათას მანეთამდე, თუ უფრო ნეტი არა.[388] ყიფიანი თავდებად დაუდგა თ-დ დიმიტრი აბხაზსა[221] და მის შვილს კონსტანტინეს (უნდა იყოს: ალექსანდრეს[222] — შემდგ.), რომელთაც ფორაქოვის ვალი ემართათ. ვინაიდან აბხაზებმა ფული ვერ გადაიხადეს, ვალის ვასტუმრება ყიფიანს მოუნია, რისთვისაც მას გაუყიდეს უზარმაზარი სამოსახლო ნაკვეთი თბილისში და დაუდგინეს პენსიის ნაწილის გამოქვითვა.[389] საქმე იქამდე მივიდა, რომ იგი იძულებული გახდა, მთელი თავისი [ქონების] ადგილ-მამულიც კი დაეგირავებინა.

ასე ჩააგდეს კაცი უკიდურეს სიღარიბეში.

ყოველივე ამან ყიფიანზე, რკინის ხასიათისა და უდრეკი ნებისყოფის მიუხედავად, დამთრგუნველად იმოქმედა. იგი უკვე აღარ იყო ის ყიფიანი, რომელიც ყველას აჯადოებდა დიდი ჭკუით, გასაოცარი მჭევრმეტყველებით, საღი ლოგიკით. მიუხედავად

მასვე კერძო საკუთრებაში გადაეცა სამეგრელოს უზარმაზარი და თანაც საუკეთესო ნანილი: სადადიანო სვანეთი და ლეჩხუმი, შავი ზღვის თითქმის მთელი სანაპირო ზოლი, აგრეთვე, დავით დადიანის სამთავრო ოჯახის კუთვნილი გლეხობის უმეტესი რაოდენობა და თვით თავადაზნაურობა და სამღვდელოებაც კი მათი მინებიანად (სიტყვამ მოიტანა და აქვე უნდა შევნიშნო, რომ ცნობილმა და დიდად ნიჭიერმა ადვოკატმა, ან განსვენებულმა ლუარსაბ ლოლუამ,[387] — თვითონაც მეგრელმა და სამეგრელოს საქმეების კარგად მცოდნემ, — თავის თავზე აიღო იმათი ფაცვა, ვინც ხელისუფლების ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით დაიჩაგრა. ლ ლოლუამ გამოუძებნა მათ გამოსაცალი მძიმე შდგომარეობიდან და სასამართლო წესით ბევრ მათგანს აღუდგინა კიდევაც დაკარგული უფლებები).

აჯობა რა ყოვლისშემძლე თავად ბარიატინსკის — იმპერატორ ალექსანდრე II-ის[218] პირად მეგობარს! — ყიფიანმა გაუფრთხილებლობა გამოიჩინა და თავის მიამიტ მეუღლეს[75] მოსნერა: ბარიატინსკის „შამათი გავუკეთეო". ცოლმა კი თავისი გულუბრყვილობით ეს ამბავი ქვეყანას მოსდო, ხოლო ნაცნობ-მეგობრებს ქმრის წერილს აკითხებდა კიდევაც. მიაღწია თუ არა ამ ამბავმა თ-დ ბარიატინსკის ყურამდე, დანამდვილებით არაა ცნობილი, მაგრამ ის კი ცნობილია, რომ ყიფიანი თ-დ მინგრელსკის საქმის გამო დაითხოვეს სამსახურიდან[167] და პენსიად ნელინადში 1500 მან. დაუნიშნეს. მაშინ ამბობდნენ, ყიფიანის სამსახურიდან დათხოვნას ზემოაღნიშნულმა წერილმაც შეუწყო ხელიო. ავტ.

ექიმი, რომელიც ეგზარქოსის (აღარ მახსოვს, პავლე ერქვა თუ ვლადიმერი[390]) საქმესთან დაკავშირებული კონფლიქტის გამო სტავროპოლში გადასახლებულ ყიფიანს მკურნალობდა, ჩრდილოეთ კავკასიის ერთ-ერთ გაზეთში წერდა: ამხელა ჭკუის პატრონი მე სხვა არავინ შემხვედრიაო.[391]

ერთ დროს ჩემთან მსახურობდა ნიკოლოზ დავითის ძე გეხტმანი,[392] — ბაქოს საოლქო სასამართლოს წევრი, ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის აღზრდილი, თავის დროზე პეტერბურგის სასამართლო უწყების თანამშრომელი, — რომელსაც მოსმენილი ჰქონდა

ამგვარ მდგომარეობაში ყოფნისა, ყიფიანს დაწყებულ საქმეებზე ხელი არ აუღია. მან ბრძანება დაიწყო [ბანკის] დამფუძნებელი კომისიის პროექტის წინააღმდეგ. ამასთანავე, მიაჩნდა, რომ თვითონ ეს კომისია არაკანონიერად იყო არჩეული.

კერძო მეხვედრეებზე, რომელიც ეწყობოდა ხან ყიფიანთან, ხან იოსებ ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილთან,[45] ხან ზაქარია სტეფანეს ძე ავთანდილოვთან,[46] ხან მიხეილ ბირთველის ძე თუმახიშვილთან,[177] გადაწყდა გრძელვადიანი საბანკო კრედიტების დაცვა და ამ ნიადაგზე — კომისიასთან დაპირისპირება.

ყიფიანმა გადაწყვიტა, კახეთში წასულიყო და სამაზრო საკრებულოების მეშვეობით გამოეთქვა პროტესტი როგორც საერთოდ კომისიის, ისე მისი პროექტის წინააღმდეგ. თბილისსა და თბილისის მაზრაში ამ საქმეს ხელი მოჰკიდეს ციახტანგ თულაშვილმა, ლუარსაბ (შაქრო) მალალაშვილმა,[374] ზაქარია ავთანდილოვმა და სხვებმა. საქმეში მბურვალე მონაწილეობა მიიღო თბილისის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლმა, თ-დმა ზაალ ბარათაშვილმა.[182] ინიციატორებს ძლიერ უჭერდნენ მხარს და თანაუგრძნობდნენ სომეხი დიდგვაროვნები. საქმე ყველაზე მეტად გორის მაზრაში შეფერხდა. იქაურ სამაზრო საკრებულოში არაფერი გამოგვიდა, რადგანაც თავადაზნაურობის გავლენიანი ნაწილი თითქმის ერთხმად დაუპირისპირდა წამოწყებულ ღონისძიებას. ამიტომ გადაწყდა, რომ მე შემომეკლო გორის მაზრა და შევხვედროდი ღარიბი აზნაურობის იმ ნაწილს, რომელმაც თავის დროზე ფული შეიტანა ბანკის დასაარსებლად. მათ პროტესტი უნდა გამოეხატათ კომისიის პროექტისა და თვითონ კომისიის წინააღმდეგ, რომელმაც გადაამეტა თავადაზნაურობის საგანგებო ყრილობის მიერ მინიჭებულ უფლებამოსილებას.

საუკეთესო ნაფიც ვექილთა სიტყვები. და აი, ამან მოუსმინა ყიფიანის სიტყვას — თავისი თავის დასაცავად წარმოთქმულს თ-დ მინგრელსკისთან დაკავშირებულ სასამართლო პროცესზე. ამის შემდეგ გეხტმანი აღფრთოვანებით მესაუბრებოდა ხოლმე ყიფიანზე და აყენებდა მას ყველა იმ ვექილზე მაღლა, ვისთვისაც ოდესმე მოუსმენია, თვით სპასოვიჩის[393] ჩათვლითაც კი.

ასეთივე ქება მე ერთხელ ილია ჭავჭავაძეზეც მოვისმინე პეტერბურგში ერთი ჭკვიანი ფინანსისტისგან, რომელიც ხელმძღვანელ როლს ასრულებდა საადგილმამულო ბანკების წარმომადგენელთა კომიტეტსა და ყრილობაზე: „ჩემი აზრით, რამდენადაც მე ილია ჭავჭავაძეს ვიცნობდიო, — მითხრა მან, — თქვენ არა გყოლიათ უფრო დიდი ჭკუისა და ტალანტის პატრონი. მისით ქვეყანას უნდა ეამაყა, არადა თანამემამულეებმავე კი მოკლესო". ავტ.

შევადგინე სათანადო ტექსტი განცხადებისა, შემოვიარე მაზრა, შევაგროვე ხელმონერები და შემდეგ ეს განცხადება ნარვუდგინე თავადაზნაურობის მორიგ საგუბერნიო ყრილობას.

ზემოთ აღნიშნულ კერძო შეხვედრებზე გადაწყდა, რომ ჩვენი გეგმები გვეცნობებინა თ-დ ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძისათვის, რომელიც იმ დროს დუშეთში მსახურობდა მომრიგებელ მოსამართლედ. იგი ჩვენი თანამგრძნობიც იყო, ნიჭიერი ორატორიცა და ახალგაზრდობაზეც დიდი გავლენა ჰქონდა მოპოვებული. ილია ჭაჭავაძეს დავუკავშირდით მისი ახლო მეგობრის ლუარსაბ (შაქრო) მაღალაშვილის მეშვეობით...

რამდენად ძლიერი იყო ყიფიანის წადილი, როგორმე განეტორციელებინა თავისი იდეა და ბანკის სახსრებით ასალგაზრდობისთვის განათლება მიეცა, სხვას რომ თავი დავანებოთ, მარტო მის მიერ თ-დ გრიგოლ დიმიტრის ძე ორბელიანისადმი გაგზავნილ ერთ ბარათში შეგვიძლია ამოვიკითხოთ. ყიფიანი და ორბელიანი ამ დროს დიდი ხნის ოამდურებულები იყვნენ. კერძოდ, მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა გუბერნიის წინამძღოლად არჩევასთან დაკავშირებით ყიფიანს ზედიზედ მიაყენა შეურაცხყოფა. ორბელიანს, რომელსაც უმაღლეს სახელისუფლებო და არისტოკრატიულ წრეებში დიდი ძალა და გავლენა ჰქონდა, შეეძლო ხელი შეეშალა წამოწყებული საქმისთვის და ამიტომაც ყიფიანმა თვითონ ხომ დაივიწყა წარსული წყენა, ამისკენ მოუნოდა ორბელიანსაც და სთხოვა დახმარება ბანკის დაარსებაში.

ყიფიანსა და ორბელიანს შორის მომხდარი უსიამოვნების მიზეზს დღეს ისტორიული მნიშვნელობა აქვს და ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია, ორიოდე სიტყვა ამაზეც ვთქვა.

ყიფიანი, როგორც ზემოთ აღინიშნა, უგანათლებულეს თავად მინგრელსკის[166] საქმის გამო ბარიატინსკიმ სამსახურიდან დაითხოვა. ყიფიანი უბრალო აზნაური იყო. ბარიატინსკის შემდეგ, — დიდი მთავრის, მიხეილ ნიკოლოზის ძის,[191] მეფისნაცვლობის დროს, — თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის პოსტზე წამოყენებულ იქნა ყიფიანის კანდიდატურა. თითქმის მთელი დიდკაცობა, — თავადების გრ. ორბელიანისა და ივანე მუხრანსკის[179] მეთაურობით, — ამის წინააღმდეგ წავიდა. აქამდე, არამცთუ გუბერნიის, თვით მაზრის წინამძღოლადაც კი არ დასახელებულა აზნაურის კანდიდატურა.

საგუბერნიო ყრილობაზე მანამდე არნახული რაოდენობის თავადაზნაურობა ჩამოვიდა. ყიფიანი მათ გლეხთა გათავისუფლების სანაცვლოდ დიდ ჯილდოს ჰპირდებოდა და, ამდენად, თავადაზნაურობა სნორედ მისი არჩევით იყო დაინტერესებული. ამგვარი და-

პირების გამო ისინი მზად იყვნენ, შეეგუებოდნენ აზნაურის წინამძღოლობას.*

არჩევნების დღეც დადგა...

წინა რიგები გენერლებმა, მაღალი სამოქალაქო თანამდებობის პირებმა, სხვა მსხვილმა პერსონებმა დაიკავეს. დაიწყო კანდიდატების დასახელება. ხმოსანთა უდიდესმა უმრავლესობამ ყიფიანზე მიუთითა. გრ. ორბელიანისა და ივანე მუხრანსკის მეთაურობით წინა რიგებიდან დიდი გულისწყრომით, მბრძანებლური ტონით დაუწყეს ყვირილი პუბლიკას, რითაც მძაფრ პროტესტს გამოხატავდნენ ყიფიანის კანდიდატურის წინააღმდეგ. სმები ყიფიანის მსარდასაჭერად უფრო და უფრო მძლავრად ვაისმა. მაშინ „მუშა ბოქულაძისა" და „სადღეგრძელოს" ავტორმა გრძელი სიტყვა ნარმოთქვა. იგი ამტკიცებდა — თავადაზნაურობისთვის სამარცხვინოა, წინამძღოლად უბრალო აზნაური ჰყავდესო. როცა ამ სიტყვებს დამსწრეთა მძაფრი პროტესტი მოჰყვა, თ-დმა ორბელიანმა პროტესტის უფრო შთამბეჭდავ ფორმას მიმართა. მან, როგორც ადგილობრივი უმაღლესი მმართველობის წარმომადგენელმა (კარგად აღარ მახსოვს, მეფისნაცვლის მოადგილე იყო თუ გენერალ-გუბერნატორი[396]), განაცხადა, რომ ყიფიანი არაკეთილსაიმედოობისთვისაა დათხოვილი სამსახურიდან, რომ ხელისუფლება აღარ ენდობა მას და რომ იგი არ იქნება დამტკიცებული ამ პოსტზეო.

თ-დ გრ. ორბელიანის სიტყვამ პუბლიკაში ნამდვილი ქარიშხალი გამოიწვია.

წინა რიგებში ასეთ მედგარ წინააღმდეგობას არც ელოდნენ და ვერც მოითმენდნენ. თ-დი ივანე კონსტანტინეს ძე მუხრანსკი წამოხტა, მიუბრუნდა მოწინააღმდეგეებს და, როგორც ჯარისკაცს კორპუსის მეთაურმა, ისე დაუწყო ყვირილი. იგი იქ მყოფთ ბრალს სდებდა უტიფრობასა და გენერლების უპატივცემულობაში. და როცა ამან ვნებათა ღელვა კიდევ უფრო გაამძაფრა, მუხრანსკიმ სულ მთლად დაკარგა წონასწორობა და იღრიალა:

— როგორ? ამბოხს აწყობთ?.. ეს ამბოხია!! პროკურორს უხმეთ!.. მეამბოხე უნდათ წინამძღოლად დაგვიყენონ!.. ჩქარა პროკურორი!..

აქამდე ყინჩად მყოფი თავადაზნაურობა, რომელსაც არა და არ სურდა, დიდკაცობის ნებას დამორჩილებოდა, პროკურორის გა-

---

* დანაპირები ყიფიანმა შეასრულა. ხელისუფლებამ დაარღვია საკუთრივ რუსეთში განხორციელებული პრინციპი და თითოეული გლეხის პირადი საკუთრებიდან გათავისუფლების სანაცვლოდ ჩვენს მემამულეებს გადაუხადა 25-დან 50 მანეთამდე. სწორედ ამის წყალობით მოხერხდა ბანკის დაარსება. ამას გარდა, ყიფიანმა ხელისუფლებას ბანკისთვის დამატებით 180 000 მანეთიც აართვა.[395] ავტ.

გონებაზე დაფრთხა. რასაკვირველია, ეღეს, როცა პროკურორთან პირველი შეხვედრა სახალისოც კია, ამგვარი მოწოდებებით ვერავის შეაშინებთ, მაგრამ ძაძინ სხვა დრო იყო — პროკურორი ხამდვილ ურჩხულად ჰყავდათ წარმოდგენილი და მასთან პირისპირ შეხვედრის გაფიქრებამაც კი ყველა დააფრთხო. დარბაზი ჩაცხრა. ბევრი მზად იყო, უჩუმრად გამძერალიყო ყრილობიდან. ჩვენც კი, ახალგაზრდები, რომელთაც ჯერაც არ გვქონდა საგეში პროკურორთან შეხვედრის „სიამოვნება", შეეფიქრიანლით: — ხომ არ გვიკრავენ თავს ვირის აბანოში, ან უფრო შორსაც?

შიშიანობიდან ერთმა ახალგაზრდა ოფიცერმა დაგვიხსნა, მგონი არტილერისტმა, შტაბსკაპიტანმა თუ კაპიტანმა. როგორც შემდეგ გვითხრეს, ვინმე ალექსანდრე არლუთინსკი-დოლგორუკოვმა (თავადმა).[397]

— რა ამბავია? — გაისმა უცებ მისი ხმა დარბაზიდან, — პროკურორის ხმობა თავადაზნაურობის ყრილობაზე?! თავადაზნაურობისთვის მეამბოხის დაძახება?! მეამბოხედ გამოცხადება უდიდესი უმრავლესობისა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი არ ემოჩრილება ერთ მუჭა უმცირესობას?!.. მეამბოხე სწორედ ის უმცირესობაა, რომელიც უმრავლესობის უფლებას არ ცნობს. არ მოგწონთ უმრავლესობის სურვილი? შეგიძლია დატოვოთ ყრილობა და ნაბრძანდეთ ან კიდევ თქვენი პროტესტი კენჭისყრით გამოხატოთ. თითოეულს აქ მყოფთაგან თითო კენჭი აქვს და ნებისმიერი ჩვენგანი თანასწორია კანონის წინაშე. დანარჩენი თქვენი ნებაა!..

თ-დი მუხრანსკი გაშრა. იგი, ჩანს, ამგვარ პასუხს არ ელოდა. მისი თანამოაზრეებიც საგონებელში ჩაცვივდნენ. შენიშნეს თუ არა ეს, ყრილობის მონაწილეებმა მხნეობა მოიკრიბეს და მალე ისე გაკადნიერდნენ კიდევაც, რომ გაისმა ხმები: „ძირს მუხრანსკი!!! გააგდეთ მუხრანსკი!!!"

მუხრანსკიმ დაავლო ქუდს ხელი და დარბაზის აღშფოთებულ გნიასში, — „გააგდეთ! გააგდეთ! ძირს გენერლები!" — დამდუღრულივით გავარდა კარში.

დარბაზის ამგვარი კადნიერებით განცვიფრებულმა თ-დმა გრიგოლ ორბელიანმა სწორედ მაშინ წარმოთქვა ისტორიული ფრაზა: „საქართველო მაშინ დაილუპა, როცა მე და წვიმიტიძე ერთმანეთს შეგვასწორესო!"*

ამითაც რომ არაფერი ვამოუვიდათ, გენერლებმა სხვა ხერხს მიმართეს. მათ გადაწყვიტეს, საერთოდ არ მისულიყვნენ ყუთთან და ამით დაემტკიცებინათ — ყიფიანის არჩევა მართლაც საშიშიაო.

* ეს ფრაზა ტექსტში ქართულადაა. შემდგ.

უფროს-უმცროსობის რიგით ყუთთან ჯერ თ-დი გრ. ორბელიანი გამოიძახეს. იგი წამოდგა და გამოაცხადა, რომ ყიფიანის არჩევას საშიმრად თვლიდა და ამიტომ უარს აცხადებდა კენჭისყრაში მონაწილეობაზე. ახლა სხვა გენერალი გამოიძახეს, მაგრამ არც ის გავიდა. მესამე — აქაც უარი! ათამდე კაცი, სულ უმაღლესი სამხედრო და სამოქალაქო ჩინისა, მათ შორის ცნობილი ისტორიკოსი, თვითონაც აზნაური პლატონ იოსელიანი,[148] დემონსტრაციულად არ მივიდა ყუთთან. პუბლიკა ისევ დაფრთხა. მიუხედავად ჩვენი ახსნა-განმარტებებისა (სხვათა შორის, თულაშვილი ყველაზე ენერგიულად ესეოდა ყიფიანის სასარგებლო აგიტაციას), დარბაზში მყოფთაგან ბევრმა დააპირა ყრილობის უხმაუროდ მიტოვება. ბოლოს და ბოლოს, გამოიძახეს თ-დი თარხან-მოურავი (გენერალი)[398] და სამდვილი საოქალაქო მრჩეველი ზაქარია სტეფანეს ძე ავთანდილოვი.[46] ისინი თამამად წამოდგნენ, მივიდნენ ყუთთან და ყველას დასახახად ჩააგდეს თეთრი. შემდეგ გამოიძახეს იოს. ქრ. მამაცაშვილი[45] და — ისევ თეთრი! გუბერნიის წინამძღოლის მოადგილემ, თ-დმა ზაალ ბარათაშვილმაც[182] (იგი, თ-დ მუხრანსკისთან ახლო მეგობრობის მიუხედავად, მონდომებით უჭერდა მხარს ყიფიანის კანდიდატურას) ღიად ჩააგდო თეთრი.

რა დაინახეს, რომ ამ ხერხმაც არ გაჭრა, ყიფიანის მონინააღმდეგენი გაავებული სახეებით წამოიშალნენ და დატოვეს ყრილობა.

კანდიდატურა თითქმის ერთხმად გავიდა[399] და, მიუხედავად იმ საშიშროებისა, რომელზეც გრ. ორბელიანი წინასწარმეტყველებდა, ყიფიანი დამტკიცებულ იქნა გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლად.

აი, „მუშა ბოქულაძის" ავტორის როგორი უკადრისი ფანდები და მისგან მიყენებული როგორი შეურაცხყოფა მისცა დავიწყებას ყიფიანმა. მან საერთო საქმის ინტერესებისთვის პირველმა გაუწოდა ხელი შეურაცხმყოფელს და სთხოვა დახმარება ბანკის დაარსების საქმეში...[400]*

საგუბერნიო ყრილობის სახელზე, როგორც ზემოთ აღინიშნა, გორის მაზრის თავადაზნაურობისაგან პროტესტი შემოვიდა. სხვა მაზრებიდანაც გამოგზავნეს სამაზრო კრებათა დადგენილებები,

---

* თ-დ მუხრანსკის, — გარდა თავადური ქედმაღლობისა, — ყიფიანის მიმართ პიროვნული სიძულვილიც ჰქონდა. 1855-1856 წლებში, როცა მუხთარ-ფაშა[401] სამეგრელოს შემოესია, მუხრანსკი ჩვენს ერთ-ერთ ნაწილს მეთაურობდა და მან, — მუხთარის მიერ უაუქცეულმა, — სურსათ-სანოვაგე დაწვა. ყიფიანმა, რომელსაც ამ საქმის გამოძიება ჰქონდა დავალებული, მაშინ თ-დ მუხრანსკის გამამტყუნებელი დასკვნა ნარადგინა. ავტ.

სადაც გამოთქმული იყო უკმაყოფილება როგორც [ბანკის დამფუძნებელი] კომისიის მიერ შემუშავებული პროექტის, ისე, საერთოდ, თავადაზნაურობის საგანგებო ყრილობაზე ამ კომისიის არჩევის გამო.

სათანადო ნიადაგი მომზადებული იყო, კომისიის საწინააღმდეგო მასალები მეკრებილი. ახლა უკვე საჭირო იყო კომისიის დაშლა, როგორც უკანონოდ არჩეულისა, და მისი პროექტის გაცამტვერება მორიგ საგუბერნიო ყრილობაზე.

თავს დამტყდარი უბედურებების შემდეგ ყიფიანი, როგორც ითქვა, უკვე ის აღარ იყო, როგორსაც ადრე იცნობდნენ. არადა, ოპოზიციიდან არავის ჰქონდა ისეთი ორატორული ნიჭი, ყრილობის დროს პუბლიკაზე საჭირო შთაბეჭდილებას რომ მოახდენდა და დაასამარებდა კომისიას, რომელიც უმაღლესი ქართველი არისტოკრატიისა და ჩინოვნიკობისგან შედგებოდა. დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანს, ოდესღაც იშვიათ ორატორს, ძველებურად აღარ უჭრიდა სიტყვა. უფრო მეტიც, სიტყვის წარმოთქმისას მას იმდენად უსხლტებოდა აზრი და ერეოდა სიტყვები, რომ ადრე ნათქვამი ავიწყდებოდა და მისი ვაჟი ნიკოლოზი,[1] რომელიც იქვე იდგა, ჩურჩულით ეშველებოდა სიტყვების გახსენებასა და აზრების დალაგებაში. ყოველივე ამის გამო ყიფიანის სიტყვამ ვერ მოახდინა სასურველი შთაბეჭდილება.

სამაგიეროდ, აქ გამოვიდა ერთი მიმზიდველი გარეგნობის, ჭკვიანური და ინტელიგენტური შესახედაობის ახალგაზრდა კაცი და მან ისეთი მეხიანი სიტყვა წარმოთქვა, რომლის მსგავსი ჩვენ მანამდე დიმიტრი ყიფიანისგან თუ გვქონდა მოსმენილი. ეს სიტყვა პატივს დასდებდა ნებისმიერი ევროპული პარლამენტის ორატორს. ეს ახალგაზრდა კაცი იყო ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე, რომელიც სწორედ ამ მიზნით დავიბარეთ [დუშეთიდან] და რომელმაც ჩვენს ყველა მოლოდინს გადააჭარბა.

სიტყვა იყო ვრცელი, უაღრესად მწარე, გესლიანი, გაჟღენთილი მოწინააღმდეგის აბუჩად ამგდები ბასრი სარკაზმით. ორატორი ბრალს სდებდა კომისიას უვიცობაში, დასახულ ამოცანათა შეუგნებლობაში.*

დაიწყო თუ არა ლაპარაკი ილია ჭავჭავაძემ, სკამზე დადო უზარმაზარი რვეული. თულაშვილმა იგი აიღო. ორატორის გამოსვლის პარალელურად მე და თულაშვილი თვალს ვადევნებდით ტექსტს. როგორი იყო ჩვენი განცვიფრება, როცა შევნიშნეთ, რომ რვეულის ტექსტი სიტყვასიტყვით მიჰყვებოდა ორატორის მიერ

* სამწუხაროდ, ეს სიტყვა არა აქვს დართული ბანკის დაფუძნებასთან დაკავშირებულ საქმეებს და, მგონი, არც ილია ჭავჭავაძის ქაღალდებშია ნაპოვნი. ავტ.

ზეპირად წარმოთქმულ სიტყვასl იულია ჭავჭავაძე ლაპარაკობდა უჩვეულო მგზნებარებით, შთაგონებით, გატაცებით... მისი სიტყვა ეყრდნობოდა ეჭვმიუტანელი მონაცემებით გამდიდრებულ შეურყეველ ლოგიკას. ორატორი ასაბუთებდა, რომ კომისიამ გადაამეტა თავადაზნაურობისგან მინიჭებულ უფლებამოსილებას, — რაც, სხვათა შორის, გორის მაზრის თავად-აზნაურთა საპროტესტო ტექსტშიც იყო მითითებული, — რომ მან ვერ გაიგო არსი წამოწყებული საქმისა, რომ თავისთავად ბანკი კი არაა საჭირო, არამედ ბანკის შეძრსავლით დაარსებული სკოლა, ეს კი ვერასგზით ვერ მოხერხდება კომისიის მიერ შემოთავაზებული პროექტის განხორციელებით, რომ კომისიის მიერ წარმოდგენილი პროექტი ღუპავს ერთადერთ საზოგადოებრივ ნამოწყებას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ჩვენი მომავალი, რომ მათ წარმოდგენაც კი არა აქვთ ბანკის რაობაზე და ა.შ. და ა.შ.

კომისიის წევრთაგან ყრილობას არ ესწრებოდა თ-დი გიორგი კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი.[364] დანარჩენი წევრები თ-დ ჭავჭავაძის გამოსვლის დროს ერთმანეთს ასწრებდნენ დარბაზიდან. მხოლოდ თ-დმა ნიკოლოზ დიმიტრის ძე ჭავჭავაძემ[229] დააპირა შეპასუხება, მაგრამ ილია გრიგოლის ძემ ორიოდე სიტყვით, საკმაოდ მკვახედ, შეიძლება ითქვას, უხეშადაც კი (შეადარა მოლიერის ფილოსოფოს მარფურიუსს,[402] რომელსაც კაცი კეტით თუ გააგებინებდა რამეს), ისეთ დღეში ჩააგდო, რომ ისიც იძულებული გახდა, დაეტოვებინა ყრილობა.

კომისიისა და მისი პროექტის დაცვა უკვე აღარავის შეეძლო. თვითონ კომისიის თავმჯდომარე, გუბერნიის წინამძღოლი ანდრონიკაშვილი[181] სამხედრო პირი იყო და ამ საქმეებისა ბევრი არაფერი გაეგებოდა. ამიტომაც მან თავის დაცვა ვერ გაბედა. კომისია ცნობილ იქნა უკანონოდ, ხოლო მისი პროექტი — უვარგისად.

აღარ მახსოვს, ახალი კომისია აირჩიეს, თუ ძველი დატოვეს, მაგრამ ის კი კარგად მახსოვს, რომ მის მუშაობაში დიმიტრი ყიფიანს მონაწილეობა აღარ მიუღია, ხოლო ილია ჭავჭავაძე წევრად იქნა არჩეული. კომისიის მუშაობაში გ.ნ. ყაზბეგიც[403] მონაწილეობდა...

აკაკი წერეთელი[404]

ფიქრები ბუხრის წინ

(ნაწყვეტი)

...ეს ორი, გრძნობით სავსე კაცი — ალექსანდრე [ორბელიანი][147] და გრიგოლ [გურიელი],[254] ყოველთვის სამაგალითო უნდა

იყოს ქვეყნისთვის მათი უებრო გულწრფელობით!.. მაგრამ სულ სხვა იყო განსვენებული დ[იმიტრი] ყ[იფიანი], რომლის დიდებული აჩრდილი ახლაც თვალ წინ მიდგას. ეს იყო ერთი იმგვარ რჩეულ-თაგანი, რომელნიც მრავალ საუკუნეების განმავლობაში თვითთ-ოროლა გამოერევიან ხოლმე. მაღლით იყო ცხებული და ქვეყნი-სადმი მიჩენილი მისი მადლიანი არსება! მთელ ჭის ხანგრძლივ სი-ცოცხლეში საზოგადო საქმე არა ყოფილა ჩვენში, რომ იმასაც მო-ნაწილეობა არ მიეღოს. ყოველდღიურ ავსა და კარგს უყურადღე-ბოთ არა სტოვებდა!.. არც ერთ სასარგებლო საქმეს არ ერიდებო-და! ეს პატარაა, ეს გარეულია, ეს არ მეკადრება, ეს ბევრს არ მოე-წონებაო და სხვანი არ იცოდა. ყოველგან მონაწილე იყო თუ საქ-მით, თუ სიტყვით და რჩევით. ზოგიერთებსავით იწროთ არ ჰქონდა შემოფარგლული სარბიელი! ყოველი მხრით ეჭირა თვალ-ყური!.. თუ პირად ველარ მიწვდებოდა, ხმას მაინც მიაწვდენდა! არას რომ არ სჯერდებოდა! გონების თვალი უჭრიდა, მომავალშიაც გადადი-ოდა. ამ თავითვე წარმოიდგენდა ხოლმე, მომავალში რა იყო საჭი-რო და რაზედ უნდა გვეზრუნა. ბანკი მისი მეოხებით დაარსდა... მართალია, დღეს ეს საქმე ჩვენთვის, როგორც ზნეობითაც, ისე მა-ტერიალურადაც საჭირბოროტოა, მაგრამ ეს მისი ბრალი არ არის: მის ნება-სურვილზედ რომ წასულიყო საქმე და წინ უკულმართი ძალმომრეობა არ გადაღობებოდა, სულ სხვებრ იქნებოდა საქმე. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოე-ბა[201] მისი საქმეა, დრამატიული საზოგადოება[405] მან დააარსა და სხვანი. რომელი ერთი მოვთვალო?.. პირველი აზრი ყოველთვის ამას უტრიალებდა ხოლმე თავში და განმახორციელებელიც ის იყო!.. და თუ ბოლოს ჩამოშორდებოდა ხოლმე, ეს სულ სხვა მიზე-ზის ბრალი იყო და არა მისი ჯინიანობისა და დესპოტობის, რო-გორც ზოგიერთები ავრცელებდნენ ხმას. დაულალავი მშრომელი იყო და არ იცოდა დაღონება...

აკაკი წერეთელი[404]

დიმიტრი ყიფიანი

სულ სხვა ბუნებისა და გუნების იყო, ვიდრე გრიგოლ ორბელი-ანი,[41] განსვენებული დიმიტრი ყიფიანი. სააბაშიო, საბატონო აზნა-ურიშვილს,[406] უბრალო ჩამომავლობისასა, უფრო მეტი ნიჭი და მე-ცადინეობა ეჭირვებოდა, ვიდრე რომელიმე გვარისშვილს, რომ ცხოვრებაში ბიჯი გადაედგა!.. შთამომავლობით არა მიუძღოდა რა!.. მომხრე არავინ ჰყოლია და თავისთავად უნდა გაეკვლია გზა

ომომავლისა. პირველი ბიჯი მან ცარიბირისაკენ გადადგა.[407] ახალგაზრდობა ვოლოგდაში გაატარა, მაგრამ დაბრუნების შემდეგ კი ისეთი მხნეობა და ნიჭი გამოიჩინა, რომ ჩინოვნიკობას თავში დაუდგა... მთავარმართებლის კანცელარიის მმართველობა ჩაიგდო ხელში,[120] გაითქვა სახელი და გაძლიერდა. — ქართველობას მისთვის, გარდა სიცოცხლისა, არა მიუცია რა!.. ყოველიფერი რუსობამ მოახვეჭინა, მაგრამ დახეთ გულგაუტეხლობას, იმას სამშობლო მაინც არ დავიწყებია, იმ თავიდან ამ ბოლომდე, სიყრმიდან სიბერემდე, სულ თურმე საქართველოზე ჰფიქრობდა ცოტას ჰფიქრობდა პირადობაზე. დიდკაცობა და ძალა მიტომ უნდოდა, რომ ხალხში მეტი გავლენა ჰქონებოდა და მეტი სარგებლობა მოეტანა საქართველოსათვის. იმან კარგად იცოდა, რომ იმ დროში კაცი გენიოსიც რომ ყოფილიყო, თუ მის ადამიანობას რუსის ბეჭედი არ ექნებოდა დაკრული, არავინ რას გაუგონებდა. მის წინ ორი გზა იდვა: მარცხნით ბიუროკრატიული, მთავრობისაგან გატკეცილი, ია-ვარდით მოფენილი და პირადად საბედნიერო; მეორე — მარჯვნით, მესამოცე წლის მოღვაწეების ნაჩხირკედელავები, უსწორმასწორო, სახიფათო და პირადად საკნებელი. საპირადო ბედნიერების საფეხურზე შემდგარი ყიფიანი უშიშრად გადავიდა ამ სახიფათოზე და ჩაირიცხა ახალ მოღვაწეებში, სიტყვით, კალმით, საქმით, სულითა და გულით მათთან იყო ისიც. „ორი ნესვი ერთი ხელით არ დაიჭირებაო", — დღეს-ხვალიობით, თანდათანობით, ააყრევინა მთავრობას გული, გაირისსა და თავი მოაშორებინა. ირაკლი გრუზინსკისა[141] არ იყოს, ქართულ ლიტერატურულ საღამოზე სალამურის დამკვრელად რომ გამოვიდა, მაშინ რომ ყიფიანმა მუნდირი გაიხადა და ჩერქეზული ჩაიცვა ზედ ვარსკვლავით, სასაცინო პროტესტი იქნება, თუ დღევანდელის თვალით შევხედავთ; მაგრამ მაშინ კი საგულისხმო იყო და იმას ჰნიშნავდა, რომ იმან მით მაშინდელ ბიუროკრატიას პირდაპირი ბრძოლა გამოუცხადა. სწორედ მაშინ დასწერა ალეგორიული ზღაპარიც: „არაბული ცხენი",[408] სადაც თავისი თავი ჰყავდა გამოხატული და მისი მომავალი ცხოვრების პროგრამაც დასურათებული. მაგრამ, რომ ჰფიქრობდა, ის აღარ გამოუვიდა. მთავრობამ რომ ხელი აიღო, მისიანებმაც ზურგი უჩვენეს და დარჩა მარტოდმარტო ბრძოლის ველზე. — მაშინ კი დაინახა, რომ თვითონ ველარ შევიდოდა სამკალში, ნაყოფს ველარ მოესწრებოდა და შეუდგა მარტოდმარტო მხოლოდ თესვას, რომ მის ნათესს ოდესმე თავი ეჩინა, დამწიფებულიყო და სხვებისათვის მაინც აეღებინებინა ხელში ნამგალი. ეს არის იდეური ბრძოლა, რომელიც არ ეტანება ხორციელ ძალმომრეობას და ამას დაადგა ყიფიანიც.

არც ერთი დაწესებულება არ არის ჩვენში, რომ მეთაურობა ყიფიანს არ ეკუთვნოდეს; ბანკი,[199] ქშწ-კ გამავრცელებელი საზო-

გადოება.[201] თეატრი[409] და სხვანი, სულ მისის ინიციატორობით არის დაწყებული. ერთხელ ქუთაისს მივდიოდი რკინიგზით და, მესამე კლასი რომ გავიარე, იქ შევხვდი დ. ყიფიანს. მოვუჯექ გვერდით. ვეტად დაღონებული იყო. ბევრი რამ მემომჩივლა და, სხვათა შორის, მითხრა: „ვფართხალობ, მაგრამ ფართხალსაც ძალა უნდა და მე კი შეშიმაკლდაო". ბაშინ ქუთაისში გუბერნიის მარშალი უნდა აერჩიათ და შეეკითხე: „იმერეთის მარშლობას არ იკისრებთ-მეთქი?".

-- რატომ არა, მაგრამ ხელმოკლედა ვარ, საძუალება არა მაქვს და უქონლობა დიდი ხელის შემშლელიაო.

რომ საშუალებაც გამოგიძებნოთ-მეთქი?

-- მაშინ დიდის სიამოვნებითო!.. -- მომცა სიტყვა და გამითავა.

ჩავედი ქუთაისს და მივაშურე გ. ლოლობერიძეს.[410] იმ დროს, როგორც უხუცესი, ის ითვლებოდა ახალთაობის მეთაურად. გადავეცი ჩემი განზრახვა. შევკრიბეთ იმ ღამესვე მეკენჭეები და გადავეცით გულში ნადები. იმერლები დიდის თანაგრძნობით მიეგებნენ ამ ამბავს, გარდა ერთი-ორი ჩინოვნიკისა, მაგრამ ისინი რაღას გახდებოდნენ? შედეგი ის იყო, რომ ერთხმად არჩეულ იქნა დ.ყიფიანი და ჯამაგირიც ოთხასი თუმანი დაენიშნა.[262] იმერეთში რომ ჩამოვიდა ყიფიანი, არ ვიცი რას გამოელოდნენ მისგან იმერლები, მაგრამ ძალიან აღტაცებით კი დაუხვდნენ. მთელი დღე ლიტანიობდნენ. სხვათა შორის, ჩასვეს ფაეტონში, თვითონაც ჩასხდნენ ფაეტონებში და „ვაშას" ძახილით სამჯერ ჩამოატარეს ირგვლივ ბულვარი. მთელი ქალაქი საყურებლად გამოვიდა. ამან გააძხნევა მოხუცი, გაუახლა ყმაწვილური ოცნებები და ბევრს რამესაც უქადდა იმერეთს!.. იმას ეგონა, თუ ის, რაც აღმოსავლეთ საქართველოში ვერ ნახა, ადვილად მოიპოებოდა დასავლეთში და მხნედ შეუდგა საქმეს!.. მაგრამ ეს „სოფელი განა დიდხანს ვისმე ახარებს?"[411] — იმ ხანებში გულმოსულმა ექსარხოსმა,[283] რექტორის[280] სიკვდილის გამო, შეაჩვენა ქართველობა.[286] იმ ნირვაზე ქართველი დიდებულებიც იყვნენ, მაგრამ კრინტიც არ დაუძრავსთ და ყიფიანმა კი შორიდან მოსწერა ნმინდა მამას მრისხანე საყვედური. ეს წერილი[412] ჩაუვარდა მთავრობას ხელში, შეუკეცა წინანდელი უსიამოვნებაც და ავტორი ყიფიანი გადაასახლეს სტავროპოლს, პატიმრად.[295]

რამდენიმე დღის წინეთ გაგზავნისა, ქვიშხეთს მიველ, ვნახე და მისმა მხიარულმა სახემ გამაოცა. „ერთი იმ თავითო და მეორე ამ თავითო! — მომაყვირა სიცილით — პატიმრობით დავინყე ცხოვრება და პატიმრობითვე ვათავებო!.." დაღრეჯილობა რომ შემატყო, სიცილით მითხრა: „ნუ გშურს ჩემთვის ეს ღვთის ნყალობაო! უკეთესს ჯილდოს მე ვერც კი მოვიფიქრებდიო!.. ეს ერთი საუკუნეა, რაც ქართველები ცუდკაცობისათვის იგზავნებიან ციმ-

ბირში და ჯერ იდეურად არავის დასჯილაო და დეე, პირველი მერცხალიც მე ვიყოო!.. მართალია, პირველ მერცხალს ხანდახან სუსხი დაჰერავს და გაზაფხულს ვეღარ ესსრება, მაგრამ მაინც პირველი მაბარობელია და გაზაფხული მაინც მოვაო!.." სთქვა და ჩაფიქრდა.

მართლა რომ ინინასწარმეტყველა თავის თავზე: იქ, სტავროპოლში, პატიმრობის დროს ძიჯკლეს!.. ის ტვინი, რომელიც საქართველოზე ჰფიქრობდა, თავზე გადაანთხიეს და იმ გულზე, რომელიც სამშობლოსათვის სძგერდა, ცივი ხელები დააკრეფინეს!

და ვინ? რად? სრულიად საჭირო არ არის ამაზე ვიფიქროთ მაშინ, როდესაც ვიცით, თუ რისთვისაც!.. ამას მომავალი უკეთ გამოიკვლევს მაშინ, როდესაც ყიფიანის ნათესი თავს იჩენს, ნაყოფს მოიტანს და დანესებულებებს ჩვენც ისე ცალმხრივად აღარ დაეუწყებთ ყურებას, როგორც დღეს: ბანკი მარტო სადახლო დუქანი აღარ გვეგონება, წერა-კითხვის საზოგადოება ბიუროკრატიული რამ დანესებულება და თეატრი — სასაცინო გასართობი!.. დღეევანდელი ამბოხება,[413] თუმცა ჯერჯერობით კი უკულმართი და უთანასწორო, მაგრამ მაინც ხალხის გამოღვიძების ნიშანი, თავდებია ამისი.

აი, სწორედ იმისთანა დეე-გმირზე, როგორიც იყო განსვენებული დიმ. ყიფიანი, ითქმის, რომ „მოვიდა ქვეყნად და ქვეყანასაც ბევრი რა არგოო!..".

აკაკი წერეთელი[404]

ქართული თეატრის დაარსება საქართველოში
(ნაწყვეტები)

ერთხელ გიორგი ერისთავი[43] მივიდა დიმიტრი ყიფიანთან და ნახა, რომ დივანზე გადაწოლილი მასპინძელი წიგნს კითხულობდა და გულით იცინოდა.

— რა ამბავია, ბ. დიმიტრი, რომ მაგრე ხარხარებ?

— უკაცრავად, ბ. გიორგი, რომ ამ წიგნმა გამიტაცა და გვიან შეგნიშნეთ!.. ერთ რუსის მწერალს, ვიღაც პისემსკის,[414] დაუწერია კომედია და „გაყრა" დაურქმევია. საუცხოოთ არის შიგ ჩასახული ხასიათი, ზნე და ჩვეულება რუსეთის მებატონეების. მონაწილეები, რომ ერთმანეთს მეტ-ნაკლებობა არ დაუთმონ, შალს... წამოსასხამ შალს შუა სჭრიან! საზოგადოდ ძალიან ხელოვნურად, მოსწრებულად და სასაცილოდ არის შეთხზული. ჩემო მგოსანო! შენც დაგვიმტკიცე, რომ ტყუილად არ ყოფილხარ ვარშავაში გაგზავნილი,[415]

პოლონეთის მწერლობას გავლენა ჰქონდა შენზე და შენც ამგვარი რამ დაგვინერე, თუ შეგიძლია, ჩვენის ცხოვრებიდან!

სტუმარმა მოუსმინა, ჩამოართვა წიგნი და გაუდგა გზას სოფლისაკენ. არ გაუვლია დიდხანს, რომ ისევ ქალაქში დაბრუნებულმა მგოსანმა ჩაუტანა და აჩვენა დიმიტრის ქართულად შეთხზული კომედია „გაყრა", რომელსაც დღესაც კიდევ საპატიო ადგილი უჭირავს რეპერტუარში.

დიმიტრიმ რომ გადაიკითხა ეს შესანიშნავი ნაწარმოები, იმავე დღეს შეატყობია ბ. ბთავარ-მართებელს. მაშინ მთავარ-მართებლად იყო მიხეილ სვიმონის ძე ვორონცოვი[79] (ქართველების დიდი მოყვარული და მწყალობელი), გადაათარგმნია რუსულად დიმიტრისავე ის პიესა[416] და, აღტაცებაში მოსულმა, უთხრა ცოლს: „ელიზავეტა ქსავერიევნა![ᲔᲗ] აი, როგორ მართლდება ჩემი შეხედულება ქართველებზე! ისინი, როგორც ძველი, განსაკუთრებული ხალხის ჩამომავალნი, მარტო სამხედრო სარბიელზე კი არ იჩენენ ნიჭს, სამოქალაქო სარბიელზედაც შეუდარებელი არიან!.. აი, ახლაც ერთ ერისთავს დაუწერია კომედია ქართული ცხოვრებიდან და მოლიერის[417] და გრიბოედოვის[142] სიმაღლემდე ასულა!.. მე მინდა, რომ ეს ჩემი აღტაცება მთელ ქართველობას გავუზიარო! უნდა როგორმე წარმოვადგინო ეს პიესა!!..."

მეორე დღესვე დაიბარა მთავარ-მართებელმა ავტორი ერისთავი და გადასცა, რასაც აპირებდა. — ჩემ სასახლეს დაგითმობო, -- უთხრა, — შევჰყაროთ სცენის მოყვარეები, შენ ითავე მათი მომზადება და „გაყრა" წარმოვადგინოთ, ისე, როგორც პოლონეთში გექნება ნახულიო!..

ერისთავმა მოახსენა: კაცებს ადვილად ვაკისრებიებ სცენაზე გამოსვლას, მაგრამ ქალების კი რა მოგახსენოთ!.. ქართველი ქალი საზოგადოდ მორცხვია და სცენა ეთაკილებაო!..

— ეგ არაფერია, — უბრძანა მთავარ-მართებელმა, -- განათლებულ ევროპის ქვეყნებშიაც ეგრე ყოფილა, მაგრამ დღეს უპირველესი გვარიშვილები გამოდიან სცენაზე და ემსახურებიან ხელოვნებას... აქაც მე ვსთხოვ კნეინა ქეთევან ორბელიანისას,[188] გადავსცემ ჩემს განზრახვას მანანა ორბელიანისას[185] და ისინი ითავებენო!.. მართლაც შედგა გუნდი, სადაც მონაწილეობას იღებდენ[82] თვით ავტორი გიორგი — სომხის როლში,[418] დ. ყიფიანი,[419] მიხეილ ჭილაშვილი,[420] ილიკო ორბელიანი,[421] შანშიაშვილი[422], ქეთევან ორბელიანისა,[188] ტასო ორბელიანისა[423] და სხვანი. და კიდევაც წარმოადგინეს პირველად „გაყრა" სასახლეში... წარმოდგენამ მშვენივრად ჩაიარა, მით უფრო, რომ ის სანახაობა იყო საქართველოში პირველი და აღტაცებაში მოიყვანა არა მარტო მაყურებლები! ელვის სისწრაფით მოეფინა ამბავი მთელ დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოში, ყველგან და დიდხანს სულ იმ უცხო რამეზე ლაპა-

რაკობდნენ ოჯახებში და, მე მგონია, რომ ამას დიდი გავლენაც ჰქონდა!.. მე მაშინ თორმეტის წლისა ვიყავი. რასაკვირველია, თეატრი არსად მენახა, მაგრამ ნაამბობით ისე ვიყავი გამსჭვალული, რომ მეც ვითომ კომედია დავსწერე: „მოურავი", სადაც ჩემი ოჯახის შინაური ამბავი იყო გამოყენილი.[24] ამის ყველაფრის მნახველმა და გამგონმა, ვორონცოვმა მოირდომა უმეტესი: მაკვირვებს მე დღეს ამ რიცხვმცირე ხალხის, მაგრამ ოდესმე ძლიერის, ერთი უძველეს ერთაგანის, ამ ქართველების ცხოვრება, — ჰფიქრობდა გუნებაში მთავარ-მართებელი, — იმ თავითვე მოპოებულ ქრისტიანობის წყალობით, იმან შეიმოსა კულტუროსნობა და ჩაიდინა ის ისტორიული საკვირველება, რომელსაც მარილ-მადიდებლობა ვერასოლეს ვერ დაივიწყებს: გაძლიერდა მაჰმადიანობა და განსაცდელში ჩააგდო მსოფლიო ქრისტიანობა: დიდებული საქრისტიანო ბიზანტია დაამხო, სლოვიანთა ქვეყნები დაიპყრო, ევროპას მისწვდა და კალთებს აგლეჯდა და ეს პატარა საქრისტიანო სამეფო, აზიაში კი გაუმკლავდა. იმ თავითვე დაწყებული ამ ბოლომდე ირგვლივ ეხვეოდნენ, როგორც „მუმლი მუხასა", რომ მოესპოთ; დიდ გასაჭირში აგდებდენ, მაგრამ გაძლებით კი მაინც გაუძლო ამ პატარა საქრისტიანომ და მოიგერია და თავისი ეროვნება, გამშვენიერებული დედა-ენა და შეუბღალავი სარწმუნოება მეცხრამეტე საუკუნის კარებამდე მოიტანა და გადასცა საპატრონოდ შორეულ საქრისტიანოს. ჰფიქრობდა: მე შევისვენებ ცოტას, რომ გამოვშუშდე დიდ სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ და მერე მასთან ერთად უფრო მეტის ძლიერებით განვაგრძო ჩემი დანიშნულება და ჩემი გეგმაო!!! გააღო დარიალის ხეობა, მიგვიწვია მან მეგობრულად, დაგვიხვდა მოყვრულად და ჩაგვიდვა თავი კალთაში სრულიად მონდობილმა. ჩვენ კი როგორ გავუმართლეთ მოლოდინი? შემცდარი იყვნენ ჩემი წინამოადგილენი, რომ ალმაცერად შეჰხედეს!.. ცოდვაა ამისთანა ხალხის სიკვდილი!.. შეცდომაა მათი გაქრობა!!! ხალხი ამაყი წარსულით, წელ-გამაგრებულია აწმყოში და სწორედ წარმოიდგენს მომავალს. მე დავუმონებ სიმართლით, სულითა და გულით და არა მარტო ენით, ქართველობას რუსეთს, პოლიტიკურად გარუსებულს, მაგრამ თავის სარწმუნოებით, ენით და ეროვნულ ელფერით. ის იქნება უკეთესი თვალი, ჩასმული რუსეთის გვირგვინშიო. გაიფიქრა ეს და მოიხმო დიმიტრი ყიფიანი. დიმიტრი ყიფიანს აფასებდა და ხშირად ესაუბრებოდა ხოლმე ქართველების შესახებ. გადასცა თავისი განზრახვა: „დიმიტრი ივანიჩ, გახსოვს, შენ რომ ერთხელ რუსთაველის სიტყვები გადმოთარგმნე: „სიმართლის ჩადენა გამხმარსაც გაანედლებსო?!.."[25] მე მინდა, რომ დღეს შემკრთალი და მიძინებული ქართველობა გამოვაღვიძო!..

სწორედ მაგას მოელოდა ისიც, — მიუგო დიმიტრიმ, — როცა თქვენ შოგმართა.

ლიახ! დიახ! არც შეშცდარან!.. ბიყვარს ის ხალხი, რომელსაც ძველად კულტურა ჰქონდა! ქართველების მწერლობა მაშინ ყოფილა ყვავილოვან მდგომარეობაში, როცა ჩვენ, სლოვიანები, ხსენებაშიაც არ ვყოფილვართ. ქართველებს კი ჰქონდათ თავისი მდიდარი ენა, საკუთარი ეროვნული ცხოვრება, რკულის-დება, სარწმუნოება და სხვანი. მე მსურს, რომ ეს ბედნიერი წარსული აღეუდგინო და მომაელისათვის აწმყოში წავიყვანო ისინი საევროპიო სწორის გზით... დროს შესაფერი მივსცე სწავლა-განათლება და სხვათა შორის დაეუარსო ჟურნალ-გაზეთები და სცენა... იყოს ჩემი სურვილი და მეცადინეობა! თქვენი ნიჭი და შრომა! დარწმუნებული ვარ, რომ თქვენც დამეხმარებით, ვისაც კი გაქვთ თვალის ჩინი, რომელშიაც გრძნობა-გონება გამოიხატება!

დაიბარეს გ. ერისთავი. მთავარ-მართებელმა გადასცა ბრძანება: მე გნიშნავ შენ ჩემ განსაკუთრებულ მინდობილობის „ჩინოვნიკად" მისი ჯამაგირით,[426] რომ უზრუნველგყო და საჩსახური კი სულ სხვა გექნება: უნდა გამოიცეს ჟურნალი[427] და შენ იკისრო მისი რედაქტორობა. სტამბა მუქთი გექნებათ, სახელმწიფო სტამბა... აგრეთვე უნდა შესდგეს სამუდამო თეატრი და შენთვისვე მომინდვია დასის შედგენა და მისი ნინ ნაძღოლაო. თქმა იყო და ასრულება, ერისთავმა მორჩილად მადლი გადაუხადა და შეუდგა საქმეს...

აკაკი წერეთელი[404]

როგორ დაარსდა ჩვენში საადგილ-მამულო ბანკები?

(ნაწყვეტი)

ბატონ-ყმობა ახალი გადავარდნილი იყო. რუსეთისკენ მიმავალმა, შევუხვიე დიმიტრი ყიფიანთან. მოხუცი მონყენილი და რაღაც ფიქრით გატაცებული დამხვდა.

„ბატონო დიმიტრი! როგორღაც დაფიქრებული ბრძანდებით და ვერ გატყობთ სიამოვნებას!" — გავეკითხე მოწიწებით.

— მართალი ხარ! და, თუ შენც დამეთანხმები, კი გვმართებს მონყენა!.. ცუდი დრო გვიდგება. ვაი თუ ქართველობა დაილუპოს?! — მიპასუხა დაღონებით.

— მიზეზი?

— ის, რომ თავად-აზნაურობას გლეხები გამოეცალა ხელიდან.

— ბ-ნო დიმიტრი! ხუმრობთ? ეგ უკუღმართობა...

დიაღ უკულმართობა და უსამართლობა!.. - გაეანყვეტინა სიტყვა, ესე იგი, ბატონ-ყმობა უნდა გადავარდნილიყო!.. გეფანხმები. მაგრამ ისე კი, რომ არც ერთი ნოდება არ დაღუპულიყო. ჩვენი თავად-აზნაურობა კი დაიღუპა და ვაი, თუ იმას თვით ქართველობაც თან გაჰყვეს!.. მაშინ-კი ჩვენთვის დიდი იქნება მსხვერპლი.

— როგორ?! განა ეს სამხიარულო მოვლინება გწყინსთ? რა მესმის ეს თვენგან?!

ნუ ცხარობ, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო! ბატონ-ყმობამ მოჭამა თავისი პური და უნდა გადავარდნილიყო, მაგრამ უმსხვერპლოდ. და მე-კი იმასა ვფიქრობ: არ შეიძლება, რომ როგორმე უმსხვერპლოდ გადავრჩეთ? ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა, როგორც დამონებულების, სულ სხვაა, ვიდრე სხვების. რაც იმათ არგებს, ჩვენთვის გამოსადეგი ბევრი რაკ არ არის.

— ვერა გამიგია-რა!..

— გეტყვი და გაიგებ. ის დრო, როცა მტრები ბუზებივით გვეხვეოდნენ და ჩვენც შეუპოვრად ვიგერიებდით, გათავდა... წავიდა. დღეს სულ სხვა დრო დადგა: ცხადი მტერი აღარსად სჩანს, მაგრამ სამაგიეროდ უჩინარი მტერი კი, საუკულმართოდ ჩვენზე მომავალი, ბევრი გვყავს და იმათ უნდა ვებრძოლოთ თვალგამოხელითა და წინდახედულად, რომ ჩვენი ქვეყნის წარსული შევისნავლოთ, აწმყო ავზომ-ავწონოთ და მომავალი გავითვალისწინოთ. ეს არის, რომ მწარედ მაფიქრებს. ძველად, როცა გარეშე მტერი ყოველ კუთხით თავზე გვესხმოდა, საქართველოს ერი ორ ნოდებად იყო გაყოფილი: თავად-აზნაურობა მხედრობად და გლეხობა — მიწისმომქმედად. პირველი ბრძოლის ველზე ათენ-აღამებდა და მეორე კი საზრდოს აწვდენდა; როგორც მიწის მუშა, მუდმივ მხედრობას არ შეადგენდა და მხოლოდ აუცილებლობის დროს ჩაერეოდა ხოლმე ომში. მაშინ ხომ ახლანდელი დრო არ იყო, რომ სამეფოს ჯამაგირი ან პენსია დაენიშნა მხედრობისათვის და იმათაც მით ცოლშვილი ერჩინათ. ყმა და მამული ჰქონდათ მიჩენილი და იმ დროში ხელად მეტი არც არა მოხერხდებოდა-რა! ამ მდგომარეობაში იყო ჩვენი ქვეყანა, როცა რუსები მომხრედ შემოვიყვანეთ. მაშინ კავკასიის მთები დაპყრობილი არ იყო. „შამილობამ" ნახევარ საუკუნეზე მეტი გასტანა და, თუ ქართველობას იმ ბრძოლაში თავი არ ეჩინა, ვინ იცის, ეგებ დღემდისაც კიდევ არ გათავებულიყოს მთიულების ომი! [28] გათავდა თუ არა ომიანობა, ცხოვრებაში სხვა-გვარი წესწყობილება უნდა შემოსულიყო და ფულმა დაიჭირა ხმლის ალაგი, რისთვისაც ქართველობა სრულიად არ იყო მომზადებული. არც მეურნეობის და არც სხვა რამ საზოგადო მოღვაწეობის, სადაც კი ფული ეჭირვება, არა გაეგება-რა. დღევანდელი დღის შესაფერ მუშაობის უმეცარი, რიყეზე დარჩა თევზივით, რომ ცოტა ხანს კიდევ

იფარეხალოს და მერე სული დალიოს! ისტორიის კანონს ვერაკინ მოშლის. ისინი უნდა წაიდნენ, მაგრამ მათ ნაცვლად სხვები, დროს შესაფერი მეთაურები, უნდა გამოვიყენენ: ნერეთლის მაგიერად — გოშაძე, აბაშიძის მაგიერ — მოდებაძე, ორბელიანის მაგიერ — ჩიტაძე, ერისთავის მაგიერ — გძელიშვილი და ამ გვარად. ამით ხალხი არას დაპკარგავს; ორივე შემთხვევაში მაინც ისევ ქართველი იქნება, თუ კი ხელ-შეუშლელად წავა საქმე, მაგრამ უჩინარი მტერი ძლიერია! ვაი თუ დაანვეს თავზე იმ ახალ-ნერგსაც და თავად-აზნაურობას თან გლეხობაც გააყოლოს, სამაგიეროს შიუცემლად, და მაშინ-კი მშვიდობით ქართველობავ! ეს ყოლიფერი გათვალისწინებული ჰქონდა მთავრობას და, ვიოომ ხელი მიანვდინა დასალუპავად ვანნირულ თავად-აზნაურობას: პირადი დამოკიდებულება ჩამოართვა ბატონებს, მაგრამ ქონებრივად კი უფრო დაუმონავა. საკუთრება არ მისცა გლეხს, მიწა საბატონო დარჩა, გლეხებს უნდა ემუშავნა და მეოთხედი შემოსავლის ეძლია მიწის პატრონისათვის!.. და რომ ცალიერ სიტყვად არ დარჩენილიყო ეს განჩინება, შუაში თავისი „ჩინოვნიკი" ჩაუყენა. ერთი თავი ჯაჭვისა მიწის პატრონს ჩააბა ყელში, მეორე გლეხებს და შუაში ჩააყენა მომრიგებელ-შუამავალი (პოსრედნიკი), ეს ხელ-ჯოხიანი იქითაც ექაჩებოდა და აქეთაც. მიწის პატრონს რომ ეტკინებოდა, გლეხს აბრალებდა და გლეხს რომ ემწვავებოდა — მიწის პატრონს. ამგვარი ხერხი ამ ორ ნოდებას შუა, რასაკვირველია, მტრობას ჩამოაგდებს და ცუდი ბოლოც ექმნება.

— მერე და მთავრობა ვერ ჰხედავს ამ შეცდომას?

— შეცდომას?! ვინ იცის, ეგებ შეცდომა არ იყოს და წინდანინ გამოანგარიშებული გეგმაა!.. არ გაგიგონია: „ნამკიდებელი ნაჰკიდე, ორივეს თავი ნასწყვიდეო?"

— მაშ უსაშველო ყოფილა ჩვენი საქმე... დავლუპულვართ.

— ჯერჯერობით კი ეგრეა, მაგრამ უნდა ვიხმაროთ რამ ღონისძიება. „ხერხი სჯობია ღონესო, თუ კაცი მოიგონებსო!" და „ცდა ბედის მონახევრეაო"; ისეთი რამ უნდა მოვიფიქროთ, რომ გლეხები მაინც გადავარჩინოთ დაღუპვას! სამუშაო უნდა ვუშოვოთ — ადგილ-მამულის მესაკუთრეებად გაეხადოთ და მაშინ აღარ იქნება საშიში. მე ერთი რამე მოვიფიქრე და, ის თუ შესრულდა, არ იქნება ურიგო!..

— არ შეიძლება, რომ ეგ გულში ნადები მეც გამიზიაროთ?

— რატომ?.. რატომ?.. მე სულაც მიტომ ჩამოვიგდე სიტყვა. აი რა: განთავისუფლების დროს მთავრობამ მებატონეებს გლეხებში სულზე ოც-ოცდა ხუთი მანეთი დაუნიშნა. რამდენიმე მილიონი შესდგა. ახლა მე ვეცდები, რომ თავად-აზნაურობამ, იმ ფულებს რომ მიიღებს, ათი პროცენტი[429] დასტოვოს საზოგადო საქმის მოსახმარებლად. ეს რამდენიმე ასი ათასს შეადგენს.

— მერე და რას უნდა მოხმარდეს?

— მე მინდა გავმართო იმ ფულებით „საადგილ-მამულო ბანკი", სადაც თავად-აზნაურობას ადვილად შეეძლება ადგილ-მამულების დაგირავება...

როგორ?! ხაფანგს უგებთ? ხომ დაპკარგვენ?

— დიახ, უეჭველად დაპკარგვენ!.. ადრე თუ გვიან, ხომ მაინც უნდა დაპკარგონ!.. უამისოდ არ იქნება.

— მერე?!

მერე ის, რომ თავად-აზნაურობის დანაკარგს ისევ ჩვენი გლეხობა შეიძენს და, როგორც მუშა, კიდევაც შეირგებს! მე მინდა „წეს-დებაში" ერთი მუხლი შევიტანო, რომ თუ თავად-აზნაურმა ველარ გამოიხსნას დაგირავებული და დროზე სარგებელის შეტანა ველარ მოახერხოს ბანკში, მაშინ უპირატესობა გლეხებს მიეცესთ, იმათ გადაეცეთ იმ პირობით, რა პირობითაც თავდაპირველად დაგირავებულა!.. გლეხები, როგორც მუშები, სარგებლებს ყოველთვის დროზე შეიტანებენ და ერთ დროს მესაკუთრეებიც გახდებიან. ასე რომ, უცხო ტომის ველარავინ შემოგვეჩხირება. მინა-წყალი ისევ ქართველობას დარჩება ხელში!.. თავისს დღეში იმას მინა-წყლისთვის უბრძვია... მტერი უგერებია და ვერც დღეს ჩაუყრის ხელში უცხოს. კარგად ესმის, რომ ის ერი, რომელსაც მინა-წყალი აღარა აქვს, აღარც ერად ჩაითვლება!.. მართალია, ძველი თავადაზნაურობა აღარ იქნება, მის ადგილს ახალი, დროს შესაფერად საჭიროებისათვის მომზადებული მეთაურები, დაიჭერენ და ქართველობა მაინც არ მოისპობა...

— კეთილი, მაგრამ მაგისთანა „წეს-დებაზე" ნებას დაგვრთავენ? ეგ ხომ საწინააღმდეგო იქნება?

— მე მგონია, რომ არ დაგვიშლიან! ჩვენი ვეცადოთ და, თუ არ მოხერხდა, მაშინ ნურც ბანკი გვინდა! უამმუხლოდ ბანკი, შენი თქმისა არ იყოს, ვნების მეტს ვერას მოგვიტანს და უეჭველადაც დაგვღუპავს!.. მე კი იმედი მაქვს, რომ ამგვარ „წეს-დებას" დაგვიმტკიცებენ, მით უფრო, რომ მაგ ერთ მუხლს ყურადღებასაც აღარავინ მიაქცევს!..

მოხუცის საუბარი დამიჯდა ჭკუაში და მეც გულ-დამშვიდებით გამოვეთხოვე დიდებულ ქართველს და გავუდექ ჩემს გზას.

რუსეთიდან რომ დავბრუნდი, კიდევ ვნახე დიმიტრი. ჩვეულებრივ მოკითხვის შემდეგ მომისამძიმრა: ბანკი დაარსდა, მაგრამ ჩვენ რომ გვინდოდა, ისე კი არაო, ჩემი წესდება არ მიიღესო.

— როგორ თუ არ მიიღეს-მეთქი?— გამოიცდა მე.

— დიახ, დამინუნეს და წესდებაც სულ სხვაგვარი დაამტკიცა მთავრობამ!.. მისთანა, რომელიც ჩვენ გვაშინებდა და ვაი, თუ ამგვარმა ბანკმა ვნება მეტი მოგვცეს შვებაზე!..

— მერე და როგორ მოხდა ეგ?

-- ასე ინებეს წეროსნებმა.* ისინი გაიტაცა ნ. ნიკოლაძემ.[242] დაიჯერა: ამგვარი რაიმ ასალი საქმე ხალხში ახალსაიობის სახელით, ინიციატიორობით უნდა შემოიღიოდესი და არა ძველების მეოხებითო. იმათაც ჩამოიყვანეს დუშეთიდან ილია ჭავჭავაძე, სადაც ის მომრიგებელ მოსამართლედ იყო, აკისრებიეს ძეთაურობა და კიდეც შეადგინეს უიმმუხლოდ სხვა წესდება.

— კი მაგრამ, ნუთუ იმ ჩვენი მუხლის მნიშვნელობა არ ესმოდათ?

— უთუოდ ესმოდათ. მაგრამ იფიქრეს: ვაი თუ იმ ერთი მუხლის ბრალობით სულ აღარ დაგვრთონ ნება და მთელი წესდება, სადაც სხვა მუხლებიც კარგია, მაგალითად ის, რომ „ნმინდა შემოსავალი ბანკისა თავად-აზნაურობას უნდა ეკუთვნოდესო", და სულ დაგვაკარგვინონ. ის კი აღარ გასჭვრიტეს, რომ თუ თავად-აზნაურობა გირაოს დაჰკარგავდა და თვითონ აღარ იქნებოდა, შემოსავალი ვის უნდა ნაელო? მაშინ ხომ ხმის უმეტესობით უნდა გადასწყდეს ყოველივე საქმე და წესდების შეცვლა რა ძნელი იქნება?..

— მაშ, მაგ ბანკისაგან მაინცა და მაინც ბევრს არ უნდა გამოველოდეთ?

— ამ წესდებით? — არა! თუ ვერ იხეირა ბანკმა და კარგად ვერ წავიდა, ხალხს მალე დაჰლუპავს და თუ იხეირა, მაშინაც კიდევ საბოლოვო ხეირს ვერ დაგვაყრის!.. ორ ცეცხლ-შუა ვართ გამომწყვდეული!..

— საშველი აღარა არის რა? ეგებ ტყუილი შიშია ეგ ყოლიფერი?

— ღმერთმა ჰქნას, მაგრამ „სიფრთხილეს თავი არ სტკივაო", ნათქვამია. — მე ჯერ კიდევ იმერეთის იმედი მაქვს: იქ ქართველობა ერთი-ორად მეტია და შემონირულობაც მეტი უნდა იქნეს და ვეცადოთ, რომ ჩვენი წესდება იქ მაინც შევიტანოთ; თორემ თუ იქაც თბილისისთანა ბანკი დაარსდა, დიდი სიფრთხილე გვმართებს, რომ არ დავიღუპოთო. აი, სწორედ ამ გვარი იყო ჩვენი უკანასკნელი საუბარი ბანკის შესახებ.[199] გამოვეთხოვე და წავედი იმერეთისკენ...

იაკობ გოგებაშვილი[207]

როგორ დაარსდა „წერა-კითხვის საზოგადოება"

(ნაწყვეტები)

შემდეგ ბატონ-ყმობის გადაეარდნისა საქართველოში 1864 წელს, ქართველ საზოგადოებაში დაიბადა და აღიზარდა ის აზრი,

---

* წეროსნებს ეძახდნენ მაშინ რუსეთ-მოვლილებს, სტუდენტობას, რადგანაც იმ დროში ქართველი, იმათ მეტი, თუ არ მგლოვიარე, წერებს არ იყენებდა. ავტ.

რომ ეს რეფორმა მხოლოდ მაშინ მოიტანს სანატრელს ნაყოფს, როცა გლეხობა განთავისუფლდება სიბნელისა და უმეცრებისგანაო. ვისგან უნდა მოელოდოს ჩვენი გლეხობა ამ მეორე განთავისუფლებასაო? რასაკვირველია, არა ბიუროკრატისაგან, რომელიც ამისათვის თავს სულაც არ გაიცხელებს, არამედ ქართველი დაწინაურებული საზოგადოებისაგანაო. ამ საზოგადოებას კი მხოლოდ მაშინ მეეძლება ეს დიდი სამსახური გაუწიოს ჩვენს დაბეჩავებულს გლეხობას, როცა იგი შექმნის რაიმე ორგანიზაციას, რომელსაც მიზნად ექნება განათლების მოფენა ხალხშიო. ამ მოსაზრებამ დაბადა ნადილი „წერა-კითხვის საზოგადოების" დაარსებისა.[201] მაგრამ ნადილის განხორციელებას ესაჭიროებოდა პროპაგანდა საზოგადოებაში, მოძრაობის დაბადება და გაძლიერება. ამას ხელი მოუმართა იმ გარემოებამ, რომ მაშინ, სამოცდაანს წლებში, ზოგი ქართული ოჯახები ნამდვილს ცენტრებს წარმოადგენდნენ, სადაც იკრიბებოდნენ ძველის და ახალის თაობის საუკეთესო წარმომადგენელნი.

ამგვარ ოჯახთა შორის თვალსაჩინოდ განირჩეოდა ოჯახი იოსებ მამაცაშვილისა.[45] აქ მესამოცე წლების მეორე ნახევარში იკრიბებოდნენ, ქართველ ინტელიგენტთა გარდა, პროგრესიული რუსები და ზოგი გაქართველებული სომხებიცა... სწორედ ამ წრეში დაიბადა და აღიზარდა აზრი „წერა-კითხვის საზოგადოების" დაარსებისა...

საქმის მდგომარეობამ დაგვარწმუნა, რომ ჩვენის მიზნის და ნადილის მისაღწევად კერძო წრე უძლურია და საჭიროა ფართო საზოგადოება ჯეროვანი წესდებულებით, რომელიც მთავრობის მიერ უნდა იქნეს დამტკიცებული და დაკანონებულიო...

[ვახტანგ თულაშვილთან][178] და ნიკო ცხვედაძესთან[208] ერთად საქმის განხორციელებას შევუდექით. პირველი ჩვენი გადაწყვეტილება იყო ასეთი: ამ საქმის სათავეში უნდა მოვაქციოთ იმისთანა გვამი, რომელსაც დიდი სახელი და პატივი აქვს ქართულს საზოგადოებაშიც და მთავრობის წრეებშიაც. აღებ-დაღების შემდეგ ჩვენ ამისთანა გვამად ვიცანით დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი, რომელსაც მამაცაშვილის წრესთან არავითარი სიახლოვე არა ჰქონია, და ერთს მშვენიერს საღამოს ვეახელით და თან მივიტანეთ ნორმალური წესდება „წერა-კითხვის საზოგადოებისა". როცა ჩვენი წინადადება მოისმინა, მხურვალე თანაგრძნობით მიეგება ჩვენი ძვირფასი მასპინძელი, და ხანგრძლივ მოლაპარაკების შემდეგ გადავწყვიტეთ: ყოველ შაბათს საღამოს შევკრებილიყავით მასთან და შეგვემუშავებინა წესდებულება „წერა-კითხვის საზოგადოებისა" ქართველთა შორის. გაჩაღდა შაბათის კრებები. ჩემდა სამწუხაროდ, მე დავესწარი მხოლოდ რამდენსამე კრებას; ზამთრის სიცივემ ისევ ამიშალა ფილტვების ავადმყოფობა და შინ დამამწყვდია. მე მხო-

ლოდ მივაქციე ყურადღება ორის ჩემის თანამოღვაწისა იმ გარემოებაზე, რომ რუსულს დედაენაში არ არსებობს მუხლი შესახებ დედა-ენაზე საგნების სწავლებისა, რადგანაც რუსეთში ეს თავისთავად იგულისხმება, და ჩვენს წესდებაში კი იგი უსათუოდ უნდა იყოს მოქცეული-მეთქი. ცხვედაძე თავისი ჩვეული ენერგიით შეუდგა ამ საქმესა და ყოველს შაბათს საღამოს დაიარებოდა დიმიტრი ივანეს ძესთან, და მხოლოდ ეს ორი ქართველი ადგენდა წესდებულებასა ახალის ქართულის საზოგადოებისას.

წესდებულების დამთავრების შემდეგ იგი გამოვართვი ცხვედაძეს და გულდადებით გადავიკითხე. აღმოჩნდა, რომ მუხლი დედა-ენაზედ საგნების სწავლების შესახებ არ შეეტანათ შიგა. როცა მიზეზი ვიკითხე, ცხვედაძემ მითხრა, რომ დიმიტრი ივანეს ძის აზრით, მაგ მუხლს მთავრობა არ შეინყნარებს, წესდებულებას არ დაგვიმტკიცებს და საზოგადოებას ვერ დავაარსებთო. მე ვუპასუხე: „თუ ეგ მუხლი არ იქნება მოქცეული წესდებაში, საზოგადოების დაარსება ამაო იქნება, რადგანაც ბიუროკრატიას უფლება მიეცემა, სწავლება საზოგადოების სკოლებში რუსულ ენაზე მოითხოვოს, და მაშინ ჩვენი საზოგადოება ქართველის ხალხის განათლებას კი არ გაუწევს სამსახურს, არამედ მის გადაგვარებას და მის გონების დაბნელებას დაეხმარება-მეთქი". და მაშინვე ჩემი ხელით წესდებულებაში, რომელიც დაწერილი იყო ცხვედაძის მიერ შავად, ჩავურთე შემდეგი პარაგრაფი:

„Общество достигает своей просветительной цели посредством организаций всего начального обучения на родном, понятном детям языке, и способствует обучению русскому языку..."

ეს შავი ნავუკითხე ბესარიონ ღოლობერიძეს,[203] რომელიც მაშინ იყო დირექტორად თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლებისა და რომელიც ამ მომენტამდე გარეშე ამ საქმისა იდგა, და მან ჩემ მიერ ჩამატებული მუხლის შესახებ მითხრა: „მაგ მუხლის ჩამატებას ის შედეგი მოჰყვება, რომ წესდებულებას უკანვე დაგვიბრუნებენ შესასწორებლადო..."; „უძლიერესი საბუთის სამსახურს გაგვიწევს ამ შემთხვევაში რესკრიპტი იმპერატორის ალექსანდრე მეორისა,[218] 30 აგვისტოდან 1864 წლისა, რომლითაც იგი აკანონებს დედა-ენაზე სწავლებას სახალხო სკოლებში „ინოროდცებს" შორის-მეთქი".

გავიცანით ეს რესკრიპტი, ნავიკითხევით სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებანი, რომელნიც მარტავდნენ რესკრიპტის დედააზრსა, და მაშინ შიში ყველა ჩვენგანს გაეფანტა და იმ აზრზე დავდექით, რომ წესდებულებაში ზემოდ მოხსენებული მუხლი უსათუოდ უნდა დარჩეს და საშუამდგომლო დოკუმენტში ამ მუხლის განსამართლებლად უნდა იყოს მოყვანილი რესკრიპტი იმპერატორისა და სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებანი...

ბოლოს დაიბადა საკითხი: ვინ უნდა ძოანეროს ხელი წესდებულებასა? მე ვუპასუხე: „რათა დამტკიცებას ავაცდინოთ ყოველი დაბრკოლება, საჭიროა წესდებულებას ხელი მოაწერონ დამფუძნებელად მხოლოდ იმგვარმა გვამებმა, რომელიც ითაც სრული ნდობით ეპყრობა მთავრობა. მე, მაგალითად, სამსახურიდან დათხოვნილი ვარ მესამე მუხლის ძალით,[433] და ამიტომ ყოვლად მოუხერხებელია დამფუძნებელთა შორის მეც მოვიქცე. გარდა ამისა, – დავუმატე, — ძლიერ დაეხმარება საქმეს, თუ ჩვენს წესდებულებას მოაწერენ ხელს დიდი თანამდებობის სომხებიც, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვთ ქართველ საზოგადოებასთანა". ეს აზრიც მიღებულ იქნა და ახლა ჯერი მიდგა იმაზე: ვის უნდა დაეტარებინა ხელმოსაწერად წესდებულება. ბესარიონ ღოლობერიძეს დიდი სახელი ჰქონდა მაშინ არამც თუ ქართულს მაღალ საზოგადოებაში, არამედ თითქმის მთელს კავკასიელთა შორისაც, და ამას გარდა. მას სრული ნდობით ეპყრობოდა მთავრობაცა. ვთხოვეთ, ეკისრა მას ეს როლი. ჯერ უარზე იდგა, მაგრამ მერე დაგვთანხმდა. თანაშემწეებად მას დავუნიშნეთ ილია ჭაეჭავაძე და ვახტანგ თულაშვილი. სიმართლე მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ილია ამ მომენტამდინ აგრეთვე იდგა გარეშე ამ საქმისა. მაღალ ხარისხოვანის სომხების მხრივ ხელის მოწერა იკისრა დიმიტრი ყიფიანმა პირადად.

ვისაც კი წესდებულება მიუტანეს, ყველამ სიამოვნებით მოაწერა ხელი[431] და არც ერთს შიში არ გამოუთქვამს ჩემს მიერ ჩამატებულის მუხლის შესახებ, რადგანაც მოხსენებიდან ყველანი ხედავდნენ, რომ იგი დამყარებული იყო იმპერატორ ალექსანდრე II-ის რესკრიპტზედა.

სტაროსელსკიმ[432] არ დააგვიანა საქმე და ნამესტნიკს[191] დაუყოვნებლივ დაამტკიცებინა.

მოხდა საზოგადო კრება, რომელზედაც ერთხმივ იქმნა ამორჩეული გამგეობის თავმჯდომარედ დიმიტრი ყიფიანი...[433]

ნინო ყიფიანი[434]

დიმიტრი ყიფიანი კერძო ცხოვრებაში

მალე 25 წელიწადი შესრულდება, რაც დიმიტრი ყიფიანი გარდაიცვალა (1887 წ. 24 ოქტომბერს) და მისი პიროვნების შესახებ, გარდა ქრონიკისებური ბიოგრაფიისა, არაფერი თვალსაჩინო არა გამოქვეყნებულა რა.[435]

ვგონებ, რომ თუ მისი თანამედროვენი ამით დაკმაყოფილდნენ, შთამომავლობა მაინც უფრო მეტს მოითხოვს ისეთი დიდებული მამულისშვილის პიროვნების გასაცნობათ, როგორიც იყო

დიმიტრი ყიფიანი. ამიტომ მოვალედ ვსთვლი ჩემს თავს, მისი წმინდა ხსოვნის წინაშე აღვნიშნო ყოველი წერილმანი რამეც კი იმის ცხოვრება-შეხედულობისა იმ ხნის განმავლობაში, რა ხანიც მე იმის ხელში გავატარე.

არ იქნება, რომ ოდესმე იმისი ბიოგრაფიის ვრცლად დაწერას არავინ არ შეუდგეს და ეს ჩემი მცირე გახსენება რამდენადმე მაინც გააცნობს იმ დიდპუნებოვან ადამიანს. იქნებ სხვაც გამოჩნდეს მისი შინაურულად მცოდნე ადამიანი, აღნიშნოს თვისი შთაბეჭდილებანი მის შესახებ და ამგვარად ყველასგან მოწოდებული ცნობების აკინძვით, იმასთან ერთად, რაც უკვე დაწერილია, ერთიანი, ვრცელი, ყოველმხრივი მისი დამახასიათებელი ბიოგრაფია დაინეროს.

დიმიტრი ყიფიანი!.. როგორი ფაქიზი გრძნობანი იღვიძებენ გულში ამ სახელის ხსენებაზე! ჩვიდმეტი წლისაც არ ვიყავი ჯერ, როდესაც იმან პირველად მამობრივი სიყვარულით გულზე მიმიკრა.

მხოლოდ სამი წელიწადი მხვდა ბედნიერ წილად, რომ იმისი მძლავრი ჭკუის გავლენისა და თბილი კალთის ქვეშ ვყოფილიყავ! იმ სამ წელიწადშიც ერთი წელიწადი ჩემზე მოშორებით სტავროპოლში გაატარა, საიდანაც წერილებით-ღა გვესაუბრებოდა,[436] გვამხნევებდა, მაშინ, როდესაც თითონ თურმე საშინელ სულიერ ტანჯვას განიცდიდა თავის ოჯახს, თავის სამშობლოს დაშორებული უსამართლოდ, უღვთოდ, განუკითხავად!..

ეს მისი სულიერი ტანჯვა მხოლოდ მისი ვერაგული სიკვდილის შემდეგ, იმისი დღიურიდან გავიგეთ...[437] თან არავინ ნაგვიყვანა — მალე დავბრუნდები, მე ისეთი დანაშაული არა მიმიძღვის რა, რომ დიდხანს გამაჩერონო...

არც სტავროპოლში ყოფნის დროს მიიღო ჩვენი ვედრება — მოეცა ნება, ჩვენთაგანი ვინმე წასულიყო მასთან, მარტოობა გაეზიარებინა.

— თქვენით ვსცოცხლობ, თქვენთან ყოფნა, თქვენი ნახვა მე სიცოცხლეს შემმატებდა, მაგრამ აქ არა, არა, ამ უცხო მხარეს არ მინდა თქვენი ხილვა, მე თქვენს ნახვას ისევ ჩემს ქვიშხეოში უნდა მოვესწრო, თავისუფლადო, — ერთთავად ამას გვიპასუხებდა.

მაგრამ ეს მას აღარ ეღირსა. აღარ გვეღირსა არც ჩვენ იმისი ხილვა. კერძოდ, მე დავკარგე მოსიყვარულე მამა, ვინაიდან, თავის საკუთარ შვილებში არ მარჩევდა; დავკარგე ჩემი ბრძენი მოძღვარი და მასწავლებელი! დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ჩემში როგორც თავის ჭკუით, ისე ხასიათით, მიმართულებით, ერთხელვე დასახულის პრინციპებით, რომლისთვისაც იმას, რამდენადაც ვიცი, არასოდეს არ უღალატნია.

სულ ახალგაზრდა, ცხოვრებაში შეუსვლელი, სკოლის სკამიდან ის-ის იყო გადმოსული ვიყავ, როდესაც ავისი რძალი გავხდი. პირველ დროიდანვე შვილივით შემიყვარა. ცდილობდა, სწავლისა და განვითარების მხრივ ჩემთვის ხელი შეეწყო. მაგრამ ამას ის მე არ მამჩნევინებდა, მასწავლებლის კილოთი არ მესაუბრებოდა, ყველაფერს ისე, თითქო შემთხვევით, სიტყვა რომ მოიტანდა, თავის აზრს და შეხედულებას მაშინ მეტყოდა.

პატრიოტული გრძნობა სწავლის დროსვე ღრმად მქონდა ქართული ენის მასწავლებლებისაგან ჩაგონებულ-ჩანერგული და უპირველესი საგანი ჩემი კითხვებისა იყო ხოლმე ჩვენი პოლიტიკური დამოკიდებულება რუსეთთან.

ჩემს კითხვაზე, თუ ვის ხელში გვერჩივნა ყოფნა, მიპასუხა იმან ერთხელ: -- თუ აუცილებელი იყო ჩვენი ყოფნა ვისიმე ხელში, რა თქმა უნდა, რომ რუსების ხელში გვერჩივნა. რუსის ხალხი ხასიათით ბევრში გვგავს ჩვენ და სარწმუნოებითაც ხომ ერთნი ვართ.

იქნება ამ ორი საბუთის გარდა სხვაც ბევრი ჰქონდა სათქმელი, ან იქნება კიდეც მითხრა, მაგრამ მე ვერ გავიგე მაშინ მათი მნიშვნელობა და მივივინყე და რაც-კი ნამღვილად არ მახსოვს იმისი ნათქვამიდან, ხომ ვერ ვიტყვი.

— აი, შენ (ნება არ მომცა, რომ თქვენობით მელაპარაკნა იმასთან), ასეთი დიდი კაცი, რა ერთგულად ემსახურებოდი რუსის მთავრობას. ჩვენ ენაზე კი სწავლას გვიშლიან!.. ეს როგორღა მოგწონს?.. — ვეკითხებოდი.

ამაზე მიპასუხა:

— ერთგულად იმიტომ ვემსახურე, რომ რუსეთი ჩვენი ქვეყანაა და თუ მსახურობს კაცი, ერთგულად უნდა იმსახუროს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენი ნმინდათა-ნმინდის შელახვა, ვინც უნდა იყოს ის, ვისმე ვაპატივო და ხმა არ ამოვიღო!

სწორედ იმ ხანებში იყო სკოლებში ქართული ენის შესახებ გამწვავებული საკითხი. მართლა არ აპატივა, ხმა ამოიღო და აკი თავიც შესწირა...

ჩემი ცნობისმოყვარეობის მეორე საგანი იყო სარწმუნოება.

სარწმუნოებას ის დიდს მნიშვნელობას აძლევდა და მეტადრე კი უფრო ჩვენთვის, ჩვენი ენის უპირველეს დამცველად, ეროვნების შემარჩენელად ეკლესია მიაჩნდა. თითქმის არც ერთს დღესასწაულს, არც ერთს კვირა-უქმეს არ გაუშვებდა, რომ საყდარში არ წასულიყო და, ამასთან, დიდ-უქმე დღეს --- უთუოდ მუნდირით და ჯვარ-მედლებით მორთულ-გამონყობილი. ამ უკანასკნელ გარემოებას იმითი ხსნიდა ხოლმე, რომ რაც მეტი სადღესასწაულო ელფერი ედება საყდარში ყოფნას, მით უფრო მეტი ხალისი ექნება ხალხს სიარულისაო.

ატყობდა ხალხს, რომ გულგრილად ექცეოდა ეკლესიას და თავისის მაგალითით მას ახალისებდა.

ვფიქრობ, რომ ამასთან ის მორწმუნეც იყო.[38] ერთხელ შევეკითხე: — ღმერთი მართლა არის-მეთქი?

ამ დროს ჩვენ აივანზე ვიდექით ზაფხულის მშვენიერ საღამო ჟამს და გადავსცქეროდით ჩვენს თვალწინ ამართულ დაბურულს მთებს, მთების კალთებ ქვეშ მდორეთ მოდენილ მტკვარს და მის კიდეებზე აბიბინებულ ყანა-მინდორს.

იმან ჩემ კითხვაზე ლმობიერათ გაიღიმა, უბიდან საათი ამოიღო და გამომიშვირა:

— აბა, დახედე ამ პატარა საგანს, თავისთავად რომ დადის. აი, ამასაც კი ადამიანის გამკეთებელი ხელი დაჭირდა და როგორ გინდა, რომ ამ დიდებულ, ადამიანის გონება-მიუწვდომელ, სამყაროს თავისი დამაარსებელი არ ჰყავდეს!

ჩემთვის იმ დროს ეს მისი სიტყვები სრულებით საკმარისი იყო, რომ ღმერთის არსებობაში მტკიცედ დავრწმუნებულიყავ.

ჩემდა საბედნიეროდ, ხალხის კლასობრივი დაყოფისა და მათი ერთმანეთთან განწყობილებისა მაშინ არაფერი მესმოდა რა, რომ ამის შესახებ იმისი აზრი მისგანვე გამეგო. მაშინ დაახლოვებით მაინც მეცოდინებოდა, თუ როგორის თვალით შეხედავდა ის წარსული წლების მოძრაობას... მახსოვს მხოლოდ ერთი აზრი ერთგვარ დამოკიდებულებაზე გლეხებს და თავად-აზნაურთ შორის, სახელდობრ, ძღვენის მოტანაზე. ჩვეულებრივ, ყოველ შობასა და აღდგომის მეორე დღეს ჩვენთანაც მოჰქონდათ გლეხებს ძღვენი. ის თვითეული მეძღვნეს თითონ მიიღებდა ხოლმე, გადაჰკოცნიდა და ძღვენს ჩამოართმევდა.

ერთხელ ამაზედაც შევეკითხე:

— ბატონ-ყმობა ხომ აღარ არის და ეს ძღვენი რაღად მოაქვთ, რატომ არ გადააგდებთ-მეთქი ამ ჩვეულებას?

ამაზე იმან თავისებურად გადმისვა შუბლზე ხელი და მომიგო:

— ძალას არავინ ატანს, თავისი ნებით მოაქვთ ძღვენი. ეს მოვალეობა კი არ არის მაგათთვის, ეს ეხლა ჩვენს შეზობლურ კეთილ-განწყობილებას ნიშნავს ერთმანეთს შორის და ამ განწყობილების გამოსახატავად ერთმანეთს პურ-მარილს ვუზიარებთ. მაგათ ძღვენი მოგვიტანეს და სამაგიეროთ ჩვენც მასპინძლებათ ვუხვდებით. ამიტომ ძღვენის მოტანა მაგათაც სასიამოვნოთ მიაჩნიათ: ბედნიერი დღეებია, სხვაგვარი დროს გატარება არა აქვთ და გული-კი მოითხოვს, რომ სხვებთან ერთად გაატაროს დრო მთელი ნელიწადი მუშაობაში დაღლილმა ადამიანმა.

ამ საგანზე ჩემი კითხვის ახსნა-განმარტება მაშინ უფრო გასაგები შეიქმნა ჩემთვის, როდესაც მასუკან, მისი სიკვდილის შემდეგ, ჩვენს ოჯახში ძღვენის მოტანა ავკრძალეთ. ჩვენთან მოსატანი

ძღვენი მეორე წელიწადს სხვა შებაატონეს მიართვეს, რომელთანაც აღარავითარი დამოკიდებულება აღარ ჰქონდათ.

არ ვიცი, რა შეხედულებისა იყო ის სოციალიზმზე, მაგრამ დანამდვილებით კი ვიცი, რომ თავის მამულის ერთ ნაჭერსაც არავის არ დაუთმობდა, თავისი საკუთრების ხელის შეხებას არავის არ შეარჩენდა

საერთოდ კი გლეხებთან ძალიან კარგი განწყობილება ჰქონდა. ისინიც ღრმა პატივისცემით ეპყრობოდნენ. „დიდო ბატონო" — ასე იხსენიებდნენ მოკრძალებით. იმათ ერთმანეთში კეთილ-განწყობილებას ის გარემოება კიდევ უფრო ხელს უწყობდა, რომ ჰომეოპატიით სწამლობდა. გარშემო სოფლებიდანაც კი დიდის ნდობით მოდიოდნენ მასთან სანამლებლად. ყველას გვარი ჩაწერილი ჰქონდა, ვისაც სწამლობდა. დაწვრილებით იყო აღნიშნული, რა სენით იყო ავად, როდის დაუწყო წამლობა და რა წამლით.[39]

მახსოვს, ერთხელ რა აღტაცებული იყო მისგან მორჩენილი ერთი დაჭრილი გლეხის თაობაზე. ცულით დაჭრილისათვის ჰომეოპატიურ წამლით ღრმად შეჭრილი ფეხი შეეხვია და აი, იმის მორჩენას მეტის-მეტი სიამოვნებით მიამბობდა.

ორი დღე იყო გასული, რაც ჭრილობა შევუხვიე. აივანზე დავდიოდი. გავიხედე და თვალი მოვკარ, რომ ჯოხზე დაბჯენილი ვიღაც კაცი კოშკის აღმართზე მოიკაკვება. ეჭვი შემეპარა, ჩემი პაციენტი ხომ არ არის-მეთქი და მაშინვე დურბინდით გავხედე. ნარმოიდგინე ჩემი გაოცება და ამასთან ნყენაც, როდესაც სწორეთ ის ჩემი პაციენტი დავინახე! მაშინვე კაცი ვაფრინე და სასტიკად გავუწყერი, რომ ასე უდროოთ, ჭრილობა მოურჩენელი გარეთ გამოსულიყო... პატარა ხანს უკან ის კაცი ჩემს წინ იდგა და სრულებით შეხორცებულ ჭრილობას ჩემის თვალით მაშინჯებდა.

ოჯახის შესახებ, ოჯახის წევრთა ერთმანეთში დამოკიდებულებაზე რა აზრისა იყო, ამას ჩვენი შინაურული ცხოვრების ერთი ეპიზოდი იტყვის; ეპიზოდი, რომელიც, ამასთან ერთად, სრულებით ახასიათებს მისგან თავისი პრინციპების მტკიცედ დაცვას, თუნდ რომ ასეთი დაცვა მისი სათუთი გრძნობების დიდად შემაწუხებელიც ყოფილიყო.

ერთი წლის ჯვარ-დაწერილი ვიყავი. ნასადილევი ხანი იყო. ძირის სართულიდან მაღლა ავედი. ამ დროს იმას ყოველთვის აივანზე ეძინა. გამოღვიძებულს მოსამსახურე საკუთარი ბაღის ხილს და შინაურ ღვინოს მიართმევდა და ძალიან უყვარდა, როდესაც იმ დროს ჩვენც გარს შემოვუსხდებოდით და შინაურ საქმეებზე ვემუსაიფებოდით.

მაღლა რომ ავედი, სახლის მეორე აივანზე განსვენებული ჩემი დედამთილი[75] დამიხვდა და მაშინვე გაჯავრების კილოთი მითხრა:

— შენ რომ ნელან წახვედი სადღაც და შენმა გოგომ წამოსასხამი მოგიტანა, მე სნორედ იმ დროს დამჭირდა, ვუძახდი, მაგრამ თურმე ტყუილად ეუძახდი, რადგან ის შენიანა წამოსულიყო. რომ ეს აღარ განმეორდეს, მე უნდა ყოველთვის ვიცოდე, რა დროს სად იქნება გოგო!

განათლებული და დიდად პატიოსანი ჩემი ღედამთილი, თავდადებული მეუღლე, ცნობილი იყო, როგორც თავისებური ხასიათის ადამიანი. ამ მხრივ მე ჯერ ისე კარგად ვერ ვიცნობდი, ამიტომ საშინლად გამაკვირვა ასეთმა მოთხოვნამ და ვეცადე, საქმე გამომერკვია.

— კარგი, მაგრამ ათიოდე წამის საქმეზე მისადგომათ რომ ყოველთვის აქ ამოვიდეს შესატყობინებლად, აქა და აქ ვიქნებიო, საქმე რიდისღა გააკეთოს? და წამოსასხამის მოტანას ხომ ათი წამიც არ მოუნდებოდა?

— ეგ ჩემი საქმე არ არის, მე უნდა ვიცოდე, სად იქნება! — მიპასუხა გაღაჭრით ღედამთილმა.

— მაშ სულ აქ იყოს თქვენთან. მაგნაირი სამსახური მოუხერხებელია, — ვუპასუხე ეს და აივნიდან სასტუმროში შევედი, რომ იქიდან ღერეფანზე გავლით ძირის სართულში ჩავსულიყავ.

როგორც კი შევსდგი ფეხი ოთახში, იმ მხრიდან, სადაც იმას ეძინა ხოლმე, გაღებული სარკმელიდან ამაღლებული, გამაფრთხილებელი ხმიო შემომესმა:

— ნინაა!

თურმე ჩვენი ლაპარაკის დროს იმას აღარ ეძინა, კამათი ჩვენი ესმოდა თურმე.

მე, ყველა ამით, შეშფოთებული, ჩავედი ძირს და ჩემს ოთახში შევვარდი. რაც ზევით მოხდა, ყველაფერი ტირილით ქმარს[440] გადავეცი. მეტადრე იმის გაჯავრება მგვრიდა ცრემლებს. რამდენიმე ხნის შემდეგ, მობინდებულზე, შვილი მამასთან ავიდა. ვგრძნობდი, რომ მამა-შვილს უსათუოდ ექნებოდათ ამ საგანზე ლაპარაკი. ფეხაკრეფით ძირის სართულის აივნიდან მაღლა ყური დავუგდე.

მართლაც, არ გასულა რამდენიმე წამი და შემომესმა მისი ხმა. კარგად ვიცნობდი საზოგადოდ იმ კილოს, როგორითაც ის ახლა შვილს ელაპარაკებოდა: მტკიცედ, მოკლედ და გადაჭრით.

— კოტე, გააფრთხილე ნინა, რომ ღედასთან კამათი არ შეიძლება!

შვილიც არ იყო დამშვიდებული. იმასაც გულს აკლდა, რომ ცოლი აუტირეს.

— შენ თითონ კარგად იცი, რომ ღედაჩემის ხასიათი ზოგჯერ აუტანელია!..

— ეგ თქვენი საქმე არ არის! — გააწყვეტინა უცებ სიტყვა, — თქვენ არა ხართ იმისი მსაჯული!

— მამ მონები უნდა ვიყვეთ. არაფრის პასუხი არ შეიძლება, რაც უნდა უცნაური იყოს იმისი სურვილი! მაგისთანა ცხოვრება აუტანელია! ბავშვები ხომ აღარა ვართ!

მე მოვითხოვ მორჩილებას. სხვაფრივ ერთად ცხოვრება შეუძლებელი არის! — გაათავა სიტყვა და გატრიალდა.

იმავ დროს შვილი კიბეზე ჩამოვიდა და ორივენი ოთახში ერთად შევედით. ერთი საათის ფიქრის შემდეგ ამბარგა ქმარმა და ორივენი იმის ბიძაშვილის ოჯახში გაიარეთ.

იმ ღამეს იმას ეს არ გაუგია. ვახშმად ჩვენი მოუსვლელობა გაჯავრებას თურმე მიაწერა. გაეგო მხოლოდ მეორე დილას და მეტის-მეტად სწყენოდა: მთელი დღე თურმე აივანზე მიდი-მოდიოდა და ხმა არავისთვის არ გაუცია.

ჩვენ ეტლი გვყავდა ფოშტის სადგურიდან დაბარებული, ბორჯომში მივდიოდით. საღამო ჟამს მოვიდა ეტლი და ის იყო, შიგ ჩავსხედით, რომ სახლიდან ბიჭმა წერილი მოგვაგება. შვილმა გახსნა წერილი და ჩაიკითხა...

მე გულში მიხაროდა: ალბათ, უკან აბრუნებს და ამ ღამით სიარული არ მოგვიხდება-მეთქი.

ჩვენი გამცილებლებიც ეტლს გარს შემოხვეოდნენ და მოუთმენლად ელოდნენ წერილის შინაარსს.

— გასნი! — უცებ გაისმა მეეტლისკენ მიმართული მკვახე ხმა ჩემი ქმრისა და ეტლიც მაშინვე დაიძრა.

ამნაირად, დარჩენის და შერიგების იმედი დამეკარგა. წერილის დასკვნა კარგად მახსოვს: ის სასტიკად უსაყვედურებდა შვილს, რომ ქურდულად გაიპარე მამის სახლიდანაო. განმარტავდა, რომ სხვაფრივ არ შეიძლება ოჯახში ერთად ცხოვრება, თუ ერთმანეთის დათმობა არ იქნება და ეს დათმობა კი უმცროსს შეეფერისო. წერილი ასე თავდებოდა: „მაშ ასე, ან ბოდიში ასეთი შენი საქციელისათვის და ამასთან მომავალშიც ოჯახის ერთი დასაბამის მორჩილება, როგორიც უნდა იყოს ეს დასაბამი, ანდა როგორც გენებოსო!"

ჩვენ დავრჩით ბორჯომში ერთ-ორ კვირას. შემდეგ ჩემი მული, ელენე[247](ანტონ ლორთქიფანიძის[441] მეუღლე), ქუთაისიდან მოსული, მამის ეტლით ამოვიდა ჩვენთან ქვიშხეთიდან და წაგვიყვანა.

მიგვიღო ისეთივე სიყვარულით, როგორც წინად გვექცეოდა და არას დროს მის შემდეგ კრინტიც არ დაძრულა ჩვენში ამ საგანზე.

ასე უყურებდა ის ოჯახს და ასე დაგვსაჯა შვილებიც და თავის თავიც, ვინაიდგან, — როგორც ეს შემდეგ გავიგეთ, — ჩვენი წასვლის დღეს ბორჯომში, მთელი ღამე ბორგვნით გაეტარებინა და მეტადრე ის თურმე აწუხებდა, რომ მშიშარა არის (ჩემზე ამბობდა) და ვინ იცის, ღამე სიარულით დაიტანჯოსო.

ოჯახში უფროსის მორჩილებას ასე სასტიკად თხოულობდა, მაგრამ არც ერთს საკითხს არ გადასწყვეტდა ისე, რომ ოჯახის ყოველ წევრს არ დაჰკითხებოდა. „ჰკითხე ასსა, ჰქმენ გულისაო" — იტყოდა ხოლმე და მით უმეტესად ოჯახის წევრს არ დასტოვებდა დაუკითხავად ისეთ დიდ-მნიშვნელოვან საკითხშიაც კი, რომელიც მას შეეხებოდა, როგორც საზოგადო მოღვაწეს ან როგორც თანამდებობის კაცსა. სულ უმცროსიდან დაიწყებდა შეკითხვას და იმისი აზრის მოსმენას ყოველ დაყენებულ კითხვაზე.

ამას იმ მოსაზრებით სჩადიოდა, რომ იცოდა — მისი საქციელის შედეგს, კარგი იქნებოდა თუ ცუდი, მისი ოჯახის წევრებზედაც გავლენა ექნებოდა. სწორედ ასეთივე შეხედულების თვალსაზრისით უყურებდა ის სახელმწიფოსაც. რამდენადაც ვიცი, მიმართულებით მონარქისტი იყო.[442]

როგორღა უყურებდა ის დიასახლისს, ოჯახის ბურჯს, როგორც ის ეძახდა? რას მოითხოვდა იმისგან? — კრუხივით უნდა დასტრიალებდეს ოჯახს, ქმარ-შვილს. „ყოველისფერი შინაურული საქმე, რასაკვირველია, რაც ქალს შეშვენის, ყველაფერს უნდა აკეთებდესო" — მეტყოდა ხოლმე მაშინ, როდესაც საქმეზე დამინახავდა და თითქო ამით მახალისებდა.

როგორც ძალიან ყმაწვილს და გამოუცდელს, საოჯახო საქმეშიც ბევრი არა მეხერხებოდა-რა, მაგრამ გაკეთების სურვილს მაინც ვიჩენდი და ეს იმას ისე მოსწონდა და ახალისებდა, რომ თითონაც ამყვებოდა ხოლმე. ბევრს გაუკვირდება ის, რომ, როდესაც ზაფხულის საღამოზე მოსამსახურესთან ერთად წინილ-კრუხს ჩასაბინავებლად შემოვურბენდი, ისიც გახარებული და მხიარული, ხელებგაშლით მეხმარებოდა!

მახსოვს, ერთხელ შუაღამე იყო. ვახშამზე ვისხედით. უცებ გამახსენდა, რომ კრუხს წინილები გამოჰყავდა და დახმარება იყო საჭირო, რომ ნაჭუჭს წინილი არ დაეხრჩო. ვიცოდი, რომ დედაკაცი შუაღამისას იმისთვის თავს არ შეიდებდა. მაშინათვე ავდექი და საქათმეში წასვლა დავაპირე. იმან რომ ეს გაიგონა, ისე გაეხარდა ჩემი მზრუნველობა, რომ წამოდგა, სანთელი ამინთო და თითონაც თან წამომყვა.

— ბარაქალა, ჩემო ნინუკა, ბარაქალა! — მომიალერსა.

ერთხელ ხილის ტყლაპის (პასტილა) კეთება მასწავლეს. მასწავლეს, მაგრამ ალბათ კარგად ვერ ვისწავლე და ზედ გადაველიე იმის დუღილს. ვერაფრით ვერ გავასქელე. ყოველ ნახევარ საათში შემოდიოდა ჩემთან სამზარეულოში ამ საქმით დაინტერესებული.

მაგრამ როდესაც მზარეულის რჩევით ხილის სითხის გასასქელებლად ფქვილი მოვუკიდე და, რასაკვირველია, ტყლაპი ნახდა, ჩემს ჯავრზე ბევრი იცინა.

— რა ვუყოთ მერე, სადაც არა კეთდება-რა, არც არა გაფუჭდება-რა! — მანუგეშა და გამამხიარულა.

საზოგადოდ დიდს სიამოვნებას გრძნობდა, როცა მე ოჯახში ვტრიალებდი და ვცდილობდი მაინც, რამე გამეკეთებინა. მაგრამ იმისი წინააღმდეგი კი იყო, რომ სხვაგვარი რამ საქმე მეკეთებინა. მაგალითად, ერთხელ ვუთხარი: ძვირი ჯდება ყიდვა და შლიაპების კეთება მე თითონ უნდა ვისწავლო-მეთქი.

— შლიაპების, ფეხსაცმელის, ხელთათმანების და სხვა ამგვარი რამის კეთება იმას მიანდეთ, ვისაც მეტი ლუკმა არსაიდანა აქვს, — მიპასუხა ამაზე, — შენისთანებისათვის კი ოჯახში ბევრი სხვა საქმე მოუცია მოვალეობას და ის პირნათლად შეასრულეო.

აი, ეს წვრილმანი ფაქტებიც ამტკიცებს, თუ რამდენად აფასებდა ის ქალის მეოჯახეობას.

დიასახლისის მეოჯახეობას პირადი მზრუნველობითაც ხელს უწყობდა. თითონაც ძალიან უყვარდა ამ დარგში მუშაობა. მეურნეობას დიდ ყურადღებას აქცევდა. გააშენა მშვენიერი ბაღი და ვენახები; საუცხოვო საზღვარგარეთიდან დაბარებული ხეხილი დარგო. თითონ დასდევდა მებაღეს თან და მათ მოვლას ასწავლიდა. ვენახს, თავის „ზვარს", შვილივით დასტრიალებდა. ასეც ეძახდა: „მოე დეტიშჩეო".

მახსოვს, შემოდგომაზე, ვენახში დადიოდა ხოლმე და ყურძნის დასამწიფებლად ვაზს თავისი ხელით ფოთოლს აცლიდა. რთველის დროს მარანში თითონ ტრიალებდა, ამარცვლინებდა ნოემბერში დაკრეფილ, დაჩამიჩებულ, არჩეულ ყურძენს და ისე ანურვინებდა. მართლა რომ საუცხოვო, შამპანისებურ ღვინოსაც აყენებინებდა და თვისის სტუმართ-მოყვარეობით და გულ-უხვობით დიდის სიამოვნებით და სიამაყით სტუმრებს უმასპინძლდებოდა.

ამგვარად უვლიდა თვითონვე შემოსულ ხილსაც.

როგორი იყო ის კერძო და საზოგადო ცხოვრებაში?

მოსიყვარულე და გრძნობიერი გულისა, ოჯახში მუდამ წარბგაშლილი, მხიარული, სადილ-ვახშამზე უყვარდა ოხუნჯობა, ზმებით ლაპარაკი, ხუმრობა-მასლაათი. საღამოობით დიდის ხალისით გვიკითხავდა რასმე მშვენიერის, იშვიათის გამომეტყველებით.

ამ დროს ჩვენ მაგიდას ვუსხედით ხოლმე გარშემო. მამაკაცები პაპიროსით პირში, ქალები — ხელ-საქმით. კითხვის შემდეგ უყვარდა მოსმენა მუსიკისა. მუსიკის ხმაზედ მიდი-მოდიოდა ოთახში ხელებ უკან განყობილი და შესაფერ ხმას დაჰღიღინებდა.

იშვიათად აიღელვებდა გულს, რაც უნდა საწყენი რამ ყოფილიყო. არც ნამდვილი დარდის ჩვენება იცოდა აგრერიგად, როდესაც ეს საოჯახო საქმეს შეეხებოდა. ასეთი იყო ის აგრეთვე გარეთაც.

შესანიშნავი იყო საზოგადოდ იმისი სულგრძელობა.

თითქმის ყველამ იცის, რომ ერთ დროს კარგად შეძლებული, ბოლო დროს ნივთიერად დაეცა და ამისი მიზეზი თავდებობა იყო. კ[ოხტა] ა[ბხაზ]ის[222] თავდებობაში ფ[ორაქაშვილ]ს[226] დიდი ვალი გადაუხადა. იმ ვალის გადახდა დიდხანს სწარმოებდა. თანდათანობით ბევრი მამული, უძრავი და მოძრავი ქონება გაეყიდა, პენსია დიდი ხნით ჰქონდა დაგირავებული. ბოლოს მთელი მამული თბილისისა და ქუთაისის ბანკებში დააგირავა და როგორც იყო ფ[ორაქაშვილ]ის ვალი საბოლოოდ გადაიხადა. სამაგიეროდ თითონ დარჩა ნივთიერად შევინროებული.

და აი, მაშინ, როდესაც სასამართლოს უკანასკნელ ინსტანციაში ამ საშინელი ვალის გადახდა გადაუწყვიტეს და ეს ამბავი გაიგო, წარბი არ შეიხარა! იმ დროს მას სტუმრები ჰყავდა სოფელში. ცოლსა და შვილებს თავ-თავის ოთახში გული უღონდებოდათ და არ იცოდნენ, სტუმრებთან როგორ შეეკავებინათ თავი და ის კი იმ დროს მაზურკას თამაშობდა!

ამ ამბავს მე თვითონ არ მოვსწრებივარ, მაგრამ ეს შემთხვევა ეხლაც დიდ-სულოვნობის სამაგალითოთ არის დარჩენილი.

ეს კი იყო, რომ საკუთარ საქმეში ასეთი თავდაჭერილი და მომთმენი, სრულებით ასეთი არ იყო მაშინ, როდესაც საზოგადო საქმეს ვისგანმე არ რისგანმე სახიფათო რამ მოელოდა. ამგვარ შემთხვევაში ბუნება მისი თითქო მთლად იცვლებოდა. მაშინ მოკრძალებას, თითქმის შიშს ჰგვრიდა კაცს იმისი გულმოსულობა. ამ გულმოსულობაშიაც კი გამოიხატებოდა იმისი მძლავრი, ამაყი და მტკიცე ხასიათი და როდესაც ამ სიმტკიცე-სიამაყეს მამულიშვილური გრძნობის დათრგუნვა დაერთოდა და შეანძრევდა, იმის აღშფოთებას საზღვარი არა ჰქონდა და მისი ამ სულიერი აღშფოთების მაყურებელს მისდამი უნებური თაყვანისცემა ებადებოდა.

მინახავს მე ის ასეთ მდგომარეობაში. ეს იყო მაშინ, როდესაც იმან პავლე ეგზარხოსის[287] მიერ საქართველოს დაწყევლა შეიტყო. ჯერ დიდხანს აივანზე მიდი-მოდიოდა ჩუმად. ჩვენ სულ-განაბულები ვისხედით მასთან. მერე მოგვიბრუნდა და დიდხანს გველაპარაკა სწორედ იმგვარად აღშფოთებული. დიდი აღელვება იხატებოდა ლაპარაკის დროს იმის ჩვეულებრივ ერთგვარად გულზე ხელის დარტყმაზე.

მეორე დღეს ის ყველასაგან გაგებული წერილი წაგვიკითხა, რომელიც ამ საქმის თაობაზე ეგზარხოსს გაუზგავნა.

იშვიათად შეხვდება კაცს მისგვარად პიროვნების პატივისმცემელი ადამიანი. პიროვნება მისთვის უდიდესი რამ იყო. დიდი და პატარა, მაღალი და დაბალი, მდიდარი და ღარიბი, ჭკვიანი და სულელი მისთვის უპირველესად პიროვნება იყო — ადამიანი! ყველა იმათთვის ცალ-ცალკე ჰქონდა შესაფერი საგანი მუსაიფისა, საქმის დაჭერისა, მაგრამ შეხვედრით კი ყველას ერთნაირად ზრდილობიანად, მხიარულად, გულგაშლით შეხვდებოდა.

მახსოვს, რა სიამოვნებით გაიხსენა და მიამბო ერთხელ ჩვენმა დაუვიწყარმა ივანე მაჩაბელმა[443] თავისი შეხვედრა მასთან პირველად: „ქუჩაში მივდიოდი. თერთმეტიოდე წლისა ვიქნებოდი. ვნახოთ, მოდის დიმიტრი ყიფიანი. მე ვიცოდი, ვინც იყო და ამიტომ მაშინვე ქუდი მოვუხადე, მაგრამ როგორ შემრცხვა და გავწითლდი, — თუმცა თან ძალიან გამიხარდა, — როდესაც იმან, ჩემთვის მოულოდნელად, სიამოვნებით გამიღიმა და, იმის მაგიერად, რომ თავი დაექნია ოდნავ, როგორც ეს საზოგადოთ დიდებს სჩვევიათ ბავშვის სალამზე, მოხდილი ქუდი მუხლებამდინ დამიქნია".

ყოველ სტუმარს, ვინც უნდა ყოფილიყო, კარებში მიეგებებოდა და ნასვლის დროს იქვე კარებამდინ მიაცილებდა. სტუმრიანობის დროს ერთი საგულისხმიერო თვისება ჰქონდა: რაც უნდა დიდ-ხარისხოვანი სტუმრები ჰყოლოდა, ღარიბ, უსწავლელ მეზობლებს, — ქალი იყო თუ კაცი, — იმ დროს უფრო მეტს ყურადღებას აქცევდა.

იმისი რწმენა და დაჯერება ადამიანისა ბავშვის გულუბრყვილობამდინ მიდიოდა. ვფიქრობ, რომ ესეც სწორედ პიროვნების იმ დიდი პატივისცემით მოსდიოდა — ვერ წარმოედგინა, რომ საქმეში ვინმე მოატყუილებდა.

მახსოვს ერთი მაგალითი:

თბილისში იყო იმ დროს ჩვენთან სასტუმროში ჩამომხტარი.[444] დუშეთის მამულის[445] მოურავად ჰყავდა ვინმე ე.კ-ლი.[446] იმ კ-ლს ფული ჰქონდა იმასთან მოსატანი. რამდენიმე დღე გავიდა, რომ არ იქნა და ერთად ვერ შეხვდნენ ერთმანეთსა: როგორც კი ის გასდგამდა გარეთ ფეხს, მოურავიც შვეიცარს შეეკითხებოდა — შინა ბრძანდება თუ არაო. რასაკვირველია, შინ არ იყო და მოურავიც დაუბარებდა — მოვედი და არ დამიხვდიო. ასე, ამგვარად, რამდენამე დღეს ატყუა და ის კი გულ-წრფელად გვეტყოდა ხოლმე: „სანყალი ე-მი, ეს რამდენჯერ შესწუხდა, მოსულა ფულის მოსატანად და მე სულ შინ არ ვუხვდებიო!".

თურმე მოურავი კი განგებ სდარაჯობდა და, დაინახავდა თუ არა გასულს, მაშინვე შვეიცართან მივიდოდა.

ვცადეთ, მაგრამ ეს ხერხი მოურავისა იმას ვერაფრით ვერ დავაჯერეთ.

მაგრამ ესეც კი იყო, რომ თუ მართლა დარწმუნდებოდა ადამიანის უპირობაში, ან თაღლითობაში, მაშინ ეს იმის რისხვასაც ძალიან დიდს გამოიწვევდა. არ დაინდობდა არავის, არც შინაურსა, არც გარეულს, არც გულითად მეგობარს, არც კარგს ნაცნობს, ყოველივე კავშირს სპობდა მასთან და არ დაეძებდა იმას, თუ იქნებ ავნებდა მას ასეთი საქციელი.

ასეც მოუვიდა მას ერთ შემთხვევაში, სახელდობრ, ფ[ორაქაშვილ]ის და ა[ბხა]ზის[21] საქმეში, რამაც ის ნივთიერად საბოლოოდ

დაჰლუპა. ფ[ორაქაშვილ]ს ვერ აპატივა მასზე საჩივრის შეტანა და დიდი შეურაცხყოფა მიაყენა...

ეს ამბავი თითონ იმისგანა მაქვს გაგონილი.

ერთხელ, ლაპარაკმა რომ მოიტანა, საყვედურით ვუთხარი: — შენ რომ ფ[ორაქაშვილ]ი ისე არ გაგესტუმრებინა, იქნება თავისი საჩივარი ა[ბხაზ]ზე გადაეტანა და ამ დღეში არ ჩავვარდებოდით-მეთქი.

— ვინ იცის, იქნება ეგრეც ყოფილიყო, მაგრამ მე სხვაფრივ მოქცევა არ შემეძლო, — მიპასუხა ამაზე მტკიცედ, მაგრამ თითქო ბოდიშითაც, — აბა, დამიგდე ყური, რანაირად მომექცა... როდესაც ა[ბხაზ]ის მაგივრად ვსთხოვე ვალის გადახდევინების მოცდა, ფ[ორაქაშვილ]მა თავდებობა მომთხოვა. მე ამაზე გაკვირვებული დავეკითხე: ნუთუ მე გადამახდევინებ-მეთქი! ამის შეკითხვაზე ფ[ორაქიშვილ]მა აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა და ჩუმად მითხრა:

— აბა ღმერთი ისე როგორ გამინყრება და ცოლ-შვილი როგორ დამეხოცება, რომ იმისი ვალი მე შენ გადაგახდევინო! მაგრამ ა[ბხაზ]ი მოერიდება შენს შეწუხებას და ვალის გადახდისათვის თავს უფრო შეიდებსო. აი, ასე მიპასუხა და მეც დავუჯერე... და იმან რომ პირს უმტყუვნა, მე ეს ვერ ვაპატივე. ახლა ხომ იცი, საქმე როგორც იყო და აბა, ახლა განსაჯე.

ასე მიპასუხა იმანაც ჩემს საყვედურზე და სრული დარწმუნებული იყო, რომ მეც ვეთანხმებოდი. ერთით ეს ასეც იყო, მაგრამ გულში მაინც მქონდა ერთი ისეთი კუთხე, სადაც მას ვამტყუნებდი... ჩემის სისუსტით ისე ვსჯიდი, რომ ამ შემთხვევაში ისევ ტკბილი სიტყვა უნდა ეხმარა და, ასე თუ ისე, იმოდენა ვალის გადახდა თავიდან როგორმე აეცდინა.

ასე ვსჯიდი მე. ასე სჯიდა ჩემთან ერთად ბევრი სხვაც და ამტყუნებდა კიდეც, მაგრამ სხვანაირად სჯიდა თვით დიმიტრი ყიფიანი!..

აი, ეს პატარა ცნობები მინდოდა მიმეწოდებინა მკითხველისთვის დიმიტრი ყიფიანის შესახებ და ბედნიერად ჩავსთვლი ჩემს თავს, თუ ნაამბობი რამდენადმე მაინც წარმოუდგენს სურათს დიდებული ადამიანის პიროვნებისას.

1911 წელი. 30 მარტი.

ნინო ყიფიანი[434]

დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებიდან

(მოგონება)

ეს მოგონება შეეხება დიმიტრის ცხოვრების იმ ეპიზოდს, ღრმად ჩამჯდარს დღემდის ჩემს გონებაში თავისი ძლიერი შთაბეჭდილებით, რომელსაც ისეთი დიდი შედეგი მოჰყვა, როგორც

თვით დიმიტრისა და მისი ოჯახისათვის, ისე იქნება ქართველი ერისთვისაც იმდენად, რამდენადაც მისმა ვერაგულად მოკვლამ ხალხი გამოაფხიზლა და დიდი ხნის დაგუბებულმა ბოღმამ თვითმპყრობელობისადმი მისი ცხედრის სტავროპოლიდან გადმოსვენებასა და მის დიდებულად დაკრძალვაში გადმოხეთქა. უმიზეზოდ არ თრთოდა იმ დღეს მაშინდელი მთავარმართებელი დონდუკოვ-კორსაკოვი,[264] მღელვარე პროცესიისაგან თავს რომ თითქო სარკმელზე ფარდის ჩამოშვებით იფარავდა.

ბედრმა მარგუნა ისეთი დიდ-ბუნებოვანი ადამიანის პირადი ცნობა, ახლობლობა, როგორიც იყო დიმიტრი ყიფიანი! რა ვუყო, რომ ბრწყინვალე მეტეორივით უეცრად გამიელვა თვალ-წინ სულ მცირე ხნით და გაჰქრა. როგორც მეტეორის არსებობას მომაკვდავი, ისე ვერც მე მივსწვდებოდი, — მაშინ მაინც, — ჩემი თითქმის ბავშვური გონებით, მის დიად ზრახვებს, მის სულისკვეთებას, თუ რით იყო დამძიმებული მისი ფხიზელი ფიქრები ჩვენს ყოფაზე იმ ჩაგვრისა და მონობის დროს, მაგრამ ცოტა რამ მაინც მოვისმინე მისგან ჩემს ცხოვრებაში სახელმძღვანელოდ; ხომ მხვდა წილად მეც მამობრივი მისი მოპყრობა და სიყვარული! და ყველა ეს კი ცოტა არ იყო ჩემისთანა მომაკვდავისათვის, რომ ის დრო სანეტარო-დაც მქონდეს მოსაგონებელი.

ზაფხულია. საღამო ისეთი იშვიათი სილამაზის, როგორც ს.ქვიშხეთს სჩვევია. ძველებური ორსართულიანი სახლის ფართო აივანზე ვსხედვართ დიმიტრი ყიფიანის ოჯახის თითქმის ყველა წევრები და, ტახტებზე თუ სავარძლებში ნებივრად მოკალათებულნი, გადავსცქერით მტკვრის ნაპირებზე გადაშლილ მომხიბლავ სურათებს. ჩამავალი მზე ფანტასტიურ ფერებს აძლევს თვალ-უნვდენელ, ნათესებით აფერადებულ ვაკეს, მთების გრეხილს ნაძვნარიანი ფერდობებით, ფირუზად ქცეულ ცაზე თეთრი ღრუბლების ქარავნებსა. ზოგი ვკითხულობთ, ზოგი განაბული გავსცქერით ამ ბუნებას.

დიმიტრიც* ჩვენთან არის, მაგრამ გუნებაზე ვერ არის, თავისებურად არ გვეხუმრება, არ გვიკითხავს ხმამაღლა; აივანზე მიდიმოდის მძიმე ნაბიჯით, ხელებ-წელზე გაწყობილი, და ფიქრშია ნასული, თითქო არც ჩვენ გვამჩნევს, არც ბუნებას.

ვიცით კარგად, რა აწუხებს ეხლა იმას, მოსვენებას არ აძლევს, ცუდ-გუნებობა მისი გვედება ჩვენც და სულგაკმენდილნი შევსცქერით.

---

* რა თქმა უნდა, ჩვეულებრივ, მეც მამას ვუნოდებდი, მაგრამ აქ მას სახელით მოვიხსენიებ. ავტ.

— როგორ გაჰბედა, როგორ, ერთი კაცის დანაშაულისათვის მთელი ერის დაწყევლა?! — უცებ შეჰყვირა და გაჩერდა ერთ ალაგას.

ყველას გული გადმოგვიტრიალდა, უნებურად წამოვიწიეთ ადგილებიდან. საშინელი აღელვებული იყო, სულ მუშტს იცემდა მკერდზე, თვალებიდანაც ცეცხლს ჰყრიდა. როგორ დამავიწყდება მაშინდელი ჩემი ყოფა! მუდამ მოღიმარი და ტკბილად მოუბარი, ასეთი განრისხებული სახით მე ის ჯერ არ მენახა და მთლად დავიბენი, მოვიზლარბე სავარძელში, თავით მხრებში ჩავძვერი და დამფრთხალი კურდღლის თვალებით შორიდან შევსცქეროდი.

შვილებმა, — კოტემ,[440] ელენემ[247] (ნიკო[1] არ იყო იმ დროს აქ[447]), — პირველად ვერაფერი შეჰბედეს. საერთოდ, დიდად მორიდებული მოპყრობა ჰქონდა მას ცოლ-შვილისაგან, მეტადრე, როცა გუნებაზე არ იყო. მხოლოდ მეუღლე[76] მივიდა მასთან, სათუთად დაადო მხარზე ხელი და ვედრებით უთხრა:

— დიმიტრი, „დუშკა", ნუ ღელავ ეგრე, ხომ იცი, როგორ გწყენს შენ აღელვება?!

— არა, როგორ გაჰბედა იმ უკეთურმა, იმან! — შეაგება მეუღლეს ასევე კითხვა პასუხად.

— ძალა-უფლება იმის ხელშია და გაჰბედა, — მამას უპასუხეს შვილებმა.

— არა, იმას ამის ძალა-უფლება არა აქვს! ის ხალხის მწყემსად არის აქ წარმოგზავნილი და არა მანყევრად! იმან ბოდიში უნდა მოიხადოს ერის წინაშე, ბოდიში! — იმეორებდა.

აბა, ხმას ვიღა გასცემდა. ჩამოვარდა მძიმე სიჩუმე, რა დროსაც დიმიტრი, უკვე ფიქრში ნასული, მიდი-მოდიოდა. სახე თანდათან დაუმშვიდდა, ეტყობოდა, რომ პირველმა აღელვებამ გაუარა, გული დაუცხრა და ეხლა უფრო გონება მუშაობდა.

კარგა ხანს დაჰყო ასე, ფიქრებში გართულმა. ბოლოს გადაწყვეტილი ნაბიჯით გასწია აივნის მეორე მხარესკენ და რამოდენიმე წუთის შემდეგ მისი კაბინეტიდან იქვე ჩვენთან ახლო გამოღებულ სარკმლიდან დავინახეთ, როგორ სწრაფად მიუჯდა ის საწერ მაგიდას და იწყო წერა.

ერთი ფიქრი და განცდა დაუტრიალდა ყველას: დიმიტრის ცოლ-შვილმა კარგად იცოდა მისი უდრეკი ხასიათი და თავ-განწირვა, როდესაც საქმე სამართლიანობის შელახვას შეეხებოდა და, შიშით შეპყრობილნი, მოუთმენლად ველოდით, თუ რას წაგვიკითხავდა. და რომ წაგვიკითხავდა, ეს ნამდვილად ვიცოდით, ვინაიდგან ასეთი ჩვეულება ჰქონდა მას, რომ არაფერს მნიშვნელოვანს ცოლ-შვილის გაუგებრად არ ჩაიდენდა.

გადიოდა დრო მოუსვენარ მოლოდინში. უკვე ბინდდებოდა. შორიდან ვხედავდით, რომ წერა გაათავა და სავარძელში იჯდა ჩა-

ფიქრებული. ვინ იცის, თუ რას დასტრიალებდნენ იმ დროს იმის მღელვარე ფიქრები! იქნებ წინასწარ იმასაც გრძნობდა, თუ რა საბედისწერო იყო მისთვის ის წერილი, რომელიც ის იყო დაამთავრა პავლე ეგზარქოსისადმი,[283] რომელმაც ისე თავხედად, ისე განუკითხავად, ერთი უადამიანო, უმსგავსი რექტორის[284] გულისათვის მთელი ერი საჯაროდ შეაჩვენა![285] გრძნობდა იქნებ დიდ პასუხისმგებლობას ისეთი სასტიკი წერილის გამო, მაგრამ უკან აღარ დაიხევდა და აკი არც დაიხია...

„თუ ბოდიშს არ მოიხდით, ხსნა თქვენის ხარისხისა მხოლოდ შეურაცხმყოფელის წასვლით-ღა შეიძლება შეურაცხყოფილი ქვეყნიდანაო!" — ასეთ მუქარას უბედავდა, სხვათა შორის, დაჩაგრული ქვეყნის შვილი მეფის წარმოგზავნილ დიდ მოხელესა.

გვიკითხავდა ასეთ მძლავრ სიტყვებს, გამოწვეულთ მისი სპეტაკი გრძნობებით, სამართლიანობით, ხალხისადმი სიყვარულით და ჩვენ კი, აღტაცების მაგიერ, გული გვეწურებოდა.

ცოლ-შვილმა გამოსთქვა თვისი შიში ასეთი წერილის გამო ბევრის შემძლებელ პიროვნებისადმი, მაგრამ დიმიტრის ნებასთან სუსტი იყო ყველაფერი.

— დიაღ, ბოდიში, ბოდიში უნდა მოიხადოს! — იმეორებდა ის ურყევლად და ამ დროს ისეთი ძლიერი იყო მასში სურვილი ამ ბოდიშისა, შეურაცხყოფილი ხალხის ღირსების აღდგენისა, რომ სამაგიეროს მოთხოვნას მისგან: მოისპე თავი, აღმოფხვერი ქართველი ხალხის მახსოვრობიდან თვით სახელიც კი დიმიტრი ყიფიანისა, — ის, ვფიქრობ, წარბ-შეუხრელად მოაწერდა ამაზე ხელს, ოღონდ ეს ხალხის მტერი — მოძულე ბერი — ამ ხალხის წინ განართხული დაენახა.

მაგრამ პავლემ ბოდიში, რა თქმა უნდა, არ მოიხადა, ხოლო დიმიტრი კი მოსპო მაინც...

წერილი მეორე დღესვე გაუგზავნა. რაც მოჰყვა ამას, ყველამ უნყის: დიმიტრი, როგორც მავნე პირი მთავრობისათვის, ქ. სტავროპოლში გადაასახლეს, სადაც ის ერთი წლის შემდეგ მთავრობის მიერ მოსყიდულმა ავაზაკმა მოჰკლა ღამე,[448] რაღაც მძიმეთი თავში დარტყმით.[449]

ასე დასდო თავი დიმიტრიმ თავის რწმენას, რომლისთვისაც მთელ თავის ხანგრძლივ სიცოცხლეში ბეწვის ოდენა გადახრით არ უღალატნია.

ნინო ყიფიანი[434]

მოგონებანი
(ნაწყვეტი)

სიყვარულით მიმილეს კოტეს[440] მშობლებმა და დამ — ელენემ.[247] უფროსი ძმა კოტესი — ნიკო[1], არ დასწრებია [ქორწილს]. იმას ჰქონდა იმ დროს პირადი მდგომარეობა ისეთი, რომ ვერ დაესწრებოდა.

დაგვლოცეს ხატით დედ-მამამ და მოგვილოცეს ძვირფასი ნივთები. დედამთილმა[75] თავისი ხელით გამიკეთა გულზე და მაჯაზე ეს ნივთები. ის ეხლა ერთსა სწუხდა მხოლოდ: ისეთი მაღალი და ნვრილი ხარ, რომ მეშინიან, წელში არ გადატყდეო.

აქედან დაიწყო ხანა ჩემი უფრო ღრმად შესვლისა ცხოვრებაში. მე უკვე გათხოვილი ქალი ვიყავი და შესული იმ ოჯახში, რომელსაც დიდი დიმიტრი ყიფიანი განაგებდა.

პირველ დღიდგანვე ყველას ყურადღების საგნად გადვიქეცი, როგორც ახლად შეძენილი წევრი ოჯახისა. მით უმეტესად, სწორედ იმ დროს იყო, რომ დიდს წუხილს განიცდიდა მთელი ოჯახი და განსაკუთრებით დიმიტრი თავისი უფროსი შვილის ნიკოს მდგომარეობის გამო, რომელსაც ცოლი გაჰყროდა, მიხეილ ერისთავის ქალი ანასტასია (დიმიტრის ნათლული),[106] და დაეტოვებინა მასთან სამი ქალიშვილი,[450] რომელთაგან უფროსი შვიდის წლისა იყო. მეტადრე სწუხდნენ და გლოვობდნენ იმას, რომ ნიკოს ერთადერთი ვაჟი, ორნახევარი წლის დიმიტრი, სწორედ ცოლ-ქმრის უთანხმოების დროს, საბოლოოდ გაყრამდე, მოჰკვდომოდათ! ყვავილი თურმე შეჰხვდა პატარა დიმიტრის და მოსამსახურე ქალს თავისი ჭკუით გადაეჭრა მისი მონათვლა — მოუნათლავი არ მოკვდესო! გაეცივებინა და მისი უგუნურების მსხვერპლი გამხდარიყო საბრალო, მშვენიერი ბავშვი! დიდს აღშფოთებას ინვევდა დიმიტრის გულში შვილისა და რძლის გაყრა, მაგრამ ამ ბავშვის სიკვდილი ხომ უზომოდ სტანჯავდა!

პატარა დიმიტრი უნდა ყოფილიყო ერთადერთი გამგრძელებელი დიმიტრი ყიფიანის ჩამომავლობისა გვარით, რადგან ნიკოს დარჩა მხოლოდ სამი ქალი, ხოლო მეორე შვილს — კოტეს — სულ არ ჰყავდა შვილი და ამნაირად დიმიტრის პირდაპირი ჩამომავლობა, როგორც მატარებელი მისი გვარისა, აღარ იყო, მოისპო.

ნივთიერადაც არ დამხვდა ოჯახი ძველებური. დიდი მამულები დავალიანებული იყო დიმიტრის თავმდებობის გამო: თავადიშვილმა კოხტა აბხაზმა[222] დაატეხა მას თავზე ექვსი ათასი თუმნის ვალი![451] მთელი თავისი სიცოცხლე ქეიფში, დროს გატარებაში დალია და სოვდაგარ ილარიონ ფორაქაშვილისგან[226] ნასესხები ფული კი

დიმიტრიმ გადაიხადა. აი, ამაზე უნდა ითქვას — საიდან სადაო, წმინდაო საბაო! ნანილობრივ აგირავა დიმიტრიმ თავისი დიდი მამულები ბანკში, გაყიდვითაც ბევრი გაეყიდა, რამდენიმე წლის განმავლობაში პენსიაც ებრებოდა,[169] გაჰყიდა ეკიპაჟები, ცხენები და ბოლოს, როგორც იყო, აბხაზის ვალი გადიხადა. მეტი წილი მამულების შემოსავლისა ბანკის სარგებელში მიდიოდა. ყველა ამან დიდად დასცა შეძლებული ოჯახი დიმიტრისა.

როდესაც, — უკვე ჩემს დროს, — დაგირავდა ქვიშხეთის სახლ-კარმიდამოც, ამან ძალიან დამწყვიტა გული და ერთხელ შევბედე დიმიტრის საყვედური, რომ მოუწერა ხელი თავმდებობისა ილარიონ ფორაქაშვილს. დიმიტრიმ სულაც არ ინყინა ჩემი საყვედური, თითქო იამა კიდეც, რომ მივეცი საბაბი თავის გამართლებისა და მომიყვა დაწვრილებით:

— კოხტა აბხაზმა მთხოვა, რომ დავხმარებოდი ფორაქაშვილთან, კიდევ მიეცა მისთვის ვადა ვალის გადახდისათვის. ფორაქაშვილმა ჩემს თხოვნაზე თავის მხრივ თავმდებობა მომთხოვა. მე გავიკვირვე ასეთი პირობა და შევეკითხე — ნუთუ აბხაზმა რომ არ გადაგიხადოს, მე უნდა გადამახდევინო-მეთქი!

უნდა ვსთქვა, რომ ილარიონს და დიმიტრის ძალიან კარგი დამოკიდებულება ჰქონდათ, — მგონია, ნათლი-მირონობაც, — ერთმანეთში.

— ჩემს შეკითხვაზე ფორაქაშვილმა აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა და ჩუმად ჩამილაპარაკა: ისე ღმერთი როგორ გამიწყრება და ცოლ-შვილს დამიხოცავს, რომ მე ეგ საქმე ჩავიდინოო! მხოლოდ იმისთვის მინდა თქვენი თავმდებობა, რომ აბხაზი მოგერიდებათ და თავის დროზე გადამიხდისო. ეს კი დავუჯერე, ამაზე, რა თქმა უნდა, დავეთანხმე და ხელი მოვუწერე.

— მერე, რომ მოსულა თქვენთან ქვიშხეთში ფორაქაშვილი საქმის ასახსნელად და თქვენ კი კიბიდან ჩაგიგდიათ, არ მიგიღიათ, ეს რაღად უყავით? — ჩავურთე მე პასუხად, დიმიტრის ლმობიერი ლაპარაკით გათამამებულმა.

— ეგ იმიტომ, რომ იმან თავის პატიოსან სიტყვას უმტყუვნა და საჩივარი პირდაპირ ჩემით დაიწყო იმის მაგივრად, რომ აბხაზისთვის ეჩივლა! ის უთუოდ ღირსი იყო, რომ კიბიდან ჩამეგდო!

ფორაქაშვილს ვითომ უნდოდაო, რომ დიმიტრიზე საჩივრის შეტანის შემდეგ დაეჯერებინა ის, რომ აბხაზის შესარცხვენად მოიქცა ასე, მაგრამ ასეთი კეკე-მალულობით დიმიტრის ვერ აპატიებინებდა სიტყვის გატეხას. დიმიტრიმაც ჩააგდო ის კიბიდან, თუმცა კარგად იცოდა, რომ შეურაცხყოფილი ფორაქაშვილი იმას აღარ დაინდობდა და აკი არც დაინდო — მთელი ვალი გადაახდევინა.

ახლა საინტერესოა მოვიხსენიოთ, თუ როგორ გადაუხადა დიმიტრიმ სამაგიერო აბხაზის ცოლსა![452]

რუსეთში, სტუდენტობის დროს, სილამაზით განთქმულმა კოხტა აბხაზმა ცოლი შეირთო — ძალიან მდიდარი კაცის ქალი. საქართველოში მოიყვანა და მისი დიდი სიმდიდრე მოკლე ხანში დასცალა. როდესაც ცოლმა შეიტყო, რომ სულ ცარიელი დარჩება, თუ თავს არ უშველიდა, სამშობლოში გაემგზავრა და, კარეტით გზად მიმავალი ბათუმისაკენ, ქვიშხეთში დიმიტრის კარზე ჩამოხდა. კარეტა — დატვირთული ძვირფასი ნივთებით, ტანსაცმლით და სხვა!

დიმიტრი მიიღებს მას სიამოვნებით, მთელი ოჯახი ფეხზე დადგება სტუმრის პატივსაცემად და კარეტას საგანგებოდ დარაჯებს დაუყენებენ ღამე ყურის საგდებლად. მეორე დღეს აბხაზის ცოლი გაუდგება თავის გზას ისე, რომ დიმიტრისგან ერთ სიტყვასაც ვერ გაიგონებს მისი ქმრის საქციელის გამო! და ეს მაშინ, როდესაც მას უკვე მისჯილი ჰქონდა ვალის გადახდა ფორაქაშვილისათვის!

ყოველ საქმის გარჩევას და გადაწყვეტილებას სასამართლოს ინსტანციებში დიდი აღელვება შეჰქონდა ოჯახში და დიმიტრი, თითონ ყოველი გაჭირვებული მდგომარეობის გულმაგრად, სტოიკურად დამხვედრი და ამტანი, ცოლ-შვილის შეწუხებას ვერ იტანდა გულგრილად.

და ასეთ დროს ჰბედავს აბხაზის ცოლი ქვიშხეთში მისვლას დიმიტრისთან განძეულით სავსე კარეტით! მართლა რომ დიდი ნდობა უნდა ჰქონიყო მას დიმიტრისა და აკი კიდეც გაუმართლდა ეს ნდობა.

ასეთ განცდებში იყო დიმიტრი, როდესაც შეევედი მის ოჯახში, მაგრამ ის მაინც თავის დიდ ყურადღებას არ მაკლებდა და ყოველ ღონეს ხმარობდა, ხელი შეეწყო ჩემი განვითარებისათვის. ბედმა მარგუნა ისეთი დიდბუნებოვანი ადამიანის ახლობლობა, მაგრამ ვაი, რომ ბრწყინვალე მეტეორივით გამიელვა უეცრად თვალ-წინ მცირე ხნით და გაჰქრა! როგორც მეტეორის არსებობას უბრალო მომაკვდავი, ისე მეც ვერ მივსწვდებოდი, — მაშინ მაინც, — ჩემი თითქმის ბავშვური გონებით, მის დიად ზრახვებს, მის სულისკვეთებას, თუ რით იყო დამძიმებული მისი ფხიზელი ფიქრები ჩვენი ხალხის ყოფაზე იმ ჩაგვრისა და მონობის დროს, — მაგრამ მაინც ხომ მივიღე რამე მისგან ჩემს ცხოვრებაში სახელმძღვანელოდ, რომ მხვდა მეც ნილად მამობრივი მისი მოპყრობა და სიყვარული და ეს მოგონება არის ჩემთვის სანეტაროც.

ზაფხულობით მთელი ჩვენი ოჯახი იყრიდა თავს დედ-მამასთან. მული ჩემი, ელენე, — ანტონ ლორთქიფანიძის[41] მეუღლე, ქუთაისის მოღვაწე ქალთა შორის ცნობილი მოღვაწე, — უფროსი

შვილი ნიკო თავისი სამი პატარა ქალიშვილით: ელისაბედით, ბარ-ბარეთი და ნინოთი. უმცროსი შვილი კოტე — ჩემი ქმარი. მე ხომ სულ იმათთან ვიყავი, გარდა სათეატრო სეზონის ოთხი თვისა, როდესაც კოტე მონაწილეობას ღებულობდა წარმოდგენებში.

არაჩვეულებრივი იყო საერთოდ ჩვენი ოჯახის წევრთა დამოკიდებულება მასთან. დილით ყველანი ერთად მოვიყრიდით თავს სასადილო ოთახში, სადაც უკვე დაგვხვდებოდა თავით-ფეხამდე გამოწყობილი დიმიტრი.* გადაგვეხვეოდა ყველას და გვაკოცებდა. ჩვენც, ყველანი, — ქალებიც და კაცებიც, — პირზე კოცნის გარდა, ხელზედაც ვაკოცებდით. და უნდა ვსთქვა, რომ ხელზე ჰკოცნიდნენ დიმიტრის არა მარტო შვილები, ცოლი, აგრეთვე, მეზობლებიც და შორეულ-ახლობელი ნათესავი ყმანვილი ქალებიც.

მისალმების შემდეგ მივუსხდებოდით დიდს, რგვალ მაგიდაზე გაწყობილ ყავას. ჩაის არა ვსვამდით, რადგან ერთხელ თურმე აწყინა დიმიტრის და ოჯახმა ჩაის სმა აპკვეთა სრულებით, „სამოვარი" მხოლოდ სტუმრებისთვის დაიდგმებოდა. სადილი უნდა ყოფილიყო დანიშნულ დროს, დაგვიანება არ უყვარდა ძალიან, რაც მოხდებოდა ხოლმე ჩემი დედამთილის მიზეზით, რომელსაც უთუოდ მოუცდიდა და ის კი შეგვიანდებოდა თავის ოთახში.

სადილზე უყვარდა დიმიტრის მხიარული მუსაიფი, ოხუნჯობა, ხშირად იცოდა...** შესაფერ სათქმელს ყველას გამოუძებნიდა — დიდსაც და პატარასაც. გამხიარულდებოდა და გაამხიარულებდა. ულვინოდ პურს ვერ სჭამდა — ხოლო ერთი ბოთლიც მისთვის ჯერზე საკმარისი [იყო].

სადილ შემდეგ დავიძინებდით ორივე სართულის ჩვენ-ჩვენ ოთახებში. დიმიტრის კი აღმოსავლეთის აივანზე ჰქონდა მუდმივი ალაგი დასაძინებლად დიდს, ძველებურ „დივანზე". ჩემი დედამთილი იყო ხოლმე მისი ძილის სიმშვიდის დარაჯი. ნელა მიდი-მოდიოდა მძინარის მოშორებით და ყველას აფრთხილებდა, ახლო არ მისულიყვნენ.

გამოღვიძებისას მიართმევდნენ დიმიტრის საუკეთესო ბაღის მშვენიერ ხილს და ერთ ბოთლ ჩაციებულ ღვინოს.

ამ დროს აქეთ-იქიდანაც გავიდოდით აივანზე მისი ცოლ-შვილი და საერთო მუსაიფი და ხილის ჭამა გაიმართებოდა.

ხშირად გვატკბობდა დიმიტრი თავისი ღვთაებრივი კითხვით. შემოვუსხდებოდით მაგიდას დიდს დარბაზში, კაცები პაპიროსით ხელში, ქალები რაიმე ხელ-საქმით. ვუსმენდით სულგანაბულნი მი-

---

* რა თქმა უნდა, შვილებთან ერთად მეც მამას ვუწოდებდი ცხოვრებაში. ავტ.

** აქ ხელნაწერი დაზიანებულია და რამდენიმე სიტყვა არ იკითხება. შემდგ.

სი უაღრესად მეტყველი ხმით და სახით წაკითხულ რომელიმე კლასიკოსის ნაწარმოებს. დიდს შთაბეჭდილებას ახდენდა ჩვენზე მისი წაკითხული.

მახსოვს, ერთხელ ვიქტორ ჰიუგოს „ოთხმოცდაცამეტიდან“[453] გვიკითხავდა. ერთ ალაგას, რამდენადაც მახსოვს, გავარვარებული ხანძრის დროს ინვის სახლი, რომელშიც ოთხი წლის ბავშვია მომწყვდეული. ერთ-ერთი გმირი რომანისა, გულქვა როიალისტი ლანტენაკი, რომელმაც თავისი იდეური მოწინააღმდეგე, ძმისწული გოვენიც კი არ დაინდო, მოწინააღმდეგის ბავშვის ცეცხლში მომწყვდევას ვერ იტანს და თითონ შევარდება შიგ იმის გამოსაყვანად. რომ შეეკითხება მშვენიერ, თმა-ხუჭუჭა გოგონას, რა გქვიანო და ის უპასუხებს: ჟორჟეტა! და თან შემოეხვევა ნდობით კისერზე, — მთელი ეს ამაჟრჟოლებელი სურათი ისეთი გრძნობით, ისეთი კილოთი და ისეთი მეტყველებით წაიკითხა, რომ ყველას ცრემლები მოადგა თვალზე, მე კი წამსკდა ქვითინი და ძლივს დამამშვიდეს.

კითხვის შემდეგ, სანამ სუფრა იშლებოდა ვახშმისათვის, დიმიტრის უყვარდა მუსიკის მოსმენა. მისი ქალი ელენე მშვენივრად უკრავდა როიალზე. ის რომ როიალს მიუჯდებოდა და დაუკრავდა მის საყვარელ ნაწარმოებს, დიმიტრი, ნელზე ხელებ-გაწყობილი, მიდი-მოდიოდა დარბაზში და შესაფერად ფეხებს აყოლებდა მუსიკის ხმას:

— შენ როდისღა ისწავლი ლოკასაგან (ასე ეძახდა ელენეს) ასეთს დაკვრას? — შემეკითხებოდა ხოლმე.

ასე გაივლიდა დრო ვახშამდე.

სტუმრიანობაც არ აკლდა საერთოდ ჩვენს ოჯახს, არც დიმიტრის დროს და არც მას შემდეგ. ჩამოდიოდნენ ქალაქებიდან და სოფლებიდანაც. ძალიან უყვარდა დიმიტრის სტუმარი. სტუმრიანობის დროს მეზობლებსაც არ იკლებდა. ერთი შესანიშნავი თვისებათაგანი იყო დიმიტრისა მეზობლების ღირსეულ სტუმრებთან გამოჩენა: სულ უბრალო ადამიანს, ქალს თუ კაცს, ისე მიეგებებოდა, ისე ექცეოდა სტუმრებთან, როგორც ძალიან საპატივ-საცემს, რომ უცხონიც ასევე მოჰქცეოდნენ მას.

არაფერი სხვა გამასპინძლებით არ მოიწონებდა თავს სტუმრებთან, როგორც თავისი დაყენებული ღვინით! ეს კი მისი სუსტი მხარე იყო — ძალიან იამებოდა, როდესაც მოუწონებდნენ ღვინოს. რაც უნდა მსმელი სტუმარი ჰყოლოდა, ის არავის არ დაუდგამდა მის პორციათ ორ ბოთლზე მეტსა. დასალევად კმარაო და დათრობას არ თანაუგრძნობდა.

უნდა გენახათ, როგორ თავ-მომწონეობით მოუყვებოდა ვისმე ერთ შემთხვევას თავის სუფრაზე: სტუმრად სწვევია სხვებთა შორის ჩიტო კალატოზიშვილი,[454] ძველი ქართველი ისეთი ზორბა და

მაღალი ტანისა, როგორსაც ახლა იშვიათად შეხვდებით; ღვინის მსმელი ისეთი, რომ არავის არ დაუძლევია — ერთი ჩაფი რომ დაელია, ისე იჯდა სუფრაზე, თითქო ახლა იწყებსო სმასა.

ჩვეულებრივ ჩამოურიგებიათ სტუმრებისათვის თითო ბოთლი და კალატოზიშვილისთვის კი — ორი ბოთლი. ჩემი ღვინო ისეთი მაგარიაო, შენც მეტს ვერ გაუძლებო, — უთქვამს ჩიტოსთვის. ჩიტოს ჩაუცინია თავის გრძელ, დაგრეხილ ულვაშებში — ორმა ბოთლმა რა უნდა მიყოს, როგორი მაგარიც არ უნდა იყოსო! — მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, სადილ შემდეგ რომ ადგა ჩიტო და აივნისკენ გაემართა, ოდნავ ნაბარბაცდა! დარცხვენილი ღიმილით მომიბრუნდა და მითხრა: — ბატონო დიმიტრი, თქვენი ღვინო მართლა რომ მაგარი ყოფილაო! — ამას ისეთი სიამოვნების ღიმილით იტყოდა, გეგონებოდათ, რაღაც დიდი გამარჯვება მიუღიაო!

15 დღიურიანი ზვარი ჰქონდა, რომლის მოვლაში დიდ ყურადღებას იჩენდა. მებაღეები ჰყავდა რამდენიმე კაცი და მათ შორის ერთი უფროსი — დათია ხახნელიძე,[455] რომელიც უჩიოდა დიმიტრის, რაღაცა ახალი მეთოდით ვაზს მიფუჭებსო: — ჩამობრძანდება ის დალოცვილი უკვე თითქმის დასაკრეფ ვენახში, გაგვაცლევინებს ფოთოლს ვაზზე და ასე მიუშვერს მტევნებს მზესა! აბა რა ხეირი დაეყრება! წიგნში რაც სწერია, ყველაფერი კარგი კი არ არის!

ვერ ვიტყვი, რომელი იყო იმათში მართალი, მაგრამ დიმიტრი კი თავისას არ იშლიდა ხოლმე. როდესაც ყურძენი თითქმის დაჩამიჩდებოდა ვაზზე და ხანდახან კიდეც დათრთვილავდა, მხოლოდ მაშინ მოაკრეფინებდა, შემდეგ დაამარცვლინებდა, განსაკუთრებით ბუდეშურს, და ისე დაანურვინებდა. ასეთი ტკბილისაგან დაყენებულ ღვინოს კი რამდენიმე წელიწადი ინახავდა და მართლა შამპანურივით შუშხუნა და ძალიან მაგარი ღვინოები დგებოდა.

დათია ხახნელიძეს კი ალბათ ის არ მოსწონდა, რომ ასეთი წესებით მოვლილი ყურძენი ნაკლებ გამოსავალს იძლეოდა და იმის ქურდულად გატანილი ყურძენი უფრო გამოჩნდებოდა. ამაში კი ის ყოჩაღად იქცეოდა, რაც ეს იმან თავისი სიტყვითვე დაადასტურა — როდესაც ის დიმიტრისთან დიდი ხნის მებაღეობის შემდეგ სახლში წავიდა, იქ თურმე ტრაბახობდა: ერთ მსუქან ბეჭს მივაგენ ქართლში, იმდენი წლის განმავლობაში ვთალე და ვთალე, რამდენიც მინდოდა და ბოლოს, როდესაც ძვალზე დავიყვანე, დავანებე თავი და სახლში წამოვედიო!

მართლაც რომ ზარალის მეტი არა იყო რა ის დიდი ვენახი. მისი მოსავალი და კიდევ სხვა მამულებიდან შემოსული ღვინო სახლში სახარჯავადაც არ ჰყოფნიდა ოჯახს და რამდენსამე საპალნეს კიდევ ყიდულობდა ხოლმე. დიდი ხარჯიც კი იყო ღვინისა — მარტო მოსამსახურეებს რამდენი უნდებოდა; ბევრნი იყვნენ: მოურავი, ტყის-მცველი, ბაღ-ვენახებში მომუშავენი ხუთი-ექვსი, ორი

დედაკაცი წვრილ-ფეხის მომვლელი, მრეცხავი, „ლაქია", მზარეული და ხაბაზი, რომელსაც მარანიც ებარა. ეს ხაბაზი — არსენა[456] — ხომ, რუსები რომ იტყვიან, „როგორც ყველი ერბოშიო", ისე ლივლივებდა ღვინოში. თითონაც ძალიან უყვარდა და, ამას გარდა, მთელი უბანი ჰყავდა გადანათლული ამ ღვინის მეოხებით და ნათლიდედა-მამებსაც არ აკლებდა.

განა არა ჰხედავდა დიმიტრი, რომ ზვარის მოვლა ზარალს აძლევდა და იმის მოსავლელი ფული უფრო მეტს ღვინოს იყიდდა, მაგრამ იმას უყვარდა ის შვილივით, ეხალისებოდა მოვლა მისი და თავისი გემოვნებით და ცოდნით დაყენება ღვინისა.

საერთოდ, მისი მისწრაფება იყო მეურნეობის გავრცელება ჩვენ ხალხში და თითონაც ცდილობდა მაგალითის ჩვენებას.

ერთხელ გადასწყვიტა თევზის მოშენება. გამოინერა ქვირითი ზუთხისა და შეუდგა შესაფერი შენობის აგებას ზვრის თავში, დიდი წყაროს გვერდით, რომელ წყაროსაც უნდა ესაზრდოებინა თევზი. შენობა დამთავრდა, მოვიდა სანატრელი ქვირითიც, მაგრამ საუბედუროდ გზაში წამხდარიყო და იმოდენა ხარჯმა და შრომამ სულ ამაოდ ჩაიარა.[457]

უყვარდა მეოჯახეობა. დიდად აფასებდა მეტადრე მეოჯახე ქალს, მაგრამ თითონ კი ამას მოკლებული იყო. ჩემი დედამთილი ისე იყო აღზრდილი, რომ არავითარი მეოჯახეობა იმას არ შეეძლო. ნინო,[75] — ქალი დუშეთის მემამულის იაგორ ჭილაშვილისა,[73] ჩვენში რუსეთის თვითმპყრობელი მთავრობის ახლად დამკვიდრების დროს უზენაესი კომისიის თავმჯდომარისა, — იზრდებოდა პეტერბურღში, საქალებო ინსტიტუტში. სწავლის დამთავრების შემდეგ ძალიან მალე გათხოვილმა დიმიტრიზე,[458] ქართული ლაპარაკიც ქმრისაგან შეისწავლა. ეხვივნენ გარს მზითვად გამოყოლილი მოსამსახურენი და ყველაფერი იმათ ხელში იყო. თითონ ნინო პარიჟიდან გადმოტანილ ძვირფას ჭურჭელს და სუფრა-სალფეტკს თუ დაუთვლიდა მოსამსახურეს, სხვა რამეს ოჯახში ის არ ეხებოდა.

ამიტომ გასაგებია, რა კმაყოფილებას იჩენდა [დიმიტრი] იმის დანახვაზე, თუ მე რაიმე საოჯახო საქმეზე დამინახავდა. ძალიან ყმაწვილი ვიყავი, ჯერ არა მესმოდა რა, მაგრამ რასაც ხელს მოვკიდებდი გასაკეთებლად, კმაყოფილებით მაქებდა. წარმოგიდგენიათ დიმიტრი ყიფიანი, როდესაც ის წინილ-კრუხის დაბინავებაში მეხმარებოდა! წინილების მოვლა ძალიან ეხალისებოდა. ერთ ღამეს, ვახშმის შემდეგ, მომაგონდა, რომ კრუხებს უნდა გამოეჩეკათ წინილები. მათ მოსავლელად მიჩენილ დედაკაცს არ ვენდე — ღამე არ დაიზაროს-მეთქი — და მე თითონ მოვინდომე წასვლა დასათვალიერებლად, რომ გამოჩეკილ კვერცხებს წინილები არ დაეხრჩო. ეს ისე იამა დიმიტრის, რომ თითონ ამინთო სანთელი და თან

გამომყვა! როცა ან მურაბა, ან სხვა რამე ამისთანა გამიფუჭდებოდა...* სიცილით მეტყოდა:

— სადაც არა კეთდებაო, იქ არცა რა ფუჭდებაო; გაივარჯიშებ და მერე ყველაფერს კარგად გააკეთებო...

კოტე ყიფიანი[458]

ჩემი არტისტობის თავგადასავალი
(ნაწყვეტები)

1871 წლიდან იწყება ჩემი მუდმივი მოღვაწეობა სამშობლო სცენაზედ... ყოველს ქართულს წარმოდგენაში, რომელიც კი იმართებოდა თბილისში, ქართული თეატრის მოყვარულთა პირთაგან, მიმილია მონაწილეობა, მანამდისინ მუდმივი დრამატიული დასი შესდგებოდა.[459]

მაშინ შესდგა თბილისში ქართული სცენის მოყვარულთა წრე.[460] ყველა, ვინც კი ცოტაოდნადაც მაინც ინტელიგენტი იყო იმ დროს, ქალი თუ კაცი, ყველა მოქმედებდა და მოღვაწეობდა თეატრისათვის.

პირველი რამდენიმე წარმოდგენის შემოსავალი გადაიდვა თეატრის ფონდის შესადგენათ, დეკორაციების დასახატავათ, სათეატრო სხვადასხვა ნივთებისა და ავეჯეულობის შესაძენათ. ესენი ყველაფერი რომ შევიძინეთ, წრემ დაადგინა: ყოველი მოგება წარმოდგენებიდან გადაიდვას იმ თანხისათვის, რომლის შემწეობით შეგვეძლებოდა ჩვენ დახმარება გაგვეწია ჩვენი მოსწავლე ყმანვილი კაცებისათვის რუსეთის უნივერსიტეტში და საზღვარგარედაც.

პირველს დროს რეპეტიციები უფრო ხშირად ჩემს ოჯახში იმართებოდა, მამიჩემის ხელმძღვანელობით, ხანდახან იოსებ მამაცაშვილის[45] ოჯახში, ანდრია ხერხეულიძის[461] ოჯახში, პეტრე უმიკაშვილთან,[368] ანტონ ფურცელაძესთან[319] და კიდევ სხვადასხვა ოჯახში...

რეპეტიციების გარდა, ჩვენ ხშირად ვიკრიბებოდით რომელიმე პიესის წასაკითხავად. უფრო ხშირად მამაჩემი კითხულობდა ხოლმე, ჩვენ კი ყველანი სულგანაბულნი, განცვიფრებით ვუგდებდით ყურს. ისე მშვენივრად არავინ არა კითხულობდა ხმამაღლა თბილისში, როგორც მამაჩემი. ხშირად მუსაიფიც გაიმართებოდა

---

* ამ ადგილას ხელნაწერი დაზიანებულია და რამდენიმე წინადადება არ იკითხება. შემდგ.

ხოლმე. ამისთანა მუსაიფით ჩვენ, სცენის მოყვარულნი, ვსწავლობდით და ვიწურთნებოდით.

— თეატრი არის უდიდესი შკოლა კაცობრიობისათვის. ეს უბრალო სახუმარო საქმე კი არ არის, ისეთი რამ არის, რომ შიგ თავს იყრის ასი და ათასი სხვადასხვა შეხედულობის, სხვადასხვა ხასიათის და მისწრაფების ქალ-კაცი და ეს ამოდენა ხალხი თეატრში ერთი და იგივე ცრემლითა სტირის, ერთი და იგივე სიცილით იცინის! ამ უდიდეს შკოლაში ადამიანი ბევრს რასმე შეიძენს თავის გონებაგახსნილობისათვის.

ეს ღრმა აზრი რომ შევითვისეთ, მჭიდროდ შევკავშირდით ყველანი, ვინც კი ვმოქმედობდით სცენისათვის და დროგამოშვებით ვმართავდით მშვენიერს წარმოდგენებს; ხალხი ყოველთვის ბლომად ესწრებოდა ხოლმე...

ალექსანდრე ივანეს ძე პალმი[462] ხშირად დადიოდა ჩვენსა. ჩემი თამაშობა ძალიან მოსწონდა. მითხრა კიდეც, რომ თუ მინდა, მომიხერხებს რუსულს სცენაზედ შესვლას. მაშინ იმის შვილს, სერგეი პალმს,[463] თბილისში ჰყავდა ჩინებული რუსული დრამატიული დასი. ამ დასთან ერთად ვითამაშე მე ღენერალ ვიშნევსკის როლი ოსტროვსკის[464] დრამა „შემოსავლიან ადგილში". ამ დასში იყო პეტერბურლის გამოჩენილი არტისტკა — გორევას ქალი,[465] რომელსაც მე ძალიან მოვეწონე. დამიძახა საპირფარეშო ოთახში და დამიწყო ლაპარაკი ჩემი არტისტობის შესახებ: — წამოდი ჩემთან, პეტერბურლს, მოსკოვს, რუსული ენა მშვენივრად იცი, იქ წარჩინებულ არტისტად გახდები, გექნება თვეში ორმოცი და ორმოცდაათი თუმანი, აქ რა გინდა, ქართულმა სცენამ რა უნდა მოგცეს? არაფერი! გირჩევ, წამომყე რუსეთში.

ამაზედ მე ვუპასუხე, რომ დავეკითხები-მეთქი ჩემს დედ-მამას. გორევას ქალს კვერს უკრავდა ალექსანდრე პალმიც, რომელმაც მამაჩემსაც კი უთხრა — თქვენი შვილი რუსეთში გაუშვითო, მაგრამ ჩემი მამა ამაზედ არაფერს არ ეუბნებოდა.

როცა მე ჩემს მამას ვუამბე გორევას ქალის ლაპარაკი, მაშინ მითხრა:

— შენ კარგი არტისტი ხარ; მგონია, რომ ქართულს თეატრს შენ უფრო გამოადგები, ვიდრე რუსულ სცენას... შენ იცი; იფიქრე და შენ თვითონ გადასწყვიტე.

იმაზე ბევრი არა მიფიქრია რა და გორევას ქალსაც და პალმსაც ცივი უარი შევუთვალე და ვირჩიე სამშობლო სცენაზედ დარჩენა, რომელიც სულით და ხორცით დიდად შემიყვარდა. დავრჩი აქ და დღემდისინ, რაც ძალა და ღონე შემწევს, ვემსახურები ქართულ საზოგადოებას...

კოტე ყიფიანი[440]

„მეფე ლირი"

ილია ჭავჭავაძემ[132] და ივანე მაჩაბელმა[443] გადმოთარგმნეს შექსპირის[444] დრამა „მეფე ლირი". ქართველ მაღალ საზოგადოებაში რამდენიმე პირმა მოისურვა „მეფე ლირის" დადგმა ქართულ სცენაზედ, მაგრამ ისე. რომ ყველა როლები თავიანთ შორის უნდა გაენაწილებინათ, რომ არც ერთს ჯამაგირიან მსახიობს არ უნდა მიეღო ამ წარმოდგენაში მონაწილეობა. უნდა ეთამაშათ თვითონ მთარგმნელებს, -- ილია ჭავჭავაძესა და ივანე მაჩაბელს, — მამია გურიელს,[467] დავით ერისთავს,[468] ნინო ორბელიანისას[469] და სხვას.

მეფე ლირის როლი შესთავაზა ილია ჭავჭავაძემ მამაჩემს. მისწერა წერილი ქვიშხეთს და თავისი თარგმანიც გაუგზავნა. ამ წერილის მიღების რამდენიმე დღის შემდეგ რომ შევედი მამაჩემის ოთახში, ვხედავ, შემოუწყვია გარს რამდენიმე წიგნი „მეფე ლირისა", სხვადასხვა ენაზე ნათარგმნი, და გულმოდგინებით კითხულობს ხან ერთსა და ხან მეორე წიგნს.

— Занят Лиром, - მითხრა მამამ.

ჩვენ ოჯახში მომეტებულად რუსულად და ფრანგულად ვლაპარაკობდით.

— Гм, да!.. Перевод мне не нравится. Хочу сам перевести роль Лира и если Илико и Вано разрешат, то попытаюсь представить Лира.

ეს მითხრა თუ არა, მისწერა ილია ჭავჭავაძეს ამ შინაარსის წერილი:

„უძვირფასესო ჩემო კოლეგა,

კნიაზო ილია გრიგოლის-ძევ!

თქვენ რომ (20 ამ თვეს) ლირის როლი შემომაძლიეთ, მე მოგახსენეთ, გადავიკითხავ და მაშინ გეტყვით, ვიკისრებ თუ ვერა მეთქი.

გადავიკითხე და როგორ?

წინ გადავიშალე ექვსი წიგნი: 1. ნამდვილი შექსპირი, ტაუხნიცის[470] გამოცემული 1868-ში; 2. ნამდვილი შექსპირი, რაუტლეჯის[470] გამოცემული ბევრით უფრო ადრე; 3. ბენჟამენ ლაროშის[135] ნათარგმნი ფრანცუზულად 1857-ში; 4. ფრანსუა ვიქტორ ჰიუგოს[134] ნათარგმნი ფრანცუზულად 1861-ში; 5. თქვენი ნათარგმნი ქართულად 1877-ში და 6. სადლერის[471] ლექსიკონი ინგლ.-ფრანც. და ფრანც.-ინგლისური.

შემოვიწყე ეს წიგნები და მოვუჯექ თქვენს ნათარგმნს. კვალში ჩავუდექ მედგრად, შეუპოვრად, დაუღალავად.

23-ს ვიწყე და გუშინ, 29 ოქტომბერს, დავკეცე წიგნები. რათა? ვისიც პატივისცემა მაქვს დანერგილი გულში და არა მარტო ენაზედ, — და, მაშასადამე, ვინც მიყვარს, — მინდა, რომ იმას წუნი არა ჰქონდეს რა და თუ მე შევამჩნიე რამე, პირდაპირ უნდა ვუთხრა ცალკე, საშინაოდ, მეგობრულად.

მაგრამ — თქვენმა თარგმანმა სასიქადულოდ გადივლო თავს ამისთანა კრიტიკა, კრიტიკა მიუკარებელი, შეუბრალებელი... შრომა გაგიწევიათ დიდი; ნიჭი გიხმარიათ შესანიშნავი.

ერთი შეცდომაა მხოლოდ, ერთადერთი — კილო.

შექსპირის თხზულებაში, რომელიც კარგა ძველია, ლექსებიც* ბევრი იპოვება დაძველებული, რომელსაც დიდი ხანია აღარ ხმარობენ, მაგრამ კილო არის სასაუბრო; კილო, რომლითაც საპატიო ყრილობაში ლაპარაკობდნენ და ლაპარაკობენ.

თქვენ უფრო სამწიგნობრო კილოს გაჰყოლიხართ.

მშვენიერება არის თქვენი ნათარგმნი — ეს ყოვლად უეჭველია, მაგრამ ამ კილოზედ არსად ულაპარაკნიათ, არც სადმე ლაპარაკობენ.

სათქმელი თუ არის რამე თქვენს თარგმანზედ, ეს არის, სხვა — სრულებით არაფერი.

სრულებით არაფერი მეთქი, რომ ვამბობ, ამას აღარ ვსთვლი, რაც უთანხმოება აქა-იქ გამოდის ნამდვილს და თარგმანს შუა. მაგრამ ღმერთო ჩემო! თქვენ რა დაგეძრახებათ, როდესაც, ნებსით თუ უნებლიეთ, — უფრო უნებლიეთ, რასაკვირველია, — ისეთი ჩვენთვის მიუწვდომელი მწერალნიც შემცდარან, როგორც, მაგალითად, ზემოხსენებული ფრანსუა-ვიქტორ ჰიუგო.

ლირი ერთ ადგილას ამბობს მსაჯულისას:

„Thou robed man – შენ, მსაჯულად მოსილო კაცო! — Носящий судейское облачение".

მთარგმნელი ამბობს „Toi Robin, -- შენ მწერალო, მჯღაბავო; Подьячий, приказный, крапивное семя".

ამისთანები არის აქა-იქ. თქვენს თარგმანშიც არის ზოგიერთი ამისთანა გადასხვაფერება. ჰიუგოს თარგმანში უფრო ბევრია. ლაროშისას რაღა ვთქვა: სავსეა ამისთანაებით.

ახლა მე, რადგან ერთიც თვალწინ მიდგია და მეორეცა, იქნება უფრო გაფრთხილებული გამოვიდე. გთხოვთ: თუ მაინცა და მაინც გნებავთ, რომ ლირი მე ნარმოვადგინო, ნება მომეცით, რომ ეს როლი თვითონ მე ვსთარგმნო, ჩემებურათ, — მარტო ეს როლი.

თქვენს ნათარგმნს ამითი სრულებით არა ევნება რა.

---

* „ლექსს" აქ და ზოგიერთ სხვა ტექსტში, მაგალითად, თავის „ახალ ქართულ გრამმატიკაში" (ს.-პბ., 1882) დიმიტრი ყიფიანი „სიტყვის" მნიშვნელობით ხმარობს. შემდგ.

ბევრჯელ მომხდარა, რომ ერთი როლი ერთს ენაზედ უთარგმნიათ და სხვა როლები — სხვა ენაზედ. აქ ამისთანა არა გამოვარა: მთელი წარმოდგენა ქართულ ენაზე იქნება — ზოგი სასაუბროზედ, ზოგი — სამწიგნობროზედ.

აგრე იყოს-თქო, თუ მეტყვით, საქმეს შევუდგები.

30 ოქტ. 1879 წ.

სოფ. ქვიშხეთი."[472]

ამაზე მამაჩემს ილია ჭავჭავაძემ და ივ. მაჩაბელმა უარი შემოუთვალეს.

იმ წელს, გიორგობის თვეში, თბილისს ვიყავი და ილია ჭავჭავაძემ დამიბარა თავის სახლში:

— დიმიტრი ივანიჩმა „მეფე ლირზე" უარი შემოგვითვალა. შენ უნდა იკისრო იმისი როლის შესწავლა. კონკურსი იქნება. ლირს ამზადებენ დავით ერისთავი, მამია გურიელი და ყარაშვილი.[473] ვინც უკეთესად იტყვით წყევლის ლექსს — იმან უნდა ითამაშოს ლირი. შენ შეგნებული კაცი ხარ, მოამზადე როლი ისე, როგორც გესმის, ნურა კრიტიკოსის თხზულებას, ნურა რეცენზიას ლირზედ ნუ წაიკითხავ, თორემ აგერევა გზა და კვალი; შენათ, თვითონ შენათ უნდა შეჰქმნა ლირის ხასიათი და მერწმუნე, უკეთესად გამოგივა.

მამაჩემმა როცა შეიტყო, რომ ლირის როლი მე მომცეს, მითხრა: აიღე წიგნები, გარს შემოიწყე და რაც რამ სადმე სწერია როლის ხასიათზე და სხვადასხვა არტისტთა შესრულებაზე, ყოველი რეცენზია და კრიტიკა გადაიკითხე, რომ შენ თვითონ შეგეძლოს შექმნა ლირის ხასიათიო.

მეტად დამაფიქრა ამ ორმა რჩევამ — ურთი-ერთის წინააღმდეგმა. ვიფიქრე: რა ვქნა ახლა, ვის დავუჯერო, მამას თუ ილიასმეთქი და ერთ დროს ვიყავი სწორედ დიდ ვაი-ვაგლახში და გაჭირვებაში, რომ ეს ორი რჩევა როგორღაც ჩემს თავში ვერა თავსდებოდა, მაგრამ მაინც მამაჩემის რჩევამ დამძლია და რომ გადავიკითხე ლირის შესახებ რაც ხელთ მქონდა, დავიწყე ლექსების ღეჭვა და დაზეპირება.

— Ну что твой Лир? – ერთხელ მკითხა მამაჩემმა.

— Ничего себе, – ვუპასუხე.

— Гм... Да... Ну смотри, не сконфузь меня, Костюк, — ამ სახელით მეძახდა ხოლმე ხანდახან.

გარდა ამისა, ორი კაცის სულ სხვადასხვა რჩევამ, იმ გარემოებამაც, რომ მე როგორ მოვიდოდი დავით ერისთავთან, მამია გურიელთან და ყარაშვილთან ლექსების კითხვაში, ძალიან ჩამაფიქრიანა. მეშინოდა, არ შევრცხვენილიყავი გამოცდის დროს.

ბევრი ფიქრის შემდეგ ერთმა გარემოებამ გამამხნევა. დავით ერისთავი ლექსებს კითხულობდა დიდის პათოსით, მამია გურიელი კი სიტყვების უცნაურის ტკეპნითა და გაგრძელებით და ორივეს

თეატრალური მიხვრა-მოხვრა აკლდათ, მეტადრე გურიელს. ასე რომ, გამოცდის დროს, რომელზედაც ძალიან ბევრი დაესწრო ილიას სახლში, ერთხმად მე გამომაცხადეს მეფე ლირად.

მამია გურიელს ეს ეწყინა და მომიბრუნდა, დამაშტერა თავისი დიდრონი თვალები და დამცინავის კილოთი მითხრა:

— შენ უნდა მაჯობო ლექსის კითხვაში? აბა, ვნახოთ! — და წვეტიან წვერზე ხელი გადაისვა, რასაც სჩადიოდა მხოლოდ გულმოსულობის დროს.

ილია ჭავჭავაძისა, ვანო მაჩაბლის და მიხეილ ბებუთაშვილის[474] ხელმძღვანელობით ასი რეპეტიციის მერე წარმოვადგინეთ „მეფე ლირი“ (1880-ში თუ 1881-ში, კარგად აღარ მახსოვს).[475] რამდენჯერმე თბილისში წარმოვადგინეთ, ქუთაისში და ბათუმშიაც.

ვასილ მაჩაბელი[476]

ჩემი თავგადასავალი

(ნაწყვეტი)

მე ჯერ გიმნაზიაში ვსწავლობდი, მეხუთე კლასში, როდესაც მომეცა შემთხვევა ამ გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის ოჯახის გაცნობისა. აი, ეს გაცნობა როგორ მოხდა: მამაჩემს[477] ეჭირა ქირით იმ ადგილას, რომელსაც „სალდათის ბაზარს“[478] ეძახიან, მეორე სართულში (პირველ სართულში კი დუქნები იყო) ერთი პატარა სადგომი, სამი ოთახი თავის სამზარეულოთი და აივნით. ეს აივანი გადიოდა პანია ეზოში. ამ აივნის პირდაპირ, იმავე ეზოში, აშენებული იყო ორსართულიანი პატარა ფლიგელი. ქვემო სართულში იყო ორი ოთახი; ერთი ეჭირა ქირით ანტონ ფურცელაძეს.[319] ზეითი სართული, სადაც მარტო ორი ოთახი იყო, ეჭირა ერთ მოხუც დედაკაცს[479] თავის ძმით, თუ არ ვიცი — ნათესავით. ეს მოხუცი დედაკაცი ენათესავებოდა განსვენებულ დიმიტრის მეუღლეს[75] და ხშირად დიმიტრის ბავშვები, — კოლა,[1] კოტე,[440] ელენე(ელიჩკა),[247] — ნახულობდნენ ამ მოხუც ქალს, რომელსაც ძლიერ უყვარდა ისინი. რადგან ამ ორივე აივნიდან ჩვენ და იმათ მხრით გასასვლელი კარები გვქონდა იქვე, სამების ეკლესიის[110] პანია მოედანზე, ხშირად ამ მოედანზედ ერთათ ვთამაშობდით. აი, მაშინ გავიცანი ეს ბავშვები, დავიმეგობრე უფროსი შვილი დიმიტრისა — ნიკოლოზი, როგორც უფრო ჩემი ტოლი. რამდენჯერმე კოლამ მთხოვა, რომ მივსულიყავ მათთან. მაშინ ისინი იდგნენ ვორონცოვის ძეგლთან[480] ახლო, ვგონებ იმ სახლში, სადაც ეხლა „ვერსალის“ სასტუმროა.[481] ერთხელ მე ვთხოვე ანტონ ფურცელაძეს, რომელსაც მსვლელობა ჰქონდა დიმიტრი ყიფიანის ოჯახში, მეც წავეყვანე. იმან დიდი სია-

მოვნებით მიიღო ჩემი წინადადება, მით უმეტეს, რომ ორივენი ვთანამშრომლობდით კერესელიძის[124] „ცისკარში“.[81] დიმიტრი ივანეს ძე სიამოვნებით ეპყრობოდა ყველას, ვინც კი რაიმე მონაწილეობას იღებდა სამშობლოს საქმეში.

მე ეხლაც მახსოვს, რა სიხარულით დაგვხვდნენ დიმიტრის ბავშვები, რა გულახდილ ღიმილით ჩამომართვა განსვენებულმა დიმიტრიმ ხელი, მომიჭირა და მისურვა სამშობლოს სასარგებლო კარგ კაცად გამოსვლა. მისმა მეუღლემ მაშინვე მიგვიწვია ჩაიზედ, სადაც უფრო გამათამამეს ბავშვებმა. შემდეგ ამისა, მე კიდევ რამდენჯერმე ვიყავი საღამ-საღამოობით ამ დიდად სასიამოვნო ოჯახში, სადაც ხშირად განსვენებული დიმიტრი გვიამბობდა ძველ ამბებს მამა-პაპათა დამსახურებაზედ. ზოგჯერ გვიკითხავდა ხოლმე სხვადასხვა პიესებს, წერილებს და ჩვენც განცვიფრებით სულგანაბული ვუსმენდით მის მკაფიოდ, დინჯად და მშვენივრად გამოთქმულ სიტყვებს. წაკითხვის დროს ვერ შეამჩნევდით მას რაიმე სიტყვის ჩაფუჩეჩებას, რა ნაკლსაც ამჟამად ბევრს ჩვენს ლიტერატორს შეამჩნევთ.

მახსოვს, განსვენებულმა დიმიტრი ივანეს ძემ რა სიამოვნებით მიიღო მონაწილეობა, როდესაც ჩვენ განვიზრახეთ მისი თარგმანის, მოლიერის პიესის „ძალად ცოლის შერთვევინების“,[127] წარმოდგენა საქველ-მოქმედო აზრით დიდ თეატრში, თამამშოვის ქარვასლაში,[482] რომელიც შემდეგში დაინვა. რადგან ქალების როლის თამაშობას ქალები არ კისრულობდნენ, ამისათვის გადავწყვიტეთ, ქალების როლი ჩვენ გვეთამაშნა. მე მომანდეს დორიმენეს როლი, პაჟისა — დიმიტრის შვილს კოტეს. რეპეტიციებზე თვითონ დიმიტრი ესწრებოდა, კიდეც რეჟისორობდა. ამ წარმოდგენამ ჩინებულად ჩაიარა.[483] ხალხი ბლომად დაესწრო და ბლომად შეგროვდა ფულიც.

იმ ხანებში საქართველოში მოელოდნენ ერთ დიდ ცვლილებას ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებაში — ბატონყმობის მოსპობას. თავად-აზნაურობას სურდა თავის მოთავედ, მარშლად ისეთი კაცი ამოერჩია, რომელიც მოახერხებდა, ახალი საქმე ისეთ კალაპოტში ჩაეყენებინა, რომ არც თავად-აზნაურობა დაჩაგრულიყო და არც გლეხობა. ის ფული, რომელზედაც ხმა ისმოდა, — გამოუვა თავად-აზნაურობასაო, — რაც შეიძლებოდა საზოგადოების სასარგებლოდ უნდა მოხმარებულიყო. ბევრი სჯისა და ლაპარაკის შემდეგ სხვადასხვა ჯგუფებში, მომეტებული ნაწილი იმ აზრისა იყო, რომ ამ საქმეს დიმიტრი ყიფიანის მეტი ვერავინ გაუძღვებაო. ჩვენი დიდკაცობა და ღენერლობა კი ამის წინააღმდეგნი იყვნენ; გაიძახოდნენ: ჯერ ეს ერთი, ეგ აზნაურიშვილია და თავად-აზნაურობის წინამძღოლი უეჭველად თავადიშვილი უნდა იყოსო (მის წინამოადგილე მარშლად ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანი[484] იყო), დ. ყი-

ფიანს მთავარ-მართებელი ბარიათინსკი[121] არა სწყალობსო, რადგან იმის დაუკითხავად სამეგრელოს მთავრის[166] ოპეკუნობა იკისრა და ამის გამო მათ დიდი უთანხმოება ჩამოუვარდათო,[485] მაშასადამე, არც ერთი მაგის შუამდგომლობა ჩვენი თავად-აზნაურობის საჭიროებათა შესახებ არ გავაო და ბევრი ამისთანა სხვა რამეები. როდესაც მოახლოვდა დრო მარშლების ამორჩევისა (ეს მოხდა ივანე მუხრანბატონის[179] სასახლეში, სადაც ეხლა თბილისის კლუბია[311]), მთელმა თავად-აზნაურობამ მოიყარა თავი. დიდი შეტაკება, — რასაკვირველია, სიტყვიერი, — მოხდა ამ ორ პარტიას შორის. კენჭისყრის უწინ გრიგოლ ორბელიანი[41] და ივანე მუხრანბატონი აფრთხილებდნენ თავად-აზნაურობას: ნუ ირჩევთ იმისთანა კაცს, რომელსაც კარგი განწყობილება არა აქვს მთავრობასთანაო, მაგრამ მეორე პარტია უყვიროდა: -- ჩვენ ჩვენი ჭკუა-გონება გვაქვსო, კარგად ვიცით, ვინც ჩვენთვის გამოსადეგი არისო. ლაპარაკი რომ გათავდა, დაიწყეს გამოხმობა კენჭის ჩასაგდებად. რასაკვირველია, დიდ ბობოლებიდან დაიწყეს. გამოუძახეს გრიგოლ ორბელიანს, არ გავიდა, მერე ივანე მუხრანბატონს — არც ის გავიდა, გიორგი მუხრანბატონს[354] — იმანაც უარი სთქვა. რაღა ბევრი გავაგრძელო, თორმეტ ღენერლამდინ უარი სთქვეს. როცა გამოიხმეს ერთი სომხის ღენერალი, არ ვიცი ყორღანოვი[486] თუ არწრუნი,[487] დაიძრა თუ არა თავის ადგილიდან, ასტყდა დიდი ტაშისკვრა. ის მივიდა ყუთთან, ახადა ფარდა და პირდაპირ თეთრი კენჭი მისცა. მას შემდეგ სხვა ღენერლებმაც გაბედეს და ბოლოს დიდ-ძალი თეთრი კენჭი ამოუვიდა დიმიტრი ივანეს ძეს. ასე რომ, აღარ მახსოვს, ხუთი თუ ექვსი შავის მეტი არ ამოსვლია.[488] რასაკვირველია, ამორჩევის შემდეგ განსვენებულმა მშვენიერი სიტყვებით მადლობა გადაუხადა კრებას ამისთანა ნდობისათვის,[489] აღუთქვა თავის შრომით და მოღვაწეობით იმედის გამართლება. ჩვენც, წვრილფეხობას, შემდეგ დიმიტრი ივანეს ძის ამორჩევისა, დიდი მხიარულება შეგვექმნა, თითქო ვგრძნობდით, რომ უკეთეს კაცს ჩვენში ვერ ამოვარჩევდით.

შემდეგ შედგა კომიტეტები იმ მიზნით, თუ როგორ უნდა დაბოლოვებულიყო ჩვენში ბატონყმობის მოსპობის საქმე. აი, მაშინ უკვდავმა დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანმა შეადგინა მონოდება მთელ თავად-აზნაურობისადმი. ამ მოწოდებაში განსვენებული დიმიტრი ურჩევდა თავად-აზნაურობას, რომ იმ ყმის ფულიდან, რომელიც მათ გამოუვათ მთავრობისაგან, ერთი მეხუთედი გადაედოთ ბანკის დასაარსებლად, რომლის მოგება უნდა დახმარებოდა ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს სწავლა-განათლების საქმეში.[490]

ერთი ამისთანა მონოდება მამაჩემსაც მოუვიდა. რასაკვირველია, მივწერეთ დიმიტრი ყიფიანს ჩვენი სურვილი, რომ მეხუთედი

ჩვენი ფულისა დაეჭირათ და გადაედოთ ამ მეტად სასარგებლო და დიდებულ საქმისათვის.

სამწუხაროდ, ჩვენს გორის მაზრაში ისინი, ვისაც ბლომად გამოუვიდა ყმების ფული, არ დაეთანხმნენ ამგვარ ფულების გადადებას. მთელ ერისთვიანთში მარტო ერთმა ბიძაჩემმა გიორგი ერისთავმა („მამამზედ" წოდებულმა)[491] გაიმეტა თავისი ხვედრი, დანარჩენებმა თავიანთი ფული უბრალოდ მიფლანგ-მოფლანგეს. ის რვა ათასი თუმანი, რომელიც განსვენებული ყიფიანის წინადადებით შეკრიბა ყველა მაზრებმა, უფრო ღარიბ თავად-აზნაურობისაგან იყო შეგროვილი. ასე რომ, ის უკვდავი საზოგადო მოღვაწე დიმიტრი რომ არა ცდილიყო და მთავრობისაგანაც არ გამოერთვა იმ რვა ათასი თუმნის გარდა სხვა თექვსმეტი ათასი თუმანი ბანკის დასაარსებლად, რომლის სარგებლით განსაკუთრებით ჩვენი შვილები უნდა აღზრდილიყვნენ, არ ვიცი, ეხლა რა ბანკი გვექნებოდა ან ის ჩვენი დაწესებულებანი, რომელნიც ამ ბანკის წყალობით საზრდოობენ, რა მდგომარეობაში იქნებოდნენ?[199]

გარემოებამ მაიძულა, თითქმის ოცი წელიწადი დავრჩენილიყავ პეტერბურგში, სადაც ჩვენს დაუვიწყარ დიმიტრის უფრო დავუახლოვდი. 1873 წლიდან 1894 წლამდე ვექილად და იურისკონსულტად ვიყავი ნიკოლოზ მინგრელსკისთან.[166] მე ვიცოდი, რომ მისი დედის, — დედოფლის,[142] — დროს, როდესაც განსვენებული დიმიტრი ოპეკუნათ იყო,[492] ცდილობდა იმათი საქმეები მთავრობასთან მოეგვარებინა (და მოაგვარა კიდეც), რაღაცა ანგარიშებზედ ჰქონდათ ლაპარაკი. ამ ანგარიშებით დიმიტრი ყიფიანს დაადეს ვალად, ვგონებ, 30 ათას მანეთამდინ.[493] ეს იყო იმ განხეთქილების მიზეზი, რომელიც მათ შორის მოხდა. მე გამოძიებული მქონდა ეს საქმე და ვიცოდი, რომ, თუმცა ფორმალურად შეიძლებოდა მოთხოვნა ამ ფულისა, მაგრამ განსვენებული დიმიტრი მართალი იყო ამ საქმეში. მე ბევრჯერ მქონდა ლაპარაკი ნიკო მინგრელსკისთან (დედოფლის გარდაცვალების შემდეგ) ამაზედ და ყოველთვის ვამართლებდი განსვენებულ ყიფიანს. ერთხელ, როდესაც უმაღლესის ბრძანებით უგანათლებულესის თავ. ლივენის[238] თავმჯდომარეობით შესდგა კომისია სამაგრელოს თავადის მამულის საქმეების გამოსარკვევად, მე ვურჩიე ნიკო მინგრელსკის, მოენვიათ ამ კომისიაში დიმიტრი ყიფიანი, როგორც სპეციალურად მცოდნე სამეგრელოს მთავრის მთელი საქმეებისა და მამულებისა. ამასთან ვურჩიე, ის ვალიც, რომელიც მასზე ირიცხებოდა, სრულიად მოესპოთ. მე დამიჭირა მხარი ერთმა ღენერალმა — სმირნოვმა.[235] ნიკო მინგრელსკიც დაგვეთანხმა. მაშინ დიმიტრი ივანეს ძე მოინვიეს და დაუნიშნეს თვიური ჯამაგირიც. ის ძველი ვალიც მოუსპეს. ვგონებ, მთელი წელიწადი დაჰყო მაშინ დიმიტრი ივანეს ძემ პეტერბურგში.[494]

აქ საჭიროა აღვნიშნო დიმიტრი ყიფიანის ერთი იშვიათი ღირსება — მისი გადაშლილი პირისახე, მისი გრძნობით სავსე თვალების გამომეტყველება, რომელიც ჰხიბლავდა მასთან მოსაუბრეს და გადააშლევინებდა მას გულს. დიმიტრი ყიფიანში ის ხედავდა კაცს, რომელთანაც ყოველივე აღსარების თქმა შეიძლება. მასში ის ხედავდა თავის დარდების მოზიარეს და იმათ განქარვების ძალას. ერთის სიტყვით, უკეთესს მოსაუბრეს, ჭირში და ლხინში თანამგრძნობ ადამიანს, სხვას ვერ იპოვიდით.

ამიტომ მიყვარდა ხოლმე, როდესაც დრო ჰქონდა, მისი მოპატიჟება ჩემთან ქართულ სადილზე. მახსოვს, ერთხელ ახალი თევზი მოვახარშვინე და მშვენიერი ძველი კახური ღვინით გავუმასპინძლდი. გამოცალა ჭიქა. მერე ჭიქის პირით ცერის ფრჩხილებზედ დააკაკუნა და ნარმოსთქვა: „ცოცხალ თევზს წყალი უყვარს და მოხარშულს ღვინოო". ამასთანავე, მიამბობდა ბევრს ამბებს ჩვენი ნარსულიდან.

შემდეგ რომ პეტერბურგიდან დაბრუნდა, ხომ ქუთაისში ამოირჩიეს მარშლად[262] და ის უბედურება შეემთხვა, რომლის გამო ასე დასტირის მას მთელი საქართველო...

გლეხთა განთავისუფლება და დიმიტრი ყიფიანი*

დღეს შესრულდა ნახევარი საუკუნე, რაც რუსეთის ხელმწიფის ალექსანდრე მეორის[218] მანიფესტით მოისპო მონობა რუსეთში, განთავისუფლდა გლეხი ყმობის მდგომარეობიდან. რუსეთის ზოგიერთს გუბერნიაში მებატონენი წინააღმდეგნი იყვნენ ამისთანა არაჩვეულებრივის განკარგულებისა და აშკარად აცხადებდნენ, რომ ალექსანდრე მეორეს რუსეთის ბედნიერება კი არა, დაღუპვა უნდაო. მთავრობა ფრთხილობდა, შიშობდა და მზათ იყო, წინააღმდეგთათვის ჯეროვანი პასუხი გაეცა.

ამგვარსავე წინააღმდეგობას მოელოდა მთავრობა საქართველოშიაც და იმ დროს მთავარმართებელი, ძმა ალექსანდრე მეორისა, დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე[191] მეტად ფრთხილობდა და ეჭვში იყო, რომ გლეხთა განთავისუფლება მშვიდობიანათ მომხდარიყო. ადგილობრივ მთავრობის მოხელეთა მომეტებული ნაწილი უმტკიცებდა დიდს მთავარს სასტიკი ზომების მიღების საჭიროებას. ამათ რიცხვში ქართველნიც იყვნენ და სომეხნიც. მცირე ნაწილი კი ამ მოხელეთა შორის, როგორიც იყვნენ დიმიტრი ყიფიანი, მიხეილ თუმანიშვილი,[177] ზაქარია ავთანდილაშვილი[46], იოსებ[45]

---

* ფსევდონიმით (N) გამოქვეყნდა „სახალხო გაზეთში" (1911, №236). ავტორის ვინაობა ვერ გამოვარკვიეთ. შემდგ.

და კონსტანტინე მამაცაშვილები,[202] გრიგოლ[41] და ვახტანგ ორბელიანები[42] და ამათი მეგობრები, უმტკიცებდნენ, რომ არავითარი შიში არ მოელის მთავრობას ქართველთაგან. თუმცა აქაც კი იყვნენ ზოგიერთნი ქართველნი წინააღმდეგნი გლეხთა განთავისუფლების, მაგრამ ხმამაღლა და აშკარად ამის გამოცხადებას ვერ ჰბედავდნენ.

საქართველოს გლეხთა განთავისუფლებაში ბატონყმურ მონობისაგან დიდი შრომა და მხურვალე ღვანლი მიუძღვის აწ განსვენებულს დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანს.

დიმიტრი ყიფიანმა, იმ დროის მთავარმართებლის საბჭოს წევრად მყოფმა,[22] განთავისუფლების ორი წლის წინათ დაიარა ქართლ-კახეთი, ზოგან ეტლით, ზოგან ცხენით; ფეხითაც მოუხდა რამდენჯერმე სიარული. ის აჯერებდა თავადაზნაურობას გლეხთა განთავისუფლების დიადს მნიშვნელობას, აწყნარებდა ხალხს და ანუგეშებდა კიდეც, რომ მთავრობა ფულსაც კი გამოიღებს გლეხთა პატრონთ ზარალის აღსადგენათო. ამასთანავე, არწმუნებდა იმათ, ვინც მოელოდა ფულს ჩამორთმეულს გლეხში, რომ რამოდენიმე გადაედვათ თავად-აზნაურთა ბანკის დასაარსებლად. ამრიგათ, დიმიტრი ყიფიანის დიდის მეცადინეობით დაწყნარდა საქართველო და შეგროვდა სათანხო ფული ბანკისათვის.

თებერვლის მე-19 დღე რომ გათენდა ტფილისში, დიმიტრი ყიფიანს აცნობეს, ქალაქის ქუჩებში ჯარი მიდი-მოდისო, მახათას მთაზე ზარბაზნები დააყენესო. იმწამსვე მივიდა დიმიტრი ყიფიანი დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძესთან და დააჯერა, რომ აქ საშიში არა არის რაო, მთავრობამ თავისი შიში ხალხს არ უნდა უჩვენოსო და ჯარები გადააყენებინა, მაგრამ ისე იყო შეშინებული მიხეილ ნიკოლოზის ძე, რომ თავის სასახლის[529] სახურავზე ავიდა თავის ცოლ-შვილით და იქიდან უცქეროდა ხალხის მოძრაობას, ღრიანცელსა და უზომო მხიარულებას.

მე, ამ სტრიქონების დამწერი, სხვა ჩემ ტოლებს შორის ვიყავი ქუჩაში სასახლის წინ და ჩემი თვალითა ვნახე მიხეილ ნიკოლოზის ძე სასახლის სახურავზე ასული იმ დროს, როცა ჩვენი დიდკაცობა, თავად-აზნაურნი და გლეხთა წარმომადგენლები სასახლეში შედიოდნენ მთავარმართებელთან მადლობის გადასახდელად. მერე გავრცელდა ხმა — რომ დიმიტრი ყიფიანი არ ყოფილიყო, არავინ იცის, რა არ მოხდებოდაო, მხოლოთ ყიფიანმა დაამშვიდა თავადაზნაურობა და მთავრობაცაო.

რუსეთში სუყველას უკვირდა, რომ საქართველოში ამ „ველურმა" ქართველობამ სიხარულით ჩაატარა ყმების განთავისუფლება მონობისაგან და არავითარი წინააღმდეგობა არ გამოუჩენია, როგორც მოხდა რუსეთის ზოგიერთს გუბერნიაში.

ლევან ყიფიანი[495]

დიმიტრი ყიფიანი და სამთა კომისია
(ისტორიული ცნობა)

დიმიტრი ყიფიანის მოღვაწეობასთან დაკავშირებულ მოგონებებს აკლია ისეთი ზოგადი ხასიათის ცნობები თუ ცალკეული ნიშანდობლივი დეტალები, რომლებიც სრულად წარმოგვიდგენდა საკმაოდ უფერული ქართველი საზოგადოებრიობის ამ იშვიათი და უთვალსაჩინოესი წევრის საზოგადოებრივ საქმიანობას. ეს განსაკუთრებით ეხება დიმიტრი ყიფიანის როლს თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის დაარსებაში და მისი, როგორც დამფუძნებლის, შემდგომ დამოკიდებულებას ამ სასარგებლო დაწესებულებასთან.

ცნობილია, რომ ბანკის დაარსებისთანავე დიმიტრი ყიფიანმა თავი აარიდა ზედამხედველი კომიტეტის წევრობას, ხოლო ცოტა ხანში მკვახედ და მისთვის საერთოდ დამახასიათებელი პირდაპირობით გამოთქვა თავისი შეხედულება ბანკის მაშინდელ მესვეურთა საქმიანობაზე და გაეცალა კიდევაც აღნიშნულ დაწესებულებას.

რა იყო ბანკის სულისჩამდგმელსა და მის მიერვე დაარსებულ დაწესებულებას შორის ჩამოვარდნილი განხეთქილების მიზეზი? რა მოტივით აარიდა მაშინ თავი დიმიტრი ყიფიანმა ზედამხედველი კომიტეტის წევრობას?

ფართო პუბლიკამ და მკითხველებმა ეს არ იციან. არადა, დიმიტრი ყიფიანის მომავალი ბიოგრაფისთვის დიდად საინტერესო უნდა იყოს განსვენებულის მოღვაწეობის ეს სფერო საერთოდ და, კერძოდ, ბანკთან უთანხმოება და მოტივაცია ამ უთანხმოებისა. საქმე ისაა, რომ ამ ფაქტში განსაკუთრებული სიმკვეთრით ჩანს დიმიტრი ყიფიანის ხასიათი, მისი საზოგადოებრივი იდეალები, მისი პირდაპირობა, უკომპრომისობა, რითაც იგი გამოირჩეოდა თანამედროვეთაგან.

განსვენებული მამაჩემის[496] ქაღალდებს შემორჩა დიმიტრი ყიფიანის ერთი ბარათი, რომელიც ეხება განხეთქილებას ბანკის მესვეურებთან და მათ მიერ ჩამოყალიბებულ საბანკო პოლიტიკასთან დამფუძნებლის შეუთავსებლობას.

აი, მოკლე ისტორია აღნიშნული განხეთქილებისა:

1883 წლის 1 მაისს* სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის საერთო კრებამ გადაწყვიტა, შეექმნა სამი პირისგან შემდგარი

* უნდა იყოს: 31 მაისს (იხ. თბილისი, 24 ივნისს, „დრ.", 1883, №121). შემდგ.

კომისია, რომელსაც დაეკისრებოდა:

1. ბანკის არსებობის 8 წლის მანძილზე საქმისწარმოების, ანგარიშგებათა, აგრეთვე, საბანკო ოპერაციების მიმდინარეობის გადასინჯვა. ეს ყოველივე მიზნად ისახავდა ახალი მონაცემების საფუძველზე შესაბამისი ცვლილებების შეტანას როგორც მოქმედი წესდების ცალკეულ მუხლებში, ისე ბანკის მმართველობის პრაქტიკულ საქმიანობაში.

2. ბანკში დაგირავებული მამულის შეფასების ისეთი წესების შემუშავება, რომელშიც უწინდელზე უფრო სრულად იქნებოდა გათვალისწინებული ადგილობრივი თავისებურებები როგორც ქალაქში, ისე სოფლად.

3. ისეთი უფლება-მოვალეობების ჩამოყალიბება, რომელიც სესხის ამღებს გაუადვილებდა, ერთი მხრივ, კრედიტის აღებას და, მეორე მხრივ, ბანკის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

4. ისეთი პირობების განხილვა და გამორკვევა, რომელიც განამტკიცებდა ნდობას ბანკისადმი და ამ მხრივ დააყენებდა მას იმ სიმაღლეზე, წესით რომ უნდა სჭეროდა კიდევაც ფინანსურ წრეებში. კომისიას მიენიჭა კოოპტაციის უფლება.

5. კომისია ვალდებული იყო, შეემოწმებინა წინა წელიწადში დაგირავებულ მამულთა შეფასების სისწორე და ისიც გამოერკვია, თუ ვის უნდა დაკისრებოდა პასუხისმგებლობა მოსალოდნელ ზარალზე.

კომისია მიმდინარე საბანკო ოპერაციათა განხილვისას აღჭურვეს ყველა იმ უფლებით, რომელიც საბანკო-სარევიზიო კომისიას ჰქონდა — წინასწარი გაფრთხილების გარეშე ბანკის დავთრებისა და სალაროთა შემოწმების ჩათვლით.

საერთო კრების მიერ მიღებულ იქნა შესაბამისი დადგენილება და ბანკის ზედამხედველი კომიტეტის სამი წევრისაგან შედგა კომისია დ.ქ. ყიფიანის,[495] თ-დ გ.იორ. თარხანოვისა[497] და თ-დ გ.მ. თუმანოვის[498] შემადგენლობით.[499]

სანამ დაკისრებული მოვალეობის შესრულებას შეუდგებოდა, კომისიამ საჭიროდ ჩათვალა, მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად უსათუოდ დ.ი.ყიფიანიც მიეწვია.

და აი, დიმიტრი ყიფიანისათვის დამახასიათებელი ის ბარათიც, რომელიც მამაჩემმა, როგორც სამთა კომისიის ერთ-ერთმა წევრმა, მიიღო ბანკის დამფუძნებლისგან:

„მონყალეო ხელმწიფეო,

დავით ქაიხოსროს ძევ!

თქვენი წერილი ამ თვის 15[-ისა] მივიღე, რომელშიც მკითხავთ: შემიძლიან თუ არა, ან რა მონაწილეობას მივიღებ სამის პირისაგან შემდგარ კომისიაში.

თავს ვიხრი ამ არაჩვეულებრივ მოვლენის წინაშე, რომ „სამთა კომისია" მე მთვლის თავად-აზნაურთა ბანკის ინიციატორად და მისი კეთილდღეობა ჩემთვის სასურველად მიაჩნია, მაგრამ:

მე არ თანავუგრძნობ თბილისის თავად-აზნაურთა ბანკის ეხლანდელს მიმართულებას, ამიტომ, რომ მე მინდოდა ბანკის დაარსება მინის მფლობელთა და მინის მუშაკთათვის და ეხლანდელი ბანკი ხელს უწყობს უფრო ქალაქის სახლების პატრონებს; მის დამფუძნებელთ კი, ე.ი. თავადაზნაურობას, კრედიტი გაძნელებული აქვს, მინის მუშაკისათვის კი ხომ სრულიად დაკეტილია ბანკის კარები. ამისთანა ბანკის ინიციატორად (მოთავედ) მე თავის დღეში არა ვყოფილვარ. უფრო ნაკლებ თანავუგრძნობ სამ პირთაგან შემდგარს კომისიას, რადგანაც ის არის ნაწყვეტი იმავე ზედამხედველის კომიტეტისა, რომელიც იმის მაგიერ, რომ თხოულობდეს ბანკის ყველა საქმეების განხილვას, — როგორის ფორმითაც უნდა მოხდეს ეს განხილვა, — რასაც შეუძლია მისი რეპუტაციის აწევა და დამკვიდრება, ყოველგვარს წინააღმდეგობას უწევდა საზოგადო ყრილობის სურვილს და ბოლოს დასთანხმდა კომისიის დანიშვნას, მხოლოდ იმავე ზედამხედველის კომიტეტის წევრთაგან შემდგარს.

მე ჩემ დღეში არა მქონია ნიჭი, ვისურვო წარმატება იმ პირთა და იმ დაწესებულებათათვის, რომელთაც არ თანავუგრძნობ. ეს იყო მიზეზი, რომ ბანკის გახსნისთანავე მე უარვყაკი ყოველივე მონაწილეობა ზედამხედველის კომიტეტის მოქმედებაში, თუმცა მას ჰნებავდა, ვეგულებინე მის წევრად. ეს არის მიზეზი, რომ ეხლაც გადაჭრილს უარს ვაცხადებ და მის საქმეებში არაფერს მონაწილეობას არ მივიღებ. ამ სამ პირთა კომისიას ისე ვუყურებ, როგორც ფრაქციას (ნაწილს) იმავე ზედამხედველის კომიტეტისას".[500]

წერილი დათარიღებულია 1883 წლის 20 ივნისით.

რა ბედი ეწია შემდეგ სამთა კომისიას, რა გააკეთა მან და როგორი ნაყოფი გამოიღო მისმა საქმიანობამ, ჩემთვის, სამწუხაროდ, ცნობილი არაა.[501]

სოფრომ მგალობლიშვილი[502]

კ. ყიფიანის 45 წ. არტისტული მოღვაწეობის გამო

(მოგონებიდან ნაწყვეტი)

კოტე[440] და მისი და ელენე[247] იზრდებოდნენ თვისის მშობლის, დიდებული მამულიშვილის დიმიტრის, ოჯახში. თვით დიმიტრი იმ დროს უხვად სთარგმნიდა მოლიერის[503] და შექსპირის[446] თხზულებებსა. რასაკვირველია, დიდებული მამის მაგალითი, მისი სიყვა-

რული სამშობლოსადმი, მისი ფაქიზი ზნეობა, მტკიცე ხასიათი არ დარჩებოდა შეუმჩნეველად ახალგაზრდა კოტეს. ყმანვილობიდამვე მოჰყვა კოტე დიდებულ მამულიშვილთა გავლენაში და, რა თქმა უნდა, რომ ახალგაზრდა კაციც გაიტაცა სამშობლო ქვეყნის სიყვარულმა და თავი შესნირა სამშობლო სცენასა. დიდებული მამისაგან მიიღო კოტემ სამემკვიდროდ სამშობლოს სიყვარული, თავდადებული შრომა მისთვის, მტკიცე ხასიათი, ზრდილობა, სიფაქიზე ზნეობისა...

სამოცდაათიან წლებში ჩვენშიც დაიწყო ხალხოსნური მიმართულება, რომელიც ჩვენში რუს ხალხსოსანთა ზეგავლენით გადმოინერგა. მაშინდელი ჩვენი ინტელიგენცია ძალიან გაიტაცა ამ ხალხოსნობამ. ახალგაზრდობა ხარბად დაენაფა აკრძალულ ლიტერატურას, რომელიც ძალიან გავრცელდა და ყველგან მოედო. სხვათა შორის, კოტე ყიფიანიც თვალსაჩინო მონაწილეობას იღებდა ხალხოსნურ მოძრაობაში.[504] ითარგმნებოდა სხვადასხვა წიგნაკები და ვრცელდებოდა ხელთნაწერად ხალხში. მალე ციხე შიგნიდან გატყდა: გაგვიჩნდნენ ჯაშუშები, რომელთა შორის შესანიშნავი იყო ცალთვალა იაგორა იოსელიანი.[505] 1876 წ. თითქმის მთელი საქართველოს ახალგაზრდობა დაჩხრიკეს იოსელიანის წყალობით და, სხვათა შორის, კოტე ყიფიანიც. ზოგიერთნი დაიჭირეს, მომეტებული ნაწილი კი პოლიციის მხედველობის ქვეშ დასტოვეს. როდესაც 1878 წ. პეტერბურში მეზენცევი[506] მოჰკლეს, მთავრობამ წამოუსვა ხელი და ყველა, 1876 წ. პოლიციის მხედველობის ქვეშ დატოვებულნი, ადმინისტრაციულის წესით დააპატიმრა.

ერთს საღამოს, ენკენისთვის გასულს, 1878 წ., ვზივარ მარტოკა მყრალს ოთახში გორის საპყრობილეში. სულ არ გასულა ნახევარი საათი, შემოიჭრიალა ოთახის კარმა და მომაყენეს კოტე ყიფიანი. გვეამა ერთმანეთის ნახვა, უფრო იმიტომ, რომ ობლობას აღარ განვიცდიდით. იმავე ღამეს, ღამის ათს საათზე, მოიყვანეს გიგო ავალიშვილი.[507] სამივე ერთს ოთახში დაგვაბინავეს, ჩვენს პირდაპირ ცალკე ჩასვეს დათიკო ფურცელაძე.[508]

ჩვენი იქ ყოფნა იმითი იყო შესანიშნავი, რომ ყოველს შაბათს ჩამოდიოდა კოტეს სანახავად მამამისი, დიდებული მამულშვილი დიმიტრი თავის მეუღლით, ნინო იაგორის ასულით,[78] თითქმის ერთი კვირის სამყოფი სანოვაგე მოჰქონდა; ტკბილად გვემუსაიფებოდა რამდენსამე საათს მამულიშვილობაზე. „მე მრწამს, -- გვითხრა ერთხელ სულმნათმა მოხუცმა, — ჩვენი სული გაღონივრდება, გაძლიერდება იქამდე, რომ მსხვერპლად შეწირვა თავისა სამშობლოსათვის თითით საჩვენებელი აღარ იქნება. იშრომეთ, იმოქმედეთო..."

გიგო ავალიშვილი უსწავლელი თავადი იყო, მაგრამ მოძრაობის დროს თავისი წვლილი შეჰქონდა. მტკიცე კაცი იყო და რასაც

შეუკვეთდა ამხანაგობა, ნამდვილი შემსრულებელი იყო. ამასთან, საოცარი ძალ-ღონეც შესწევდა. იყო ძალიან ენანყლიანი მოსაუბრე და მომხიბლავი ოხუნჯი. ერთხელ დიმიტრიმ ღიმილით ჰკითხა:

— გიგო, შენ რაღა შეგწამეს, რისთვის დაგიჭირეს?

— ნივრისთვის, ჩემო ბატონო!

— როგორ თუ ნივრისთვის?

— ვილაც ჟანდარმის ოფიცერი მოეხირა ჩემსას ბრეთში.[509] აბა, რას მიპოვნიდა, ჩემსას ქაღალდის ნახევიც კი არ მოიპოვებოდა, გატეხილ ფანჯრებს თუ ეკრა გაყვითლებული ქაღალდი. რომ ვერა იპოვა-რა, მიადგა ერთს დიდს ხის ყუთსა. დედაჩემი დააჯდა ამ ყუთს და აღარ დგებოდა. ჟანდარმს ეგონა, სწორედ აქ არის, რაც არისო. ახადეს ყუთი და ნივრის სუნი კი ეცა ჟანდარმსა?! დედაჩემი იმიტომ არ დგებოდა ყუთიდან, რომ თავი არ შეერცხვინა ჟანდარმთანა. ნივრის მეტი ვერა იპოვა-რა ჟანდარმმა და ალბად იმიტომ თუ დამიჭირესო.

დიმიტრიმ ბევრი იცინა.

ერთი ამბავიც კიდევ: სატუსაღოს ეზოში უფროსს, კოტეს ბიძას, ზაზა ყიფიანს,[510] დიდძალი ფრინველი ჰყავდა მოშენებული. ეზოში დავდიოდით. კოტემ სთქვა — მოდი, ერთი ინდოური დავიჭიროთ და მოვახარშინოთო. გავქანდით დასაჭერად; ინდოური შუაში გამოგვიძვრა და მე და კოტე ერთმანეთს დავეჯახენით. ისე მძლავრად დავარტყი თავი კოტეს, რომ სათვალე-პენსნე ცხვირში ჩაემტვრა და კაკნატელა მოეგრიხა. შენს მტერს, დაუსივდა ცხვირი. შაბათს დღეს ჩვეულებრივად გვეწვივნენ კოტეს მშობლები. რა ნახეს ცხვირდასიებული კოტე, შესწუხდნენ, ეგონათ, დარაჯებმა თუ უხუმრეს ასე მწარეთო და რა გაიგეს, სიცილად არ ეყოთ. „რამდენსაც ბევრს რამეს განიცდით ცხოვრებაში, იმდენი გამოსადეგი იქნება შემდეგშიო" — გვითხრა ღიმილით დიდმა დიმიტრიმ. დღეს კოტეს ცხვირი ცოტა რომ გაბრუდებული აქვს, ჩვენი ყმაწვილური სიცელქის ამბავია.

თედო სახოკია[511]

დიმიტრი ყიფიანი

დიმიტრი ყიფიანი დაიბადა 1814 წელს, აპრილის 14-ს,[512] ქართლის სოფელ მერეთში.[4] მამამისი, იმერეთის სოფელ საababშიოდან[513] გადმოსული აზნაურიშვილი — ქოჩო ყიფიანი,[5] ზედსიძედ იყო შესული და ცოლად ჰყავდა ფურცელაანთ ქალი ბარბალე.[7] დიმიტრისა ჰყავდა სამი ძმა და ორი და.[514]

პატარაობითვე დაობლებულს,[515] დიმიტრის ზრდიდა მისი უფროსი ძმა ქაიხოსრო.[10] 8 წლის ყმაწვილი ძმამ მიაბარა თბილისის „კეთილშობილთა სასწავლებელში".[516] 17 წლისამ დაამთავრა საუკეთესოდ და სასწავლებლის მმართველობამ ამავე სასწავლებელში არითმეტიკისა და გეოგრაფიის მასწავლებლად დანიშნა.[517]

1832 წელს რუსის მთავრობის საწინააღმდეგო შეთქმულებაში მონაწილეობის მიღებისთვის, სხვა მოწინავე ქართველ ყმაწვილკაცებთან ერთად, დ. ყიფიანიც დაიჭირეს და ჩასვეს მეტეხის ციხეში,[48] სადაც დაჰყო ერთი წელიწადი.[49] აქედან გაგზავნეს საცხოვრებლად ჩრდილოეთ რუსეთში, ქ. ვოლოგდაში.[57]

ვოლოგდაში სამსახურში შესვლის ნება მისცეს და გუბერნატორის კანცელარიაში გაამწესეს. 19 წლის დ. ყიფიანი დიდ მუყაითობას და შრომისმოყვარეობას იჩენდა სამსახურში. ასე რომ, მეორე წელიწადს უკვე კანცელარიის მმართველობა ჩააბარეს. [59]

მალე ნება მისცეს სამშობლოში დაბრუნებისა, მხოლოდ თბილისში ცხოვრების ნება არა ჰქონდა.[61] ისიც ქუთაისში ჩავიდა და „იმერეთისა და გურიის გუბერნატორის"[65] კანცელარიაში „ჩინოვნიკად" გაამწესეს.[66]

ქუთაისიდან სამი-ოთხი წლის შემდეგ გადმოვიდა თბილისში.[71] თბილისში 1845 წ. ცოლად შეირთო დუშელი მემამულის, გენერალ გიორგი ჭილაშვილის[73] ქალი — ნინო.[75]

მთავარმართებელი, თავადი ვორონცოვი,[79] დიდად აფასებდა დიმიტრი ყიფიანის ნიჭს. დიმიტრი ყიფიანის მეცადინეობით დაარსდა ჟურნალი „ცისკარი"[81], საძირკველი ჩაეყარა ქართულ თეატრს.[518] იმისივე მეცადინეობით ქართულმა ენამ მაშინდელ გამარუსებელ სასწავლებლებში ცოტ-ცოტად ფეხი მოიკიდა.[519] ვორონცოვის თხოვნით დაწერა და დაბეჭდა (რუსულად) „О сословиях Закавказских".[103] დაბეჭდა აგრეთვე კრიტიკული მიმოხილვა საქართველოს ისტორიის მასალებისა: „О материалах истории Грузии".[104]

თავად ბარიატინსკის[121] დროს დ. ყიფიანი უკვე ინიშნება კავკასიაში ხელმწიფის ნაცვლის მრჩეველთა წევრად.[122]

ბარიატინსკისავე დროს დ. ყიფიანი სამეგრელოს მცირეწლოვანი მთავრის მზრუნველად დანიშნეს.[492] იგი სწავლობს ინგლისურ ენას და ისე საფუძვლიანად ისწავლა, რომ შეეძლო შექსპირის[466] კითხვა.

ამ დროს დაიწყო დ. ყიფიანმა მუშაობა ქართული მწიგნობრობის ასაღორძინებლად. ჟურნალ „ცისკარში"(გამოდიოდა ივ. კერესელიძის[124] რედაქტორობით) ათავსებს მოთხრობებს, თარგმნის შექსპირის „რომეო და ჯულიეტას",[125] ოკტავ ფურიკის „ღარიბი ყმაწვილკაცის რომანს",[126] მოლიერის „ცოლის შერთვევინებას".[127] ილ. ჭავჭავაძის რედაქტორობით გამომავალ „საქართველოს მოამ-

ბეში"[131] მოთხრობა „თურქმენულ ცხენთან"[520] ერთად მოათავსა მითჩელის ასტრონომიის[130] რამდენიმე თავი. ფსევდონიმად აწერდა: „ბაქარ ქართლელი".[133]

როცა ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის მარშლად იყო, უკვე სამოცი წლის კაცი, შეუდგა ქართული გრამატიკის შედგენას,[521] ამისთვის დასჭირდა, ლათინური ენაც ესწავლა. სხვის დაუხმარებლად ისწავლა ეს ენა საოცარი გულმოდგინებით. ფრანგული ენა კი მეტეხში ტყვეობის[48] დროს ჰქონდა ნასწავლი.

თავადაზნაურობის წინამძღოლად სწორედ მაშინ ამოირჩიეს, როცა საქართველოში გლეხების განთავისუფლებას აპირებდნენ.[62]

დ. ყიფიანი მხურვალე მოსარჩლე იყო გლეხების განთავისუფლებისა და ყოველ კრებაზე თუ კომისიებში ცდილობდა, თავადაზნაურობისათვის განემარტა სარგებლობა და საჭიროება ამ რეფორმისა, გარდა ამისა, თავადაზნაურობას მთავრობისათვის ათხოვნინა, ყოველ კომლ განთავისუფლებულ გლეხს შეწევნის სახით მისცემოდა ორ თუმან-ნახევარი.[522] რაკი ეს აზრი გაიყვანა, დ. ყიფიანმა უფრო შორს წასვლა განიზრახა — თავადაზნაურობას ამ ფულიდან გადაადებინა მეხუთედი და დააარსებინა სათავადაზნაურო ბანკი. დ. ყიფიანის მიერ შედგენილი პროექტით, თავდაპირველად ამ ბანკის წესდებაში უნდა ყოფილიყო ისეთი მუხლი, რომლის ძალით ბანკში დაგირავებული მამული პატრონს არ უნდა გაჰყიდვოდა და, გარდა ამისა, მთელი შემოსავალი უნდა მოხმარებოდა ქართველი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს.[199]

დ. ყიფიანის მარშლობის დროსვე დაიბადა აზრი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" დაარსებისა. ამ საზოგადოების პირველ თავმჯდომარედ არჩეულ იქნა დ. ყიფიანი.[201]

თავადაზნაურობის წინამძღოლად დ. ყიფიანი ექვს წელიწადს დარჩა. მერე თავი დაანება მარშლობას, გადავიდა ქვიშხეთში და ოჯახს მოჰკიდა ხელი.

არ გაუვლია დიდხანს, ისევ თბილისის ქალაქისთავად ამოირჩიეს.[246] სამი წელიწადი ამ სამსახურში დაჰყო და საერთო სიყვარული დაიმსახურა მცხოვრებთა, განურჩევლად ეროვნებისა.

ქალაქისთავობის შემდეგ ისევ უბრუნდება სოფელ ქვიშხეთს და მეურნეობას. მაგრამ ორი წლის შემდეგ[523] ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლად ირჩევენ.

სიკვდილის წინა წლებში დ. ყიფიანს დიდი მიწერ-მოწერა აქვს გამართული ადმინისტრაციასთან. ამ მიწერ-მოწერის საგანია: დაცვა საქართველოს ინტერესებისა, აბუჩად აგდებულ ქართული ენისა, ქართველი ერისა.[624]

1886 წელს, მაისის 24-ს, თბილისის სასულიერო სემინარიის ნამონაფარი იოსებ ლაღიაშვილი[525] იმავე სემინარიის რექტორს,

დეკანოზ პავლე ჩუდეცკის,[280] კლავს. საქართველოს ეგზარქოსი პავლე[283] ჩუდეცკის დასაფლავებაზე წარმოთქმულ სიტყვაში სწყევლის მკვლელს და მკვლელთან ერთად თვით ქართველ ერს, რომელმაც ეს მკვლელი წარმოშვა. დ.ყიფიანი განრისხებული სწერს ეგზარქოსს თავის ისტორიულ წერილს და უთვლის: ან დალოცე ქართველი ერი, ან თავი დაანებე საქართველოსო.

აი, თვით ეს ისტორიული წერილიც:

„თქვენო მეუფებავ

მოიღეთ ჩემზე მწყემსმთავრული მოწყალება და თუ გატაცებული ხმებით ვცოდავ, შემინდეთ ჩემი დიდი შეცოდება. ამბობენ, რომ თქვენ დასწყევლეთ ის ქვეყანა, რომელშიაც სამწყსოდ ხართ მოწოდებული და რომელიც მარტოოდენ სიყვარულსა და მოწყალებას მოელოდა თქვენგან, როგორც ქრისტეს მსახურისა და მისი წარმომადგენლისაგან. იგივე ხმა არ კმაყოფილდება თქვენის ღირსების შეურაცხყოფით! იმასაც ამბობენ, ვითომ თქვენ განზრახვა გქონდესთ, ბოდიში მოიხადოთ სამწყსოს წინაშე იმ უუცოდვილეს სიტყვების გამო, რომელნიც ვითომ წარმოსთქვით. თუ ყოველივე ეს, მეუფეო, მართალია, თქვენი თანამდებობის ღირსების გადარჩენა მხოლოდ იმით შეიძლება, რომ შეურაცხმყოფელი ადამიანი შეურაცხყოფილი ქვეყნიდან დაუყოვნებლივ გავიდეს. ამას მოგახსენებთ წრფელის გულით თქვენი სამწყსოს ერთი ნევრი, რომელმაც უნდა თავიდან ააცილოს ქვეყანას ახალი დიდი შეცოდება.

ხოლო თუ ყოველივე ეს მართალი არ არის, შემინდეთ და მოიღეთ მწყემსმთავრული ლოცვა-კურთხევა თქვენი ჩემზედა.

თქვენი მეუფების მორჩილი მსახური

დიმიტრი ყიფიანი.

ივნისის 6. 1886 წ.*

*სადგური ხაშური***

ეს წერილი დიმიტრი ყიფიანისა პავლე ეგზარქოსმა საქართველოს მთავარმართებელს დონდუკოვ-კორსაკოვს[264] უჩვენა, ხოლო ამ უკანასკნელმა ისე, რომ პეტერბურგს არ დაჰკითხებია, სამოცდათორმეტი წლის მოხუცს,[526] დიმიტრი ყიფიანს, მიუსაჯა გადასახლება ჩრდილო კავკასიაში, ქ. სტავროპოლში, საცხოვრებლად. მაგრამ არც აქ მოასვენეს და 1886 წლის ღვინობისთვის 24-ს დაქირავებულ მკვლელებს მოაკვლევინეს.

იმავე წლის გიორგობისთვის 8-ს დიმიტრი ყიფიანის გვამი თბილისში მოასვენეს. ძვირფას ცხედარს ზღვა ხალხი მოსდევდა. მრავალნი იყვნენ ჩამოსულები ქუთაისიდან. დიმიტრი ყიფიანის, როგორც საქართველოსა და ქართველთათვის ნამებულის და ცარიზმის

---

* უნდა იყოს: 8 ივნისი (იხ. სმ-დყ, ტ.I, გვ. 10, 37). შემდგ.

** უნდა იყოს: „სადგური მიხაილოვო" (იხ. იქვე, გვ. 10). შემდგ.

მსხვერპლის, დასაფლავება ეროვნულ დემონსტრაციად უნდა გადაქცეულიყო. დაკრძალვის ხელმძღვანელად იყო ვალერიან გუნია,[527] ხოლო გამსვენებლად — ეპისკოპოსი ალექსანდრე (იქროპირიძე).[528]

საქართველოს სამხედრო გზით შემოსვენებული მიცვალებული უნდა გაეტარებინათ გოლოვინის (ან რუსთაველის) პროსპექტზე, სასახლის[529] წინ გავლით, აევლოთ სოლოლაკი და აესვენებინათ მთაწმინდაზე. მთავარმართებელს თბილისის პოლიცმეისტერისათვის[530] ებრძანებინა: სამგლოვიარო პროცესია სასახლის წინ არ გაატარებინოთო. ამიტომ, როგორც კი პროცესია ვაჟთა პირველ გიმნაზიას დაუპირდაპირდა,[531] წინ პოლიცმეისტერის წარმომადგენელი გადაეღობა და შეაჩერა პროცესია. პროცესიის ხელმძღვანელი ვალერიან გუნია მიდის და ეკითხება: რისთვის აჩერებთ პროცესიასო?

— მთავარმართებლის ბრძანებაა ასეთი, — იყო პასუხი, — მიცვალებული ჭავჭავაძის ქუჩით[532] უნდა აასვენოთ მთაწმინდაზეო...

ვალერიან გუნია მიდის და ეპისკოპოს ალექსანდრეს მოახსენებს საქმის ვითარებას.

— აქ ბატონ-პატრონი მე ვარ და არა მთავარმართებელი! — ხმამაღლა დაიძახა ეპისკოპოსმა, — აბა, გამომყევით, ვნახოთ, ვინ დაგვიდგება წინ!..

მღვდელმთავრის ნათქვამით წაქეზებული და გამხნევებული ხალხიც მიჰყვა და დაუპირდაპირდა სასახლეს, სადაც ფანჯრებს დარაბები აუფარეს, რომ სასახლეში მყოფთა თვალებს არ დაენახა, რა ხდებოდა პროსპექტზე; ქუთაისიდან ჩამოსულებს სულ ხმლებზე ეკიდათ თურმე ხელი... წესიერად გაატარეს სასახლის წინ, მერე აუხვიეს სოლოლაკისაკენ, აასვენეს მამადავითზე და მიაბარეს მიწას ნეშთი მეორე დიმიტრი თავდადებულისა.

აკაკიმ განსვენებულს უძღვნა თავისი უკვდავი ლექსი — „ქართველი სპარსეთში“.[533]

მეფის მთავრობამ უხერხულად სცნო, საქართველოს ეგზარქოსი პავლე, რომელსაც დ. ყიფიანის სიკვდილი ბრალად ედებოდა, საქართველოში დაეტოვებინა და გადაიყვანა ყაზანში.

პავლემ კიდევ, თავის მხრივ, აქედან თან წაიყვანა თავისი სატრფო, პავლე ჩუდეცკის ქვრივი,[534] და თავის ეპარქიაში საეპარქიო სასწავლებლის უფროსად დანიშნა.

ამბობდნენ, პეტერბურგში უკმაყოფილონი იყვნენ დონდუკოვის თვითნებური განკარგულებით დიმიტრი ყიფიანის შესახებ: დიმიტრი ყიფიანის, როგორც ქუთაისის თავადაზნაურობის მარშლის, გასამართლება და მისთვის ამა თუ იმ ხასიათის სასჯელის მიყენება მხოლოდ და მხოლოდ ხელმწიფეს შეეძლოო.[535] ამიტომ ამ ამბის შემდეგ ერთ წელიწადსაც არ გაუვლია, ისიც მოაშორეს საქართველოს.[536]

1922 წ.

შიო არაგვისპირელი[537]

დიმიტრი ყიფიანი

დიმიტრი ყიფიანს არ ვიცნობდი და არც მინახავს ცოცხალი. ან კი ვინ გამაცნობდა თფილისის სასულ[იერო] სემინარიის მონაფეს, როდესაც თფილისში არვინა მყავდა და ამის გამო მუდმივ გამომწყვდეული ვიყავი სემინარიის კედლებს შუა, როგორც ყველა ჩემისთანა პანსიონერი... ვნახე მხოლოდ იმის კუბო, როდესაც იმისი ნეშთი მოასვენეს სტავროპოლიდან. რამდენიმე მონაფე გავიპარენით პანსიონიდან და ვერაზე დავუხვდით. აი, ფიქრის გორის ახლოს დავინახე იმისი კუბო. ჩვენთვის, სემინარიელებისათვის, დიმ.ყიფიანი სათაყვანებელი გახდა. იმან ამოიღო ხმა და უშიშრად შეეხმაურა მრისხანე ეგზარხოსს,[283] რომელიც წყევა-კრულვას ინვევდა სემინარიელებზედ და მთლად საქართველოზედ, რომ ულირსი რექტორი[280] შემოეკლა ყოვლად წყნარს, ყველაზე მშრომელს, ჩვენს საყვარელ სოსოს (ლაღიაშვილს)...[525]

სოსო ლაღიაშვილი უმაგალითო მშრომელი იყო და აი, სწორედ ამ შრომისმოყვარეობამ მოგვაშორა ისე ადრე ჩვენი სოსო.

სემინარიის მესამე კლასის მონაფეებმა,— რასაკვირველია, ზოგიერთებმა, — განვიზრახეთ ხელთნაწერი ჟურნალის გამოცემა...[538] ეს უფრო ჟურნალ-გაზეთი იყო... ამის გამომჟღავნება შეუძლებელი იყო, რადგანაც ქართული იყო. ქართული ენა კი მაშინ, გარდა სახარება-სამოციქულოსი, ყველა აკრძალული გვქონდა. ზემოაღნიშნული წიგნებიც მხოლოდ ხუცური ასოებით ნაბეჭდი შეიძლებოდა გვქონოდა.

სასტიკად გვადევნებდნენ თვალ-ყურს, ქართულ გაზეთსაც კი იშვიათად, მალვით ვკითხულობდით. ერთი რედაქტორთაგანი სოსოც იყო... მასალების განხილვის და დალაგების შემდეგ ისევ სოსო ებმოდა. ის ასრულებდა ბეჭდვის მაგივრობას... ერთ რვეულში.

არ მახსოვს მერამდენე ნომერი იყო, როდესაც ის უკვე დამზადებულს ათვალიერებდა, რომ უეცრად თავს წაადგა კლასის ინსპექტორი... სოსომ ვერ მოასწრო დამალვა. ინსპექტორმა სიხარულით წაგლიჯა ხელიდან და წაიღო.

მეც ამავე დროს რობერტ ოვენის[539] წიგნი წამართვა. ამას ვკითხულობდი იმ დროს მალვით... ორივენი გაფითრებულები დავრჩით და ერთმანეთს შევხედეთ. კარგა სიჩუმის შემდეგ სოსომ მითხრა: „მე შენი წიგნის შესახებ არა ვიცი რა, და შენ კიდევ ჟურნალისა"... მაშასადამე, პასუხისგება გავინაწილეთ... სასტიკად სდევნიდნენ სოციალისტურ წიგნებს, რა ენაზედაც უნდა ყოფილიყო. წიგნი ფარულ წიგნთსაცავიდან მქონდა გამოტანილი.

სოსო დიდ გაჭირვებაში იყო, თუ თანამშრომლები როგორ დაეხსნა. და მეც ასეთსავე გაჭირვებაში ვიყავი ჩავარდნილი, თუ ფარული სამკითხველო და შემნახველი ნრე როგორ უნდა დამეფარა...

რაკი ასეთი გადანყვეტილება მივიღეთ, მაშინვე ვურჩიე სოსოს — ხელთნაწერები თუ ვისიმე მოპოვებოდა, უკანვე დაებრუნებინა ან ეხლავე დაეხია. ვარჩიეთ დახევა...

ერთ გარემოებას მივაქციეთ ყურადღება, რომ ინსპექტორი ისე უდროოდ თავს წამოგვადგა... მაგრამ ამის გამოკვლევის დრო აღარ გვქონდა, თუ რად?... დაგვასმინა ვინმემ, თუ ეს შემთხვევითი იყო... იმ დროთი ჩვენ დიდი ხანია ვსარგებლობდით... ეს იყო ძალიან ადრიანად, როცა მოსამსახურეები ლამფებს ანთებდნენ და კლასებს ასუფთავებდნენ... მაშინ ჩვენ საწოლ ოთახიდან ჩუმად ჩამოვდიოდით და ამ შუქით ვსარგებლობდით. ხანდისხან ჩვენვე ავანთებდით ლამფებს და შემდეგ მოდიოდნენ მოსამსახურეები დასაგველად. ღუმელებსაც ანთებდნენ ამ დროს...

როცა კი ზარი დაირეკებოდა გასაღვიძებლათ და ზედამხედველები და ინსპექტორიც გამოვიდოდნენ თავიანთ ბინებიდან, ჩვენ ისევ საწოლ ოთახში ჩუმად ავდიოდით და სხვებთან ერთად მივდიოდით სალოცავ ოთახში...

მე უკვე მაშინვე პასუხი მოვამზადე ოვენის შესახებ. მარტო ვას. ბარნოვის[540] თანხმობა მინდოდა, რომ იმასაც ჩემი ჩვენების თანახმად ეთქვა.

ვას. ბარნოვი მაშინ აღმზრდელად იყო. იმას მონაფეთა წიგნთსაცავი ებარა. წიგნთსაცავი ჯერ მოუწყობელი იყო და იმის თხოვნით ვშველოდი წიგნების დალაგებაში და დაყოფაში. იქ ჯერ კიდევ ბევრი აუნუსხავი წიგნები იყო და აი, ჩემი პასუხი ამ აუნუსხავ წიგნებზედ ავაშენე. გასაღები რაკი მე მქონდა ხოლმე ხშირად, ამისთვის ვითომდა გასასინჯად და გასარჩევად გამოვიტანე იქ, რომ თუ გამოსადეგი იქნებოდა, კატალოგში ჩაგვეწერა. მერე უყდოც იყო და გაუსინჯავი წიგნები კი სულ უყდოები ეგროვა შკაფების თავებზე... შემთხვევით რომ მე ვას. ბარნოვის დამხმარედ არ გავეწვიე, მაშინ ჩემი საქმე წასული იქნებოდა. ვას.ბარნოვმა ცოტა წარბების ჭმუხვნის შემდეგ აღმითქვა...

ჩემი საქმე გამოკეთდა, მაგრამ სოსოს საქმე კი...

სოსო გამორიცხეს სემინარიიდან ყოფაქცევაში ცუდი ნიშნით...

ბევრჯერ მიჰმართა თხოვნით ჩუდეცკის (რექტორი იყო), მაგრამ ის ეგზარხოსზე უთითებდა, ეგზარხოსი კი რექტორზე... ჩუდეცკი ცოლიანი იყო. როცა ის დანიშნეს, სემინარიელებს გაგვიხარდა: გვეგონა, ბერი არ არის და ამისთვის უფრო კეთილი იქნებაო. მაგრამ სულ სხვა გამოდგა.

რექტორის ცოლი[534] ახალგაზრდა, ლამაზი იყო... თურმე ამავე დროს ეგზარხოსის ცოლიც იყო... როცა ქუჩაში ხმაურობა მისწყდებოდა, ეგზარხოსის კარეტა მოადგებოდა ჩუდეცკის ბინას და ამასაც თავისი ლამაზი ცოლი უნდა ჩაესვა და ეახლებინა ეგზარხოსისათვის...

თუ რა ხდებოდა იმის გულში, ამის ამოცნობა მკითხველისათვის მიგვინდია. შვილებიც არ ჰყავდათ... ყოველივე ამის შემდეგ სემინარიელები ხდებოდნენ მსხვერპლად... ის თავის გულის ვარამს ჩვენს ზურგზედ იქარვებდა...

ბერი რექტორი მოგვენატრა...

სოსოც დასტანჯა რექტორმა. ჯვარს აცვა და აი, შედეგიც...

იმავე გაზაფხულზედ სოსომ ხანჯლით გამოფაშვა რექტორი ჩვენს თვალწინ... ამას ეგზარქოსის წყევლა-კრულვა მოჰყვა. დიმიტრიმ ხმამაღლა დაჰგმო ეგზარხოსი. ეგზარხოსი გადაიყვანეს, მაგრამ ყიფიანსაც ბოლო მოუღეს. სემინარია ხომ სულ გაამეოთხედეს...

ვალერიან გუნია [527]

დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვა
(მოგონებანი 35 წლის თავზე)

1887 წლის შემოდგომაა, ოქტომბრის 28, ოთხშაბათი.

ჯერ შუადღე არ იქნებოდა, რომ თბილისს ელვასავით სწრაფად მოედო შემზარავი ამბავი:[541] სტავროპოლში ვერაგულად მოჰკლეს მხცოვანი და დიდებული დიმიტრი ყიფიანი.

ეს საზარელი ამბავი მით უფრო შემაძრწუნებელი იყო, რომ საზოგადოება დღითი-დღე ელოდა დიმიტრის განთავისუფლებას იმ დაუმსახურებელი სასჯელისაგან, რომელიც მას თავს დაატყდა შავრაზმელი და წარყვნილი ეგზარხოსი პავლესაგან[283] და არანაკლებ გათახსირებული დონდუკოვ-კორსაკოვისაგან.[264]

ამ ორ ავსულთა ინტრიგას და შურისძიებას ხელს უწყობდა მესამე დაუძინებელი მტერი დიმიტრისა — სწავლა-განათლების მზრუნველი კირილე იანოვსკი.[542]

საზოგადოდ იმ ხანებში რეაქცია დაუსჯელად ნავარდობდა რუსეთში, ხოლო საქართველოში ზემოდ დასახელებული სამთა კავშირი მათის დამქაშებით ყოველგვარ წრეს გადადიოდა თავისი აღვირწახსნილობით. საქართველოში ყველაფერი შეხუთული და შელახული იყო. ახლად გამოცხადდა ქართველების ჯარში გაყვანა და ცივ რუსეთში წარგზავნა; შეირყვნა სკოლა, შეირყვნა ეკლესია;

სამეგრელოში და აფხაზეთში შემოიღეს ჩიქორთული ენა, სლავიანური ნირვა-ლოცვა...

საზოგადოება დაიბნა. საზოგადოებრივი აზრი და ნებისყოფა შიშმა მოიცვა. მორალური დაქსაქსვა და განი-მანიობა აშკარად გამოიხატებოდა მაშინდელ ბანკობიაში[523] — უაზრო და უიდეო ბრძოლაში. ყოველ ფრონტზე გარუსებისა და გადაგვარების დროშა ფრიალებს... კიდევ ცოტა და უკუმეთი მოიცავდა საქართველოს.

მაგრამ იმ დროსაც კი არ ყოფილა მაგალითი, რომ თავადაზნაურობის წარმომადგენელს ისე უკიდურესად მოპყრობოდნენ, როგორც დიმიტრი ყიფიანს. მეფური რეჟიმი ყოველთვის ნყალობდა „სახელოვანსა და ერთგულ თავადაზნაურობას", რადგან ეს წოდება იგულისხმებოდა როგორც დედაბოძი, როგორც მკვიდრი ყავარჯენი „ცარიზმისა", და აკი მარადის უხვ წყალობითა და პრივილეგიებით აჯილდოვებდნენ მას; ხოლო დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი, — ყოფილი დიდი ნაცადი, ერთგული მოხელე, ქუთაისის თავადაზნაურობის მარშალი,[262] — არათუ სამსახურიდან გადააყენეს, სამშობლოდანაც კი გააძევეს — სტავროპოლში გადაასახლეს![265]

მიზეზი? მიზეზი იყო ეროვნული დროშა, რომლის ბაირალტრად იყო დიმ.ყიფიანი, ხოლო საბაბად — დიმიტრის ნერილი ეგზარხოს პავლესადმი. მაგრამ, სანამ ამ ნერილის შინაარს გავიგებდეთ, საჭიროა გავიხსენოთ ამ ნერილის წინედ მომხდარი ამბავი.

1886 ნლის მაისის დამლევს სემინარიის უფროსი კლასის მოწაფემ, განუკითხავი უსამართლობით გამწარებულმა იოსებ ლაღიაშვილმა ანუ ლაღიძემ[525] მოჰკლა სემინარიის რექტორი ჩუდეცკი[280] და მერე, როგორც იყო, სამშვიდობოს მიაშურა თავი.[544] ეს იყო პირველი პოლიტიკური ტერორი საქართველოში;[546] ეგ იყო პირველი მსხვერპლი, რომელიც ტანჯულმა მოსთხოვა მტანჯველს; ეს იყო ანგარიში, რომელიც მოსთხოვა უსამართლობას ფეხით გათელილმა სამართლიანობამ. გულზვიადმა და გულხინჯიანმა პავლე ეგზარხოსმა ჩუდეცკის ნესის აგების დროს დასნყევლა ის ერი და ქვეყანა, რომელმაც წარმოშობა მკელელიო...[286] ეს იყო უდიდესი ქამობა და ამ ქამობამ ააღელვა და აღაშფოთა მთელი ქართველობა. მაგრამ ვინ იყო ხმის ამომღები? შეურაცხმყოფელის პასუხის გამცემი?

ირგვლივ ხომ უკუმეთი იყო. მაგრამ მაინც ხმის ამომღები და პასუხის გამცემი აღმოჩნდა. ეს იყო დიმიტრი ყიფიანი, რომელმაც ცნობილი ნერილი მისნერა და პასუხი მოსთხოვა ეგზარხოს პავლეს.

ამ ნერილისათვის დასაჯეს დიდებული დიმიტრი და 73 ნლის მოხუცი გააძევეს სამშობლოდან.[526]

ჯერ ისევ 1887 ნლის ზაფხულში საზოგადოებაში ხმა იყო, რომ პეტერბურგის მაღალ სფეროში დიმიტრის სიმართლემ გაიმარ-

ჯვაო და ორთავე მის მტრებს გადააყენებენო. ამ ხმას საფუძველი მიეცა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დიმიტრის მოხუცმა მეუღლემ, ნინა იაგორ ჭილაძის ასულმა[76], პირადად თხოვნა მიართვა ხაშურში დიდ მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს,[191] ყოფილ „ნამესტნიკს", რომელიც საზაფხულოდ ჩამოვიდა „თავის" ბორჯომში. მიხეილი შეპირდა დახმარებას და მაღალ ნრეში დიმიტრის საქმის ხელახლა გადასინჯვას.[546]

ქართველობა გულის ფანცქალით მოელოდა თავის მხცოვან მოსარჩლეს, რომელსაც ახალგაზრდობა „დიმიტრი თავდადებულს" უნოდებდა მისი რაინდული გამოსვლისათვის და ვაჟკაცური გაბედულობისათვის. ჩვენი ხალხის აშკარა მტრების დამარცხებას ყველა მოუთმენლად მოელოდა და ემზადებოდა დიმიტრის დახვედრას დიდის დემონსტრატიულის ზეიმით. მაგრამ ბნელეთის ძალებმა საზოგადოების სიხარულის მოლოდინი სიმწარისა და სასონარკვეთილების შხამად შესცვალეს.

დიმიტრი ყიფიანი მოჰკლეს სტავროპოლში, შაბათს, 24 ოქტომბერს, ღამით. თვალების ასახვევად წაეღოთ შვიდიოდე თუმანი ფულად და ოქროს საათი ძეწკვით.

საზოგადოებრივი სინდისი ერთხმად ამტყუნებდა დიმიტრის მკვლელობაში ზემოხსენებულ ტრიუმვირატს. ეგზარხოსი პავლე უკვე გადაყენებული იყო და მის მაგიერ დანიშნეს პალლადი,[547] ხოლო იანოვსკი და დონდუკოვი კიდევ ფარფაშობდნენ საქართველოში ერთ წელიწადზე მეტს.[548]

იმ დროს მე 24-25 წლის ვიქნებოდი. საზოგადოება ცოტათი მიცნობდა თეატრიდან და ჩემი ნაწერებიდან. ვმსახურობდი სათავადაზნაურო ბანკში. კარგად მახსოვს — ვასო აბაშიძის[549] რეჟისორობით თეატრის პაწია ოთახში „გაყრის" რეპეტიციას გავდიოდით, რომლითაც სეზონი უნდა გაგვეხსნა ახლად გადაკეთებულ თეატრში.[550] მთელს თეატრში გაცხარებული მუშაობა იყო. ძველი არნრუნისეული შენობა[551] სრულიად გადაკეთებული უნდა ყოფილიყო. მიუხედავად იმისა, რომ თეატრი მზად უნდა ყოფილიყო პირველი ნოემბრისათვის, სამუშაო ჯერ კიდევ ბევრი იყო და ამიტომ მუშაობა წარმოებდა სრული დღე და ღამე. მუშაობას მეთვალყურეობდა ბანკის დირექტორი ვანო მაჩაბელი.[443] მას ვეხმარებოდით მე და ლადო აღნიაშვილი.[552]

სწორედ ასეთი გაცხარებული მუშაობა სდუღდა, როცა დილის ათ საათზედ გავრცელდა თავზარდამცემი ამბავი დიმიტრი ყიფიანის მოკვლისა. ეს გვაცნობა შიო დავითაშვილმა.[553] ვანო მაჩაბელი — გაფითრებული და ხელებაკანკალებული — წამდაუწუმ ნერვიულად გაიძახოდა: „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!". ნიკა დიასამიძე[554] — გარინდული და თვალებდაჭყეტილი – ხმას ვერ იღებდა. ლადო აღნიაშვილი ატირდა. ბოლოს ვანო მაჩაბელი ბანკისაკენ გა-

ექანა, რომელიც იქვე იყო, ბაღის თავში. ჩვენც გავყევით. ილია[132] ჯერ ბანკში არ მოსულიყო და ამიტომ ვანომ მაშინვე კაცი აფრინა ილიასთან, რომელიც ბანკის გვერდზე იდგა ფრეილინის ქუჩაზე,[555] სადაც მისი გაზეთ „ივერიას"[556] რედაქცია იყო მოთავსებული. მალე მოვიდა თვითონ ილიაც. იმას უკვე სცოდნია ჩვენი უბედურება – რედაქციაში დეპეშა მოსულიყო.

ილია პირმოკუმული და წარბშეკრულია. ხმას არავინ იღებს. ვანოს ნერვიული ქვითინი აუვარდა... ილიას ჯერ ტუჩმა დაუწყო თრთოლვა და მერე მის გაწითლებულ თვალთაგან ორი მსხვილი ცრემლი გადმოიწურა და ლამაზ ულვაშებზე დაენთხია... მე არასდროს არ მენახა ასეთი ჩუმი, მუნჯი და იმავე დროს უმაღლესად მეტყველი მნუხარება.

დაუყოვნებლივ მისწერეს სტავროპოლში შეკითხვის დეპეშა ტარსაიძეს, კარგად არ მახსოვს, ნიკოლოზს[301] თუ მამამის ალექსანდრეს.[300] მეორე დღეს ბანკში უკვე ბევრი რამ ვიცოდით სტავროპოლის ტრაგედიიდან...

ხალხის აღშფოთებას, მის აფორიაქებულ მღელვარებას საზღვარი არა ჰქონდა. მთელი საქართველო სდუღდა სამართლიანის გულისწყრომით; ყველა აღვსილი იყო მართებულის შურისძიებით... ნიმუშად მოვიყვან ერთ ლექსს, რომელიც ეკუთვნის ფრიად სათნო და ლმობიერ ადამიანს – აწ განსვენებულ ქეთევან ჟურულისას[557](გიორგი ჟურულის[558] დედას), რომელიც დაწერილია დიმიტრის ჩამოსვენების დღეს და რომელიც დღემდე არსად არ დაბეჭდილა. ხელნაწერი მე შემთხვევით აღმოვაჩინე ჩემს ქაღალდებში:

დიმიტრი ყიფიანის სურათს

ოდეს ვუყურებ შენს ღვთიურს სახეს,
მინდა, რომ მარად გეამბორებდე,
დიდებით მოსილ ჭაღარა თმაზე
ვით ვარდის კონა, გეკონებოდე.
მაგ ბრძენ შუბლზედა და მაგ წყლულზედა
ნეტავი წამლად გენაყებოდე,
იმ შენი მკვლელთა სისხლის შადრევანს
როგორც ცივ წყაროს, ვენაფებოდე!...[559]

ამას თუ წერს ყოვლად სათნო ადამიანი, დარბაისელი მანდილოსანი და შვილების პატრონი, ადვილი წარმოსადგენია, რას განიცდიდნენ სხვები, უფრო თავშეუკავებელნი და ტემპერამენტიანი პიროვნებანი.

იმავე დროს ბანკის გამგეობამ გადასწყვიტა დიმიტრის ოჯახისათვის სამძიმარის გამოსაცხადებლად დეპუტატი გაეგზავნა და

თან გაეგო, როდის, სად და როდის აპირებს სახლობა ძვირფასი მიცვალებულის დაკრძალვას. დასაფლავების ყოველივე ხარჯს ბანკი კისრულობდა. ბანკის გამგეობამ მე დამავალა ქვიშხეთს წასვლა და შესაფერი ქაღალდებიც გამატანა დიმიტრის სახლობისთვის გადასაცემად.

მეორე დღეს, 29 ოქტომბერს, დილაადრიან რკინის გზით გავემგზავრე ხაშურში და იქიდან – ქვიშხეთში. გომიდან[560] უკვე თოვლს დაედო, ხოლო ხაშურსა და სურამში კარგად დაეთოვა, თუმცა საამისოდ არ სციოდა. ხაშურში დავიქირავე ცხენი გამძღოლითურთ და ნაშუადღევს 4 საათზედ ქვიშხეთში ვიყავი.

მანამდე იმ მხარეს არასდროს არ ვყოფილვარ. ჩემი გამძღოლი გლეხკაცი სურამელი აღმოჩნდა. ეტყობოდა, კარგად იცნობდა ბორჯომის ხეობას და იქაურ მემამულეებს: კარგად სცნობია დიმიტრი ყიფიანის ოჯახის ყველა წევრი; ამიხსნა, თუ სად იყო დიმიტრის სახლ-კარი და სხვა. დიმიტრის ვერაგული მოკვლა გულს ლახვრად მოხვედროდა. მიამბო, რომ კოტე[440] და მიშა ყიფიანი გუშინწინ გაემგზავრნენ კავკავისკენაო.[561]

ეზოში რომ შევედი, მსახური მომეგება და ქვემო სართულის ოთახში შემიყვანა, სადაც ბუხარი ენთო. ეტყობოდა, რომ ზემო სართულიდან დაუნახივართ. ცოტა ხნის შემდეგ გამოვიდა კოტეს მეუღლე – ნინა ბეჟან ტატიშვილის ქალი[434], რომელსაც თბილისიდან ვიცნობდი. არ გასულა რამოდენიმე წამი და ოთახში შემოვიდა ლოლა ლორთქიფანიძისა[247] – დიმიტრის უმცროსი და საყვარელი ასული, რომელთანაც ადრე გაცნობილი ვიყავი და ჩემი ვინაობაც იცოდა. მივესალმე და სამძიმრის მაგიერ რაღაც წავილუღლუღე. მიმიხვდა, ცრემლები მოერია და დასუსტებული იქვე ჩამოჯდა ბუხართან ბუტბუტით: „ჩემი კეთილი... მამა!... რისთვის შეშურდა იმისი მილეული სიცოცხლე?!". ატირდა ნინაც... ვერც მე შევიმაგრე ცრემლები. ცოტა ხნის შემდეგ გამოვიდა უფროსი, ჭაღარაშერეული ვაჟი დიმიტრისა – ნიკოლოზი.[1] ეტყობოდათ, რომ სადილზე მსხდარან. მე გამომემცნაურა და რაც ბანკისაგან დავალებული მქონდა, გადავეცი.

„მადლობა მოახსენეთ ილიას და მის ამხანაგებს დიმიტრის ოჯახისაგან. ჯერხანად ჩვენც არაფერი ვიცით: კოტე – ჩემი ძმა და მიშა ყიფიანი გაემგზავრნენ ჩრდილო-კავკასიაში და უეჭველად გვაცნობებენ ყველაფერს. თუ ნება დაგვრთეს, დიმიტრის ცხედარს უსიკვდილოდ ჩამოვასვენებთ. დაკრძალვა, — რაკი საზოგადოება მოითხოვს, — თბილისში იყოს, მამადავითის მთაზე. დიმიტრი დიდი ბუნების კაცი იყო... მთა იყო... ჩვენ, შვილები და ახლობლები, დიმიტრის უკეთ ვიცნობდით, ვიდრე გარეშენი... უკაცრავად, თქვენ, უეჭველია, მშიერი იქნებით. ამობრძანდით ზევით, დედასაც ინახულებთ და დანაყრდებით კიდეც. მობრძანდით!" – და გამიძ-

ღვა წინ. ლოლამ გამაფრთხილა: დედას ბევრს ნუ ესაუბრებით – ძლიერ ღელავსო. ავედით ყველანი ზევით, სასტუმრო ოთახში. სადგომი მდიდრულად და ევროპულად იყო მოწყობილი: მშვენიერი სურათები, ხალიჩები, ძვირფასი ავეჯი და სხვა.

დიმიტრის ქვრივმა[75] სამუშაო ოთახში მიმიღო. მივესალმე ხელზე კოცნით. რუსულად გამომელაპარაკა: "Мой божественный Димитрий убит... Отблагодарили на старости за долгую службу и правду... Я так долго ждала, ждала... Мой божественный Димитрий!..." – დაიწყო ქვითინი. ცოლი ქმარს თურმე ყოველთვის „ბოჟესტვენნის" უწოდებდა. შვილები შემოეხვივნენ მოხუცებულს, წელში მოხრილს დედას და ალერსითა და ტირილით ამშვიდებდნენ... ვერ გავუძელი მწუხარების სურათს. ისედაც ნერვებდაწყვეტილს ბოლმა მომაწვა და ქვითინით გავვარდი მეორე ოთახში, სადაც სასადილო ოთახი ყოფილიყო. აქ უკვე ალაგებულ სუფრას ეჯდა ლოლას ქმარი – ანტონ ლორთქიფანიძე[441], რომელმაც ძლივს დამამშვიდა, წყალი დამალევინა, გვერდზე მომისვა და მკითხა: რას მიირთმევო. მე უარი ვუთხარი – პირში ლუკმა არ ჩამივა-მეთქი. აქაც ისეთივე მდიდრული მორთულობა და მოწყობილობა იყო, როგორც დანარჩენ ოთახში.

ანტონს კარგად ვიცნობდი, როგორც ნიჭიერ მსახიობს – სცენისმოყვარეს. არ დამავიწყდება იმისი „გოროდნიჩი" გოგოლის[562] „რევიზორში". საზოგადოდ დიმიტრი და ოჯახის წევრები ყველა ემსახურებოდნენ ქართულ თეატრს და მწერლობას. კარგა ხანს ვისაუბრეთ. ძლიერ მესიამოვნა, როცა პატარა მაგიდაზე დავინახე ჩემი პირველი გამოცემა – იმ წლის „საქართველოს კალენდარი"[563]. ანტონმა მითხრა: თვითონ ჩამოვალ ქალაქში, როცა დაწვრილებით ცნობებს მივიღებთ სტავროპოლიდან და მაშინ გამოვარკვიოთ დაწვრილებით დასაფლავების წესრიგიო. მე დიდის ხვეწნით ვსთხოვე, თუ შეიძლება ისე გავესტუმრე, რომ არავინ დამინახოს და ჩემს მაგიერ ყველასთან მოიბოდიშე, რომ გამოუთხოვრად მივდივარ-მეთქი. ანტონი მიმიხვდა, რომ მეტად მძიმე იყო ჩემთვის ხელმეორედ ნახვა გამწარებულის ქვრივისა და, მართლაც, შეუმჩნევლად გაგვისტუმრა მე და ჩემი თანამგზავრი, რომლისთვისაც პური უჭმევიათ.

ღამის მატარებლით უკან გავემგზავრე თბილისში, სადაც დილის 10 საათზედ ვიყავი და სადგურიდან პირდაპირ ბანკში აველი, სადაც მოვახსენე გამგეობას, რაც ვნახე და გავიგონე. ილია და ვანო ძლიერ კმაყოფილნი დარჩნენ ჩემი „სისწრაფით" და საღამოსათვის მიმიწვიეს ბანკშივე კერძო კრებაზე, რომელზედაც მოწვეული უნდა ყოფილიყვნენ სხვადასხვა დაწესებულებათა წარმომადგენლები.

ამ კრებას უნდა შეემუშავებინა დიმიტრის დაკრძალვის წესრიგი და მოსალოდნელ დაბრკოლებათა გათვალისწინება. კრებას დიდძალი ხალხი დაესწრო. იყვნენ სრულებით გარეშენი: სომხები, თათრები და რუსებიც კი. ყველა მზად იყო საქმისათვის – ოღონდ დაგვავალეთ რამეო.

პირველი პანაშვიდი გამოაცხადა დავით ყიფიანმა,[195] დიმიტრის ძმისწულმა, რომელიც ნოტარიუსად იყო. ამ პანაშვიდს შეუერთდა თავადაზნაურობის მარშალის მუხრანბატონის[179] განცხადებაც. პანაშვიდი დანიშნული იყო ქვაშუეთის (წმ.გიორგის) ეკლესიაში 1 ნოემბერს[564], რომელსაც აუარებელი ხალხი დაესწრო: ეკლესია, მისი გალავანი და ახლო-მახლო ქუჩები ხალხით იყო გაჭედილი; პანაშვიდს დაესწრნენ ყველა დაწესებულებათა და საზოგადოებათა წარმომადგენელნი; იყვნენ მთავრობის წარმომადგენელნიც: ახლად დანიშნული გუბერნატორი ზისერმანი[565] და სხვებიც.

ეტყობა, ამ პანაშვიდმა ცუდ გუნებაზე დააყენა მთავარმართებელი და მეორე პანაშვიდი, რომელიც ქალაქის მოურავმა[257] და თვითმმართველობამ გამოაცხადა პირველ გიმნაზიაში[375], მთავრობის განკარგულებით მოხსნილ იქნა, იმისდა მიუხედავად, რომ დიმიტრი ყიფიანი ოდესღაც ამ გიმნაზიის მონაფე იყო, რაც ეს გიმნაზია კეთილშობილთა სასწავლებლის სახელს ატარებდა, და ამის გარდა, დიმიტრი მრავალ წელთა განმავლობაში ამ გიმნაზიის საპატიო მზრუნველად ითვლებოდა.[376] პანაშვიდი იძულებით კალოუბნის ეკლესიაში[566] გადაატანინეს. ამ პანაშვიდსაც აუარებელი ხალხი დაესწრო, თუმცა საძაგელი ამინდი იყო – ტალახი და წვიმა.

ხალხი, — დიდი თუ პატარა, — აშკარად გრძნობდა, რომ დიმიტრი ყიფიანის სახელთან რაღაც არაჩვეულებრივი ხდება და თანდათან თვალი ეხილებოდა მთავრობის ვერაგობაზე. ცენზურა მძვინვარებდა – გაზეთებში არაფერს აწერინებდნენ. ერთადერთი მძლავრი გოდება ილიასი იყო „ივერიაში".[567]

4 თუ 5 ნოემბერს ძლივს მოვიდა დეპეშა კოტე და მიშა ყიფიანთაგან, რომ ცხედარს მოვასვენებთ და გზადაგზა პანაშვიდს ვიხდითო – კავკავში[568], ყაზბეგში, დუშეთში და მცხეთაში[569]. ცხედარი უნდა ჩამოესვენებინათ შაბათს დილით, 7 ნოებერს, რკინის გზით და სადგურიდან პირდაპირ ქვაშუეთის ეკლესიაში[570]; მაგრამ საქმეში ჩაერია ჟანდარმერია და მცხეთაში შეაჩერეს.[571] ხალხი, რომელიც შეიკრიბა ცხედრის შესახვედრად, გულმოკლული და აღშფოთებული დრტვინვით დაიშალა.

ჩვენ შევუდექით მზადებას. შევუკვეთეთ დიდი საკაცე, რომელიც ოცდაათ კაცს შეეძლო ხელთჭერა. დაკრძალვის კომიტეტიდან სამი კაცი აირჩიეს: ნიკა დიასამიძე, სანდრო ყაზბეგი[572] და მე. ამ სამ კაცს უნდა მოგვეწყო პროცესიის დროს წესრიგიანობა და სხვა. ორმა წინა პანაშვიდმა დაგვანახა, რომ დაკრძალვის დროს

დიდძალი ხალხი იქნებოდა. ჩვენს დასახმარებლად მოვიწვიეთ სოსიკო მერკვილაძე[573], ანდრია ღულაძე[574], ალექსი ნებიერიძე[575], გრიგოლ ჩარკვიანი[576] და სხვ. გრიგოლ ჩარკვიანმა ამით ისარგებლა და მთხოვა დიმიტრიზე რამე დამეწერა და ის პატარა ბროშურად გამოსცემდა. მე დავეთანხმე: პარასკევს ღამე გავათენე – დავწერე. შაბათს გრიგოლ ჩარკვიანმა თავის სტამბაში ააწყო და დაბეჭდა და კვირას უკვე იყიდებოდა 16 გვერდიანი ბროშურა[577]. სამწუხაროთ, ეს ბროშურა ჩემს წიგნებში არ აღმოჩნდა, თუმცა ძლიერ მინდოდა ამ მოგონებათა წერის დროს შიგ ჩამეხედნა.

კვირას დილაადრიანად დაიწყო ხალხმა ვერისაკენ დენა. დიდი და პატარა, ქალი და კაცი, მოხუცი და ახალგაზრდა, ყველა მიეშურებოდა ვერისაკენ, რომ შეხვედროდნენ ძვირფას ცხედარს - „დიმიტრი თავდადებულს". ამოძრავდა, რა თქმა უნდა, პოლიცია და ჟანდარმერია; აქა-იქ ყაზახების ჯგუფი გამოჩნდა... ალექსანდრე ნებიერიძემ ცხენი მოაქროლა და შეგვატყობინა, რომ ცხედარი უკვე საბურთალოზეა; იქ მივეგებოთ თუ აქ დავუცადოთო. ჩვენ ვუთხარით: ვერის ხიდს[578] გაღმა შევეგებოთ-თქო. ნებიერიძემ უკან გააქროლა ცხენი, და ათი წუთის შემდეგ გამოჩნდა ბალდახინით დიმიტრის ცხედარი. უკან მოყვებოდნენ კოტე[440] და მიშა.[204] გადავეხვივენით ერთმანეთს და მაგრად ჩამოვართვი ორივეს ხელი. არც ერთი სიტყვა, არც ერთი ცრემლი!

სამღვდელოება შეიმოსა. კვირა დღე იყო და ჯერ ნირვა არსად არ იყო გათავებული. ამავე დღეს დიდი მთავრის ნიკოლოზ მიხეილის ძის[579] სახელწოდებაც იყო და ტრადიციით ყველგან პარაკლისს იხდიდნენ. ცოტა შესვენების შემდეგ ცინკში ჩაჭედილი კუბო გადმოვიღეთ და საკაცეზედ დავდეთ. ხალხი მყისვე შეება საკაცეს და ერთმანეთს გლეჯდნენ ხელიდან. ძლივს აღვადგინეთ წესრიგი. ნელა დაიძრა პროცესია. ვერის მაღლობზე, ჯვართან,[580] ჭირისუფლები გვიცდიდნენ. დიმიტრის ქვრივი და ქალი ეტლში ჩავსვით, თუმცა ძლიერ უარობდნენ. აქედან პროცესიამ უკვე მწყობრი ხასიათი მიიღო. ოლღასა[581] და წყნეთის ქუჩათა[582] შესახვედრში ცოტა ხნით შევჩერდით, რადგან ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოსს[528] ის იყო სიონში[583] გაეთავებინა წირვა და ეხლა ვერის პატარა ეკლესიაში[584] იმოსებოდა. დიდძალი გვირგვინები იყო და მე თითო გვირგვინს ორ-ორი კაცი მივუჩინე და ისე გავამწკრივე სამღვდელოების წინ ეპისკოპოსის მოსვლამდე. მაგრამ პოლიცია და ჟანდარმერია ჩაგვერია და გამოაცხადეს, რომ გვირგვინების ხელით წაღების ნებას არ მოგცემთო. არავითარი თხოვნა და მუდარა არ გავიდა და ამიტომ იძულებული ვიყავი, უფრო ბევრი ნილი ბალდახინში ჩამეწყო და ზოგი კი საკაცეზე გამემართნა. ამ გვირგვინების წარწერების დაბეჭდვის ნება არც ერთს გაზეთს არ მისცეს. მე კი მაინც ჩემთვის გადავიწერე და დღემდე შენახულა ჩემს ქაღალ-

დებში. გვირგვინების რიცხვი 30-ს აღემატებოდა: 1. შავი ლენტი ქალაქის გამგეობისაგან; 2. ქართველ ქალთაგან - „წუთისოფლის მძიმე უღელს შენებრ მტკიცედ ვინ გაგვინევს";[585] 3. ქუთაისის თავად-აზნაურობისაგან; 4. დაუვინყარ დ. ყიფიანს თელავის მაზრის თავად-აზნაურობისაგან - „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა";[586] 5. პირველ თავის თავმჯდომარეს წერა-კითხვის საზოგადოებისაგან; 6. სათავად-აზნაურო ბანკისაგან; 7. თფილისის თავად-აზნაურობისაგან; 8. „ივერიის" რედაქციისაგან - „მართალთანა განუსვენე"; 9. მოსკოვის სტუდენტობისაგან - „სიმართლე შენი არ დავფარე გულსა შინა, ჩემო უფალო"; 10. ქართველ მოვაჭრეთაგან - „თქვენთა სახელთა ამაყად წარმოსთქვამს შთამომავლობა, თქვენთა საქმეთა მოთხრობით მოხუცს ცრემლ მოედინება";[587] 11. ქუთაისის ახალგაზრდობისაგან - „შავთა დროთ ვერა შესცვალეს მის გული ანდამატისა...";[588] 12. ქართველ ასოთ-ამწყობთაგან - „ცუდათ ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განნირული სულის კვეთება";[589] 13. გორის თავად-აზნაურობისაგან - „მოყვასთათვის თავდადება, ქრისტე ღმერთის ანდერძია";[590] 14. სათავად-აზნაურო სასწავლებლისაგან - „ტანჯვა არს ვალი და მსხვერპლი უზომო სიყვარულისა";[591] 15. ქართველ ქალთაგან - „მსხვერპლო ბნელისა მტერობის, შეუბრალებლად ჯვარცმულო, შეირყა შენი სამშობლო, რა შთახვედ საფლავს ლომგულო"; [592] 16. „ის მოკვდა, მაგრამ არ არის მკვდარი, მას მოიგონებს შთამომავლობა";[593] 17. „არ არის მკვდარი, ვინც მოკვდეს და ხალხს შესწიროს დღენია"[594] და ბევრი ამისთანა საგულისხმიერო წარწერები.

პროცესიას წინ მიუძღოდა სამი გუნდი მგალობელთა; სათავეში - ლადო აღნიაშვილის ხორო[595] ქულაჯებში გამოწყობილი, რაიც დიდებულ შთაბეჭდილებას ახდენდა. „რაზგონი ფოჩტასთან"[596] პოლიცმეისტერი როსინსკი[530] მომიახლოვდა და მითხრა: „სჯობია, აი, ამ გრიბოედოვის ქუჩით[597] ახვიდეთ, აქედან უფრო ადვილი ასატანი იქნება კუბოვო". მე ზრდილობიანად დავამშვიდე და ვუპასუხე: „გმადლობთ რჩევისათვის, მაგრამ ჩვენი ხალხი ისეა გამსჭვალული სიყვარულით და პატივით ძვირფასი მიცვალებულისადმი, რომ არავითარ სიმძიმეს არ მოერიდება-მეთქი".

ჭავჭავაძის ქუჩას[532] რომ მივუახლოვდით, ჟანდარმების უფროსი, ლენერალი იანკოვსკი[598] გვერდზედ ამომიდგა და ყურში ჩამიჩურჩულა: გირჩევთ, სკანდალს თავი მოარიდოთ, პროცესია ჭავჭავაძის ქუჩით გაატაროთ, თორემ იძულებული ვიქნები, სხვა ზომები მივიღოთო; - თქვენო აღმატებულებავ! მე მხოლოდ მიცვალებულის ქვრივის სურვილს ვასრულებ და როგორც ის ინებებს, ისე მოვიქცევი-მეთქი. იანკოვსკი გაექანა ეტლისაკენ, რომელშიაც იჯდა დიმიტრის ქვრივი და მოახსენა: თქვენო აღმატებულებავ! უბრძანეთ, რომ პროცესია ჭავჭავაძის ქუჩით გაემგზავროს მამადა-

ვითზეო. ჩვენ ყველანი გარს შემოვერტყით ეტლს და ქართულად ვუთხარით ნინა იაგორის ასულს: „მაგრა დაუხვედით, არ დათანხმდეთ“. — მე ჩემს მიცვალებულს ისე ვცემ პატივს, როგორც ჩემი გრძნობა და სინიდისი მავალებსო. თქვენთვის სულ ერთი არ არის, ასე ავალთ დავითზე, თუ იმ გზით... მე კი გოლოვინის პროსპექტით[599] ვამჯობინებო.

ამ ლაპარაკის დროს ჩვენ პროცესია უკვე გავაცილეთ ჭავჭავაძის ქუჩას და დავწინაურდით. კრუზენშტერნის ქუჩასთან[600] როსინსკი და იანკოვსკი მივიდნენ ეპისკოპოს ალექსანდრესთან და ისევ ის რჩევა მისცეს - აქედან მიბრძანდით მამადავითზეო. ეპისკოპოსმა ძლიერ იუცხოვა: თქვენ, ღენერალო, თუ პოლონელი ხართ, უნდა იცოდეთ, რომ სამღვდელოებას მეტი პატივი და თავაზი შეეფერებაო. რა ჩემი საქმეა, პროცესიის ამ გზით თუ იმ გზით ტარებაო. იანკოვსკიმ მოიბოდიშა და ჩვენც გავნიეთ წინ. რა თქმა უნდა, რაც ლაპარაკი იყო პოლიციასთან და ჟანდარმერიასთან, ყოველივე ელვის სისწრაფით ხალხს ედებოდა და ყველა ღელავდა, მუშტს იკუმშავდა და იმუქრებოდა.

იანკოვსკი და როსინსკი, - მგონი, ორივე პოლონელები იყვნენ, თუმცა როსინსკი უფრო ებრაელს ჰგავდა გარეგნობით, - დაწინაურდნენ რაღაც განკარგულების მოსახდენად და, მართლაც, როცა დავიდოვის ქუჩას[601] მივუახლოვდით, გოლოვინის პროსპექტზე უკვე პოლიციელების რაზმი იდგა და ქუჩა შეეკრათ. წინ ლადო აღნიაშვილი მიდიოდა თავის ხოროთი. იგი შედგა დარაზმული პოლიციელების წინაშე. მდგომარეობა მეტად სერიოზული შეიქმნა. მე და სანდრო ყაზბეგი გავეშურეთ წინ. პოლიციელებთან იდგნენ ჩვენი ნაცნობი ბოქაულები: ლოლაძე[602] და გლებოვი.[603] მე ლოლაძეს ვუთხარი: შენ ხომ ჩვენებური ხარ, ხომ ხედავ, ხალხი როგორ აღელვებულია, წადი, ურჩიე შენს უფროსს და ღენერალ იანკოვსკის, ნუ ჩადიან ჩვენს ცოდოში, მოსალოდნელი უბედურება აგვაცდინონ და მშვიდობიანად დაგვასაფლავებინონ მიცვალებული-მეთქი.

— რა ვქნა, მე რა შემიძლიან, შენ თვითონ მიდი, ელაპარაკე და მეც დაგემოწმებიო. ნიკა დიასამიძე სულ კბილებს აკრაჭუნებდა და ხანჯალზე ედო ხელი: „რაც მოგვივა, მოგვივიდეს; ამაზე უარესი რა უნდა გვიყონო!“. პროცესია შეჩერდა - არც იქით მიდის, არც დავითის ქუჩისკენ უხვევს. გამოვიდა დარბაისელი და მოხუცებული ღენერალი კონსტ. მამაცაშვილი,[202] მომკიდა ხელი და წამიყვანა იანკოვსკისაკენ, რომელმაც მაშინათვე მომახალა: - თქვენ, ჭაბუკო, ტყვილად გვეწინააღმდეგებით, გირჩევთ, სკანდალს ნუ ახდენთ. ასე წაიყვანეთ პროცესია და ჩვენც მადლობელი დაგრჩებითო.

— თქვენო აღმატებულებავ, - მოვახსენე მე, — ჩვენ არავითარ წინააღმდეგობას არ გინევთ, პირიქით, წინააღმდეგობა პოლიციის მხრით არის, და რაც შეეხება სკანდალს, უნდა გამოგიტყდეთ, რომ სკანდალი მოხდება მაშინ და ისეთი სკანდალი, რომლის მსგავსი ჯერ არ ყოფილა რუსეთში-მეთქი, როცა ჩვენ ყველანი, - ჭირისუფლები, სამღვდელოება, ხორო და მთელი ეს მილეთი ხალხი, - აქედან გაგეცლებით და მიცვალებულს თქვენ დაგიტოვებთ; როგორც გენებოთ, ისე დამარხეთ-მეთქი. „სრული ჭეშმარიტებაა! სწორედ ასე მოვიქცევით, თუ ჩვენს სურვილზე არ გაგვიშვით" - დაადასტურა ყველამ. იანკოვსკი შედრკა, მოხსნა დარაჯები და ჩვენ ნელ-ნელა გლოვის გალობით გავწიეთ წინ - სასახლისაკენ,[529] სადაც პროცესიის მოახლოებაზე ყველა ფანჯრებზე ფარდები ჩამოეშვათ. ხალხი ზიზღით შეჰყურებდა სასახლეს და ბევრი მოურიდებლად იფურთხებოდა ბაიყუში მმართველისაკენ.

ერევნის მოედანზე[604] პროცესია შეჩერდა მცირე ლიტანიისათვის, მერე გაემართა სოლოლაკის ქუჩით[605] ლაბორატორიის (ახლა პეტრე დიდის)[606] ქუჩაზე და ასე დავითის აღმართს შევუდექით. პოლიციამ და ჟანდარმერიამ ნელ-ნელა თავი დაგვანება. მამადავითზე იმდენ ხალხს მოეყარა თავი, რომ კუბო ძლივს შევიტანეთ. დიდებული დიმიტრი თავდადებული თავის ეროვნულ დროშისათვის მთაწმინდამ საუკუნოთ მიიღო თავის წიაღში.

ხალხმა მაინც თავისი გაიტანა. მოურიდებლად გადალახა ის დაბრკოლება და ზღუდე, რომელიც გზადაგზა აღმართა გათახსირებული რეჟიმის გაწუწკებულმა მმართველმა.[607]

ნიკო ავალიშვილი[608]

დიმიტრი ყიფიანის დასაფლავების შესახებ

დიდი მეხსიერებით არის დაწერილი გაზ. „ლომისის"[609] მე-11 ნომერში ნეტარხსენებული დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვის ამბავი ვალერიან გუნიასაგან,[527] მაგრამ, სამწუხაროდ, ერთი რამეა უცნაური, რაიცა არ ვიცი, განზრახ მომხდარა, თუ იმიტომ, რომ შეუმჩნეველი დარჩენია მოამბეს. ეს უკანასკნელი უფრო მგონია და ამიტომ ამბის სისრულისათვის საჭიროდ ვრაცხ, იგი დამატებით გავიხსენო აქ; და მით უმეტეს მწადიან ეს, რომ მშვენივრად აღწერილ ამბავში დიდად საყურადღებო და დიდმნიშვნელოვანი შემთხვევა არის გამოტოვებული. ეს გამოტოვებული შემთხვევა სულ სხვა ელფერს აძლევს გოლოვინის პროსპექტზედ[599] დასაფლავების ლიტანიის თავისუფალ გავლას...

მამადავითის უკანასკნელ შესახვევამდის გოლოვინის პროსპექტზედ მიშვება უეჭველად უკანასკნელი იყო, და რომ მთავრობას თავის სურვილი გაეყვანა, აქ აუმართა ლიტანიას წინ კედლად პოლიციის საკმაოდ ძლიერი რაზმი. ნურავინ იფიქრებს, რომ რუსის გენერალი და მეტადრე ჟანდარმერიისა, რაიმე ანგარიშს გაუწევდა კერძო მოქალაქეთა თხოვნა-ვედრებას და მოსალოდნელი ხიფათის შიშით ანუ ლიტანიის მომწყობთა მუქარით, მთავარმართებლის ბრძანებას გადავიდოდა. რუსის გენერლები უფროსის ბრძანებას ასე ორჭოფად არ ეკიდებოდნენ და დუნდუკოვის[264] ბრძანებას, - სასახლის[529] წინ არ გამოატაროთ ლიტანიაო, - უეჭველად მტკიცედ შეასრულებდა იანკოვსკი,[598] რაც უნდა უბედურებაც მომხდარიყო. მაინც ლიტანიამ თავისუფლად გაიარა გოლოვინის პროსპექტზედ და აი, ეს როგორ მოხდა:

როცა რაზმი კედლად აემართა წინ ლიტანიას, მაშინ ლიტანიის გამგენი და მათ შორის ვ. გუნია ამ რაზმიდგან სამოციოდე ნაბიჯით მაინც წინ იყვნენ - მთავრობის პირთ ემუდარებოდნენ რაზმის მოხსნასა და ლიტანიის პროსპექტზედ თავისუფლად გაშვებას. ამან ლიტანია თხუთმეტ წამზედ მეტი შეაყენა. ამ ხნის განმავლობაში ლიტანიის ხალხი თანდათან მჭიდროდ გაერთიანდა; სამღვდელოება შეჯგუფდა, ცხედრის მხლებელი ყველა ცხენოსანი ყმაწვილკაცობა რაზმის ახლოს აქეთ-იქით შეიკრიბა. მას თანდათან ღელვა ემატებოდა; მოთმინების უნარი ხალხს ელეოდა. ნამი-ლა აკლდა ხალხის გულისწყრომის აფეთქებას და აი, მაშინ სამღვდელოების წინ მოქცეულს ალექსანდრე ეპისკოპოზს[528] თითქოს ზეგარდმო შთაგონება მოეელინა, რუსის რაზმის შიგ პირში მდგარმა, მოზღვავებულს ხალხს თვალი გადაავლო, ჯვრის წინ ნაწევით დაიძახა: „Дорогу Кресту"-ო და მტკიცე ნაბიჯი გადადგა რაზმში. რაზმი მსწრაფლ გაირღვა. გლებოვმა[600] ცხენი მარცხნივ გადააყენა, მოშორდა ლიტანიას, კმაყოფილებაც კი დაეტყო სახეზედ (ბუნებრივიც იყო ეს, რადგან ყველაზედ მეტად მისთვის იყო ხალხის რისხვა საშიში). ამგვარად, ჯვარის მაღლა წარმართვით, იწყო სვლა ეპისკოპოზმა, სამღვდელოება უკან მოექცა მას და მთელი ლიტანიაც ალარავის შეუფერხებია, თავისუფლად გაიარა პროსპექტზე, სასახლის ქუჩა[610] და ყველა ის ქუჩები, სადაც გეგმით უნდა გაეარა ლიტანიას. ერევნის მოედანზედ[601] ძლივს დაეწყო სამღვდელოება თავის წესრიგზედ.

მთელი ამ გაჭირვების ხანში თითქმის გვერდით ვედექ ეპისკოპოზ ალექსანდრეს, ამიტომაც მტკიცედ მახსოვს ეს ამბავი და შემდეგშიაც ხშირად აღტაცებით გამიხსენებია მღვდელმთავრული თავის გამოდება. უეჭველია, ბევრსაც სხვას ახსოვს.

14 ნოემბერი, 1922 წ.
ქ. თბილისი

ალექსანდრე ლეონიძე[611]

დიმიტრი ყიფიანი სტავროპოლში

1884 წ. მე თბილისის სასულიერო სემინარიის პირველ კლასში შეველ და ამავე წელსვე სემინარიას რეკტორად მოევლინა პავლე ჩუდეცკი[280] - კაცი სასტიკი და დაუნდობელი.

თავიდანვე ამითვალისწუნა და მე იძულებული ვიყავი, მეორე კლასის დასრულების შემდეგ ქ. სტავროპოლის სემინარიაში გადავსულიყავი. აქ უარესი რეჟიმი შემხვდა. ყოველი მოწაფე იდევნებოდა და ქართველ მოწაფეს ხომ ვინ დაინდობდა?

ბნელი ნისლით იყო მოცული ჩემი ცხოვრება შავრაზმულ სემინარიის კედლებში და ისიც სამშობლოსგან დაშორებით. ქართველი კაცის ნახვა (ქართველი მოწაფენი სულ ოთხნი ვიყავით მთელს სტავროპოლში) ჩვენთვის აღდგომა იყო. ერთი ასეთი ბრწყინვალე დღე გამითენდა, როცა იქაური ქართველი მასწავლებლის, იოსებ ლაგაზიძის[612] ოჯახში გავიცანი საქართველოდან გადმოსახლებული დიმიტრი ყიფიანი. მისმა თოვლივით ჭაღარამ და ტკბილმა ლაპარაკმა დიდი შთაბეჭდილება დასტოვა. წასვლისას მე მომიბრუნდა და მითხრა:

— ყმანვილო, გთხოვთ, თქვენი ამხანაგებით იაროთ ჩემთან.

მე, რასაკვირველია, სიხარულით მივიღე მისი თხოვნა და რამდენიმე დღის შემდეგ მარტო მე მომიხდა მისვლა მასთან.

დიმიტრი სახლში დამიხვდა[613] და პატარა ხანს უკან ის უკვე მარიგებდა: „გიყვარდეთ საქართველო, იკითხეთ ქართული წიგნები, გაზეთები. სწავლის დასრულების შემდეგ უსათუოდ საქართველოში დაბრუნდით“ და სხვ.

გამოსალმების შემდეგ მომცა „დროების“ ნომრები[614] და მთხოვა, მასთან ხშირად მევლო.

გამოვიდა რამდენიმე კვირა და მე ველარ მოვახერხე მასთან მისვლა. ერთი თვის შემდეგ დამინახა თეატრში, ხელი დამიჭირა და მითხრა: „თქვენ ალბათ არ გესიამოვნებათ მოხუცებულთან სიარული და ლაპარაკი. რას ვიზამ, ვერ გაგამტყუნებთ“. მე ბოდიში მოვიხადე და გავაგებინე, რომ ჩვენი რეჟიმი ნებას არ მაძლევს მასთან სიარულისას (4 საათის შემდეგ კარში გასვლა ვერ შეგვეძლო). ამ შეხვედრის შემდეგ ორჯერ კიდევ ვიყავი მასთან და წამოსვლისას ქართულ გაზეთებს თან მატანდა.

1887 წ. 24 ოქტომბერი იყო.[615] დილაადრიან მთავარ ქუჩაზე მივეშურებოდი. შორიდანვე დავინახე, დიმიტრი ყიფიანის სადგომთან აუარებელი ხალხი ირეოდა. მაშინვე ვიგრძენი, რაშიაც იყო საქმე.

- ბებერი ბერძენის ღენერალი მოუკლავთო, - იძახოდნენ აქეთ-იქით.

მე მაშინვე გავარღვიე ბრბო და ავვარდი კიბეზე, სადაც პოლიციელი დამხვდა მუშტით. მე ვუთხარი: ჩემი ბიძაა, გთხოვთ გამიშვათ. პოლიციელი დამაკვირდა, გაარკვია რა, რომ მე არარუსი ვიყავი, ამიშვა. ერთი წუთის შემდეგ მე აღელვებული და ცრემლმორეული ვიდექი დიმიტრის საწოლის გვერდით. თოვლივით სპეტაკ საწოლში და საცვლებში დიმიტრი ინვა პირსახოცით ფეხებ და ხელებშეკრული. საფეთქელში ჰქონდა დარტყმული გირი ან რაღაც მრგვალი რამ.[449] ჩაჭეჭყილიდან ტვინი და სისხლი გადმოხეთქოდა სპეტაკ ჭაღარაზე და საცვლებზე. მალე მოვიდა ექ[იმი] კ. ელიაშვილი,[616] რომელმაც დიდი მუშაობა გასწია. გვამს გაუკეთა ბალზამი.[617] შიგნერი იქვე დააკრძალვინა, მოიყვანა მღვდლები პანაშვიდისათვის და ყოველმხრივ პატრონობდა. ეს ამაგი დღემდე არავისგან აღნიშნული არ არის.

დადგა გამოსვენების დღე. სემინარიაში სასტიკად აგვიკრძალეს, დავსწრებოდით დიმიტრის გამოსვენებას. მე, რასაკვირველია, არ დავემორჩილე ამ ბრძანებას. გამომცილებელ პროცესიას შეადგენდა მხოლოდ ადგილობრივი ქართველი და ნაწილობრივ სომხური ინტელიგენცია.[618]

გაცილებაში მონაწილეობის მიღებისთვის სემინარიის მმართველობამ ატესტატში ყოფაქცევაში ოთხი დამიწერა.

რაც შეეხება სოსო ლაღიაშვილს,[525] რომელმაც განგმირა რექტორი ჩუდეცკი, ჩემთან ერთად იჯდა საკლასო პარტაზე და ჩემი პირადი მეგობარი იყო. მეტად წყნარი და საწყალი იყო. ცალი თვალი გაფუჭებული ჰქონდა (ლიბრით გადაკრული) და ამხანაგები ამის გამო ათასნაირად აწვალებდნენ. მე ეხლაც მიკვირს, ასეთმა საწყალმა ადამიანმა როგორ გაბედა ასეთი გმირული საქმე. ალბათ, ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს და ისიც გმირად გახადა შურისძიებამ.

ეკატერინე გაბაშვილი[619]

ქართული თეატრის ბუდე

ქრისტეშობის დამლევი იყო, 1874 თუ 75,[620] ნამდვილად არ მახსოვს, ჩემთან შემოვიდა დიმიტრი ყიფიანის ასული ლოლა[247] და მითხრა: საღამოზედ ჩვენთან კრებაა დანიშნული წარმოდგენის მოსაწყობათ. მამაჩემი გვირჩევს, დავდგათ შექსპირის შეუდარებე-

ლი დრამა „შეილოკ", [621*] რომელსაც დღეს თითონ წაიკითხავს თქვენთვის გასაცნობათ და, შემდეგ მოთამაშეთა ძალების გამორკვევისა, გაანაწილებს როლებს. რასაკვირველია, შენც უნდა იკისრო რომელიმე როლი, რადგან მე უშენოთ არ ვთანხმდები სცენაზედ გამოსვლასო.

მე მნარეთ ჩავიცინე და ჩემ ორ პანანინა ბალღზედ მივუთითე:

— განა შემიძლიან სადმე წასვლა ან რაიმეს გაკეთება! არა, ჩემო მეგობარო, ტყუილათ მეპატიჟები და უჩემოთაც ძალიან კარგად მოაწყობთ.

— არა, არასოდეს! — ჭირვეულობდა მეგობარი, — მამამ სწორედ შენზედ მოაწყო ინესსას როლი და მე ვიცი, შენ არ მოინდომებ იმის ხათრის გატეხას.

მე კიდევ თავი გავიქნიე.

— სირცხვილი შენთვის, ქალბატონო, - თავისებური გაბედულობით შეჰყვირა იმან, - რომ უარს ამბობ ამ საქმეზედ, რომელიც ასე საჭიროა ჩვენი საზოგადოების გამოსაფხიზლებლად. თუ შენ, ერთი ინტელიგენტ ქალთაგანი, არ გამოხვალ სცენაზედ, მაშინ ვინღა უნდა უჩვენოს მაგალითი ჩვენს კარჩაკეტილ ბარიშნა-დედოფლებს?

— ვწუხვარ, რომ იძულებული ვარ, უკან ვიდგე ამ დიდებული საქმიდგან, მაგრამ...

განრისხებული მეგობარი გავისტუმრე და მე, დაძმარებული, ოჯახის მოვლას შევუდექი.

დაღამდა. ბავშვებმა დაიძინეს. ჩემი ქმარი[623] საწერ მაგიდას მიუჯდა თავის სამსახურის საქმეების განსახილავათ.

— არსად წახვალ ამ საღამოს? — შევეკითხე ჩემ მეუღლეს და უჩუმრად გავიპარე სანატრელ კრებაზედ.

დიდი, უშველებელი ყიფიანიანთ დარბაზი[444] სავსე იყო ხალხით. მომეტებულ ნაწილს შეადგენდნენ სემინარიის უფროს კლასის მოწაფენი - უკვე წვერ-ულვაშით შემკულნი ვაჟკაცნი, მათ შორის, თუ მეხსიერება არ მტყუნობს, დავით კეზელი,[624] წითელ ხალათში გამოწყობილი, თითო-ოროლა ახალგაზრდა მწერალი და ორი-სამი ცნობილი საზოგადო მოღვაწე. აქა-იქ ყმაწვილი ქალის მორცხვი, გაუბედავი და მოკრძალებული ფიგურაც გამოკრთოდა დარბაზის კუთხეში.

საზოგადოება რამდენსამე ჯგუფად იყო დაყოფილი და თავიანთ შორის თაბულის ხმით ბაასობდნენ; სტუმართ შორის დიმიტრის შვილებიც: კოლა,[1] კოტე[440] და ელენე ისხდნენ და ისინიც დაბა-

---

* ვგონებ, დიმიტრისგანვე ნათარგმნი, - თუმცა ნამდვილად არ მახსოვს,[622] - და პირველი დრამა, - ქართულ სცენაზე დადგმული. ავტ.

ლის ხმით, მოკრძალებით საუბრობდნენ. ერთი სიტყვით, მთელი ეს საზოგადოება რილასიც მოლოდინში იყო, რომ ხმა შეეერთებინა და თავისი შეკრების მიზანი ეღიარებინა და ეს მოლოდინი კი ძლიერ ხანგრძლივი და გაუთავებელი გამოდგა.

დარბაზიდან კარი შედიოდა დიმიტრის კაბინეთში და იქიდგან მკაფიოდ ისმოდა ჩუმი ბაასი, ერთ-ორჯერ კოცნის ხმაც მოისმა, თხოვნა, ალერსიც. შვილებმაც მოუხშირეს მამის კაბინეთში შესვლას და ვიღასაც თხოვნა-ალერსს თავიანთიც შეუერთეს.

დარბაზში მსხდომ მომლოდინეთ მოთმინება დაგვეკარგა, რაღაც მოუსვენრობას ვგრძნობდით და მზათ ვიყავით პროტესტისთვის; საკმაო იყო ერთი მაღალი ხმა ამოეღო ვისმე, რომ საერთო უკმაყოფილება წამოჭრილიყო ჩვენში და ავშლილიყავით.

თითქო მიხვდა ის, ვისი ცდაც აღარ ძალგვიძდა და გამოჩნდა დარბაზში. ეს იყო ღვთაებრივის სახით აღბეჭდილი დიმიტრი თავისი მეუღლით - ნინოთი,[75] რომელიც იღიმებოდა გამარჯვებულის ღიმილით და ხელი-ხელ გაყრილი მოაბრძანებდა დამარცხებულ მეუფეებას.

ჩვენ ყველანი ზეზე წამოვდექით და მოწიწებით სალამი ვუძღვენით შავ სერთუკში და თეთრ საყელოში გამოწყობილ მშვენიერ მოხუცს, რომლის მოლოდინში დიდი დრო და დიდი მოთმინება დავხარჯეთ, მაგრამ ჩვენი მოწიწება მისდამი კი არ დავკარგეთ.

შუა ზალაში მაგიდა იდგა და მაზედ მდგარი ლამფა მკრთალად ანათებდა გარეშემოს. ქალ. ნინომ მაგიდასთან მიდგმულ ღრმა სავარძელში ჩააბძანა სახელოვანი მეუღლე და მერე იქ მყოფ ყმაწვილ ქალებს დაუწყო თვალიერება; ამათში აირჩია მშვენიერი, ეშხით სავსე გურამიშვილის ასული ელიკო[625] და ქმრის სავარძელთან მიკრულ სავარძელში ჩასვა ამ სიტყვებით: — დიმიტრი ვერ არის კითხვის გუნებაზედ, ცოტაოდნათ თავიც სტკივა და თქვენი სიმშვენიერის სიახლოვე გაამხნევებს, აღაფრთოვანებს და ძალას შეაკრებინებს დიდებული შექსპირის[466] დიდებულად წაკითხვისთვის.

დიმიტრის ცხადად ემჩნეოდა, რომ გუნებაზედ არ იყო, მაგრამ, როგორც ნამდვილმა ჯენტლემენტმა, მომხიბლავის ღიმილით მიიღო მშვენიერი მეზობელი და, თითქო მართლა წაქეზებულმა მისის ეშხით, შეუდგა კითხვას და თავისის ღვთაებრივის, იშვიათის ხმით და კითხვის ხერხით მთლად მოხიბლა, დაიმონა საზოგადოება. ყველანი აღფრთოვანებით ვისმენდით დიდებული მოხუცის პირით მოხუცებული ებრაელის შეილოკის მრისხანებით და შურისძიებით აღსავსე სიტყვებს ქრისტიანთაგან უსამართლოდ შეურაცხყოფილის „ურიისას“ და მის სასტიკ ჯავრის ამოყრის სურვილს შეურაცხმყოფლებისადმი თითქმის სამართლიანად ვხედავდით.

„ერთი გირვანქა ხორცი, გულის უახლოეს ამოჭრილი, ერთი გირვანქა გამოუსადეგარი ლეში, საჭიროა ჩემთვის“, — ჰქუხდა და

გმინავდა ებრაელი დიმიტრის ზარდამცემი ხმით და ჩვენ, იმის მსმენელები, ვგრძნობდით მთელი საუკუნის განმავლობაში დევნილი „ურიის“ დრტვინვას და უაღრესის შურისძიების სურვილსა.

„მიიღე უთვალავი ოქრო და დასთმე უსარგებლო სისხლისღვრა“ — ემუდარებოდნენ „მყრალ ურიას“ ანტონიოს ამაყნი ქრისტეანე მეგობრები, მაგრამ ის ულმობელი იყო და შესაზარის შურისძიებით აღსავსე ვენეციელი ვაჭარი კვლავ თხოულობდა ვენეციელი სამსჯავროს პირუთვნელ გადაწყვეტასა: „— აღადგინეთ ჩემი უფლება და მომეცით ის, რაც ხელნერილით მე მეკუთვნის“, — და თან გააფთრებით ლესავდა ხორცის ამოსაჭრელ დანას.

ასე და ამრიგად მრავალი ადგილი დრამიდგან გაანათა და ცხოველჰყო ჩვენთვის, თითქმის ყველა იქ მყოფ უცნობებისათვის, უკვდავი შექსპირის უკვდავი დრამის სიღრმე. თითონ მკითხველი დაქანცული და განცდათა უძლიერესათ გადმომცემი, უღონოთ გადესვენა სავარძელზედ და კითხვის გაგრძელებაზე მიუთითა თავის უფროს შვილს — კოლას.

შვილმა, — ღირსეულის მამის ამ მამისებური ღირსებით შემკულმა, — მშვენიერის გარეგნობით და ხავერდოვანის ხმით განაგრძო კითხვა და სრული ნარმოდგენა მოგვცა უკვდავი დრამის უკვდავი გმირებისა.

შემდეგ როლების განაწილებას შეუდგნენ და უმეტესობის ხმით კოტე, — მეორე შვილი დიმიტრისა, — აირჩიეს შეილოკის როლის ასასრულებლად და ისიც ხომ მთელი სიცოცხლის განმავლობაში ასრულებდა ამ როლს და არც არავინ შესცილებია შეილოკის განსახიერებაში კოტე ყიფიანს.

პორციის როლი აკუთვნეს დიმიტრის ასულ ლოლას და მისი გადიის ინესსას როლი — მე.

უკვე ღამის ორი საათი იყო, როდესაც დავიშალენით.

განცდათა სიმშვენიერით გარინდებული და დამტკბარი, ნელნელა მივდიოდი სახლისკენ და მხოლოდ კარებთან მისული, უცებ გამოვფხიზლდი.

ჩემი ქმარი, ფეხშიშველი და მარტო საცვლებით, ოთახში გიჟივით დარბოდა და გადაბუირებულ ბავშვს ვითომ ამშვიდებდა, მეორე ბავშვი ტიტველი იჯდა და თავის უმცროს ძმას საშინელის ხმით ბანს აძლევდა.

ჩემ დანახვაზედ შეილოკივით შურისძიებით გააფთრებული მეუღლე დამეტაკა:

— აფერუმ, ქალბატონო, აფერუმ! მშვენივრად შეგფერის მაწოვარ დედას არტისტების უკან დევნა, — და ბავშვი გულზე მომახეთქა: გაქრა დედაკაცების სვინდისი, გაქრა, — კვლავ დიდხანს ისმოდა მეუღლის ბუტბუტი.

შვილი გულში ჩავიკარ და სიტყვა დავდე, არტისტობისთვის სამუდამოთ მეთქვა უარი.

ამიტომაც შემდეგ რეპეტიციებზედ აღარ დავსწრებივარ და არც მახსოვს, ვინ იყვნენ დრამის სხვა აღმსრულებელნი ან თვით ბრწყინვალე დრამა როგორ გაიტანეს ბეჩავმა ამსრულებლებმა.[626]

მე მხოლოდ მეხსიერებაში ჩამრჩა სამუდამოთ დიმიტრი ყიფიანის და მისი ოჯახის სამსახური და დავალება ქართველ ახალგაზრდობის აღზრდისადმი.

11 დეკემბერი. 1924 წ.

გიორგი ბაგრატიონ-დავითაშვილი[627]

მოგონებები
(ნაწყვეტი)

დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი - 30-იანი წლების შვილი, აზნაური, დიდად ნიჭიერი; დასრულებული ჰქონდა საუნივერსიტეტო კურსი,[628] რაც იმ დროს დიდი იშვიათობა იყო. თავდავინყებით უყვარდა სამშობლო და მისთვის გააკეთა ყველაფერი, რაც კი შეეძლო. იმყოფებოდა სახელმწიფო სამსახურში, სადაც მაღალ ხარისხებს მიაღწია და ლამისაა რუსეთის ყველა ორდენი დაიმსახურა;[219] ერთობ ლიბერალი, რამაც სამსახური დააკარგვინა;[167] ერთხანს - თბილისის ქალაქის თავი.[246] ამ თანამდებობაზე არჩევისას მისი კონკურენტი იყო გენერალი არწრუნი,[244] რომელსაც საკუთარმა შვილმა, თბილისში ცნობილმა იურისტმა,[629] შავი კენჭი ჩაუგდო, რათა ქალაქის თავად პოპულარული და ყველასთვის საყვარელი ყიფიანი გასულიყო. სნორედ ყიფიანმა შექმნა სათავადაზნაურო ბანკი,[199] რომელიც ჩვენში ფინანსთა სამინისტროს როლს ასრულებდა და ხანგრძლივი დროის მანძილზე კვებავდა ქართველ საზოგადოებას.

ყიფიანის უკანასკნელი სამსახური, - ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი იყო,[262] - მისთვის კატასტროფულად დასრულდა. 80-იან წლებში სემინარისტმა ლაღიაშვილმა[525] მოკლა რექტორი ჩუდეცკი.[280] ამ ფაქტთან დაკავშირებული მღვდელმსახურებისას, ეკლესიაში, პავლე ეგზარქოსმა[283] დასწყევლა საქართველო. ერთადერთი ქართველი, ეგზარქოსს თავისი აღშფოთება რომ ამცნო, იყო დ. ი. ყიფიანი - მისნერა წერილი, რომელიც დაახლოებით ასე დაამთავრა: „მწყემსმთავარს არ შეშვენის მის მიერვე დაწყევლილ ქვეყანაში ცხოვრებაო“.[630] ამის გამო მხარის უფროსმა,

დონდუკოვ-კორსაკოვმა[264] ყიფიანი გადაასახლა სტავროპოლში, სადაც იგი მოკლეს კიდევაც.

სანამ ჩვენი ხალხი იარსებებს, ამ წმინდა კაცის ხსოვნა არ ამოიშლება ქართველთა გულებიდან.

1927 წ. სექტემბერი.
ქ. ბორჯომი

ვასილ კირვალიძე[631]

დიმიტრი ყიფიანი

1878 წლიდან გამეგონა და ვიცოდი დიმიტრი ყიფიანის სახელი. ვიცოდი და ვუკვირდებოდი, თუ რას ლაპარაკობდა ხალხი ამ დიდებულ ქართველზე. ყოველთვის ქება, ქება-დიდება ისმოდა. დიმიტრის შესახებ გამეგონა, რომ ოცდაათიან წლებში სხვებთან ერთად მხურვალე მონაწილეობა მიიღო ქართველთ მოძრაობაში,[632] რისთვისაც გადასახლებულ იქმნა შორეულ ქვეყანაში. ესეც გავიგე, რომ დიმიტრის ირჩევდნენ თავად-აზნაურთა წინამძღოლად,[62] მაგრამ მოწინააღმდეგებიცა ჰყავდა, მაგალითად, გრიგოლ ორბელიანი[41] და სხვა...

სახელოვანმა მგოსანმა, გრიგოლ ორბელიანმა, როგორც ამბობდნენ, ერთ-ერთ კრებას შემდეგი სიტყვებით თურმე მიმართა: „ზემოქართლელ აზნაურს თავზე ნუ წამოგვაჯენთო",[633] მაგრამ დიდმა უმრავლესობამ მაინც აირჩია. ყველა ესენი რომ ვიცოდი, გულით მენატრებოდა დ. ყიფიანის ნახვა და ეს ნატვრაც ამისრულდა.

1881 წლიდან 1885 წლამდე სასტუმრო „ლონდონში"[634] ვმსახურობდი ნომრების გამგე ყარამან რევიას[635] თანაშემწედ - უბრალო მუშად. კარისკაცმა (შვეიცარმა) დაგვიძახა: „ბარგი წაიღეთო". კიბეებზე ჩავირბინე ბარგის ამოსატანათ. წინ შემხვდნენ ქალი და კაცი. ქალი ფერმკრთალი, ფაქიზი შეხედულობისა და კაცი კი — ჭაღარაშერეული. ქალი კოჭლობდა, ეტყობოდა, რომ ფეხს იტკივებდა. ეს ქალი და კაცი მერვე ნომერ ოთახში დაბინავდნენ, სწორეთ იქ, სადაც მე უნდა მემსახურნა.

ყარამან რევიამ პირადობის მოწმობა ჩამოართვა და, რომ გაიგო ვინაობა, დამიძახა მე და მითხრა: - ორ ბოთლ ღვინოს თუ იყიდი და შენებურად უბით ფარულად თუ ამოიტან, კარგ რამეს გახარებო.

— თუ მართლა მახარებ რასმე და, შენი თქმით, მე გავიხარებ, ორს კი არა, ათ ბოთლს ვიყიდი-მეთქი, - მივუგე მე.

— ბიჭო, ყურები გამოგვიჭედე და ყოველთვის ნატრობდი და ნატვრაც აგისრულდა. რვა ნომერში კაცი და ქალი რომ მივიღე, დიმიტრი, ბიჭო, დიმიტრი ყიფიანი და მისი ასულიაო!

მართლაც რომ ძლიერ გამეხარდა, რადგანაც ჩემი თვალით ვნახავდი იმ კაცს, იმ დიდ ადამიანს, რომელზედაც ბევრი რამე ვიცოდი ხალხისაგან.

ნომერში მოკრძალებით შევედი „გრაფინკით". ახალი წყალი მივართვი. შემომხედა და მკითხა:

— ახალგაზრდა, შენ უნდა გვემსახურო?

— მე უნდა გემსახუროთ, ჩემო ბატონო, და მყავს უფროსად ყარამან რევია.

— რევიაა? მეგრელი იქნება.

— გახლავთ, ბატონო!

— შენ, შვილო, შენ სადაური ხარ?

— რაჭველი გახლავარ, ჩემო ბატონო!

— ჩვენც რაჭველები ვართ, ძველთაგან ზემო ქართლში გადმოსახლებული.

— რაჭაში ბევრნი არიან, ბატონო, ყიფიანები. თავადებიც,[99] მარა თქვენისთანა კი არა.

ამ სიტყვაზე დიმიტრიმ გადიხარხარა და სავარძელში წამოწოლილ თავის ასულ ელენეს[247] გადაულაპარაკა - ხედავ, გაიგე რა მითხრაო?

— რა გვარი ხარ, რა გქვია სახელი?

მე ვუთხარი ჩემი სახელი და გვარი.

— შენ რა იცი, რომ მე ვჯობივარ რაჭველ ყიფიანებს? არა, ჩემო კარგო, მე არავის არა ვჯობივარ!

— კი ვიცი, ბატონო, ყველაფერი გაგებული მაქვს.

დიმიტრიმ გაკვირვებით შემომხედა და სხვა საგანზე შემეკითხა:

— ჩვენს მეზობლათ ვინა დგას, რა კაცია?

— სახემოლრეცილი ქართველია, - ელენეს სიცილი აუტყდა, - მიუხედავად კარგი შეხედულებისა, სახით დამახინჯებულია საწყალი თ[ავადი] მიქელაძე.[636]

— ჰო, ვიცი, ვიცი, ვინცა ყოფილა! ასეა, შვილო, იმის ნაცვლად, რომ ქართველმა ვაჟკაცმა სამშობლოსათვის თავი გასწიროს, რომ რამე სარგებლობა მოუტანოს, დღევანდელი ჩვენი ჩიტირეკია ყმანვილები ქუჩის ქალების მიზეზისა გამო დუელში იწვევენ ერთმანეთს. ეგაც ასეთი სისულელის მსხვერპლი შეიქნაო!

ნომერში ხუთი დღე იყვნენ და ამის მერე ვიღაც მოკეთისას გადავიდნენ.

ამის შემდეგ მე ბედნიერება აღარ მქონდა, რომ პირადათ სადმე შევყროდი ან მენახა ეს თავდადებული ქართველი, რომელიც

სამშობლოსა და თავისი ხალხის კეთილდღეობას ტარიგათ შეეწირა. ხოლო დიმიტრის ტრაღიკულად დაღუპვისა და მისი ტფილისში ჩამოსვენების გამო რაც მოხდა, ეს ჩემზე კარგათ უწყის ყველამ; მე მოვიყვან ჩემ მიერ იმ დროს დანერილ ლექსს. მთანმინდაზე მე არ შემიშვეს, რომ მეთქვა დასაფლავების დროს და მოთავსებითაც ვერსად მოვათავსე იმ დროის ჟურნალ-გაზეთებში. აი, ეს ლექსიც:

დიმიტრი ყიფიანის დაკარგვის გამო

სტავროპოლიდან დეპეშით გვამცნეს,
მწარე ამბავი, გულშესაზარი,
მოულოდნელმა მწარე ამბავმა
ყველა ქართველსა დაგვცა თავზარი...

ჩვენო დიმიტრი! აღარა გვყავხარ,
შენი სული კი აქვე ტრიალებს;
შენი ღვაწლი და შენი შრომა
ჩვენს ქვეყანასა თავს დასტრიალებს...

ჩვენს ტანჯულ მხარეს - საქართველოში,
ყველა გიცნობდა: დიდი, პატარა,
იქ ველურებმა არ შეიბრალეს
შენი სპეტაკი,თეთრი ჭაღარა.

თავდადებულო, შენსა დაკარგვას
ყველა დასტირის - დიდი, პატარა,
იყოს წყეული, შეჩვენებული,
ვინც ეგ უმანკო სისხლი დაღვარა!

ტფილისი. 1887 წელი.

აპოლონ წულაძე[637]

მოგონება დიმიტრი ყიფიანზე

დიმიტრი ყიფიანი გურულებს ძლიერ უყვარდათ. ეს სიყვარული და მისდამი პატივისცემა კიდევ უფრო განმტკიცდა მის შემდეგ, როცა გურულებმა გაიგეს, რომ დიმიტრი აჯანყებულ სემინარიელებს გამოესარჩლა და ეგზარხოსს საქართველოს დაწყევლისათვის და ქართული ენის ძაღლის ენათ ხსენებისათვის მაგარი პასუხი მოსთხოვა.[638] გურულები აქნობამდეც დიმიტრი ყიფიანით

ამაყობდნენ, დიმიტრი საქართველოს „აპეკუნათ“ მიაჩნდათ და ამის შემდეგ მისი სახელი კიდევ მეტი სათაყვანებელი შეიქნა. როცა გურულებმა შეიტყვეს, რომ დიმიტრი ყიფიანს მოსყიდულმა მკვლელმა რუსეთში გირით თავი გაუპო და საყვარელი მოხუცი მონამებრივი სიკვდილით მოჰკლა, ამან ყველა ააღელვა. ადრე გაიგეს, რომ მკვლელი თბილისიდან გააყოლა მაშინდელმა მთავარმართებელმა დუნდუკოვ-კორსაკოვმა.[639] დუნდუკოვი მაინც არავის უყვარდა, რადგან ის ყოველივე იმას სპობდა, რაც ქართველებს ჰქონდათ მინიჭებული ვარანცოვის[79] და დიდი მთავრის მიხაილ ნიკოლოზის ძისაგან.[191] დიმიტრის ვერაგული სიკვდილი ქართველი ერის სიკვდილათ მიიღეს და ყველა გურულს „კბილის კრაჭუნით“ უნდოდა შურისძიება.

ამ დროს გურიაში ნაროდნიკ ისიდორე ქიქოძის[640] წრე მაგარი იყო. ამ წრის წევრებმა: ვახტანგ გურიელმა[621] (მამიას[467] ძმა) და მელქისედეკ მახარაძემ[642] გადასწყვიტეს დუნდუკოვის მოკვლა. საქმის მოწყობა იკისრა მელქისა მახარაძემ, რომელიც ამისთანა საქმეში დიდი ოსტატი გახლდათ. მახარაძის დავალებით სამი გურული წამოვიდა (დიმიტრი შემოდგომაზე მოჰკლეს და ეს იანვარში იყო) და დუნდუკოვს ჩაუსაფრდნენ მცხეთას იქით, წინამურის[643] პირდაპირ (ქართლის სამხედრო გზაზე). სამი დღე იქ „იყურყუტეს“, - ტერორისტის თქმით, - მაგრამ, სამწუხაროთ, დუნდუკოვს, როგორც ცნობა იყო, იქ არ გაუვლია. ორი ამ საქმის მონაწილე, - დაბეჯითებით ვიცი, - იყვნენ ლიხაურელი გლეხები: სამუელ შავიშვილი და ამბაკო ანტონის ძე ურუშაძე;[644] მესამე აღარ მახსოვს. მელქისა მახარაძე თბილისში იყო და აქედან ხელმძღვანელობდა და ერთი ვიღაც დუშელი აზნაური მკვლელებს მიუჩინა მეგზურათ. შავიშვილი და ურუშაძე ძლიერ ფხიზელი გლეხები იყვნენ ორივე და დიდი ხანი არ არის, რაც გარდაიცვალნენ. მელქის. მახარაძე კი იშვიათი ტიპია, რომელიც აუცილებლად შევა გურიის ცხოვრებაში როგორც დადებითი, ისე უარყოფითი [მხრივ].

იაკობ მანსვეტაშვილი [645]

მოგონებანი. ნახული და გაგონილი
(ნაწყვეტები)

ჩემს დროს ქართველ სტუდენტობას [პეტერბურგში] საკუთარი წრე ჰქონდა შედგენილი. ვიკრიბებოდით დრო გამოშვებით ვასო მაჩაბლის[476] ბინაზე, ლიტეინის პროსპექტზე. ვასო მაჩაბელი, ნაფიცი ვექილი, უფროსი ძმა იყო ვანო მაჩაბლისა,[443] ცნობილი ქართვე-

ლი მოღვაწისა. კრებებზე ხშირად ოცდაათ კაცამდე მოიყრიდა ხოლმე თავს და, როგორც ახალგაზრდობას შეეფერება, ცხარე სჯა-ბაასი იმართებოდა. უმთავრესი საგანი სჯა-ბაასისა იყო ჩვენი სამშობლოს მომავალი სვე-ბედი. ვფიქრობდით, საქართველოში დაბრუნებისას რა საქმეს დავდგომოდით, მუშაობისათვის რა ასპარეზი ამოგვერჩია, რა გზით მივშველებოდით მუშა ხალხს, გლეხობას, რომ მათი კეთილდღეობა, ყოფა-ცხოვრება გაუმჯობესდეს; და კიდევ ბევრი სხვა ამგვარი საჭირ-ბოროტო საკითხები აღიძვრებოდა ხოლმე ჩვენ კრებებზე და ცხარე მსჯელობას, აზრთა გაცვლა-გამოცვლას ინვევდა.

ჩვენი მომავალი მოქმედების გეგმის შედგენასაც ვეცადეთ, მაგრამ აქედამ ბევრი არაფერი გამოვიდა. გეგმა ქაღალდზე დარჩა: მეტად ფართო იყო და მტკიცე ნიადაგს მოკლებული გამოდგა.

ამ წრის ზეგავლენით ბევრი მაინც შეუდგა საქმეს. ზოგი პატარა სახალხო წიგნაკებს სთარგმნიდა, ზოგი კიდევ მეცნიერების სხვადასხვა დარგის პოპულარიზაციას შეუდგა. შემდეგ, ცხოვრებაში, ბევრი საჯარო მოღვაწედ გამოვიდა და სინდისიერად შეასრულა თავისი მოვალეობა ქვეყნის წინაშე, თავის ძალისა და ნიჭის კვალობაზე.

ჩვენი წრის კრებებს ესწრებოდნენ აკაკი,[404] ნიკო ნიკოლაძე,[242] როდესაც კი პეტერბურღში ყოფნა მოუხდებოდათ. ერთხელ დიმიტრი ყიფიანიც გვეწვია, ჩვენს ცხარე ბაასში ჩაერია და ასეთი სიტყვა ჩაურთო: ჯერ-ჯერობით დიდ საქმეს ნუ შეეჭიდებით. კარგი პატრონი სახლის შენებას რომ დააპირებს, ჯერ მასალის მომზადებას შეუდგება და მერე შენობას დაიწყებს. ჩვენი ქვეყანა პატარაა, მომუშავე ძალები ცოტა ჰყავს, სიფრთხილით უნდა მოიქცეთ; დიდ საქმეს ნუ ჰკიდებთ ერთბაშად ხელს, რომ არ დაიძალნეთ და ჩვენ სამშობლოს არ მოაკლდეთო.

ჭკვიანი, ცხოვრებაში გამოცდილი კაცი იყო დიმიტრი ყიფიანი, მაგრამ ახალგაზრდობას ალღო ვერ აუღო. მისი იგავებით ნათქვამი სიტყვები ვერ მოჰხვდა ჩვენს გულს, მისმა სიტყვებმა უარყოფითი შთაბეჭდილება იქონიეს ჩვენზე. ჩამოვარდა უხერხული სიჩუმე. ეს იგრძნო ჭკვიანმა ყიფიანმა, მაშინვე ადგა და ზრდილობიანად გამოგვემშვიდობა...

საზოგადოებაში ხშირად მოჰკრავდით ყურს ასეთს აზრს: ილია[132] რომ არ ყოფილიყო, ჩვენ ბანკი არ გვექნებოდა და ბანკის საქმეც ასე კარგად ვერ წავიდოდაო. ვნახოთ, ბანკის ისტორია რას გვეუბნება.

პირველად ბანკის დაარსება განიზრახა პატარა წრემ, რომლის მოთავე და სულის ჩამდგმელი იყო ქართველების ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მოამაგე დიმიტრი ყიფიანი.[199] ეს საქმე ასე დაიწყო:

როდესაც ბატონ-ყმობა მოისპო, მამულის პატრონებს მიეცათ ფული საფასურად იმ მინებისა, რომელიც ამათ ჩამოერთოთ და გლეხებს მიეცათ. რადგან ყიფიანმა კარგად იცოდა, რომ ეს ხაზინიდან მიღებული ფული მალე გაიფლანგებოდა, განიზრახა, ცოტა რამ მაინც გადაერჩინა და ამით რაიმე საქვეყნო საქმე მოენყო. იფიქრეს და გადაწყვიტეს ბანკის დაარსება. ახლა უნდა ეფიქრათ ფულის შეგროვებაზე, რომ ფული დაეჭირათ იმ თანხიდან, რომელიც თავად-აზნაურობას უნდა მისცემოდა ხაზინიდამ; მაგრამ ამისთვის საჭირო იყო წერილობითი თანხმობა ყველა თავადისა და აზნაურისა, ვისაც კი ფული უნდა გამოჰსვლოდა. როგორ მოეხერხებინათ ეს? მათი ერთად შეკრება შეუძლებელი იყო - გამოსატანი თანხის მონაწილენი გაფანტულნი იყვნენ მთელ ქართლსა და კახეთში. ამის მოგვარება იკისრა თვით დიმიტრიმ. აიღო ხელში ყავარჯენი, ფეხთ ჩაიცვა, - როგორც ჩვენი ხალხი იტყვის, - რკინის ქალამნები, და ასე per pedes apostolorum* გაუდგა გზას. გადადიოდა სოფლიდამ სოფელში, როგორც ძველ დროს ბერები დადიოდნენ სოფელ-სოფელ კალმასობაზე, ე.ი. პურის მოსაგროვებლად მონასტრისათვის.

მაგრამ მარტოოდენ სიარული არ იყო საკმარისი. უნდა ყველასათვის ცალ-ცალკე აეხსნა საქმის გარემოება, ბანკის საჭიროება და სარგებლობა. ხომ მოგეხსენებათ, ქართველი როგორი დარდიმანდი და ხელგაშლილია ფულის უაზროდ ფლანგვაში, ხოლო საქმისთვის კი ფულის გაღება ძლიერ ეძნელება. მხოლოდ დიმიტრის შეეძლო ამის დაძლევა. ვის არ გაუგონია დიმიტრის მომხიბლავი, ტკბილი ენა, ის ენა, რომელიც, როგორც იტყვიან, გველსაც ხვრელით გამოიყვანსო. ამ გზით ყიფიანმა ხალხი დაიყოლია. ვინ ბევრს იძლეოდა, ვინ ცოტას, ყველას მადლობით იღებდა დიმიტრი, და ამ გვარად, რომ იტყვიან, გროშობით შეაგროვა ოთხმოცი ათასი მანეთი. ამას ზედ დაემატა სახელმწიფოდან მოცემული კიდევ ამავე საქმისთვის ას სამოცი ათასი მანეთი და ამ გვარად შესდგა ორას ორმოცი ათასი მანეთი. ეს თანხა საკმარისი იყო ბანკის საქმეების დასაწყებად.

ახლა უნდა ეფიქრათ ბანკის წესდების შედგენაზე. ესეც დიმიტრიმ იკისრა და, უნდა ითქვას, წესდება საუცხოოდ იყო შემუშავებული. აქაც საფუძვლად იყო დადებული საქვეყნო სარგებლობა და არა კერძო პირთა ინტერესი. საკმარისია აღინიშნოს, რომ 60% ბანკის მთელი შემოსავლისა უნდა მოჰხმარებოდა ქვეყნის საერთო საჭიროებას, მაგალითად, სკოლებს, საზოგადოდ განათლების საქმეს, გზების გაყვანას, წვრილ კრედიტის ამხანაგობათა მართვა-მოწყობას და სხვა ამ გვარებს. რუსეთში იმ დროს ასეთი ტიპის

* ფეხით, მოციქულთა მსგავსად. ავტ.

ბანკი იყო მხოლოდ ერთი: ხერსონის[646] საერო ბანკი. მაგრამ აქაც საერთო საჭიროებისათვის განსაზღვრული იყო, ვგონებ, 30% თუ 40%. სხვა ამ გვარი საკრედიტო დაწესებულებანი სულ სააქციო ბანკები იყო, ე.ი. ვისაც ფული გამოეღო და აქცია ჰქონდა ხელში, ბანკის მთელი შემოსავალიც იმათ ჯიბეში ჩადიოდა.

ყიფიანი ჭკვიანი კაცი იყო, გამოცდილი, დინჯი, საქმის მცოდნე და მოყვარე და, ვგონებ, ჩვენი ბანკის საქმეს კარგადაც გაუძღვებოდა. ასეც იყო პირველში საქმე დაყენებული: ბანკის მოთავედ უნდა ყოფილიყო ყიფიანი, მაგრამ როდესაც საქმე საქმეზე მიდგა, საარჩევნო კრებაზე გაჩნდა ილია, რომელიც ამ დრომდე დუშეთში იყო მომრიგებელ მოსამართლედ.[647] ილია ყიფიანის მეტოქეთ გამოვიდა. მისმა ბრნყინვალე ჭკუამ, მისმა მჭექარე ორატორულმა ნიჭმა, ახალგაზრდულმა აღფრთოვანებამ და დიდათ მოხვეჭილმა სახელმა მწერლობაში, რასაკვირველია, დაჩრდილა უკვე ხანში შესული ყიფიანი, და საქმის მოთავედ არჩეულ იქნა ილია...

გამოჩნდა კაცი, რომელმაც არ ინამა ილიას [საბანკო] მოძღვრება. ეს კაცი უფრო ახლო იდგა სოფლის თავად-აზნაურებთან, ჰხედავდა მის მდგომარეობას, გული შესტკიოდა და იფიქრა, იქნებ რაიმე გამოსავალი გზა იყოს შესაძლებელიო. ეს კაცი იყო უკვე ცნობილი დიმიტრი ყიფიანი. ამ ყიფიანმა დაბეჭდა გაზეთში წერილი, სადაც გამოსთქვამდა შემდეგ აზრს: ჩვენი მემამულენი დიდს გაჭირვებას განიცდიან, ბანკის ვალს ვეღარ იხდიან. მამულები ხელიდგან ეცლებათ. უნდა რაიმე ღონე ვიღონოთ, რომ მამული ჩვენ შეგვრჩეს, უცხოელების ხელში არ გადავიდეს, თორემ სრულიად დავიღუპებით, ჩვენი მიწა-წყალი აღარ გვექნება. ერთად-ერთი დაწესებულება გვაქვს, რომელსაც შეუძლიან ხელი მოგვიმართოს. სახეში მაქვს მე ჩვენი საადგილ-მამულო ბანკი. თუ თვით ბანკს არ შეუძლიან გაუძღვეს ამ საქმეს, იქნება შევქმნათ რაიმე კერძო დაწესებულება, რომელიც ამ საქმის მოთავეობას იკისრებს და ბანკთან იმუშავებს. ამ კერძო დაწესებულებას უნდა გადაეცეს დროებით განკარგულებაში ის მამულები, რომელიც ბანკს გადადებული ექნება გასასყიდლად სარგებლის დროით შეუტანლობის გამო. დაწესებულებაში მონწვეულნი უნდა იყვნენ მცოდნე, ნასწავლი ხალხი, რომელსაც უნდა შეეძლოს მამულის უკეთ მოვლა, მისი გამოკეთება; და როდესაც ამ გზით მამული თავის დონეზე დადგებოდა, იგი ისევ ძველ პატრონს უნდა დაბრუნებოდა.

როგორც ჰხედავთ, ყიფიანს, ვგონებ, დიდი შეუწყნარებელი ცოდვა არა ჩაუდენია-რა. შეიძლება იმის თქმა, რომ აზრი ნათლად არ არის გამოთქმული, საგანი საკმარისად არ არის გაშუქებული, მაგრამ ყიფიანი ამას არცა ჩემობდა. მან მხოლოდ თავის გულის განზრახვა წარმოუდგინა საზოგადოებას და სურვილი გამოსთქვა, რომ სხვებსაც ხმა ამოეღოთ.

ილიამ ხმა ამოიღო, რადგანაც მას უფრო შეეხებოდა ეს საქმე, როგორც ბანკის მოთავეს. მაგრამ როგორ გამოეხმო? დაეცა ოთოთაანთ ქორივით, დააცხრა ზედ, ჩასჭიდა ბასრი კლანჭები და სულ ბურტყლები ადინა.[648] რა არ დასწამა საწყალ მოხუც კაცს: უვიცობა, არა-მკითხეობა. ჩვენი ბანკი დღესაც თქვენ დასატვირთავ სახედრად მიგაჩნიათ, რომელიც, გგონიათ, აიტანს ყველაფერს, რაც გინდა საპალნე აჰკიდოთო. ჩვენი ბანკი საიპოტეკო დაწესებულებაა და, როგორც ამგვარ საკრედიტო დაწესებულებას, შეუძლიან ფულის მიცემა მხოლოდ გირაოდ მიღებულ უძრავ მამულებშიო. თქვენ კი ეს ბანკი რაღაც საქველმოქმედო დაწესებულებად გინდათ გადააქციოთ, რომელმაც ამასთანავე უნდა მოაწყოს და მართოს რაღაც სამადლო თავშესაფარი დავრდომილთა, „მცონარეთა" და უძლურთათვისო. მოჰყვა ასე და, როგორც ილიას მკაცრი, შეუბრალებელი კალმის ამბავი მოგეხსენებათ, სულ ტყავი გააძრო საბრალო მოხუც ყიფიანს, რომელსაც მხოლოდ ის დანაშაული მიუძღოდა, რომ გაბედა და გულითადი სურვილი გამოსთქვა საქვეყნოდ.

ყიფიანი სახტად დარჩა; არ მოელოდა, რომ ასე მედგრად დაეცემოდნენ. პირიქით, იმას იმედი ჰქონდა ძმური სიყვარულისა, დალაგებული კვლევა-რჩევისა, აზრთა გაცვლა-გამოცვლისა; და ნახა, რომ იმედი გაუცრუვდა. შეკრთა, შეშფოთდა, რომ ქვეყანაში არცხვენდნენ, თავსა სჭრიდნენ. გაჰმკლავებოდა ილიას, არც ისე ადვილი საქმე იყო და, გარდა ამისა, სიბერის გამო, ამისათვის აღარც ღონე და აღარც უნარი მოსდევდა. ამაყმა, თავმომწონე ყიფიანმა ისევ არჩია, ქედი მოედრიკა და ასეთი წერილით მიჰმართა ილიას:

„მაკმარეთ მაგდენი დამცირება. ქვეყნის სასაცილოდ ნუ გამხდით. პატივი ეცით ჩემს მოხუცებულობას, ჩემს ჭაღარას, მე დავჩუმდები, მოსპეთ თქვენ თქვენი ამხედრება".

ძლივს, ვაი-ვაგლახით დავიყოლიეთ ილია, მოესპო ამ საგნის შესახებ წერა. შემდეგ ილიასთან ლაპარაკი ჩამომივარდა ამ საკითხის შესახებ და ვუთხარი: იცით რა? ყიფიანის აზრი არ იყო სიმართლეს მოკლებული.

- როგორაო? - გაიკვირვა ილიამ და ჩემი სიტყვები თითქოს გაკადნიერებად მიიღო.

- მოგახსენებთ. წარმოიდგინეთ, პოლონეთში არის ისეთი დაწესებულება, რომელზედაც ოცნებობს ყიფიანი. ამ დაწესებულებას სახელად ეწოდება სამელიორაციო ბანკი და შეადგენს მხოლოდ განყოფილებას იმავე პოლონეთის მეორე ბანკისას, რომელსაც ეწოდება „პოლონეთის საერო ბანკი". ეს უკანასკნელი კი, როგორც თქვენ კარგად მოგეხსენებათ, ისეთივე საიპოტეკო ბანკია, როგორც ჩვენი, ე.ი. მამულებს იღებს გირაოდ და სესხს აძლევს.

მაგრამ პოლონეთშიც ისეთივე ამბავი მოხდა, როგორც ჩვენში: მემამულეები ვალს კი იღებდნენ ბანკიდგან, მაგრამ გადახდით ვეღარ იხდიდნენ და მამულები ეყიდებოდათ - უცხოელების ხელში გადადიოდა. ბანკი დაუფიქრდა ამ უბედურებას, ამ სენს და განკურნების წამალიც მოუნახა: დაარსდა ბანკთან ზემოდ დასახელებული სამელიორაციო განყოფილება. რას აკეთებდა ეს განყოფილება, რა დანიშნულება ჰქონდა? აი, რა:

როდესაც ბანკს მიჰმართავდა ვინმე მამულის დასაგირავებლად, ჩვეულებრივ, გაგზავნიდნენ დამფასებლებს და ამათი დაფასების კვალობაზე გადასწყვეტდნენ სესხის რაოდენობას, ხოლო ფულს კი მაშინვე ხელში არ მისცემდნენ. ახლა აამუშავებდნენ სამელიორაციო განყოფილებას. ამ განყოფილებას ჰყავდა მრავლად აგრონომები, ინჟინერები და ტექნიკოსები და აი, ახლა ამათ გაგზავნიდნენ გირაოდ მიღებულ მამულის გასასინჯავად. ამათ უნდა შეესწავლათ დაწვრილებით მამულის ავ-კარგი, ე.ი. როგორია მიწა, ნიადაგი, რა უფრო იხეირებს იქ, რის გაშენება და მოყვანა უფრო სარფიანი იქნება: ხომ არ არის ჭაობიანი ან ურწყავი მამულები და თუ არის, რა დაჯდება ჭაობის ამოშრობა ან სარწყავი წყლის გამოყვანა; რა მანქანებია საჭირო მამულის დასამუშავებლად და სხვა მრავალი ამგვარი. ბანკს ჰქონდა აგრეთვე საკუთარი საწყობი ყოველგვარი მანქანებისა და იარაღებისა.

როდესაც ყველა შეგროვილი მასალა ბანკს წინ ექნებოდა, მაშინ აძლევდნენ მემამულეს ფულს და აგრეთვე მანქანებს და იარაღებს, რასაკვირველია, უზრუნველყოფით. თან გაატანდნენ ინჟინერს, თუ საჭირო იყო, აგრონომს და ტექნიკოსს, რომ პირველ ხანებში ხელმძღვანელობა გაეწიათ საქმის მოსაწყობად. ასეთი დახმარებისათვის, თუ საჭიროება მოითხოვდა, მემამულეს შემდეგშიაც შეეძლო მიემართა ბანკისათვის. ასე და ამ გვარად, ბანკი ერთ და იმავე დროს სესხის გამცემიც იყო და მასნავლებელიც, ხელმძღვანელიც.

ილია მისმენდა, მაგრამ ვატყობდი, რომ ცოტა ეჭვი ეპარებოდა - არ იცოდა, მართალს ვამბობდი, თუ სადღაც ზღაპრად გაგონილ ამბავს ვუთხრობდი. ამის გასაქარწყლებლად ილიას ვუთხარი, რომ ყველა ზემოდ ნათქვამი დაწვრილებით და საავსებით არის ახსნილი და გარკვეული კიევის უნივერსიტეტის პროფესორის ანტონოვიჩის[249] წიგნში, რომელსაც სათაურად აქვს „სამელიორაციო ბანკი პოლონეთში".

ეტყობა, ამ ცნობებმა იმოქმედეს ილიაზე, რომ სახე შეიცვალა და მითხრა, არ შეიძლება, ერთი ეგ წიგნი ვიშოვოთო. მე პირადად არ ვცდილვარ ამისათვის, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ ილიას წიგნი თუნდა წაეკითხა კიდეც, არაფერი გამოვიდოდა. ილია უკვე ხანში შესული იყო, ცხოვრებისა და მუშაობისაგან დაღლილი

და ამ საქმეს ხელს არ მოჰკიდებდა, რადგან საქმე მართლაც დიდი იყო და ფრიად რთული...

დიმიტრის დიდი ადგილი ეჭირა იმ დროს რუსის სამსახურში, ჭკვიანი და საქმიანი კაცის სახელი ჰქონდა მოპოვებული. რუსის სამსახურში იყო, მაგრამ ბევრს სხვებსავით არ გადაგვარებულა. ქართველი იყო სულით და გულით, ასევე უყვარდა ქართული მნიგნობრობაც და ცდილობდა, ასეთივე სიყვარული შთაენერგა თავისი შვილებისთვის. საუკეთესო მცოდნეს ქართული მწიგნობრობისა და ენისა, უნდოდა, რომ შვილებსაც საფუძვლიანად შეესწავლათ ქართული ენა. ამის გულისთვის მან თავის შვილებს შეუდგინა კიდეც ქართული გრამატიკა.[170] ეს ცოდნა და სიყვარული ქართულისა კოტესაც[440] ჰქონდა. ბევრსა სნერდა ქართულად, სთარგმნიდა უცხო ენებიდან, დაწყებული ჰქონდა რაღაც ლექსიკონის შედგენა, მხოლოდ ეს უკანასკნელი დაამთავრა თუ არა, აღარ მახსოვს.[650]

კოტე გამუდმებით ცხოვრობდა სოფ. ქვიშხეთში, მამისგან დატოვებულ კარგად მოწყობილ მამულში. ერთხელ სურამში ყოფნა მომიხდა, სადაც კოტე შემხვდა და თავისთან მიმიწვია. კარგად იყო მოწყობილი. დიდი, ორსართულიანი სახლი, მაღლობ ადგილზე გაშენებული, ფართო კარ-მიდამოთი, რომლის შუა-გულში ცივი მთის წყარო გამოჩუხჩუხებდა მილიდამ, - ზემოდამ დაჰყურებდა ტაშისკარს[651] დოღლაურს[652] და მთელ ქართლის დაცემულ გაშლილს ადგილს. ძველებურად ფართო, გრძელ, ზემო სართულის აივანზე იდგა დიდი დურბინდი, რომელიც დიმიტრის პარიზში ყოფნის დროს შეეძინა.[371] როდესაც კი დიმიტრის ქვიშხეთში მოუხდებოდა ყოფნა, ამ დურბინდში ხშირად უყვარდა თურმე გახედვა და რა დაინახავდა ვისმე, კარგა შორს მანძილზე იმის სახლისკენ მომავალს, მაშინვე პურადი მასპინძელი განკარგულებას გასცემდა, რომ სამზადისს შესდგომოდნენ სტუმრის პატივით დასახვედრად.

კოტეს დედა[75] გენერალ ჭილაშვილის[73] ქალი იყო. თავისი დიდბუნებოვანი ქმარი გაგიჟებით უყვარდა. ეს სიყვარული თითქმის კერპთაყვანისმცემლობას აღწევდა. როდესაც მე გავიცანი, იგი უკვე ღრმად მოხუცებული იყო. იმ დროს დიდი ხანი არ იყო გასული, რაც მისი საყვარელი და სათაყვანებელი დიმიტრი ტრაღიკულად დაიღუპა. ამ ამბავს დიდად ემოქმედნა მასზედ. ისე ღრმად იყო დამწუხრებული, ჩაფიქრებული, შერყეული, რომ გეგონებოდათ, ამ ერთ ფიქრს მისცემია და მთელი მისი არსება ამას შეუპყრიაო. დადიოდა და წამდაუწუმ ნაღვლიანად წამოიძახებდა: „Убили моего божественного Димитрия". ისე არ გაიხსენებდა თავის დიმიტრის, რომ სიტყვა „божественный" არ დაემატებინა.

დიმიტრი ყიფიანის მკვლელობა ასე მოხდა. მოკლულ იქმნა სემინარიის რექტორი.[280] მკვლელი იყო ქართველი ლაღიაშვილი.[525] მაშინ რუსის არქიელად იყო ვინმე პავლე,[283] დიდი მომხრე და, მგონი,

შორეული ნათესავიც მოკლულ რექტორისა. აი, ამ პავლემ დიდად იწყინა და იუცხოვა ეს ამბავი და ბრალი დასდვა მთელ ქართველობას. ენა ჰქონდა მოქნილი, კაცი იყო თავდაუჭერელი, თავხედი. და აი, ერთ კვირა დღეს ქართველი მლოცველებით გაჭედილ სიონის ტაძარში[629] გამოვიდა ეს პავლე არქიელის სამოსელში, კვერთხით ხელში და გაკადნიერებული განრისხებით შელახა და შეურაცხჰყო მთელი ქართველობა. ამ ამბავმა დიმიტრი ყიფიანის ყურამდე მიაღწია, რომელიც მაშინ ქუთაისში სცხოვრობდა, როგორც იმერეთის თავად-აზნაურთა წინამძღოლი.[262] ამ ამბავმა დიდად შეაძრწუნა დიმიტრი, მისმა გულმა ვერ მოითმინა ასეთი შეურაცხყოფა ქართველობისა და მისწერა პავლეს წერილი, სადაც დიდ წყრომას უცხადებდა.[630] პავლემ ითაკილა ასეთი გაკადნიერება და ფიცხლავ დაასმინა, სადაც ჯერ იყო, შესაფერი განმარტებით. მაშინდელ არქიელებს მხოლოდ სახელი ჰქონდათ სულიერი მამებისა, მოძღვრისა, თორემ ნამდვილად კი იგივე ჟანდარმების უფროსები იყვნენ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ჟანდარმების ლურჯ მუნდირის თუ ქუდის მაგიერ, ტანზედ ეცვათ ანაფორა და თავზედ ეხურათ ბერის ბარტყულა.

სამართალი იყო სწრაფი, ხოლო არა მართალი: განუკითხავად, განუსჯელად, სიტყვის უთქმელად, აიღეს და ეს მოხუცებული, დამსახურებული კაცი გადაასახლეს ქალაქ სტავროპოლში,[295] ჩრდილოეთ კავკასიაში, უფლების აღკვეთით, რომ იქიდგან ფეხი მოენაცვლა. დიდ ხანს არ გაუვლია, რომ ეს მოხუცი იქვე მოკლეს. ეს მკვლელობა ისეთი საიდუმლოებით იყო მოცული, რომ სრულებით გაუგებარი დარჩა როგორც მიზეზი, ისე გარემოება ამ მკვლელობისა.[631]

სიცოცხლით სამშობლოს მოშორებული, სიკვდილის შემდეგ დაუბრუნდა დიმიტრი თავის მშობლიურ მიწა-წყალს. დიმიტრის გვამი ტფილისში ჩამოასვენეს და მთაწმინდაში დაასაფლავეს. ქართველობამ თავისი ვალი გადაიხადა. სამხედრო გზით მოსვენებულს ცხედარს აუარებელი ხალხი დაესწრო ჯერ ისევ ქალაქ-გარეთ, საბურთალოზე. პირველ ნამს, როდესაც ბალდახინი მიცვალებულის კუბოთი მოახლოვდა, რაღაც უხერხულობა ჩამოვარდა. არ იცოდნენ, რა ექნათ, პირველად რა უნდა თქმულიყო. აქ ნამოდგა წინ დავით ნიჟარაძე,* ყიფიანის მოადგილე ქუთაისში, მიუახლოვდა ძირს გადმოღებულ კუბოს, შუბლში ხელი ირტყა და ზარით მოსთქვა: ვაი ჩემს თავს, რომ ცოცხალი ვარ და შენ კი მაგ კუბოში გხედავ!

---

* უნდა იყოს : **ალმასხან ნიჟარაძე.** [270] შემდგ.

ეს საკმარისი იყო: უხერხული ნამი გაჰქრა, ყველა ამოძრავდა. რამდენიმე წარმოსდგა წინ სიტყვის სათქმელად. სამღვდელოებამ მცირე პანაშვიდი გადიხადა და პროცესია გამოემგზავრა ქალაქისკენ. ხალხი თანდათან ემატებოდა. გოლოვინის პროსპექტზე (დღევანდელ რუსთაველზე) ტევა აღარ იყო. პროცესიამ დემონსტრაციის ხასიათი მიიღო. მთავარმართებლის[264] სასახლეში[529] იგრძნეს და შეეცადნენ, რომ მიცვალებული აქ მაინც არ გამოეტარებინათ. პოლიციამ გზა გადაუჭრა ხალხს ოპერის თეატრის წინ და უნდოდა ჭავჭავაძის ქუჩისკენ[532] შეებრუნებინა, რადგან, მართალი რომ ითქვას, აქედგან უფრო ახლო იყო მამა დავითის ეკლესია.[555] ხალხი არ ემორჩილებოდა. მაშინ პოლიციამ მიჰმართა წინ მიმძღოლ ქართველ ეპისკოპოზს ალექსანდრეს,[528] შებრუნებულიყო ამ ქუჩით. ეპისკოპოზმა ასე უპასუხა: მე აქ მხოლოდ მღვთის მსახურების წესის აღმასრულებელი ვარ, დანარჩენი მე არ მეკითხება, ეგ ჭირისუფლის ნებაა.

ამ დროს ხალხი უკვე მოზღვავდა და გოლოვინის პროსპექტით წინ წავიდა სასახლისკენ. წესრიგის მიმცემნი იყვნენ ვალ.გუნია[527] და ანდრია ღულაძე,[572] რომელნიც ცხენებზე ისხდნენ და პროცესიას წინ მიუძღოდნენ. მეტად სასაცილო სანახავი და სურათზე გადასაღები იყო ანდრია ღულაძე. ისე იჯდა ცხენზე მოღერებული, ისეთი მბრძანებლობის ხმით იძლეოდა განკარგულებას, მომავალ მეფაეტონეს ისე შესძახებდა: სდეგო, და თვალებს ისე დააბრიალებდა, რომ უნებლიეთ მოგაგონებდათ ლერმონტოვის[656] გენერალს, კავკასიაზე მომავალს ჯარს რომ მოუძღოდა წინ:

Их ведёт, грозя очами,
Генерал седой.[657]

ქალაქის თვითმმართველობის სახლის[658] წინ პანაშვიდი გადაუხადეს, როგორც ერთ დროს ქალაქის თავათ ყოფილს[246] და აქედგან სოლოლაკის[605] და პეტრე დიდის (აწინდელ ძერჟინსკის)[606] ქუჩით მთაწმინდაში აიტანეს და იქ ეკლესიის გალავანში დაკრძალეს...

ნატალია ყიფიანი[659]

მოგონება

დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი მამიჩემის ნათესავი იყო. მე ის ოდნავ მახსოვს - 8 წლისა ვიქნებოდი, როცა ის საქართველოდან რუსეთში გადაასახლეს.

მაგონდება, რომ ჩვენ, პატარაობას, გვეთამაშებოდა და გვეხუმრებოდა ხოლმე. იმათ სახლში უფრო რუსული წეს-ნყობილება

ჰქონდათ მიღებული. ეს გარემოება აიხსნება იმითი, რომ თითონ დიმიტრი ყიფიანი დაიარებოდა და კავშირი ჰქონდა რუსულ მაღალ საზოგადოებასთან და მეორეც იმით, რომ დიმიტრის მეუღლე ნინო,[75] იაგორ ჭილაშვილის[73] ასული, დედით რუსი,[660] აღზრდილი და ნასწავლი იყო რუსეთში და ამიტომ ქართული ენა მეტად სუსტად იცოდა. რუსული ენის შემდეგ მეორე ადგილი ეჭირა იმათ სახლში ფრანგულ ენას. თითონ დიმიტრი ლაპარაკობდა ფრანგულად. ის ორჯერ იყო საზღვარგარეთ[661] სამეგრელოს დედოფალ ეკატერინეს[142] საქმეების გამო, რომლის „ოპეკუნად" იყო დანიშნული მთავრობის მიერ.[492] ეკატერინე დადიანის შვილები სწავლობდნენ პარიზში და სცხოვრობდნენ „ტიულერის" სასახლეში. დიმიტრიმ ჩამოიტანა საფრანგეთიდან მრავალი ძვირფასი ევროპული ნივთები და, სხვათა შორის, სასადილო სერვიზი თავისი ინიციალებით და კიდევ ეკატერინე დადიანის მიერ ნათავაზევი შავი ხის ნესესერი ბრინჯაოს ინკრუსტაციებით, რომელშიც იყო მოთავსებული საპირფარეშო იარაღი; ყველაზედ ამოჭრილი იყო დიმიტრის ინიციალები ქართულ ენაზე. ეს ყუთი დიმიტრის რძალმა, ნინომ,[434] მეორე შვილის ცოლმა, შესწირა თეატრალურ მუზეუმს თბილისში, როგორც იმისგან გამიგია. როცა დიმიტრი მოასვენეს ქ. სტავროპოლიდან თბილისში, მაშინ მე არ ვიყავი იქ. იმისი დასაფლავების შემდეგ ცოლმა დასტოვა თბილისი და გადასახლდა ს. ქვიშხეთში და იქიდან აღარსად არ წასულა. ბევრჯერ უთქვამს, რომ იმას მხოლოდ მკვდარს წაიღებენ იქიდან. ნინოს ანდერძი იყო: „დამასაფლავეთ ღვთიური დიმიტრის გვერდით". ეს ნატვრა აუსრულდა. ის გარდაიცვალა ქვიშხეთში 1901 წ., საიდანაც შვილმა ჩამოასვენა და დაასაფლავა დიმიტრის გვერდით მთაწმინდაში.[662] თბილისში დიმიტრის და მის ცოლს საუკეთესო ბინა ეჭირათ[444] და მათთან დაიარებოდნენ იმ დროის მაღალი საზოგადოების პირები - როგორც რუსები, ისე ქართველები. იმათ სახლში ნახავდით მეფისნაცვალს, ალექსანდრე ჭავჭავაძეს[138] და სხვა დიდკაცებს. რუსეთიდან ხომ ბევრნი ჩამოდიოდნენ იმათ სანახავად - მეცნიერები, სწავლულები, მთავრობის დიდი მოხელეები, მოგზაურები. აგრეთვე, ქვიშხეთში მოდიოდნენ ესენი, როცა დიმიტრი ზაფხულობით იყო ხოლმე იქ. სოფელში საუკეთესო მეურნეობა ჰქონდა: ფერმა, ზვრები, ხილის ბაღები. ადგილობრივი საზოგადოება, მეზობლები - სუმბათაშვილები, აბაშიძეები, ვიზირიშვილები, აბაზ. ძიანი* - მიდიოდნენ სტუმრად. ხშირად იმართებოდა სოფელში წვეულება. ქვიშხეთის სახლი ორსართულიანი იყო, კარგად მორთული. იქვე, სახლთან, პატარა ეკლესია ჰქონდათ,[663] აშენებული ყიფიანების მიერ. დიმიტრის ცოლი ხშირად მოიგონებდა ხოლმე რუსეთის ამბავს, სხვათა

* ასეა ტექსტში. შემდგ.

შორის, იმ შემთხვევასაც, როდესაც ეკატერინეს ინსტიტუტში, სადაც ის სწავლობდა თავის დასთან[74] ერთად, მივიდა ერთხელ პოეტი პუშკინი,[664] როგორ გაუხარდათ იმის ნახვა პატარებს; ისინი მისძახოდნენ „Душка Пушкин" და პოეტმა კი იმათ ყურადღება არ მიაქცია, რითაც ძალიან აწყენინა.

დიმიტრი ყიფიანს ჰყავდა ორი ვაჟი: ნიკოლოზ,[1] კონსტანტინე[440] და ერთი ქალი - ელენე.[247] უფროსი ვაჟი - ნიკოლოზი - მონათლა ვარანცოვის ცოლმა.[89] ის სწავლობდა ჯერ თბილისში, შემდეგ რუსეთში, სადაც დაამთავრა იურიდიული ფაკულტეტი უნივერსიტეტში[665] და ვექილობდა. სწორედ არ ვიცი, რათ დაანება თავი სამშობლოს, გადასახლდა საფრანგეთში და იქ გარდაიცვალა.[666] დარჩა სამი ქალი.[450] მეორე ვაჟმა, კონსტანტინემ, რომელიც ცნობილია, როგორც კოტე ყიფიანი, დაამთავრა უმაღლესი სამეურნეო სასწავლებელი მოსკოვში,[667] მაგრამ ამ დარგში არ უმუშავნია.[668] ის შევიდა ქართულ სცენაზე და სახელი გაითქვა, როგორც საუკეთესო არტისტმა ჩვენი სცენისა. ის კარგად თამაშობდა როგორც ქართულ პიესებში, აგრეთვე უცხოურ პიესებში - შექსპირის,[466] შილერის,[669] ზუდერმანის.[670] ჩამომავლობა არ დარჩა. ქალი დიმიტრისა - ელენე, რომელსაც დედ-მამამ შინ ასწავლეს, გათხოვდა ანტონ ლორთქიფანიძეზე,[441] რომელიც ცხოვრობდა ქუთაისში და იქ ეწეოდა ვექილობას. მამამ მას მისცა მზითევში კარგი მამული - ღირებული 80 000 მანეთად. ლორთქიფანიძეებს შვილები არ დარჩათ.

დიმიტრი ყიფიანს ჰყავდა სამი ძმა: ქაიხოსრო,[10] გიორგი[13] და იოსები.[16] ყველამ თანასწორათ მიიღეს თავიანთ მამისაგან მამული, მაგრამ გიორგის და იოსებს საბოლაოდ ცოტა ჰქონდათ მამული, ვიდრე დიმიტრის და ქაიხოსროს. გამიგია, რომ დიმიტრი, როგორც ფულის მქონე, იძენდა სხვებისგან მამულებს. ამას ავალებდა თავის ძმას - ქაიხოსროს, რომელმაც ბევრი ირგუნა შესყიდვის დროს. დიმიტრის ძმებს მცირე სწავლა მიუღიათ და არც დიდი თანამდებობა სჭერიათ. ქაიხოსრო სწავლობდა თბილისში - მსახურობდა ერთ დროს ტამოჟნაში და შემდეგ ცხოვრობდა სოფელში. ჩამომავლობა დიდი დარჩა. მათ შორის ცნობილია მისი შვილიშვილი ლევან ყიფიანი[495] - ჟურნალისტი და პოეტი, რომელიც რუსულად წერდა. ქალის შვილები - სიმონ კლდიაშვილი[671] - არქიტექტორი და ალექსანდრე (საბა)[672] — ქიმიკოსი-რევოლუციონერი, რომელიც დაიღუპა 1905 წელს კიშინიოვის ებრაელების ცარცვის (Погром) დროს.[673]

დიმიტრის მეორე ძმას, გიორგის, არსად არ უსწავლია და ის მუდამ ცხოვრობდა ქვიშხეთში. იმისმა შვილმა, ანტონმა,[14] დაამთავრა უმაღლესი სამხედრო სასწავლებელი და ცხოვრობდა და მსახურობდა რუსეთში.

მესამე ძმაც - იოსები - ცხოვრობდა ქვიშხეთში. ეს იყო პაპაჩემი. მამაჩემი - იოსები[19]- ჯერ სწავლობდა მოსკოვში, კადეტთა კორ-

პუსში და სწავლა შემდეგ დაამთავრა ქუთაისის გიმნაზიაში. ცოლად ჰყავდა ნინო სოლომონის ასული რჩეულიშვილი,[674] მწერალ გრიგოლ რჩეულიშვილის[675] ძმისწული. ჩვენ სამნი ვიყავით. ძმა - ვასილი[18] - ადრე მოკვდა. და ჩემი - მარიამი[676] - გათხოვილი იყო ანდრია თუხარელზე[677] (ს. მეტეხი[678]).

დიმიტრი ყიფიანის მამა - ივანე[6] - იყო მემამულე. არსად არა მსახურობდა.[679] ცოლად ჰყავდა ბარბარე - ფურცელაძის [ქალი].[7]

23. XII.1943

დავით დავითაშვილი[680]

დიმიტრი ყიფიანი როგორც ქართველი პატრიოტი

დიმიტრი ყიფიანში გაერთიანებული იყო რუსეთის მონარქიზმის ერთგული მსახური და თავდადებული ქართველი ნაციონალისტი, პატრიოტი. იგი ცხოვრობდა იმ დროს (1814-1887 წწ.), როდესაც საქართველო განიცდიდა რუსეთის ტახტის მოხელეთაგან ყოველგვარ დუხჭირს და დამცირებას და ყიფიანი ამ რუსეთის ადგილობრივი ხელისუფლების რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლას აწარმოებდა. სწორეთ ამ ნიადაგზე მოუხდა ბრძოლა ჩვენი სამშობლოს დამაწყევართან - საქართველოს ეკლესიის თავთან - ექზარხოს პავლესთან,[263] რის შედეგად იგი გადასახლებულ იქმნა ქ. სტავროპოლში და შესყიდულ ხულიგნების ხელით გირებით[249] მოკლულ იქმნა მძინარე.[681] იმ დროის საქართველოში ეს მოსალოდნელი იყო და აი, რათ:

რუსეთის მმართველ წრეებსა და ქართველ ხალხს შორის ანტაგონიზმი მძვინვარებდა. მეფისნაცვალი-მთავარმმართველი დონდუკოვ-კორსაკოვი,[264] საქართველოს ეკლესიის თავი - ექზარხოსი პავლე და ამიერკავკასიის სამინისტრო სკოლების მზრუნველი იანოვსკი[542] შეადგენდნენ იმ ტრიუმვირატს, რომელიც გეგმავდა საშუალებათ, თუ რით მიეყენებინათ ზიანი საქართველოსთვის. მათი აშკარა მავნებლობითი მოქმედება ყველამ იცოდა და ალბათ ამან წარმოშობა იდუმალად ხალხში გავრცელებული დაახლოებით შემდეგი ლექსი:

„მოლამ (ექზარხოსი), ყადმა (მთავარმმართველი) და ჰაჯიამ (მზრუნველი იანოვსკი) შეკრეს კავშირი ძლიერი, [რათა] მთლად გაანადგურონ ქართველი ერი:

მოლამ სთქვა: მიხმარ ხალაო,
მათ შჯულის შესაბღალავად
უნდა ვიხმარო ძალაო...

ჰაჯიამ უთხრა: აფერუმ, მეც თანაუგრძნობ მაგასო,
მთლად სკოლებს გადავაკეთებ
ხალხისთვის ვირის ბაგათო!..."[682]

თევზი თავიდან ყროლდებაო, ნათქვამია, და ამის შემდეგ რა გასაოცარია, რომ დაბლა მდგომი რუსეთის ტახტის ხელმძღვანელებიც თავხედობდნენ და, სადაც შესაძლებლობა ეძლეოდათ, ცდილობდნენ ხალხის დამცირებას, ენის დევნას და მოსწავლეთა შორის ქართული წიგნებისა და გაზეთების კითხვის აკრძალვას. განსაკუთრებით ამაში გამოირჩეოდა თბილისის სასულიერო სემინარია, საიდანაც არაერთი და ორი მოწაფეთაგანი ამ „დანაშაულობისათვის" სასწავლებელს გამოესალმა და ისიც ისე, რომ სხვა სასწავლებლებში შესასვლელად კარი ეხურებოდათ. ამ ნიადაგზე მოწაფეთა შორის იბადებოდა შურისძიება მდევნელთა მიმართ. სემინარიის არსებობის ისტორიაში ყოფილა ფაქტები სასწავლებლის ადმინისტრაციის ზოგიერთ პირთა ფიზიკური შეურაცხყოფისა. ერთი მრავალ ფაქტთაგანი იყო თვით რექტორის - ჩუდეცკის[280] - გალახვა მონაფე სილიბისტრო ჯიბლაძის[683] მიერ 1885 წ.; ჯიბლაძე, რასაკვირველია, გასამართლებულ იქმნა და გადასახლებული ცივ ქვეყნებში, მაგრამ ჩუდეცკის ბედი ამით არ დამთავრდა - იგი 1886 წ. მოკლა ყოფილმა მონაფემ ლაღიაშვილმა.[525] თუ რამდენად ღრმად იყო გამეფებული მძულვარება, შეგვიძლიან შემდეგი მოქმედებით წარმოვიდგინოთ. ჯიბლაძემ თმები და წვერები რომ აგლიჯა რექტორს, შემდეგ მონაფეებმა ეს წვერები და თმები კონვერტში ჩასდეს წარწერით - „Твоя от твоих, тебе приносяще от всех и за вся"... ნიშნი მიუგეს, რომ შენი თავიდან მოგლეჯილ ბალახს შენვე გიბრუნებთ ჩვენ, შენი ნამოქმედარისთვისაო... მოკვლის შემდეგ კი - 1886 წ. - საფლავზე, ალექსანდრე ნეველის ეკლესიის[684] ეზოში, ჯვრის ქვეშ დაყარეს ოთხი მკვდარი ძაღლის ლეკვი და წააწერეს: „Пастырь добрый полагает душу свою за овцы своя!..."; ერთის სიტყვით, სემინარიის ხელმძღვანელთა და მონაფეთა შორის უძირო უფსკრული არსებობდა.

მოკლულ ჩუდეცკის სულის მოსახსენებლად სიონის ტაძარში[685] გარდახდილ იქნა პანაშვიდი, რომელსაც მრავალი ხალხი დაესწრო. ამ წესის შესრულების დროს საქართველოს ექზარხოსმა პავლემ თავის სიტყვაში დასწყევლა ის ქვეყანა, რომელშიაც წარმოიშვა მკვლელი. ამ ამბავმა დიდათ აღაშფოთა ქართველობა. ხმამ მიაღწია დიმ. ყიფიანამდეც. მან დაუყოვნებლივ მისწერა წერილი ექზარხოს პავლეს და განუცხადა, რომ საქართველოს დაწყევლის შემდეგ მას არა აქვს უფლება, დარჩეს „მწყემსად" დაწყევლილ სამწყსოში; თანაც დასძინა - თუ წყევლის ფაქტი სინამდვილეს არ შეიცავს, თავმდაბლად ბოდიშს მოვიხდი თქვენ წინაშე და ვეამბორები მარჯვენასა თქვენსაო...[630] წერილი თითქოს სამართლიანი და მო-

საზრებული იყო. მას არ უნდა გამოეწვია რაიმე ექსცესები, მაგრამ ეს ასე არ გამოვიდა. ექზარხოსმა პავლემ წერილი გააქანა მთავარმართებელ დონდუკოვ-კორსაკოვთან და მან, ალბათ, ზემოხსენებულ ტრიუმვირატის გადაწყვეტილებით, ყიფიანი ადმინისტრაციულად გადაასახლეს ქ. სტავროპოლში[295] და მოათავსეს სასტუმროში,[613] რასაკვირველია, ზედამხედველის მეთვალყურეობის ქვეშ. ჩვენ ვიცით და, ცხადია, ტრიუმვირატის წევრებმაც იცოდნენ, რომ ყიფიანი ასე უბრალოდ არ დაემორჩილებოდა და, როგორც [ქუთაისის] თავად-აზნაურთა საგუბერნიო წინამძღოლი,[262] ხმას მიანვდიდა მეფეს,[686] საიდანაც მოსალოდნელი იყო საყვედურის მიღება. შესაძლებელია, ამან აფიქრებინათ რადიკალური ზომების მიღება ყიფიანის მოსასპობად - აიღეს და შესყიდული მკვლელების საშუალებით სიცოცხლე მოუსპეს, ძილში მყოფს გირებით თავი გაუჭეჭყეს. ამ უმაგალითო მხეცობამ ქართველობაში დრტვინვა გამოიწვია. გადასწყვიტეს, ნეშტი სამშობლოში მოესვენებინათ და კიდევაც სისრულეში მოიყვანეს თავიანთი განზრახვა. საუკუნო სავანე აურჩიეს მამა დავითის ეკლესიის[655] გალავანში. მიცვალებულს ხალხი დაუხვდა თბილისში საჯვარესთან[580] (სადაც დღეს აბრეშუმის ფაბრიკაა) და ქალაქგარეთ. პროცესიას წინ უძღოდა არტისტი ვალ. გუნია[527] და იმ დროს საზოგადო მოღვაწედ ცნობილი ანდ. ღულაძე.[574] პროტესტის მიზნით მათ უნდა გაეტარებინათ მიცვალებული სასახლის[529] წინა. მამა დავითის ქუჩას[687] რომ მიუახლოვდნენ, გუნიასთან მივიდა პოლიცმეისტერი[530] წინადადებით, რომ პროცესია მარჯვნივ შებრუნებულიყო ამ გზით. გუნიამ არ შეასრულა ეს წინადადება, განაგრძო მსვლელობა პირდაპირ. პროცესია მიუახლოვდა პირველ გიმნაზიას[375] (ქვაშუეთის[570] გასწვრივ). აქ წინმავალ ეპისკოპოზს ალექსანდრეს (გვარად ოქროპირიძეს)[528] მიეგება გუბერნატორი (მგონი, ორლოვი[688]) და სთხოვა უკანასკნელს, მარჯვნივ, გიმნაზიის გვერდით, გაბრუნებულიყო. ეპისკოპოზმა უპასუხა: „მე საზოგადოებამ მომიწვია და მათ მიერ დანიშნული გზით უნდა ვიაროო". განაგრძო გზა. სასახლის წინ, სადაც ეხლა მუზეუმის[689] კიბეა, დაასვენეს მიცვალებული და შეუსრულეს საეკლესიო წესი. სასახლის შენობაში ფანჯრები ჩახურული იყო, ფარდები — ჩამოშვებული. აქედან პროცესია ერევნის მოედნისაკენ[604] გაემართა, სასახლის ბაღის უკანა კედლით გაიარა და მამა დავითის ქუჩით ეკლესიისაკენ ნავიდა. ხალხი უამრავი იყო და ეკლესიის ეზოში მისი მეათედი ნაწილიც ვერ დაეტეოდა; მოეფინა მთას და მთლად დაფარა იგი. სიტყვის თქმა აკრძალული იყო. ხალხი მოელოდა, რომ მიცვალებულს ჩაასვენებდნენ შეუჩერებლივ. მოულოდნელად გაისმა ხმა - „სიჩუმე, სმენა!...". მთაზე შეფენილი და ეზოში მყოფი ხალხი დასდუმდა. გამოვიდა აკაკი წერეთელი[404] სიტყვით; პროზით დაიწყო და ლექსით დაათავა. ლექსის იმ ადგილას, სადაც იყო ნათ-

ქვამი: „ქვა დაჰკრეს, თავი გაუპეს და სპეტაკ წვერზე წვეთ-წვეთად, სისხლსა აფრქვევდა მდულარეს...",[690] ხალხმა ისე ამოიხვნეშა, რომ სულ გულ-გვამი თან ამოაყოლა... აკაკიმ სიტყვა ასე დაამთავრა - „კიდევ დიმიტრი თავდადებული"... ამით დამთავრდა პროცესია და ხალხი დაიშალა უჩუმრად. ამბობენ, რომ სიტყვის თქმისთვის აკაკი დააჯარიმეს 30 მანეთით.[691]

გიორგი ტატიშვილი[692]

მოგონებანი

პირადად მე დიმიტრი ყიფიანს ვიცნობდი 8 წლის ყმაწვილობიდან. ჯერ ჩემი და - ნინო[434] - მის შვილს კოტე ყიფიანს,[440] არ შეერთო, რომ ხშირად დავდიოდი თვეობით დეიდაჩემ მონიკოსთან,[693] რომელიც იყო ცოლი დიმიტრის ძმისწულის, ვასილისა[18] და, შემდეგ ჩემი დის შერთვისა, ხომ თითქმის ერთად ვცხოვრობდით.

დიმიტრი ყიფიანი იყო გარეგნული შეხედულებით შუატანის კაცი; მშვენიერი შეხედულების ადამიანი. როცა ის უკან ხელებდადებული თავის აივნის გარშემო სეირნობით დადიოდა, უსათუოდ რაღაცაზედ ფიქრობდა, რის შემდეგ შევიდოდა თავის კაბინეტში და საქმიანობდა. ძალიან ბევრს კითხულობდა და წერდა. ყველამ არ იცის, რომ დიმიტრი ყიფიანი დიდად მომზადებული პიროვნება იყო, დიდად განათლებული და ზედმიწევნით მცოდნე რუსულის, ქართულის, ინგლისურის და ფრანგული ენებისა.[694] იყო დიდად ჭკვიანი, პატიოსანი, დიდად თავმოყვარე და დიდად დიდი პატრიოტი. ყმაწვილებს მუდამ გვარიგებდა: ისწავლეთ და გამოადექით თქვენს მშვენიერ, ტურფა სამშობლოს, იყავით მართალნი, პატიოსანნი, მოსიყვარულენი მოყვასისა და თქვენი ერისა. გიყვარდეთ სხვა ერებიც და იყავით პატივისმცემელნი მათი. ხშირად გვაგონებდა თავმდაბლობას და მორჩილებას უფროსისადმი. ყმაწვილებს რომ დაგვიწყებდა მუსაიფს, უსათუოდ გვაცნობებდა სამშობლოს ტანჯულ ნარსულს და აწმყოსაც - თვითმპყრობელობის დროს არანაკლებ ჩაგრულს და შეურაცხყოფილს. მისი ცდა იყო, ჩაენერგა ყმაწვილებში სამშობლოს დიდი სიყვარული, შეიარაღება სწავლა-განათლებით და შეგნებული ძალით, სამშობლოს მტრისაგან დაცვა და კულტურულად აყვავება მისი.

გლეხებთან მუსაიფი ძალიან უყვარდა. ხშირად მოდიოდა მასთან გლეხკაცობა და თავის ჭირ-ვარამს შესჩიოდა. დიმიტრი, თავის მხრივ, დაამშვიდებდა ხოლმე, მისცემდა სათანადო რჩევა-დარიგებას. გლეხებს მუდამ ეუბნებოდა: თუ ვინმემ გაგაჯავროთ, - მთავრობის მოხელე იქნება ის თუ ჩემი ოჯახის წევრი და თანამ-

შრომელი, - მოვიდე თუ არა სახლში, მაშინვე მაცნობეთო. გლეხები ასეც იქცეოდნენ და მათი საქმეც კარგად მიდიოდა, რადგან მთავრობის მოხელეებმა იცოდნენ, რომ დიმიტრი ყიფიანი იყო მათი [გლეხების] მფარველი და ამიტომ ვერავინ ვერას უბედავდა. მისი ოჯახის წევრთაგანი გლეხის შევიწროებას არავინ დაუშვებდა და მოურავიც ისეთი ინტელიგენტი პიროვნება ჰყავდა, რომ ის გლეხთა შევიწროებას არ იკისრებდა. ეს გახლდათ მებაღეობის ცნობილი გამავრცელებელი გორის მაზრაში ისაია ფურცელაძე,[695] რომელმაც შემდეგში სოფ. მერეთში[4] რამდენიმე ათეული ჰექტარი ხილის ბაღი გააშენა ევროპული ჯიშებისა. ეს ფურცელაძე დიმიტრი ყიფიანის ახლობელი ნათესავი იყო დედით. თუ არ ვცდები, მგონი, დედის ძმისწული იყო. ამ ფურცელაძეს ჰქონდა გათავებული საბაღოსნო სკოლა. დიმიტრი ყიფიანს ეს ისაია ფურცელაძე დიდხანს ჰყავდა მოურავად. ქვიშხეთში გაშენებული ხილის ბაღი და ზვარ-ენახები დიმიტრი ყიფიანისა, ამ ფურცელაძის მიერ იყო გაშენებული. ბოლოს ისაიამ გადაწყვიტა, მეხილეობის კულტურა შეეტანა დიდი და პატარა ლიახვების ხეობაში, რაზედაც დიმიტრი ყიფიანმა ფულით თუ საქმით დიდად ხელი შეუწყო და დაასახლა სოფ. მერეთში, სადაც დანიშნეს იქაურ სასნავლებლის მასნავლებლად. ამ ფურცელაძემ თავისი დაფანტული პატარ-პატარა ნაჭრები მინისა გაუცვალა თავის სახლიკაცებს. ზოგს ერთიორად მისცა, ზოგს ერთისამად და შეადგინა ერთი დიდი ნაკვეთი მინისა, ზომით რამდენიმე ათეული ჰექტარი, რაშიც გააშენა ევროპული ჯიშების ხეხილი და ხილეულობის სანერგე, გასავრცელებლად ქართლში. ისაიამ მიაღწია დიმიტრი ყიფიანის დახმარებით თავის მიზანს და მისი მოწყალეობით დღეს ქართლი პირველია მეხილეობაში. ისაია ფურცელაძეს ცოლ-შვილი არა ჰყავდა და ეს დიდად მშვენიერი და შემოსავლიანი ბაღი რამდენჯერმე სცადა, გადაეცა თავადაზნაურობის დეპუტატთა სამმართველოსათვის* იმ პირობით, რომ მისივე სიცოცხლის დროს გაეხსნათ შიგ სამეურნეო სასნავლებელი, რაზედაც სათანადო დადგენილებაც ჰქონდა დეპუტატთა სამმართველოს, მაგრამ შეუძლებლობის გამო სამმართველომ ეს ვერ მოახერხა. მალე გარდაიცვალა ისაია ფურცელაძეც და დღეს ამ დიდებული ბაღით სარგებლობს საბჭოთა მეურნეობა.

დიმიტრი ყიფიანს ისაია ფურცელაძემ გაუშენა დღევანდელი ბორჯომის რკინიგზის ქვიშხეთის ბაქნიდან მთამდე ღობით შეფენილი ზვარი 13-15 ჰექტარამდე, მშვენიერი ჯიშის ვაზით; ზვარშივე იყო გაკეთებული საკალმახე, რომელიც სარგებლობდა გვერდით მქონე დიდი, ცივი ნყაროთი. ეს საკალმახე მუდამ ბევრ და გემრი-

* უნდა იყოს: თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულო. შემდგ.

ელ კალმახს იძლეოდა. ამ ზვარში იყო აშენებული სახლი, რომელ სახლშიც ცხოვრობდა ორი მეზვრე: დათია ხახნელიძე[455] და ოქრო ჭანკოტაძე.[696] ეს ზვარი უფრო ზარალს აძლევდა, ვიდრე შემოსავალს; მისი შემუშავება ფურცელაძის შემდეგ უფრო მეტი ჯდებოდა, რადგან ეს მებაღეები და მათი მუშები იყვნენ ჯამაგირით, ზვრის პატრონის ჭამა-სმით. სახლის წინაც გაშენებული ჰქონდა კარგი ჯიშის ვენახი და ეკლესიის გვერდით - შესანიშნავი ხილით გაშენებული ბაღი. მშვენიერ ეზოში გაკეთებული ჰქონდა მშვენიერი აუზი, შიგ მუდამ მტკვრის თევზით. აქვე გამოყვანილი იყო დიდებული წყარო, რომლის ნაკადულიც გამოდიოდა საციებელ ოთახში და მიდიოდა აუზში. გარდა ცხენებისა ეტლისათვის, სხვა პირუტყვს ძალიან ცოტას ინახავდა, რადგან ეს მშვენიერი ეზო ბაღ-ვენახით, არ აძლევდა ნებას მეტის ყოლისა და თუ ხარებს და ძროხებს გაიჩენდნენ, ინახავდნენ ზვარში. დანარჩენი მამულიც დიმიტრი ყიფიანს ბლომად ჰქონდა - პირადად შეძენილი. მთა და ბარი ხუთი ათას ჰექტარამდე ჰქონდა. ეს მამული ჰქონდა შეძენილი შემდეგნაირად:

ერთი უშვილო ავალიშვილისაგან[697] ჰქონდა ნაყიდი 1/10 თუ 1/12, არ მახსოვს, ნაწილი ბორჯომის მამულისა. როცა ბორჯომის მამული გადავიდა სახელმწიფოდ და მის მაგივრად ავალიშვილებს დაუტოვეს ბრეთის[509] მამული და დაუნიშნეს 5 000 მანეთი პენსია წელინადში, ეს მამული აჩუქეს დიდ მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს.[191] დიდმა მთავარმა, მიხეილმა, დ. ყიფიანი დაიბარა ბორჯომში და შესთავაზა თავის წილში ბორჯომის მამულისა, მიეღო სახელმწიფო ტყეები: წიფა,[698] ლიხი[699] და ჩუმათელეთი,[700] და თუ მინდორიანი მამული უნდოდა: დირბი,[701] მოხისი[702] და ქვენატკოცა.[703] დიმიტრის ეპასუხნა: ჩვენ ეხლა ორთავენი გორის მაზრის აზნაურები ვართო და რა გვიშავს, რომ ერთად ვიყვეთ და ვიუფლოთო. მაშინ ხუმრობით ეთქვა მთავარს: თუ ნებით არა, ძალით ჩამოგართმევენო. ეს ისე სწყენოდა დიმიტრის, რომ გაჯავრებული ამდგარიყო, წამოსულიყო და კარები დიდად გაეხათქუნებინა. ეს რომ შეამჩნია მთავარმა, დასამშვიდებლად და დასაბრუნებლად დაადევნა ჰოფმაისტერი, მაგრამ დიმიტრი არ დაბრუნდა, ჩაჯდა თავის კაბრიოლეტკაში, რომელიც იქ ელოდა და ქვიშხეთს წამოვიდა. იქიდან მისწერა ჰოფმაისტერს: რადგან ძალა კანონი ყოფილაო, გადაეცით მთავარს, რომ ბორჯომის მამულის სამაგიეროდ ვიღებ ტყიან მამულებს: წიფას, ფონას[704] და ჩუმათელეთსო.

როგორც მოგახსენეთ, დიმიტრი ყიფიანს ამ მამულში ჰქონდა ერთი მეათედი წილი — ნაყიდი ავალიშვილისაგან. დიმიტრი ყიფიანს ჰქონდა ნაყიდი 1/12 ნაწილი ერთ-ერთი აბაშიძისაგან,[705] რომელი ნაწილისაგანაც მას ჰქონდა ტაშისკარი,[651] სანინო-ჭაჭარაქი (ახალდაბა)[706] და ქვიშხეთი. ამ მამულებიდან წიფა და ქვიშხეთის

ნანილი სახნავი მამულებისა დაუთმო თავის ძმისწულებს და თვითონ დარჩა ხუთი ათას (5 000) ჰექტარამდე, ტყე უმთავრესად და სახნავი მამულები. მამული ჰქონდა დუშეთის მაზრაშიც - მილახვრიანთკარში,[70] ცოლის[78] მამული და დიდი სასახლე (უძახდნენ „ზამოკს"). მამული შეიცავდა ათას ჰექტარამდე. ამ დიდ მამულში გლეხებიც ბევრნი ცხოვრობდნენ, რომელნიც ძალიან ნაკლებ გადასახადებს იხდიდნენ, ვიდრე სხვა მემამულეებისა.

ვიმეორებ, თავის გლეხებთან დ. ყიფიანს დიდად კარგი დამოკიდებულება და თითქმის ერთობა ჰქონდა. აგრეთვე, სხვა მემამულეთა გლეხებთანაც კარგი დამოკიდებულება ჰქონდა და ყველანი თავიანთ გაჭირვებას უსათუოდ დიმიტრის შესჩივლებდნენ და სთხოვდნენ რჩევა-დარიგებას.

პირველად რომ საქართველოში სალდათების გაყვანას აპირებდნენ, ერთ დღეს მთელი ეზო ქვიშხეთისა ახლომახლო სოფლების გლეხებით გაივსო. ამ დროს კოტე, — შვილი დიმიტრისა, - შინ იყო და მეც იქ დავესწარი. კოტემ რომ დაინახა შეგროვილი ხალხი, გავიდა მათთან და ჰკითხა: ხალხნო, რა გაგჭირვებიათო?

— გავიგეთ, ბატონი დიმიტრი თბილისიდან მობრძანებულა და გვინდა მისი ნახვაო.

კოტე ავიდა თავის მამასთან მეორე სართულზე და მოახსენა ხალხის სურვილი. დიმიტრი მაშინვე ჩამოვიდა გლეხებთან. გლეხებს ნინდანინ თავიანთ შორის აერჩიათ ორი კაცი, რომლებსაც უნდა ელაპარაკათ დიმიტრისთან. დიმიტრიმ ყველას საერთო სალამი უძღვნა და ჰკითხა: ხალხნო, რა გაგჭირვებიათო? ხალხმა უპასუხა: ბატონო დიმიტრი! გაჭირვება დიდი გვადგია, რაზედაც ლაპარაკი თქვენთან ექნებათ აი, ამ ჩვენ მიერ ამორჩეულ კაცებსო.

ამის შემდეგ არჩეული ორი კაცი - პავლე სუთიაშვილი და პეტრე ხაჩიძე[78] - წარმოდგნენ წინ: ბატონო დიმიტრი! ჩვენს შვილებს სალდათად გაყვანას უპირებენ და გაგზავნას ციე რუსეთში, საიდანაც ნახევარი ცოცხალი არ დაბრუნდება, რადგან იქაურ ციე ჰაერს ვერ აიტანენ. გთხოვთ, დაგვეხმაროთ და უბედურება თავიდან აგვაშოროთ.

დიმიტრიმ ცოტა ხნის დაფიქრების შემდეგ უპასუხა: ხალხნო! უნდა გაგიტყდეთ, რომ მე თითონ მომხრე ვარ იმისა, რომ ჩვენმა ხალხმა იარაღის ხმარება ისწავლოს. ერთი თოფიანი მტერი რომ სოფელში შემოგვივარდეს, ერთმა არ ვიცით იარაღის ხმარება, რომ მტერი მოვიგერიოთ. საერთოდაც, ჩვენთვის საჭიროა იარაღის ხმარების ცოდნა, ბევრნაირი მოულოდნელი ამბებისათვის. ასე რომ, თქვენც ჩემსავით უნდა ფიქრობდეთ და შეურიგდეთ ამ გარემოებას. რაც შეეხება რუსეთში ნაყვანას იქ სასწავლებლად, ამისი მეც წინააღმდეგი ვარ, რადგან ალაგობრივადაც კარგად შეიძლება

სალდათის განვრთნა, რაზედაც გაძლევთ სიტყვას, ძალიან ვეცდები, რომ ამ მართლაცდა უბედურებისაგან კი დაგიხსნათ.

ამ დაპირებით ცოტა არ იყოს დაიმედებული გლეხები, - გამოეთხოვნენ-რა მადლობით დიმიტრის, - ნელ-ნელა ბაასით და მსჯელობით დაიშალნენ. რამდენიმე პატივსაცემი, დამსახურებული გლეხი და ამორჩეული კაცები დაიტოვეს სახლში პატივსაცემად და მათთან მოსალაპარაკებლად, რომ გლეხები უკმაყოფილონი არ დარჩენილიყვნენ დიმიტრის აზრზე და პასუხზე. ვისი მიზეზით, ეს არ ვიცი, მართლაც, რუსეთში სალდათის ნაყვანა საქართველოდან რამდენიმე წელიწადი შეჩერებული იყო.

დიმიტრი ივანეს ძე დიდად მორწმუნე კაცი იყო. აღდგომა ღამეს, მთელი ფორმით გამოწყობილი, უსათუოდ ლიტანიას და წირვას დაესწრებოდა. როცა წირვა გათავდებოდა, - ემთხვეოდა რა ჯვარს, - მღვდელს გვერდით ამოუდგებოდა და ჯვარზე მთხვეულ გლეხობას ულოცავდა ქრისტეს აღდგომას და სამჯერ ჩვეულებისამებრ პირზე აკოცებდა. მოურავი ეკლესიის კარებთან იდგა და ღირსეულ გლეხებს დიმიტრისთან იწვევდა გასახსნილებლად.

დიმიტრის სიდიდეს ამშვენებს კიდევ მისი დიდი თავმოყვარეობა, სიამაყე და გულადობა. სადაც საჭირო იყო, მას სასჯელი და სიკვდილი არ შეაშინებდა - რომ სათანადო პასუხი არ გაეცა, არ შეეძლო. დიმიტრის თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ნინამძღოლობის დროს[62] კარდანახელმა კოხტა აფხაზმა[222] მიმართა დიმიტრის თხოვნით, ეშუამდგომლა მის მეგობარ ილარიონ ფორაქაშვილის[226] წინაშე, გადაედო მისი მამულის საჯაროდ გაყიდვა, რომელიც აღწერილი ჰქონდა ფორაქაშვილს ორმოცი ათას (40 000) მანეთად და დაეცადა ორი თვით, რა დროშიც ის ამ ვალს გადაუხდიდა.

დიმიტრიმ დაიბარა ეს მეგობარი ფორაქაშვილი და სთხოვა, შეეწყნარებინა აფხაზის თხოვნა. ფორაქაშვილს ეპასუხნა დიმიტრისათვის, რომ აფხაზი ამ ორ თვეში ვალს არ გადამიხდის, რადგან იმას არავითარი საშუალება არა აქვსო და რომ ჰქონდეს კიდეც, სრულიად არ ფიქრობს ამ ვალის გადახდასო. შეიძლება თქვენი საქმეში ჩარევით და თქვენი ხათრით იზრუნოს რამეო. მე ხომ იმას არ ვიზამო, რომ თქვენ, უდანაშაულო კაცს, გადაგახდევინო ეს ვალიო. მოდი, მომეცით ვექსილები და ვუთხრათ აფხაზს, რომ თქვენ ხართ თავდები იმისა, რომ ამ ორ თვეში გადაიხდის ვალს. ეგების თქვენი ხათრით რამე იზრუნოს აფხაზმაო და გადაიხადოს ეს ვალიო.

დიმიტრი ენდო ფორაქაშვილსა და დასთანხმდა ამ საცდელ საშუალებას, რაზედაც ფორაქაშვილმა დიმიტრის ორმოცი ათასი მანეთის ვექსილი ჩამოართვა.[388] აფხაზმა ეს ვალი ფორაქაშვილს ვადაზე არ გადაუხადა, რის შემდეგ ფორაქაშვილმა, დიმიტრის დაუ-

კითხავად, ვექსილი გააპროტესტა. დიმიტრიმ რომ ეს გაიგო, შეუდგა ამ ფულის შეგროვებას მოძრავი ქონების გაყიდვით და მამულების ბანკში დაგირავებით.

საზოგადოებამ რომ ეს ამბავი გაიგო, ილარიონ ფორაქაშვილს პროტესტი გამოუცხადა და ყველა კუთხიდან შესარცხვენი წერილებით აავსო. ამას გარდა, ფორაქაშვილის ყველა მეგობარმა დიდი საყვედურები გამოუცხადა და ბევრი სალამსაც აღარ აძლევდა. მაშინ ფორაქაშვილი იძულებული გახდა, ეთხოვნა ორი პატივსაცემი პიროვნებისათვის, წაპყოლოდნენ დიმიტრისთან ასახსნელად, რომ ვექსილს პროტესტი გაუკეთა მხოლოდ იმისათვის, რომ აფხაზს ამის შემდეგ მაინც ეგების ეზრუნა დიმიტრი ივანეს ძის თავდებობიდან განთავისუფლებაზე. ეს სამი პირი დიმიტრისთან რომ მივიდნენ, მან ფორაქაშვილი მოსამსახურეების საშუალებით დერეფნიდან გააგდო. მიყოლილი კაცები კი დიდის პატივისცემით მიეღო და აეხსნა მათთვის, რომ ფორაქაშვილს, თანახმად მათი პირობისა, ნება არ ჰქონდა, მის დაუკითხავად ვექსილი პროტესტში გაეშვა. და რახან ეგ იკადრაო, მე მირჩევნიან გავიჭირვო, გავღარიბდე და გადავუხადო ეს ფული, სანამ მისი ჭუჭყიანი ბოდიშები და ვაჭრულ-ჩარჩული ახსნა-განმარტება გავიგონოო და შემდეგშიც მას კიდევ სალამი ვაძლიო და ხელიც ჩამოვართვაო. ასე რომ, დიმიტრიმ გაღატაკება არჩია, ვიდრე უპატიოსნო კაცის შემდეგში ცნობა. გაყიდა-დააგირავა-რა თავისი ქონება, ეს ამოდენა ფული გადაუხადა ფორაქაშვილს. ამის შემდეგ აფხაზმა თავისი მამული მიჰყიდა შერემეტევს[709] კარგ ფასში, მაგრამ აფხაზს არც მაშინ უზრუნია, დაებრუნებინა დიმიტრისთვის ეს ფული. ასეთი მსხვერპლი გახდა დიმიტრი თავისი თავმოყვარეობისა და პატიოსნებისა. სხვა კაცი უფულო ვექსილობას დაუმტკიცებდა ფორაქაშვილს და ციმბირს აქეთ დაატოვებინებდა, რაც დიმიტრიმ არ იკისრა.[710]

სამეგრელოს მთავრინა ეკატერინეს[142] თხოვნით აპეკუნად დანიშნული დ. ყიფიანი თითქმის ათი წელიწადი იყო, სანამ ობლები ნლოვანები შეიქნებოდნენ.[492] რუსების ხელისუფლებას რომ ობლები არ დაეჩაგრა, [დ. ყიფიანმა] ეროვნული თვალსაზრისის გამო თავისი დიდი თანამდებობა შესწირა და გამოვიდა სამსახურიდან,[711] რადგან მთავრობა უხერხულად სცნობდა, რომ მთავრობის დიდი მოხელე გარეშე პირებისათვის მთავრობასვე ედავებოდეს. დიმიტრი ასე გვიხსნიდა [სამეგრელოს] მთავრის ობლების საქმეს: უკეთუ მცირეწლოვანებს დაუნიშნავდნენ პენსიას ან ერთდროულ თანხას, მამულს სულ ჩამოართმევდნენ; ამიტომ საშიში იყო, რომ ამ ჩამორთმეულ მამულში კოლონიზაცია არ მომხდარიყო რუსეთიდან - ძალიან ბევრი მამული აქვთ მთავრებს, რომელსაც დააშრობდნენ ჭაობებისგან და დიდებულ, ნაყოფიერ მამულს კოლონიზაციისთვის მოიხმარდნენ. ეს იყო ჩემი საფიქრებელი და ამიტომ ვიყავ დიდად

თავგამოდებულიო. ასე რომ, ერთდროული სამთავრო თანხაც გამოვუტანე ბატონიშვილებს და მამულიც საესებით შევუნარჩუნეო. და მართლაც, ამითი ეს მამული დაიხსნა კოლონიზაციისაგან.

კერძო ცხოვრებაში და თავის ოჯახში დიმიტრი დიდად სასიამოვნო პიროვნება იყო. მისი ოჯახიდან ნასვლა ერთნაირ გლოვას ბადებდა და მოსვლა — უდიდეს მხიარულებას და სიამოვნებას. უყვარდა ყველას დასაჩუქრება, როგორც ოჯახის წევრებისა, ისე მოსამსახურეებისა. მასთან ცხოვრება დიდი ბედნიერება იყო, რადგან მისგან ჯერ ბევრ რამეს ისწავლიდი, და მერე შეითვისებდი მის სიუხვეს, პურ-მარილსა, თავაზიანობას; პურადობას ხომ კაცი ვერ აგიწერთ - სუფრაზე მხიარულებას, ოხუნჯობას და რითმებს ბოლო არ ჰქონდა. გულჩათხრობილი კაცი არ უყვარდა. ძალიან გემრიელი პურისჭამა იცოდა და თავისი ზვრის მშვენიერ ღვინოსაც გემრიელად დააყოლებდა. სოფლად მის სუფრაზე თიხის ჩარექებით სარგებლობდნენ. ლაქიად ჰყავდა ქვიშხელი თომა გიგიტაშვილი,[712] გამონყობილი გლეხურ ტანისამოსში, სუფთა წინდა-ქალამნებით.

დიმიტრი სადილად უსათუოდ ერთ ჩაციებულ ჩარექა ღვინოს გამოცლიდა; ნასადილევს, ძილის შემდეგ, მიართმევდნენ ხილს და ზედ ერთ ჩარექა ჩაციებულ ღვინოს დააყოლებდა. უვახშმოდ მათი ოჯახის ძილი შეუძლებელი იყო, რა დროსაც კიდევ ერთ ჩარექა ღვინოს უსათუოდ დააყოლებდა. ეს იყო მისი „პორცია" და მისი გადამეტება შეუძლებელი იყო, რა გარემოებაც არ უნდა შეხვედროდა. ღვინოს სვამდა ისე გემრიელად, რომ ღვინის არმსმელსაც მოანდომებდა; ისე ბუხბუხით, ნელ-ნელა დალევდა ღვინოს, თითქოს რუმბში კოკისპირულად ასხამენო. სიმთვრალემდე არასგზით არც თვითონ მივიდოდა და არც სტუმარს მიიყვანდა.

დიმიტრის ძალიან უყვარდა სტუმრები, რაშიც მთელი ოჯახიც თანაუგრძნობდა. იმ დროს მატარებლები დადიოდნენ სურამის ულელტეხილზე და ხაშურის სადგურზე ორთავ მხრიდან მოდიოდნენ დღის 2-3 საათზე. მატარებლები ხაშურის სადგურიდან რომ დაიძროდნენ, პატარა ხანს უკან ბორჯომ-ახალციხისკენ დაიძვროდნენ ეტლები. ამ დროს ქვიშხეთის ბალკონიდან გაიხედავდნენ გრძელ დურბინდში ფოსტის გზისაკენ და რომ გაარჩევდნენ მათთან მომავალ სტუმრებს, მთელ ოჯახს დიდად გაახარებდა ეს და მაშინვე გაიცემოდა განკარგულება: გაიშალოს სუფრა ამდენ-ამდენი „პრიბორის" ჩამატებით. ეს იყო ხოლმე ზაფხულობით, რადგან ზამთრობით მუდამ თბილისში ცხოვრობდნენ.[444] დიმიტრის ოჯახში აზარტულ თამაშობებს, - ბანქო იყო თუ სხვა რამე, - ადგილი არ ჰქონდა. მის ოჯახში გაიგონებდით: მუსიკის ხმას და ზედ დამღერას, მეურნეობაზე, ეროვნულ საკითხებზე, ლიტერატურაზე და სხვა კულტურულ საგნებზე სჯა-ბაასს. დიმიტრის სამსახურში ყოფნის დროს ოჯახს ქვიშხეთში განაგებდა მისი უფროსი ძმა - ქა-

იხოსრო.[10] რადგან მამაპაპური მამული ცოტა ჰქონდათ, ქაიხოსრო გასასყიდს მამულებს ბევრს შოულობდა. ჩავიდოდა თბილისს დიმიტრისთან და მამულის შესაძენად ართმევდა ფულს. ქაიხოსროს, იმის მაგივრად, რომ ნასყიდობის სიგელში დიმიტრიც მოეხსენებინა, ანდა სულაც დიმიტრის სახელზე დაემტკიცებინა, ამტკიცებდა თავის სახელზე. ერთხელ დიმიტრის ეთქვა თავისი რძლის, ქაიხოსროს ცოლისათვის,[713] რომლებიც იდგნენ სასახლის პირველ სართულზე, გადაეცა ქაიხოსროსათვის, ამოეტანა საბუთები და ანგარიშები მეორე სართულზე დიმიტრისთან. ცოლს ეს რომ გადაეცა ქაიხოსროსათვის, ჭირის ოფლი მოსვლოდა და დააბარა თავის ცოლს, რომ დღეს უქეიფოდ არის და სხვა დროს გადავსინჯოთო. დიმიტრის ეპასუხნა: აღარ შეანუხოთ, მოუარეთ და თუ საჭიროა, ეხლავე ხაშურიდან ექიმს ამოვუყვანთო.

დიმიტრის თავისი ძმის ასეთი საქციელი დამტკიცების შესახებ ჭორად გაეგო და ახლა ქაიხოსროს უცებ ავად გახდომამ სრულიად დაარწმუნა. დიმიტრი მალე თბილისში წავიდა და ქაიხოსრო კი მეორე დღეს გარდაცვლილიყო, რადგან ძალიან ემოქმედნა შერცხვენას თავისი საყვარელი და სახელოვანი ძმის წინაშე.

რასაკვირველია, დიმიტრიმ რომ გაიგო ძმის უბედურება, საშინლად შენუხდა და უფრო მეტად იმაზე წუხდა, რომ მიზეზი ძმის სიკვდილისა იყო მის მიერ ნასყიდობის სიგელების მოთხოვნა. დიმიტრის ძვირად დაუჯდა ძმის სიკვდილი, რადგან, თანახმად ნასყიდობის სიგელებისა, რომ მამულები ეკუთვნის მარტო ქაიხოსროს, მისმა შვილებმა, - მიუხედავად იმისა, რომ დიმიტრის დაზრდილები იყვნენ და იცოდნენ კიდევაც საქმის ვითარება, - დიმიტრი აღარ შეუშვეს მამულის მფლობელობაში და სახლიდანაც კი, - თავისი აშენებულიდან, - დაითხოვეს. ეს ძმისწულები იყვნენ: ყოფილი ნოტარიუსი თბილისისა, იურისტი დავით ყიფიანი,[195] ალექსანდრე,[714] მიხეილი (მასწავლებელი)[715] და ლუარსაბი.[716] აი, ეს ლუარსაბი ჰყავდათ ძმებს გამგედ ამ მამულებისა. ბევრნაირად მიიღო დიმიტრიმ შეურაცხყოფა ამ ძმისწულებისაგან. იქამდე მივიდა საქმე, რომ დასჭირდათ ჩარევა გარეშე ხალხისა, რომლებმაც ამოურჩიეს მედიატორები ისევ თავიანთ ახლობლებს შორის, რომელთაც დაწვრილებით იცოდნენ მათი საქმე. ამათ ჩამოართვეს კანონიერი ხელწერილი მხარეებს და შემდეგ შეუდგნენ საქმის გარჩევას. დიმიტრიმ განაცხადა: მე ვყიდულობდი მამულებს ჩემი ძმის ქაიხოსროს საშუალებით მთელი ჩვენი ძმობისათვის და ეს მამულები უნდა იყვეს განაწილებული თანაბრად ყველა ჩემს ძმაზეო. ქაიხოსროს შვილები კი მოითხოვდნენ, რომ ის მამული, რომელიც შეძენილია ჩვენი მამის საშუალებით, უნდა გაიყოს ორადო, ე.ი. ქაიხოსროს შვილებს ერთი ნილი და დიმიტრის - მეორე ნილი. მედიატორებმა, გარდა იმ მამულისა, რომელიც თვით დიმიტრის შეუძენია,

დანარჩენი მამულიდან პატარ-პატარა ნაწილი მიანიჭეს სხვა ორ ძმას დიმიტრისას და დანარჩენი გაუყვეს შუაზე დიმიტრის და ქაიხოსროს მემკვიდრეებს. დიმიტრიმ თავისი ნაყიდი მამულიდან წიფის მთა (ლიხის) დაუთმო ქაიხოსროს შვილებს იმ პირობით, რომ რაც მედიატორებმა არგუნეს დიმიტრის დანარჩენ ორ ძმას, - გიორგის და იოსებს, - რადგანაც ცოტა იყო, ჩამოეჭრათ დიმიტრისათვის ქაიხოსროს შვილებისათვის ქვიშხეთში ნარგუნევი მამულიდან ნახევარ-ნახევარი წილი და მიემატებინათ სხვა ძმების წილისათვის. მედიატორებმა და ძმისშვილებმა დიმიტრის დიდი მადლობა გადაუხადეს და გაანაწილეს ისე, როგორც ისურვა დიმიტრიმ.

ამის შემდეგ დიდხანს ქაიხოსროს შვილები თავის საამაყო ბიძას ვეღარ ეჩვენებოდნენ. ვიცი კი, რომ მიხეილი ციმბირში რომ გაგზავნეს,[717] მაშინ დიდის ბოდიშით გამოეთხოვა დიმიტრის და ლუარსაბი კი აღდგომა დღეს, რა დროსაც მეც იქ ვიყავი, ვასილ სუმბათაშვილმა[718] (სიძემ ნიკოლოზ ბარათაშვილისა[719]) რომ მიულოცა დიმიტრის ქრისტეს აღდგომის დღე მთელი ქვიშხეთის ინტელიგენციით, სთხოვეს დიმიტრის, ეპატიებინა ლუარსაბისათვის, რომელიც დიდად სწუხს და ნანობს თქვენს წყენინებასაო და სთხოვეს, მიეცა ნება, მოეყვანათ მასთან. დიმიტრიმ იმ საათში შეიწყნარა მათი თხოვნა. მაშინვე გაგზავნეს ლუარსაბის მოსაყვანად ორი ყმაწვილი, რომლებმაც ლუარსაბი შემოიყვანეს დიმიტრისთან. ლუარსაბი ჩოქის თავზე დაეცა და უთხრა თავის ბიძას: ბიძაჩემო, შემინყალე და შემიბრალე მე - უგუნური; შემინდე და მაპატიე შენს წინაშე შეცოდებანი ჩემნიო.

დიმიტრიმ მაშინვე ფეხზე წამოაყენა, აკოცა და უთხრა: შენდობილიყვე ჩამგანაც და ხვთისგანაცო; იმედი მაქვს, კვლავ არავის წინაშე უსამართლობას არ ჩაიდენო. კამპანია გამხიარულდა და ორნაირი დღესასწაულის უქმობაში დიდ მხიარულებაზე გადავიდნენ.

დიმიტრის უფროს შვილს, ნიკოს, ჰყავდა ცოლად გურიის ერისთავის[67] ქალი - ტასო,[106] რომელთანაც ნიკოს ჰყავდა სამი ქალი.[450] შემდეგ ტასო გაშორდა ნიკოს და გაჰყვა ყაზახის ოფიცერს ლაზარევს,[720] რომელთანაც გაუჩნდა შვილები და რადგან ნიკოსთან კანონიერი გაყრილობა არა ჰქონდა ტასოს, ნათლავდა თავის შვილებს ყიფიანის გვარზე. ასე რომ, ერთ ვაჟიშვილს დიმიტრიც კი დაარქვა. დიმიტრიმ, ეს რომ გაიგო, მაშინვე კანონიერად თავისი მოძრავ-უძრავი ქონება გაჰყო სამ ნაწილად. ერთი წილი მიანიჭა კოტეს, ერთი წილი ქალს - ელენეს[247] და მესამედი ნიკოს სამ ქალს, იმ პირობით, რომ ნიკოს თავის სიცოცხლეში მხოლოდ შემოსავლით უნდა ესარგებლა.[721] ასე რომ, ლაზარევთან შეძენილი შვილები

მხოლოდ გვარით დარჩნენ ყიფიანად და მამულიდან კი დარჩნენ ხახამშრალნი.

1886 წლის 24 მაისს სემინარიის მოწაფემ, იოსებ ლაღიაშვილმა[525] ხანჯლით მოკლა რექტორი სემინარიისა - ჩუდეცკი.[280] ჩუდეცკის დასაფლავების დროს საქართველოს მაშინდელმა ეგზარქოსმა, პავლემ,[283] დასწყევლა ლაღიაშვილიც და ის ერიც, რომელმაც ტერორისტი ლაღიაშვილი წარმოშვა. ამაზე ქუთაისის გუბერნიის მარშალმა, დიმიტრი ყიფიანმა,[262] ეგზარხოს პავლეს გაუგზავნა შემდეგი შინაარსის წერილი: თუ ეს წყევლა მართალიაო, „თქვენი თანამდებობის გადარჩენა მხოლოდ იმითი შეიძლება, რომ შეურაცხმყოფელი შეურაცხყოფილი ქვეყნიდან დაუყოვნებლივ იქნეს გაყვანილი. ამას მოგახსენებთ წრფელის გულით თქვენი სამწყსოისა ერთი ნევრი, რომელსაც უნდა, თავიდან ააცილოს ქვეყანას რაიმე ახალი დიდი შეცოდება".[630] ამ წერილის გულისათვის მთავარმართებელ დუნდუკოვ-კორსაკოვის[264] შუამდგომლობით ხელმწიფე ალექსანდრე III-ის[686] მიერ დიმიტრი ყიფიანი გადასახლებულ იქნა ქალ. სტავროპოლში.[295] ერთ დროს, რა დროსაც მეც ქვიშხეთში ვიყავი, დიმიტრი ყიფიანის სახლის ახლოს, ეკლესიასთან,[663] მოვიდნენ გორის მაზრის უფროსი[722] და ხაშურის რაიონის ბოქაული მიხეილ ტერ-აკოპოვი.[723] ტერ-აკოპოვმა კოტეესთან შემოგზავნა ჩაფარი და სთხოვეს, გასულიყო მათთან ძალიან საჭირო საქმისათვის. კოტემ ორთავენი მიინვია თავისთან სახლის პირველ სართულზე და თვითონ ავიდა მაღლა თავისი დის ელენეს ძირს ჩამოსაყვანად. ორთავ და-ძმა ძირს რომ ჩამოვიდნენ, ფერწასულმა მაზრის უფროსმა ძალიან შეწუხებული კილოთი გადასცა ხელმწიფის განკარგულება.[722] ქალიშვილმა, ლოლამ, როგორც დიდმა მოსიყვარულემ თავისი ძვირფასი მამისა, მორთო ტირილი. პატარა ხანს იქით, ცოტა არ იყოს, რომ დამშვიდდა ლოლა, კოტე და ლოლა ავიდნენ თავიანთ მამასთან. დიმიტრის რომ გადასცეს მაზრის უფროსის მასთან მოსვლა, მაშინვე მიხვდა და სთხოვა, ამოსულიყვნენ მაღლა. სადარბაზო ოთახში ყველამ მოვიყარეთ ერთად თავი დიმიტრის გარშემო. შემოვიდა მაზრის უფროსი თავისი ბოქაულით, რომელთაც დიმიტრიმ სალამი უძღვნა და ხელის ჩამორთმევის შემდეგ მაზრის უფროსმა, კანკალით და დიდი მოწიწებით, მიმართა დიმიტრის: თქვენო აღმატებულებავ! მე მინდოდა თქვენთან ხლება მხიარულის გულით და, ჩემდა სამწუხაროდ, გიახლით თქვენთან არასასიამოვნო ამბით. ხელმწიფე-იმპერატორმა ბრძანა, გადასახლდეთ საცხოვრებლად ქალ. სტავროპოლშიო.

დიმიტრიმ დაამშვიდა შეწუხებული მაზრის უფროსი და უთხრა: თქვენი მოვალეობაა, შეასრულოთ ის, რასაც თქვენ გიბრძანებენ. ასე რომ, თქვენ ამაზე არ უნდა წუხდეთ, ხოლო მითხარით,

ხელმწიფის ბრძანებით დღესვე უნდა გავემგზავროო? თუ ასეა, თომა,[712] მოიტა ჩემი ჩემოდანი და ჩამილაგეთ ბარგიო.

მაზრის უფროსმა განუმარტა, რომ დღეს მატარებლები უკვე გავლილებიაო და ხვალისათვის კი უნდა ნაბრძანდეთო.

დიმიტრიმ ეს ამბავი სრულიად არაფრად მიიჩნია. სადილობის დრო იყო; დიმიტრიმ მაზრის უფროსიც თავის ბოქაულით სუფრაზე მიიწვია, მაგრამ არ დარჩნენ, რადგან მაზრის უფროსი (გვარი არ მახსოვს[722]) მართლა გულწრფელად წუხდა თავის მოსვლას ამ ცუდი ამბის გამოსაცხადებლად. ცოლსა და ქალს აუტყდათ ისტერიული ტირილი. კოტემ მაშინვე დეპეშები გაუგზავნა ქუთაისში უფროს შვილს დიმიტრისას - კოლას და სიძეს - ანტონ ლორთქიფანიძეს, [441] რომლებიც მაშინვე მოიჭრნენ ქვიშხეთში და თან ქუთაისის ინტელიგენციაც ძალიან ბლომად მოჰყვნენ.[725] ახლომახლო ნათესაობას და მეზობლობასაც, ვისაც კი გაეგო, ყველანი შეგროვდნენ დიმიტრის გამოსათხოვებლად. მეორე დილით ახლომახლო სოფლების და ქვიშხეთის გლეხობა შეგროვდა დიმიტრის ეზოში გამოსათხოვებლად.

დიმიტრი მაშინვე ჩავიდა გლეხებთან, უძღვნა რა ყველას სალამი, ამხილა ხალხს: ხელმწიფის ბრძანებით მე თქვენ უნდა მოგშორდეთ. იცოდეთ, რომ სადაც უნდა ვიყვე, ჩემი გული თქვენთან და ჩემს ტანჯულ სამშობლოსთან იქნება.

ამ სიტყვების შემდეგ ხალხმა უსურვა მშვიდობით დაბრუნება თავის სამშობლოში - ჯანმრთელობით და გამარჯვებით, რის შემდეგ ერთმანეთში ლაპარაკით ნელ-ნელა დაიშალა ხალხი, დიდად აღშფოთებული და დაღონებული. ერთმანეთს შესჩიოდნენ, თუ ვიღა იქნება მათი პატრონი და დამრიგებელ-დამცველი.

ერთი ამბობს: ეგ დალოცვილი, თვით ხელმწიფესაც არაფერს უთმობს და დასჯიან, მაშ რას უზამენო. მეორე უპასუხებს: დიდი ნასწავლი და ჭკვიანი კაცია, მასთან, დიდგულა და თავმოყვარე, რის გამოც უსამართლობას და ჩაგვრას არავის უთმობსო. მესამე ამბობს: ყველაფრით რომ ჩვენს მთავრობაზე მაღლა დგას, იმიტომ სდევნიან და არ უნდათ მაგისი აქ ცხოვრებაო. მაგ დალოცვილს რომ ისევ დაეთმო მთავრობისათვის, სჯობდა, რადგან მაშინ არც თვითონ დაიტანჯებოდა და ჩვენც უპატრონოდ არ დავრჩებოდითო. მეოთხემ თქვა: კაცია დიმიტრი და კიდევაც კაცობსო. რუსის მთავრობამ თავზე დაჯდომა იცის, თუ დაგიბრიყვაო; ამიტომ დიმიტრი მარტოდმარტო ებრძვის რუსის მთავრობას და არ აძლევს მისი სამშობლოს ჩაგვრისა და საქართველოში რუსების ჩამოსახლების ნებასო.

ასე, სხვადასხვა აზრის გამოთქმით დიმიტრის დიდ ადამიანურ პიროვნებაზე, თანდათან იშლებოდნენ.

მეორე დღეს დიმიტრიმ ჩაალაგებინა ბარგი, რაც მისთვის საჭირო იყო და გაემგზავრა სტავროპოლისკენ.[726] ჩვენ, ნათესაობამ, შევთავაზეთ ჩვენი თავი — რამდენიმე კაცი გავყოლოდით თან სტავროპოლში იმ დრომდე, სანამ იქ იცხოვრებდა, მაგრამ ამაზე დიდი უარი გამოგვიცხადა დიდი მადლობის გადახდით. მაშინ მოუბრუნდა თავისი პირადი ლაქია თომა გიგიტაშვილი და სთხოვა: ბატონო, გევედრებით, წამიყვანოთ მე მაინც თქვენს მოსავლელადო, მაგრამ იმასაც დიდი უარი განუცხადა დიდი მადლობით მისთვის ზრუნვაზე.

ხაშურამდე ასობით ნათესავ-მეზობელმა და გლეხობამ გააცილა; მცხეთამდე—იმერეთის თავადაზნაურობამ და ბევრმა ნათესავ-მეზობელმა. მცხეთაში დახვდა მთელი თბილისის ქართველი ინტელიგენცია, როპელთა შორის სხვა ეროვნებებისაც კი ერივნენ. აქ გაუმართეს პატარა საუზმე, რომლის დროსაც წარმოითქვა მრავალი სიტყვა - გამამხნევებელი დიმიტრისა და ერისა, რომელიც დღეს დიდ ტანჯვა-დევნას განიცდის რუსეთის ხელისუფალთაგან: დონდუკოვ-კორსაკოვის, [განათლების] მზრუნველის იანოვსკის[542] და ეგზარხოს პავლეს სახით და სხვ.

დიმიტრიმ თავის სამადლობელ სიტყვაში წარმოთქვა ყველაფერი, რაც მას გულში ედო; გაათავა შემდეგით: ოლონდ ჩემს სამშობლოს გამოადგეს ჩემი სიკვდილი თუ სიცოცხლე, ყველაფერზე მე მზად ვარო.

ამის შემდეგ ყველამ დაჰკოცნა მოხუცი და ისიც გზას გაუდგა. იქ, ვლადიკავკაზში,[568] დახვდა თავისი ბიძაშვილი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, იქაური მიწის გამიჯვნის სამმართველოს უფროსი მიხეილ ზაალის ძე ყიფიანი,[204] რომელიც ეახლა დიმიტრის სტავროპოლამდე და იქ დააბინავა. ეს მიხეილ ყიფიანი დიდი ყურადღებით იყო დიმიტრის მიმართ და თითქმის მუდამ კვირას ჰქონდა ცნობები დიმიტრის შესახებ. გაეგო რა სტავროპოლისა და ახლომახლო მცხოვრებ ქართველობას, მაშინვე მისულიყვნენ დიმიტრის სანახავად და გასამხნევებლად. იმათაც თურმე ბევრი საჭირბოროტო და გამამხნევებელი სიტყვები უთხრეს მოხუც დიმიტრის, რომლის გული, - შეუდრეკელ-გამხნევებული, - ყველას უპასუხებდა: ოლონდ ჩემს სამშობლოს გამოადგეს ჩემი სიკვდილი თუ სიცოცხლე, ყველაფერზე მე მზად ვარო და თქვენც, სამშობლოდან გადმოხვეწილნი, ნუ დაიფანტებით და გული და სული ისევ თქვენი სამშობლოსკენ გქონდეთო.

თურმე დიდის ბოდიშით შესთავაზეს დახმარება ფულით, რაზედაც დიდი მადლობა გადაეხადა და არასგზით არ მიეღო.

დიმიტრი ყიფიანს ისე უყვარდა თავისი სამშობლო, რომ მის საკეთილდღეოდ სიცოცხლესაც შესწირავდა; ქონებაზე და სამსახურის შეწირვაზე ხომ მეტია ლაპარაკი. ერთხელ ჩემმა დამ, ნინომ,

ჰკითხა დიმიტრის: მამა, როცა თქვენ სამეგრელოს მთავრის[166] მზრუნველად იყავით, სამსახურს თავი რად დაანებეთო.

იმან უპასუხა: რუსეთის მთავრობას უნდოდა მთავრის ობლებისათვის დაენიშნათ პენსია და სამთავროსი კი მიეცათ რაღაც გროშები და მათი შვიდას ათასზე მეტი დესეტინა მამული შეერაცხათ სახელმწიფოდ. ეს მამული რომ სახელმწიფოდ შერაცხულიყო, იქ აუარებელი მინდვრები და ჭაობიანი ადგილებია, რომელ ადგილებსაც დააშრობდნენ და უსათუოდ რუსებით დაასახლებდნენ. მთავრინა ეკატერინე[142] თანახმა იყო მთავრობის წინადადებისა, მაგრამ როცა მე ავუხსენი, რა შედეგიც რუსების გადმოსახლებით მოსდევდა მამულზე ხელის აღებას, დამეთანხმა მე და მოშანდო, საქმე ისე მეწარმოებინა, როგორც მე მესმოდა. მაშინ მე ავიღე შვებულება და წავედი პეტერბურღს,[168] სადაც სამინისტროს მათ წინადადებაზე უარი განვუცხადე და ნარვუდგინე შემდეგი მოთხოვნილება: სამთავროზე ხელის აღებისათვის ობლებს მიეცეთ 2 მილიონი მანეთი და მთელი ის მამული, რაც დღეს ობლების მფლობელობაშია, დარჩეთ საკუთრებად მთავრის ობლებს. პენსიაზე კი უარი განვაცხადე. ეს რომ მინისტრმა წაიკითხა, შემომხედა და მითხრა: თქვენ რუსეთის სახელმწიფოებრივ სამსახურში თვალსაჩინო ადგილი გიკავიათო და თქვენთვის უხერხული უნდა იყვესო, რომ არ იცავდეთ სახელმწიფოს ინტერესს და იცავდეთ მთავრის შვილებისასო. მე ვარჩიე, დამეკარგა სამსახური და შემენარჩუნებინა ობლებისთვის მამული, რომ სამეგრელოს მინდვრები არ გამხდარიყო საკოლონიზაციო ადგილად. იქვე შევედიო კანცელარიაში, ვითხოვე ერთი ფურცელი ქაღალდიო, დავწერე სამსახურიდან განთავისუფლების თხოვნა და შევუტანე მინისტრს საჩვენებლად, რომ აგერ, ამ თხოვნას დღესვე ვგზავნი თბილისში, ვისთანაც ჯერ არს, გამათავისუფლონ სამსახურიდანო.[727] დიმიტრიმ, თუმცა სამსახური დაკარგა, მაგრამ მთავრის შვილებს კი ყველაფერი გაუკეთა და იმათ მამულში არავითარი კოლონიზაცია არ მომხდარა და დღეს ესახლებიან ჩვენივე ხალხი.

ასეთი რწმენისა იყო დიმიტრი ყიფიანი. ის ამბობდა: ჩვენი ყველაფერი უნდა შეეწიროს სამშობლოსო.

დიმიტრი რომ დაბინავდა სტავროპოლში,[613] რამდენიმე ხნის შემდეგ მოიწერა სახლში წერილი, ამხნევებდა ოჯახის ყველა წევრს და ოხუნჯობით თავისებურად ყველას არიგებდა, თუ ვის რა უნდა გაეკეთებინა და ვის რა უნდა ეზრუნა.[728] 1887 წლის გაზაფხულზე, - აღარ მახსოვს, აპრილში თუ მაისში, - დიმიტრისგან მიიღო წერილი მისმა მეუღლემ - ნინომ,[75] რომელშიც სწერდა შემდეგს: „თავს მე კარგად ვგრძნობ, ზამთარიც კარგად გავატარე და გუნებაზედაც კარგად ვარ. ჩემი ჯავრი ნუ გექნებათ, რადგან აქ ბევრი პატივისმცემელი და მეგობარი მყავს. ხოლო როგორც გავიგე, მა-

ლე ბორჯომში მოვა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე,[191] რომელთანაც შენ და ლოკუნა (მისი ქალი - ელენე) ახვალთ, ჩემს მაგივრად გადასცემთ თხოვნას, მომიხერხოს ხელმწიფესთან აუდიენცია და არასგზით არავითარი თხოვნა პატიებაზე! თუ ეს აუდიენცია დიდმა მთავარმა ხელმწიფესთან მომიხერხა, ჩემი დანვრილებითი მოხსენების შემდეგ, რაც უნდა რუსიფიკატორი იყვეს, ის მე გამათავისუფლებს და დიდ გამოძიებასაც დანიშნავსო".

მართლაცდა, როგორც მახსოვს, თიბათვის პირველ რიცხვებში ჩამოვიდა მიხეილ ნიკოლოზის ძე, რომელთანაც დიმიტრის ცოლი და ქალი ავიდნენ ქვიშხეთიდან. ინახულეს რა მიხეილ ნიკოლოზის ძე, გადასცეს დიმიტრის თხოვნა, რაზედაც მიხეილ ნიკოლოზის ძემ უპასუხა: „მისწერეთ დიმიტრი ივანიჩს, თავისებურად მხნედ და ყოჩაღად იყვეს. მალე დავბრუნდები პეტერბურღს და ვეცდები, შევუსრულო თხოვნა; მანამ ეცადოს, თავისებური საქმიანი მოხსენება დაამზადოსო".[729]

დიმიტრის ცოლი ნინო და ქალი ლოლა რომ დაბრუნდნენ ბორჯომიდან, გახარებულნი შემოვიდნენ სახლში და გვიამბეს, რანაირი სულითა და გულით მიეღო მიხეილ ნიკოლოზის ძეს, რომელიც სულ ღიმილით გვამშვიდებდაო ჩვენ. ამის შემდეგ კი იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ღვთაებრივი დიმიტრი თავის ოჯახს დაუბრუნდებაო.[314]

რასაკვირველია, ეს ამბავი იმავე დღეს მისწერეს დიმიტრის დანვრილებით: როგორ მიიღო მიხეილ ნიკოლოზის ძემ და რა იმედებითაც ისინი გამოისტუმრა.

ამის შემდეგ მალე დიმიტრის პასუხიც მიიღეს წერილის მიღების შესახებ, რომელშიც მადლობას უხდიდა ყველას და სთხოვდა, შეეგროვებინათ დასახელებული პირებისაგან და დაწესებულებებში ზოგიერთი საბუთი, რაც მალე უნდა გადაეგზავნათ მასთან სტავროპოლში. ყველაფერი მალე შეუსრულეს და გადაუგზავნეს სტავროპოლში.

დიდ მთავარს პეტერბურღში დაბრუნებისთანავე დიმიტრის თხოვნა შეესრულებინა, რაც დონდუკოვ-კორსაკოვსაც გაეგო და თბილისშიც გავრცელდა ხმა, რომ ხელმწიფემ ყიფიანი გაათავისუფლა და აუდიენციაც დაუნიშნაო. ამ დიდად გამახარებელი ამბის შემდეგ დიმიტრის მისი ოჯახი ყოველდღე ელოდა, მაგრამ ერთ უბედურ დღეს დიმიტრის ჩამოსვლის მაგიერ დეპეშა მოვიდა ოჯახში, რომ ბოროტებმა წამოსვლის წინა ღამეს თავის ოთახში მოკლეს მოხუცი დიმიტრი ყიფიანი.

მთელს ოჯახს და ახლომახლო მცხოვრებთ ყველას თავზარი დასცა ამ მოულოდნელმა ამბავმა. მაშინვე ყველგან გაიგზავნა დეპეშები. მოგროვდნენ ახლობლები თუ არა, მაშინვე გადასწყვიტეს, ვის რა უნდა გაეკეთებინა. როგორც იურისტები, მისი შვილი კოლა და სიძე ანტონ ლორთქიფანიძე, რამდენიმე ნათესავით სტავროპო-

ლისკენ გაექანნენ.[730] კოტეს და ჩემს დას — ნინოს — მიანდეს ქვიშხეთისა და თბილისის საქმეები დაკრძალვის შესახებ. მთელმა საქართველომ დიმიტრი ყიფიანის სიკვდილი პოლიტიკურ სიკვდილად ჩათვალა, რის გამოც დასაფლავება და მასზედ გაწეული ხარჯები სავსებით მიიღეს ქუთაისისა და თბილისის დეპუტატთა სამმართველოებმა და ბანკებმა.

იმ დროს სტავროპოლში გამომძიებლად იყო ნიკოლოზ ტარსაიძე,[301] შემდეგში თბილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე. აი, ამ ტარსაიძეს ებარა ამ შემზარავი მკვლელობის საქმე, რომელ საქმესაც დიდად თვალყურს ადევნებდა დიმიტრის იურისტი შვილი - ნიკო. გამოძიებას ბევრი რამე აღმოეჩინა, - როგორც ნიკო გვეტყოდა ხოლმე, - მაგრამ მისი გამომჟღავნება შეუძლებელი ყოფილა, რადგან რუსეთის ხელისუფლებას დიდ ჩირქსა და ჭუჭყს სცხებდა. ნიკო ტარსაიძესაც ბარემ გული უკვდებოდა. როგორც ნიკო, - შვილი დიმიტრისა, - ამბობდა, ტარსაიძეს არ შეეძლო ეს საზიზღარი პოლიტიკური მკვლელობა გამოძიებით დაემტკიცებინა და გამოეტანა გარეთ, რადგან წინდაწინ ყველაფერში გაფრთხილებული იყო დიდი პასუხისგების ქვეშო.

იმ მოკლე დროს, რა დროსაც დიმიტრიმ სტავროპოლში იცხოვრა, ისეთი პატივისცემა და სიყვარული დაუმსახურებია სტავროპოლში მცხოვრებთა შორის, რომ გამოძიებას დიდად უწყობდნენ თურმე ხელს, რომ აღმოეჩინათ ბოროტმოქმედება და მიზეზი ამ მხეცური მკვლელობისა. მისულ ჭირისუფალთ ყველაფერში ხელს უწყობდნენ და გამოსვენებაზედ მთელმა ქალაქმა, განურჩევლად წოდებისა, შეამკო კუბო გვირგვინებით. გამოაცილეს კარგა მანძილზე, რა ადგილსაც ეთქვათ ბევრი სიტყვა, რომელშიც ბოდიშს და სინანულს გამოთქვამდნენ მოხუცის წინაშე მასზედ, რომ მათ ქალაქში დიმიტრისთანა ადამიანს მხეცური სიკვდილით გაუმასპინძლდნენ. წამოასვენეს რა ყაზბეგის გზით, გზადაგზა ყველა ქართველი კერძოდ, და სხვა ერთა წარმომადგენლებიც საერთოდ, მოვალედ თვლიდნენ თავს, მიცვალებულისთვის პატივ ეცათ, შეემკოთ ყვავილ-გვირგვინით და კარგა მანძილზე გაჰყოლოდნენ კუბოსა. მცხეთას რომ დაუახლოვდნენ, სვეტიცხოვლის და სხვა ეკლესიების სამღვდელოება შეხვდა შემოსილი; მიასვენეს რა სობოროში,[731] გადაუხადეს პანაშვიდი. ბევრი წარმოთქმული სიტყვის შემდეგ პროცესია გაემგზავრა თბილისისაკენ. აქ, მცხეთაში, ქუთაის-თბილისიდან ჩამოსული იყო აუარებელი ხალხი, რომელიც ეტლით თუ ფეხით გაჰყვა პროცესიას. გზადაგზა, - თეთრ დუქანთან, საბურთალოსთან და ვერის ჯვართან,[580] — აუარებელი ხალხი, თითქმის მთელი ქალაქის მცხოვრებნი, დახვდნენ. ეხლა ახალი აბრეშუმის საქსოვი ქარხანა რომ არის, იქ დახვდა მთელი თბილისის ქართველი სამღვდელოება - შემოსილნი, ყოვლადსამღვდელო

ეპისკოპოსის ალექსანდრე ოქროპირიძის[528] მეთაურობით. აქ ქალაქის თავმა,[257] როგორც ყოფილ ქალაქის თავს,[246] დიმიტრის სიტყვა კი უძღვნა, მაგრამ დიდის გაფრთხილებით, რომ არ წამოცდენოდა რამე დონდუკოვ-კორსაკოვის საწყენი. ასე რომ, ქალაქის თავმა მხოლოდ ფორმალობა შეასრულა და სხვა დახასიათება და ღვანლი დიმიტრისა ქალაქის მიმართ ერთი სიტყვითაც ვერ გაბედა.

პროცესია გაემართა დღევანდელი ლენინის ქუჩით[732] მთაწმინდის ეკლესიისაკენ.[655] უკან მისდევდა აურაცხელი აღელვებული ხალხი: ფეხით, ცხენით თუ ეტლებით. ყველა გულწრფელად წუხს, დუმს და ღელავს; გულში იცის, რომ ეს მხეცური მკვლელობა დიდად ღირსეული კაცისა პოლიტიკური ხასიათისაა, ჩადენილი თვით მთავარმართებლის დონდუკოვ-კორსაკოვისაგან, რის გამოც ხალხი მზად არის, იარაღით ხელში პროტესტი გამოუცხადოს მთავარმართებელს და მის დამქაშებს. წესრიგს იცავს ინტელიგენცია და არ აძლევს ნებას ხელისუფალთ, ჩაერიონ წეს-წყობილების დაცვაში. პროცესია რომ მიახლოვდა გრიბოედოვის ქუჩის[397] დასაწყისთან (ყოფილ „რაზგონი პოჩტასთან"[596]), ლენინის ქუჩაზე ღობურად გადაბმული ყაზახ-პოლიცია დახვდა პროცესიას პოლიცმეისტერ მასტიციკის* მეთაურობით და, შეაჩერა-რა პროცესია გრიბოედოვის ქუჩასთან, გამოუცხადა ალექსანდრე ეპისკოპოსს, რომ მარშრუტი შედგენილია თვით მთავარმართებლის მიერ, მიცვალებული უნდა წასვენდეს გრიბოედოვის ქუჩით მთაწმინდას, რის გამოც თქვენ გრიბოედოვის ქუჩით უნდა წარუძღვეთო.

ალექსანდრე ეპისკოპოსმა უპასუხა: მე ვახლავარ გარდაცვალებულის მეუღლეს და საითაც ის მეტყვის, მეც იქით გავუძღვებიო. მიმართეთ გარდაცვალებულის დიმიტრის ცოლს მაგ თქვენი განცხადებითო.

მასტიციკიმ რომ მიმართა ამ წინადადებით დიმიტრის ცოლს ნინოს, მან განრისხებული ხმით უარი უთხრა პოლიცმეისტერს და სთხოვა ეპისკოპოს ალექსანდრეს, განეგრძო გაძღოლა გოლოვინის პროსპექტით.[599] ამის შემდეგ ეპისკოპოსმა ალექსანდრემ ჯვარი დაჰკრა პოლიცმეისტერს ხელზე, ღობური ჩააშლევინა და, რა გაემართა გოლოვინის პროსპექტისაკენ პროცესია, ყაზახებმა და პოლიციამ ვეღარ დაიჭირეს ეს დიდად აღელვებული ზღვა ხალხი, - ცხენოსანი თუ ფეხოსანი, - რომელთაც იარაღიც კი იხმარეს და ხმლის ყუით დაუწყეს ცემა მოწინააღმდეგე გოროდავოებს. წინასწარ შედგა ქუთაისის და თბილისის გუბერნიების თავად-აზნაურთა რაზმი ნიკო დიასამიძის,[654] ანტონ ლორთქიფანიძის, სვიმონ აბაშიძისა[733] და სხვების მეთაურობით, რომელ რაზმსაც ჰყავდა გამოყო-

* უნდა იყოს: როსინსკი.[530] შემდგ.

ფილი ცხენოსნებიც. აი, ამ რაზმს მიზნად ჰქონდა დასახული, სისხლისმღვრელი წინააღმდეგობა გაეწია მთავრობის აგენტებისათვის, თუ არ მისცემდნენ ნებას, დაესაფლავებინათ თავიანთ ნებაზე მთავრობისგან ვერაგულად მოკლული, სამშობლოსთვის თავდადებული, დიდად ღირსეული შვილი ქვეყნისა - მოხუცი დიმიტრი ყიფიანი, რომელმაც თავისი სიცოცხლე სამშობლოსათვის ბრძოლაში გაატარა და ამ ბრძოლაშივე წუთისოფელს გამოეთხოვა. პროცესიას თან მიჰქონდა უამრავი გვირგვინი დიდის ასოებით ზედწარწერით: „უდიდეს ადამიანს დიმიტრი ყიფიანს - „ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის, ეს განწირული სულის კვეთება".[589] და შემდეგ მოსდევდნენ ბევრად ბევრი ამნაირი წარწერებით.

პროცესია მთავრობის სასახლესთან[529] შეჩერდა, სადაც დაასვენეს მიცვალებული და რამდენიმე სიტყვა უთხრეს. ამ დროს ფანჯრებს სასახლისას ფარდებს აფარებდნენ. სოლოლაკისა[605] და ლაბორატორიის[606] ქუჩებით მიასვენეს მთაწმინდას, სადაც შეუსრულეს საეკლესიო წესი, რის შემდეგ დაიწყო სიტყვების თქმა. უამრავი სიტყვის წარმოთქმა დიდხანს გაგრძელდა[734] და, უნდა ვთქვა, რომ ყველა ორატორი გაბედულად და აღელვებით ამბობდა სიტყვას, რასაც მოსდევდა გულწრფელი ცრემლები. ყველა ორატორი და მათ შორის აკაკიც[404] მადლობას უხდიდა დიმიტრის საზოგადოებრივი შრომისა და თავდადებისათვის სამშობლოსადმი. ბევრმა ორატორმა უსურვა სამშობლოს, ბევრი შვილი გამოზრდოდეს მას დიმიტრისთანა - სამშობლოს სადღეგრძელოდ და ასაყვავებლად.

სიტყვების შემდეგ თითქმის დაღამებამაც მოატანა. გულწრფელად ყველა თვალცრემლიანი გამოესალმა უძვირფასეს ნეშტს და ჩაასვენეს საფლავში. დასაფლავების შემდეგ ძალიან ბევრი მეთაური რაზმისა დაატუსაღეს. მათ შორის შვილი დიმიტრისა კოტე და სიძე - ანტონ ლორთქიფანიძეც.[735] მთავრობის მიმართ წინააღმდეგობაზე, დიმიტრის დასაფლავების დროს მომხდარზე, მთავარმართებელმა მოხსენება გაუგზავნა უმაღლეს მთავრობას,[736] რა დროსაც მეთაურთა დატუსაღების განზრახვაც აცნობა, მაგრამ დეპეშით უბრძანეს, დაუყოვნებლივ ყველა გაეთავისუფლებინათ.

დიმიტრი ყიფიანი 1832 წელს რომ შეთქმულებისათვის გადაასახლეს ვოლოგდაში,[49] იქ გუბერნატორის კანცელარიაში შესულიყო სამსახურში დაბალ მოხელედ, მაგრამ გუბერნატორს, გენერალ ბოლგოვსკის,[737] მალე შეემჩნია დიმიტრის ნიჭი, ცოდნა და მომზადება, მალე აეყვანა კანცელარიის გამგის ადგილზე და დაევალებინა, წინა მოადგილისაგან ქაოსამდე მიყვანილი თითქმის ყველა საქმე კანცელარიისა წესრიგში მოეყვანა.[59] ამ გუბერნატორს - ბოლგოვსკის - ქალი ჰყოლია გასათხოვარი, რომელსაც დიმიტრი თურმე ძალიან ეარშიყებოდა. გუბერნატორი ხშირად პატიჟებდა დი-

მიტრის ოჯახში და მასთან სადილ-ვახშმობდა ხოლმე, რა დროსაც ეძლეოდა დრო დიდხანს ეარშიყნა და ემუსაიფნა ამ ქალიშვილთან. ერთ დროს, როგორც დიმიტრისგან გამიგონია, სხვებთან მუსაიფში, წლის ბოლოს, გუბერნატორი ბოლგოვსკი იბარებს თავის კაბინეტში დიმიტრის და უბრძანებს: აი, შენთვის მომინდვია, შეადგინო წლიური ანგარიში სამინისტროსათვის და თუ შენ შესძელი ღირსეულად შეასრულო ეს დაკისრებული საქმე, გაძლევ პატიოსან სიტყვას, რასაც მთხოვ, უსიტყვოდ და უყოყმანოდ შეგისრულებო. დიმიტრიმ, მიუხედავად იმ ხანში გამოუცდელ ყმაწვილობისა, მოიკრიბა მთელი ძალ-ღონე და გამოცდილება, ხელმეორედ გაეცნო გუბერნატორის მოქმედებებს და რამდენიმე თვეში, ვადაზე ადრე, დამზადებული მოხსენება წარუდგინა გუბერნატორს.

ჯერ თვითონ გუბერნატორს გადაეთვალიერებინა და რომ მოსწონებოდა, მაინც შეუდგენია კომისია თავის თავმჯდომარეობით, რათა ხელმეორედ გადაესინჯათ ეს მოხსენება. კომისიას დიდად მოსწონებოდა, რაზედაც დიმიტრისათვის დიდი მადლობა გადაეხადა. თავის მხრივ, გუბერნატორმა ბოლგოვსკიმ, მეორე თუ მესამე დღეს, თავის კაბინეტში დაიბარა დიმიტრი და თურმე უთხრა: მე ჩემი პირობა არ დამვიწყებიაო; მითხარი, რა გსურს, რომ შეგისრულო, და მე მზად ვარ, ჩემი დაპირების და სიტყვის ამსრულებელი ვიყოო.

დიმიტრის ეთქვა: თქვენო აღმატებულებავ! თუ მე ჩემი სამსახურებრივი მოვალეობა სინდისიერად შევასრულე, ეგ ჩემს მოვალეობას შეადგენსო. ასე რომ, თქვენ არც კი ხართ მოვალე, ამ შრომისათვის რამე ჯილდო გაიღოთო.

ამაზე გუბერნატორ ბოლგოვსკის ეპასუხნა, რომ თქვენ ამაში მართალი ხართო, მაგრამ მე მინდა დაგაჯილდოოთ სწორეთ მაგ სამსახურისთვისო.

მაშინ დიმიტრის უთხოვია: დამეხმარეთ, ამეხსნას სასჯელი და დამაბრუნონ ჩემს სამშობლოშიო.

ეს თხოვნა გუბერნატორს ძალიან გაუკვირდა, რადგან ის სულ სხვა თხოვნას მოელოდა დიმიტრისაგან. იმას ეგონა, ცოლად თავის ქალსა სთხოვდა, რომელსაც ძალიან ეარშიყებოდა. გუბერნატორს ჰგონებია, მისი მორიდება ჰქონდა, რის გამოც ხელის თხოვნას ვერ უბედავდა მის ქალს. მაშინ გუბერნატორს მიემართნა დიმიტრისთვის შემდეგი სიტყვებით: დიმიტრი ივანეს ძევ, განა თქვენთვის აქ კარგი არ არის? თუ რამე უხერხულობას გრძნობთ ან თქვენს დაუფასებლობას, მითხარით გულახდილად და ყველაფერი გაკეთდება ისე, როგორც თქვენ გინდათ.

დიმიტრის ამაზე ეპასუხნა, რომ ის დიდად მადლობელია თვით გუბერნატორისაც და მთელი გუბერნატორის კანცელარიის შემადგენლობისაც, რომ მას დიდად პატივს სცემენ და კარგადაც ეცხოვ-

რება ვოლოგდაში, მაგრამ სამშობლო მისთვის ყველაზე მაღალია და უსაყვარლესი.

გუბერნატორმა ბოლგოვსკიმ რომ ვერაფრით დააჯერა დიმიტრი, იმდენად პატიოსანი კაცი გამომდგარა, რომ მაშინვე შედგომია მეცადინეობას, ვის წინაშეც ჯერ იყო და დიმიტრისთვის დაპირება მაინც შეუსრულებია.[738] დიმიტრის სამშობლოში დაბრუნების შემდეგაც არ შეუწყვეტია მასთან კავშირი და ჰქონდათ ერთმანეთთან მიმოწერა.

საერთოდ, დიმიტრი ლამაზი ქალების დიდი თაყვანისმცემელი იყო. როცა ის ქალების წრეში ჩავარდებოდა, სრულიად გამოიცვლებოდა, გამხიარულდებოდა და მოხუცებულობაში გაყმაწვილდებოდა. საერთოდ, დიდი მოარშიყე ადამიანი იყო და დიდად მოძრავი და ენერგიის პატრონი. უყვარდა დიდად ცეკვა - როგორც ქართული, ისე ევროპული და მუსიკა-სიმღერა. ვიმეორებ, მასთან ცხოვრება, ეს იყო სიცოცხლეშივე სამოთხეში ყოფნა; გესმოდა მხიარულება, კულტურა-განათლების საგნებზე ლაპარაკი და ჭკუა-გონების განვითარების საგნებზე მუსაიფი. უწმაწურობას და უზნეო საქციელს მასთან ადგილი არ ჰქონდა. ეს იყო წმიდათაწმიდა ადამიანი, რომელსაც დიდად სწამდა და უყვარდა ღმერთი, ადიდებდა და ემორჩილებოდა მის მცნებათ.

მის ოჯახში ნამდვილი ქართული სული ტრიალებდა - სუფრაზე თიხის ჩარექებით ღვინო, ქალამნებში სუფთად გამოწყობილი მოსამსახურე; მის ოჯახში ქართულ-ევროპული სული ტრიალებდა. აქ რუსული ენა იშვიათად იხმარებოდა,[739] აქ ისმოდა ქართულ-ევროპული ენები (უფრო ფრანგული), რომელ ენებზეც მთელი ოჯახი ლაპარაკობდა. ჩემმა დამ - ნინომ - ფრანგული არ იცოდა, მაგრამ დიმიტრის ხელმძღვანელობით და მისი ოჯახის წყალობით მალე ჩაერია ოჯახის ფერხულში და წესწყობილებაში.

დედაჩემმა[740] მიამბო შემდეგი: როცა დავქვრივდიო, დამრჩით ექვსი შვილიო.[741] უფროსი შვილი იყო ათი წლისაო და დანარჩენები - მისი მომდევნოები. სასწავლებლის დრო უკვე ჰქონდა ორ შვილს. ქონება თუმცა ბევრი არა მქონდა, მაგრამ შემეძლო ყველასთვის მიმეღებინებინა სწავლა. მე ვიცოდი, რომ ჩემი მძახალი (დედიჩემის დის[693] ქმრის, ვასილ ყიფიანის[18] მამის ძმა იყო დიმიტრი) დიმიტრი ივანეს ძე ყველა საქმეში ეხმარება ყველას და მეტადრე ქვრივებს და ობლებს. გადავწყვიტე, მეც მიმემართნა მისთვის რჩევადარიგებისათვის. ჩავჯექი ურემში, თან წავიყვანე უფროსი შვილი - ნიკო[742] - და წავედი ქვიშხეთს ჩემს დასთანაო. ჩემს ილბალზე ზაფხულობით მთელი ოჯახი თბილისიდან მოსულიყვნენ ქვიშხეთს და დიმიტრიც მათთან ერთად მოსულიყო. ჩემი დის ოჯახი დიმიტრის სახლთან ახლოს იყო და მის ოჯახობას ხშირად ვხვდებოდითო; დიმიტრი კი თითქმის სულ თავის კაბინეტში მუშაობდაო. ოცდაათი

ვერსტის ურმით გავლის შემდეგ[743] ძალიან დავიღალე და სანამ კარგად არ დავისვენე, დიმიტრი ვერ ვინახულეო. მესამე დღეს მე და ჩემი და მონიკო[693] მივედით სანახავად საერთოდ ყველასი და, კერძოდ, დიმიტრისაც. დიმიტრიმ სამძიმარი მითხრა ყმაწვილი ქმრის დაკარგვაზე,[744] იმ კარგი ქმრისა და ადამიანისა, რომელსაც დიმიტრიც კარგად იცნობდა. რომ გადავუხადე გულწრფელ თანაგრძნობაზე მადლობა, მივმართე შემდეგი თხოვნით: პატივცემულო დიმიტრი! ქმრის დაკარგვის შემდეგ დამრჩა ექვსი ობოლი, რომელთაც უნდათ სწავლა-განათლება. მამამ მათ იმდენი დაუტოვა, რომ თავიანთი ქონებით და ჩემი მხნეობით შეუძლიანთ სხვის დაუხმარებლად მიიღონ სწავლა, მხოლოდ ამ საქმეში მე, როგორც გამოუცდელი, გთხოვთ თქვენს დახმარებას და გზის ჩვენებას.

ამაზე დიმიტრიმ მიპასუხა შემდეგიო: არათუ ჩემი, ყოველი შეგნებული კაცის მოვალეობაა, დაეხმაროს ქვრივს და ობლებსო. ჩვენ ხომ დიდი ხნის მძახლები ვართო და, მაშასადამე, შინაურულადაც მოვალე ვარ დაგეხმაროთო. ჩვენ, ქართველ ინტელიგენციას, თბილისში გვაქვს დაარსებული ბიურო ქართველთა შორის სწავლა-განათლებაზე საზრუნავად. ამ ბიუროს გამგედ ფიცხელაური[745] გვყავსო. მარიამობის თვის ნახევრიდან მიმართეთ ამ გამგეს, რომელსაც მეც მივწერ წერილს და ის ყველაფერს გაგიკეთებთ, რაც საჭირო იქნება ჩემს ჩამოსვლამდეო.

გვარი და სახელი რომ მითხრა დიმიტრიმ, მე მომაგონდა ძმური და მეგობრული მინერ-მოწერა ჩემს ქმარსა და ამ ფიცხელაურს შორის, რომელშიც ფიცხელაური სწერდა ჩემს ქმარს: ბეჟანო, ჩემო ძვირფასო, ამდენი შენი გამოგზავნილი ფეშქაში საჩუქრებით სახლი გამევსო. უკანასკნელად მივიღე ნაბადი - ძალიან დროული საჩუქარია! მეყო შენგან ამდენი დავალება საჩუქრებით, მხოლოდ მაღირსე შენი პირადად ნახვაო. მე ძალიან დატვირთული ვარ ამ ბიუროს გამო და ვერ მოვახერხე შენთან მოსვლაო და ბევრი სხვა ალერსები.

დიმიტრის მე ვუთხარი, რომ ეგ ფიცხელაური დიდად საყვარელი მეგობარი იყო ჩემი ქმრის - ბეჟანის და თუ იმაზე რამეა დამოკიდებული, უსათუოდ დამეხმარება-მეთქი.

დიმიტრის ეს ძალიან ესიამოვნა და თითქმის გაეხარდა კიდევაც. იმ დღეს სადილზე აღარ გამოგვიშვა და მეორე დღეს ჩავჯექი ჩემს ურემში და მივეშურე ჩემი შვილებისკენაო. როგორც დიმიტრიმ მითხრა, მარიამობისთვის ნახევარს გავემგზავრე თბილისისაკენ და თან წავიყვანე ჯერ უფროსი შვილი - ნიკო. ბიურო ქართველთა განათლებისა მალე ვიპოვე; ვინახულე ის ფიცხელაურიც, რომელსაც ვაცნობე, რომ მე ვარ ქვრივი თქვენი დიდი მეგობრის ბეჟან ივანეს ძე ტატიშვილისა და დიმიტრი ყიფიანმა გამომგზავნა თქვენთან ჩემი ობლების სასწავლებლად დაბინავებაში დასახმა-

რებლად. ამ ფიცხელაურს ისე ეგონა, რომ, როგორც ყოფილი მეგობარი ჩემი ქმრისა, იმას ვავალებდი თავისი ხარჯით ჩემი შვილების დაბინავებას და ცივი უარი მტკიცა ჩემი ქმრის მეგობრობაზედ. მიპასუხა, რომ იმას არავინ ბეჟან ტატიშვილი მეგობრად არა ჰყოლია და არც იცნობდა ამისთანას. მაშინ მე მივმართე თხოვნით, ეჩვენებინა მხოლოდ გზა და კვალი და მოეცა რჩევა, რომელ სასწავლებელში მომეწყო ეს ჩამოყვანილი ბავშვი მაინც. ამისმა განმარტებებმა მე ვერ დამაკმაყოფილა და ვარჩიე ისევ, დიმიტრის ჩამოსვლამდე თავი შემეკავებინა. რომ დავბრუნდი სახლში, მივწერე წერილი ჩემს დას, ლოლასაგან (დიმიტრის ქალი) გაეგო, როდის იქნებოდა თბილისში თვითონ დიმიტრი, რაზედაც პასუხი მომივიდაო, რომ დიმიტრი ენკენისთვის 2-3 რიცხვში უკვე თბილისში იქნებაო. ამ დრომდე მე გადავათვალიერე ჩემი ქმრის მიწერ-მოწერა, სადაც აღმოვაჩინე ფიცხელაურის რამდენიმე ძმური და მეგობრული წერილი საჩუქრებზე დიდი მადლობით. ეს წერილები ნავიღე თბილისში და ვინახულე დიმიტრიო. ფიცხელაურის ამბავი ვუამბე და გადავეცი მისგან დიდი უარის თქმა არათუ მეგობრობაზე, უბრალო ნაცნობობაზეც კი; აგრეთვე, გადავეცი მისი წერილები დიმიტრის. დიმიტრი ამ ამბავმა დიდად გააკვირვა და შეაწუხა, რომ ფიცხელაური, რომელზედაც დიდ იმედებს ამყარებდა ქართველი ინტელიგენცია, ასეთი აღმოჩნდა. წერილები დიმიტრიმ შეინახა, დაიბარა თავისთან ეს ფიცხელაური და ბიუროს ზოგიერთი ნევრის თანდასწრებით დაუწყო ლაპარაკი ჩემს საქმეზე. ფიცხელაურმა ისევ უარი განაცხადა ჩემი ქმრის ნაცნობობაზე. მაშინ დიმიტრის ამოეღო ეს წერილები, ეჩვენებინა და ეკითხა: ეს წერილები თქვენი დაწერილია თუ არაო. ამ მოულოდნელმა მეხმა ფიცხელაურს თავგზა დააკარგვინა და სრულებით გაშავებულიყო. ამის შემდეგ ფიცხელაური ამ თანამდებობიდან მოხსნეს და საქმე სხვას ჩააბარესო. რაც საჭირო იყო, თვით დიმიტრიმ გამიკეთაო, დავტოვე შვილი - ნიკო - სასწავლებელში და დავბრუნდი უკან, სოფელშიო. დიმიტრიმ დამავალა, კვლავ ყველა საქმეზე მისთვის მიმემართნაო.

დიდ ილია ჭავჭავაძეს დიმიტრის მოკვლა ბანკში სამსახურის დროს გაეგო საათის 12-ზე. საშინლად შეწუხებულა; იმ დღეს სამსახურის შეწყვეტის შესახებ განკარგულება გაეცა და თვალცრემლიანს თანამშრომლებისათვის მიემართნა შემდეგი სიტყვებით: მოგვიკლეს ის დიდი ქართველი ადამიანი, რომელმაც ეს ბანკი მოგვცა[199] და ბევრი სხვა დანესებულებანი და კულტურული საქმეები. დიდი უბედურებაა დიმიტრი ყიფიანის დაკარგვა ერისათვის. ის მოკლეს იმისათვის, რომ დიდად დიდი იყო ჩვენთვის. დღეს საღამოს ქაშვეთის ეკლესიაში შევიკრიბოთ საღამოს ექვს საათზე და ბანკის სახელზე გადავუხადოთ პანაშვიდიო.

რამდენიმე ხნის შემდეგ ბანკში შევიდა განცხადება, რომ საჭიროა, დ. ყიფიანის საფლავზე ღირსეული ძეგლი დაიდგას. გამგეობაში და ზედამხედავ კომიტეტში ეს საკითხი რომ დაისვა, კრების გახსნისთანავე ილიამ მიმართა კრებას შემდეგი სიტყვით: შემოსულია განცხადება, დაედგას დიმიტრი ყიფიანს მისი მოღვაწეობის ღირსი ძეგლი. ბატონებო! ეს თხოვნა ისეთ დიდ კაცზედ არის აღძრული, რომ ჩვენ თვითონ, სხვის მოუგონრად, მოვალენი ვიყავით გაგვეკეთებინა ესაო. გთხოვთ, ფეხზე წამოდგომით პატივი ვცეთ მის ხსოვნას, ამასთანავე, მონინებით და უყოყმანოდ მიიღოთ ეს თხოვნაცო.

დიდი ქართველი ადამიანის პატივსაცემად კრებას ფეხზე წამოდგომით ერთხმად გამოაქვს დადგენილება: გადაიდოს საჭირო თანხა დიმიტრის საფლავზე ღირსეული ძეგლის დადგმისთვის.[746]

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მთელმა საქართველომ ღირსეულად დააფასა დიმიტრის ღვაწლი, რაც კი საჭირო იყო მისი ხსოვნის აღსანიშნავად. ყველა პირი და დაწესებულება მზად იყო, გაეკეთებინა ყველაფერი დიმიტრი ყიფიანის ხსოვნისათვის და გამოეღო საჭირო თანხაც. მთელ საქართველოში, სადაც კი ნაციონალური დანესებულება იყო, დიმიტრის ვერაგული სიკვდილი გაეგოთ თუ არა, მაშინვე ერთი დღით მუშაობა შეეწყვიტათ და პანაშვიდები გადაეხადათ.

დიმიტრი ყიფიანის მეუღლე - ნინო[75] - იყო დუშეთის მაზრის აზნაურის იაგორ გაბრიელის ძე ჭილაშვილის[73] ქალი. პაპას ნინო ყიფიანისას - გაბრიელს[747] - ზედმეტ სახელს უძახდნენ გლახას, რომელიც იყო ბატონიშვილ ვახტანგის[748] (ირაკლი მეორის[143] შვილის) ამილახვარი (შტალმეისტერი); ცხოვრობდა დუშეთთან - მილახვრიანთკარში. ვახტანგის პეტერბურგს გადასახლების დროს, 1803 წელს, გლახა ჭილაშვილი გაჰყვა თან, სადაც გარდაიცვალა 1814 წელს.[749] ამ გლახას რუსეთში გაუჩნდა შვილი - იაგორი,[750] რომელმაც სწავლა-განათლებაც იქ მიიღო. იაგორს ჰყავდა ერთი ვაჟიშვილი - მიხეილი,[751] და ორი ქალი,[752] რომელთაც განათლება მიიღეს პეტერბურგში: ქალებმა სმოლნის ინსტიტუტში და ვაჟმა, მიხეილმა კი — უნივერსიტეტში. იაგორი გარდაიცვალა „დეისტვიტელნი ტაინი სოვეტნიკის" ჩინით და მიხეილი „ტაინი სოვეტნიკისა". ორთავეს ეჭირათ დიდი თანამდებობები რუსების მიერ დაარსებულ ახალ დანესებულებებში. მიხეილ იაგორიჩი იყო, მგონი, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პროკურორი.[753]

ნინოს სმოლნის ინსტიტუტის გათავების შემდეგ კიდევ ბევრი ესწავლა, მეტადრე, ევროპული ენების შესათვისებლად. ფრანგული ენა სავსებით იცოდა და უნდოდა თავისი ცოდნა სხვისთვისაც გადაეცა. ბუნებით ძალიან გულკეთილი ადამიანი იყო და ვინც კი მიმართავდა დახმარებაზე სნავლა-განათლებაში, და თუ საჭირო

იყო, ნივთიერადაც, მზად იყო დახმარებოდა. გარდა იმისა, რომ თვითონ მზად იყო, ესწავლებინა ნლობითაც, სასყიდელზე ფიქრიც, რასაკვირველია, შეუძლებელი იყო, რადგან ეს ოჯახი ბევრ გაჭირვებულს თვითონვე აძლევდა დახმარებას და სტიპენდიას.

ნინოს, როგორც დიდ არისტოკრატიაში აღზრდილს, ჰქონდა ზოგი თავისებურება.[754] საერთოდ კი იყო: დიდად აღზრდილი, კულტურული, მართალი და პატიოსანი ადამიანი. სანამ დიმიტრი ცოცხალი იყო, თავის ღირსებას არ კარგავდა და უფრთხილდებოდა თავის წარსულ კარგ გარეგნობას. დიმიტრის სიკვდილის შემდეგ ეს დიდად კულტურული ადამიანი ისე დაეცა და გამოიცვალა, რომ ვინც მისი წარსული არ იცოდა, ვერ დაიჯერებდა, თუ ის ოდესღაც ღირსეული ცოლი იყო დიდად ღირსეული დიმიტრისა. საშინლად დანერილმანდა და მისი ეს დაწერილმანება ბევრს არანორმალურად მიაჩნდა, მაგრამ ჩვენც რომ მასავით კულტურულები ვყოფილიყავით, ასე არ მოგვეჩვენებოდა. მაგალითად, უთხოვნელად მისი რაიმე ნაილეთ, უსათუოდ დაგაბრუნებინებდათ დიდი საყვედურით; თქვენს ნლოვანებას თუ გკითხავდათ, უსათუოდ უნდა გეთქვათ, რამდენისაც ხართ შესრულებული და არ დაგემატებინათ - ამდენში გადავდექიო; თუ მას უმცროსი ხელს გაუწოდებდა, ხელს არ ჩამოართმევდა, ვინც უნდა ყოფილიყო და ეტყოდა: მუდამ უფროსმა უნდა პირველმა გაუწოდოს ხელიო და სხვა ბევრი რამე ზრდილობითი და აღზრდითი მოვლენები, რასაც დიდ ყურადღებას აქცევდა მუდამ და ვინც მის მიერ აღზრდილ შვილებს იცნობდა, ამ აღზრდილობას ყველა შეამჩნევდა. თავისთვის ცალკე ოთახი ჰქონდა საკუჭნაოდ, რომელ ოთახსაც „კავარდაკს" ვეძახდით. იქ არავის ჰქონდა შესვლის ნება. მუდამ კლიტით ჰქონდა დაკეტილი და თუ როგორმე ჩვენ, ყმაწვილები, შევიპარებოდით, ვინ იცის, რას არა ვნახულობდით შიგ. აგროვებდა ცარიელ წუმწუმის კოლოფებს, პაპიროსის ყუთებს, თოკეულ კანაფებს, სტეარინის სანთლის ქაღალდებს, შესახვევ ქაღალდებს და ბევრ იმისთანა ნვრილმანს, რასაც სხვები ნვავენ და სპობენ. ხშირად მოხდებოდა ხოლმე, რომ ამ შენახულებიდან მოსახმარად გამოდგებოდა რამე გაჭირვების დროს და მაშინ მოსთხოვდნენ: აბა, შენი „კავარდაკიდან" წუმწუმის კოლოფი მოგვეცი წუმწუმის გასაკრავად ან უბრალო ქონის შიგ ჩასადებად, ან კანაფი თუ გაქვს შესახვევად რისამე და სხვა. ნინო ჯერ ეტყოდა: აბა, რომ არ შემენახა, ხომ არ გექნებოდათ ეხლაო. ნავიდოდა თავის „კავარდაკში" და ყველაფერს გამოიტანდა. ამისთანა ნვრილმანობა ბევრი იცოდა სიბერეში, მაგრამ ეს ნვრილმანობა თუ არას აკეთებდა, არც არაფერს აფუჭებდა. უზრდელი კაცი დიდად ეჯავრებოდა და თუ შენიშნავდა უნესოს და გაუზრდელს, - ვინც უნდა ყოფილიყო, - მაშინვე შენიშვნას მისცემდა და გაუსნორებდა. იმის აზრით, ცრუ, ქურდი, ორპირი, გაიძვერა და ეგოისტი კაცი უნ-

და დაიახლოვო, ეცადო გამოუსწორო ეს ნაკლოვანებანი და თუ, მგლისა არ იყვეს, ისევ ტყისკენ დაიწყოს ცქერაო, ის ადამიანი არ არისო და არც აქვს ნება, ქვეყნად იცოცხლოს სხვების გასაფუჭებლადო. საშინლად უყვარდა წვრთნა, მეტადრე ახალგაზრდებისა. თუ მიმართავდით, ესწავლებინა თქვენთვის, დიდის სიამოვნებით გასწავლიდათ და დაგიახლოვებდათ.

ეს დიდად კულტურული პიროვნება დიმიტრის ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ ისე გამოიცვალა, რომ საცვლის გამოცვლა და აბანოს მიღება სრულიად აღარ უნდოდა. გასამართლებლად ამბობდა: ჩემი ღვთაებრივი დიმიტრის შემდეგ („Мой божественный Димитри"-ს ეძახდა) მე უფლება არა მაქვს, წესიერად ვიცხოვროვო; მეც მოვალე ვარ, იმავე ტანჯვით მოვკვდე, რანაირი ტანჯვითაც მოკვდა ჩემი ღვთაებრივი დიმიტრიო.

რასაკვირველია, დიმიტრის ტრაღიკულად სიკვდილმა, უფროსი შვილის - კოლას სამუდამოდ საზღვარგარეთ წასვლამ,[765] შვილის - ელენეს სიკვდილმა და ზედ ხანმაც თავისი გავლენა მოახდინა და ისე საღად ვეღარა სჯიდა, როგორც წინათ.

ილია ჭავჭავაძეს "Противный Илья"-ს ეძახდა იმისთვის, რომ „ჩემს ღვთაებრივ დიმიტრისთან ბანკის თაობაზე პოლემიკაში[768] უზრდელ და უხეშ სიტყვებს ხმარობდაო".

ამ განათლებულ ქალს ისე გამოეცვალა ხასიათი, რომ ვეღარ იცნობდით. თავისი ოთახიდან გამოვიდოდა მაშინ, როცა ყველანი ისადილებდნენ, ივახშმებდნენ და ჩაის დალევდნენ. საჭირო იყო მისთვის მერმე ყველაფრის გაცხელება და ისე მიტანა.

ნინოს სიყმაწვილითვე ჰყავდა პირადი მკერავი, რომელსაც ერქვა სახელად გაბრუშკა.[766] გარდა თავისი ოჯახის წევრებისა, ისე უფრთხილდებოდა ამ გაბრუშკას, რომ ნებას არ აძლევდა, სხვისთვის რამე შეეკერა, რადგან, ცოტა არ იყოს, მოისუსტებდა. ამ გაბრუშკას შეუყვარდა დიმიტრისვე ოჯახის გოგო, რომელიც არ გაჰყვა გაბრუშკას და გაჰყვა სხვას. ამ გარემოებამ ისე იმოქმედა გაბრუშკაზე, რომ ჭკუაზე შეიშალა. რაც ქვეყანაზე ძონძები იყო, სულ ზედ იკერავდა და ასე აბრასტნული, ხელში ცოცხით, მხოლოდ ეზოს ასუფთავებდა. დიდად ნუხდა ნინო და მთელი მისი ყურადღება გაბრუშკასკენ იყო მიქცეული, მაგრამ რაღას უშველიდა. დიდად აქცევდა ყურადღებას, რომ თავის დროზე ჰქონოდა გაბრუშკას საჭმელ-სასმელი და სხვა. გაბრუშკა მალე მოკვდა, რამაც ნინოზე ძლიერ იმოქმედა.

ნინოს რძალი, მისი შვილის — კოტეს — ცოლი, ჩემი და ნინო, ძალიან უყვარდა და დიდ პატივსაცა სცემდა; მეტადრე მას შემდეგ, რაც მეურნეობაში დიდი ნიჭი გამოიჩინა და მთელი ოჯახი, — ილარიონ ფორაქაშვილისგან დანიავებული, — ფეხზე დააყენა. ჩემი და ნინო დედამთილს თავის ჩვეულებებში ხელს არ უშლიდა და ეს მას

დიდად მოსწონდა. დიმიტრის სიკვდილის შემდეგ კი დედამთილმა ნინომ ისე შეირცხვინა თავი, რომ რძალ ნინოს ძალაობა სჭირდებოდა, რომ მისთვის საცვალი თავის დროზე გამოეცვალა, მისი ოთახი დაელაგებინა და ებანავებინა. ამ გარემოებამ, ცოტა არ იყოს, მათ დამოკიდებულებას ფერი აცვლევინა. ნინომ დედამთილს ვერ შეაგნებინა, რომ: სასოწარკვეთილებამდე მისვლა კულტურული ადამიანისა დაუშვებელია, რადგან ყველა ადამიანს უბედურება მოელის, მაგრამ „ჭირთა შინა გამაგრება, ისე უნდა, ვით ქვიტკირსა". მაგრამ დედამთილზე ეს აღარ მოქმედებდა და რძალს — ნინოს — ყველაფერზე ძალმომრეობა სჭირდებოდა, რის გამოც დედამთილი რძალს „პროტივნაია ნინოს" ეძახდა.

რძალ-დედამთილმა დიდი ხანი ასე ძალმომრეობაში გაატარეს, სანამ დედამთილი არ გარდაიცვალა, რომლის ნეშტი წაასვენეს ქვიშხეთიდან თბილისში თავის „ღვთაებრივ დიმიტრისთან" დასაკრძალავად.[757]

დიმიტრის და ნინოს ჰყავდათ სამი შვილი.[758] უფროსი იყო ნიკოლოზი - განათლებით იურისტი; კოტე განათლებით პეტროვსკო-რაზუმოვსკის ინსტიტუტელი მეტყევე იყო,[667] ხოლო ელენე, საერთოდ, დიდად განათლებული და დიდი მუსიკოსი როიალის განხრით. ყველანი ესენი ღირსეული შვილები იყვნენ თავიანთი მშობლებისა და მამულისა. აქვს ცალ-ცალკე ყველას კულტურული შრომანი თავიანთი სამშობლოს კეთილდღეობისათვის. ამ შრომებს, დაახლოებით რაც მე პირადად მახსოვს, ცალ-ცალკე დავასახელებ.

ნიკოლოზი ცხოვრობდა მომეტებულად ქ. ქუთაისში, სადაც ვექილობდა[759] და საუკეთესო დამცველად ითვლებოდა. იგი დაიბადა 1846 წელს. 1905 წელს ქალაქ ბრიუსელში გარდაიცვალა, სადაც თავისი ნებით საცხოვრებლად იყო წასული თავის ცოლთან[106] რომანტიულ ნიადაგზე უკმაყოფილების გამო.

ნიკო იყო დიდად განათლებული კაცი. იცოდა ინგლისური, ფრანგული, იტალიური და სხვა ენები. ბელგიაში ცხოვრობდა ივან მარტინოვის[760] გვარით, სადაც იყო რუსული ენის პროფესორად 1895 წლიდან. ვექილობის გარდა, ნიკო იყო ცნობილი ჟურნალისტი და ხალხური წიგნების გამომცემი.[761] მანვე პირველმა გამოსცა „არსენას ლექსი"; დაბეჭდა წერილები - „ქართული პოეზიის ნიმუშნი და იმათი განხილვა. ნიმუში პირველი - „იანიჩარი" ილ. ჭავჭავაძისა" („კრებული", [№7], 1872), წერდა კრიტიკულ-პუბლიცისტურ წერილებს („დროება", „ივერია"), აგრეთვე, ლექსებსა და მოთხრობებს, რომელთაგან ბევრი დაუბეჭდავი დარჩა. ანტონ ფურცელაძე[319] მას ლექსს უძღვნის 1861 წელს „ცისკარში" (№11, გვ. 340-341).[762] ნიკო ანტონ ფურცელაძეს [საზღვარგარეთიდან] დასაბეჭდად უგზავნის რამდენიმე ლექსს და სთხოვს, დააბეჭდინოს ის

ლექსიც, რომელსაც უძღვნის თვით ანტონ ფურცელაძეს სათაურით - „ვისაც ვახსოვარ". ამავე წერილში სწერს ანტონს: „სულით და გულით ქართველი ვარ, დავრჩი ქართველი, თუმცა გადმომტყორცნა ბედმა მაღალმა* საქართველოდან ცხრა მთას აქეთა... რა დამავიწყებს ჩვენს საქართველოს, ჩვენს რუსთაველს ან ბარათაშვილსა... როგორ მიმეცა დავიწყებასა ჩემი მშობელი, დაუვიწყარი და თავდადებული დიმიტრი ყიფიანი"[763] და სხვ. აი, ეს გრძნობა ნიკო ყიფიანისა და მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა სავსებით ადასტურებს მის ღირსეულ შვილობას მამისას და სამშობლოსი.

ცნობილი საზოგადო მოღვაწე კონსტანტინე მამაცაშვილი[232] ნიკოს უწოდებს „მოწინავე ქართველ ინტელიგენტს". პოლიტიკურადაც რამდენჯერმე იყო დასჯილი თვითმპყრობელობის მიერ და ერთ დიდად საიდუმლო წერილში მეფის მოადგილის, მისი ილ ნიკოლოზის ძის დავალებით გამგე-დირექტორი კანცელარიისა პეშჩუროვი[764] სწერს დიმიტრი ყიფიანს შემდეგ ამბავს: ანტონ ლორთქიფანიძე და მისი ცოლი ელენე ნამდვილად იყვნენ პასუხისგებაში მიცემულნი ქუთაისში მავნე პოლიტიკური პარტიის წრის შედგენის გამო და ნიკოლოზ ყიფიანი კი 1869 წელს უმაღლეს სასწავლებელში მომხდარ არეულობათა გამო პოლიციის მეთვალყურეობით გადმოსახლებულ იქნა კავკასიაში ს.-პეტერბურგიდან. მთავრობამ ცნო უხერხულად მათი დატოვება განათლების გამავრცელებელ დაწესებულებებში და იმ ნათესაური კავშირის გამო, რომელიც გაქვთ თქვენ აღნიშნულ პირებთან, ხელისუფლებას არა სურს ამ შემთხვევაში მიღებულ იქნეს რაიმე ძალდატანებითი ზომები. ამიტომ მისმა უმაღლესობამ ინება, გამოეთქვა სურვილი, რომ მათი მოშორება დაწესებულებიდან მოხდეს მათივე განცხადების თანახმადო.

კოტეს აკადემია რომ გაეთავებინა, დანიშნული ყოფილა ბორჯომის მამულის გამგის კისლის[765] თანაშემწედ. ერთხელ თურმე ერთად მიდიოდნენ ტყეში და მაჟალო ვაშლი გაეკბიჩა კოტეს და ეთქვა: „Кислый"-ო და გადაეგდო. ეს მის უფროსს სწყენოდა და საყვედური მიეცა კოტესათვის. საქმე იქამდე მისულიყო, რომ შელაპარაკებულიყვნენ და იქამდე მიეყვანა კოტე, რომ მისთვის სილა გაერტყა. კოტე ჩამოსულიყო ბორჯომს, გათავისუფლების განცხადება შეეტანა და ქვიშხეთს წასულიყო.

დიმიტრის მამულის გამგეობა კოტეს ებარა, როგორც მეტყევეს და აგრონომს. ჩემმა დამ, ნინომ, თავისი ნიჭით, მხნეობით და ადამიანობით დაიმსახურა დიმიტრის სიყვარული და პატივისცემა. რომ დაატყო ნინოს დიდი ნიჭი და სურვილი განათლების განგრძობისა, დიმიტრიმ მაშინვე დაიწყებინა ფრანგული ენის სწავლება და

* უნდა იყოს: ბედმა რაღამაც. შემდგ.

დიდი ყურადღება მიაქცია 17-18 წლის რძლის განვითარებას. ბოლოს, კოტემ რომ ხშირად დაიწყო თბილისში წარმოდგენებისთვის სიარული, დიმიტრი იძულებული გახდა, ოჯახის მეურნეობა და გამგეობა სხვისთვის ჩაებარებინა, რადგან მისმა ცოლმაც უქეიფობა დაიწყო და უარი განაცხადა ამ თანამდებობაზე.

ერთხელ სადილზე ვისხედით მთელი შემადგენლობა. დიმიტრიმ თქვა: რადგან კოტეს ეხლა ხშირად უხდება გარეთ ყოფნა და ჩემი ცოლიც უარს ამბობს, განაგრძოს ოჯახის მმართველობა, საჭიროა ახალი გამგე ავირჩიოთ ფარული კენჭისყრითო.

ყველამ იცოდა, რომ დიმიტრის მთავარი კანდიდატი იყო ნინო და სხვებმაც ერთხმად აირჩიეს. ამ დროს ნინო უკვე 20-21 წლისა იყო და კარგად იყო გაცნობილი დიმიტრის ოჯახის გარემოებას. მართლაცდა, ნინო გონივრულად შეუდგა დიმიტრის ქონების გამგებლობას როგორც გარეთ, აგრეთვე ოჯახში, რასაც ხედავდა დიმიტრი და ეს ახარებდა მის გულს. საოცრად შეუყვარდა მხნე და გონიერი ნინო და ეძახდა თავის „საყვარელ ნინუკას", რაც მტკიცდება დიმიტრის წერილებით[766] - ჩემგან წარდგენილით მწერალთა მუზეუმში.

ნინოს კარგად ესმოდა თეატრის მნიშვნელობა, რის გამოც დიდად უწყობდა ხელს თავის ქმარს, კოტეს, თეატრის სამსახურში. ბენეფისებში კოტეს მიერ მიღებულ საჩუქრებს ინახავდა, რაც კოტეს სიკვდილის შემდეგ მისი პირადი ნივთებითურთ შეიტანა სათეატრო მუზეუმში კოტეს კუთხის მოსაწყობად. ამ ნივთების სია, ხელმოწერილი მუზეუმის გამგეობის მიერ, ჩემთან ინახება.

ნინოს დიდად უყვარდა თავისი მამამთილი და ცდილობდა, გაემართლებინა მისი ნდობა. ნინომ პირველად ოჯახში მოსპო მუქთამჭამელები და ქურდბაცაცები, რომლებიც ოჯახს ბევრი ეხვია. ზვარი 13-დესეტინიანი, რომელიც დიდ ზარალს აძლევდა, რადგან მისი შემუშავება ბევრი ჯდებოდა, გადასცა თავიანთსავე მებაღეებს მოსავლელად, რაშიც აძლევდა მოსავლის ნახევარს. მოიწვია გამოცდილი მეტყევე, ტაქსატორი და მთელს თავიანთ ტყეებში 3 ათას დესეტინამდე მოიყვანა ცნობაში: თუ რამდენი ხე იყო მოსაჭრელი პირველ წელიწადს, მეორე წელიწადს და ასე სულ ნორჩ ხეებამდე. ამის შემდეგ დაიწყო წესიერი ექსპლოატაცია ტყისა; თუმცა დაზოგვით, მაგრამ შემოსავალმა მაინც იმატა ბევრად. სანამ ყველა საქმეს მოაგვარებდა, საჭირო იყო, ოჯახის ხარჯიც შეემოკლებინა. ამის გამო მოუხდათ რამდენიმე ზამთარი ქვიშხეთში გაეტარებინათ და იქიდან ევლოთ საქმეებისთვის თბილისში. როცა საქმეები მოაგვარა, ზამთრობით ცხოვრება დაიწყეს ისევ თბილისში.[444]

თბილისში ყოფნის დროს ნინო ლიტერატურაში იყო გართული. გადმოთარგმნა „სპარტაკი",[767] ადგენდა ქართულ-რუსულ ბოტანი-

კურ „სლავარს“[768] და ეცნობოდა ყველა გამოჩენილ მწერალთა თხზულებებს. ღებულობდა ყველა საზოგადო საქმეში მონაწილეობას და ზოგან დანესებულებათა თავმჯდომარე იყო და ზოგან — საბჭოსი. მისი ინიციატივით გაიხსნა რესტორანი „იმედი“, რომლის შემოსავლიდან სტუდენტებს და სხვადასხვა დარგში მოსწავლე ახალგაზრდობას უნიშნავდნენ სტიპენდიებს; შეადგინა წრე, რომელმაც მთელი საქართველო მოჰფინა „პეტიცას“[769] სახელობის საზოგადოების ბეჭდით დაბეჭდილი თუნუქის ყუთებით. ამ საშუალებით შეაგროვეს დიდი თანხა, რაც მოხმარდათ სტუდენტებს, მოსწავლეებს და „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“.[201]

ნინო თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებში და ჰქონდა გამოცემული პატარა წიგნაკები: „ვაგონში მოგზაურობა“, „სიზმარი“, „ჩვენი დრო“ და სხვ.

ერთხელ აკაკიმ[424] ურჩია ნინოს, მუყაითად [illegible] ხელი მწერლობისათვის, რადგან ქართული კარგად იცით და ამის ნიჭიც გაქვსო. ნინომ ამაზე უპასუხა: ჩემის აზრით, ჩვენ მწერლები მეტი გვყავს, ვიდრე წამკითხველები უსწავლელობის გამო. ამიტომ საჭიროა დიდი შრომა, რომ ჩვენში ფართოდ შევიტანოთ სწავლა-განათლება, რისთვისაც საჭიროა დიდი მუშაობა კულტურულ-ეკონომიურ დარგშიო. ჩემს დიდ ყურადღებას და ღონეს სავსებით ამას ვახმარო.

აკაკიმ ამაზე უთხრა, რომ შეხედულება შენი სწორია, მაგრამ შეძლებისდაგვარად არ დაივიწყო მწერლობაო.

კოტე - შვილი დიმიტრისა - იყო ცნობილი მსახიობი და თითქმის საძირკვლის ჩამყრელთა შორის ქართული თეატრისა. კოტეს ისე უყვარდა თეატრი, რომ სიყმაწვილიდან სიბერემდე მისთვის არ ულალატნია. აკაკი ამბობდა: კოტე და მისი დიდი ხნის თანამშრომელნი - ლადო მესხიშვილი,[770] ვასო აბაშიძე,[549] ნატო გაბუნია[771] და მაკო საფაროვი[772] - არიან დედაბოძნი ქართული თეატრისაო და ნატრობდა, მოსწრებოდა ამ ხუთის ნიჭით შემცვლელებს.

ვანო მაჩაბელს[443] და ილია ჭავჭავაძეს[132] დიმიტრი ყიფიანმა რომ უარი უთხრა, ეთამაშნა მეფე ლირის როლში,[773] მოიწვიეს კოტე, რომელმაც დიდებულად შეასრულა ეს როლი და სიკვდილამდე ამ როლში მუდამ ის გამოდიოდა. როცა მისი ბენეფისი იყო, მუდამ ღებულობდა ძვირფას საჩუქრებს და საზოგადოებაც ბლომად ესწრებოდა. ერთხელ კოტე თეატრის გამგეობამ ზუგდიდის თეატრის მოწყობის საკითხზე გაგზავნა ნიკო დადიან-მინგრელსკისთან[166] დახმარებისთვის მოსალაპარაკებლად. ამ დროს მინგრელსკი იყო საცხოვრებლად სოფ. გორდში,[332] სადაც კოტემ მეც წამიყვანა.

გორდი დიდად მშვენიერი ადგილია; სასახლე და მისი მოწყობილობაც - დიდად მშვენიერი. სასახლეს აქვს უზარმაზარი შემორაგული ადგილი - შიგ გაშენებული ყველანაირი ხილ-მცენარით.

სასახლეში მოწყობილია მუზეუმი, რომელშიდაც არის უძვირფასესი ნივთეულობა, მეტადრე თამარის[250] დიდი ქამარი ძვირფასი თვალ-მარგალიტით; უამრავი სხვა უძვირფასესი ნივთეულობა, ევროპული და ადგილობრივი, ყვლანაირი იარაღი, ჩაჩქნები და სასმისები. ყველა ეს, რაც მე იქ ვნახე, უნდა ღირებულიყო რამდენიმე მილიონი. მე გამაკვირვა მთავრის შვილის, ნიკოს, შემდეგმა განცხადებამ, რომელიც მისაღებ სახლში ჰქონდა გამოკრული: „რადგანაც ხშირად მოდიან ჩემთან სტუმრები ფულის სათხოვნელად და მე არა მაქვს ხოლმე [საშუალება], მათი თხოვნა შევასრულო, მართმეევენ ვექსილებს, რომლებსაც აგირავებენ ქუთაისის ვაჭრებთან და მიხდება მათთან ანგარიშის გასწორება. გთხოვთ ამ მიზნით მოსულთ, არ მომმართოთ ამისთანა თხოვნით".

როცა დედა ნიკოსი - ეკატერინე - პეტერბურგში ცხოვრობდა და აპეკუნად იყო დიმიტრი ყიფიანი,[492] კოტე და კოლა დიმ. ყიფიანისა ცხოვრობდნენ ერთ დროს მათთან. ასე რომ, ერთად იყვნენ შეზრდილები კოტე და ნიკო მინგრელსკი, რის გამოც ერთმანეთს შენობით ელაპარაკებოდნენ.

ერთხელ, სუფრაზე რომ ვსხედვართ, მინგრელსკის მოართვეს წერილი. გახსნა რა ეს წერილი და ნაიკითხა, გადმოსცა კოტეს - ნაიკითხე, ეს ხულიგანი რას მიბედავსო. ქუთაისში მოსულიყო მღვდელი ვოსტორგოვი[774] და იქიდან უგზავნის წერილს ვილაც პოლიციის მოხელის ხელით, რომელ წერილშიც სთხოვდა ნიკოს, დაედასტურებინა, რომ მეგრელი არის ცალკე ეროვნება, რომელსაც ქართველ ერთან საერთო არაფერი აქვს და რომ მეგრელებს აქვთ თავიანთი ენა, დამწერლობა, ლიტერატურა და ისტორია.

კოტემ რომ წაიკითხა, უთხრა: ეს წერილი მამაჩემს ჩავარდნოდა ხელში, ვიცი, რასაც იზამდა და შენც კი გმართებს, დიდი ყურადღება მიაქციო ამისთანა ხულიგნურ საქციელსო. მაშინ ნიკო წავიდა თავის კაბინეტში დასაწერად პასუხისა, რომელიც ჩვენც წაგვიკითხა: მღვდელო, თქვენმა ხულიგნურმა წერილმა დიდად გამაკვირვა. ღვთისმსახური მოვალეა, პატივი სცეს ხალხის ისტორიას, ეცნობოდეს მას და ახარებდეს მისი ძმური ერთობა. თქვენ კი გიკისრიათ როლი იუდასი - გაყაროთ ძმები და მტრად გახადოთ ერთმანეთისა. სამეგრელო, ქართლი, კახეთი, გურია, მესხეთი, იმერეთი და სხვა - ეს გეოგრაფიული სახელებია, სადაც ცხოვრობენ ქართველები, რომელთაც აქვთ ერთი საზოგადო ენა და წერა-კითხვა თავის ლიტერატურით, და თუ თქვენ გინდათ გამოიყენოთ ეს რუსიფიკაციისათვის თქვენის ნებით, ამაზე ცალკე ვილაპარაკოთ, რაც მოხსენდება თვით ხელმწიფეს.[775]

ჩვენი იქ ყოფნის დროს ნ. მინგრელსკისთან მოვიდა პროფესორი სერებრიაკოვი (ოქრომჭედლიშვილი),[776] რომელსაც ექსპლოატაციისთვის ჰქონდა აღებული ნიკოს ტყე. სერებრიაკოვს თურმე

ვადა გასდიოდა ხელშეკრულებისა და ჩვენთან სთხოვა ნიკოს, კიდევ გაეგრძელებინა ვადა ექსპლოატაციისა, რაზედაც ნიკომ უარი უთხრა იმ მიზეზით, რომ იმ 40 000 მანეთის ვალში, რომელიც ნიკომ მისგან ისესხა, 10%-ს ახდევინებს თვეში. სერებრიაკოვს ეს გაუკვირდა და უთხრა, რომ ის არც ერთ კაპეიკ სარგებელს არ იღებს ამ ფულში და იმედი აქვს ვადის გაგრძელებისა. ამასთანავე, განზრახული აქვს, ეს თანხა გადარიცხოს ახალ შემოსატან ფულში.

ნიკო ამ ამბავმა დიდად გააკვირვა, რადგან გამგე მამულისა თავის ბუღალტრით აუარებელ სარგებელს მიჭერენ ამ ფულშიო.

ნიკო დარწმუნდა, რომ სერებრიაკოვი მართალია და ბოდიშით გაუგრძელა კიდევ 3 წლის ვადით. ჩვენთან კი დაიჩივლა, რომ მოურავები მთელი ბტატით პირდაპირ მძარცვავენო. კოტეს კი დაჰპირდა, რომ ყველაფრით დაეხმარება ზუგდიდის თეატრს და სთხოვა კოტეს, ხშირად მიიღონ ხოლმე მონაწილეობა ზუგდიდის თეატრში და ხშირად დახედონ ხოლმე ახალგაზრდა თეატრის მსახიობებს.

კოტე თავისი სამშობლოს დიდი მოსიყვარულე იყო და ამის გულისთვის კარგა ხანი ქ. გორის ციხეშიც იჯდა.[777] მან საზოგადოებაში სილა გაარტყა ერთს რუსიფიკატორს - ვალენიჩს,[778] რომლის საჩივრით კოტეს სასამართლომ ციხე მიუსაჯა. თუმცა კოტეს უმაღლესი სწავლა ჰქონდა მიღებული, - სპეციალობით მეტყევე იყო, - მაგრამ, გარდა ბორჯომ-ქუთაისისა, არსად უმსახურია,[779] რადგან მას თეატრი ისე შეუყვარდა, რომ სიკვდილამდე არ მოშორებია.

დიმიტრის ქალი ელენე, — მამისთვის ლოკუნა, - იყო დიდად განათლებული ქალი და, როგორც ვთქვით, დიდი მუსიკოსი როიალის განხრით. იგი იყო დიდად მოსიყვარულე საზოგადო საქმეებისა და მამასავით დიდად მოსიყვარულე თავისი სამშობლოსი და ქმრისაც. სულ ახალ თაობაში ტრიალებდა, აწყობდა სასწავლებლებში და თვალყურს ადევნებდა მათ ყოფაქცევასა და მეცადინეობას. თუ ვინმე საჭიროებდა დახმარებას რითიმე, ის მზად იყო, ხელი გაემართა. ქუთაისში არ იყო იმისთანა საზოგადო დანესებულება, რომ ელენე სათავეში არ ყოფილიყო და პოლიტიკურადაც არ ეშრომნა გულწრფელად თავისი საყვარელი ერისათვის. რუსიფიკატორების წინააღმდეგ ძალიან იბრძოდა, რის გამოც ცოტა ხნობით ციხეშიც იჯდა.[780] ელენეც ხომ მოხვდა იმ დიდად საიდუმლო წერილში, რომელსაც დიდი მთავრის, მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძის დავალებით მისი კანცელარიის დირექტორი პეშჩუროვი სნერდა დიმიტრი ყიფიანს მისი შვილების და სიძის — ანტონ ლორთქიფანიძის — მიერ მავნე პოლიტიკური პარტიის წრის შედგენის შესახებ.[781]

ვიმეორებ, რომ დიმიტრი ყიფიანმა თავისი მამული სამად გაუყო თავის ვაჟებს და ქალს - ელენეს. ელენეს გადასცა ტაშისკარი და ჩუმათელეთი, თითქმის ორიათას დესეტინამდე. ელენეს შვილი

არ გაუჩნდა, რადგან ავადმყოფობდა ქალური ავადმყოფობით. ანტონს თურმე სხვასთან ვაჟიშვილი ჰყოლია და ეცადა რაღაცნაირად და ცოლის მამული თავის თავზე გადაიტანა. ეს რომ ელენემ გაიგო, დიდად ეწყინა ქმრისგან ამისთანა საქციელი და მოსთხოვა დაუყოვნებლივ მამულის ისევ დაბრუნება ელენეს სახელზე. ანტონი დაჰპირდა ამის შესრულებას, მაგრამ ისე გააგრძელა დრო იმ მიზეზით, რომ დიდი ბაჟი არის საჭირო და იშოვნის თუ არა ფულს, მაშინვე შეასრულებს კანონიერ მოთხოვნას ცოლისას. დ. ყიფიანი უკვე ცოცხალი არ იყო, თორემ იმის დროს ამას ვერ გაბედავდა. ელენეც მალე გარდაიცვალა და დარჩა ეს მამული ანტონის საკუთრებად. ანტონს საიდუმლოდ უნდოდა, ეს მამული გადაეცა თავისი უკანონო შვილისათვის. ავად გახდა ანტონი ძალიან და არ იცოდა, რა ექნა და როგორ გადაეცა ისე, რომ გადაცემის შემდეგ თვითონ ცოცხალი აღარ ყოფილიყო. გადაცემის შემდეგ კიდევ რომ ეცოცხლა და გახმაურებულიყო ეს საქმე, ეგეც არ უნდოდა. ასე რომ, ანტონიც უცებ გარდაიცვალა და ვეღარ მოასწრო, თავისი სურვილი სისრულეში მოეყვანა.

ამის შემდეგ მემკვიდრედ გამოვიდა ანტონის ძმა - ექიმი სიმონ (სისო) ნიკოლოზის ძე ლორთქიფანიძე,[782] რომელსაც დარჩა ეს მამული. ექიმმა ლორთქიფანიძემ ტაშისკარი მიჰყიდა განძიელს[783] და ჩუმათელეთი - თაიროვს:[784] ორთავ მამულში მიიღო კარგა დიდი საფასური...

1948 წლის 24 აპრილი

ექვთიმე თაყაიშვილი[785]

მოგონებანი
(ნაწყვეტები)

1880-იანსა და 1890-იან წლებში ჭირდა არქეოლოგიური კვლევა-ძიების ფართოდ გაშლა. ადრე არსებული კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოებაცა და მერე კავკასიის ისტორია-არქეოლოგიის საზოგადოებაც დაიხურა რატომღაც.[786] ორივემ სულ სამი თუ ოთხი ტომი გამოსცა, მეტი ვერა. დ. ბაქრაძეს[787] კიდევ უნდოდა არქეოლოგიური საზოგადოების დაარსება, მაგრამ ნება აღარ მისცეს. რაკი პირდაპირი საშუალება აღარ იყო, იძულებული ვიყავით, გარეშემოვლითი გზით მაინც გვეწარმოებინა არქეოლოგიური მუშაობა. ამის საშუალებას გვაძლევდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“,[201] დაარსებული ჩვენი შესანიშნავი მოღვაწის დიმიტრი ყიფიანის თაოსნო-

ბით. საერთოდ, მას დიდი ინიციატივა ახასიათებდა: ბანკიც ხომ მისი დაარსებულია![199] ილია ჭავჭავაძე ხომ რამოდენა კაცი და მოღვანე იყო, მაგრამ ამისთანა თაოსნობა ნაკლებ ეხერხებოდა; ოღონდ უკვე დაარსებულ დაწესებულებაში რომ ჩაჯდებოდა, მერე მარჯვედ მუშაობდა და ვეღარც ვერაფერი დასძრავდა ხოლმე. დიმიტრი ყიფიანმა ისარგებლა რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს (1877-78 წწ.) შექმნილი ვითარებით, როდესაც კავკასიის ფრონტზე ომმა რუსთათვის სახიფათო ხასიათი მიიღო, და ქართველების, როგორც კავკასიაში მოწინავე ერისა და საუკეთესო მამაცი მხედრობის, ერთგულებას რუსეთისადმი დიდი მნიშვნელობა მიენიჭა. მთავრობა ნამდვილად დამფრთხალი იყო და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, უსვამდა თავზე ხელს ქართველებს, ოღონდ არ გვიღალატონო, და იყო ერთი მანიფესტების გამოშვებაში: „Наш благоверный грузинский народ"-ო და ასეთები! სწორედ მაშინ იხელთა დრო დიმიტრი ყიფიანმა და შეადგინა წესდება საზოგადოებისა, რომელსაც ქართველთა შორის წერა-კითხვა და ცოდნა უნდა გაევრცელებინა.[788] იმავე დროს ის საზოგადოება სამეცნიერო მუშაობასაც გასწევდა, არაოფიციალურად: სამეცნიერო საზოგადოებათა დაარსების ნებას იმჟამად აღარ იძლეოდნენ. ამრიგად წარმოიშვა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომელმაც რამდენსამე წელიწადს რევოლუციის შემდგომაც იარსება და რომლის დამსახურება ქართული კულტურის წინაშე საყოველთაოდ ცნობილია. თავდაპირველად თვით დ. ყიფიანი ყოფილიყო მისი თავმჯდომარე, ხოლო მას შემდეგ, რაც ის სხვა საქმეების გამო წასულიყო - ილია ჭავჭავაძე.[789] მე რომ ჩამოვბრუნდი პეტერბურგიდან,[790] უკვე ილია დამხვდა ამ თანამდებობაზე და, როგორც ადრე აღვნიშნე, მაშინვე აქტიურად ჩავები საზოგადოების მუშაობაში (გამგეობის წევრად ამირჩიეს ჩემ დაუსწრებლად) - კერძოდ, მის ხელნაწერთა კოლექციის გამდიდრებასა და გამოცემაში.

დიმიტრი ყიფიანს მე მაინცდამაინც არ დავახლოებივარ. ძალზე ზრდილი და დარბაისელი კაცი იყო (ნამდვილი ევროპული მიმოხვრა ჰქონდა), უაღრესად პატრიოტი და თან, როგორც ვთქვი, ფხიანი მუშაკი და მეთაური ქართული საქმეებისა. იმ ბანკის დაარსება მის მეტს, რასაკვირველია, არავის შეეძლო. ქართველი თავად-აზნაურობა პირდაპირ აღმერთებდა დიმიტრის და ძალიან მიღებული ჰყავდა, რადგან ყოველთვის მტკიცედ იცავდა ხოლმე მათ ინტერესებს. ბატონ-ყმობის გაუქმებამ, საგლეხო რეფორმამ ხომ საქართველომდე დიდი დაგვიანებით მოაღწია (მაგალითად, დანამდვილებით მახსოვს, რომ გურიაში მხოლოდ 1866 წელს გაათავისუფლეს ყმები). მთავრობა ძალიან ელოლიავებოდა თავად-აზნაურობას, თვალს უხვევდა, დიპლომატიურად ეკითხებოდა აზრს და

იყო გაუთავებელი მოლაპარაკება და თათბირები. მახსენდება გიორგი მუხრანსკისაგან გაგონილი ერთი საკმაოდ უცენზურო ანეკდოტი (ის გიორგი თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის ნინამძღოლი იყო, მე რომ პეტერბურგიდან ჩამოვედი)[791] პატარძლის შესახებ, რომლითაც ეპასუხნა ერთ-ერთ ასეთ თათბირზე მეფისნაცვალთან თავად-აზნაურობის წარმომადგენელს, და რომლის აზრიც ის იყო, რომ, რაკი ხელმწიფეს გადაუწყვეტია ყმების გათავისუფლება, ხომ მაინც გაათავისუფლებს და ჩვენც რაღა დაგვრჩენია დათანხმების მეტიო!.. ყმების გათავისუფლების ასანაზღაურებლად თავად-აზნაურობამ ხაზინიდან ფული მიიღო.

სხვათა შორის, მე და ჩემ ძმებსაც, როგორც ყმების მფლობელ აზნაურებს, გვერგო 1000-ოდე მანეთი, რაც მაშინ კაი ფული იყო. ის თანხა ჩვენს სიძესა და მეურვეს[792] ჰქონდა და, გიმნაზიაში რომ შევდიოდით, მე და სამ ძმას კიდევ ას-ასი მანეთი შეგვხვდა, გარდა იმისა, რაც მანამდე დაგვახარჯა მეურვემ.

დიმიტრი ყიფიანი მოელაპარაკა მთელი საქართველოს თავადაზნაურობის ყველა ნინამძღოლს და დაიყოლია, რომ ყმების საფასურად მიღებული ფულიდან რამდენიმე პროცენტი გადაედოთ საადგილმამულო ბანკის დასაარსებლად, რომლის შემოსავალიც მოხმარდებოდა ქართველი ერის საზოგადო საქმეს.[490] ეს ნინადადება მან თავისი ავტორიტეტით გაიტანა, ისე რომ, უარი არავის უთქვამს.[793] ამრიგად დაარსდა თბილისის და ქუთაისის საადგილმამულო ბანკები...

უნივერსიტეტი რომ გავათავე, თბილისში ჩამოვედი და ლათინური ენის მასწავლებლად დავდექი სათავადაზნაურო სასწავლებელში, რომელსაც მაშინ ალექსი ბესარიონის ძე ჭიჭინაძე[794] განაგებდა (ქუთაისშივე, გიმნაზისტობისას, ჩემი კარგი ნაცნობი). ჩემი ჩამოსვლის შემდეგ ერთი თვეც არ გასულიყო, რომ ამბავი მოვიდა, სტავროპოლში დიმიტრი ყიფიანი მოკლესო. ეს იყო 1887 წლის 24 ოქტომბერს. ამან, რა თქმა უნდა, თავზარი დაგვცა ყველას და მთელი ქართველობა ააღელვა. გადაწყვიტეს, ჩამოესვენებინათ ცხედარი და საკადრისი პატივით დაემარხათ მთაწმინდაზე. ამის მოსაწყობად შედგა კომისია, რომელშიც, რა თქმა უნდა, ილია ჭავჭავაძეც დიდ მონაწილეობას იღებდა.

მთავრობის მიერ დაყრილი ხმა, ვითომც დიმიტრი ყიფიანი გაძარცვის მიზნით მოეკლათ, არავის არა სჯეროდა: ყველა დარწმუნებული იყო, რომ იგი რუსული ხელისუფლების აგენტების მიერ იყო მოკლული.

კომისიაში ამირჩიეს მეც. ვინ დამასახელა, აღარ მახსოვს, მაგრამ საერთოდ მაშინ უკვე ყველა ასეთ კომისიებში მასახელებდნენ ხოლმე, იმიტომ, რომ ცოტა იყო ასარჩევი ადამიანები. კომისიაში სულ თხუთმეტი კაცი იქნებოდა, მაგრამ ამასთანავე დამხმარეც

აუარებელი გვყავდა. შევიმუშავეთ დაკრძალვის გეგმა. ჭირისუფლობა იკისრა განსვენებულის ნათესავმა დავით ყიფიანმა[195] - ცნობილმა მოღვაწემ და კარგმა კაცმა - თბილისში დიდად მიღებულმა ნოტარიუსმა, ილია ჭავჭავაძის,[132] ივ. პოლტარაცკის,[232] ალ. ჯაბადარისა[795] და სხვათა მეგობარმა. ოფიციალური მიმონერა, ნებართვის მიღება და სხვა ასეთი რამეები, სულ მას დაეკისრა. მართალია, დიმიტრის ვაჟი დარჩა - კოტე,[440] მაგრამ ის ვერ გაართმევდა თავს იმდენ საქმეს[796] და თან პრესტიჟისთვისაც სჯობდა დავითისათვის დავალება იმეებისა.

რასაკვირველია, საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ დეპუტატები და სხვადასხვა დანესებულებათა წარმომადგენლები. ყველანი, - სამგლოვიარო ლენტებით შემოსილნი (მკლავებზე გაგვიკეთეს), - დაეხვდით ცხედარს ვერაზე, ჯვართან.[580] იქიდან დაიწყო პროცესია. კომისიის გეგმით, ცხედარი უნდა გამოგვეტარებინა გოლოვინის პროსპექტით[599] ერევნის მოედნამდე,[604] მერე უნდა აგვეხვია სოლოლაკის ქუჩაზე,[605] მერე პეტრე დიდის ქუჩაზე[606] და ისე უნდა ავსულიყავით მთაწმინდაზე. პოლიცია, რასაკვირველია, გამრავლებული იყო და ფეხზე იდგა.

დაიძრა პროცესია დავით ყიფიანის მეთაურობით. როგორც კი მოვუახლოვდით გრიბოედოვის ქუჩის[597] ასავალს, პოლიცია გადაგვეღობა და გამოგვიცხადა, რომ პროცესია გრიბოედოვის ქუჩით წავიდეს. შეიქნა ერთი ჩოჩქოლი; ხალხი წინ მიმავალთ მიაწვა. ამასობაში ნიკო დიასამიძემ,[554] რომელიც წაბლისფერ ტაიჭზე იჯდა ქართულად ჩოხაში გამოწყობილი, ცხენდაცხენ გაარღვია პოლიციის რაზმი და გასწია წინ. დავით ყიფიანიც მას გაჰყვა. პოლიცია წინ გადაუდგა სამღვდელოებას, რომელსაც მიუძღოდა ცნობილი ქართველი პატრიოტი, ბერი, ეპისკოპოზი ალექსანდრე ოქროპირიძე.[528] ის, საერთოდ, თითქოს არ იყო გამბედავი კაცი, მაგრამ აქ კი ნამდვილად გამოიჩინა გამბედაობა. პოლიციის რაზმის მეთაურმა უთხრა: „Ваше преосвященство, приказано по Грибоедовской улице направить процессию!"; ალექსანდრე არ შედრკა და მიუგო: „Меня пригласили родные покойного, куда они последуют, и я за ними!"-ო და განაგრძო გზა. შემოსილი მღვდელმთავრის შეჩერება პოლიციამ ვეღარ გაბედა, თან ხალხიც მიანვა, გაარღვია პოლიციელთა წყება და მედგრად გასწია წინ. მთელ პროსპექტზე გაიმართა უზარმაზარი პროცესია. სასახლეს[629] რომ მივუახლოვდით, განგებ შეაჩერეს ცხედარი და მიცვალებულის ლოცვა გადაიხადეს, დემონსტრატიულად. სასახლიდან არავის გამოუხედავს. მაშინ მთავარმართებლად იყო დონდუკოვ-კორსაკოვი.[264] ამბობდნენ, რომ იმ დღეს ის არ იყო სასახლეში, თავისი ცოლის[797] პანაშვიდზე წავიდაო ზემოთ, წმ. ნინოს სახელობის ქალთა გიმნაზიის[798] ეკლესიაში.

სასახლიდან დაძრული პროცესია მოედანზე გავლით ავიდა სოლოლაკის ქუჩაზე, მერე შემოუხვია პეტრე დიდის ქუჩაზე, ხოლო იქიდან ერმოლოვის ქუჩით[799] ავიდა მთაწმინდაზე.

ცხედარს, დავით ყიფიანთან ერთად, მიჰყვებოდნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი,[404] სხვა პოეტები და მწერლები. მიჰყვებოდა, რა თქმა უნდა, განსვენებულის მთელი ოჯახიც.

საფლავზე პირველი სიტყვა წარმოსთქვა აკაკი წერეთელმა, რომელმაც დიმიტრი ყიფიანი გამოაცხადა საქართველოს მეორე დიმიტრი თავდადებულად და, რა თქმა უნდა, დიდი შთაბეჭდილებაც მოახდინა.[800] ის ცნობილი მშვენიერი ლექსი რომა აქვს, „ცაფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტოო“, მაშინ არ უთქვამს, მერმე დაწერა,[801] დიმიტრი ყიფიანს კი გულისხმობდა შიგ!

მოელოდნენ ილიას სიტყვასაც, მაგრამ მას არაფერი უთქვამს. ისე კი გვითხრა რამდენიმე კაცს: „რა ამბავსაც დღეს აქ ვუყურებთ, ამას არავითარი სიტყვა არა სჯობიაო!“; მართლაც, უამრავი ხალხი იყო დაკრძალვაზე მოსული, ნამდვილად მთელი საქართველო! ილიას მიერ სიტყვით არგამოსვლა ზოგმა მის სიფრთხილეს მიაწერა. ისიც კი გაიხსენეს, რომ ერთ დროს მას ყიფიანთან პოლემიკა ჰქონდა,[648] მაგრამ ერთიცა და მეორეც, რა თქმა უნდა, ცილისწამება იყო...

ამრიგად, ეს გრანდიოზული პროცესია დიდი და გაბედული დემონსტრაცია იყო ქართველი ერისა ცარიზმის რეჟიმის წინააღმდეგ. მან ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ქართველობაზე და ერთგვარ საგონებელშიც ჩააგდო ხელისუფალნი. მეორე დღეს მთავარმართებელმა მოიწვია საბჭოს სხდომა და თათბირობდნენ, თუ რით ეპასუხათ ამ გამოუთქმელ დემონსტრაციაზე. აზრთა დიდი გაცვლა-გამოცვლის შემდეგ დაასკვნეს, რომ რეპრესია დემონსტრაციის მომწყობთა მიმართ კიდევ მეტ გართულებას გამოიწვევს; რაც მოხდა, პოლიციის განცხადების მიმართ უბრალო ნინააღმდეგობად ჩათვალეს,[802] ჭირისუფალი დავით ყიფიანი 6 მანეთით დააჯარიმეს[803] და ამით გათავდა საქმე.

1949-1950 წწ.

დანართი

1. კოტე ყიფიანი[440]

დიმიტრი ყიფიანის მკვლელობა

საქართველოში ყველამ იცის მგონია, რა მიზეზით იყო ჩემი მამა, დიმიტრი ყიფიანი, ქუთაისის სათავად-აზნაურო წინამძღოლობის თანამდებობიდან გადაყენებული და რისთვის იყო გაგზავნილი საცხოვრებლად ქალაქ სტავროპოლში. ამაზედ მე ამ წერილში მოკლეთ ვიტყვი, რადგანაც ვრცლად რომ ავსწერო ყოველი გარემოება, ეს მეტად შორს წაგვიყვანს და მინდა პატივცემულ მკითხველს მოვახსენო მკვლელობის გარემოება.

25 ღვინობისთვეს, 1886 წელს, სტავროპოლს მივიდა თუ არა[804] და დაბინავდა,[613] მოგვწერა წერილი, რომ იმის განთავისუფლებაზედ ჯერ-ჯერობით არავისთან ხმა არ ამოგველო, რადგან თვითონ შეუდგა თავისი საქმის დაწერილებით აღწერას ხელმწიფე-იმპერატორისთვის მისართმევად,[805] ალექსანდრე მესამისათვის,[686] და უნდა გამოეაშკარავებინა მაშინდელი მთავარმართებლის დონდუკოვ-კორსაკოვის[264] უკანონო მოქმედება საქართველოში, ექსარხოსისა პავლესი,[283] სამოსწავლო მზრუნველის იანოვსკისა[542] და ქუთაისის ღუბერნატორის სმეკალოვის[63] არაკეთილი განზრახვანი და მისნრაფებანი ჩვენი ხალხის სანინააღმდეგოდ. ეს ოთხნი დიდი წინააღმდეგნი იყვნენ ჩემის მამისა და უნდოდათ, როგორმე მოეშორებინათ აქედგან, როგორც ფრიად პატივცემული და მეტად გავლენიანი კაცი საქართველოში და იმ დროის ბიუროკრატიულს წესწყობილებას დიახაც არ მოსწონდა გავლენიანი ვინმე ადამიანი და ამათმა მეცადინეობამ იქამდისინ მიაღწია, რომ სრულებით განდევნეს საქართველოდან მისი საუკეთესო შვილი.[295] მაგრამ ბიუროკრატთა ეს ყევარი მოწინავე პირნი მაინც არ იყვნენ მოსვენებულნი, რადგანაც დიმიტრის ბღვერა ელანდებოდათ სტავროპოლიდან და ამიტომაც სასიკვდილოთ გასნირეს.

ამ ორი უღელი ბობოლების გადამტერების მიზეზი სულ უბრალო იყო; იანოვსკის არ მოსწონდა, რომ ჩემი მამა, როგორც ღუბერნიის მარშალი, წინააღმდეგი იყო სკოლებიდან ქართული ენის განდევნისა; ღუბერნატორს სმეკალოვს არ მოსწონდა, რომ დიმიტრი ყიფიანი იმის განკარგულებას თავად-აზნაურთა და გლეხთა ინტერესების შემცირებაზე ყოველთვის წინ ეღობებოდა; დონდუკოვს არ მოსწონდა, რომ ყიფიანი დიდი წინააღმდეგი იყო, საქართველოს შვილნი ჯარში გაეყვანათ და პავლე ექსარხოსი კი მეტად ჯავრობდა მამაჩემზედ, რომ მკაცრად ეწინააღმდეგებოდა ეკლესიიდან ქართული წირვა-ლოცვისა და გალობის განდევნასა და მის ნაცვლად რუსულის შემოღებას.

სმეკალოვმა გულში ჩაიხვია ჯერ ყმაწვილობაშივე მიღებული შეურაცხყოფა, რომელიც ჩემმა მამამ მიაყენა.

1832-1833 წლებში, როდესაც საქართველოში რუსეთის საწინააღმდეგო შეთქმულება შესდგა,[806] რათა გაედევნათ აქედან რუსები და საქართველოს სამეფო უნდა აღედგინათ, მაშინ ჩვენი ყმაწვილკაცთაგანი ბევრნი იყვნენ გაგზავნილნი რუსეთის სხვა და სხვა ღუბერნიებში საცხოვრებლად და, სხვათა შორის, ჩემი მამაც იყო გაგზავნილი ქალაქს ვოლოგდაში.[49] იქ მამაჩემი დაბინავდა სამსახურიდან გადაყენებული უნტერ-ოფიცრის სმეკალოვის[807] ოჯახში, სადაც სრული სამი წელიწადი დაჰყო[57] და სმეკალოვის შვილს ალექსანდრეს სხვა და სხვა საგნების გაკვეთილებს აძლევდა უფასოთ, ბინის ქირის მაგიერად. ეს ალექსანდრე სმეკალოვი 60-იან წლებში გადმოვიდა კავკასიაში სამხედრო სამსახურში პრაპორშჩიკის ჩინით და მამაჩემმაც ისე მიიღო, როგორც ღვიძლი შვილი. ეს სმეკალოვი სულ მუდამ ჩვენს ოჯახში ატარებდა დროს, ღამით მხოლოდ არ ეძინა ჩვენსა, სხვა დროს კი სულ ჩვენსა იყო ხოლმე. მაშინ ბატონ-ყმობა იყო და დედაჩემს[75] ჰყავდა სამი მოახლე; ერთი ამათგანი ოსის ქალი იყო, მეტის-მეტად კოხტა, მოხდენილი და ძალიან ლამაზი. შეუყვარდა ამ სმეკალოვს, შეუყვარდა ისე, რომ სიცოცხლე გაუმწარა ამ გოგოს და გოგომაც არც აცივა, არც აცხელა, იჩივლა ჩემს დედ-მამასთან - ან მომაშორეთ თავიდან ეს ვიღაცა გადმოვარდნილი რუსიო, ან არადა აქვე თავს მოვიკლავო. სმეკალოვს, რასაკვირველია, გამოუცხადეს ამ მელანო-გოგოს ზიზღი, მაგრამ ამაზედ აფიცერმა განაცხადა - კანონიერად დავიწერ ჯვარსო. ახტა და დახტა ეს მელანო;[808] ამისი მოცილება არ უნდოდათ და ისევ ირჩიეს ჩვენებმა სმეკალოვის სახლიდან დათხოვნა. ამის შემდეგ სმეკალოვი სადღაც გადაიყვანეს და ბოლოს ქუთაისის ღუბერნატორად კი მობრძანდა.[809]

ამ დროს მამაჩემი ქუთაისის მარშლად იყო.[262] მაშინ აღიძრა კითხვა, რომ საქართველოს შვილნი სამხედრო სამსახურში უნდა გაეწვიათ. ამაზედ დიდი წინააღმდეგი იყო ჩემი მამა: უმტკიცებდა სმეკალოვს, რომ არავითარი უფლება არა ჰქონდა მთავრობას, საქართველოს რუსეთთან შეერთების ტრაქტატის ძალით,[810] სამხედრო სამსახურში გაეყვანა ჩვენი ქვეყნის შვილები და მეტადრე ამათი გაგზავნა ცივს რუსეთში სამსახურისათვის. ამის შესახებ ასტყდა გამწვავებული მინერ-მოწერა სმეკალოვს, დონდუკოვსა და მამაჩემს შორის. ხალხშიაც გავრცელდა ხმა, რომ ყიფიანი საქართველოს შვილების სალდათებად გაყვანის დიდი წინააღმდეგი არისო. ასტყდა ჩოჩქოლი თავად-აზნაურობაშიაც, გლეხობაშიაც, მთავრობაშიაც და იქამდისინ მივიდა საქმე, რომ დონდუკოვსა და სმეკალოვს პირდაპირ დაემუქრნენ ზოგიერთნი - თუ შემოიღებდნენ ამ სამხედრო წესსა. დროებით მიანებეს ამას თავი, ვითომცდა

დავიწყებას მისცეს. სმეკალოვს ამისთანა წინააღმდეგობა ჩემი მამისა არაფრად ეჭაშნიკებოდა, რადგანაც იმ პროექტის განხორციელებას „ვილაც ყიფიანი ნინ გადაეღობა“.

ამასობაში ქუთაისის ღუბერნიაში სკოლების დაარსების შესახებ ასტყდა კამათი მამაჩემსა და სმეკალოვს შორის ქართული ენის განდევნის მიზეზითაც, ზოგიერთ თავადთა უმიზეზოთ დაპატიმრების მიზეზითაც და ამათი განდევნა რომ მოინდომა სმეკალოვმა, აქ კი ჩემმა მამამ პირდაპირ და მრისხანეთ განუცხადა, რომ თუ ვისმე თავად-აზნაურთაგანს მთავრობა რაიმე მიზეზით ახლებს ხელს, მაშინ თვითონ მარშალიც უნდა იყვეს განდევნილი მთავრობისაგან, თუ ამ განდევნას შეიძლებს მთავრობა.[811]

აქაც გადაეღობა წინ სმეკალოვის განკარგულებას დიმიტრი ყიფიანი და ეს საკმარისი იყო სმეკალოვისათვის, რომ გადამტერებიყო მამაჩემს.

რასაკვირველია, რომ ყოველივე საქმეს დიმიტრი ყიფიანისა დონდუკოვი აცნობებდა პეტერბურღს. როგორღაც იმ ხანებში იმყოფებოდა პეტერბურღს მამაჩემი და ალექსანდრე მესამემ რომ ჰკითხა: „რა კაცია ეს ვიღაცა ყიფიანიო“, ამილახვარმა[812] უპასუხა: „თქვენი მთავრობისათვის ყოვლად მავნებელი კაციაო.“ ესა სთქვა იმისთანა ქართველმა კაცმა, რომელიც ვითომცდა ქართველობდა, მაგრამ რუსთა რეჟიმის ყურმოჭრილი მონა და მოსამსახურე იყო. ეს ამბავი გადმოსცა მამაჩემს ქვიშხეთში პეტერბურღიდან მოსულმა დ[ეისტვიტელნი] ს[ტატსკი] ს[ოვეტნიკმა] სმირნოვმა,[235] რომელიც მამაჩემთან ერთად წევრად იყო იმ კომისიისა, რომელსაც სამეგრელოს მთავრის ნიკო მინგრელსკის[166] საქმეები უნდა მოეწესრიგებინა. სმირნოვი იყო იმ წამს ხელმწიფესთან, როცა ამილახვარმა ეს უსვინდისო სიტყვები წარმოსთქვა.

ექსარხოსი პავლე ხომ სულ ყირაზე დადგა მამიჩემის მიზეზით. ამისი ყირაზე დადგომა შემდეგმა გარემოებამ გამოიწვია.

ჩვენს საზოგადოებას დავიწყებული არ ექნება, რა მიზეზითაც სასულიერო სემინარიის მოწაფემ, ლალიძემ* ამ სემინარიის რექტორი ჩუდეცკი[280] მოჰკლა. ეს რექტორი ჩუდეცკი დიდი მეგობარი იყო პავლე ექსარხოსისა, ჩუდეცკის ლამაზი ცოლის[534] მიზეზით.[813]

სიონის სობოროში გაასვენეს ჩუდეცკი;[685] რაც წესი და რიგი იყო, აუგეს; მერე ტრაპეზიდან გამობრძანდა შემოსილი ექსარხოსი და დაიწყო ქადაგობა ადამიანის მკვლელობის შესახებ და ტრაპეზიდან დასწყევლა ის ქვეყანა, რომელმანც დაჰბადა მკვლელი ლალიძე, დასწყევლა ის ხალხიც, რომელმანც აღზარდა მკვლელი და სულ ყველანი შეჩვენებასა და ანათემას მისცა. მაშინ ჩემი მამა სოფელს ქვიშხეთში იყო[814] და სიონში დამსწრეთ როცა უამბეს ექსარ-

* უნდა იყოს: ლალიაშვილი. [525] შემდგ.

ხოსის ეს უნამუსო საქციელი, მაშინვე მისწერა წერილი ისე კი არა, როგორც კერძოთ მცხოვრებმა დიმიტრი ყიფიანმა, არამედ როგორც თავად-აზნაურთა წარმომადგენელმა...[815]

2. კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს უფროსის, ბარონ ალ. ნიკოლაის,[108] მოხსენება რუსეთის უმაღლესი ხელისუფლებისადმი თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლად დიმიტრი ყიფიანის არჩევასთან დაკავშირებით

თავადაზნაურობის [1864 წ.] 16 თებერვლის ყრილობამ ხმების უმრავლესობით აირჩია:

[თბილისის] გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლობის კანდიდატად ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი ყიფიანი(მომხრე-172, წინაღმდეგი — 7), ხოლო თელავის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლობის კანდიდატად - თავადი მაყაშვილი[816] (მომხრე - 124, წინააღმდეგი - 58).[817] მეორე დღეს, ე.ი. 17 თებერვალს, თბილისის სამოქალაქო გუბერნატორმა[818] დიდ მთავარს, კავკასიის მეფისნაცვალს,[191] სათანადო გადაწყვეტილებისთვის წარუდგინა მოხსენებითი ბარათი, რომელსაც ხელს აწერენ გენერალ-ადიუტანტი, თავადი ორბელიანი[41] და გენერალ-ლეიტენანტი, თავადი ბაგრატიონ-მუხრანსკი.[179] მათი განმარტებით, - ხელმძღვანელობდნენ რა განსაკუთრებული მონინების გრძნობით მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის[819] ნების მიმართ, - უარი თქვეს კენჭისყრაში მონაწილეობის მიღებაზე, რადგანაც ყიფიანი თავის დროზე ხელისუფლების სპეციალური განკარგულებით იყო დათხოვნილი მეფისნაცვლის საბჭოს წევრის თანამდებობიდან.[820] ამას გარდა, მოხსენებით ბარათში ჩამოყალიბებულია მოსაზრება, რომლის თანახმადაც ყიფიანის არჩევა ხელს ვერ შეუწყობს დაქსაქსული და ურთიერთდაპირისპირებული თავადაზნაურობის გაერთიანებას და, ამდენად, ვერ მოიტანს სასურველ შედეგს. აქვე ავტორები მიუთითებენ: - თავადაზნაურობის ის ნაწილი, რომელიც ზემოაღნიშნულ თვალსაზრისს იზიარებს, მხოლოდ იმიტომ აღმოჩნდა უმცირესობაში, რომ ხმების მიცემა არაკანონიერი წესით ჩატარდა. დასასრულ, ხელის მომწერთა თქმით, ისინი აღჭურვილნი არიან ყრილობის იმ 66 მონაწილის რწმუნებით, რომელთა სიაც თან ერთვის მოხსენებით ბარათს. მინაწერის მიხედვით, ამ სიაზე ხელის მომწერნი წინააღმდეგნი არიან გუბერნიის წინამძღოლის თანამდებობაზე ნამდვილი სამოქალაქო მრჩევლის ყიფიანის არჩევისა და თავიანთ ხმას აძლევენ გენერალ-ლეიტენანტ რევაზ ანდრონიკაშვილს.[181] სამოქალაქო გუბერნატორის მოხსენებაში კი აღნიშნულია, რომ ზემოდასახელებული გენერლის ღვიძლ ძმას, სილნაღის

მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლს, თავად სოლომონ ანდრონიკაშვილს[821] ყრილობისთვის განუცხადებია - თავად რევაზ ანდრონიკაშვილს გუბერნიის წინამძღოლის თანამდებობაზე კენჭისყრა არა სურსო.

ახლა კავკასიის უმაღლესმა მმართველობამ უნდა განიხილოს საკითხი: არჩეული თუ კენჭისყრაზე წამოყენებული კანდიდატებიდან რომელს გაუწიოს შუამდგომლობა უზენაესი ხელისუფლების წინაშე თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის თანამდებობაზე დასამტკიცებლად. ამასთანავე, აუცილებელია იმის გამორკვევაც, თუ რამდენად უნდა გაეწიოს ანგარიში ყრილობის ორი მონანილის მოხსენებით ბარათს.

მიღებული ხმების რაოდენობით პირველ ადგილზეა ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი ყიფიანი. ბ-ნი ყიფიანი მიეკუთვნება გორის მაზრის თავადაზნაურობას[822] და სურამის უბანში ფლობს მცირეოდენ მამულს. ჩამომავლობით იგი წვრილ აზნაურთა ფენას ეკუთვნის, მაგრამ ადგილობრივ თავადაზნაურობაში მოპოვებული აქვს თვალსაჩინო ადგილი, რასაც პიროვნული ღირსებებითა და სამსახურებრივი მდგომარეობით მიაღწია. აქაურ გიმნაზიაში განათლების მიღების შემდეგ[823] ბ-ნი ყიფიანი, - ჯერ კიდევ ყმაწვილი, - დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყებისთანავე ჩაბმული აღმოჩნდა იმ საკმაოდ მრავალრიცხოვან ჯგუფში, რომელზეც ეჭვი იყო მიტანილი, თითქოსდა ქართველი თავადაზნაურობის ზოგიერთი წევრის მიერ მოწყობილ რაღაც შეთქმულებაში მონაწილეობდა და ამისთვის ამ ჯგუფის წევრები 1834 წელს დროებით გადაასახლეს ან სამსახურში განაწესეს რუსეთში.[49] ამათგან ამჟამად ცოცხლები არიან: გენერალ-ადიუტანტი, თავადი ორბელიანი, გენერალ-ლეიტენანტი, თავადი გიორგი ერისთავი,[183] გადამდგარი გენერალ-მაიორი, თავადი მაკარ ორბელიანი,[189] თავადი დიმიტრი ვახტანგის ძე ორბელიანი[824] და მისი ძმა, თავადი ალექსანდრე ორბელიანი,[147] ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი ავთანდილოვი[46] და ზოგიერთი სხვა, შედარებით ნაკლებმნიშვნელოვანი, ფიგურა. თითოეული ამათგანი შემდგომში დროგამოშვებით დააბრუნეს სამშობლოში და გაათავისუფლეს ყოველგვარი შედეგისგან, რაც კი შეიძლებოდა მოჰყოლოდა მათ მიმართ ადრე წაყენებულ ბრალდებას. ამის შემდეგ ბ-ნ ყიფიანს სხვადასხვა თანამდებობა ეჭირა: 10 წელიწადს მთავარსამმართველოს საბჭოს საქმეთა მმართველი იყო,[825] დროებით ასრულებდა მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორის მოვალეობას[120] და, ბოლოს, ან უკვე ყოფილი მეფისნაცვლის, გენერალ-ფელდმარშალ ბარიატინსკის[121] ნარდგინების საფუძველზე 1857 წ. მეფისნაცვლის საბჭოს წევრად დაამტკიცეს.[122] ამ თანამდებობაზე იყო იგი სამსახურიდან გასვლამდე. საკუთარი სურვილითა და 1862

ნ. 27 ივნისის* უზენაესი განკარგულებით ბ-ნი ყიფიანი გათავისუფლდა სამსახურიდან.[820] დიდი მთავრის, - კავკასიის მეფისნაცვლის, - შუამდგომლობით ბ. ყიფიანს ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამსახურისთვის 1863 ნ. 21 მაისის უზენაესი ბრძანებით, გარდა კანონით გათვალისწინებულისა, დაენიშნა დამატებითი პენსიაც - ათასი მანეთი ვერცხლით.

1851 წლიდან ვიდრე მიმდინარე 1864 წლამდე ბ-ნი ყიფიანი თავადაზნაურობის მიერ ოთხჯერ იყო სამ-სამი წლით არჩეული თბილისის გიმნაზიის საპატიო მზრუნველად.[826]

კავკასიის ყოფილი მეფისნაცვლის[121] ნებართვით ბ-ნმა ყიფიანმა 1859 ნ. იტვირთა სამეგრელოს მცირეწლოვანი მთავრის მამულების მეურვეობა,[492] თუმცა სამსახურებრივად ეს მას არ ევალებოდა. ამ კერძო მოვალეობის შესრულებისას მისი მოქმედება სრულებით არ ეთანხმებოდა თავად ბარიატინსკის შეხედულებებს, რის გამოც ამ უკანასკნელმა ყიფიანს თანამდებობიდან გადადგომა მოსთხოვა.

ნამდვილმა სამოქალაქო მრჩეველმა, ყიფიანმა, თავის სამსახურებრივ და საზოგადოებრივ მდგომარეობას დაუღალავი შრომით მიაღწია. არც გვარიშვილობით, არც ქონებრივად იგი არ ეკუთვნის აქაური თავადაზნაურობის მაღალ ფენებს, მაგრამ არაჩვეულებრივი ნიჭისა და თავაუღებელი შრომის წყალობით მან საზოგადოებაში დაიმკვიდრა ისეთი მნიშვნელოვანი ადგილი, რომელმაც წინამძღოლის არჩევნებზე გადასძალა გავლენას უძველესი გვარეულობებისა; იმ გვარეულობებისა, რომელნიც აქამდე შეუცვლელად ინარჩუნებდნენ ამ მეტად საპატიო თანამდებობას.[827]

ზნეობრივი ღირსებები ბ-ნ ყიფიანს ყოველთვის უნარჩუნებდა სამაგალითოდ პატიოსანი კაცის რეპუტაციას, მაგრამ მეტისმეტად გამახვილებული თავმოყვარეობა ზოგჯერ მეტად ართულებდა მასთან ურთიერთობას. რაც შეეხება ბ-ნი ყიფიანის პოლიტიკურ მრწამსს, ამაზე მხოლოდ ერთი რამის თქმა შეიძლება - მას ჰყოფნის გონიერება და შეგნებული აქვს, რომ რუსეთის ხელისუფლებისადმი მორჩილება მისი სამშობლოს არსებობის ერთადერთი გარანტიაა.

თავადაზნაურობის წინამძღოლის თანამდებობაზე ბ-ნი ყიფიანის კანდიდატურის წამოყენება სავალდებულო იყო თანახმად კანონთა კრებულის III ტომის 192-ე მუხლისა, რომლის მიხედვითაც პირველ რიგში კენჭს იყრის წინანდელი წინამძღოლი,[828] მაგრამ იგი ამჟამად საზღვარგარეთ იმყოფება. ასეთ შემთხვევაში კენჭი უნდა

---

* უნდა იყოს: *21 ივნისის* (იხ.: ხი, დ.ყ. არქ.,საქ. №29, ფ. 108; შ. ჩხეტია, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, თბ., 1950, გვ. 121-122). შემდგ.

ეყაროს გიმნაზიის საპატიო მზრუნველს. ბ-ნ ყიფიანს კი ამჟამად სწორედ ეს თანამდებობა უჭირავს.

თელავის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლობის კანდიდატი, თავადი მაყაშვილი[816] ახალგაზრდა კაცია, რომლის წარსულიც სრულიად უცნობია. იმ წრეში, სადაც მას იცნობენ, დამკვიდრებულია აზრი, რომ ესაა, მართალია, კეთილშობილი, მაგრამ უუნარო და სავსებით უავტორიტეტო პიროვნება და იგი მაზრის წინამძღოლად მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ აირჩიეს, რომ ერთადერთი კანდიდატურა იყო. ამ თანამდებობაზე თავადი მაყაშვილი პირველადაა არჩეული.

საჭიროდ არ მიმაჩნია, გუბერნიის თავადაზნაურობის კანდიდატთა შორის მოვიხსენიო გენერალ-ლეიტენანტი, თავადი რევაზ ანდრონიკაშვილი,[181] რამდენადაც მან თვითონვე განაცხადა უარი ამ თანამდებობაზე და, შესაბამისად, მისთვის არც უყრიათ კენჭი; ხოლო 66 პირის მიერ ხელმოწერილი მოხსენებითი ბარათი ეწინააღმდეგება კანონთა კრებულის III ტ. 214-ე მუხლს სათავადაზნაურო თანამდებობაზე არჩევის წესის შესახებ და ამიტომ სავსებით უნდა იქნეს იგნორირებული.

გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის დამტკიცება-არდამტკიცების განხილვისა და სახელისუფლებო გადაწყვეტილების მიღებამდე თავს მოვალედ ვთვლი, განვაცხადო შემდეგი:

საგუბერნიო წინამძღოლად ბ-ნი ყიფიანის არჩევას შესაძლებელია თბილისის გუბერნიაში გარკვეული მნიშვნელობა მიეცეს. რუსეთში ამ თანამდებობაზე ისეთი პირის არჩევა, რომელიც არ ეკუთვნის უმაღლეს არისტოკრატიულ გვარეულობებს, ყოველთვის იმდენად ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა, რომ ამას საზოგადოებაში არასოდეს გამოუწვევია რაიმე გართულება თუ წინააღმდეგობა. რუსეთში საგვარეულო შტოს ძლიერება ამა თუ იმ პიროვნებას არ აძლევს არავითარ ხელშესახებ უპირატესობას არც ხელისუფლების, არც საზოგადოების წინაშე - გაცილებით უფრო ფასობს ქონებრივი მდგომარეობა და პიროვნული ღირსებები. საქართველოში კი შენარჩუნებულია გვაროვნული თვითშეგნება; იმ გვარეულობებისა, რომელთაც უძველესი ისტორიისა და იმ ადგილის გამო, ფეოდალური საქართველოს სამეფოში რომ ეჭირათ, დიდი ძალაც ჰქონდათ და დიდი მნიშვნელობაც. თუმცა საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ეს ძალა გაქრა და მათმა მნიშვნელობამაც მხოლოდ გარეგნული, ფორმალური ხასიათი შეინარჩუნა. ჩვენს ხელისუფლებას აქაური უმაღლესი ნოდებისათვის არ მიუნიჭებია რაიმე განსაკუთრებული უფლებები. ამასთანავე, იგი (ხელისუფლება) ცდილობდა, ხელი შეენყო ზოგიერთი, - უძველესი ისტორიისა და ოდესღაც დიდი გავლენის მქონე, - გვარეულობისთვის, შეენარჩუნებინა ხსოვნა წარსულში მოპოვებული გამორჩეუ-

ლი პატივისა. ნაწილობრივ ეს შემდეგი გარემოებითაც უნდა აიხსნას: ახალშემოერთებული, - ენითა და ზნე-ჩვეულებებით უცხო, - ქვეყნის მოსახლეობასთან დაახლოება ჩვენს ხელისუფლებას უნდა დაეწყო იმ ფენიდან, რომელიც შემდეგ ამ ქვეყანაში რუსეთის გავლენის თანდათანობითი გავრცელების იარაღად უნდა გადაქცეულიყო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ძველი საქართველოს ფეოდალები საკუთარ სამშობლოში რუსული სულისა და რუსული ზნე-ჩვეულებების ბუნებრივი დამამკვიდრებელნი იყვნენ. ამას გარდა, უმაღლესი წოდების წარმომადგენლები სხვებზე ადრე შეუდგნენ სახელმწიფო სამსახურის გზით ცხოვრების სახსრის მოპოვებას და რუსეთთან აუცილებელი კავშირის პირობებში განათლების მოთხოვნილებაც პირველებმა იგრძნეს. აზნაურობამ კი დროთა მანძილზე სწორედ რუსული ხელისუფლებისგან მიიღო თავადობასთან უფლებრივი თანასწორობა (იმათაც კი, ვინც ადრე უმაღლესი წოდების უშუალო დაქვემდებარებაში იმყოფებოდა). აზნაურობამ დაიწყო მისთვის აქამდე მიუწვდომელი სახელმწიფო სამსახურისკენ გზების ძიება, რათა ლუკმაპურიც გაეჩინა და, ამასთანავე, ქართული არისტოკრატიის მანამდე დასშული წრის რღვევაც მოეხერხებინა.

ასე და ამგვარად, არა მარტო სახელმწიფო, არამედ არჩევითი ხასიათის სათავადაზნაურო თანამდებობებზეც გუშინდელმა პლებეებმა პატრიციების გვერდით დაიკავეს ადგილი. უკანასკნელთა მხრიდან ამ მოვლენას რაიმე წინააღმდეგობა არ გამოუწვევია; მით უფრო, სულიერ მოთხოვნილებათა გაფართოებასთან ერთად თავადობამ იმისი საჭიროებაც იგრძნო, რომ ამათ თანამოაზრეები უნდა ეძებნათ არა გვაროვნულ ნუსხებში, არამედ ნიჭიერთა და განათლებულთა შორის. მხოლოდ თავადაზნაურობის წინაშძღოლის თანამდებობა რჩებოდა აქამდე მაინცდამაინც უმაღლეს წოდებას. ეს უცილობლად ასეც უნდა მომხდარიყო, რამდენადაც თავადურ გვარეულობებში გამჯდარი იყო ჩვევა საზოგადოების სხვა ფენებზე მორალური ბატონობისა. ჩე ვერ შევალ იმის განსჯაში, თუ რა კვებავდა ამგვარ შეგნებას და რა შედეგები შეგვეძლო აქედან მიგველო. თავს იმის თქმის უფლებას კი მივცემდი, რომ ზემოაღნიშნული ჩვევა ნასაზრდოებია საერთოდ თავადური ნრეების განსაკუთრებული მოწიწებით საკუთარ გვარეულობათა უძველესი ისტორიისადმი. უკანასკნელი 25 წლის მანძილზე, ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით, გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის პოსტს უცვლელად ინარჩუნებდნენ ორბელიანები.[82] ბაგრატიონ-მუხრანსკების, ერისთავების, ანდრონიკაშვილების ჩცდელობები, - გამოეგლიჯათ დაწინაურებული გვარეულობისთვის ქართველი თავადაზნაურობის ბაირაღი, - წარუმატებლად მთავრდებოდა; ორბელიანები არ თმობდნენ ამ პატივს, ამასთანავე,

მფარველს პოულობდნენ ადგილობრივ უმაღლეს სახელისუფლებო წრეებში.

სანამ გუბერნიის წინამძღოლობა მხოლოდ საპატიო თანამდებობად ითვლებოდა და თავადაზნაურობის არსებითი ინტერესების გათვალისწინებისას წინამძღოლის პიროვნებას ხელისუფლების წინაშე არ ენიჭებოდა განსაკუთრებული მნიშვნელობა, უმეტესი ნაწილი თავადაზნაურობისა გულგრილი რჩებოდა უმაღლეს წოდებრივ წრეებში მიმდინარე ბრძოლებისადმი. ეს ნაწილი ემორჩილებოდა მეფისნაცვლის ფარულ ნებას და ხმას აძლევდა ხელისუფლების მიერ რეკომენდებულ ნებისმიერ კანდიდატურას. მაგრამ წელს საგლეხო რეფორმამ, რომელიც ახლო მომავალში უნდა დასრულდეს, გამოაფხიზლა ყველა, ვინც ამ საკითხით სისხლხორცეულადაა დაინტერესებული. როდესაც მეფისნაცვალმა თავადაზნაურები მიიწვია თავიანთ მოსაზრებათა წარსადგენად, ამ უკანასკნელთ სამაზრო ყრილობებზე ფუჭი და უნაყოფო კამათის შემდეგ გადაწყვიტეს საკუთარ წრეში ისეთი პირების მოძებნა, რომელთაც თავადაზნაურობის მხურვალე სურვილების მწყობრად და მკაფიოდ ჩამოყალიბების უნარი ექნებოდათ. ამგვარ ვითარებაში უმაღლესმა წოდებამ არაფრად ჩააგდო ფეოდალური ეპოქის გადმონაშთები და ისეთი პირის არჩევა გადაწყვიტა, რომელიც დააკმაყოფილებდა წინამძღოლისთვის აუცილებელ პირობებს - ექნებოდა თავი და მჭრელი კალამი. არჩევანი შეჩერდა ბ-ნ ყიფიანზე, რომელიც დიდი ხანია თავადაზნაურობის ინტერესთა უნარიან დამცველად ითვლება. საგლეხო რეფორმის თაობაზე თავადაზნაურობის განცხადების ყიფიანის მიერ შედგენილი პროექტი მიიღო უმრავლესობამ და მასზე ამ წოდების 500-ზე მეტმა წარმომადგენელმა მოაწერა ხელი.[830] ამათგან, ეტყობა, ნახევარზე მეტი აზნაურები იყვნენ, რომლებიც აქამდე შემოთავაზებულ კანდიდატებს ხმას აძლევდნენ არა თავადური წრეებისადმი მოწიწებისა თუ სხვა რამ მოსაზრებათა გამო, არამედ ამით არჩევნებისადმი გულგრილ დამოკიდებულებას გამოხატავდნენ. სულ არაა გასაკვირი, რომ ამჟამინდელ არჩევნებზე აღნიშნული უმრავლესობა მატერიალურმა დაინტერესებამ აიძულა, მეტი ყურადღება მიექცია წინამძღოლის არჩევნებისთვის და ამ თანამდებობაზე ისეთი პირი მოეყვანა, რომელიც ხელისუფლების წინაშე თავადაზნაურობის ინტერესთა საუკეთესო დამცველი იქნებოდა. წინამძღოლის არჩევის დროს თავადაზნაურობას უნდა ეხელმძღვანელა იმავე მოსაზრებებით, რა მოსაზრებებითაც ხელმძღვანელობდა იგი, როცა გლეხთა გათავისუფლების პროექტის რედაქტორს ირჩევდა. სწორედ ამას უნდა გადაეწონა სასწორი და არჩევანიც იმავე პიროვნებაზე, ბ-ნ ყიფიანზე, შეჩერდა. ეს ყველაფერი იმდენად ბუნებრივად გამომდინარეობს საქმის არსიდან, რომ უნაყოფო იქნებოდა, აქ დაგვეწყო

ძებნა რაღაც მოჩვენებითი პოლიტიკური თუ სოციალური ფაქტორებისა, როგორც ამას ცდილობენ ზოგიერთები. ამ უკანასკნელთათვის არსებითი მნიშვნელობა არცა აქვს წინამძღოლის ღირსებებს და აღნიშნულ არჩევნებში ხედავენ შემაძრწუნებელ მოვლენას, რომელმაც ანაზდეულად მოსპო ის, რაც აქამდე მათ ხელშეუხებელ უფლებად ითვლებოდა.

უნდა ითქვას, რომ ერთსულოვნება გამოამჟღავნა ამომრჩეველთა იმ ნაწილმა, რომელიც დღეს წინამძღოლში ხედავს არა სადღესასწაულო ღონისძიებებში თავის წარმომადგენელს, არამედ თავადაზნაურობის საარსებო ინტერესთა დამცველს. ამომრჩეველთა მეორე ნაწილში კი ჩვეულებრივი უთანხმოება და განხეთქილება სუფევს. მკაფიო დადასტურება ზემოთქმულისა გახლავთ შემდეგი გარემოება: მიუხედავად იმისა, რომ თავადაზნაურობის ამ უკანასკნელმა ნაწილმა წინასწარვე იცოდა ბ-ნი ყიფიანის წინამძღოლად არჩევის განზრახვა, თავის წრეში ვერ მონახა შესაფერისი პიროვნება და არასასურველ კანდიდატს არჩევნებში ვერავინ დაუპირისპირა. თავადაზნაურობის ამ ნაწილმა მისთვის არასასურველი შედეგის თავიდან აცილების ერთადერთ საშუალებად დასახა სახელისუფლებო ძალების გამოყენება და ძალდატანებითი გაბათილება იმისა, რისი გაბათილებაც კანონიერი საშუალებით თვითონ ვერ მოასწრო ან ვერ შეძლო. აი, არსებითად, რითი უნდა აიხსნას გორის თავადაზნაურობის 15 წარმომადგენლის 3 თებერვლის საჩივარი კავკასიის მეფისნაცვლისადმი არასწორად შედგენილ სიებზე, არაკანონიერ რწმუნებულობებსა და სხვა უწესრიგობებზე, რომლებიც თითქოსდა წინ უძღოდა არჩევნებს. მით უმეტეს, იმავე მიზეზით უნდა აიხსნას გენერალ-ლეიტენანტის, თავად მუხრანსკის მიერ შედგენილი და მის მიერვე, აგრეთვე, გენერალ-ადიუტანტის, თავად ორბელიანის, მიერ ხელმოწერილი მოხსენებითი ბარათი.

უცილობლად უნდა გაირკვეს საკითხი, თუ როგორ უნდა ემოქმედა ადგილობრივ უმაღლეს ხელისუფლებას ზემოაღნიშნულ განცხადებასთან დაკავშირებით. ეჭვი არ არის, რაც აქ სათავადაზნაურო არჩევნები ტარდება, ზედმიწევნით არასოდეს ყოფილა დაცული კანონით გათვალისწინებული ყველა პირობა. იმაზე ლაპარაკიც აღარ ღირს, რომ არ სრულდებოდა კანონთა კრებულის III ტ. 90-100-ე მუხლების მოთხოვნა სიების შემოწმების მიზნით სამაზრო და საგუბერნიო ყრილობების ჩატარების შესახებ. თანაც ეს პროცესი არც განსაზღვრულ დროში ტარდებოდა და არც კანონით გათვალისწინებული საზეიმო ელფერი ეძლეოდა. ამასთანავე, თვითონ უფლება არჩევნებში მონაწილეობისა უფრო თავისუფლად იყო გამოყენებული, ვიდრე ამას ითვალისწინებს კანონთა კრებულის III ტ. 52-ე მუხლი, ანუ არჩევნებში ისეთი პირებიც მონაწილე-

ობდნენ, რომელთაც 20 კომლ ყმა გლეხზე ნაკლები ჰყავდათ და 1000 დღიურ სახნავ მინაზე ნაკლებს ფლობდნენ. ყოველივე ეს ნანილობრივ იმითი აიხსნება, რომ კანონის ზემოაღნიმნულ მოთხოვნათა დაცვა თავად-აზნაურთა უმეტეს ნანილს სათავადაზნაურო საკრებულოს მიღმა დატოვებდა, ნანილობრივ კი იმითი, რომ ამ მხარეში, მინათა გაუმიჯნაობის გამო, ამა თუ იმ პირის მფლობელობაში არსებულ ფართობთა ზუსტი მოცულობა ძალზე ძნელი დასადგენია. მაგრამ რა მიზეზებიც არ უნდა ყოფილიყო, ფაქტი ფაქტად რჩება: დასახელებული დარღვევები ცნობილი იყო როგორც თავადაზნაურობისთვის, ისე ხელისუფლებისთვისაც, მაგრამ ათეული ნლების განმავლობაში ამას არ გამოუნვევია არც უთანხმოება პირველისა და არც სათანადო მითითება თუ ნინააღმდეგობა მეორე მხარისა. აქაურ უმაღლეს ხელისუფლებას რომ მოენდომებინა ახლანდელი არჩევნების ჩატარება კანონით მკაცრად განსაზღვრული მოთხოვნების მიხედვით და ნინანდელი დარღვევების აღმოფხვრა, რასაკვირველია, ამის შესახებ თავადაზნაურობა არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე იქნებოდა გაფრთხილებული. მაგრამ იქნებოდა თუ არა ამგვარი ღონისძიება ან აუცილებელი, ან სამართლიანი? კანონის ზედმინევნით დაცვას გააძნელებდა, ჯერ ერთი, სარწმუნო სტატისტიკური მონაცემების უქონლობა; ამას გარდა, ისიცაა მხედველობაში მისაღები, რომ არჩევნების მიღმა დარჩებოდა ის ნანილი მემამულეებისა, რომელიც საგლეხო საკითხის გადაწყვეტის შემდეგ ისედაც მწვავედ იგრძნობს მატერიალურ დაქვეითებას. არჩევნებში მონაწილეობის უფლების ნართმევას იგი უსათუოდ ახსნიდა ხელისუფლების მცდელობით - მინის მფლობელთა ამ კატეგორიისთვის აღეკვეთათ საკუთარ საჭიროებათა მთავრობის ყურამდე მიტანის საშუალება და ამგვარი უფლება მიენიჭებინათ თავადაზნაურობის იმ ნანილისათვის, რომელიც ისედაც უფრო კეთილმოწყობილია და, ამდენად, ნაკლებად საჭიროებს სხვადასხვა შეღავათსა თუ შემწეობას. ეს გარემოება კი, თავის მხრივ, გამოიწვევდა საყვედურებსა და უკმაყოფილებას, და ეს მაშინ, როცა რუსეთის მთავრობამ გამოსცა განკარგულებები, რომლებითაც საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობისაკენ მოუწოდებს როგორც უმაღლესი, ისე დაბალი წოდებების მქონე ფენებს. ასეთი არათანამიმდევრულობა კი ვერ დასაბუთდებოდა ვერც სამართლიანობის პრინციპით და ვერც სახელმწიფოებრივი საჭიროებით. ყოველივე ამის გამო სავსებით გამართლებულია უკანასკნელ არჩევნებში ყველა იმ პირის დაშვება, ვინც ამგვარ ღონისძიებაში ადრეც მონაწილეობდა. ამათ უნდა დაემატოს ისინი, რომლებმაც განვლილ სამწლიან პერიოდში მოიპოვეს სამოქალაქო უფლებები სრულწლოვანების მიღწევისა თუ უფრო მაღალი წოდებრივი ხარისხის მინიჭების წყალობით. 3 თებერვლის საჩივარი

მისი უკანონობის გამო შეიძლებოდა საერთოდ არ გამხდარიყო განხილვის საგანი, მაგრამ მეფისნაცვალს სურს, დაუდასტუროს თავისი პატივისცემა ხელის მომწერებს. მას არ უნდა, ვინმეს საბაბი მისცეს ფიქრისთვის, რომ მისი უმაღლესობა ამ შემთხვევაში უპირატესობას ანიჭებს რომელიმე მხარეს. ამიტომ მეფისნაცვალმა საჩივარი განსახილველად გადასცა თავად-აზნაურთა საკრებულოს, სადაც მისივე შუამდგომლობითა და თანხმობით თავმჯდომარედ მიწვეულ იქნა სამოქალაქო გუბერნატორი[818], ახსნა-განმარტებისთვის კი - მომჩივანთა ნდობით აღჭურვილი პირები. ძნელი წარმოსადგენია, ამ საქმის განხილვა მიკერძოებულ ვითარებაში ჩატარებულიყო. მონაწილეთა, - მათ შორის ნდობით აღჭურვილი პირების, რომელთა შორის გენერალ-ლეიტენანტი მუხრანსკიც იყო, - ერთსულოვანი გადაწყვეტილებით შედგა ოქმი, რომლის დამტკიცებაც ინება დიდმა მთავარმა - კავკასიის მეფისნაცვალმა. ამ ოქმის მიხედვით, გაუქმდა მანამდე არსებული რწმუნებულებანი და დადგინდა დაუყოვნებლივი ჩატარება ახალი არჩევნებისა, სადაც ხმის მიცემის უფლება მხოლოდ უშუალო მონაწილეს მიენიჭებოდა. ამგვარი დადგენილება იმითი იქნა გამართლებული, რომ ზოგიერთის რწმუნებულება ეჭვს იწვევდა და მისი კანონიერება-უკანონობის გამოძიება იყო საჭირო. ამას კი საკმაო დრო დასჭირდებოდა, რასაც, თავის მხრივ, უნდა მოჰყოლოდა მთელი თავადაზნაურობისათვის მეტად მძიმე და გამაჩანაგებელი გახანგრძლივება არჩევნებისა, ან კიდევ, საერთოდ მისი გადავადება. აუცილებლობა უკარნახებდა, ორი ცუდი ვარიანტიდან უკეთესი ამოერჩიათ: ან ულაპარაკოდ გაებათილებინათ რწმუნებულებები, ანდა მთელს თავადაზნაურობას მისთვის მძიმე შედეგებით უნდა ეზღო ზოგი თავისი წარმომადგენლის შეცდომა. თანაც ეს შეცდომები მხოლოდ სავარაუდო იყო და არა დამტკიცებული. თუკი ეს დადგენილება ზოგიერთ, - კანონიერი რწმუნებულებით აღჭურვილ, - პირს არ-თმევს არჩევნებში მონაწილეობის უფლებას, არც ის უნდა გამოვრიცხოთ მხედველობიდან, რომ თვითონ ამგვარი ვითარების გამომწვევია განცხადება, რომელიც თავისი არსითა და ფორმით ვერ თავსდება კანონიერების ფარგლებში და უფრო ადმინისტრაციულ ღონისძიებათა მოთხოვნაზეა დაფუძნებული, ვიდრე იურიდიულად გამართლებულ დასკვნებზე.

ახლა გადავიდეთ იმ მოხსენებით ბარათზე, რომელიც გენერალ-ადიუტანტმა, თავადმა ორბელიანმა და გენერალ-ლეიტენანტმა, თავადმა ბაგრატიონ-მუხრანსკიმ წარმოადგინეს სამოქალაქო გუბერნატორის მეშვეობით. პირველ რიგში უსათუოდ უნდა მივაქციოთ ყურადღება ბარათის დასაწყისშივე გამოთქმულ პატივისცემას შემდეგი გარემოებისადმი: ავტორებმა თავიანთ თავს უფლება არ მისცეს, მონაწილეობა მიეღოთ არჩევნებში, სადაც საგუბერნიო

წინამძღოლის თანამდებობაზე ბ-ნი ყიფიანისთვის უნდა ეყარათ კენჭი. მიზეზად კი ისაა დასახელებული, რომ ბ-ნი ყიფიანისთვის, როგორც ხელისუფლების განკარგულებით სამსახურიდან დათხოვნილისთვის, საერთოდ არ უნდა ეყარათ კენჭი. ფაქტებისა და შესაბამისი კანონების ზერელე გადახედვაც კი საფუძვლიანად გვარწმუნებს: მართალია, ზემოაღნიშნულ პირებს შეეძლოთ გამოეხატათ პირადი შეხედულება, მაგრამ ეს უნდა გაეკეთებინათ კანდიდატისთვის შავი კენჭის ჩაგდებით. ხოლო თავად-აზნაურთა ყრილობას უფლება არ ჰქონდა, ბ-ნი ყიფიანის კანდიდატურა არ დაეყენებინა კენჭისყრაზე. კანონთა კრებულის ზემოდასახელებული III ტ. 192-ე მუხლის მიხედვით გუბერნიის წინამძღოლის პოსტზე კენჭის საყრელად სავალდებულოა იმ პირის დასახელება, ვისაც უკანასკნელი სამი წლის მანძილზე გიმნაზიის საპატიო მზრუნველის თანამდებობა უჭირავს. ასეთ შემთხვევაში კენჭისყრაში მონაწილეობა მხოლოდ იმ პირს ეკრძალება, რომელიც სამართალშია მიცემული. ბ-ნი ყიფიანი, როგორც ეს უზენაეს ბრძანებაშია მითითებული, სამსახურიდან საკუთარი ნებითაა გასული და ხანგრძლივი და ნაყოფიერი საქმიანობისათვის იგი დიდი მთავრის, - კავკასიის მეფისნაცვლის, - შუამდგომლობითა და იმპერატორის ყოვლადმონყალე განკარგულებით კუთვნილზე მეტი პენსიითაა დაჯილდოებული. აი, ყველაფერი, რაც თავადაზნაურობისთვისაა ცნობილი ბ-ნი ყიფიანის სამსახურიდან გასვლის შესახებ. ამ საკითხის დაფარული მხარე, რამაც სინამდვილეში გამოიწვია მისი სამსახურიდან გასვლა, არც ხელისუფლების მიერ ყოფილა გამოცხადებული და არც იმ პირთა მიერ, რომლებმაც იცოდნენ საქმის ნამდვილი არსი და შეეძლოთ, თანამოქალაქეთა თვალში ჩრდილი მიეყენებინათ ბ-ნი ყიფიანის ავტორიტეტისათვის. ისლა დაგვრჩენია, გამოვიცნოთ ჭეშმარიტი მიზეზები, რომლებმაც ზოგიერთ პირს უბიძგა, ხელისუფლებისთვის მიემართა განცხადებით, რომელშიც მათ მიერ კენჭისყრაში მონაწილეობაზე უარის თქმა თვითონ ამ კენჭისყრის უკანონობითაა ახსნილი. რაც შეეხება წარმოდგენილი ბარათის დარჩენილ ნაწილს, იქ გამოთქმული შეხედულებები კერძო ხასიათისაა და ეს შეხედულებები ვერ იქნებოდა სავალდებულო იმ თავად-აზნაურთათვის, რომლებმაც ბ-ნ ყიფიანს მისცეს ან არ მისცეს ხმა. შეუძლებელია გულწრფელ სინანულს არ იწვევდეს ის გარემოება, რომ საყოველთაო, სავსებით დამსახურებული პატივისცემით გარემოსილი და მაღალი წოდებებით აღჭურვილი მხცოვანი გენერალ-ადიუტანტი — თავადი ორბელიანი — ხელს აწერს დოკუმენტს, რომელიც თავისი ხასიათით უკანონოცაა და, ვბედავ ვიფიქრო, არადროულიც. წარმოდგენილ ბარათსა და მასზე თანდართულ სიაზე ხელის მომწერნი მიუთითებენ შემდეგ ვითარებაზე: თითქოს ისინი იმიტომ აღმოჩნდნენ უმცირესობაში, რომ არჩევ-

ნებში ისეთი პირებიც მონაწილეობდნენ, რომელთაც საამისო კანონიერი უფლება არა ჰქონიათ. ამგვარი პრეტენზიის უსაფუძვლობას თვალნათლივ ადასტურებს რაოდენობა კენჭისყრაში გამოყენებული ფურცლებისა, სადაც აღნიშნულია საარჩევნო სიებში შეყვანილ ამომრჩეველთა სახელები.

შეეძლო თუ არა აქაურ უმაღლეს ხელისუფლებას ორი, თუნდაც საპატიო მდგომარეობის მქონე, პირის განცხადების საფუძველზე გაეუქმებინა უკვე ჩატარებული არჩევნების შედეგები და კანონიერების აღდგენის საბაბით დაენიშნა სულ ცოტა სამთვიანი ვადა ახალი არჩევნების ჩასატარებლად? აი, კითხვა, რომელსაც, ჩემი აზრით, ერთადერთი პასუხი უნდა გაეცეს: ამგვარი ღონისძიება თავადაზნაურობის უმეტეს ნაწილში გამოიწვევდა სამართლიან უკმაყოფილებას და, ამასთანავე, საზოგადოების თვალში შეარყევდა ავტორიტეტს ხელისუფლებისას, შექმნიდა მისი სისუსტის შთაბეჭდილებასა და ნაახალისებდა არაკანონიერი გზებით პირად ანგარიშსწორებას. ხელისუფლება დღემდე გულმოწყალედ ექცეოდა აქაურთა მატერიალურ-ქონებრივ თავისებურებებს და ათნლეულების განმავლობაში ნებას რთავდა მათ, ჩაეტარებინათ არჩევნები იმ წესებით, ზემოთ რომ იყო აღნიშნული, რითაც ერთგვარად დააკანონა კიდეეაც ზოგიერთი დარღვევა. ყოველ შემთხვევაში, თუკი ხელისუფლება არჩევნებთან მიმართებაში შეეცდება კანონიერების აღდგენასა და მის ზედმიწევნით დაცვას, მაშინ შეუძლებელია, მხედველობაში არ იქნეს მიღებული შემდეგი გარემოებაც: ხელისუფლებას აქაური საზოგადოების თვალში ძალასა და ღირსებას მატებს არა კანონთა კაზუისტიკური დაცვა, არამედ ის ვითარება, რომელიც ხელისუფლებამვე დაამკვიდრა სამართლიანობის პრინციპთა გათვალისწინებით.

ამის შემდეგ უნდა განვიხილოთ ასეთი საკითხი: წმინდა სახელისუფლებო პოზიციებიდან გამომდინარე, არსებობს თუ არა რაიმე მიზეზი, რომელიც გაამართლებდა გუბერნიის წინამძღოლის თანამდებობაზე ბ-ნი ყიფიანის დაუმტკიცებლობას? ამ საკითხის გადაჭრისას ყურადღება უნდა გამახვილდეს მოსალოდნელ შედეგებზე, რომლებსაც ჩვენ მივიღებთ, თუკი წინამძღოლის თანამდებობაზე ყოფნისას ბ-ნი ყიფიანი შეასრულებს იმ ვალდებულებებს, რისთვისაც მას თავადაზნაურობამ ნდობა გამოუცხადა. მე თავს უფლებას ვერ მივცემ, შევიდე იმის განსჯაში, თუ რა საფუძველი შეიძლება ჰქონდეს ხელისუფლებას, ბ-ნი ყიფიანის პიროვნებაში ხედავდეს სახელმწიფოსათვის თუ ზიანის მომტანს არა, ისეთ პირს მაინც, რომელიც მისთვის მაინცდამაინც სასარგებლო ვერ იქნება. აქ მხოლოდ იმის გამორკვევით შემოვიფარგლები, თუ რა ვითარება შეიქმნება ბ-ნი ყიფიანის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შემთხვევებში.

ამთავითვე უნდა განვაცხადო, რომ საჭიროდ არ მიმაჩნია, ამ საკითხს საერთოდ მიექცეს საგანგებო ყურადღება - ვინც არ უნდა იყოს თბილისის გუბერნიაში თავადაზნაურობის წინამძღოლი, თავისი მოვალეობების მეტ-ნაკლებად წარმატებული შესრულებისთვის იგი, გარდა იმავე ხელისუფლებისა, სხვა დასაყრდენს ვერ იპოვის. წარმოვიდგინოთ წოდება, რომელსაც არა აქვს არავითარი პოლიტიკური ძალა, არავითარი მატერიალური დამოუკიდებლობა და, შეიძლება ითქვას, მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლების მიერ სხვადასხვა ფორმითა და საკმაოდ უხვად აღმოჩენილი შემწეობის წყალობით არსებობს. ასეთი საზოგადოებრივი ფენის წინამძღოლი შეიძლება იყოს მარტოოდენ შუამავალი თავის წოდებასა და ხელისუფლებას შორის, რათა ამ უკანასკნელმა ესა თუ ის წყალობა გაიღოს და ვერავითარ შემთხვევაში იგი (წინამძღოლი) ვერ გახდება რაიმე პოლიტიკური ორგანიზმის მეთაური. თუკი არსებობენ ცალკეული პირები, რომელნიც უსაქმურობის ჟამს ოცნებობენ თითქოსდა ბედნიერ ხანაზე, - ან გაუქმებულ დამოუკიდებელ საქართველოზე, - ან კიდევ მისი ავტონომიური უფლებების გაფართოებაზე და ამ გზით საქართველოსა და დანარჩენ იმპერიას შორის უფრო მკვეთრი მიჯნის დადებაზე, მათი ფუჭი ოცნებები შეიძლება მხოლოდ პოეზიის სფეროს მივაკუთვნოთ და ეს ოცნებები რეალობასთან ოდნავი შეხებისთანავე მყისვე დაიმსხვრევიან.

საქართველო ერთ დღესაც ვერ იარსებებს რუსეთის გარეშე და საქართველოს რუსეთთან შეერთება რომ ულმობელი რეალობაა და ამ რეალობას ვერავითარი ბუნდოვანი ოცნებები ვერ შეცვლის, ეს შეგნებული აქვს აქაურთა არა მარტო მოაზროვნე ნაწილს, არამედ იმათაც, ვისი ფიქრიც მხოლოდ არსებობის შენარჩუნებისა და ქონებრივი უზრუნველყოფისკენაა მიპყრობილი. აქედან გამომდინარე, გუბერნიის წინამძღოლში ისეთი პიროვნების „აღმოჩენა", რომელსაც საშუალება ექნება, გამოხატოს რაიმე პოლიტიკური იდეა ან გადაჭრას პოლიტიკური ამოცანა, ნიშნავს, ხელოვნურად შევიქმნათ სიძნელეები იქ, სადაც ეს სიძნელეები არ არსებობს. თუ ყოველივე ზემოთქმულს იმასაც დავუმატებთ, რომ აქაური თავადაზნაურობა ყოველთვის იყო მოკლებული ერთიანი მოქმედების უნარს, აქ ჯერაც არ წარხოცილა საუკუნეობრივი გვაროვნული დაპირისპირებები, არსებობს გათიშულობა ცალკეული მაზრების ინტერესთა შორის, და ბოლოს, ამჟამად მეტად გამწვავებულია ურთიერთობა მემამულეთა და მათი მფლობელობისგან თავდაღწეულ სოფლის მოსახლეობას შორის, ძნელი არ იქნება დავრწმუნდეთ, თუ რა მცირე გავლენა ექნება გუბერნიის წინამძღოლს მოვლენათა განვითარებაზე. ასე რომ, ერთადერთი გადაწყვეტილება, რომელიც ამ საქმეს პოლიტიკური პრობლემის სახეს

მისცემდა, იქნებოდა ხელისუფლების მიერ არჩევნების შედეგების გაუქმება.

არსებობს აზრი, თითქოს ბ-ნი ყიფიანი ავტონომიურ საქართველოზე მეოცნებეთა რიცხვს ეკუთვნოდეს. ამჟამად მე მოკლებული ვარ შესაძლებლობას, დაბეჯითებით დავადასტურო ან უარვყო ეს ხმები, მაგრამ არ შემიძლია არ აღვნიშნო შემდეგი გარემოება: ბ-ნი ყიფიანი ვერ იარსებებს ხელისუფლების მატერიალური შემწეობის გარეშე და იგი იძულებული უნდა იყოს, გულწრფელი, მაგრამ ჩვენთვის არასასურველი პოლიტიკური იცნებები, - თუკი ამგვარი რამ საერთოდ არსებობს, — დაუმორჩილოს საკუთარი ოჯახის მკაცრ და ყოველდღიურ ნივთიერ საჭიროებებს. აშკარაა, რომ ამ სავარაუდო და არა დაბეჯითებით გამოთქმულ მოსაზრებას ხელისუფლებამ მხოლოდ მაშინ უნდა მისცეს მნიშვნელობა, თუკი იპოვის საბაბს, ბ-ნი ყიფიანი რომელიმე პოლიტიკური მისწრაფების გამომხატველად ჩათვალოს. ამასთანავე, ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ ბ-ნი ყიფიანის არჩევა ბუნებრივად აიხსნება: 1) იმით, რომ მისი კანდიდატურა კენჭისყრაზე არ დაუყენებია არც რომელიმე კერძო პირს და არც რომელიმე პარტიას. ამას კანონი მოითხოვდა! 2) ამჟამინდელი წინამძღოლის, თავად ორბელიანის[484] საზღვარგარეთ ყოფნით, რამაც, კანონის თანახმად, გამორიცხა ამ უკანასკნელის კანდიდატურა და იმავე კანონის ძალით სავალდებულო გახადა კენჭისყრაზე ბ-ნი ყიფიანის კანდიდატურის დაყენება; 3) ამასთანავე, როგორც ზემოთ აღინიშნა, გლეხთა გათავისუფლების საკითხის დამუშავებისას გამოჩენილმა უნარიანობამ ბ-ნი ყიფიანის პიროვნებას საზოგადოების თვალში მიანიჭა იმაზე მეტი მნიშვნელობა, ვიდრე ეს სხვა შემთხვევაში მოხდებოდა.

ასე რომ, თავადაზნაურობის ამგვარ არჩევანში არ უნდა ვეძებოთ არც მემამულური ფენის მეტისმეტად გაზრდილი მოთხოვნილებებიდან გამომდინარე პოლიტიკური მოტივები, არც პროტესტის გამოხატვის ფორმა ბ-ნი ყიფიანის სამსახურიდან გაშვების გამო და, ბოლოს, არც აზნაურობის დაუფარავი დაპირისპირება თავადურ წრეებთან. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ, შესაძლებელია, ბ-ნ ყიფიანს შევუქმნათ ისეთი პიედესტალი, რომელზეც, — მიუხედავად უაღრესად გამახვილებული პატივმოყვარეობისა, — სხვა შემთხვევაში იგი ვერ ამაღლდება.

დავუშვათ, დღევანდელ დღეს ხელისუფლებას სურს, გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის თანამდებობაზე იხილოს უმნიშვნელო ფიგურა, რომელიც დაკმაყოფილდება იმ გარეგნული პატივით, თავისი პოლიტიკური არარაობის გამო რომ დაიმსახურებს. მაგრამ არც ის უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ თავადაზნაურობა დღევანდელ, - მისთვის მეტად მძიმე, - ვითარებაში გარკვეულ იმედს ამყარებს ბ-ნ ყიფიანზე, როგორც ამ წოდების

უფლებათა კანონიერ დამცველზე. ამგვარ პირობებში მისი კანდიდატურის დამტკიცება საზოგადოების თვალში უცილობლად აამაღლებს ხელისუფლების ავტორიტეტს. ამასთანავე, როგორც აღინიშნა, ბ-ნი ყიფიანის წინამძღოლობა ხელისუფლებას ვერ შეუქმნის სერიოზულ სიძნელეებს. ნებისმიერი, - თუნდაც ფარული, - მცდელობა, გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლად საზოგადოებაზე ზეწოლით იქნეს არჩეული ესა თუ ის პირი, შექმნის შთაბეჭდილებას, თითქოს ხელისუფლება არ იყოს თავის ძალაში დარწმუნებული და თითქოს მისთვის რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს, თუ ვინ იქნება შუამავალი ხელისუფლებასა და თავადაზნაურობას შორის.

ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ აქამდე მეფისნაცვლები თავადაზნაურობას ფარული გზებით აგებინებდნენ სასურველი კანდიდატის ვინაობას, მაგრამ ამჟამად ვითარება შეიცვალა. თუკი ყოფილ მეფისნაცვლებს შეეძლოთ, მფარველობა გაეწიათ ამა თუ იმ თავადური გვარეულობისათვის და ეს ხელისუფლებისათვის სასარგებლო საქმედაც კი მიეჩნიათ, ჩემი რწმენით, ასე ვერ მოიქცევა ხელმწიფის ძმა,[831] რომელიც, - დგას რა ყოველგვარ წოდებრიობაზე მაღლა, - განასახიერებს ხელმწიფურ სამართალსა და მიუკერძოებლობას და, ამდენად, წინასწარ ვერც ერთ გვარეულობას ვერ მისცემს უპირატესობას. შესაბამისად, მას მართებს თავის არიდება ნებისმიერი პირდაპირი თუ არაპირდაპირი ჩარევისგან ისეთ საქმეში, რომელიც კანონითა და ხელმწიფის ნებით თავისუფალი არჩევანის უფლებას იძლევა. ამგვარი მოქმედება მრავალმხრივაა გამართლებული; მით უმეტეს, ყოველგვარი ზეწოლა, - ვისგანაც არ უნდა მომდინარეობდეს იგი, - თავადაზნაურობამ სავსებით საფუძვლიანად შეიძლება აღიქვას, როგორც საჭიროების დროს ხელმწიფესთან ურთიერთობის შემაფერხებელი გარემოება. მოცემულ შემთხვევაში კი არჩევანის თავისუფლებამ ის შედეგი გამოიღო, რომ მოიშალა უმართებულო ტრადიცია - მაინცდამაინც ერთსა და იმავე თავადურ გვარეულობას სჭეროდა გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის პოსტი, და ეს ხომ შემდეგ ვითარებაზეც მეტყველებს: ადრინდელი ჩვეულება ხელოვნურად იყო დამკვიდრებული ხელისუფლების მიერვე და რეალურად არ გამოხატავდა იმავე ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებული ფენების ნამდვილ სურვილებსა და შეხედულებებს.

დასასრულ, ბ-ნი ყიფიანი შემდგენელია თავადაზნაურობის უმეტესი ნაწილის სახელით წარმოდგენილი გლეხთა გათავისუფლების პროექტისა და მასზე ხელის მომწერთ, უნდა ვიფიქროთ, აქვთ იმედი, რომ შემდგენელი დაიცავს კიდევაც ამ პროექტში ჩამოყალიბებულ პრინციპებს. ეს კი, ჩემი აზრით, გაამართლებს ხელისუფლების გადაწყვეტილებას, მისცეს ბ-ნ ყიფიანს აზრის გა-

მოთქმისა და მოქმედების საშუალება. მარტო ეს უკანასკნელი გარემოება გამორიცხავს ბ-ნი ყიფიანის მხრიდან ყოველგვარ განზრახვას, - თუკი ასეთი რამ მას საერთოდ უდევს გულში, - მემამულეთა წრეში შექმნას ხელისუფლების საწინააღმდეგო მოძრაობა. უფრო პირიქით, წინამძღოლის თანამდებობაზე მის დაუმტკიცებლობას შეუძლია ფარული ოპოზიციის შექმნა და ეს ოპოზიცია მოიპოვებს ბ-ნი ყიფიანის ყველა ამომრჩევლის თანაგრძნობას.

ზედმეტი იქნებოდა იმის აღნიშვნა, რომ ჩემ მიერ წარმოდგენილ მოხსენებით ბარათს აქვს ერთადერთი მიზანი - საფუძვლიანად იქნეს განხილული საკითხი, რომელსაც სულაც არა აქვს იმოდენა მნიშვნელობა, რა მნიშვნელობის მიცემასაც მას უპირებს პირადულად დაინტერესებული ზოგიერთი პირი. ხოლო რაც შეეხება საკითხს, - ხომ არ ვარდება წინააღმდეგობაში ხელისუფლება, როცა მხარის თავადაზნაურობის წინამძღოლის თანამდებობაზე ამტკიცებს სამსახურიდან დათხოვნილ პიროვნებას, - უნდა მოგახსენოთ, რომ დათხოვნის გარემოებები არ გახმაურებულა, არც მისი გამომწვევი მიზეზები უნდა ჩაითვალოს მაინცდამაინც საძრახისად და არ უნდა მიაყენოს ზიანი სამსახურიდან დათხოვნილი პირის პატიოსან სახელს.

ვეჭვობ, ხელისუფლებას სურდეს, სამსახურებრივი კარიერის ერთ-ერთი კერძო შემთხვევა პიროვნებას მუდმივ სასჯელად გადაუქციოს და იმის ნაცვლად, რომ ეს შემთხვევა დიდსულოვნად მისცეს დავიწყებას, ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი აზრის მიერ ამ პიროვნების შემკობას ფსევდომარტვილის შარავანდით.

სტატს-სეკრეტარი,
ბარონი ალექსანდრე ნიკოლაი

1864 წ.
28 თებერვალი

ბიბლიოგრაფიული შენიშვნები

1. ნიკ. ყიფიანი, დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება (გვ. 5-35). თავდაპირველად გამოქვეყნდა ჟურნალ „მოამბეში" (1894, №4, განყ. II, გვ. 69-110). იმავე წელს წიგნაკად გამოიცა: ნ. ყიფიანი, დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება, გამოცემული ანასტასია მიხეილის ას. ყიფიანის მიერ, ტფ., 1894. ჩვენ ვისარგებლეთ „მოამბეში" გამოქვეყნებული ტექსტით.

2. ნიკ. ყიფიანი, დიმიტრი ყიფიანის უკანასკნელი დღენი (გვ. 35-44). დაიბეჭდა გაზეთ „თემში" (1912, №95).

3. ვ. თულაშვილი, შენიშვნა (ბ-ნ ნ.დ. ყიფიანის წერილის გამო - „დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება") (გვ. 45-52). გამოქვეყნდა ჟურნალ „მოამბეში" (1895, №5, განყ. II, გვ. 44-53). ავტოგრაფული ტექსტი (შავი) ვ. თულაშვილის „შენიშვნისა" დაცულია ხი-ში, ი. გოგებაშვილის არქივში (საქ. №640, ფ. 22).

4. კ. ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი. 1854-1861. მოგონებანი (ნაწყვეტები) (გვ. 52-68). აღებულია გამოცემიდან: კ. ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი. 1854-1861. მოგონებანი, თარგმნილი თ. სახოკიას მიერ, ტფ., 1934, გვ. 159-160, 280-282, 290-292, 311-320, 322, 324-328.

5. ა. ფურცელაძე, სკოლა და ბანკი (ნაწყვეტები) (გვ. 68-71). გამოქვეყნდა „ივერიაში" (1896, №№17-19; წინამდებარე ნაწყვეტები აღებულია მე-17 ნომრიდან).

6. ა. ფურცელაძე, ჩვენი საზოგადოებრივი საქმეები და მათში ვახტანგ თულაშვილის მონაწილეობა (ნაწყვეტები) (გვ. 71-84). გამოქვეყნდა გაზეთში — „ზაკავკაზსკაია რეჩ" (А. Пурцеладзе, Наши общественные дела и участие в них Вахтанга Тулаева, "Закавказская речь", 1911, №№256,257; 1912, №№131,132, 136,138). ტექსტი რუსულიდან ჩვენ მიერაა თარგმნილი.

7. ა. წერეთელი, ფიქრები ბუხრის წინ (ნაწყვეტი) (გვ. 84-85). აღებულია წიგნიდან: ა. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, გ. აბზიანიძის საერთო რედაქციით, ტ. XIII, თბ., 1961, გვ. 274-275.

8. ა. წერეთელი, დიმიტრი ყიფიანი (გვ. 85-88). აღებულია აკაკის თხზულებიდან — „ჩემი თავგადასავალი" (იხ. ა. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ.VII, თბ., 1958, გვ. 120-123).

9. ა. წერეთელი, ქართული თეატრის დაარსება საქართველოში. სიტყვა, წარმოთქმული მ. საფაროვის ქალის პატივსაცემად გამართულ „დილაზე", 1912 წლის 15 იანვარს (ნაწყვეტები) (გვ. 88-

91). აღებულია წიგნიდან: ა. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, გ. აბზიანიძის საერთო რედაქციით, ტ.XIV, თბ., 1961, გვ. 455-459.

10. ა. წერეთელი, როგორ დაარსდა ჩვენში საადგილ-მამულო ბანკები? (ნაწყვეტი) (გვ. 91-95). აღებულია წიგნიდან: ა. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, გ. აბზიანიძის საერთო რედაქციით, ტ.XIV, თბ., 1961, გვ. 504-509.

11. ი. გოგებაშვილი, როგორ დაარსდა „წერა-კითხვის საზოგადოება" (ნაწყვეტები) (გვ. 95-98). აღებულია წიგნიდან: ი. გოგებაშვილი, რჩეული თხზულებანი (ხუთ ტომად), ტ. III, თბ., 1990, გვ. 254-257.

12. ნ. ყიფიანი, დიმიტრი ყიფიანი კერძო ცხოვრებაში (გვ.98-109). გამოქვეყნდა გაზეთ „თემში" (1911, №№14,15). ავტოგრაფული ტექსტი ნ. ყიფიანის მოგონებისა დაცულია ლმ-ში (№2303-ხ, ფ.22).

13. ნ. ყიფიანი, დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებიდან (გვ. 109-112). გამოქვეყნდა ჟურნალში - „თეატრი და ცხოვრება" (1925, №10, გვ. 4-5).

14. ნ. ყიფიანი, მოგონებანი (ნაწყვეტი) (გვ. 113-120). ხელნაწერი ტექსტი დაუმთავრებელია, უთარიღოა, დაცულია ლმ-ში (№13177-ხ, ფ. 70). დიმ. ყიფიანს ეძღვნება „მოგონებანის" უკანასკნელი ფურცლები (ფ. 61-70).

15. კ. ყიფიანი, ჩემი არტისტობის თავგადასავალი (ნაწყვეტი) (გვ. 120-121). აღებულია წიგნიდან: კ. ყიფიანი, მოგონებები. წერილები. მასალები შეკრიბა და წინასიტყვაობა დაურთო ლ. ხუციშვილმა, თბ., 1964, გვ. 15-17, 22-23.

16. კ. ყიფიანი, „მეფე ლირი" (გვ. 122-125). თავდაპირველად გამოქვეყნდა გაზეთ „თემში" (1912, №64). მცირე სახეცვლილებით (ჩანს, ხელნაწერზე დაყრდნობით) ლ. ხუციშვილის მიერ გადმობეჭდილია წიგნში: კ. ყიფიანი, მოგონებები. წერილები, თბ., 1964, გვ. 24-28. ჩვენ ამ უკანასკნელი პუბლიკაციით ვსარგებლობთ.

17. ვ. მაჩაბელი, ჩემი თავგადასავალი (ნაწყვეტი) (გვ. 125-129). გამოქვეყნდა გაზეთ „თემში" (1912, №96) სარედაქციო სათაურით - „ვასილ მაჩაბლის მოგონება დიმიტრი ყიფიანის შესახებ (ნაწყვეტი „ჩემი თავგადასავალიდან")".

18. გლეხთა განთავისუფლება და დიმიტრი ყიფიანი (გვ. 129-130). ფსევდონიმით (N) გამოქვეყნდა „სახალხო გაზეთში" (1911, №236). ავტორის ვინაობა ვერ გამოვარკვიეთ.

19. ლ. ყიფიანი, დიმიტრი ყიფიანი და სამთა კომისია (ისტორიული ცნობა) (გვ. 131-133). გამოქვეყნდა გაზეთში — „ზაკავკაზსკაია რეჩ" [Л. Кипиани, Дмитрий Кипиани и комиссия из 3-х

(Историческая справка), "Закавказская речь", 1912, N173]. რუსულიდან თარგმნილია ჩვენ მიერ.

20. ს. მგალობლიშვილი, კ. ყიფიანის 45 წ. არტისტული მოღვაწეობის გამო (მოგონებიდან ნაწყვეტი) (გვ. 133-135). გამოქვეყნდა გაზეთ „თემში" (1914, №160).

21. თ. სახოკია, დიმიტრი ყიფიანი (გვ. 135-139). აღებულია წიგნიდან: თ. სახოკია, ჩემი საუკუნის ადამიანები, ს. ცაიშვილის რედაქტორობითა და წინასიტყვით, თბ., 1969, გვ. 11-16.

22. შ. არაგვისპირელი, დიმიტრი ყიფიანი (გვ. 140-142). გამოქვეყნდა გაზეთ „ლომისში" (1922, №11).

23. ვ. გუნია, დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვა (მოგონებანი 35 წლისთავზე) (გვ. 142-152). გამოქვეყნდა გაზეთ „ლომისში" (1922, №11), საიდანაც შემოკლებით გადაბეჭდილი აქვს შ. ჩხეტიას (იხ. შ. ჩხეტია, მასალები დიმიტრი ყიფიანის მკვლელობაზე, „საისტორიო მოამბე", №3, 1947, გვ. 530-537). უფრო ადრე ვ. გუნიას მცირეოდენ სახეცვლილად გამოქვეყნებული აქვს ამ მოგონების ერთი ნაწილი (ვ. გუნია, დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვა, „სახალხო გაზეთი", 1912, №737). ჩვენ ვსარგებლობთ გაზ. „ლომისის" პუბლიკაციით (ავტოგრაფული ტექსტი დაცულია ლმ-ში — №13165-ხ).

24. ნ. ავალიშვილი, დიმიტრი ყიფიანის დასაფლავების შესახებ (გვ. 152-153). ავტორისეული ხელნაწერი ტექსტი დაცულია ლმ-ში (№3818-ხ,ფ.1).

25. ალ. ლეონიძე, დიმიტრი ყიფიანი სტავროპოლში (გვ. 154-155). გამოქვეყნდა გაზეთ „ბახტრიონში" (1922, №20).

26. ე. გაბაშვილი, ქართული თეატრის ბუდე (გვ. 155-159). გამოქვეყნდა ჟურნალში - „თეატრი და ცხოვრება" (1925, №6, გვ. 3-4).

27. გ. ბაგრატიონ-დავითაშვილი, მოგონებები (ნაწყვეტი) (გვ. 159-160). ავტორისეული ხელნაწერი ტექსტი დაცულია ი. ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში (Г. А. Багратион-Давыдов, Мои воспоминания, ხელნაწერი S-78,ფ. 233; წინამდებარე ნაწყვეტი - ფ. 152-154). ტექსტი რუსულიდან თარგმნილია ჩვენ მიერ.

28. ვ. კირვალიძე, დიმიტრი ყიფიანი (გვ. 160-162). ავტოგრაფული ტექსტი დაცულია ლმ-ში (№13427-ხ, ფ. 41-45; აქვეა ვ. კირვალიძის მოგონებები ი. ჭავჭავაძეზე, ა. წერეთელზე, ი. მაჩაბელზე, ალ. ყაზბეგზე). მოგონებებს წინ უძღვის გიორგი ლეონიძის „შენიშვნა":

„ეს რვეული ჩვენი თხოვნით შეადგინა მოხუცმა სახალხო მწერალმა ვასილ კირვალიძემ. უკანასკნელი პაპიროსით ვაჭრობდა (პროფსაბჭოს წინ, რუსთაველის პრ.). 1933 წ. თებერვლის ბოლო

რიცხვებში უცნობმა ბოროტგამზრახველებმა მოჰკლეს ღამე, თავის ბინაში (საბა-სულხანის ქ.) - დანით.

1933. მარტის 6.

გ. ლეონიძე".

ვ. კირვალიძის მოგონება „დიმიტრი ყიფიანი" გამოქვეყნებულია ჩვენ მიერ (გაზ. „ჩვენი მწერლობა", 9-16.VIII. 2002, №32).

29. ა. წულაძე, მოგონება დიმიტრი ყიფიანზე (გვ. 162-163). ტექსტი დაცულია ლმ-ში, სიმ. ხუნდაძის პირად საარქივო ფონდში (მანქანაზე ნაბეჭდი, უთარიღო, ფ.1; საბუთზე მიგვითითა ლიტერატურის მუზეუმის თანამშრომელმა მარინე ყიფიანმა).

1930-იან წლებში სიმონ ხუნდაძე წერდა მონოგრაფიულ ნაშრომს დიმიტრი ყიფიანზე (გამოიცა 1936 წ. ავტორის გარდაცვალების შემდეგ) და აგროვებდა საამისო მასალებს. უნდა ვიფიქროთ, სნორედ ამ მიზნით მოხვდებოდა ს. ხუნდაძის ხელში ა. წულაძის წინამდებარე მოგონება და იგი 1933 წლამდე, - ს. ხუნდაძის გარდაცვალებამდე, - იქნება დაწერილი.

30. ი. მანსვეტაშვილი, მოგონებანი. ნახული და გაგონილი (ნაწყვეტები) (გვ. 163-171). აღებულია წიგნიდან: ი. მანსვეტაშვილი, მოგონებანი. ნახული და გაგონილი, ლ. ასათიანის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით, ტფ., 1936, გვ. 72-73, 165-166,188-190, 228-230.

31. ნატ. ყიფიანი, მოგონება (გვ. 171-174). ხელნაწერი ტექსტი დაცულია ლმ-ში (№13225-ხ, ფ.3). იგი 1943 წლის 23 დეკემბერს ჩაწერილია გ. მოზდოკელის მიერ (იქვე, ფ.3). ქვეყნდება პირველად.

32. დ. დავითაშვილი, დიმიტრი ყიფიანი როგორც ქართველი პატრიოტი (გვ. 174-177). ხელნაწერი ტექსტი დაცულია ლმ-ში (№18530- ხ, ფ 4; უთარიღო).

33. გ. ტატიშვილი, მოგონებანი (გვ. 177-207). ტექსტი დაცულია ლმ-ში (№13502-ხ, ფ. 57; 50 ფურცელი მანქანაზეა ნაბეჭდი, დარჩენილი ნაწილი ხელნაწერია). თხზულების დასაწყისში (ფ.1) ავტორს მოჰყავს ცნობები, რომელთაც უფრო ვრცლად ეხება ტექსტის შემდგომ მონაკვეთებში, აგრეთვე, უსისტემოდ იმონმებს სხვადასხვა პირთა (ა. წერეთელი, ი. ჭავჭავაძე, სიმ. ხუნდაძე და სხვ.) ცალკეულ გამონათქვამებს დიმ. ყიფიანზე (ფ. 2-5). „მოგონებანის" ეს ნაწილი წინამდებარე პუბლიკაციაში გამოტოვებულია.

გ. ტატიშვილი, ჩანს, არ იყო წერაში განაფული, რის გამოც ტექსტში საჭირო გახდა რედაქციული ხასიათის ჩარევა (გრამატიკულ-ორთოგრაფიული, ალაგ-ალაგ - სტილურიც), თუმცა საზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ წინამდებარე პუბლიკაციაში სრულადაა დაცული თხზულების შინაარსობრივ-ფაქტობრივი მხარე და ავტორისეული თხრობის მანერაც მაქსიმალურადაა შენარჩუნებული.

სთკმსმ-ში (ფონდი I, საქ. №11, ხ-6493/69, ფ.1) დაცულია გ. ტატიშვილის პირადი წერილი შალვა დადიანისადმი - დათარიღებული 1941 წლით, საიდანაც ირკვევა, რომ ამ დროს გ. ტატიშვილს გადაწყვეტილი აქვს, გ. აბზიანიძის თხოვნით აღწეროს „დიმიტრისა (ყიფიანის - თ.ჯ.) და მისი ოჯახობის წევრების ცხოვრება და ბიოგრაფია".

34. ე. თაყაიშვილი, მოგონებანი (ნაწყვეტები) (გვ. 207-211). ამოღებულია წიგნიდან: ე. თაყაიშვილი, რჩეული ნაშრომები, გამოსაცემად მოამზადეს და შესავალი წერილები დაურთეს ალ. ბარამიძემ და გ. ლომთათიძემ, ტ.I, თბ., 1968, გვ. 241-243,331- 333.

დანართი

1. კ. ყიფიანი, დიმიტრი ყიფიანის მკვლელობა (გვ. 212-215). ავტორისეული ხელნაწერი დაცულია ლმ-ში (№25044-ხ,ფ.2). იგი ბოლონაკლულია. ერთგან კ. ყიფიანი მიუთითებს, თითქოს წინამდებარე მოგონება მას გამოქვეყნებული ჰქონდეს „პატარა გაზეთში" (გამოდიოდა 1906 წელს, თბილისში. სულ გამოიცა 28 ნომერი, რედაქტორ-გამომცემელი — კოტე მესხი), მაგრამ ხსენებულ გაზეთში კ. ყიფიანის ეს მოგონება არ აღმოჩნდა. მართალია, თხზულების დასრულებულ ვარიანტს ჩვენ ვერ მივაკვლიეთ, მაგრამ, რამდენადაც ავტორი იძლევა ზოგიერთ საინტერესო ცნობას საკითხის გარშემო, მიზანშენონილად ჩავთვალეთ მისი თუნდაც ამ სახით გამოქვეყნება.

2. კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს უფროსის, ბარონ ალ. ნიკოლაის, მოხსენება რუსეთის უმაღლესი ხელისუფლებისადმი თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლად დიმიტრი ყიფიანის არჩევასთან დაკავშირებით (გვ. 215-229). აღებულია წიგნიდან: შ. ჩხეტია, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, თბ., 1950, გვ. 01-012. ტექსტი რუსულიდან თარგმნილია ჩვენ მიერ.

კომენტარები*

1. **ნიკოლოზ დიმიტრის ძე ყიფიანი** (1846-1905) - კრიტიკოსი, პუბლიცისტი, მეცნიერი, გამომცემელი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, დიმიტრი ყიფიანის უფროსი შვილი (ვრცლად ნიკ. ყიფიანზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 209-211).

ნიკ. ყიფიანის წინამდებარე მოგონებებში არაერთი უზუსტობაა, რაც, ალბათ, იმით უნდა აიხსნას, რომ ავტორი 1890 წლიდან გარდაცვალებამდე საზღვარგარეთ ცხოვრობდა და მას არ ექნებოდა მეხსიერებაში შემორჩენილი ფაქტების წყაროებით დაზუსტების საშუალება.

2. **არბო** - სოფ. გორის მაზრაში. აქ დაიბადა და აქვე გაატარა ბავშვობის წლები ნიკო ლომოურმა (1852-1915).

3. **ტყვიავი** - სოფ. გორის მაზრაში.

4. **მერეთი** - სოფ. გორის მაზრაში. აქ დაიბადა და აქვეა დაკრძალული ანტონ ფურცელაძე (1839-1913) (მერეთის არქიტექტურულ და ისტორიულ ძეგლებზე იხ. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 5, თბ., 1990, გვ. 78-79).

5. იმერელი აბაშიძეების სამფლობელო ქართლის ნაწილზეც ვრცელდებოდა. ხი-ში (დ. ყიფიანის არქ., საქ. №1913, ფ. 2) დაცულია ქაიხოსრო და ვახტანგ ბატონიშვილების წყალობის სიგელი ვახუშტი ლევანის ძე აბაშიძისადმი (დათარიღებულია 1711 წლის 10 მაისით), რომლის მიხედვითაც ქვიშხეთი, ტაშისკარი, ტეზერი და ქართლის ზოგიერთი სხვა სოფელი დამტკიცებულია სააბაშიო მამულად.

სხვათა შორის, დიმიტრი პირდაპირი შთამომავალია იმ „ყიფიანისა", რომელიც გეორგიევსკის ტრაქტატზე დართულ ქართლ-კახეთის თავადებისა და აზნაურების ნუსხაშია შეყვანილი როგორც „თავადის აბაშიძის აზნაური" (ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლი-

---

* კომენტარების განტვირთვის მიზნით აქ არ შეგვიტანია რუსეთის იმპერიისა და საზღვარგარეთის ქვეყნების ყოფილ ქალაქები, დიდი ქალაქები (პეტერბურგი, მოსკოვი, პარიზი, ვარშავა, სტავროპოლი, ხარკოვი, ოდესა და ა.შ.), აგრეთვე, მაშინდელი თუ დღევანდელი საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ცენტრები (ქუთაისი, ბათუმი, გორი, ზუგდიდი, ბორჯომი, დუშეთი და ა.შ.).

ძემ, ტ.II, თბ., 1965, გვ. 489). ამ საკითხზე „გორის უეზდის კეთილ-შობილთ მარშლის" დავით თარხან-მოურავის მიერ 1829 წელს გაცემულ ერთ „მოწმობაში" (საბუთს ხელს ანერენ აგრეთვე ქართლელი თავადები: შანშე და შალვა ერისთავები, ნიკოლოზ და ზაზა ციციშვილები, აზნაური გარსევან შატბერაშვილი და სხვ.) ნათქვამია: „მიეცა ესე ჩუენ ქვემორე ამის ხელის მომწერთაგან გორის უეზდის სახაზინო აზნაურთა, ესე იგი ქოჩოს ძეთა: ქაიხოსროსა, გიორგისა, იოსებსა და დიმიტრი ყიფიანებთა, მით რომელ ესე ხსენებულნი პირნი არიან წარმოებულნი მამრობითის ხაზით სწორედ იმასა აზნაურის გვარის ყიფიანებისაგან, რომელიც ჩღპგ[1783] წელსა საქართველოს მეფისა ირაკლისა მიერ წარდგენილისა და განსვენებულის ხელმწიფა-იმპერატრიცა ეკატერინასაგან დამტკიცებულის ტრანსტატსა მ[ინ]ა ხსენებულ არს გვარი ყიფიანებისა" (სცსსა, ფონდი №213 (I აღწ.), საქ. №414, ფ.7). მართალია, მოგვიანებით, - 1839 წელს, - საქართველოს უმაღლესი მთავრობის საკრებულომ უარყო „მოწმობაში" დადასტურებული ფაქტის ნამდვილობა, მაგრამ საამისოდ საკრებულოს არ წარმოუდგენია რამდენადმე ანგარიშგასაწევი არგუმენტები (იხ. ფ. დანელია, „მსგავსი კაცები ერთობ იშვიათად იბადებიან". დიმიტრი ყიფიანი საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის მასალების მიხედვით, „საისტორიო მოამბე", №65-66,1993-1994, გვ. 467-469).

6. **ივანე (ქოჩო, ქოჩუ) გიორგის ძე ყიფიანი** (გარდ. 1814) - დიმიტრი ყიფიანის მამა. ერთხანს სოლომონ I-ის შვილიშვილისა და 1819-1820 წწ. იმერეთის აჯანყების ერთ-ერთი მეთაურის (სხვათა შორის, აკაკი წერეთლის ბაბუის) ივანე (იოანე) ქაიხოსროს ძე აბაშიძის მოურავი ყოფილა ქვიშხეთში (იხ. ი. გომართელი, კონსტანტინე დიმიტრის ძე ყიფიანი, რჩ. თხზულებანი, ტ. II, თბ., 1966, გვ. 117), მაგრამ თავის ბატონს ვერ შენყობია და გასცლია სააბაშიო ტერიტორიას. საერთოდ, წყაროების მიხედვით, ქოჩო ყიფიანი პრაქტიკული ჭკუის კაცი ჩანს. მას სწრაფად აუღია ალღო XIX ს. დასაწყისის საქართველოში შექმნილი ვითარებისთვის, როცა ახალმა (რუსულმა) მმართველობამ ერთმანეთს დაუპირისპირა ქართველ თავადთა და აზნაურთა ინტერესები და რუსების სამსახურში ჩამდგარა: „ემსახურებოდა მამა ჩემი მისის დიდებულების მხედრობასა, რომლისაც ნამსახურობის ატესტატიცა მაქვსო" - სწერს 1819 წელს დიმიტრის ძმა ქაიხოსრო ყიფიანი გორის მაზრის უფროსს დემენტი ტიტოვს (ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №510, ფ.I). ახალ ხელისუფლებას სათანადოდ დაუფასებია ქოჩო ყიფიანი - 1810 წელს იგი იმერეთში ოკრიბის მოურავადაა დანიშნული (აქტები, IV, 1870, გვ. 258).

ივანე (ქოჩო) ყიფიანის გარდაცვალების თარიღზე, უნდა ვიფიქროთ, ზუსტ ცნობას იძლევა მისი შვილი ქაიხოსრო, რომელიც 1836 წელს „გორის უპრავის პოლიციის ზასედატელს, თავადს სვიმონ ამირეჯიბოვს" სწერს: „მამაჩემი გარდაიცვალა ჩყიდ [1814] -სა ნელსაო" (ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №511, ფ.2).

ქოჩო ყიფიანი დაკრძალულია სოფ. მერეთის „[წმ. გიორგის] ეკლესიის კარებთან" (ი. ვომართელი, დასახ. წიგნი, ტ. II, გვ. 117).

7. **ბარბარე ქაიხოსროს ას. ფურცელაძე** - დიმიტრი ყიფიანის დედა. ნიკ. ყიფიანის ცნობა, თითქოს „დედა დიმიტრისა გარდაიცვალა, როდესაც დიმიტრი შვიდი ან რვა წლისა იქნებოდაო", არაა სწორი. 1833 წ. 7 თებერვალს შეთქმულების საგამომძიებლო კომისიისათვის მიცემულ ჩვენებაში დიმიტრი აღნიშნავს: „მყავს დედა... გარდა ამისა, მოხუცებული დედა და მამა, რომლებსაც ასე ვუნოდებ იმიტომ, რომ მათ, რადგან შვილი არა ჰყავდათ რა, მე მიშვილეს მცირენლობიდანვე და... კიდეც მზრდიდნენ" (გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. II, თბ., 1970, გვ. 249; აქ ნახსენებ „მოხუცებულ დედასა და მამაზე" იხ. კომენტარი №№30,38). ამას გარდა, ა. ჯორჯაძეს სრულად აქვს დამოწმებული ბარბარე ფურცელაძის ბარათი - მიწერილი 1834 წლის 5 თებერვალს იმ დროს გადასახლებაში (ვოლოგდაში) მყოფი დიმიტრისადმი (ა. ჯორჯაძე, მასალები ქართველ ინტელიგენციის ისტორიისათვის, წიგნში: წერილები, შემდგენელი ა. ბაქრაძე, თბ., 1989, გვ. 108-109). დედანი ამ ბარათისა დაცულია ლმ-ში (№14936-ხ) და, სხვათა შორის, ჩინებული კალიგრაფიითაა ნაწერი. სხვაგან ა. ჯორჯაძე ამ ბარათს 1837 წლით ათარიღებს (ა. ჯორჯაძე, დიმიტრი ყიფიანი, წიგნში: წერილები, 1989, გვ. 393), რაც, უდავოდ, მექანიკური შეცდომაა. სინამდვილეში ბარათი ბარბარე ფურცელაძის ხელითვე დათარიღებულია ჩყლდ [1834] წლის ე[5] თებერვლით. დედა-შვილის ურთიერთობაზე წარმოდგენას გვიქმნის არა მარტო ის არაჩვეულებრივი მოწიწება და სიყვარული, რომლითაც დედის ბარათია გამთბარი, არამედ კონვერტზე დიმიტრის მინაწერიც: „Моя святыня". ამის შემდეგ ბარბარე ფურცელაძის კვალი ჩვენთვის ცნობილ წყაროებში არ ჩანს და, ამდენად, არც ის ვიცით, დახვდა თუ არა 1837 წლის თებერვალში გადასახლებიდან დაბრუნებულ დიმიტრი ყიფიანს დედა ცოცხალი.

8. საბუთების მიხედვით, ქოჩო ყიფიანსა და ბარბარე ფურცელაძეს ჰყავდათ არა ექვსი, არამედ რვა შვილი. მოგონების ავტორს გამორჩენია **მარიამ ყიფიანი-მაღალაშვილისა** (უშვილოდ გადაეგო) და **მართა ყიფიანი-მესხისა** (უშვილოდ გადაეგო) - იხ. სთკმსმ, კ. ყიფიანის არქ. საქ. №1469(1), ფ.1.

9. დიმიტრი ყიფიანის დაბადების თარიღად დღესდღეობით დამკვიდრებულია 1814 წლის 14 აპრილი, რაც, ჩვენი აზრით, არაა სწორი და სინამდვილეში დიმიტრი 1811 წლის 14 აპრილსაა დაბადებული:

1. მეტრიკული ამონაწერის მიხედვით დ. ყიფიანი დაბადებულა 1811 წლის 14 აპრილს, ხოლო იმავე წლის 4 ივლისს მერეთის წმ. გიორგის ეკლესიაში მოუნათლავს მღვდელ იოსებ ფურცელაძეს (ფ. დანელია, „მსგავსი კაცები ერთობ იშვიათად იბადებიან". დიმიტრი ყიფიანი საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის მასალების მიხედვით, „საისტორიო მოამბე", №65-66, 1993-1994, გვ. 424).

2. ნიკ. ყიფიანის წინამდებარე თხზულების მიხედვით, დიმიტრი „ორი ან სამი წლისა" ყოფილა, როცა მამა გარდაცვლია. დიმიტრის მამა ივანე (ქოჩო) ყიფიანი კი გარდაიცვალა 1814 წელს (იხ. კომენტარი№6).

3. 1833 წლის თებერვალში, შეთქმულების საგამომძიებლო კომისიისათვის მიცემულ ერთ-ერთ ჩვენებაში, დიმიტრი გარკვევით ამბობს - „ოცდაორი წლისა ვარო" (გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ.III, თბ., 1970, გვ. 249). ამ უკანასკნელ მონაცემს თავის დროზე ყურადღება მიაქცია და დ. ყიფიანის დაბადების თარიღად 1811 წელი მიიჩნია მაქს. ბერძნიშვილმა (იხ. მისი, მასალები..., II, გვ. 209).

4. სცსსა-ში დაცულ ერთ დოკუმენტში (Дело Тифлисского дворянского депутатского собрания о дворянском достоинстве Кайхосро и Димитрия Кипиани) მითითებულია, რომ თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის მეექვსე კლასის მოწაფე დიმიტრი ყიფიანი 19 წლისაა (სცსსა, ფონდი №213 (I აღნ.), საქ. №414, ფ. 15,17). დიმიტრი კი კეთილშობილთა სასწავლებლის მეექვსე კლასში 1830 წელს სწავლობდა (ამავე წელს ეს სასწავლებელი გიმნაზიად გადაკეთდა, მაგრამ დიმიტრი „ხელმოკლეობის გამო გიმნაზიის კლასებში ვერ გადავიდა" - ტ. ხუნდაძე, ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში, თბ., 1951, გვ. 9).

5. დიმიტრი თავის „მემუარებში" აღნიშნავს: თბილისის გიმნაზიაში „სამსახურში მიმიწვიეს და დასამტკიცებლად წარმადგინეს. მმართველობამ უპასუხა, რომ თექვსმეტის წლის ყრმას გიმნაზიაში მასწავლებლობა არ შეუძლიაო... მაგრამ აქ გიმნაზიის მმართველებმა სხვა გზით შემომატარეს, სადაც თურმე დამტკიცებული იყო, რომ მე უკვე ოცი წლისა ვარ, თუმცა ნამდვილად კი მხოლოდ თექვსმეტისა ვიყავი" (დ. ყიფიანი, მემუარები, რედაქცია, შენიშვნები და პირთა სახელების საძიებელი ს. ხუციშვილისა, თბ., 1990, გვ. 22). მართალია, დიმიტრიმ გიმნაზიად გადაკეთებულ კეთილშო-

ბილთა სასწავლებელში სამსახური 1830 წელს დაიწყო, მაგრამ ამ თანამდებობაზე 1831 წლის თებერვალში დაამტკიცეს (ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. 67, ფ.1; ფ. დანელია, დასახ. პუბლიკაცია, გვ. 425).

მაშასადამე:

ა) მეტრიკული ამონაწერის მიხედვით დ. ყიფიანი 1811 წელსაა დაბადებული;

ბ) ივანე (ქოჩო) ყიფიანი გარდაიცვალა 1814 წელს და დიმიტრი ამ დროს ორი თუ სამი წლისაა;

გ) 1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო კომისიის მასალების მიხედვით 1833 წელს დიმიტრი 22 წლისაა;

დ) 1830 წელს კეთილშობილთა სასწავლებლის მეექვსე კლასის მონაფე დ. ყიფიანი 19 წლისაა;

ე) 1831 წელს თბილისის გიმნაზიის ხელმძღვანელობა ხელისუფლებას უსაბუთებს, რომ დიმიტრი ამ დროს ოცი წლისაა.

მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ დ. ყიფიანის დაბადების თარიღად 1814 წელი ფიგურირებს არა მარტო მოგვიანებით, - დიმიტრის გარდაცვალების შემდეგ, - არამედ მის სიცოცხლეშივე და, რაც მთავარია, მისსავე ნაწერებში. ჩვენი მტკიცება, რასაკვირველია, დამაჯერებელი ვერ იქნება, თუ ამ გარემოებას სათანადო ახსნა არ მოეძებნა.

მართალია, 1830 წელს ამიერკავკასიის სასწავლებელთა დირექტორი ე. გრუბერი მთავარმართებელ ი. პასკევიჩისადმი წარდგენილ პატაკში წერს - მეტრიკის დედნის მიხედვით ყიფიანი ნამდვილად 20 წლისაა და არა 16-ისა, ხოლო ეს გაუგებრობა იმან წარმოშვა, რომ თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლიდან გაცემულ ატესტატში დაუდევრობის გამო დაბადების წელი არასწორად ჩაუნერიათო (იხ. ფ. დანელია, დასახ. პუბლიკაცია, გვ. 424) - ე.ი. 1814, ნაცვლად 1811-ისა, - მაგრამ მიზეზი თარიღების აღრევისა „დაუდევრობა" არ უნდა იყოს. საქმე ისაა, რომ ატესტატის გაცემამდეც ზოგიერთ დოკუმენტში დიმიტრის დაბადების თარიღად 1814 წელია მითითებული. ასე, მაგალითად, თბილისის სასულიერო სამრევლო სასწავლებლის ერთი საბუთის მიხედვით 1824 წელს დიმიტრი 10 წლისაა (ფ. დანელია, დასახ. პუბლიკაცია, გვ. 417).

ჩვენი აზრით, დ. ყიფიანის დაბადების წელთან დაკავშირებულ გაუგებრობებს ასეთი ახსნა შეიძლება მოეძებნოს:

დიმიტრი ყიფიანი ძმამ, ქაიხოსრომ, თავდაპირველად თბილისის სასულიერო სემინარიასთან არსებულ სამრევლო სასწავლებელში შეიყვანა 1823 წლის 1 სექტემბერს (ფ. დანელია, დასახ. პუბლიკაცია, გვ. 417; ტ. ხუნდაძე, დასახ. წიგნი, გვ. 177). ამ დროს დიმიტრი უკვე მეცამეტე წელინადში იქნებოდა გადამდგარი (სამრევლო სასწავლებელში სასკოლო ასაკად 8-10 წელი იყო დადგენილი) და, რასაკვირველია, სასწავლებელში არ მიიღებდნენ. ასე რომ, ქა-

იხოსრო, - ძმისთვის მომავალი რომ არ დაეკარგა, - იძულებული შეიქნებოდა, რაიმე საშუალებით წლები ჩამოეკლო მისთვის, კერძოდ, გადაეკეთებინა შესაბამისი საბუთი, რაც, როგორც ჩანს, მოუხერხებია კიდევაც (ქაიხოსრომ ძმის სემინარიაში მოწყობისას „ბევრი დავიდარაბა გასწიაო" - ყრუდ აღნიშნავს წინამდებარე თხზულებაში ნიკ. ყიფიანი). ჩვენი აზრით, ამ გზითაა მიღებული 1811 წლის ნაცვლად 1814 წელი. შემდგომში კი გადასახლებიდან დაბრუნებულ და სახელმწიფო სამსახურში ჩამდგარ დიმიტრის ამ უკანასკნელი თარიღისთვის მიუცია უპირატესობა (უნდა ვიფიქროთ, იმის გამო, რომ ოფიციალურ დოკუმენტებში ამ დროისთვის მისი დაბადების თარიღად 1814 წელი იქნებოდა ჩანერილი).

ყოველივე ზემოთქმული, ვფიქრობთ, საკმარის საფუძველს იძლევა დასკვნისთვის - **დიმიტრი ყიფიანი დაბადებულია არა 1814, არამედ 1811 წლის 14 აპრილს.**

10. **ქაიხოსრო ივანეს (ქოჩოს) ძე ყიფიანი** (1795-1869) - დიმიტრი ყიფიანის ძმა. აქტიურად მონაწილეობდა იმერელთა დაფიცებაში რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე, რის გამოც 1810 წელს ჯილდოზეა წარდგენილი (აქტები, IV, 1870, გვ. 254). შემდგომში ქაიხოსრო შევიდა ქართულ მილიციაში და მონაწილეობდა სამხედრო ოპერაციებში: იმერეთის 1819-1820 წწ. აჯანყების ჩაქრობაში, რუსეთ-ირანის 1826-1828 წწ. და რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წწ. ომებში, რისთვისაც 1829 წ. პრაპორშჩიკის სამხედრო ხარისხი ებოძა. 1839-1840 წწ. ქაიხოსრო ყიფიანი ხეფინისხევის ბოქაულია, 1841-1851 წწ. საუბნო მსაჯულის („Участковый заседатель") თანაშემწეა, ხოლო 1851 წლიდან სურამის საბაჟო პოსტზე მსახურობს ზედამხედველის თანაშემწედ (სთკმსმ, კ. ყიფიანის არქ., საქ. №1476(1), ფ.2). 1854 წელს ქაიხოსროს ისევ ბრძოლის ველზე, - კერძოდ, ყირიმის ომში, - ვხედავთ. ამ წლის 2 აგვისტოს გენერალი ვასილ ბებუთოვი (1789-1858) სწერს დიმიტრი ყიფიანს: შენი ძმა - ქაიხოსრო - 24 ივლისს ქურუქ-დარაში იბრძოდა, მსუბუქად დაიჭრა, მაგრამ სხვა მხრივ კარგად არისო (ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ.№ 1036, ფ.2).

ქაიხოსრო ყიფიანი დაქორწინებული იყო ეფემია კორინთელზე. მათ ეყოლათ ათი შვილი, რომელთაგან 1888 წელს შვიდია ცოცხალი [იხ. კოტე ყიფიანის მიერ შედგენილი „აზნაურთ ყიფიანების ჩამომავლობის შტო", სთკმსმ, კ. ყიფიანის არქ., საქ. №1469(1)] და ამათგან ზოგიერთმა (დავითმა, მიხეილ-მიშომ, ეფროსინე კლდიაშვილისამ...) შესამჩნევი კვალი დატოვა საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში.

11. **ქვიშხეთი** - სოფელი გორის მაზრაში (ამჟამად შედის ხაშურის რაიონში). ქვიშხეთზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 214.

12. 1830 წელს ქაიხოსრო ყიფიანი ლე [35] წლისაა (სცსსა, ფონდი №213 (I აღნ.), საქ. №414, ფ. 15,17), ე.ი. დაბადებულა 1795 წელს, ხოლო გარდაიცვალა იგი 1869 (და არა 1867, როგორც ნიკ. ყიფიანი მიუთითებს) წლის 4 ოქტომბერს (ლმ, №2140, ფ.25). ასე რომ, სიკვდილის წინ ქაიხოსრო 74 წლისა ყოფილა. ამასთანავე, იგი დიმიტრიზე უფროსი იქნებოდა არა 20, - როგორც ნიკ. ყიფიანი აღნიშნავს, - არამედ 16 წლით (თუ გავითვალისწინებთ, რომ დიმიტრი ყიფიანი 1811 წელსა დაბადებული - იხ. კომენტარი №9).

13. **გიორგი ივანეს (ქოჩოს) ძე ყიფიანი** (1800-1874 წ. შემდეგ) - დიმიტრი ყიფიანის ძმა. ირიცხებოდა ქართულ მილიციაში და იბრძოდა ე.წ. კავკასიის ომებში. კერძოდ, 1845 წელს მონაწილეობა აქვს მიღებული მეფისნაცვლისა და კავკასიის განსაკუთრებული კორპუსის მთავარსარდლის მიხ. ვორონცოვის ხელმძღვანელობით ჩატარებულ ანდისა და დარღოს ექსპედიციაში, სადაც თავი გამოიჩინა და სამხედრო ჯილდოც დაიმსახურა [Награжден за храбрость знаком отличия Военного Ордена - სთკმსმ, კ. ყიფიანის არქ., საქ. №1476(1), ფ.3].

1830 წელს გიორგი ყიფიანი ლ [30] წლისაა (სცსსა, ფონდი №213 (I აღნ.), საქ. №414, ფ.15,17) და, მაშასადამე, დაბადებულა 1800 წელს. ხოლო რაც შეეხება ნიკ. ყიფიანის ვარაუდს - გიორგი „გარდაიცვალა, მგონია, 1872 წელსო", ეს არაა სწორი. სინამდვილეში გიორგი ყიფიანი 1874 წლის 9 ნოემბერს ჯერ კიდევ ცოცხალია, თუმცა მძიმედაა ავად (იხ. დიმიტრი ყიფიანის ბარათი სვიმონ ზაქარიას ძე ყიფიანისადმი. გ. ჯავახიშვილი, ვემზადებით ქართული წერილის საღამოსათვის, გაზ. „ალაზნის განთიადი", 1989, №93).

გიორგი ყიფიანს ცოლად ჰყავდა ანანიაშვილის ასული [სთკმსმ, კ. ყიფიანის არქ., საქ. №1501(1), ფ.1]. მათ ეყოლათ ორი შვილი: ქეთევან და ანტონ [იქვე, საქ. №1476(1), ფ.1]. ამ ბოლო საბუთიდან ისიც ირკვევა, რომ 1852 წელს გიორგი ყიფიანი დაქვრივებულია.

14. **ანტონ გიორგის ძე ყიფიანი** (დაბ. 1839) - დიმიტრის ძმისშვილი. ერთი საბუთის მიხედვით [Семейный список, поколенная роспись и доказательства дворян Кипиани - სთკმსმ, კ. ყიფიანის არქ., საქ. №1476(1)], რომელიც სხვადასხვა მონაცემთა გათვალისწინებით 1852 წლით უნდა დათარიღდეს, ანტონი ამ დროს 13 წლისაა და, მაშასადამე, დაბადებულა იგი 1839 წელს. ანტონ ყიფიანს სამხედრო განათლება მიუღია რუსეთში და იქვე დარჩენილა (იხ. აქვე, ნატალია ყიფიანის მოგონება).

1873 წელს ანტონი ტულის გუბერნიის ქ. ბელევში მსახურობს და იქიდან უგზავნის წერილს დიმიტრი ყიფიანს - პოლკის უფროსთან უთანხმოება მაქვს და სხვაგან გადასვლაში დამეხმარეო (ხი,

დ. ყიფიანის არქ., საქ. №1681, ფ.2). დიმიტრი ანტონ ყიფიანს მართლაც დახმარებია ელიზავეტპოლში გადასვლაში (იქვე, საქ. №1938, ფ.2) - იქ შენი ნათესავი, შტაბს-კაპიტანი ზედგინიძე, მსახურობს და ერთად იქნებითო.

15. **ქეთევან გიორგის ას. ყიფიანი** (დაბ. 1838) - დიმიტრი ყიფიანის ძმისშვილი. წინა კომენტარში დამოწმებული საბუთის („Семейный список...") მიხედვით, 1852 წელს ქეთევანი 14 წლისაა და, მაშასადამე, დაბადებულა 1838 წელს; გათხოვილა სარიდონ ჩერქეზიშვილზე (სთკმსმ, კ. ყიფიანის არქ., საქ. №1501(1), ფ.1; იხ. აგრეთვე, იქვე, საქ. №1469(1), ფ.1).

16. **იოსებ ივანეს (ქოჩოს) ძე ყიფიანი** (დაბ. 1805) - დიმიტრის ძმა. 1830 წელს იოსები კე [25] წლისაა (სცსსა, ფონდი №213 (I აღნ.), საქ. №414, ფ.15, 17) და, შესაბამისად, დაბადებულა 1805 წელს. 1842 წელს მას ეყოლა შვილი, - ისიც იოსები, - ხოლო 1851 წელს იოსებ ივანეს ძე ყიფიანის ცოლი - მარიამ ბეჟანის ას. ყიფიანისა - ქვრივია (იქვე, ფ. 61-62). ასე რომ, იოსებ ყიფიანი გარდაცვლილა 1841-1851 წლებს შორის.

იოსებ ივანეს ძე ყიფიანის ცოლის ქალიშვილობის გვარი იყო ჩხეიძე (სთკმსმ, კ. ყიფიანის არქ., საქ. №№1469(1), ფ.1; 1501 (1), ფ. 1).

17. საბუთებში ჩანს იოსებ ყიფიანის კიდევ ერთი შვილი - მართა, რომელიც 1852 წელს 12 წლისაა და, მაშასადამე, დაბადებულა 1840 წელს (სთკმსმ, კ. ყიფიანის არქ., საქ. №1476(1), ფ.1).

18. **ვასილ იოსების ძე ყიფიანი** (1839-1869 წ. შემდეგ) - დიმიტრის ძმისშვილი. 1852 წელს ვასილი 13 წლისაა (სთკმსმ, კ. ყიფიანის არქ., საქ. №1476(1), ფ.1); მაშასადამე, დაბადებულა 1839 წელს, ხოლო 1869 წელს იგი ხელს აწერს შორაპნის მაზრაში ყიფიანთა მამულების გაყოფის საბუთს (იხ. ნაბეჭდი ბროშურა: მორიგება ყიფიანთა შორის, 1869, გვ. 11; დაცულია ხი-ში, დ. ყიფიანის არქ., საქ. №624). ამის შემდეგ ჩვენთვის ცნობილ წყაროებში მისი სახელი არ ჩანს.

ვასილ იოსების ძე ყიფიანს ცოლად ჰყავდა მარიამ (მონიკო) გიორგი (იაგორ) მირზაშვილის ასული (სთკმსმ, კ. ყიფიანის არქ., საქ. №1501(1), ფ.1). მათ ეყოლათ ოთხი შვილი: ილია, სვიმონი, პლატონი და თამარი (იქვე, საქ. №1469(1), ფ.1).

19. **იოსებ იოსების ძე ყიფიანი** (1842-1869 წ. შემდეგ) - დიმიტრის ძმისშვილი. დაბადებულა იგი 1842 წლის 10 იანვარს, ხოლო 17 იანვარს მღვდელ იოსებ კიკნაძეს მოუნათლავს გორის მაზრის სოფ. ბეკამში, ილიას სახელობის ეკლესიაში (სცსსა, ფონდი №213 (I აღნ.), საქ. №414, ფ.61-62). 1869 წელს იოსები ხელს აწერს წინა კომენტარში ნახსენებ საბუთზე („მორიგება ყიფიანთა შორის", გვ. 11). იოსებ იოსების ძე ყიფიანზე ცნობები შემორჩენილია მისი შვი-

ლის ნატალია ყიფიანის მოგონებაში, რომელიც აქვე - წინამდებარე ტომში - იბეჭდება.

20. სინამდვილეში დიმიტრი ყიფიანი მოკლეს 24-25 ოქტომბრის ღამეს.

21. უკანასკნელი მონაცემების მიხედვით, დიმიტრი ყიფიანი დაიბადა 1811 წელს (იხ. კომენტარი №9). ასე რომ, სიკვდილის წინ იგი 76-ე წელიწადში იყო გადამდგარი.

22. ნიკ. ყიფიანს მხედველობაში აქვს ვ. გუნიას წიგნაკი „დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი. 1814-1887", რომელიც ჩვენ მიერ გადმობეჭდილია წიგნში - სმ-დყ, I, გვ. 101-107.

23. იგულისხმება **თინათინ ყიფიანი-მუსხელიშვილისა** (იხ. სთკმსმ, კ. ყიფიანის არქ., საქ. №1469(1), ფ.1).

24. იგულისხმება **ანასტასია ყიფიანი-კვალიაშვილისა** (იხ. წინა კომენტარში მითითებული საბუთი).

25. ნიკ. ყიფიანის ეს ცნობა წყაროებით არ დასტურდება. სინამდვილეში, როგორც ირკვევა, ქოჩო ყიფიანი არც ისე „წყნარი და მშვიდობიანი ხასიათისა" ყოფილა და, თუ საჭიროდ ჩათვლიდა, „უსიამოვნებას, ჩხუბსა და დავიდარაბასაც" არ მოერიდებოდა. ხიში დაცულია ერთი საბუთი, - იოანე ევგენის ძე აბაშიძის ბარათი ქოჩოსადმი, - რომლის მიხედვითაც ბარათის ავტორი და ადრესატი სიყრმის მეგობრები და თანაშეზრდილნი ყოფილან, მაგრამ შემდეგ მათ შორის დიდი განხეთქილება ჩამოვარდნილა და ყოფილი მეგობარი ქოჩო ყიფიანს უკიდურესად შეუვიწროებია, რის გამოც იოანე აბაშიძე მას „მამის ჩემის მამთხრელს და მისი შვილების ძვლების მჭამელს" უწოდებს, თანაც მუხლისჩოქვით ევედრება - დამეხსენ, რომ არ მოგკლაო (ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №1898, ფ.1). ამ მხრივ, სავსებით სწორი ჩანს ზ. ჭიჭინაძე, რომელიც ჩვენთვის უცნობ წყაროზე დაყრდნობით ქოჩო ყიფიანს უწოდებს „სასტიკ კაცს თავის საქმეებში" (ზ. ჭიჭინაძე, დიმიტრი ყიფიანი, ტფ., 1892, გვ.9).

26. მიუხედავად იმისა, რომ ყიფიანები აბაშიძეთა აზნაურები იყვნენ, მათ შორის იშვიათი არ ყოფილა სისხლისმღვრელი შეტაკებები (ერთმანეთის ხოცვა, ციხეების წართმევა, ახალციხეში მონად გაყიდვა და ა.შ.). ამ საკითხის გარშემო მეტად საინტერესო საბუთი აქვს გამოქვეყნებული ი. დოლიძეს (ქართული სამართლის ძეგლები, ტ.VI, თბ., 1977, გვ. 309-311). აბაშიძეთა და ყიფიანთა შორის ატეხილი ერთ-ერთი კონფლიქტის მოგვარებაში თვით ერეკლე II-ის ჩარევა გამხდარა საჭირო (იხ. ერეკლე II-ის წერილი სახლთუხუცეს გიორგი აბაშიძისადმი, საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტ. III, ტფ., 1910, გვ. 171-172).

1807 წელს ყიფიანთა დიმიტრის შტომ საბოლოოდ დაიხსნა თავი აბაშიძეების ბატონობისაგან - ამ წლიდან ყიფიანები „სახელმწიფო გასამყრელოთ" არიან აყვანილნი და გორის მაზრის სახაზინო

აზნაურებად ირიცხებიან (იხ.: სცსსა, ფონდი №213 (I აღნ.), საქ. №414, ფ.7; ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №511, ფ.1; ფ. დანელია, „მსგავსი კაცები ერთობ იშვიათად იბადებიან". დიმიტრი ყიფიანი საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის მასალების მიხედვით, „საისტორიო მოამბე", №65-66, 1993-1994, გვ. 464, 467).

27. ნიკ. ყიფიანის ეს ცნობა არაა სწორი (იხ. კომენტარი №7).

28. **სურამი** - დაბა გორის მაზრაში (ამჟამად ხაშურის რაიონში შედის). მდიდარია არქიტექტურული ძეგლებით (იხ. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 5, თბ., 1990, გვ. 442-447).

29. სინამდვილეში ამ დროს ქაიხოსრო და დიმიტრი ყიფიანების დედა ბარბარე ფურცელაძე ცოცხალია (იხ. კომენტარი №7).

30. **ნიკიფორე ფიოდოროვი** - პრაპორშჩიკი (1830-იან წლებში უბნის ზედამხედველად მსახურობს თბილისში), დიმიტრი ყიფიანის მამობილი. ამ საკითხზე 1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო კომისიისათვის მიცემულ ერთ-ერთ წერილობით ჩვენებაში დიმიტრი აღნიშნავს: „მე ვიზრდებოდი ტფილისის ყოფილ კეთილშობილთა სასწავლებელში პროპ. ნიკიფორე ფიოდოროვისა და მისი მეუღლის, აზნაურ მარიამ ყიფიანოვის ასულის, მეცადინეობით, რომლებმაც მე მიშვილეს, რადგან თვითონ უშვილონი იყვნენო" (გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. II, თბ., 1970, გვ. 250). სხვა ჩვენებაში კი იგი ამბობს: „მე გავიგონე მამაჩემისაგან, პრაპორშჩიკ ფიოდოროვისაგან" (იქვე, ტ. III, გვ. 368) და ა.შ.

1834 წლის 5 თებერვალს ვოლოგდაში მიწერილ ბარათში დიმიტრის დედა ბარბარე ფურცელაძე შვილს ატყობინებს: სამსახურში შენი წარმატების ამბავი მოგვივიდა, რის გამოც „მამამ [ნ. ფიოდოროვმა - თ.ჯ.] თითქმის სული მაიბრუნა და არღანოსაც ხშირად უკრავსო" (ა. ჯორჯაძე, მასალები ქართველ ინტელიგენციის ისტორიისათვის, წიგნში: წერილები, თბ., 1989, გვ. 108), ხოლო 1836 წლის 15 სექტემბრის ოფიციალური წერილით ვოლოგდის გუბერნატორი, გენერალი ბოლგოვსკი, რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრს უმტკიცებს - ყიფიანი უსათუოდ საქართველოში უნდა იქნეს სამსახურში გადაყვანილი, რადგან მან წარმომიდგინაო „მშობლების წერილი, რომელშიც ისინი ევედრებიან სამშობლოში დაბრუნებას, როგორც ერთადერთ ნუგეშსა და დასაყრდენს სიბერეში" (ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №118, ფ.1).

31. დიმიტრი ყიფიანი ძმამ, ქაიხოსრომ, თბილისის სასულიერო სემინარიასთან არსებულ სამრევლო სასწავლებელში შეიყვანა 1823 წლის 1 სექტემბერს (ფ. დანელია, „მსგავსი კაცები ერთობ იშვიათად იბადებიან", „საისტორიო მოამბე", №65-66, 1993-1994, გვ.

417; ტ. ხუნდაძე, ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში, თბ., 1951, გვ. 177).

32. თბილისის სასულიერო სამრევლო სასწავლებელში დ. ყიფიანის აკადემიურ მოსწრებასთან დაკავშირებული საბუთები გამოქვეყნებული აქვს ფ. დანელიას (იხ. წინა კომენტარში მითითებული მისი პუბლიკაცია, გვ. 416-418).

33. თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი გაცილებით უფრო ადრე, კერძოდ, 1804 წელს დაარსდა მთავარმართებელ პ. ციციანოვის (1754-1806) მიერ.

34 სინამდვილეში დიმიტრი ყიფიანმა კეთილშობილთა სასწავლებელში ექვსი წელი გაატარა (1824-1830 წწ.). 1830 წელს სასწავლებელი გიმნაზიად გადაკეთდა, მაგრამ დიმიტრი, როგორც ზემოთ აღინიშნა (კომენტარი №9), „ხელმოკლეობის გამო გიმნაზიის კლასებში ვერ გადავიდა" (ტ. ხუნდაძე, ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში, თბ., 1951, გვ. 9).

35. **ელპიდიფორ პეტრეს ძე მანასეინი** - დამთავრებული ჰქონდა ყაზანის უნივერსიტეტი, სადაც ადიუნქტად იყო დატოვებული, მაგრამ 1818 წ. საკუთარი სურვილით ჩამოვიდა საქართველოში, „რათა ხალხი დაეყოლიებინა სასწავლებელთა გასამართავად" („ყაზანის უნივერსიტეტის...", „ივ.", 1890, №28; უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროს კავკასიის გუბერნიის სასწავლებლები ჯერ კიდევ ყაზანის უნივერსიტეტის სასწავლო ოლქში შედიოდნენ - იხ. გ. თავზიშვილი, რჩ. ნაწერები, ტ. I, თბ., 1974, გვ. 227). 1819-1827 წწ. ე. მანასეინი „განაგებდა „კავკასიის გუბერნიის" ჩრდილოეთ ნაწილის სკოლებს" („ივ.", 1890, №28). 1826 წელს იგი იმავდროულად ინიშნება თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის დირექტორად (ტ. ხუნდაძე, ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში, თბ., 1951, გვ. 6), ხოლო 1828 წლის იანვარში ე. მანასეინი უკვე სანქტ-პეტერბურგშია და სასწავლებელთა მთავარ სამმართველოში მსახურობს (აქტები, VII, გვ. 62), მოგვიანებით კი ყაზანის უნივერსიტეტის პროფესორი ხდება („ივ.", 1890, №28).

ე. მანასეინი თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში რუსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა. დიმიტრი ყიფიანი მას ახასიათებს, როგორც შესანიშნავ პედაგოგსა და დირექტორს (დ. ყიფიანი, მემუარები, თბ., 1990, გვ. 19).

36. **ნიკოლოზ ტიმოთეს ძე დემენტიევი** - დიმიტრი ყიფიანის მასწავლებელი თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში (ნ. დემენტიევზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 268-269).

37. თბილისის გიმნაზიის პედაგოგიურმა საბჭომ სათანადო გამოცდის შემდეგ დ. ყიფიანი მასწავლებლად მიიღო 1830 წ. 3 თებერვალს (ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №29, ფ.83).

38. დიმიტრი ყიფიანის დედობილი **„მარია ივანოვნა"** იყო **არა ჩაგნაძე,** როგორც ნიკ. ყიფიანი ვარაუდობს, არამედ - **ყიფიანი.** 1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო კომისიისათვის მიცემულ ერთ-ერთ ჩვენებაში დიმიტრი წერს: „მე ვიზრდებოდი ტფილისის ყოფილ კეთილშობილთა სასწავლებელში პროპ. ნიკიფორე ფიოდოროვისა და მისი მეუღლის, აზნაურ მარიამ ყიფიანოვის მეცადინეობითო" (გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. II, 1970, გვ. 250).

39. ნიკ. ყიფიანი ცდება. დიმიტრიმ სწავლა 1830 წელს დაასრულა, ხოლო 1834 წელს ნ. ფიოდოროვი ჯერ კიდევ ცოცხალია (იხ. აქვე, დედის წერილი დიმიტრი ყიფიანისადმი, კომენტარი №30).

40. გარდა არითმეტიკისა და გეოგრაფიისა, დ. ყიფიანი გიმნაზიის პირველ კლასში ასწავლიდა ქართულ და რუსულ ენებს (ლმ, №20838, ფ. 23; ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №29, ფ.83), ხოლო მეორე კლასში - სუფთა წერას (ლმ, №20838, ფ. 23).

41. **გრიგოლ დიმიტრის (ზურაბის) ძე ორბელიანი** (1804-1883) - პოეტი, სახელმწიფო, სამხედრო და საზოგადო მოღვაწე (გრ. ორბელიანზე, აგრეთვე, მის ურთიერთობაზე დიმიტრი ყიფიანთან იხ. სმ-დყ, I, გვ. 310). გრ. ორბელიანი მონანილე იყო 1832 ნლის შეთქმულებისა. იგი მოხვდა „დამნაშავეთა" მეშვიდე კატეგორიაში და მიესაჯა გადაყვანა „პირველ ფეხოსანთა კორპუსის ერთ-ერთ რაზმში, რამდენიმე ნლის განმავლობაში საქართველოში ჩამოსვლის უფლების აღკვეთით" (გ. გოზალიშვილი, 1832 ნლის შეთქმულება, III, 1976, გვ. 429; გრ. ორბელიანზე, როგორც შეთქმულზე, იხ. გ. გოზალიშვილი, დასახ. წიგნი, II, 1970, გვ. 58-69; მაქს. ბერძნიშვილი, მასალები..., II, გვ. 135-136).

დ. ყიფიანისა და გრ. ორბელიანის მიმოწერა იხ.: „კლდეკარი," 1993, №1, გვ. 220-230; „მწიგნობარი-01", 2001, გვ. 243-251 (პუბლიკაციები მოამზადა თ. ჯოლოგუამ).

42. **ვახტანგ ვახტანგის ძე ორბელიანი** (1812-1890) - პოეტი-რომანტიკოსი, სამხედრო და საზოგადო მოღვაწე, ერეკლე II-ის შვილიშვილი (თეკლა ბატონიშვილის ვაჟი), 1832 ნლის შეთქმულების აქტიური ნევრი, რის გამოც საგამომძიებლო კომისიამ იგი მიაკუთვნა „დამნაშავეთა" III კატეგორიას („ვინც შეთქმულებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა და აჯანყებას ეთანხმებოდა") და კალუგაში გადასახლება მიუსაჯა (სამშობლოში დაბრუნდა 1837 ნელს).

ვახტანგ ორბელიანსა და დიმიტრი ყიფიანს სიყრმიდანვე ახლო მეგობრობა და საერთო ინტერესები აკავშირებდათ: ორივე მონაწილეობდა 1832 ნლის შეთქმულებაში, ვ. ორბელიანი დამფუძნებელი ნევრი იყო დიმიტრის ინიციატივითა თუ მეთაურობით დაარსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დანესებულებებისა

(„ტფილისის კერძო ბიბლიოთეკა", „ქმწ-კგ საზოგადოება"); 1880-იან წლებში ვ. ორბელიანსა და დ. ყიფიანს შორის გაიმართა თავისებური ლიტერატურული „დიალოგი" (იხ.: ვ. ორბელიანის ლექსები: „ძველს მეგობარს", „ბიქარ ქართლელს"; დ. ყიფიანის ლექსი - „ძველი მეგობრის პასუხი", ქართული მწერლობა ოცდაათ ტომად, ტ. XX, თბ., 2003, გვ. 5-7), რომელიც უაღრესად საინტერესო მასალას იძლევა ჩვენი ორი მოღვაწის ლიტერატურული პრინციპებისა და თვითშეგნების გამოსარკვევად.

ვ. ორბელიანის ბიოგრაფიაზე, ლიტერატურულ მემკვიდრეობასა და კულტურულ-მწიგნობრულ ინტერესებზე იხ.: კ. აბაშიძე, ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, დ. გამეზარდაშვილის რედაქციითა და შესავალი ნერილით, თბ., 1962, გვ. 93-109; ნ. ალანია, ვახტანგ ორბელიანი, წიგნში: ქართული ლიტერატურის ისტორია (ექვს ტომად), ტ. III, თბ., 1969, გვ. 242-255; ი. ბალახაშვილი, ლიტერატურული ნრეები და სალონები საქართველოში, თბ., 1940, გვ. 100-103; მაქს. ბერძნიშვილი, მასალები..., II, გვ. 145-147; ნ. გურგენიძე, ძველი წიგნსაცავები საქართველოში, თბ., 1969, გვ. 93-97; გრ. კიკნაძე, ვახტანგ ორბელიანი, წიგნში: ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1956, გვ. 211-223; ვ. კოტეტიშვილი, რჩ. ნაწერები (ორ წიგნად), დ. გამეზარდაშვილის რედაქციით, თბ., I, 1965, გვ. 150-166; ვ. ულენტი, ვახტანგ ორბელიანი, თბ., 1965; ი. ტაბლიაშვილი, დოკუმენტური მასალა ვახტანგ ორბელიანის შესახებ, „საისტორიო მოამბე", №25-26, 1971, გვ. 3-182; გ. ქიქოძე, რჩ. თხზულებანი (სამ ტომად), I, თბ., 1963, გვ. 94-96; III, თბ., 1965, გვ. 213-217; ს. ჭილაია, ვახტანგ ორბელიანი, თბ., 1941 და სხვ.

43. **გიორგი დავითის ძე ერისთავი** (1813-1864) - მწერალი, ჟურნალისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე (გ. ერისთავზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 310-311).

44. **ელიზბარ შანშეს ძე ერისთავი** (1810-1871) - 1832 წლის შეთქმულების ორგანიზატორთაგანი და ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1823-1830 წწ. ე. ერისთავი ცხოვრობდა პეტერბურგში, სადაც ჯერ კერძო პანსიონში სწავლობდა, შემდეგ კი სამხედრო-საარტილერიო განათლება მიიღო (გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, II, 1970, გვ. 263). პეტერბურგშივე დაუახლოვდა იგი დიმიტრი იულონის ძე ბატონიშვილს (იქვე, II, გვ. 263-264; III, 407-408), რომელმაც ელიზბარი შეთქმულებაში ჩააბა (იქვე, გვ. 265). საქართველოში დაბრუნებისთანავე (1830 წ.) ე. ერისთავი შეთქმულების ცენტრში მოექცა: მისი უშუალო მონაწილეობით (ზ. ჩოლოყაშვილსა და ალ. ჭავჭავაძესთან ერთად) დამუშავდა აჯანყების გეგმა („პირველი ღამის განკარგულება") და სპეციალურად შექმნილი შტაბიდან მასვე უნდა გაეწია საერთო ხელმძღვანელობა ამ გეგმის

განხორციელებისათვის (იქვე, II, გვ. 38); ძირითადად მანვე ჩამოაყალიბა საქართველოს კონსტიტუციურ-მონარქიული მოწყობის პროექტი (იქვე, II, გვ. 21; ამ პროექტზე იხ. მ. გოცაძე, ბრძოლა დამოუკიდებლობის აღდგენისათვის [XIX ს.] 20-30-იანი წლების მიჯნაზე, წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები რვა ტომად, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 950-951); ე. ერისთავს ალ. ორბელიანის მეშვეობით კონტაქტი ჰქონდა ირანში გადახვეწილ ალექსანდრე ბატონიშვილთან (გ. გოზალიშვილი, დასახ. წიგნი, II, გვ. 39), თავის ძმასთან - დიმიტრი ერისთავთან - ერთად საბრძოლო ოპერაციებში ჩასართავად ამზადებდა თბილისში მცხოვრებ 1830-1831 წწ. პოლონეთის აჯანყების მონაწილეებს (იქვე) და ა.შ.; ელიზბარ ერისთავმა (ალ. ორბელიანთან ერთად) შესთავაზა ს. დოდაშვილს აჯანყებისათვის საზოგადოებრივი აზრის მომზადების მიზნით პერიოდული ორგანოს დაარსება (იქვე, II, გვ. 38, 205), მანვე დაავალა გრ. ორბელიანს კ. რილეევის „ნალივაიკოს აღსარების" თარგმნა (იქვე, გვ. 38-39, 61-62) და, საერთოდ, ე. ერისთავი აქტიურად მონაწილეობდა შეთქმულთა იმ შეხვედრებში, სადაც ქართველ საზოგადოებაში განათლების გავრცელებასა და საამისო პრაქტიკულ ღონისძიებებზე იყო საუბარი (იქვე, I, გვ. 153; II, გვ. 205,208 და ა.შ.). სხვაგვარად რომ ვთქვათ, ე. ერისთავი ქმედითად იყო ჩართული ს. დოდაშვილის საერთო ხელმძღვანელობით გაშლილ კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების აღორძინების პროცესსა და მომავალი შეიარაღებული აჯანყებისათვის იდეოლოგიური ნიადაგის მომზადებაში.

შეთქმულების ჩავარდნის შემდეგ ე. ერისთავს, როგორც „ბოროტგანზრახულობის" ორგანიზატორთაგანს, მიესაჯა სიკვდილი - „ოთხად განკვეთა" (გ. გოზალიშვილი, დასახ. წიგნი, III, გვ. 431), მაგრამ შემდეგ სასჯელი შეუცვალეს, მოაქციეს „დამნაშავეთა" მეორე კატეგორიაში, - „ვინც იყვნენ შეთქმულების წამომწყებნი და სხვებსაც უბიძგებდნენ შეთქმულების და თვით აჯანყებისაკენ" (მაქს. ბერძნიშვილი, მასალები..., I, გვ. 234), - და ფინეთში მდგარი ერთ-ერთი პოლკის რიგით ჯარისკაცად განაწესეს, კერძოდ, ჰელსინგფორსში, დღევანდელ ჰელსინკში (გ. გოზალიშვილი, დასახ. წიგნი, III, გვ. 436).

სამშობლოში დაბრუნებული ე. ერისთავი 1842 წ. დიმიტრი ყიფიანის ინიციატივითა და საერთო ხელმძღვანელობით დაარსებული „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის" (1842-1848) დამფუძნებელი წევრია (ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №219,ფ.1), 1844 წელს კი იგი უკვე გორშია, სადაც უაღრესად საინტერესო პროგრამის მქონე ჟურნალის - „სინათლის" - დაარსების ინიციატორთა ჯგუფში ვხედავთ (ამ საკითხზე იხ.: მ. გოცაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, I, თბ., 1954, გვ. 234, 239; მაქს. ბერძნიშვილი, მასალები..., I, გვ. 82;

სამწუხაროდ, „სინათლის" გამოცემის იდეა პრაქტიკულად ვერ განხორციელდა). ე. ერისთავი ზრუნავდა ივანე კერესელიძის „ცისკარზე". კერძოდ, მას გორის მაზრაში გასავრცელებლად გამოუწერია „ცისკრის" ოცი ეგზემპლარი და ამისთვის ჟურნალის რედაქტორის საგანგებო მადლობაც დაუმსახურებია (რედაქციისაგან, „ცისკარი", 1860, №5, გვ. 53).

ელიზბარ ერისთავის ოჯახი გორში იქაური ინტელიგენციის თავშესაყარი და კულტურის მნიშვნელოვანი კერა იყო (იხ. ლ. გოგოხია, მარიამ დემურია, თბ., 1964, გვ. 4-5; სხვათა შორის, მამის მიერ დამკვიდრებული ტრადიცია შემდგომში ელიზბარის შვილმა, ივანე ერისთავმა (1846-1919), გააგრძელა - იხ. ქართველ მოღვაწეთა ნეკროპოლი, შეადგინა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ს. ხუციშვილმა, I, თბ., 1961, გვ. 47).

ე. ერისთავის მეუღლეს - ქეთევან შალვა ერისთავის ასულს (1819-1907) ლექსი - „ქეთევან" - უძღვნა ნიკოლოზ ბარათაშვილმა (ამ საკითხზე იხ.: გ. აბზიანიძე, ნ. ბარათაშვილის ერთი ლექსის გენეზისი, „ლიტერატურის მატიანე", წგნ. 1-2, 1940, გვ. 379-381; რ. ჩხეიძე, სახელი ამილბარისა, კრბ. „ელიზბარ ერისთავი", თბ., 1997, გვ. 214-225; თ. ჯოლოგუა, ქეთევან ერისთავის საიდუმლო, იქვე, გვ. 226-230. უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის ტახტის მემკვიდრე გიორგი რომანოვი ქეთევან და ელიზბარ ერისთავების ერთ-ერთი შვილის მარიამ-მაიკო ერისთავ-ზლოტნიცკაიას შვილთაშვილია - იხ. მ. ხომერიკი, ისტორიის პარადოქსები, კრბ. „ელიზბარ ერისთავი", 1997, გვ. 178-179).

ელიზბარ ერისთავი 1840-იანი წლებიდან იმყოფებოდა სახელმწიფო სამსახურში და კარიერა გორის მაზრის უფროსის თანამდებობაზე დაასრულა პოლკოვნიკის ჩინით (სამსახურიდან გასულს გენერალ-მაიორის ხარისხი ებოძა - იხ. დ. ყიფიანი, მემუარები, 1990, გვ. 153). გარდაიცვალა იგი 1871 წელს, გორში, და იქვე, საკრებულო ტაძრის („სობოროს") გალავანში, დაკრძალეს (გ. გოზალიშვილი, დასახ. წიგნი, II, გვ. 42; ამჟამად აღარც „სობოროა" და ელიზბარის საფლავიც დაკარგულია).

ელიზბარ ერისთავი პერსონაჟია არაერთი მხატვრული ნაწარმოებისა. ყველა ეს მასალა, ისევე როგორც 1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო კომისიისათვის ე. ერისთავის მიერ მიცემულ ჩვენებათა ერთი ნაწილი, აგრეთვე, ელიზბარზე აქამდე არსებული სამეცნიერო და პუბლიცისტური ლიტერატურა თავმოყრილია ზემოდასახელებულ კრებულში - „ელიზბარ ერისთავი" (შემდგენელ-რედაქტორი რ. ჩხეიძე, თბ., 1997).

45. **იოსებ ქრისტეფორეს (ქაიხოსროს) ძე მამაცაშვილი** (1810-1874) - საზოგადო მოღვაწე, ჟურნალისტი, მწერალი. მონანილეობდა 1832 წლის შეთქმულებაში, რისთვისაც გადაასახლეს ეი-

ატკაში, სადაც ს. დოდაშვილთან ერთად იხდიდა სასჯელს. სამშობლოში დაბრუნებული (1836 წ. მარტი) ი. მამაცაშვილი გორში დამკვიდრდა და დიდხანს იმსახურა მაზრის მოსამართლედ. ჰქონდა ნამდვილი სამოქალაქო მრჩევლის („დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკ") მაღალი ჩინი.

ი. მამაცაშვილის ოჯახი კულტურულ-ლიტერატურული ინტერესების მქონე ქართველ მოღვაწეთა (დ. ბაქრაძე, ვ. თულაშვილი, დ. მუსხელიშვილი, ა. ფურცელაძე და სხვ., აგრეთვე, პროგრესულად მოაზროვნე რუსი პედაგოგი სიმონოვიჩი) თავშესაყარი იყო და, სხვათა შორის, სწორედ ი. მამაცაშვილის წრეში დაიბადა ფართო პროფილის საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო ორგანიზაციის შექმნის იდეა, რომელიც საბოლოოდ „ქშწ-კგ საზოგადოების" დაფუძნებით დაგვირგვინდა.

ი. მამაცაშვილზე იხ.: მაქს. ბერძნიშვილი, მასალები..., II, გვ. 82-85; ი. გოგებაშვილი, როგორ დაარსდა „წერა-კითხვის საზოგადოება", რჩ. თხზულებანი (ხუთ ტომად), ტ. III, თბ., 1990, გვ. 251-253; ალ. კალანდაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, II, თბ., 1984, გვ. 60, 280-282, 524; ალ. მიქაბერიძე, მშობლიური ქვეყნის დიდი მოამაგე, კრბ. „იაკობის სამრეკლო", თბ., 1990, გვ. 421-422; ლ. ნანიტაშვილი, წერილები, თბ., 1981, გვ. 121-136; შ. საკაძე, გერცენის ქართველი მეგობარი, „ლიტერატურული გაზეთი", 1957, №45.

46. **ზაალ (ზაქარია) სტეფანეს ძე ავთანდილოვი (ავთანდილაშვილი)** (1813-დაახლ. 1868) - სახელმწიფო მოხელე, ნამღვილი სამოქალაქო მრჩეველი („დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკ"); სიყრმიდანვე ახლო მეგობრობა აკავშირებდა დიმიტრი ყიფიანთან. შეთქმულების საგამომძიებლო კომისიისათვის 1833 წელს მიცემულ ერთ-ერთ ჩვენებაში ზ. ავთანდილოვი აღნიშნავს: „ოცი წლისა ვარო" (გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, II, გვ. 252) და, მაშასადამე, დაბადებულა 1813 წელს. საერთოდ, ზ. ავთანდილოვი აქტიური წევრი იყო შეთქმულებისა. საგამომძიებლო კომისიამ იგი მიაკუთვნა „დამნაშავეთა" მეოთხე კატეგორიას და პერმში გადასახლება მიუსაჯა სამოქალაქო სამსახურში შესვლის უფლებით (გ. გოზალიშვილი, დასახ. წიგნი, I, გვ. 495). 1836 წლის 23 აპრილს რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი ოფიციალურად მიმართავს სახალხო განათლების მინისტრს: ავთანდილოვმა იმპერატორთან წარსადგენად თხოვნა გამომიგზავნა, სადაც იგი საქართველოში დაბრუნების სურვილს გამოთქვამს. იმპერატორმა უმაღლესად ინება ამ თხოვნის დაკმაყოფილება, მხოლოდ იმ პირობით, რომ ავთანდილოვს სასწავლო დაწესებულებებში სამსახური უნდა აეკრძალოს (გადასახლებამდე იგი თბილისის გიმნაზიაში მასწავლებლობდა), სხვა ნებისმიერ სამოქალაქო სამსახურში შესვლის უფლება კი ეძლევაო (ლმ, №20838, ფ. 54). სამშობლოში დაბრუნებული ზ.

ავთანდილოვი მართლაც შეუდგა სახელმწიფო სამსახურს და 1865 წელს მას კავკასიის მეფისნაცლის საბჭოს საქმეთა მმართველის თანამდებობაზე ეხედავთ, ამასთანავე, საზოგადოებრივ ინიციატივაზე დაფუძნებულ ღონისძიებებშიც მონაწილეობს. ასე, მაგალითად, 1867 წელს საინიციატივო ჯგუფი მას სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის დამფუძნებელი კომიტეტის წევრად ირჩევს („დრ.", 1867,№20; ზ. ავთანდილოვზე იხ. მაქს. ბერძნიშვილი, მასალები..., I, გვ. 101-104).

ხი-ში (დ. ყიფიანის არქ., საქ. №№878-880, ფ. 6) დაცულია ზ. ავთანდილოვის კერძო ხასიათის ბარათები დიმიტრი ყიფიანისადმი, დათარიღებული 1858 წლით.

47. **სოლომონ ივანეს ძე დოდაშვილი** (1805-1836) - პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ფილოსოფოსი, მეცნიერი (ფილოლოგი, ისტორიკოსი, გრამატიკოსი), ჟურნალისტი, პედაგოგი, ბიბლიოფილი, 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი ორგანიზატორი და იდეოლოგი, უთვალსაჩინოესი ფიგურა XIX ს. ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში. პეტერბურგის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ს. დოდაშვილი დაბრუნდა სამშობლოში (1827 წ.) და სათავეში ჩაუდგა პატრიოტული მიზანდასახულობის საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებას. მისი მოღვაწეობის ძირითადი მიზანი იყო, ერთი მხრივ, მომავალი შეიარაღებული აჯანყებისთვის იდეოლოგიური ნიადაგის მომზადება, ხოლო მეორე მხრივ, საზოგადოებრივი ცხოვრებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესების ევროპეიზაცია.

საგამომძიებლო კომისიამ ს. დოდაშვილი მიაკუთვნა შეთქმულთა მეორე კატეგორიას („ვინც შეთქმულების წამომწყები იყო და სხვებსაც უბიძგებდა შეთქმულებისა და თვით აჯანყებისაკენ"), რისთვისაც საქართველოდან სამუდამო გადასახლება მიესაჯა (გადაასახლეს ვიატკაში, სადაც საგუბერნიო სამმართველოს კანცელარიაში მსახურობდა გადამწერად. ვიატკაში ს. დოდაშვილი ჭლექით დაავადდა და გარდაიცვალა; იქვე ემარხა 1994 წლამდე. ამჟამად მისი ნეშტი დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში).

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ გავრცელებული თვალსაზრისი ს. დოდაშვილის აზროვნებასა და პოლიტიკური მოღვაწეობის ხასიათზე დეკაბრისტული მოძრაობის გავლენის შესახებ ჩვენ პრინციპულად მიუღებლად მიგვაჩნია (ამ საკითხზე იხ. ჩვენი წერილი - ერთი უმართებულო მტკიცების გამო, „კლდეკარი", 1992, №1, გვ. 184-187).

ლიტერატურა ს. დოდაშვილზე იხ.: სოლომონ დოდაშვილი. ბიობიბლიოგრაფია (1825-1966), შემდგ.: ნ. დოლიძე და ნ. ფირცხალავა, ს. ხუციშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბ., 1967; აგრეთვე: სოლომონ დოდაშვილი (საიუბილეო კრებული), თბ., 1986;

მაქს. ბერძნიშვილი, მასალები..., I, გვ. 19-20, 48-55, 211-214; მიხ. გაფრინდაშვილი, ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის ნარკვევები, II, თბ., 1976, გვ. 88-148; III, თბ., 1988, გვ. 63-67, 318-321; გ. თავზიშვილი, რჩ. ნაწერები, I, თბ., 1974, გვ. 457-485; ვ. ითონიშვილი, სოლომონ დოდაშვილის ეთნოგრაფიული დაკვირვებები, „მნათობი", 2000, №11-12, გვ. 100-104; კ. კაციტაძე, სოლომონ დოდაშვილის მსოფლმხედველობის საკითხისათვის, „ცისკარი", 1985, №10, გვ. 145-150; მისივე, სოლომონ დოდაშვილი და ნიკოლოზ ბარათაშვილი, „ლიტერატურა და ხელოვნება", 1990, №1, გვ. 51-80; მისივე, ესეი ქართულ პოლიტიკურ რომანტიზმზე, „ლიტერატურული საქართველო", 1997, №33; А. Додаева-Магарская, Помни род свой..., М., 2000 და სხვ.

48. სინამდვილეში შეთქმულები მეტეხის ციხეში კი არ დაამწყვდიეს, არამედ - „პოკროვის ყაზარმებში, ციციანთ ალმართის თავზე, ავლაბარ-ჩულურეთის მიჯნაზე" (მაქს. ბერძნიშვილი, მასალები..., I, გვ. 6). სხვათა შორის, ამიტომაც დამკვიდრდა ხალხში 1832 წლის შეთქმულების აღმნიშვნელ ტერმინად „ყაზარმობა".

49. 1832 წლის შეთქმულებასა და მასში დიმიტრი ყიფიანის მონაწილეობის შესახებ იხ. სმ-დყ, I, გვ. 200-204; უფრო ერცლად - წიგნში: ჯოლოგ., დიმ. ყიფ., გვ. 54-73.

50. ავტორს მხედველობაში აქვს კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ გამოცემული „Акты, собранные Кавказской археографической комиссиею" (т. 1-12, Тфл., 1866-1904), რომლის VIII (და არა X , როგორც ნიკ. ყიფიანი ვარაუდობს) ტომში შესულია (გვ.391-423) 1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო კომისიის მასალები (აქტებზე იხ. ქსე, ტ. I, თბ., 1975, გვ. 256; სე, ტ. I, თბ., 1997, გვ. 83-84).

51. **ადოლფ პეტრეს ძე ბერჟე** (1828-1886) - ფრანგული წარმოშობის რუსი კავკასიოლოგი; 1864 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე თავმჯდომარეობა „კავკასიის არქეოგრაფიულ კომისიას". მისი რედაქტორობით გამოიცა არქეოგრაფიული კომისიის „აქტების" პირველი 10 ტომი (XI ტომის რედაქტორი იყო დ. კობიაკოვი, XII ტომისა - ე. ვეიდენბაუმი). საერთოდ, „აქტების" გამოცემის ძირითადი მიზანი იყო კავკასიაში რუსეთის შემოსვლა-დამკვიდრების ასახვა და მისი კოლონიზატორული პოლიტიკის გამართლება. შესაბამისად, მასალების შერჩევა ტენდენციურად ხდებოდა, რის გამოც ა. ბერჟეს ძალზე გამწვავებული ურთიერთობა ჰქონია თავის ფაქტობრივ მოადგილესთან - ნიკ. ბერძნიშვილთან (იხ. ზ. ჭიჭინაძე, საქართველოს ისტორიული მასალების დაწვა და დიმიტრი ბაქრაძის გარდაცვალების 25 წლის შესრულების გამო, „საქართველო", 1915, №3-4).

ა. ბერჟეზე იხ.: [Д. Кобяков], Памяти Адольфа Петровича Берже, Тфл., 1886; ბროკჰაუზი-ეფრონი, ნგნ. 6, 1891, გვ. 530-531; მ. ტიტვინიძის სტატია სე-ში (I, 1997, გვ. 408-409).

ხი-ში დაცულია ა. ბერჟეს მოკლე ბიოგრაფია - შედგენილი მ. ჯანაშვილის მიერ (მ. ჯანაშვილის არქ., საქ. №47, ფ. 2).

52. **ნიკოლოზ I** (1796-1855) - რუსეთის იმპერატორი 1825-1855 წწ. (ნიკოლოზ I-ზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 223).

53. 1832 წლის შეთქმულების მონაწილეთათვის გამოტანილი სასჯელი მართლაც იმაზე მსუბუქი გამოდგა, ვიდრე ნიკოლოზ I-ისგან იყო მოსალოდნელი და ეს, რასაკვირველია, ასეთ საქმეებში სისასტიკით ცნობილი იმპერატორის გულჩვილობით არ ყოფილა გამოწვეული. ეყრდნობა რა მთავარმართებელ გრ. როზენისა და რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის ალ. ჩერნიშოვის მიმოწერას, გ. გოზალიშვილი ამ საკითხზე მსჯელობის შემდეგ დაასკვნის: „არც რუსეთის ხელისუფლება იყო დაინტერესებული, შეთქმულებისთვის სერიოზული ხასიათი მიეცა და მისი ნამდვილი ბუნება გამოემჟღავნებინა. მისთვის გაცილებით ხელსაყრელი იყო, გარკვეულ მოსაზრებათა გამო, ეს ამბავი ზოგიერთი დარდიმანდი ქართველი თავადიშვილების ახალგაზრდათა ერთი ჯგუფის ფუქსავატურ ოცნებად გაესაღებინა. მთავრობამ განგებ მიჩქმალა ქართველთა შეთქმულების ამბავი, რათა იგი საზოგადოებრივი აზრის მსჯელობის საგანი არ გამხდარიყო“ (გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, I, გვ. 5). მართლაც, რუსეთის ხელისუფლებისთვის, ცხადია, არ იქნებოდა სასურველი, საქვეყნოდ გამჟღავნებულიყო არსებული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური სისტემის მიმართ ასეთი ერთსულოვანი უკმაყოფილება „ნებაყოფლობით“ შეერთებულ საქართველოში; მეორეც, რუსეთი ამ დროს ენეოდა სისხლისმღვრელ დამპყრობლურ ომს ჩრდილოეთ კავკასიაში და, ბუნებრივია, მისთვის სრულებით არ იყო ხელსაყრელი საზოგადოებრივი მხარდაჭერის დაკარგვა საქართველოში. ამას გარდა, ევროპის საზოგადოებრივი აზრი ჯერ კიდევ არ იყო ჩაწყნარებული პოლონეთის 1830-1831 წწ. აჯანყების ბარბაროსულად ჩახშობისა და ვარშავის ქუჩებში რუსი ჯარისკაცების მიერ მოწყობილი ხოცვა-ჟლეტის გამო. ჩვენი აზრით, უსათუოდ გასათვალისწინებელია ფსიქოლოგიური ხასიათის ფაქტორიც: მონარქიას განზრახული ჰქონდა, საქართველოსა და საერთოდ კავკასიაში თავისი კოლონიზატორული პოლიტიკის დასაყრდენად ქართველი არისტოკრატია გადაექცია და მისთვის უფრო ადვილი და მოსახერხებელი იყო, ურთიერთობა ჰქონოდა შეწყალებულ და არა დასჯილ ფენასთან.

54. გრ. ორბელიანი ნოვგოროდში კი არ „ნაიყვანეს“ (ნოვგოროდში იგი უფრო ადრე იმყოფებოდა, მაშინ, როცა თბილისში შეთქმულების ამბავი გამომჟღავნდა), არამედ ჯერ კავკასიის ხაზზე

მოქმედ ჯარში გაგზავნეს, საიდანაც ქ. ვილნოში განლაგებულ ნევის საზღვაო პოლკში გადაიყვანეს (მაქს. ბერძნიშვილი, მასალები..., II, გვ. 136).

55. **ვიატკა** (1934 წლიდან - ქ. კიროვი. ამჟამად აღდგენილია მისი პირვანდელი სახელწოდება) - რუსეთის საგუბერნიო ქალაქი. აქ იხდიდა სასჯელს და 1994 წლამდე აქვე ემარხა სოლომონ დოდაშვილი.

56. **ალექსანდრე ივანეს ძე გერცენი** (ფსევდ. ისკანდერი) (1812-1870) - გამოჩენილი რუსი მწერალი, ფილოსოფოსი, პუბლიცისტი, მეტად თვალსაჩინო ფიგურა XIX ს. რუსეთის პოლიტიკურ და კულტურულ-ლიტერატურულ ცხოვრებაში; რევოლუციური მოღვაწეობისთვის 1835-1840 წწ. გადასახლებული იყო ჯერ პერმში, შემდეგ კი - ვიატკასა და ვლადიმირში. ვიატკაში ყოფნისას ალ. გერცენს ურთიერთობა ჰქონდა იქ გადასახლებულ ქართველ შეთქმულებთან - ი. მამაცაშვილსა (იხ. შ. სააკაძე, გერცენის ქართველი მეგობარი, „ლიტერატურული გაზეთი", 1957, №45) და ს. დოდაშვილთან (იხ. ს. დოდაშვილი, თხზულებანი, თბ., 1989, გვ. 373; А. Додаева-Магарская, Помни род свой..., М., 2000, გვ. 130-141).

57. **საგუბერნიო ქალაქ ვოლოგდაში** გადასახლებული დიმიტრი ყიფიანი იქ ჩავიდა 1834 წლის იანვარში და დარჩა 1837 წლის დასაწყისამდე (ყოველ შემთხვევაში, 1837 წ. 18 თებერვალს დიმიტრი უკვე თბილისშია - ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №29, ფ. 84, 86).

58. სინამდვილეში, როგორც ზემოთ აღინიშნა (კომენტარი №44), ელიზბარ ერისთავი რიგით ჯარისკაცად გაგზავნეს ფინეთში (ჰელსინგფორსში, დღევანდელ ჰელსინკში). არხანგელსკში კი გადაასახლეს გიორგი რევაზის ძე ერისთავი (1812-1891) - შემდგომში კავალერიის გენერალი (გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, III, გვ. 428; მაქს. ბერძნიშვილი, მასალები..., I, გვ. 231) და მოლა ზამანა, რომელიც გადასახლებაშივე დაიღუპა - მდ. დვინაში დაიხრჩო (მაქს. ბერძნიშვილი, მასალები..., II, გვ. 27; დ. ყიფიანი, მემუარები, თბ., 1990, გვ. 154). მოგვიანებით იქვე განაწესეს ფინეთში სასჯელმოხდილი იასე ფალავანდიშვილი, რომელიც ცხოვრობდა არხანგელსკის გუბერნიის ქ. უსტ-ცილმაში და იქვე გარდაიცვალა 1857 თუ 1858 წელს (მაქს. ბერძნიშვილი, მასალები..., II, გვ. 195; ვრცლად ი. ფალავანდიშვილის გადასახლებაში ცხოვრების გარშემო იხ. С. Максимов, Год на севере, четвертое, дополненное издание, М., 1890, გვ. 393-430).

59. ვოლოგდაში გადასახლებული დიმიტრი ყიფიანი1834 წ. 22 იანვარს რიგით ჩინოვნიკად ჩარიცხეს გუბერნატორის კანცელარიაში. იმავე წლის 8 მაისს დანიშნეს კანცელარიის მდივნის თანაშემწედ, 8 ივლისს - პროტოკოლისტად, 1835 წ. 2 აპრილს - კანცელარიის მდივნად, ხოლო 1835 წ. 30 დეკემბრიდან 1836 წ. 7 თებერ-

ვლამდე ასრულებდა გუბერნატორის კანცელარიის მმართველის თანამდებობას (ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №29, ფ. 84-85), მაგრამ პოლიტიკური არაკეთილსაიმედოობის მიზეზით ამ უკანასკნელ თანამდებობაზე იგი პეტერბურგში არ დააამტკიცეს და უკანვე, - კანცელარიის მდივნად, - დააბრუნეს. ამ საკითხზე თვითონ დიმიტრისაც უწერია თავის „მემუარებში" (თბ., 1990, გვ. 23-24).

60. იგულისხმება ვოლოგდის სამოქალაქო გუბერნატორი, გენერალ-მაიორი **ბოლგოვსკი** (დიმიტრი ყიფიანისა და ბოლგოვსკის ურთიერთობაზე იხ. დ. ყიფიანი, მემუარები, 1990, გვ. 24-25).

61. დიმიტრის მამის სახელთან დაკავშირებული მთელი ეს ისტორია ნიკ. ყიფიანის ფანტაზიის ნაყოფია. სინამდვილეში „ივანე" („იოანე") იყო ნათლობის სახელი ქოჩო ყიფიანისა. თვითონ დიმიტრი ყიფიანი 1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო კომისიისთვის მიცემულ ერთ-ერთ ჩვენებაში წერს: „მამაჩემის ნათლობის სახელი ივანე იყო, ცხოვრებაში კი მას ქოჩოს ეძახდნენ" (გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, II, გვ. 249). ეს რომ მართლაც ასე იყო, დოკუმენტურადაც დასტურდება. კერძოდ, 1830 წელს შედგენილ ერთ-ერთ ოფიციალურ საბუთში, რომელშიც დ. ყიფიანის წინაპართა გენეალოგიური შტოა წარმოდგენილი, დიმიტრის მამის სახელი ასეა ჩაწერილი: „ქოჩო ანუ იგივე იოანე" (სცსსა, ფონდი №213 (I აღწ.), საქ. №414, ფ. 11). ამიტომაცაა, სხვათა შორის, რომ საბუთების ნაწილში „ივანეს ძედ" იხსენიება დიმიტრის ძმაც - ქაიხოსრო ყიფიანი (ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №521 და სხვ.).

62. დიმიტრი ყიფიანი თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი („მარშალი") იყო 1864 წლის თებერვლიდან 1870 წლის მაისამდე (ამ საკითხზე უფრო ვრცლად იხ. სმ-დყ, I, გვ. 222).

63. **ალექსი მიხეილის ძე სმეკალოვი** (გარდ. 1890) - გენერალ-ლეიტენანტი, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი 1886 წელს; ამ თანამდებობაზე მყოფ ა. სმეკალოვსა და იმხანად ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლს დიმიტრი ყიფიანს ძალზე გამწვავებული ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთში (ამ საკითხზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 24-33, 208-209, 250).

64. მემუარისტის ეს ცნობა არაა სწორი. ვოლოგდიდან სამშობლოში დაბრუნებული დიმიტრი ყიფიანი რამდენიმე თვეს (1837 წ. 27 თებერვლიდან 28 ივნისამდე) სწორედ თბილისში მსახურობდა ჯერ საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის კანცელარიაში, შემდეგ სასტატისტიკო კომიტეტში, ბოლოს - სამოქალაქო გუბერნატორის საგანგებო დავალებათა ჩინოვნიკად და მხოლოდ ამის შემდე განაწესეს იგი იმერეთში (ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №29, ფ. 87-88).

65. **იაკიმ მიხეილის ძე ესპეხო** - რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი, წარმოშობით ესპანელი (გრანადიდან); 1818 წ. ჩაირიცხა რუსეთის არმიაში, ხოლო 1820-იან წლებში ი. ესპეხო უკვე აქტიურადაა ჩართული სამხედრო ოპერაციებში - რუსეთ-ირანის 1826-1828 და რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წწ. ომებში. მონაწილეობა აქვს მიღებული თავრიზის, არზრუმის, ყარსის, ახალციხის, აწყურისა და ა.შ. აღებაში. მოგვიანებით იბრძოდა, აგრეთვე, ე.წ. კავკასიის ომებში, კერძოდ, მონაწილეობდა 1837 წ. ადლერის კონცხის აღებაში (ი. ესპეხო მოხსენიებული ჰყავს დავით მაჩაბელს თავის პოემაში - „მთიული". იხ. დ. მაჩაბელი, მთიული, რედაქცია, ტექსტის მომზადება და წინასიტყვაობა ს. ხუციშვილისა, თბ., გვ. 64).

1837 წელს ი. ესპეხო დანიშნეს იმერეთის მმართველად (ამ პოსტზე შეცვალა დიმ. ახლესტიშჩევი), ხოლო დაახლოებით წლინახევრის შემდეგ გენერალურ შტაბში გადაიყვანეს (ბიოგრაფიული ცნობები ი. ესპეხოზე იხ. აქტები, ტ. VIII, 1881, გვ. XVII; დიმიტრი ყიფიანისა და ი. ესპეხოს ურთიერთობაზე იხ. დ. ყიფიანი, მემუარები, 1990, გვ. 26-30).

66. დიმიტრი ყიფიანი იმერეთის მმართველის მდივნად დანიშნეს 1837 წ. 28 ივნისს (ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №29, ფ. 88; ამ საკითხზე იხ. აგრეთვე, დ. ყიფიანი, მემუარები, 1990, გვ. 26).

67. **მიხეილ ქაიხოსროს ძე ერისთავი** (გარდ. 1871) - გურული თავადი, დიმიტრი ყიფიანის მძახალი (მიხ. ერისთავის ქალიშვილი - ანასტასია - ცოლი იყო ნიკ. ყიფიანისა); საკუთარ სახლში, ღამე, საწოლშივე მოკლეს უცნაურ ვითარებაში - „მკვლელებს ერთი ჩვარი არ ნაეღოთ მიხ. ერისთავის სახლიდამ და არც ფულისათვის, არც ნივთებისათვის ხელიც არ უხლიათ" (ნ. დ-ძე [ნიკ. ყიფიანი], მიხ. ერისთავის საქმე თფილისის სამოსამართლო პალატაში, „დრ.", 1872, №4). მართალია, დამნაშავეები გაასამართლეს და გააციმბირეს კიდევაც, მაგრამ მკვლელობის ნამდვილი მიზეზი ვერც სასამართლოზე გამოირკვა (იქვე).

68. **ლევან ნიკოლოზის ძე ქორქაშვილი** (დაბ. 1801) - ხი-ში (დ. ყიფიანის არქ., საქ. №№1671-1677, ფ. 11) დაცულია ლ. ქორქაშვილის კერძო ხასიათის ბარათები დიმიტრი ყიფიანისადმი - გამოგზავნილი ქუთაისიდან. ამ ბარათების მეშვეობით ხერხდება მათი ავტორის ზოგიერთი ბიოგრაფიული მონაცემის დადგენა. კერძოდ, ერთგან იგი წერს: „5 მარტს 1829 წელსა ვიყავ თათრების ჩხუბში (აქ უნდა იგულისხმებოდეს რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წწ. ომი -თ.ჯ.) და ორდენიც მივიღეო" (საქ. №1671, ფ. 1), სხვაგან კი ამბობს: მოვხუცდი, ხელები მიკანკალებს და წერაც მიჭირს, ან რა გასაკვირია, 75 წლისა ვარო (საქ. №1675, ფ. 1; ბარათი დაწერილია 1876 წელს და, მაშასადამე, ლ. ქორქაშვილი დაბადებულა 1801 წელს). კიდევ ერთ ბარათში ავტორი დიმიტრის თავის ხელმოკლე-

ობას შესჩივის: „მე ხუთი ვაჟი მომცა ბუნებამ და არც ერთს კოპეიკის შეძენა არ შეუძლიან და ყოველს მცირე საჭიროების დროს არიან დამოკიდებული ჩემს ჯიბეზე, რომელიც ისე დააცარიელეს, რომ მალე აღარც ჩემთვის მექნება რამე და აღარც მათთვისო" (საქ. №1671, ფ.1).

ხი-შივეა დაცული (ნ. და ბ. ყიფიანების არქ., საქ.№№747, 748, ფ.2) ლ. ქორქაშვილის ორი ბარათი ნიკოლოზ ყიფიანისადმი - 1878-1879 წლებით დათარიღებული, კერძო ხასიათისა.

69. **სპირიდონ სიმონის ძე მაჭავარიანი** (1807-1892) - გენერალ-მაიორი, „ქშწ-კგ საზოგადოების" დამფუძნებელი წევრი. 1892 წ. „ივერია" (№27) იუწყებოდა: „გარდაიცვალა მთელს ქუთაისის გუბერნიაში ცნობილი გენერალ-მაიორი სპ. მაჭავარიანი 90-ზე მეტი წლისა". „ივერიის" ეს ცნობა დაზუსტებას საჭიროებს: 1820 წელს იმერელი აზნაური სიმონ მაჭავარიანი ეგზარქოსს სთხოვს, რომ გორის სასულიერო სასწავლებელში მიიღონ მისი შვილი - 13 წლის სპირიდონი (ტ. ხუნდაძე, ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში, თბ., 1951, გვ. 177). მაშასადამე, სპირიდონ მაჭავარიანი 1807 წელს დაბადებულა და გარდაცვალების წინ იგი 85 წლისა იქნებოდა. სპ. მაჭავარიანთან მეტად საინტერესო შეხვედრა და საუბარი აღწერილი აქვს აკაკი წერეთელს (თხზ. სრ. კრებული თვრამეტ ტომად, I, 1991, გვ. 302-303).

სპირიდონ მაჭავარიანი დაკრძალულია მშობლიურ სოფელში - შორაპნის მაზრის (ამჟამად ზესტაფონის რაიონის) სოფ. ცხრანყაროს წმ. გიორგის ეკლესიაში („ივ.", 1892, №31).

ხი-ში, დ. ყიფიანის არქივში (საქ. №№1463, 1464, ფ. 4) დაცულია სპირიდონ მაჭავარიანის ორი ბარათი (კერძო ხასიათისა) დიმიტრი ყიფიანისადმი, დათარიღებული 1858 და 1867 წლებით.

70. **ბეჟან ჩხეიძე** - ?

71. დიმიტრი ყიფიანმა იმერეთში დაახლოებით წელიწად-ნახევარი დაყო. 1839 წლის იანვარში იგი თბილისშია და მთავარმართებლის კანცელარიაში ინყებს მუშაობას, ხოლო იმავე წლის 8 თებერვალს მაგიდის უფროსად ნიშნავენ (ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №29, ფ. 89-90; დ. ყიფიანი, მემუარები, 1990, გვ.30).

72. **ბორის (ბაბანა) გაბრიელის (გლახას) ძე ჭილაშვილი** (1798-1850) - დიმიტრი ყიფიანის მეუღლის ნინო ჭილაშვილის ბიძა, ე. ნ. კავკასიის ომების მონაწილე; 1839 წელს დანიშნეს თბილისის პოლიცმაისტერად. გარდაცვალებისას იყო ჭარ-ბელაქნის სამხედრო ოლქისა და ლეკეთის საკორდონო ხაზის უფროსი და ჰქონდა გენერალ-მაიორის ჩინი (ბიოგრაფიული ცნობები ბ. ჭილაშვილზე იხ.: აქტები, X, 1885, გვ. XXXIII; მაქს. ბერძნიშვილი, მასალები..., II, გვ. 253-254).

ბ. ჭილაშვილს სამხედრო განათლება ჰქონდა მიღებული პეტერბურგში, სადაც დეკაბრისტებთან (განსაკუთრებით ა. ბესტუჟევ-მარლინსკისთან) ჰქონდა ახლო ნაცნობობა. იცნობდა აგრეთვე ა. პუშკინსა და ა. გრიბოედოვს (ამ საკითხზე იხ.: В. Шадури, Декабристская литература и грузинская общественность, Тб., 1958, გვ. 553-555; Летопись дружбы грузинского и русского народов с древних времен до наших дней, I, Тб., 1967, გვ. 219, 222 , 239, 302; ი. ბალახაშვილი, გრიბოედოვი და ნინო ჭავჭავაძე, თბ., 1966, გვ. 99-100).

პეტერბურგში ყოფნისას ბ. ჭილაშვილი თავის ძმებთან, - იაგორ (გიორგი) და კონსტანტინე ჭილაშვილებთან (ჩილიაევებთან), - ერთად იყო რუსეთის ისტორიაში ცნობილი მისტიკოსისა და მასონის ალექსანდრე ლაბზინის (1766-1825) ლოჟის წევრი (იხ. ვ. შადური, დასახ. წიგნი, გვ. 553).

ბ. ჭილაშვილი გრ. ორბელიანისადმი მიწერილ ერთ-ერთ ბარათში ნახსენები ჰყავს ნ. ბარათაშვილს (თხზულებანი, ა. გაწერელიასა და ი. ლოლაშვილის რედაქციით, თბ., 1972, გვ. 113, 222). ლმში (№25343) დაცულია დიმიტრი ყიფიანის 7 ბარათი (კერძო ხასიათისა) ბორის ჭილაშვილისადმი - მიწერილი 1849-1850 წლებში.

73. **იაგორ (გიორგი) გაბრიელის (გლახას) ძე ჭილაშვილი** (1790-1838) - დიმიტრი ყიფიანის სიმამრი, სამოქალაქო მრჩეველი („სტატსკი სოვეტნიკ"), თვალსაჩინო ფიგურა 1820-1830-იანი წლების საქართველოს პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ცხოვრებაში. იურიდიული განათლება ჰქონდა მიღებული პეტერბურგში, სადაც, სხვათა შორის, 1815 წლიდან წევრი იყო ალ. ლაბზინის მასონური ლოჟისა. 1821 წლიდან ი. ჭილაშვილი საქართველოშია და სხვადასხვა მაღალი თანამდებობები უჭირავს (საქართველოს უზენაესი მთავრობის პროკურორი, თბილისის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიის მმართველი და სხვ.). 1832 წლის შეთქმულების მონაწილეები გამარჯვების შემთხვევაში ი. ჭილაშვილს შინაგან საქმეთა და განათლების მინისტრად უპირებდნენ დანიშვნას (გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, I, თბ., 1935, გვ. 167).

ი. ჭილაშვილი თავისი დროის უგანათლებულეს ადამიანად ითვლებოდა. მისი ნაშრომი ბუნებითი სამართლის შესახებ (Е. Чиляев, Начертание права природного, С.-Пб., 1812) მეტყველებს ავტორის ღრმა იურიდიულ და ფილოსოფიურ განსწავლულობაზე. ი. ჭილაშვილს ფრანგულიდან რუსულ ენაზე თარგმნილი აქვს შ. მონტესკიესა და გ. მაბლის ცალკეული თხზულებები...

ქსე-ში (ტ. 11, 1987, გვ. 399) მითითებულია ლიტერატურა ი. ჭილაშვილზე, რომელსაც უნდა დაემატოს: მაქს. ბერძნიშვილი, მასალები..., II, გვ. 257-259; გ. დედაბრიშვილი, ქართულ-რუსული ფილოსოფიური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1984, გვ. 194-198;

ე. ორჯონიკიძე, რუსული მმართველობის დამყარება საქართველოში, თბ., 1992, გვ. 124-126, 195.

74. **ელისაბედ (ლიზა) იაგორ (გიორგი) ჭილაშვილის ას. ნაზროვა** - დიმიტრი ყიფიანის ცოლისდა (ე. ნაზროვაზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 228-229).

75. **ნინო იაგორ (გიორგი) ჭილაშვილის ას. ყიფიანი** (1827-1902) - დიმიტრი ყიფიანის ცოლი (ნ. ყიფიანზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 226-227).

76. **ივანე ივანეს ძე ნაზროვი** (გარდ. 1859) - დიმიტრი ყიფიანის ქვისლი. წარმოშობით ი. ნაზროვი კოსტრომის გუბერნიიდან იყო; დამთავრებული ჰქონდა (1823 წ.) სმოლენსკის კადეტთა კორპუსი; მონაწილეობდა სამხედრო ოპერაციებში: 1828-1829 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომსა და 1830-1831 წწ. პოლონეთის აჯანყების ჩახშობაში. 1842 წ. იგი ამიერკავკასიის მთავარსამმართველოს საბჭოს წევრია და განაგებს „კავკასიისა და ამიერკავკასიის საფოსტო ნაწილს", 1850 წ. კი ერევნის გუბერნატორის პოსტი უჭირავს (ბიოგრაფიული ცნობები ი. ნაზროვზე იხ. აქტები, ტ. X, 1885, გვ. XXVI-XXVII).

ი. ნაზროვი არაერთი საზოგადოებრივ-კულტურული ორგანიზაციის საქმიანობაში მონაწილეობდა. კერძოდ, იგი წევრი იყო დ. ყიფიანის ინიციატივითა და მეთაურობით დაარსებული „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკისა" (ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №211, ფ.5), „რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებისა" („კ.კ.", 1852, გვ. 607), „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოებისა" (იქვე, გვ. 608).

ივანე ნაზროვი ქოლერამ იმსხვერპლა პეტერბურგში. ამის თაობაზე 1859 წ. 15 მარტს ალექსანდრე ონიკაშვილი (გარდ. 1885) პეტერბურგიდან თბილისში სწერს დიმიტრი ყიფიანს: „[ი. ნაზროვი] გარდაიცვალა 11 ამ თვეს... დავასაფლავეთ ვოლკოვის სასაფლაოშიო" (ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №1556, ფ. 1). ხი-ში, დ. ყიფიანის პირად საარქივო ფონდში (საქ. №№1506-1512, ფ. 10), დაცულია ი. ნაზროვის შვიდი ბარათი დიმიტრისადმი.

77. ნიკ. ყიფიანს მხედველობაში აქვს ჭილაშვილთა საგვარეულო ციხე-დარბაზი მილახვრიანთკარში („დუშეთის კოშკზე" იხ. სმ-დყ, I, გვ. 232).

78. არჩილ ჯორჯაძის ცნობით, ეს „ჯვარის წერა" დუშეთშივე მომხდარა (იხ. ა. ჯორჯაძე, წერილები, თბ., 1989, გვ. 479).

79. **მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვი** (1782-1856) - გენერალ-ფელდმარშალი, 1844-1854 წწ. კავკასიის მეფისნაცვალი („ნამესტნიკი") და კავკასიის ცალკე კორპუსის მთავარსარდალი.

ბრიტანულ დიპლომატიაზე აღზრდილი, ჭკვიანი და შორსმჭვრეტელი მ. ვორონცოვი კავკასიაში ფართო რეფორმისტული

გეგმით ჩამოვიდა და ამ გეგმაში, - როგორც მისი ორგანული ნაწილი, — ქართული კულტურის აღორძინებისთვის ხელის შენყობაც შედიოდა (ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მ. ვორონცოვმა „ყველა ამ გარდაქმნათა განხორციელებისას თავის უახლოეს თანამშრომლად აირჩია დ. ი. ყიფიანი, რომელიც... მაშინდელი ადმინისტრაციული მოღვაწეობის ერთი უმთავრესი ღერძთაგანი იყო“ - ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ.4, თბ., 1964, გვ. 307). ცნობილია ის დიდი ამაგი, რომელიც კავკასიის მეფისნაცვალმა დასდო გიორგი ერისთავის პროფესიული თეატრისა (1850 წ.) და ჟურნალ „ცისკრის“ (1852 წ.) დაარსებას. ამას გარდა, მის სახელთანაა დაკავშირებული არაერთი მეტად მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიების ორგანიზება. კერძოდ, მ. ვორონცოვის ინიციატივით, დავალებითა თუ აქტიური ხელშეწყობით დაარსდა თბილისში საჯარო ბიბლიოთეკა (1846 წ.), „რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილება“ (1850 წ.), კავკასიის მუზეუმი (1852 წ.), ჩატარდა პირველი არქეოლოგიური გათხრები საქართველოში (უფლისციხეში) დიმ. მელვინეთუხუცესიშვილის ხელმძღვანელობით (1852 წ.), გამოიცა ძველი ქართული თხზულებები [ანტონ I-ის „წყობილსიტყვაობა“, იოსებ თბილელის „დიდმოურავიანი“, ტიმოთე ქართლის მთავარეპისკოპოსის (გაბაშვილის) „მოხილუა წმინდათა და სხუათა აღმოსავლეთისა ადგილთა“ და სხვ.], რადიკალურად გაუმჯობესდა სასწავლებლებში ქართული ენისა და სიტყვიერების სწავლების საქმე და ა.შ.; მ. ვორონცოვი ხაზგასმით გამოხატავდა პატივისცემას ქართული ენის, ქართველი ხალხის ისტორიის, კულტურის, ადათ-წესებისა თუ ზნე-ჩვეულებების მიმართ და ა.შ.; ამიტომაცაა, სხვათა შორის, რომ ვორონცოვის „კავკასიური პოლიტიკისადმი“ არც მეფისნაცვლის სიცოცხლეში, არც მისი სიკვდილის შემდეგ რუსეთის პოლიტიკურ წრეებში დამოკიდებულება არ იყო ერთგვაროვანი, ხოლო ცნობილი მიხ. კატკოვი ვორონცოვს მიიჩნევდა არარუსული თვითშეგნების პიროვნებად და კავკასიაში გატარებული კურსის გამო პირდაპირ სდებდა ბრალს რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესების ღალატში [იხ. М.Н. Катков, Собрание передовых статей Московских Ведомостей (1865 г.), М., 1897, გვ. 554].

ერთი სიტყვით, თუ მ. ვორონცოვი, ერთი მხრივ, ყველაფერს აკეთებდა რუსეთთან საქართველოს სრული პოლიტიკური და ეკონომიკური შერწყმისთვის, მეორე მხრივ, - ამ თანამდებობაზე თავის წინამორბედთა თუ მემკვიდრეთაგან განსხვავებით, - მონდომებით იღვწოდა რუსეთის სახელმწიფოებრივ ფარგლებში ქართველი ხალხის ნაციონალურ-კულტურული ინდივიდუალობის შენარჩუნებისა და განვითარებისთვის. ასე რომ, საქართველოში მ. ვორონცოვის მოღვაწეობის შეფასება ვერ იქნება ვერც ერთმნიშვნე-

ლოვნად პოზიტიური და ვერც ერთმნიშვნელოვნად ნეგატიური. ყოველ შემთხვევაში, ეს საკითხი შემდგომ საფუძვლიან, სიღრმისეულ კვლევა-ძიებას საჭიროებს; აქამდე ცნობილი მასალების გათვალისწინებით კი ჩვენ სავსებით მართებულად გვეჩვენება ვორონცოვის პოლიტიკის აკაკი წერეთლისეული შეფასება, რომლის მიხედვითაც კავკასიის მეფისნაცვალი მომავლის საქართველოს უყურებდა როგორც „პოლიტიკურად გარუსებულს, მაგრამ თავის სარწმუნოებით, ენით და ეროვნულ ელფერით" (ა. წერეთელი, ქართული თეატრის დაარსება საქართველოში, თხზ. სრ. კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. XIV, თბ., 1961, გვ. 458).

ლიტერატურა მ. ვორონცოვზე იხ. ბროკჰაუზი-ეფრონი, წგნ. 13, 1892, გვ. 223; ქსე, ტ. 4, 1979, გვ. 457; აგრეთვე: ე. ორჯონიკიძე, რუსული მმართველობის დამყარება საქართველოში, თბ., 1992, გვ. 173-213 და სხვ.

80. **ერასტი სტეფანეს ძე ანდრეევსკი** (1809-1872) - კავკასიის მეფისნაცვლის მიხ. ვორონცოვის პირადი ექიმი. კავკასიიდან ვორონცოვის წასვლის შემდეგ ე. ანდრეევსკი პეტერბურგში მსახურობდა სამედიცინო საბჭოს წევრად, საბოლოოდ კი ოდესაში დამკვიდრდა და იქვე გარდაიცვალა. თანამედროვენი ე. ანდრეევსკის ახასიათებენ, როგორც თავდაუჭერელ და ანგარებიან პიროვნებას, რომელიც, - სარგებლობდა რა მეფისნაცვლის ხმობითა და კეთილგანწყობით, - ყოველგვარ საშუალებას ხმარობდა პირადი კეთილდღეობის მოსახვეჭად (ამ საკითხზე იხ.: ლ. ასათიანი, ცხოვრება აკაკი წერეთლისა, თბ., 1940, გვ. 104-105; მაქს. ბერძნიშვილი, მასალები..., I, გვ. 134; ალ. ორბელიანი, სიტყვა მამულის ტრაპესზედ, შემდგენელი ნ. ვახანია, თბ., 1999, გვ. 70).

ე. ანდრეევსკის ქართველი ცოლი ჰყავდა - პოეტისა და მწიგნობრის გიორგი თუმანიშვილის (1774-1837) ასული ბარბარე (1819-1893), რომელიც კულტურული ინტერესების მქონე მანდილოსანი იყო (მაკრინეს როლი შეასრულა გ. ერისთავის „გაყრის" 1850 წ. 2/14 იანვრის წარმოდგენაში, ხოლო გ. ერისთავისვე „დავის" იმავე წლის 3/15 მაისის დადგმაში ნინოს როლი განასახიერა - იხ. ს. გერსამია, გიორგი ერისთავის თეატრი, თბ., 1950, გვ. 58, 70). ბარბარეს წყალობით, ანდრეევსკების ოჯახი ოდესაში იქ მოხვედრილი ქართველი ახალგაზრდების თავშესაყარი და საიმედო კერა იყო. ამაზე ძალზე თბილად უნერიათ ა. წერეთელსა (ჩემი თავგადასავალი, თხზ. სრ. კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. VII, თბ., 1958, გვ. 79-85) და დავით ერისთავს (Мои воспоминания о семействе Андресевских (1860-1868 гг.), "Тифлисский вестник", 1878, N66-67).

ბარბარე თუმანიშვილი-ანდრეევსკაია თავის ქალიშვილთან — ნინოსთან (1848-1876) — ერთად დაკრძალულია მთაწმინდაზე, მამადავითის ეკლესიაში (იხ.: ქართველ მოღვაწეთა ნეკროპოლი, შე-

ადგინა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ს. ხუციშვილმა, I, თბ., 1961, გვ. 16; მაქს. ბერძნიშვილი, მასალები..., I, გვ. 134-135; ბარბარე თუმანიშვილზე იხ. აგრეთვე: გ. მიქაძე, გიორგი თუმანიშვილი, წიგნში: ძველი ქართული მწერლობის საკითხები, I, თბ., 1962, გვ. 36-37). სხვათა შორის, ქართველი ცოლი (გარსევანიშვილი) ჰყავდა ერასტი ანდრეევსკის ძმასაც - არკადი ანდრეევსკის, რომელთა შვილები (მიხეილი, სერგეი, პავლე, ნიკოლოზი) ეწეოდნენ მეტად მრავალმხრივ და ნაყოფიერ სამეცნიერო და ლიტერატურულ საქმიანობას (ბროკჰაუზი-ეფრონი, წგნ. 2, 1890, გვ. 757).

81. „ცისკარი" - ყოველთვიური ლიტერატურული ჟურნალი (1852-1853 წწ. - რედაქტორ-გამომცემელი გ. ერისთავი; 1857-1875 წწ. - რედაქტორ-გამომცემელი ი. კერესელიძე).

დიმიტრი ყიფიანზე, როგორც „ცისკრის" ერთ-ერთ დამაარსებელსა და თანამშრომელზე, იხ.: სმ-დყ, I, გვ. 326; ვრცლად—წიგნში: ჯოლოგ., დიმ. ყიფ., გვ. 105-123.

82. ავტორს მხედველობაში აქვს გ. ერისთავის „გაყრის" 1850 წლის 2/14 იანვრის ისტორიული დადგმა თბილისის გიმნაზიის დარბაზში. აქ დიმიტრი ყიფიანმა ივანეს როლი განასახიერა (ს. გერსამია, გიორგი ერისთავის თეატრი, თბ., 1950, გვ. 58).

83. სინამდვილეში ანდუყაფარის როლი შეასრულა **ალექსანდრე ორბელიანმა** (იხ. ს. გერსამია, გიორგი ერისთავის თეატრი, 1950, გვ. 58); უნდა ვიფიქროთ, **ალექსანდრე დავითის ძემ**, რამდენადაც ალექსანდრე („პუპლია") ვახტანგის ძე ორბელიანი ამ დროისთვის საერთოდ გარიდებული იყო საზოგადოებრივ-კულტურულ ასპარეზს და, რაც მთავარია, ამრეზით უყურებდა მიხ. ვორონცოვის ხელშეწყობით განხორციელებულ კულტურულ წამოწყებებსა და, მათ შორის, ქართული თეატრის დაარსებასაც (იხ. ალ. ორბელიანი, სიტყვა მამულის ტრაპესზედ, შემდგენელი ნ. ვახანია, თბ., 1999, გვ. 55).

რაც შეეხება ტექსტში ნახსენებ **კონა ერისთავს**, იგი იყო მეტად კოლორიტული პიროვნება და ძმა ჩვენი ცნობილი მოღვაწის - მანანა ორბელიანისა (კონა ერისთავზე იხ. შ. ამირეჯიბი, [თხზულებები], შემდგენელი ლ. ცომაია, წგნ. II, თბ., 1998, გვ. 102-103).

84. **მიხეილ (მიშელ) იაგორის (გიორგის) ძე ჭილაშვილი** (1816-1870/1887 წლებს შორის) - დიმიტრი ყიფიანის ცოლისძმა, საიდუმლო მრჩეველი („ტაინი სოვეტნიკ") [მ. ჭილაშვილზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 237-238; აქ თავმოყრილ ცნობებს კიდევ რამდენიმე უნდა დაემატოს: 1846 წელს მ. ჭილაშვილს წიგნები შეუწირავს თბილისის ახალდაარსებული საჯარო ბიბლიოთეკისათვის („Кавказ", 1846, N45), ხოლო 1867 წელს მას სათავადაზნაურო-საადგილმამულო

ბანკის დამფუძნებელი კომიტეტის წევრად ირჩევენ („დრ.", 1867, №20)].

გ. ერისთავის „გაყრის" 1850 წ. 2/14 იანვრის წარმოდგენაში მ. ჭილაშვილმა შეასრულა არა პავლეს, როგორც ნიკ. ყიფიანი ვარაუდობს, არამედ გაბრიელის როლი (იხ. ს. გერსამია, გიორგი ერისთავის თეატრი, თბ., 1950, გვ. 58).

85. „გაყრის" 1850 წლის 2/14 იანვრის დადგმაში პავლეს ცოლის (მაკრინეს) როლი შეასრულა არა **მანანა ორბელიანმა**, არამედ **ბ. ანდრეევსკაიამ** (ს. გერსამია, გიორგი ერისთავის თეატრი, 1850, გვ. 58) - ერასტ ანდრეევსკის (იხ. კომენტარი №80) ცოლმა.

86. აფიშის მიხედვით, ივანეს საცოლის (შუშანას) როლი შეასრულა არა **ნინო ყიფიანმა**, არამედ **ან. ორბელიანისამ** (ს. გერსამია, გიორგი ერისთავის თეატრი, 1950, გვ. 58). პიესა ამის შემდეგაც არაერთხელ დადგმულა. უნდა ვიფიქროთ, ნინო ყიფიანს „გაყრის" სხვა წარმოდგენისას აქვს შუშანას როლი შესრულებული, ხოლო ნიკ. ყიფიანს - მოვლენები ერთმანეთში არეული.

87. „გაყრის" 1850 წ. 2/14 იანვრის წარმოდგენაში გაბრიელის როლი შეასრულა არა **შანშიევმა**, არამედ **მიხეილ ჭილაშვილმა** (იხ.კომენტარი №84), შანშიევმა კი რამაზის („სეკრეტარი სუდისა") როლი განასახიერა (ს. გერსამია, გიორგი ერისთავის თეატრი, 1950, გვ. 58).

გრიგოლ იოსების ძე შანშიევი (შანშიაშვილი) (გარდ. 1894 - იხ. „ივ.", 1894, №50) - ჰქონდა მნიგნობრული ინტერესები. 1880-იან წწ. მსახურობდა კავკასიის საცენზურო კომიტეტში; შედგენილი და გამოცემული აქვს ქართული წიგნის ქრონოლოგიური კატალოგი (Хронологический указатель книг и брошюр, вышедших на грузинском языке с 1629 по 1883 г., Составитель Г. Шаншиев, Тфл., 1883).

88. ნიკ. ყიფიანის მიერ მოთხრობილი ამბავი შეემთხვა არა **„კნიაზ ობოლენსკის"**, არამედ ინფანტერიის გენერალს, მეტად თვალსაჩინო ფიგურას ე.წ. კავკასიის ომებში, ბარონ **ალექსანდრე ვრანგელს** (1804-1880) (ამ საკითხზე იხ. კომენტარი №90).

89. **ელისაბედ ქსაველრის ას. ვორონცოვა** - მეფისნაცვალ მიხ. ვორონცოვის მეუღლე, ახალგაზრდობაში - ალ. პუშკინის ტრფობის საგანი; რუსეთის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში თვალსაჩინო ფიგურის, პოლონური წარმოშობის გენერლის ქსაველრი პეტრეს ძე ბრანიცკის (გარდ. 1819) ასული (ელისაბედ ბრანიცკაიამ და მიხ. ვორონცოვმა ჯვარი დაიწერეს 1819 წ. 20 აპრილს - იხ. М Щербинин, Биография генерал-фельдмаршала Князя Михаила Семеновича Воронцова, С.-Пб., 1858, გვ. 164).

კავკასიაში ყოფნისას (1845-1854) ე. ვორონცოვა ეწეოდა ნაყოფიერ საგანმანათლებლო და საქველმოქმედო საქმიანობას - ხელმძღვანელობდა „წმ. ნინოს სახელობის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოებას" (იხ. შესაბამისი წლების „კ.კ."). „საზოგადოების" მთავარი მიზანი იყო საქართველოში (საერთოდ, კავკასიაში) ქალთა განათლებისთვის ხელის შეწყობა, ამ საქმის კოორდინაცია და სპეციალურად ქალებისთვის განკუთვნილი სასწავლებლების დაარსება (იხ.: გ. თავზიშვილი, რჩ. ნაწერები, I, თბ., 1974, გვ. 266-268; მ. გოცაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, I, თბ., 1954, გვ. 321). აღნიშნული „საზოგადოების" ინიციატივით 1846 წ. თბილისში დაარსდა წმ. ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელი (და არა „ინსტიტუტი", როგორც ნიკ. ყიფიანი აღნიშნავს. ქალთა ინსტიტუტი თბილისში ე. ვორონცოვას ჩამოსვლამდე გაიხსნა, კერძოდ, 1840 წელს, თუმცა პრაქტიკულად სწავლება იქ 1842 წელს დაიწყო - იხ. გ. თავზიშვილი, დასახ. წიგნი, I, გვ. 265). უნდა ითქვას, რომ ზ. ჭიჭინაძის ცნობით, წმ. ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლის დაარსებისთვის დიმიტრი ყიფიანს „დიდათ უშრომია", წესდებაც თვითონ შეუდგენია და სასწავლებლის საზეიმო გახსნაზე სიტყვაც წარმოუთქვამს (ზ. ჭიჭინაძე, დიმიტრი ყიფიანი, ტფ., 1892, გვ. 24).

ელისაბედ ვორონცოვას თბილისში ჰქონდა სალონი, სადაც ყოველ ორშაბათს თბილისის რჩეული საზოგადოება იკრიბებოდა (ამ სალონზე იხ. ი. ბალახაშვილი, ლიტერატურული წრეები და სალონები საქართველოში, თბ., 1940, გვ. 191-198). დაქვრივებული ე. ვორონცოვას ოჯახში სტუმრობას (ოდესაში) ძალზე თბილად იგონებს ა. წერეთელი (ჩემი თავგადასავალი, თხზ. სრ. კრებული თხუთმეტ ტომად, VII, თბ., 1958, გვ. 78-80).

ელისაბედ ვორონცოვა ნათლია იყო კოტე ყიფიანისა (იხ. კ. ყიფიანი, მოგონებები. წერილები, თბ., 1964, გვ. 12).

90. ერთ თავის უსათაურო და ავტორის სიცოცხლეში გამოუქვეყნებელ პუბლიცისტურ წერილში დიმიტრი ყიფიანი ასე მოგვითხრობს ამ შემთხვევას (წერილი რუსულ ენაზეა): „მეფისნაცვალ ვორონცოვს ბარონმა ვრანგელმა (გენერალმა)... სთხოვა, გაეთავისუფლებინათ ამ უკანასკნელის ქალიშვილები ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტში ქართული ენის სწავლებისაგან. მე შემთხვევით შევესწარი ამ ამბავს და აი, რა უპასუხა თავადმა ვორონცოვმა: ძვირფასო ბარონ! თუ ფიქრობთ, რომ თქვენს ქალიშვილებს ცხოვრება აქ კი არ მოუნევთ, არამედ შიდა რუსეთში, არავინ დაგიშლით, მიაბაროთ ისინი პოლტავის, კიევის ან სხვა რომელიმე ინსტიტუშიო" (შ. ჩხეტია, მასალები დიმიტრი ყიფიანის მკვლელობაზე, „საისტორიო მოამბე", №3, 1947, გვ. 369).

91. იგულისხმება დიმიტრი ყიფიანის „Нина – Просветительница Грузии", თუმცა ნიკ. ყიფიანის ცნობა დაზუსტებას საჭირო-

ებს. საქმე ისაა, რომ წმ. ნინოს სახელობის სასწავლებელი, როგორც ზემოთ აღინიშნა (კომენტარი №89), 1846 წელს გაიხსნა, დიმიტრის თხზულება კი მოგვიანებით დაინერა და იგი პირველად გაზ. „Закавказский вестник"-ში გამოქვეყნდა (1849, №№12-18). იმავე წელს თხზულება მართლაც გამოცემულა ბროშურად (იხ. თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორის გ. ტოკარევის მიერ შედგენილი სია ბიბლიოთეკაში შემოსული წიგნებისა - ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №226, ფ.1), მაგრამ ვერც ერთ ეგზემპლარს ამ უკანასკნელი გამოცემისას ჩვენ ვერ მივაკვლიეთ. ამასთანავე, დ. ყიფიანის მიერ წმ. ნინოს ცხოვრების ქართულად დაწერის დამადასტურებელი სხვა წყაროც ვერ მოვიპოვეთ.

92. **მალაქია გურიელი** -?

93. **დიმიტრი ქაიხოსროს ძე გურიელი** - გიორგი V გურიელის შვილიშვილი, ძე თურქეთში გადახვეწილი და იქ 1829 წ. გარდაცვლილი ქაიხოსრო გურიელისა (დიმ. გურიელის წინაპრებზე იხ. მაქს. ბერძნიშვილი, მასალები..., I, გვ. 200-201). და დიმიტრი გურიელისა - პელაგია (იხ. კომენტარი №101) - ცოლი იყო ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის მარშლის ნესტორ ნერეთლისა (ნ. ნერეთელზე იხ. კომენტარი №100).

ხი-ში (დ. ყიფიანის არქ., საქ. №№1103-1109, ფ.15) დაცულია დიმიტრი გურიელის კერძო ხასიათის ბარათები დიმიტრი ყიფიანისადმი, რომელთაგან რამდენიმე პარიზიდანაა გამოგზავნილი და ამათგან ერთ-ერთში, - 1861 წლის 27 თებერვლით დათარიღებულ ბარათში, - დ. გურიელი სწერს დ. ყიფიანს: „მე მშვიდობით ვარ, კარგათაც ვატარებ დროს და დიდი პატივი მაქვს აქა საზოგადოებისაგან, რომ მეტი აღარ შეიძლებაო", აქედან ლონდონში ვაპირებ წასვლას, თუმცა „სასახლეში" გამართულ ერთ-ერთ კონცერტზე საფრანგეთის „იმპერატრიცა" ამ თემაზე მესაუბრა და მირჩია, „ეხლა იქ (ლონდონში - თ.ჯ.) წასვლა არ ვარგა. იქ წასვლა და კარგი სამყოფი არის ივლისი და, ვგონებ, მაშვინ სჯობდეს თქვენი წასვლაო" (ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №№1107, ფ.1-2).

ხი-შივეა დაცული (დ. ყიფიანის არქ., საქ. №№1101,1102) დიმიტრი გურიელის კიდევ ერთი დის - დესპინეს — ორი ბარათი დიმიტრი ყიფიანისადმი, აგრეთვე კერძო ხასიათისა.

94. **დავით დადიანი** (1813-1853) - სამეგრელოს მთავარი 1846-1853 წწ., გენერალ-მაიორი, ბიბლიოფილი (ლიტერატურა დავით დადიანზე იხ. ქსე, ტ. 3, თბ., 1978, გვ. 339).

დავით დადიანს ხელნაწერ და ნაბეჭდ წიგნთა უძვირფასესი ბიბლიოთეკა ჰქონდა, რომელიც მემკვიდრეობით ერგო ნიკო დადიან-მინგრელსკის (1847-1903) და ამ უკანასკნელმა „ქშწ-კგ საზოგადოებას" შესწირა (ამ საკითხზე იხ.: ნ. გურგენიძე, ძველი წიგნსა-

ცავები საქართველოში, თბ., 1969, გვ. 116-122; გ. მიქაძე, დავით დადიანის ბიბლიოთეკა, „მნიგნობარი", 1980, გვ. 75-87).

95. **ნიკოლოზ (ნიკო) გიორგის ძე დადიანი** (დაახლ. 1780-1834) - ისტორიკოსი, მწერალი, დიპლომატი, მსაჯული, თანამედროვეთა და შთამომავალთაგან „დიდ ნიკოდ" წოდებული. 1804 წლიდან - სამეგრელოს უმაღლესი საგამგებლო საბჭოს წევრი. 1805 წ. ხელმძღვანელობდა დეპუტაციას, რომელიც პეტერბურგში იმპერატორ ალექსანდრე I-თან იმყოფებოდა რუსეთ-სამეგრელოს პოლიტიკურ ურთიერთობათა მოსაგვარებლად. საერთოდ, გ. დადიანი პოლიტიკურ ასპარეზზე ენერგიულად იღვწოდა დასავლეთ საქართველოში ოსმალეთის გავლენის შესუსტებისა და რუსული ორიენტაციის გაძლიერებისთვის; არაერთი ომის მონაწილე, რისთვისაც გენერალ-მაიორობა ებოძა (განსაკუთრებით ისახელა თავი 1828-1829 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომში); წლების მანძილზე - სამეგრელოს სამთავროს მსაჯულთუხუცესი (მდივანბეგთუხუცესი).

ნიკო დადიანი ავტორია არაერთი საისტორიო თხზულებისა, რომელთაგან განსაკუთრებით საინტერესოა „ქართველთ ცხოვრება" - საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIX ს. 20-იან წლებამდე. ს. ჯანაშიას თქმით: „ქართული ისტორიოგრაფიისათვის ნიკო დადიანი უკვე იმითაც არის ძვირფასი, რომ ის ერთადერთია ძველ ქართველ ისტორიკოსთა შორის, რომელიც წარმოშობით დასავლეთ საქართველოს ეკუთვნის და რომლის სახელსაც ჩვენ ვიცნობთ. შემდეგ, ავტორის წარმოშობისა და პოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, განსაკუთრებით საგულისხმო ხდება თხზულების ძირითადი კონცეფცია, რომლის მიხედვით ქართული ისტორიის პროცესი მთლიანობაშია წარმოდგენილი... ავტორი, როგორც „შვილი მამულისა", არის „ქართველთ ისტორიის", და არა განთვითებული პროვინციული თავგადასავლის, მწერალი" (ს. ჯანაშია, შრომები, VI, თბ., 1988, გვ. 39).

დაკრძალულია მარტვილის ტაძარში (ლიტერატურა ნ. დადიანზე იხ. ქსე, ტ.3, 1978, გვ. 330; აგრეთვე: სოლ. ცაიშვილი, ნიკოლოზ დადიანი, „ლიტერატურა და ხელოვნება", 1944, №38; ალ. ფოცხიშვილი, ქართული გრამატიკული აზროვნების ისტორიიდან, თბ., 1979, გვ. 363-364).

96. **გიორგი ნიკოს ძე დადიანი** - აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ (ჰამუთ-ბეგ) შარვაშიძის სიმამრი. შემორჩენილია გიორგი დადიანის დიმიტრი ყიფიანისეული დახასიათება: „მას საუცხოო, კეთილშობილი და ჭკვიანი გარეგნობა აქვს; ქართულს ლაპარაკობს მჭევრმეტყველურად და ძველებური დახვეწილი ზრდილობის პატრონია" (ს. ჯანაშია, შრომები, VI, თბ., 1988, გვ. 42).

ხი-ში (დ. ყიფიანის არქ., საქ. №№1115-1119, ფ.6) დაცულია გიორგი დადიანის ხუთი ბარათი დიმიტრი ყიფიანისადმი - მიწერი-

ლი 1860-იან წწ., აგრეთვე, დიმიტრის ერთი ბარათი გ. დადიანისადმი (იქვე, საქ. №703, ფ.2), რომელიც ეხება სამეგრელოს სამთავროს საქმეებს.

97. **პეტრე ნიკოს ძე დადიანი** - „დიდი ნიკოს" (იხ. კომენტარი №95) შვილი, რომელსაც ს. მესხი ასე ახასიათებდა: „ძველი, დარბაისელი ქართველია... იმის ქართულის ლაპარაკის ყურება სასიამოვნოა, ყოველს სიტყვაზე იგავი ან არაკი მზათა აქვს. ხანდისხან ძალიან მოსწრებული სიტყვა იცის... მე მიყვარს ამის ქართული. ასე ცოტაა ახლა ჩვენში კარგი მოქართულე" (მეკენჭე [ს. მესხი], ქუთაისის საზოგადო კრება, „დრ.", 1876, №51).

პეტრე დადიანის სიდარბაისლესა და იმპოზანტურ იერზე უწერია კ. ბოროზდინსაც, რომელიც იქვე იუმორის კილოთი მოგვითხრობს, თუ რა გადაულახავ სიძნელეებს აწყდებოდნენ თარჯიმნები პეტრეს მჭევრმეტყველური მიდრეკილებების გამო (კ. ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი. მოგონებანი, თბ., 1934, გვ. 244-247).

98. **ბესარიონ ნიკოს ძე დადიანი** - „დიდი ნიკოს" შვილი. ბესარიონსა და მის ძმებზე (გიორგიზე, პეტრეზე) ს. ჯანაშია წერს: ისინი „მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ სამეგრელოს საზოგადოებრივსა და კულტურულ ცხოვრებაშიო" (ს. ჯანაშია, შრომები, VI, თბ., 1988, გვ. 42).

99. ხი-ში (დ. ყიფიანის არქ., საქ. №135, ფ.2) დაცულია დიმიტრი ყიფიანის მოხსენებითი ბარათი ამიერკავკასიის სამოქალაქო სამმართველოს უფროსის პეტრე ლადინსკისადმი (შედგენილია 1847 წლის 20 მაისს), რომლის მიხედვითაც რაჭველ ყიფიანთაგან იმ დროისთვის ორი ყოფილა თავადი: ოტია და ლევანი (ამათ ჰყოლიათ აზნაურები, მათ შორის ყიფიანების გვარისაც). საჭიროაო, - ამტკიცებს მოხსენებითი ბარათის ავტორი, - მათი ნოდებრივი უფლებების აღდგენა, და იქვე დასძენს: „მე თვითონ აზნაური ვარ და თავს არასოდეს მივცემ იმის უფლებას, მივითვისო ნოდება, რომელიც არა ჰქონიათ ჩემს მამა-პაპათ და არც მე თვითონ დამიმსახურებიაო" (იქვე, ფ. 2).

100. **ნესტორ დიმიტრის ძე წერეთელი** (გარდ. 1883) - ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი („მარშალი") 1861-1867 და 1877-1883 წწ.; გენერალ-მაიორი და იმპერატორის ფლიგელ-ადიუტანტი, ე.წ. კავკასიის ომების მონაწილე (ნესტორ წერეთელი „ძალიან მომეწონა და არის ჩემთან განუყრელადო" - სწერს დაღესტნის ერთ-ერთი აულიდან - ქუთაიშიდან - 1852 წლის ივნისში გრ. ორბელიანი ვასილ ბებუთაშვილს. იხ. გრ. ორბელიანი, წერილები, II, თბ., 1937, გვ. 42), „ქშწ-კგ საზოგადოების" დამფუძნებელი წევრი.

ნესტორ წერეთელი უაღრესი კონსერვატიზმით გამოირჩეოდა, რის გამოც გამწვავებული ურთიერთობა ჰქონდა „ახალთაობის"

წარმომადგენლებთან (ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, გ. ღოღობერიძე... ამ საკითხზე იხ. ა. წერეთელი, თხზ. სრ. კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. I, თბ., 1950, გვ. 154, 438-441; ქართული პოეზია თხუთმეტ ტომად, ტ. 11, თბ., 1980, გვ. 544-545).

1883 წლის 16 ნოემბერს „დროება" (№230) იუწყებოდა: „ამ დღეებში უეცრად გარდაიცვალა დაბა საჩხერეს ქუთაისის გუბერნიის მარშალი თ. ნესტორ წერეთელი". ხი-ში დაცულია ალექსანდრე ეპისკოპოსის (ოქროპირიძის) სიტყვა - წარმოთქმული ნესტორ წერეთლის დაკრძალვაზე (ალექსანდრე ეპისკოპოსის არქ., საქ. №109, ფ.2).

დიმიტრი ყიფიანსა და ნესტორ წერეთელს ხანგრძლივი ურთიერთობა ჰქონდათ (იხ. ნ. წერეთლის ბარათები დიმიტრისადმი. ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №№1746-1759, ფ.24; აგრეთვე, ლმ №15105, ფ.2 - დათარიღებული 1858-1882 წლებით), თუმცა ეს ურთიერთობა ყოველთვის ულრუბლო არ ყოფილა. კერძოდ, 1861 წლის ოქტომბერში დიმიტრი სწერს ნ. წერეთელს: „ორჯერ ვიყავ თქვენს სახლში ამ უკანასკნელს დროს და ვერც ერთხელ ვერ განახი. სხვათა შორის, ჩემი პორტრეტი (ფოტოსურათი იგულისხმება - თ.ჯ.), რადგან თქუენს სახლში ადგილი აღარ ჰქონია, გთხოვთ, ურთიერთარსობის ვალით... მე გამომიგზავნოთ, რათამცა თქუენი ჩემგან მიიღოთო" (ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №737, ფ.1).

ნესტორ წერეთელზე იხ. აგრეთვე: დ. კლდიაშვილი, ჩემი ცხოვრების გზაზე, წიგნში: მოთხრობები და პიესები, თბ., 1947, გვ. 713-714; მაქს. ბერძნიშვილი, მასალები..., II, გვ. 241.

101. **პელაგია ქაიხოსრო გურიელის ას. წერეთელი** (გარდ. 1883) - ნესტორ წერეთლის (იხ. წინა კომენტარი) მეუღლე, გიორგი V გურიელის შვილიშვილი; 1842 წელს ებოძა ფრეილინობა (იხ. მაქს. ბერძნიშვილი, მასალები..., I, გვ. 201).

პელაგია წერეთელი მწიგნობრული ინტერესების მქონე მანდილოსანი იყო. მას მზითევში მოჰყვა სოლომონ I-ის ნაქონი XVIII ს. ილუსტრირებული ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანი", რომელსაც დიდად საინტერესო ისტორია აქვს და ამჟამად ხი-შია დაცული (S-5006; ამ ხელნაწერის გარშემო იხ.: გ. შარაძე, არქეოგრაფიული ძიებანი, თბ., 1973, გვ. 41-86; ს. ცაიშვილი, წერილები და გამოკვლევები. ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები და პოემის ტექსტის ისტორია, I, თბ., 1984, გვ. 354-355, 374-375; ზ. ჭუმბურიძე, ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ, თბ., 1983, გვ. 269-278 და სხვ.; დიმიტრი ყიფიანის დამოკიდებულებაზე წერეთლისეულ „ვეფხისტყაოსანთან" იხ. სმ-დყ, I, გვ. 272).

პელაგია წერეთელს ლექსები უძღვნეს გრ. ორბელიანმა („მის ბრწყინვალებას, კნეინა პელაგია წერეთლისას" - იხ. ლ. ასათიანი, უბის წიგნაკიდან, „მნათობი", 1960, №6, გვ. 100) და კ.გ. დადიანმა

(იხ. ა.წერეთელი, თხზ. სრ. კრებული თხუთმეტ ტომად, ტ.I, თბ., 1950, გვ. 403). არსებობს ვარაუდი (ლ. ასათიანი, გ. აბზიანიძე), რომ აკაკის ლექსის, - „პ.ნ[სას]", - ადრესატიც პელაგია წერეთელია (იქვე).

1883 წლის 24 დეკემბერს „დროება" (№261) იუწყებოდა: „ქუთაისიდამ გვატყობინებენ, რომ ახალ-გარდაცვალებულის თავ. ნესტორ წერეთლის მეუღლეს, კნ. პელაგიას თავის ქმრის შემდეგ დიდ-ხანს ველარ უცოცხლია და წარსულ ორშაბათს საღამოს იგიც გარდაცვალებულა". პ. წერეთლის დაკრძალვაზე ალექსანდრე ეპისკოპოსის (ოქროპირიძის) მიერ წარმოთქმული სიტყვა იხ. ხი, ალექსანდრე ეპისკოპოსის არქ., საქ. №111, ფ. 2; იქვე (წერეთლების ფონდი) დაცულია მრავალფეროვანი და საინტერესო მასალა პელაგია და ნესტორ წერეთლებზე.

102. ხი-ში (დ. ყიფიანის არქ., საქ. №75, ფ.1) დაცულ ერთ ჩანაწერში დიმიტრი ყიფიანს ჩამოთვლილი ჰყავს მის მიერ 1862-1863 წწ. სამეგრელოში მონათლული ბავშვები (ბარკალაია, დგებუაძე, ხვიტია, ჯიქია და სხვ.).

103. **„О том, о сем и между прочим о сословиях Закавказских"** - სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ნაშრომი, რომელიც მსუბუქი, ადვილად საკითხავი და მიმზიდველი ბელეტრისტული მანერითაა შესრულებული და წარმოადგენს ქართველი ხალხის ისტორიის, კულტურის, ადათ-წესებისა თუ ზნე-ჩვეულებების ფრაგმენტულ მიმოხილვას უძველესი დროიდან 1850-იან წლებამდე. ავტორმა იგი თავდაპირველად გაზ. „Кавказ"-ში გამოაქვეყნა (1853, №№79, 81, 83, 84) და იმავე წელს ცალკე წიგნაკადაც გამოსცა. ნიკ. ყიფიანის ცნობა, თითქოს თავისი საისტორიო ნაშრომები დიმიტრი ყიფიანს მიხ. ვორონცოვის თხოვნით დაეწეროს, სხვა წყაროებით არ დასტურდება.

104. **„Несколько мыслей о материалах для истории Грузии"** - დიმიტრი ყიფიანის საისტორიო ნაშრომი, რომელშიც მეტ-ნაკლები საფუძვლიანობით მიმოხილულია საქართველოს ისტორიის არაერთი საკვანძო პრობლემა (კერძოდ, ავტორი მსჯელობს ქართველთა ეთნოგენეზისის, ქართული ენის, სახელმწიფოებრიობის, რელიგიის, ისტორიული გეოგრაფიის, დამწერლობის, ლიტერატურის, განათლებისა და სხვ. საკითხებზე). დ. ყიფიანმა ეს თხზულება თავდაპირველად გაზ. „Кавказ"-ში გამოაქვეყნა (1854, №№30-33, 35, 37, 39) და იმავე წელს წიგნაკად გამოსცა. „Несколько мыслей..." ჩვენი წარსულის კომპლექსური შესწავლის მნიშვნელოვანი ცდა და სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი იყო XIX ს. ქართული ისტორიოგრაფიის ჩამოყალიბება-განვითარების გზაზე. ამასთანავე, ამ ნაშრომით დ. ყიფიანმა შესამჩნევი წვლილი შეიტანა საქართველოს ისტორიის, ქართული კულტურის პოპულარიზაციაში საკუთრივ

საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთაც („Кавказ"-ს მკითხველები რუსეთშიც ჰყავდა). ამით დ. ყიფიანი, არსებითად, დაუპირისპირდა ოფიციალურ სახელმწიფოებრივ იდეოლოგიასა და ამ იდეოლოგიით ნაკვებ მეცნიერება-პუბლიცისტიკას, რომელიც ქართველებს წარმოადგენდა გაუნათლებელ და უკულტურო, უფერული წარსულისა და მომავლის პერსპექტივას მოკლებულ ხალხად.

105. დიმიტრი ყიფიანი თბილისის გიმნაზიის საპატიო მზრუნველი იყო 1851-1864 წლებში (იხ. დ. ყიფიანი, მემუარები, 1990, გვ. 96). თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ გიმნაზია, რომლის საპატიო მზრუნველიც დ. ყიფიანი იყო, მიხ. ვორონცოვის დროს კი არ დაარსებულა, როგორც ნიკ. ყიფიანი აღნიშნავს, არამედ კეთილშობილთა სასწავლებლის ბაზაზე შეიქმნა 1830 წელს.

106. **ანასტასია (ტასო) მიხეილ ერისთავის ას. ყიფიანი** (1858-1920) - ნიკოლოზ ყიფიანის ცოლი. ხი-ში (ნ. და ბ. ყიფიანების არქ., საქ.№663) დაცულია ანასტასია ყიფიანის პასპორტი, გაცემული 1908 წელს და ამ დროს პასპორტის მფლობელი 50 წლისაა. ე.ი. დაბადებულა იგი 1858 წელს.

ნიკ. ყიფიანმა და ანასტასია ერისთავმა 1875 წელს იქორწინეს, შეეძინათ სამი ქალიშვილი: ელისაბედი(ვეტა), ნინო (ნუცა) და ბარბარე (ვარო), მაგრამ მოუწყობელმა ცხოვრებამ, განუწყვეტლივ ვალებში ყოფნამ და სხვა უსიამოვნებებმა ცოლ-ქმრის გზები გაყარა - ანასტასიამ დატოვა ოჯახი და გაჰყვა ვინმე ლაზარევს (ოფიცერს). ამის მიუხედავად, ნიკ. ყიფიანს სიცოცხლის ბოლომდე ღრმა სიყვარულით უყვარდა ყოფილი ცოლი. 1885 წელს ნიკოლოზი ბათუმიდან სწერს თავის ერთ-ერთ ქალიშვილს - ვეტას: „დედას უთხარი, ნულარ ჯავრობ მამაზედ-თქო, მამას ძალიან უყვარხართქო, როგორც ღმერთი უყვარს ქრისტიან კაცს, ისრე-თქო, მაგრამ რა ქნას, რომ არაფერში ბედი არ აქვს-თქო, ჩვენ ხომ ოთხი ბავშვი ვართ ახლა-თქო: ვეტა, ვარო, ნუცა და პატარა ანდრო-თქო (ვაჟიშვილი, რომელიც ანასტასიას ლაზარევისგან შეეძინა და ყიფიანის გვარს ატარებდა - თ.ჯ.)... ეს წერილი რომ მოგივა, შენი ამბავი და დედის ამბავი და პატარა ბავშვის ამბავი მომწერეთ დეპეშით" (ლმ, №15158-ხ, ფ.2). ხოლო 1893 წელს ნიკ. ყიფიანი უკვე საზღვარგარეთიდან იმავე ვეტას სწერს (რუსულ ენაზე): „დედაშენი უდავოდ ნათელი პიროვნებაა და ღირსია მხურვალე სიყვარულისა, ღრმა პატივისცემისა. იგი ტანჯული, წამებული ადამიანია. მე ჩემი ცხოვრების მანძილზე არ შეეხვედრივარ სხვა ასეთ პიროვნებას, რომელიც ღირსია მშვიდი, ბედნიერი და უზრუნველი ცხოვრებისა და ამის ნაცვლად ასე მედგრად იტანს ამდენ გაჭირვებასა და ვაებას" (იქვე, №15165-ხ, ფ. 7).

ანასტასია ერისთავი გარდაიცვალა თბილისში, 1920 წლის ივლისში, ნაქირავებ ბინაში (ხი, ნ. და ბ. ყიფიანების არქ., საქ.№667,

ფ.1), ხოლო იმავე წლის ოქტომბერში თბილისის მილიციის ერთ-ერთი უბნის კომისარი რევიშვილი ოფიციალურად მიმართავს მომრიგებელ მოსამართლეს ა. ლიგინზევიჩს: „ელისაბედის ქუჩაზედ, სახლში №167, გარდაიცვალა ქალი მარტომყოფი ანასტასია ყიფიანისა - უპატრონო... ოთახი ჩემს მიერ დაბეჭდილიაო" (იქვე, საქ. №668, ფ.1).

107. **„კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადეობა"** (1850-1918) - მეფისნაცვალ მიხ. ვორონცოვის ინიციატივით დაარსებული საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავდა სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების აღორძინება-განვითარებას, ახალი მანქანა-იარაღების შემოტანასა და დანერგვას, სარწყავი სისტემის სრულყოფას, უცხო ქვეყნების გამოცდილების დანერგვასა და ამ მიზნით საზღვარგარეთიდან სპეციალისტების მოწვევას, საოჯახო მრეწველობისა და ხელოსნობის წახალისებას და ა.შ.; საერთოდ კავკასიასა და კერძოდ საქართველოში სოფლის მეურნეობის ევროპეიზაციას.

დიმიტრი ყიფიანი სხვადასხვა წლებში იყო „საზოგადოების" მმართველი საბჭოს წევრი, ვიცე-პრეზიდენტი, ასრულებდა პრეზიდენტის მოვალეობას (ამ საკითხზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 287-288; უფრო ვრცლად — წიგნში: ჯოლოგ., დიმ. ყიფ., გვ. 217-218).

108. **ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაი** (1821-1899) - შვედური წარმოშობის რუსი სახელმწიფო მოღვაწე, ბარონი, სენატორი და სტატს-სეკრეტარი. სხვადასხვა წლებში იყო მეფისნაცვალ მიხ. ვორონცოვის სალაშქრო კანცელარიის დირექტორი, კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრი და სასწავლო ოლქის მზრუნველი, კიევის სასწავლო ოლქის მზრუნველი, კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს უფროსი, რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი, განათლების მინისტრი, სახელმწიფო საბჭოს კანონთა დეპარტამენტის თავმჯდომარე (ამ უკანასკნელ თანამდებობაზე შეწყვიტა კარიერა 1894 წელს. ბიოგრაფიული ცნობები ალ. ნიკოლაიზე იხ. აქტები..., X, 1885, გვ. XXVII; ბროკჰაუზი-ეფრონი, წგნ. 41, 1897, გვ. 113; ქსე, ტ. 7, 1984, გვ. 430; Г. Туманов, Характеристики и воспоминания, III, Тфл., 1907, გვ. 94-99). სიცოცხლის ბოლო წლები ალ. ნიკოლაიმ თბილისსა და ბეთანიაში (სადაც მამული ჰქონდა) გაატარა. გარდაიცვალა ბეთანიაში, „10 ივლისს, საღამოთი, გამოასვენეს [თბილისის] ლიუტერანთა კირკიდგან და კავკავის გზით ფინლანდიაში წაასვენეს" (ახალი ამბავი, „ივ.", 1899, №147; ნეკროლოგები იხ.: „ივ.", 1899, №141; „ცნ.ფ.", 1899, №859).

ალ. ნიკოლაი მთავარი ფიგურა იყო იმ რეფორმების პრაქტიკულ განხორციელებაში, რომელიც მეფისნაცვალმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ (1862-1881) გაატარა კავკასიაში (ამ საკითხზე იხ. შ. ვა-

ნიშვილი, ამიერკავკასია რუსეთის მმართველობის სისტემაში 1864-1917 წწ., თბ., 1989, გვ. 25-29, 40-43, 59-65, 78).

დიმიტრი ყიფიანსა და ალ. ნიკოლაის ხანგრძლივი სამსახურებრივი და კერძო ურთიერთობა აკავშირებდათ (იხ.: დ. ყიფიანი, მემუარები, თბ., 1990, გვ. 73,97, 100-101, 113-114; აგრეთვე, მათი მიმოწერა - ხი, დ. ყიფიანის არქ. საქ. №№764, 765, 1521-1526). 1864 წელს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლად დ. ყიფიანის არჩევასთან დაკავშირებით ალ. ნიკოლაიმ, როგორც მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს უფროსმა, პეტერბურგს ოფიციალურად წარუდგინა ვრცელი მოხსენებითი ბარათი, რომელიც წინამდებარე წიგნში დანართის სახით იბეჭდება.

ალ. ნიკოლაი მონდომებით იცავდა და პრაქტიკულად ატარებდა რუსეთის სახელმწიფოებრივ პოლიტიკას კავკასიაში, თუმცა პრინციპული მომხრე იყო მეფისნაცვლობის ინსტიტუტისა და, შესაბამისად, კავკასიის გარკვეული ადმინისტრაციული ავტონომიისა (იხ. შ. ვანიშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 61).

ალ. ნიკოლაი საქართველოსთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული არა მარტო სამსახურებრივად, არამედ ოჯახური ვითარებითაც: ცოლად ჰყავდა ალ. ჭავჭავაძის უმცროსი ქალიშვილი - სოფიო (1833-1862; დაკრძალულია ქ. ვიბორგში. იქვეა დაკრძალული თვითონ ალ. ნიკოლაიც. სხვათა შორის, 1811-1940 წწ. ვიბორგის გუბერნია ფინეთის ნაწილი იყო და ამიტომაცაა „ივერიის" ზემოთ მითითებულ ცნობაში აღნიშნული - ალ. ნიკოლაი „კავკავის გზით ფინლანდიაში წაასვენესო". სოფიო ჭავჭავაძე-ნიკოლაის აკლდამაზე საინტერესო წერილი აქვს ი. გრიშაშვილს - იხ. მისი, ლიტერატურული ნარკვევები, თბ., 1952, გვ. 459-462). სოფიო ჭავჭავაძისა და ალ. ნიკოლაის ერთადერთი შვილი მარიამ ნიკოლაი (გარდ. 1919; დაკრძალულია ქაშვეთის ეკლესიის გალავანში) ცოლი იყო თბილისის გუბერნატორად ნამყოფის - გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძისა (1847-1918; გ.დ. შარვაშიძეზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 299-300).

კავკასიაშივე მსახურობდა ერთხანს ალ. ნიკოლაის ძმაც - გენერალ-ლეიტენანტი ლეონტი პავლეს ძე ნიკოლაი (1820-1891) - დიდად განათლებული და საინტერესო ბიოგრაფიის პიროვნება, კავკასიის ომების მონაწილე. ლ. ნიკოლაიამ 1860-იან წლებში შეწყვიტა ბრწყინვალე სამხედრო კარიერა, უარყო ლუთერანობა, მიიღო კათოლიკობა, გრენობლის (საფრანგეთი) მახლობლად კარტეზიანელთა ორდენის მონასტერში ბერად შედგა და იქვე გარდაიცვალა (ლეონტი ნიკოლაიზე იხ.: აქტები..., X, 1885, გვ. XXVII; ბროკჰაუზი-ეფრონი, წგნ.41, 1897, გვ. 114; გრ. ორბელიანი, წერილები, II, თბ., 1937, გვ. 377-378; მაქს. ბერძნიშვილი, მასალები...,II, გვ.121).

ხი-ში დაცულია ალ. ნიკოლაის პირადი არქივი, რომელშიც ლეონტი ნიკოლაიზეც მოიპოვება საინტერესო მასალა (აღნერილობა

ამ ფონდისა იხ: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ძველ ხელნაწერთა გზამკვლევი, თბ., 1951, გვ. 258-260).

109. **მარიამ ივანეს ას. ყიფიანი** - დიმიტრის დედობილი (იხ. კომენტარი №38).

110. **წმ. სამების ეკლესია** - დეკანოზ პეტრე არდაზიანის [სხვა ცნობით, დეკანოზ ნიკოლოზ პეტრეს ძე არდაზიანის (1825-1905)] მიერ 1860-იან წწ. აგებული ტაძარი (ადრე აქ თბილისის მკვიდრის პეტრე აღნიაშვილის მიერ 1790 წ. აგებული მცირე სამლოცველო იდგა). სამების ეკლესია აკურთხეს 1863 წლის დეკემბერში (სამების ეკლესიაზე იხ. ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება, II, თბ., 1963, გვ. 27-29).

111. **ლობანოვ-რეჩიცკი** -?

112. **ომერ-ფაშა (მიხაილ ლატოში)** (1806-1871) - ავსტრიელი ოფიცრის შვილი, რომელმაც ისლამი მიიღო და შთამბეჭდავი კარიერა შეიქმნა ოსმალეთის სამხედრო ძალებში. ცეცხლითა და მახვილით იცავდა ოსმალეთის ინტერესებს ვლახეთში, ჩერნოგორიაში, ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში... ყირიმის 1853-1856 წწ. ომში ჯერ მთავარსარდლობდა ოსმალეთის ჯარს რუსების წინააღმდეგ დუნაის მიმართულებით, შემდეგ კი (1855 წ.) მისი ჯარი გადასროლილ იქნა საქართველოსკენ: 1855 წლის სექტემბერში თურქები გადმოსხდნენ სოხუმში, ხოლო იმავე წლის ოქტომბერში ომერ-ფაშა შეიჭრა სამეგრელოში, აიღო ზუგდიდი, გადაწვა დადიანების სასახლე, მოაოხრა ახლო-მახლო სოფლები, მაგრამ გრიგოლ დადიანის საერთო ხელმძღვანელობით გაშლილ პარტიზანულ ბრძოლებს ვერ გაუძლო, ამასობაში თურქებმა ყარსი დათმეს და ომერ-ფაშაც იძულებული გახდა, უკუქცეულიყო, შემდეგ კი საერთოდ დაეტოვებინა საქართველო (იხ. კ. ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი. 1854-1861. მოგონებანი, ტფ., 1934, გვ. 19-51; საქართველოს ისტორიის ნარკვევები რვა ტომად, ტ. V, თბ., 1970, გვ. 211-215).

ომერ-ფაშას წინააღმდეგ მებრძოლი ვ. ბებუთოვის კანცელარიის დირექტორად დიმიტრი ყიფიანი დაინიშნა 1855 წლის ნოემბერში და ამ თანამდებობაზე მან დაყო მომდევნო წლის თებერვლამდე (ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №29, ფ. 102). ამ თემაზე დ. ყიფიანს უნერია თავის „მემუარებში" (1990, გვ. 58-59).

ომერ-ფაშაზე იხ. ბროკჰაუზი-ეფრონი, წგნ. 42, გვ.934-935.

113. **ვასილ იოსების (ოსეფის) ძე ბებუთოვი (ბებუთაშვილი)** (1789-1858) - ინფანტერიის გენერალი (ვ. ბებუთოვსა და მის ურთიერთობაზე დ. ყიფიანთან, აგრეთვე, ლიტერატურა ბებუთოვზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 204).

114. ამ საკითხზე იხ დ. ყიფიანი, მემუარები, თბ., 1990, გვ. 38, 58-59.

115. **ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მურავიოვი** (1794-1866) - კავკასიის მეფისნაცვალი 1854-1856 წწ. (ნ. მურავიოვსა და მის ურთიერთობაზე დიმიტრი ყიფიანთან იხ. სმ-დყ, I, გვ. 282-283).

116. **ალექსი თედორეს ძე კრუზენშტერნი** - სახელმწიფო მოღვაწე, საიდუმლო მრჩეველი („ტაინი სოვეტნიკ"), 1830-1831 წწ. პოლონეთის აჯანყების ჩახშობისა და რუსეთ-ოსმალეთის 1853-1856 წწ. (ე.წ. ყირიმის) ომის მონაწილე, 1850 წლიდან - კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის ვიცე-დირექტორი, ხოლო 1856-დან - დირექტორი, 1858 წლიდან ასრულებდა ამიერკავკასიის მხარის სამოქალაქო სამმართველოს უფროსის მოვალეობას. სახელმწიფო სამსახური შეწყვიტა საკუთარი ნებით (1863 წ.) მთავარსამმართველოს უფროსის თანამდებობაზე (ბიოგრაფიული ცნობები ა. კრუზენშტერნზე იხ. აქტები..., X, 1885, გვ. XIII).

ნიკ. ყიფიანის მონათხრობი დაზუსტებას საჭიროებს: ნიკ. მურავიოვმა დიმიტრი დანიშნა არა სამოქალაქო ნაწილის მმართველად, არამედ მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორად, თუმცა პეტერბურგში დ. ყიფიანი ამ თანამდებობაზე არ დაამტკიცეს და ამის შემდეგ მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორად ა. კრუზენშტერნი დაინიშნა (ამ საკითხზე იხ. დ. ყიფიანი, მემუარები, 1990, გვ. 62-65).

117. **სვიმონიკა ლაზარეს ძე ბლუაშვილი** - დიმიტრი ყიფიანის „დვორეცკი" (მსახურთუფროსი), სოფ. ზედუბნელი (შორაპნის მაზრა) გლეხი, რომელიც თავის მეუღლესთან ერთად ემსახურებოდა დიმიტრის, მაგრამ ამ უკანასკნელს რაღაც უნესო საქციელის გამო ს. ბლუაშვილი ცოლიანად დაუთხოვია სახლიდან. ა. ჯორჯაძე იმოწმებს ამ ფაქტის გარშემო დ. ყიფიანის მიერ გორის მაზრის უფროსისადმი მიწერილ ბარათს და მასზე დაყრდნობით ძალზე საინტერესო დასკვნა გამოაქვს დიმიტრის კეთილ და კაცთმოყვარე ბუნებაზე (ა. ჯორჯაძე, დიმიტრი ყიფიანი, ნიგნში: წერილები, 1989, გვ. 439-440; თვითონ დიმიტრის აღნიშნული ბარათი, რომელიც ქვიშხეთიდანაა გაგზავნილი, ამჟამად დაცულია ლმ-ში, №14918-ხ).

უნდა ითქვას, რომ ნიკ. ყიფიანის მონათხრობი აქაც საჭიროებს დაზუსტებას. საქმე ისაა, რომ დიმიტრი ყიფიანი ნიკ. მურავიოვის კანცელარიის დირექტორის მოვალეობას ასრულებდა 1856 წელს, ს. ბლუაშვილი კი დიმიტრიმ მანამდე, -კერძოდ, 1851 წლის აგვისტოში, - დაითხოვა (იხ. ზემოაღნიშნული ბარათი).

118. **„ვახტანგის შვილები"**:

ა). **მარიამ (მაშო) ვახტანგის ას. ორბელიანი** (1852-1941) - საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი, არაერთი საზოგადოებრივ-კულტურული დაწესებულების დაარსების მონაწილე თუ ინიციატორი; 1894 წ. გამოსცა მამის თხზულებათა კრებული. მარიამი გათხოვი-

ლი იყო გენერალ ალექსანდრე (საშიკო) ორბელიანზე (1847-1918). მათ ლამისყანაში ჰქონდათ სასახლე, რომელიც კულტურული ინტერესების მქონე ცოლ-ქმარს პატრიოტული მიზანდასახულობის კულტურულ-საგანმანათლებლო კერად ჰქონდა გადაქცეული.

მ. ორბელიანზე იხ.: ი. გრიშაშვილი, ლიტერატურული ნარკვევები, თბ., 1952, გვ. 473-474; ფ. დგებუაძე-ფულარია, მოღვაწე ქალები რევოლუციამდელ საქართველოში, სოხუმი, 1957, გვ. 188-191; გ. ლასხიშვილი, მემუარები, თბ., 1992, გვ. 192-193; ი. უთურაშვილი, თეკლა ბაგრატიონი, თბ., 1991, გვ. 133; ს. ცუცუნაშვილი-ფავლენიშვილი, მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი, „მწიგნობარი-99", 1999, გვ. 218-223; მისივე, მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის ოჯახური წრე (კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული საარქივო მასალის მიხედვით), „მწიგნობარი-2000", 2000, გვ. 73-91; მისივე, მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანისა და ივანე ჯავახიშვილის მიმონერა, იქვე, გვ. 92-104; კრბ. „სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები", II, თბ., 1955, გვ. 105-113.

ბ) **ნიკოლოზ ვახტანგის ძე ორბელიანი** (1845-1925) - იურისტი, საზოგადო მოღვაწე. სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში, მაგრამ 1868-1869 წწ. სტუდენტურ მღელვარებაში მონაწილეობისათვის ჯერ დააპატიმრეს, შემდეგ კი გამორიცხეს უნივერსიტეტიდან და ადმინისტრაციული წესით დააბრუნეს სამშობლოში. შემდგომში ნიკოლოზმა ბრწყინვალედ დაასრულა ოდესის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, ერთხანს იმსახურა ქუთაისის პროკურორის თანაშემწედ, ხოლო 1875 წლიდან დიდად განთქმული ვექილია თბილისში. 1917 წლიდან ნიკ. ორბელიანი საზღვარგარეთ ცხოვრობდა. გარდაიცვალა ლუქსემბურგში და იქვეა დაკრძალული.

ნიკ. ორბელიანის ქალიშვილი - ანასტასია - მეუღლე იყო ჩვენი დიდი ისტორიკოსის - ივანე ჯავახიშვილისა.

ნიკ. ორბელიანზე იხ.: მაქს. ბერძნიშვილი, მასალები..., II, გვ. 146; პ. რატიანი, რჩ. ნაწერები, ტ. I, თბ., 1984, გვ. 233-234; ნ. ტაბიძე, ეტიუდები, თბ., 1986, გვ. 149-150, 167; ი. უთურაშვილი, თეკლა ბაგრატიონი, თბ., 1991, გვ. 133; ს. ცუცუნაშვილი-ფავლენიშვილი, მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის ოჯახური წრე, „მწიგნობარი-2000", 2000, გვ. 76, 80, 86-87.

119. **ეკატერინე ვასილის ას. ილიინსკაია** (1827-1883) - ვახტანგ ორბელიანის მეუღლე, დედით ქართველი (ელიოზიშვილი - იხ. ს. ცუცუნაშვილი-ფავლენიშვილი, მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი, „მწიგნობარი-99", 1999, გვ. 218).

ლმ-ში დაცულია უცნობი მხატვრის მიერ ფერადი აკვარელით შესრულებული ეკ. ილიინსკაიას პორტრეტი (იხ. რ. დაუშვილი, გა-

სული საუკუნის პორტრეტები, „ხელოვნება", 1990, №6, გვ. 82), ხოლო ხი-ში (პაპუნა წერეთლის ფოტოკოლექცია, №№314, 929, 930) დაცულია ეკატერინეს რამდენიმე ფოტოსურათი (იქვეა - №931 - ეკატერინეს დის ნინო ილიინსკაიას ფოტოპორტრეტიც).

ეკ. ილიინსკაია დაკრძალულია თბილისის სიონის ტაძარში, თავისი სახელოვანი ქმრის ფერხთით [მაქს. ბერძნიშვილი, მასალები..., II, გვ. 48; იქვეა (გვ. 47-48) ცნობები ეკატერინეს მამაზე - ვასილ ივანეს ძე ილიინსკიზე (1789-1845)].

120. მეფისნაცვალმა ნიკ. მურავიოვმა თავისი კანცელარიის დირექტორად დიმიტრი ყიფიანი დანიშნა 1856 წლის თებერვალში, მაგრამ იმავე წლის მაისში ამ დანიშვნაზე პეტერბურგიდან უარი მოვიდა (ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №29, ფ. 103; დ. ყიფიანი, მემუარები, 1990, გვ. 62-65; უარის მიზეზებზე იხ, სმ-დყ, I, გვ. 283). ამ საკითხზე უწერია ალ. ორბელიანსაც (იხ. მისი, სიტყვა მამულის ტრაპესზედ, შემდგენელი ნ. ვახანია, თბ., 1999, გვ. 62).

121. **ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკი** (1815-1879) - კავკასიის მეფისნაცვალი 1856-1862 წწ. (ალ. ბარიატინსკიზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 205-206).

122. დიმიტრი ყიფიანი ამიერკავკასიის მხარის მთავარსამმართველოს საბჭოს წევრი გახდა 1857 წლის 9 აპრილს, ხოლო იმავე წლის 8 მაისს იმპერატორმა იგი დაამტკიცა ამ თანამდებობაზე (ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №29, ფ. 105). 1859 წლის იანვარში მთავარსამმართველოს საბჭო კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოდ გადაკეთდა, დიმიტრი ავტომატურად გახდა მისი წევრი (იქვე, ფ. 107) და ამ თანამდებობაზე დაყო 1862 წლის 21 ივნისამდე (იქვე, ფ. 108).

123. **„ზვიმა"** - ფრანგი მწერლის მადლენ ფელისიტე ჟანლისის (1746-1830) მოთხრობა, რომელიც დ. ყიფიანმა თარგმნა და „ბაქარ ქართლელის" ფსევდონიმით გამოაქვეყნა ჟურნალ „ცისკარში" (ზვიმა. ქინაქინის ამბავი, ჟანლისის თხზულებიდამ გამოკრებილი ბაქარ ქართლელის მიერ, „ცისკარი", 1858, №9, გვ. 15-55; ამ თარგმანზე იხ. ნ. ხომერიკი, ლიტერატურული ჩანაწერები, თბ., 1961, გვ. 8-13; ჯოლოგ., დიმ. ყიფ., გვ. 167-170).

124. **ივანე ივანეს ძე კერესელიძე** (1829-1892) — მწერალი, ჟურნალისტი, გამომცემელი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე. თბილისის გიმნაზიის დამთავრების (1850 წ.) შემდეგ ერთხანს იქვე მასწავლებლობდა, მომდევნო წელს კი სამეგრელოს მთავარმა დავით დადიანმა ზუგდიდში მიიწვია შვილების აღმზრდელად. რამდენიმე წლის შემდეგ ი. კერესელიძე დაბრუნდა თბილისში და აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში: 1854 წ. სათავეში ჩაუდგა ქართულ თეატრს, 1857 წლიდან სცემდა ჟურნალ „ცისკარს" (დაიხურა 1875 წ.), 1861 წ. დააარსა ჟურნალი „გუთნის დედა", ხოლო 1887 წ. — გაზეთი „ცისკარი".

ი. კერესელიძე ქართულ პრესაში („ცისკარი", „დროება", „ივერია", „იმედი" და სხვ.) აქვეყნებდა ლექსებს, პოემებს, მოთხრობებს, დრამატულ ნაწარმოებებს, თარგმანებს, პუბლიცისტურ თხზულებებს... თარგმნა და 1852 წ. გამოსცა რუსი პედაგოგის პ. მაქსიმოვიჩის სასკოლო სახელმძღვანელო „ყრმათა მეგობარი", რომელიც დიმიტრი ყიფიანმა ენობრივად საფუძვლიანად გადაამუშავა (ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №№244, ფ. 2; 249, ფ.1) და მომდევნო წელს ეს სახელმძღვანელო ახალი სათაურით გამოიცა — საკითხავი წიგნი ახალ-მოსწავლეთა ყრმათათვის, ტფ., 1853. ი. კერესელიძეს ეკუთვნის ორიგინალური სახელმძღვანელოც — ანბანი ახალ-მოჰსწავლეთა ყრმათათვის, ტფ., 1856.

ხი-ში (დ. ყიფიანის არქ., საქ. №249, ფ. 4) დაცულია დიმიტრი ყიფიანის საფუძვლიანი რეცენზია ი. კერესელიძის მიერ 1850-იან წლებში შედგენილ „ქართულ ქრესტომათიაზე", რომელიც მოსწავლეთათვის იყო განკუთვნილი, მაგრამ არ გამოცემულა (იხ. ჯოლოგ., დიმ. ყიფ., გვ. 196-197).

ი. კერესელიძესთან სტუმრობა აღწერილი აქვს ალ. დიუმა-მამას (იხ. ალ. დიუმა, კავკასია, თბ., 1970, გვ. 343-344). აკაკი წერეთელმა „ჩემს თავგადასავალში" თბილი სტრიქონები უძღვნა ი. კერესელიძის ხსოვნას (ა. წერეთელი, თხზ. სრ. კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. VII, თბ., 1958, გვ. 104-107). აკაკისვე ეკუთვნის კიდევ ერთი მოგონება „ცისკრის" რედაქტორ-გამომცემელზე (ორი შეხვედრა, იქვე, ტ.XIII, თბ., 1961, გვ. 18-27).

ივანე კერესელიძე გარდაიცვალა უკიდურეს სიღარიბეში. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ი. კერესელიძეზე იხ.: ს. გერსამია, გიორგი ერისთავის თეატრი, თბ., 1950, გვ. 185-214; ალ. კალანდაძე, ივანე კერესელიძე, თბ., 1959; მისივე, გვაქვს საგანძური..., თბ., 1986, გვ. 382-400; ზ.ჭ[იჭინაძე], ივ. ივ. კერესელიძე, თბ., 1902; ქ. ჭიჭინაძე, ნ. თედორაძე, ივანე კერესელიძე (დოკუმენტური მასალები), „საისტორიო მოამბე", №11-12, 1960, გვ. 519-593 და სხვ.

ი. კერესელიძის „ცისკართან" დიმიტრი ყიფიანის ურთიერთობაზე იხ. თ. ჯოლოგუა, დიმიტრი ყიფიანი და ივანე კერესელიძის „ცისკარი", „კლდეკარი", 1997, №2, გვ. 185-198; ჯოლოგ., დიმ. ყიფ., გვ. 107-123.

125. **„რომეო და ჯულიეტა"** — უ. შექსპირის ტრაგედია, რომელიც დ. ყიფიანმა 1841 წელს გადმოიღო პიესის რუსული თარგმანიდან (შექსპირის პირველი თარგმანია ქართულ ენაზე; ცნობები თარგმანის გარშემო იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. IV, თბ., 1965, გვ. 140-141), ხოლო 1859 წელს დიმიტრიმ „რომეო და ჯულიეტა" ხელმეორედ თარგმნა — ამჯერად ფრანგულიდან (ინგლისურ ენას დ. ყიფიანი საფუძვლიანად მოგვიანებით — 1860-

იან ნნ. - დაეუფლა) და გამოაქვეყნა კიდევაც „ცისკარში" (1859, №5, გვ. 5-78; №6, გვ. 121-205).

უ. შექსპირის ამ და სხვა პიესათა დ. ყიფიანისეულ თარგმანებზე, აგრეთვე, ლიტერატურა საკითხის გარშემო იხ. სმ-დყ, I, გვ. 286-287; უფრო ვრცლად—წიგნში: ჯოლოგ., დიმ. ყიფ., გვ. 160-165, 176-177.

126. **„რომანი ღარიბის ყმაწვილი კაცისა"** — ფრანგი მწერლის ოქტავ ფეიეს (1821-1890) რომანი, რომელიც დ. ყიფიანმა თარგმნა ფრანგული ენიდან და „ბაქარ ქართლელის" ფსევდონიმით გამოაქვეყნა „ცისკარში" [(1860. №2, გვ. 1-102; №3, გვ. 103-192; №4, გვ. 193-250; №5, გვ. 251-321; ამ თარგმანზე იხ. ს. თურნავა, ფრანგული ლიტერატურის ქართული თარგმანები, კრბ. „ევროპული ლიტერატურის ქართული თარგმანები XIX საუკუნის მეორე ნახევარში" (თბ., 1979, გვ. 94-96); ჯოლოგ., დიმ. ყიფ., გვ.171-172].

უნდა ითქვას, რომ რომანის ავტორის გვარი ქართულ და რუსულ ლიტერატურაში სხვადასხვა ფორმით გვხვდება: ფეიე, ფელიეტი, ფელიე, ფულიე, ფიოლა, ფურიკი, Фельe, Фейе..., ფრანგული დაწერილობაა — Feuillet.

127. **„ცოლის შერთვევინება"** — მოლიერის პიესა, რომელიც დ. ყიფიანმა ფრანგულიდან თარგმნა და „ცისკარში" გამოაქვეყნა (1862, №3, გვ. 1-54; ამ და მოლიერის სხვა პიესათა დ. ყიფიანისეულ თარგმანებზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 287; ჯოლოგ., დიმ. ყიფ., გვ. 176).

128. **„ორი ვერონელი აზნაური"** — უ. შექსპირის პიესა, რომელიც დ. ყიფიანმა ინგლისური ენიდან თარგმნა და გამოაქვეყნა „ცისკარში" (1867, №4, გვ. 1-64; №5, გვ. 65-96).

129. **„თურქმენული ცხენი"** — დიმიტრი ყიფიანის მოთხრობა, რომელიც ავტორმა „ბაქარ ქართლელის" ფსევდონიმით „ცისკარში" გამოაქვეყნა (1863, №1, გვ. 11-37; დიმიტრის ამ მოთხრობაზე იხ. ნ. ხომერიკი, ლიტერატურული ჩანაწერები, თბ., 1961, გვ. 13-17; მოთხრობა ჩვენ მიერ გადმობეჭდილია წიგნში: ქართული მწერლობა (ოცდაათ ტომად), ტ. XX, თბ., 2003, გვ. 10-27).

130. **„მითჩელის ასტრონომია"** — იგულისხმება ამერიკელი ასტრონომის ო. მიტჩელის (1810-1862) სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის თხზულება — „ზეციერი მნათობები" (I ლექცია), რომელიც დიმიტრი ყიფიანმა რუსულიდან თარგმნა და ჟურნალ „საქართველოს მოამბეში" გამოაქვეყნა (1863, №2, გვ. 4-26; ამ თარგმანზე იხ.: ზ. ჭიჭინაძე, დიმიტრი ყიფიანი, ტფ., 1892, გვ. 43-44; ვ. გაგოიძე, „საქართველოს მოამბე", თბ., 1956, გვ. 77-79; ნ. ტაბიძე, ილია ჭავჭავაძის რედაქტორული მოღვაწეობა, თსუ შრომები, ტ. 163, 1975, გვ. 69-70; ალ. კალანდაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, III, თბ., 1985, გვ. 244. თარგმანის ბეჭდვის ისტორიაზე იხ.

ნიკ. ყიფიანის ბარათი დიმიტრისადმი — ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №1878, ფ.1).

131. **„საქართველოს მოამბე"** — ლიბერალურ-დემოკრატიული მიმართულების ყოველთვიური ჟურნალი, ქართველ სამოციანელთა ორგანო, რომელსაც ი. ჭავჭავაძე სცემდა 1863 წ. (სულ გამოვიდა 12 ნომერი).

ლიტერატურა „საქართველოს მოამბეზე" იხ.: ქსე, ტ. 9, 1985, გვ. 178. აგრეთვე: პ. გუგუშვილი, ქართული ჟურნალისტიკა, ტ. I, თბ., 1941, გვ. 299-388; ალ. კალანდაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, III, თბ., 1985, გვ. 5-326; ა. ჯორჯაძე, მასალები ქართველ ინტელიგენციის ისტორიისათვის, წიგნში: წერილები, 1989, გვ. 174-199...

132. **ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე** (1837-1907) — მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, ბანკირი, საზოგადო მოღვაწე, 1860-იანი წლებიდან სიცოცხლის ბოლომდე — ქართველი ხალხის ეროვნული მოძრაობის მეთაური (ი. ჭავჭავაძისა და დ. ყიფიანის ურთიერთობაზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 252).

133. გარდა **„ბაქარ ქართლელისა"**, დიმიტრი ყიფიანის ფსევდონიმი იყო აგრეთვე **„თეიმურაზ ვაკელი"**. ამას გარდა, დიმიტრის თითო თხზულება აქვს გამოქვეყნებული ფსევდონიმებით: **„მყვირალა (ქართლელი)"** (ჩვენი ნაცარქექიები, „ცისკარი", 1864, №1, გვ. 60-80) და **„ბ.ქ."** (ქვიშხეთი, 16 აგვისტოს, „დროება", 1875, №94).

134. **ფრანსუა-ვიქტორ ჰიუგო** (1828-1873) - ისტორიკოსი და მწერალი, ვიქტორ ჰიუგოს შვილი, შექსპირის თხზულებათა მთარგმნელი ფრანგულ ენაზე.

135. **ბენჟამენ ლაროში** — ფრანგი მწერალი, შექსპირის პიესათა მთარგმნელი ფრანგულ ენაზე.

136. **ნიკოლოზ ქრისტეფორეს ძე კეტჩერი** (1809-1886) — შვედური წარმოშობის რუსი მწერალი და ექიმი; უ. შექსპირის, ფ. შილერის, ე. ჰოფმანისა და სხვ. მთარგმნელი რუსულ ენაზე. „ნ. კეტჩერის მიერ შესრულებული პროზაული თარგმანები შექსპირის პიესებისა თავის დროზე გამოირჩეოდა დიდი ღირსებებით, ორიგინალის ზუსტად გადმოლებით" (Краткая Литературная Энциклопедия, т. 3, М., 1966, გვ. 503).

137. **გრიგოლ ლევან V-ის ძე დადიანი (კოლხიდელი)** (1814-1901) — საზოგადო და სამხედრო მოღვაწე, ქველმოქმედი, გენერალ-ადიუტანტი და ინფანტერიის გენერალი, მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 და 1877-1878 წწ. ომებში, აგრეთვე, ე.წ. კავკასიის ომებში, მათ შორის, ღუნიბის აღებაში (სადაც შამილი დაატყვევეს), ხელმძღვანელობდა პარტიზანულ ომებს სამეგრელოში შემოჭრილი ომერ-ფაშას წინააღმდეგ.

გრ. დადიანი ეწეოდა საზოგადოებრივ-კულტურულ მოღვაწეობას: იყო „ქშწ-კგ საზოგადოების" დამფუძნებელი წევრი, მონაწილეობდა 1880 წელს დაარსებული „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობაში (საერთოდ, „ვეფხისტყაოსანი" გრ. დადიანის გაუნელებელი სიყვარულის საგანი იყო. მან დიდი ამაგი დასდო პოემის ი. ბარტდინსკისეულ რუსულ თარგმანს — მთარგმნელს უწევდა სათანადო კონსულტაციებს, უკეთებდა პწკარედს...), იყო ბრწყინვალე დეკლამატორი და, თანამედროვეთა გადმოცემით, იშვიათი ოსტატობით კითხულობდა გაბრიელ იმერეთის ეპისკოპოსის ქადაგებებს... იყო ქველმოქმედი (სიკვდილის წინ ქონება და მდიდარი ბიბლიოთეკა უანდერძა „ქშწ-კგ საზოგადოებას", შესწირა ფული სხვადასხვა სასკოლო-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, დააწესა პრემია „საუკეთესო თხზულებისათვის ქართულ ენაზე", საგანგებოდ დატოვა თანხა ქუთაისის ღარიბ მოსახლეობიში დასარიგებლად...); სკეპტიკურად უყურებდა „ახალ დროებას" და დღენიადაგ ამტკიცებდა: „ძველი დრო სჯობდა ახლანდელსო"; აღმერთებდა მშობლიურ ენას და წუხდა ახალთაობის მიერ მისი „გამარტივება-გაუბრალოების" გამო, თუმცა შემოქმედებითი ცხოვრების მიწურულს თვითონაც ვერ ასცდა ქართული სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციის საერთო ტენდენციას; ჰქონდა ფართო ინტერესები და სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა თაყვანისცემა ნაპოლეონის სამხედრო და პოლ მორფის საჭადრაკო ხელოვნებისადმი.

გრ. დადიანს სამხედრო განათლება ჰქონდა მიღებული პეტერბურგში, სადაც დაუახლოვდა იქ მცხოვრებ ქართველ ბატონიშვილებს, რომელთაგან განსაკუთრებული მეგობრობა აკავშირებდა თეიმურაზ ბატონიშვილთან (1782-1846). პეტერბურგშივე დაუწყია გრ. დადიანს ლექსთა თხზვა. ყოველ შემთხვევაში, 22 წლისა იგი უკვე პოემის ავტორად გვევლინება [„რუხის ბრძოლა (ცხოვრება დიდის მეფის სოლომონისა)", რომელიც გრიგოლმა იოანე გეგეჭკორის ფსევდონიმით დაწერა და მოგვიანებით დ. ჩუბინაშვილმა შეიტანა თავისი „ქართული ქრისტომატიის" 1863 წლის გამოცემაში.— გვ. 28-41].

გრ. დადიანი ქართულ პრესაში („ცისკარი", „დროება", „შრომა" და სხვ.) აქვეყნებდა ლექსებსა თუ გალექსილ იგავ-არაკებს (უმეტესად, „კოლხიდელის" ფსევდონიმით. წიგნიც ამ ფსევდონიმით აქვს გამოცემული — ლექსთა კრება კოლხიდელისა, ქუთაისი, 1901; მისი ფსევდონიმებია აგრეთვე: „მეგრელი", „კ.", „გ.დ."...). გრიგოლ დადიანს თავისი ლიტერატურული ნიჭი და ტემპერამენტი კლასიცისტურ არტახებსა და სქოლასტიკურ ენობრივ ჩარჩოებში ჰქონდა გამომწყვდეული. მისი პოეზიისთვის დამახასიათებელია რიტორიკული მაღალფარდოვნება, მძიმე და გაბუნდოვანებუ-

ლი მეტყველება, რაც მეტისმეტად აძნელებს უდავოდ საინტერესო პოეტური სახეების სრულფასოვან და ძალდაუტანებელ აღქმას. თუმცა, მოგვიანებით გრ. დადიანის ენა და პოეტური აზროვნება მეტ სინათლესა და ფერადოვნებას იძენს. ამ მხრივ საინტერესოა ლექსი „აკაკის", რომელშიც ავტორი ძველ და ახალ თაობათა შერიგების მომხრედ და მამულის სასიკეთოდ მათი ცოდნა-მისწრაფებების გაერთიანების მქადაგებლად გვევლინება. და სწორედ ამ ლექსშია მკაფიოდ ჩამოყალიბებული გრ. დადიანის ლიტერატურული თვითშეგნება:

... სიტყვიერება
არს მამულისა სიცოცხლის კმევა.

გრ. დადიანს ცოლად ჰყავდა გურიის უკანასკნელი მთავრის მამია V გურიელის ას. — ტერეზია (ჯვარი დაიწერეს პეტერბურგში, 1845 წელს. ჯვრისწერასა და ქორწილს დაესწრო იმპერატორი ნიკოლოზ I. „გრიგოლის მხრით დედ-მამად იყვნენ ნინო დედოფალი, ბებია გრიგოლისა და მემკვიდრე ცესარევიჩი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე. ჯვარი დასწერა ხელმწიფის მოძღვარმა ბაჟანოვმა სასახლის ეკლესიაში" — ი. მეუნარგია, გრიგოლ დადიანი (კოლხიდელი), წიგნში: ქართველი მწერლები, სოლ. ცაიშვილის რედაქციით, წინასიტყვითა და შენიშვნებით, I, თბ., 1954, გვ. 305; ტერეზია გურიელი-დადიანისა გარდაიცვალა 1871 წელს; ხი-ში, — დ. ყიფიანის არქ., საქ. №1937, - დაცულია ქართველ მღვდელმთავართა (გაბრიელ იმერეთის ეპისკოპოსი, გრიგოლ არქიმანდრიტი და სხვ.) სიტყვები — წარმოთქმული ტერეზიას დაკრძალვაზე.

დიმიტრი ყიფიანს ეკუთვნის რეცენზია გრ. დადიანის მიერ „ცისკარში" გამოქვეყნებულ იამბიკოზე — „სირაძე, ძველთა იმერთა მეჩონგურე, უგალობს დავით ალმაშენებელს" (ბაქარ ქართლელი [დ. ყიფიანი], უფალო რედაქტორო!, „ცისკარი", 1860, №2, გვ. 153-156; როგორც შემდეგ გაირკვა, ეს იამბიკო გრ. დადიანს აუღია თეიმურაზ ბატონიშვილის პიესიდან — „სამსახეობა რაინდისა". იხ.: ტრ. რუხაძე, ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია, თბ., 1949, გვ. 273-275; გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი, ტ. II, თბ., 1974, გვ. 197-198).

გრიგოლ დადიანმა სიცოცხლის უკანასკნელი წლები ლეჩხუმში გაატარა, სადაც, საზოგადოებას გარიდებული, განმარტოებით ცხოვრობდა სოფ. სურმუშში, მამისეულ სასახლეში.

გარდაიცვალა 1901 წლის 24 დეკემბერს, ქუთაისში; დაკრძალულია მარტვილის საკათედრო ტაძარში.

გრ. დადიანზე იხ. აგრეთვე: აქტები..., X, 1885, გვ. XIX-XX; გ. ავალიანი, რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან, თბ., 1967, გვ. 113-116; ალ. კალანდაძე, გვაქვს

საგანძური..., თბ., 1986, გვ. 363-365; სოლ. ცაიშვილი, ლიტერატურული ნარკვევები, თბ., 1965, გვ. 217-239.

138. **ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძე** (1786-1846) — პოეტი-რომანტიკოსი, საზოგადო და სამხედრო მოღვაწე (ალ. ჭავჭავაძისა და დ. ყიფიანის ურთიერთობაზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 307-308; ჯოლოგ., დიმ. ყიფ., გვ. 68, 98,145-150, 154, 184, 207, 220, 258).

139. **ალფონს დე ლამარტინი** (1790-1869) — ფრანგი პოეტი-რომანტიკოსი და ისტორიკოსი, საფრანგეთის აკადემიის წევრი. ნიკ. ყიფიანი „მოქრის ტბაში", ჩანს, გულისხმობს „გოგჩას", ხოლო ლამარტინის „მშვენიერ თხზულებაში" კი ფრანგი პოეტის ლექსს — „ტბა", რომელიც ქართულ ენაზე თარგმნილია გივი გეგეჭკორის მიერ („ლიტერატურული საქართველო", 1995, №16).

140. **დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძე** (1818-1884) — გენერალ-ლეიტენანტი და იმპერატორის ფლიგელ-ადიუტანტი (1854 წლიდან), ვაჟი ალ. ჭავჭავაძისა და სალომე ივანეს (იოანეს) ას. ორბელიანისა (გარდ. 1847 წ., დაკრძალულია მთაწმინდაზე, მამადავითის ტაძარში). დ. ჭავჭავაძეს სამხედრო განათლება ჰქონდა მიღებული პეტერბურგში (ბიოგრაფიული ცნობები იხ.: ქსე, ტ. 11, თბ., 1987, გვ. 377; გ. ავალიანი, რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან, თბ., 1967, გვ. 181-182); ე.წ. კავკასიისა და რუსეთ-ოსმალეთის 1853-1856 წწ. ომების მონაწილე. 1854 წელს, როცა შილდას შამილის მოლაშქრეები დაეცნენ, დავით ჭავჭავაძე იქ თავდაცვით ღონისძიებებს ხელმძღვანელობდა, ხოლო ამ დროს ლეკებმა წინანდალში თვითონ დავითის სახლ-კარი გაძარცვეს და დაწვეს, მის ოჯახის წევრები კი ტყვედ წაასხეს (ამ საკითხზე იხ. ა. დრანსე, შამილის ტყვე ქალები, თარგმნა და შენიშვნები დაურთო მ. თავდიშვილმა, თბ., 1978). დ. ჭავჭავაძის მეუღლესთან, ანა ილია ბატონიშვილის ასულთან (1828-1905), შეხვედრა აღწერილი აქვს ალ. დიუმა-მამას თავის „კავკასიაში" (თბ., 1970, გვ. 299-300).

დ. ჭავჭავაძეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა რუს პოეტთან, იაკობ პოლონსკისთან (1819-1898), რომელმაც დავითს ლექსი უძღვნა - „კახელს" („Кахетинцу". ამ საკითხზე იხ. И. Богомолов, Тропою дружбы, Тб., 1984, გვ. 190).

დ. ჭავჭავაძე და მისი მეუღლე დაკრძალულნი არიან კახეთის შუამთაში (იხ. ს. ხუციშვილის მიერ შედგენილი „ქართველ მოღვაწეთა ნეკროპოლი", I, თბ., 1961, გვ. 115).

დავით ჭავჭავაძე დამფუძნებელი წევრი იყო დიმიტრი ყიფიანის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით დაარსებული „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკისა" (ჯოლოგ., დიმ. ყიფ., გვ. 251-252).

141. **ირაკლი (ერეკლე) ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-გრუზინსკი (ირაკლი ბატონიშვილი)** (1827-1882) — ალექსანდრე ერე-

კლე II-ის ძე ბატონიშვილის ერთადერთი ვაჟი. დაიბადა სპარსეთში (სალმასტში — იხ. ღღიური, „დრ.", 1882, №90), სადაც იმ დროს ალექსანდრე ბატონიშვილი იყო გადახვეწილი. ერთხანს ერევანში იზრდებოდა დედასთან — მარიამ სააკის ას. აღამალოვასთან (გარდ. 1882 წ.; მარიამის გარდაცვალებასა და დაკრძალვაზე იხ. „დრ.", 1882, №212; ხი-ში, პაპუნა ნერეთლის ფოტოკოლექციაში (№№884, 885, 1111), დაცულია მარიამ აღამალოვას რამდენიმე ფოტოსურათი. იქვეა (№№874, 880) დაცული თვითონ ირაკლი ბატონიშვილის ფოტოებიც). 7 წლისა, ირაკლი ბატონიშვილი დედასთან ერთად პეტერბურგში გაგზავნეს, სადაც იმპერატორ ნიკოლოზ I-ის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა — ჯერ ცარსკოე-სელოს სასწავლებელში მიაბარეს, შემდეგ კი სამხედრო სასწავლებელში გადაიყვანეს პეტერბურგში, მაგრამ ირაკლიმ რუსეთში სწავლა (საერთოდ იქ ყოფნა) არ ისურვა და დატოვა სასწავლებელი. 1840-იან წწ. იგი თბილისშია და მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის ყურადღებითაა გარემოსილი. 1860-იანი წწ. დასასრულს ირაკლი ბატონიშვილი სამკურნალოდ გაემგზავრა საფრანგეთში, სადაც დაუახლოვდა იმპერატორ ნაპოლეონ III-ს. საფრანგეთშივე (პარიზში) გაიცნო ალ. ჭავჭავაძის შვილიშვილი თამარ დავითის ას. ჭავჭავაძე (1852-1933) და იქვე დაქორწინდა მასზე; ცოტა ხანში დაუბრუნდა თბილისს და აქ გარდაიცვალა ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ.

ირაკლი ბატონიშვილი ეწეოდა კულტურულ-საგანმანათლებლო და საქველმოქმედო საქმიანობას: მისი ინიციატივით მთაწმინდასა და ავლაბარში ორი ქართული სკოლა გაიხსნა (1860-იანი წწ.), მას ეკუთვნოდა თბილისის გოგირდოვანი აბანოების ნაწილი, რომლის შემოსავალსაც ძირითადად საქველმოქმედო საქმეებს ახმარდა.

ირაკლი ბაგრატიონ-გრუზინსკის დაკრძალვა გრანდიოზულ სამგლოვიარო მსვლელობაში გადაიზარდა (გამოასვენეს თბილისის სიონიდან და დაკრძალეს სვეტიცხოვლის ტაძარში). „ბატონიშვილი ერეკლე გარდაიცვალა 63 წლისა (უნდა იყოს: 55 წლისა — თ.ჯ.), დარჩა ორი პატარა ქალი და მამრობითი სქესი ალექსანდრე ბატონიშვილისა მოისპო. სხვა ბატონიშვილები, ერეკლეს გარდა, არავინა სცხოვრობს ამჟამად ტფილისში. ისინი მოსკოვსა და პეტერბურგში სახლობენო" — აღნიშნულია „დროებაში" (1882,№88) გამოქვეყნებულ ნეკროლოგში. სხვათა შორის, „დროებაშივეა" გამოქვეყნებული ერთი საგულისხმო ცნობაც, რომელიც მეტყველებს, ერთი მხრივ, თბილისელი საზოგადოების დაბალი ფენების პატივისცემასა და სიყვარულზე ირაკლისადმი და, ამასთანავე, ამ ფენების მაღალ მოქალაქეობრივ თვითშეგნებაზეც: „როცა ამქრებმა შეიტყეს, რომ ბატონისშვილის უუბრნყინვალესი ქვრივი

იმათთვის ქალაქში ქელეხს ამზადებს, ამათ საერთო სურვილი გამოაცხადეს, რომ ქელეხს ჩვენ ჩვენის ხარჯით გიახლებითო და თუ ბატონისშვილს ამისთვის რამე ფული ჰქონდა დანიშნული, იმ ფულით სასნავლებელში იმის სახელობით ღარიბი ხალხის შვილები გაიზარდონო" (ბატონის შვილის ერეკლეს დასაფლავება, „დრ.", 1882, №90).

გრიგოლ არქიმანდრიტის (დადიანის) შესანიშნავი სიტყვა „ირაკლი ბატონიშვილის გარდაცვალებაზედ" იხ. „დრ.", 1882, №91; ხი-ში დაცულია ვასილ კარბელაშვილის სიტყვა — წარმოთქმული სვეტიცხოვლის ტაძარში, ირაკლი ბატონიშვილის დაკრძალვაზე (ვ. კარბელაშვილის არქ., საქ. №241, ფ.4).

ირაკლი ბატონიშვილი გარეგნულად ძლიერ ჰგავდა თავის სასიქადულო პაპას, ერეკლე II-ს (იხ. „დრ.", 1882, №88), და ეროვნული ღირსებაც გამახვილებული ჰქონდა — დემონსტრატიულად ატარებდა ჩოხა-ახალუხს, ხოლო ერთხელ, ბორჯომის პარკში, „დიდად ამაყად თავაწეულ" დიდ მთავარს ნიკოლოზ მიხეილის ძეს (რომანოვს) ზედაც არ შეხედა და ეს ამბავი მაშინვე გახმაურდა საზოგადოებაში (ი. უთურაშვილი, თეკლა ბაგრატიონი, თბ., 1991, გვ. 98).

ირაკლი ბაგრატიონ-გრუზინსკიზე იხ. აგრეთვე: ზ. ჭიჭინაძე, სახსოვარი ბატონიშვილის ალექსანდრეს ძის ირაკლის გარდაცვალებაზე, თბ., 1882; თ. პაპავა, დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში, თბ., 1990, გვ. 129-132; ნ. ხომერიკი, ლიტერატურული ჩანაწერები, თბ., 1961, გვ. 105-107; რ. ჩხეიძე, ტახტდაკარგული უფლისწული (ირაკლი ბატონიშვილი), გაზ. „ჩვენი მწერლობა", 22-28. XI, 2002, №47.

ირაკლი ბატონიშვილის შთამომავლობაზე იხ. ლ. კიკნაძე, ალექსანდრე ჭავჭავაძის შთამომავლობა, „მნათობი", 1998, №3-4, გვ. 161-162.

142. **ეკატერინე ალექსანდრე ჭავჭავაძის ას. დადიანი** (1816-1882) — სამეგრელოს უკანასკნელი დედოფალი. 1857 წ. „მიინვიეს" პეტერბუგში, საიდანაც სამშობლოში მხოლოდ 1868 წ. მოახერხა დაბრუნება. დაკრძალულია მარტვილის ტაძარში.

ეკატერინე დადიანს ჰქონდა კულტურული ინტერესები (იყო „ქმწ-კგ საზოგადოების" დამფუძნებელი წევრი); გამოირჩეოდა თვალისმომჭრელი სილამაზით, რის გამოც მრავალი თაყვანისმცემელი ჰყავდა (გრ. ორბელიანი, მწერალი გიორგი ერისთავი და სხვ.), მათ შორის, ნ. ბარათაშვილი, რომელმაც ტრფობის საგანს უძღვნა რამდენიმე შესანიშნავი ლექსი, აგრეთვე, თავისი ლირიკული შედევრებისა და „ბედი ქართლისას" ავტოგრაფული კრებულები (I კრებული დაკარგულად ითვლება, ხოლო II-ის აღნერილობა იხ.

ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი, ტექსტი დადგენილია პ. ინგოროყვას მიერ, თბ., 1968, გვ. 227-228).

დიმიტრი ყიფიანი 1859-1867 წწ. იყო ეკატერინე დადიანის ქონება-მამულებისა და მისი მცირეწლოვანი ძის, სამეგრელოს სამთავრო ტახტის მემკვიდრის ნიკო დადიანის (1847-1903) მეურვე (ამ საკითხზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 205).

143. **ნინო ალექსანდრეს ას. ჭავჭავაძე** (1812-1857) — მეუღლე ალექსანდრე გრიბოედოვისა (ჯვარი დაიწერეს 1828 წ. 22 აგვისტოს, თბილისის სიონის ტაძარში). ნინო 17 წლისა დაქვრივდა, მიუხედავად იმისა, რომ მომაჯადოებელი სილამაზითა და არაჩვეულებრივი კეთილშობილებით იყო განთქმული და მრავალი თაყვანისმცემელიც ეხვია გარს (მათ შორის გრიგოლ და ზაქარია ორბელიანები და სხვ.), აღარ გათხოვილა (კავკასიის მეფისნაცვლის ნიკ. მურავიოვ-ყარსკის ერთი ცნობის მიხედვით, ირანის შაჰის მემკვიდრესა და ქვეყნის ფაქტობრივ განმგებელს აბას-მირზას (1789-1833) ნინო ჭავჭავაძის მოტაცება ჰქონია განზრახული — იხ. ი. გრიშაშვილი, ცხოვრება ალექსანდრე ჭავჭავაძისა, წიგნში: ლიტერატურული ნარკვევები, თბ., 1952, გვ. 70).

რუს მწერალს, მოგზაურსა და ეთნოგრაფს ს. მაქსიმოვს არხანგელსკის გუბერნიის ქ. უსტ-ცილმაში მცხოვრები იასე ფალავანდიშვილისგან (1832 წლის შეთქმულების გამცემისგან) მოუსმენია საინტერესო ისტორია ნინო ჭავჭავაძის გათხოვების გარემოებებზე (ი. ფალავანდიშვილი, სხვათა შორის, პირადად იცნობდა ალ. გრიბოედოვს): „ალექსანდრე სერგეის ძემ [გრიბოედოვმა] პასკევიჩს გამოსთხოვა ქორწინების ნებართვა. მას ერგო („досталась") ჭავჭავაძის ულამაზესი ასული, რომელსაც მანამდე ხელი სთხოვა ერმოლოვის [საქართველოს მთავარმართებელი 1816-1827 წწ. — თ.ჯ.] ძმისწულმა („... за которою раньше сватался племянник Ермолова"), მაგრამ ერმოლოვს, - მკაცრსა და პირქუშ გენერალს, - არ უყვარდა თავის მოქმედ არმიაში ცოლიანი ოფიცრების ყოფნა და ამ მიზეზით ჩაშალა კიდეც ქორწილი" (С. Максимов, Год на севере, четвертое, дополненное издание, М., 1890, გვ. 410).

ნინო ჭავჭავაძე გარდაიცვალა 1857 წლის 28 ივნისს, თბილისში, ქოლერით. დაკრძალულია მთაწმინდაზე, მეუღლის გვერდით.

ნინო ჭავჭავაძეზე იხ. ი. ბალახაშვილი, გრიბოედოვი და ნინო ჭავჭავაძე, თბ., 1966 (სხვათა შორის, აქ გამოქვეყნებულია — გვ. 247-250 — ნ. ჭავჭავაძის ორი ბარათი დიმიტრი ყიფიანის მეუღლის, ნინო ჭილაშვილისადმი — გაგზავნილი 1850 წელს, ბორჯომიდან ქვიშხეთში).

144. **ალექსანდრე სერგეის ძე გრიბოედოვი** (1795-1829) — რუსი მწერალი [ალ. გრიბოედოვზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 294-295; ანოტირებული ბიბლიოგრაფიული საძიებელი (რევოლუციამდელი პერი-

ოდი) იხ. ალექსანდრე გრიბოედოვი და საქართველო, შემდგენელი კ. ტულუში, თბ., 1987].

145. **ერეკლე II** (1720-1798) -- კახეთისა (1744-1762) და ქართლ-კახეთის (1762-1798) მეფე. დიმიტრი ყიფიანის შეხედულებით, „ერეკლე II იყო საქართველოს ერთი უმამაცესი მეფეთაგანი. 50 წელიწადს რწყავდა ეს სახელოვანი მეფე მტრის სისხლით თავისი უძველესი სამეფოს დამოუკიდებლობას, მაგრამ, რაც დრო გადიოდა, თანდათან რწმუნდებოდა, რომ მისი წინამორბედნი უსაფუძვლოდ როდი მიმართავდნენ დახმარებისათვის რუსეთის მართლმადიდებელ მონარქებს... საბოლოოდ, ერეკლე II მივიდა იმ აზრამდე, რომ რუსეთის პირდაპირი და უშუალო მფარველობის გარეშე საქართველო შეიძლებოდა სამუდამოდ შესწირვოდა იმ პოლიტიკურ ქარიშხლებს, ექვსი საუკუნის მანძილზე რომ მძვინვარებდა ჩვენი ქვეყნის თავზე და მის შიგნითვე. და აი, 1783 წელს ერეკლე II შევიდა ეკატერინეს ქვეშევრდომობაში, ხოლო ერეკლეს შვილმა, გიორგი XIII-მ, 1800 წელს თავისი სამეფო საბოლოოდ ანდო რუსეთის ხელმწიფის უშუალო მართვა-გამგეობას" (Д. Кипиани, О том, о сем и между прочим о сословиях Закавказских, Тфл., 1855, გვ. 47).

146. ვახტანგ ორბელიანის ცოლი იყო არა **„ფილიპოვის ქალი"**, არამედ **ეკატერინე ილიინსკაია** (იხ. კომენტარი №119).

147. **ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანი** (1802-1869) — მწერალი, ისტორიკოსი, პუბლიცისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ერეკლე II-ის შვილიშვილი (თეკლე ბატონიშვილის უფროსი ვაჟი), 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი ხელმძღვანელი. საგამომძიებლო კომისიამ იგი მოაქცია „დამნაშავეთა" მეორე კატეგორიაში, რისთვისაც მიესაჯა გადასახლება ორენბურგის გუბერნიაში, საიდანაც 1838 წელს „კავკასიის ხაზზე" გადმოიყვანეს, ხოლო სამშობლოში დაბრუნდა 1840 წელს — „დარიელის ხიდს ქვემოთ თერგის პირზე ჩაველ... იქ დავიჩოქე, ერთს ქვას მოვეხვიე და იმას კოცნით მოვლოკამდი, რომელსაცა მიხაროდა და ღმერთს მადლობას შევსწირავდი: კიდევ ვნახე ჩემი მშობელი მამულის სამძღვრის პირიო" — წერდა ამის თაობაზე ალ. ორბელიანი (მაქს. ბერძნიშვილი, მასალები..., II, გვ. 126).

სამშობლოში დაბრუნებულმა ალ. ორბელიანმა არ ისურვა სახელმწიფო სამსახურში შესვლა და ერთხანს საზოგადოებრივ-კულტურულ სარბიელსაც იყო გარიდებული. მისი, როგორც საზოგადო მოღვაწის, სახელი ძირითადად დაკავშირებულია ი. კერესელიძის „ცისკართან", რომლის დაარსებასა და გამოცემაში იგი არსებითი ხასიათის მონაწილეობას ღებულობდა. აქვე აქვეყნებდა ლექსებს, დრამატულ ნაწარმოებებს, საისტორიო თხზულებებს, რეცენზიებს, ნაშრომებს ქართული სასაუბრო თუ სალიტერატურო

ენის შესახებ, მემუარებს (ალ. ორბელიანის ნაწერთა, - მათ შორის გამოუქვეყნებელ ნაწერთა, - ბიბლიოგრაფია გამოქვეყნებული აქვს ლ. ქუთათელაძეს: ალექსანდრე ორბელიანის ნაწერები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIV-B, 1947, გვ. 265-280).

რუსეთთან მიმართებაში ალ. ორბელიანს თავისი პოლიტიკური და მოქალაქეობრივი თვითშეგნება ასე აქვს ჩამოყალიბებული: „მე რუსები საქართველოში არ მიყვარან, მინდა აქედგან ისე გადაიკარგნენ, რომ საქართველოს სუნიც იმათ ვეღარ მიედინოს და რუსეთში კი ბედნიერად იყვნენ" (მაქს. ბერძნიშვილი, მასალები..., II, გვ. 128).

ალ. ორბელიანს თანამედროვენი „პუპლიას" ეძახდნენ, ხოლო ეს მეტსახელი მას გადაუკეთეს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის დირექტორის თ. ბუკრინსკის ერთი ფრაზისგან, რომლითაც მას პატარა ალექსანდრესთვის მიუმართავს: „შენა ხარ რომაელი პუბლი" (იქვე, გვ. 125).

ალ. ორბელიანი გარდაიცვალა 1869 წლის 28 დეკემბერს. დაკრძალულია თბილისის სიონის ტაძარში. იქვეა დაკრძალული მისი მეუღლეც — ეკატერინე (კატინა) დავითის ას. ბარათაშვილი (1807-1873), 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (ეკ. ბარათაშვილ-ორბელიანზე იხ. თ. პაპავა, დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში, თბ., 1990, გვ. 68-70; პ. უმიკაშვილის მიერ ეკატერინეს დაკრძალვაზე წარმოსათქმელად გამიზნული სიტყვა იხ. „დრ.", 1873, №402).

ალ. ორბელიანზე იხ.: ნ. ვახანია, პროზა ალექსანდრე ორბელიანისა, თბ., 1998; ალ. კალანდაძე, გვაქვს საგანძური..., თბ., 1986, გვ. 174-186; ვ. კოტეტიშვილი, რჩ. ნაწერები, I, თბ., 1965, გვ. 169-170, 172-173, 219-231; ნ. პაპავა, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, თბ., 1999, გვ. 144-177; ი. უთურაშვილი, თეკლა ბაგრატიონი, თბ., 1991, გვ. 9, 12, 43-46, 65-72, 78-107, 132, 138-142; გ. ქიქოძე, რჩ. თხზულებანი, I, თბ., 1963, გვ. 72-77; რ. ჩხეიძე, ალექსანდრე ორბელიანი, თბ., 1996; ჯ. ჭუმბურიძე, ალექსანდრე ორბელიანი, წიგნში: ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, დ. გამეზარდაშვილის რედაქციით, I, თბ., 1956, გვ. 244-252; მისივე, ქართული კრიტიკის ისტორია, I, 1974, გვ. 131-137, 304-315 და სხვ.; აგრეთვე, ალ. ორბელიანის საზოგადოების მიერ ჩატარებულ სამეცნიერო კონფერენციებზე წარმოდგენილი მოხსენებები (კრბ. „მიეძღვნა ალექსანდრე ორბელიანის ხსოვნას", რ. ჩხეიძის რედაქტორობით, I, თბ., 1997; II, თბ., 1998; III, თბ., 1999).

ალ. ორბელიანის ნეკროლოგები იხ.: „დრ.", 1869, №52; „მნათობი", 1869, №9-10 (ნოემბერ-დეკემბერი); ალ. ორბელიანს გულ-

ნრფელი პატივისცემითა და სითბოთი გამსჭვალული არაერთი სტრიქონი უძღვნა ა. ნერეთელმა, მათ შორის „ჩემს თავგადასავალშიც" (ა. ნერეთელი, თხზ. სრ. კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. VII, 1958, გვ. 107-108).

ხი-ში (დ. ყიფიანის არქ., საქ. №№1786-1788) დაცულია ალ. ორბელიანის სამი ბარათი დიმიტრი ყიფიანისადმი.

148. **პლატონ ეგნატეს ძე იოსელიანი** (1809-1875) — მეცნიერი, ჟურნალისტი, გამომცემელი, ფოლკლორისტი (პ. იოსელიანზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 306-307).

149. **კონსტანტინე ივანეს ძე ორლოვსკი** (გარდ. 1876) — პოლონური წარმოშობის რუსი სახელმწიფო მოღვაწე, თვალსაჩინო ფიგურა ამიერკავკასიის ადმინისტრაციაში; სხვადასხვა წლებში მსახურობდა მთავარსამმართველოს კანცელარიაში, ერევნის მაზრის მოსამართლედ, ერევნის გუბერნატორის მრჩევლად (იხ. 1840-1850-იანი წწ. „კ.კ.")... 1860-იანი წწ. დასაწყისში დანიშნეს თბილისის სამოქალაქო გუბერნატორად და ამ თანამდებობაზევე გარდაიცვალა. ამასთან დაკავშირებით „დროება" იუწყებოდა: „ამისთანა ჭკვიანი ადმინისტრატორის დაკარგვა ჩვენის ქვეყნისათვის უეჭველს დანაკლისს შეადგენსო" („გუშინწინ, მარტის 8-ს...", იხ. „დრ.", 1876, №25).

კ. ორლოვსკი დამფუძნებელი წევრი იყო დ. ყიფიანის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით დაარსებული „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკისა" (ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №219, ფ. 1). იგი წევრი იყო აგრეთვე „რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებისა" („კ.კ.", 1852, გვ. 607) და „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოებისა" (იქვე, გვ. 609).

გარდა დიმიტრი ყიფიანისა, კ. ორლოვსკის ახლო მეგობრობა აკავშირებდა სხვა ქართველ მოღვაწეებთანაც. ასე, მაგალითად, ელიზბარ ერისთავმა მას ორი შვილი მოანათვლინა (იხ. ელის. ერისთავი, მოგონება მამაზე, კრბ. „ელიზბარ ერისთავი", თბ., 1997, გვ. 140-141).

150. **ისიდორე (იაკობ სერგეის ძე ნიკოლსკი)** (1799-1892)•— საქართველოს ეგზარქოსი 1844-1858 წწ.; წარმოშობით ტულის გუბერნიიდან იყო. დამთავრებული ჰქონდა სანქტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემია. საქართველოში ყოფნისას ენერგიულად იღვწოდა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებში ისლამის შევიწროებისა და მართლმადიდებლური ქრისტიანობის გავრცელებისათვის. 1849 წელს ისიდორეს ინიციატივითა და ძალისხმევით შეიქმნა ბიბლიის ქართული თარგმანის შემსწორებელი პირველი კომიტეტი. 1858 წელს გადაიყვანეს კიევის მიტროპოლიტად (ქსე, ტ.5, 1980, გვ. 228; ისიდორე ეგზარქოსზე იხ. აგრეთვე, ბროკჰაუზი-ეფრონი, წგნ. 25, 1894, გვ. 365; ნეკროლოგი იხ. „მწყემსი", 1892, №17, გვ. 9).

151. **იოაკიმე რომანოვი** — სასულიერო პირი, რომელიც ერთხანს საქართველოში მოღვაწეობდა (1850-იან წწ. მას დეკანოზის ხარისხი აქვს და საღვთო სჯულს ასწავლის თბილისის გიმნაზიაში). შედგენილი აქვს მოსწავლეთათვის განკუთვნილი „ქართულ-რუსული ანბანი" (ამ საკითხზე საინტერესო მასალაა დაცული ხი-ში — დ. ყიფიანის არქ., საქ. №1947, ფ. 17); მანვე „შეადგინა და დაბეჭდა თათრული ენის დედანი, მოწონებული თათრული და სპარსული ენის მასწავლებლის გრიგორიევის მიერ, მაგრამ დანუნებული სახ. განათლების სამინისტროსაგან" (ტ. ხუნდაძე, ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში, თბ., 1951, გვ. 26).

ხი-ში, დ. ყიფიანის არქივში (საქ. №№1609-1615, ფ. 10), დაცულია იოაკიმე რომანოვის 7 ბარათი დიმიტრი ყიფიანისადმი — გამოგზავნილი პეტერბურგიდან 1860-იან წლებში.

152. **„ინჟინერი ფონ-დერ ნონნე"** — ეს უნდა იყოს მიხეილ ავგუსტის ძე ფონ-დერ ნონე, რომელსაც 1870-1880-იან წლებში საგუბერნიო ინჟინრის თანამდებობა უჭირავს ერევნის გუბერნიაში (იხ. შესაბამისი წლების „კ.-კ.").

153. **ვასილ ივანეს ძე მარკოზოვი (მარკოზაშვილი)** (1838-1908) — ინფანტერიის გენერალი, ავტორი რუსულ ენაზე დაწერილი წიგნისა — „კრასნოვოდსკის რაზმი და მისი თავგადასავალი" (ამ საკითხზე იხ. ს. ლეკიშვილი, ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიის ფურცლები, „მნათობი", 1985, №4, გვ. 156-157).

1860 წლის 17 დეკემბერს დიმიტრი ყიფიანი პეტერბურგიდან სწერს ცოლს: „გუშინ ფრანგულ თეატრში შევხვდი ახალგაზრდა მარკოზოვს. იგი სავსებით ჯანმრთელია და ყოველმხრივ უზრუნველყოფილი. ყოველ შაბათს ჩამოდის ცარსკოე-სელოდან და ორშაბათამდე აქა რჩებაო" (ლმ, №14816-ხ, ფ. 1).

154. **ვლადიმერ ალექსანდრეს ძე სოლოგუბი** (1813-1882) — რუსი მწერალი, ჟურნალისტი, მემუარისტი, რუსეთის საიმპერატორო კარის ისტორიოგრაფი, ავტორი თავის დროზე გახმაურებული წიგნისა — „ტარანტასი". 1850-იან წწ. ვლ. სოლოგუბი თბილისშია და ხელმძღვანელობს აქაურ რუსულ თეატრს, ამასთანავე, თანამშრომლობს გაზ. „კავკაზში", სადაც ძირითადად აქვეყნებს თეატრალურ და ლიტერატურულ რეცენზიებს.

თანამედროვეთა გადმოცემით, ვლ. სოლოგუბს უყვარდა საქართველო, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ იგი ქართულ კულტურას დიდმპყრობელური ქედმაღლობით უყურებდა (იხ. ს. გერსამია, გიორგი ერისთავის თეატრი, თბ., 1950, გვ. 40-41). 1856 წელს ვლ. სოლოგუბს დავალებული ჰქონდა ქართულ თეატრში შექმნილი ვითარების გამორკვევა და ისიც ოფიციალურად ატყობინებს კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორს ა. კრუზენშტერნს:

„ხელოვნების თვალსაზრისით ქართული დასი ხსენებადაც არ ღირს და სანყენი იქნებოდა, თეატრის დასახმარებლად გადადებული თანხიდან მის შესანახად თუნდაც ერთი გროშის გაღება. ქართული თეატრის ისტორია, როგორც ცნობილია, მეტად სამწუხაროა. დასის პირადი შემადგენლობა შერჩეულია ველურებისგან... ქართულ თეატრი, როგორც არტისტული, ისევე მორალური თვალსაზრისით, დაეშვა სკანდალურ მდგომარეობამდე, ხოლო ყოველგვარი სკანდალის მოსპობა უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ" (დამოწმებულია პ. გუგუშვილის წიგნიდან — ქართული ჟურნალისტიკა, ტ. I, თბ., 1941, გვ. 134; ამ საკითხზე იხ. აგრეთვე, ს. გერსამია, დასახ. წიგნი, გვ. 210-211).

ლიტერატურა ვლ. სოლოგუბზე იხ. Краткая Литературная Энциклопедия, т. 7, М., 1972, გვ. 51; ქართული თემატიკის შესახებ ვლ. სოლოგუბის შემოქმედებაში იხ. И. Богомолов, Тропою дружбы, Тб., 1984, გვ. 58-77.

ხი-ში, დ. ყიფიანის არქივში, დაცულია (საქ. №1632) ვლ. სოლოგუბის ერთი ბარათი დიმიტრი ყიფიანისადმი — დათარიღებული 1845 წლის 5 მარტით, კერძო ხასიათისა.

155. **ევგენი (ევგრაფი) ალექსანდრეს ძე ვერდერევსკი** (1825-1867 წ. შემდეგ) — რუსი პოეტი და ჟურნალისტი. კავკასიაში (თბილისში) ჩამოვიდა 1853 წელს. იყო გაზეთ „კავკაზის" რედაქტორი (17. II. 1854-26. I. 1856); 1855 წელს თბილისში გამოსცა რუსული ლიტერატურული ალმანახი „ზურნა", რომელსაც შესამჩნევი რეზონანსი მოჰყვა როგორც კავკასიის რუსულ, ისე რუსეთის პრესაში. ამ მხრივ, აღსანიშნავია ნ. ჩერნიშევსკის რეცენზია ჟურნალ „სოვრემენნიკში" (ამ საკითხზე იხ. Д. Кандслаки, Второй литературный альманах Закавказья, კრბ. „ჟურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები", დ. გამეზარდაშვილის რედაქციით, III, 1974, გვ. 389-390; ე. ვერდერევსკის მიმართვა მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორისადმი „ზურნის" გამოცემის განზრახვის შესახებ — დათარიღებული 1854 წლის 22 ოქტომბრით — იხ. ხი, მიხ. თუმანიშვილის არქ., საქ. №1239, ფ.3).

ხი-ში (დ. ყიფიანის არქ., საქ. №1356, ფ.1) დაცულია ე. ვერდერევსკის ბარათი დიმიტრი ყიფიანისადმი, რომლითაც „კავკაზის" რედაქტორი სთხოვს ადრესატს, მიაწოდოს რაიმე ლიტერატურული მასალა „ზურნაში" დასაბეჭდად, მაგრამ დიმიტრიმ ეს თხოვნა არ დააკმაყოფილა. ხოლო სხვა ბარათში (დ. ყიფიანის არქ., საქ. №1355, ფ.1) ე. ვერდერევსკი უკვე სხვა წინადადებით მიმართავს დ. ყიფიანს - მიიღეთ მონაწილეობა „კავკაზის" რედაქციის მუშაობაში და, ამასთანავე, უმორჩილესად გთხოვთ, თქვენი ნაწერებით დაამშვენოთ ჩემი გაზეთის ფურცლებიო, რაზეც დიმიტრიმ კატე-

გორიული უარით უპასუხა (ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №721, ფ.2) — არავითარი სურვილი არა მაქვს ვითანამშრომლო იმ რედაქციასთან, რომელიც ჩემს სტატიებს დამახინჯებულად ბეჭდავსო.

ე. ვერდერევსკის ეკუთვნის წიგნი — «Кавказские пленницы или плен у Шамиля. Невымышленная повесть о восьмимесячном и шестидневном (в 1854-1855 гг.) пребывании в плену у Шамиля семейств: Генерал-майора Князя Орбелиани и Полковника Князя Чавчавадзе» (С.-Пб., 1856; მეორე გამოცემა - М., 1857; იმავე 1857 წელს ლონდონშიც გამოიცა ინგლისურ ენაზე — იხ. ალ. დიუმა, კავკასია, თბ., 1970, გვ. 17). ე. ვერდერევსკის ეს წიგნი ერთ-ერთი წყაროა ლ. ტოლსტოის „ჰაჯი-მურატისა".

1856 წელს ე. ვერდერევსკიმ დატოვა საქართველო.

ე. ვერდერევსკიზე იხ.: Русские писатели. 1800-1917 (Биографический словарь), т. I, М., 1989, გვ. 421-422 (აქვეა წყაროები და ლიტერატურა ე. ვერდერევსკიზე); И. Богомолов, Тропою дружбы, Тб., 1984 გვ. 77-92.

156. **სოლომონ არტემის ძე ამიროვი** — ამიერკავკასიის მხარის მთავარი ექიმი, ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი („დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკ„) — იხ. „კ.კ.", 1881, გვ. 136.

157. **კამერონი** - ?

158. **ჟანტი დე როზმორდუკი** — ფრანგი მრენველი (გრაფი), რომელიც სამეგრელოს მთავარმა, დავით დადიანმა, 1848 წელს მოიწვია ზუგდიდში და აბრეშუმის ფაბრიკა გაამართვინა (ი. მეუნარგია, სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი, თბ., 1939, გვ. 152). ეს ფაბრიკა ომერ-ფაშას შემოსევას შეეწირა, თუმცა როზმორდუკი ბედს არ შეურიგდა, სტამბოლში ჩავიდა და საფრანგეთის იქაური ელჩის მეშვეობით ოსმალეთის ხელისუფლებას ზარალი ფულით აზღვევინა (კ. ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი. მოგონებანი, თბ., 1934, გვ. 48; იქვე როზმორდუკი სხვა შემთხვევებთან დაკავშირებითაცაა ნახსენები — გვ. 35, 177-178, 293).

როზმორდუკმა ზუგდიდშივე შეირთო ქართველი ქალი (ს. ჭილაია, ეკატერინე ჭავჭავაძე, თბ., 1969, გვ. 543), ხოლო ამათი შვილი თავის მემუარებში ნახსენები ჰყავს სამსონ ფირცხალავას: „ფრანგ-ქართველი როზმორდიუკ... ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი, ქართულად და მეგრულად მოლაპარაკე" (ს. ფირცხალავა, მოგონებათა ფურცლები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და პირთა საძიებელი დაურთო ლ. ნანიტაშვილმა, თბ., 1988, გვ. 16).

ხი-ში (დ. ყიფიანის არქ., საქ. №№1606-1608, ფ.5) დაცულია როზმორდუკის სამი ბარათი დიმიტრი ყიფიანისადმი (ფრანგულ ენაზე) — მიწერილი 1862-1863 წლებში; ხი-შივე (პაპუნა წერეთლის

ფოტოკოლექცია, №1134) დაცულია ნინო ფაღავა-როზმორდუკის ფოტოსურათი.

159. **„რუსსკი ვესტნიკ“** (1856-1906) — საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურული ჟურნალი, რომელიც დააარსა მიხ. კატკოვმა და ამ ჟურნალმა განელო რთული და წინააღმდეგობრივი გზა ლიბერალურიდან უკიდურესად შოვინისტურ მიმართულებამდე. აქ გამოქვეყნდა პირველად ლ. ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“, თ. დოსტოევსკის „დანაშაული და სასჯელი“ და სხვ.

160. **ნიკოლოზ პეტრეს ძე კოლიუბაკინი** (1810-1868) — რუსი სახელმწიფო და სამსედრო მოღვაწე, გენერალ-ლეიტენანტი და სენატორი. მონაწილეობდა 1830-1831 წწ. პოლონეთის აჯანყების ჩახშობაში. ამის შემდეგ თავის უშუალო უფროსთან შეტაკებისა და მისი შეურაცხყოფის გამო ნიკ. კოლიუბაკინი ჩამოაქვეითეს რიგით ჯარისკაცად და კავკასიაში განაწესეს სამხედრო სამსახურში (1834 წ.); რამდენიმე წელიწადში მან დაიბრუნა ოფიცრის ხარისხი და სწრაფად დაწინაურდა კავკასიის ადმინისტრაციულ საფეხურებზე —სხვადასხვა წლებში იყო ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი და სამეგრელოს მმართველი (1857 წ.), ერევნისა (1858-1861 წწ.) და ქუთაისის (1861-1862 წწ.) სამხედრო გუბერნატორი. 1862 წელს გაინვიეს კავკასიიდან იმის გამო, რომ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის ალ. გაგარინის მკვლელობისთვის სამხედრო ტრიბუნალის მიერ დახვრეტილი (1857 წ.) მურზაყან (კონსტანტინე) დადიშქელიანის ნეშტის ეკლესიაში გადასვენების უფლება მისცა ჭირისუფალს (ამ საკითხზე იხ. საისტორიო მასალა. კრუზენშტერნისა და კოლიუბაკინის მიწერ-მოწერა, „ცნ. ფ.“, 1902, №1767).

სიცოცხლის უკანასკნელი წლები ნიკ. კოლიუბაკინმა გაატარა მოსკოვში, სადაც სენატორი იყო და ვლ. ოდოევსკის ლიტერატურული წრის მუშაობაშიც მონაწილეობდა.

ნიკ. კოლიუბაკინი მეტად არაორდინალური პიროვნება იყო — უბრალო ხალხის მიმართ გულთბილი და გულმოწყალე, ამასთანავე, მკაცრი ადმინისტრატორი და მეტისმეტად გულფიცხი, ფეთქებადი ხასიათის ადამიანი, რის გამოც განუწყვეტელი კონფლიქტები ჰქონდა როგორც უფროსებთან, ისე ხელქვეითებთანაც (ნიკ. კოლიუბაკინის ერთი ასეთი შეტაკება ვახტანგ გურამიშვილთან აკაკისაც აქვს აღწერილი — იხ. ა. წერეთელი, თ. ვახტანგ გურამიშვილი, თხზ. სრ. კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. XIII, თბ., 1961, გვ. 161-162).

1857 წელს ნიკ. კოლიუბაკინი სამეგრელოს მმართველი იყო და ენერგიულად მოქმედებდა სამთავროს გაუქმებისთვის საჭირო ნიადაგის მოსამზადებლად.

დიმიტრი ყიფიანსა და ნიკ. კოლიუბაკინს პირად ცხოვრებაში მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ, მაგრამ სამსახურებრივ მო-

ვალეობათა შესრულებისას (კერძოდ, „სამეგრელოს საკითხზე") არაერთხელ მოსვლიათ განხეთქილება. ამის შესახებ დიმიტრის უწერია თავის „მემუარებში" (1990, გვ. 73), ხოლო 1861 წლის ოქტომბერში დ. ყიფიანი კატეგორიული ტონით მოითხოვს ნიკ. კოლიუბაკინისაგან: ფოტოპორტრეტები უნდა დავუბრუნოთ ერთმანეთსო (ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №737, ფ.1) და დიმიტრის ამ სურვილს ნიკ. კოლიუბაკინი ასრულებს კიდეეაც (იქვე, საქ. №1401, ფ. 1).

ნიკ. კოლიუბაკინზე იხ.: ქსე, ტ. 5, 1980, გვ. 582; ბროკჰაუზი-ეფრონი, წგნ. 30, 1895, გვ. 806-807; კ. ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი. მოგონებანი, თბ., 1934, გვ. 83-95...

161. **მიხეილ პეტრეს ძე კოლიუბაკინი** (გარდ. 1872) — რუსი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ლეიტენანტი, ნიკ. კოლიუბაკინის (იხ. წინა კომენტარი) ძმა. დამთავრებული ჰქონდა ცარსკოე-სელოს ლიცეუმი. კავკასიაში სხვადასხვა დროს მაღალი თანამდებობები ეჭირა: იყო ჭარ-ბელაქნის ოლქის უფროსი, ყარაბაღის მაზრის უფროსი, თბილისისა და ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი, სამეგრელოს მმართველი, ხოლო სიცოცხლის ბოლო წლებში — ბაქოს სამხედრო გუბერნატორი (მოკლე ბიოგრაფიული ცნობები იხ. „საქ. კ.", 1890, გვ. 455; ბაქოს სამხედრო გუბერნატორის თანამდებობაზე ყოფნისას იქაურ სამოქალაქო საქმეებსაც განაგებდა — იხ. „კ.კ.", 1871, გვ. 39). ძმები კოლიუბაკინები იყვნენ „რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების" წევრები („კ.კ.", 1858, გვ. 461).

მიხ. კოლიუბაკინთან, - ისევე როგორც მის ძმასთან, ნიკოლოზთან, - დიმიტრი ყიფიანს მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდა, მაგრამ 1850-იანი წწ. დასასრულს „სამეგრელოს საკითხთან" დაკავშირებით მათი ურთიერთობა მეტისმეტად გამწვავდა, რის გამოც დიმიტრი 1860 წლის მაისში ცარსკოე-სელოდან სწერს თავის მეუღლეს (ბარათი რუსულ ენაზეა): „გამეცინა, როცა შენს წერილში წავიკითხე, რომ მიხ. კოლიუბაკინს თავი აურიდებია შენთან პირისპირ შეხვედრისგან. ამგვარ უზრდელობას ერთადერთი ახსნა შეიძლება მოეძებნოს — სინდისი არაა სუფთა. გრძნობს, შეგნებულიც აქვს, რომ უნამუსოდ მომექცა და ამიტომაც ძალა არ ჰყოფნის, ჩემს ცოლს თვალებში შეხედოს. თუმცა ეს არც ისე ცუდია — ჩანს, სინდისისგან მთლად გარეცხილიც არაა. მე კი, ჩემდათავად, არასოდეს ჩავიდენ ისეთ საქციელს, რისთვისაც შეიძლება ჩემი ცოლ-შვილი განითლდეს" (ლმ, №14784-ხ, ფ.2).

მიხ. კოლიუბაკინზე იხ. კ. ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი. მოგონებანი, თბ., 1934, გვ. 83, 91, 177, 294-295, 298-299, 305, 321.

162. **„ძმანი ყაითმაზოვნი"** (ყაითმაზაშვილები):

ა) **ივანე ლაზარეს ძე** — ქართული და რუსული ენების ცენზორი 1860-1870-იან წწ., სამოქალაქო მრჩეველი („სტატსკი სოვეტნიკ"). აკაკი ივანე ყაითმაზოვს ახასიათებს, როგორც „კარგ კაცს", მაგრამ „აუტანელ ცენზორს" და იუმორის კილოთი იგონებს ერთ შემთხვევას ი. ყაითმაზოვის ცენზორული „მოღვაწეობიდან" (ა. წერეთელი, მოგონება, თხზ. სრ. კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. XIV, თბ., 1961, გვ. 335-337; ი. ყაითმაზოვზე, როგორც ცენზორზე, იხ. აგრეთვე: პ. გუგუშვილი, ქართული ჟურნალისტიკა, ტ. I, თბ., 1941, გვ. 137, 157, 182; ალ. კალანდაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, II, თბ., 1984, გვ. 111-112, 116).

ბ) **ნიკოლოზ ლაზარეს ძე** (1829-1891) — დამთავრებული ჰქონდა პეტერბურგის უნივერსიტეტი, ერთხანს ერევანში მსახურობდა, შემდეგ კი დანიშნეს ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარედ და ამ თანამდებობიდან ნებაყოფლობით გადადგა 1888 წელს; სიცოცხლის უკანასკნელი წლები გაატარა თბილისში, სადაც ქალაქის საბჭოს ხმოსნად იყო არჩეული. „დროებაში" ნიკ. ყაითმაზოვი დახასიათებულია, როგორც „პატიოსანი კაცი და უანგარო მსაჯული" (ახალი ამბავი, 1891, №19).

163. **„ივ. ივ. განგესოვი"** — უნდა იყოს: **ივანე ვასილის ძე განგესოვი** — დიმიტრი ყიფიანის ბიძაშვილის აღათი ყიფიანის (იხ. მომდევნო კომენტარი) მეუღლე, ქუთაისის გიმნაზიის ინსპექტორი 1850-1860-იან წწ. (იხ. შესაბამისი წლების „კ.კ."). 1861 წლის 3 ივნისს მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს უფროსი ალ. კრუზენშტერნი დიმიტრი ყიფიანს სწერს: განგესოვს ქუთაისის გიმნაზიის დირექტორობა სურდა, მაგრამ არ დანიშნესო (ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №1417, ფ.1).

ხი-ში, დ. ყიფიანის არქივში (№№1066-1089, ფ.46), დაცულია ივ. განგესოვის ბარათები დ. ყიფიანისადმი — გამოგზავნილი ქუთაისიდან 1857-1871 წლებში, კერძო ხასიათისა. ხი-შივეა დაცული (პაპუნა წერეთლის ფოტოკოლექცია, №389) ივ. განგესოვის ფოტოსურათი.

გ. აბზიანიძის აზრით, სწორედ ივ. განგესოვი იყო ის „გამხეცებული ზედამხედველი", რომელიც ა. წერეთელს ჰყავს მოხსენიებული „ჩემს თავგადასავალში" და რომელიც, - აკაკის თქმით, - შეუბრალებლად ექცეოდა გიმნაზიის მონაფეებს (ა. წერეთელი, თხზ. სრ. კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. VII, თბ., 1958, გვ. 61, 362).

164. **აღათი დავით ყიფიანის ას. განგესოვა** (გარდ. 1857) — დიმიტრი ყიფიანის ბიძაშვილი, ქუთაისში გათხოვილი იქაური გიმნაზიის ინსპექტორზე — ივანე განგესოვზე (იხ. წინა კომენტარი). 1857 წლის 26 ივნისს ივ. განგესოვი ქუთაისიდან დიმიტრი ყიფიანს ატყობინებს აღათის ავადმყოფობისა და გარდაცვალების ამბავს (ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №1066, ფ.2; იქვეა, - საქ. №№1064-1065,

ფ. 3, - დაცული აღათი განგესოვას ორი ბარათი დიმიტრი ყიფიანისადმი, კერძო ხასიათისა).

„დროების" მიხედვით, 1880 წელს ქუთაისის სცენაზე, - მოლიერისა და გ. წერეთლის პიესებში, - უთამაშია „სცენიკური ღირსების" მქონე ახალგაზრდა მსახიობს მარიამ განგესოვისას (ქუთათური ტრუპპა, „დრ.", 1880, №65; მაყურებელი, „ქუთაისი, 6 მაისს...", იქვე, №99), მაგრამ თუ ვინ იყო იგი აღათი და ივანე განგესოვებისა, ჩვენ ვერ გამოვარკვიეთ.

165. **დავით გიორგის ძე ყიფიანი** — დიმიტრის ბიძა, რომელსაც ჰყავდა ორი შვილი: აღათი განგესოვისა და ეფემია ნიჟარაძისა [სთკმსმ, კ. ყიფიანის არქ., საქ. №1469 (1), ფ.1].

166. **ნიკოლოზ (ნიკო) დავითის ძე დადიანი (მინგრელსკი)** (1847-1903) — სამეგრელოს უკანასკნელი მთავარი (1867 წლის იანვარში ნებაყოფლობით თქვა უარი მთავრის უფლებებზე, რასაც ფაქტობრივად ისედაც უფლებააყრილი სამეგრელოს სამთავრო ტახტის საბოლოო გაუქმება მოჰყვა), სამხედრო და საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი, ბიბლიოფილი, დამფუძნებელი ნევრი „ქმწ-კგ საზოგადოებისა", რომელსაც 1885 წელს უმდიდრესი და უძვირფასესი ბიბლიოთეკა შესწირა (ამ საკითხზე იხ.: თ. ჩხიტუნიძე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საბიბლიოთეკო და საგამომცემლო მოღვაწეობა, თბ., 1980, გვ. 16-17; გ. მიქაძე, დავით დადიანის ბიბლიოთეკა, „მწიგნობარი", 1980, გვ. 85-87).

1886 წელს ნიკო დადიანის კანდიდატურა რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე III-ის მიერ წარდგენილი იყო ბულგარეთის მთავრის თანამდებობაზე, მაგრამ იმ დროს ბულგარეთში გავრცელებული ანტირუსული განწყობილების გამო ნ. დადიანი ვერ დაეუფლა სამთავრო ტახტს (იხ.: ი. ჭავჭავაძე, სამეგრელოს მთავრის კანდიდატობა ბოლგარეთში, თხზ. სრ. კრებული ათ ტომად, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, ტ. IX, თბ., 1957, გვ. 245-247; აგრეთვე, „ივ.", 1886, №№250, 253, 255-257, 266; შ. მეგრელიძე, ჩვენი სახელოვანი სამხედრო წინაპრები, თბ., 1979, გვ. 191; გ. ავალიანი, რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან, თბ., 1967, გვ. 121).

დიმიტრი ყიფიანი 1859-1867 წწ. იყო ჯერ კიდევ არასრულწლოვანი ნიკო დადიანისა და სამეგრელოს სამთავრო ქონების მეურვე („აპეკუნი"), მაგრამ ეს ურთიერთობა ნ. დადიანის საჩივრით დასრულდა, რის საფუძველზეც დიმიტრის სამეგრელოს ყოფილი მთავრის სასარგებლოდ 113 ათასი მანეთის (და არა 114 ათასისა, როგორც ნიკ. ყიფიანი აღნიშნავს) გადახდა დაეკისრა, რაც საბოლოოდ 50 000 მანეთის ვალამდე დაუყვანეს (ამ საკითხზე იხ.: დ. ყიფიანი, სამეგრელოს მთავრის სახლი და დიმიტრი ყიფიანი, ტფ.,

1869; მისივე, მემუარები, თბ., 1990, გვ. 70-75, 80-81; А. Авалов, Заседание Тифлисского окружного суда 9 апреля 1871 года по делу Князя Николая Мингрельского с ДСС Димитрием Кипиани о 112 967 р. 14 к., Тфл., 1871; ი. უთურაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, თბ., 1989, გვ. 54-81). საბოლოოდ დ. ყიფიანისა და ნ. დადიანის დავა მორიგებით დასრულდა, ხოლო 1880-1882 წწ. დიმიტრი იყო ნიკო დადიან-მინგრელსკის მაიორატის საქმეთა გამომრკვევი სახელმწიფო კომისიის წევრი და ამის გამო რამდენჯერმე პეტერბურგში წასვლაც მოუხდა (იხ. ყიფიანი, მემუარები, 1990, გვ. 80-96; აგრეთვე, ჩვენი პუბლიკაცია: დიმიტრი ყიფიანის დღიური, „ლიტერატურა და ხელოვნება", 1991, №1, გვ. 212-228).

ნიკო დადიანისა და დიმიტრი ყიფიანის ურთიერთობის გარშემო დიდად საინტერესო პირველწყაროებია დაცული ხი-ში (დ. ყიფიანის არქ., საქ. №№441, 755-760 და სხვ.). აქვეა (№442, ფ.1) დაცული პროექტი ალექსანდრე II-ისამდი ნიკო დადიანის მიმართვისა, რომლის თანახმადაც ეს უკანასკნელი ნებაყოფლობით ამბობს უარს სამეგრელოს მთავრის უფლებებზე. პროექტი გადაწერილია დიმიტრი ყიფიანის ხელით და, ვფიქრობთ, ტექსტიც დიმიტრის მიერ ან მისი მონაწილეობითაა შედგენილი (გამოქვეყნებულია ა. ჯორჯაძის მიერ. იხ. მისი, წერილები, თბ., 1989, გვ. 546-547) .

ნიკო დადიანი გარდაიცვალა პეტერბურგში, საიდანაც ჩამოასვენეს სამშობლოში და მარტვილის ტაძარში დაკრძალეს (მასალები ნ. დადიანის გარდაცვალება-დაკრძალვის გარემოებებზე იხ.: „ივ.", 1903, №№20-25, 28, 32, 34, 35; „ცნ. ფ", 1903, №№2051-2055, 2058-2060, 2062, 2071, 2088; „მწყ.", 1903, №3, გვ. 9-10; „კვ.", 1903, №5, გვ. 71)...

6. დადიან-მინგრელსკის შთამომავლობაზე იხ. ლ. კიკნაძე, ალექსანდრე ჭავჭავაძის შთამომავლობა, „მნათობი", 1998, №3-4, გვ. 155-156.

167. დიმიტრი ყიფიანი სამეგრელოს სამთავრო სახლის ინტერესების დაცვისთვის სახელმწიფო სამსახურიდან დაითხოვეს 1862 წლის 21 ივნისს (ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №29, ფ. 108; ოფიციალური მიმოწერა ამ საკითხზე იხ. შ. ჩხეტია, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, თბ., 1950, გვ. 120-122, 296-297; დათხოვნის მიზეზებზე იხ. დ. ყიფიანი, მემუარები, 1990, გვ. 70-75).

168. „აპეკუნობის" საქმეებზე დიმიტრი ყიფიანს რამდენჯერმე მოუხდა პეტერბურგში წასვლა (1860-1861, 1865-1866, 1880-1882 წწ.). ავტორს აქ მხედველობაში აქვს დიმიტრის ყოფნა პეტერბურგში 1860-1861 წწ.

169. ამ საკითხზე 1860 წლის 3 ოქტომბერს დიმიტრი ყიფიანი პეტერბურგიდან სწერს თავის მეუღლეს: პეტერბურგში ამჟამად

სხვადასხვა საჯარო კურსები იხსნება, რომელთაგან ერთს, - ჩემთვის დიდად საინტერესოს, - ვისმენ უნივერსიტეტში და, ამას გარდა, ფრანგულ და ინგლისურ ენათა კურსების მოსმენაც მაქვს გადაწყვეტილიო (ლმ, № 14802-ბ, ფ.2).

170. ავტორს მხედველობაში აქვს დიმიტრი ყიფიანის წიგნი — „ახალი ქართული გრამმატიკა" (დაიბეჭდა 1882 წელს, სანქტ-პეტერბურგში, საიმპერატორო აკადემიის სტამბაში), რომელიც „ყველაზე მნიშვნელოვანია, რაც კი დაწერილა ამ დარგში მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში... და ტრადიციული გრამატიკის პრინციპებიდან ამოსული შაბლონური სისტემით შებოჭილობის" მიუხედავად, მეტყველებს ავტორის, როგორც მოაზროვნის, დიდ თავისთავადობასა და გამჭრიახ გონებაზე (არნ. ჩიქობავა, დიმიტრი ყიფიანი და ქართული ენის თავისებურებათა საკითხი, კრბ. „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები", VII, 1998, გვ. 309, 314).

171. **ოვიდიუსი პუბლიუს ნაზონ** (ძვ. წ. 43-ახ.წ. 17) — რომაელი პოეტი.

172. **ვერგილიუსი პუბლიუს მარონ** (ძვ.წ. 70-ძვ.წ. 19) — რომაელი პოეტი, რომის ბატონობის აპოლოგეტი, ავტორი „ბუკოლიკების", „გეორგიკებისა" და „ენეიდასი". მის თხზულებებში, აგრეთვე, ამ თხზულებებზე დართულ ძველ კომენტარებში მრავალმხრივ საინტერესო ცნობებია კოლხეთზე.

173. იგულისხმება დიმიტრი ყიფიანის პატიმრობა 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის. ამასთანავე, როგორც ეს ადრე გვაქვს აღნიშნული, შეთქმულების მონაწილეები და მათ შორის დიმიტრიც „მეტეხის ციხეში" კი არ იყვნენ დამწყვდეულნი, არამედ „პოკროვის ყაზარმებში" (იხ. კომენტარი №48).

174. ნიკ. ყიფიანს მხედველობაში აქვს საგლეხო რეფორმის ჩასატარებლად ხელისუფლების მიერ შექმნილი სპეციალური საგლეხო კომიტეტი, რომელმაც 1861 წლის მარტიდან 1864 წლის ნოემბრამდე იარსება და რომელშიც, „ოცამდინ თავად-აზნაურთა" გარდა, მაღალი თანამდებობის სახელმწიფო პირებიც შედიოდნენ: ალ. ნიკოლაი (თავმჯდომარე), ა. ფადეევი, ე. სტარიცკი, კ. ორლოვსკი და სხვ. (შ. ჩხეტია, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, თბ., 1950, გვ. 18-19). ამასთანავე, ისიც უნდა ითქვას, რომ ნიკ. ყიფიანის მიერ ჩამოთვლილ პირთაგან ვ. თულაშვილს „კომიტეტთან" არავითარი კავშირი არა ჰქონია (იხ. ვ. თულაშვილის განმარტება წინამდებარე წიგნში, გვ. 45).

175. **იასე ნოშრევანის ძე ჭავჭავაძე** (გარდ. 1898) — სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი („დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკ"), „ქშწ-კგ საზოგადოების" დამფუძნებელი წევრი (იხ. ლ. გოდერიძე, მასალები ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ისტორიი-

სათვის, „საისტორიო მოამბე", №37-38, 1978, გვ. 32). იასე ჭავჭავაძე აქტიურად მონაწილეობდა 1864 წლის საგლეხო რეფორმის განხორციელებაში და, აქედან მოკიდებული ვიდრე გარდაცვალებამდე, იყო თბილისის გუბერნიის საგლეხო საქმეთა საკრებულოს წევრი.

გარდაიცვალა 1898 წლის 18 აგვისტოს, კოჯორში, დაკრძალეს ვერის იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიის გალავანში (იხ. „ივ.", 1898, №№177, 180; ნეკროლოგი, სადაც იასე ჭავჭავაძე დახასიათებულია, როგორც „ფრიად გულკეთილი, მართალი, პატიოსანი და თავმდაბალი კაცი", იხ. „ცნ.ფ.", 1898, №610).

176. **ნიკოლოზ (ნიკო) ზურაბის ძე ჭავჭავაძე** (1830-1897) — რუსეთის არმიის კავალერიის გენერალი და ქართველი საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი, ბიბლიოფილი, „ქშწ-კგ საზოგადოების" დამფუძნებელი წევრი, „თერგდალეულებთან" დაახლოებული პირი და ი. ჭავჭავაძის ახლო მეგობარი (ილიას ხელისმომკიდე იყო დავით ქაიხოსროს ძე ყიფიანთან ერთად); მონაწილეობდა ე. წ. კავკასიის ომებში, რუსეთ-ოსმალეთის 1853-1856 და 1877-1878 წწ. ომებში; განსაკუთრებით ისახელა თავი ბაშკადიკლარისა (1853) და ჩოლოქის (1854) ცნობილ ბრძოლებში; სხვადასხვა წლებში იყო დარღოს ოლქის მმართველი, დაღესტნის ოლქის უფროსი, განჯის გენერალ-გუბერნატორი; 1880 წელს დანიშნეს სამხედრო გუბერნატორად დაღესტანში, სადაც 1896 წლამდე დარჩა და თავისი სიმამაცის, პრინციპულობის, პატიოსნების, იქაურთა ღირსებისა და წეს-ჩვეულებათა გულწრფელი პატივისცემის გამო მოსახლეობის ისეთი სიყვარული მოიპოვა, რომ მოგვიანებით ყოფილი მმართველის ცხედარი დაღესტნელებმა მიცვალებულის ბინიდან (გუდოვიჩის, ამჟამად დ. ჭონქაძის ქუჩა) ქაშვეთის ტაძარში საკუთარი მხრებით მიასვენეს და ტაძრიდანაც თვითონ გამოასვენეს (იხ. განსვენება თავ. ნ. ზ. ჭავჭავაძის ცხედრისა, „ივ.", 1897, №47).

ნ. ჭავჭავაძე აქტიურად მონაწილეობდა 1860-იანი წწ. საგლეხო რეფორმის განხორციელებაში და ცდილობდა, რეფორმისთვის ლიბერალური ხასიათი და მიმართულება მიეცა (ამ საკითხზე იხ. გ. თოდუა, XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივ-ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები, ნაწ. II, თბ., 1987, გვ. 54-62).

სიკვდილის წინ ნ. ჭავჭავაძემ 25 000 მანეთი დატოვა ქართველი ახალგაზრდობის სწავლა-განათლებისთვის (იხ. „კვ.", 1897, №12, გვ. 237-238); გარდაცვალებით კი იგი გარდაიცვალა 1897 წლის 9 მარტს, თბილისში. „ხმის ამომღები კაცი მოგვიკვდა, ჭკუიანი მოსარჩლე და გაბედული ქომაგი გამოგვეცალა ხელიდამ" — წერდა იმ დღეებში ილია ჭავჭავაძე (თავადი ნ.ზ. ჭავჭავაძე. ნეკროლოგი, „ივ.", 1897,№45). ქართველი საზოგადოება გულისტკივილით გამოემშვიდობა ღირსეულ მამულიშვილს, ცხედარი კი ნაას-

ვენეს კახეთს და დაკრძალეს მშობლიურ ყვარელში, ნ. ჭავჭავაძის მიერვე აგებულ ეკლესიაში (ნ. ჭავჭავაძის გარდაცვალება-დაკრძალვის გარემოებებზე იხ.: „ივ.", 1897, №№45, 47, 55; „ცნ.ფ.", 1897, №№138, 140-142, 147, 149-151, 154).

ნიკო ჭავჭავაძეზე იხ. აგრეთვე: გ. ავალიანი, რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან, თბ., 1967, გვ. 143-145; ი. ბეროშვილი, ნიკო ჭავჭავაძე, „ლიტერატურული საქართველო", 1988, №9; ი. გოგებაშვილი, სხვათა შორის, თხზულებანი, ტ. III, თბ., 1954, გვ. 27-36; შ. მეგრელიძე, ჩვენი სახელოვანი სამხედრო წინაპრები, თბ., 1979, გვ. 80-84.

აკაკის ლექსი — „ნ. ჭავჭავაძის გარდაცვალების გამო" — იხ. ა. წერეთელი, თხზ. სრ. კრებული (თხუთმეტ ტომად), ტ. II, თბ., 1950, გვ. 352-353.

177. **მიხეილ ბირთველის ძე თუმანიშვილი** (1818-1875) — სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, საიდუმლო მრჩეველი („ტაინი სოვეტნიკ"), მწერალი, ჟურნალისტი, თეატრალური კრიტიკოსი, ეთნოგრაფი... ყმაწვილობიდანვე ჩაება აქტიურ კულტურულ-საგანმანათლებლო, ჟურნალისტურ და ლიტერატურულ საქმიანობაში, კერძოდ, 1830-იან წლებში, - ჯერ კიდევ თბილისის გიმნაზიის მოწაფე (სადაც, სხვათა შორის, ნ. ბარათაშვილთან ერთად სწავლობდა და ახლო მეგობრობაც აკავშირებდა ჩვენს დიდ პოეტთან), - თაოსანი იყო გიმნაზიის მოწაფეთა ხელნაწერი ლიტერატურული გამოცემებისა [ამ საკითხზე იხ.: მიხ. ხელთუბნელი, სალიტერატურო-საზოგადოებრივი ნარსულიდან (მიხეილ თუმანიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა), თბ., 1938, გვ. 27-38; მ. გოცაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, I, თბ., 1954, გვ. 248-262; რ. ახვერდიანი, მიხეილ თუმანიშვილის უცნობი ნაწარმოებები, „მწიგნობარი-84", ნაწ. II, 1986, გვ. 104-109].

მ. თუმანიშვილი რომანტიზმის სკოლის პოეტია (მის შემოქმედებაზე იხ. ჯ. ჭუმბურიძე, მიხეილ თუმანიშვილი, წიგნში: ქართული ლიტერატურის ისტორია ექვს ტომად, ტ. III, თბ., 1969, გვ. 207-209), თუმცა მისი მწერლური ვინაობა გაცილებით უფრო საინტერესო ჩანს, როგორც ალ. პუშკინის მთარგმნელისა (ამ საკითხზე იხ. ქ. ბურჯანაძე, მე-19 საუკუნის ქართული მხატვრული თარგმანის ისტორიის საკითხები, თბ., 1992, გვ. 84-95). იგი საინტერესო ფიგურაა, აგრეთვე, როგორც ლიტერატურისა და, განსაკუთრებით, თეატრალური კრიტიკოსი (იხ. ნ. ურუშაძე, მიხეილ თუმანიშვილი (კრიტიკოსი), თბ., 1978; ჯ. ჭუმბურიძე, ქართული კრიტიკის ისტორია, I, თბ., 1974, გვ. 98-106).

მ. თუმანიშვილი დიდხანს მიიჩნეოდა ი. კერესელიძის „ცისკარში" გამოქვეყნებული „სალაყბო ფურცლების" ავტორად, მაგრამ, როგორც გამოირკვა, იგი ავტორი ყოფილა „მოლაყბის" ფსევდონი-

მით გამოქვეყნებული ერთი (სხვა მონაცემებით — სამი) ფელეტონისა (ამ საკითხზე იხ.: ალ. კალანდაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, II, თბ., 1984, გვ. 148-213; დ. გამეზარდაშვილი, კვლავ „სალაყბო ფურცლების" ავტორთა ვინაობის საკითხისათვის, კრბ. „ჟურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები", III, თბ., 1974, გვ. 186-207; გ. მიქაძე, ქართულ ფსევდონიმთა სამყაროში, თბ., 1998, გვ. 83-88).

მ. თუმანიშვილი დამფუძნებელი წევრი, აქტიური თანამშრომელი და, სავარაუდოდ, ერთ-ერთი დირექტორი იყო დიმიტრი ყიფიანის ინიციატივით დაარსებული „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკისა" (დ. ყიფიანი, მემუარები, 1990, გვ. 123; მაქს. ბერძნიშვილი, მასალები..., I, გვ. 75). ჩვენი ვარაუდით, მ. თუმანიშვილი (დიმიტრი ყიფიანთან ერთად) შემდგენელი უნდა იყოს იმ ხელნაწერი ლიტერატურული კრებულისა, რომელიც ქართველ მწერლებს მანანა ორბელიანისთვის მიუძღვნიათ 1840-იან წწ. და ამჟამად დაკარგულად ითვლება (ამ საკითხზე იხ. ჩვენი წერილი — ერთი დაკარგული „ალმანახის" შესახებ, კრბ. „მიეძღვნა ალექსანდრე ორბელიანის ხსოვნას", II, 1998, გვ. 68-71).

ხი-ში (დ. ყიფიანის არქ., საქ. №№1376-1384, ფ. 17) დაცულია მ. თუმანიშვილის ცხრა ბარათი დ. ყიფიანისადმი — მიწერილი 1863-1865 წწ. (ამათგან ორი უთარიღოა). ბარათები ძირითადად საგლეხო რეფორმას ეხება.

178. **ვახტანგ დიმიტრის ძე თულაშვილი** (1834-1910) — ჟურნალისტი, პუბლიცისტი, პედაგოგი, ქველმოქმედი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, „ქშწ-კგ საზოგადოების" დამაარსებელთაგანი და საპატიო წევრი (1904 წლიდან); მონაწილეობდა „ვეფხისტყაოსნის" 1888 წლის ე.წ. ქართველიშვილისეული გამოცემის მომზადებაში; თვალსაჩინო ფიგურა იმ მოძრაობაში, რომელიც მიზნად ისახავდა ჩვენში პატრიოტული მიზანდასახულობის კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესების აღორძინებასა და განვითარებას (ჟურნალისტიკა, თეატრი, სასტამბო-საგამომცემლო საქმე და სხვ.).

ხი-ში, ი. გოგებაშვილის არქივში (№638, ფ. 184; №639, ფ. 101) დაცულია ვ. თულაშვილის ნაწერები, რომელიც დიდად საინტერესო მასალას შეიცავს XIX ს. ქართული საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების შესასწავლად. ხი-შივეა დაცული ვ. თულაშვილის ორი ბარათი დიმიტრი ყიფიანისადმი — მიწერილი 1870-იან წწ. (დ. ყიფიანის არქ., საქ. №№1374-1375, ფ. 2).

ვ. თულაშვილზე იხ. ალ. კალანდაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, III, თბ., 1985, გვ. 103-106; მ. კეკელიძე, ვახტანგ თულაშვილი, კრბ. „სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები", II, თბ., 1955, გვ. 9-19; А. Пурцеладзе,

Наши общественные дела и участие в них Вахтанга Тулаева, „Закавказская речь", 1911, №№256-257; 1912, №№131, 132, 136, 138; ნეკროლოგი იხ. „სახალხო გაზეთი", 1910, №182.

179. **ივანე კონსტანტინეს ძე მუხრანბატონი (ბაგრატიონ-მუხრანსკი)** (1812-1895) — სამხედრო და საზოგადო მოღვაწე, „ქმწ-კგ საზოგადოების" დამფუძნებელი წევრი და მისი თავმჯდომარე 1882-1885 წწ.; თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი („მარშალი") 1885-1891 წწ. (უფრო ვრცლად ი. მუხრანბატონზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 267-268).

180. „კლუბზე" იხ. კომენტარი №311.

181. **რევაზ ივანეს ძე ანდრონიკაშვილი** (1818-1877) — რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი; სამხედრო განათლება ჰქონდა პეტერბურგში მიღებული (ბიოგრაფიული ცნობები რ. ანდრონიკაშვილზე იხ.: აქტები..., X, 1885, გვ. XIII; ა. აბრამიშვილი, ლიტერატურული წერილები, თბ., 1968, გვ. 89-91).

მიუხედავად იმისა, რომ 1864 წელს რ. ანდრონიკაშვილი ვერ გახდა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის „მარშალი", მან მოგვიანებით, - 1870 წელს, ამ თანამდებობიდან დიმიტრი ყიფიანის ნებაყოფლობითი გადადგომის შემდეგ, - მაინც მოიპოვა ეს პოსტი. სწორედ რ. ანდრონიკაშვილმა წარუდგინა იმპერატორ ალექსანდრე II-ს ადრესი თბილისში კადეტთა კორპუსის გახსნის თხოვნით, რასაც ი. ჭავჭავაძის ცნობილი „გამოცანები" მოჰყვა და აქედან ერთი (თანაც, პირველი) „გამოცანა" რევაზ ანდრონიკაშვილსაც „ერგო" („ულვაშ-სრული, მელოტია, უთაური თავიანი..."; ამ საკითხზე იხ. ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული ოც ტომად, ტ. I, თბ., 1987, გვ. 417-420).

რ. ანდრონიკაშვილი სიყრმის მეგობარი იყო ნიკოლოზ ბარათაშვილისა. მკვლევარ ა. აბრამიშვილის აზრით, ნ. ბარათაშვილის ლექსის — „ნა... ფორტოპიანოზედ მომღერალი" — ადრესატი ნინო ან ეკატერინე ჭავჭავაძეები კი არ არიან, არამედ მეუღლე რევაზ ანდრონიკაშვილისა — ნინა ეილერი (1818-1871), ასული გენერალ ალექსანდრე ქრისტეფორეს ძე ეილერისა (1773-1849) (ა. აბრამიშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 86-89, 91).

რევაზ ანდრონიკაშვილი დაკრძალულია ქაშვეთის ტაძარში.

182. **ზაალ (ტატო) დავითის ძე ბარათაშვილი** — 1860-იანი წწ. დასაწყისში იყო თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის („მარშლის") ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანის მოადგილე და თბილისის მაზრის „მარშალი". ელიზბარ ერისთავის მიერ დიმიტრი ყიფიანისადმი 1864 წლის იანვარში მიწერილი ერთი ბარათის მიხედვით, ზ. ბარათაშვილს თავიდან თვითონ სდომებია გუბერნიის „მარშლობა" (იხ. ჩვენი პუბლიკაცია — ელიზბარ ერისთავის ბარათი დიმიტრი ყიფიანისადმი, კრბ. „ელიზბარ ერისთავი",

თბ., 1997, გვ. 166-167), მაგრამ, ჩანს, მან ალლო აუღო ვითარებას და უფრო რეალური კანდიდატის დიმიტრი ყიფიანის აქტიური მხარდამჭერი შეიქნა.

ზ. ბარათაშვილი ცოლისძმა იყო ალექსანდრე (პუპლია) ვახტანგის ძე ორბელიანისა. ეს ის ზაალ ბარათაშვილი უნდა იყოს, რომელსაც „ცისკარში" თვითონაც აქვს ლექსი გამოქვეყნებული (ზ. ბარათოვი, სოფლის ამაოება, „ცისკარი", 1872, №11-12, გვ. 562-563) და იმავე „ცისკარში" (1873, №1, გვ. 5-6) გამოქვეყნებული ი. კერესელიძის ლექსის („თ. ზაალ ბარათაშვილს") ადრესატიცაა.

183. **გიორგი რევაზის (რომანის, რომანოზის) ძე ერისთავი** (1812-1891) — საზოგადო და სამხედრო მოღვაწე (კავალერიის გენერალი), ქველმოქმედი, ერეკლე II-ის შვილიშვილი (ანასტასია ბატონიშვილის ძე), 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (გადაასახლეს არხანგელსკში. სამშობლოში დაბრუნდა 1840 წ.), „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის" (1842-1848) წევრი, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი 1858-1861 წწ.; იმ დროის სხვა გიორგი ერისთავებისგან რომ განესხვავებინათ, „ატამანს" ეძახდნენ (1852 წელს კავკასიის ხაზის კაზაკთა ჯარის ატამანი იყო. ბიოგრაფიული ცნობები გ. ერისთავზე იხ.: აქტები..., X, 1885, გვ. XXXIV; მაქს. ბერძნიშვილი, მასალები..., I, გვ. 230-232).

1864 წლის 4 იანვარს ელიზბარ ერისთავი სწერს დიმიტრი ყიფიანს: თავადაზნაურობის წინამძღოლობა „გიორგი რომანიჩსაც მისთვის თურმე უნდა, მაგრამ მე არა მჯერა და როგორც ჩვენს საზოგადოობაში კრედიტი აქვს გიორგისა, ის შენც იცი. უეჭველია, არ მოინდომებს" (თ. ჯოლოგუა, ელიზბარ ერისთავის ბარათი დიმიტრი ყიფიანისადმი, კრბ. „ელიზბარ ერისთავი", თბ., 1997, გვ. 166). მართლაც, გ. ერისთავის კანდიდატურა ამ ყრილობაზე არ განხილულა, თუმცა მონაწილეობა კი მიიღო ყრილობაში და დაუპირისპირდა დიმიტრი ყიფიანს.

გ. ერისთავი ინიციატორი და პირველი თავმჯდომარე იყო 1878 წელს დაარსებული „ღარიბ მოწაფეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა" და მის ამ ინიციატივას მაღალ შეფასებას აძლევდა ი. ჭავჭავაძე (ამ საკითხზე იხ. ვ. ქაჯაია, ნიკო ცხვედაძე — გამოჩენილი განმანათლებელი და მამულიშვილი, კრბ. „ნიკო ცხვედაძე — 150", თბ., 1995, გვ. 18-20).

ხი-ში (დ. ყიფიანის არქ., საქ. №№1316-1324, ფ. 12) დაცულია გიორგი ერისთავის ცხრა ბარათი — მიწერილი დიმიტრი ყიფიანისადმი.

184. **იოსებ (სოსიკო) ორბელიანი** (გარდ. 1879) — გენერალ-მაიორი. 1878 წლის ივნისში „სალდათად" გაწვევასთან დაკავშირებით სიღნაღის მაზრაში მოხდა გლეხთა არეულობა, რომლის ჩასახშობადაც გაგზავნეს ალაზნის პირას განლაგებული რუსის ჯარი

სოსიკო ორბელიანის მეთაურობით. გენერალმა, რომელსაც არეულობის მონაწილეებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, სანაქებო მოთმინება და შორსმჭვრეტელობა გამოიჩინა, არც სისხლი დაღვარა და ხელისუფლების წინაშეც გაამართლა ამბოხებულები (იხ.: დღიური, „დრ.", 1879, №5; გ. წერეთელი, სოსიკო ორბელიანის სიკვდილის გამო, „დრ.", 1879, №10; სიღნაღის მაზრის გლეხთა 1878 წლის ამბოხებაზე იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ., 1970, გვ. 581-586).

185. **მანანა მირმანოზის ას. ორბელიანი** (1808-1870) — მირმანოზ ქსნის ერისთავის ასული და მეუღლე დავით ორბელიანისა (გარდ. 1830), საზოგადო მოღვაწე, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (მოაქციეს „დამნაშავეთა" VII კატეგორიაში და დაუწესეს უმკაცრესი მეთვალყურეობა). მანანა 22 წლისა დაქვრივდა, ქმრის საფლავზე ფიცი დადო — „აღარ გავთხოვდებიო" — და ეს ფიცი აღასრულა კიდევაც, თუმცა მუდამ თაყვანისმცემლებით იყო გარშემორტყმული.

მ. ორბელიანი თბილისის კულტურულ-სალიტერატურო ცხოვრების ცენტრში ტრიალებდა, ჰქონდა სახელგანთქმული სალონი, სადაც 1840-იან წწ. იკრიბებოდა ქართველი საზოგადოების კულტურულ-ინტელექტუალური ავანგარდი და სადაც ჩამოყალიბდა ქართული პროფესიული თეატრისა და ჟურნალ „ცისკრის" დაარსების იდეა.

დიმიტრი ყიფიანს ყმაწვილობიდანვე ჰქონდა ურთიერთობა მ. ორბელიანთან. კერძოდ, მანანამ — ნინო ჭავჭავაძესთან ერთად — მიაღებინა მაშინ ჯერ კიდევ კეთილშობილთა სასწავლებლის მონაფეს დ. ყიფიანს მონაწილეობა „აქტისნაირ წარმოდგენაში", რისთვისაც, სხვათა შორის, დიმიტრი ძლივს გადაურჩა სასწავლებლის ადმინისტრაციის მიერ გამოტანილ სამარცხვინო სასჯელს — საჯარო გაწკეპვლას (იხ. დ. ყიფიანი, მემუარები, 1990, გვ. 20-21). მოგვიანებით (1840-იან წწ.) დიმიტრი იყო მანანა ორბელიანის სალონის წევრი. ამასთანავე, დ. ყიფიანმა თავისი პირველი თარგმანი შექსპირის „რომეო და ჯულიეტასი" (1841 წ.) უძღვნა მ. ორბელიანს — უცნობი ხელით გადაწერილ ერთ-ერთ ხელნაწერს ამ თარგმანისას აქვს მინაწერი: „რუსულიდგან კნეინა მანანა ორბელიანისთვის ქართულსა ენაზედ გარდმოღებული ყიფიანის მიერ ტფილისს..." (S-2677, ფ. 2; ცნობები ამ ხელნაწერზე იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. IV, თბ., 1965, გვ. 140-141).

მ. ორბელიანზე იხ.: ი. ბალახაშვილი, მანანა ორბელიანი, თბ., 1941; მისივე, ლიტერატურული წრეები და სალონები საქართველოში, 1940, გვ. 181-190; მაქს. ბერძნიშვილი, მასალები..., II, გვ. 154-155; ს. გერსამია, გიორგი ერისთავის თეატრი, თბ., 1950, გვ.

24-27; თ. პაპავა, დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში, თბ., 1990, გვ. 72-75 და სხვ.

186. **ქეთო სუმბათაშვილისა - ?**

187. **ელენე ბატონიშვილისა - ?**

188. **ქეთევან გიორგის ას. ორბელიანი** (1808-1897) — საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი, არაჩვეულებრივი სიმამაცით განთქმული გენერლისა და შესანიშნავი ორატორის გიორგი იესეს ძე ერისთავის („სენატორის") (1759-1863) ქალიშვილი. ქ. ორბელიანმა დიდი ამაგი დასდო გიორგი ერისთავის თეატრს (ამ საკითხზე იხ. გ. წერეთელი, ორმოცდა სამი წელი ქართულის თეატრისა, „კვალი", 1893, №2, გვ. 13) და თვითონაც ითამაშა (თათელას როლი) „გაყრის" 1850 წ. 2/14 იანვრის ისტორიულ წარმოდგენაში. ამით ქ. ორბელიანი დაუპირისპირდა იმ დროის საზოგადოებრივ აზრს, რომელიც სცენაზე ქალის გამოსვლას სამარცხვინოდ მიიჩნევდა.

ქეთევან ორბელიანს სიკვდილის წინ „ანდერძათ მრავალი ფული შეუწირავს სხვადასხვა სასარგებლო საქმისათვის" (ახალი ამბავი, „ცნ.ფ.", 1897, №378), მათ შორის, „ქართულის დრამატიულის სცენის სასარგებლოდ ათასი მან. უანდერძებია" (ახალი ამბავი, „ივ." 1897, №240).

ქ. ორბელიანის გარდაცვალების გამო აკაკი წერეთელი წერდა: „ეს იყო მხოლოთ უკანასკნელი ნაშთთაგანი იმ ძველი დედებისა, რომელთაც დღეს ვეღარა ვხედავთ და რომელთა თვისებას შეადგენდა მახვილი და გამჭრიახი გრძნობა-გონება, ხასიათის სიმტკიცით დაგვირგვინებული" (ა. წერეთელი, სამძიმარი, თხზ. სრ. კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. XIII, თბ., 1961, გვ. 332).

ქეთევან ორბელიანი გარდაიცვალა 1897 წლის 16 ნოემბერს, 20 ნოემბერს ქართველმა არისტოკრატიამ და სამღვდელოებამ გამორჩეული პატივით დაკრძალა თბილისის სიონის ტაძარში, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ „დროებით ვალდებული ქსნის ხეობის გლეხები" განსვენებულის სულის მოსახსენებლად სიონის ტაძარშივე საგანგებო პანაშვიდს იხდიან და ამ პანაშვიდზე იწვევენ „განსვენებულის ნათესავთა" („დღეს, 26 ნოემბერს...", „ივ.", 1897, №245; ქ. ორბელიანის გარდაცვალება-დაკრძალვის გარემოებებზე იხ. აგრეთვე: „ივ.", 1897, №№239, 242; „ცნ.ფ.", 1897, №375).

189. **მამუკა (მაკარ) თამაზის (თომას) ძე ორბელიანი** (1800-1871) — გენერალ-მაიორი, აქტიურად მონაწილეობდა 1826-1828 წწ. რუსეთ-ირანის, 1828-1829 და 1853-1856 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომებში; იბრძოდა აგრეთვე შამილის წინააღმდეგ; 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (მიესაჯა სამხედრო სამსახური „მალოროსიულ ყაზახთა პოლკში" — იხ. გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. III, თბ., 1976, გვ. 437).

მამუკა ორბელიანს უმამაცესი მეომრისა და სნორუპოვარი მოჯირითის სახელი ჰქონდა დაგდებული და მისი უჩვეულო ვაჟკაცობის ამბავი თვით კავკასიის მეფისნცვლებს (მ. ვორონცოვი, ალ. ბარიატინსკი) აქვთ აღნიშნული (იხ. გ. ავალიანი, რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან, 1967, გვ. 93).

1840-იან წლებში მ. ორბელიანი განჯის მაზრის უფროსი იყო და ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფები პოეტის საბედისწერო გადაწყვეტილებას (განჯაში წასვლას — ნაცვლად კახეთისა, სადაც ნ. ბარათაშვილი თელავის მაზრის უფროსის თანაშემწედ იყო დანიშნული) მამუკას ინიციატივას მიაწერენ (იხ. ი. ენიკოლოპოვი, მამუკა ორბელიანის რაპორტი, „ცისკარი", 1968, №9, გვ. 145; ამ საკითხზე იხ. აგრეთვე, მიხ. ხელთუბნელი, უკანასკნელი წელი ნიკ. ბარათაშვილის ცხოვრებისა, „ლიტერატურის მატიანე", 1940, წგნ. 1-2, გვ. 356-360, 367-368; სხვათა შორის, მამუკა ნახსენებია ნ. ბარათაშვილის ერთ-ერთ წერილში ზაქარია ორბელიანისადმი — იხ. ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი, თბ., 1972, გვ. 131). ამას გარდა, მ. ორბელიანი შედიოდა იმ ჯგუფში, რომელსაც 1847 წელს ნ. ბარათაშვილის თხზულებათა კრებულის გამოცემა და პოეტისთვის ძეგლის დადგმა ჰქონდა განზრახული — იხ. ნიკ. ალექსიევ-მესხიევი, შესახებ ბ. ნ. ბარათაშვილის ძეგლის დადგმისა, „ივ.", 1893, №130.

მამუკა ორბელიანს ჰქონდა ლიტერატურული ინტერესები. „ცისკარში" (1862, №9, განყ. IV, გვ. 10-13) გამოქვეყნებულია მისი პატრიოტული ხასიათის უსათაურო ლექსი („აღარა ვხედავ წარსულს დროებას..."), რომელშიც ქება-დიდებაა საქართველოს ისტორიული წარსულისა და ასე მთავრდება:

ვიტყვი მე, ვითარ შვილი მამულის,
ყრმათა, მოხუცთა ეს აღვასრულოთ,
ერთგულებითის ურთიერთბმულის,
ქართველთ თვისება მით დავასრულოთ!

ვფიქრობთ, ასეთი სულისკვეთება ლექსის ავტორისა (მონოდება შერიგება-კონსოლიდაციისკენ) „მამებისა" და „შვილების" ცნობილი „ბრძოლით" უნდა იყოს ნაკარნახევი.

1864 წელს „ცისკრის" რედაქტორი ი. კერესელიძე ფულადი შემწეობისთვის მ. ორბელიანს „უგულითადეს მადლობას" მოახსენებს (იხ. პ. გუგუშვილი, ქართული ჟურნალისტიკა, თბ., 1941, გვ. 149).

მამუკა ორბელიანი გარდაიცვალა 1871 წლის 29 ოქტომბერს. დაკრძალულია თბილისის სიონის ტაძარში.

მ. ორბელიანზე იხ. აგრეთვე: ი. კ[ერესელიძე], რამდენიმე სიტყვა, შესახებ უფ. ჟელიხოვსკის ლექციისა 15 ნოემბერს 1871 წ.,

„ცისკარი", 1871, №11-12, გვ. 787-799; მაქს. ბერძნიშვილი, მასალები..., II, გვ. 153-154.

190. **თამარ აბაშიძისა** - ?

191. **მიხეილ ნიკოლოზის ძე (რომანოვი) (1832-1909)** — დიდი მთავარი, კავკასიის მეფისნაცვალი 1862-1881 წწ. (მიხეილ ნიკოლოზის ძეზე, აგრეთვე, მის ურთიერთობაზე დიმიტრი ყიფიანთან იხ. სმ-დყ, I, გვ. 22-27, 199, 249).

192. სინამდვილეში რ. ანდრონიკაშვილი საერთოდ არ ესწრებოდა ამ ყრილობას და მისი კანდიდატურა მოხსნა მისმავე ძმამ, სიღნაღის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლმა, სოლომონ ანდრონიკაშვილმა (დ. ყიფიანი, მემუარები, 1990, გვ. 115; აგრეთვე, ალ. ნიკოლაის მოხსენებითი ბარათი, რომელიც წინამდებარე წიგნში დანართის სახით იბეჭდება).

193. **ზურაბ დავითის ძე ასლამაზოვი** — თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის საკრებულოს მდივანი, კოლეგიის მრჩეველი („კოლეუსკი სოვეტნიკ") („კ.კ.", 1870, გვ. 27).

194. **ამილბარ მაღალაშვილი** — თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის საკრებულოს მდივანი 1860-იანი წწ. დასაწყისში (იხ. შ. ჩხეტია, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, 1950, გვ. 141). 1888 წლის თებერვალში ამილბარ მაღალაშვილის მამული, რომელიც ამ დროისთვის მიხ. თარხნიშვილის მზრუნველობის ქვეშაა, საჯარო ვაჭრობით („ტორგით") გაიყიდა მევალეების დასაკმაყოფილებლად (დაბა და სოფელი, „ივ.", 1888, №38).

195. **დავით ქაიხოსროს ძე ყიფიანი** (1835-1892) — იურისტი, პუბლიცისტი, პედაგოგი, მწერალი, გამომცემელი, საზოგადო მოღვაწე; ი. ჭავჭავაძის თანამოაზრე და თანამებრძოლი; დიმიტრი ყიფიანის ძმისწული (დავით ყიფიანზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 253-254).

196. **იული გალაქტიონის ძე ჟუკოვსკი** — რუსი მწერალი, პუბლიცისტი, ფინანსისტი, სახელმწიფო მოხელე; რუსულ პრესაში („სოვრემენნიკ", „ვესტნიკ ევროპი"...) ხშირად აქვეყნებდა სტატიებს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, იურიდიულ, ეკონომიკურ საკითხებზე; ერთხანს განაგებდა რუსეთის სახელმწიფო ბანკს (ი. ჟუკოვსკიზე იხ. ბროკჰაუზი-ეფრონი, წგნ. 23, 1894, გვ. 49-50).

197. **„სოვრემენნიკ"** (1836-1866) — რუსული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო ჟურნალი. გამოდიოდა პეტერბურგში. დააარსა ალ. პუშკინმა (1799-1837). სხვადასხვა წლებში ჟურნალს ხელმძღვანელობდნენ ან მასთან თანამშრომლობდნენ: ნ. ნეკრასოვი, ი. ტურგენევი, ა. გერცენი, ნ. ჩერნიშევსკი, ნ. დობროლიუბოვი, მ. სალტიკოვ-შჩედრინი და სხვ.

198. **ვოდოვი** — რუსი ფინანსისტი და ბანკირი, რომელსაც მონაწილეობა აქვს მიღებული თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის წესდების შედგენაში.

199. სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკსა და მის დაარსებაში დიმიტრი ყიფიანის როლზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 252-253, 284-285.

200. სინამდვილეში „ქშნ-კგ საზოგადოების" დაარსების იდეა მოგვიანებით გაჩნდა. ამ საკითხსა და ნიკ. ყიფიანის მიერ დაშვებულ ზოგიერთ სხვა უზუსტობაზე იხ. აქვე, ვ. თულაშვილის „შენიშვნა" (გვ. 48-51).

201. **„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაზე"** იხ. სმ-დყ, I, გვ. 285-286; დიმიტრი ყიფიანის წვლილზე ამ საზოგადოების დაარსებაში იხ. ჩვენი წერილი — დიმიტრი ყიფიანის საზოგადოებრივი მოღვაწეობიდან, „მწიგნობარი-89", 1989, გვ. 219-224.

202. **კონსტანტინე ქრისტეფორეს (ქაიხოსროს) ძე მამაცაშვილი** (1818-1900) — სამხედრო და საზოგადო მოღვაწე, რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი, „ქშნ-კგ საზოგადოების" დამფუძნებელი წევრი; თანამშრომლობდა ქართულ პრესაში („დრ.", „ივ." და სხვ.), სადაც აქვეყნებდა პუბლიცისტურ წერილებს; ზრუნავდა განათლების სისტემის გაუმჯობესებასა და ახალი სკოლების დაარსებაზე...

კ. მამაცაშვილის მოგონებები ნიკ. ბარათაშვილზე („დრ.", 1881, №№206, 232, 237, 238; თ. ნ. მ. ბარათაშვილი, ტფ., 1893) ძვირფასი მასალაა ჩვენი დიდი პოეტის ბიოგრაფიის შესასწავლად. კ. მამაცაშვილს გამოუქვეყნებელი დარჩა ვრცელი მოგონებები (14 რვეული, 1025 გვერდი), რომელიც დიდად საინტერესო და მნიშვნელოვან მასალას შეიცავს საქართველოს საზოგადოებრივი და პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცხოვრების შესახებ 1837 წლიდან ვიდრე 1860-იან წლებამდე. ხელნაწერი ამ მოგონებებისა („Записки генерала Константина Мамацева, начатые 23 июня 1862 года") დაცულია სანქტ-პეტერბურგში, „პუშკინის სახლში" (კ. მამაცაშვილის მოგონებებზე იხ.: ე. ვირსალაძე, ნ. ბარათაშვილის თანამედროვენი, „ლიტერატურული ძიებანი", III, 1947, გვ. 134-136; შ. გოზალიშვილი, კონსტანტინე მამაცაშვილის უცნობი „მემუარები", „ლიტერატურული საქართველო", 1964, №9; ი. ანთელავა, კონსტანტინე მამაცაშვილის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი, კრბ. „საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები," II, თბ., 1975, გვ. 3-18).

კ. მამაცაშვილი გარდაიცვალა 1900 წლის 3 სექტემბერს. დიდი პატივით დაკრძალეს დიდუბის ეკლესიის გალავანში (ამჟამად — დიდუბის პანთეონი; კ. მამაცაშვილის გარდაცვალება-დაკრძალვის გარემოებებზე იხ.: „ივ.", 1900, №№193, 194, 196, 197; „ცნ. ფ.", 1900, №1230; აკაკის სიტყვა დაკრძალვისას იხ. ა. წერეთელი, თხზ. სრ. კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. XIII, თბ., 1961, გვ. 539-540; უფ-

რო ადრე, 1885 წელს, აკაკის სიტყვა აქვს წარმოთქმული კ. მამაცაშვილის პატივსაცემად გამართულ ნადიმზე — იხ. იქვე, ტ. XII, 1960, გვ. 267-268).

კ. მამაცაშვილზე იხ. აგრეთვე: ლ. ასათიანი, ლერმონტოვი და ჩვენი ქვეყანა, რჩ. ნაწერები, ტ. I, თბ., 1958, გვ. 429-433; გ. თოდუა, XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივ-ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები, ნაწ. II, თბ., 1987, გვ. 50-54; შ. მეგრელიძე, ჩვენი სახელოვანი სამხედრო წინაპრები, თბ., 1979, გვ. 177-184.

203. **ბესარიონ ლევანის ძე ღოლობერიძე** (1832-1879) — პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, „ქშწ-კგ საზოგადოების" ერთ-ერთი დამფუძნებელი, ქუთაისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის დამაარსებელი და პირველი თავმჯდომარე. დამთავრებული ჰქონდა პეტერბურგის უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტი. პეტერბურგში ყოფნისას ბ. ღოლობერიძე იქ მყოფ ქართველ სტუდენტთა მეთაურად და იდეურ ხელმძღვანელად ითვლებოდა, ამასთანავე, აქტიური წევრი იყო უნივერსიტეტში არსებული რევოლუციური კომიტეტისა (ამ საკითხზე იხ. პ. რატიანი, რჩ. ნაწერები, I, თბ., 1984, გვ. 119-137). 1863 წელს ბ. ღოლობერიძემ უარი თქვა პეტერბურგის უნივერსიტეტში დარჩენაზე პროფესორობისთვის მოსამზადებლად, დაბრუნდა სამშობლოში და პედაგოგიურ მოღვაწეობას მიჰყო ხელი: იყო თბილისის I გიმნაზიის მასწავლებელი, ქალთა ინსტიტუტის ინსპექტორი, თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორი (ამ საკითხზე იხ. სოლ. ცაიშვილი, ბესარიონ ღოლობერიძე, კრბ. „სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები", I, თბ., 1953, გვ. 63-68). სიცოცხლის ბოლო წლები გაატარა ქუთაისში, სადაც ხელმძღვანელობდა მისივე პროექტით ჩამოყალიბებულ საადგილმამულო ბანკს და ამ საქმეში მისი უპირველესი შემწე და თანამდგომი იყო ი. ჭავჭავაძე. საერთოდ, ილიასა და ბ. ღოლობერძეს ერთხანს ძალზე გამწვავებული ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთში, რის გამოც ილიამ თავისი ცნობილი „გამოცანებიდან" ერთ-ერთი ბ. ღოლობერიძეს „უძღვნა" („ერთი ვინმე შავგვრემანი სუსტია და პირად ხმელი..."; ამ საკითხზე იხ. ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული ოც ტომად, ტ. I, თბ., 1987, გვ. 417-420), თუმცა ეს ინციდენტი მალევე ამოიწურა, ბ. ღოლობერიძის ნაადრევი სიკვდილის დღეებში კი ილია ამ ტრაგიკულ ფაქტს ეხმაურება, როგორც „საზოგადო გლოვას და გოდებას" და დასძენს: „სჩანს, სიცოცხლისა და წარმატების სახსარი არ გასწყვეტია იმ ქვეყანას, რომელსაც ებადება ამისთანა სახელოვანი შვილიო" („ივ.", 1879, №3; თხზ. სრ. კრებული ათ ტომად, ტ. IV, თბ., 1955, გვ. 231-235).

ბ. ღოლობერიძე შინამასწავლებელი იყო დიმიტრი ყიფიანის შვილებისა (იხ. კ. ყიფიანი, მოგონებები და წერილები, თბ., 1964,

გვ. 13). ხი-ში (დ. ყიფიანის არქ., საქ. №№1678, ფ. 1) დაცულია ბ. ღოღობერიძის ბარათი დიმიტრი ყიფიანისადმი (დათარიღებული 1865 წლის 2 ივლისით), სადაც ბარათის ავტორი ადრესატს სწერს, რომ სიამოვნებით ამეცადინებს მის ვაჟიშვილს და დიმიტრის მიერ საამისოდ გაგზავნილ ფულს უკანვე აბრუნებს.

ბესარიონ ღოღობერიძე გარდაიცვალა ქუთაისში, დაკრძალულია მშობლიურ სოფ. ჯიხაიშში (ბ. ღოღობერიძის გარდაცვალებისა და დაკრძალვის გარემოებებზე, მათ შორის, გაბრიელ იმერეთის ეპისკოპოსისა და ნიკ. ყიფიანის სიტყვები, აგრეთვე, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, გ. წერეთლის, ნ. დავითაშვილის წერილები იხ.: „დრ.", 1879, №№51, 55, 57, 69; „ივ.", 1879, №3).

204. **მიხეილ ზაალის ძე ყიფიანი (1833-1891)** — სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, ჟურნალისტი, მწერალი, პედაგოგი; დიმიტრი ყიფიანის ახლო ნათესავი (მიხ. ყიფიანზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 259-260).

205. **„ამათ შეადგინეს წესდება..."** — ნიკ. ყიფიანის ეს ცნობა არაა სწორი. „ქშწ-კგ საზოგადოების" წესდების შედგენასა და მის დამტკიცებასთან დაკავშირებულ გარემოებებზე იხ.: ვ. თულაშვილი, შენიშვნა (იხ. წინამდებარე წიგნი, გვ. 48-51); აგრეთვე, ი. გოგებაშვილი, როგორ დაარსდა „წერა-კითხვის საზოგადოება", რჩ. თხზ. ხუთ ტომად, III, თბ., 1990, გვ. 251-258.

206. **რაფიელ დავითის ძე ერისთავი** (1824-1901) — მწერალი, ჟურნალისტი, ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი, ლექსიკოგრაფი, გამომცემელი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო წევრი.

რ. ერისთავი სხვადასხვა წლებში იყო ქართული მუზეუმის დამაარსებელთაგანი, „ქშწ-კგ საზოგადოების" პირველი გამგეობის წევრი, „ქართული დრამატიული საზოგადოების" თავმჯდომარე, „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დამდგენი კომისიის შექმნის ინიციატორთაგანი და აქტიური წევრი და სხვ. 1895 წლის ოქტომბერში ქართველმა საზოგადოებამ აღნიშნა რ. ერისთავის საზოგადოებრივი და ლიტერატურული მოღვაწეობის 50 წლისთავი, რომელიც დიდ სახალხო დღესასწაულში გადაიზარდა.

რ. ერისთავი, ანდერძის თანახმად, დაკრძალეს მშობლიურ სოფ. ქისტაურში, საიდანაც მისი ნეშტი 1938 წელს თელავში, ერეკლე II-ის სასახლის გალავანში, გადაასვენეს.

207. **იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილი** (1840-1912) — მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი საქართველოში, პუბლიცისტი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე. ი. გოგებაშვილისა და დ. ყიფიანის ურთიერთობაზე იხ. ნ. ხომერიკი, ლიტერატურული ჩანაწერები, თბ., 1961, გვ. 35-41.

208. **ნიკოლოზ (ნიკო) ზებედეს ძე ცხვედაძე** (1845-1911) — პედაგოგი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, თვალსაჩინო ფიგურა 1870-1900-იანი წწ. საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში. დამთავრებული ჰქონდა მოსკოვის სასულიერო აკადემია. 1869 წლიდან ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ საქმიანობას თბილისის სასულიერო სემინარიაში, ქალთა ინსტიტუტში, წმ. ნინოს სახელობის სასწავლებელში... არსებითად, ნ. ცხვედაძის მხრებზე გადაიარა თბილისში გიმნაზიისთვის განკუთვნილი შენობის აგების მთელმა სიმძიმემ (უნდა ითქვას, რომ ეს შენობა ნ. ცხვედაძეს იმთავითვე ქართული უნივერსიტეტისთვის ჰქონდა ნავარაუდევი და, მართლაც, დაარსებისთანავე ჩვენმა უნივერსიტეტმა ამ შენობაში დაიდო ბინა).

ნ. ცხვედაძე იყო „ქშწ-კგ საზოგადოების" ერთ-ერთი დამფუძნებელი, წესდების თანაავტორი, გამგეობის მუდმივი წევრი, ხოლო 1885-1907 წწ. — თავმჯდომარის (ი. ჭავჭავაძის) ამხანაგი (მოადგილე). მისი ინიციატივითა თუ უშუალო მონაწილეობით დაარსდა სკოლები თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ძველ სენაკში, ხელთუბანში, კავკავში და სხვ.

დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ლიტერატურა ნ. ცხვედაძეზე იხ. კრბ-ში — „სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები" (I, თბ., 1953, გვ. 180), რასაც უნდა დაემატოს: თ. სახოკია, ჩემი საუკუნის ადამიანები, თბ., 1969, გვ. 53-57; ს. ფირცხალავა, მოგონებათა ფურცლები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და პირთა საძიებელი დაურთო ლ. ნანიტაშვილმა, თბ., 1988, გვ. 68, 99-101; კრბ. „ნიკო ცხვედაძე-150" (თბ., 1995) და სხვ.

შ. ჩხეტიას გამოქვეყნებული აქვს ნ. ცხვედაძის 1881 წლის 21 აპრილით დათარიღებული ბარათი იმჟამად პეტერბურგში მყოფი დიმიტრი ყიფიანისადმი. ბარათის ავტორი ადრესატს სწერს: „როგორც თქვენ გტკივათ გული ჩვენი მამულისათვის, როგორც თქვენ გესმით ჩვენი ხალხის მდგომარეობა, ამ ხალხის აწინდელი და მომავალი ბედი, ისე არავის. ჩვენ ამაში დარწმუნებული ვართ. ამისთვის ისევ თქვენ უნდა იხმაროთ ყოველგვარი ღონისძიება და მანდ სიტყვიერის მოქმედებით ჩვენი სამშობლოს საქმე გაასწოროთ" [შ. ჩხეტია, მასალები დიმიტრი ყიფიანის მკვლელობაზე, „საისტორიო მოამბე", №3, 1947, გვ. 374; დედანი ამ ბარათისა დაცულია ხი-ში, დ. ყიფიანის არქივში (საქ. №1744, ფ.4); იქვეა დაცული (საქ. №1743, ფ. 2) ნ. ცხვედაძის კიდევ ერთი ბარათი დიმიტრისადმი].

209. **„მოსკოვსკიე ვედომოსტი"** (1756-1917) - რუსული გაზეთი, რომელიც მოსკოვში გამოდიოდა. 1863 წელს, - მას შემდეგ, რაც ხელმეორედ სათავეში ჩაუდგა მიხ. კატკოვი, - გაზეთი გადა-

იქცა რუსული დიდმპყრობელური იდეოლოგიის მძლავრ ტრიბუნად.

210. მიხეილ ნიკიფორეს ძე კატკოვი (1818-1887) — რუსი პუბლიცისტი (დედით ქართველი — თულაშვილი). დამთავრებული ჰქონდა მოსკოვის უნივერსიტეტის სიტყვიერების ფაკულტეტი. ახალგაზრდობის წლებში დაახლოებული იყო ბ. ბელინსკისთან და თანამშრომლობდა მისი რედაქტორობით გამომავალ ჟურნალში —„მოსკოვსკი ნაბლიუდატელ", აგრეთვე, ა. კრაევსკის „ოტეჩესტვენნიე ზაპისკიში", სადაც აქვეყნებდა სხვადასხვა ხასიათის თხზულებებს, მათ შორის თარგმანებსაც (ჰ. ჰაინე, ე. ჰოფმანი, უ. შექსპირი...); 1840-1841 წწ. იმყოფებოდა გერმანიაში — ბერლინის უნივერსიტეტში ისმენდა ფ. შელინგის ლექციებს; 1845-1850 წწ. მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორია; 1851 წელს ხდება გაზეთ „მოსკოვსკიე ვედომოსტის" რედაქტორი, ხოლო 1856 წელს აარსებს ახალ ჟურნალს — „რუსსკი ვესტნიკს". ამ პერიოდში მ. კატკოვი მხურვალე ქომაგია რუსეთში სიტყვის თავისუფლებისა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტთა შემოღება-დამკვიდრებისა; ენერგიულად მოქმედებს პრესის ცენზურის წინააღმდეგ. 1863 წლის იანვარში მ. კატკოვი კვლავ ჩაუდგა სათავეში „მოსკოვსკიე ვედომოსტის", იმავე დღეებში დაიწყო პოლონეთის 1863-1864 წწ. აჯანყება და, აქედან მოკიდებული, კატკოვი თანდათან რუსული დიდმპყრობელური შოვინიზმის აპოლოგეტი და იმპერიაში გაერთიანებული არარუსი ხალხების ნაციონალური ინდივიდუალობის ყოველგვარი გამოვლენის დაუძინებელი მტერი ხდება. იგი ამტკიცებდა: მრავალეროვნულობა სახელმწიფოში არა მარტო ბოროტების წყაროა, არამედ ამ სახელმწიფოს სისუსტის ნიშანიცაა და, პირველ რიგში, იერიში მიჰქონდა იმპერიაში შემავალი „ინოროდცების" ნაციონალურ ენებზე.

მ. კატკოვი „მოსკოვსკიე ვედომოსტის" მოწინავე წერილებში არაერთხელ შეეხო ცინიკურად საქართველოს, ამასთანავე, კარი გაუღო ქართველთა ეროვნული ღირსების შეურაცხმყოფელ პუბლიკაციებს, რასაც ქართველ პუბლიცისტთა მძაფრი რეაქცია მოჰყვა (Д. Кипиани, Еще по поводу передовой статьи 194 № „Моск. Ведомостей", „Кавказ", 1865, №83; ი. ჭავჭავაძე, კატკოვის პასუხად, თხზ. სრ. კრებული ათ ტომად, ტ. VIII, თბ., 1957, გვ. 7-13; ნ. ნიკოლაძე, საქართველოდან, თხზულებანი, ტ. I, თბ., 1962, გვ. 309-315; მისივე, საკვირაო საუბრები (ჩვენი კატკოვშჩინა), თხზულებანი, ტ. VII, თბ., 1985, გვ. 153-159 და სხვ.; ამ საკითხზე იხ.: მ. კვატაია, ილია ჭავჭავაძის „კატკოვის პასუხად" ქართულ და რუსულ პრესაში, „მაცნე" (ელს), 1984, №3, გვ. 33-42; ი. უთურაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, თბ., 1989, გვ. 219-226; თ. ჯოლოგუა, დიმიტრი ყი-

ფიანი მიხეილ კატკოვის წინააღმდეგ, ჟურნალისტიკა (საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებისა და თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია. მუშაობის გეგმა და მოხსენებები), IX, თბ., 2001, გვ. 253-256 და სხვ.; არსებითად, „კატკოვშჩინის" წინააღმდეგაა მიმართული დ. ყიფიანის კიდევ ერთი პუბლიცისტური წერილი — „ბატონ გაზეთ „კავკაზის" რედაქტორს!" იხ. წიგნში: დ. ყიფიანი, რა ხალხია ქართველები?თბ., 1995, გვ. 39-48).

211. **„პოლშის პოვსტანიელების დათრგუნვა"** - იგულისხმება პოლონეთის 1863-1864 წწ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი აჯანყება (იგი, გარდა პოლონეთისა, ლიტვაში, აგრეთვე, ბელორუსიისა და უკრაინის ნაწილზეც გავრცელდა). აჯანყება მიზნად ისახავდა რუსეთისგან გათავისუფლებასა და პოლონეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას, მაგრამ ალექსანდრე II-მ სისხლში ჩაახშო.

212. **სტეფანე ივანეს ძე რიჟოვი** — საქართველოში მცხოვრები რუსი პედაგოგი და პუბლიცისტი (1860-იან წწ. ლათინურ ენას ასწავლიდა ქუთაისის გიმნაზიაში); შოვინისტური ხასიათის საგაზეთო მასალებს უგზავნიდა საქართველოდან „მოსკოვსკიე ვედომოსტის". მის ერთ-ერთ გვიანდელ პუბლიკაციას (დ. ერისთავის „სამშობლოს" დადგმის ხარჯი გვენანება და, კარგი იქნება, ქართველებმა თავიანთი ეროვნული დროშები გოდფრუას ცირკს მიჰყიდონო) ქართველ მოღვაწეთა (ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ლ. მაღალაშვილი და სხვ., აგრეთვე, რუსი პუბლიცისტი ნ. მიხაილოვსკი) მწვავე რეაქცია მოჰყვა (ამ ფაქტსა და ს. რიჟოვზე იხ. ნ. ტაბიძე, ეტიუდები, თბ., 1986, გვ. 236-238; ლუარსაბ (შაქრო) მაღალაშვილის პასუხზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 292).

213. **„ყრმა საქართველო" („ახალგაზრდა საქართველო")** — პატრიოტული მიზანდასახულობის ფარული საზოგადოება, რომლის შესახებაც კონკრეტული მასალა ჯერჯერობით არაა გამოვლენილი (ა. ბენდიანიშვილის ვარაუდით, საზოგადოების დამაარსებლები და ხელმძღვანელები „თერგდალეულები" იყვნენ — იხ. ა. ბენდიანიშვილი, ეროვნული საკითხი საქართველოში. 1801-1921 წწ., თბ., 1980, გვ. 123-124).

„ახალგაზრდა საქართველოს" გარშემო უწერიათ ნ. ნიკოლაძესა (თხზულებანი, ტ. I, თბ., 1962, გვ. 249) და ა. გერცენს (იქვე, გვ. 547-548).

214. **„ყრმა სომხეთი"** - ?

215. იგულისხმება **„მოსკოვსკიე ვედომოსტიში"** (1865, №194) გამოქვეყნებული მიხ. კატკოვის მონინავე წერილი (შესულია წიგნში — M. H. Катков, Собрание передовых статей Московских Ведомостей (1865 г.), М., 1897, გვ. 553-555), სადაც, სხვათა შორის,

ესეცაა ნათქვამი: „ვინ არ იცის, რომ კავკასიაში რუსების დამკვიდრებამდე იქ (საქართველოში — თ. ჯ.) არათუ არავითარი ცივილიზაცია არ არსებობდა, არამედ არ არსებობდა მართვა-გამგეობის არავითარი ფორმაც კი... ვინ არ იცის, რომ რუსების შესვლამდე იქ არ იყო არც გზები, არც ვაჭრობა, ხოლო სულ რაღაც ნახევარი საუკუნის წინ იქაური სოფლის მოსახლეობა თითქმის მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდა და ლეკთა, სპარსთა თუ თურქთა შემოსევისთანავე ტყე-ღრეში გარბოდა. ყოველივე, ასე თუ ისე ცივილიზაციის იერი რასაც აქვს, იქ რუსების ბატონობის შედეგადაა დამკვიდრებული. ამიერკავკასიის მხარეში ყველაფერი, - რელიგიური, პიროვნული თუ ქონებრივი უსაფრთხოებიდან დაწყებული და რიონზე ნაოსნობითა თუ მშენებარე რკინიგზით დამთავრებული, - წყალობაა რუსეთის ბატონობისა, რუსული ცივილიზაციისა".

216. იგულისხმება დიმიტრი ყიფიანის პუბლიცისტური წერილი „Еще по поводу передовой статьи 194 № „Моск. Ведомостей", „Кавказ", 1865, №83.

217. დიმიტრი ყიფიანის აღნიშნული წერილი დაიბეჭდა არა „ს.-პეტერბურგსკიე ვედომოსტიში", არამედ გაზ. „კავკაზში" (იხ. წინა კომენტარი).

218. **ალექსანდრე II** (1818-1881) — რუსეთის იმპერატორი 1855-1881 წწ. (ალექსანდრე II-ზე, აგრეთვე, მასთან დ. ყიფიანის აუდიენციებზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 221-222).

219. იმპერატორმა ალექსანდრე II-მ დ. ყიფიანს წმ. ვლადიმირის II ხარისხის ორდენი უბოძა 1866 წ.; საერთოდ, დიმიტრის რუსეთის იმპერატორებისგან სხვადასხვა წლებში მიღებული ჰქონდა შემდეგი ორდენები: წმ. ანას I ხარისხისა (ორჯერ: 1860 და 1864 წწ.), წმ. ანას II ხარისხისა (ორჯერ: 1852 და 1866 წწ.), წმ. სტანისლავის I ხარისხისა (1857 წ.); დაჯილდოებული იყო აგრეთვე მედლებით გიორგისა (1857 წ.) და ალექსანდრეს (1864 წ.) ლენტებზე, ნითელი ჯვრისა (1879 წ.) და წარჩინების ნიშნებით (ხუთჯერ: 1848, 1852, 1857, 1858, 1867 წწ.). ამას გარდა, დ. ყიფიანი იყო სპარსეთის ლომისა და მზის I ხარისხის ორდენის (1857 წ.) კავალერი (იხ. დ. ყიფიანის ნამსახურობის სია — ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №29).

220. დიმიტრი ყიფიანს 1854 წლიდან მინიჭებული ჰქონდა ნამდვილი სამოქალაქო მრჩევლის („დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკ") ხარისხი (შეესაბამებოდა გენერალ-მაიორის სამხედრო და კონტრ-ადმირალის საზღვაო ჩინებს და ეს წოდებულება რუსეთის იმპერიის რანგთა ტაბელში მეოთხე იყო კანცლერის, ნამდვილი საიდუმლო მრჩევლისა („დეისტვიტელნი ტაინი სოვეტნიკ") და საიდუმლო მრჩევლის („ტაინი სოვეტნიკ") შემდეგ (იხ. ბროკჰაუზი-ეფრონი, წგნ. 63, 1901, გვ. 440).

221. **დიმიტრი ივანეს ძე აბხაზი** — კახელი (კარდანახელი) მემამულე. მამამისი, ივანე შერმაზანის ძე აბხაზი (გარდ. 1847 წ.), რუსოფილი იყო და აქტიურად მონაწილეობდა კახეთის 1812 წლის აჯანყების ჩახშობაში, რისთვისაც აჯანყებულებმა ივ. აბხაზს სახლ-კარი გადაუწვეს და ვენახებიც აუკაფეს (მაქს. ბერძნიშვილი, მასალები..., I, გვ. 161).

1854-1861 წწ. დიმიტრი აბხაზი კახეთის საეკლესიო მამულების მმართველი იყო, ამ თანამდებობაზე ყოფნისას ხაზინის ფული მიითვისა, რისთვისაც გაასამართლეს და „სამოსამართლო პალატამ იმას ზოგიერთი ღირსების ახსნა და რუსეთში გადასახლება გარდაუწყვიტა" (თ. დიმიტრი აფხაზის საქმე, „დრ.", 1873, №39).

1867 წელს დ. აბხაზმა და მისმა ვაჟმა, ალექსანდრემ, იმ დროს მოსკოვში მცხოვრები ვაჭრისგან, გიორგი ფორაქაშვილისგან, 35225 მანეთი ისესხეს, მაგრამ დათქმულ ვადაში ვალი ვერ გადაიხადეს. ამასობაში ვექსილი თბილისელი ვაჭრის ილარიონ ფორაქაშვილის ხელში გადავიდა. მევალე-მოვალეებმა თავდებობა დიმიტრი ყიფიანს სთხოვეს და დაითანხმეს კიდეეაც. მაგრამ აბხაზებმა ვალის გადახდა ვერც ამის შემდეგ შეძლეს, ი. ფორაქაშვილმა კი თავდებს უჩივლა. ეს საქმე გაჭიანურდა და იმით დამთავრდა, რომ 1869 წლის 1 აპრილს თბილისის სასამართლო პალატამ დ. ყიფიანს 32 222 მანეთის გადახდა დააკისრა ი. ფორაქაშვილის სასარგებლოდ, რამაც მატერიალურად ისედაც შევიწროებული ყიფიანის ოჯახი საბოლოოდ გატეხა წელში (ამ საკითხზე იხ. ა. ჯორჯაძე, დიმიტრი ყიფიანი, ნიგნში: წერილები, 1989, გვ. 539-541; დოკუმენტური მასალა საკითხის გარშემო იხ. ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №654, ფ.139). უნდა ითქვას, რომ პროცენტების გამო ვალმა თანდათან იმატა და 1884 წლისთვის 32 500 მანეთზე ავიდა (ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №690, ფ. 1).

1851 წელს დიმიტრი აბხაზს „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების" ნამდვილ წევრად ირჩევენ (მაქს. ბერძნიშვილი, მასალები..., I, გვ. 162).

1862 წელს დ. აბხაზი საგლეხო რეფორმასთან დაკავშირებულ საკითხებზე ბარათებს სწერს დიმიტრი ყიფიანს (ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №№950-952, ფ. 6).

222. **ალექსანდრე (კოხტა) დიმიტრის ძე აბხაზი (აფხაზი)** (1838-1913) — კახელი (კარდანახელი) მემამულე, ილია ჭავჭავაძის სიყრმის მეგობარი (თბილისის გიმნაზიასა და პეტერბურგის უნივერსიტეტშიც ერთად სწავლობდნენ), ილიაზე დიდად საინტერესო მოგონების ავტორი (იხ. მასალები ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიისათვის, გ. ლეონიძის პუბლიკაცია, „ლიტერატურული მემკვიდრეობა", წგნ. I, ტფ., 1935, გვ. 563-566, საიდანაც გადმობეჭდილია წიგ-

ნში: მოგონებები გარდასულ დღეთა. ილია, შემდგენლები: გ. გვერდწითელი, ს. ცაიშვილი, თბ., 1987, გვ. 181-186).

1892 წელს თბილისის „სამოსამართლო პალატამ" თიანეთის მაზრის უფროსად ნამყოფ ალ. აბხაზს სამსახურებრივი სიყალბე დაუმტკიცა და ტობოლსკის გუბერნიაში გადასახლება მიუსაჯა (ახალი ამბავი, „ივ.", 1892, №214).

ი. ფორაქაშვილის ვალთან (იხ. წინა კომენტარი) დაკავშირებით 1884 წლის 20 მარტს დიმიტრი ყიფიანი სწერს ალ. აბხაზს (ნერილი რუსულ ენაზეა): „ჩემო ძვირფასო ნათლიმამავ, თავადო ალექსანდრე დიმიტრის ძეე! ამ დღეებში უთუოდ წაიკითხავდით [გაზ.] „კავკაზში" დაბეჭდილ ცნობას იმის შესახებ, რომ ფორაქოვის სარჩელის საფუძველზე 14 მაისისთვის დანიშნულია ჩემი ადგილ-მამულის საჯარო ვაჭრობით გაყიდვა. იმედი კი მაქვს, არ ინებებთ ჩემს საბოლოო გაჩანაგებას. ნაწილი ჩემი მინებისა უკვე გაყიდულია და პენსიიდანაც 2/5 მექვითება. ასე რომ, იმ 32 500 მანეთიდან თუნდაც 17 000-ს თუ მომაშველებთ, ამით გარდაუვალი უბედურებისგან დამიხსნით..." (ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №690, ფ. 1). მაგრამ იმ დროისთვის ქონებრივად უკიდურესად დაქვეითებულმა ალ. აბხაზმა, ჩანს, ვერც ამჯერად შეძლო ფულის შოვნა და მის ვალს დიმიტრი ყიფიანი სიცოცხლის ბოლომდე ნაწილ-ნაწილ იხდიდა.

223. იგულისხმება ალექსანდრე (კოხტა) აბხაზის ცოლი კლავდია **აბხაზი** (საბუთებში მისი ქალიშვილობის გვარი არ ჩანს). 1869 წელს დიმიტრი ყიფიანი სწერს თბილისის სასამართლო პალატას: „თავადის ქალი კლავდია აბხაზი წლევანდელი ოქტომბრის ბოლო რიცხვებში გაემგზავრა ამიერკავკასიიდან" და ახლა სად იმყოფება, არ ვიცი (ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №654, ფ.25).

224. **კარდანახი** — სოფ. სიღნაღის მაზრაში (ამჟამად გურჯაანის რაიონში შედის).

225. **გიორგი ადამის ძე ფორაქაშვილი (ფორაქოვი)** — მსხვილი ვაჭარი, შთამომავლობითი საპატიო მოქალაქე (Потомственный почетный гражданин). 1880-იან წლებში იგი გაკოტრებული ჩანს, ყოველ შემთხვევაში, 1885 წლის 22 ივნისს „აბხაზების ვალთან" (იხ. კომენტარი №221) დაკავშირებით გ. ფორაქაშვილი დიმიტრი ყიფიანს ვლადიკავკაზიდან სწერს: „მე გარწმუნებთ, როგორც პატიოსანი კაცი და საქმითაც დაგირწმუნებთ, რომ არ მოვინდომებ თქვენს გაფუჭებას. ამდენი წელიწადი მომითმენია და ეხლაც მოვითმენდი მცირედს ხანსა. წარმოიდგინეთ ჩემი გარემოება და მეც უნდა შემიბრალოთ, რაოდენი ფული მიზის და რაოდენი შენუხება. მეტი ღონე არ არის, ორნივე ჩავვარდით ამისთანა ცეცხლშია და ვიღუპებით. თქვენ გაქვთ ღონისძიება, რომ არ დაიღუპოთ, მაგისთანა მშვენიერი მამულები გაქვსთ და მე არაფერი

არა მაქვს. იმედი მაქვს, რომ შემიბრალებთ და შემოხვალთ ჩემს გარემოებაშია და მიხსნით ამ ცეცხლიდამა..." (ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №1658, ფ. 2).

226. **ილარიონ იოსების (ოსიპის) ძე ფორაქაშვილი (ფორაქოვი)** - მსხვილი ვაჭარი, შთამომავლობითი საპატიო მოქალაქე (Потомственный почетный гражданин). ამის ხელში იყო გადასული ვექსილი დიმ. და ალ. აბხაზების ვალებისა, რომლის გასტუმრებაც დიმიტრი ყიფიანს მოუხდა (იხ. კომენტარი №221).

227. **ნაპოლეონ ამატუნი** — სომეხი ეროვნების თბილისელი ვექილი, თბილისის საბჭოს ხმოსანი 1870-იან წწ.; 1884 წელს მწვავე პოლემიკა ჰქონდა ილია ჭავჭავაძესთან საადგილმამულო ბანკის საკითხზე — ბანკი სომხების დისკრიმინაციას ეწევაო (საბანკო დავიდარაბა, „დრ.", 1884, №№122, 123). ნიკო ნიკოლაძე 1878 წელს ასე ახასიათებს ნ. ამატუნს: „ბუნებამ უხვად დააჯილდოვა ეს ადამიანი ყველაფრით, რაც აუცილებელია თანამედროვე გავლენის მოსაპოვებლად, საკუთარი თვალსაზრისის და აზრების განსახორციელებლად. საკუთარი თვალსაზრისიც გააჩნია, ორიგინალურადაც აზროვნებს და თამამიცაა, მაგრამ გულუხვად ფანტავს ყოველივე ამას, რადგან პირადი ცხოვრების ვიწრო ინტერესებს მისცემია. საფრანგეთში რომ დაბადებულიყო, ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე იქნებოდა, მაგრამ იგი თბილისში დაიბადა" (ნ. ნიკოლაძე, თბილისის საბჭოს ფიზიონომია, თხზულებანი, ტ. V, თბ., 1966, გვ. 327).

1897 წელს თბილისის საკრედიტო საზოგადოების ფულის გაფლანგვისთვის ნაპოლეონ ამატუნს „ყოველივე ღირსების ჩამორთმევა" და საცხოვრებლად ტომსკის გუბერნიაში გადასახლება მიესაჯა (სასამართლოს მატიანე, „ივ.", 1897, №103; იხ. აგრეთვე, „ცნ.ფ.", 1897, №212).

228. მას შემდეგ, რაც ი. ფორაქაშვილთან სასამართლო პროცესი წააგო, დიმიტრი ყიფიანმა სცადა, ვალი სასამართლოს გზით უშუალოდ აბხაზებისგან ამოეღო, მაგრამ ეს ცდაც უშედეგო აღმოჩნდა (იხ. ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №654; ა. ჯორჯაძე, დიმიტრი ყიფიანი, წიგნში: წერილები, თბ., 1989, გვ. 539-540).

229. **ნიკოლოზ დიმიტრის ძე ჭავჭავაძე** (1830-1903) — იურისტი. სხვადასხვა წლებში მსახურობდა მაზრის მოსამართლედ, თბილისის ვიცე-გუბერნატორად (1865-1867 წწ.); 1867 წელს დანიშნეს თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარედ, ხოლო 1878 წელს — თბილისის სასამართლო პალატის დეპარტამენტის თავმჯდომარედ. 1890-იანი წწ. დასასრულს ნიკ. ჭავჭავაძე გავიდა სამსახურიდან და, როგორც კერძო პირმა, მოიპოვა კახეთის რკინიგზის მშენებლობის უფლება. ამ საქმეზე 1899 წელს პეტერბურ-

გშიც იყო (ახალი ამბავი, „ცნ.ფ.", 1899, №792), მაგრამ სიკვდილმა არ დააცალა განზრახვის პრაქტიკული განხორციელება.

ბიოგრაფიული ცნობები ნიკ. ჭავჭავაძეზე იხ. ახალი ამბავი, „ცნ.ფ.", 1903, №2101.

230. **დავით ისაიას ძე ტერ-ღუკასოვი** — თბილისის საოლქო სასამართლოს წევრი (იხ. „კ.კ.", 1872, გვ. 31).

231. **გაბრიელ სულხანის ძე ტერ-სტეფანოვი** (1851-1900) — თბილისელი ნაფიცი ვექილი. „ცნობის ფურცელში" იგი დახასიათებულია, როგორც „ნიჭიერი და კაცთმოყვარე დამცველი ჩაგრულთა და უბედურთა" (ახალი ამბავი, „ცნ.ფ.", 1900, №1158). დაკრძალულია ხოჯავანქის სომხურ სასაფლაოზე (იქვე).

გ. ტერ-სტეფანოვზე იხ. Г. Туманов, Характеристики и воспоминания, I, Тфл., 1913, გვ. 211-215.

232. **ივანე ეგნატეს ძე პოლტორაცკი (პოლტარაცკი)** (1836-1892) — უკრაინული წარმოშობის ქართველი საზოგადო მოღვაწე (დედით ქართველი — ზედგინიძე), „ქშნ-კგ საზოგადოების" დამფუძნებელი წევრი; დამთავრებული ჰქონდა თბილისის გიმნაზია. მსახურობდა თბილისშივე: მომრიგებელ მოსამართლედ, ვექილად, ბოლოს კი — ნოტარიუსად. მონაწილეობდა ი. ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბის" (1863 წ.) დაარსებაში (ალ. კალანდაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, III, თბ., 1985, გვ. 23, 24, 81-83). საერთოდ, გიმნაზიიდანვე ახლო მეგობრობა აკავშირებდა ილიასთან, რომელმაც ი. პოლტორაცკისა და ი. წინამძღვრიშვილს უძღვნა „აჩრდილი". ილია იყო ნათლია ი. პოლტორაცკის უფროსი ვაჟის — ილია პოლტორაცკისა (ცხოვრობდა პარიზში. გარდ. 1944). ივანე პოლტორაცკიმ რუსულ ენაზე თარგმნა ი. ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!", „ოთარაანთ ქვრივი", „გლახის ნაამბობი". ე. თაყაიშვილის გადმოცემით, ი. პოლტორაცკის დაკრძალვაზე „ილიას თვალებიდან სულ კურცხალ-კურცხალი ცრემლები სდიოდაო" (ე. თაყაიშვილი, რჩ. ნაშრომები, გამოსაცემად მოამზადეს და შესავალი წერილები დაურთეს ალ. ბარამიძემ და გ. ლომთათიძემ, I, თბ., 1968, გვ. 261).

ი. პოლტორაცკის რუსულ ენაზე თარგმნილი აქვს აგრეთვე „ვეფხისტყაოსანი" (1889-1892 წწ.; მოღწეულია თარგმანის 150 სტრიქონი — იხ. ლ. ანდღულაძე, ვეფხისტყაოსანი რუსულ ენაზე, კრბ. „ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები", V, თბ., 1973, გვ. 83), ალ. ყაზბეგისა და ე. გაბაშვილის რამდენიმე მოთხრობა (ახალი ამბავი, „ივ.", 1892, №196).

ი. პოლტორაცკი გარდაიცვალა 1892 წლის 11 სექტემბერს, თბილისთან ახლოს, სოფ. ოქროყანაში. წირვა-პანაშვიდი თბილისში, ამაღლების ეკლესიაში, გადაუხადეს, შემდეგ კი ისევ ოქროყა-

ნას წაასვენეს და იქვე დაკრძალეს (იხ. სამგლოვიარო განცხადება და ნეკროლოგი, „ივ.", 1892, №№193, 196).

ივანე პოლტორაცკის ქალიშვილი ნინო (1869-1931) უერთგულესი მეუღლე და მეგობარი იყო ექვთიმე თაყაიშვილისა (ნინო პოლტორაცკაია გარდაიცვალა პარიზში (ლევილში), ერთხანს იქვე ემარხა, 1987 წელს კი მისი ნეშტი თბილისში გადმოასვენეს და დიდუბის პანთეონში დაკრძალეს).

ამონაწერი ივანე პოლტორაცკის ნამსახურობითი სიიდან (1875 წ. 14 მარტი — 1883 წ. 13 მაისი) იხ. ხი, ფონდი „სხვადასხვა", საქ. №261, ფ. 4; იქვეა (საქ. №255, ფ. 11) დაცული ივანეს მამის, ინჟინერ-მაიორ ეგნატე სიმონის ძე პოლტორაცკის (1793-1848), ნამსახურობითი სიაც.

233. **კონსტანტინე რეიტერი** — თბილისელი ადვოკატი, საზოგადო მოღვაწე („ქმწ-კგ საზოგადოების" დამფუძნებელი წევრი), ქველმოქმედი (1897 წელს 3 000 მან. ღირებულების საბანკო ბილეთი შესწირა გორის მაზრის სოფ. ვაყას ახალდაარსებულ სკოლას — იხ. ახალი ამბავი, „ივ.", 1897, №217).

234. **მიხეილ ალექსანდრეს ძე ბენკენდორფი** — თბილისელი ადვოკატი.

235. **თედორე არტემის ძე სმირნოვი** — ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი („დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკ"). 1880 წელს პეტერბურგში შეიქმნა ნიკო დადიან-მინგრელსკის მაიორატის საქმეთა გამომრკვევი დროებითი სახელმწიფო კომისია. სმირნოვი ამ კომისიის მდივანი იყო (დ. ყიფიანისა და თ. სმირნოვის ურთიერთობაზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 231).

236. **მიხეილ ტარიელის ძე ლორის-მელიქოვი** (1825-1888) — გენერალ-ადიუტანტი, რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი, 1880-1881 წწ. — რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი და ჟანდარმთა ფაქტობრივი შეფი (სარგებლობდა ალექსანდრე II-ის განუსაზღვრელი ნდობით, რამაც მეფის შემდეგ რუსეთის ხელისუფლების ცენტრალურ ფიგურად აქცია), სათავეში ედგა უაღრესად მნიშვნელოვან რეფორმებს, რომელიც ითვალისწინებდა რუსეთში რევოლუციური პროცესების ჩაქრობასა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების ლიბერალიზაციის გზით მეფის ძალაუფლების განმტკიცებას; ალექსანდრე II-ის მკვლელობის (1881 წ.) შემდეგ გადადგა თანამდებობიდან, საერთოდ ჩამოშორდა სახელმწიფო სამსახურს და დარჩენილი წლები ძირითადად უცხოეთში გაატარა.

დაბალი სოციალური წრიდან გამოსულმა მ. ლორის-მელიქოვმა (მისი უშუალო წინაპრები დაბღები — ტყავის გამომყვანნი — იყვნენ) განსაცვიფრებელი სამხედრო ნიჭისა და პოლიტიკური ალ-

ღოს წყალობით ბევრ სხვა ჯილდოსთან ერთად გრაფის ტიტულიც მოიპოვა (1878 წ.).

მ. ლორის-მელიქოვი სომხური წარმოშობისა და გრიგორიანული რწმენის მიუხედავად თავს ქართველად თვლიდა და საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაშიც მონაწილეობდა: იყო „ქშწ-კგ საზოგადოების" დამფუძნებელი წევრი, მონაწილეობდა თეატრალურ წარმოდგენებში (კერძოდ, აბრამა ბიჭის როლი აქვს შესრულებული გ. ერისთავის „დავის" 1850 წ. 3/15 მაისის წარმოდგენაში)...

მ. ლორის-მელიქოვი ქართული ლიტერატურის ისტორიაში შესულია, როგორც ი. ჭავჭავაძისა („კიდევ გამოცანები") და ა. ნერეთლის („ჩვენი მიხაკა") გამანადგურებელი სატირის ობიექტი.

გარდაიცვალა 1888 წლის 12 დეკემბერს, საფრანგეთის ქ. ნიცაში; 1889 წლის თებერვალში ჩამოასვენეს თბილისში და აქვე, ვანქის ეკლესიის გალავანში, დაკრძალეს (მ. ლორის-მელიქოვის გარდაცვალება-დაკრძალვის გარემოებებზე იხ. „ივ.", 1888, №264; 1889, № № 19, 27, 29).

მ. ლორის-მელიქოვის ცხოვრება-მოღვაწეობაზე, აგრეთვე, ლიტერატურა მასზე იხ.: ი. გრიშაშვილი, ლიტერატურული ნარკვევები, თბ., 1952, გვ. 449-452; ბროკჰაუზი-ეფრონი, წგნ. 35, 1896, გვ. 15-17.

დიმიტრი ყიფიანისა და მ. ლორის-მელიქოვის ურთიერთობაზე იხ.: დ. ყიფიანი, მემუარები, თბ., 1990, გვ. 80-96; დიმიტრი ყიფიანის დღიური, „ლიტერატურა და ხელოვნება", 1991, №1, გვ. 222-223.

237. **„გრაფი ადლერბერგი და იმისი მეუღლე":**

ა) **ალექსანდრე ვლადიმირის ძე ადლერბერგი** (1818-1888) - ნიკო დადიან-მინგრელსკის სიმამრი; რუსეთის საიმპერატორო კარის მინისტრის, სახელმწიფო საბჭოს წევრისა და ინფანტერიის გენერლის ვლადიმირ თედორეს ძე ადლერბერგის (1790-1884) შვილი. ალ. ადლერბერგი უახლოესი მეგობარი და მრჩეველი იყო იმპერატორ ალექსანდრე II-ისა და თითქმის ყველა მოგზაურობისას თან ახლდა რუსეთის მონარქს. იყო გენერალ-ადიუტანტი და საიმპერატორო კარისა და ხელმწიფის ადგილ-მამულის მინისტრი (1870-1881 წწ.) (იხ. ბროკჰაუზი-ეფრონი, წგნ. 1, 1890, გვ. 177; ბსე, ტ. I, 1970, გვ. 229).

„ადლერბერლი" გრ. ორბელიანისადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში ნახსენები ჰყავს ნიკ. ბარათაშვილს (თხზულებანი, 1972, გვ. 113, 222).

ბ) **ეკატერინე ნიკოლოზის ას. ადლერბერგი** - გრაფინია, ჰომეოპატთა სანქტ-პეტერბურგის საზოგადოების დამაარსებელი (იხ. ლმ, №14761-ხ). პეტერბურგში ეკ. ადლერბერგთან შეხვედრა

აღწერილი აქვს თვითონ დიმიტრი ყიფიანს თავის „მემუარებში" (1990, გვ. 87-89).

238. **ანდრეი ალექსანდრეს ძე ლივენი** (დაბ. 1839) - სტატს-სეკრეტარი და სენატორი, რუსეთის სახელმწიფო ქონებათა მინისტრი (1877-1881 წწ); 1880-1881 წწ. დანიშნული იყო ნ. დადიან-მინგრელსკის მაიორატის საქმეთა გამომრკვევი დროებითი სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარედ. ამ საქმეზე ა. ლივენთან რამდენიმე შეხვედრა დ. ყიფიანს აღწერილი აქვს თავის „მემუარებში" (თბ., 1990, გვ. 85, 89-91).

239. დ. ყიფიანი ნიკო დადიან-მინგრელსკის მაიორატის საქმეზე პეტერბურგში 1880-1882 წწ. ორჯერ იმყოფებოდა (ამ საკითხზე იხ. დ. ყიფიანი, მემუარები, 1990, გვ. 80-96; აგრეთვე, ჩვენი პუბლიკაცია - დიმიტრი ყიფიანის დღიური, „ლიტერატურა და ხელოვნება", 1991, №1, გვ. 212-228).

240. **შექსპირის „შეილოქი"** - იგულისხმება შექსპირის „**ვენეციელი ვაჭარი**", რომელიც დ. ყიფიანმა თარგმნა და 1872 წელს ჟურნალ მნათობში" (№№3,4) გამოაქვეყნა („ვენეციელი ვაჭრის" სცენურ განხორციელებაზე იხ. აქვე, კომენტარი №622).

241. **„რუსსკაია სტარინაში"** (ყოველთვიური საისტორიო ჟურნალი. გამოდიოდა პეტერბურგში 1870-1918 წწ.) დაიბეჭდა დ. ყიფიანის მოგონებათა მხოლოდ ნაწილი - „სკოლა სულისა" (ამ საკითხზე იხ. დ. ყიფიანი, მემუარები, ს. ხუნდაძის რედაქციით, შენიშვნებითა და წინასიტყვაობით, ტფ., 1930, გვ. V-VI).

242. **ნიკო იაკობის ძე ნიკოლაძე** (1843-1928) - ჟურნალისტი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, უთვალსაჩინოესი ფიგურა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში. ნ. ნიკოლაძე აქტიურად უჭერდა მხარს დიმიტრი ყიფიანის კანდიდატურას თბილისის ქალაქის თავის თანამდებობაზე. საერთოდ, იგი მეტად მაღალი აზრისა იყო დიმიტრიზე და ახასიათებდა მას, როგორც „მედგარს, ენერგიულსა და პატიოსნების იშვიათ განსახიერებას... მეტისმეტად დიდი ჭკუის, განუზომელი უნარის პატრონს, [რომელსაც] აქვს გამოცდილებისა და ცოდნის დიდი მარაგი", ამასთანავე, ნ. ნიკოლაძის აზრით, დ. ყიფიანი ეკუთვნოდა იმ „საუკეთესო ადამიანთა" რიცხვს, ვინც „ბეჯითად ადევნებდა თვალყურს საზოგადოებრივი აზრის მოძრაობას და მისი ნათელი გონებისთვის ყოველთვის ხელმისაწვდომი იყო საზოგადოების ახალ მოთხოვნილებათა გაგება" (ნ. ნიკოლაძე, დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი, თხზულებანი, დ. გამეზარდაშვილის რედაქციითა და შენიშვნებით, ტ. 4, თბ., 1964, გვ. 311-312).

დიმიტრი ყიფიანი იყო ნ. ნიკოლაძის ინიციატივით დაარსებული გაზეთის - „ობზორის" (1878-1883) - დამფუძნებელი ამხანაგო-

ბის წევრი (იხ. ნ. ნიკოლაძის კატალოგი, შეადგინა და დასაბეჭდად მოამზადა თ. მაჭავარიანმა, ნაწ. I, თბ., 1954, გვ. 155).

243. **კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ბებუთოვი** (1847-1907) - თბილისელი ჟურნალისტი, პუბლიცისტი (ფსევდ.: „ზრიტელ", „ზრ."...), გაზ. „ტიფლისსკი ვესტნიკის" დამაარსებელი (1873 წ.) და რედაქტორი (1874-1878 წწ.); თანამშრომლობდა ქართველ მოღვაწეებთან, მათ შორის ნ. ნიკოლაძესთან, თუმცა შემდეგ კ. ბებუთოვის სომხოფილური შეხედულებების გამო მათ შორის განხეთქილება მოხდა (იხ. ა. ბაქრაძე, ნიკო ნიკოლაძე, თბ., 1989, გვ. 103-104). 1879 წელს კ. ბებუთოვმა თვითონ იყარა კენჭი ქალაქის თავის თანამდებობაზე, მაგრამ გააშავეს (ნ. ნიკოლაძე, ქალაქის თავის არჩევნები, თხზულებანი, ტ. VII, თბ., 1985, გვ. 207-208).

კ. ბებუთოვი გერმანიაში (ბერლინთან ახლოს) დაიღუპა სარკინიგზო კატასტროფაში.

კ. ბებუთოვზე იხ.: ლ. ჩიქოვანი, გაზეთ „თბილისის მოამბის" (1873-1882 წწ.) სოციალურ-პოლიტიკური პროფილი, 1967, გვ. 10-27, 33, 45-49; Г. Туманов, Характеристики и воспоминания, III, Тфл., 1907, გვ. 45-56.

244. **იერემია არწრუნი** (1804-1877) - გენერალ-მაიორი. დამთავრებული ჰქონდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი (იხ. ტ. ხუნდაძე, ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში, თბ., 1951, გვ. 8); მონაწილეობდა მთავარმართებელ ი. პასკევიჩის (1827-1831) ლაშქრობებში; 1840-იან წწ. განაგებდა კავკასიის საინტენდანტოს; 1860-იან წწ. იყო თბილისის ქალაქის თავი (მოურავი); ჰქონდა დიდი ქარვასლა, რომელშიც ერთხანს თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი იყო მოთავსებული (ი. არწრუნი თვითონაც მონაწილეობდა ბანკის დაარსებაში - იხ. ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის შეყრილობაზედ, „დრ.", 1867, №20).

1875 წლის დეკემბერში ქალაქის თავის არჩევნებზე ი. არწრუნის კანდიდატურაც იყო წარდგენილი, მაგრამ დიმიტრი ყიფიანმა ერთი ხმით აჯობა (იხ. დ. ი. ყიფიანის ამორჩევა, „დრ.", 1875, გვ. 144).

ბიოგრაფიული ცნობები ი. არწრუნზე იხ. Г. Туманов, Словарь Кавказских деятелей, Тфл., 1890, გვ. 14-15.

245. **ნიკოლოზ იაგორის ძე ზუბალაშვილი** (1821-1898) - თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის საკრებულოს წევრი 1870-იან წწ. (იხ. „კ.კ.", 1880, გვ. 25). გარდაიცვალა საზღვარგარეთ (საფრანგეთის ქ. ნიცაში), საიდანაც ჩამოასვენეს თბილისში და დაკრძალეს ღვთისმშობლის მიძინების კათოლიკურ ეკლესიაში (იხ. ახალი ამბავი, „ივ.", 1898, №127).

ნიკოლოზ ზუბალაშვილმა ანდერძით დიდძალი ქონება (4 სახლი, 400 000 მან.) დატოვა საქველმოქმედო საქმეებისთვის, მათ შორის, „საღარიბო სახლის" (ღარიბთა თავშესაფრის) ასაშენებლად (დღევანდელი ბავშვთა საავადმყოფო თბილისში, - ძმები ზუბალაშვილების ქუჩაზე, - ადრე „ღარიბთა და უპოვართა თავშესაფარი" იყო და იგი ნიკ. ზუბალაშვილის მიერ ანდერძით დატოვებული ფულით აშენდა - იხ. ი. ახუაშვილი, მოკლედ ზუბალაშვილთა ქველმოქმედებაზე, გაზ. „თბილისი ", 1994, №57).

ნიკ. ზუბალაშვილის ანდერძი რამდენჯერმე გამოქვეყნდა პრესაში („ივ.", 1898, №30; „ცნ.ფ.", 1898, №453; „მწყ.", 1898, №5-6, გვ.18).

246. **დ. ყიფიანს თბილისის თავის (მოურავის) თანამდებობა** ეკავა სამ წელიწადს - 1875 წლის დეკემბრიდან 1879 წლის იანვრამდე (ამ საკითხზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 206-207).

247. **ელენე (ლოლა, ლოკა) დიმიტრი ყიფიანის ას. ლორთქიფანიძე** (1855-1890) - მწერალი, ჟურნალისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე (ე. ლორთქიფანიძეზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 193-194).

248. **მარიამ პავლეს ას. ბაშინჯაღიანი** - ფონ-დერ ნონეს (იხ. კომენტარი №152) ცოლი, დიმიტრი ყიფიანის ოჯახთან დაახლოებული პირი (დიმიტრის ქალიშვილის - ელენეს - ნათლია). 1860 წლის 17 დეკემბერს დიმიტრი პეტერბურგიდან სწერს თავის მეუღლეს: „მაშინკა, ე.ი. მარია პავლოვნა, ჩანს, ისეა გაამპარტავნებული და თავისი გოგონას მოვლა-პატრონობაში გართული, რომ ნათლიმამას წერილზეც კი არ უპასუხებსო" (ლმ, №14816-ხ, ფ.2).

249. **ანიკა** - დ. ყიფიანის შვილების გამდელი. 1862 წლის 28 ივლისს დიმიტრი ქვიშსეთიდან თბილისში სწერს თავის მეუღლეს: ლოკამ (დ. ყიფიანის ქალიშვილი, რომელსაც შინაურობაში „ლოკას", „ლოლას", „ლოლიას" ეძახდნენ - თ.ჯ.) ბორჯომის ნახვა ისურვა და ანიკასთან ერთად ურმით გავუშვიო (ლმ, №14840-ხ, ფ.1).

250. **თამარი** (დაახლ. 1160-1213) - საქართველოს მეფე 1184 წლიდან (გიორგი III-ის თანამოსაყდრე 1178 წლიდან), საქართველოს ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული.

251. **ზაქარია II** (გარდ. 1212) **და ივანე (იოანე) I** (გარდ. 1227) **მხარგრძელები** - საქართველოს გამოჩენილი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეები. დაკრძალულნი არიან სანაინის (სომხეთი) საგვარეულო მონასტრის საძვალეში.

მხარგრძელთა ეროვნულ წარმომავლობაზე ქართულ, სომხურ თუ სხვ. მეცნიერებაში აზრთა სხვადასხვაობაა. უკანასკნელ ხანს ქართულ საისტორიო მეცნიერებაში დამკვიდრებულია თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც, „XII ს. ბოლოდან მხარგრძელები გვარით, ენით, კულტურით, დამწერლობით, სარწმუნოებით ქართველები არიან. მათი წინაპრები კი ქართველები და ამიერკავკასიის

მკვიდრნი არ ყოფილან" (ნ. შოშიაშვილი, მხარგრძელები, ქსე, ტ. 7, 1984, გვ. 270).

252. **შოთა რუსთველი (რუსთაველი)**(XII-XIII სს.) - პოეტი, ავტორი „ვეფხისტყაოსნისა" (რუსთველოლოგიური პრობლემატიკის დამუშავებაში დ. ყიფიანის ნვლილზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 272).

253. **სარგის მხარგრძელი** (გარდ. 1187) - ზაქარია II და ივანე I მხარგრძელების (იხ. კომენტარი №251) მამა. ამირსპასალარ-მანდატურთუხუცესი თამარის კარზე. გავრცელებული თვალსაზრისით, სხვა მხარგრძელთაგან განსხვავებით სარგისი და ზაქარია II „სჯულით სომეხნი" (მონოფიზიტები) იყვნენ.

254. **გრიგოლ დავითის ძე გურიელი** [1818 (სხვა ცნობით - 1812) - 1891] - სამხედრო (გენერალი) და საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი, ბიბლიოფილი. 1860-იან წწ. მეთაურობდა გურიის მილიციას, ხოლო 1878-1880 წწ. იყო ახალშემოერთებული ბათუმის „ოკრუგის" უფროსი (საერთოდ, სიტყვითა თუ საქმით, - მათ შორის, საბრძოლო ოპერაციებში თავდადებული მონაწილეობით, ფასდაუდებელი ამაგი დასდო აჭარის შემოერთებას დედასამშობლოსთან და ამ საქმეში გაწეული უანგარო ღვაწლისთვის აჭარელთა გულწრფელი პატივისცემა და სიყვარული ჰქონდა მოპოვებული - იხ. შ. მეგრელიძე, ამაგდარი მამულიშვილი, „ლიტერატურული საქართველო", 1984, №17; „თუ ჩვენს ჯარს თ.გრ. გურიელი წაუძღვება წინ, ქობულეთელები და საზოგადოთ ბათუმის ქართველები, რაც უნდა მოხდეს, თავის დღეში თოფს არ გაისვრიანო" - წერდა 1878 წელს სერგეი მესხი. იხ. მისი, როგორ უნდა ბათუმში შესელა, თხზ. სამ ტომად, ტ. III, თბ., 1964, გვ. 24).

გრ. გურიელი ნამდვილი კულტურტრეგერი იყო. მას თავისი სახლი ოზურგეთში გადაქცეული ჰქონდა კულტურული ინტერესების მქონე საზოგადოების თავშესაყარ ადგილად - აქ იმართებოდა ლიტერატურული ღონისძიებები, თეატრალური წარმოდგენები და სხვ.; გრ. გურიელი დღენიადაგ ზრუნავდა ახალგაზრდობის განათლებაზე: მისი ხარჯით მრავალი მოსწავლე იღებდა განათლებას სამაზრო თუ სასულიერო სასწავლებლებში, დიდი ამაგი დასდო ოზურგეთში სასულიერო სასწავლებლის დაარსებას, რომელსაც მნიშვნელოვანი ნივთიერი დახმარებაც აღმოუჩინა და ა.შ. 1886 წელს გრ. გურიელის ხარჯით ილია ჭყონიამ გამოსცა „ქილილა და დამანა", რომლის მთელი ტირაჟი გრიგოლმა გადასცა „ქშნ-კგ საზოგადოებას"; ამ საზოგადოებასვე სხვადასხვა დროს შესწირა აგრეთვე იშვიათი ხელნაწერი თუ ნაბეჭდი წიგნები, არქეოლოგიური ნივთები და ა.შ. (იხ. შ. მეგრელიძის დასახ. წერილი; აგრეთვე, ა.ლორია, ნ. გურგენიძე, საბიბლიოთეკო საქმე საქართველოში, თბ., 1974, გვ. 158-159). გარდა „ქილილა და დამანასი", გრ. გურიელმა თავისი ხარჯით გამოსცა შემდეგი წიგნები: 1) სიბრძნე სო-

ლომონ მეფისა, ოზურგეთი, 1890; 2) წიგნი ეკლესიასტე მეფე სოლომონ ბრძენისა, ოზურგეთი, 1890; 3) ქართველთ მაჰმადიანთა ლოცვები, თბ., 1891. გრ. გურიელზე დიდი პატივისცემითა და სითბოთი წერს აკაკი წერეთელი (ფიქრები ბუხრის წინ, თხზ. სრ. კრებული 15 ტომად, ტ. XIII, თბ., 1961, გვ. 272-274).

გრიგოლ გურიელმა მთელი თავისი აელა-დიდება, ფიზიკური თუ ინტელექტუალური ენერგია ქართველ ხალხსა და მის კულტურულ განვითარებას შესწირა, თვითონ კი ოჯახსაც არ მოჰკიდებია და უშვილძიროდ გადაეგო.

გარდაიცვალა 1891 წლის ნოემბერში და, მისივე ანდერძის თანახმად, ოზურგეთის წმ. მარინეს ეკლესიის გალავანში დაკრძალეს (გრ. გურიელის გარდაცვალება-დაკრძალვის გარემოებებზე იხ.: „ივ.", 1891, №№254, 256, 258, 262; „მწყ.", 1891, №23, გვ. 13; ბიოგრაფიული ცნობები იხ. „საქართველოს კალენდარი", 1894, გვ. 438-439).

255. **სალომე დავითის ას. დადიანი-მიურატი** (1848-1913) - სამეგრელოს მთავრის დავით დადიანისა და ეკატერინე ჭავჭავაძის ქალიშვილი, მეუღლე ნაპოლეონ ბონაპარტის დის შვილიშვილის, პრინც აშილ მიურატისა (1847-1895). ს. დადიანმა და ა. მიურატმა ჯვარი დაიწერეს 1867 წელს, პარიზში, იმპერატორ ნაპოლეონ III-ის სასახლეში (პარიზშივე - რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში - შედგა მეორედ ჯვრისწერაც) და მას ესწრებოდნენ თვითონ იმპერატორიცა და მისი მეუღლეც - დედოფალი ევგენია (ამ ფაქტზე, საერთოდ, ს. და ა. მიურატებზე, აგრეთვე, საქართველოში მათს სამეურნეო და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაზე იხ.: ლ. კიკნაძე, ალექსანდრე ჭავჭავაძის შთამომავლობა, „მნათობი", 1998, №3-4, გვ. 156-157; ს. ჭილაია, ეკატერინე ჭავჭავაძე, თბ., 1969, გვ. 507-509).

ხი-ში (დ. ყიფიანის არქ., საქ. №№1294, 1295, ფ. 3) დაცულია სალომე მიურატის ორი ბარათი დიმიტრი ყიფიანისადმი - გამოგზავნილი ჰამბურგიდან, დათარიღებული 1867 წლის აგვისტოთი და ნოემბრით. აქედან ერთ-ერთ ბარათში (№1295, 20.X-1.XI, ფ.2, რუსულ ენაზე) სალომე დ. ყიფიანს სთხოვს რაიმე ქართული წიგნისა და ლექსიკონის გაგზავნას და თან ატყობინებს - ორი კვირის შემდეგ პარიზში მივემგზავრებით და იქ ისევ ლუვრში ვიცხოვრებთო.

256. ქალაქის ხელმძღვანელობიდან დიმიტრი ყიფიანის ჩამოშორების ძირითად მიზეზზე ნიკ. ყიფიანის მიერ მოყვანილი ცნობის სისწორე ნიკო ნიკოლაძის ნაწერებშიც დასტურდება (იხ. ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ. VII, თბ., 1985, გვ. 351).

257. **ალექსანდრე სტეფანეს ძე მატინოვი** (1843-1909) - თბილისის ქალაქის თავი (მოურავი) 1879-1891 წწ. (ალ. მატინოვზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 216).

უნდა ითქვას, რომ დიმიტრი ყიფიანის შემდეგ ქალაქის თავად ჯერ ანტონ სოლომონის ძე ყორღანოვი იქნა არჩეული (იხ. ს. მესხი, თხზულებანი, ტ. III, თბ., 1964, გვ. 124-126), მაგრამ მოკლე ხანში მან მოულოდნელად უარი თქვა თანამდებობის შესრულებაზე („უეცარი ავადმყოფობის" მიზეზით) და მხოლოდ ამის შემდეგ აირჩიეს ალ. მატინოვი თბილისის ქალაქის თავად (იხ. ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ. VII, თბ., 1985, გვ. 352).

258. **მოსე ზაქარიას ძე არლუთინსკი (არლუთაშვილი, არლუთინსკი-დოლგორუკოვი)** (1797-1855) - გენერალ-ადიუტანტი, თვალსაჩინო ფიგურა ე.წ. კავკასიის ომებში, სადაც განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა; გურიის 1841 წლის აჯანყების ჩამქრობი (ამ საკითხზე დ. ყიფიანსაც უნერია თავის „მემუარებში" - თბ., 1990, გვ. 38-39). მ. არლუთინსკიმ რუსული იარაღის დიდებას შესნირა მთელი თავისი სამხედრო ნიჭი, ენერგია და შესაძლებლობები იმდენად, რომ არასოდეს უზრუნია კერძო ცხოვრების მონყობაზე, არც ოჯახს მოჰკიდებია და უშვილძიროდ გადაეგო (გარდაიცვალა თბილისში, დამბლისგან. დაკრძალულია სანაინის მონასტერში, საგვარეულო აკლდამაში).

მ. არლუთინსკის გარდაცვალებასთან დაკავშირებით „კავკაზში" (1855, №19) გამოქვეყნდა გენერალ-ლეიტენანტ ნიკ. კოლიუბაკინის წერილი, რომელშიც მეტად „მაღალი სტილითაა" გადმოცემული ავტორის უსაზღვრო პატივისცემა და მოწიწება გარდაცვალებულისადმი. „არლუთინსკი-დოლგორუკოვის ბიოგრაფია პლუტარქეს კალმით უნდა დაიწეროსო" - დასძენს ნიკ. კოლიუბაკინი.

ლიტერატურა მ. არლუთინსკიზე იხ. გრ. ორბელიანი, წერილები, I, თბ., 1936, გვ. 248; აგრეთვე, მაქს. ბერძნიშვილი, მასალები..., I, გვ. 154-156.

259. **ცინცინატუსი ლუციუს კვინქციუს** (ძვ. წ. V ს.) - რომაელი პატრიციუსი. გამოირჩეოდა თავმდაბლობით, მაღალი ზნეობით, სიმამაცით, სამშობლოს წინაშე მოქალაქეობრივ მოვალეობათა შეგნებით. ბრწყინვალე პოლიტიკური და სამხედრო გამარჯვებების შემდეგ (ერთხანს რომის დიქტატორად იყო დანიშნული) დაბრუნდა სოფელში, თავის მამულში, და მიწათმოქმედებას მიჰყო ხელი.

260. **გიორგი დავითის ძე ქართველიშვილი** (1836-1901) - კომერსანტი (I გილდიის ვაჭარი), ქველმოქმედი, საზოგადო მოღვაწე, „ქშნ-კგ საზოგადოების" დამფუძნებელი წევრი (შემდგომში - გამგეობის წევრი, ხაზინადარი, საპატიო წევრი). მისი ხარჯით 1885 წელს გამოიცა ვახუშტი ბატონიშვილის (ბაგრატიონის) „საქართველოს ისტორიის" I ნაწილი (დიმ. ბაქრაძის გამოცემა), „ვეფხისტყაოსანი" მიხაი ზიჩის ილუსტრაციებით (1888 წლის ე.წ. ქართველიშ-

ვილისეული გამოცემა); გაზ. „დროების" გამომცემელი (1883-1885 წწ.); მატერიალურად ეხმარებოდა „ქმწ-კგ საზოგადოებას", ქართულ თეატრს, ინახავდა რუსეთში მყოფ ხელმოკლე ქართველ სტუდენტებს, იღვწოდა ეკლესია-მონასტრებისა თუ სხვა სიძველეების განახლება-აღდგენისთვის, ქართული სტამბის დაარსებისთვის და ა.შ.

გ. ქართველიშვილი გარდაიცვალა 1901 წლის 26 სექტემბერს. საქართველოს ეკლესიისა და საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების მესვეურებმა იგი დიდი პატივით დაკრძალეს დიდუბის ეკლესიაში, მეუღლის გვერდით, განსვენებული ქველმოქმედის მიერ სიცოცხლეშივე მომზადებულ სამარხში (კალისტრატე ცინცაძის ცნობით, გ. ქართველიშვილი 1883-1901 წწ. დიდუბის ეკლესიის მნათე იყო - იხ. კ. ცინცაძე, ქვაშვეთის წმიდის გიორგის ეკლესია ტფილისში, გამოსაცემად მოამზადა, ბოლოსიტყვა და საძიებელი დაურთო მ. ქავთარიამ, თბ., 1994, გვ. 248; გ. ქართველიშვილის გარდაცვალება-დაკრძალვის გარემოებებზე იხ.: „ივ.", 1901, №№210, 212, 213; „ცნ.ფ.", 1901, №№1594, 1597, 1598; განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ნიკ. ურბნელის [ხიზანიშვილის] ნეკროლოგის ტიპის წერილი, რომელშიც საფუძვლიანადაა დახასიათებული და შეფასებული გ. ქართველიშვილის დიდი ღვაწლი მშობლიური კულტურის წინაშე - „ივ.", 1901, №210).

გ. ქართველიშვილს ლექსი („გ. ქართველიშვილს") უძღვნა ა. წერეთელმა (თხზ. სრ. კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. II, თბ., 1950, გვ. 444).

გიორგი ქართველიშვილზე, აგრეთვე, ლიტერატურა მასზე იხ. ლ. ნანიტაშვილი, ქართული წიგნის ამაგდარნი, თბ., 1985, გვ. 3-27.

261. **სიმონ გიორგის ძე წერეთელი** (1844-1931) - იურისტი, საზოგადო მოღვაწე. მართალია, 1880-იან წწ. „ახალთაობამ" იგი ვერ გაიყვანა ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლად („მარშლად"), მაგრამ მოგვიანებით (1889-1903 წწ.) ს. წერეთელი მაინც გახდა ქუთაისის გუბერნიის „მარშალი" (ს. წერეთელზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 302).

1896 წელს თავის ერთ-ერთ სიტყვაში („ივ.", 1896, №10) ს. წერეთელმა მწვავედ გააკრიტიკა რუსეთის ცენტრალური პრესის აგრესიული დამოკიდებულება ქართველი ერის ნაციონალური თვითმყოფადობისა და ისტორიის მიმართ და ამას ქართულ და რუსულ პრესაში შესამჩნევი რეზონანსი მოჰყვა (ამ საკითხზე იხ. „ივ.", 1896, №№11, 22, 26).

საქართველოს ბოლშევიზაციის შემდეგ ს. წერეთელი ოჯახითურთ ემიგრაციაში (საფრანგეთში) გადაიხვეწა. დაკრძალულია ლევილის სასაფლაოზე (შალვა ამირეჯიბის „სიტყვა - თქმული თ-

დის სვიმონ წერეთლის დაკრძალვაზედ" იხ. შ. ამირეჯიბი, [თხზულებები], წგნ. II, თბ., 1998, გვ. 80-82).

262. დიმიტრი ყიფიანი **ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი („მარშალი")** იყო 1885 წლის 24 მაისიდან (იხ. „დრ.", 1885, №№108, 113) 1886 წლის 4 აგვისტომდე (იხ. სმ-დყ, I, გვ. 16, 198; ამ თანამდებობაზე დ. ყიფიანის მოღვაწეობის შესახებ იხ. იქვე, გვ. 21-42).

263. ამ საკითხზე თვითონ დიმიტრის უწერია თავის ვრცელ განმარტებით ბარათში - „იმ ფაქტების შესახებ, რომლებმაც ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის მიმართ ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის გულისნყრომა გამოიწვია" (იხ. სმ-დყ, I, გვ. 22).

264. **ალექსანდრე მიხეილის ძე დონდუკოვ-კორსაკოვი** (1820-1893) - კავკასიის მთავარმართებელი 1882-1890 წწ. (ალ. დონდუკოვ-კორსაკოვზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 195-196), დ. ყიფიანის მკვლელობის სავარაუდო ინიციატორი.

265. **ოლგა თეოდორეს ასული** (გარდ. 1891) - დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის (1832-1909) მეუღლე, „ცხოველთა დაცვის ტფილისის საზოგადოების" თავმჯდომარე (იხ. სმ-დყ, I, გვ. 215).

266. **ბარბარე (ვარა) ნიკოლოზის ას. ყიფიანი** (1879-1965) - პედაგოგი, მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, დიმიტრი ყიფიანის შვილიშვილი; ცხოვრების უმეტესი ნაწილი ემიგრაციაში გაატარა (ბ. ყიფიანზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 239-242).

267. **რედ.** - იგულისხმება გაზ. „თემის" (1911-1915) რედაქტორ-გამომცემელი **გრიგოლ ნიკოლოზის (ნიკოს) ძე დიასამიძე** (1870-1960): იურისტი, პედაგოგი, პუბლიცისტი, მეცნიერი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, XX ს. ქართული პოლიტიკური ემიგრაციის თვალსაჩინო წევრი (გრ. დიასამიძეზე იხ. გ. კობახიძე, მარად იბრნყინებს, „თბილისი", 1990, №№97-98; გ. შარაძე, ამერიკელი ქართველები, 1992, გვ. 60-110; მისივე, უცხოეთის ცის ქვეშ, II, თბ., 1993, გვ. 186-224).

268. **სუფსა** - სოფ. ოზურგეთის მაზრაში (ამჟამად ლანჩხუთის რაიონში შედის).

269. **პეტრე გიორგის ძე ნაკაშიძე** (1838-1895) - მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, „თერგდალეული" (პ. ნაკაშიძესა და მის „მარშლობაზე" იხ. სმ-დყ, I, გვ. 33, 221).

270. **ალმასხან დიმიტრის ძე ნიჟარაძე** (გარდ. 1890) - ქუთაისის გუბერნიის „მარშლის" მოვალეობის შემსრულებელი ამ თანამდებობაზე დიმიტრი ყიფიანის არჩევამდე და მისი გადაყენების შემდეგ.

ა. ნიჟარაძეზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 101, 120, 224.

271. **ალექსანდრე ივანეს ძე ბაგრატიონი** (1851-1895) - იმერეთის უკანასკნელი მეფის სოლომონ II-ის ძმის, ბაგრატის, შთამომავალი (შვილიშვილის შვილი; ალექსანდრეს მამა, ივანე ბაგრატიონი, მეტად საინტერესო ბიოგრაფიის პიროვნება იყო - იხ. ვ. ყიფიანი, უგანათლებულესი თავადი ალექსანდრე ივანეს ძე ბაგრატიონი, „ივ.", 1895, №41).

ალ. ბაგრატიონი 12 წელიწადი (გარდაცვალებამდე) იყო შორაპნის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი („მარშალი"), ჰქონდა სამოქალაქო მრჩეველის („სტატსკი სოვეტნიკ") ხარისხი. გარდაიცვალა 1895 წლის 7 თებერვალს, თბილისში, ფილტვების ანთებით. ნაასვენეს იმერეთში და დიდი პატივით დაკრძალეს მშობლიურ სოფ. ღვანკითში. მის დაკრძალვაზე სიტყვები წარმოთქვეს გიორგი წერეთელმა, თეოფილე ხუსკივაძემ და ვარდენ ყიფიანმა, ხოლო აკაკი წერეთელმა წაიკითხა გარდაცვლილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ლექსი - „სამძიმარი" (იხ. ა. წერეთელი, თხზ. სრ. კრებული თხუთმეტ ტომად, II, თბ., 1950, გვ. 327-328).

ალ. ბაგრატიონზე, მისი გარდაცვალებისა და დაკრძალვის გარემოებებზე იხ.: „ივ.", 1895, №№30, 32, 41; „კვ.", 1895, №10, გვ. 3-4; №11, გვ. 9-12; №12, გვ. 3-4; 1896, №32, გვ. 561; „მწყ.", 1895, №6, გვ. 4-7.

272. **ლუკა ნიკოლოზის ძე ასათიანი** (1826-1901) - ქუთაისისა (1884-1895 წწ.) და ბათუმის (1895-1901 წწ.) ქალაქის თავი (მოურავი); ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის ზედამხედველი კომიტეტის თავმჯდომარე.

დიდი მთავრის პატივსაცემად ქუთაისში გამართულ სადილსა და იქ ლუკა ასათიანის მიერ წარმოთქმულ სიტყვაზე იხ.: სმ-დყ, I, გვ. 22-23, 25, 215-216; დ. კლდიაშვილი, ჩემი ცხოვრების გზაზე, წიგნში: მოთხრობები და პიესები, თბ., 1947, გვ. 650.

273. ნიკ. ყიფიანი, როგორც ზემოთ აღინიშნა (კომენტარი №1), 1890 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე საზღვარგარეთ ცხოვრობდა.

274. **ღლონტი** - ?

275. **„ვილაც „უჩიტელი"** - იგულისხმება **თადა აშორდია**, ცაიშის დაწყებითი, შემდეგ კი ზუგდიდის საქალაქო სკოლების მასწავლებელი 1880-1890-იან წწ.; ხელისუფლების წაქეზებით ამტკიცებდა ეროვნული ნიშნით ქართველთა და მეგრელთა განსხვავებულობას, აღვივებდა ანტიქართულ განწყობილებას სამეგრელოს მოსახლეობაში, „იღვწოდა" ქართველთა მიერ „დაჩაგრული" მეგრული ენის აღორძინებისთვის, საამისოდ შეადგინა (რუსული ასოების საფუძველზე) მეგრული ენის სახელმძღვანელო, რამდენიმე მასავით გადაგვარებულ ადამიანთან ერთად სამეგრელოს ეკლესიებში გამოსაყენებლად მეგრულ ენაზე თარგმნა საღვთისმსახურო ტექ-

სტები, განზრახული ჰქონდა გაზეთის გამოცემა მეგრულ ენაზეევე და სხვ.

აშორდიას მოქმედებამ უკიდურესი აღშფოთება გამოიწვია პირველ რიგში თვითონ სამეგრელოს საზოგადოებაში და ეს გარემოება ასახულია იმდროინდელ პრესაში (იხ.: ბათუმელი, დღიური პროვინციელისა, „ივ.", 1887, №49; დიმ. ბერულავა, წერილი „მწყემსის" რედაქციის მიმართ, „მწყ.", 1899, №22, გვ. 8; დათიკო ვერმიცანაშვილი [ლ. წულაძე], სახელდახელო, „ივ.", 1891, №21; დუშიკო [არტ. ახნაზაროვი], ნამცეც-ქუცმაცი, „ივ.", 1891, №154; მისივე, გასართობი, „საქ.კ.", 1892, განყ. XII, გვ. 335-336; ა. ენგურელი [გოგოხია], წერილი სამურზაყანოდგან, „ივ.", 1893, №237; კ. თავართქილაძე, წერილი რედაქციის მიმართ, „ივ.", 1892, №276; მა ვორექ, დ. ოჩამჩირე, „ივ.", 1898, №231; ვ. მასხულია, საერთო წყლულის განკურნების სახსარი, „მწყ.", 1890, №20; მისივე, მეგრულს კილოზე წერა-კითხვის შემოღების გამო, „ივ.", 1891, №26; ნ.დ. მეგრელი [ნიკ. დადიანი], კაი ხუმრობაა!, „ივ.", 1887, №39; ა. ნა[ნეიშვი]ლი, ტფილისი, 5 იანვარი, „ივ.", 1889, №4; მისივე, ტფილისი, 1 მაისი, „ივ.", 1889, №91; შროშანი [გრ. აბაშიძე], საკვირაო სხარტულა, „ივ.", 1895, №150 და სხვ.).

თ. აშორდიასა და „აშორდიზმზე" საინტერესო ცნობებია ი. ვართაგავას ნაწერებში (მოგონებები, ნაწ. I, თბ., 1956, გვ. 186-194; მისივე, XIX საუკუნის ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოჩენილი რედაქტორები, თბ., 1957, გვ. 20-25).

შ. ჩხეტიას გამოქვეყნებული აქვს აშორდიას მიერ 1887 წლის 28 აპრილს შედგენილი პატაკი კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის - კ. იანოვსკისადმი, სადაც აშორდია აღნიშნავს დიმ. ყიფიანის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლისა და სხვების „მავნე გავლენას" სამეგრელოს სკოლებზე, ჩივის - აქაურები მლანძღავენ, მემუქრებიან, დუელში მინვევენ და ჩემს სიცოცხლეს საფრთხე უკვე რეალურად ემუქრებაო, ამასთანავე, სთხოვს მეგრული ანბანის გამოცემის დაჩქარებას (შ. ჩხეტია, მასალები დიმიტრი ყიფიანის მკვლელობაზე, „საისტორიო მოამბე", №3, 1947, გვ. 476-477).

276. **ფარნავაზ I** (ძვ.წ. IV-III სს.) - ლეონტი მროველის მიხედვით, ქართლის (იბერიის) პირველი მეფე, რომელმაც „შექმნა" ქართული მწიგნობრობა („ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული" - ლეონტი მროველი; ცხოვრება ქართველთა მეფეთა, წიგნში: ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 26). ამ თვალსაზრისს, სხვათა შორის, იზიარებდა დ. ყიფიანი (იხ. მისი ნაშრომები: О том, о сем и между прочим о сословиях Закавказских, Тфл., 1853, გვ. 20-21; Несколько мыслей о материалах для истории Грузии, Тфл., 1854, გვ. 10, 12).

277. **მესროპ მაშტოცი** (361-440) - სომხური ანბანის შემქმნელი (405-406 წწ.). სომხური წყაროებით, მესროპს მიეწერება ქართული ანბანის შექმნაც, თუმცა ამჟამად საფუძვლიანადაა დასაბუთებული ამ შეხედულების უნიადაგობა.

278. **ძმები კირილე** (დაახლ. 827-869) **და მეთოდე** (დაახლ. 815-885) - სლავი განმანათლებლები (სხვა თვალსაზრისით - თესალონიკელი ბერძნები); შექმნეს სლავური ანბანი (გლაგოლიცა) და პირველებმა თარგმნეს სლავურ ენაზე საღმრთო წიგნი.

279. **ნიკოლოზ (ნიკო) ტარიელის ძე დადიანი** (1844-1896) - მწერალი, ისტორიკოსი, საზოგადო მოღვაწე, 1880-იან წწ. - „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დამდგენი კომისიის წევრი, მწერალ შალვა დადიანის (1874-1959) მამა; გამოირჩეოდა ორატორული ნიჭით...

ნიკ. დადიანზე იხ.: სოლ. ცაიშვილი, ნიკოლოზ დადიანის ლიტერატურული მემკვიდრეობა, თბ., 1948; ქართული მჭევრმეტყველება, ძეგლები და მასალები შეკრიბა, ნარკვევი წაუმძღვარა და საძიებლები დაურთო ნ. კანდელაკმა, თბ., 1958, გვ. 260-266; ხი-ში [დ. ხოშტარიას (დუტუ მეგრელის) არქ., საქ. №809, ფ. 15] დაცულია დუტუ მეგრელის უთარიღო მოგონება ნიკ. დადიანზე.

ნიკ. დადიანის გარდაცვალების (რუსეთი), სამშობლოში ჩამოსვენებისა და დაკრძალვის შესახებ იხ. „ცნ.ფ.", 1896, №№3, 5, 20.

280. **პავლე ივანეს ძე ჩუდეცკი** (გარდ. 1886) - თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი 1884-1886 წწ. (პავლე ჩუდეცკიზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 192).

281. **იგულისხმება იოსებ იოსების ძე ლაღიაშვილი** (1866-დაახლ. 1913), რომელმაც 1886 წლის 24 მაისს ხანჯლით მოკლა თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი პავლე ჩუდეცკი. ამის გამო მკვლელს „ორი თუ სამი წელიწადი ციხეში დატუსაღება" კი არ „გადაუწყვიტეს", როგორც ნიკ. ყიფიანი წერს, არამედ ოცწლიანი კატორღა მიუსაჯეს, სასჯელს კუნძულ სახალინზე იხდიდა, საიდანაც ამერიკაში მოახერხა გაქცევა (ი. ლაღიაშვილზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 199-200).

282. სინამდვილეში ი. ლაღიაშვილი ჩამოხრჩობისგან არასრულწლოვანებამ იხსნა. ხოლო არასრულწლოვანების ზედა ზღვრად იმ დროს 21 წელი იყო დადგენილი (ამ საკითხზე იხ. ა. ხუნდაძე, რექტორ ჩუდეცკის მკვლელი იოსებ ლაღიაშვილი, თბ., 1933, გვ. 52).

283. **პავლე ეგზარქოსი** (ერისკაცობაში - **პეტრე ლებედევი**) (1827-1892) - საქართველოს ეგზარქოსი და ქართლ-კახეთის არქიეპისკოპოსი 1882-1887 წწ. (პავლე ეგზარქოსზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 191; კ. ცინცაძე, ქვაშვეთის წმიდის გიორგის ეკლესია ტფილისში, თბ., 1994, გვ. 207-218).

დიმიტრი ყიფიანის ორი მიმართვა პავლე ეგზარქოსისადმი იხ. დ. ყიფიანი, რა ხალხია ქართველები?, თბ., 1995, გვ. 77-82; ქართული მწერლობა (ოცდაათ ტომად), ტ. XX, თბ., 2003, გვ. 275-277.

284. **„კავკაზ“** (1846-1918) - თბილისში რუსულ ენაზე გამომავალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო გაზეთი (ლიტერატურა „კავკაზზე" იხ. სმ-დყ, I, გვ. 193).

285. პავლე ეგზარქოსისადმი დ. ყიფიანის წერილი, რომელიც, სხვათა შორის, არც ისე „მონიწებითაა" დაწერილი, როგორც ამას ნიკ. ყიფიანი აღნიშნავს, აგრეთვე, დიმიტრის წერილზე ეგზარქოსის პასუხი იხ. სმ-დყ, I, გვ. 10-11. ამ საკითხზე იხ. აგრეთვე, იქვე, გვ. 36-41.

286. პავლე ეგზარქოსის მიერ ჩუდეცკის დაკრძალვისას წარმოთქმული სიტყვა („კავკაზში" გამოქვეყნებული ტექსტის თარგმანი) იხ. „მწყ.", 1886, № 16, გვ. 9-11; ეგზარქოსის სიტყვაზე იხ. აგრეთვე: კ. ცინცაძე, ჩემი მოგონებიდან, „საღვთისმეტყველო კრებული", 1987, №3, გვ. 28-30.

287. **„მცხეთის წმიდა სობორო"** - მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარი.

288. ნიკ. ყიფიანის მონათხრობში მოვლენათა ქრონოლოგიური რიგია დარღვეული. სინამდვილეში დიმიტრი ყიფიანი ჯერ დიდ მთავართან იყო ბორჯომში სტუმრად (1885 წ. ოქტომბერი), ხოლო ეგზარქოსთან მისი შეტაკება ამ ამბიდან თითქმის ერთი წლის შემდეგ (1886 წ. ივნისი) მოხდა (ამ საკითხზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 23-25, 37-38).

289. ბორჯომში დიდ მთავართან, მიხეილ ნიკოლოზის ძესთან, დ. ყიფიანის სტუმრობის (1885 წ. ოქტომბერი), მათი საუბრისა და დიმიტრის მიერ ამ საუბრის ჩანაწერის საზოგადოებაში გავრცელების შესახებ იხ. სმ-დყ, I, გვ. 23-27, 67-68.

290. რედაქტორის (**გრ. დიასამიძის**) შენიშვნა სწორია. აქ საუბარია ივანე კონსტანტინეს ძე მუხრანბატონის (იხ. სმ-დყ, I, გვ.267-268) მეუღლის **ნინო ლევან დადიანის ას. მუხრანბატონის** (1816-1886) დაკრძალვაზე მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში (სამგლოვიარო განცხადება ნინო მუხრანბატონის გარდაცვალების შესახებ იხ. „ივ.", 1886, №235; ამ ფაქტთან დაკავშირებით ი.ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის წერილები იხ. „ივ.",1886, №№238, 240; ნინო მუხრანბატონის წლისთავზე გრიგოლ ეპისკოპოსის (დადიანის) მიერ წარმოთქმული სიტყვა იხ. „ივ.", 1887, №232).

291. **„ერთი კაცი, განსაკუთრებით შესანიშნავი"** - იგულისხმება კავკასიის მთავარმართებელი ალექსანდრე დონდუკოვ-კორსაკოვი.

292. **„ერთს პატარა ქვეყანაში“** - იგულისხმება ბულგარეთი, რომლის უმაღლესი კომისარიც იყო ალ. დონდუკოვ-კორსაკოვი 1878-1879 წწ.

293. **მიხეილ ევგრაფის ძე სალტიკოვი (სალტიკოვ-შჩედრინი)** (1826-1889) - რუსი მწერალი და ჟურნალისტი. დიმიტრი ყიფიანი 1882 წელს პეტერბურგში, სვიმონ აბაშიძე-გორლენკოს ოჯახში, შეხვედრია მ. სალტიკოვ-შჩედრინს (იხ. ჩვენი პუბლიკაცია - დიმიტრი ყიფიანის დღიური, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1991, №1, გვ 220).

294. **ბათუმი „იმის სამარშლოს არ ეკუთვნოდა“** - სინამდვილეში ბათუმის ოლქი შედიოდა დ. ყიფიანის „სამარშლოში“ და, შესაბამისად, ბათუმში ჩამოსულ დიდ მთავართან შეხვედრა იმდროინდელი ეტიკეტით დიმიტრის ევალებოდა კიდევაც (ამ საკითხზე იხ. სმ-დყ, I, გვ.22).

295. დ. ყიფიანის ქუთაისის გუბერნიის წინამძღოლობიდან გადაყენებისა და სტავროპოლში მისი გადასახლების გარშემო თბილისსა და პეტერბურგს შორის გამართული მიმოწერა იხ. სმ-დყ, I, გვ. 11-21, 66-69.

296. სინამდვილეში დიმიტრი ყიფიანი 1811 წელსაა დაბადებული (იხ. კომენტარი №9). ასე რომ, სტავროპოლში გადასახლებისას იგი 75 წლისა იქნებოდა.

297. ნიკო ნიკოლაძე მის მიერვე დაარსებული გაზეთის - „ობზორის" (1878-1883) - ანტისახელისუფლებო მიმართულების გამო ადმინისტრაციული წესით სტავროპოლში იყო გადასახლებული 1880 წლის ივლისიდან 1881 წლის თებერვლამდე (ამ საკითხზე იხ. დ. გამეზარდაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, წიგნში: ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ. I, თბ., 1962, გვ. 55-57).

298. დიმიტრი ყიფიანის სტავროპოლში ჩასვლისას იქაური გუბერნატორი იყო კ. ზისერმანი (იხ. სმ-დყ, I, გვ. 214), რომელიც შემდეგ ნიკ. ნიკიფორაკიმ შეცვალა (იქვე, გვ. 61, 238). უნდა აღინიშნოს, რომ ორივე გუბერნატორი გარკვეულ თანაგრძნობას ამჟღავნებდა დიმიტრის მიმართ (იქვე, გვ. 61).

299. **თედორე მირონის ძე სალმინი** - დიმიტრი ყიფიანის სტავროპოლელი ნაცნობი, გადამდგარი კაპიტანი (იხ. სმ-დყ, I, გვ.228). თ. სალმინი და მისი ოჯახის წევრები ხშირად არიან ნახსენები დიმიტრის მიერ სტავროპოლიდან გამოგზავნილ ბარათებში (იქვე, გვ. 44, 46, 51, 54, 57, 59, 62). თ. სალმინი მოწმედ იყო მიწვეული დ. ყიფიანის ერთ-ერთი მკვლელის გრიგოლ სტრეპეტოვის სასამართლო პროცესზე (იქვე, გვ. 157, 162).

300. **ალექსანდრე ტარსაიძე** (1822-1898) - სოფ. ბერშუეთელი (გორის რ-ნი) აზნაური. დამთავრებული ჰქონდა თბილისის გიმნაზია, მსახურობდა სასამართლო უწყებაში (იხ. რ. ფანცხავა, ნიკო-

ლოზ ალექსანდრეს ძე ტარსაიძე, ჟ. „ცხოვრება", 1917, №3, გვ. 2), ცოლად ჰყავდა თბილისის წმ. ნინოს სასწავლებლის კურსდამთავრებული ნატალია გრიგოლის ას. ამბარდანაშვილი, თავისი დროის კვალობაზე განათლებული მანდილოსანი, რომელსაც თავის დებთან ერთად თბილისში კერძო პანსიონი ჰქონდა გახსნილი (ნ. ბერიძე, ლ. ჩიქოვანი, გიორგი ტარსაიძე, თბ., 1957, გვ. 5).

301. **ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ტარსაიძე** (1855-1917) — იურისტი, თეატრალური მოღვაწე (ერთხანს „ქართული დრამატიული საზოგადოების" თავმჯდომარის მოადგილე იყო); დამთავრებული ჰქონდა ხარკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი; გამომძიებლად მსახურობდა ჯერ ეკატერინოდარში (ამჟამად - კრასნოდარი), შემდეგ კი სტავროპოლში (1885-1891 წწ.); 1891 წელს დაინიშნა სტავროპოლის საოლქო სასამართლოში ბრალმდებლის თანაშემწედ (მოადგილედ), 1895 წლიდან იმავე თანამდებობაზეა თბილისში, ხოლო 1901 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე თბილისის საოლქო სასამართლოს წევრია (იხ. რ. ფანცხავა, ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ტარსაიძე, ჟ. „ცხოვრება", 1917, №3, გვ. 2; ი. უთურაშვილი სხვა თარიღებს იძლევა — იხ. მისი: დიმიტრი ყიფიანი, თბ., 1989, გვ. 301-302). რ. ფანცხავას (ხომლელის) სიტყვებით, ნიკ. ტარსაიძე იყო „მიუდგომელი მსაჯული, გულწრფელი და სათნო ადამიანი, იშვიათი პატიოსნების პატრონი" (რ. ფანცხავა, დასახ. წერილი, გვ. 2).

ნიკ. ტარსაიძე გარდაიცვალა 1917 წლის 10 იანვარს, განჯაში. ჩამოასვენეს სამშობლოში და თბილისში დაკრძალეს.

დიმიტრი ყიფიანის მკვლელობის გამოძიება სტავროპოლში თავდაპირველად ნიკ. ტარსაიძეს ჰქონდა დავალებული, მაგრამ იგი მალე ჩამოაშორეს ამ საქმეს (იხ. სმ-დყ, I, გვ.8, 84, 129, 168, 261-262).

ნიკოლოზი ძმა იყო სახელგანთქმული ოფთალმოლოგის - გიორგი ტარსაიძისა (1857-1904), რომელსაც ლექსი („გ. ტარსაიძის ხსოვნას") უძღვნა აკაკი წერეთელმა (თხზ. სრ. კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. III, თბ., 1954, გვ. 177).

302. **კარლ ლევის ძე ზისერმანი** (გარდ. 1888) - სტავროპოლის გუბერნატორი 1882-1887 წწ.; ამის შემდეგ ერთხანს (1887-1888 წწ.) თბილისის გუბერნატორი იყო (იხ. სმ-დყ, I, გვ.214 -215).

303. **უტუ აფშილავა** - ტექსტის მიხედვით, ნიკ. ყიფიანის მოსამსახურე.

304. ბორჯომში პირისპირ შეხვედრისას დიდ მთავარს ალ. დონდუკოვ-კორსაკოვის წინაშე მართლაც დაუყენებია დ. ყიფიანის სასჯელისგან გათავისუფლების საკითხი. ამის შესახებ 1887 წლის 13 ნოემბერს დონდუკოვ-კორსაკოვი რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრს დიმ. ტოლსტოის სწერს: „ყიფიანის სიკვდილამდე დაახლოებით ხუთი კვირით ადრე ბორჯომში, პირადი შეხვედრი-

სას, მისმა უდიდებულესობამ, დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ, დაბეჯითებით მთხოვა, აღმეძრა ჩემი სახელით შუამდგომლობა, რათა ყიფიანი ხანდაზმულობისა და ავადმყოფობის გამო გაეთავისუფლებინათ სასჯელისგან". მაგრამ, - განაგრძნობს ალ. დონდუკოვ-კორსაკოვი, - „მაშინ ამ მიმართულებით გადადგმული ნებისმიერი ნაბიჯი არადროულად და უხერხულად მივიჩნიე. ამიტომ უარი ვთქვი დიდი მთავრის სურვილის შესრულებაზე და მიზეზიც პირდაპირ მოვახსენე მის უდიდებულესობასო" (სმ-დყ, I, გვ.131).

305. იმპერატორთან წარსადგენად გაგზავნილ 1887 წლის 30 სექტემბრის მიმართვაში ალ. დონდუკოვ-კორსაკოვი მართლაც შეუძლებლად თვლის დ. ყიფიანის გათავისუფლებას, მაგრამ ეს უარი მიმართვაში მოტივირებულია არა „კავკასიის მხარეში კაცების ჯარში გაყვანის მზადებით", — როგორც ნიკ. ყიფიანი წერს, — არამედ შემდეგი გარემოებით: „ვითვალისწინებ რა ბ-ნი ყიფიანის წარსულ საქმიანობას და ხანდაზმულობას, ვერაფერით დავიჯერებ, რომ გადატანილი სასჯელის შემდეგ შესაძლებელი იქნება მისი გამოსწორება. თუ იგი დაიბრუნებს წინანდელ საზოგადოებრივ მდგომარეობას, დარწმუნებული ვარ, უკვე პოლიტიკური დევნილის როლში მოგვევლინება და ნაციონალური იდეისთვის წამებულის შარავანდსაც დაიდგამს. ამიტომ, ჩემი აზრით, აუცილებელია, ბ-ნ ყიფიანს უარი ეთქვას უპირობო და დაუყოვნებლივ პატიებაზე" (სმ-დყ, I, გვ.68-69).

შესაძლებელია, ნიკ. ყიფიანს მხედველობაში ჰქონდეს ალ. დონდუკოვ-კორსაკოვის სხვა, - ჩვენთვის უცნობი, - მიმართვა თუ ნერილი.

306. **ეგორ პავლეს ძე სტარიცკი** (1825-1899) - რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი (1879 წლიდან); 1850-1870-იან წწ. - თბილისის კომერციული სასამართლოს თავმჯდომარე, კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრი (1862 წელს, როცა დიმიტრი ყიფიანი გაათავისუფლეს სამსახურიდან, მის ადგილზე სწორედ ე. სტარიცკი დანიშნეს - იხ. დ. ყიფიანი, მემუარები, 1990, გვ. 85).

ე. სტარიცკი აქტიურად მონაწილეობდა კავკასიის მხარის სასამართლო რეფორმების შემუშავება-განხორციელებაში. სიცოცხლის ბოლო წლებში იყო რუსეთის სახელმწიფო საბჭოს საკანონმდებლო დეპარტამენტის თავმჯდომარე.

ე. სტარიცკისთან დიმიტრი ყიფიანს ჯერ კიდევ 1860-იანი წლებიდან ჰქონდა სამსახურებრივი ურთიერთობა (დ. ყიფიანი, მემუარები, 1990, გვ. 78-80), ხოლო 1880-1882 წწ. ეს ურთიერთობა გაგრძელდა პეტერბურგშიც, სადაც ე. სტარიცკი ნ. დადიან-მინგრელსკის მაიორატის საქმეთა გამომრკვევი დროებითი სახელმწიფო კომისიის წევრად იყო დანიშნული (იქვე, გვ. 91, 93-94; აგ-

რეთვე, ჩვენი პუბლიკაცია - დიმიტრი ყიფიანის დღიური, „ლიტერატურა და ხელოვნება" ,1991, №1, გვ. 218-219).

ე. სტარიცკიზე იხ. ბროკჰაუზი-ეფრონი, წგნ. 61, 1900, გვ. 443; საქართველოში ე. სტარიცკის ხელმძღვანელობით ჩატარებული რეფორმების მოკლე დახასიათება-შეფასება იხ. [ა. ჭყონია], შინაური მიმოხილვა, „მოამბე", 1899, №6, განყ. II, გვ. 73-74.

307. **ნიკოლოზ პავლეს ძე ბეზაკი** - კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიის მმართველი (1830-იანი წწ.), 40-იანი წწ. დასაწყისში - საქართველო-იმერეთის სახაზინო პალატის თავმჯდომარე (შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, 1975, გვ. 419), 1845 წელს კი იგი ამიერკავკასიის მხარის მთავარსამმართველოს საბჭოს წევრია („კ.კ.", 1846, გვ. 167); „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის" (1842-1848) დამფუძნებელი წევრი (დ. ყიფიანი, მემუარები, 1990, გვ. 122-123; ხი, დ. ყიფიანის არქ. საქ. №211, ფ.3,6; საქ. №219, ფ. 1).

ნიკ. ბეზაკი ავტორი იყო იმ საფინანსო რეფორმისა, რომელსაც 1840-იანი წლების საქართველო-იმერეთის გუბერნიაში საგადასახადო სისტემა უნდა მოეწესრიგებინა (ამ საკითხზე იხ.: დ. ყიფიანი, მემუარები, 1990, გვ. 75-76; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ., 1970, გვ. 150-154; ი. ანთელავა, მასალები XIX საუკუნის საქართველოს პირველი ნახევრის ისტორიისათვის, „საისტორიო მოამბე", №41-42, 1980, გვ. 152-154, 172-194; შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, 1975, გვ. 419-421).

ნიკ. ბეზაკი ქართველების სიძე იყო - ცოლად ჰყავდა სოფიო ორბელიანი, რომელიც ბავშვობაშივე გრიგოლ ორბელიანზე იყო დაწინდული („ვაპირებ საქართველოში წასვლას, მაგრამ სოფიო გამითხოვდა, ბეზაკმა შეირთო, რომელიც არის პრავიტელი კანცელარიისა. რაი ვჰყო? მეც ვანუგეშებ თავსა ჩემსა მით, რომ არა მარტო მე ვარ ამ სოფელში მოტყუებული" - სწერს 1836 წლის 1 ოქტომბერს გრ. ორბელიანი იმერეთის უკანასკნელ დედოფალს მარიამ კაცია II დადიანის ასულს - იხ. ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, I, თბ., 1954, გვ. 55).

1846 წლიდან ნიკ. ბეზაკის კვალი საქართველოს ადმინისტრაციულ-მმართველობით სისტემაში არ ჩანს. უნდა ვიფიქროთ, მან დატოვა კავკასია, ხოლო 1880-იან წწ., - როგორც ნიკ. ყიფიანის წინამდებარე მოგონებით ირკვევა, - ნიკ. ბეზაკი პეტერბურგში ცხოვრობს და სახელმწიფო საბჭოს წევრია.

308. **„მოამბე"** (1894-1905) - ლიბერალურ-დემოკრატიული მიმართულების ჟურნალი. რედაქტორი - ალ. ჭყონია („მოამბეზე" იხ. სმ-დყ, I, გვ.327).

309. ავტორს, ჩანს, უფრო გვიანდელი ვითარება აქვს მხედველობაში - ნიკ. ყიფიანი 1867-1869 წწ. იმყოფებოდა პეტერბურგში, სადაც სწავლობდა იქაური უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულ-

ტეტზე და საიდანაც რევოლუციური საქმიანობისთვის ადმინისტრაციული წესით დააბრუნეს სამშობლოში.

310. ვ. თულაშვილის მიერ ნახსენებ **„კომიტეტზე"** იხ. კომენტარი №174.

311. **„თბილისის კლუბს"** უწოდებდნენ თბილისის საკრებულოს, რომელიც მდებარეობდა გენერალ-ლეიტენანტ ივანე მუხრანბატონის (1812-1895) სახლში, გოლოვინის (ამჟამად რუსთაველის) პროსპექტზე. შენობა 1921 წელს დაიწვა და ახლა იმ ადგილზე კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს შენობა დგას (იხ. თ. გერსამია, ძველი თბილისი, თბ., 1984, №178)

312. ავტორს მხედველობაში აქვს 1867 წლის მაისში თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის მიერ ჩატარებული ყრილობა, რომელმაც სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის წესდების შესამუშავებლად შექმნა სპეციალური კომიტეტი (ამ ფაქტზე, აგრეთვე, „კომიტეტის" წევრთა სია იხ. ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობის შეყრილობაზედ, „დრ"., 1867, №20).

313. თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლთა ვინაობა და ქრონოლოგიური რიგი იხ. აქვე, კომენტარი №№ 827, 829.

314. **კავკავი** - იგივე ვლადიკავკაზი.

315. **ხოვლე** - სოფ. გორის მაზრაში (ამჟამად შედის კასპის რაიონში).

316. **მარიამ იოსების ას. ჯავახიშვილი** - საზოგადო მოღვაწე, იოსებ მამაცაშვილის (იხ. კომენტარი №45) შვილი. ი. მამაცაშვილის წრის წევრებმა სოფ. ხოვლეში კერძო ქართული სკოლა დაარსეს მარიამის „სახელობაზე" (ე.ი. ნებართვა სკოლის გახსნაზე მარიამ ჯავახიშვილს მიუღია. ამ საკითხზე იხ. აგრეთვე - ი. გოგებაშვილი, როგორ დაარსდა „წერა-კითხვის საზოგადოება", რჩეული თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. III, თბ., 1990, გვ. 253). ამ სკოლის დაფუძნებით დაიწყო ის დიდი საგანმანათლებლო მოძრაობა, რომელიც საბოლოოდ „ქშწ-კგ საზოგადოების" შექმნით დაგვირგვინდა.

უნდა ითქვას, რომ ხოვლეში ცხოვრობდა და კულტურულ საქმიანობას ეწეოდა კიდევ ერთი მარიამ ჯავახიშვილი (დავითის ას.), რომელიც იყო ხოვლეს უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოს დამფუძნებელი (1898 წ.) და გამგეობის თავმჯდომარე (ახალი ამბავი, „ცნ.ფ.", 1898, №444; წერილი რედაქციის მიმართ, „ივ.", 1899, №24).

317. **გიორგი ქაიხოსროს ძე ჯავახიშვილი** - სოფ. ხოვლელი მემამულე, თავადი. მარიამ იოსებ მამაცაშვილის ასულის (იხ. წინა კომენტარი) მეუღლე.

318. **ზაქარია გიორგის ძე ერისთავი** - საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი, „ქშნ-კგ საზოგადოების" დამფუძნებელი ნევრი, მსხვილი მემამულე, კავალერიის გენერლის გიორგი რევაზის (რომანის, რომანოზის) ძე ერისთავის („ატამანად" ნოდებულის) (1812-1891) შვილი.

1893 წელს ზაქარია ერისთავმა თავისი ოძისის მამული - 1 000 დესეტინა მინა („ორსართულიანი სახლები თავის მონყობილობით, ვენახი 30 დღისა, ხილის ბაღი 10 დღისა, 100 დღისა მეტის სარნყავი მინდორი, სხვა ტყე და საძოვარი") თავადაზნაურობას შესწირა, მხოლოდ იმ პირობით, რომ იქ უსათუოდ სამეურნეო სასწავლებელი უნდა გამართულიყო (წვრილი ამბები, „კვ.", 1893, №16, გვ. 7; ამ საკითხზე იხ. აგრეთვე: თ. ზაქარია გიორგის ძე ერისთავი, „კვ.", 1893, №21, გვ. 7-8; ი. ჭავჭავაძე, ოძისის სამეურნეო სკოლის საკითხზე, თხზ. სრ. კრებული ათ ტომად, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, ტ. IV, თბ., 1955, გვ. 378-385).

319. **ანტონ ნიკოლოზის ძე ფურცელაძე** (1839-1913) - მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, დიმიტრი ყიფიანის ნათესავი (ა. ფურცელაძეზე იხ. სმ-დყ, I, გვ.300).

320. **ისააკ შიოშის ძე თუმანიშვილი** (დაბ. 1804) - გენერალ-ლეიტენანტი, საზოგადო მოღვაწე. მონაწილეობდა თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის დაარსებაში (იხ. ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის შეყრილობაზედ, „დრ.", 1867, №20), იყო ნევრი „რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებისა", აგრეთვე, ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტის საბჭოს წევრი (იხ. საარქივო მასალები XIX საუკუნის 70-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების შესახებ, ტექსტი შესავალი წერილით, კომენტარებითა და საძიებლით გამოსაცემად მოამზადა ე. აბრამიშვილმა, თბ., 1965, გვ. 213); გრ. ორბელიანისა და ნიკ. ბარათაშვილის მეგობარი (გრ. ორბელიანი, წერილები, ა. გაწერელიას რედაქციითა და შენიშვნებით, ტ. I, 1936, გვ. 297; ისაკ თუმანიშვილზე იხ. აგრეთვე - მაქს. ბერძნიშვილი, მასალები..., II, გვ. 43).

321. **იასონ (იაზონ) დიმიტრის ძე თუმანიშვილი** (გარდ. 1883) - თეატრის დირექტორი თბილისში (1863-1867 წწ.), თბილისის ქალაქის თავი (მოურავი) 1870-1875 წწ. (ამ თანამდებობაზე დიმიტრი ყიფიანმა შეცვალა), „ქშნ-კგ საზოგადოების" დამფუძნებელი ნევრი, ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი („დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკ").

ქალაქის თავად ყოფნისას ი. თუმანიშვილის მეთაურობითა და საზოგადოებრივი შემონირულებების საფუძველზე თბილისს შეეძინა „ერთი დაუვიწყარი განძი - ქალაქის სახელოსნო სასწავლებელი, რომლითაც იაზონ თუმანიშვილმა სამუდამო სახსოვარი დას-

ტოვა ტფილისის მოქალაქეთა გულში...“ (მოქალაქე, ტფილისი, 23 თებერვალი, „ივ.“, 1893, №40).

322. **ალ. სტ. ანანოვი** - ვ. თულაშვილის მიხედვით, „ქშწ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, თუმცა „საზოგადოების“ დამფუძნებელთა სიაში (იხ. ლ. გოდერიძე, მასალები ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ისტორიისათვის, „საისტორიო მოამბე“, №37-38, 1878, გვ. 32) ალ. ანანოვი არ ჩანს.

323. **მიხეილ სერგის ძე შაჰ-პარონიანცი** - თბილისის კომერციული ბანკის თავმჯდომარის მოადგილე („კ.კ.“, 1880, გვ. 29), „ქშწ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი.

324. **იანუარი მიხეილის ძე ნევეროვი** (1810-1893) - რუსი პედაგოგი და მწერალი-მემუარისტი. დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტი; 1864-1878 წწ. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველია. იყო თანამიმდევრული რუსიფიკატორი და ენერგიულად მოქმედებდა კავკასიის სასწავლებლებში ადგილობრივი ენების დასაკნინებლად (ამ საკითხზე იხ. ს. მესხი, თხზულებანი სამ ტომად, შედგენილი ი. ბოცვაძის მიერ, მისივე წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, ტ. I, თბ., 1962, გვ. 463-464). ს. მესხის შეხედულებით, „პოლიტიკოსმა დასძლია იმაში პედაგოგი. ნაციონალურ ვინრო ინტერესების დევნამ დაავიწყა იმას ხალხის განათლების საქმე“ (იქვე, გვ. 335).

325. **ლევ ნიკოლოზის ძე მოძალევსკი** (1837-1896) - პედაგოგი, რუსეთში მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებლის კონსტ. უშინსკის მონაფე; დამთავრებული ჰქონდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი; 1870-იან წწ. სამოქალაქო მრჩევლის („სტატსკი სოვეტნიკ“) ხარისხი აქვს, კავკასიის სასწავლო ოლქის ინსპექტორია („Окружной инспектор“ - „კ.კ.“, 1880, გვ. 77) და ფაქტობრივად ასრულებს მზრუნველის მოადგილის ფუნქციას (ლ. მოძალევსკიზე იხ. ბროკჰაუზი-ეფრონი, წგნ. 38, 1896, გვ. 586).

ლ. მოძალევსკის შვილი - ბორისი (1874-1928) — ცნობილი ლიტერატურათმცოდნე და რუსული ფილოლოგიური მეცნიერების მძლავრი კერის, პუშკინის სახლის (პეტერბურგი), ერთ-ერთი დამაარსებელი იყო (ბსე, ტ. 16, 1974, გვ. 405).

326. „ქშწ-კგ საზოგადოების“ წესდების შემუშავება-დამტკიცებასთან დაკავშირებულ საკითხებზე იხ. აგრეთვე - ი. გოგებაშვილი, როგორ დაარსდა „წერა-კითხვის საზოგადოება“ (რჩ. თხზ. ხუთ ტომად, ტ. III, თბ., 1990, გვ. 254-257).

327. იგულისხმება **დიმიტრი აბხაზი** (ამ საკითხზე იხ. კომენტარი №221).

328. **კორნელი ალექსანდრეს ძე ბოროზდინი** (1828-1896) - რუსი სახელმწიფო მოხელე. დამთავრებული ჰქონდა მოსკოვის

უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, რის შემდეგაც განწესებულ იქნა კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიაში. სხვადასხვა წლებში იყო სამეგრელოს დედოფლის ეკატერინე დადიანის მდივანი და მისი შვილების აღმზრდელი (1853-1856 წწ.), სენაკისა და თელავის მაზრების უფროსი; 1867 წელს დატოვა საქართველო და რუსეთში დაბრუნდა. კ. ბოროზდინის ნაშრომები: „ბატონყმობა საქართველოში" (რ. ერისთავისა და ჟ. მურიეს თანაავტორობით, ტფ., 1927); „სამეგრელო და სვანეთი. 1854-1861. მოგონებანი (ტფ., 1934), ავტორის ტენდენციურობის მიუხედავად, საქართველოს ისტორიის საყურადღებო წყაროებად ითვლება. კ. ბოროზდინზე იხ: Русские писатели. 1800-1917. Биографический словарь, М., 1989, გვ. 316-317.

კ. ბოროზდინის შვილი - ალექსანდრე (1863-1919) — რუსული ლიტერატურის კურსს კითხულობდა პეტროგრადის უნივერსიტეტში [იხ. თ. სახოკია, თედო სახოკიას მიმოწერა საზოგადო მოღვაწეებთან (1899-1905), „საისტორიო მოამბე", №33-34, 1976, გვ. 109].

329. **„ნადედოფლარი"** - იგულისხმება ეკატერინე ალექსანდრე ჭავჭავაძის ას. დადიანი.

330. **ალექსანდრე ივანეს ძე გაგარინი** (1801-1857) - ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი (1847 წლიდან), 1853-1856 წწ. ყირიმის ომის მონაწილე; 1857 წელს მეფისნაცვალ ალ. ბარიატინსკის ნარდგინებით დაინიშნა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორად (ბიოგრაფიული ცნობები იხ. აქტები..., ტ. X, 1885,გვ. XVIII; სე, ტ. 1, 1997, გვ. 525). ალ. გაგარინი ენერგიულად მოქმედებდა სვანეთის სამთავროს გაუქმებისა და დადიშქელიანთა სამთავრო უფლების მოსპობისთვის, რის გამოც 1857 წლის 22 ოქტომბერს კონსტანტინე (მურზაყან) დადიშქელიანმა ხანჯლით მოკლა (ალ. გაგარინზე, აგრეთვე, მის მკვლელობაზე იხ.: კ. ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი. 1854-1861. მოგონებანი, ტფ., 1934, გვ. 192, 195-225; ნ. ნიკოლაძე, საკვირაო, თხზულებანი, ტ. IV, თბ., 1964, გვ. 560-562; სვანეთის მთავარი კონსტანტინე დადიშკელიანი, „დრ.", 1884, №27 და სხვ.).

ალ. გაგარინს ცოლად ჰყავდა მანანა ორბელიანის ქალიშვილი - ანასტასია (ტასო) დავით ორბელიანის ას. გაგარინა (1826-1901 წ. შემდეგ).

331. **დ. ჭავჭავაძე** და ალ. ნიკოლაი ერთხანს იყვნენ სამეგრელოს სამთავრო სახლის ქონებისა და სამთავრო ტახტის მემკვიდრის ნიკო დადიანის მეურვეები („აპეკუნები"), მაგრამ ამ მოვალეობის სათანადოდ შესრულება ვერ შეძლეს, რის გამოც ეკატერინე დადიანმა ისინი დაითხოვა და მეურვედ დიმიტრი ყიფიანი მიიწვია (ამ საკითხზე იხ.: დ. ყიფიანი, მემუარები, 1990, გვ. 70-72; მისივე,

სამეგრელოს მთავრის სახლი და დიმიტრი ყიფიანი, ტფ., 1869, გვ. 5).

332. **გორდი** - სოფ. სენაკის მაზრაში (ამჟამად ხონის რაიონში შედის), დადიანების საზაფხულო რეზიდენცია. 1882 წლის 13 აგვისტოს აქ გარდაიცვალა ეკატერინე ალექსანდრე ჭავჭავაძის ას. დადიანი.

333. **დავით ოტიას ძე ჩიქოვანი** - სამეგრელოს სამთავრო ოჯახის სახლთუხუცესი (სამთავროს საქმეებზე დიმიტრი ყიფიანისა და დ. ჩიქოვანის მიმოწერა იხ. ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №№384, 401, 422, 429, 432, 1732-1739).

334. **„ნათესავი ქალი"** - იგულისხმება მარიამ ივანეს ას. ყიფიანი, დიმიტრის ნათესავი და დედობილი (იხ. კომენტარი №38). ამასთანავე, კ. ბოროზდინის ეს ცნობა დაზუსტებას საჭიროებს. საქმე ისაა, რომ გიმნაზიაში დიმიტრი ყიფიანის შეყვანის ინიციატორი, წყაროების მიხედვით, მარიამ ყიფიანი კი არაა, არამედ მისი მეუღლე - ნიკიფორე ფიოდოროვი (იხ. კომენტარი №30). ამას გარდა, დიმიტრი გიმნაზიაში კი არ შეიყვანეს (სხვათა შორის, იმ დროს გიმნაზია ჯერ კიდევ არ არსებობდა), არამედ თბილისის სასულიერო სემინარიასთან არსებულ სამრევლო სასწავლებელში (იხ. კომენტარი №31), საიდანაც მოგვიანებით კეთილშობილთა სასწავლებელში გადაიყვანეს (იხ. კომენტარი №34).

335. იგულისხმება დიმიტრი ყიფიანის მონაწილეობა 1832 წლის შეთქმულებაში.

336. სინამდვილეში ფრანგული და გერმანული ენები დ. ყიფიანმა გადასახლებამდე, თბილისშივე, ისწავლა. ვოლოგდაში იგი ამ სფეროში თავისი ცოდნის გაღრმავებაზე მუშაობდა, რასაც, სხვათა შორის, ადასტურებს მისი რამდენიმე „თარგმანის ცდა" („Опыт в переводах с немецкого и французского языков на русский..."). კერძოდ, ვოლოგდაში ყოფნისას დიმიტრის გერმანულიდან რუსულად უთარგმნია ფრაგმენტი დელბრუკის თხზულებისა "Гуманист или нравственно-совершенный муж" (ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №109, ფ.1), ხოლო ფრანგულიდან რუსულად — მცირე ფრაგმენტი ვოლტერის თხზულებისა "История Петра-Великого" (იქვე, ფ. 2-3). ორივე თარგმანი დათარიღებულია 1836 წლის 7 აპრილით.

337. სინამდვილეში გრ. ორბელიანი შეთქმულებაში მონაწილეობისთვის ვიბორგში კი არ იყო „გაგზავნილი", არამედ ჯერ კავკასიის ხაზზე განაწესეს, საიდანაც ქ. ვილნოში გადაიყვანეს (იხ. კომენტარი №№41, 54).

338. გრ. ორბელიანი კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობას 1859-1865 წწ. რამდენჯერმე ასრულებდა (იხ. ე. მაღრაძე, გრიგოლ ორბელიანი, თბ., 1967, გვ. 282, 288, 291, 299), ხოლო 1866 წლის ოქტომბერში იგი დანიშნულ იქნა სახელმწიფო საბჭოს წევრად (იხ.

სოლ. ცაიშვილი, გრიგოლ ორბელიანის ნამსახურობითი სია, ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, ტ. I, 1947, გვ. 354).

339. იგულისხმება 1856-1857 წწ. სამეგრელოს გლეხთა აჯანყება უტუ მიქავას საერთო ხელმძღვანელობით, რითაც, სხვათა შორის, მოხერხებულად ისარგებლა პეტერბურგმა, „წესრიგის აღდგენის" მომიზეზებით 1857 წელს ფაქტობრივად გააუქმა სამეგრელოს ავტონომიური უფლებები და იქ რუსული მმართველობა დაამყარა.

340. სინამდვილეში ეკატერინე ჭავჭავაძეს დ. ყიფიანმა თავიდან უარი უთხრა სამთავრო სახლის საკუთრებისა და სამეგრელოს სამთავრო ტახტის მცირეწლოვანი მემკვიდრის ნიკო დადიანის მეურვეობაზე და მხოლოდ განმეორებითი თხოვნის, აგრეთვე, მეფისნაცვალ ალ. ბარიატინსკისთან თათბირისა და გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემდეგ, იკისრა ეს მძიმე და უმადური საქმე (ამ საკითხზე იხ.: დ. ყიფიანი, სამეგრელოს მთავრის სახლი და დიმიტრი ყიფიანი, ტფ., 1869, გვ. 5-6; მისივე, მემუარები, 1990, გვ. 70-75).

341. **მაქსიმე ბერის ძე ქოჩაქიძე** - მეგრელი თავადი, გავლენიანი მემამულე და მოხელე. ყმაწვილობისას იგი თან ახლდა საფრანგეთის კონსულს ჟაკ ფრანსუა გამბას (1763-1833), როცა ეს უკანასკნელი დასავლეთ საქართველოში მოგზაურობდა და ფრანგი დიპლომატის, ნეგოციანტისა და მოგზაურისგან, - გარდა სავაჭრო საქმეებისა, - გამართული ფრანგულიც ისწავლა. მაქს. ქოჩაქიძე თავისი დროის კვალობაზე განათლებული პიროვნება, ჩინებული ორატორი და ჭკვიანი მოხელე ჩანს; დაახლოებული იყო სამეგრელოს მთავართან, დავით დადიანთან, და ერთხანს (1840-იანი წწ.) მისი წარმომადგენელი იყო თბილისში. სხვადასხვა დროს მაქს. ქოჩაქიძე იყო მარტვილის მაზრის მდივანბეგი, პოლიციის ბოქაული სენაკის მაზრაში (დანიშნეს 1858 წ.), მაგრამ მალევე დაანება თავი ამ უკანასკნელ თანამდებობას, საბოლოოდ დაფუძნდა მშობლიურ სოფ. ჭალადიდში და სიცოცხლის დარჩენილი წლები ოჯახის მოვლა-პატრონობასა და შვილების აღზრდას მოახმარა (მაქს. ქოჩაქიძეზე იხ. ი. მეუნარგია, გიორგი მაქსიმეს ძე ქოჩაქიძე-ჭალადიდელი, წიგნში: ქართველი მწერლები, სოლ. ცაიშვილის რედაქციით, წინასიტყვითა და შენიშვნებით, I, თბ., 1954, გვ. 412-413).

342. **„ოსმალეთის ომი"** - იგულისხმება რუსეთ-ოსმალეთის 1853-1856 წწ. (ე. წ. ყირიმის) ომი.

343. **გიორგი მაქსიმეს ძე ჭალადიდელი (ქოჩაქიძე)** (1847-1898) - პოეტი და სამხედრო პირი. დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია, რის შემდეგაც სამხედრო განათლება მიიღო პეტერბურგში; შედარებით ახალგაზრდულ ასაკში მიაღწია პოლკოვნიკის ხარისხსა და

საარტილერიო დივიზიონის მეთაურობას, თუმცა სამხედრო სამსახურმა სამშობლოს მოსწყვიტა და ამ გარემოებას იგი ტრაგიკულად განიცდიდა.

გ. ჭალადიდელი „თერგდალეულთა" სკოლის პოეტია. მის შემოქმედებას ატყვია ა. წერეთლის კეთილისმყოფელი გავლენა, თუმცა ეს გავლენა მიმბაძველობაში არ გადაზრდილა. ჭალადიდელის პოეტური მეტყველება უაღრესად სადაა, სახეები — მსუბუქი და გამჭვირვალე, ტონი - უშუალო და გულწფელი, მაქსიმალურად დემოკრატიზებული და ამის გამოცაა, მისი ზოგიერთი ლექსი („მოგონება", „ფაცხა"...) სიმღერად რომ იქცა და ეს სიმღერები პოპულარული იყო მთელს საქართველოში. „მოგონება" ჯერ კიდევ ი. გოგებაშვილმა შეიტანა სასკოლო სახელმძღვანელოში და ამ ლექსზე არაერთი თაობაა აღზრდილი...

სიცოცხლის ბოლო წლებში გიორგი ჭალადიდელს გადაწყვეტილი ჰქონდა სამსახურისთვის თავის დანებება და სამშობლოში დამკვიდრება, მაგრამ მის ამ განზრახვას სიკვდილმა დაუსვა წერტილი. გარდაიცვალა იგი მინსკში, ასთმისგან, 1898 წლის 1 აპრილს. პოეტის ცხედარი საქართველოში ჩამოასვენეს და ჭალადიდის ეკლესიის ეზოში დაკრძალეს, ხოლო 1940 წელს სენაკში გადაასვენეს.

გ. ჭალადიდელზე იხ.: გ. ასათიანი, გიორგი ჭალადიდელი, წიგნში: ქართული ლიტერატურის ისტორია (ექვს ტომად), ტ. IV, თბ., 1974, გვ. 293-304; პ. ბულია, გიორგი ჭალადიდელი, წიგნში: გ. ჭალადიდელი, თხზულებანი, თბ., 1965, გვ. 235-246; ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, I, თბ., 1954, გვ. 411-432; თ. სახოკია, ჩემი საუკუნის ადამიანები, თბ., 1969, გვ. 60-64; თ. ჯოლოგუა, ბოლოსიტყვა წიგნისა: ქართული მწერლობა (ოცდაათ ტომად), ტ. XX, თბ., 2003, გვ. 493-499 და სხვ.

344. **ირაკლი (ერეკლე) იოსების ძე ლორთქიფანიძე** - ეკატერინე დადიანის მდივანი, შემდეგ — სამეგრელოს სამთავრო მამულების მოურავი. მას კ. ბოროზდინი „დედოფლის ტალეირანს" უწოდებს (კ. ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი..., 1934, გვ. 69).

თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლად დ. ყიფიანის არჩევის გამო 1864 წლის 25 თებერვალს ი. ლორთქიფანიძე მილოცვის დეპეშას უგზავნის დიმიტრის (ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №1445, ფ. 1).

345. კ. ბოროზდინს ქართველი ცოლი ჰყავდა - გვარად ქავთარაძე (იხ. თ. სახოკია, თედო სახოკიას მიმოწერა საზოგადო მოღვაწეებთან (1899-1905), „საისტორიო მოამბე", №33-34, 1976, გვ. 109).

346. **„ჩემი სიდედრი"** - ?

347. **„ჩემი ცოლის დაი"** - ?

348. **მაქსიმილიან ოსტენ-საკენი** - დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძის ქალიშვილის — სალომეს (1848-1919) — მეუღლე, ბარონი, თბილისის გუბერნატორად ნამყოფი. ნ. მაჭარაშვილის მიხედვით, ოსტენ-საკენი დაკრძალულია მთაწმინდაზე, ოღონდ ავტორი არ მიუთითებს, თუ სად დაკრძალეს იგი - ტაძარში თუ ტაძრის გალავანში (ნ. მაჭარაშვილი, აღწერა მთა-წმიდის ეკკლესიისა და წმ. მამა დავითის ცხოვრებისა, ტფ., 1895, გვ. 61).

349. **იგულისხმება მიხ. კოლიუბაკინი** (იხ. კომენტარი №161).

350. **კონსტანტინე მათეს ძე მიქელაძე** - ლეჩხუმის ოლქის უფროსი, კაპიტანი („კ.კ.", 1859, გვ. 455).

351. **ვასილი ანტონის ძე ინსარსკი** (1814-1882) - რუსი სახელმწიფო მოხელე, მემუარისტი (მისი საინტერესო მოგონებები ქვეყნდებოდა „რუსსკაია სტარინაში" 1894-1895 და 1897-1898 წწ.), ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი („დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკ"). ვ. ინსარსკი ძალზე დაახლოებული იყო ალ. ბარიატინსკისთან (ახალგაზრდობაში ბარიატინსკის მოურავი იყო) და ამ უკანასკნელის კავკასიის მეფისნაცვლად დანიშვნის შემდეგ მას საქართველოში ჩამოჰყვა; იყო ალ. ბარიატინსკის კანცელარიის ვიცედირექტორი, კავკასიის მთავარსამმართველოს საერთო საქმეთა (общих дел) დეპარტამენტის დირექტორი. 1862 წელს ვ. ინსარსკიმ დატოვა კავკასია და რუსეთში დაბრუნდა. გარდაიცვალა მოსკოვის ფოსტის დირექტორის თანამდებობაზე (ბიოგრაფიული ცნობები იხ. აქტები..., XII, 1904, გვ. VII).

ხი-ში, დ. ყიფიანის არქივში (№№ 194, 266, 734-735, 1385-1388), დაცულია დ. ყიფიანისა და ვ. ინსარსკის ოფიციალური თუ კერძო ხასიათის მიმოწერა.

352. **„სამოქალაქო ღენერალი"** - დიმიტრი ყიფიანს ჰქონდა ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველის („დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკ") ჩინი (იხ. კომენტარი №220), რაც რუსეთის იმპერიის რანგთა ტაბელში შეესაბამებოდა გენერალ-მაიორის სამხედრო ხარისხს და ამიტომ ნამდვილ სამოქალაქო მრჩეველებს „სამოქალაქო გენერლებსაც" უწოდებდნენ.

353. ეს უნდა იყოს ლეჩხუმის სოფ. **მახურა.**

354. **გიორგი კონსტანტინეს ძე მუხრანბატონი** (1821-1877) - საქართველოს სამეფო ოჯახის შთამომავალი, ქეთევან ერეკლე II-ის ასულისა (1764-1840) და სახლთუხუცეს იოანე კონსტანტინეს ძე მუხრანბატონის (1757-1800) შვილიშვილი; დიდად დაწინაურებული სახელმწიფო მოხელე: საიდუმლო მრჩეველი („ტაინი სოვეტნიკ"), სენატორი, რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი; 1872 წელს თბილისში გამოსცა ბროშურა — "О существе национальной индивидуальности и об образовательном значении крупных народных единиц" (1873 წელს გამოიცა პეტერბურგშიც, ხოლო 1877 წელს -

პარიზში, ფრანგულ ენაზე). ავტორი ამ ნაშრომში შეეცადა, დაესაბუთებინა გაბატონებული ერების მიერ მცირერიცხოვან ერთა სრული ასიმილაციის ისტორიული კანონზომიერება, რასაც ქართველ მოღვაწეთა (მათ შორის: ი. ჭავჭავაძის, გაბრიელ იმერეთის ეპისკოპოსის, ს. მესხისა და სხვ.) უმწვავესი რეაქცია მოჰყვა (ამ საკითხზე იხ. ი. უთურაშვილი, XIX საუკუნის 70-იანი წლების ქართული დემოკრატიული პუბლიცისტიკა და გ. მუხრანბატონის წიგნაკი, „მნათობი", 1987, №10, გვ. 155-165).

გ. მუხრანბატონი გარდაიცვალა 1877 წლის 13 იანვარს, პარიზში. დაკრძალულია მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში (ეპიტაფია იხ. ქართველ მოღვაწეთა ნეკროპოლი, შეადგინა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ს. ხუციშვილმა, I, თბ., 1961, გვ. 22).

355. **ყულევი** - სოფ. ზუგდიდის მაზრაში (ამჟამად ხობის რაიონში შედის). XIX ს. ამ ადგილზე მდებარეობდა სანავსადგურო ქალაქი რედუტ-კალე.

356. იგულისხმება იმჟამად ლონდონში გამომავალი რუსული გაზეთი „კოლოკოლ", კერძოდ, მის დამატებაში (1861, №12) გამოქვეყნებული ანონიმი ავტორის სტატია - „Введение крепостного права в Мингрелии" (ამ საკითხზე იხ. ს. ხუნდაძე, დიმიტრი ყიფიანი, ტფ., 1936, გვ. 87-88).

357. იგულისხმება ვახტანგ VI-ის ბრძანებით 1705-1708 წწ. შედგენილი კანონთა კრებული, რომელიც, მართალია, ქართლისთვის იყო შედგენილი, მაგრამ ფაქტობრივად მთელს საქართველოში მოქმედებდა და რომლის მიხედვითაც წარმოებდა სამართალი ჩვენში მანამ, სანამ აქ რუსული მმართველობა საფუძვლიანად არ დამკვიდრდა.

358. **იპოლიტ ალექსის ძე დიუკრუასი** (გარდ. 1873) - სახელმწიფო მოღვაწე, კავკასიის მთავარმმართველობის საბჭოს (1859 წლიდან - მეფისნაცვლის საბჭოს) წევრი და ამიერკავკასიის საკარანტინო-საბაჟო ოლქის მმართველი, საიდუმლო მრჩეველი („ტაინი სოვეტნიკ").

მეფისნაცვალ ალ. ბარიატინსკის დავალებით ი. დიუკრუასს მნიშვნელოვანი როლი აქვს შესრულებული სამეგრელოს სამთავროს გაუქმებისთვის საჭირო ნიადაგის მომზადებაში (იხ. კ. ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი..., თბ., 1934, გვ. 125-132, 146, 323).

დიმიტრი ყიფიანსა და ი. დიუკრუასს, როგორც მეფისნაცვლის საბჭოს წევრებს, ერთმანეთთან ახლო ურთიერთობა ჰქონდათ. ისინი წევრები იყვნენ, აგრეთვე, კავკასიის სასწავლო ოლქის სამზრუნველო საბჭოსი (იხ. დ. ყიფიანი, მემუარები, 1990, გვ. 99-100).

ბიოგრაფიული ცნობები ი. დიუკრუასზე იხ. აქტები..., ტ. X, 1885, გვ. XX.

359. **ვლადიმერ პეტრეს ძე ბუტკოვი** (1818-1881) - რუსეთის სახელმწიფო მდივანი, შემდეგ - სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა კომიტეტის წევრი (1853-1865 წწ. - იხ. ბროკჰაუზი-ეფრონი, წგნ. 9, 1891, გვ. 77); 1860-იანი წწ. რუსეთის სასამართლო რეფორმის სულისჩამდგმელი; სენატორისა და პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, კავკასიის ისტორიაზე მნიშვნელოვანი ნაშრომების ავტორის, გენერალ-ლეიტენანტ პეტრე გრიგოლის ძე ბუტკოვის (1775-1857) შვილი.

1860-1865 წწ. ვლ. ბუტკოვი ხელმძღვანელობდა კავკასიის სამოქალაქო საქმეებისთვის პეტერბურგში დაარსებულ „კავკასიის კომიტეტს".

360. **„სამთა, შავი ზღვის ნაპირას მდებარე დამოუკიდებელ სამთავროთა..."** - ალ. ბარიატინსკი, უნდა ვიფიქროთ, აქ გულისხმობს სამეგრელოს (ოდიშს), აფხაზეთსა და სამურზაყანოს (ეს უკანასკნელი 1840-1850-იან წწ. ცალკე ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ ერთეულად ითვლებოდა).

361. იგულისხმება რუსეთ-ოსმალეთის 1853-1856 წწ. (ე.წ. ყირიმის) ომი.

362. დ. ყიფიანმა თავიდან არ ისურვა სამსახურიდან საკუთარი ნებით გასვლა (იხ. დიმიტრის წერილი ა. კრუზენშტერნისადმი, წიგნში: შ. ჩხეტია, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, თბ., 1950, გვ. 121), მაგრამ შემდეგ, ჩანს, მაინც არჩია თხოვნის შეტანა ნებაყოფლობით გადადგომის შესახებ (იხ. „კავკასიის კომიტეტის" მიმართვა მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებლის გრ. ორბელიანისადმი - შ. ჩხეტია, დასახ. წიგნი, გვ. 121-122). თუმცა ამის შემდეგაც დ. ყიფიანი თავს „სამსახურიდან გაძევებულად" მიიჩნევდა და ამბობდა: არაფერი გამიკეთებია არც საკუთარი სინდისისა და არც კანონის საწინააღმდეგოო (იხ. დიმიტრის წერილი პ. ლადინსკისადმი - იქვე, გვ. 296-297).

363. დიმიტრი ყიფიანის ეს სიტყვა სარედაქციო სათაურით - „ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის მარშლის აზრი, შესახებ თავად-აზნაურობის ბანკისა" - გამოქვეყნდა „ცისკარში" (1864, №11, გვ. 10-18), საიდანაც ჩვენ მიერ გადმობეჭდილია წიგნში: დ. ყიფიანი, რა ხალხია ქართველები?, თბ., 1995, გვ. 64-69.

უნდა ითქვას, რომ დ. ყიფიანის სიტყვა ა. ფურცელაძეს შემოკლებითა და გრამატიკულ-ორთოგრაფიული ცვლილებებით აქვს დამოწმებული.

364. თბილისის გუბერნიის მაზრათა წინამძღოლებისადმი დ. ყიფიანის ეს მიმართვა სრულად აქვს გამოქვეყნებული შ. ჩხეტიას (იხ. მისი, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში,

თბ., 1950, გვ. 322-324; ავტოგრაფული ტექსტი იხ. ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №270, ფ. 4).

365. გრ. ორბელიანისადმი მიწერილი დიმიტრი ყიფიანის ეს ბარათი გამოქვეყნებულია გაზ. „საქართველოში" (1916, №11), აგრეთვე, შ. ჩხეტიას მიერ (იხ. მისი: საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, თბ., 1950, გვ. 322); ხელნაწერი ტექსტი იხ. ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №776, ფ. 1.

366. **ივანე (იოანე) მალხაზის ძე ანდრონიკაშვილი** (1798-1868) - სოლომონ II-ის დისწული, კავალერიის გენერალი; მონაწილეობდა 1832 წლის შეთქმულებაში, მაგრამ ვერ დაუმტკიცეს და სასჯელიც ასცდა. ივანეს მამა - მალხაზ მელქისედეკის ძე ანდრონიკაშვილი (გარდ. 1822) - თავგამეტებით იბრძოდა რუსების წინააღმდეგ, რისთვისაც ერთხანს ლტოლვილობაშიც იყო სოლომონ II-სთან ერთად (მაქს. ბერძნიშვილი, მასალები..., I, გვ. 145).

ი. ანდრონიკაშვილმა პეტერბურგში მიიღო სამხედრო განათლება; ერთხანს სამხედრო სამსახურისთვის თავის დანებებას აპირებდა, მაგრამ თეიმურაზ ბატონიშვილის რჩევით ხელი აიღო ამ განზრახვაზე, რისთვისაც დედამ - რუსეთის მოძულე მარიამ (მაია) არჩილ ბატონიშვილის ასულმა (1775-1854) - დასწყევლა ივანე, დატოვა ოჯახი და ანჩისხატს შეაფარა თავი (თ. პაპავა, დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში, თბ., 1990, გვ. 316).

1849-1856 წწ. ი. ანდრონიკაშვილი თბილისის სამხედრო გუბერნატორი იყო. მის სამხედრო კარიერაში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ოსმალთა წინააღმდეგ ჩატარებული ბრწყინვალე ოპერაცია ახალციხესთან (1853 წ. 14 ნოემბერი), რამაც მტრის შემოსევისგან „იხსნა ახალციხის მხარე და ქუთაისის გუბერნია" (მაქს. ბერძნიშვილი, მასალები..., I, გვ. 142).

ი. ანდრონიკაშვილზე იხ.: ე. აბრამიშვილი, დ. ყიფიანისა და გრ. ორბელიანის რამდენიმე უცნობი წერილი, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, III, 1961, გვ. 155-163; გ. ავალიანი, რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან, თბ., 1967, გვ. 77-84; მ. დუმბაძე, გენერალი ივანე ანდრონიკაშვილი, თბ., 1943; შ. მეგრელიძე, ჩვენი სახელოვანი სამხედრო წინაპრები, თბ., 1979, გვ. 102-113; მიხ. ხელთუბნელი, სალიტერატურო-საზოგადოებრივი წარსულიდან, თბ., 1938, გვ. 198-202; ბიოგრაფიული ცნობები იხ. აქტები..., X, 1885, გვ. XIII.

ხი-ში, დ. ყიფიანის არქივში (№№902-905, ფ.9), დაცულია ი. ანდრონიკაშვილის ბარათები დ. ყიფიანისადმი დათარიღებული 1864-1868 წლებით.

367. მეფისნაცვალმა ნიკ. მურავიოვმა (1854-1856), რომელიც საერთოდ მტრულად იყო განწყობილი თავისი წინამორბედის მიხ. ვორონცოვის ადმინისტრაციული და კულტურულ-საგანმანათ-

ლებლო პოლიტიკისადმი, 1854 წელსვე შეუწყვიტა სუბსიდია ქართულ თეატრს და რატომღაც მიხ. ვორონცოვის მიერ მონვეული იტალიური ოპერაც ზედ მიაყოლა (ეს უკანასკნელი საერთოდ გააუქმა), ხოლო ქართული თეატრისთვის განკუთვნილი სახაზინო თანხით თბილისის რუსული დასი გააძლიერა (ე. ორჯონიკიძე, რუსული მმართველობის დამყარება საქართველოში, თბ., 1992, გვ. 228-229). გ. ერისთავის თეატრი 1856 წლის ივნისში საერთოდ დაიხურა (ამ საკითხზე იხ. ს. გერსამია, გიორგი ერისთავის თეატრი, თბ., 1950, გვ. 210-214) და ამ საქმეში, როგორც ზემოთ ითქვა (კომენტარი №154), მნიშვნელოვანი „წვლილი" შეიტანა იმჟამად თბილისში მცხოვრებმა რუსმა მწერალმა, ჟურნალისტმა, ისტორიკოსმა და თეატრალმა ვლ. სოლოგუბმა.

368. **პეტრე იოსების ძე უმიკაშვილი** (1838-1904) — მწერალი, ჟურნალისტი, ფოლკლორისტი, პედაგოგი, გამომცემელი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე. დამთავრებული ჰქონდა პეტერბურგის უნივერსიტეტი (1867 წ.); 25 წლის მანძილზე (1868-1893) ასწავლიდა ქართულ ენას თბილისის გიმნაზიაში; ქართულ პრესაში აქვეყნებდა ორიგინალურ თუ ნათარგმნ თხზულებებს, პუბლიცისტურ ნაწარმოებებს... (ფევდ.: „ანჩისხატელი", „ანჩისხატისუბნელი", „მ. პეტრიძე" და სხვ.); ფასდაუდებელი ამაგი დასდო ქართველ მწერალთა თხზულებების გამოცემის საქმეს (დ. გურამიშვილი, ს.-ს. ორბელიანი, ალ. ჭავჭავაძე, გრ. და ვახტ. ორბელიანები, ნ. ბარათაშვილი და სხვ.; აგრეთვე, ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები: „ეთერიანი", „ბეჟანიანი", „არსენას ლექსი" და სხვ.).

გარდაიცვალა თბილისში, 1904 წლის 25 მაისს, დაკრძალეს კათოლიკეთა კუკიის სასაფლაოზე, საიდანაც 1946 წელს მისი ნეშტი დიდუბის პანთეონში გადაასვენეს.

ლიტერატურა პ. უმიკაშვილზე იხ.: ქსე, ტ. X, 1986, გვ. 148; ქართული მწერლობა (ლექსიკონი-ცნობარი), I, 1984, გვ. 388; სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, I, 1953, გვ. 168; აგრეთვე: რ. ფაილოძე, მრავალმხრივი საზოგადო მოღვაწე (პეტრე უმიკაშვილი საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის დოკუმენტების მიხედვით), „საისტორიო მოამბე", №51-52, 1985, გვ. 302-336.

369. **რაფიელ მამულოვი (მამულაშვილი)** — თბილისში მოქმედი სცენისმოყვარეთა წრის წევრი 1860-1870-იან წწ. (იხ. სოლ. ცაიშვილი, ნიკო ავალიშვილი, თბ., 1955, გვ. 40). უთამაშია, სხვათა შორის, მოლიერის "ძალად ექიმში", რისთვისაც სამი თუმნით დაუჯილდოებიათ (იქვე, გვ. 42).

370. **დიმიტრი ყიფიანი "მურავიოვის დროს"** (1854-1856 წწ.) იყო კავკასიის მთავარსამმართველოს საბჭოს საქმეთა მმართველი (ამ თანამდებობაზე დაინიშნა 1846 წლის იანვარში — იხ. ხი, დ. ყი-

ფიანის არქ., საქ. №29, ფ. 92-93) და ერთხანს მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორის თანამდებობაც ეჭირა (ამ საკითხზე იხ. კომენტარი №120).

371. დიმიტრი ყიფიანი ეკატერინე დადიანის ოჯახთან ერთად პარიზში იმყოფებოდა "1866 წლის დამდეგს" (დ. ყიფიანი, მემუარები, 1990, გვ. 131).

372. **ენრიკო ტამბერლიკი** (1820-1889) — იტალიელი მომღერალი. გამოდიოდა იტალიისა და მსოფლიოს მრავალი ქვეყნის, - მათ შორის რუსეთის (მოსკოვი, პეტერბურგი), - საოპერო სცენებზე.

373. **ადელინა პატი** (1843-1919) — იტალიელი მომღერალი, XIX საუკუნის მსოფლიო საოპერო ხელოვნების ვარსკვლავი; 1897 წელს დატოვა სცენა და ამის შემდეგ მხოლოდ კონცერტებს მართავდა. სახელგანთქმული საოპერო მომღერალი იყო, სხვათა შორის, მისი დაც — კარლოტა პატი (1835-1889).

374. საუბარია თბილისის ახალგაზრდა სცენისმოყვარეთა მიერ 1861 წლის 16 ნოემბერს წარმოდგენილ ორ პიესაზე: "გაყრა" გიორგი ერისთავისა და ზურაბ ანტონოვის "მე მინდა კნეინა გავხდე" (ამ საკითხზე იხ.: ლ. კობახიძე, დიმიტრი ყიფიანის უცნობი წერილი, "საბჭოთა ხელოვნება", 1971, №3, გვ. 49; ნ. ურუშაძე, ქართული თეატრის ამბავი, თბ., 1982, გვ. 55-57).

375. "**გიმნაზიაზე**", აგრეთვე, დ. ყიფიანის იქ მოღვაწეობაზე იხ. სმ-დყ. I, გვ. 276-277.

376. დიმიტრი ყიფიანი თბილისის გიმნაზიის საპატიო მზრუნველი იყო 1852-1864 წწ. (ამ საკითხზე იხ. სმ-დყ. I, გვ. 277).

377. სინამდვილეში სპექტაკლის შემოსავლიდან ხარჯების გასტუმრების შემდეგ დარჩენილა 480 მან. და სწორედ ეს თანხა გადაუციათ დიმიტრი ყიფიანისთვის საქველმოქმედო მიზნით (იხ.: ლ. კობახიძე, დიმიტრი ყიფიანის უცნობი წერილი, "საბჭოთა ხელოვნება", 1971, №3; ნ. ურუშაძე, ქართული თეატრის ამბავი, თბ., 1982, გვ. 55-57). ხი-ში, დ. ყიფიანის არქივში (საქ. №260, ფ. 1), დაცული ერთი საბუთი ავსებს ა. ფურცელაძის ცნობას. კერძოდ, 1861 წლის 12 დეკემბერს თბილისის სასწავლებელთა დირექციიდან დიმიტრის ოფიციალურად ატყობინებენ: ახალგაზრდა სცენისმოყვარეთა მიერ 1861 წლის 16 ნოემბერს წარმოდგენილი სპექტაკლის შემოსავალი, 480 მან., რომელიც თქვენივე წერილის თანდართვით გამოგვიგზავნეთ, მივიღეთ და შემომწირველთა სურვილისამებრ ასე გავანაწილეთ: ერთი ნაწილით სატანავარჯიშო მოწყობილებებს შევიძენთ და ამ საქმეზე დახარჯული ფულის ზუსტ ანგარიშს პირადად თქვენ წარმოგიდგენთ, დანარჩენი თანხით კი ხელმოკლე მოსწავლეებს სწავლის ქირას გადავუხდით, სიას ამ მოსწავლეებისას ჯერ

თბილისის სამოქალაქო გუბერნატორს წარვუდგენთ დასამტკიცებლად, მერე თქვენც გაახლებთ, დახარჯული ფულის ანგარიშს შემომწირველთაც გავუგზავნით და გაზეთ „კავკაზის" მეშვეობით საზოგადოებასაც გავაცნობთო.

378. **ილია ქრისტეფორეს (ქაიხოსროს) ძე მამაცაშვილი** — საზოგადო მოღვაწე, ი. ჭავჭავაძის თანამოაზრე და თანამებრძოლი. დამთავრებული ჰქონდა სამხედრო სასწავლებელი; ერთხანს ბოქაულად მსახურობდა სვანეთში, შემდეგ — მომრიგებელ მოსამართლედ ერევანში, სადაც გარდაიცვალა სრულიად ახალგაზრდა — 25 წლისა.

ი. მამაცაშვილს „კავკაზში" (1872, №121) გამოქვეყნებული აქვს საინტერესო ეთნოგრაფიული ნარკვევი სვანეთზე („Замстки о Сванетии"), რომლის ნაწყვეტები „დროებაშიც" გადმოიბეჭდა (შენიშვნები სვანეთზე, „დრ", 1872, №41).

ი. მამაცაშვილს ლექსი ("პასუხი ილია მამაცაშვილს") უძღვნა ა. წერეთელმა (თხზ. სრ. კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. I, თბ., 1950, გვ. 110).

379. **მიხეილ გაბრიელის ძე მამაცაშვილი** — საზოგადო მოღვაწე. აქტიურად მონაწილეობდა თბილისისა და ქუთაისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკების დაარსებაში (იხ. ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ. II, თბ., 1960, გვ. 643; „მკითხველმა იცის... ", „დრ. ", 1872, №49).

380. **„პრიკაზი"** („Приказ общественного призрения") – მეფისნაცვალ მიხ. ვორონცოვის მიერ დაარსებული საკრედიტო დაწესებულება (ერთგვარი საადგილმამულო ბანკი), რომელიც ითვალისწინებდა თავადაზნაურობის მიერ უძრავი ქონების დაგირავებას, ხოლო აღებული სესხით მამულების უკეთ მოწყობას. ქართველი თავადაზნაურობის ერთმა ნაწილმა „პრიკაზში" მამულები მართლაც დააგირავა, მაგრამ იქ აღებული ფული გაფლანგა და საბოლოოდ გაჩანაგებული დარჩა („პრიკაზზე" იხ. ა. ჯორჯაძე, მასალები ქართველ ინტელიგენციის ისტორიისათვის, წიგნში: წერილები, 1989, გვ. 134).

381. **ზაქარია იოსების ძე მამაცაშვილი** — საზოგადო მოღვაწე; მსახურობდა სასამართლოს ბოქაულად; დამთავრებული ჰქონდა თბილისის გიმნაზია (1855 წელს — იხ. ტ. ხუნდაძე, ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში, თბ., 1951, გვ. 70). 1854 წელს გიმნაზიის ხელმძღვანელობას ზ. მამაცაშვილისთვის გაროზგვა მიუსჯია პანსიონიდან გაპარვისა და თეატრში ჩოხა-ახალუხით გამოცხადებისთვის (იქვე, გვ. 63).

382. **ივანე დავითის ძე სულხანიშვილი** (1836-1904) - მსხვილი მემამულე, საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი (ი. სულხანიშვილზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 270-271).

383. **არჩილ (აჩიკო) ყიფიანი** (1866-1870-იანი წწ.) — დიმიტრი ყიფიანის ვაჟიშვილი, რომელიც მცირეწლოვანი გარდაიცვალა და თბილისში, მამადავითის სასაფლაოზე, დაკრძალეს (ა. ყიფიანზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 86, 262).

აქვე უნდა გავასწოროთ ერთი ჩვენი ადრინდელი შეცდომა (იხ. სმ-დყ, I, გვ.264, კომენტარი №211): დიმიტრი ყიფიანის სამი, მცირეწლოვანებაშივე გარდაცვლილი, შვილიდან სამივე ვაჟიშვილი კი არ იყო, არამედ ორი იყო ვაჟი (ალექსი, არჩილი) და ერთიც ქალიშვილი — ბარბარე [იხ. სთკმსმ, კ. ყიფიანს არქ., საქ.№1469 (1)]. ბარბარეს პორტრეტი, — ფანქრით დახატული თვითონ დიმიტრი ყიფიანის მიერ, — დაცულია სთკმსმ-ში [კ. ყიფიანის არქ., საქ. №1500 (1)] და ახლავს კოტე ყიფიანის მინაწერი: „მამი ჩემის დახატული ჩემი და ბაბალე".

384. ნიკო დადიანი-მინგრელსკი დ. ყიფიანს 113 000 მანეთს ედავებოდა (А. Авалов, Заседание Тифлисского окружного суда 9 апреля 1871 года по делу Князя Николая Мингрельского с ДСС Димитрием Кипиани о 112 967 р. 14 к., Тфл., 1871). თუმცა საბოლოოდ სასამართლომ დიმიტრის 50 000 მანეთის გადახდა დააკისრა (დ. ყიფიანი, მემუარები, 1990, გვ. 81; ნიკო ნიკოლაძე სხვა თანხას ასახელებს — 56 000 მანეთს. იხ. ნ. ნიკოლაძე, დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი, თხზულებანი, ტ. 4, თბ., 1964, გვ. 311).

385. ამ საკითხზე იხ.: დ. ყიფიანი, სამეგრელოს მთავრის სახლი და დიმიტრი ყიფიანი, ტფ., 1869; მისივე, მემუარები, 1990, გვ. 70-75.

386. "... **იმყოფებოდა შვილებითურთ**" - "შვილებში" იგულისხმებიან:

1. **ნიკო დადიანი-მინგრელსკი** (იხ. კომენტარი №166).
2. **სალომე დადიანი-მიურატი** (იხ. კომენტარი №255).
3. **ანდრია დადიანი** (1850-1910) — რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი, თავის დროზე ცნობილი მოჭადრაკე და ჭადრაკის მეცენატი. დამთავრებული ჰქონდა ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (ა. დადიანზე იხ.: თ. გიორგაძე, თამაშობს ანდრია დადიანი, თბ., 1972; ლ. კიკნაძე, ალექსანდრე ჭავჭავაძის შთამომავლობა, „მნათობი", 1998, №3-4, გვ. 153, 158-159).
4. **თამარ დადიანი** (1853-1860; გარდაიცვალა პეტერბურგში).

387. **ლუარსაბ თეიმურაზის ძე ლოლუა** (გარდ. 1907) — იურისტი (ადვოკატი), საზოგადო მოღვაწე, „ქშნ-კგ საზოგადოების" დამფუძნებელი წევრი (იხ. ლ. გოდერიძე, მასალები ქართველთა

შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ისტორიისათვის, "საისტორიო მოამბე", №37-38, 1978, გვ. 32).

388. **"ვაჭარ ფორაქოვისგან"** დიმიტრი ყიფიანს ვალად 32 222 მანეთი დაედო (იხ. კომენტარი №221).

389. დიმიტრი ყიფიანს ფორაქაშვილის სასარგებლოდ პენსიის ნაწილი სიცოცხლის ბოლომდე ექვითებოდა (იხ. სმ-დყ, I, გვ. 18, 58).

390. საუბარია **პავლე ეგზარქოსზე** (იხ. კომენტარი №283).

391. იგულისხმება სტავროპოლელი სამხედრო ექიმის **პავლე სკლოტოვსკის** წერილი — "დ. ი. ყიფიანის ხსოვნას" (ტექსტი იხ. სმ-დყ, I, გვ.73-74). პ. სკლოტოვსკი მონმედ იყო მინვეული დ. ყიფიანის ერთ-ერთი მკვლელის გრ. სტრეპეტოვის სასამართლო პროცესზე (იქვე, გვ. 172-173).

392. **ნიკოლოზ დავითის ძე გეხტმანი** — იურისტი, ბაქოს საოლქო სასამართლოს წევრი ("კ.კ. ", 1881, გვ. 38).

393. **ვლადიმერ დანიელის ძე სპასოვიჩი** (1829-1906) — თვალსაჩინო ფიგურა XIX ს. რუსულ იურისპრუდენციაში, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი (კითხულობდა სისხლის სამართალს), უბადლო მჭევრმეტყველებით გამორჩეული ნაფიცი ვექილი; თანამიმდევრულად იბრძოდა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ (ვრცელი სტატია ვლ. სპასოვიჩზე იხ. ბროკჰაუზი-ეფრონი, წგნ. 61, 1900, გვ. 141-145).

ვლ. სპასოვიჩის ერთ-ერთ სიტყვას, — მიმართულს არარუსი ხალხების მშობლიურ ენათა ინტერესების დაცვისკენ, — საგანგებოდ შეეხო ილია ჭავჭავაძე (შინაური მიმოხილვა. 1881 წელი, მარტი, თხზ. სრ. კრებული ათ ტომად, ტ. V, თბ., 1955, გვ. 82-83).

394. **ლუარსაბ (შაქრო) მაღალაშვილი** (დაბ. 1839) — სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, "თერგდალეული", თბილისის მაზრის (1880-იანი წწ.), შემდეგ კი თბილისის გუბერნიის (1891-1894 წწ.) თავადაზნაურობის წინამძღოლი ("მარშალი") (ლ. მაღალაშვილზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 291-292).

395. დ. ყიფიანმა ბანკის დასაარსებლად მთავრობას, როგორც ა. ფურცელაძე ამბობს, "აართვა", არა 180 000, არამედ 160 000 მანეთი (იხ. ა. თელია, ქართული სათავადაზნაურო ბანკი და ილია ჭავჭავაძე, თბ., 1989, გვ. 20, 25).

396. ამ დროს გრ. ორბელიანი ერთდროულად იყო მეფისნაცვლის მოადგილეცა და თბილისის გენერალ-გუბერნატორიც (ამ უკანასკნელ თანამდებობაზე დაინიშნა 1860 წლის იანვარში — იხ. სოლ. ცაიშვილი, გრიგოლ ორბელიანის ნამსახურობითი სია, ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, ტ. I, 1947, გვ. 353).

397. **ალექსანდრე არღუთაშვილი-დოლგორუკოვი** — ტექსტის მიხედვით, სამხედრო პირი. შესაძლებელია, ეს ის ა. მ. არღუთაშვილ-მხარგრძელი იყოს, რომელსაც 1897 წ. იანვარში თბილისის ქალაქის გამგეობის წევრად ირჩევენ (ახალი ამბავი, „ცნ. ფ.", 1897, №81).

398. "**გენერალი თარხან-მოურავი**" —ჩვენ XIX საუკუნეში გენერლის ხარისხის მქონე რამდენიმე თარხან-მოურავი (თარხანოვი, თარხნიშვილი) ვიცით: 1. **კონსტანტინე დავითის ძე** — შემახის მაზრის უფროსად და სამხედრო გუბერნატორად, აგრეთვე, დაღესტნის ოლქის უფროსად, შემდეგ — განჯის გუბერნატორად ნამყოფი (იხ.: გრ. ორბელიანი, წერილები, ა. განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, ტ. I, ტფ., 1936, გვ. 296; ტ. II, თბ., 1937, გვ. 291, 342; მაქს. ბერძნიშვილი, მასალები..., II, გვ. 32); 2. **იოსებ დავითის ძე** (1819-1878) - გენერალ-ადიუტანტი, კავკასიის ომების გმირი (იხ.: ქსე, ტ. 4, 1979, გვ. 589; გ. ავალიანი, რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან, თბ., 1967, გვ. 146-147); 3. **რამაზ დიმიტრის ძე** — გენერალ-ლეიტენანტი, ნუხის მხარის მმართველად ნამყოფი, ცნობილი ფიზიოლოგის ივანე თარხნიშვილის (1846-1908) მამა (იხ. ალ. დიუმა, კავკასია, თბ., 1970, გვ. 106, 132, 174-175, 227-235, 250, 480). 4. **გიორგი იორამის ძე** (1841-1911) — თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის ერთ-ერთი დირექტორი (იხ. კომენტარი №497), მაგრამ, ვფიქრობთ, ეს უკანასკნელი ამ "ოთხეულიდან" უნდა გამოირიცხოს, რამდენადაც ა. ფურცელაძის წინამდებარე მოგონებაში აღწერილი ამბების დროს იგი მხოლოდ ოცდასამიოდე წლისა იქნებოდა და, საეჭვოა, კრებაზე დამსწრე ავტორიტეტულ დიდგვაროვანთა წრეში მოხვედრილიყო, მით უმეტეს, ამგვარ საზოგადოებაზე რაიმე გავლენის იმედი თუ უნარი ჰქონოდა.

399. თავადაზნაურობის ამ ყრილობაზე, რომელიც 1864 წლის 16 თებერვალს გაიმართა, დიმიტრი ყიფიანმა მიიღო 172 თეთრი და 7 შავი ხმა (იხ. წინამდებარე წიგნზე დართული ბარონ ალ. ნიკოლაის მოხსენებითი ბარათი, გვ. 215).

400 . ავტორს მხედველობაში აქვს დ. ყიფიანის მიერ გრ. ორბელიანისადმი 1864 წლის 31 აგვისტოს მიწერილი ბარათი (ამ ბარათზე იხ. კომენტარი №365).

401. უნდა იყოს: **ომერ-ფაშა** (ომერ-ფაშაზე იხ. კომენტარი №112).

402. **მარფურიუსი** — პერსონაჟი მოლიერის პიესისა "ნაძალადევი ქორწინება".

403. **გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზბეგი** (1839-1921) — სამხედრო და საზოგადო მოღვაწე, რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენან-

ტი, "ქშნ-კგ საზოგადოების" დამფუძნებელი წევრი. დამთავრებული ჰქონდა რუსეთის გენშტაბის აკადემია, მონაწილეობდა ე.წ. "კავკასიის ომებში", რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წწ. ომში, სხვადასხვა წლებში იყო ვარშავის სიმაგრის შტაბის უფროსი (1891-1899), ივანგოროდის (1899-1902), ვარშავის (1902-1905), ვლადივოსტოკის (1905-1907) კომენდანტი. ამის შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში და, - სამხედრო სამსახურიდან გადამდგარი, - აქტიურად ჩაება საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში; კერძოდ, 1908-1918 წწ. იყო "ქშნ-კგ საზოგადოების" თავმჯდომარე, ხოლო 1918-1921 წწ. — საპატიო თავმჯდომარე (ამ თანამდებობაზე გ. ყაზბეგის მოღვაწეობის შესახებ იხ.: გ. ავალიანი, რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან, თბ., 1967, გვ. 187-190; ი. ვართაგავა, მოგონებები, II, თბ., 1962, გვ. 242-246; გ. ლასხიშვილი, მემუარები, თბ., 1992, გვ. 221, 224-225).

გ. ყაზბეგი ავტორია მნიშვნელოვანი შრომებისა. ამათგან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს "Три мссяца в Турецкой Грузии" (1876), რომელიც ძვირფას საისტორიო, არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ მასალას შეიცავს "ოსმალეთის საქართველოზე" და რომელსაც ე. თაყაიშვილი უწოდებს "ნამდვილ განძს... ჩვენი ისტორიისათვის" (ე. თაყაიშვილი, რჩ. ნაშრომები, ტ. I, თბ., 1968, გვ. 291).

გიორგი ყაზბეგს ბედმა ტრაგიკული ხვედრი არგუნა: სიცოცხლის უკანასკნელ წლებში იგი განიცდიდა ხელმოკლეობას, სამი ვაჟიშვილი ჰყავდა და სამივე პირველმა მსოფლიო ომმა შეიწირა, ხოლო საქართველოს ბოლშევიზაციის შემდეგ დამსახურებული მოღვაწე იძულებული გახდა ემიგრაციაში გადახვეწილიყო, სადაც (სტამბოლში) აღესრულა კიდეც.

გ. ყაზბეგზე იხ. აგრეთვე: ნ. ნაჭყებია, ქართველი მოგზაური გიორგი ყაზბეგი, თბ., 1960; ვ. შადური, ილია ჭავჭავაძე და ყაზბეგები, კრბ.: "ილია ჭავჭავაძე — 150", თბ., 1987, გვ. 342-347.

გ. ყაზბეგს ლექსი („ჯიხვის ვედრება") უძღვნა ვაჟა-ფშაველამ (თხზ. სრ. კრებული ხუთ ტომად, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ვარიანტები და შენიშვნები დაურთო ზ. ჭუმბურიძემ, ტ. I, თბ., 1961, გვ. 318).

404. **აკაკი როსტომის ძე წერეთელი** (1840-1915) — მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მეთაურთაგანი (ა. წერეთლისა და დ. ყიფიანის ურთიერთობაზე იხ. სმ-დყ, I, გვ. გვ. 295-296).

405. **"ქართულ დრამატიულ საზოგადოებასა"** და მის დაარსებაში დ. ყიფიანის მონაწილეობაზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 273; ჯოლოგ., დიმ. ყიფ., გვ. 212-213.

406. დიმიტრი ყიფიანის წინაპრები იმერელ აბაშიძეთა აზნაურები იყვნენ (ამ საკითხზე, აგრეთვე, აბაშიძეებისა და ყიფიანების ურთიერთობაზე იხ. კომენტარი №№5, 6, 25, 26).

407. იგულისხმება დ. ყიფიანის გადასახლება ვოლოგდაში 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის გამო (ამ საკითხზე იხ. კომენტარი №№49, 57, 59).

408 . უნდა იყოს არა "არაბული ცხენი", არამედ "თურქმენული ცხენი" — მოთხრობა, რომელიც დ. ყიფიანმა "ბაქარ ქართლელის" ფსევდონიმით გამოაქვეყნა "ცისკარში" (1863, №1, გვ. 11-37).

409. დ. ყიფიანის თეატრალურ მოღვაწეობაზე, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა საკითხის გარშემო იხ. ჯოლოგ., დიმ. ყიფ., გვ. 206-214.

410. **გიორგი ბესარიონის ძე ღოლობერიძე** (1832-1900) — იურისტი, საზოგადო მოღვაწე (გ. ღოლობერიძეზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 207-208).

411. სახეცვლილი ციტატა აკაკის "გამზრდელიდან". უნდა იყოს: "მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვისმე განა?" (ა. წერეთელი, თხზ. სრ. კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. V, თბ., 1956, გვ. 235).

412. ეგზარქოსისადმი დ. ყიფიანის წერილი და მასზე ეგზარქოსის პასუხი იხ. სმ-დყ, I, გვ. 10-11; ამ საკითხზე იხ. აგრეთვე, იქვე, გვ. 36-40.

413. **"დღევანდელ ამბოხებაში"** ა. წერეთელი, უნდა ვიფიქროთ, გულისხმობს 1905-1907 წწ. რევოლუციურ მოვლენებს მთელს რუსეთის იმპერიაში და მათ შორის საქართველოშიც.

414. **ალექსი ფეოფილაქტის ძე პისემსკი** (1821-1881) — რუსი მწერალი (პროზაიკოსი, დრამატურგი). მისი პიესა "გაყრა" ("Раздел") გამოქვეყნდა 1853 წელს, რაც, რბილად რომ ვთქვათ, მეტად საეჭვოს ხდის გ. ერისთავის "გაყრის" წარმომავლობას ა. პისემსკის ანალოგიური სათაურისა და შინაარსის პიესიდან. ჩანს, ა. წერეთლის სნორედ ეს მოგონება ჰქონდა მხედველობაში გიორგი თუმანიშვილს, როცა 1913 წელს წერდა: "პრესაში როგორღაც ითქვა, რომ პირველი ქართული კომედია "გაყრა" არ არის ორიგინალური ნაწარმოები და თითქოს გ. ერისთავს იგი გადმოღებული აქვს პისემსკის პიესიდან — "გაყრა". ამასთანავე, დამონმებულია ისეთი ავტორიტეტი, როგორიც დ. ი. ყიფიანია. მე ადვილად შემიძლია ამ ზღაპრის გაბათილება — გ. ერისთავი ამას ვერ იზამდა იმ უბრალო მიზეზით, რომ პისემსკის პიესა უფრო გვიან გაჩნდა („появилась позже"), ვიდრე გ. ერისთავის პიესა" (Г. Туманов, Характеристики и воспоминания, кн. I, Тфл., 1913, გვ. 28). იმავეს ამტკიცებს "მკით-

ხველი" (ფსევდ.) თავის წერილში — "პირველ ქართულ პიესაზე" ("თემი", 1912, №58).

415. შეთქმულებაში მონაწილეობისთვის 1834-1838 წწ. ვილნოს ერთ-ერთ დივიზიაში გაგზავნილ გიორგი ერისთავს სხვადასხვა ქალაქებში უხდებოდა ყოფნა და მათ შორის ვარშავაშიც. ამის შემდეგ გ. ერისთავი ერთხანს სამშობლოშია. 1839 წლის ბოლოს კი იგი "კვლავ დაბრუნდა პოლონეთში და 1841 წლამდე დაჰყო სამხედრო სამსახურში" (დ. გამეზარდაშვილი, გიორგი ერისთავი, წიგნში: ქართული ლიტერატურის ისტორია ექვს ტომად, ტ. III, თბ., 1969, გვ. 309).

416. გ. ერისთავის "გაყრის" დ. ყიფიანისეული რუსული თარგმანი გამოქვეყნდა 1850 წ. (Раздел. Комедия в трех актах. Сочинение Князя Георгия Эристова, Тфл., 1850), საიდანაც გადმობეჭდილია წიგნში — Грузинская литература XIX века (Хрестоматия), I, Тб., 1979, გვ. 81-104.

417. **მოლიერი** (1622-1673) — ფრანგი დრამატურგი. მოლიერის პიესათა დ. ყიფიანისეულ თარგმანებზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 287; ჯოლოგ., დიმ. ყიფ., გვ. 176.

418. "გაყრის" 1850 წ. 2/14 იანვრის დადგმაში გიორგი ერისთავმა შეასრულა მიკირტუმ გასპარიჩის როლი (იხ. ს. გერსამია, გიორგი ერისთავის თეატრი, 1950, გვ. 58).

419. დ. ყიფიანს "გაყრაში" შესრულებული აქვს ივანეს როლი (იხ. ს. გერსამია, გიორგი ერისთავის თეატრი, 1950, გვ. 58).

420. **მიხეილ ჭილაშვილმა** (იხ. კომენტარი №84) "გაყრაში" ითამაშა გაბრიელის როლი (იხ. ს. გერსამია, გიორგი ერისთავის თეატრი, 1950, გვ. 58).

421. "გაყრის" აფიშის მიხედვით (იხ. ს. გერსამია, გიორგი ერისთავის თეატრი, 1950, გვ. 58-59), პიესის 1850 წ. 2/14 იანვრის წარმოდგენაში ილია ორბელიანს (1818-1853) მონაწილეობა არ მიუღია.

422. **გრიგოლ იოსების ძე შანშიაშვილმა** (გარდ. 1894) "გაყრის" 1850 წ. 2/14 იანვრის წარმოდგენაში შეასრულა რამაზის როლი (გრ. შანშიაშვილზე იხ. კომენტარი №87).

423. **ანასტასია (ტასო) დავითის ას. ორბელიანი** (1826-1901 წ. შემდეგ) — საზოგადო მოღვაწე, მანანა ორბელიანის ქალიშვილი, კონსტანტინე (მურზაყან) დადიშქელიანის მიერ მოკლული ალ. გაგარინის (იხ. კომენტარი №330) მეუღლე. ანასტასია (ტასო) გაგარინამ 1901 წელს ანჩისხატის იატაკი მოაგებინა მოზაიკით (იხ. მაქს. ბერძნიშვილი, მასალები..., II, გვ. 154).

ტასო ორბელიანი-გაგარინა თავის წერილებში რამდენჯერმე ჰყავს ნახსენები ნიკოლოზ ბარათაშვილს (იხ. ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი, თბ., 1972, გვ. 118, 133). ხი-ში, პაპუნა წერეთლის ფოტოკოლექციაში (№№305, 306, 925, 928), დაცულია ანასტასია გაგარინას ფოტოსურათები.

424. კომედია "მოურავზე" აკაკის "ჩემს თავგადასავალშიც" უწერია (ა. წერეთელი, თხზ. სრ. კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. VII, თბ., 1958, გვ. 57).

425. იგულისხმება რუსთველის აფორიზმი — "ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად".

426. 1850-1857 წწ. გიორგი ერისთავს კავკასიის მეფისნაცვლის საგანგებო დავალებათა მოხელის თანამდებობა ეჭირა (იხ. შესაბამისი წლების "კ.კ."), მაგრამ ეს გარემოება, სხვათა შორის, მას, - ა. ხარიტონოვის ერთი მოგონების მიხედვით, - "ხელს არ უშლიდა, ევლო ჩოხაში გამოწყობილს" (ამბ. გაჩეჩილაძე, ლიტერატურული ძიებანი, თბ., 1988, გვ. 44).

427. იგულისხმება **გიორგი ერისთავის "ცისკარი"** (1852-1853), რომლის დაარსება-გამოცემაშიც მიხ. ვორონცოვის როლი გადამწყვეტი იყო (ვორონცოვის ოფიციალური მიმოწერა პეტერბურგთან ამ საკითხზე იხ. პ. გუგუშვილი, ქართული ჟურნალისტიკა, I, თბ., 1941, გვ. 113-116). ამას გარდა, მიხ. ვორონცოვმა ხაზინის ხარჯზე თბილისის წმ. ნინოს სასწავლებლისთვის გამოიწერა 100 ეგზემპლარი ჟურნალისა (იქვე, გვ. 117), რითაც რედაქციას მუდმივი შემოსავალი გაუჩინა და გ. ერისთავს „ცისკრის" გამოსაცემად სტამბაც აჩუქა (მ. გოცაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, I, თბ., 1954, გვ. 330).

428. **"შამილობასა"** და **"მთიულების ომში"** იგულისხმება 1817-1864 წლების ე.წ. კავკასიის ომები, რომელსაც რუსეთი ეწოდა კავკასიის მთიელი ხალხების დასაპყრობად და რითაც რუსეთის იმპერიამ არსებითად დაასრულა ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ომები მთელი კავკასიის დასამორჩილებლად (კავკასიის ომებზე, აგრეთვე წყაროები და ლიტერატურა საკითხის გარშემო იხ.: ქსე, ტ. 5, 1980, გვ. 307-309; ბსე, ტ. 11, 1973, გვ. 119-121; ბროკჰაუზი-ეფრონი, წგნ. 26, 1894, გვ. 854-862).

429. საბოლოოდ დ. ყიფიანმა ხელმწიფისგან ნაბოძები ფულიდან თავადაზნაურობას 20% დაატოვებინა ბანკის სასარგებლოდ.

430. ი. გოგებაშვილი, როგორც პოლიტიკურად არაკეთილსაიმედო პირი, თბილისის სასულიერო სემინარიიდან დაითხოვეს 1874 წელს (იხ. ი. გოგებაშვილი, რჩ. თხზ. ხუთ ტომად, ტ. I, თბ., 1989, გვ. 11).

431. "ქშწ-კგ საზოგადოების" დამფუძნებელ წევრთა სია იხ. ლ. გოდერიძე, მასალები ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ისტორიისათვის, "საისტორიო მოამბე", №37-38, 1978, გვ. 31-32.

432. **დიმიტრი სიმონის ძე სტაროსელსკი** (1832-1884) — გენერალ-ლეიტენანტი, სენატორი. კავკასიაში ჩამოვიდა 1857 წელს და სამუდამოდ აქ დარჩა. სხვადასხვა წლებში იყო ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის ადიუტანტი, ბაქოს გუბერნატორი, თერგის ოლქის მმართველის მიხ. ლორის-მელიქოვის თანაშემწე (მოადგილე), 1877-1884 წწ. ეჭირა მეფისნაცვლის (შემდგომში — მთავარმართებლის) მთავარსამმართველოს უფროსის მეტად მაღალი პოსტი. დ. სტაროსელსკიმ "შეითვისა, შეიტკბო ჩვენი ქვეყანა და სამაგიეროდ საერთო სიყვარული და პატივისცემა შეიძინა" (დიმიტრი სიმონის ძე სტაროსელსკი, "დრ.", 1884, №57).

დ. სტაროსელსკიმ დიდი ამაგი დასდო „ქშწ-კგ საზოგადოებას" (იხ. ს. ხუციშვილი, მანათობელი, თბ., 1980, გვ.17). იგი ქვისლი იყო ილია ჭავჭავაძისა — ცოლად ჰყავდა ეკატერინე თადეოზის ას. გურამიშვილი-სტაროსელსკაია, რომელიც, სხვათა შორის, დამფუძნებელი წევრი იყო "ქშწ-კგ საზოგადოებისა" (იხ. ლ. გოდერიძე, მასალები ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრელებელი საზოგადოების ისტორიისათვის, „საისტორიო მოამბე", №37-38, 1978, გვ. 32).

დიმიტრი სტაროსელსკი დაკრძალულია საგურამოში. მის გასვენებაზე წარმოთქმულ სიტყვაში აკაკი წერეთელი აღნიშნავდა: განსვენებული "პატივისცემით აფასებდა ჩვენს წარსულს, მამობრივის იმედით უყურებდა მომავალს და ძმურად ხელს უწყობდა ჩვენს აწმყოს" (დიმიტრი სვიმონის ძე სტაროსელსკის დასაფლავება, "დრ. ",1884, №59).

433. "ქშწ-კგ საზოგადოების" დამფუძნებელი სხდომა გაიმართა 1879 წლის 15 მაისს. სხდომაზე აირჩიეს გამგეობა შემდეგი შემადგენლობით: დიმიტრი ყიფიანი (თავმჯდომარე), ილია ჭავჭავაძე (თავმჯდომარის მოადგილე), ნიკო ცხვედაძე, იაკობ გოგებაშვილი, ივანე მაჩაბელი, ალექსანდრე სარაჯიშვილი (მდივანი), რაფიელ ერისთავი (ხაზინადარი); გამგეობის წევრობის კანდიდატები: ნიკოლოზ ქანანოვი, დავით ავალიშვილი, გიორგი უთურგაული (იხ. ს. ხუციშვილი, მანათობელი, თბ., 1980, გვ. 22-24).

434. **ნინო ბეჟან ტატიშვილის ას. ყიფიანი** (1867-1937) — პუბლიცისტი, მწერალი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი; დიმიტრი ყიფიანის რძალი (კოტეს ცოლი) (ნინო ყიფიანზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 229-230).

435. ხელნაწერი ტექსტის სქოლიოში (ჩანს, მოგვიანებით) ავტორს ჩაუტანია შენიშვნა: "მაშინ არ იყო დაწერილი მისი ბიოგრაფია არჩილ ჯორჯაძისა" (ლმ, №2303-ხ, ფ. 1).

436. დ. ყიფიანის მიერ სტავროპოლიდან გამოგზავნილი ბარათები იხ. დ. ყიფიანი, რა ხალხია ქართველები?, თბ., 1995, გვ. 83-121

437. 1910-იანი წწ. დასაწყისში, როცა ა. ჯორჯაძე თავის ცნობილ ნაშრომს წერდა დ. ყიფიანზე, ნინო ყიფიანის მიერ ნახსენები "დღიური" უკვე დაკარგულად ითვლებოდა (იხ. ა. ჯორჯაძე, წერილები, თბ., 1989, გვ. 581).

438. ის, რომ დიმიტრი ყიფიანი მორწმუნე იყო, მრავალი წყაროთი დასტურდება, რომელთაგან აქ მხოლოდ ერთს დავიმოწმებთ. ესაა კერძო ხასიათის ბარათი გრიგოლ შარვაშიძისადმი, რომელშიც დიმიტრი წერს: „მე ძველი კაცი ვარ და ღვთის სასოება ისე არის ჩემს გულში დამკვიდრებული, რომ მისი შერყევა ვერც ერთმა ახალმა იდეამ ვერ შეძლო" (ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №1721, ფ.2).

439. დიმიტრი ყიფიანი 1880-იან წწ. წევრი იყო ეკატერინე ადლერბერგის (ნიკო დადიან-მინგრელსკის სიდედრის) მიერ დაარსებული „ჰომეოპატთა სანქტ-პეტერბურგის საზოგადოებისა" (იხ. Список членов С.-Петербургского общества последователей гомеопатий, С.-Пб., 1883; დაცულია ლმ-ში, №14761-ხ; ამავე ნომრითაა დაცული დიმიტრი ყიფიანის მიერ შედგენილი სხვადასხვა პირთა, - ძირითადად გლეხების, - ჰომეოპატიური საშუალებებით მკურნალობის სააღრიცხვო რვეული, სადაც აღნიშნულია პაციენტთა ვინაობა, დიაგნოზი, დანიშნულება, შედეგები... ეს უკანასკნელი საბუთი თავბოლონაკლულია. შემორჩენილი ნაწილი ასახავს 1884 წლის ვითარებას).

სხვათა შორის, დ. ყიფიანი 1864 წლიდან წევრი იყო, აგრეთვე, „კავკასიის სამედიცინო საზოგადოებისა" (ამ საკითხზე იხ. ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №295-298, ფ.9).

440. **კონსტანტინე (კოტე) დიმიტრის ძე ყიფიანი** (1849-1921) - მსახიობი, თეატრის თეორეტიკოსი, მწერალი, პუბლიცისტი, ლექსიკოგრაფი, საზოგადო მოღვაწე (კოტე ყიფიანზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 230-231).

441. **ანტონ ნიკოლოზის ძე ლორთქიფანიძე** (1847-1894) - ბიბლიოფილი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, თავის დროზე ცნობილი ვექილი, ელენე დიმიტრის ას. ყიფიანის მეუღლე (ა. ლორთქიფანიძეზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 211-212).

442. დიმიტრი ყიფიანზე, როგორც მონარქისტზე, იხ. ჩვენი წერილი - იყო თუ არა დიმიტრი ყიფიანი მონარქისტი?, „ლიტერატურული საქართველო", 1993, №26.

443. **ივანე (ვანო) გიორგის ძე მაჩაბელი** (1854-1898) - მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე (ი. მაჩაბლისა და დ. ყიფიანის ურთიერთობაზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 255-256).

444. მას შემდეგ, რაც თავისი დედობილისგან - მარიამ ყიფიანისგან - შეძენილი სახლი გაყიდა (იხ. აქვე, ნიკ. ყიფიანის მოგონება, გვ. 15), დიმიტრი ყიფიანს თბილისში საკუთარი სახლი არა ჰქონია და ქირით ცხოვრობდა: 1855 წელს კომენდანტის (ამჟამად-გრიბოედოვის) ქუჩაზე, შიოევის სახლში („კ.კ.", 1855, გვ. 746); 1861 წელს - კუკიაზე, პოლკოვნიკ მარკოზოვის სახლში (ლმ, საქ. №14837-ხ); 1872 წელს - „არსენალის [ამჟამად — ზუბალაშვილების] ქუჩაზე, [ალ.] ჭავჭავაძის ქუჩის მახლობლად, ფუღინოვის სახლებში, სადაც უნინ მეჟეევჩიკების შკოლა იყო" („დრ", 1872, №2) და ა.შ. მართალია, 1846 წელს დ. ყიფიანს კუკიაზე სახლის ასაშენებლად მინის ნაკვეთი გამოუყვეს, მაგრამ უსახსრობის გამო დიმიტრიმ იქ სახლ-კარის გამართვა ვერ შეძლო (ამ საკითხზე თბილისის გარეუბნის მომწყობი კომისიისა და დ. ყიფიანის მიმოწერა იხ. ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №586-592, ფ.9).

445. **„დუშეთის მამულზე"** იხ. სმ-დყ, I, გვ. 232.

446. **ე. კ-ლი** - ტექსტის მიხედვით, დ. ყიფიანის დუშეთის მამულის მოურავი.

447. ნიკ. ყიფიანი ამ დროს ბათუმში მსახურობდა (იხ. სმ-დყ, I, გვ. 210).

448. დიმიტრი ყიფიანის მკვლელობასა და მკვლელებზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 146-175.

449. „ივერიის" ცნობით, დიმიტრი ყიფიანი მოკლეს თავში სასწორის ქვის (Гиря) ჩარტყმით (იხ. სმ-დყ, I, გვ. 79); ექიმების დასკვნით, დიმიტრი „ჩლუნგის, ბლაგვის იარაღით უნდა იყოს მოკლული და ამ იარაღს ბურთისებური თავი და გრძელი ტანი უნდა ჰქონოდა" (იქვე, გვ. 148), ერთ-ერთმა მკვლელმა, გრიგოლ სტრეპეტოვმა კი მკვლელობის იარაღად „პაწია რკინის ბერკეტი" დაასახელა (იქვე, გვ. 153).

450. **„სამი ქალიშვილი"** - ნიკოლოზ ყიფიანის ქალიშვილები: ელისაბედ (ვეტა) ყიფიანი-სულხანიშვილი (1876-1943), ნინო (ნუცა) ყიფიანი (1877-1921) და ბარბარე (ვარა) ყიფიანი (1879-1965).

ელისაბედ, ნინო და ბარბარე ყიფიანებზე იხ. სმ-დყ, I, კომენტარი №№133, 145.

451. სინამდვილეში ალექსანდრე (კოხტა) აბხაზმა დიმიტრი ყიფიანს თავზე 32222 მანეთის ვალი „დააატეხა" (იხ. კომენტარი №221).

452. **„აბხაზის ცოლზე"** იხ. კომენტარი №223.

453. დიმიტრი ყიფიანს, სხვათა შორის, თარგმნილი და გამოქვეყნებული აქვს ვ. ჰიუგოს „ოთხმოცდაცამეტი წლის" ნაწყვეტები

(„ქართული ბიბლიოთეკა", 1883, №11-12, გვ. 13-74). მოგვიანებით (1887 წ.) „ივერიასაც" ჰქონია ამ თარგმანის დაბეჭდვის სურვილი, მაგრამ იმჟამად სტავროპოლში გადასახლებული დიმიტრი ამაზე უარს ამბობს (იხ. სმ-დყ, I, გვ. 50). 1892 წელს ზ. ჭიჭინაძემ „ოთხმოცდაცამეტი წლის" ნანყვეტთა დ. ყიფიანისეული თარგმანი ცალკე წიგნაკად გამოსცა (რეცენზია ამ გამოცემაზე იხ. „ივ.", 1892, №126).

454. **ჩიტო კალატოზიშვილი** 1883 წელს საჭიდაოდ იწვევს სახელგანთქმულ ფალავანს კულა გლდანელს: მე, ძველი მოჭიდავე, 44 წლის ჩიტო კალატოზიშვილი „გთხოვთ, გამოუცხადოთ გლდანელს, რომ მსურს... მასთან ჭიდაობა შემდეგის პირობით: ჭიდაობის ცქერა ხალხისთვის უფასო იყოს, როგორც ყოფილა ძველ დროს. უკეთუ ისურვებს ფასის აღებას, აღებული ფული მოხმარდეს რომელსამე სასწავლებელს" (ჩ. კალატოზიშვილი, წერილი რედაქტორთან!, „დრ.", 1883, №129). კულა გლდანელმა მიიღო გამოწვევა: „მე სიხარულით ვეგებები ჭიდაობის ყოველ იმ პირობას, რომელთაც მოინებებს ბ. კალატოზიშვილი და წინ წამიმძღვარებსო" [ივანე ყირიმელი (გლდანელი), წერილი რედაქტორთან!, „დრ.", 1883, №157]. თუმცა, ჩანს, ჩ. კალატოზიშვილს შემდგომში თავის განზრახვაზე ხელი აუღია. ყოველ შემთხვევაში, კულა გლდანელი მომდევნო წელს კვლავ მიმართავს „დროების" რედაქტორს ივანე მაჩაბელს: თითქმის ერთი წლის წინ ჩიტო კალატოზიშვილმა საჭიდაოდ გამიწვია, მისი ეს წინადადება მე მივიღე, მაგრამ მას აქეთ მონინააღმდეგისგან არაფერი ისმისო [ივანე გლდანელი (ყირიმელი), წერილი რედაქტორთან!, „დრ.", 1884, №85].

455. **დათია ხახნელიძე** - დიმიტრი ყიფიანის მებაღე.1887 წლის აპრილში დიმიტრი სტავროპოლიდან ქვიშხეთში სწერს თავის შვილს - კოტეს: „დათია ხახნელიძე რომ არ ბრუნდება, უნდა ვიფიქროთ, ავადაა. სხვაგვარად ძნელია მისი საქციელის ახსნა... მართალია, მებაღის ხშირი ცვლა მეტად და მეტად არასასურველია, მაგრამ სამუშაოების გაგრძელება მაინც საჭიროაო" (სმ-დყ, I, გვ. 54-55).

456. **არსენა** - ტექსტის მიხედვით, დიმიტრი ყიფიანის ხაბაზი.

457. დ. ყიფიანი 1882 წლის მარტიდან წევრი იყო „რუსეთის მეთევზეთა საზოგადოებისა" (ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №787, ფ. 1). 1883 წ. ივნისში დიმიტრი სწერს „მეთევზეთა საზოგადოების" გამგეობას - ქვიშხეთში მსურს ფარგის (Судак), ორაგულის (Лосось), ღლაბუტას(Налим), ცქვრინისა (Стрелядь) და სიგის (Сиг) მოშენება, რა რჩევას მომცემთ და ეს ყველაფერი რა დაჯდებაო (იქვე, საქ. №786, ფ. 1). იქვეა (საქ. №№723-725, ფ. 5) დაცული დ. ყიფიანის მიერ „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების" პრეზიდენ-

ტის ი. ვიტესადმი 1865-1866 წწ. გაგზავნილი წერილები ქვიშხეთში თევზის მოშენების საკითხებზე.

458. ნინო ჭილაშვილმა და დიმიტრი ყიფიანმა ჯვარი 1845 წლის 22 იანვარს დაიწერეს (იხ. აქვე, ნიკ. ყიფიანის მოგონება, გვ. 11).

459. **„მუდმივი დრამატული დასი"** შედგა 1879 წლის მაისში (ამ საკითხზე იხ. ნ. ურუშაძე, ქართული თეატრის ამბავი, თბ., 1982, გვ. 73), ხოლო პირველი სეზონი ამ დასმა გახსნა იმავე წლის 1 სექტემბერს (იქვე, გვ. 74).

460. **„სცენის მოყვარულთა წრესა"** და მასში კ. ყიფიანის მონაწილეობაზე იხ. „კოტე ყიფიანის პასუხები ნიკო ავალიშვილის კითხვებზე" (სოლ. ცაიშვილი, ნიკო ავალიშვილი, თბ., 1955, გვ. 40-42).

461. **ანდრია ომანის ძე ხერხეულიძე** - ერეკლე II-ის მდივან-ბეგისა და ისტორიკოსის ომან ხერხეულიძის შვილი; თეატრალური ინტერესების მქონე პირი. მონაწილეობდა სცენისმოყვარეთა წარმოდგენებში, რის გამოც მასზე ირონიულად ასეთი „ლექსი" გამოუთქვამთ: „ომან მდივნიანთ ანდრია, თამაშობაში მარდია" (იხ. პ. უმიკაშვილი, ბარბარე ავალიშვილისა, „ივ.", 1898, №243).

ანდრია მამა იყო ქართული სცენის შესანიშნავი ოსტატის - ბარბარე (ბაბო) ხერხეულიძე-ავალიშვილისა (1851-1900; ბ. ავალიშვილზე იხ. ნ. ურუშაძე, საშინელია შთამომავალთა გულმავიწყობა, გაზ. „დრონი", 1992, №23).

462. **ალექსანდრე ივანეს ძე პალმი** (1822-1885) - რუსი მწერალი და თეატრალური მოღვაწე; ერთხანს ცხოვრობდა თბილისში, თანამშრომლობდა აქ გამომავალ რუსულენოვან ჟურნალ-გაზეთებში, მათ შორის ნ. ნიკოლაძის „ობზორში". იგი ავტორია მრავალი ლექსის, მოთხრობის, რომანისა თუ პიესისა (ფსევდ. „პ. ალმინსკი"); 1878 წ. თბილისში ჩამოაყალიბა თეატრალური ამხანაგობა (ალ. პალმზე, აგრეთვე, ლიტერატურა მასზე იხ.: ქსე, ტ. 7, 1984, გვ. 654; ბროკჰაუზი-ეფრონი, წგნ. 44, 1897, გვ. 658).

უნდა ითქვას, რომ ალ. პალმის თეატრალურ საქმიანობაზე ქართველი მოღვაწეების დამოკიდებულება არ ყოფილა ერთგვაროვანი. კერძოდ, ს. მესხი მას „ქართულ-სომხური სცენის" მატერიალურ-ფინანსურ დისკრიმინაციაში სდებდა ბრალს (ს. მესხი, ჩვენი თეატრის საქმე, თხზ. სამ ტომად, ტ. III, თბ., 1964, გვ. 266-267).

463. **სერგეი ალექსანდრეს ძე პალმი** (1850-1915) - თეატრალური მოღვაწე (მსახიობი, რეჟისორი, ანტრეპრენიორი); 1870-იან წწ. თბილისში ჩამოაყალიბა რუსული დრამატული, საოპერო და საოპერეტო დასები. საბოლოოდ პეტერბურგში დამკვიდრდა.

ერთხანს საქართველოში ცხოვრობდა ალ. პალმის მეორე შვილიც გრიგოლ პალმი (მსახიობი, ჟურნალისტი, მთარგმნელი; ფსევდ. „არბენინი"), რომელიც იყო ბათუმში გამომავალი გაზეთის „ჩერნომორსკი ვესტნიკის" რედაქტორი. გრ. პალმს ძალზე ცუდად ახასიათებს დავით კლდიაშვილი (იხ. დ. კლდიაშვილი, ჩემი ცხოვრების გზაზე, წიგნში: მოთხრობები და პიესები, თბ., 1947, გვ. 699, 705-708, 727-728).

464. **ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ოსტროვსკი** (1823-1886) - რუსი დრამატურგი და თეატრალური მოღვაწე, რუს დრამატურგთა საზოგადოების დაარსების ინიციატორი (1874 წ.). 1883 წელს ალ. ოსტროვსკიმ იმოგზაურა საქართველოში და ქართველმა საზოგადოებამ მას გულთბილი შეხვედრა გაუმართა (იხ. ალექს. ნიკ-ძის ოსტროვსკის პატივცემისათვის გამართული საღამო, „დრ.", 1883, №211).

465. **ელისაბედ ნიკოლოზის ას. გორევა** - სერგეი პალმის დრამატული დასის წევრი 1970-იანი წწ. თბილისში. შემდგომში მოღვაწეობდა პეტერბურგში. 1904 წ. ე. გორევა თბილისში გასტროლებზე ჩამოჰყვა სახელგანთქმულ მსახიობს პავლე ორლიონოვს (1869-1932) და აქ ითამაშა ჰ. იბსენის პიესაში - „მოჩვენებანი" (იხ. თეატრი, „ცნ.ფ.", 1904, №2454; ქ. ყი[ფია]ნი, გასტროლი პ. ნ. ორლიონევისა, „ივ.", 1904, №80).

466. **უილიამ შექსპირი** (1564-1616) - ინგლისელი მწერალი და თეატრალური მოღვაწე (შექსპირის პიესების დიმიტრი ყიფიანისეულ თარგმანებზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 286-287; უფრო ვრცლად — წიგნში: ჯოლოგ., დიმ. ყიფ., გვ. 160-165, 176-177.

467. **მამია დავითის ძე გურიელი** (1836-1891) - მწერალი , თეატრალური მოღვაწე, თანამედროვეთა შორის ცნობილი და დიდად დაფასებული დეკლამატორი, გურიის სამთავრო ოჯახის წევრი... შესანიშნავი პოეტი (ფსევდ. „ფაზელი"), რომლის ნიჭი და შემოქმედებითი პოტენცია მოუნესრიგებელმა ყოფამ, სილარიბემ, უიღბლო ქორწინებამ, განუწყვეტელმა სმამ (საერთოდ, ბოჰემურმა ცხოვრებამ), ერთი სიტყვით, მძიმე და ტრაგიკულმა ყოფამ ჩაკლა. უკიდურესი სილატაკითა და სასონარკვეთით დათრგუნვილი მამია გურიელი გარდაიცვალა ქუთაისში, გურიელთა ყოფილი მსახურის, ერთი უთვისტომო დედაკაცის ბაბალე ჭყონიას ბნელ ფიცრულში.

დაკრძალულია ქუთაისშივე, ნმ. გიორგის ეკლესიის ეზოში.

მამია გურიელზე იხ.: ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, I, თბ., 1954, გვ. 339-370; ივ. გომართელი, რჩ. თხზ., I, 1966, გვ. 11-45; გ. ჟღენტი, მამია გურიელი, თბ., 1961; ი. ევგენიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბ., 2000, გვ. 124-152; თ. ჯოლოგუა, ბოლოსიტყვა წიგნისა: ქართული მწერლობა (ოცდაათ ტომად), ტ. XX, თბ., 2003, გვ. 486-489 და სხვ.

468. **დავით გიორგის ძე ერისთავი** (1847-1890) - მწერალი, ჟურნალისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, გიორგი ერისთავის (1813-1864) შვილი; თანამშრომლობდა როგორც ქართულ („დროება", „კრებული", „ივერია"...), ისე რუსულ პრესაში („ტიფლისსკი ვესტნიკ", „ფალანგა" და სხვ., აგრეთვე, „კავკაზ", რომელსაც 1882-1884 წწ. რედაქტორობდა კიდეც), აქვეყნებდა პუბლიცისტურ თხზულებებს, ორიგინალურ მხატვრულ ნაწარმოებებს, თარგმანებს (ფსევდ.: „დ.ე.", „ბარძიმი", „გლუხარიჩი II", „Наследственный поэт"), მონაწილეობდა ეროვნული მიზანდასახულობის საზოგადო საქმეებში: „ქმწ-კგ საზოგადოებისა" და „ქართული დრამატიული საზოგადოების" დაფუძნებაში, კომისიაში, რომელიც 1880 წელს შეიქმნა „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დასადგენად და გამოსაცემად; რეჟისორობდა და თვითონაც თამაშობდა სცენაზე, დეკლამაციით გამოდიოდა ლიტერატურულ ღონისძიებებზე... ქართული მწერლობის ისტორიაში კი იგი შევიდა, როგორც გადმომღებ-გადმომკეთებელი უცხოელ ავტორთა დრამატული ნაწარმოებებისა, რომელთაგან ერთ-ერთმა, - ფრანგი დრამატურგის ვიქტორიენ სარდუს (1831-1908) „სამშობლომ" („Patrie"), - დავით ერისთავს ზოგადად ქართული კულტურის ისტორიაში დაუმკვიდრა ადგილი (ამ საკითხზე იხ.: ნ. ტატიშვილი, ლიტერატურული ნარკვევები, თბ., 1965, გვ. 7-83; ი. იმედაშვილი, ჩემი ცხოვრების წიგნი, თბ., 1978, გვ. 357-365; ნ. ურუშაძე, ქართული თეატრის ამბავი, თბ., 1982, გვ. 87-93 და სხვ.).

დავით ერისთავი გარდაიცვალა 1890 წლის11 ოქტომბერს, თბილისში. დაკრძალეს კალოუბნის ეკლესიის გალავანში (იქ, სადაც ამჟამად რუსთაველის სახელობის კინოთეატრია) და საფლავზე ძეგლიც დაუდგეს (მოქანდაკე - ფ. ხოდოროვიჩი), მოგვიანებით კი მისი ნეშტი მთაწმინდის პანთეონში გადაასვენეს და ძეგლიც იქ გადაიტანეს...

დ. ერისთავზე იხ. ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, I, თბ., 1954, გვ. 371-410; თ. ჯოლოგუა, ბოლოსიტყვა წიგნისა: ქართული მწერლობა (ოცდაათ ტომად), ტ. XX, თბ., 2003, გვ. 499-502.

469. **ნინო სვიმონ აბაშიძის ას. ორბელიანი** (1838-1919) - პოეტი, მსახიობი, საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი. დაიბადა ქართლში, სოფ. ახალქალაქში; ერთხანს ცხოვრობდა ქუთაისში (14 წლისა მიათხოვეს ქუთაისელ ევგენი მაისურაძეს, რომელიც მალე გარდაიცვალა); მონაწილეობდა კულტურულ-სალიტერატურო ცხოვრებაში, თეატრალურ წარმოდგენებში; 1860-იან წწ. მეორედ გათხოვდა გრიგოლ (გიგო) ორბელიანზე (გარდ. 1887). 1870-იან წწ. ნინო უკვე თბილისშია და ნაყოფიერ ლიტერატურულ, თეატრალურ, საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევა. იგი გამოირჩეოდა სილამაზით, ორატორული ნიჭით, იყო ბრწყინვალე იმპროვიზატო-

რი... ნინო ორბელიანისადმი ლექსები აქვს მიძღვნილი ვ. იურკევიჩს („რუს-იმერელს") („კვ.", 1893, №11, გვ. 11; 1894, №48, გვ. 6; 1897, №4, გვ. 96).

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ნინო უკიდურეს სიღატაკეში, უსახლკაროდ ცხოვრობდა. ყველასგან მივიწყებული, გარდაიცვალა 1919 წლის 12 მარტს, თბილისში, მიხეილის საავადმყოფოსთან არსებულ დავრდომილთა თავშესაფარში. გამართლდა მის მიერ გარდაცვალებამდე რამდენიმე წლის წინ ნაწინასწარმეტყველები: „რომ მოვკვდები, მაშინ დაიკვნესებენ, ცოცხალს მტანჯვენ, მკვდარსა მომილექსებენო". მართლაც, ნინოს სიკვდილმა საზოგადოებაში დიდი გულისტკივილი და რეზონანსი გამოიწვია. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

6. ორბელიანზე იხ.: ქ. ირემაძე, ლიტერატურული მედალიონები, თბ., 1946, გვ. 66-93; ნ. ურუშაძე, ქართული თეატრის ამბავი, თბ., 1982, გვ. 48; ნინო ორბელიანის ფოტოსურათი იხ. „სახალხო გაზეთი" (სურათებიანი დამატება), 1914, №192.

ნინო ორბელიანი, ჩანს, იცნობდა დიმიტრი ყიფიანს. უკვე ხანდაზმული და დაავადებული მოღვაწე წუხდა: „აი, ეხლა სწერენ დიმიტრი ყიფიანზე და რამდენს ვიტყოდი მე მასზე, მაგრამ არავინ არ შემოდის, არავინ არ არის დაინტერესებული ჩემი მოგონებებით და ვერ წარმოიდგენთ, როგორ მინდა გავუზიარო ვინმეს ყოველივე, სანამ ცოცხალი ვარ" (ქ. ირემაძე, დასახ. წიგნი, გვ. 79).

470. **ტაუხნიცი, რაუტლეჯი** - ტექსტის მიხედვით, უ. შექსპირის თხზულებათა გამომცემლები ინგლისურ ენაზე.

471. **სადლერი** - ტექსტის მიხედვით, ლექსიკოგრაფი, ინგლისურ-ფრანგული და ფრანგულ-ინგლისური ლექსიკონების შემდგენელი.

472. დ. ყიფიანის ეს ბარათი (დათარიღებული 1879 წლის 31 ოქტომბრით, ალაგ-ალაგ დაზიანებული) გამოქვეყნებული აქვს შ. გოზალიშვილს (იხ. დიმიტრი ყიფიანის არქივი, შეადგინა და დასაბეჭდად მოამზადა შ. გოზალიშვილმა, შ. ჩხეტიას რედაქციით, თბ., 1951, გვ. VIII-XIV). კიდევ ერთი ვარიანტი ბარათისა (შავი. 1879 6. 30 ოქტომბრით დათარიღებული) დაცულია სთკმსმ-ში (ფონდი 1, საქ. №47, ხ-3727, ფ.1).

473. **შესაძლებელია, ეს ის გ. ი. ყარაშვილი იყოს,** რომელსაც 1894 წელს „ქართული დრამატიული საზოგადოების" გამგეობის გადაწყვეტილებით „მომავალ სათეატრო სეზონში" კონცერტის გამართვა აქვს დავალებული (ახალი ამბავი, „ივ.", 1894, №236).

474. **მიხეილ პეტრეს ძე ბებუთაშვილი (ბებუთოვი)** - თეატრალური მოღვაწე, „ქართული დრამატიული საზოგადოების" პირველი გამგეობის წევრი (უნდა აღინიშნოს, რომ 1880 წელს დიმიტრი ყიფიანს „ქართულ სათეატრო ამხანაგობასთან" განხეთქილება

იმიტომ მოუვიდა, რომ იქ მიხ. ბებუთაშვილი ნევრად არ მიიღეს - იხ. წერილი რედაქციისადმი, „დრ.", 1880, №44); ქართული პროფესიული თეატრის რეჟისორი 1881 წლიდან (იხ. ე. დავითაია, კოტე ყიფიანი, თბ., 1975, გვ. 205). 1881 წელს მიხ. ბებუთაშვილი „ემბეს" ფსევდონიმით თეატრალურ რეცენზიებს აქვეყნებდა „დროებაში" (№№214, 220, 229, 236 და სხვ.).

მიხეილი შვილი იყო **პეტრე აბესალომის ძე ბებუთოვისა** (1816-1899), რომელიც გაუჯის მაზრის შამშადილის უბნის მსაჯული („ზასედატელი") იყო, როცა ნიკოლოზ ბარათაშვილი განჯაში ჩავიდა (იხ. მიხ. ხელთუბნელი, უკანასკნელი წელი ნიკ. ბარათაშვილის ცხოვრებისა. „ლიტერატურის მატიანე", ნგნ. 1-2, 1940, გვ. 358).

475. სინამდვილეში სპექტაკლი, რომელზეც კ. ყიფიანის თხზულებაშია საუბარი, დაიდგა არა 1880 ან 1881 წლებში, არამედ 1883 წლის 16 თებერვალს და მას, სხვათა შორის, პრესაში მეტისმეტად უარყოფითი შეფასება მოჰყვა (იხ. დღიური, „დრ.", 1883, №37; ე. დავითაია, კოტე ყიფიანი, თბ., 1975, გვ. 162-163).

476. **ვასილ გიორგის ძე მაჩაბელი** (გარდ. 1918) - იურისტი (ნაფიცი ვექილი), საზოგადო მოღვაწე, ივანე მაჩაბლის უფროსი ძმა; დიდხანს ცხოვრობდა პეტერბურგში, სადაც დაამთავრა იქაური უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და იქვე, პეტერბურგშივე, 1873-1894 წწ. იყო ნიკო მინგრელსკის იურისკონსულტი. ახლო მეგობრობა აკავშირებდა ილია ჭავჭავაძესთან, თუმცა ამ უკანასკნელსა და ივანე მაჩაბელს შორის ატეხილმა ცნობილმა კონფლიქტმა ვასილ მაჩაბლისა და ილიას მეგობრული ურთიერთობაც გააფუჭა.

ვასილ მაჩაბელი გარდაიცვალა თბილისში, 1918 წლის 22 თებერვალს; დაკრძალულია ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში (იხ. სამგლოვიარო განცხადება, „საქართველო", 1918, №42).

ვასილის შვილი - **გიორგი მაჩაბელი** (1885-1935) - იყო ქართული პოლიტიკური ემიგრაციის თვალსაჩინო წევრი და სახელგანთქმული საპარფიუმერიო ფირმის დამაარსებელი (გარდაიცვალა ნიუ-იორკში და იქვეა დაკრძალული. გ. მაჩაბელზე იხ.: გ. შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, ნგნ. III, თბ., 1993, გვ. 119-131; რ. გაბაშვილი, რაც მახსოვს, წიგნში: დაბრუნება. ქართული ემიგრანტული ლიტერატურა, გ. შარაძის საერთო რედაქციით, ტ. 3, თბ., 1992, გვ. 148-149, 157-164, 171-175, 192; ქართველები გერმანული დროშის ქვეშ მეორე მსოფლიო ომში, მასალები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ვ. რცხილაძემ, თბ., 1994, გვ. 53-56; ო. ჯანელიძე, საქართველოს შესაძლოა გერმანელი მეფე ჰყოლოდა, გაზ. „კავკასიონი", 1995, №95; ვინ იყო პრინცი მაჩაბელი?, პუბლიკაცია მოამზადა ლ. ცომაიამ, „ლიტერატურის მატია-

ნე", 1998, გვ. 191-194; რ. დაუშვილი, სუნამოების პრინცი - „პრინცი მაჩაბელი", „ომეგა", 2000, №6, გვ. 28-33).

ვასილ მაჩაბელზე იხ.: ზ. ჭ[იჭინაძე], ვასილ გიორგის ძე მაჩაბელი, „საქართველო", 1918, №44; ე. თაყაიშვილი, მოგონებანი ქართველ მწერლებზე, წიგნში: ლაბრუნება. ქართული ემიგრანტული ლიტერატურა, ტ. 1. თბ., 1991, გვ. 391-393; ვასილ და გიორგი მაჩაბლები, პუბლიკაცია მოამზადა ს. ნუცუბიძემ, გაზ. „დროინი", 1992, №34.

ვ. მაჩაბლის სიტყვა - წარმოთქმული გაბრიელ იმერეთის ეპისკოპოსის დაკრძალვაზე იხ. „ კვ.", 1896, №12, გვ. 195; ილია ჭავჭავაძის წერილები ვასილ მაჩაბლისადმი იხ. ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული ათ ტომად, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, ტ. X, თბ., 1961, გვ. 49-60.

477. **გიორგი სვიმონის ძე მაჩაბელი** (1813-1875) - შვილი 1832 წლის შეთქმულების მონაწილის - სვიმონ მაჩაბლისა (სვ. მაჩაბელზე იხ. მაქს. ბერძნიშვილი, მასალები..., II, გვ. 97-99). გიორგი მაჩაბელი იბრძოდა რუსეთ-ოსმალეთის 1853-1856 წწ. ომში, სადაც თავი გამოიჩინა და გიორგის ჯვარი ებოძა. იყო ბოჰემური ცხოვრების მოყვარული, რამაც მისი ერთ დროს მდიდარი და გავლენიანი ოჯახი უკიდურეს სიღარიბეში ჩაგდო. გარდაიცვალა გორის ტრაქტირში (იხ. ვ. ჭელიძე, ცხოვრება ივანე მაჩაბლისა, თბ., 1957, გვ. 13-17, 78-80).

478. **სალდაოის** (იგივე **რუსის**) **ბაზარი** ორბელიანის (ყოფილი - კოლმეურნეობის) მოედანზე მდებარე ბაზრის ადგილას იყო (იხ. თ. კვირკველია, ძველთბილისური დასახელებანი, თბ., 1985, გვ. 76).

479. **„მოხუცი დედაკაცი"** - ტექსტის მიხედვით, დიმიტრი ყიფიანის მეუღლის ნინო ჭილაშვილის ნათესავი.

480. **კავკასიის მეფისნაცვლის მიხ. ვორონცოვის ძეგლი** (პირველი ქანდაკება თბილისში), რომელიც მოსახლეობისგან ნებაყოფლობით შენაწირი თანხით აიგო, მდებარეობდა მიხეილის (შემდგომში - კ. მარქსის სახელობის) ხიდის ბოლოს, მოედანზე. ამ ადგილს შემდგომში „ვორონცოვის მოედანი", ხოლო საქართველოს ბოლშევიზაციის შემდეგ „მარქსის მოედანი" ეწოდა (ამჟამად - ზაარბრიუკენის მოედანი). ძეგლი, რომლის ავტორიც იყო პეტერბურგელი მოქანდაკე ნ. პიმენოვი, გაიხსნა 1867 წლის 25 მარტს (ძეგლის ფოტო ანოტაციითა და ბიბლიოგრაფიითურთ იხ. თ. გერსამია, ძველი თბილისი, თბ., 1984, №101; ძეგლის, მისი კურთხევისა და ამ მოვლენასთან დაკავშირებული სხვა გარემოებების შესახებ იხ. „დრ.", 1867, №№11-14, 17; დიმიტრი ყიფიანის სიტყვა ძეგლის გახსნაზე იხ. „დრ.", 1867, №14).

481. სასტუმრო **„ვერსალი"** მდებარეობდა ვორონცოვის (შემდგომში - მარქსის, ამჟამად - ზაარბრიუკენის) მოედანზე (იხ. თ. ბერიძე, ძველი თბილისის სურათები, თბ., 1980, გვ. 66).

482. **თამამშევის (თამამშოვის) ქარვასლა** მდებარეობდა ერევნის (ამჟამად - თავისუფლების) მოედანზე. აქ მოწყობილი იყო თეატრალური დარბაზი და სცენა, მაგრამ ქარვასლა თეატრიანად დაინვა 1874 წელს (ამ ფაქტზე იხ. ს. მეესხი, თამამშოვის ქარვასლის დაწვა, „დრ.", 1874, №445).

თამამშევის ქარვასლაზე იხ. თ. ბერიძე, ძველი თბილისის სურათები, თბ., 1980, გვ. 24-25.

483. მოლიერის ეს პიესა თბილისის სცენისმოყვარეებს თამამშევის ქარვასლაში წარმოუდგენიათ 1865 წლის აგვისტოში. ამ დადგმასა და იქ მომხდარ ერთ კურიოზულ შემთხვევაზე იხ. კ. ყიფიანი, მოგონებები, წერილები, თბ., 1964, გვ. 13-14.

484. **ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანი** (გარდ. 1869) - გენერალ-მაიორი, ე.წ. კავკასიის ომების მონაწილე, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი („მარშალი") 1858-1864 წწ. (ამ პოსტზე დიმიტრი ყიფიანმა შეცვალა); ცხოვრების უკანასკნელი წლები გაატარა პეტერბურგში, სადაც იმპერატორ ალექსანდრე II-ის ამალაში ირიცხებოდა ფლიგელ-ადიუტანტის ჩინით. გარდაიცვალა იალტაში (ნეკროლოგი იხ. „მნათობი", 1869, ნოემბერ-დეკემბერი, გვ. 11-12).

1860 წლის 29 მაისს დ. ყიფიანი ცარსკოე-სელოდან სწერს თავის მეუღლეს: ალექსანდრე ორბელიანი, - ჩვენი წინამძღოლი, - ამჟამად აქაა და ხშირად ვხვდებით ერთმანეთსო" (ლმ, №14784-ბ, ფ. 1), ხოლო იმავე წლის 2 ივლისს ალ. ორბელიანს დაუტოვებია პეტერბურგი (ი. ენიკოლოფოვი, დიმიტრი ყიფიანის პირადი არქივიდან, „ლიტერატურული საქართველო", 1965, №38).

485. მოგონების ავტორს აქ შეცდომა მოსვლია: ჯერ ერთი, ამ დროს კავკასიის მეფისნაცვალი (და არა მთავარმართებელი) უკვე მიხეილ ნიკოლოზის ძეა და არა ალ. ბარიატინსკი. ამას გარდა, თავის დროზე დ. ყიფიანმა თვითნებურად კი არ იკისრა სამეგრელოს სამთავრო ოჯახის „აპეკუნობა", არამედ ალ. ბარიატინსკის დაბეჯითებული თხოვნის შემდეგ მოკიდა ხელი ამ, - როგორც შემდგომში გამოირკვა, მეტისმეტად მძიმე და უმადურ, - საქმეს (იხ. დ. ყიფიანი, სამეგრელოს სამთავრო სახლი და დიმიტრი ყიფიანი, ტფ., 1869, გვ. 6; მისივე, მემუარები, 1990, გვ. 70-72).

486. ეს უნდა იყოს **იოსებ ივანეს ძე ყორღანოვი** (1813-1872), გენერალ-მაიორი, თვალსაჩინო ფიგურა ე. წ. კავკასიის ომებში (ი. ყორღანოვზე იხ. გრ. ორბელიანი, წერილები, ა. გაწერელიას რედაქციითა და შენიშვნებით, ტ. I, ტფ., 1936, გვ. 298; ტ. II, თბ., 1937, გვ. 292, 376).

487. ეს უნდა იყოს გენერალი **იერემია არნრუნი** (ი. არნრუნზე იხ. კომენტარი №244).

488. ამ არჩევნებზე დ. ყიფიანს „აბოუვიდა" 172 თეთრი და 7 შავი კენჭი (იხ. ნინამდებარე ნიგნზე დარიოული ალ. ნიკოლაის მობსენებითი ბარათი, გვ. 215).

489. კენჭისყრის შემდეგ ნარმოთქმულ სიტყვას დ. ყიფიანი სრულად იმოწმებს თავის „მემუარებში" (1990, გვ. 117-118). დედნის (რუსულ) ენაზე იგი გამოქვეყნებული აქვს შ. ჩხეტიას (იხ. მისი, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, თბ., 1950, გვ. 310).

490. ბანკის დასაარსებლად მთავრობისგან ბოძებული ფულიდან ერთი მეხუთედის გადადების თაობაზე დ. ყიფიანმა მაზრის წინამძღოლებს („მარშლებს") ჯერ წერილობით აუწყა ცალ-ცალკე (ტექსტი ამ „მოწოდებისა" იხ. შ. ჩხეტია, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, თბ., 1950, გვ. 322-324), ხოლო შემდეგ ამავე საკითხზე საჯარო სიტყვით მიმართა თავადაზნაურობის წარმომადგენლებს (იხ. ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის მარშლის აზრი, შესახებ თავად-აზნაურობის ბანკისა, „ცისკარი", 1864, №11, გვ. 10-18; ჩვენ მიერ გადმობეჭდილია წიგნში: დ. ყიფიანი, რა ხალხია ქართველები?, თბ., 1995, გვ. 64-69).

491. **გიორგი (მამამზე) ივანეს ძე ერისთავი** - 1832 წლის შეთქმულების მონაწილისა და მეტად საინტერესო მწიგნობრის ივანე ერისთავის (1781-1841) შვილი (ივ. ერისთავზე იხ. მაქს. ბერძენიშვილი, მასალები ..., I, გვ. 237-238).

492. დიმიტრი ყიფიანი ეკატერინე ალ. ჭავჭავაძის ას. დადიანის მამულებისა და მისი მცირეწლოვანი ძის - სამეგრელოს სამთავრო ტახტის მემკვიდრის ნიკო დადიანის - მეურვე („აპეკუნი") იყო 1859-1867 წწ. (ამ საკითხზე იხ. კომენტარი №331; აგრეთვე, სმ-დყ, I, გვ. 205).

493. სინამდვილეში ნიკ. მინგრელსკის სასარგებლოდ დ. ყიფიანს 50 000 მანეთი დაეკისრა ვალად (იხ. კომენტარი №166).

494. ნიკ. მინგრელსკის მამულებთან დაკავშირებულ საქმეებზე დ. ყიფიანი 1880-1882 წწ. ორჯერ იყო პეტერბურგში (ამ საკითხზე იხ.: დ. ყიფიანი, მემუარები, 1990, გვ. 80-96; დიმიტრი ყიფიანის დღიური, „ლიტერატურა და ხელოვნება", 1991, №1, გვ. 212-228; აგრეთვე, სმ-დყ, I, გვ. 231).

495. **ლევან დავითის ძე ყიფიანი** (1863-1936) - მწერალი, პუბლიცისტი, დიმიტრი ყიფიანის ძმის (ქაიხოსროს) შვილიშვილი; დაამთავრა თბილისის კლასიკური გიმნაზია. შემდეგ სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, მაგრამ სრული კურსის დასრულება ვერ შეძლო - ოჯახურ გარემოებათა

გამო (მამის გარდაცვალება, უსახსრობა) იძულებული შეიქნა ნაადრევად დაბრუნებულიყო სამშობლოში.

ლევან ყიფიანი, საერთოდ, რუსულად წერდა და ძირითადად რუსულ პრესაში („კავკაზ", „ნოვოე ობოზრენიე", „კავკაზსკი ვესტნიკ", „ტიფლისსკი ლისტოკ", „ზაკავკაზსკაია რეჩ", „ბაკინსკიე იზვესტია" და სხვ., აგრეთვე, ქართული „ცნობის ფურცელი") თანამშრომლობდა, სადაც ბეჭდავდა ლექსებს, მოთხრობებს, თარგმანებს, პუბლიცისტურ თხზულებებს, ლიტერატურულ და თეატრალურ რეცენზიებს... რუსულ ენაზევე აქვს გამოქვეყნებული პოეტური (Думы и песни. С.-Пб., 1905) და პროზაული (Сказки жизни, Тфл., 1905) კრებულები.

1903 წელს ლ. ყიფიანმა ნეგატიურად შეაფასა ილია ჭავჭავაძის პოლემიკა შოვინისტურად განწყობილ სომეხ ისტორიკოსთა წინააღმდეგ და ყოველივე ამას ილიას მხრიდან „ნაციონალური შეუწყნარებლობის" გამოვლინება უწოდა (იხ. Л. Кипиани, Мысли и заметки, "Новое обозрение", 1903. N6339), რასაც ქართულ პრესაში მწვავე გამოხმაურება მოჰყვა (იხ. „ია ერაძისა" [სოფ. მგალობლიშვილი] და „პროვინციელის" [ნიკ. ლომოური] წერილები - „ივ.", 1903, №67).

გერონტი ქიქოძე ახსენებს ლევან ყიფიანს და უწოდებს მას ქვიშხეთის „თავისებურ კულტურტრეგერს" (გ. ქიქოძე, თანამედროვის ჩანაწერები, „მნათობი", 1989, №1, გვ. 25). ჩვენ ერთგან გ. ქიქოძის მიერ ნახსენები „ლევან ყიფიანი" შეცდომით სხვა პიროვნებად - ლევან ივანეს ძე ყიფიანად (ესეც დიმიტრის ნათესავი იყო) — გვყავს მიჩნეული (იხ. სმ-დყ, I, გვ.234), მაგრამ, როგორც გამოირკვა, გ. ქიქოძეს ლევან **დავითის** ძე ყიფიანი ჰყოლია მხედველობაში.

ლევან დავითის ძე ყიფიანი გარდაიცვალა 1936 წლის 8 ნოემბერს. დაკრძალულია თბილისში, კუკიის სასაფლაოზე [ბიოგრაფიული ცნობები ლ.დ. ყიფიანზე იხ. ვ. ნოწელია, ქართველი კავკასიოლოგები (ბორის და სიმონ ესაძეები), თბ., 1992, გვ. 8].

ლ. ყიფიანს უკიდურესად ნეგატიურად ახასიათებს შალვა ამირეჯიბი და უწოდებს მას „უხამს ქართველს" (შ. ამირეჯიბი, [თხზულებები], წგნ, I, თბ., 1997, გვ. 308-309). აგდებით უნერია ლ. ყიფიანზე გიორგი კობახიძესაც (იხ. მისი, მიხეილ ნერეთლის ნაამბობი, ჟ. „ლაშარი", 1991, №1, გვ. 120).

496. **„განსვენებული მამაჩემის..." - იგულისხმება დავით ქაიხოსროს ძე ყიფიანი** (დავ. ყიფიანზე იხ. აქვე, კომენტარი №195).

497. **გიორგი იორამის ძე თარხან-მოურავი (თარხნიშვილი)** (1841-1911) - გენერალ-მაიორი, ნევრი იმ „სამთა კომისიისა", რომელიც თავადაზნაურობის კრებამ 1883 წლის 31 მაისს აირჩია თბილისის საადგილმამულო ბანკის სარევიზიოდ (იხ. „დრ.", 1883,

№121); აქტიურად მონაწილეობდა ცნობილ „ბანკობიადაში". ამ საკითხზე ექვთიმე თაყაიშვილს უწერია: „მაჩაბლის „პარტიამ" მოინდომა ჩოლოყაშვილის (ალ. ჩოლოყაშვილი, რომელზეც იხ. სმ-დყ, I, გვ.255 - თ. ჯ.) მაგიერ გიორგი თარხნიშვილის გაყვანა და კიდევაც მოახერხა ეს: თარხნიშვილი გახდა ბანკის მესამე დირექტორი, მაგრამ რაკი ფეხი მოიკიდა ბანკში, მაჩაბელს გადაუდგა, ილიას მიემხრო და ყველა საქმეში უჭერდა მას მხარს" (ე. თაყაიშვილი, მოგონებანი ქართველ მწერლებზე, წიგნში: დაბრუნება. ქართული ემიგრანტული ლიტერატურა, გ. შარაძის საერთო რედაქციით, ტ. I, თბ., 1991, გვ. 399).

გ. თარხნიშვილის სამხედრო მოღვაწეობაზე იხ. შ. მეგრელიძე, ჩვენი სახელოვანი სამხედრო წინაპრები, თბ., 1979, გვ. 193-196.

498. **გიორგი მიხეილის ძე თუმანიშვილი (თუმანოვი)** (1854-1920) - ჟურნალისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე (გ. თუმანიშვილზე იხ. სმ-დყ, I, გვ.273-274).

499. ავტორის მიერ ნახსენები **„სამი პირის კომისია"** შეიქმნა 1883 წლის 31 მაისს (იხ. თბილისი, 24 ივნისს, „დრ.", 1883, №121; ამ საკითხზე იხ. აგრეთვე, ა. თელია, ქართული სათავადაზნაურო ბანკი და ილია ჭავჭავაძე, თბ., 1989, გვ. 109-114).

500. დიმიტრი ყიფიანის ეს ბარათი დავით ყიფიანისადმი თავდაპირველად გამოქვეყნდა „დროებაში" [1883, №121 (ჩვენ აქედან მოგვყავს); ამ საკითხზე დიმიტრის სპეციალური წერილიც აქვს გამოქვეყნებული - „ბანკის საქმეზედ", „დრ.", 1883, №124. გადმობეჭდილია წიგნებში: დ. ყიფიანი, რა ხალხია ქართველები?, თბ., 1995, გვ. 49-56; ქართული მწერლობა (ოცდაათ ტომად), ტ. XX, თბ., 2003, გვ. 101-104].

501. „სამთა კომისიამ" საფუძვლიანად შეამოწმა ბანკის მიერ ცხრა წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობა და 1884 წლის მაისში თავადაზნაურობის კრებას ამ საკითხზე მოხსენება წარუდგინა (იხ. ა. თელია, ქართული სათავადაზნაურო ბანკი და ილია ჭავჭავაძე, თბ., 1989, გვ. 114; კრების ვრცელი ანგარიში იხ. „დრ.", 1884, №№100, 102-104).

502. **სოფრომ ზაქარიას ძე მგალობლიშვილი** (1851-1925) - მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, ხალხოსნური იდეების აქტიური პროპაგანდისტი მწერლობაში და პრაქტიკული საქმიანობითაც, რის გამოც 1876 და 1878 წწ. მცირე ხნით დაპატიმრებული იყო, ავტორი დიდად საინტერესო მემუარებისა (მოგონებანი, ლ. ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციით და შენიშვნებით, ტფ., 1938).

ს. მგალობლიშვილი რედაქტორი იყო გაზეთების - „ჩვენი დროებისა" (1912-1913; 1915 წ. გამოვიდა ერთადერთი ნომერი) და „თემისა" (1912); პრესაში („დრ.", „ივ.", „იმედი", „მოამბე", „თეატრი

და ცხოვრება" და სხვ.) აქვეყნებდა პუბლიცისტურ თხზულებებს, მოთხრობებს, დრამატულ სცენებს, მემუარებს და სხვ. (ფსევდ.: „ზაქარიძე", „ია ერაძე", „ერაძე", „ნაკოლა", „ნაკოლა ერაძე", „კიკია", „გუმცაძე"...).

დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

სოფრომ მგალობლიშვილ'ზე იხ.: გ. თავზიშვილი, სოფრომ მგალობლიშვილი, თბ., 1965; კ. აბაშიძე, ცხოვრება და ხელოვნება, თბ., 1971, გვ. 299-302; გ. ქიქოძე, რჩ. თხზულებანი, ტ. III, თბ., 322-328; კრბ. „სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები", წგნ. I, 1953, გვ. 199-204; დ. ჩიკვილაძე, წერილები, თბ., 1989, გვ. 227-234 და სხვ.

503. **მოლიერი** (1622-1673) - ფრანგი დრამატურგი (მოლიერის პიესათა დ. ყიფიანისეული თარგმანებზე იხ. აქვე, კომენტარი №127).

504. კოტე ყიფიანს ხალხოსნურ მოძრაობაში მონაწილეობისთვის თავდაპირველად საცხოვრებელი ადგილიდან (იმ დროს ქვეშხეთში ცხოვრობდა) გაუსვლელობის ხელწერილი ჰქონდა ჩამორთმეული (იხ. გ. თავამაიშვილი, ხალხოსნური მოძრაობის ისტორიისათვის საქართველოში, „საისტორიო მოამბე", №29-30, 1974, გვ. 73), შემდეგ კი ერთთვიანი პატიმრობა ჰქონდა მისჯილი (იხ. ზ. შველიძე, რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, თბ., 1960, გვ. 167). იმავე მოძრაობის წევრობისთვის სხვადასხვა სასჯელი ჰქონდათ დადებული კოტეს დასა და სიძეს - ელენე და ანტონ ლორთქიფანიძეებს (ზ. შველიძე, დასახ. წიგნი, გვ. 167), ხოლო ნიკოლოზ ყიფიანი პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა (იქვე).

ყოველივე ამის გამო ელენე და ანტონ ლორთქიფანიძეები, აგრეთვე, ნიკ. ყიფიანი გარიცხეს ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის საბჭოდან (ამ საკითხზე მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს უფროსის პ. პეშჩეროვისა და დიმიტრი ყიფიანის მიმოწერა იხ. შ. ჩხეტია, მასალები დიმიტრი ყიფიანის მკვლელობაზე, „საისტორიო მოამბე", №3, 1947, გვ. 361-362).

505. **იაგორ იოსელიანი** - ქართველ ხალხოსანთა გამცემი (მის მიერ შედგენილი დასმენის ქაღალდები იხ. გ. თავამაიშვილი, ხალხოსნური მოძრაობის ისტორიისათვის საქართველოში, „საისტორიო მოამბე", №29-30, 1974, გვ. 21-26, 29-37, 60-61).

1890-იან წლებში ი. იოსელიანს ფოთში შემთხვევით შეხვედრია სოფრომ მგალობლიშვილი, რომელიც ამის თაობაზე თავის მოგონებებში წერს: „მე ღვინით სავსე ჭიქა სახეში შევასხი, წავწვდი თმაში და სუფრაზე ვუცეცქვე თავი... იგი გაიპარა ფოთიდან და რამდენიმე თვის შემდეგ ბათუმში ჩაკვდა" (ს. მგალობლიშვილი, მოგო-

ნებანი, ლ. ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციით და შენიშვნებით, ტფ., 1938, გვ. 82).

506. **ნიკოლოზ ვლადიმერის ძე მეზენცოვი** (1827-1878) - გენერალ-ადიუტანტი, რუსეთის ჟანდარმერიის შეფი; ანარქისტებმა მოკლეს პეტერბურგში 1878 წლის 4 აგვისტოს (ნიკ. მეზენცოვის მკელელობის გარშემო იხ. „დრ.", 1878, №№164, 166).

507. **ვრიგოლ (გიგო) ავალიშვილი**, როგორც ხალხოსნური იდეების აქტიური პროპაგანდისტი, ნახსენები პყავს მოძრაობის გამცემს იაგორ იოსელიანს თავის ერთ-ერთ დასმენაში (იხ. გ. თავამაიშვილი, ხალხოსნური მოძრაობის ისტორიისათვის საქართველოში, „საისტორიო მოამბე", №29-30, 1974, გვ. 29). იგი გვხვდება აგრეთვე იმ 73 ხალხოსნის სიაში, რომლებზეც ჟანდარმერიას საიდუმლო ძიება ჰქონდა დაწყებული (იხ. ზ. შველიძე, რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, თბ., 1960, გვ. 162), საბოლოოდ კი გიგო ავალიშვილს ერთი თვით პატიმრობა მიესაჯა (იქვე, გვ. 167).

508. **დავით (დათიკო) სოლომონის ძე ფურცელაძე** (1854-დაახლ. 1920) - ხალხოსანი, თბილისის გიმნაზიადამთავრებული, მიღებული ჰქონდა იურიდიული განათლება (იხ. გრ. გიორგაძე, თვითმპყრობელობა და რევოლიუცია, ტფ., 1930, გვ. 44). იგი თავის დასმენის ქაღალდებში ნახსენები ჰყავს იაგორ იოსელიანს (გ. თავამაიშვილი, ხალხოსნური მოძრაობის ისტორიისათვის საქართველოში, „საისტორიო მოამბე", №29-30, 1974, გვ. 29, 31; იქვე - გვ. 88-89 - იხ. მასალები დ. ფურცელაძის ხალხოსნურ მოღვაწეობაზე); დ. ფურცელაძეს მიუსაჯეს ექვსი თვით პატიმრობა სასჯელის მოხდის შემდეგ პოლიციის ზედამხედველობის დაწესებით (იხ. ზ. შველიძე, რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, თბ., 1960, გვ. 166).

1870-იანი წწ. დასასრულიდან დ. ფურცელაძე ცხოვრობდა გორის მაზრაში, მშობლიურ სოფ. მერეთში, სადაც შინამეურნეობას ეწეოდა (იხ. გ. თავამაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 71; გრ. გიორგაძე, დასახ. წიგნი, გვ. 44).

509. **ბრეთი** - სოფელი გორის მაზრაში (ამჟამად შედის ქარელის რაიონში). მნიშვნელოვანი სამონასტრო და კულტურულ-საგანმანათლებლო კერა შუა საუკუნეების საქართველოში. მდიდარია არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლებით (იხ. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღნერილობა, 5, თბ., 1990, გვ. 360-361). აქ დაიბადა მწერალი შიო მღვიმელი (1866-1933).

510. **ზაზა ყიფიანზე** ერთ გამოუქვეყნებელ მოგონებაში ელისაბედ ელიზბარის ას. ერისთავს (გარდ. 1949) უწერია: „ეხლაც თვალნინ მიდგას იმისი მშვენიერი სახე... მხარბეჭიანი, ჩასხმული,

თეთრ-წითელი ქართულათ ჩაცმული, შეიარაღებული, მუდამ ჩაფიქრებული... ზაზა ყიფიანს ჰყვანდა ორი ქალი და ორ კაჟს ვიცნობდი. დანარჩენი არ ვიცი, ჰყვანდა კიდევ თუ არა. უფროსი ქალი ჰყვანდა ლევან აბაშიძეს, მშვენიერ მოლეკურეს" (ლმ, №13483-ხ, ფ. 3).

511. **თედო ტიმოთეს ძე სახოკია** (1868-1956) - მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, პედაგოგი, ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, სხვადასხვა დროს სწავლობდა ჟენევისა და პარიზის (სორბონის) უნივერსიტეტებში, პარიზის უმაღლეს ანთროპოლოგიურ სასწავლებელში (იყო პარიზის ანთროპოლოგიური საზოგადოების წევრი); 1903-1905 წწ. რედაქტორობდა (ა. ჯორჯაძესა და გ. ლასხიშილთან ერთად) პარიზში გამომავალ სოციალისტ-ფედერალისტთა გაზეთს - „საქართველოს", აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ („ივერია", „მოამბე", „ცნობის ფურცელი", „სახალხო გაზეთი" და სხვ.) და კავკასიის რუსულ („კავკაზ", „ნოვოე ობოზრენიე" და სხვ.) პრესაში; 1905 წელს საქართველოში იარაღის არალეგალურად შემოტანის ორგანიზებაში მონაწილეობისათვის დააპატიმრეს და ციმბირში სამუდამო გადასახლება მიუსაჯეს, მაგრამ გადასახლებიდან გაიქცა, ჯერ საქართველოში ჩამოვიდა, შემდეგ ლაზეთის გზით ევროპაში მოახერხა გაღწევა, ერთხანს ემიგრაციაში იცხოვრა, 1916 წელს საბოლოოდ დაბრუნდა სამშობლოში (თბილისში), რამდენიმე წელიწადს პედაგოგად იმსახურა, 1924 წელს კი სამსახურს თავი დაანება და სიცოცხლის ბოლომდე ნაყოფიერ და მრავალმხრივ ლიტერატურულ შრომას ეწეოდა (თ. სახოკიას ვრცელი ავტობიოგრაფია იხ. კრბ. „თედო სახოკია", თბ., 1969, გვ. 201-245).

თ. სახოკიამ ქართულ ენას, ლიტერატურას, ზოგადად ეროვნულ კულტურას დიდი ამაგი დასდო თავისი ეთნოგრაფიული და სამოგზაურო ხასიათის თხზულებებით, ქართულ ხატოვან სიტყვა-თქმათა შეკრებითა და გამოცემით, შესანიშნავი თარგმანებით (ბოკაჩო, ჟოლტერი, ზოლა, მოპასანი და სხვ.), დიდად საინტერესო მემუარებით და ა. შ.

თ. სახოკიაზე, აგრეთვე, მისი ნაწერებისა და მასზე ბიბლიოგრაფია იხ. კრბ. „თედო სახოკია", თბ., 1969; ამას გარდა: ლ. ავალიანი, „მსახური ქართულის მწერლობისა", „ლიტერატურული საქართველო", 1985, №15; შ. აფრიდონიძე, მოგონება მოუგონებელი, „მნიგნობარი-98", 1998, გვ. 33-49; ვ. ითონიშვილი, ქართული ეთნოგრაფიის მოამაგე, „ლიტერატურული საქართველო", 1981, №35; ე. კოშორიძე, მეგობრობაც, თანამშრომლობაც... (ვასილ ბარნოვისა და თედო სახოკიას ურთიერთობიდან), „ლიტერატურული საქართველო", 1998, №23; შ. ლომსაძე, მიხეილ თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი, თბ., 1984, გვ. 217-221; ჯ. რუხაძე, დიდი

ბოიამაგე, „ლიტერატურული საქართველო", 1993, №13; კრბ. „სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები", III, თბ., 1968, გვ. 176-181; თ. სახოკია, თედო სახოკიას მიმოწერა საზოგადო მოღვაწეებთან (1890-1905), „საისტორიო მოამბე", №31-32, 1975; №33-34, 1976; მისივე, თედო სახოკიას მიმოწერა (1906-1941 წწ.), იქვე, №49-50, 1984; თედო სახოკიას წერილები, რ. დაუშვილის პუბლიკაცია, „ძნათობი", 1989, №1, გვ. 155-163; გ. ქიქოძე, რჩ. თხზულებანი სამ ტომად, ტ. I, თბ., 1963, გვ. 305-306; თ. შიოშვილი, თედო სახოკიას ფოლკლორისტული მოღვაწეობა, ბათუმი, 1987; ვ. ჭელიძე, XIX საუკუნის სილუეტები, „ძნათობი", 1987, №4; ო. ჭურღულია, ნარკვევები ქართულ-აფხაზური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, I, 1974, გვ. 99-111...

512. სინამდვილეში დიმიტრი ყიფიანი დაბადებულია 1811 წლის 14 აპრილს (იხ. კომენტარი №9).

513. **„სააბაშიო"** სინამდვილეში სოფელი კი არ იყო, არამედ იმერელი თავადების - აბაშიძეების — სამფლობელოს ნარმოადგენდა და სააბაშიო ტერიტორია ქართლის ნაწილზეც ვრცელდებოდა (იხ. კომენტარი №5).

514. დიმიტრი ყიფიანის **და-ძმებზე** იხ. კომენტარი №№8, 10, 13, 16, 23, 24.

515. დ. ყიფიანი **„პატარაობითვე"** დაობლებული იყო მამით, ხოლო დედა - ბარბარე ფურცელაძე - საბუთების მიხედვით, 1834 წლის თებერვალში ჯერ კიდევ ცოცხალია (იხ. კომენტარი №7).

516. დიმიტრი ყიფიანი ძმამ - ქაიხოსრომ - 1823 წელს ჯერ თბილისის სასულიერო სემინარიასთან არსებულ სამრევლო სასწავლებელში შეიყვანა (იხ. კომენტარი №31) და მხოლოდ მოგვიანებით მოხერხდა დიმიტრის გადაყვანა კეთილშობილთა სასწავლებელში, რომელიც მან 1830 წელს დაამთავრა (იხ. კომენტარი №34).

517. დ. ყიფიანი უკვე გიმნაზიად გადაკეთებულ კეთილშობილთა სასწავლებელში მასწავლებლად მიიღეს 1830 წლის 1 ნოემბერს (დაამტკიცეს 1831 წლის 3 თებერვალს - იხ. კომენტარი №37). ამასთანავე, არითმეტიკისა და გეოგრაფიის გარდა, იგი გიმნაზიაში ასწავლიდა აგრეთვე ქართულ და რუსულ ენებს, სუფთა წერას (იხ. კომენტარი №40).

518. იგულისხმება დიმიტრი ყიფიანის არსებითი ხასიათის მონაწილეობა გიორგი ერისთავის პროფესიული თეატრის დაარსებაში (ამ საკითხზე და, საერთოდ, დ. ყიფიანის თეატრალურ მოღვაწეობაზე იხ. ჯოლოგ., დიმ. ყიფ., გვ. 206-214).

519. 1849 წლის 18 აპრილს მიხ. ვორონცოვმა დიმიტრი ყიფიანი დანიშნა კავკასიის სასწავლო ოლქის სამზრუნველო საბჭოს ნევრად (ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №29, ფ. 94). მალე სასწავლო

ოლქთან არსდება „სახელმძღვანელოების შემდგენელი კომიტეტი" („Комитет для начертания учебных пособий") და დიმიტრი ამ „კომიტეტის" წევრიც ხდება (იქვე, საქ. №29, ფ.95; აგრეთვე, საქ. №№8,9), 1851 წლის დეკემბერში კი „კომიტეტში" რვა განყოფილება ყალიბდება და დიმ. ყიფიანი ქარიული ენის განყოფილების თავმჯდომარედ ინიშნება (იქვე, საქ. №236, ფ. 3). ამის მეშვიდე წლების განმავლობაში „არც ერთი საკითხი ქართული ენის პროგრამის შესახებ ოლქის გიმნაზიებში დიმიტრის დაუკითხავად არა სწყდება" (ა. ჯორჯაძე, დიმიტრი ყიფიანი, წიგნში: წერილები, თბ., 1989, გვ. 426). ხი-ში, დ. ყიფიანის არქივში, ამ საკითხზე მეტად საინტერესო მასალაა დაცული (მიმოწერა ოფიციალურ პირებთან, სახელმძღვანელოდ განკუთვნილი ხელნაწერი წიგნების რეცენზიები და სხვ.), პირველ რიგში კი უნდა აღინიშნოს დიმ. ყიფიანის მიერ შედგენილი და თბილისის გიმნაზიისთვის განკუთვნილი ქართული ენის პროგრამა, რომელიც მკაფიოდ მეტყველებს შემდგენლის სურვილზე, მოსწავლეები საფუძვლიანად დაუფლებოდნენ ქართული ენის კანონებს, ბუნებასა და ისტორიას. პროგრამაში დიმ. ყიფიანს არატრადიციული საკითხებიც აქვს შეტანილი: ძირითადი გრამატიკული განსხვავებანი ძველ ქართულ მწიგნობრულ ენასა და თანამედროვე ხალხურს შორის, სავარჯიშოები ძველი ქართული ენიდან თანამედროვეზე გადმოსაღებად, ქართლური კილოს მოკლე მიმოხილვა და ძირითადი გრამატიკული სხვაობანი ქართული ენის სხვა კილოებთან და სხვ. (ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №252, ფ. 4).

თუ მიხ. ვორონცოვის მმართველობის პერიოდში სასწავლო დაწესებულებებში ქართული ენა არათუ იდევნებოდა, პირიქით, მისი დაუფლება სავალდებულო იყო ნებისმიერი ეროვნების მოსწავლისთვის, 1860-იანი წლებიდან მდგომარეობა იცვლება, თანდათანობით იწყება სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებებში ქართული ენის შევიწროება და დიმ. ყიფიანიც ამ საკითხის გარშემო მკვეთრად ამწვავებს ურთიერთობას კავკასიის ხელისუფლებასთან. უნდა ითქვას, რომ დიმიტრი ყიფიანის სამშობლოდან განდევნის ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი სნორედ მისი დაუფარავი და უკომპრომისო ბრძოლა იყო ხელისუფლების სასწავლო-საგანმანათლებლო კურსის წინააღმდეგ (ეგზარქოსისადმი გაგზავნილი ცნობილი წერილი მხოლოდ საბაბად იქნა გამოყენებული). სხვას რომ თავი დავანებოთ, ამას ადასტურებს ალ. დონდუკოვ-კორსაკოვის მიერ რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის დიმ. ტოლსტოისადმი გაგზავნილი კონფიდენციალური წერილი, რომელიც საფუძვლად დაედო იმპერატორ ალექსანდრე III-ის ბრძანებას დიმიტრი ყიფიანის სტავროპოლში გადასახლების შესახებ: „მან (დიმ. ყიფიანმა - თ. ჯ.) უკვე მეტისმეტად აშკარად და მკვეთრად გააძლიერა აგიტაცია ამჟამად აქ მოქმედი, - მისი უდიდებულესობის უზენაესი

ნებით ღამკვიდრებული, მხარის საგანმგებლო სისტემისა და, **განსაკუთრებით, სასწავლო უწყების ნინაშე დასახული ამოცანების ნინააღმდეგ** (ხაზი ჩვენია - თ. ჯ.)... ზემოთქმულის შემდეგ, მაქვს პატივი, უმორჩილესად ვთხოვო თქვენს ბრწყინვალებას, მოახსენოს ეს ყოველივე ხელმწიფე-იმპერატორს და გამოითხოვოს უზენაესი ნებართვა, რომ ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი ყიფიანი დათხოვნილ იქნეს ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის თანამდებობიდან და საცხოვრებლად მიეჩინოს ქალაქი სტავროპოლ-კავკაზსკი. მისთვის უცხო და უცნობ გარემოში ბ-ნი ყიფიანი მოკლებული იქნება საშუალებას, გააგრძელოს თავისი საძრახისი საქმიანობა" (სმ-დყ, I, გვ. 15).

დიმ. ყიფიანის სასკოლო-საგანმანათლებლო საქმიანობაზე იხ. ჯოლოგ., დიმ. ყიფ., გვ. 186-206.

520. სინამდვილეში დ. ყიფიანმა „თურქმენული ცხენი" „ცისკარში" გამოაქვეყნა (იხ. კომენტარი №129).

521. ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის მარშლობისას (1885-1886 წწ.) დ. ყიფიანი სამოცდაათს იყო გადაცილებული და, ამას გარდა, ქართული გრამატიკა მას უკვე შედგენილიც ჰქონდა და გამოცემულიც (სანქტ-პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში - იხ. ახალი ქართული გრამმატიკა. სხარტულად დაწერილი მამისაგან შვილებისათვის. დიმიტრი ყიფიანისა, ს.-პბ., 1882).

522. სინამდვილეში „ყოველ კომლ განთავისუფლებულ გლეხს" კი არ მიეცა „შეწევნის სახით... ორ თუმან-ნახევარი", არამედ ხელისუფლებამ მამრობითი სქესის თითოეულ გათავისუფლებულ გლეხზე **თავადაზნაურობას** უბოძა 25 მანეთი (იხ. შ. ჩხეტია, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, თბ., 1950, გვ. 471).

523. დ. ყიფიანი თბილისის ქალაქის თავის თანამდებობას ჩამოაშორეს 1879 წ. იანვარში (იხ. სმ-დყ, I, გვ. 206-207), ხოლო ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის „მარშლად" იგი დაახლოებით ექვსი წლის შემდეგ, - კერძოდ, 1885 წ. მაისში, - აირჩიეს (იხ. იქვე, გვ. 198).

524. ამ „დიდი მიწერ-მოწერის" ერთი ნაწილი გამოქვეყნებული აქვს შ. ჩხეტიას (იხ. მისი, მასალები დიმიტრი ყიფიანის მკვლელობაზე, „საისტორიო მოამბე", №3, 1947, გვ. 411-415, 420-422, 426-429...).

525. **იოსებ (სოსო) ლალიაშვილზე** (1866-დაახლ. 1913) იხ. აქვე, კომენტარი №281.

526. დიმიტრი ყიფიანი დაიბადა 1811 წელს (იხ. კომენტარი №9), სტავროპოლში კი გადაასახლეს 1886 წელს (იხ. სმ-დყ, I, გვ. 21). ასე რომ, გადასახლებისას იგი 75 წლისა იქნებოდა.

527. **ვალერიან ლევანის ძე გუნია** (1862-1938) - მწერალი, ჟურნალისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, დ. ყიფიანის დაკრძალვისას მომხდარი მოვლენების აქტიური მონაწილე და ერთ-ერთი ხელმძღვანელი (ვ. გუნიაზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 279-280).

528. **ალექსანდრე ეპისკოპოსი** (ერისკაცობაში - **ალექსანდრე დავითის ძე ოქროპირიძე**) (1824-1907) - სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, „ქმნ-კგ საზოგადოების" საპატიო წევრი (1896 წლიდან), ქველმოქმედი (ალექსანდრე ეპისკოპოსზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 293-294).

529. **„სასახლე"** იგულისხმება მეფისნაცვლის („ნამესტნიკის") სასახლე გოლოვინის (ამჟამად - რუსთაველის) პროსპექტზე, დღეს - მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლე („სასახლეზე" იხ. სმ-დყ, I, გვ. 298).

530. **ლევ ავენირის ძე როსინსკი** - თბილისის პოლიციმაისტერი, რომელსაც დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვისას გუბერნატორ კ. ზისერმანისგან დავალებული ჰქონდა საგანგებო ზომების გატარება „ნესრიგის" დასაცავად (იხ. სმ-დყ, I, გვ. 126, 132).

531. სინამდვილეში პოლიციამ სამგლოვიარო მსვლელობა უფრო ადრე - ალ. ჭავჭავაძის ქუჩის სიახლოვეს - შეაჩერა (იხ. აქვე, ვ. გუნიას მოგონება, გვ. 150).

532. **ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩა**, რომელიც დღესაც ამავე სახელწოდებისაა.

533. ავტორმა ამ ლექსს შემდგომში სათაური შეუცვალა „ქართველი უცხოეთში" (იხ. ა. წერეთელი, თხზ. სრ. კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. II, თბ., 1950, გვ. 177).

534. **პავლე ჩუდეცკის ცოლი იყო მარიამ მანჟელეი.** სხვათა შორის, მათთან ცხოვრობდა მარიამის დაც - ეკატერინე მანჟელეი, რომელიც თბილისის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელში მასწავლებლობდა (იხ. ა. ხუნდაძე, რექტორ ჩუდეცკის მკვლელი იოსებ ლაღიაშვილი, ტფ., 1933, გვ. 39).

535. სინამდვილეში დიმიტრი ყიფიანი სტავროპოლში სწორედ „ხელმწიფის" (იმპერატორ ალექსანდრე III-ის) ბრძანებით გადაასახლეს (იხ. სმ-დყ, I, გვ. 16).

536. ალ. დონდუკოვ-კორსაკოვი საქართველოდან გაიწვიეს 1890 წელს.

537. **შიო ზაქარიას ძე არაგვისპირელი** (ნამდვილი გვარი - **დედაბრიშვილი**) (1867-1926) - მწერალი; თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა 1883-1889 წწ. (იხ. ს. ჭილაია, მეოცე საუკუნის ქართული მწერლობა, თბ., 1956, გვ. 135-136).

538. იოსებ (სოსო) ლაღიაშვილი მონაწილეობდა თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლეთა არალეგალური ხელნაწერი ჟურნალის (სხვა ცნობით - გაზეთის) - **„ყვავილის"** შედგენაში (იხ.

გრ. გიორგაძე, თვითმპყრობელობა და რევოლიუცია, წგნ. I, თბ., 1930, გვ. 77). შიო არაგვისპირელის მიგონებაში, უნდა ვიფიქროთ, სწორედ ამ ხელნაწერ გამოცემაზეა საუბარი.

539. **რობერტ ოუენი** (1771-1858) - ინგლისელი მოაზროვნე. გაიარა რთული და წინააღმდეგობრივი გზა უტოპიური სოციალიზმიდან მისტიკურ და სპირიტუალისტურ შეხედულებებამდე.

540. **ვასილ ზაქარიას ძე ბარნოვი (ბარნაველი)** (1857-1934) - მწერალი, პედაგოგი. 1885-1886 წწ. თბილისის სასულიერო სემინარიაში მსახურობდა ინსპექტორის თანაშემწედ. ი. ლაღიაშვილის მიერ ჩუდეცკის მოკვლის შემდეგ ვ. ბარნოვი მისი ქართველობის გამო დაითხოვეს სამსახურიდან (იხ.: ვ. ცისკარიძე. უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხები, თბ., 1972, გვ. 116, 118; თ. სახოკია, ჩემი საუკუნის ადამიანები, თბ., 1969, გვ. 113).

541. წინამდებარე მიგონების შემოკლებულ ვარიანტში (იხ. ვ. გუნია, დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვა, „სახალხო გაზეთი", 1912, №737) ავტორი ამ ფაქტს სწორად, - 1887 წლის 25 ოქტომბრით, - ათარიღებს.

542. **კირილე პეტრეს ძე იანოვსკი** (1822-1902) - კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი 1878-1899 წწ.; თანამიმდევრული რუსიფიკატორი (კ. იანოვსკიზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 216-217).

543. იგულისხმება ე. წ. **„ბანკობიადა"** - ქართველ მოღვაწეთა ორი ბანაკის მიერ 1890-იან წწ. გაჩაღებული ბრძოლა თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის გარშემო (ამ საკითხზე იხ.: ა. თელია, ქართული სათავადაზნაურო ბანკი და ილია ჭავჭავაძე, თბ., 1989, გვ. 135-211; ვ. ჭელიძე, ცხოვრება ივანე მაჩაბლისა, თბ., 1957, გვ. 294-305, 308-313, 327-362; მ. კვატაია, ტრაგიკული ორთაბრძოლა - ილია ჭავჭავაძე და ივანე მაჩაბელი, „ლიტერატურა და ხელოვნება", 1993, №1, გვ. 74-101 და სხვ.).

544. სინამდვილეში ი. ლაღიაშვილს ჩუდეცკის მკვლელობისთვის ოცწლიანი კატორღა მიუსაჯეს. როცა წინამდებარე მოგონების ავტორი ნერს - „სამშვიდობოს მიაშურაო" - ჩანს, იგი გულისხმობს იმ გარემოებას, რომ კატორღაში (სახალინზე) მყოფმა ი. ლაღიაშვილმა მოახერხა ჯერ იაპონიაში გაქცევა, იქიდან კი ამერიკაში წასვლა, სადაც 1910-იან წწ. გარდაიცვალა კიდევაც (იხ. სმ-დყ, I, გვ. 199-200).

545. **„ეს იყო პირველი პოლიტიკური ტერორი საქართველოში"** - პ. ჩუდეცკის მკვლელობას გარკვეული პოლიტიკური „წანამძღვრები" მართლაც ჰქონდა - ი. ლაღიაშვილი სემინარიიდან არალეგალური ხელნაწერი ჟურნალის გამოცემაში მონაწილეობისა და კრამოლური ლიტერატურის ნაკითხვა-შენახვისთვის „მგლის ბილეთით" გარიცხეს სემინარიიდან, მაგრამ უშუალოდ მკვლელობა, ჩვენი აზრით, ჩადენილი იყო სასოწარკვეთილი და შურისძიების

გრძნობით შეპყრობილი ადამიანის მიერ და მას არ ჰქონია პოლიტიკური ხასიათი და მიზანდასახულობა (ი. ლაღიაშვილმა რექტორი მას შემდეგ მოკლა, რაც პ. ჩუდეცკიმ არაერთი თხოვნა-მუდარის ძეძდეგ მკვლელს სემინარიაში აღდგენის ყოველგვარი იმედი მოუსპო და ეს ყველაფერი უხეში, ადამიანის ღირსების დამამცირებელი ფორმებით გააკეთა - იხ. თ. სახოკია, იოსებ ლაღიაშვილი, ნიგნში: ჩემი საუკუნის ადამიანები, თბ., 1969, გვ. 186-189). ამდენად, ჩვენ მარწმუნებულად გვეჩვენება ნიკ. ყიფიანის ფოსაზრება: „ამ საქმეს (პ. ჩუდეცკის მკვლელობას - თ.ჯ.) სრულებით ჩვეულებრივი მნიშვნელობა ჰქოდა, ფრანგულად რომ იტყვიან - ორდინარული საქმე იყო" (იხ. ნინამდებარე ტომში დაბეჭდილი ნიკ. ყიფიანის მოგონება, გვ. 40), აგრეთვე, ი. ლაღიაშვილის თანაკლასელის ალ. ლეონიძის სიტყვები: „ალბათ, ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს და ისიც გმირად გახადა შურისძიებამ" (აქვე, გვ. 155). შურისძიებით ხსნის მკვლელობის მოტივს ი. ლაღიაშვილის კიდევ ერთი თანაკლასელი - კალისტრატე ცინცაძე: „დიდი ხნის განმავლობაში ის (ი. ლაღიაშვილი - თ.ჯ.) მიმართავდა თხოვნით რექტორს, რომ გადაესნორებინათ ნიშანი ან გაეგზავნათ სადმე დიაკვნად, ან მედავითნედ, მაგრამ მისი დაჟინებული თხოვნა უშედეგო იყო, რისთვისაც გადაწყვიტა გაესნორებინა ანგარიში რექტორთან. ლაღიაშვილის აზრით, მისი ყველა მარცხის და წარუმატებლობის მიზეზი რექტორი იყო, ამიტომ 1886 წლის 24 მაისს მოკლა რექტორი საკუთარ ბინაში" (კ. ცინცაძე, ჩემი მოგონებიდან, „საღვთისმეტყველო კრებული", 1987, №3, გვ. 29). ჩვენ მართებული გვგონია აგრეთვე თვალსაზრისი ა. ხუნდაძისა, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა პ. ჩუდეცკის მკვლელობის ისტორია: „ლაღიაშვილმა ბევრი სცადა, საკვირველი მოთმინებაც გამოიჩინა, სხვადასხვა საშუალებებს მიმართა, რომ საქმე მკვლელობამდე არ მისულიყო... ლაღიაშვილს არ უნდოდა რექტორის მოკვლა, ერიდებოდა სისხლს, რომელსაც თვით რექტორი არ დაერიდა და მხოლოდ რექტორის საქციელმა და გაუტანლობამ ჩაადენია იოსებს ეს საქმე" (ა. ხუნდაძე, რექტორ ჩუდეცკის მკვლელი იოსებ ლაღიაშვილი, ტფ., 1933, გვ. 37, 41). დიდად საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ რექტორის მოსაკლავად მის ბინაზე მისული, ხანჯლით შეიარაღებული ი. ლაღიაშვილი კიდევ ერთხელ, - უკვე მერამდენედ, - ევედრება პ. ჩუდეცკის სასჯელის შემსუბუქებას და მხოლოდ მორიგი უარის შემდეგ კლავს მას (იხ. ა. ხუნდაძე, დასახ. ნიგნი, გვ. 38-43). რექტორს მისი თხოვნა რომ დაეკმაყოფილებინა, სავსებით აშკარაა, ი. ლაღიაშვილი მკვლელობის განზრახვაზე ხელს აიღებდა.

546. ამ საკითხზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 131, 249.

547. **პალადი** (ერისკაცობაში - **პავლე ივანეს ძე რაევი**) (1827-1898) - საქართველოს ეგზარქოსი 1887-1892 წწ.; დაიბადა ნიჟეგო-

როდში, მღვდლის ოჯახში. მაგისტრის ხარისხით დამთავრებული ჰქონდა (1852 წ.) ყაზანის სასულიერო აკადემია, 1864-1866 წწ. სანქტ-პეტერბურგის სასულიერო სემინარიის რექტორი; სხვადასხვა წლებში იყო ლადოგის (1866-1869), ვოლოგდის (1869-1873), ტამბოვის (1873-1876), რიაზანის (1876-1882) ეპისკოპოსი. 1882 წელს საქართველოს ეგზარქოსად უნდა დაენიშნათ, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებით ჩვენში ეგზარქოსად პავლე (ლებედევი) გამოგზავნეს, ხოლო პალადის ყაზანის არქიეპისკოპოსობა არგუნეს (იხ. ახალი ამბავი, „ივ.", 1887, №220), თუმცა საქართველოდან პავლეს გადაყვანის შემდეგ პალადის მაინც არ ასცდა საქართველოს ეგზარქოსობა. ამ თანამდებობაზე იგი დაინიშნა 1887 წლის ოქტომბერში, თბილისში ჩამოვიდა იმავე წლის ნოემბერში (იხ. ახალი ამბავი, „ივ.", 1887, №242) და აქ დარჩა 1892 წლის ნოემბრამდე (იხ. გამოთხოვება მიტროპოლიტის პალლადისა სამწყსოსთან, „მწყემსი", 1892, №21; ახალი ამბავი, „ივ.", 1892, №239). საქართველოდან პალადი გადაყვანილ იქნა სანქტ-პეტერბურგისა და ლადოგის მიტროპოლიტად და წმ. სინოდის წევრად.

კალისტრატე ცინცაძე ეგზარქოს პალადის ახასიათებს, როგორც „სამღვდელოებისადმი ცინიზმნარევს, ლაქუცას, საეროებისადმი კი... თავაზიანად პირფერულს" (კ. ცინცაძე, ჩემი მოგონებიდან, „საღვთისმეტყველო კრებული", 1987, №3, გვ. 44).

პალადიმ ცბიერი და მოხერხებული პოლიტიკის წყალობით ქართველი საზოგადოების უმეტესი ნაწილის გულწრფელი პატივისცემა მოიპოვა, თუმცა სინამდვილეში იგი ხელისუფლებას საქართველოს რუსიფიკაციის ერთ-ერთ ბურჯად ეგულებოდა და ასეთიც იყო რეალურად (ამ საკითხზე იხ.: კ. ცინცაძე, დასახ. თხზ., გვ. 43-47; მისივე, ქვაშვეთის წმიდის გიორგის ეკლესია ტფილისში, თბ., 1994, გვ. 204-207; ი. უთურაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, თბ., 1989, გვ. 263 და სხვ.).

პალადიზე იხ. აგრეთვე: ბროკჰაუზი-ეფრონი, წგნ. 44, 1897, გვ. 639; მიტროპოლიტი პალლადი, „ივ.", 1892, №231; ნარკვევი (ჟურნალ-გაზეთებიდგან), იქვე; ცნობა პალადის გარდაცვალების შესახებ და ნეკროლოგი იხ. „ცნ. ფ.", 1898, №698.

548. ალ. დონდუკოვ-კორსაკოვი 1890 წელს გაიწვიეს კავკასიიდან, ხოლო კ. იანოვსკი 1899 წლამდე მსახურობდა საქართველოში.

549. **ვასილ (ვასო) ალექსის ძე აბაშიძე** (1854-1926) - მსახიობი, რეჟისორი, დრამატურგი, საქართველოს პირველი სახალხო არტისტი (მიენიჭა 1922 წ.); გაზეთ „თეატრის" (1885-1891) დამაარსებელი და რედაქტორ-გამომცემელი 1885-1887 წწ. (რამდენიმე თვე ვ. აბაშიძეს რედაქტორ-გამომცემლის უფლებები ვ. გუნიასთვის ჰქონდა გადაცემული. ამ საკითხზე იხ. თ. ქვარიანი, გაზეთი „თეატრი", თბ., 1974, გვ. 86-98, 105-106).

დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში.

ლიტერატურა ვასო აბაშიძეზე იხ.: ქსე, ტ. 1, 1975, გვ. 19; ქართველ მოღვაწეთა ნეკროპოლი, შეადგინა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ს. ხუციშვილმა, წგნ. I, თბ., 1961, გვ. 11-12; შ. ამირეჯიბი, ვასილ აბაშიძე, [თხზულებები], წგნ. I, თბ., 1997, გვ. 326-337 და სხვ.; ვ. აბაშიძის იუბილეებზე აკაკი წერეთლის მიერ წარმოთქმული სიტყვები იხ. ა. წერეთელი, თხზ. სრ. კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. XII, თბ., 1960, გვ. 335-336; ტ. XIV, თბ., 1961, გვ. 97-98.

550. ჩანს, ავტორი გულისხმობს ქართული დრამატული დასის მიერ გ. ერისთავის „გაყრის" წარმოდგენას 1887 წლის დეკემბერში (იხ. ახალი ამბავი, „ივ.", 1887, №258).

551. **„არწრუნისეული შენობა"** - იგულისხმება სიმეხი მოღვაწის **გრ. არწრუნის** (იხ. კომენტარი №629) ქარვასლა, რომელიც დღევანდელი გრიბოედოვის სახელობის რუსული თეატრის ადგილას მდებარეობდა და რომელშიც ქირით კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებიც იყო მოთავსებული: ქართული და სომხური თეატრები, „ქშნ-კგ საზოგადოება" (1885 წლიდან - იხ. ს. ხუციშვილი, მანათობელი, თბ., 1980, გვ. 66) თავისი ბიბლიოთეკითა და წიგნების საწყობით და სხვ.

552. **ვლადიმერ (ლადო) დიმიტრის ძე აღნიაშვილი** (1860-1904) - მწერალი, პედაგოგი, ფოლკლორისტი, ეთნოგრაფი, ლექსიკოგრაფი, საზოგადო მოღვაწე. დამთავრებული ჰქონდა თელავის სასულიერო სასწავლებელი და გორის საოსტატო სემინარია. ერთხანს მასწავლებლობდა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიასა და ქართველ კათოლიკეთა სამრევლო სკოლაში. თანამშრომლობდა ქართულ პრესაში („ივ.", „მოამბე", „ჯეჯილი" და სხვ.). 1889 წელს განზრახული ჰქონდა საბავშვო ჟურნალის - „ცისიერის" - გამოცემა, შეადგინა კიდეც ძალზე საინტერესო პროგრამა, მაგრამ ხელისუფლებისგან უარი მიიღო (ამ საკითხზე იხ.: ი. ბოცვაძე, ქართული ჟურნალისტიკა, თბ., 1967, გვ. 133-135; ნ. ტაბიძე, ეტიუდები, თბ., 1986, გვ. 153-155).

ლადო აღნიაშვილმა ფასდაუდებელი, ჭეშმარიტად საშვილიშვილო ამაგი დასდო ქართული მუსიკალური ფოლკლორის აღორძინება-განვითარებას, მის პოპულარიზაციას (ამ საკითხზე იხ.: ი. ჭავჭავაძე, ქართული ხალხური მუსიკა, თხზ. სრ. კრებული ათ ტომად, ტ. III, თბ., 1953, გვ. 150-151; ივ. მჭ[ედლიშვილი], ლადო აღნიაშვილი, „ივ.", 1904, №90; ი. მანსვეტაშვილი, მოგონებები, თბ., 1985, გვ. 92-94; მ. ქუცნიაშვილი, ლადო აღნიაშვილის ქართული ხორო, გაზ. „ახალგაზრდა ივერიელი", 1991, №129-131).

1890 წელს ლ. აღნიაშვილმა გამოსცა „ხალხური ზღაპრები" (წგნ. I) და სწორედ ამ გამოცემით ისარგებლა მარჯორი უორდროპ-

მა,როცა თარგმნა და 1894 წელს გამოაქვეყნა „ქართული ხალხური ზღაპრების" ინგლისური თარგმანი [ლ. აღნიაშვილის ფოლკლორისტულ მოღვაწეობაზე იხ.: ქართული ფოლკლორი, IV (ქართული ფოლკლორის ლექსიკონი, I), 1974, გვ. 59; მიხ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ., 1952, გვ. 217-218].

1894 წელს ლ. აღნიაშვილმა იმოგზაურა სპარსეთში, მოინახულა ქართველი ფერეიდანელები და პრესაში გამოაქვეყნა პირველი საფუძვლიანი მიმოხილვა მათი ცხოვრებისა [სპარსეთი და იქაური ქართველები (მგზავრის წერილები), „მოამბე", 1895, №№2-8; სპარსეთის ქართველობა და მათი მეურნეობა, „მეურნე", 1896, №№31, 32; იმავე წელს გამოსცა წიგნი: სპარსეთი და იქაური ქართველები (მგზავრის წერილები)", დამატებითურთ - „ზოგიერთი რამ მზგავსება და ურთიერთ შორის დამოკიდებულობა სპარსული და ქართული ენისა"].

ლადო აღნიაშვილმა - მძიმე ფსიქიკური სენით დაავადებულმა - სიცოცხლის ბოლო წლები თბილისის მიხეილის საავადმყოფოს სულით სნეულთა განყოფილებაში გაატარა და იქვე გარდაიცვალა. გაასვენეს ქაშვეთის ეკლესიიდან და კუკიის სასაფლაოზე დაკრძალეს (ლ. აღნიაშვილის გარდაცვალება-დაკრძალვის გარშემო, მათ შორის, ნეკროლოგები, იხ.: „ივ.", 1904, №№88, 90-92, 101; „ცნ.ფ.", 1904, №№2464, 2467-2469; „მოამბე", 1904, №4, განყ. II, გვ. 123-124).

ლ. აღნიაშვილზე იხ. აგრეთვე: ი. იმედაშვილი, ლადო აღნიაშვილი, თბ., 1929; პ. მეტრეველი, ლადო აღნიაშვილი, „მნათობი", 1960, №6; კრბ. „სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები", II, 1955, გვ. 189-197.

553. **შიო დავითაშვილი** (1857-1933) — მწერალი, პოლიტიკური, საზოგადო, თეატრალური მოღვაწე, თვალსაჩინო ნევრი ხალხოსნური მოძრაობისა, რისთვისაც 1883 წელს დაპატიმრებული იყო (ამ საკითხზე იხ. ზ. შველიძე, რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, თბ., 1960, გვ. 170, 213, 217-218). შ. დავითაშვილის წიგნი „ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში" (ტფ., 1933), რომელიც არსებითად მემუარული ხასიათისაა, საინტერესო მასალას შეიცავს რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობის ისტორიისათვის.

„ივერიის ბიბლიოთეკაში" გამოქვეყნებულია შ. დავითაშვილის თარგმანები: ი. პოტაპენკოს (1856-1929) პიესა „მომხიბლავი ზღაპარი" (1905, №6, გვ. 60-202) და ს. გუსევ-ორენბურგსკის (1867-1963) „მამათა ქვეყანა" (1905, №7, გვ. 3-230).

შ. დავითაშვილზე იხ. აგრეთვე, ს. მგალობლიშვილი, მოგონებანი, თბ., 1938, გვ. 82-84, 245-246.

554. **ნიკოლოზ (ნიკო, ნიკა) დავითის ძე** დიასამიძე (1845-1897) — თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი, გრიგოლ დიასამიძის (იხ. კომენტარი №267) მამა.

ნიკოლოზის მამა — დავით დიმიტრის ძე დიასამიძე (გარდ. 1849) — გორის მაზრის თავადაზნაურობას წინამძღოლობდა 1830-იან წწ., გამოირჩეოდა ხელისუფლების მიმართ უაღრესად პრინციპული, ხოლო გლეხობისადმი ლმობიერი დამოკიდებულებით, იყო გაკლენიანი მეფამულე, ამასთანავე, მწიგნობრობის მოყვარული და ბიბლიოფილი (იხ. მაქს. ბერძნიშვილი, მასალები..., I, გვ. 42-43; II, გვ. 98).

ნიკ. დიასამიძეს თბილისში (სოლოლიაკში), აგრეთვე, სოფლებში: ბრილსა და საქაშეთში (სადაც მამულებისა და მდიდრულად გაწყობილი სახლების პატრონი იყო), გამართული ჰქონდა სალონები. ამ სალონებში იკრიბებოდა რჩეული საზოგადოება (ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, გ. წერეთელი, ი. მაჩაბელი, ს. მგალობლიშვილი და სხვ.), იმართებოდა ლიტერატურული ღონისძიებები (ე.წ. „ორშაბათები"),თეატრალური წარმოდგენები (იხ.: ი. ენიკოლოფაშვილი, საქაშეთსა და ბრილში, შ. ბარამიძის პუბლიკაცია, „საისტორიო მოამბე", №59-60, 1990, გვ. 26-27; ი. ბალახაშვილი, ლიტერატურული და რევოლუციური წრეები გორში, თბ., 1940, გვ. 41, 154). აქვე, - სოფ. ბრილში, ნიკ. დიასამიძის სალონში, - 1892 წლის 6 სექტემბერს შეიკრიბა საინიციატივო ჯგუფი, რომელმაც მოგვიანებით გაზეთი „კვალი" დააარსა (ი. ბალახაშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 154-158).

1877 წელს ნიკ. დიასამიძემ და აღალო თუთაევმა (მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი. გარდ. 1912) საკუთარი ხარჯით გორის ძველი როტონდა გადააკეთეს თეატრად, სადაც გორის „სცენის მოყვარულთა საზოგადოება" (რომლის ერთ-ერთი წევრიც ნიკ. დიასამიძე იყო) თეატრალურ წარმოდგენებს მართავდა (ი. ბალახაშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 32-41).

ნიკ. დიასამიძესთან ძალზე ახლო ურთიერთობა ჰქონდა ა. წერეთელს, რომელიც ხშირი სტუმარი იყო დიასამიძის ოჯახისა როგორც თბილისში, ასევე საქაშეთსა და ბრილში (ი. ენიკოლოფაშვილი, დასახ. პუბლიკაცია, გვ. 26-27). 1886 წელს ნიკ. დიასამიძემ საკუთარი ხარჯით გამოსცა აკაკის „თამარ-ცბიერი".

ნიკ. დიასამიძე 1897 წლის 13 აგვისტოს სოფ. ბრილში მოკლეს რევოლუციურად განწყობილმა გლეხებმა (მკვლელობის გარშემო იხ.: „ივ.", 1897, №№167-169, 238, 239;1898, №8; „მწყ.", 1897, №16, გვ. 10-11; „კვ", 1898, №10, გვ. 179-180; №20, გვ. 342-346). ამ სამწუხარო ფაქტს აკაკი ლექსით გამოეხმაურა — „ნიკო დიასამიძის სახსოვრად" (ა. წერეთელი, თხზ. სრ. კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. II, თბ., 1950, გვ. 360-361).

ნიკ. დიასამიძეზე იხ. აგრეთვე, ს. მგალობლიშვილი, მოგონებანი, ლ ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციით და შენიშვნებით, ტფ , 1938, გვ. 53-57, 178, 181.

555. **ფრეილინის ქუჩა** — ამჟამად სულხან-საბას ქუჩა.

556. **„ივერია"** — ლიბერალურ-დემოკრატიული მიმართულების საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურული პერიოდული გამოცემა („ივერიაზე" იხ. სმ-დყ, I, გვ. 233-234).

557. **ქეთევან ლუარსაბ ნამორაძის ას. ჟურული** (1841-1912) — თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, ბათუმში ადგილობრივ სცენისმოყვარეთა პირველი ქართული წარმოდგენისა (1879 წ.) და ბათუმის სცენისმოყვარეთა პირველი მუდმივი ნრის (1882 წ.) ორგანიზატორი (იხ. სე, I, 1997, გვ. 333-334; სტატია „ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი ი. ჭავჭავაძის სახელობისა"). საერთოდ, ქეთევანისა და მისი მეუღლის, ბათუმის პოლიცმაისტერის დურმიშხან ჟურულის, ოჯახი 1880-იანი წწ. ბათუმის კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვანი კერა იყო (იხ. დ. კლდიაშვილი, ჩემი ცხოვრების გზაზე, წიგნში: მოთხრობები და პიესები, თბ., 1947, გვ. 641-642, 717).

ქ. ჟურული დაკრძალულია სოფ. ერედვში (იხ. ს. ხუციშვილის მიერ შედგენილი „ქართველ მოღვაწეთა ნეკროპოლი", წგნ. I, თბ., 1961, გვ. 136).

ცხინვალში 1880-1890-იან წწ. ქეთევან ჟურულის თეატრალურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე იხ. „დრ.", 1885, №182; „ივ.", 1890, №261; 1892, №20.

ქ. ჟურულზე იხ. აგრეთვე, გ. ჟურული, მოგონებიდან, კრბ. „ილია ემიგრანტთა თვალით", I, თბ., 1996, გვ. 137, 283.

558. **გიორგი დურმიშხანის ძე ჟურული** (1865-1951) — პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრი (ფინანსთა მინისტრი). გარდაიცვალა ემიგრაციაში (საფრანგეთში), დაკრძალულია ლევილის სასაფლაოზე.

გ. ჟურულზე იხ.: კრბ. „ილია ემიგრანტთა თვალით", შემდგენელ-რედაქტორები დ. სინჯარაძე და ნ. ბებიაშვილი, ტ. II, თბ., 1996, გვ. 283; გ. შარაძე, ილია ჭავჭავაძე. ცხოვრება. მოღვაწეობა. შემოქმედება. ფოტომატიანე, წგნ. II, თბ., 1990, გვ. 20, 22, 248-254, 274, 307-308.

გ. ჟურულის უაღრესად საინტერესო მოგონებები ილია ჭავჭავაძეზე იხ. კრბ. „ილია ემიგრანტთა თვალით", ტ. I, 1996, გვ. 71-120, 137, 142-143.

559. ეს ლექსი განსხვავებული სათაურითა („ყ... სურათზედ") და მცირეოდენი, არაარსებითი ხასიათის, სახეცვლილებით — როგორც ალ. ყაზბეგის ნაწარმოები — შეტანილია ამ უკანასკნელის

თხზ. სრ. კრებულში (ტ. 3, თბ., 1949, გვ. 149; სოლ. ყუბანეიშვილის შენიშვნა: „ლექსი მიძღვნილია დიმიტრი ყიფიანის სურათისადმი" -- იხ. იქვე, გვ. 605).

560. **გოში** -- სოფ. გორის მაზრაში (ამჟამად ხაშურის რაიონში შედის).

561. **სინამდვილეში შიშა (მიხეილ ზაალის ძე) ყიფიანი** იმ ლრის ვლადიკავკაზში მსახურობდა და იქიდანვე ჩავიდა სტავროპოლში, ხოლო შემდეგ კოტესა და ოჯახის ნათესავთან, ლევან ივანეს ძე ყიფიანთან, ერთად ჩამოასვენა მიცვალებული სამშობლოში (ამ საკითხზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 78, 82, 83, 88).

562. **ნიკოლოზ ვასილის ძე გოგოლი** (1809-1852) -- უკრაინული წარმოშობის რუსი მწერალი. ნ. გოგოლის „რევიზორში" კოტე ყიფიანსაც აქვს შესრულებული გოროდნიჩის, აგრეთვე, ოსიპისა და ფოსტმაისტერის როლები (იხ. ე. დავითაია, კოტე ყიფიანი, თბ., 1975, გვ. 196).

563. **„საქართველოს კალენდარი"** (1888-1889, 1903-1905; შემდგენელ-გამომცემელი ვ. გუნია) — პირველი (1888 წლის) ნომერი გამოვიდა 1887 წლის შემოდგომაზე (იხ. „ივ.", 1887, №179).

„საქართველოს კალენდარზე" იხ. სმ-დყ, I, გვ. 303-304.

564. ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში 1887 წლის 1 ნოემბერს გადახდილ პანაშვიდზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 88-89.

565. **„გუბერნატორ ზისერმანზე"** იხ. აქვე, კომენტარი №302.

566. **კალოუბნის ეკლესია** მდებარეობდა ბარონის (ამჟამად -- ფურცელაძის) ქუჩაზე. დაანგრიეს 1930-იანი წწ. (კალოუბნის ეკლესიაზე იხ. თ. გერსამია, ძველი თბილისი, თბ., 1984, ანოტაცია №149; აგრეთვე, П. Иоселиани, Описание древностей города Тифлиса, Тфл., 1866, გვ. 11).

კალოუბნის ეკლესიაში გადახდილ დ. ყიფიანის სულის მოსახსენებელ პანაშვიდზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 99.

567. იგულისხმება დ. ყიფიანის დაღუპვასთან დაკავშირებული ილია ჭავჭავაძის ცნობილი მონინავე წერილები — გამოქვეყნებული „ივერიაში", რომელთაგან სამი შესულია ილიას თხზულებათა აკადემიურ გამოცემებში, ხოლო მეოთხე (ტფილისი. 28 ოქტომბერი, „ივ.", 1887, №225) ჩვენ მიერ გადმობეჭდილია წიგნში: სმ-დყ, I, გვ. 74-75).

568. **კავკავი (ვლადიკავკავი)** — იგივე ვლადიკავკაზი (კავკავზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 214).

569. ამ საკითხზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 82, 88.

570. **ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესია** — აგებულია 1904-1910 წწ. (უფრო ვრცლად ქაშვეთის ეკლესიაზე იხ. სმ-დყ, I, 257).

571. **„ცხედარი... მცხეთაში შეაჩერეს"** — ამ საკითხზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 98, 99, 130.

572 **ალექსანდრე მიხეილის ძე ყაზბეგი** (1848-1893) -- მწერალი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე. მონაწილეობდა დ. ყიფიანის დაკრძალვისას გამართულ საპროტესტო მსვლელობაში.

ალ. ყაზბეგის ჩანაწერი დ. ყიფიანის მკვლელობის გარშემო („მსხვერპლი ეაბთა ვითარებისა") იხ. სმ-დყ, I, გვ. 124, 189-190.

573. **იოსებ (სოსიკო) ნიკოლოზის ძე მერკვილაძე** (1854-1934) -- ბუკინისტი, გამომცემელი, ჟურნალისტი, ფოლკლორისტი (ი. მერკვილაძეზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 320).

574. **ანდრია სოლომონის ძე ღულაძე** (1857-1920) -- პედაგოგი, ჟურნალისტი (ა. ღულაძეზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 251).

575. **ალექსანდრე (ალექსი) ნებიერიძე** — ჟურნალისტი, მსახიობი, რეჟისორი, თეატრის ანტრეპრენიორი; გაზეთ „თეატრის" (1885-1891) რედაქტორ-გამომცემელი 1887-1891 წწ. (ამ საკითხზე იხ. თ. ქვარიანი, გაზეთი „თეატრი", თბ., 1974, გვ. 102-103, 106; ახალი ამბავი, „ივ.", 1887, №56). 1884 წელს ალ. ნებიერიძის ანტრეპრენიორობით დაარსდა ქართული დრამატული დასი (იხ. ბაქცილა თეატრიკა, თეატრი, „დრ.", 1884, №195), რომელშიც ანტრეპრენიორს რკინის დისციპლინა ჰქონია დამყარებული, რაზეც, სხვათა შორის, სამსონ ყიფიანი იუმორისტული კილოთი წერს: ალ. ნებიერიძეს „შეუთხზავს არტისტებთან ხელშეკრულების წერილი ისე მკაცრად და ისე ხელმოჭირებით, რომ არც ერთს არტისტს არ შეუძლია არც ავად გახდომა, არც ცოლთან ალერსი, არც პაპიროზის მოწევა. ასე წარმოიდგინეთ, ვინიცობაა, რომ რომელიმე არტისტკა ლოგინად დაწვეს (ე. ი. იმშობიაროს - თ. ჯ.), ამისთვისაც შტრაფია დადებულიო" (ს-ნი, საკვირაო ფელეტონი, „დრ.", 1884, №175). 1890-იან წწ. ალ. ნებიერიძე თბილისში გამგე და რეჟისორია თეატრალური დასისა, რომელიც გასტროლებსაც მართავს საქართველოს ქალაქებში (იხ. ქართული თეატრი ქუთაისში, „ივ", 1895, №26).

იაკობ მანსვეტაშვილი ალ. ნებიერიძეს ახასიათებს როგორც „რაღაც უცნაურ, გამოურკვეველ" კაცს, რუსეთში გამდიდრებულსა და მერე სამშობლოში დაბრუნებულს, რომელსაც ერთხელ უსიამოვნო ინციდენტი შემთხვევია ილია ჭავჭავაძესთან (იხ. ი. მანსვეტაშვილი, მოგონებები, თბ., 1985, გვ. 111).

576. **გრიგოლ ვასილის ძე ჩარკვიანი** (1852-1922) — მესტამბე, გამომცემული, საზოგადო მოღვაწე (გრ. ჩარკვიანზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 301).

577. იგულისხმება ვ. გუნიას წიგნაკი **„დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი. 1814-1887"**, რომელიც ჩვენ მიერ გადმობეჭდილია წიგნში: სმ-დყ, I, გვ. 101-107.

578. **„ვერის ხიდი"** — ხიდი მდ. ვერეზე, იქ, სადაც დღეს გმირთა მოედანია.

579. **ნიკოლოზ მიხეილის ძე (რომანოვი)** (დაბ. 1859) დიდი მთავარი, კავკასიის მეფისნაცვლის (1862-1881 წწ.) მიხეილ ნიკოლოზის ძის უფროსი შვილი.

580. 1837 წელს ვერის აღმართზე (ამჟამად — კოსტავას ქუჩა, აბრეშუმის ფაბრიკის წინ), ნიკოლოზ I-ის ეტლი გადაბრუნდა. იმპერატორის გადარჩენის აღსანიშნავად აქ ჯვარი იყო აღმართული (ვერის ხიდის, აღმართისა და „ჯვრის" ფოტოები იხ. გ. შარაძე, ილია ჭავჭავაძე. ცხოვრება. მოღვაწეობა. შემოქმედება. ფოტომატიანე, წგნ. II, თბ., 1990, გვ. 316, 342, 343).

581. ოლღას ქუჩა — ამჟამად ია ეკალაძის ქუჩა.

582. **ნყნეთის ქუჩა** — ამჟამად პეტრე მელიქიშვილის ქუჩა.

583. **სიონი** — ღვთისმშობლის მიძინების საპატრიარქო ტაძარი თბილისში.

584. **„ვერის ეკლესია"** - ე. ნ. ლურჯი მონასტერი (ვერის ეკლესიაზე იხ. სმ-ღყ, I, გვ. 292-293).

585. სახეცვლილი სტრიქონი ი. ჭავჭავაძის „მეფე დიმიტრი თავდადებულიდან": „წუთისოფლის მძიმე უღელს შენებრ, მეფევ, ვინ გაგვინევს?" (ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული ოც ტომად, ტ. I, თბ., 1987, გვ. 243).

586. ცნობილი აფორიზმი „ვეფხისტყაოსნიდან" (თბ., 1988, გვ. 124).

587. გრ. ორბელიანის „სადღეგრძელოს" ფრაგმენტი მცირეოდენი სახეცვლილებით. უნდა იყოს: „თქვენთა სახელთა ამაყად წარმოჰსთქვამს შთამომავლობა! თქვენთა საქმეთა მოთხრობით მოხუცს ცრემლ-მოედინება..." (გრ. ორბელიანი, თხზ. სრ. კრებული, თბ., 1959, გვ. 97).

588. იხ. გრ. ორბელიანის თხზულებათა წინა კომენტარში მითითებული გამოცემა, გვ. 100.

589. ფრაგმენტი ნ. ბარათაშვილის ლექსისა „მერანი", მცირე ცვლილებით. უნდა იყოს: „ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს, განწირულის სულის-კვეთება" (ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი, თბ., 1972, გვ. 52).

590. ფრაგმენტი ი. ჭავჭავაძის „მეფე დიმიტრი თავდადებულისა" (ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული ოც ტომად, ტ. I, თბ., 1987, გვ. 238).

591. ფრაგმენტი გრ. ორბელიანის ლექსისა — „ნ..." (გრ. ორბელიანი, თხზ. სრ. კრებული, თბ., 1959, გვ. 44).

592. გრ. ორბელიანის „სადღეგრძელოს" მნიშვნელოვნად სახეცვლილი ფრაგმენტი. დედანშია: „მსხვერპლი ბნელისა მტერობის, შეუბრალებით შეჭმულო!.. შეირყა ტახტი მეფისა, რა შთახვედ საფლავს ლომ-გულო" (გრ. ორბელიანი, თხზ. სრ. კრებული, თბ., 1959, გვ. 95).

593. ფრაგმენტი აკაკის ლექსისა — „მიგონება" (ა. წერეთელი, თხზ. სრ. კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. I, თბ., 1950, გვ. 125).

594. ფრაგმენტი ი. ჭავჭავაძის პოემისა — „მეფე დიმიტრი თავდადებული" (ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული ოც ტომად, ტ. I, თბ., 1987, გვ. 245).

595. **„ლადი ალნიაშვილის ხოროზე"** იხ. სმ-დყ, I, გვ. 120 , 293.

596 **„რაზგონი ფოჩტა"** — სამგზავრო ფოსტა (Разгонная почта) მდებარეობდა ღღევანდელი რუსთაველის მოედნის ტერიტორიაზე (უფრო ვრცლად იხ. თ. გერსამია, ძველი თბილისი, თბ., 1984, №189).

597. **გრიბოედოვის ქუჩა** დღესაც ამავე სახელწოდებისაა.

598. **ვიქტორ ოსიპის ძე ინკოვსკი** — თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსი 1836-1837 წწ. (იხ. შესაბამისი წლების „კ.კ."), გენერალ-მაიორი. მონაწილეობდა საქართველოდან დ. ყიფიანის გადასახლების ორგანიზებაში (იხ. სმ-დყ, I, გვ. 20).

599. **გოლოვინის პროსპექტი** — ამჟამად რუსთაველის პროსპექტი.

600. **კრუზენშტერნის ქუჩა** — ეს უნდა იყოს შემდგომში ალ. წულუკიძის, ამჟამად მიტროფანე ლალიძის ქუჩა.

601. **„დავიდოვის ქუჩა"** უნდა იყოს: **დავითის (მამადავითის) ქუჩა** (ამჟამად ბესიკის ქუჩა).

602. **ზაალ ტარიელის ძე ლოლაძე** — თბილისის ერთ-ერთი უბნის ბოქაული, ტიტულარული მრჩეველი („ტიტულიარნი სოვეტნიკ") — იხ. „კ.კ.", 1888, გვ. 66.

603. **პავლე დიმიტრის ძე გლებოვი** — თბილისის ერთ-ერთი უბნის ბოქაული (იხ. „კ.კ.", 1888, გვ. 65).

604. **ერევნის მოედანი** — ამჟამად თავისუფლების მოედანი.

605. **სოლოლაკის ქუჩა** — ამჟამად გიორგი ლეონიძის ქუჩა.

606. **ლაბორატორიის** (შემდგომში: **პეტრე დიდის, ფელიქს ძერჟინსკის) ქუჩა** — ამჟამად პავლე ინგოროყვას ქუჩა.

607. **„განუწკებულ მმართველში"** ვ. გუნია, უნდა ვიფიქროთ, გულისხმობს მთავარმართებელ ალ. დონდუკოვ-კორსაკოვს.

608. **ნიკოლოზ (ნიკო) იაკობის ძე ავალიშვილი** (1844-1929) — მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე; შვილი თავის დროზე ცნობილი მწიგნობრისა და კალიგრაფის — იაკობ ავალიშვილისა (გარდ. 1849); ჟურნალ „მნათობის" (1869-1872) რედაქტორი, „ქართული კალენდრის" (1867 წ.) შემდგენელ-გამომცემელი, მეტად თვალსაჩინო ფიგურა XIX ს. ქართული თეატრის ისტორიაში. თარგმნა ევროპული ლიტერატურის არაერთი შედევრი, მათ შორის: სერვანტესის „დონ კიხოტი",

ფ. შილერის „ვილჰელმ ტელი“ და „ყაჩაღები“, ჰ. სენკევიჩის „ვიდრე პხვალ? “ და სხვ.

6. ავალიშვილზე იხ.: სოლ. ცაიშვილი, ნიკო ავალიშვილი, თბ., 1955; ნ. ურუშაძე, სცენისმოყვარეთა ნარმოდგენები, გაზ. „კავკასიონი“ 1995, №33; მ. წერეთელი, ნიკო ავალიშვილის ლიტერატურულ-კრიტიკული შეხედულებები, კრბ. „ქართული ჟურნალისტიკა“, V, თბ., 1984, გვ. 40-48; მისივე, ნიკო ავალიშვილის ჟურნალისტური მოღვაწეობა, იქვე, VI, 1985, გვ. 62-71; მისივე, ნიკო ავალიშვილის პუბლიცისტიკა, „მაცნე“ (ელს), 1983, №2, გვ. 60-70...

609. „ლომისი“ — ყოველკვირეული ლიტერატურული გაზეთი. გამოდიოდა თბილისში 1922-1923 წწ. (სულ ვამოვიდა 34 ნომერი).

610. **სასახლის ქუჩა** — გზის მონაკვეთი კალოუბნის ეკლესიასა (ადგილი, სადაც დღეს რუსთაველის სახელობის კინოთეატრია) და ერევნის მოედანს (დღეს —თავისუფლების მოედანი) შორის. ქუჩას ეს სახელი იპიტომ ერქვა, რომ აქ მეფისნაცვლის („ნამესტნიკის“) სასახლე იდგა (ამჟამად — მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლე).

611. **ალექსანდრე ლეონიძეზე** მასალა ვერ მოვიპოვეთ, თუმცა ქართულ პრესაში იხსენიება ერთი ალექსანდრე (მიხეილის ძე) ლეონიძე, რომელსაც თელავში 1893 წელს მეფუტკრეებისთვის გამოსადეგი მანქანა გამოუგონია (თელავი, „ივ.“, 1893, №197), მაგრამ შეიძლება თუ არა გამომგონებელ ალ. ლეონიძის გაიგივება ნინამდებარე მოგონების ავტორთან, ამაზე დაბეჯითებით ვერაფერს ვიტყვით.

612. **იოსებ ლონგინოზის ძე ლაგაზიძე** — სტავროპოლის საქალაქო სასწავლებელში მსახურობდა მასწავლებლად („კ.კ.“, 1887, გვ. 86). ვფიქრობთ, ეს ის ი. ლაგაზიძე უნდა იყოს, რომელსაც 1898 წელს ჟურნალ „ჯეჯილში“ (№4, გვ. 42-43) გამოქვეყნებული აქვს საყმაწვილო ლექსი „გაზაფხული“.

613. სტავროპოლში გადასახლებული დ. ყიფიანი ცხოვრობდა „ნიკოლოოზის პროსპექტზე, ულუხანოვების სახლებში მყოფ ლიუცია ბროხნიცკის სასტუმრო ოთახებში“ („ივ.“, 1889, №165).

614. **„მომცა „დროების“ ნომრები“** — უნდა ვიფიქროთ, რომ ეს იქნებოდა არა „დროების“, არამედ „ივერიის“ ნომრები, რამდენადაც 1886-1887 წწ., როცა დ. ყიფიანი გადასახლებაში იმყოფებოდა, „დროება“ აღარ გამოდიოდა (ხელისუფლებამ „მავნე მიმართულების“ გამო გაზეთი 1885 წლის სექტემბერში დახურა — იხ. ალ. კალანდაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. V, თბ., 1987, გვ. 534).

615. ეს იქნებოდა არა 24, არამედ 25 ოქტომბერი, რადგანაც დ. ყიფიანი 24-25 ოქტომბრის ღამეს მოკლეს.

616. „კ. ელიაშვილი“ — მოგონების ავტორს აქ შეცდომა მოსულია. ექიმი, რომელიც სტავროპოლში მკურნალობდა დ. ყიფიანს და მისი სიკვდილის შემდეგაც უპატრონა ცხედარს, იყო გრიგოლ ელიავა (1857-1925. ამ საკითხზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 62, 65, 148, 174; გრ. ელიავაზე იხ. იქვე, გვ. 238-239).

617. დიმიტრი ყიფიანის ცხედარს ბალზამ.: გაუკეთა სტავროპოლელმა ექიმმა ი. ბლაჟეევიჩმა (იხ. სმ-დყ, I, გვ. 129).

618. სინამდვილეში დ. ყიფიანის ხსოვნას პატივი სცა სტავროპოლის მთელმა, - მათ შორის რუსმა, - მოსახლეობამ (იხ. სმ-დყ, I, გვ. 85-86).

619. ეკატერინე რევაზის ას. გაბაშვილი (ქალიშვილობაში — თარხნიშვილი) (1851-1938) — მწერალი, პედაგოგი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე, რევრი „ქართველ ქალთა ამხანაგობისა“, რომელმაც 1872 წელს გამოსცა „თარგმანნი საამო საკითხავთა თხზულებათა“ (რეცენზია იხ. ს. მესხი, თხზულებანი სამ ტომად, ტ. I, თბ., 1962, გვ. 279-284), ჟურნალ „ჯეჯილის“ დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი და აქტიური თანამშრომელი, „ქშწ-კგ საზოგადოების“ საპატიო წევრი (1914 წლიდან).

ე. გაბაშვილზე იხ.: გ. თავზიშვილი, ეკატერინე გაბაშვილი, თბ., 1963; ე. ქარელიშვილი, ეკატერინე გაბაშვილი, თბ., 1955; კ. აბაშიძე, ცხოვრება და ხელოვნება, თბ., 1971, გვ. 202-244; ი. ბოცვაძე, პრესა და მწერლობა, თბ., 1976, გვ. 200-218; ფ. დგებუაძე-ფულარია, მოღვაწე ქალები რევოლუციამდელ საქართველოში, სოხუმი, 1957, გვ. 192-197; მ. ზანდუკელი, ახალი ქართული ლიტერატურა, ტ. 3, თბ., 1955, გვ. 323-378; ქ. ირემაძე, ლიტერატურული მედალიონები, თბ., 1946, გვ. 94-109; სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, III, თბ., 1968, გვ. 68-73; თ. სახოკია, ჩემი საუკუნის ადამიანები, თბ., 1969, გვ. 77-80.

620. „ქრისტეშობის დამლევი იყო, 1874 თუ 75...“ — „შეილოკის“ („ვენეციელი ვაჭრის“) დადგმასთან დაკავშირებულ ამბებს ე. გაბაშვილი სხვაგან 1873-1874 წლებით ათარიღებს (ე. გაბაშვილი, მოგონება კოტე ყიფიანის იუბილეის გამო, „კლდე“, 1914, №4, გვ. 4-5), მაგრამ არც ერთი თარიღი უნდა იყოს სწორი და არც — მეორე. ჩანს, ხანდაზმულ მემუარისტს მეხსიერება ღალატობს და მის მოგონებებში უფრო გვიანდელი, კერძოდ, 1878 წლის 3 აპრილის, ფაქტია ასახული, როდესაც „ვენეციელი ვაჭარი“ პირველად დაიდგა თბილისის სცენაზე (იხ. ს. მ[ესხი], „ვენეციელი ვაჭარი“ ქართულს სცენაზედ, „დრ.“, 1878, №70; საქართველოს მატიანე, „ივ.“, 1878, №14). შექსპირის ეს პიესა თბილისში მანამდე რომ დადგმულიყო, - სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, - ასეთი მნიშვნელოვანი მოვლენა საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებისა იმდროინდელი პრესის ყურადღების მიღმა არ დარჩებოდა.

621. **„შეილოკ“** — იგულისხმება უ. შექსპირის „ვენეციელი ვაჭარი“.

622. **„შეილოკ“** ანუ „ვენეციელი ვაჭარი“ დ. ყიფიანმა თარგმნა პირველად ქართულ ენაზე და გამოაქვეყნა კიდევაც (ვენეციელი ვაჭარი. შექსპირის დრამა, ნამდვილიდან გადმოთარგმნილი დიმიტრი ყიფიანისაგან. ხამდვილი არის რაუტლიჯის შეერწმებული და ჰ. სტანტონის დაბეჭდილი ლონდონს 1857, „მნათობი“, 1872, №3, გვ. 1-54; №4, გვ. 1-64). სხვათა შორის, დ. ყიფიანის ამ თარგმანით ფაინყო შექსპირის სცენური სიცოცხლე საქართველოში — 1873 ნელს იგი დადგეს სამეგრელოში, სოფ. ბანძაში (იხ. ფ.თ., შექსპირი ბანძაში, „დრ.“, 1873, №16; სპექტაკლი დაუდგამს ნიკო დადიანს (1847-1903), მნერალ შალვა დადიანის ვამას — იხ. ს. გერსამია, დიმიტრი ყიფიანი და ქართული თეატრი, საქართველოს თეატრის, კინოსა და მუსიკის სახელმწიფო მუზეუმი. ფონდი I, საქ. №1152, ხ-17460, ფ.9, ხოლო მოთავე ამ ღონისძიებისა ყოფილა ალექსანდრე იოსელიანი — იხ. „დროების“ დასახ. პუბლიკაცია).

1878 ნელს „ვენეციელი ვაჭრის“ დ. ყიფიანისეული თარგმანი თბილისშიც დაიდგა და, - როგორც ზემოთ გვაქვს აღნიშნული (კომენტარი №620), - სწორედ ეს დადგმა უნდა ჰქონდეს მხედველობაში წინამდებარე მოგონების ავტორს.

უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ მოვლენას ეკატერინე გაბაშვილი სხვა მოგონებაშიც ეხება და ამგვარად აღწერს წინასასპექტაკლო სამზადისს: „დიმიტრი ყიფიანის სახლი, მთელი ორი თვის განმავლობაში, პირამდე სავსე იყო ხოლმე ქართველი ახალგაზრდობით და [დ. ყიფიანი] თვით არიგებდა როლებს და რეჟისორობდა და ვისაც კი ადამიანის ნიშანწყალი ეჩნეოდა რამ, ძვირფასის სახლიპატრონისაგან შეუნიშნავი არ რჩებოდა და თავის შესაფერ როლს იღებდა“ (ე. გაბაშვილი, მოგონება კოტე ყიფიანის იუბილეის გამო, „კლდე“, 1914, №4, გვ. 4-5).

623. **„ჩემი ქმარი“** - იგულისხმება **ალექსანდრე ზაქარიას ძე გაბაშვილი** [ეკატერინე თარხნიშვილმა და ალ. გაბაშვილმა იქორწინეს 1871 ნელს, ეყოლათ 11 შვილი (იხ. გ. თავზიშვილი, ეკატერინე გაბაშვილი, თბ., 1963, გვ. 6-7, 10), რომელთაგან ერთ-ერთი — რეზო გაბაშვილი (1882-1969) — ცნობილი მოღვაწე და ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მეტად თვალსაჩინო ნევრი იყო].

სხვათა შორის, თვითონ ალ. გაბაშვილიც ხალხსნური იდეებით იყო გატაცებული, მაგრამ კატეგორიულად არ იზიარებდა მეუღლის ლტოლვას საზოგადოებრივი საქმეებისკენ. ამაზე ეკატერინე გაბაშვილს ასე უნერია: „მე იმ ვიწრო კედლებს შუა, რომელსაც ოჯახის დიასახლისობას უძახიან და რომელიც შთანთქავს ხოლმე დედაკაცის სულის არსებას, პატარა ჭუჭრუტანა გავაკეთე და იქიდან მუდამ ყურს ვუგდებდი და თვალს ვადევნებდი ჩემი

ქვეყნის საზოგადო ზრდასა და წინსვლელობას" (ე. ქორელიშვილი, ეკატერინე გაბაშვილი, თბ., 1955, გვ. 43).

624. **დავით ივანეს ძე კეზელი** (1854-1907) — მწერალი, პუბლიცისტი, თეატრალური, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობის თვალსაჩინო ხელმძღვანელი. თანამშრომლობდა ქართულ („დროება", „ივერია", „თეატრი" და სხვ.), უმეტესად კი კავკასიის რუსულ („ნოვოე ობოზრენიე", „ტიფლისსკი ლისტოკ" და სხვ.) პრესაში (ფსევდ.: „ზოილი", „დავით სოსლანი", „არაგველი"). დ. კეზელი იყო ი. ჭავჭავაძის მწვავე კრიტიკის ობიექტი (იხ. ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული ათ ტომად, ტ. I, 1951, გვ. 122-125; ტ. III, 1953, გვ. 273-289, 381-399, 501).

დ. კეზელი ერთ-ერთი პირველი მთარგმნელია (რუსულ ენაზე) ვაჟა-ფშაველას თხზულებებისა (იხ. „ივ.", 1896, №№56, 62, 66, 67...). მისი არაერთი პიესა („სცენები მიროვოი სუდიასთან", „ორ-ცოლიანი ანუ ახალი დროის გმირი" და სხვ.) წლების განმავლობაში იდგმებოდა ქართულ სცენაზე...

დაკრძალულია დუშეთში (იხ. ს. ხუციშვილის მიერ შედგენილი „ქართველ მოღვაწეთა ნეკროპოლი", I, თბ., 1961, გვ. 60).

დავით კეზელზე იხ. აგრეთვე: გრ. გიორგაძე, თვითმპყრობელობა და რევოლიუცია, I, 1930, გვ. 20-31; ი. მანსკეტაშვილი, მოგონებანი, ლ. ასათიანის რედაქციათ, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, ტფ., 1936, გვ. 180, 182, 238; ზ. შველიძე, რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, თბ., 1960, გვ. 121-123, 137; ტ.ხუხდაძე, ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში, თბ., 1951, გვ. 220-224...

ბი-ში (ფონდი „სხვადასხვა", საქ. №131, ფ. 69) დაცულია საინტერესო მასალა (ჟანდარმერიის მიმოწერა) დ. კეზელის რევოლუციურ საქმიანობაზე.

625. **ელიკო გურამიშვილი** - ?

626. „ბეჩავ ამსრულებლებს" (კ. და ე. ყიფიანები, ნ. ავალიშვილი, დ. კეზელი და სხვ.) შექსპირის „ბრწყინვალე დრამა", ჩანს, სცენაზე შესაფერისად ვერ „გაუტანიათ". ყოველ შემთხვევაში, სპექტაკლს პრესაში ნეგატიური გამოხმაურება მოჰყვა (ს. მ[ესხი], „ვენეციელი ვაჭარი" ქართულს სცენაზედ, „დრ.", 1878, №70; საქართველოს მატიანე, „ივ.", 1878, №14). თუმცა, მოგვიანებით მისი ხარისხი მნიშვნელოვნად გაუუმჯობესებიათ და 1881 წელს ი. ჭავჭავაძე სპექტაკლს უკვე ამგვარად შეაფასებს: „მადლობა ღმერთს, შექსპირი ვნახეთ ქართულს სცენაზედ და ვნახეთ ღირსეულად გარდმოცემული" (ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული ოც ტომად, ტ. VI, თბ., 1997, გვ. 603).

627. **გიორგი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-დავითაშვილი** (1861-1929) — გორის მაზრისა (1890-იანი წწ.) და თბილისის გუ-

ბერლინის (1900-1910-იანი წწ.) თავადაზნაურობის წინამძღოლი („მარშალი") [ამ უკანასკნელ პოსტზე 1913 წელს შეცვალა კონსტანტინე (კოტე) აბხაზმა (1867-1923) — იხ. გ. საითიძე, სნამდა საქართველოს აღორძინება (გენერალი კონსტანტინე აფხაზი), თბ., 1997, გვ. 11-12].

გ. ბაგრატიონ-დავითაშვილი ცოლისძმა იყო ივანე მაჩაბლისა (იხ. ვ. ჭელიძე, ცხოვრება ივანე მაჩაბლისა, თბ., 1957, გვ. 287). თბილისის გუბერნიის „მარშლობისას" გიორგის ინციდენტი შეეხეთხვა თბილისის გუბერნატორთან, ნამდვილ სამოქალაქო მრჩეველთან („დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკ"), ბარონ პავლე ალექსანდრეს ძე რაუშ-ფონ-ტრაუბენბერგთან და ეს ინციდენტი აკაკი წერეთელმა გამოიყენა ლექსში — „დიდ-ყურაანთ ყროყინას..." (ა. წერეთელი, თხზ. სრ. კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. III, თბ., 1954, გვ. 214, 528; ამ საკითხზე იხ. აგრეთვე, მ. მთიკარელიძე, ერთგულების ნავსაყუდელი, „თბილისი", 1990, №231).

628. სინამდვილეში დიმიტრი ყიფიანს „საუნივერსიტეტო კურსი" არ ჰქონდა დასრულებული. მან დაამთავრა (1830 წ.) თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი.

629. იგულისხმება **იერემია არწრუნის** (იხ. კომენტარი №244) **შვილი გრიგოლ არწრუნი** (1845-1892), თვალსაჩინო სომეხი მოღვაწე, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, გაზეთ „მშაკის" დამაარსებელი და რედაქტორი, ფილოსოფიის დოქტორი. გრ. არწრუნის მიერ დიმიტრი ყიფიანის სასარგებლოდ ხმის მიცემაზე ჯერ კიდევ 1878 წელს წერდა ნიკო ნიკოლაძე: „ყვებიან, რომ ეს ერთი ხმა, რომელმაც საქმე მის (დ. ყიფიანის — თ.ჯ.) სასარგებლოდ გადაწყვიტა, მისი კონკურენტის შვილის, - „მშაკის" რედაქტორის, - გ. ი. არწრუნის ხმა იყო" (ნ. ნიკოლაძე, თბილისის საბჭოს ფიზიონომია, თხზულებანი, დ. გამეზარდაშვილის რედაქციითა და შენიშვნებით, ტ. 5, თბ., 1966, გვ. 318).

630. დ. ყიფიანის წერილი — მინერილი პავლე ეგზარქოსისადმი — იხ. სმ-დყ, I, გვ. 10.

631. **ვასილ კირვალიძე** (გარდ. 1933) — მწერალი, ქართველ სოციალ-დემოკრატთა თანამდგომი; მოსამსახურედ იდგა თბილისის სასტუმროებში, სიცოცხლის ბოლოს მისდევდა წვრილ ვაჭრობას; პრესაში („კვალი", „თეატრი და ცხოვრება"...) აქვეყნებდა პუბლიცისტურ თხზულებებს, ლექსებს... 1900 წელს ვ. კირვალიძემ, როგორც „თფილისის მოსამსახურეთა წარმომადგენელმა", სიტყვა წარმოთქვა გიორგი წერეთლის დაკრძალვაზე (იხ. „კვალი", 1900, №4, გვ. 62), რომელშიც ზიზღით მოიხსენია გაზეთი „ივერია" და ამ ფაქტს მოჰყვა მწვავე პოლემიკა, მათ შორის ი. ჭავჭავაძის წერილიც (ამ საკითხზე იხ. კ. აბაშიძე, „ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგე!", გ.

აბაშიძის რედაქციით, წინათქმით, კომენტარებითა და შენიშვნებით, თბ., 1991, გვ. 38-39, 44-51).

ხი-ში (ა. ჯორჯაძის არქ., საქ. №97, ფ.1) დაცულია ვ. კირვალიძის ბარათი არჩილ ჯორჯაძისადმი (დათარიღებული 1913 წ. 1 თებერვლით), რომელშიც ბარათის ავტორი ადრესატს სწერს: „გისურვებთ... მრავალ წელს მედგრათ გჭეროდეთ კალამი ხელში ჩვენი ხალხის გასაითვითცნობიერებლათ და საშშობლოს საკეთილდღეოდო", და დასძენს: „დიმიტრი ყიფიანი... მე გავიცანი 1862 წ. სასტუმრო „ლონდონში", ქ. თბილისში... მაშინა მქონდა ბედნიერება, მემსახურა იმ კაცისათვის, რომელმაც ამგვარი სიტყვები დამიტოვა: **„საშშობლოსა და ხალხის საკეთილდღეოთ ყოველ ათ წელიწადში თვითო მსხვერპლი უნდა შეიწიროსო"** (საზი ჩვენია — თ.ჯ.).

3. კირვალიძემ საინტერესო მოგონება დატოვა ალ. ყაზბეგზეც (იხ. ე. ავსაჯანიშვილი, ალექსანდრე ყაზბეგი თანამედროვეთა მოგონებებში, „მწიკნოპარი-98", 1998, გვ. 7-9).

ლმ-ში (№13427-ხ, ფ. 45) დაცულია, აგრეთვე, ვ. კირვალიძის მოგონებები ი. ჭავჭავაძეზე, ა. წერეთელზე, ი. მაჩაბელზე და ზემოხსენებული მოგონება ალ. ყაზბეგზე.

632. იგულისხმება დ. ყიფიანის მონაწილეობა 1832 წლის შეთქმულებაში (ამ საკითხზე იხ.კომენტარი №49).

633. ამ საკითხზე იხ. აქვე, ნიკ. ყიფიანისა (გვ. 20-24) და ა. ფურცელაძის (გვ. 79-82) მოგონებები.

634. სასტუმრო „ლონდონი" გაიხსნა 1875 წ. და იარსება „XX საუკუნის პირველი ათწლეულის შუა ხანებამდე. მდებარეობდა მადათოვის ქუჩაზე (ამჟამად საცხოვრებელი სახლია — ათონელის ქ. №21)" (თ. გერსამია, ძველი თბილისი, თბ., 1984, №105).

635. **ყარამან რევია** — ტექსტის მიხედვით, სასტუმრო „ლონდონის" „ნომრების გამგე".

636. **თავადი მიქელაძე** - ?

637. **აპოლონ წულაძე** (1871-1942) — მწერალი, პუბლიცისტი, მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე. ქართულ პრესაში („ივ.", „ცნ.ფ.", „ეშმაკის მათრახი" და სხვ.) აქვეყნებდა პუბლიცისტურ თხზულებებს, თეატრალურ რეცენზიებს, ლექსებს, მოთხრობებს, სატირულ-იუმორისტულ ეტიუდებს, ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს (ფსევდ.: „ჭანჭათელი", „ნაჭანჭათელევი", „აპოლონ", „აპ. ჭა-ლი", „პიტნა" და სხვ.); როგორც მსახიობი და დეკლამატორი, მონაწილეობდა ლიტერატურულ, თეატრალურ და თეატრალიზებულ წარმოდგენებში. ერთ-ერთ ამგვარ წარმოდგენაზე, რომელშიც ა. წულაძეს აკაკი წერეთელთან ერთად მიუღია მონაწილეობა, რეცენზია აქვს გამოქვეყნებული დავით კლდიაშვილს (იხ. კ[დ. კლდიაშვილი], ქართული საღამო ბათუმში, „ცნ.ფ.", 1901, №1701).

ა. წულაძე საგანგებოდ იყო დაინტერესებული საქართველოში მეფუტკრეობის განვითარებით და ამ საკითხზე წიგნიც აქვს გამოქვეყნებული: ფუტკარი და მეფუტკრეობა, თბ., 1941; გამოქვეყნებული აქვს, აგრეთვე, წიგნები: პიტნა [ა. წულაძე], გურული სცენები, თბ., 1909; მომღერალი ყუთი [მოთხრობა], ოზურგეთი, 1912 და სხვ. მისი წინასიტყვაობით გამოიცა ს. გუგუნავას „თამარიანი" (ოფ., 1912).

638. მემუარისტის მიერ ფაქტი არაა სწორად გადმოცემული. ეგზარქოსის მიერ საქართველოს დაწყევლის საბაბი იყო სემინარიიდან გარიცხული ი. ლაღიაშვილის მიერ რექტორ ჩუდეცკის მოკვლა. ეს მკვლელობა კი, თავის მხრივ, შურისძიებით გამოწვეული ინდივიდუალური აქტი იყო და სინამდვილეში არავითარი „სემინარიელთა აჯანყება" არ ყოფილა.

639. **„მკვლელი თბილისისდან გააყოლა მთავარმართებელმა დონდუკოვ-კორსაკოვმა"** — ეს ცნობა სხვა წყაროებით არ დასტურდება.

640. **ისიდორე გიორგის ძე ქიქოძე** (1855-1916) — საქართველოში ხალხოსნური მოძრაობის ერთ-ერთი მეთაური. სწავლობდა ჯერ პეტერბურგის ტექნოლოგიის ინსტიტუტში, შემდეგ — პეტერბურგის სამედიცინო-ქირურგიულ აკადემიაში, მაგრამ რევოლუციური საქმიანობისთვის გამორიცხეს; 1875 წლის დეკემბრიდან გადავიდა არალეგალურ ცხოვრებაზე, შემდეგ გაიქცა ოსმალეთში, საიდანაც ხანგამოშვებით მალულად ჩამოდიოდა სამშობლოში. 1889 წელს ხელი აიღო რევოლუციურ მუშაობაზე და სახელმწიფო სამსახურში ჩადგა. ცხოვრობდა გურიაში და იქვე გარდაიცვალა 1916 წელს.

ი. ქიქოძეზე იხ.: ზ. შველიძე, რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, თბ., 1960, გვ. 93-95, 144-154, 163; გრ. გიორგაძე, თვითმპყრობელობა და რევოლიუცია, წგნ. I, თბ., 1930, გვ. 37-38; ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული ათ ტომად, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, ტ. X, თბ., 1961, გვ. 561, 564.

641. **ვახტანგ დავითის ძე გურიელი** — გურიის სამთავრო სახლის წევრი, პოეტ მამია გურიელის (1836-1891) ძმა, პოლიტიკური მოღვაწე (ხალხოსანი). ვახტანგ გურიელს ჰქონდა კულტურულ-საგანმანათლებლო ინტერესები, კერძოდ, ხალხში ქადაგებდა სწავლა-განათლების სასიცოცხლო მნიშვნელობას, ხოლო 1891 წელს მან საკუთარი სახლი შესწირა ლანჩხუთში ახალდაარსებულ ორკლასიან სამრევლო სასწავლებელს (იხ. ახალი ამბავი, „ივ.", 1891, №41); გამოირჩეოდა გლეხობისადმი ლოიალური დამოკიდებულებით (ამ საკითხზე იხ. ხ[რიალეთე]ლი მუშა, ს. ხრიალეთი (გურია), „ივ.", 1896, №10).

ხი-ში, პაპუნა წერეთლის ფოტოკოლექციაში (№854) დაცულია ვახტანგ გურიელის ფოტოსურათი, გადაღებული ძმასთან -- ტელემაქთან ერთად.

642. **მელქისედეკ (მელქისა) ივანეს ძე მახარაძე** (დაბ. 1855) პოლიტიკური მოღვაწე ოზურგეთის მაზრის სოფ. ბახვიდან (ხალხოსანი). რევოლუციური საქმიანობისთვის მის მიმართ 1876 წელს აღძრული იყო საქმე და საბოლოოდ სამი თვით პატიმრობა მიუსაჯეს, სოლო გათავისუფლების შემდეგ პოლიციის ხელდამხედველობა დაუწესეს (იხ. ზ. შველიძე, რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, თბ., 1960, გვ. 163, 166). ერთი წყაროს მიხედვით, მ. მახარაძე 1877 წელს 22 წლისაა (იხ. გ. თავამაიშვილი, ხალხოსნური მოძრაობის ისტორიისათვის საქართველოში, „საისტორიო მოამბე", №29-30, 1974, გვ. 107) და, მაშასადამე, დაბადებულა 1855 წელს.

1883 წელს მელქისედეკ მახარაძე „დროებას" სწერს -- ჭორი გამოვრცელეს, თითქოს გურიის ეპისკოპოსის გამძარცველს გოგია ჭყონიას ვუღალატე და იგი ადმინისტრაციას ჩავაბარე, მაგრამ ეს მტკნარი სიცრუეა, რადგან ჭყონიას დაჭერამდე არც მისი ვინაობა ვიცოდი და, შესაბამისად, არც მისი ადგილსამყოფელიო (მ. მახარაძე, წერილი რედაქტორთან, „დრ.", 1883, №22), ხოლო მოგვიანებით ჟურნალ „მოგზაურში" იგი გაბედულად ამხელს პოლიციის თავგასულობასა და სისასტიკეს გურიაში (მ. მახარაძე, წერილი რედაქციის მიმართ, „მოგზაური", 1905, №13, გვ. 211-212).

643. **წიწამური** — სოფელი მცხეთის მახლობლად, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ადგილი.

644. **სამუელ შავიშვილი, ამბაკო ურუშაძე** — ტექსტის მიხედვით, სოფ. ლიხაურელი (ოზურგეთის რ-ნი) გლეხები.

645. **იაკობ ალექსანდრეს ძე მანსვეტაშვილი** (1855-1939) — მწერალი, პუბლიცისტი, ქველმოქმედი; დამთავრებული ჰქონდა პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი; თანამშრომლობდა ქართულ პრესაში („ივერია", „ჯეჯილი", „მოამბე"...), სადაც აქვეყნებდა პუბლიცისტურ და მხატვრულ თხზულებებს (ფსევდ.: „დონ-იაგო", „ბარელი", „ალექსანდრიძე", „შერმადინი"...). ერთხანს იყო „ქშნ-კგ საზოგადოების" მდივანი, ბიბლიოთეკის გამგე (1887-1891 წწ.), 1912 წლიდან — „საზოგადოების" საპატიო წევრი. 1900-იან წლებში იგი ბაქოშია და ხელს ჰკიდებს ნავთობის მრეწველობას, რამაც უმდიდრეს პიროვნებად აქცია. ი. მანსვეტაშვილს არც იქ დავიწყებია პატრიოტული მოვალეობა და შეძლებისდაგვარად ხელს უმართავდა ბაქოში მცხოვრებ ქართველთა საზოგადოებრივ-კულტურულ ნამოწყებებს. ასე, მაგალითად, „ქშნ-კგ საზოგადოების" ბაქოს განყოფილებამ ი. მანსვეტაშვილის ხარჯით „ააგო მშვენიერი ორსართულიანი შენობა, სადაც ქართუ-

ლი ისკოლა მოათავსა" (გ. ლასხიშვილი, მემუარები, თბ., 1991, გვ. 238).

ი. მანისვეტაშვილის მემუარები (მოგონებანი. ნახული და გაგონილი, ლ. ასათიანის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით, ტფ., 1936; მეორე გამოცემა — თბ., 1992) დიდად საინტერესო მასალას შეიცავს XIX საუკუნის II ნახევრის ქართული საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების ნარმოსადგენად.

646. **ხერსონი** — ქალაქი უკრაინაში, ხერსონის ოლქის ცენტრი.

647. დუშეთიდან ილია ჭავჭავაძის ჩამოსვლა და საბანკო საქმეებში ჩართვა ქართველ მოღვაწეთა ერთი ჯგუფის ინიციატივა იყო (იხ. აქვე, ა. ფურცელაძის მოგონება, გვ. 83).

648. ბანკის გარშემო ი. ჭავჭავაძისა და დ. ყიფიანის პოლემიკური წერილები იხ.: ი. ჭავჭავაძე, შინაური მიმოხილვა (1883 წელი, მაისი), თხზ. სრ. კრებული ათ ტომად, ტ. V, თბ., 1955, გვ. 260-269; ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი, იქვე, ტ. VII, თბ., 1956, გვ. 349-371, 384-418; დ. ყიფიანი, ბატონო რედაქტორო!, „ივ.", 1886, №№109, 116, 136.

მართალია, ილიამ მინასთან გაასწორა დ. ყიფიანის საბანკო შეხედულებები, მაგრამ პოლემიკა მაინც ამ სიტყვებით დაასრულა: „უსამართლობა, უმადურობა იქნება ჩვენს მიერ, რომ არა ვსთქვათ, რა სამსახური გაუწია ბ-მა დიმიტრი ყიფიანმა ჩვენს ქვეყანასა. პირველ მას მოუვიდა ფიქრად ბანკი დაეარსებინა და დიდი ღვაწლი, დიდი მხნეობა, დიდი მეცადინეობა იხმარა ამ სასახელო ფიქრისა და აზრის განხორციელებისათვის... მან მარტომ იდვა ეგ კისრად და მარტომ შეასრულა თვისის სახელის სასიქადულოდ... ბანკი დიდი საქმეა ჩვენის ქვეყნისათვის და ამ დიდის საქმის დამწყები, მეთაური და შესაძლოდ მქმნელი ბ-ნი დიმიტრი ყიფიანია. სახელი და დიდება ბანკის დაარსებისა განუშორებელ იქმნება მის სახელთანა".

649. **ანტონოვიჩი** — ტექსტის მიხედვით, კიევის უნივერსიტეტის პროფესორი, ავტორი წიგნისა „სამელიორაციო ბანკი პოლონეთში".

650. კოტე ყიფიანის ლექსიკოგრაფიულ მოღვაწეობაზე იხ. სმდყ, I, გვ. 231.

651. **ტაშისკარი** — სოფ. გორის მაზრაში (ამჟამად ხაშურის რაიონში შედის).

652. **დოღლაური** - სოფ. გორის მაზრაში (ამჟამად ქარელის რაიონში შედის).

653. პაველ ეგზარქოსმა თავისი წყევლის სიტყვები წარმოთქვა არა „სიონის ტაძარში", არამედ ალექსანდრე ნეველის ეკლესიაში,

სადაც მოკლული რექტორის ცხედარი იყო დასვენებული (ამ საკითხზე იხ. კომენტარი №665).

654. დიმიტრი ყიფიანის მკვლელობის გარემოებებზე იხ. სმდყ, I, გვ. 6-9.

655. **წმ. დავითის ეკლესია (მამადავითი)** — აიგო 1860-1871 წწ. (გუმბათი დაადგეს 1877 წელს, მოხატეს 1889 წელს). მანამდე აქ მდგარა IX საუკუნეში აგებული ივერიის ღვთისმშობლის ეკლესია, ხოლო 1542 წელს მის ადგილზე ძმებმა ნიკოლოზ და დავით გაბაშვილებმა წმ. დავითის მონასტერი ააშენეს (მამადავითის ეკლესიაზე იხ. ნ. მაჭარაშვილი, აღწერა მთა-წმიდის ეკკლესიისა და წმ. მამა დავითის ცხოვრებისა, ტფ., 1895).

656. **მიხეილ იურის ძე ლერმონტოვი** (1814-1841) — რუსი მწერალი, რომლის შემოქმედებაშიც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართულ თემატიკას.

657. ფრაგმენტი მ. ლერმონტოვის ლექსისა „დავა" („Спор") იხ. М. Ю. Лермонтов, Полное собрание сочинений, т. I, М.-Л., 1947, გვ. 84.

658. **„ქალაქის თვითმმართველობის სახლი"** — ამჟამად თბილისის მერიის შენობა თავისუფლების მოედანზე.

659. **ნატალია იოსების ას. ყიფიანი** (1878-1943 წ. შემდეგ) — დიმიტრი ყიფიანის ძმისშვილის იოსებ იოსების ძე ყიფიანის (იხ. კომენტარი №19) ქალიშვილი.

660. ნინო ჭილაშვილ-ყიფიანის დედა იყო **პრასკოვია პეტრეს ას. პოპოვა**, რომელმაც „ისწავლა ქართული ლაპარაკი და წერა-კითხვა იმდენად, რომ მულსაც ქართულად სწერს წერილს" (მაქს. ბერძნიშვილი, მასალები..., II, გვ. 257).

661. დიმიტრი ყიფიანი, ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, საზღვარგარეთ ორჯერ კი არ იყო, არამედ ერთხელ, პარიზში, „1866 წლის დამდეგს" (იხ. კომენტარი №371).

662. სინამდვილეში **ნინო იაგორის ას. ყიფიანი** გარდაიცვალა 1902 წლის იანვრის ბოლოს, 1 თებერვალს თბილისში ჩამოასვენეს, წირვა და პანაშვიდი ქაშვეთის ეკლესიაში გადაუხადეს და ამის შემდეგ მთაწმინდაზე, მეუღლის გვერდით, დაკრძალეს (ამ საკითხზე იხ. „ივ.", 1902, №№24, 26-28).

მემუარისტის მიერ ნახსენებ „შვილში" იგულისხმება კოტე ყიფიანი.

663. **„იქვე, სახლთან, პატარა ეკლესია ჰქონდათ"** — ეს „პატარა ეკლესია", წმ. გიორგი მთაწმიდლის სახელობისა, აგებულია დიმიტრი ყიფიანის მიერ 1860-1870-იანი წლების მიჯნაზე, საქართველოს ეგზარქოსის ევსევი ილინსკის (1858-1877) ნებართვითა და არქიტექტორ ევგენი ტიმოთეს ძე ბელის პროექტით (დიმიტრის

მიმოწერა ამ საკითხზე იხ. ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №№597, ფ. 1, 779, ფ.4; 1637, ფ1).

664. **ალექსანდრ სერგეის ძე პუშკინი** (1799-1837) — რუსი მწერალი. ალ. პუშკინის თბილისში ყოფნის შესახებ 1832 წლის შეთქმულების გამცემის იასე ფალავანდიშვილის (1803-1857/8) მიერ საამბობი საინტერესო ცნობები დამოწმებული აქვს მწერალსა და ეთნოგრაფს სერგეი მაქსიმოვს (1831-1901) თავის ნიგნში — „Год на севере" (მეოთხე, შეკვსებული გამოცემა, М., 1890, გვ. 406, 408-409).

665. ნიკოლოზ ყიფიანი 1860-იან წლებში მართლაც სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, მაგრამ სრული კურსი არ დაუმთავრებია, რადგანაც ანტირეჟიმულ სტუდენტურ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისთვის გამორიცხეს უნივერსიტეტიდან და ადმინისტრაციული წესით დააბრუნეს სამშობლოში (იხ. სმ-დყ, I, 209-210).

666. სინამდვილეში ნიკ. ყიფიანმა სიცოცხლის ბოლო წლები ბელგიაში (ბრიუსელში) გაატარა, იქვე გარდაიცვალა და დაკრძალულია ბრიუსელის იქსელის სასაფლაოზე.

667. კოტე ყიფიანს დამთავრებული ჰქონდა მოსკოვის პეტროვო-რაზუმოვსკის სამეურნეო-სატყეო აკადემია (იხ.: კ. ყიფიანი, მოგონებები, წერილები, თბ., 1964, გვ. 14; ე. დავითაია, კოტე ყიფიანი, თბ., 1975, გვ. 13).

668. სინამდვილეში კოტე ყიფიანმა მცირე ხანს იმსახურა „ამ დარგში" (იხ. კომენტარი №779).

669. **ფრიდრიხ შილერი** (1759-1805) — გერმანელი მწერალი, ხელოვნების თეორეტიკოსი, ისტორიკოსი.

670. **ჰერმან ზუდერმანი** (1857-1928) — გერმანელი დრამატურგი. კოტე ყიფიანს ნათამაშები აქვს როლები ჰ. ზუდერმანის პიესებში: „მამულ-დედული" და „პატიოსნება" (იხ. ე. დავითაია, კოტე ყიფიანი, თბ., 1975, გვ. 194, 195).

ჰ. ზუდერმანის ქართულ თარგმანებზე იხ. ქსე, ტ. 4, თბ., 1979, გვ. 542.

671. **სიმონ გრიგოლის ძე კლდიაშვილი** (1865-1920) — ვაჟი დიმიტრის ძმისშვილის, მსახიობ ეფროსინე (ეფრო) ყიფიან-კლდიაშვილისა (ეფ. კლდიაშვილზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 243-244), თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის (ამჟამად ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის) შენობის ხუროთმოძღვარი (ს. კლდიაშვილზე იხ. ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება. 1801-1917, II, თბ., 1963, გვ. 172-173).

672. **ალექსანდრე (საბა) კლდიაშვილი** (1873-1905) — მეცნიერი-ქიმიკოსი, ოდესის უნივერსიტეტში დატოვებული საპროფესოროდ მოსამზადებლად. ერთ-ერთი დარბევისას გამოექომაგა ებრა-

ელებს, რის გამოც ნოკლეს (ალ. კლდიამვილზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 247-248).

673. სინამდვილეში **ალექსანდრე (საბა) კლდიაშვილი** ოდესაში დაიღუპა.

674. **ნინო სოლომონის ას. რჩეულიშვილი** — ტექსტის მიხედვით, დიმიტრის ძმისშვილის იოსებ იოსების ძე ყიფიანის მეუღლე, მწერალ გრიგოლ რჩეულიშვილის ძმისშვილი.

675. **გრიგოლ ივანეს ძე რჩეულიშვილი** (1820-1877) — მწერალი (პოეტი, პროზაიკოსი, მთარგმნელი), რომელიც „მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ფსიქოლოგიური რომანის ერთ-ერთ დამწყებად უნდა ჩაითვალოს" (ვ. კოტეტიშვილი, რჩ. ნაწერები, I, თბ., 1965, გვ. 254).

ეკრ. რჩეულიშვილზე იხ. აგრეთვე: ალ. კალანდაძე, გვაქვს საგანძური..., თბ., 1966, გვ. 418-432; ჯ. ჭუმბურიძე, გრიგოლ რჩეულიშვილი, წიგნში: ქართული ლიტერატურის ისტორია (ექვს ტომად), ტ. III, თბ., 1969, გვ. 256-273 და სხვ.

676. **მარიამ იოსებ ყიფიანის ას. თუხარელი** — დიმიტრის ძმის იოსებ ივანეს (ქოჩოს) ძე ყიფიანის (იხ. კომენტარი №16) შვილიშვილი. უნდა აღინიშნოს, რომ ნატალია ყიფიანის ცნობები თავის ოჯახურ წრეზე დოკუმენტურადაც დასტურდება [იხ. სთკმსმ, კ. ყიფიანის არქ., საქ. №1469 (1)].

677. **ანდრია თუხარელი** — ტექსტის მისედვით, დიმიტრის ძმისშვილის იოსებ იოსების ძე ყიფიანის სიძე.

678. **მეტეხი** — სოფ. გორის მაზრაში (ამჟამად კასპის რაიონში შედის).

679. ნატალია ყიფიანის ეს ცნობა არაა სწორი (იხ. კომენტარი №6).

680. **დავით დავითაშვილი** — პედაგოგი, მემუარისტი. 1892-1894 წწ. მასწავლებლობდა წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში, სადაც, სხვათა შორის, ქართულ ენაში საგანგებოდ ამეცადინებდა იმჟამად ქართულის სუსტად მცოდნე მიხეილ ჯავახიშვილს (მ. ჯავახიშვილი, ილია ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული ექვს ტომად, ტ. VI, თბ., 1964, გვ. 478), რომელიც „მადლიერების გრძნობით იგონებდა მის ამაგს. დავითაშვილმა შეაყვარა [მიხ. ჯავახიშვილს] მშობლიური ლიტერატურა, დიდი ამაგი დასდო მშობლიური ენის დაუფლებაში" (ქ. ჯავახიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, თბ., 1984, გვ. 63).

გარდა დიმ. ყიფიანზე დაწერილი მოგონებისა, ლმ-ში (№18530-ბ) დაცულია დ. დავითაშვილის სხვა მოგონებებიც: ი. ჭავჭავაძეზე, ი. გოგებაშვილზე, ა. ფურცელაძეზე, სოფ. მგალობლიშვილზე, შ. ჩიტაძეზე; დ. დავითაშვილის მოგონება — „იაკობ გოგე-

ბამეილის უანგარობა" — გამოქვეყნებული აქვს ზ. ბოცვაძეს (იხ. მისი ნიგნი — იაკობ გოგებაშვილი, თბ., 1991, გვ. 313-314).

681. სინამდვილეში დიმიტრი ყიფიანი „მძინარე" არ მოუკლავთ — ხმაურზე მას გაღვიძებია და მკვლელებს გამოლაპარაკებია კიდეც (იხ. სმ-დყ, I, გვ. 152-153, 165, 167).

682. ფრაგმენტი ა. წერეთლის ლექსისა „ახლანდელი პოლიტიკა", მნიშვნელოვანი სახეცვლილებით (იხ. ა. წერეთელი, თხზ. სრ. კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. II, თბ., 1950, გვ. 172-173).

683. **სილიბისტრო ბესარიონის ძე ჯიბლაძე** (1859-1922) პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი, „მესამე დასის" დამფუძნებელთაგანი, მენშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი; თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლისას (1878-1884 წწ.) ს. ჯიბლაძემ სცემა რექტორი პ. ჩუდეცკი, რის გამოც სემინარიიდან გარიცხეს და ორი წლით დისციპლინურ ბატალიონში სამსახური მიუსაჯეს (ამ საკითხზე იხ.: „დრ", 1885, №№88, 150; ა. ხუნდაძე, რექტორ ჩუდეცკის მკვლელი იოსებ ლალიაშვილი, ტფ., 1933, გვ. 27-28).

684. **ალექსანდრე ნეველის ეკლესია** - რუსული საეკლესიო ხუროთმოძღვრების ტიპური ნიმუში (მდებარეობს კ. მარჯანიშვილისა და ივ. ჯავახიშვილის ქუჩათა შესაყარზე); აგებულია 1863-1864 წწ., აკურთხეს 1864 წლის 30 აგვისტოს (იხ. ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება, II, თბ., 1963, გვ. 28).

685. სინამდვილეში პავლე ჩუდეცკი გაასვენეს არა სიონის ტაძრიდან, არამედ ჯერ პეტრე-პავლეს ეკლესიაში დაასვენეს, საიდანაც გადაასვენეს ალექსანდრე ნეველის ეკლესიაში, ხოლო 26 მაისს „წირვის და წესის აგების შემდეგ დაასაფლავეს ნევსკის გალავანში" (საშიშარი მკვლელობა, „მწყემსი", 1886, №14-15, გვ. 3). შესაბამისად, პავლე ეგზარქოსმაც თავისი ცნობილი წყევლის სიტყვები ალექსანდრე ნეველის ეკლესიაში წარმოთქვა და არა სიონის ტაძარში, როგორც ეს ზოგიერთ წყაროშია აღნიშნული და შეცდომით ჩვენც გვაქვს გამეორებული (იხ. სმ-დყ, I, გვ. 191; ამ საკითხზე იხ. აგრეთვე, კ. ცინცაძე, ჩემი მოგონებიდან, „საღვთისმეტყველო კრებული", 1987, №3, გვ. 30).

686. **ალექსანდრე III** (1845-1894) — რუსეთის იმპერატორი 1881-1894 წწ. (ალექსანდრე III-ზე იხ. ბროკჰაუზი-ეფრონი, წგნ. 1, 1890, გვ. 411-413).

687. **მამადავითის (დავითის) ქუჩა** — ამჟამად ბესიკის ქუჩა.

688. სინამდვილეში ამ დროს თბილისის გუბერნატორი იყო **კარლ ზისერმანი**, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვასთან დაკავშირებულ მოვლენებში (იხ. სმ-დყ, I, გვ. 125-127, 129-130, 133; კ. ზისერმანზე იხ. იქვე, გვ. 214-215).

689. **„სადაც ეხლა მუზეუმის კიბეა“** — იგულისხმება ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი.

690. დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვაზე აკაკიმ წარმოთქვა სიტყვა (ტექსტი იხ. სმ-დყ, I, გვ. 123-124), ხოლო ლექსი არ წარმოუთქვამს. (ამ საკითხზე იხ. ჩვენი წერილი: აკაკი წერეთლის „ეკანიადის“ დათარიღებისათვის, „აკაკის კრებული“, I, თბ., 1999, გვ. 326-330). რაც შეეხება დ. დავითაშვილის მიერ მოყვანილ სტრიქონს, იგი ფრაგმენტია აკაკის ლექსისა — „ქართველი უცხოეთში“, რომელიც პირველად „ივერიაში“ (1888, №21) გამოქვეყნდა სხვა სათაურით — „ქართველი სპარსეთში“ (მოგონების ავტორს ლექსის სტრიქონები არეულიცა აქვს და საბეცვლილიც — იხ. ა. წერეთელი, თხზ. სრ. კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. II, თბ., 1950, გვ. 177-178).

691. სინამდვილეში აკაკი არ დაუჯარიმებიათ. დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვისას გამოჩენილი დაუმორჩილებლობისათვის ორ-ორი თუმნით დააჯარიმეს დავით ყიფიანი და ანტონ ლორთქიფანიძე (იხ. სმ-დყ, I, გვ. 137).

692. **გიორგი ბეჟანის ძე ტატიშვილი** (1870-1955) — დიმიტრი ყიფიანის ოჯახთან დაახლოებული პირი (კოტე ყიფიანის ცოლისძმა); მსახურობდა სააქციზო უწყების მოხელედ — ჯერ ნუხის (აზერბაიჯანი), შემდეგ კი სიღნაღის მაზრებში. სიღნაღში გ. ტატიშვილი აქტიური წევრი იყო იქ მცხოვრებ ქართველ მოღვაწეთა მცირერიცხოვანი ჯგუფისა (ივანე და გიორგი კვალიაშვილები, კოლა ერისთავი, სანდრო დიასამიძე, ლევან ფავლენიშვილი), რომელიც ენერგიულად იცავდა ადგილობრივ მოსახლეობას შოვინისტურად განწყობილი სომხური ბურჟუაზიის შემოტევებისგან და, რაც მთავარია, ამ მსარეში ააღორძინა საზოგადოებრივ ინიციატივაზე დაფუძნებული კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა: ჯგუფის წევრები ხელს უწყობდნენ ახალი სასწავლებლების გახსნას, მართავდნენ წარმოდგენებს, დააარსეს წიგნსაცავ-სამკითხველო და სხვ. ამის შემდეგ გ. ტატიშვილი ქართლში განაწესეს სამსახურში — სადგურ გომის „სარაიონო აქციზად“ და იქაური არყის ქარხნის ზედამხედველად, მაგრამ სამსახურს თავი მალე დაანება და დასახლდა ცოლის, პელაგია წინამძღვრიშვილის, მამულში, სოფელ ნრომში, სადაც გახსნა სკოლა, კოოპერატივი, საფეიქრო, გაიყვანა წყარო, გააშენა სანიმუშო ვაზის სანერგე, ასწავლიდა სოფლის ბავშვებს ვაზის მოვლა-პატრონობას, მეფუტკრეობას, შეუდგა მტკვრიდან სარწყავი არხის გამოყვანას და ა.შ., მაგრამ ამასობაში რევოლუციამ მოუსწრო, ქვეყანა აინენა, ნრომის მამული სოფელს უსასყიდლოდ დაუტოვა, ერთხანს გორში იმსახურა, მაგრამ იქ ფეხი ვერ მოიკიდა და საბოლოოდ თბილისში დამკვიდრდა.

გ. ტატიშვილის პატრიოტული და მოქალაქეობრივი თვითშეგნება კარგად ჩანს მისსავე სიტყვებში: „მე მუდამ უპარტიო ჯგუფში ვიყავი. მწამდა მხოლოდ ის, რომ ჩემი სამშობლოს საკეთილდღეოდ საჭირო იყო ხალხში შემეტანა სწავლა-განათლების შეგნება და ეკონომიურად ხალხის აღორძინება..." [ციტატა ამოღებულია გ. ტატიშვილის აკტიბიოგრაფიული ხასიათის ჩანაწერებიდან, რომელიც მოგვაწოდა მემუარისტის შვილიშვილმა, პროფესიით მეტყველ-ინჟინერმა, გიორგი (გოგი) ტატიშვილმა, რომელსაც მადლობას მოვახსენებთ].

გიორგი ტატიშვილს ბედმა მწარე სიბერე არგუნა — ჰყავდა ოთხი ვაჟიშვილი, რომელთაგან სამი 1920-1930-იანი წლების ბოლშევიკურ რეპრესიებს შეეწირა.

გ. ტატიშვილი დაკრძალულია გორში.

693. მარიამ (მონიკო) გიორგის (იაგორის) ას. მირზაშვილი-ყიფიანი -- დიმიტრის რძლის ნინო ტატიშვილი-ყიფიანის დეიდა; ცოლი ვასილ იოსების ძე ყიფიანისა (იხ. კომენტარი №18).

694. ჩამოთვლილთა გარდა, დ. ყიფიანმა იცოდა ლათინური ენა (იხ. აქვე, გვ. 19), აგრეთვე, შემორჩენილია მისი „თარგმანის ცდები" გერმანულიდან რუსულ ენაზე, კერძოდ, ფრაგმენტი დელბრუკის თხზულებისა — „ჰუმანისტი ანუ ზნეობრივად სრულქმნილი კაცი" (ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №109, ფ. 1).

695. **ისაია იოველის ძე ფურცელაძე** (1851-1924) — მებაღეობა-მეხილეობის სპეციალისტი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე; მონაწილეობდა ხალხოსნურ მოძრაობაში (იხ. გრ. გიორგაძე, თვითმპყრობელობა და რევოლიუცია, წგნ. I, თბ., 1930, გვ. 44).

ი. ფურცელაძე ერთხანს დიმიტრი ყიფიანის ქვიშხეთის მამულების მოურავი იყო, შემდეგ დაბრუნდა მშობლიურ სოფ. მერეთში, სადაც მასწავლებლობდა და იქვე გააშენა ხეხილის ბაღი, რომელზეც „ივერია" წერდა: „სკოლის მასწავლებელს (ი. ფურცელაძეს — თ. ჯ.) გაუშენებია თავის მამულში სამაგალითო ხილის ბაღი, სივრცით ოცს დღიურამდე. ეს ბაღი სხვადასხვა ხილით სავსეა, ათასამდე მარტო მსხლისა და ვაშლის ხეები უდგია ბაღში. თავისუფალ დროს მასწავლებელი თვითონვე მუშაობს თავის ბაღში, ამყნობს ხეხილს და ასწავლის ბაღის მოვლას თავის შეგირდებსაც" (ახალი ამბავი, „ივ.", 1886, №212). ისაია ფურცელაძის მიერ მონეული ხილის ნიმუშები გამოფენებზე იგზავნებოდა თბილისში და დიდ მოწონებასაც იმსახურებდა (იხ. ახალი ამბავი, „ივ.", 1897, №214; 1898, №71). ი. ფურცელაძის „განთქმულ ბაღზე", -- უკვე გავერანებულზე, — უნერია რევაზ გაბაშვილს (რ. გაბაშვილი, რაც მახსოვს, წიგნში: დაბრუნება. ქართული ემიგრანტული ლიტერატურა, გ. შარაძის საერთო რედაქციით, ტ. 3, თბ., 1992, გვ. 258-259).

696. **ოქრო ჭანკოტაძე** — ტექსტის მიხედვით, დიმიტრი ყიფიანის შეზვრე.

697. **„ერთი უშვილო ავალიშვილი“** - ?

698. **ნიფა** — სოფ. შორაპნის მაზრაში (ამჟამად ხარაგაულის რაიონში შედის).

699. **ლიხი** — სოფ. შორაპნის მაზრაში.

700. **ჩუმათელეთი** — სოფ. გორის მაზრაში (ამჟამად ხაშურის რაიონში შედის).

701. **დირბი** - სოფ. გორის მაზრაში (ამჟამად ქარელის რაიონში შედის). ითვლებოდა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის არქიმანდრიტის რეზიდენციად. მდიდარია ისტორიული, არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლებით (იხ. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5, თბ., 1990, გვ. 367-370). აქ დაიბადა მწერალი სოფრომ მგალობლიშვილი (1851-1925).

702. **მოხისი** — სოფ. გორის მაზრაში (ამჟამად ქარელის რაიონში შედის). მოხისის ისტორიაზე, არქეოლოგიურ და არქიტექტურულ ძეგლებზე იხ. წინა კომენტარში მითითებული წიგნი, გვ. 378-380.

703. **ქვენატკოცა** — სოფ. გორის მაზრაში (ამჟამად ქარელის რაიონში შედის).

704. **ფონა** — სოფ. შორაპნის მაზრაში (ამჟამად ხარაგაულის რაიონში შედის).

705. **„ერთ-ერთ აბაშიძისაგან“** — ეს უნდა იყოს „გორის უეზდის სურამის უჩასტკის სოფელს ბეკამს მცხოვრებელი“ დავით ივანეს ძე აბაშიძე, რომელსაც ჩყმდ [1844] წლის აგვისტოში დიმიტრისა და მისი ძმებისთვის — ქაიხოსრო და გიორგი ყიფიანებისთვის — მიუყიდია „ოთხის დღის სახნავი მიწა, მდებარე მახლობლად ტეძრისა ჭინჭარაულში“ (ლმ, №2140, ფ. 39).

706. **სანინო-ჭაჭარაქი** (ამჟამად შედის **ახალდაბაში**) — დიმიტრი ყიფიანის მამული, რომელიც მემკვიდრეობით საზიაროდ ერგოთ ნიკოლოზ და კოტე ყიფიანებს (ხი, ნ. და ბ. ყიფიანების არქ., საქ. №719, ფ. 1).

707. **მილახვრიანთკარსა** და წინამდებარე მოგონებაში ნახსენებ **„ზამოკზე“** იხ. სმ-დყ, I, გვ. 232. მილახვრიანთკარშია დაკრძალული დიმიტრის ცოლისძმა — **მიხეილ (მიშელ) იაგორის (გიორგის) ძე ჭილაშვილი** (იხ. მაქს. ბერძნიშვილი, მასალები..., II, გვ. 259).

708. **პავლე სუთიაშვილი, პეტრე ხაჩიძე** — ტექსტის მიხედვით, ქვიშხეთისა და „ახლომახლო სოფლების“ გლეხთა წარმომადგენლები, რომლებიც რჩევას სთხოვდნენ დიმიტრის „სალდათობის“ საშიშროებასთან დაკავშირებით.

709. სინამდვილეში აბხაზებს 350 000 მანეთად ღირებული მამული საჯარო ვაჭრობით („ტორგით") ვალებში გაეყიდათ და იგი ნაპოლეონ ამატუნმა დაინარჩუნა. ამას გარდა, აბხაზებს ვალებშივე გაეყიდათ 120 000 მანეთად ღირებული ჩითაბევის თუჯის ქარხანა, რომელიც სოლომონ შაბუროვს დარჩა, ხილო მათს საოჯახო ძვირფასეულობას საბოლოოდ ალექსანდრე ტერ-ასატუროვი დაეპატრონა (ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №654, ფ. 135; ა. ჯორჯაძე, დიმიტრი ყიფიანი, წიგნში: წერილები, 1989, გვ. 540).

710. სინამდვილეში დიმიტრი ყიფიანს ი. ფორაქაშვილთან 1869-1870 წწ. ორი სასამართლო პროცესი ჰქონდა, მაგრამ ორივე ნააგო და საბოლოოდ 32 222 მანეთის გადახდა დაეკისრა (ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №654; ა. ჯორჯაძე, დიმიტრი ყიფიანი, წიგნში: წერილები, თბ., 1989, გვ. 539-541).

711. სინამდვილეში დ. ყიფიანი „ოპეკუნობის" პირველ ხანებში (1862 წლის 21 ივნისამდე, როცა ეკატერინე დადიანისა და მისი სამთავრო ოჯახის ინტერესების დაცვისთვის იგი დაითხოვეს სახელმწიფო სამსახურიდან) მსახურობდა მეფისნაცვლის საბჭოს წევრად (ამ საკითხზე იხ. კომენტარი №№167, 362).

712. **თომა გიგიტაშვილი** — ტექსტის მიხედვით, დ. ყიფიანის ლაქია.

713. **ეფემია ექვთიმეს ას. კორინთელი-ყიფიანი** — დიმიტრის ძმის ქაიხოსრო ყიფიანის ცოლი. ახლობლების მიმოწერაში ხშირად ისმის წუხილი ეფემიას ავადმყოფობის გამო. ასე, მაგალითად, 1860 წლის 20 ნოემბერს დიმიტრი პეტერბურგიდან სწერს თავის ცოლს: „საბრალო ეფემია! ნუთუ ისე ცუდადაა, რომ განძრევაც არ შეუძლია? ეს საშინელებაა!" (ლმ, №14810-ხ). ლმ-შივეა დაცული (№26471-ხ) ეფემია და ქაიხოსრო ყიფიანების ერთ-ერთი შვილის — ივანეს — უთარიღო ლექსი „დედაჩემის ეპიტაფია":

ათი შვილი გამოვზარდე,
მიუძღვენი ჩემ ქვეყანას,
ჭირი ბევრი გამოვცადე
ბოლოს მიწაც დამეყარა და ა.შ.

714. **ალექსანდრე ქაიხოსროს ძე ყიფიანი** (დაბ. 1845) — დიმიტრის ძმისშვილი. ცოლად ჰყავდა ანიკო ალექსეევა [იხ. სთკმსმ, კ. ყიფიანის არქ., №1501 (1)]; დარჩათ ორი შვილი: ქაიხოსრო და გიორგი [იქვე, №1469 (1)].

715. **მიხეილ (მიშო) ქაიხოსროს ძე ყიფიანი** (1846-1916) — პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, ჟურნალისტი, მწერალი, საქართველოში ხალხოსნური მოძრაობის ერთ-ერთი მეთაური, უაღრესად ტრაგიკული ბედის ადამიანი (მ. ყიფიანზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 245-247).

716. ლუარსაბ ქაიხოსროს ძე ყიფიანი (დაბ. 1852) — დიმიტრის ძმისშვილი. „დროების" ერთ-ერთ პუბლიკაციაში ლუარსაბი ასეა დახასიათებული: „ერთი ყ[იფიანი]ია, ლ[უარსაბ], რომელიც ძველებურ დროში რომ ყოფილიყო, ბევრ მამულის მტერ ეათარსა და ლეკს თავს ზარს დასცემდა თაეის ვაეკაცური შეხედულობით და მამაცობით. მაგრამ ეხლა ისეც დაჩაგრულ, განიორწყლებულ გლეხ-კაცებს სულთა-მხუთაესავით აშინებს და აფრთხობს. ბაშურსა თუ სურამს ღამეში ორი თუმანი არა ჰყოფნის; სკოლის ხსენება ჭირსავით ეჯავრება. აბან რომ მოინდომოს, ქვიშხეთში კი არა, ღორსაკალზე გაეკეთებინებს ქვიშხეთელებს კარგ სკოლასო" (ფანქრათ, ქართლის პანარამა, „დრ.", 1882, №18; საპასუხო წერილში ლუარსაბ ყიფიანი თავს იმართლებს: ქვიშხეთში სკოლის გასამართად დიდი შრომა მაქვს განეული, მაგრამ თვითონ მოსახლეობაა ამ საქმისადმი უმედოდ განწყობილიო — იხ. ლ. ყიფიანი, წერილი რედაქტორთან, „დრ.", 1882, №44). 1888 წლის აგვისტოში, სურამში, ლუარსაბს ჩხუბში კაცი (სარდიონ მაჭავარიანი) შემოჰკვდომია (ამ საკითხზე იხ.: დ. სურამი, „ივ.", 1888, №176; მიხ. ქ. ყიფიანი, წერილი რედაქციის მიმართ, „ივ.", 1888, №182).

1893 თუ 1894 წელს ლუარსაბ ყიფიანის ოჯახში, - მისი ერთ-ერთი ქალიშვილის ქორწილში, - ნამყოფია ილია ჭავჭავაძე (იხ. ნინო ყიფიანის მოგონება კრებულში: მოგონებანი გარდასულ დღეთა. ილია ჭავჭავაძე, შემდგენლები: გ. გვერდწითელი, ს. ცაიშვილი, თბ., 1987, გვ. 529-530).

უსიამოვნება დიმიტრი ყიფიანსა და ლუარსაბს შორის, რაზეც გ. ტატიშვილის წინამდებარე მიგონებაშია საუბარი, დოკუმენტურადაც დასტურდება (იხ.: ლუარსაბ ყიფიანის 1874 წლის 9 სექტემბრის საჩივარი თბილისის საოლქო სასამართლოსადმი დიმ. ყიფიანთან სადავო ვენახის შესახებ — ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №626, ფ. 2; აგრეთვე, დიმ. ყიფიანის 1884 წლის 16 მარტის განცხადება სურამის უბნის სასამართლოსადმი ლუარსაბთან სადავო მამულის შესახებ, იქვე, საქ. №633, ფ. 1).

717. ანტირეჟიმული პოლიტიკური საქმიანობისათვის მიხეილ (მიშო) ყიფიანი ორჯერ იყო საქართველოდან გადასახლებული — 1878-1881 და 1883-1887 წწ. (იხ. სმ-დყ, I, გვ. 245). ძნელი სათქმელია, მოგონების ავტორი აქედან რომელს გულისხმობს.

718. ვასილ სუმბათაშვილი — ნიკოლოზ ბარათაშვილის დის სოფიოს (1842-1916) მეუღლე; გენერალი, რომელიც სამსახურიდან გასვლის შემდეგ თავის მშობლიურ ქვიშხეთში ცხოვრობდა. „ცნობის ფურცელში" გამოქვეყნებულ ერთ პუბლიცისტურ თხზულებაში ნახსენებია ქვიშხელი „მემამულე ვასილი", რომელიც „მდიდარი მებატონეა, ახალ-ახალ შენობებს ეტანება, გლეხკაცებს აწუხებს, მაგრამ მაინც დიდი გავლენა აქვს ხალხზე", თუმცა ახალგაზრდო-

ბის სწავლა-განათლების ხელშეწყობაზე სულაც არ ფიქრობსო (ლ. ყ[იფიანი], ორი შენობა, „ცნ.ფ.“, 1903, №2171). ცნობილი ბიბლიოგრაფის თამარ მაჭავარიანის აზრით, ეს „მეშამულე ვასილი“ ნ. ბარათაშვილის სიძე ვასილ სუმბათაშვილი უნდა იყოს (იხ. ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ტ. VI, ნაწ. II, თბ., 1975, გვ. 522, №8(23).

719. **ნიკოლოზ მელიტონის ძე ბარათაშვილი** (1817-1845) — დიდი ქართველი პოეტი-რომანტიკოსი; 1830-იან წწ. მონაწილეობდა თბილისის გიმნაზიის მოწაფეთა ხელნაწერი ჟურნალების ბედგენაში (იხ. მ. გოცაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, I, თბ., 1954, გვ. 248-262), დიმ. ყიფიანის ინიციატივითა და საერთო ხელმძღვანელობით დაარსებული „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ დამფუძნებელი წევრი (ამ საკითხზე იხ. ჯოლოგ., დიმ. ყიფ., გვ. 229). საერთოდ, დიმ. ყიფიანსა და ნ. ბარათაშვილს ახლო მეგობრობა აკავშირებდათ. დიმიტრის მეუღლის ნინო ჭილაშვილ-ყიფიანის თქმით, „ნიკო დიდი მეგობარი იყო დიმიტრისა და დილიდან საღამომდე ჩვენთან რჩებოდა: აქ სადილობდა, აქ ვახშმობდა. ეგაა მხოლოდ, ღამეს არ ათევდა ჩვენსას“ (ნ. ბარათაშვილი, ლექსები. ბედი ქართლისა. წერილები, ს. ფირცხალავას რედაქციით, ტფ., 1922, გვ. 244). გ. ტატიშვილს დარჩა კიდევ ერთი საინტერესო მოგონება, ამჯერად ნიკოლოზ ბარათაშვილის დებზე: სოფიო სუმბათაშვილსა (1842-1916) და ბარბარე ვეზირიშვილზე (1835-1919), სადაც, სხვათა შორის, ნათქვამია: „დიმიტრი ყიფიანის ოჯახში ხშირად იყო ხოლმე ლაპარაკი ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ. ამ ხშირი მოგონებიდან ჩანდა, რომ დიმიტრის ოჯახის უპირველესი, საყვარელი მეგობარი იყო. ხშირად მოიგონებდნენ მის ოხუნჯობას, მის ცეკვასა და მხიარულებას; ხშირად ჰქონდათ სჯა-ბაასი მის დიდ პოეტურ ნიჭზე, სამშობლოს სიყვარულზე, მის უმწიკვლო პატიოსნებასა და თავმოყვარეობაზე; ხშირად მესმოდა: როგორი და არის სოფიო ტატოსი — ხასიათითა და აღზრდით სრულიად არა ჰგავსო; ტატო სრულიად უბრალო კაცი იყოო, თავმდაბალი და გულკეთილი, სოფიო კი — ამაყი და ამპარტავანი. გამიგონია, რომ [ნიკოლოზ ბარათაშვილი] სუფრაზეც კი ისეთი მხიარული იყო, რომ ბადალი არა ჰყავდაო; ლოთობა არ უყვარდაო და ამისთანებს კიდევაც კიცხავდაო, ქეიფში კარგი სიმღერითა და კარგი, შეგნებული საზოგადოების შეკრებით, შუდამ მზად იყო მონაწილეობა მიეღოო. ამ დროს ხშირად თავის უბის დავთარში რაღაცას ჩასწერდა ხოლმეო. ამბობდნენ: თუ ტატო ჩვენთან შინაურულად სადილის დროს ან ვახშამზე არ მოვიდოდაო, ჩვენ ყველანი ნანყენი ვრჩებოდითო და ვინც კი ზარს დარეკავდა, ჩვენ გული ფანცქალს დაგვინყებდა ტატოს მოლოდინშიო. ხშირად იგონებდნენ დიმიტრის ოჯახში, თუ რა თავზარი დაეცა მთელს დიმიტრის ოჯახს, როცა ტატოს ავად-

მყოფობა და მერმე სიკვდილი შეიტყვეს... დიმიტრის ოჯახს ისე უგლოვია, როგორც სხვა მის უახლოეს სათესაობას. დიდხანს მათი სახლი გლოვის ოჯახად ყოფილა გამოცხადებული.

ვახშამზე რომ დაინყებდნენ ტატოზე ლაპარაკს, ისე გაერთობოდნენ ხოლმე, რომ მამლების ყივილზე გაახსენდებოდათ ძილის დრო. თვითონ დიმიტრი ტატოს მოგონებაზე უსათუოდ იტყოდა: საშშობლომ დაკარგა დიდი კაცი და ეე — ბეგობარიო. ამას იტყოდა უსათუოდ ფერნასული და ამოიოხრებდა" (გ. ტატიშვილის ეს მოგონება სრულად იხ. ი. ჯოლოგუა, რამდენიმე ახალი ცნობა ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიისათვის, ჟურნ. „არილი", 2001, №11, გვ. 3-7).

დიმიტრი ყიფიანს მის მიერვე შედგენილ ერთ-ერთ ხელნაწერ კრებულში 1847 წელს შეტანილი აქვს ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისა" (H-1430, ფ. 24-28).

დიმიტრი ყიფიანის დიდად საინტერესო მოგონება ნიკოლოზ ბარათაშვილზე გამოქვეყნებული აქვს გ. ლეონიძეს (იხ. გ. ლეონიძე, ნიკოლოზ ბარათაშვილის გარშემო, „ლიტერატურის მატიანე", №1-2, 1940, გვ. 409-411).

720. **ლაზარევი** — ტექსტის მიხედვით, ოფიცერი, რომელთანაც არაკანონიერი ცოლქმრობა აკავშირებდა ანასტასია (ტასო) ერისთავ-ყიფიანს.

721. **დიმ. ყიფიანის ანდერძი**, რომლის შინაარსსაც გ. ტატიშვილი არსებითად სწორად გადმოსცემს, შედგენილია 1886 წლის 22 დეკემბერს, სტავროპოლში, და მისი ასლი ამჟამად დაცულია ლმ-ში (№19885-ხ, ფ. 2).

1888 წელს, დიმიტრის გარდაცვალების შემდეგ, მისი ოჯახის წევრებს, ჩაის, სწორედ ამ ანდერძის საფუძველზე, გაუყვიათ ადგილ-მამული და ქონება, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ანდერძის მიხედვით, ქვიშხეთის მამული (სახლი, ბაღები, ზვარი და სხვ.) უნდა დარჩენოდა დიმიტრის მეუღლეს ნინო ჭილაშვილ-ყიფიანს, მაგრამ ამ უკანასკნელს თავისი წილი კოტესთვის ურგუნებია (იხ. ხი, ნ. და ბ. ყიფიანების არქ., საქ. №719, ფ.2).

722. **ამ დროს გორის მაზრის უფროსია ამირინდო ამირინდოს ძე ამილახვარი** („კ.კ.", 1886, გვ. 28).

ა. ა. ამილახვრისა და დ. ყიფიანის მიმოწერა (1885 ნ.) ქვიშხეთის სკოლისთვის მინის გამოყოფის შესახებ იხ. ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №598-599, ფ. 4; მათივე 1884 წლის მიმოწერა ქვიშხელი გლეხების შრომითი ბეგარისგან გათავისუფლების თაობაზე გამოქვეყნებული აქვს შ. ჩხეტიას (იხ. მისი, მასალები დიმიტრი ყიფიანის მკვლელობაზე, „საისტორიო მოამბე", №3, 1947, გვ. 396-398).

ამირინდო ამილახვარი დამფუძნებელი წევრი იყო „ქშნ-კგ საზოგადოებისა" (იხ. ლ. გოდერიძე, მასალები ქართველთა შორის

ნერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ისტორიისათვის, „საისტორიო მოამბე", №37-38, 1978, გვ. 32).

723. **მიხეილ იაგორის ძე ტერ-აკოფოვი** — სურამის (და არა ხაშურის, როგორც მოგონების ავტორი წერს) ბოქაული (იხ. „კ.ქ.", 1887, გვ. 26).

724 **„ხელმწიფის" (ალექსანდრე III-ის) „განკარგულების"** შესახებ იხ. სმ-დყ, I, გვ. 16.

725. მემუარისტის ეს ცნობა სხვა წყაროებით არ დასტურდება.

726. მემუარისტის მონათხრობი დ. ყიფიანის სტავროპოლში გამგზავრების შესახებ დაზუსტებას საჭიროებს. საქმე ისაა, რომ ალექსანდრე III-ის განკარგულების შესრულება საკმაო ხანს გაჭიანურდა — იმპერატორის მიერ 1886 წლის 4 აგვისტოს გაცემული განკარგულება დ. ყიფიანს 26 აგვისტოს გააცნეს, ხოლო სტავროპოლში იგი (დ. ყიფიანი) 27 ოქტომბერს გაემგზავრა (ამ საკითხზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 16-21).

727. სამსახურიდან დიმიტრი ყიფიანის დათხოვნის გარემოებებზე იხ. აქვე, კომენტარი №№167, 362; აგრეთვე, ა. ჯორჯაძე, დიმიტრი ყიფიანი, წიგნში: წერილები, თბ., 1989, გვ. 443, 453.

728. დიმიტრი ყიფიანის 20 ბარათი — გამოგზავნილი სტავროპოლიდან საქართველოში იხ. დ. ყიფიანი, რა ხალხია ქართველები?, თბ., 1997, გვ. 83-118.

729. **„თავისებური საქმიანი მოხსენება"** დიმ. ყიფიანმა მართლაც „დაამზადა" სტავროპოლში; კერძოდ, ესაა ვრცელი განმარტებითი ბარათი — „იმ ფაქტების შესახებ, რომლებმაც ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის მიმართ ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის გულისწყრომა გამოიწვია" (ტექსტი იხ. სმ-დყ, I, გვ. 21-44).

730. სინამდვილეში სტავროპოლში **„კოლა და სიძე ანტონ ლორთქიფანიძე"** კი არ გაემგზავრნენ, არამედ კოტე ყიფიანი და დიმიტრის ახლო ნათესავი ლევან ივანეს ძე ყიფიანი, რომელთაც იქ დახვდა ვლადიკავკაზიდან ჩასული მიხეილ ზაალის ძე ყიფიანი (იხ. სმ-დყ, I, გვ. 82, 83, 88).

731. **„სობორო"** — იგულისხმება მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარი (აქ გადახდილ პანაშვიდზე, აგრეთვე, ტაძრიდან დ. ყიფიანის გამოსვენების დროს მომხდარ ინციდენტზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 99, 130).

732. **ლენინის ქუჩა** — ამჟამად მერაბ კოსტავას ქუჩა.

733. **სვიმონ აბაშიძე** - ? (ყოველ შემთხვევაში, ეს არ უნდა იყოს დ. ყიფიანის პეტერბურგელი ნაცნობი სვიმონ აბაშიძე-გორლენკო, რომლის თბილისში ყოფნა დიმიტრის დაკრძალვისას სხვა წყაროებით არ დასტურდება (ს. აბაშიძე-გორლენკოზე იხ. დიმიტ-

რი ყიფიანის დღიური, „ლიტერატურა და ხელოვნება", 1991, №1, გვ. 216, 217, 225).

734. სინამდვილეში დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვაზე ერთადერთი სიტყვა წარმოითქვა — აკაკი წერეთლისა (ტექსტი იხ.: ი. უთურაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, თბ., 1989, გვ. 311; სმ-დყ, I, გვ. 123-124). ამ საკითხზე იხ. ჩვენი წერილი — აკაკი წერეთლის „განთიადის" დათარიღებისათვის, „აკაკის კრებული", I, თბ., 1999, გვ. 326-330.

735. სინამდვილეში დ. ყიფიანის დაკრძალვაში მონაწილეობისათვის არავინ დაუპატიმრებიათ. რაც შეეხება ანტონ ლორთქიფანიძეს, ისა და დავით ყიფიანი ორ-ორი თუმნით დააჯარიმეს (იხ. სმ-დყ, I, გვ. 137).

736. მთავარმართებელ ალ. დონდუკოვ-კორსაკოვის დეპეშა და ვრცელი მოხსენებითი ბარათი რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის, დიმიტრი ტოლსტოისადმი, იხ. სმ-დყ, I, გვ. 127-128, 130-134.

737. **ბოლგოვსკი** — გენერალ-მაიორი, ვოლოგდის სამოქალაქო გუბერნატორი 1830-იან წლებში (დ. ყიფიანისა და ბოლგოვსკის ურთიერთობაზე იხ. დ. ყიფიანი, მემუარები, 1990, გვ. 24-25).

738. მემუარისტის ეს ცნობა დოკუმენტურად დასტურდება. კერძოდ, ხი-ში (დ. ყიფიანის არქ., საქ. №118, ფ.1) დაცული ერთი საბუთის მიხედვით, გენერალი ბოლგოვსკი 1836 წლის 15 სექტემბერს რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრს ოფიციალურად მიმართავს — დიმ. ყიფიანი აუცილებლად საქართველოში უნდა იქნეს სამსახურში გდაყვანილი, რადგანაც მან წარმომიდგინაო „მშობლების წერილი, რომელშიც ისინი ეევედრებიან სამშობლოში დაბრუნებას, როგორც ერთადერთ ნუგეშსა და დასაყრდენს სიბერეში".

739. სინამდვილეში დიმიტრი ყიფიანის ოჯახში რუსული ენა ხშირად იხმარებოდა (ფრანგულთან ერთად). საქმე ისაა, რომ დიმიტრის მეუღლე — დედით რუსი — პეტერბურგში რუსულად იყო აღზრდილი და ქართული მაინცდამაინც არ ეხერხებოდა. ამიტომაც სწერდა, სხვათა შორის, დიმიტრი სტავროპოლიდან თავის რძალს ნინო ტატიშვილ-ყიფიანს: ჩვენს ოჯახში „მარტო მე და შენა ვრჩებით გაურუსებელნი... თორემ, ჩემს ლოკას (დიმიტრის ქალიშვილი ელენე ყიფიანი-ლორთქიფანიძე — თ.ჯ.) გარდა, ყველანი რუსულათა ვსწერთ ერთმანეთსო" (სმ-დყ, I, გვ. 49).

740. **„დედაჩემი" — ეკატერინე გიორგი (იაგორ) მირზაშვილის ას. ტატიშვილი** (იხ. მასზე: სმ-დყ, I, გვ. 231-232).

741. ნინო ტატიშვილ-ყიფიანის ერთი მოგონების მიხედვით, ეკატერინე ტატიშვილს ობლად დარჩენია არა ექვსი, არამედ შვიდი შვილი (იხ. ნ. ყიფიანი, მოგონებანი, ლმ, №13177-ხ, ფ. 1).

742. **ნიკოლოზ (ნიკო) ბეჟანის ძე ტატიშვილი** (დაბ. 1860) — დამთავრებული ჰქონდა პოლტავის საკეხედრო კორპუსი და გორის პედაგოგიური კურსები. პასნავლებლობდა ბორჯომში (ნიკ. ტატიშვილზე იხ. აგრეთვე, სმ-დყ, I, გვ. 235, 237).

743. ეკატერინე მირზაშვილი-ტატიშვილი ცხოვრობდა გორის მაზრის სოფ. ძვილეთში.

744. ეკატერინე მირზაშვილ-ტატიშვილის მეუღლე, ჯავის ხეობის დიამბეგი **ბეჟან ივანეს ძე ტატიშვილი,** დაიღუპა 1870 წლის ოქტომბერში, ორმოციოდე წლისა (იხ. ნ. ყიფიანი, მოგონებანი, ლმ, №13177-ხ, ფ. 1-2).

745. **ფიცხელაური** — ტექსტის მიხედვით, ქართველთა შორის სწავლა-განათლებაზე მზრუნველი ბიუროს გამგე. ვერც ფიცხელაურსა და ვერც აღნიშნულ „ბიუროზე" ცნობები ჩვენ ვერ მოვიპოვეთ.

746. **„დიმიტრის საფლავზე ღირსეული ძეგლის დადგმაზე"**, აგრეთვე, ძეგლის კურთხევაზე (1899 ნ. 24 ოქტომბერი) ალავერდის ეპისკოპოსის, შემდგომში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის კირიონ II-ის, მიერ წარმოთქმული სიტყვა იხ. სმ-დყ, I, გვ. 135, 176-184.

747. **გაბრიელ (გლახა) ბაბანას ძე ჭილაშვილი (ჭილაძე,** წყაროებში გვხვდება **ბაბანაშვილის** გვარითაც) (1762-1818) — დიმიტრის მეუღლის ნინო ჭილაშვილ-ყიფიანის ბაბუა, ვახტანგ (ალმასხან) ერეკლე II-ის ძე ბატონიშვილის ამილახორი; მიუხედავად იმისა, რომ აზნაური იყო, შეძლებითა და გავლენით მეტად თვალსაჩინო ფიგურად ითვლებოდა იმდროინდელ საქართველოში; 1803 წელს თან გაჰყვა პეტერბურგში გადასახლებულ ვახტანგ (ალმასხან) ბატონიშვილს და ამის შემდეგ პერიოდულად ჩამოდიოდა საქართველოში. მართალია, გ. ჭილაშვილს რუსთა წინააღმდეგ მოძრაობაშიც მიუღია მონაწილეობა, მაგრამ საბოლოოდ იგი ჩამოყალიბდა, როგორც პრორუსული მიმართულების პოლიტიკური ფიგურა (იხ. მაქს. ბერძნიშვილი, მასალები..., II, გვ. 254-257).

გ. ჭილაშვილის (ჭილაძის) მიმოწერა მეტად საინტერესო მასალას იძლევა ქართველ ბატონიშვილთა წრის რუსეთში ცხოვრების შესახებ [იხ. ნ. ნაცვლიშვილი, გაბრიელ ჭილაძის წერილები, „საისტორიო მოამბე", №53-54, 1986, გვ. 334-396; ერეკლე II-ისა და ბატონიშვილთა (ვახტანგ, ლევან, მირიან, ფარნაოზ და სხვ.) წყალობის სიგელები გაბრიელისა და მისი მამის — ბაბანასადმი, აგრეთვე, სხვა მასალა ამ უკანასკნელთა ბიოგრაფიისათვის იხ. ნ. ნაცვლიშვილი, მემამულური მეურნეობის დოკუმენტები (მე-18 საუკუნის დამლევი და მე-19 საუკუნის დამდეგი), „საისტორიო მოამბე", №61-62, 1991, გვ. 370-408].

748. **ვახტანგ (ალმასხან) ერეკლე II-ის ძე ბატონიშვილი** (1761-1814) — კრნასისის ცნობილი ბრძოლის აქტიური მონაწილე. გიორგი XII-ის ოპოზიციონერი. ერთხანს დედასთან — დარეჯან დედოფალთან — ერთად იყო დაპატიმრებული. 1803 წელს გადაასახლეს რუსეთში (პეტერბურგში) და იქვე აღესრულა. დაკრძალულია ალექსანდრე ნეველის ეკლესიაში (წყაროები და ლიტერატურა ვახტანგ ბატონიშვილზე იხ. ქსე, ტ. 4, 1979, გვ. 337).

749. სინამდვილეში 1814 წელს გარდაიცვალა **ვახტანგ (ალმასხან) ბატონიშვილი**, სოლო რაც შეეხება გლახა ჭილაშვილს, იგი გარდაიცვალა 1818 წლის დეკემბერში (იხ. მაქს. ბერძნიშვილი, მასალები..., II, გვ. 256).

750. სინამდვილეში **იაგორ (გიორგი) ჭილაშვილი** დაიბადა არა რუსეთში, არამედ საქართველოში (მაქს. ბერძნიშვილი, მასალები..., II, გვ. 257). ამასთანავე, მას ჰქონდა არა „დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის" ჩინი, - როგორც მემუარისტი აღნიშნავს, - არამედ „სტატსკი სოვეტნიკისა".

751. **მიხეილ (მიშელ) ჭილაშვილზე** იხ. კომენტარი №84; აგრეთვე, სმ-დყ, I, გვ. 237-238.

752. **„ორი ქალი"** — დიმიტრი ყიფიანის ცოლი ნინო (იხ. კომენტარი №75) და ცოლისდა ელისაბედ (ლიზა) ჭილაშვილი-ნაზოროვა (ელ. ნაზოროვაზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 228-229).

753. სინამდვილეში **„საქართველოს უმაღლესი საბჭოს პროკურორი"** იყო არა მიხეილი, არამედ მამამისი — იაგორ (გიორგი) ჭილაშვილი (იხ. კომენტარი №73).

754. ნინო ჭილაშვილ-ყიფიანის **„ზოგი თავისებურების"** წარმოსადგენად საინტერესო მასალას იძლევა მისი 1883 წლის „პირობის წერილი" მოახლედ აყვანილ ქვეშხელ გოგონასთან, ლიზა გიგიტაშვილთან (ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №632, ფ. 2). ნინოს ბევრ სხვა უცნაურ მოთხოვნათა შორის ერთი ასეთიცაა: იგი მოახლეს კატეგორიულად უკრძალავს გათხოვებას მასთან შეუთანხმებლად და თუ ეს მაინც მოხდა, ყველაფრის ჩამორთმევითა და ოცი თუმნის ჯარიმით ემუქრება.

საბუთს ახლავს მიხეილ (მიშო) ქაიხოსროს ძე ყიფიანის კომენტარი, სადაც ნათქვამია: „ნინო საზოგადოდ თავისებური ადამიანი იყო, რომელიც ამბობდა დაჟინებით: ვსნუხვარ, რომ არ შემიძლიან, ღმერთი ყოვლად ძლიერი ჩემს ნებაზე იყოს, რომ მხოლოდ ჩემი დიმიტრისათვის და ჩემი შვილებისათვის ჰზრუნავდეს და სხვისთვის არავისთვისო". დასასრულ, მიშო ყიფიანი დასძენს: „უნდა სიმართლე ვსთქვა, რომ მისი მრავალ წელს მეუღლეობა მართლა გმირობად უნდა ჩაითვალოს დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანის მიერო".

755. ნიკ. ყიფიანი 1890 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე საზღვარგარეთ ცხოვრობდა (იხ. სმ-დყ, I, გვ. 210).

756. **გაბრუშკა** — ტექსტის მიხედვით, ნინო ჭილაშვილ-ყიფიანის მკერავი.

757. ამ საკითხზე იხ. კომენტარი №662.

758. დიმიტრი და ნინო ყიფიანებს ექვსი შვილი ეყოლათ, რომელთაგან სამი შერჩათ (ამ საკითხზე იხ. კომენტარი №383; აგრეთვე, სმ-დყ, I, გვ. 264-265).

759. ნიკ. ყიფიანი 1370 წლიდან იწყებს ვექილობას ქუთაისში, ხოლო 1883-1890 წწ. იგი არის «Поверенный по судебным делам Кутаисского судебного округа в г. Батуме» (ლმ, №15176-ხ, ფ. 1).

760. ეს ცნობა დასტურდება სხვა წყაროებითაც (იხ. ალ. კალანდაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, III, თბ., 1985, გვ. 654, 655), თუმცა, ივ. გომაროლის თანახმად, ნიკ. ყიფიანი „უცხოეთში ჟან მარტენის სახელით» ცხოვრობდა (ივ. გომართელი, რჩ. თხზ., ტ. II, თბ., 1966, გვ. 118, 119).

761. 1872 წელს „სასოფლო გაზეთი" (№19, გვ. 8) იუწყებოდა გამომცემელი ნიკოლოზ ყიფიანი აპირებს ამ მოკლე ხანში შეუდგეს სახალხო წიგნების გამოცემასო და, მართლაც, იმავე წელს ნიკ. ყიფიანმა გამოსცა „არსენას ლექსი. მესტვირეთაგან თქმული სახალხო პოემა".

762. ესაა ნ. ნეკრასოვის ლექსის — „როდეს შემესმის კვალად ბრძოლის ხმა" — ანტონ ფურცელაძისეული თარგმანი, რომელსაც მთარგმნელი ნიკ. ყიფიანს უძღვნის.

763. ნიკ. ყიფიანის მიერ ანტონ ფურცელაძისადმი ბრიუსელიდან 1902 წელს გამოგზავნილი ეს წერილი ამჟამად დაცულია ლმ-ში (№7373-ხ).

764. **პეტრე ალექსის ძე პეშჩუროვი** (1830-1898) — რუსი სახელმწიფო მოხელე, საიდუმლო მრჩეველი („ტაინი სოვეტნიკ"). მიღებული ჰქონდა იურიდიული განათლება. წარმოშობით კალუგის გუბერნიიდან იყო, ხოლო კავკასიაში მსახურობდა 1866 წლიდან გარდაცვალებამდე. სხვადასხვა წლებში იყო განჯის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე, თბილისის სასამართლო პალატის დეპარტამენტის თავმჯდომარე, მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს უფროსი, ხოლო 1883 წლიდან -- მთავარმართებლის საბჭოს წევრი; ხელმძღვანელობდა, აგრეთვე, კომისიას, რომელსაც ხიზანთა შესახებ დებულების შემუშავება ჰქონდა დავალებული. „ცნობის ფურცელში" იგი დახასიათებულია, როგორც „განათლებული და კაცთმოყვარე მოღვაწე" („ცნ. ფ.", 1898, №566; პ. პეშჩუროვზე იხ. აგრეთვე, „ივ.", 1898, №№132, 133).

გ. ტატიშვილის მიერ ნახსენებ **„მავნე პოლიტიკურ პარტიაში"** იგულისხმება ხალხისანთა ქუთაისის წრე, ხოლო პ. პეშჩუროვსა და დ. ყიფიანს შორის ამ საკითხზე მიმოწერა იხ. შ. ჩხეტია,

მასალები დიმიტრი ყიფიანის მკვლელობაზე, „საისტორიო მოამბე", №3, 1947, გვ. 361-362.

დ. ყიფიანისა და პ. პეშჩუროვის კერძო ხასიათის მიმოწერა (1879-1881 წწ.) იხ. ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №№781-783; 1572-1573, ფ. 3.

765. **კისლი** — ტექსტის მიხედვით, დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის ბორჯომის მამულის მმართველი.

766. ამ „წერილების" ერთი ნაწილი მესულია წიგნში: დ. ყიფიანი, რა ხალხია ქართველები?, თბ., 1995, გვ. 89-91, 94, 96-104, 111, 117.

767. რ. ჯოვანიოლის „სპარტაკის" ნინო ყიფიანისეული თარგმანი პირველად გამოიცა თბილისში, 1900 წელს (ამ თარგმანზე იხ. ივ. გომართელი, ჩვენი მოღვაწე ქალები — ნინო ბეჟანის ასული ყიფიანისა, რჩ. თხზ. ორ ტომად, ტ. II, თბ., 1966, გვ. 151-152).

768. **„ქართულ-რუსულ ბოტანიკურ „სლავარს"**, უფრო ზუსტად კი — რუსულ-ქართულ-ლათინურ ბოტანიკურ ლექსიკონს ადგენდა არა ნინო, არამედ კოტე ყიფიანი (ამ საკითხზე იხ. ივ. გომართელი, კონსტანტინე დიმიტრის ძე ყიფიანი, რჩ. თხზ. ორ ტომად, ტ. II, თბ., 1966, გვ. 139-140).

769. **„პეტიცია"**. უნდა იყოს: **„მატიცა"** — სლავ ხალხთა (სერბები, ჩეხები, სლოვენები, სლოვაკები, უკრაინელები, ხორვატები, მორაველები) ეროვნული მიზანდასახულობის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებები („მატიცაზე" იხ. ბროკჰაუზი-ეფრონი, წგნ. 36, 1896, გვ. 804; ბსე, ტ. 15, 1974, გვ. 505-506; ს. ხუციშვილი, მანათობელი, თბ., 1980, გვ. 10).

ნინო ტატიშვილ-ყიფიანის ინიციატივით 1907 წელს შეიქმნა „ქალთა წრის კომისია", რომელიც მიზნად ისახავდა საზოგადოებიდან აკრეფილი სახსრებით ახალგაზრდობის სწავლა-განათლებისთვის სპეციალური ფონდის შექმნას. „კომისიის" სახელით ნინომ ორჯერ (1907 და 1908 წწ.) გამოსცა „მონოდება სწავლა-განათლებისათვის", რომელსაც თან „ჩეხური მატიცას" წესდებაც დაურთო (ამ საკითხზე იხ. ნ. ჩიხლაძე, ღვაწლმოსილი ქართველი მანდილოსნები, თბ., 1976, გვ. 63-64).

770. **ვლადიმერ სარდიონის ძე ალექსი-მესხიშვილი (ლადო მესხიშვილი)** (1857-1920) — მსახიობი, რეჟისორი, საქართველოს სახალხო არტისტი (მიენიჭა 1930 წელს — გარდაცვალების შემდეგ).

1913 წელს ლადო მესხიშვილს საზოგადოებამ გადაუხადა იუბილე, რომელშიც მონაწილეობის მიღება ნდომებია ვაჟა ფშაველას და საამისოდ ლექსიც — „ვლ. მესხიშვილის საიუბილეოდ" — დაუწერია, მაგრამ ორგანიზატორებს ვაჟა იუბილეზე აღარ მიუწვევი-

ათ და ლექსიც მოგვიანებით (1937 წ.) გამოქვეყნდა (ვაჟა-ფშაველა, თსზ. სრ. კრებული ხუთ ტომად, ტ. I, თბ. 1961, გვ. 341, 513-514).

ლიტერატურა ლადო მესხიშვილზე იხ.: ქსე, ტ. 1, 1975, გვ. 302; აგრეთვე, ს. ხუციშვილის მიერ შედგენილი „ქართველ მოღვაწეთა ნეკროპოლი" (წგნ. I, თბ., 1961, გვ. 14).

771. **ნატალია (ნატო) მერაბის ას. გაბუნია** (1859-1919) — მსახიობი, ქართული პროფესიული თეატრის დიდი მოღვაწე; მონაწილეობდა სახალხო წარმოდგენებშიც. ნატო გაბუნიას ლექსები — „სახსოვარი", „არად მიღირს" — უძღვნა ვაჟა-ფშაველამ (თხზ. სრ. კრებული ხუთ ტომად, ტ. I, თბ., 1961, გვ. 286, 494).

დაკრძალულია თბილისში, კუკიის სასაფლაოზე, მეუღლის, დრამატურგ ავქსენტი ცაგარლის (1857-1902), გვერდით (ეპიტაფია, მოკლე ბიოგრაფიული ცნობები და ლიტერატურა იხ. ქართველ მოღვაწეთა ნეკროპოლი, შეადგინა, ნინასიტყვაობა, შენიშვნები და საქიებელი დაურთო ს. ხუციშვილმა, წგნ. I, თბ., 1961, გვ. 28-29).

772. **მარიამ (მაკო) მიხეილის ას. საფაროვა** (1860-1940) — მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი, მთარგმნელი; მსახიობ ვასო აბაშიძის (1854-1926) მეუღლე (მაკო საფაროვა ტრფობის საგანი იყო ივანე მაჩაბლისა, თუმცა ეს სიყვარული უიღბლო აღმოჩნდა — იხ. ვ. ჭელიძე, ცხოვრება ივანე მაჩაბლისა, თბ., 1957, გვ. 111-121, 220-222, 375-376).

მ. საფაროვაზე იხ.: ი. ზურაბიშვილი, ოთხი პორტრეტი, თბ., 1948, გვ. 15-42; დ. ჩხეიძე, მაკო საფაროვა-აბაშიძე, თბ., 1963; კიტა აბაშიძის წერილი „მ. საფაროვა-აბაშიძის დღესასწაული" — იხ. კ. აბაშიძე, ცხოვრება და ხელოვნება, დ. გამეზარდაშვილის რედაქციითა და შესავალი წერილით, თბ., 1971, გვ. 377-378.

773. ამ საკითხზე იხ. აქვე, კ. ყიფიანის მოგონება „მეფე ლირი" (გვ. 122-125).

774. **იოანე იოანეს ძე ვოსტორგოვი** — სასულიერო პირი (დეკანოზი), უკიდურესი რეაქციონერი; 1900 წელს ნიშნავენ „საქართველოს ეპარქიის სამრევლო საეკლესიო სკოლების ზედამხედველად" (ახალი ამბავი, „ივ.", 1900, №270), 1903 წელს კი — „საქართველოს საექსარხოსოს სკოლების საოლქო მეთვალყურედ" (ტფილისი, „ივ.", 1903, №142). გამოირჩეოდა ყოველივე ქართულისადმი (მათ შორის, ქართული სიძველეებისადმი) სიძულვილითა და აგრესიული დამოკიდებულებით; მთავარ მიზნად დასახული ჰქონდა სასულიერო სასნავლებლებიდან ქართული ენის განდევნა და სკოლების მაქსიმალური რუსიფიკაცია. ამტკიცებდა — მეგრელები და სვანები ქართველები არ არიანო, თავგამოდებით იბრძოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის წინააღმდეგ... ამის

გამო არაერთხელ ქცეული ქართველ მოღვაწეთა (ი. გოგებაშვილი, ნ. მარი და სხვ.) ძალადი კრიტიკის ობიექტად.

ი. ვოსტორგოვზე იხ.: ალ. მუჯირი, გაზეთ „საქართველოს" საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეალი, „ახალგაზრდა ივერიელი", 1990, №91; ი. უთურაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, თბ., 1989, გვ. 183-186, 277; ვ. წიწელია, ქართველი კავკასიოლოგები (ბორის და სიმონ ესაძეები), თბ., 1992, გვ. 86-88.

775. ნიკო დადიან-მინგრელსკის ამგვარი თვალსაზრისი დოკუმენტურადაც დასტურდება. კერძოდ, ესაა მისი ბარათი ვასილ მაჩაბელისადმი, სადაც ნ. მინგრელსკი წერს: „მე წავიკითხე ის სტატიები, რომელნიც ამტკიცებენ, რომ მეგრული ენის შუა და ქართული ენის შუა სიმსგავსე არ არისო... ჩვენდა საბედნიეროდ, ჩვენს ხალხს აქვს თავისი საკუთარი აზრი და რწმუნება, რომელიც დაგვიტოვა ჩვენმა საკუთარმა ისტორიამ... მე მენგრელიას, იმერეთს და გურიას ვუყურებ, როგორც საქართველოს პროვინციებს. ჩვენ შუა განსხვავება არ არის და არც უნდა იყოს. ეს არის ჩემი აზრი და ამ აზრით მოკკვდები" (ვ. მაჩაბელი, უგ. თავ. ნ. მინგრელსკის აზრი მეგრულ ენაზე. „ივ.", 1904, №241).

776. **ილია ლაზარეს ძე ოქრომჭედლიშვილი (სერებრიაკოვი)** (1838-1898) — ქართველი მეცნიერი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი. დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი; გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო-საისტორიო ნაშრომები, მნიშვნელოვან ფულად შემწეობას აძლევდა „ქშწ-კგ საზოგადოებას", ქართულ თეატრს, სასწავლებლებს, ჰყავდა სტიპენდიანტები რუსეთსა და საზღვარგარეთ, სცემდა ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებს და ა.შ. (1884 წელს მიხ. ბებუთოვი მოსკოვიდან სწერს დიმიტრი ყიფიანს: ილია სერებრიაკოვს ძალიან უნდა, რომ „ქართლის ცხოვრების" შინაარსი დაწერო პოპულარული ფორმით და სერებრიაკოვი მის გამოცემას კისრულობსო — იხ. ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №1045, ფ. 1-2; შ. ჩხეტია, მასალები დიმიტრი ყიფიანის მკვლელობაზე, „საისტორიო მოამბე", №3, 1947, გვ. 394).

ი. ოქრომჭედლიშვილი (სერებრიაკოვი) ხე-ტყის მრეწველი იყო და საამისოდ სოფ. საჭილაოში აგებული ჰქონდა სახერხი ქარხანა (ამ საკითხზე, მათ შორის ნიკ. დადიან-მინგრელსკისთან დადებულ ხელშეკრულებაზე იხ. ქ. მუშკუდიანი, ხე-ტყის დამმუშავებელი მრეწველობის განვითარება დასავლეთ საქართველოში XIX ს. 90-იან წლებში, კრბ. „საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების ისტორიიდან (XIX ს.)", თბ., 1973, გვ. 181-192).

ი. ოქრომჭედლიშვილი გარდაიცვალა 1898 წლის 3 იანვარს, თბილისში. ქართველმა საზოგადოებამ იგი დიდი პატივით დაკრძალა დიდუბის ეკლესიის გალავანში [ამჟამად დიდუბის პანთეონი.

ეპიტაფია, აგრეთვე, ლიტერატურა იხ. ქართველ მოღვაწეთა ნეკროპოლი, შეადგინა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ს. ხუციშვილმა. ნაწ. I, თბ., 1961, გვ. 82-83; ი. ოქრომჭედლიშვილის გარდაცვალება-დაკრძალვის გარშემო იხ.: „ივ.", 1898, №№2, 3, 9; „ცნ.ფ.", 1898, №№417, 418; „მოამბე", 1898, №1, განყ. I, გვ. 102; „კვალი", 1898, №2, გვ.24; №3, გვ. 46-47; „ივერიაში" (1898, №2) გამოქვეყნებული ნეკროლოგი, რომელიც ი. ჭავჭავაძის კალამს ეკუთვნის იხ. ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული ათ ტომად, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, ტ. IV, თბ., 1955, გვ. 257-260; იქვე (ტ. X, თბ., 1961, გვ. 93-102) იხ. ი. ჭავჭავაძის წერილები ი. ოქრომჭედლიშვილისადმი].

ი. ოქრომჭედლიშვილზე იხ. აგრეთვე: შ. გოზალიშვილი, ილია ოქრომჭედლიშვილი, თბ., 1976; ქ. მუშკუდიანი, ილია ოქრომჭედლიშვილის მოსაგონებლად, „ცისკარი", 1971, №8, გვ. 128-131.

777. ამ საკითხზე იხ. აქვე, სოფ. მგალობლიშვილის მოგონება (გვ. 133-135).

778. **ვალენიჩი** - ?

779. „ბორჯომ-ქუთაისში" თავის სამსახურზე კოტე ყიფიანს უწერია: „წელინად-ნახევარი ვიყავი ქუთაისის ღუბერნიაში აქციზის ნაწილში და წელინად-ნახევარი — დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის ბორჯომის მამულების გამგებლის თანაშემწედ" (კ. ყიფიანი, ჩემი არტისტობის თავგადასავალი, წიგნში: მოგონებები, წერილები, თბ., 1964, გვ. 15). უფრო ვრცლად კ. ყიფიანის სამსახურზე იხ. ივ. გომართელი, კონსტანტინე დიმიტრის ძე ყიფიანი, რჩ. თხზ. ორ ტომად, ტ. II, თბ., 1966, გვ. 122-123.

780. 1877 წელს ელენე ყიფიანი-ლორთქიფანიძე დაპატიმრებული იყო ხალხოსნურ მოძრაობაში მონაწილეობისთვის (იხ. გ. თავამაიშვილი, ხალხოსნური მოძრაობის ისტორიისათვის საქართველოში, „საისტორიო მოამბე", №29-30, 1974, გვ. 72), საბოლოოდ კი 100 მან. ჯარიმის გადახდა გადაუწყვიტეს (იხ. ზ. შველიძე, რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, თბ., 1960, გვ. 167).

781. ამ საკითხზე იხ. კომენტარი №504.

782. **სიმონ (სისო) ნიკოლოზის ძე ლორთქიფანიძე** (1854-1942) — ექიმი, საზოგადო მოღვაწე, ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი და ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის ზედამხედველი კომიტეტის ნევრი 1900-იან წლებში; რუსეთის საიმპერატორო კარის კამერჰერი; დამთავრებული ჰქონდა კიევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი; ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ქუთაისში (ს. ლორთქიფანიძეზე იხ. თ. მაგმაძე [ილია ჭყონია], ახალნი ნევრნი ქუთაისის სათ.-აზნაურო ბანკის განახლებულის ზედამხედველ კომიტეტისა, „ივ.", 1902, №118).

783. **განძიელი** - ?

784. **ეაიროვს** დარჩა დიმიტრი ყიფიანის მილახვრიანი კარის მამულის ნაწილიც (იხ. სმ-დყ, I, გვ. 271).

785. **ექვთიმე სიმონის ძე თაყაიშვილი** (1853-1953) მეცნიერი (ისტორიკოსი, არქეოლოგი, ეთნოგრაფი, ნუმიზმატი, ლიტერატურათმცოდნე, ფოლკლორისტი, ლინგვისტი...), პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პარიზის ნუმიზმატთა და საზაზო საზოგადოებების წევრი, „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების" დამაარსებელი (1907 წ.) და მისი პირველი თავმჯდომარე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი პირველი პროფესორი; 1921-1945 წწ. იყო ემიგრაციაში (საფრანგეთში), სადაც მეთვალყურეობდა და პატრონობდა დემოკრატიული საქართველოს მთავრობის მიერ უცხოეთში გატანილ ეროვნულ განძს.

ლიტერატურა ე. თაყაიშვილზე იხ. ქსე, ტ. 4, 1979, გვ. 594; აგრეთვე: ი. მეგრელიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1989; ნიკო მარისა და ექვთიმე თაყაიშვილის მიმოწერა (1888-1931 წწ.), გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთეს რ. კავილაძემ და მ. მამაცაშვილმა, თბ., 1991; რ. მეტრეველი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, თბ., 1982; ა. ბარამიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, კრბ. „ძველი ქართული მწერლობის მკვლევარნი", თბ., 1986, გვ. 185-194; ზ. ჭუმბურიძე, ქართული წიგნის მოამაგენი, თბ., 1981, გვ. 57-68; ა. ბაქრაძე, ივ. ჯავახიშვილი ქართველი ისტორიკოსების — ე. თაყაიშვილის და მ. ჯანაშვილის შესახებ, „მრავალთავი", V, 1975, გვ. 252-261 და სხვ.

786. **„კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოება"** დიმიტრი ბაქრაძის ინიციატივით შეიქმნა 1873 წელს, ხოლო მის ბაზაზე 1881 წელს დაფუძნდა და 1886 წლამდე იარსება **„კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საზოგადოებამ"** (ქსე, ტ. 2, 1977, გვ. 240, სტატია — დიმიტრი ბაქრაძე; „საზოგადოების" საქმიანობაზე იხ. მ. დუმბაძე, ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, ბათუმი, 1950, გვ. 50-54, 76).

787. **დიმიტრი ზაქარიას ძე ბაქრაძე** (1826-1890) — ისტორიკოსი, საზოგადო მოღვაწე, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების", „კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საზოგადოების", თბილისის საეკლესიო მუზეუმის დაარსების ინიციატორი, 1881 წელს თბილისში ჩატარებული რუსეთის არქეოლოგთა V ყრილობის თაოსანი.

დიმ. ბაქრაძეზე იხ.: მ. დუმბაძე, ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, ბათუმი, 1950; ზ. ჭ[იჭინაძე], დიმიტრი ბაქრაძე, თფ., 1891; მ.

ჯანაშვილი, დიმიტრი ბაქრაძის მოღვაწეობა, „ივ.", 1890, №32 და სხვ.

788. „ქშნ-კგ საზოგადოების" წესდების შედგენასა და დამტკიცებაზე იხ. აქვე, ვ. თულაშვილის „შენიშვნა"; აგრეთვე, ი. გოგებაშვილი, როგორ დაარსდა „წერა-კითხვის საზოგადოება", რჩ. თხზ. ხუთ ტომად, ტ. III, თბ., 1990, გვ. 254-257.

789. ავტორის ცნობა დაზუსტებას საჭიროებს: დიმ. ყიფიანის შემდეგ (1879-1882) ვიდრე ი. ჭავჭავაძემდე (1885-1907), „ქშნ-კგ საზოგადოების" თავმჯდომარე იყო ივანე მუხრანბატონი (1882-1885).

790. პეტერბურგის უნივერსიტეტდამთავრებული ე. თაყაიშვილი სამშობლოში (თბილისში) დაბრუნდა 1887 წლის ოქტომბერში (ი. მეგრელიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1989, გვ. 34).

791. ე. თაყაიშვილი პეტერბურგიდან თბილისში რომ ჩამოვიდა (1887 წ.), თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი იყო არა გიორგი, არამედ ივანე კონსტანტინეს ძე მუხრანბატონი (მუხრანსკი) (1812-1895). ასე რომ, ის „საკმაოდ უცენზურო ანეკდოტი", რომელსაც ე. თაყაიშვილი ახსენებს, მას ივანე მუხრანბატონისგან ექნებოდა გაგონილი.

792. ადრე დაობლებული ექვთიმე თაყაიშვილისა და მისი ძმების მეურვე იყო მათივე სიძე (დის ქმარი), სოფ. ძიმითელი აზნაური სიმონ გოთუა (იხ.: ე. თაყაიშვილი, რჩ. ნაშრომები, ტ. I, თბ., 1968, გვ. 192; ა. სურგულაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1977, გვ. 11).

793. სინამდვილეში დ. ყიფიანის „წინადადებას" თავიდან ბევრი უარმყოფელი ჰყავდა (იხ. აქვე, ანტ. ფურცელაძის მოგონება, გვ. 74-75).

794. **ალექსი ბესარიონის ძე ჭიჭინაძე** (1851-1917) — პედაგოგი, ჟურნალისტი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე; მიღებული ჰქონდა საუნივერსიტეტო იურიდიული განათლება (მოსკოვში). ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ჯერ ქუთაისში, შემდეგ — თბილისში; 1886-1894 წწ. იყო თბილისის სათავადაზნაურო სასწავლებლის ინსპექტორი; სხვადასხვა წლებში მსახურობდა თერგის ოლქის სახალხო სკოლების ინსპექტორად (1894-1900), ერევნის გუბერნიის სახალხო სკოლების (1900-1905), ხონის საოსტატო სემინარიისა (1905-1914) და თბილისის ქართული გიმნაზიის (1914-1917) დირექტორად.

ა. ჭიჭინაძე პრესაში აქვეყნებდა პუბლიცისტურ თხზულებებს, თარგმნილი აქვს გოეთეს, ნ. გოგოლის, ა. ოსტროვსკისა და სხვათა ნაწარმოებები...

ა. ჭიჭინაძეზე იხ.: ვ. ქაჯაია, გამოჩენილი ქართველი პედაგოგები, თბ., 1973, გვ. 157-209; სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, კრბ. I, თბ., 1953, გვ.

205-210; ნ. ტაბიძე, ეტიუდები, თბ., 1986, გვ. 34-36. ა. ჭიჭინაძის პატივსაცემად გამართულ ნადიმზე (1894 წ.) აკაკი წერეთლის მიერ წარმოთქმული სიტყვა იხ. ა. წერეთელი, თხზ. სრ. კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. XIII, თბ., 1961, გვ. 113-114; აკაკიმ ლექსი უძღვნა ალექსი ჭიჭინაძის ნაადრევად გარდაცვლილი ქალიშვილის ბეტა ჭიჭინაძის ხსოვნას (იქვე, ტ. III, თბ., 1954, გვ. 478).

795. **ალექსანდრე გიორგის ძე ჯაბადარი** (1851-1933) პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, მნერალი-მემუარისტი, ბიბლიოფილი, „წიგნის გამომცემელი ქართველთა ამხანაგობის" დამაარსებელი (1890 წ.), ჟურნალ „მოამბის" გამომცემელი 1894-1905 წწ.; გაზ. „ცნობის ფურცლის" რედაქტორ-გამომცემელი 1901-1906 წწ.; ჰქონდა არაჩვეულებრივად მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელიც თბილისის უნივერსიტეტს შესწირა.

გარდაიცვალა თბილისში და აქვე, ვერის სასაფლაოზე, დაკრძალეს.

ალ. ჯაბადარზე იხ.: თ. სახოკია, ჩემი საუკუნის ადამიანები, თბ., 1969, გვ. 176-178; გ. ლასხიშვილი, მემუარები, თბ., 1992, გვ. 115-119, 122, 133-134, 179, 191, 197, 232, 244; მასალები XIX ს. 60-90-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებიდან (კირილე ლორთქიფანიძის მიმონერა), ტექსტი შესავალი წერილით, კომენტარებითა და საძიებლით გამოსაცემად მოამზადა ე. აბრამიშვილმა, თბ., 1981, გვ. 193-195, 212-213.

ალ. ჯაბადარის დიდად საინტერესო „მოგონებები" გამოქვეყნებულია ჟურნალ „მნათობში" (1934, №№1-6).

ალ. ჯაბადარის პირადი არქივი დაცულია ხი-ში.

796. კოტე ყიფიანს ამ საქმეს ისედაც ვერ დაავალებდნენ, რადგან იგი სტავროპოლში იყო წასული და დ. ყიფიანის ცხედრის იქიდან ჩამოსვენებაზე ზრუნავდა (იხ. სმ-დყ, I, გვ. 82, 88).

797. ალ. დონდუკოვ-კორსაკოვის ცოლი იყო **ნადეჟდა ანდრეის ას. დონდუკოვ-კორსაკოვა** (ქალიშვილობის გვარი — **კოლოგრივოვა**), რომელიც ქმრის კავკასიაში მთავარმართებლობის დროს ძირითადად თბილისში ცხოვრობდა და იყო „წმ. ნინოს სახელობის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების" თავმჯდომარე.

ნადეჟდა დონდუკოვ-კორსაკოვა გარდაიცვალა 1887 წლის 8 მაისს, პეტერბურგში (ნეკროლოგი იხ. „კ.კ.", 1888, გვ. I-XIV).

798. **წმ. ნინოს სახელობის ქალთა გიმნაზია** მდებარეობდა ერმოლოვის (შემდგომში შ. ჩიტაძის, ამჟამად — 9 აპრილის) ქუჩაზე. იგი 1846 წელს დააარსა „წმ. ნინოს სახელობის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოებამ" (იხ. გ. თავზიშვილი, რჩ. ნაწერები, ტ. I, თბ., 1974, გვ. 266-267); თავიდან ეწოდებოდა წმ. ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელი, გიმნაზიად კი მოგვიანებით გადაკეთდა.

სხვათა შორის, დიმ. ყიფიანი 1841-1844 წწ. მდივანი იყო ზემოხსენებული „საქველმოქმედო საზოგადოებისა" (ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №29, ფ. 90) და წმ. ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლის დაარსებაშიც უნდა ჰქონდეს მიღებული არსებითი ხასიათის მონაწილეობა. ყოველ შემთხვევაში, ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით, ამ საქმის მოსაგვარებლად დიმიტრის „დიდათ უშრომია", წესდებაც თავითონ შეუდგენია, დასამტკიცებლად მეფისნაცვალ მიხ. ვორონცოვისთვის წარუდგენია და სასწავლებლის გახსნაზე საჯარო სიტყვაც წარმოუთქვამს (იხ. ზ. ჭიჭინაძე, დიმიტრი ყიფიანი, ტფ., 1892, გვ. 24).

799. **ერმოლოვის ქუჩა** — ამჟამად 9 აპრილის ქუჩა.

800. აკაკის სიტყვა — წარმოთქმული დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვაზე იხ.: ი. უთურაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, თბ.,1969, გვ. 311; სმ-დყ, I, გვ. 123-124.

801. **„ის ცნობილი მშვენიერი ლექსი... მერმე დაწერა"** — სოფ. მგალობლიშვილის მემუარებში აღნიშნული და შემდეგ სხვათა მიერ არაერთსელ გამეორებული ცნობა, თითქოს ა. წერეთელმა თავისი „განთიადი" დიმ. ყიფიანის დაკრძალვაზე წაიკითხა, არაა სწორი (იხ. ს. მგალობლიშვილი, მოგონებანი, ტფ., 1938, გვ. 184-185). სინამდვილეში „განთიადი" მოგვიანებით, 1892 წელსაა, დაწერილი (ამ საკითხზე იხ.: თ. ჯოლოგუა, აკაკი წერეთლის „განთიადის" დათარიღებისათვის, „აკაკის კრებული" I, თბ., 1999, გვ. 326-330; ჯ. გაბოძე, როდის შეიქმნა და ვის მიეძღვნა აკაკის „განთიადი"?, „ლიტერატურული ძიებანი", XXII, 2001, გვ. 364-372; მისივე, „განთიადი" — აკაკის ანდერძი! 1892 წელი!, „ლიტერატურული საქართველო", 2003, №9. შდრ.: მ. მთვარელიძე, თარიღის დასაზუსტებლად..., „ლიტერატურული საქართველო", 1988, №19; მისივე, დიმიტრი ყიფიანი, 1887 წელი, გაზ. „კალმასობა", 2002, №8; მისივე, დიმიტრი ყიფიანი, 1887 წელი და აკაკის „განთიადი", „ლიტერატურული საქართველო", 2003, №2).

802. ამ საკითხზე იხ. ალ. დონდუკოვ-კორსაკოვის წერილი რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის — დიმიტრი ტოლსტოისადმი (სმ-დყ, I, გვ. 133-134).

803. სინამდვილეში **დავით ყიფიანი**, აგრეთვე, **ანტონ ლორთქიფანიძე** ორ-ორი თუმნით დააჯარიმეს (იხ. სმ-დყ, I, გვ. 137).

804. აქ მოგონების ავტორი ცდება. საქმე ისაა, რომ, საბუთების მიხედვით, დიმ. ყიფიანი სტავროპოლს 1886 წლის 27 ოქტომბერს გაემგზავრა (იხ. სმ-დყ, I, გვ.21). ასე რომ, 25 ღვინობისთვეს (ოქტომბერს) იგი სტავროპოლში ვერ იქნებოდა.

805. იგულისხმება დ. ყიფიანის მიერ სტავროპოლში შედგენილი ვრცელი განმარტებითი ბარათი — „იმ ფაქტების შესახებ, რომლებმაც ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის მიმართ ხელი-

სუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის გულისწყრომა გამოიწვია" (ტექსტი იხ. სმ-დყ, I, გვ. 21-44).

806. სინამდვილეში შეთქმულება 1832 წლის დეკემბერში ჩავარდა, ხოლო 1833 წელს უკვე შეთქმულთა საქმეების გამოძიება მიმდინარეობდა.

807. **ბიხეილ სმეკალოვი** — ტექსტის მიხედვით, გადამდგარი უნტერ-ოფიცერი, რომელიც სახლშიც უცხოვრია ვოლოგდაში გადასახლებულ დიმ. ყიფიანს; გენერალ ალექსი სმეკალოვის (იხ. კომენტარი №693) მამა.

808. **მელანო** — ტექსტის მიხედვით, დიმ. ყიფიანის მეუღლის ნინო ჭილაშვილ-ყიფიანის მოახლე.

809. ალ. სმეკალოვის ცხოვრების ეს რომანული ეპიზოდი ხელნაწერში გადახაზულია. ვინაიდან ჩვენ ვერ მოვიპოვეთ მოგონების დასრულებული ვარიანტი და, შესაბამისად, არ ვიცით ავტორის საბოლოო ნება, შესაძლებლად ვცანით, აღგვედგინა წინამდებარე მოგონების გადახაზული მონაკვეთი.

810. **„ტრაქტატის ძალით"** — იგულისხმება რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის 1783 წელს დადებული ე.წ. გეორგიევსკის ცნობილი ტრაქტატი (ქართული და რუსული ტექსტები, დედანთა ფოტოპირები, აგრეთვე, ტრაქტატთან დაკავშირებული სხვადასხვა დოკუმენტები იხ. გეორგიევსკის ტრაქტატი, გამოკვლევა, დოკუმენტები, ფოტოპირები ვ. მაჭარაძისა, თბ., 1983).

811. დიმიტრი ყიფიანსა და ალექსი სმეკალოვს შორის ატეხილ მძაფრ წინააღმდეგობაზე თვითონ დიმიტრისაც უწერია ზემოთ ნახსენებ (კომენტარი №805) განმარტებით ბარათში (იხ. სმ-დყ, I, გვ. 24-33).

812. **ივანე გივის ძე ამილახვარი** (1829-1905) — სამხედრო და საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი, „ქშწ-კგ საზოგადოების" დამფუძნებელი წევრი, რუსეთის არმიის კავალერიის გენერალი და გენერალ-ადიუტანტი, არაერთი ბრძოლის მონაწილე, სადაც არაჩვეულებრივი სამხედრო ნიჭითა და სიმამაცით გამოირჩეოდა, რუსეთის იმპერატორებთან დაახლოებული პირი; დაკრძალულია ქაშვეთის ტაძარში, რომლის მშენებლობაშიც ი. ამილახვარს ორგანიზაციულად თუ მატერიალურად არსებითი ხასიათის მონაწილეობა აქვს მიღებული.

ივანე ამილახვრის პიროვნებაში უმტკივნეულოდ იყო შერწყმული რუსეთის საიმპერატორო ტახტის ერთგული ქვეშევრდომი და ქართველი პატრიოტი. იგი იყო დიდი ქველმოქმედი და მრავალი სიკეთე აქვს გაკეთებული თანამემამულეებისთვის, მათ შორის, მშობლიური გორის მაზრის გლეხობისთვის. ამასთანავე, ი. ამილახვარი ზრუნავდა ქართული სიძველეების განახლება-რესტავრ-

რაციაზე და ამ საქმეზე არ ზოგავდა არც დროსა და ენერგიას, არც ფულსა და შეძლებას: განაახლა სამთავისის ტაძარი, გორიჯვრის ციხე და ეკლესია, სოფ. ქვემო ჭალაში ააგო წმ. მარინეს სახელობის ეკლესია და ა. შ.

ივანე ამილახვარზე იხ.: გ. ავალიანი, რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან, თბ., 1967, გვ. 155-159; მაქს. ბერძნიშვილი, მასალები..., I, გვ. 130-132; შ. მეგრელიძე, ჩვენი სახელოვანი სამხედრო წინაპრები, თბ., 1979, გვ. 114-129; ნ. მელიწკაური, ჭეშმარიტებისა და სამართლიანობისთვის მებრძოლი რაინდი — ივანე ამილახვარი, „ახალი ქართული გაზეთი", 1998, №29; კ. ცინცაძე, ქვაშვეოის წმიდის გიორგის ეკლესია ტფილისში, გამოსაცემად მოამზადა, ბოლოსიტყვა და საძიებელი დაურთო მ. ქაკთარიამ, თბ., 1994, გვ. 37, 39, 40, 164, 169-170, 229-230, 261; შ. ამირეჯიბი, [თხზულებები], წგნ. II, თბ., 1998, გვ. 100.

813. ამ საკითხზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 192.

814. თვითონ დიმიტრი ყიფიანის ცნობით, მას ეგზარქოს პავლეს მიერ საქართველოსა და ქართველი ხალხის დაწყევლის ამბავი ქუთაისში გაუგია 1886 წლის 30 მაისს (იხ. სმ-დყ, I, გვ. 37).

815. ავტორის ეს ცნობა დასაზუსტებელია. საქმე ისაა, რომ დ. ყიფიანმა ეგზარქოსს წერილი მისწერა არა როგორც ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლმა, არამედ როგორც კერძო პირმა: „შეურაცხმყოფელი დაუყოვნებლივ უნდა გავიდეს შეურაცხყოფილი ქვეყნიდან. ამას ნრფელი გულით მოგახსენებთ **თქვენივე სამწყსოს ერთი წევრი** (ხაზი ჩვენია — თ.ჯ.), რომელსაც სურს, ქვეყანას მორიგი განუზომელი ცოდვა ააცილოს" (სმ-დყ, I, გვ. 10).

816. **გრიგოლ რევაზის ძე მაყაშვილი** — თელავის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი 1864-1867 წწ. (იხ. შესაბამისი წლების „კ.კ.").

817. თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლად დიმ. ყიფიანის კანდიდატურის დამტკიცების წინადადებით პეტერბურგში, კავკასიის კომიტეტში, გაგზავნილ მიმართვაში (1864 წ. 3 მარტი) მეფისნაცვალი მიხეილ ნიკოლოზის ძე მცირეოდენ განსხვავებულ შედეგს უჩვენებს. კერძოდ, დიმიტრი ყიფიანი: მომხრე — 171, წინააღმდეგი — 7; თავადი მაყაშვილი: მომხრე — 128, წინააღმდეგი — 50 (შ. ჩხეტია, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, თბ., 1950, გვ. 316).

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გუბერნიის წინამძღოლის თანამდებობაზე დიმ. ყიფიანი იმპერატორის მიერ 1864 წლის 15 მარტს დამტკიცდა (იხ. დიმ. ყიფიანის ნამსახურობითი სია, ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №29, ფ. 81).

818. **„სამოქალაქო გუბერნატორი"** — ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი („დეინსტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკ") **კონსტანტინე ივანეს ძე ორლოვსკი** (კ. ორლოვსკიზე იხ. კომენტარი №149).

819. **„მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა"** — იგულისხმება რუსეთის იმპერატორი 1855-1881 წწ. ალექსანდრე II (1818-1881).

820. დიმ. ყიფიანის სახელმწიფო სამსახურიდან დათხოვნაზე იხ. კომენტარი №№167, 362.

821. **სოლომონ ივანეს ძე ანდრონიკაშვილი** (1812-1871) — სიღნაღის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი („მარშალი") 1848-1868 წწ. (იხ. შესაბამისი წლების „კ.კ."), მსხვილი მემამულე. ხი-ში (დ. ყიფიანის არქ., საქ. №№916 926) დაცულია სოლ. ანდრონიკაშვილის ბარათები დიმიტრი ყიფიანისადმი.

სოლომონ ანდრონიკაშვილზე იხ. ა. აბრამიშვილი, ლიტერატურული წერილები, თბ., 1968, გვ. 152-156.

822. ქვეშხეთი, რომლის მკვიდრადაც დიმ. ყიფიანი ითვლებოდა, შედიოდა გორის მაზრის სურამის უბანში (Сурамский участок).

823. სინამდვილეში დიმ. ყიფიანმა დაამთავრა არა გიმნაზია, არამედ კეთილშობილთა სასწავლებელი (1830 წ.). ამ საკითხზე იხ. კომენტარი №34.

824. **დიმიტრი ვახტანგის ძე ორბელიანი** (1808-1882) — ერეკლე II-ის შვილიშვილი (ძე თეკლე ბატონიშვილისა), ალექსანდრე (იხ. კომენტარი №147) და ვახტანგ (იხ. კომენტარი №42) ორბელიანების ძმა, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (მიესაჯა გადასახლება პენზაში, რომელიც მოგვიანებით კალუგით შეუცვალეს), ბიბლიოფილი. დიმ. ორბელიანის ქალიშვილი ელისაბედი (1836-1899) ცოლი იყო კავკასიის მეფისნაცვლის, ალექსანდრე ბარიატინსკისა (ელ. ბარიატინსკაიაზე იხ. სმ-დყ, I, გვ. 206).

„დროებაში" დიმ. ორბელიანი დახასიათებულია, როგორც „კარგი ქართველი, გულით და სულით თანამგრძნობი და დამხმარე ყოველ კეთილ საქმისა" („გუშინ წინ, პარასკევს...", 1882, №17).

დიმ. ორბელიანი გარდაიცვალა 1882 წლის 22 იანვარს, დაკრძალულია ქაშვეთის ტაძარში („დრ.", 1882, №19; ქართველ მოღვაწეთა ნეკროპოლი, I, 1961, გვ. 80-81).

დიმ. ორბელიანზე იხ. აგრეთვე: მაქს. ბერძნიშვილი, მასალები..., II, გვ. 136-138; გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, II, 1970, გვ. 230-233; ნ. გურგენიძე, ძველი წიგნსაცავები საქართველოში, თბ., 1969, გვ. 97; ა. დიუმა, კავკასია, თბ., 1970, გვ. 277-279; ი. უთურაშვილი, თეკლა ბაგრატიონი, თბ., 1991, გვ. 40, 42, 46, 65-66, 132, 139-140.

825. დიმ. ყიფიანი მთავარსამმართველოს საბჭოს საქმეთა მმართველი იყო 1845-1857 წწ. (ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №29).

826. თბილისის გიმნაზიის საპატიო მზრუნველად დიმ. ყიფიანი დაამტკიცეს 1851 წლის 31 დეკემბერს (ხი, დ. ყიფიანის არქ., საქ. №29, ფ. 95), პრაქტიკულად კი იგი მოვალეობის შესრულებას შეუდგა 1852 წლიდან.

საერთოდ, გიმნაზიის საპატიო მზრუნველის პოსტი არჩევითი ხასიათის საზოგადოებრივი თანამდებობა იყო, მაგრამ, იმავდროულად, საპატიო მზრუნველი მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეც უნდა ყოფილიყო. 1862 წელს დიმ. ყიფიანი დაითხოვეს სახელმწიფო სამსახურიდან (იხ. კომენტარი №№167, 362), რის გამოც მან სებაყოფლობით მოიხსნა მზრუნველის უფლებამოსილება, თუმცა უკანასკნელი ვადის (1861-1864 წწ.) გასვლამდე მაინც დარჩა ამ თანამდებობაზე (ამ საკითხზე უფრო ვრცლად იხ. ჯოლოგ., დიმ. ყიფ., გვ. 201-203).

827. დიმიტრი ყიფიანამდე თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის („მარშლის") პოსტი ეჭირათ გარსევან ჭავჭავაძეს, გენერალ კონსტ. მუხრანბატონს, ხოლო 1839 წლიდან — ორბელიანებს: დიმიტრის, ივანეს, ალექსანდრე დავითის ძეს [იხ. ი. უთურაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, თბ., 1989, გვ. 94; სრული სია თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლებისა გარსევან ჭავჭავაძიდან მოკიდებული ვიდრე კონსტ. აბხაზამდე იხ. გ. საითიძე, სწამდა სამშობლოს აღორძინება (გენერალი კონსტანტინე აფხაზი), თბ., 1997, გვ. 9-10].

828. **„წინანდელი წინამძღოლი"** — იგულისხმება ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანი, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი 1858-1864 წწ. (ალ. დ. ორბელიანზე იხ. კომენტარი №484).

829. **„უკანასკნელი 25 წლის მანძილზე"** თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლები („მარშლები") იყვნენ: 1. დიმიტრი თამაზის (თომას) ძე ორბელიანი (1839-1855); 2. ივანე თამაზის (თომას) ძე ორბელიანი (1855-1858); 3. ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანი (1858-1864) — იხ. ი. უთურაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, თბ., 1989, გვ. 94.

830. დიმ. ყიფიანის მიერ შედგენილი საგლეხო რეფორმის პროექტი თავადაზნაურობის წარმომადგენელთა ხელმოწერებითურთ იხ. შ. ჩხეტია, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, თბ., 1950, გვ. 270-290.

831. **„ხელმწიფის ძმა"** — იგულისხმება კავკასიის მეფისნაცვალი, დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე (რომანოვი) (მიხეილ ნიკოლოზის ძეზე იხ. კომენტარი №191).

საძიებლები:

პირთა

აბაზ. ძიანი 172
აბას-მირზა 285
აბაშიძე 23,93,179,235
აბაშიძე ალექსი 380
აბაშიძე გიორგი 243
აბაშიძე გიორგი (აგი) ერეკლეს ძე 393-394
აბაშიძე გრიგოლ 329
აბაშიძე დავით 404
აბაშიძე ევგენი 243
აბაშიძე ვასილ (ვასო) 144,204, 380,381,415
აბაშიძე ვახუშტი 235
აბაშიძე თამარ 22,306
აბაშიძე ივანე 404
აბაშიძე ივანე (იოანე) ქაიხოსროს ძე 236
აბაშიძე იოანე ევგენის ძე 243
აბაშიძე კიტა 247,371,390,393,415
აბაშიძე ლევან (I) 235
აბაშიძე ლევან (II) 373
აბაშიძე მარიამ (მაკო) — იხ. საფაროვა მარიამ (მაკო)
აბაშიძე ნინო — იხ. ორბელიანი ნინო
აბაშიძე სვიმონ (I) 192,409
აბაშიძე სვიმონ (II) 363
აბაშიძე-გორლენკო სვიმონ 332,409
აბაშიძეები 6,21,47,172,235,243, 354,374
აბზიანიძე გიორგი 230,231,234, 249,269,294
აბრამიშვილი ანდრო 301,424
აბრამიშვილი ელისო 337,346, 420
აბხაზები 28,29,77
აბხაზი ალექსანდრე (კოხტა) 77,107,113-115,181,182,314-316,359,405
აბხაზი დიმიტრი 28,29,77,108, 109,314,316,338,405
აბხაზი ივანე 314
აბხაზი კლავდია 115,315,359
აბხაზი კონსტანტინე (კოტე) 393,425
აბხაზი შერმაზან 314
ადლერბერგი ალექსანდრე 30, 319
ადლერბერგი ეკატერინე 319, 358
ადლერბერგი ელადიმირ 319
ადლერბერგი თედორე 319
ავალიანი გიორგი 281,282,295, 299,305,346,352, 353,423
ავალიანი ლალი 373
ავალიშვილები 179
ავალიშვილი 179,404
ავალიშვილი (ავალოვი) ა. 296,350
ავალიშვილი ბარბარე (ბაბო) 361
ავალიშვილი გრიგოლ (გიგო) 134,135,372
ავალიშვილი დავით 357
ავალიშვილი იაკობ 388
ავალიშვილი ნიკოლოზ (ნიკო) 152,232,347,361,388, 389,392
ავთანდილოვი (ავთანდილაშვილი) ზაალ (ზაქარია) 8, 31,33,78,82,129,216,250,251
ავთანდილოვი სტეფანე 31,78, 82,250
ავსაჯანიშვილი ეთერ 394
ათონელი 394
ალანია ნოდარ 247

ალექსანდრე 313
ალექსანდრე I 266
ალექსანდრე II 28,47,66-68,77, 97,98,129,296,301,312,313, 318,319,367,424; იხ. აგრეთვე: ალექსანდრე ნიკოლოზის ძე („ცესარევიჩი")
ალექსანდრე III 186,212,214,295, 375,377,401,409
ალექსანდრე ბატონიშვილი 248, 283,284
ალექსანდრე ეპისკოპოსი (ოქროპირიძე) 139,149,151,153, 171,176,192,210,268,269,377
ალექსანდრე ნეველი 175,397, 401, 412
ალექსანდრე ნიკოლოზის ძე („ცესარევიჩი") 281; იხ. აგრეთვე: ალექსანდრე II
*ალექსანდრიძე — იხ. მანსვეტაშვილი იაკობ
ალექსეევა ანიკო 405
ალექსიევ-მესხიევი ნიკოლოზ — იხ. ალექსი-მესხიშვილი ნიკოლოზ
ალექსი-მესხიშვილი ვლადიმერ (ლადო) 204,414
ალექსი-მესხიშვილი ნიკოლოზ 305
ალექსი-მესხიშვილი სარდიონ 414,415
ალმასხან ბატონიშვილი — იხ. ვახტანგ (ალმასხან) ბატონიშვილი
*ალმინსკი პ. — იხ. პალმი ალექსანდრე
ამატუნი ნაპოლეონ 29,316,405
ამბარდანაშვილი გრიგოლ 333
ამბარდანაშვილი ნატალია 333
ამილახვარი ამირინდო 408
ამილახვარი ამირინდო ამირინდოს ძე 408
ამილახვარი გივი 422
ამილახვარი ივანე 214,422,423
ამილახვრები 21
ამირეჯიბი (ამირეჯიბოვი) სვიმონ 237
ამირეჯიბი შალვა 262,326,327, 369,381,423
ამიროვი არტემ 291
ამიროვი სოლომონ 18,19,31,291
ანა (წმ.) 313
ანა ბატონიშვილი — იხ. გრუზინსკაია-ქაცქავაძე ანა
ანანიაშვილი 241
ანანოვი ალ. 50,338
ანანოვი სტ. 50,338
ანასტასია ბატონიშვილი 302
ანდრეევსკაია ბარბარე 11,261-263
ანდრეევსკაია ნინო 261
ანდრეევსკები 261
ანდრეევსკი არკადი 262
ანდრეევსკი ერასტ 11,261-263
ანდრეევსკი მიხეილ 262
ანდრეევსკი ნიკოლოზ 262
ანდრეევსკი პავლე 262
ანდრეევსკი სერგეი 262
ანდრეევსკი სტეფანე 11,261
ანდრონიკაშვილები 21,219
ანდრონიკაშვილი ივანე 47,301, 424
ანდრონიკაშვილი ივანე (იოანე) მალხაზის ძე 71,346
ანდრონიკაშვილი მალხაზ 71, 346

* ფსევდ.

ანდრონიკაშვილი მარიამ (ბაია) 346
ანდრონიკაშვილი მელქისედეკ 346
ანდრონიკაშვილი რევაზ 21,22, 30,47,84,215,216,218,301,306
ანდრონიკაშვილი სიმონ 216, 306,424
ანდღულაძე ლია 317
ანთელავა ირაკლი 307,335
ანიკა 32,322
ანტონ I 260
ანტონოვი ზურაბ 348
ანტონოვიჩი 168,397
*ანჩისხატელი, ანჩისხატისუბნელი — იხ. უმიკაშვილი პეტრე
*აპოლონ — იხ. წულაძე აპოლონ
*აპ. ჭა-ლი — იხ. წულაძე აპოლონ
*არაგველი — იხ. კეზელი დავით
არაგვისპირელი შიო 140,232, 377,378
*არბენინი — იხ. პალმი გრიგოლ
არდაზიანი ნიკოლოზ 273
არდაზიანი პეტრე 273
არსენა 119,360
არსენა — იხ. ოძელაშვილი არსენა
არღუთაშვილ-დოლგორუკოვი (არღუთაშვილ-მხარგრძელი) ალექსანდრე 81,352
არღუთინსკი ზაქარია 325
არღუთინსკი (არღუთაშვილი, არღუთინსკი-დოლგორუკოვი) მოსე 34,325
არჩილ ბატონიშვილი 346
არწრუნი გრიგოლ 144,159,381, 393
არწრუნი იერემია 31,127,159, 321,368,393
ასათიანი გურამ 342
ასათიანი ლევან 233,261,268, 269,308,370,371,384,392,397
ასათიანი ლუკა 37,328
ასათიანი ნიკოლოზ 328
ასლამაზოვი დავით 306
ასლამაზოვი ზურაბ 23,306
აფრიდონიძე შუქია 373
აფშილავა უტუ 43,44,333
აფხაზი — იხ. აბხაზი
აღამალოვა მარიამ 283
აღამალოვი სააკ 283
აღნიაშვილი დიმიტრი 381
აღნიაშვილი ვლადიმერ (ლადო) 144,150,151,381, 382,388
აღნიაშვილი პეტრე 273
აშორდია თადა 328,329
ახვერდიანი როქსანა 299
ახლესტიშჩევი დიმიტრი 256
ახნაზაროვი არტემ 329
ახუაშვილი იაკობ 322

*ბ. ქ. 279; იხ. აგრეთვე: ბაქარ ქართელელი, თეიმურაზ ვაკელი, მყვირალა (ქართელელი), ყიფიანი დიმიტრი
ბაბანაშვილი — იხ. ჭილაშვილი გაბრიელ (გლახა)
ბაგრატიონი ალექსანდრე 36, 328
ბაგრატიონი ალექსანდრე ერეკლე II-ის ძე — იხ. ალექსანდრე ბატონიშვილი
ბაგრატიონი ალმასხან — იხ. ვახტანგ (ალმასხან) ბატონიშვილი
ბაგრატიონი ანა — იხ. გრუზინსკაია-ჭავჭავაძე ანა

ბაგრატიონი ანასტასია — იხ. ანასტასია ბატონიშვილი
ბაგრატიონი არჩილ — იხ. არჩილ ბატონიშვილი
ბაგრატიონი ბაგრატ 328
ბაგრატიონი დიმიტრი — იხ. დიმიტრი ბატონიშვილი
ბაგრატიონი (ბაგრატიონ-გრუზინსკი) ერეკლე — იხ. ირაკლი (ერეკლე) ბატონიშვილი
ბაგრატიონი ვახტანგ — იხ. ვახტანგ ბატონიშვილი
ბაგრატიონი ვახტანგ (ალმასხან) — იხ. ვახტანგ (ალმასხან) ბატონიშვილი
ბაგრატიონი ვახუშტი — იხ. ვახუშტი ბატონიშვილი
ბაგრატიონი თეიმურაზ — იხ. თეიმურაზ ბატონიშვილი
ბაგრატიონი თეკლე (თეკლა) — იხ. თეკლე (თეკლა) ბატონიშვილი
ბაგრატიონი ივანე 328
ბაგრატიონი ილია — იხ. ილია ბატონიშვილი
ბაგრატიონი (ბაგრატიონ-გრუზინსკი) ირაკლი (ერეკლე) — იხ. ირაკლი (ერეკლე) ბატონიშვილი
ბაგრატიონი იულონ — იხ. იულონ ბატონიშვილი
ბაგრატიონი ლევან — იხ. ლევან ბატონიშვილი
ბაგრატიონი მარიამ (მაია) — იხ. ანდრონიკაშვილი მარიამ (მაია)
ბაგრატიონი მირიან — იხ. მირიან ბატონიშვილი
ბაგრატიონი ფარნაოზ — იხ. ფარნაოზ ბატონიშვილი
ბაგრატიონი ქაიხოსრო — იხ. ქაიხოსრო ბატონიშვილი
ბაგრატიონი ქეთევან — იხ. ქეთევან ბატონიშვილი
ბაგრატიონ-გრუზინსკი ერეკლე — იხ. ირაკლი (ერეკლე) ბატონიშვილი
Багратион-Давыдов Г. — იხ. ბაგრატიონ-დავითაშვილი გიორგი
ბაგრატიონ-დავითაშვილი ალექსანდრე 392
ბაგრატიონ-დავითაშვილი გიორგი 159,232,392, 393
ბაგრატიონ-მუხრანსკები — იხ. მუხრანბატონები
ბაგრატიონ-მუხრანსკი გიორგი — იხ. მუხრანბატონი გიორგი
ბაგრატიონ-მუხრანსკი ივანე — იხ. მუხრანბატონი ივანე
ბაგრატიონ-მუხრანსკი კონსტანტინე — იხ. მუხრანბატონი კონსტანტინე ივანეს ძე
ბათუმელი 329
ბალახაშვილი იაკობ 247,258,264, 285,303,383
ბაჟანოვი 281
ბარათაშვილი ბარბარე — იხ. ვეზირიშვილი ბარბარე
ბარათაშვილი დავით 287,301
ბარათაშვილი ეკატერინე (კატინა) — იხ. ორბელიანი ეკატერინე (კატინა)
ბარათაშვილი ზაალ (ტატო) 21, 22,24,78,82,301, 302
ბარათაშვილი მელიტონ 407
ბარათაშვილი ნიკოლოზ 185, 202,249,252,258,284,285,299, 301,305,307,319,337,347,356, 365,387,406-408
ბარათაშვილი სოფიო — იხ. სუმბათაშვილი სოფიო

ბარათაშვილი ტატო დავითის ძე — იხ. ბარათაშვილი ზაალ (ტატო)
ბარათაშვილი ტატო მელიტონის ძე — იხ. ბარათაშვილი ნიკოლოზ
ბარათოვი ზ. — იხ. ბარათაშვილი ზაალ (ტატო)
ბარამიძე ალექსანდრე 234,317, 418
ბარამიძე შოთა 383
*ბარელი — იხ. ბანსვეტაშვილი იაკობ
ბარიატინსკაია ელისაბედ 424
ბარიატინსკი ალექსანდრე 16, 19,52-54,62-68,76,77,79,127, 136,216,217,276,305,339,341, 343-345,367,424
ბარიატინსკი ივანე 276
ბარკალაია 269
ბარნაველი ზაქარია 378
ბარნოვი (ბარნაველი) ვასილ 141, 373,378
ბარტდინსკი იპოლიტ 280
*ბარძიმი — იხ. ერისთავი დავით გიორგის ძე
ბასტაშვილები 22
*ბაქარ ქართლელი 17,137,247, 276,278,279,281, 354; იხ. აგრეთვე: ბ. ქ., თეიმურაზ ვაკელი, მყვირალა (ქართლელი), ყიფიანი დიმიტრი
ბაქრაძე აკაკი 237,321,418
ბაქრაძე დიმიტრი 207,250,252, 325,418
ბაქრაძე ზაქარია 418
*ბაქცილა თეატრიკა 386
ბაშინჯაღიანი (ბაშინჯაღელი) მარიამ 32,322
ბაშინჯაღიანი პავლე 32,322
ბებიაშვილი ნათია 384
ბებუთოვი აბესალომ 365
ბებუთოვი ალექსანდრე 321
ბებუთოვი (ბებუთაშვილი) ვასილ 15,32-34,53,240, 267,273
ბებუთოვი იოსებ (ოსეფ) 32,273
ბებუთოვი კონსტანტინე 30,31, 321
ბებუთოვი მიხეილ 416
ბებუთოვი (ბებუთაშვილი) მიხეილ პეტრეს ძე 125,364,365
ბებუთოვი პეტრე 364
ბებუთოვი ოსეფ — იხ. ბებუთოვი იოსებ
ბეზაკი ნიკოლოზ 44,335
ბეზაკი პავლე 335
ბელი ევგენი 398
ბელი ტიმოთე 398
ბელინსკი ბესარიონ 311
ბენდიანიშვილი ალექსანდრე 312
ბენკენდორფი ალექსანდრე 318
ბენკენდორფი მიხეილ 29,318
ბერიძე ვახტანგ 273,399,401
ბერიძე თეიმურაზ 367
ბერიძე ნ. 333
ბეროშვილი ილო 299
ბერჟე ადოლფ 8,18,252,253
ბერჟე პეტრე 252
ბერულავა დიმიტრი 329
ბერძნიშვილი მაქსიმე 238,246-248,250-252,254,257,258,261, 262,265,268,272,275,276,286, 287,300,302,303,306,314,325, 337,346,352,355,366,368,383, 398,404,411,412, 423,424
ბერძნიშვილი ნიკოლოზ 252
ბესიკი 388,401

ბესტუჟევ-მარლინსკი ალექ-
სანდრე 258
ბლაჟევიჩი ი. 390
ბლუაშვილი ლაზარე 274
ბლუაშვილ სვიმონიკა 15,274
ბოგომოლოვი იგორ
282,290,291
ბოკაჩო ჯოვანი 373
ბოლგოვსკი 193-195,244,255,
410
ბოროზდინი ალექსანდრე 338
ბოროზდინი ალექსანდრე
კორნელის ძე 339
ბოროზდინი კორნელი 3,52,65,
230,267,273,291,293,338-340,
342,344
ბოცვაძე ზურაბ 401
ბოცვაძე იოსებ 338,381,390
ბრანიცკაია ელისაბედ — იხ.
ვორონცოვა ელისაბედ
ბრანიცკი პეტრე 263
ბრანიცკი ქსავერი 263
ბროკჰაუზი ფრიდრიხ-ადოლფ
253,261,262, 271-273,288,293,
306,313,319,335,338,345,351,
356,361,380,401,414
ბროხნიცკაია ლიუცია 389
ბუკრინსკი თეოდორე 287
ბულია პლატონ 342
ბურჟე ადოლფ — იხ. ბერჟე
ადოლფ
ბურჯანაძე ქეთევან 299
ბუტკოვი გრიგოლ 345
ბუტკოვი ვლადიმერ 65,67,345
ბუტკოვი პეტრე 65,345

*გ. დ. — იხ. დადიანი
(კოლხიდელი) გრიგოლ
გაბაშვილი ალექსანდრე 391
გაბაშვილი დავით 398
გაბაშვილი ეკატერინე 155,232,
317,390-392
გაბაშვილი ზაქარია 391
გაბაშვილი ნიკოლოზ 398
გაბაშვილი რევაზ (რეზო) 365,
391,403
გაბაშვილი ტიმოთე 260
გაბოძე ჯული 421
გაბრიელ იმერეთის ეპისკოპო-
სი 280,281,309,344, 366
გაბრუშკა 200,413
გაბუნია მერაბ 415
გაბუნია ნატალია (ნატო) 204,
415
გაგარინა ანასტასია (ტასო) —
იხ. ორბელიანი ანასტასია
(ტასო)
გაგარინი ალექსანდრე 52,292,
339,355
გაგარინი ივანე 339
გაგოიძე ვახტანგ 278
გამბა ჟაკ ფრანსუა 341
გამეზარდაშვილი დავით 247,
287,290,300,320,332,355,
393,415
განგესოვა აღათი 19,294,295
განგესოვა მარიამ 295
განგესოვი ვასილ 294
განგესოვი ივანე 19,294,295
განძიელი 207,418
გარსევანიშვილი 262
გაფრინდაშვილი მიხეილ 252
გაჩეჩილაძე ამბერკი 356
გაწერელია აკაკი 258,337,352,
367
გეგეჭკორი გივი 282
*გეგეჭკორი იოანე — იხ. და-
დიანი (კოლხიდელი) გრი-
გოლ

გერსამია თამაზ 336,366,385, 388,394
გერსამია სერგო 261-263,277, 289,290,303,347,355, 391
გერცენი ალექსანდრე 9,250, 254, 306,312
გეხტმანი დავით 77,351
გეხტმანი ნიკოლოზ 77,78,351
გვერდწითელი გურამ 315,406
გიგიტაშვილი თომა 183,187, 188,405
გიგიტაშვილი ლიზა 412
გიორგაძე გრიგოლ 372,378,392, 395,403
გიორგაძე თენგიზ 350
გიორგი (წმ.) 148,237,238,257, 313,326,330,362,366,380,385, 423
გიორგი III 322
გიორგი V გურიელი 265,268
გიორგი XII 286,412
გიორგი მთაწმინდელი 398
გლდანელი ივანე (კულა) — იხ. კულა გლდანელი
გლებოვი დიმიტრი 388
გლებოვი პავლე 151,153,388
გლუხარიჩი II — იხ. ერისთავი დავით გიორგის ძე
გოგებაშვილი იაკობ 3,26,49,95, 230,231,250,299,300,309,336, 338,342,356,357,383,400,401, 416,419
გოგებაშვილი სიმონ 309
გოგოლი ნიკოლოზ 147,385,419
გოგოხია ალექსანდრე 329
გოგოხია ლილი 249
გოდერიძე ლია 297,338,350,357, 408
გოდფრუა 312
გოეთე იოჰან ვოლფგანგ 419
გოზალიშვილი გიორგი 237, 238,244,246-250,253,254,255, 258,304,424
გოზალიშვილი შალვა 307,364, 417
გოთუა სიმონ 419
გოლოვინი ევგენი 139,151-153, 171,192,210,336, 377,388
გომართელი ივანე 236,237,362, 413,414,417
გორევა ელისაბედ 121,362
გორევი ნიკოლოზ 362
გოშაძე 93
გოცაძე მიხეილ 248,264,299, 356,407
გრიბოედოვა ნინო — იხ. ჭავ-ჭავაძე (გრიბოედოვა) ნინო
გრიბოედოვი ალექსანდრე 17, 89,150,192,210,258,285,286, 359,381,388
გრიბოედოვი სერგეი 285
გრიგოლ ეპისკოპოსი (გრიგოლ არქიმანდრიტი) (დადიანი) 281,284,331
გრიგორიევი 289
გრიშაშვილი იოსებ 272,275,285, 319
გრუბერი ევარესტ 239
გრუზინსკაია-ჭავჭავაძე ანა 282
გრუზინსკი ირაკლი (ერეკლე) — იხ. ირაკლი (ერეკლე) ბა-ტონიშვილი
გუგუნავა სიმონ 395
გუგუშვილი პაატა 279,290,294, 305,356
გუდოვიჩი ივანე 298
გუმცაძე — იხ. მგალობლი-შვილი სოფრომ

გუნია ვალერიან 139,142,152, 153,171,176.232,243,377,378, 380,385,386,388
გუნია ლევან 377
გურამიშვილი დავით 347
გურამიშვილი ეკატერინე — იხ. სტაროსელსკაია ეკატერინე
გურამიშვილი ელიკო 157,392
გურამიშვილი ვახტანგ 292
გურამიშვილი თადეოზ 357
გურგენიძე ნანა 247,265,424
გურგენიძე ნიდარ 323
გურიელები 362
გურიელი გიორგი — იხ. გიორგი V გურიელი
გურიელი გრიგოლ 33,84,323, 324
გურიელი დავით (I) 323
გურიელი დავით (II) 362,395
გურიელი დესპინე 265
გურიელი დიმიტრი 14,265
გურიელი ვახტანგ 163,395,396
გურიელი მალაქია 14,265
გურიელი მამია დავითის ძე 122, 124,125,163,362, 395
გურიელი მამია სვიმონის ძე — იხ. მამია V გურიელი
გურიელი პელაგია — იხ. წერეთელი პელაგია
გურიელი ტელემაქ 396
გურიელი ტერეზია — იხ. დადიანი ტერეზია
გურიელი ქაიხოსრო 265,268
გუსევ-ორენბურგსკი სერგეი 382
გძელიშვილი 93

*დ. ე. — იხ. ერისთავი დავით გიორგის ძე
დ. თ. 391
დადიანები 273,340
დადიანი ანდრია 350
დადიანი ბესარიონ 14,267
დადიანი გიორგი 266
დადიანი გიორგი ნიკოლოზის (ნიკოს) ძე 14,266, 267
დადიანი გრიგოლ — იხ. გრიგოლ ეპისკოპოსი (გრიგოლ არქიმანდრიტი)
დადიანი (კოლხიდელი) გრიგოლ 17,273,279-281
დადიანი დავით — იხ. დავით დადიანი
დადიანი დარეჯან — იხ. დარეჯანი (ქართლ-კახეთის დედოფალი)
დადიანი ეკატერინე — იხ. ეკატერინე დადიანი
დადიანი თამარ 350
დადიანი კ. გ. 268
დადიანი კაცია — იხ. კაცია II დადიანი
დადიანი ლევან — იხ. ლევან V დადიანი
დადიანი ნიკოლოზ (ნიკო) გიორგის ძე („დიდი ნიკო") 14, 266, 267
დადიანი (მინგრელსკი) ნიკოლოზ (ნიკო) დავითის ძე 29, 30,76-79,128,204-206,214,265, 285,295,296,318-320,334,339, 341,350,358,365,368,416
დადიანი ნიკოლოზ (ნიკო) ტარიელის ძე 39,329, 330,391
დადიანი ნინო — იხ. მუხრან-ბატონი ნინო
დადიანი პეტრე 14,267
დადიანი სალომე — იხ. მიურატი სალომე

დადიანი ტარიელ 39,330
დადიანი ტერეზია 281
დადიანი შალვა 234,330,391
დადიშქელიანები 339
დადიშქელიანი კონსტანტინე (მურზაყან) 292, 339,355
დავით აღმაშენებელი 281
დავით დადიანი 14,33,76,77,265, 266,276,291,295, 324,341
დავით სოსლანი — იხ. კეხელი დავით
დავითაია ეთერ 365,385,399
დავითაშვილი დავით 174,233, 400,402
დავითაშვილი ნ. 309
დავითაშვილი შიო 144,382
დავითი (წმ.) 343,388,398
*დათიკო ვერმიცანაშვილი — იხ. წულაძე ლავრენტი
დანელია ფელიქს 236,238,239, 244,245
დარეჯანი (ქართლ-კახეთის დედოფალი) 412
დაუშვილი რუსუდან 275,366, 374
დგებუაძე 269
დგებუაძე-ფულარია ფუცუ 275, 390
დედაბრიშვილი გ. 258
დედაბრიშვილი ზაქარია 377
დედაბრიშვილი შიო — იხ. არაგვისპირელი შიო
დელბრუკი 340,403
დემენტიევი ნიკოლოზ 8,18,245
დემენტიევი ტიმოთე 245
დემეტრე (დიმიტრი) II თავდადებული 211,387, 388
დემურია მარიამ 249
დიასამიძე გრიგოლ 35,327,331, 383
დიასამიძე დავით 383
დიასამიძე დიმიტრი 383
დიასამიძე ნიკოლოზ (ნიკო, ნიკა) 144,148,151,192,210,328, 383,384
დიასამიძე სანდრო 402
დიმიტრი ბატონიშვილი 247
დიმიტრი თავდადებული - იხ. დემეტრე (დიმიტრი) II თავდადებული
დიუკრუასი ალექსი 344
დიუკრუასი იპოლიტ 64,344,345
დიუმა ალექსანდრე (მამა) 277, 282,291,352,424
დობროლიუბოვი ნიკოლოზ 306
დოდაევა-მაგარსკაია ანჟელიკა 252,254
დოდაშვილი ივანე 251
დოდაშვილი სოლომონ 8,248, 250-252,254
დოლიძე ისიდორე 235-236,243
დოლიძე ნ. 251
დონდუკოვ-კორსაკოვა ნადეჟდა 420
დონდუკოვ-კორსაკოვი ალექსანდრე 36,110,138,139,142, 144,153,160,163,174,176,186, 188, 190,192,210,212-214,327, 331-334,375,377,380,388,395, 410,420,421
დონდუკოვ-კორსაკოვი მიხეილ 327
დონდუკოვი ალექსანდრე — იხ. დონდუკოვ-კორსაკოვი ალექსანდრე
*დონ-იაგო — იხ. მანსვეტაშვილი იაკობ
დოსტოევსკი თედორე 292
დრანსე ანა 282
დუმბაძე მამია 346,418

ლუტუ მეგრელი — იხ. მეგრელი ლუტუ
*დუშიკო — იხ. ახნაზაროვი არტემ
*დ-ძე ნ. 256; იხ. აგრეთვე: მარტენი ჟან, მარტინოვი ივანე, ნ. ყ., ყიფიანი ნიკოლოზ

ე. კ-ლი — იხ. კ-ლი ე.
ევგენია 324
ევგენიძე იუზა 362
ევსევი ეგზარქოსი (ილინსკი) 398
ეილერი ალექსანდრე 301
ეილერი ნინა 301
ეილერი ქრისტეფორე 301
ეკალაძე ია 387
ეკატერინე (წმ.) 11,173
ეკატერინე II 236,286
ეკატერინე დადიანი 17,19,52, 53,55,63-65,68,172,182,189, 205,284,285,291,301,324,339-342,348,368,405
ელენე ბატონიშვილი 22,304
ელიავა გრიგოლ 390
ელიაშვილი კ. 155,390
ელიოზიშვილი 275
ელისაბედი 271
*ემბე — იხ. ბებუთოვი (ბებუთაშვილი) მიხეილ პეტრეს ძე
*ენგურელი — იხ. გოგოხია ალექსანდრე
ენიკოლოფოვი (ენიკოლოფაშვილი) ივანე 305, 367,383
*ერაძე, ერაძე ია — იხ. მგალობლიშვილი სოფრომ
ერეკლე II 17,198,236,243,246, 282-284,286,302,309,343,361, 411,412,424
ერეკლე ბატონიშვილი — იხ. ირაკლი (ერეკლე) ბატონიშვილი
ერისთავები 21,128,219
ერისთავი 93
ერისთავი ანასტასია (ტასო) — იხ. ყიფიანი ანასტასია (ტასო) მიხეილის ას.
ერისთავი გიორგი დავითის ძე („გლუხარიჩი") 8,12,88,89, 91,247,260,261-263,277,284, 289,303,304,319,347,348,354-356,363,374,381
ერისთავი გიორგი იესეს ძე („სენატორი") 304
ერისთავი გიორგი (მამაჩზე) ივანეს ძე 128,368
ერისთავი გიორგი რევაზის (რომანის, რომანოზის) ძე („ატამანი") 21,23,49,50,53, 62,216,254,302,337
ერისთავი დავით 309
ერისთავი დავით გიორგის ძე 122,124,261,312,363
ერისთავი დიმიტრი 248
ერისთავი ელიზბარ 8,9,18,247-249,254,288,301, 302,372
ერისთავი ელისაბედ 288,372
ერისთავი ზაქარია 49,337
ერისთავი იესე 304
ერისთავი ივანე ელიზბარის ძე (1781-1841) 368
ერისთავი ივანე ელიზბარის ძე (1846-1919) 249
ერისთავი კოლა 402
ერისთავი კონა 12,262
ერისთავი მამამზე — იხ. ერისთავი გიორგი (მამამზე) ივანეს ძე

ერისთავი მარიამ (მაიკო) — იხ. ზლოტნიცკაია მარიამ (მაიკო)
ერისთავი მირმანოზ 303
ერისთავი მიხეილ 10,14,19,113, 185,256,270
ერისთავი რაფიელ 26,309,339, 357
ერისთავი რევაზ (რომან, რომანოზ) 23,302
ერისთავი ტასო — იხ. ყიფიანი ანასტასია (ტასო) მიხეილის ას.
ერისთავი ქაიხოსრო 256
ერისთავი ქეთევან 249
ერისთავი შალვა 236,249
ერისთავი შანშე 236,247
ერმოლოვი ალექსი 211,285,420, 421
ესაძე ბორის 369,416
ესაძე სიმონ 369,416
ესპეხო იაკიმ 10,13,256
ეფრონი ილია 253,261,262,271-273,288,293,306,313,319,335, 338,345,351,356,361, 380,401, 414

ვალენიჩი 206,417
ვანიშვილი შალვა 271-272
ვაჟა-ფშაველა 353,392,414,415
ვარანცოვი — იხ. ვორონცოვი მიხეილ
ვართაგავა იპოლიტე 329,353
ვახანია ნინო 261,262,276,287
ვახტანგ VI 64,344
ვახტანგ ბატონიშვილი 235
ვახტანგ (ალმასხან) ბატონიშვილი 198,411,412
ვახუშტი ბატონიშვილი 325
ვეზირიშვილები (ვეზირიშვილები) 172
ვეზირიშვილი ბარბარე 407
ვეიდენბაუმი ევგენი 252
ვერგილიუსი პუბლიუს მარონ 19,297
ვერდერევსკი ალექსანდრე 290
ვერდერევსკი ევგენი (ევგრაფი) 18,290,291
ვიზირიშვილები — იხ. ვეზირიშვილები
ვირგილი — იხ. ვერგილიუსი პუბლიუს მარონ
ვირსალაძე ელენე 307
ვიტე იული 361
ვლადიმირი (წმ.) 28,313
ვოდოვი 25,306
ვოლტერი 340,373
ვორონცოვა-ელისაბედ 89,173, 263,264
ვორონცოვი მიხეილ 11-15,53, 71,89,90,125,136,163,173,241, 259-264,269-271,283,305,346, 347,349,356,366,367,374,375, 421
ვორონცოვი სიმონ 89,259
ვოსტორგოვი იოანე 205,415
ვოსტორგოვი იოანე იოანეს ძე 415
ვრანგელი ალექსანდრე 263,264
ზამანა 254
ზანდუკელი მიხეილ 390

ზაქარიძე — იხ. მგალობლიშვილი სოფრომ
ზედგინიძე (I) 242
ზედგინიძე (II) 317
ზისერმანი კარლ 43,148,332, 333,377,385,401

ზისერმანი ლევ 333
ზიჩი მიხაი 325
ზლოტნიცკაია მარიამ (მაიკო) 249
*ზოილი — იხ. კეზელი დავით
ზოლა ემილ 373
*ზრ..., ზრიტელ — იხ. ბებუთოვი კონსტანტინე
ზუბალაშვილები 322,359
ზუბალაშვილი იაგორ 321
ზუბალაშვილი (ზუბალოვი) ნიკოლოზ 31,321,322
ზუდერმანი ჰერმან 173,399
ზურაბიშვილი ილია 415

თ. ჯ. 234,244,256,265,268,270, 283,322,370,375,376,379,386, 393,394,403,410,423; იხ. აგრეთვე: ჯოლოგუა თამაზ
თავამაიშვილი გიორგი 371,372, 396,417
თავართქილაძე კონსტანტინე 329
თავდიშვილი მურმან 282
თავზიშვილი გიორგი 245,252, 264, 371,390,391,420
თაიროვი 207,418
თამამშევი (თამამშოვი) 126,367
თამარ მეფე 32,205,322,323,395
თამარაშვილი მიხეილ 373
თარხან-მოურავი 82
თარხან-მოურავი (თარხნიშვილი, თარხანოვი) გიორგი 132,352, 369,370
თარხან-მოურავი დავით 236, 352
თარხან-მოურავი (თარხნიშვილი) იორამ 352,369
თარხან-მოურავი (თარხნიშვილი) იოსებ 352
თარხან-მოურავი (თარხნიშვილი) კონსტანტინე 352
თარხნიშვილები 21
თარხნიშვილი დიმიტრი 352
თარხნიშვილი ეკატერინე — იხ. გაბაშვილი ეკატერინე
თარხნიშვილი ივანე 352
თარხნიშვილი მიხეილ 306
თარხნიშვილი რამაზ 352
თარხნიშვილი რევაზ 390
თაყაიშვილი ექვთიმე 207,234, 243,317,318,353,366,370,418, 419
თაყაიშვილი სიმონ 418
თედორაძე ნ. 277
თეიმურაზ ბატონიშვილი 280, 281,346
*თეიმურაზ ვაკელი 279; იხ. აგრეთვე: ბ. ქ., ბაქარ ქართელელი, მყვირალა (ქართელელი), ყიფიანი დიმიტრი
თეკლე (თეკლა) ბატონიშვილი 246,275,284,286, 287,424
თელია ავთანდილ 351,370,378
თოდუა გრიგოლ 298,308
თუთაევი აღალო 383
თულაშვილი 311
თულაშვილი დიმიტრი 72,300
თულაშვილი ვახტანგ 20,26,45, 48,71,72,74,75,78,82,83,96,98, 230,250,297,300,301,307,309, 336,338,419
თუმანიშვილი ბარბარე — იხ. ანდრეევსკაია ბარბარე
თუმანიშვილი ბირთველ 20,78, 299
თუმანიშვილი გიორგი ეგნატეს ძე 261,262

თუმანიშვილი (თუმანოვი) გიორგი მიხეილის ძე 132, 271,317,321,354,370
თუმანიშვილი დიმიტრი 337
თუმანიშვილი იასონ (იაზონ) 50,337
თუმანიშვილი ისააკ 50,337
თუმანიშვილი მიხეილ ბირთველის ძე 20,78,129,290,299, 300,370
თუმანიშვილი შიოშ 50,337
თურნავა სერგო 278
თუხარელი ანდრია 174,400
თუხარელი მარიამ 174,400

*ია ერაძე — იხ. მგალობლიშვილი სოფრომ
იანკოვსკი ვიქტორ 150-153,388
იანკოვსკი ოსიპ 388
იანოვსკი კირილე 142,144,174, 188,212,329,378,380
იანოვსკი პეტრე 378
იბსენი ჰენრიკ 362
იესო ქრისტე 138,150,181,185
*ივ. მჭ. — იხ. მჭედლიშვილი ივანე
ითონიშვილი ვალერიან 252,373
ილია (წმ.) 242
ილია ბატონიშვილი 282
ილიინსკაია ეკატერინე 18,275, 276,286
ილიინსკაია ნინო 276
ილიინსკაია ვასილ 275,276
ილიინსკი ივანე 276
ილინსკი ევსევი — იხ. ევსევი ეგზარქოსი (ილინსკი)
იმედაშვილი იოსებ 363,382
ინგოროყვა პავლე 285,295,337, 366,388,395,417
ინსარსკი ანტონ 343
ინსარსკი ვასილ 62,343
იოაკიმე რომანოვი — იხ. რომანოვი იოაკიმე
იოანე ღვთისმეტყველი 298
იოსებ თბილელი 260
იოსელიანი ალექსანდრე 391
იოსელიანი ეგნატე 288
იოსელიანი იაგორ 134,371,372
იოსელიანი პლატონ 18,82,288, 385
ირაკლი II — იხ. ერეკლე II
ირაკლი (ერეკლე) ბატონიშვილი 17,86,282-284
ირემაძე ქეთევან 364,390
ისიდორე ეგზარქოსი (ნიკოლსკი) 18,288
*ისკანდერი — იხ. გერცენი ალექსანდრე
იუდა ისკარიოტელი 205
იულონ ბატონიშვილი 247
იურკევიჩი ვიქტორ 364

*კ. 280; იხ. აგრეთვე: დადიანი (კოლხიდელი) გრიგოლ
*კ. 421; იხ. აგრეთვე: კლდიაშვილი დავით
კავილაძე რუსუდან 418
კალანდაძე ელაქსანდრე 250, 277-279,281,287,294,300,317, 389,400,413
კალატოზიშვილი ჩიტო 117, 118,360
კამერონი 18,59,291
კანდელაკი დ. 290
კანდელაკი ნიკოლოზ 330
კარბელაშვილი ვასილ 284
კატკოვი მიხეილ 26,27,260,292, 310-312
კატკოვი ნიკიფორე 26,311

კაცია II დადიანი 335
კაციტაძე კახა 252
კეზელი დავით 156,392
კეთჩერი — იხ. კეტჩერი ნიკოლოზ
კეკელიძე კორნელი 275
კეკელიძე მიხეილ 300
კერესელიძე ივანე 16,126,136, 249,262,276,277,286,299,302, 305
კეტჩერი ნიკოლოზ 17,279
კეტჩერი ქრისტეფორე 279
კვალიაშვილი 5
კვალიაშვილი ანასტასია 243
კვალიაშვილი გიორგი 402
კვალიაშვილი ივანე 402
კვატაია მანანა 311,378
კვირკველია თენგიზ 366
*კიკია — იხ. მგალობლიშვილი სოფრომ
კიკნაძე გრიგოლ 247
კიკნაძე იოსებ 242
კიკნაძე ლია 284,296,324,350
კირვალიძე ვასილ 160,232,233, 393,394
კირილე 39,330
კირიონ II 411
კიროვი სერგეი 254
კისლი 202,414
კლდიაშვილი ალექსანდრე (საბა) 173,399,400
კლდიაშვილი გრიგოლ 399
კლდიაშვილი დავით 268,328,362, 384,394
კლდიაშვილი ეფროსინე (ეფრო) 240,399
კლდიაშვილი საბა — იხ. კლდიაშვილი ალექსანდრე (საბა)
კლდიაშვილი სიმონ 173,399
კ-ლი ე. 108,359
კობახიძე გივი 327
კობახიძე გიორგი 369
კობახიძე ლ. 348
კობიაკოვი დ. 252,253
კოლიუბაკინი მიხეილ 19,57,62-67,293,343
კოლიუბაკინი ნიკოლოზ 19,56, 57,62,292,293,325
კოლიუბაკინი პეტრე 19,292, 293
კოლოგრივოვა ნადეჟდა — იხ. დონდუკოვ-კორსაკოვა ნადეჟდა
კოლოგრივოვი ანდრეი 420
კოლუბაკინი, კოლუბიაკინი — იხ. კოლიუბაკინი
*კოლხიდელი — იხ. დადიანი (კოლხიდელი) გრიგოლ
კორინთელი ეფემია — იხ. ყიფიანი ეფემია ექვთიმეს ას.
კორინთელი ექვთიმე 405
კოსტავა მერაბ 387,409
კოტეტიშვილი ვახტანგ 247, 287,400
კოშორიძე ელენე 373
კრაევსკი ანდრეი 311
კრუზენშტერნი ალექსი 15,16, 66,151,274,289,292,294,345, 388
კრუზენშტერნი თედორე 66,274
კულა გლდანელი 360

*ლ. ყ. — იხ. ყიფიანი ლუარსაბ
ლაბზინი ალექსანდრე 258
ლაგაზიძე იოსებ 154,389
ლაგაზიძე ლონგინოზ 389
ლადინსკი პეტრე 267,345
ლაზარევი 185,270,408
ლამარტინი ალფონს დე 17,282

ლაროში ბენჟამენ 17,122,123, 279
ლასხიშვილი გიორგი 275,353, 373, 397,420
ლატოში მიხაილ — იხ. ომერ-ფაშა
ლაღიაშვილი იოსებ 330
ლაღიაშვილი იოსებ (სოსო) იოსების ძე 40,137,140-143, 155,159,169,175,186, 214,330, 376-379,395,401
ლაღიძე იოსებ (სოსო) — იხ. ლაღიაშვილი იოსებ (სოსო)
ლაღიძე მიტროფანე 388
ლებედევი პეტრე — იხ. პავლე ეგზარქოსი
ლევან V დადიანი 279,331
ლევან ბატონიშვილი 411
ლეკიშვილი სოლომონ 289
ლენინი ვლადიმერ 192,409
ლეონიძე ალექსანდრე 154,232, 379,389
ლეონიძე გიორგი 232,233,314, 388,408
ლეონიძე მიხეილ 389
ლეონტი მროველი 329
ლერმონტოვი იური 398
ლერმონტოვი მიხეილ 171,308, 398
ლიგინზევიჩი ა. 271
ლივენი ალექსანდრე 320
ლივენი ანდრეი 30,128,320
ლობანოვ-რეჩიცკი 15,273
ლოლაშვილი ივანე 258
ლოლაძე ზაალ 151,388
ლოლაძე ტარიელ 388
ლოლუა თეიმურაზ 350
ლოლუა ლუარსაბ 77,350
ლომთათიძე გიორგი 234,317
ლომოური ნიკო 235
ლომსაძე შოთა 335,373
ლორთქიფანიძე ანტონ 104, 115,147,173,187,190,192,193, 206,207,358,371,402,409,410, 421
ლორთქიფანიძე ელენე (ლოლა, ლოკა) 32,43,44,104,111, 113,115,117,125,133,146,147, 155,156,158,161,173,185,186, 190,197,200,201,202,206,207, 322,358,371,392,410,417
ლორთქიფანიძე იოსებ 342
ლორთქიფანიძე ირაკლი (ერეკლე) 57,59,342
ლორთქიფანიძე კირილე 420
ლორთქიფანიძე ნიკოლოზ 207, 358,417
ლორთქიფანიძე სიმონ (სისო) 207,417
ლორთქიფანიძეები 173
ლორია ალექსანდრე 323
ლორის-მელიქოვი მიხეილ 30, 32-33,34,50,318,319, 357
ლორის-მელიქოვი ტარიელ 318

*მა ვორექ 329
მაბლი გაბრიელ 258
*მაგმაძე თ. — იხ. ჭყონია ილია
მადათოვი ვალერიან 394
მაისურაძე ევგენი 363
მამაცაშვილი გაბრიელ 73,349
მამაცაშვილი ზაქარია 75,349
მამაცაშვილი ილია 73,349
მამაცაშვილი იოსებ 8,9,20,24, 73,75,78,82,96,120, 129-130, 249,250,254,336,349
მამაცაშვილი კონსტანტინე 26,48, 73,130,151,202,307
მამაცაშვილი მაია 418

მამაცაშვილი მარიამ — იხ. ჯავახიშვილი მარიამ იოსების ას.
მამაცაშვილი მიხეილ 73,349
მამაცაშვილი ქრისტეფორე (ქაიხოსრო) 20,24,73,75,78, 82, 249,307,349
მამია V გურიელი 281
მამულოვი (მამულაშვილი) რაფიელ 72,347
მანასეინი ელპიდიფორ 8,245
მანასეინი პეტრე 245
მანჟელეი ეკატერინე 377
მანჟელეი მარიამ 139,142,214,377
მანსვეტაშვილი ალექსანდრე 396
მანსვეტაშვილი იაკობ 163,233, 381,386,392,396,397
მარი ნიკო 416,418
მარიამ კაცია II დადიანის ას. 335
მარიამ ღვთისმშობელი 321, 387,398
მარინე (წმ.) 324,423
მარკოზაშვილი (მარკოზოვი) 359
მარკოზაშვილი (მარკოზოვი) ვასილ 18,289
მარკოზაშვილი ივანე 289
მარტენი ჟან 413; იხ. აგრეთვე: დ-ძე ნ., მარტინოვი ივანე, ნ. ყ., ყიფიანი ნიკოლოზ
მარტინოვი ივანე 201; იხ. აგრეთვე: დ-ძე ნ., მარტენი ჟან, ნ. ყ., ყიფიანი ნიკოლოზ
მარქსი კარლ 366,367
მარჯანიშვილი კოტე 401
მასტიცკი 192
მასხულია ვასილ (ვასო) 329
მატინოვი ალექსანდრე 34,192, 324,325
მატინოვი სტეფანე 324
მაქსიმოვი სერგეი 254,285,399
მაქსიმოვიჩი პავლე 277
მაღალაშვილი ამილბარ 24,306
მაღალაშვილი ლუარსაბ (შაქრო) 78,79,312,351
მაღალაშვილი მარიამ 237
მაღალაშვილი შაქრო — იხ. მაღალაშვილი ლუარსაბ (შაქრო)
მაღრაძე ელგუჯა 340
მაყაშვილი გრიგოლ 215,218,423
მაყაშვილი რევაზ 423
მაჩაბელი გიორგი ვასილის ძე 365,366
მაჩაბელი გიორგი სვიმონის ძე 359,365,366
მაჩაბელი დავით 256
მაჩაბელი ვასილ (ვასო) 125, 163,231,365,366,416
მაჩაბელი ივანე (ვანო) 108,122, 124,125,144,145,147,163,204, 232,357,359,360,365,366,370, 378,383,393,394, 415
მაჩაბელი სვიმონ 366
მაჭავარიანი თამარ 321,407
მაჭავარიანი სარდიონ 406
მაჭავარიანი სიმონ 257
მაჭავარიანი სპირიდონ 10,14,257
მაჭარაშვილი ნესტორ 343,398
მაჭარაძე ვალერიან 422
მახარაძე ივანე 396
მახარაძე მელქისედეკ (მელქისა) 163,396
მგალობლიშვილი ზაქარია 370
მგალობლიშვილი სოფრომ 133, 232,369-371,382-384,400,404, 417,421

*მეგრელი — იხ. დადიანი (კოლხიდელი) გრიგოლ
მეგრელი დუტუ 330
*მეგრელი ნ. დ. — იხ. დადიანი ნიკოლოზ ტარიელის ძე
მეგრელიძე იოსებ 418,419
მეგრელიძე შამშე 295,299,308, 323,346,370,423
მეზენცოვი ვლადიმერ 372
მეზენცოვი (მეზენცევი) ნიკოლოზ 134,372
მეთოდე 39,330
*მეკენჭე — იხ. მესხი სერგეი
მელანო 213,422
მელიქიშვილი პეტრე 387
მელიწკაური ნანა 423
მერკვილაძე იოსებ (სოსიკო) 149, 386
მერკვილაძე ნიკოლოზ 386
მერკვილაძე სოსიკო — იხ. მერკვილაძე იოსებ (სოსიკო)
მესროპ მაშტოცი 39,330
მესხი კოტე 234
მესხი მართა 237
მესხი სერგეი 267,323,325,338, 344,361,367,390,392
მესხიშვილი ლადო — იხ. ალექსი-მესხიშვილი ვლადიმერ (ლადო)
მეტრეველი პ. 382
მეტრეველი როინ 418
მეუნარგია იონა 281,291,335, 341,342,362,363
მელვინეთუხუცესიშვილი დიმიტრი 260
მთვარელიძე მურად 393,421
მითჩელი ო. — იხ. მიტჩელი ორმსბი-მაქნაით
მინგრელსკი ნიკოლოზ (ნიკო) — იხ. დადიანი (მინგრელსკი) ნიკოლოზ (ნიკო) დავითის ძე
მირზაშვილ გიორგი (იაგორ) 242,403,410
მირზაშვილი ეკატერინე — იხ. ტატიშვილი ეკატერინე
მირზაშვილი იაგორ — იხ. მირზაშვილი გიორგი (იაგორ)
მირზაშვილი მარიამ (მონიკო) — იხ. ყიფიანი მარიამ (მონიკო) გიორგის (იაგორის) ას.
მირიან ბატონიშვილი 411
მიტჩელი ორმსბი-მაქნაით 16, 137,278
მიურატი აშილ 324
მიურატი სალომე 33,37,41,44, 324,350
მიქაბერიძე ალექსანდრე 250
მიქავა უტუ 341
მიქაძე გივი 262,266,295,300
მიქელაძე 161,394
მიქელაძე კონსტანტინე 62,84, 343
მიქელაძე მათე 343
მიხაილოვსკი ნიკოლოზ 312
მიხეილ ნიკოლოზის ძე (დიდი მთავარი) 22,24,35-37,39,41, 42,44,76,79,129,144,149,163, 179,190,202,206,215,271,284, 306,327,331,334,364,366,367, 382,387, 414,417,423, 425
*მკითხველი 354-355
მოდებაძე 93
მოზდოკელი გიორგი 233
*მოლაყბე 299
მოლიერი 16,84,89,126,133,136, 278,295,347,352,355,367, 371
მონტესკიე შარლ დე 258
მოპასანი გი დე 373
მორფი პოლ 280

*მოქალაქე 338
მოძალევსკი ბორის 338
მოძალევსკი ლევ 51,338
მოძალევსკი ნ. — იხ. მოძალევსკი ლევ
მოძალევსკი ნიკოლოზ 338
მურავიოვი ნიკოლოზ 274
მურავიოვი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე 15,16,53,54,71, 72,274,276, 285,346,347
მურიე ჟიულ 339
მუსხელიშვილი 5
მუსხელიშვილი დიმიტრი 250
მუსხელიშვილი თინათინ 243
მუშკუდიანი ქეთევან 416,417
მუხთარ-ფაშა — იხ. ომერ-ფაშა
მუხრანბატონები 219
მუხრანბატონი გიორგი 419
მუხრანბატონი გიორგი კონსტანტინეს ძე 62,84,127,343, 344
მუხრანბატონი ივანე 20,21,23, 41,79-82,127,148,215,221,223, 301,331,336,419
მუხრანბატონი იოანე 343
მუხრანბატონი კონსტანტინე ივანეს ძე 23,80,301,425
მუხრანბატონი კონსტანტინე იოანეს ძე 343
მუხრანბატონი ნინო 41,331
მუხრანსკი გიორგი 209
მუხრანსკი ივანე - იხ. მუხრანბატონი ივანე
მუჯირი ალექსანდრე 416
მღვიმელი შიო 372
*მყვირალა (ქართელი) 279; იხ. აგრეთვე: ბ. ქ., ბაქარ ქართელი, თეიმურაზ ვაკელი, ყიფიანი დიმიტრი ივანეს ძე
მჭედლიშვილი ივანე 381
მხარგრძელები 322,323
მხარგრძელი ზაქარია II 32,34, 322,323
მხარგრძელი ივანე (იოანე) 32, 322,323
მხარგრძელი სარგის 32,34,323

ნ. 387; იხ. აგრეთვე: ჭავჭავაძე (გრიბოედოვა) ნინო
N 129,231
ნ. ყ. 5,8,11,14,21,33,39,40,43; იხ. აგრეთვე: დ-ძე ნ., მარტენი ჟან, მარტინოვი ივანე, ყიფიანი ნიკოლოზ
ნაზოროვა ელისაბედ (ლიზა) 11,259,412
ნაზოროვი ივანე 259
ნაზოროვი ივანე ივანეს ძე 11, 259
ნაკაშიძე გიორგი 327
ნაკაშიძე პეტრე 36,327
*ნა-ლი ა. — იხ. ნანეიშვილი ალექსანდრე
ნალივაიკო სევერინ 248
ნამორაძე ლუარსაბ 384
ნამორაძე ქეთევან — იხ. ჟურული ქეთევან
ნანეიშვილი ალექსანდრე 329
ნანიტაშვილი ლეილა 250,291, 310,326
ნაპოლეონ I ბონაპარტი 280,324
ნაპოლეონ III 283,324
Наследственный поэт — იხ. ერისთავი დავით გიორგის ძე
ნაცვლიშვილი ნ. 411

ნაჭანჭათელევი — იხ. წულაძე აპოლონ
ნაჭყებია ნ. 353
ნებიერიძე ალექსანდრე (ალექსი) 149,386
ნეველი ალექსანდრე — იხ. ალექსანდრე ნეველი
ნევეროვი იანუარი 51,338
ნევეროვი მიხეილ 338
ნეკრასოვი ნიკოლოზ 306,413
ნიკიფორაკი ნიკოლოზ 332
ნიკოლაი ალექსანდრე 4,14,15, 44,45,53,55,70,215,229,234, 271,272,297,306,339,352, 368
ნიკოლაი ლეონტი 272
ნიკოლაი მარიამ 272
ნიკოლაი პავლე 271,272
ნიკოლაი სოფიო 272
ნიკოლაძე იაკობ 320
ნიკოლაძე ნიკო 30,31,42,95,164, 260,268,311,312,316,320,321, 324,325,332,339,349,350,361, 393
ნიკოლოზ I 8,253,281,283,387
ნიკოლოზ მიხეილის ძე (დიდი მთავარი) 149,284,387
ნიკოლოზი 389
ნიკოლოზი (წმ.) 365
ნიკოლსკი იაკობ — იხ. ისიდორე ეგზარქოსი (ნიკოლსკი)
ნიკოლსკი სერგეი 288
ნინო (სამეგრელოს დედოფალი) 281
ნინო (წმ.) 210,264,265,310,333, 356,377,420,421
ნიჟარაძე ალმასხან 36,170,327
ნიჟარაძე დავით — იხ. ნიჟარაძე ალმასხან
ნიჟარაძე დიმიტრი 327
ნიჟარაძე ეფემია 295
ნონე ფონ-დერ ავგუსტ 289,322
ნონე ფონ-დერ მიხეილ 18,32, 289,322
ნუცუბიძე სულიკო 366

Ობოლენსკი 12,13,263
ოდოევსკი ვლადიმერ 292
ოვენი რობერტ — იხ. ოუენი რობერტ
ოვიდიუსი პუბლიუს ნაზონ 19, 297
ოლგა (ოლღა) თეოდორეს ას. (დიდი მთავრინა) 36,44,149, 327,387
ომერ-ფაშა (ომარ-ფაშა) 15,82, 273,279,291,352
ონიკაშვილი ალექსანდრე 259
ორბელიანები 41,219
ორბელიანი 93,366
ორბელიანი ალექსანდრე დავითის ძე 126,227,262,301,367, 425
ორბელიანი ალექსანდრე („პუპლია") ვახტანგის ძე 18,84, 216,248,261,262,276,286-288, 300,302,424
ორბელიანი ალექსანდრე (საშიკო) ივანეს ძე 275
ორბელიან ან. 263
ორბელიანი ანასტასია (ტასო) დავითის ას. 89,339,355,356
ორბელიანი ანასტასია ნიკოლოზის ას. 275
ორბელიანი გიორგი 304
ორბელიანი გრიგოლ (გიგო) 363
ორბელიანი გრიგოლ დიმიტრის (ზურაბის) ძე 8,21-23, 49,50,54,66,67,70,79-82,85, 127,130,160,215,216,221,223,

224,246,248,253,258,267,268, 272,284,285,319,325,335,337, 340,341,345-347,351,352,366, 367,387
ორბელიანი დავით (I) 367
ორბელიანი დავით (II) 303,339, 355
ორბელიანი დიმიტრი (ზურაბ) 23,66,79,246
ორბელიანი დიმიტრი ვახტანგის ძე 216,424
ორბელიანი დიმიტრი თამაზის (თომას) ძე 425
ორბელიანი ეკატერინე (კატინა) 287
ორბელიანი ელისაბედ — იხ. ბარიატინსკაია ელისაბედ
ორბელიანი ვახტანგ 246,286, 302,347,424
ორბელიანი ვახტანგ ვახტანგის ძე 8,16-18,130,246,247, 274,275,286,424
ორბელიანი ზაქარია 285,305
ორბელიანი თამაზ (თომა) 304, 425
ობრელიანი ივანე (იოანე) 282
ორბელიანი ივანე თამაზის (თომას) ძე 425
ორბელიანი ილია (ილიკო) 89, 291,355
ორბელიანი იოსებ (სოსიკო) 21, 302,303
ორბელიანი მამუკა (მაკარ) 22, 216,304,305
ორბელიანი მანანა 12,21-22,89, 262,263,300,303,339,355
ორბელიანი მარიამ (მაშო) 274, 275
ორბელიანი ნიკოლოზ 275
ორბელიანი ნინო 122,363,364
ორბელიანი სალომე — იხ. ჭავჭავაძე სალომე ივანეს (იოანეს) ას.
ორბელიანი საშიკო —იხ. ორბელიანი ალექსანდრე (საშიკო) ივანეს ძე
ორბელიანი სოსიკო — იხ. ორბელიანი იოსებ (სოსიკო)
ორბელიანი სოფიო 335
ორბელიანი სულხან-საბა 233, 347,384
ორბელიანი ტასო — იხ. ორბელიანი ანასტასია (ტასო) დავითის ას.
ორბელიანი ქეთევან 22,89,304
ორლიონოვი (ორლიონევი) პავლე 362
ორლოვი 176
ორლოვსკი ივანე 288
ორლოვსკი კონსტანტინე 18, 68,70,73,75,288,297,424
ორჯონიკიძე ეთერ 259,261,347
ოსტენ-საკენი მაქსიმილიან 59, 65,343
ოსტენ-საკენი სალომე 343
ოსტროვსკი ალექსანდრე 121, 362,419
ოსტროვსკი ნიკოლოზ 362
ოუენი (ოვენი) რობერტ 140, 141,378
ოქრომჭედლიშვილი (სერებრიაკოვი) ილია 205,206,416, 417
ოქრომჭედლიშვილი (სერებრიაკოვი) ლაზარე 416
ოქროპირიძე ალექსანდრე — იხ. ალექსანდრე ეპისკოპოსი (ოქროპირიძე)
ოქროპირიძე დავით 377

ოძელაშვილი არსენა 201,347, 413

პავლე (წმ.) 401
პავლე ეგზარქოსი (ლებედევი) 39-41,77,107,112,138,139,142-144,159,169,170,174-176,186, 188,212,214,330,331,351,375, 380,393,395,397,401,423
პალადი ეგზარქოსი (რაევი) 144,379
პალმი ალექსანდრე 121,361, 362
პალმი გრიგოლ 362
პალმი ივანე 121,361
პალმი სერგეი 121,361,362
პაპავა თამარ 284,287,304,346
პაპავა ნანული 287
პასკევიჩი ივანე 239,285,321
პატი ადელინა 72,348
პატი კარლოტა 348
პეტრე (წმ.) 401
პეტრე I (პეტრე დიდი) 152, 171,210,211,340,388
*პეტრიძე მ. — იხ. უმიკაშვილი პეტრე
პეშჩუროვი ალექსი 413
პეშჩუროვი პეტრე 202,206,371, 413,414
პიმენოვი ნიკოლოზ 366
პისემსკი ალექსი 88,354
პისემსკი ფეოფილაქტი 354
*პიტნა — იხ. წულაძე აპოლონ
პლუტარქე 325
პოლონსკი იაკობ 282
პოლტარაცკი ივანე — იხ. პოლტორაცკი ივანე
პოლტორაცკაია ნინო 318
პოლტორაცკი ეგნატე 317,318
პოლტორაცკი (პოლტარაცკი) ივანე 29,210,317,318
პოლტორაცკი ილია 317
პოლტორაცკი სიმონ 318
პოპოვა პრასკოვია 398
პოპოვი პეტრე 398
პოტაპენკო იგნატი 382
*პროვინციელი — იხ. ლომოური ნიკო
პუშკინი ალექსანდრე 173,258, 263,299,306,307,338,399

ᲠᲐᲜᲚᲘᲡᲘ მადლენ ფელისტე 276
ჟელიხოვსკი 305
ჟუკოვსკი გალაქტიონ 306
ჟუკოვსკი იული 25,45,46,306
ჟურული გიორგი 145,384
ჟურული დურმიშხან 384
ჟურული ქეთევან 145,384
ჟღენტი გ. 362
ჟღენტი ვ. 247

რაევი ივანე 379
რაევი პავლე — იხ. პალადი ეგზარქოსი (რაევი)
რატიანი პროკოფი 275,308
რაუტლეჯი (რაუტლიჯი) 122, 364,391
რაუშ-ფონ-ტრაუბენბერგი პავლე 393
რევია ყარამან 160,161,394
რევიშვილი 271
რეიტერი კონსტანტინე 29,318
რილეევი კონდრატი 248
რიჟოვი ივანე 312
რიჟოვი სტეფანე 26,27,312
როზენი გრიგოლ 253
როზმორდუკი ნინო 292

როზმორდუკი ჟანტი დე 18,291
რომანოვი გიორგი 249
რომანოვი იოაკიმე 18,289
რომანოვი მიხეილ — იხ. მიხეილ ნიკოლოზის ძე (დიდი მთავარი)
რომანოვი ნიკოლოზ — იხ. ნიკოლოზ მიხეილის ძე (დიდი მთავარი)
როსინსკი ავენირ 377
როსინსკი ლევ 150,151,192,377
რუსთველი (რუსთაველი) შოთა 17,32,90,139,171,202,232, 317,323,336,356,363,377,388, 389
*რუს-იმერელი — იხ. იურკევიჩი ვიქტორ
რუხაძე ტრიფონ 281
რუხაძე ჯულიეტა 373
რჩეულიშვილი გრიგოლ 174, 400
რჩეულიშვილ ივანე 400
რჩეულიშვილი ნინო 174,400
რჩეულიშვილი სოლომონ 174, 400
რცხილაძე ვიქტორ 365

ს. მ. — იხ. მესხი სერგეი
სააკაძე შალვა 250,254
სადლერი 122,364
საითიძე გელა 393,425
საკენი — იხ. ოსტენ-საკენი მაქსიმილიან
სალმინი თედორე 43,332
სალმინი მირონ 332
სალტიკოვი ევგრაფი 332
სალტიკოვ-შჩედრინი მიხეილ 42,306,332
სარაჯიშვილი ალექსანდრე 357
სარდუ ვიქტორიენ 363
საფაროვა მარიამ (მაკო) 204, 230,415
საფაროვი მიხეილ 415
სახოკია თედო 135,230,232,310, 339,342,373,374,378,379,390, 420
სახოკია თინათინ 339,374
სახოკია ტიმოთე 373
სენკევიჩი ჰენრიკ 389
სერებრიაკოვი ილია — იხ. ოქრომჭედლიშვილი (სერებრიაკოვი) ილია
სერებრიაკოვი ლაზარე — იხ. ოქრომჭედლიშვილი (სერებრიაკოვი) ლაზარე
სერვანტესი 388
სიმონოვიჩი 250
სინჯარაძე დალი 384
სკლოტოვსკი პავლე 351
სმეკალოვი ალექსი 10,18,212-214,255,422
სმეკალოვი მიხეილ 213,255,422
სმირნოვი არტემ 318
სმირნოვი თედორე 30,128,214, 318
*ს-ნი — იხ. ყიფიანი სამსონ
სოლაღიშვილები 22
სოლოგუბი ალექსანდრე 289
სოლოგუბი ვლადიმერ 18,289, 290,347
სოლომონ I („სოლომონ დიდი") 236,268,280
სოლომონ II 328,346
სოლომონი (სოლომონ ბრძენი) 323-324
*სოსლანი დავით — იხ. კეზელი დავით
სპარტაკი 203,414
სპასოვიჩი დანიელ 351
სპასოვიჩი ვლადიმერ 78,351

სტანისლავი (წმ.) 313
სტანტონი ჰ. 391
სტარიცკი ეგორ 44,297,334,335
სტარიცკი პაველ 334
სტაროსელსკაია ეკატერინე 357
სტაროსელსკი დიმიტრი 98,357
სტაროსელსკი სიმონ 357
სტეფანოვი — იხ. ტერ-სტეფანოვი გაბრიელ
სტრეპეტოვი გრიგოლ 332,351, 359
სუთიაშვილი პავლე 180,404
სულხანიშვილი დავით 75,350
სულხანიშვილი ელისაბედ (ვეტა) 116,270,359
სულხანიშვილი ივანე 75,350
სუმბათაშვილები 172
სუმბათაშვილი ვასილ 185,406, 407
სუმბათაშვილი სოფიო 406,407
სუმბათაშვილი ქეთო 22,304
სურგულაძე აკაკი 419

ტაბიძე ნოდარ 275,278,312,381, 420
ტაბლიაშვილი ი. 247
ტალეირანი 342
ტამბერლიკი ენრიკო 72,348
ტარსაიძე ალექსანდრე 43,145, 332,333
ტარსაიძე გიორგი 333
ტარსაიძე ნიკოლოზ (ნიკო) 43, 145,191,333
ტატიშვილი ბეჟან 146,196,197, 357,411
ტატიშვილი გიორგი (გოგი) 403
ტატიშვილი გიორგი ბეჟანის ძე 177,233,234,402,403,406-408,413
ტატიშვილი ეკატერინე 410,411
ტატიშვილი ივანე 196,411
ტატიშვილი ნ. 363
ტატიშვილი ნიკოლოზ (ნიკო) 195-197,411
ტაუხნიცი 122,364
ტელი ვილჰელმ 389
ტერ-აკოფოვი იაგორ 409
ტერ-აკოფოვი მიხეილ 186,409
ტერ-ასატუროვი ალექსანდრე 405
ტერ-სტეფანოვი გაბრიელ 29, 317
ტერ-სტეფანოვი სულხან 317
ტერ-ღუკასოვი დავით 29,317
ტერ-ღუკასოვი ისაია 317
ტიმოთე გაბაშვილი — იხ. გაბაშვილი ტიმოთე
ტიტვინიძე მ. 253
ტიტოვი დემენტი 236
ტოკარევი გაბრიელ 265
ტოლსტოი დიმიტრი 333,375, 410,421
ტოლსტოი ლევ 291,292
ტურგენევი ივანე 306
ტუღუში კ. 286

უთურაშვილი იოსებ 275,284, 287, 296,311,333,344,380,410, 416,421,424,425
უთურგაული გიორგი 357
ულუხანოვები 389
უმიკაშვილი იოსებ 347
უმიკაშვილი პეტრე 72,120,287, 347,361
უორდროპი მარჯორი 381
ურბნელი ნიკოლოზ — იხ. ხიზანიშვილი ნიკოლოზ
ურუშაძე ამბაკო 163,396

ურუშაძე ანტონ 163
ურუშაძე ნათელა 299,348,360, 363,364,389
უშინსკი კონსტანტინე 338

ფადეევი ა. 297
ფავლენიშვილი ლევან 402
ფაზელი —იხ. გურიელი მამია დავითის ძე
ფაილოძე რ. 347
ფალავანდიშვილი იასე 254,285, 399
ფანქრათ 406
ფანცხავა რომანოზ 332,333
ფარნავაზ I 39,329
ფარნაოზ ბატონიშვილი 411
ფაღავა ნინო — იხ. როზმორ-დუკი ნინო
ფედოროვი ნიკიფორე — იხ. ფიოდოროვი ნიკიფორე
ფეიე (ფელიეტი, ფელიე) ოქ-ტავ 16,136, 278
ფილიპოვა — იხ. ილიინსკაია ეკატერინე
ფიოდოროვი ნიკიფორე 7,8,15, 244,246,340
ფიოლა — იხ. ფეიე ოქტავ
ფირცხალავა ნ. 251
ფირცხალავა სამსონ 291,310, 407
ფიცხელაური 196,197,411
ფონ-დერ-ნონე — იხ. ნონე ფონ-დერ მიხეილ
ფორაქაშვილი (ფორაქოვი) ადამ 315
ფორაქაშვილი (ფორაქოვი) გიორგი 28,29,77,314,315
ფორაქაშვილი (ფორაქოვი) ილარიონ 28,107-109,113-115,181, 182,200,314-316, 351,405
ფორაქაშვილი (ფორაქოვი) იოსებ (ოსიპ) 316
ფოცხიშვილი ალექსანდრე 266
ფულიე — იხ. ფეიე ოქტავ
ფურიკი ოკტავ — იხ. ფეიე ოქტავ
ფურცელაძე ანტონ 3,49,68,71, 120,125,201,202,230,235,250, 300,337,345,348,351,352,385, 394,397,400,413,419
ფურცელაძე ბარბარე 5,6,135, 174,237,244,374
ფურცელაძე დავით (დათიკო) 134,372
ფურცელაძე იოველ 403
ფურცელაძე იოსებ 238
ფურცელაძე ისაია 178,403
ფურცელაძე ნიკოლოზ 337
ფურცელაძე სოლომონ 372
ფურცელაძე ქაიხოსრო 5,6,237
ფურცელაძეები 5
ფულინოვი 359

ქავთარაძე 342
ქავთარია მიხეილ 326,423
ქაიხოსრო ბატონიშვილი 235
ქანანოვი ნიკოლოზ 357
ქარელიშვილი ერემია 390,392
ქართველიშვილი გიორგი 35, 300,325,326
ქართველიშვილი დავით 325
ქაჯაია ვარლამ 302,419
ქეთევან ბატონიშვილი 343
ქვარიანი თამაზ 380,386
ქიქოძე გერონტი 247,287,369, 371,374
ქიქოძე გიორგი 395
ქიქოძე ისიდორე 163,395

ქორქაშვილი ლევან 10,256,257
ქორქაშვილი ნიკოლოზ 256
ქოჩაქიძე ბერი (ბორო) 56,341
ქოჩაქიძე გიორგი — იხ. ჭალადიდელი გიორგი
ქოჩაქიძე მაქსიმე 55-56,341
ქრისტე — იხ. იესო ქრისტე
ქუთათელაძე ლილი 287
ქუცნიაშვილი მზია 381

ღვთისმშობელი — იხ. მარიამ ღვთისმშობელი
ღლონტი 38,328
ღოღობერიძე ბესარიონ 308, 354
ღოღობერიძე ბესარიონ ლევანის ძე 26,48,50,97,98,308,309
ღოღობერიძე გიორგი 87,268, 354
ღოღობერიძე ლევან 308
ღულაძე ანდრია 149,171,176, 386
ღულაძე სოლომონ 386

ყაზბეგები 353
ყაზბეგი ალექსანდრე (სანდრო) 148,151,232,317,384, 386,394
ყაზბეგი გიორგი 84,352,353
ყაზბეგი მიხეილ 386
ყაზბეგი ნიკოლოზ 352
ყაზბეგი სანდრო — იხ. ყაზბეგი ალექსანდრე (სანდრო)
ყაითმაზაშვილი (ყაითმაზოვი) ივანე 19,293,294
ყაითმაზაშვილი ლაზარე 294
ყაითმაზაშვილი (ყაითმაზოვი) ნიკოლოზ 19,293,294
ყარაშვილი გ. ი. 124,364
ყარსკი ნიკოლოზ — იხ. მურავიოვი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე
ყაუხჩიშვილი სიმონ 329
ყირიმელი ივანე — იხ. კულა გლდანელი
ყიფიანები 14,172,236,240,242, 243,354
ყიფიანი 235
ყიფიანი ალექსანდრე ქაიხოსროს ძე 184,405
ყიფიანი ალექსი დიმიტრის ძე 350
ყიფიანი ანასტასია ივანეს (ქოჩოს) ას. — იხ. კვალიაშვილი ანასტასია
ყიფიანი ანასტასია (ტასო) მიხეილის ას. 113,185,230,256, 270,271,408
ყიფიანი ანდრო 270
ყიფიანი ანტონ 5,173,241,242
ყიფიანი არჩილ (აჩიკო) 76,350
ყიფიანი აღათი — იხ. განგეოვა აღათი
ყიფიანი ბარბარე (ბაბალე) დიმიტრის ას. 350
ყიფიანი ბარბარე (ვარა) ნიკოლოზის ას. 35,116,257,270, 327,359,404,408
ყიფიანი ბარბარე ქაიხოსროს ას. — იხ. ფურცელაძე ბარბარე
ყიფიანი გიორგი 236
ყიფიანი გიორგი ალექსანდრეს ძე 405
ყიფიანი გიორგი ივანეს (ქოჩოს) ძე 5,6,173,185,236,241,404
ყიფიანი დავით გიორგის ძე 19, 294,295

ყიფიანი დავით ქაიხოსროს ძე 25,132,148,184,210,211,240, 298,306,368-370,402,410,421
ყიფიანი დიმიტრი 185
ყიფიანი დიმიტრი ივანეს (ქოჩოს) ძე 1-91,94,96-99,108-119,123-140,142-150,152,154-167,169-209,211-218,220,221, 224,225,227-252,254-260,262, 264-274,276-279,281,282,285, 286,288-297,300-303,306-316, 318-325,327,329,331-335,337, 339-348,350-362,364,366-371, 374-378,380,385,386,388-391, 393,394,397-414,416,418-425; იხ. აგრეთვე: ბ. ქ., ბაქარ ქართლელი, თეიმურაზ ეაკელი, მყვირალა (ქართლელი)
ყიფიანი დიმიტრი ნიკოლოზის (ნიკოს) ძე 113
ყიფიანი ელენე — იხ. ლორთქიფანიძე ელენე
ყიფიანი ელისაბედ (ვეტა) — იხ. სულხანიშვილი ელისაბედ (ვეტა)
ყიფიანი ეფემია დავითის ას. — იხ. ნიჟარაძე ეფემია
ყიფიანი ეფემია ექვთიმეს ას. 240,405
ყიფიანი ეფროსინე (ეფრო) — იხ. კლდიაშვილი ეფროსინე (ეფრო)
ყიფიანი ვარდენ 328
ყიფიანი ვასილ 5,174,177,195, 242,403
ყიფიანი ზაალ 309,385
ყიფიანი ზაზა 135,372,373
ყიფიანი ზაქარია 241
ყიფიანი თამარ 242
ყიფიანი თინათინ — იხ. მუსხელიშვილი თინათინ
ყიფიანი ივანე (ქოჩო) გიორგის ძე 5,9,135,174,236-239,243,255
ყიფიანი ივანე ქაიხოსროს ძე 405
ყიფიანი ილია 242
ყიფიანი იოსებ ივანეს (ქოჩოს) ძე 5,6,173,185,236,242,400
ყიფიანი იოსებ იოსების ძე 5, 173,242,398,400
ყიფიანი კოლა — იხ. ყიფიანი ნიკოლოზ (ნიკო)
ყიფიანი კონსტანტინე (კოტე) 3, 103,111,113,116,119,122,125, 126,133-135,146,148,149,156, 158,169,173,177,180,185-187, 191,193,200-206,210,212,231, 232,234, 236,237,240-242,264, 295,308,350,357,358,360,361, 365,367,371,385,390-392,397-400,402,404,405,408,409,414, 415,417,420
ყიფიანი ლევან 267
ყიფიანი ლევან დავითის ძე 131, 173,231,368,369,407
ყიფიანი ლევან ივანეს ძე 369, 385,409
ყიფიანი ლოლა (ლოკა) — იხ. ლორთქიფანიძე ელენე
ყიფიანი ლუარსაბ 184,185,406
ყიფიანი მართა ივანეს (ქოჩოს) ას. — იხ. მესხი მართა
ყიფიანი მართა იოსების ას. 242
ყიფიანი მარიამ ბეჟანის ას. 242
ყიფიანი მარიამ (მონიკო) გიორგის (იაგორის) ას. 177,196, 242,403
ყიფიანი მარიამ ივანეს ას. 8,15, 244,246,272,340,359
ყიფიანი მარიამ ივანეს (ქოჩოს) ას. — იხ. მაღალაშვილი მარიამ

ყიფიანი მარიამ იოსების ას. — იხ. თუხარელი მარიამ
ყიფიანი მარინე 233
ყიფიანი მიხეილ (მიშა) ზაალის ძე 26,48,146,148,149,188,309, 385,409
ყიფიანი მიხეილ (მიშო) ქაიხოსროს ძე 184,185,240,405, 406,412
ყიფიანი ნატალია იოსების ას. 171,233,241,243,398,400
ყიფიანი ნიკოლოზ (ნიკო, კოლა) 5,35,45,46,48,52,83,111, 113,116,125,146,156,158,173, 185,187,190,191,200-202,205, 230,235,237-239,241,243,244, 246,252,255-257,259,263,264, 270,274,279,282,297,307,309, 324,327,328,330, 331,333-335, 359,361,371,379,394,399,404, 412, 413; იხ. აგრეთვე: დ-ძე ნ., მარტენი ჟან, მარტინოვი ივანე, ნ. ყ.
ყიფიანი (ტატიშვილი) ნინო ბეჟანის ას. 98,103,109,113,146, 172,177,188,191,195,200-204, 231,357,358,403,406,410,411, 414
ყიფიანი (ჭილაშვილი) ნინო იაგორის (გიორგის) ას. 11, 12,17,44,102,103,111,113,116, 119,125,134,136,144,147,149, 151,157,169,172,189,190,192, 198-201,213,257,259,263,285, 361,366, 398,407,408,411-413, 422
ყიფიანი ნინო (ნუცა) ნიკოლოზის ას. 116,257,270,359,404, 408
ყიფიანი ოტია 267
ყიფიანი პლატონ 242
ყიფიანი სამსონ 386
ყიფიანი სვიმონ ვასილის ძე 242
ყიფიანი სვიმონ ზაქარიას ძე 241
ყიფიანი ქაიხოსრო ალექსანდრეს ძე (I) 405
ყიფიანი ქაიხოსრო ალექსანდრეს ძე (II) 362
ყიფიანი ქაიხოსრო ივანეს (ქოჩოს) ძე 5-7,9,25,136,173,184, 185,236-241,244,255,298,306, 368,374,404-406
ყიფიანი ქეთევან 241,242
ყიფიანი ქოჩო — იხ. ყიფიანი ივანე (ქოჩო) გიორგის ძე
ყორღანოვი ანტონ 325
ყორღანოვი ივანე 367
ყორღანოვი იოსებ 127,367
ყორღანოვი სოლომონ 325
ყუბანეიშვილი სოლომონ 385

შაბუროვი სოლომონ 405
შადური ვანო 258,353
შავიშვილი სამუელ 163,396
შამილი 92,279,282,291,304,356
შანშიაშვილი (შანშიევი) გრიგოლ 12,89,263,355
შანშიაშვილი იოსებ 263,355
შარაძე გურამ 268,281,327,365, 370,384,387,403
შარვაშიძე გიორგი დიმიტრის ძე 272
შარვაშიძე გრიგოლ 358
შარვაშიძე დიმიტრი 272
შარვაშიძე მიხეილ (ჰამუთბეგ) 266
შატბერაშვილი გარსევან 236
შაჰ-პარონიანცი მიხეილ 50,338

შაპ-პარონიანცი ს. — იხ. შაპ-პარონიანცი მიხეილ
შაპ-პარონიანცი სერგი 338
შელინგი ფრიდრიხ 311
შერემეტევი 182
შერმადინი — იხ. მანსვეტა-შვილი იაკობ
შექსპირი უილიამ 16,19,30,122, 123,133,136,155,157,158,173, 277-279,303,311,320, 362,364, 390-392
შველიძე ზაქარია 371,372,382, 392,395,396,417
შილერი ფრიდრიხ 173,279,389, 399
შიოევი 359
შიოშვილი თ. 374
შოშიაშვილი ნოდარ 323
შროშანი — იხ. აბაშიძე გრიგოლ
შჩედრინი-სალტიკოვი მიხეილ — იხ. სალტიკოვ-შჩედრინი მიხეილ
შჩერბინინი მიხეილ 263

ჩაგნაძე მარიამ — იხ. ყიფიანი მარიამ ივანეს ას.
ჩარკვიანი გრიგოლ 149,386
ჩარკვიანი ვასილ 386
ჩერნიშევსკი ნიკოლოზ 290,306
ჩერნიშოვი ალექსანდრე 253
ჩერქეზიშვილი სარიდონ 242
ჩიკვილაძე დალი 371
ჩილიაევი ეგორ — იხ. ჭილა-შვილი იაგორ (გიორგი)
ჩილიაევი კონსტანტინე — იხ. ჭილაშვილი კონსტანტინე
ჩიტაძე 93
ჩიტაძე შიო 400,420
ჩიქობავა არნოლდ 297
ჩიქოვანები 60
ჩიქოვანი დავით 53,57,61,340
ჩიქოვანი ლ. 321
ჩიქოვანი ლ. 333
ჩიქოვანი მიხეილ 382
ჩიქოვანი ოტია 340
ჩიხლაძე ნინო 414
ჩოლოყაშვილები 21
ჩოლოყაშვილი ალექსანდრე 370
ჩოლოყაშვილი ზაქარია 247
ჩუბინაშვილი დავით 280
ჩუდეცკი ივანე 330
ჩუდეცკი პავლე 39,40,138,139, 141-143,154,155,159,175,186, 214,330,331,377-379, 395,401
ჩხეიძე ბეჟან (I) 10,257
ჩხეიძე ბეჟან (II) 242
ჩხეიძე დ. 415
ჩხეიძე მარიამ — იხ. ყიფიანი მარიამ ბეჟანის ას.
ჩხეიძე როსტომ 2,249,284,287
ჩხეტია შალვა 217,232,234,264, 296,297,306,310,329,345,346, 364,368,371,376,408,413,416, 423,425
ჩხიტუნიძე თენგიზ 295

ცაგარელი ავქსენტი 415
ცაიშვილი სარგის 232,268,315, 406
ცაიშვილი სოლომონ 266,281, 282,308,330,341,347,351,361, 389
ცინცაძე კალისტრატე 326,330, 331,379,380,401,423
ცინცინატუსი (ცინცინატი) ლუციუს კვინქციუს 34,325
ცისკარიძე ვიოლეტა 378

ციციანოვი პავლე 245
ციციშვილები 252
ციციშვილი ზაზა 236
ციციშვილი ნიკოლოზ 236
ციციშვილი პავლე — იხ. ციციანოვი პავლე
ცომაია ლალი 262,365
ცუცუნაშვილი-ფავლენიშვილი სოფიო 275
ცხვედაძე ზებედე 310
ცხვედაძე ნიკოლოზ (ნიკო) 26, 49,96,97,302,310,357

ძერჟინსკი ფელიქს 171,388

ნაკოლა, ნაკოლა ერაძე — იხ. მგალობლიშვილი სოფრომ
წერეთელი 93
წერეთელი აკაკი 4,84,85,88,91, 139,164,176,177,193,204,211, 230-233,236,257,261,264,268, 269,277,281,288,292,294,299, 304,307-309,312,319,324,326, 328,329,331,333,342,349,353, 354, 356,357,377,381,383,388, 393,394,401,402,410,420, 421
წერეთელი გიორგი 326
წერეთელი გიორგი ექვთიმეს ძე 295,303,304,309,328,383, 393
წერეთელი დიმიტრი 267
წერეთელი მაია 389
წერეთელი მიხეილ (მიხაკო) 369
წერეთელი ნესტორ 14,19,35, 265,267-269
წერეთელი პაპუნა 276,283,291, 294,356,396
წერეთელი პელაგია 14,265,268, 269
წერეთელი როსტომ 353
წერეთელი სიმონ 35,326,327
წერეთლები 269
წვიმიტიძე 81
წინამძღვრიშვილი ილია 317
წინამძღვრიშვილი პელაგია 402
წონელია ვლადიმერ 369,416
წულაძე აპოლონ 162,233,394,395
წულაძე ლავრენტი 329
წულუკიძე ალექსანდრე (საშა) 388

ჭავჭავაძე ალექსანდრე 17,139, 150,151,171,172,247,272,282-285,296,324,339,340,343,347, 350,359,368,377
ჭავჭავაძე ანა — იხ. გრუზინსკაია-ჭავჭავაძე ანა
ჭავჭავაძე გარსევან 282,425
ჭავჭავაძე გრიგოლ 79,83,279
ჭავჭავაძე დავით 17,52,55,282, 283,291,339,343
ჭავჭავაძე დიმიტრი 84,316
ჭავჭავაძე ეკატერინე — იხ. ეკატერინე დადიანი
ჭავჭავაძე ზურაბ 298
ჭავჭავაძე თამარ 283
ჭავჭავაძე იასე 20,297,298
ჭავჭავაძე ილია 16,26,48,50,78, 79,83,84,95,98,122,124,125, 136,145-147,164,166-168,197, 198,200,201,204, 208-211,232, 233,278,279, 289,295,298,301, 302,306, 308-312,314-317,319, 329, 331,337,344,349,351,353, 357,365,366,369,370,378,381, 384-388,392-397,400,406,417, 419

ჭავჭავაძე ნიკოლოზ
დიმიტრის ძე 29,84,316,317
ჭავჭავაძე ნიკოლოზ (ნიკო)
ზურაბის ძე 20,398,399
ჭავჭავაძე (გრიბოედოვა) ნინო
17,258,285,301,303; იხ. აგ-
რეთვე: ნ.
ჭავჭავაძე ნოშრევან 297
ჭავჭავაძე სალომე დავითის
ას. — იხ. ოსტენ-საკენი
სალომე
ჭავჭავაძე სალომე ივანეს
(იოანეს) ას. 282
ჭავჭავაძე სოფიო — იხ. ნი-
კოლაი სოფიო
ჭალადიდელი გიორგი 55,56,
341,342
ჭანკოტაძე ოქრო 179,404
ჭანჭათელი — იხ. წულაძე
აპოლონ
ჭელიძე ვახტანგ 366,374,378,
393,415
ჭილაევი ბორის — იხ. ჭილა-
შვილი ბორის (ბაბანა)
ჭილაევი იაგორ — იხ. ჭილა-
შვილი იაგორ (გიორგი)
ჭილაია სერგი 247,291,324,377
ჭილაშვილები 259
ჭილაშვილი ბორის (ბაბანა) 11,
257,258,411
ჭილაშვილი გაბრიელ (გლახა)
11,198,257,258,411,412
ჭილაშვილი გიორგი — იხ.
ჭილაშვილი იაგორ (გი-
ორგი)
ჭილაშვილი ელისაბედ (ლიზა)
— იხ. ნაზოროვა ელისაბედ
(ლიზა)
ჭილაშვილი იაგორ (გიორგი)
11,12,119,136,144,169,172,
198, 258,262,412
ჭილაშვილი კონსტანტინე 258
ჭილაშვილი მიხეილ (მიშელ) 12,
55,65,89,198,262,263,355,404,
412
ჭილაშვილი ნინო — იხ.
ყიფიანი ნინო იაგორის
(გიორგის) ას.
ჭილაძე გაბრიელ (გლახა) —
იხ. ჭილაშვილი გაბრიელ
(გლახა)
ჭიჭინაძე ალექსი 209,419,420
ჭიჭინაძე ბესარიონ 209,419
ჭიჭინაძე ბეტა 420
ჭიჭინაძე ზაქარია 243,252,264,
277,278,284,360,366,418, 421
ჭიჭინაძე ქ. 277
ჭონქაძე დანიელ 298
ჭუმბურიძე ზურაბ 268,353,418
ჭუმბურიძე ჯუმბერ 287,299,400
ჭურღულია ოთარ 374
ჭყონია ალექსანდრე 335
ჭყონია ბაბალე 362
ჭყონია გოგია 396
ჭყონია ილია 323,417

ხარიტონოვი ა. 356
ხაჩიძე პეტრე 180,404
ხახნელიძე დათია 118,179,360
ხელთუბნელი მიხეილ 299,305,
346,365
ხერხეულიძე ანდრია 120,361
ხერხეულიძე ბარბარე (ბაბო)
— იხ. ავალიშვილი ბარბარე
(ბაბო)
ხერხეულიძე ომან 361
ხვიტია 269
ხიზანიშვილი ნიკოლოზ (ნი-
კო) 326
*ხ-ლი მუშა — იხ. ხრიალეთე-
ლი მუშა

ხოდოროვიჩი ფელიქს 363
ხომერიკი მანანა 249
ხომერიკი ნუნუ 276,278,284,309
*ხომლელი — იხ. ფანცხავა რომანოზ
ხოშტარია დიმიტრი — იხ. მეგ-რელი დუტუ
*ხრიალეთელი მუშა 395
ხუნდაძე არკადი 330,377,379, 401
ხუნდაძე სიმონ 233,320,344,
ხუნდაძე ტროფიმე 238,239,245, 257,289,321,349,392
ხუსკივაძე თეოფილე 328
ხუციშვილი ლილი 231
ხუციშვილი სოლომონ 238,239, 249,251,256,262,282,344,357, 381,384,392,414,415, 417

ჯაბადარი ალექსანდრე 210, 420
ჯაბადარი გიორგი 420
ჯავახიშვილები 48
ჯავახიშვილი გიორგი 241
ჯავახიშვილი გიორგი ქაიხოს-როს ძე 48,336
ჯავახიშვილი ივანე 275,287, 399,401,418
ჯავახიშვილი მარიამ დავითის ას. 336
ჯავახიშვილი მარიამ იოსების ას. 48,336
ჯავახიშვილი მიხეილ 400
ჯავახიშვილი ქაიხოსრო 336
ჯავახიშვილი ქეთევან 400
ჯამბაკურ-ორბელიანი მარიამ (მაშო) — იხ. ორბელიანი მარიამ (მაშო)
ჯანაშვილი მოსე 253,418,419
ჯანაშია სიმონ 266,267,402
ჯანელიძე ოთარ 365
ჯიბლაძე ბესარიონ 401
ჯიბლაძე სილიბისტრო 175,401
ჯიქია 269
ჯოვანიოლი რაფაელო 414
ჯოლოგუა თამაზ 2,246,249, 252,262,271,276-278,282,302, 311,342,353,354,362,363,374, 376,407,408,421,425; იხ. აგ-რეთვე: თ. ჯ.
ჯორჯაძე არჩილ 237,244,259, 274,279,296,314,316,349,358, 373,375,394,405,409

ჰაინე ჰაინრიხ 311
ჰაჯი-მურატი 291
ჰერცენი — იხ. გერცენი ალექ-სანდრე
ჰიუგო ვიქტორ 17,117,279,359
ჰიუგო ფრანსუა-ვიქტორ 17, 122,123,279
ჰოფმანი ერნსტ 279,311

გეოგრაფიულ სახელთა

ადლერი 256
ავლაბარი 252,283
აზერბაიჯანი 402
აზია 90
ალავერდი 411
ალაზანი 241,302
ამერიკა 40,330,378
ამიერკავკასია 174,239,259, 264,267,272,274,276,288, 291,313,315,322,335,337,

344; იხ. აგრეთვე: Закавказье, კავკასია
ანდი 241
არბო 5,235
არზრუმი 256
Армения 27; იხ. აგრეთვე: სომხეთი
არხანგელსკი 9,254,285,302
აფხაზეთი 143,266,345
აწყური 256
აჭარა 33,323
ახალდაბა 179,404
ახალქალაქი 363
ახალციხე 183,243,256,346

ბათუმი 35,36,42,115,125,235, 270,310,323,328,332,359, 362,371,374,384,394,413,418
ბანძა 391
ბაქო 27,77,293,351,357,396
ბაშკადიკლარი 298
ბახვი 396
ბეთანია 271
ბეკამი 242,404
ბელაქანი 257,293
ბელგია 35,201,399
ბელევი 241
ბელორუსია 312
ბერლინი 311,321
ბერშუეთი 332
ბიზანტია 90
ბოლგარეთი — იხ. ბულგარეთი
ბორჯომი 35-37,39,41,42,44, 104,144,146,160,178,179, 183,190,202,206,235,284,385, 322,331,333,411,414,417
ბოსნია 273
ბრეთი 135,179,372
ბრილი 383
ბრიუსელი 201,399,413
ბულგარეთი 295,332

ბანჯა 298,305,333,352,365, 413; იხ. აგრეთვე: ელიზავეტპოლი
გელათი 17
გეორგიევსკი 235,422
გერმანია 311,321
გოგჩა — იხ. გოქჩა
გომი 146,385,402
გორდი 53,58,59,62,204,340
გორი 5,9,20,48,74,75,78,82,84, 128,134,150,178,179,186, 206,216,221,235-237,240, 242-244,248-250,257,274, 318,332,336,366,372,381, 383,385,392,397,400,402-404,408,411,422,424
გორიჯვარი 423
გოქჩა 282
გრანადა 256
გრენობლი 272
Грузия 14,27,28,136,264,269, 329,353; იხ. აგრეთვე: იბერია, ივერია, საქართველო
გურია 10,13-15,36,136,163,185, 205,208,281,323,325,362, 395, 396,416
გურჯაანი 315

დარლო 241,298
დარიალი 90,286
დაღესტანი 267,298,352
დვინა 254
დიდუბე 277,307,310,318,326, 347,364,371,416
დირბი 179,404

დოღლაური 169,397
დრეზდენი 66,67
დუნაი 273
დუშეთი 11,79,83,95,108,119, 148,166,180,198,235,259, 359,392,397

ევროპა 42,69,90,253,306,373
ეკატერინოდარი — იხ. კრასნოდარი
ელიზავეტპოლი 242; იხ. აგრეთვე: განჯა
ერედვი 384
ერევანი 11,19,27,152,153,176, 210,259,283,288,289,292,294, 349,367,388, 389,419

ვანქი 319
ვარშავა 12,88,235,253,353,355
ვაყა 318
ვერა 140,149,191,210,298,365, 387,420
ვერა (მდ.) 386
ვერსალი 125,367
ვიატკა 9,249-251,254,; იხ. აგრეთვე: კიროვი
ვიბორგი 54,272,340
ვილნო 254,340,355
ვლადივოსტოკი 353
ვლადიკავკაზი (ვლადიკავკავი) 188,315,336,385,409; იხ. აგრეთვე: კავკავი
ვლადიმირი 254
ვლახეთი 273
ვოლოგდა 9,10,53,86,136,193, 195,213,237,244,254,255, 340,354,380,410, 422

ზაარბრიუკენი 366,367
Закавказье 14,136,230,232,269, 286, 290,329; იხ. აგრეთვე: ამიერკავკასია, კავკასია
ზედუბანი 274
ზესტაფონი 36,257
ზუგდიდი 57,61,204,206,235,273, 276,291,328,341,344,351

თავრიზი 256
თბილისი 2,4,36,37,39,41,44,68, 69,72,73,75,77,78,95, 97,107, 108,120,121,124,125,127,131, 133,136,138,139,142,146,147, 153,154,159,163,172,173,175, 176,180,181,183,184,188-192, 195-197,201,203,209,210, 215-218,226,234,238,239,244,245, 248,250,253-255,257-260,262, 264,270-273,275,276,283,285, 287-290,293,294,298,299,301-306,308,310,314-318, 320-322, 324,325,328,330-334,336-338, 340-343,345-352,356,359, 361-370,372-378,381-383,385-395, 398,399,401-403,406,407, 409, 413-416,418-420, 423,425; იხ. აგრეთვე: თფილისი, ტფილისი, Тифлис
თელავი 20,150,215,218,305, 309,339,381,389,423
თერგი 286,357,419
თიანეთი 315
თურქეთი 265; იხ. აგრეთვე: ოსმალეთი
თფილისი 140,150,256,393; იხ. აგრეთვე: თბილისი, ტფილისი, Тифлис

იალტა 367
იაპონია 378

იბერია 329; იხ. აგრეთვე: ივერია, საქართველო, Грузия
იერუსალიმი 404
ივანგოროდი 353
ივერია 398; იხ. აგრეთვე: იბერია, საქართველო, Грузия
იმერეთი 10,13-15,35-37,42,55, 87,95,135,136,170,188,205, 236,240,255-257,280,328, 335,344,416
ირანი 240,248,256,285,304; იხ. აგრეთვე: სპარსეთი
იტალია 348

კავკავი 48,146,148,271,272, 310,336,385; იხ. აგრეთვე: ვლადიკავკაზი (ვლადიკავკავი)
კავკასია 4,26,27,35,36,41,44,51, 54,56,61,63-65,71,76,77,92, 136,138,146,170,171,202,207, 208,213,215-217,221,223,224, 234, 241,245,251-253, 256, 257,259-261,263,264,267, 271,272,274,276,277,279,282, 285,286,288-293,298,302,305, 306,313,314,321,325,327,329, 331,334,335,337-340,343-345, 347,352,353,356-358,360,366, 367,373-75,378,380,387,392, 413,418, 423-425
კალოუბანი 148,363,385,389
კალუგა 246,413,424
კარდანახი 28,29,315
კასპი 336,400
კახეთი 20,21-23,28,68,78,130, 165,205,235,282,286,298,305, 314,316,330, 422
კიევი 168,264,271,288,397,417
კიროვი 254; იხ. აგრეთვე: ვიატკა
კიშინიოვი 173
კლდეკარი 246,251,277
კოლხეთი 76,297
კოსტრომა 259
კოჯორი 298
კრასნოდარი 333
კრასნოვოდსკი 289
კრწანისი 412
კუკია 347,359,369,382,415

ლადოგა 380
ლაზეთი 373
ლამისყანა 275
ლანჩხუთი 327,395
ლაშარი 369
ლევილი 318,326,384
ლეკეთი 257
ლეჩხუმი 13,14,62,77,281,343
ლიახვი 178
ლიტვა 312
ლიხაური 163,396
ლიხი 179,185,404
ლონდონი 160,265,291,344, 391,394
ლუქსემბურგი 275

მამადავითი — იხ. მთაწმინდა
მარტვილი 266,281,284,296, 341
მახათა 130
მახურა (მუხური) 62,343
მენგრელია 416; იხ. აგრეთვე: Мингрелия, სამეგრელო
მერეთი 5,6,135,178,235,237, 238,372,403
მესხეთი 205

მეტეხი (თბილისისა) 8,20,136, 252,297
მეტეხი (სოფ.) 174,400
მთაწმინდა (მამადავითი) 139, 146,150-153,162,170-172, 176,192,193,209-211,251, 261,282,283,285,343,350, 363,381, 398,401
მილახვრიანთკარი 180,198, 259,404,418
Мингрелия 344; იხ. აგრეთვე: მენგრელია, სამეგრელო
მინსკი 342
მიხაილოვო 36,138; იხ. აგრეთვე: ხაშური
მოსკოვი 26,73,121,150,173, 235,283,292,310,311,314, 338,343,348,399,416,419
მოქრი — იხ. გოქჩა
მოხისი 179,404
მტკვარი 101,110,179,402
მუხური — იხ. მახურა
მცხეთა 39,41,148,163,188,191, 331,344,385,396, 409

ნევა 254
ნიჟეგოროდი 379-380
ნიუ-იორკი 365
ნიცა 319,321
ნოვგოროდი 8,253
ნუხა 352,402

ოდესა 52,235,261,264,275, 399,400
ოდიში 345
ოზურგეთი 323,324,327,395, 396
ოკრიბა 236
ორენბურგი 286
ოსმალეთი 56,208,240,256,259, 266,273,274,279,282,291, 298,304,341,345,353,366, 395; იხ. აგრეთვე: თურქეთი
ოქროყანა 317
ოჩამჩირე 329
ოძისი 337

პარიზი (პარიჟი) 13,72,119, 169,172,235,265,283,317, 318,324,344,348,373,398, 418
პენზა 424
პერმი 250,254
პეტერბურგი (პეტერბურლი) 10-12,15,16,19,25,28,30,41,42, 44,45,47,49,52-54,63, 65,76-78,119,121,128,129,134,138, 139,143,163,164,189,190, 198, 205,208,209,214,235, 247,251,255,258,259,261, 266, 272,274-276,280-284, 289,294,296,301,306,308, 310, 314,316,318-320,322, 332,334,335,338,341,343, 345-348,350,351,356,361, 362,365,367,368,372,395, 396, 399,405, 410-412,416, 418-420,423; იხ. აგრეთვე: პეტროგრადი, სანქტ-პეტერბურგი
პეტროგრადი 339; იხ. აგრეთვე: პეტერბურგი, სანქტ-პეტერბურგი
პეტროვო-რაზუმოვსკოე 201,399
პოლონეთი 26,89,167,168,248, 253,259,274,292,311,312, 355,397

პოლტავა 264,411
პოლშა — იხ. პოლონეთი

შენევა 373

რაჭა 13,14,62,161
რედუტ-კალე — იხ. ყულევი
რიაზანი 380
რიონი 36,313
რომი 297,325
რუსეთი 4,5,8,10,18,19,26,27,42, 48,53,57,71,80,88,90,91,94,95, 97,100,115,119-121,129,130, 136,142,152,159,163,165,171-175,180-182,188,189,191,198, 208,213,215-219,222,226,234, 235,240,241,244,249,250,252-254, 256,258-260,263,264,266, 270-272,274,279,282,283,286-290,293,295,298,304,306,307, 311-314,318-320,326,330,333, 334,338,339,341,343,345,346, 348,350,352-354,356,360,366, 372,375,386,401,410-412,416-418,421,422,424
რუხი 280

საბაშიო 5,6,135,235,236,374
საარბრიუკენი — იხ. ზაარბრიუკენი
საბურთალო 149.170.191
საგურამო 357
სალმასტი 283
სამეგრელო 13-15,19,29,30,33, 37,38,44,52,53,55-57, 60-68, 76,77,82,127,128,136,143, 172,182,189,205,217,230, 265-267,269,273,276,279, 284, 285,291-293,295,296, 324,328,329,339-342,344, 345,350,367,368, 391; იხ. აგრეთვე: Мингрелия, მენგრელია
სამთავისი 423
სამურზაყანო 329,345
სამცხე 335
სანაინი 322,325
სანინო-ჭაჭარაქი 179,404
სანქტ-პეტერბურგი 77,202, 245,288,297,307,319,358, 376, 380; იხ. აგრეთვე: პეტერბურგი, პეტროგრადი
საფრანგეთი 172,173,265,272, 282,283,291,316,319,321, 326,341,384,418
საქართველო 3,4,9,10,12-14, 20-22,27,28,31-35,37,38,41, 45,47-49,52,68,81,86-89,92, 95,107,115,126,129,130,134, 136-140,142-145,147,154, 159,162-164,171,174,175, 180,181,186,187,191,198, 202,204,208-213,217-219, 226,227,230, 232,234-236, 238,240,243-248,250-253, 255, 257-261,263,-265,269-273,275,278,279,286-289, 291,296,297,303, 305-307, 309-313,317,319,321-326, 330,335,337,339,342-347, 349,353,354,358,362,365-368,371-374,376-380,382, 384-286,388,390-393,395, 396,398,401,402,404-406, 410-412,414-418,420,421, 423-425; იხ. აგრეთვე: იბერია, ივერია, Грузия
საქაშეთი 383
საჩხერე 268

საქილაო 416
სახალინი 330,378
სენაკი 55,58,62,310,339-342
სვანეთი 52,77,230,267,273, 291,293,339,342,344,349
სიონი 149,170,175,214,276, 283,285,287,304,305,387, 397,401
სიღნაღი 20,71,215,302,303, 306,315,402,424
სმოლენსკი 259
სოლოლაკი 139,152,171,193, 210,211,383,388
სომხეთი 27,312,322; იხ. აგრეთვე: Армения
სოხუმი 273,275,390
სპარსეთი 139,283,313,382 ,402; იხ. აგრეთვე: ირანი
სტავროპოლი (სტავროპოლ-კავკაზსკი) 5,41-44,77,87, 88,99,110,112,138,140,142-145,147,154,160,162,170,172, 174,176, 186,188-191,209, 212,232,235,332,333,358, 360,375-377,385,389,390, 408-410,420,421
სტამბოლი 291,353
სურამი 6,7,146,169,183,216, 240,244,404,406,409, 424
სურმუში 281
სუფსა 36,327

ტამბოვი 380
ტაშისკარი 169,179,206,207, 235,397
ტეზერი (ტეძერი) 235,404
Тифлис 238,296; იხ. აგრეთვე: თბილისი, თფილისი, ტფილისი
ტობოლსკი 315
ტომსკი 316
ტულა 241,288
ტფილისი 5,7,8,10-14,19-21,24-27,29,30,35,39,45,46,48-50, 53,55,57,63-67, 130,162,170, 244,246-248,259,282,283, 288,300,302,303,321,326, 327,329,330,335-338,345, 360,380,397,407,415,423; იხ. აგრეთვე: თბილისი, თფილისი, Тифлис
ტყვიავი 5,235

უკრაინა 312,397
უსტ-ცილმა 254,285
უფლისციხე 260

ფინეთი 248,254,271,272
ფიქრისგორა 140
ფოთი 52,63,371
ფონა 179,404

ქარელი 372,397,404
ქართლი 5,20-23,36,68,118,130, 161,163,165,169,178,205, 235,260,284,286,329,330, 344,363,374,402,406-408, 416,422
ქაშვეთი (ქვაშვეთი, ქვაშუეთი) 148,176,197,272,298, 301,326,330,380,382,385, 398,422-424
ქვემო ჭალა — იხ. ჭალა
ქვენატკოცა 179,404
ქვიშხეთი 5,25,30,34,42,43,77, 87,99,104,110,114,115,122, 124,137,146,169,172,173, 178-180,183,185-187,190, 191,195,201-203,214,235, 236, 240,274,279,285,322,

360,361,369,371,403,404, 406,408,424
ქისტაური 309
ქობულეთი 33
ქსანი 303,304
ქუთაისი 10,11,19,24,25,27,29, 35-37,41,42,55,62,87,104, 107,115,125,129,136-139, 143,150,159,170,173,174, 176,186,187,191,192,201, 202,205,206,209,212-214, 235,255-257,265,267-269, 275,280,281,292-295,302, 308-310,312,326-328,332, 339,341,346,349,357,362, 363,371,376,386,409,413, 417, 419,421,423
ქუთიში 267
ქურუქ-დარა 240

ღვანკითი 328
ღუნიბი 279

ყაზანი 13,139,245,380
ყაზბეგი 148,191
ყარაბაღი 293
ყარსი 256,273
ყვარელი 299
ყვირილა 36
ყირიმი 15,240,273,274,339,341, 345
ყულევი 63,344

შავი ზღვა 77,345
შავშეთი 33
შამშადილი 365
შემახა 352
შილდა 282
შორაპანი 36,242,257,274,328, 404
შუამთა (კახეთის) 282

ჩერნოგორია 273
ჩითახევი 405
ჩოლოქი 298
ჩუმათელეთი 179,206,207,404
ჩუღურეთი 252

ცაიში 328
ცარსკოე-სელო 283,289,293, 367
ციმბირი 40,86,87-88,182,185, 373
ცხინვალი 384
ცხრანყარო 257

ძველი სენაკი — იხ. სენაკი
ძვილეთი 411
ძიმითი 419

წინამძღვრიანთკარი 400
წინანდალი 282
წიფა 179,185,404
წიწამური 163,396
წრომი 402
წყნეთი 149,387

ჭალა 423
ჭალადიდი 341,342
ჭარი 257,293
ჭინჭარაული 404

ხარაგაული 404
ხარკოვი 49,235,333
ხაშური 35,36,138,144,146,183, 184,186,188,240,244,385,397, 404,406,409; იხ. აგრეთვე: მიხაილოვო
ხელთუბანი 310

ხერსონი 166,397
ხეფინისხევი 240
ხობი 344
ხოვლე 48,336
ხონი 340,419
ხოჯავანქი 317
ხრიალეთი 395

ჯავა 411
ჯავახეთი 335
ჯიხაიში 309

ჰაიდელბერგი 350
ჰამბურგი 324
ჰელსინკი (ჰელსინგფორსი) 248, 254
ჰერცეგოვინა 273

შემოკლებათა განმარტება

ავტ. — ავტორი.
არქ. — არქივი.
აქტები — Акты, собранные Кавказской археографической комиссиею, т. 1-12, Тфл., 1866-1904.
აღწ. — აღწერილობა.
ბროკჰაუზი-ეფრონი — Брокгауза и Ефрона энциклопедический словарь, т. 1-86, С.-Пб., 1890-1907.
ბსე — Большая Советская Энциклопедия, т. 1-30, М., 1970-1978.
„დრ." — „დროება".
ДСС — Действительный статский советник.
„ივ." — „ივერია".
იხ. — იხილე.
„კვ." — „კვალი".
„კ. კ." — „Кавказский календарь", Тфл., 1846-1917.
კრბ. — კრებული.
ლმ — გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი.
მაქს. ბერძნიშვილი, მასალები... — მაქს. ბერძნიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, I, თბ., 1980; II, თბ., 1983.
„მაცნე" (ელს) — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე (ენისა და ლიტერატურის სერია).
„მწყ." — „მწყემსი".
საქ. — საქმე.
„საქ. კ." — „საქართველოს კალენდარი", 1888-1905.
სე — საქართველო. ენციკლოპედია, ტ. I, თბ., 1997.
სთკმსმ — საქართველოს თეატრის, კინოსა და მუსიკის სახელმწიფო მუზეუმი.
სმ-დყ — საშვილიშვილო მოკავშირე — დიმიტრი ყიფიანი, შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, რუსული ტექსტები თარგმნა, წინასიტყვაობა, ბიბლიოგრაფიული შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო თ. ჯოლოგუამ, ტ. I, თბ., 1997.
სცსსა — საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი.
ფ. — ფურცელი.
ფსევდ. — ფსევდონიმი.
ქეგლ — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. I-VIII, თბ., 1950-1964.

ქსე — ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 1-11, თბ., 1975-1987.
„ქშწ-კგს" — „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება".
შდრ. — შეადარე.
შემდგ. — შემდგენელი.
„ცნ. ფ." — „ცნობის ფურცელი".
ხი — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი.
ჯოლოგ., დიმ. ყიფ. — თ. ჯოლოგუა, დიმიტრი ყიფიანი (1830-1860 წლები), თბ., 2002.
H, S — კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდები.

სარჩევი

შემდგენლისაგან 3
ნიკ. ყიფიანი, დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება..... 5
ნიკ. ყიფიანი, დიმიტრი ყიფიანის უკანასკნელი დღენი 35
ვ. თულაშვილი, შენიშვნა (ბ-ნ ნ. დ. ყიფიანის წერილის
გამო — „დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება") 45
კ. ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი. 1854-1861.
მოგონებანი (ნაწყვეტები) (თარგმანი თ. სახოკიასი)..... 52
ა. ფურცელაძე, სკოლა და ბანკი (ნაწყვეტები) 68
ა. ფურცელაძე, ჩვენი საზოგადოებრივი საქმეები და მათში
ვახტანგ თულაშვილის მონაწილეობა (ნაწყვეტები)..... 71
ა. წერეთელი, ფიქრები ბუხრის წინ (ნაწყვეტი) 84
ა. წერეთელი, დიმიტრი ყიფიანი 85
ა. წერეთელი, ქართული თეატრის დაარსება საქართველოში
(ნაწყვეტები)..... 88
ა. წერეთელი, როგორ დაარსდა ჩვენში საადგილ-მამულო
ბანკები? (ნაწყვეტი) 91
ი. გოგებაშვილი, როგორ დაარსდა „წერა-კითხვის
საზოგადოება" (ნაწყვეტი)..... 95
ნ. ყიფიანი, დიმიტრი ყიფიანი კერძო ცხოვრებაში 98
ნ. ყიფიანი, დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებიდან..... 109
ნ. ყიფიანი, მოგონებანი (ნაწყვეტი) 113
კ. ყიფიანი, ჩემი არტისტობის თავგადასავალი
(ნაწყვეტი)..... 120
კ. ყიფიანი, „მეფე ლირი" 122
ვ. მაჩაბელი, ჩემი თავგადასავალი (ნაწყვეტი)..... 125
გლეხთა განთავისუფლება და დიმიტრი ყიფიანი..... 129
ლ. ყიფიანი, დიმიტრი ყიფიანი და სამთა კომისია 131
ს. მგალობლიშვილი, კ. ყიფიანის 45 წ. არტისტული
მოღვაწეობის გამო (ნაწყვეტი)..... 133
თ. სახოკია, დიმიტრი ყიფიანი 135
შ. არაგვისპირელი, დიმიტრი ყიფიანი 140
ვ. გუნია, დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვა..... 142
ნ. ავალიშვილი, დიმიტრი ყიფიანის დასაფლავების შესახებ..... 152
ალ. ლეონიძე, დიმიტრი ყიფიანი სტავროპოლში 154
ე. გაბაშვილი, ქართული თეატრის ბუდე..... 155
გ. ბაგრატიონ-დავითაშვილი, მოგონებები (ნაწყვეტი)..... 159
ვ. კირვალიძე, დიმიტრი ყიფიანი..... 160

ა. წულაძე, მოგონება დიმიტრი ყიფიანზე 162
ი. მანსვეტაშვილი, მოგონებანი. ნახული და გაგონილი (ნაწყვეტები) 163
ნატ. ყიფიანი, მოგონება 171
დ. დავითაშვილი, დიმიტრი ყიფიანი როგორც ქართველი პატრიოტი 174
გ. ტატიშვილი, მოგონებანი 177
ე. თაყაიშვილი, მოგონებანი (ნაწყვეტები) 207
დანართი
1. კ. ყიფიანი, დიმიტრი ყიფიანის მკვლელობა 212
2. კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს უფროსის, ბარონ ალ. ნიკოლაის მოხსენება რუსეთის უმაღლესი ხელისუფლებისადმი თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლად დიმიტრი ყიფიანის არჩევასთან დაკავშირებით 215
ბიბლიოგრაფიული შენიშვნები 230
კომენტარები 235
საძიებლები:
პირთა 426
გეოგრაფიულ სახელთა 456
შემოკლებათა განმარტება 465

EAN 9789994090426